ი. სტალინი

ლენინიზმის საკითხები

თარგმანი
მეთერთმეტე რუსული გამოცემიდან

სახელმწიფო გამომცემლობა
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1952

შინაარსი

		გვ.
გამომცემლობისაგან		XIII
ლენინიზმის საფუძვლების შესახებ		
(სვერდლოვის უნივერსიტეტში 1924 წლის აპრილის დამდეგს წაკითხული ლექციები)		1—94
I.	ლენინიზმის ისტორიული ფესვები	3
II.	მეთოდი	9
III.	თეორია	16
IV.	პროლეტარიატის დიქტატურა	31
V.	გლეხობის საკითხი	43
VI.	ნაციონალური საკითხი	55
VII.	სტრატეგია და ტაქტიკა	64
VIII.	პარტია	79
IX.	მუშაობის სტილი	92
ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა		
(წინასიტყვაობა წიგნისა «ოქტომბრის გზებზე»)		95—128
I.	ოქტომბრის რევოლუციის საგარეო და საშინაო ვითარება	95
II.	ოქტომბრის რევოლუციის ორი თავისებურების შესახებ, ანუ ოქტომბერი და ტროცკის «პერმანენტული» რევოლუციის თეორია	98
III.	ბოლშევიკების ტაქტიკის ზოგიერთ თავისებურებაზე ოქტომბრის მომზადების პერიოდში	112
IV.	ოქტომბრის რევოლუცია, როგორც მსოფლიო რევოლუციის დასაწყისი და წანამძღვარი	124

ლენინიზმის საკითხებისათვის 129—189

I. ლენინიზმის განსაზღვრა . 129
II. მთავარი ლენინიზმში 131
III. «პერმანენტული» რევოლუციის საკითხი . . 133
IV. პროლეტარული რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა 135
V. პარტია და მუშათა კლასი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში 143
VI. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი . 166
VII. ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის 178

პარტიის სამი ძირითადი ლოზუნგის შესახებ გლეხობის საკითხში

(პასუხი ივან—სკის) . . 190—202

პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის შესახებ ოქტომბრის მომზადების პერიოდში

(პასუხი ს. პოკროვსკის) . 203—212

ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი

(ოქტომბრის ათი წლისთავისათვის) . 213—221

პურის ფრონტზე

(ხაუბრიდან წითელი პროფეხურის ინსტიტუტის, კომუნისტური აკადემიისა და სვერდლოვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან 1928 წ. 28 მაისს) . . . . . 222—234

ლენინი და საშუალო გლეხთან კავშირის საკითხი

(პასუხი ამხ. ს.—ს) . 235—246

მემარჯვენე საშრომის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)

(სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე. 1928 წ. 19 ოქტომბერი) . 247—260

მეშარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)

(სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე 1929 წ. აპრილში. სტენოგრამა) . . 261—344

I. ერთი თუ ორი ხახი? 262
II. კლასობრივი ძვრები და ჩვენი უთანხმოებანი . 268

III. უთანხმოებანი კომინტერნის ხაზით . 275
IV. უთანხმოებანი საშინაო პოლიტიკის ხაზით . 281

ა) კლასობრივი ბრძოლის შესახებ — 282. ბ) კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ — 287. გ) გლეხობის შესახებ — 291. დ) ნეპისა და საბაზრო ურთიერთობის შესახებ — 294. ე) ეგრეთწოდებული «ხარკის» შესახებ — 298. ვ) ინდუსტრიის განვითარების ტემპისა და ქალაქისა და სოფლის კავშირის ახალი ფორმების შესახებ — 304. ზ) ბუხარინი როგორც თეორეტიკოსი — 314. თ) ხუთწლედი თუ ორწლედი — 322. ი) ნათესი ფართობების საკითხი — 325. კ) პურის დამზადებათა შესახებ — 327. ლ) ვალუტის რეზერვებისა და პურის იმპორტის შესახებ — 332.

V. პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები 335

ა) ბუხარინის ჯგუფის ფრაქციულობის შესახებ — 335. ბ) ლოიალობისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის შესახებ — 337. გ) მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის შესახებ — 341.

VI. დასკვნები 343

დიადი გარდატეხის წელი

(ოქტომბრის XII წლისთავისათვის) . 345—357

I. შრომის ნაყოფიერების დარგში 345
II. მრეწველობის მშენებლობის დარგში 347
III. სოფლის მეურნეობის მშენებლობის დარგში 349
დასკვნები . 357

აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში

(სიტყვა აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე. 1929 წ. 27 დეკემბერი) . . . 358—361

I. «წონასწორობის» თეორია . . 360
II. სოციალისტურ მშენებლობაში «თვითდინების» თეორია . 362
III. წვრილგლეხური მეურნეობის «მყარობის» თეორია 364
IV. ქალაქი და სოფელი . . 369
V. კოლმეურნეობათა ბუნების შესახებ . . . 373
VI. კლასობრივი ძვრები და მობრუნება პარტიის პოლიტიკაში 377
VII. დასკვნები . . 380

კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის საკითხისათვის . 382—386

თავგრუდახვევა წარმატებებისაგან

(საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხებისათვის) · 387—393

პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს · 394—414

სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ

(სიტყვა სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველ სრულიად საკავშირო კონფერენციაზე 1931 წ. 4 თებერვალს) · 415—425

ახალი ვითარება — სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები

(სიტყვა სამეურნეო მუშაკთა თათბირზე 1931 წ. 23 ივნისს) · 426—448

I. მუშა-ხელი · 427
II. მუშების ხელფასი 429
III. შრომის ორგანიზაცია · · 433
IV. მუშათა კლასის საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის საკითხი · · · · · · · · · · 436
V. მობრუნების ნიშნები ძველ საწარმოო-ტექნიკურ ინტელიგენციაში · · · 439
VI. სამეურნეო ანგარიშის შესახებ · · · 442
VII. ვიმუშაოთ ახლებურად, ეუხელმძღვანელოთ ახლებურად 445

ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ

(წერილი ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციას» რედაქციას) 449—463

პირველი ხუთწლედის შედეგები

(მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წ. 7 იანვარს) · 464—506

I. ხუთწლედის საერთაშორისო მნიშვნელობა · · · 464
II. ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა და მისი განხორციელების გზა · 472
III. ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები მრეწველობის დარგში · 477
IV. ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები სოფლის მეურნეობის დარგში 485
V. ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში · · · 492
VI. ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის დარგში 496
VII. ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები მტრული კლასების ნაშთებთან ბრძოლის დარგში 500
VIII. საერთო დასკვნები · 504

სოფლად მუშაობის შესახებ

(სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წ. 11 იანვარს) 507—521

სიტყვა დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო პირველ ყრილობაზე

(1933 წ. 19 თებერვალი) 522—537

1. კოლმეურნეობათა გზა ერთადერთი სწორი გზაა 522
2. ჩვენი უახლოესი ამოცანაა — ყველა კოლმეურნე გავხადოთ შეძლებული . . . 529
3. ცალკე შენიშვნები 532

საანგარიშო მოხსენება პარტიის XVII ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ

(1934 წ. 26 იანვარი) . 538 – 613

I. მსოფლიო კაპიტალიზმის კვლავ მიმდინარე კრიზისი და საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობა . 538

1. ეკონომიური კრიზისის მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში — 539. 2. პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებში — 544. 3. ურთიერთობა სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის—551.

II. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შეუნელებელი აღმავლობა და საშინაო მდგომარეობა . 556

1. მრეწველობის აღმავლობა — 559. 2. სოფლის მეურნეობის აღმავლობა—564. 3. მშრომელთა მატერიალური მდგომარეობისა და კულტურის აღმავლობა — 577. 4. საქონელბრუნვის აღმავლობა და ტრანსპორტი — 582.

III. პარტია 587

1. იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის საკითხები—588.
2. ორგანიზაციული ხელმძღვანელობის საკითხები — 601.

საბოლოო სიტყვის მაგიერ 613

სიტყვა კრემლის სასახლეში წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე

(1935 წ. 4 მაისი) 614—620

სიტყვა სტახანოველთა სრულიად საკავშირო პირველ თათბირზე

(1935 წ. 17 ნოემბერი) 621—636

1. სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა . . 621
2. სტახანოვური მოძრაობის ფესვები . . . 626
3. ახალი ადამიანები — ახალი ტექნიკური ნორმები . 630
4. უახლოესი ამოცანები . 633
5. ორიოდე სიტყვა . 635

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

(მოხსენება საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წლის 25 ნოემბერს) . . . 637—670

I. საკონსტიტუციო კომისიის შექმნა და მისი ამოცანები . 637
II. ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში 638
III. კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი 645
IV. კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკა . 651
V. კონსტიტუციის პროექტის შესწორებანი და დამატებანი 658
VI. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობა 668

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ

(1938 წ. სექტემბერი) 671—703

საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ

(1939 წ. 10 მარტი) 704—759

I. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა . 704
1. ახალი ეკონომიური კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში. ბრძოლის გამწვავება გასაღების ბაზრებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის, მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის — 705. 2. საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება, სამშვიდობო ხელშეკრულებათა ომისშემდგომი სისტემის მარცხი, ახალი იმპერიალისტური ომის დასაწყისი — 709. 3. საბჭოთა კავშირი და კაპიტალისტური ქვეყნები — 714.

II. საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა . 717
1. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა—718. 2. ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი აღმავლობა — 729. 3. საბჭოთა წყობილების შემდგომი განმტკიცება — 733.

III. საკავშირო კ. პ. (ბ) შემდგომი განმტკიცება • 736

1. ლენინისძიებანი პარტიის შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. ორგანიზაციების დაწვრილერთეულება. ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოება ძირეულ სამუშაოსთან—737. 2. კადრების შერჩევა, მათი დაწინაურება, მათი განაწილება — 740. 3. პარტიული პროპაგანდა. პარტიის წევრთა და პარტიული კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა — 743. 4. თეორიის ზოგიერთი საკითხი — 746.

გამოცემლობისაგან

«ლენინიზმის საკითხების» წინამდებარე, მეთერთმეტე, გამოცემა იმით განსხვავდება მეათე გამოცემისაგან, რომ მასში ჩამატებულია ახალი ნაშრომები, რომელთაც ცოტად თუ ბევრად აქტუალური მნიშვნელობა აქვთ:

1) «სიტყვა კრემლის სასახლეში წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე» (1935 წ. 4 მაისი);

2) «სიტყვა სტახანოველთა სრულიად საკავშირო პირველ თათბირზე» (1935 წ. 17 ნოემბერი);

3) «სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ» (მოხსენება საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წ. 25 ნოემბერს);

4) «დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ» (ნაშრომი, დაწერილი ამხანაგ სტალინის მიერ «საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსისათვის» — 1938 წ. სექტემბერი) და

5) «საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ» (1939 წ. 10 მარტი).

წიგნის წინანდელი მოცულობის შენარჩუნების მიზნით «ლენინიზმის საკითხების» ამ გამოცემაში შეტანილი არ არის მეათე გამოცემაში მოთავსებული «საუბარი ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან», «ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე» და «საუბარი ინგლისელ მწერალ ჰ. დ. უელსთან».

ეს ცვლილებები მოხდენილია ავტორის თანხმობით.

პოლიტიკური ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა

ლენინიზმის საკითხები

ლენინიზმის საფუძვლების შესახებ

სვერდლოვის უნივერსიტეტში 1924 წლის აპრილის დამდეგს წაკითხული ლექციები

ლენინურ გაწვევას
ვუძღვნი

ი. სტალინი

ლენინიზმის საფუძვლები დიდი თემაა. მის ამოსაწურავად მთელი წიგნია საჭირო. უფრო მეტიც — საჭიროა მთელი რიგი წიგნები. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩემი ლექციები ვერ იქნება ლენინიზმის ამომწურავი გადმოცემა. ეს ლექციები, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს ლენინიზმის საფუძვლების მხოლოდ მოკლე კონსპექტი. მიუხედავად ამისა, მე სასარგებლოდ მიმაჩნია ამ კონსპექტის გადმოცემა, რათა მოცემულ იქნას ლენინიზმის წარმატებითი შესწავლისათვის აუცილებელი ზოგიერთი ძირითადი გამოსავალი პუნქტი.

ლენინიზმის საფუძვლების გადმოცემა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ლენინის მსოფლმხედველობის საფუძვლების გადმოცემას. ლენინის მსოფლმხედველობა და ლენინიზმის საფუძვლები ერთი და იგივე არ არის მოცულობით. ლენინი მარქსისტია, და მისი მსოფლმხედველობის საფუძველს, რა თქმა უნდა, მარქსიზმი წარმოადგენს. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ლენინიზმის გადმოცემა მარქსიზმის საფუძვლების გადმოცემით უნდა იწყებოდეს. ლენინიზმის გადმოცემა ნიშნავს იმ განსაკუთრებულისა და ახალის აღნიშვნას ლენინის ნაშრომებში, რაც ლენინმა შეიტანა მარქსიზმის საერთო საგანძურში და რაც ბუნებრივად დაკავშირებულია მის სახელთან. ჩემს ლექციებში ლენინიზმის საფუძვლებზე მხოლოდ ამ გაგებით მექნება საუბარი.

ამრიგად, რა არის ლენინიზმი?

ერთნი ამბობენ, რომ ლენინიზმი არის მარქსიზმის გამოყენება რუსეთის ვითარების თავისებური პირობების მიმართ. ამ განსა-

1. ა. სტალინი. ლენინიზმის საკითხები

ზღვრაში სიმართლის ნაწილია, მაგრამ იგი სრულიადაც ვერ ამოწურავს მთელ სიმართლეს. ლენინმა მართლაც გამოიყენა მარქსიზმი რუსეთის სინამდვილის მიმართ და ოსტატურადაც გამოიყენა. მაგრამ ლენინიზმი რომ წარმოადგენდეს მარქსიზმის მარტოოდენ გამოყენებას რუსეთის თავისებური ვითარების მიმართ, მაშინ ლენინიზმი იქნებოდა წმინდა ნაციონალური და მხოლოდ ნაციონალური, წმინდა რუსული და მხოლოდ რუსული მოვლენა. ჩვენ კი ვიცით, რომ ლენინიზმი არის ინტერნაციონალური მოვლენა, რომელსაც ფესვები აქვს მთელ საერთაშორისო განვითარებაში, და არა მარტო რუსული მოვლენა. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ ეს განსაზღვრა ცალმხრივია.

მეორენი ამბობენ, რომ ლენინიზმი არის XIX საუკუნის 40-იანი წლების მარქსიზმის რევოლუციურ ელემენტთა აღორძინება შემდგომი წლების მარქსიზმისაგან განსხვავებით, როდესაც იგი თითქოს ზომიერი, არარევოლუციური გახდა. თავი რომ დავანებოთ მარქსის მოძღვრების ამ სულელურ და უგვანო დაყოფას ორ ნაწილად — რევოლუციურ და ზომიერ ნაწილად, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სრულიად არასაკმაო და არადამაკმაყოფილებელ განსაზღვრაშიც კი მოიპოვება სიმართლის ნაწილი. ეს სიმართლის ნაწილი იმაში მდგომარეობს, რომ ლენინმა მართლაც აღადგინა მარქსიზმის რევოლუციური შინაარსი, რომელიც დაასამარეს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმა. მაგრამ ეს მხოლოდ სიმართლის ნაწილია. მთელი სიმართლე კი ლენინიზმის შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ ლენინიზმმა არა მარტო აღადგინა მარქსიზმი, არამედ აგრეთვე გადადგა ნაბიჯი წინ, — შემდგომ განავითარა მარქსიზმი კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში.

მაშ რა არის, ბოლოს და ბოლოს, ლენინიზმი?

ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით. მარქსი და ენგელსი მოღვაწეობდნენ რევოლუციისწინა პერიოდში (ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროლეტარული რევოლუცია), როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა განვითარებული იმპერიალიზმი, რევოლუციისათვის პროლეტართა მზადების პერიოდში, იმ პერიოდში, როცა პროლეტარული რევოლუცია ჯერ კიდევ უშუალო პრაქტიკულ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ხოლო ლენინი, მარქსისა და ენგელსის მოწაფე, მოღვაწეობდა განვითარებული იმპერიალიზმის

პერიოდში, მზარდი პროლეტარული რევოლუციის პერიოდში, როცა პროლეტარულმა რევოლუციამ უკვე გაიმარჯვა ერთ ქვეყანაში, დაამარცხა ბურჟუაზიული დემოკრატია და დაიწყო პროლეტარული დემოკრატიის ერა, საბჭოების ერა.

აი რატომ წარმოადგენს ლენინიზმი მარქსიზმის შემდგომ განვითარებას.

ჩვეულებრივ აღნიშნავენ ლენინიზმის განსაკუთრებით მებრძოლ და განსაკუთრებით რევოლუციურ ხასიათს. ეს სავსებით სწორია. მაგრამ ლენინიზმის ეს თავისებურება ორი მიზეზით აიხსნება: ჯერ-ერთი, იმით, რომ ლენინიზმი წარმოიშვა პროლეტარული რევოლუციისაგან, რომლის დაღსაც არ შეიძლება იგი არ ატარებდეს; მეორეც, იმით, რომ იგი გაიზარდა და განმტკიცდა შეტაკებებში II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმთან, რომელთან ბრძოლა წარმოადგენდა და წარმოადგენს კაპიტალიზმის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის აუცილებელ წინასწარ პირობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ, ერთი მხრით, მარქსსა და ენგელსსა და, მეორე მხრით, ლენინს შორის II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის განუყოფელი ბატონობის მთელი ხანაა, და ამ ოპორტუნიზმთან დაუნდობელი ბრძოლა არ შეიძლებოდა ლენინიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აშოცანა არ ყოფილიყო.

I

ლენინიზმის ისტორიული ფესვები

ლენინიზმი გაიზარდა და ჩამოყალიბდა იმპერიალიზმის პირობებში, როდესაც კაპიტალიზმის წინააღმდეგობებმა უკიდურეს წერტილს მიაღწიეს, როდესაც პროლეტარული რევოლუცია უშუალო პრაქტიკის საკითხად გადაიქცა, როდესაც რევოლუციისათვის მუშათა კლასის მზადების ძველი პერიოდი მიადგა კაპიტალიზმზე პირდაპირი იერიშის ახალ პერიოდს და გადაიზარდა მასში.

ლენინი იმპერიალიზმს «მომაკვდავ კაპიტალიზმს» უწოდებდა. რატომ? იმიტომ, რომ იმპერიალიზმს კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი მიჰყავს უკანასკნელ მიჯნამდე, უკიდურეს საზღვრამდე, რის იქითაც რევოლუცია იწყება. ამ წინააღმდეგობათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად სამი წინააღმდეგობა უნდა ჩაითვალოს.

პირველი წინააღმდეგობა — ესაა წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის. იმპერიალიზმი არის მონოპოლისტური ტრესტებისა და სინდიკატების, ბანკებისა და ფინანსური ოლიგარქიის ყოვ-

ლისშემძლეობა სამრეწველო ქვეყნებში. ამ ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასის ჩვეულებრივი მეთოდები — პროფკავშირები და კოოპერატივები, პარლამენტის პარტიები და საპარლამენტო ბრძოლა — სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა. ან მიენდე კაპიტალის მოწყალებას, ძველებურად იცოდეილე და დაქვეითდი, ან ახალ იარაღს მოჰკიდე ხელი, — ასე აყენებს საკითხს იმპერიალიზმი პროლეტარიატის მილიონიანი მასების წინაშე. იმპერიალიზმს მუშათა კლასი რევოლუციასთან მიჰყავს.

მეორე წინააღმდეგობა — ესაა წინააღმდეგობა სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფებსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის მათს ბრძოლაში ნედლეულის წყაროებისათვის, სხვათა ტერიტორიებისათვის. იმპერიალიზმი არის კაპიტალის გატანა ნედლეულის წყაროებთან, გაშმაგებული ბრძოლა ამ წყაროების მონოპოლიურად დაპატრონებისათვის, ბრძოლა უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის, ბრძოლა, რასაც განსაკუთრებული მძვინვარებით აწარმოებენ ახალი ფინანსური ჯგუფები და სახელმწიფოები, რომელნიც ეძებენ «ადგილს მზის ქვეშ», ძველი ჯგუფებისა და სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომელნიც მაგრად ჩაბღაუჭებიან ნადავლს. ეს გაშმაგებული ბრძოლა კაპიტალისტების სხვადასხვა ჯგუფს შორის იმ მხრივ არის შესანიშნავი, რომ ის შეიცავს, როგორც აუცილებელ ელემენტს, იმპერიალისტურ ომებს, ოძებს სხვათა ტერიტორიების დასაპყრობად. ეს გარემოება კი თავის მხრივ იმით არის შესანიშნავი, რომ იგი იწვევს იმპერიალისტების ურთიერთ დასუსტებას, საერთოდ კაპიტალიზმის პოზიციის დასუსტებას, პროლეტარული რევოლუციის მომენტის მოახლოებას, ამ რევოლუციის პრაქტიკულ აუცილებლობას.

მესამე წინააღმდეგობა — ესაა წინააღმდეგობა ერთ მუჭა გაბატონებულ «ცივილიზებულ» ერებსა და მსოფლიოს მრავალ ასეულმილიონიან კოლონიურ და დამოკიდებულ ხალხთა შორის. იმპერიალიზმი არის უზარმაზარი კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების მრავალ ასეულმილიონიანი მოსახლეობის ყველაზე უტიფარი ექსპლოატაცია და ყველაზე არაადამიანური ჩაგვრა. ზემოგების ამოქაჩვა — ასეთია ამ ექსპლოატაციის და ამ ჩაგვრის მიზანი. მაგრამ იმპერიალიზმი, ამ ქვეყნების ექსპლოატაციას რომ ეწევა, იძულებულია აშენოს იქ რკინიგზები, ფაბრიკა-ქარხნები, სამრეწველო და სავაჭრო ცენტრები. პროლეტართა კლასის გაჩენა, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმოშობა, ნაციონალური თვითშეგნების გაღვიძება და განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება— ასეთია ამ «პოლიტიკის» გარდუვალი შედეგები. ამას თვალნათლივ

მოწმობს რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება უკლებლივ ყველა კოლონიასა და დამოკიდებულ ქვეყნებში. ეს გარემოება იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი პროლეტარიატისათვის, რომ ის ძირს უთხრის კაპიტალიზმის პოზიციებს, აქცევს რა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებს იმპერიალიზმის რეზერვებიდან პროლეტარული რევოლუციის რეზერვებად.

ასეთია, საერთოდ, იმპერიალიზმის მთავარი წინააღმდეგობანი, რამაც ძველი «აყვავებული» კაპიტალიზმი მომაკვდავ კაპიტალიზმად აქცია.

ათი წლის წინათ ატეხილი იმპერიალისტური ომის მნიშვნელობა, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ მან ყველა ამ წინააღმდეგობას ერთ კვანძში მოუყარა თავი, სასწორზე შეაგდო ისინი და ამით დააჩქარა და გააადვილა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლანი.

სხვანაირად რომ ვთქვათ, იმპერიალიზმმა გამოიწვია არა მარტო ის, რომ რევოლუცია პრაქტიკულ აუცილებლობად იქცა, არამედ ისიც, რომ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები კაპიტალიზმის ციხესიმაგრეზე პირდაპირი იერიშის მისატანად.

ასეთია საერთაშორისო ვითარება, რომელმაც წარმოშვა ლენინიზმი.

კეთილი და პატიოსანი, გვეტყვიან ჩვენ, მაგრამ რა შუაშია აქ რუსეთი, ის ხომ იმპერიალიზმის კლასიკური ქვეყანა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო? რა შუაშია აქ ლენინი, რომელიც მუშაობდა, უწინარეს ყოვლისა, რუსეთში და რუსეთისათვის? რატომ სწორედ რუსეთი გახდა ლენინიზმის კერა, პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და ტაქტიკის სამშობლო?

იმიტომ, რომ რუსეთი იმპერიალიზმის ყველა ამ წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა.

იმიტომ, რომ რუსეთი სხვა რომელიმე ქვეყანაზე უფრო მეტად იყო რევოლუციით ფეხმძიმე, და ამის გამო მხოლოდ მას შეეძლო რევოლუციური გზით გადაეჭრა ეს წინააღმდეგობანი.

დავიწყოთ იმით, რომ მეფის რუსეთი იყო კერა ყოველგვარი ჩაგვრისა — კაპიტალისტურისაც, კოლონიურისაც და სამხედრო ჩაგვრისაც, — ამასთან ამ ჩაგვრას ყველაზე უფრო მხეცური და ბარბაროსული სახე ჰქონდა. ვინ არ იცის, რომ რუსეთში კაპიტალის ყოვლისშემძლეობა უერთდებოდა ცარიზმის დესპოტიზმს, რუსული ნაციონალიზმის აგრესიულობა — ცარიზმის ჯალათობას არარუს ხალხთა მიმართ, მთელი რაიონების — თურქეთის, სპარსეთის, ჩინეთის — ექსპლოატაცია — ცარიზმის მიერ ამ რაიონების დაპყრო-

ბას, ომს მათი დაპყრობისათვის? მართალი იყო ლენინი, როდესაც ამბობდა, რომ ცარიზმი «სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმია». ცარიზმი იყო იმპერიალიზმის ყველაზე უფრო უარყოფითი, კვადრატში აყვანილი, თვისებების თავმოყრა.

შემდეგ. მეფის რუსეთი იყო დასავლეთის იმპერიალიზმის უდიდესი რეზერვი არა მარტო იმ აზრით, რომ იგი თავისუფლად უშვებდა ჩვენში უცხოეთის კაპიტალს, რომლის ხელშიც იყო რუსეთის სახალხო მეურნეობის ისეთი გადამწყვეტი დარგები, როგორიცაა სათბობი და მეტალურგია, არამედ იმ აზრითაც, რომ რუსეთს შეეძლო დასავლეთის იმპერიალისტების სასარგებლოდ გამოეყვანა მილიონობით ჯარისკაცები. მოიგონეთ რუსეთის 14-მილიონიანი არმია, რომელიც სისხლს ღვრიდა იმპერიალისტურ ფრონტებზე ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტთა უზომო მოგების უზრუნველსაყოფად.

შემდეგ. ცარიზმი იყო არა მარტო მოდარაჯე ქოფაკი იმპერიალიზმისა აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ იგი იყო აგრეთვე დასავლეთის იმპერიალიზმის აგენტურაც, რათა პარიზსა და ლონდონში, ბერლინსა და ბრიუსელში აღებული სესხებისათვის ასეული მილიონობით პროცენტი აეფცქვნა მოსახლეობისაგან.

ბოლოს, ცარიზმი დასავლეთის იმპერიალიზმის უერთგულესი მოკავშირე იყო თურქეთის, სპარსეთის, ჩინეთის და სხვ. დაყოფის საქმეში. ვინ არ იცის, რომ ცარიზმი იმპერიალისტურ ომს აწარმოებდა ანტანტის იმპერიალისტებთან კავშირში, რომ რუსეთი ამ ომის არსებითს ელემენტს წარმოადგენდა?

აი რატომ იყო, რომ ცარიზმისა და დასავლეთის იმპერიალიზმის ინტერესები გადახლართული იყო ერთმანეთში და ბოლოს და ბოლოს იმპერიალიზმის ინტერესთა ერთიან ხლართში იყრიდა თავს.

განა შეეძლო დასავლეთის იმპერიალიზმს შერიგებოდა ისეთი ძლიერი დასაყრდენის, ძალებითა და საშუალებებით ისეთი მდიდარი რეზერვუარის დაკარგვას აღმოსავლეთში, როგორიც იყო მეფის, ძველი, ბურჟუაზიული რუსეთი, ისე, რომ არ ესინჯა მთელი თავისი ძალღონე რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის წარმოებისათვის, ცარიზმის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით? რა თქმა უნდა, არ შეეძლო!

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ვინც ცარიზმის წინააღმდეგ ხელის აღმართვას მოიწადინებდა, მას აუცილებლად იმპერიალიზმის წინააღმდეგაც უნდა შემოექნია ხელი, ვინც უჯანყდებოდა ცარიზმს, ის იმპერიალიზმის წინააღმდეგაც უნდა აჯანყებულიყო, ვინაიდან ვინც ცარიზმს ამხობდა, მას იმპერიალიზმიც უნდა დაემხო, თუ კი

მართლა სურდა ცარიზმის არა მარტო დამარცხება, არამედ საბოლოოდ მოსპობაც. ამრიგად, რევოლუცია ცარიზმის წინააღმდეგ უახლოვდებოდა და უნდა გადაზრდილიყო რევოლუციად იმპერიალიზმის წინააღმდეგ, პროლეტარულ რევოლუციად.

ამავე დროს კი რუსეთში აზვირთებას იწყებდა უდიდესი სახალხო რევოლუცია, და მას სათავეში ედგა მსოფლიოში ყველაზე უფრო რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც თავის განკარგულებაში ჰყავდა ისეთი სერიოზული მოკავშირე, როგორიც არის რუსეთის რევოლუციური გლეხობა. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ასეთი რევოლუცია შუა გზაზე ვერ შეჩერდებოდა, რომ წარმატების შემთხვევაში იგი უფრო შორს უნდა წასულიყო და აღემართა იმპერიალიზმის წინააღმდეგ აჯანყების დროშა?

აი რატომ უნდა გამხდარიყო რუსეთი იმპერიალიზმის წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი არა მარტო იმ აზრით, რომ ეს წინააღმდეგობანი ყველაზე უფრო ადვილად მჟღავნდებოდნენ სწორედ რუსეთში, მათი განსაკუთრებით უმსგავსი და განსაკუთრებით აუტანელი ხასიათის გამო, არც მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი იყო დასავლეთის იმპერიალიზმის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი, რომელიც დასავლეთის ფინანსურ კაპიტალს აკავშირებდა აღმოსავლეთის კოლონიებთან, არამედ იმიტომაც, რომ მხოლოდ რუსეთში არსებობდა რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო რევოლუციური გზით გადაეჭრა იმპერიალიზმის წინააღმდეგობანი.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ რევოლუცია რუსეთში არ შეიძლებოდა არ გამხდარიყო პროლეტარული, რომ მას არ შეეძლო თავისი განვითარების პირველ დღეებშივე არ მიეღო საერთაშორისო ხასიათი, რომ მას, ამგვარად, არ შეეძლო არ შეერყია მსოფლიო იმპერიალიზმის თვით საფუძვლები.

განა შეეძლოთ ასეთ მდგომარეობაში რუს კომუნისტებს შემოეფარგლათ თავიანთი მუშაობა რუსეთის რევოლუციის ვიწრონაციონალური ჩარჩოებით? რა თქმა უნდა, არა! პირიქით, მთელი ვითარება, როგორც საშინაო (ღრმა რევოლუციური კრიზისი), ისე საგარეო (ომი), უკარნახებდა მათ, რომ თავიანთ მუშაობაში გასცილებოდნენ ამ ჩარჩოებს, საერთაშორისო ასპარეზზე გადაეტანათ ბრძოლა, გამოეაშკარავებინათ იმპერიალიზმის იარები, დაემტკიცებინათ კაპიტალიზმის კრახის აუცილებლობა, დაემარცხებინათ სოციალ-შოვინიზმი და სოციალ-პაციფიზმი, ბოლოს, დაემხოთ კაპიტალიზმი თავის ქვეყანაში და პროლეტარიატისათვის გამოეჭედათ ბრძოლის ახალი იარაღი, პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა, რათა გაეადვილებინათ ყველა ქვეყნის პროლეტარე-

ბისათვის კაპიტალიზმის დამხობის საქმე. რუსი კომუნისტები სხვა-გვარად ვერც იმოქმედებდნენ, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით იყო მოსალოდნელი საერთაშორისო მდგომარეობაში ერთგვარი ცვლილებანი, რომელთაც შეეძლოთ უზრუნველეყოთ რუსეთი ბურჟუაზიული წესწყობილების რესტავრაციისაგან.

აი რატომ გახდა რუსეთი ლენინიზმის კერა, ხოლო რუსეთის კომუნისტების ბელადი ლენინი — მისი შემოქმედი.

რუსეთსა და ლენინს აქ დაახლოებით იგივე «დაემართათ», რაც «დაემართათ» გერმანიასა და მარქს-ენგელსს გასული საუკუნის ორმოციან წლებში. გერმანია მაშინ, როგორც რუსეთი XX საუკუნის დასაწყისში, თავის სხეულში ატარებდა ბურჟუაზიულ რევოლუციას. მაშინ მარქსი «კომუნისტურ მანიფესტში» წერდა, რომ:

«გერმანიას კომუნისტები თავიანთ მთავარ ყურადღებას აქცევენ იმიტომ, რომ იქ ბურჟუაზიული რევოლუციის წინადღეა, იმიტომ, რომ ამ გადატრიალებას გერმანია მოახდენს საერთოდ ევროპის ცივილიზაციის უფრო პროგრესულ პირობებში, ბევრად უფრო განვითარებული პროლეტარიატით, ვიდრე XVII საუკუნის ინგლისში და XVIII საუკუნის საფრანგეთში იყო. მაშასადამე, გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუცია შეიძლება იყოს პროლეტარული რევოლუციის მხოლოდ უშუალო პროლოგი».

სხვანაირად რომ ვთქვათ, რევოლუციური მოძრაობის ცენტრი გერმანიაში გადადიოდა.

არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ზემომოყვანილ ციტატაში მარქსის მიერ აღნიშნული სწორედ ეს გარემოება იყო იმის უთუო მიზეზი, რომ სწორედ გერმანია გახდა მეცნიერული სოციალიზმის სამშობლო, ხოლო გერმანიის პროლეტარიატის ბელადები — მარქსი და ენგელსი — მისი შემოქმედნი.

იგივე, ოღონდ კიდევ უფრო მეტად, ითქმის XX საუკუნის დასაწყისის რუსეთზე. რუსეთი ამ პერიოდში ბურჟუაზიული რევოლუციის წინადღეს განიცდიდა, მას უნდა მოეხდინა ეს რევოლუცია ევროპის უფრო პროგრესულ პირობებში და უფრო განვითარებული პროლეტარიატით, ვიდრე XIX საუკუნის 40-იანი წლების გერმანიამ მოახდინა (ინგლისსა და საფრანგეთზე რომ არა ვთქვათ რა), ამასთან ყველაფერი იმის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, რომ ეს რევოლუცია უნდა ყოფილიყო პროლეტარული რევოლუციის გამაღვივებელი ძალა და პროლოგი.

არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ლენინი ჯერ კიდევ 1902 წელს, როცა რუსეთის რევოლუცია მხოლოდ ისახებოდა, თავის ბროშურაში «რა ვაკეთოთ?» წერდა წინასწარმეტყველურ სიტყვებს იმის შესახებ, რომ:

«ისტორიამ ახლა ჩვენს წინაშე (ე. ი. რუსი მარქსისტების წინაშე. ი. სტ.) დაყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე. რევოლუციურია რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანათა შორის»,

რომ... «ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპული, არამედ აგრეთვე (შეგეძლია ვთქვათ ახლა) აზიური რეაქციის ყველაზე მძლავრი ბურჯის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს გახდიდა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად» (იხ. ტ. IV, გვ. 382).

.სხვანაირად რომ ვთქვათ, რევოლუციური მოძრაობის ცენტრი რუსეთში უნდა გადმონაცვლებულიყო.

·ცნობილია, რომ რუსეთის რევოლუციის მსვლელობამ გადაჭარბებით გაამართლა ლენინის ეს წინასწარმეტყველება.

განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ ქვეყანა, რომელმაც ასეთი რევოლუცია მოახდინა და რომელსაც ასეთი პროლეტარიატი ჰყავს, პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და ტაქტიკის სამშობლო გახდა?

განა საკვირველია, რომ რუსეთის პროლეტარიატის ბელადი, ლენინი, ამასთან ერთად, ამ თეორიისა და ტაქტიკის შემოქმედი და საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი გახდა?

II

მეთოდი

ზემოთ მე ვთქვი, რომ, ერთი მხრით, მარქს-ენგელსსა, ხოლო, მეორე მხრით, ლენინს შორის II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის ბატონობის მთელი ხანაა. სიზუსტისათვის უნდა დავუმატო, რომ აქ ლაპარაკია ოპორტუნიზმის არა ფორმალურ ბატონობაზე, არამედ მის მხოლოდ ფაქტიურ ბატონობაზე. ფორმალურად II ინტერნაციონალის სათავეში იდგნენ «მართლმორწმუნე» მარქსისტები, «ორთოდოქსები» — კაუცკი და სხვები. ნამდვილად კი II ინტერნაციონალის ძირითადი მუშაობა ოპორტუნიზმის ხაზით მიმდინარეობდა. ოპორტუნისტები, თავიანთი შემგუებლური, წვრილბურჟუაზიული ბუნების გამო, ეგუებოდნენ ბურჟუაზიას, — ხოლო «ორთოდოქსები» თავის მხრივ ეგუებოდნენ ოპორტუნისტებს, ოპორტუნისტებთან «ერთიანობის შენარჩუნების» გულისთვის, «პარტიაში მშვიდობიანობის» გულისთვის. შედეგად გამოდიოდა ოპორტუნიზმის ბატონობა, ვინაიდან ჯაჭვი ბურჟუაზიის პოლიტიკასა და «ორთოდოქსების» პოლიტიკას შორის შეკრული აღმოჩნდა.

ეს იყო კაპიტალიზმის შედარებით მშვიდობიანი განვითარების პერიოდი, ასე ვთქვათ, ომამდელი პერიოდი, როცა იმპერიალიზმის

კატასტროფული წინააღმდეგობები ჯერ კიდევ არ გამოაშკარავებულიყო სრული სიცხადით; როცა მუშების ეკონომიური გაფიცვები და პროფკავშირები ცოტად თუ ბევრად «ნორმალურად» ვითარდებოდნენ, როცა საარჩევნო ბრძოლა და საპარლამენტო ფრაქციები «თავბრუდამხვევ» წარმატებებს აღწევდნენ, როცა ბრძოლის ლეგალური ფორმები ცამდე აჰყავდათ და ლეგალობით ფიქრობდნენ კაპიტალიზმის «მოკვლას», — ერთი სიტყვით, როცა II ინტერნაციონალის პარტიები სუქდებოდნენ და არც სურდათ სერიოზულად ეფიქრათ რევოლუციაზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე, მასების რევოლუციურ აღზრდაზე.

მთლიანი რევოლუციური თეორიის ნაცვლად — წინააღმდეგობრივი თეორიული დებულებები და თეორიის ნაფლეთები, მასების ცოცხალ რევოლუციურ ბრძოლას მოწყვეტილი და დახავსებულ დოგმებად გადაქცეული. სხვისთვის დასანახად, რა თქმა უნდა, გაიხსენებდნენ ხოლმე მარქსის თეორიას, მაგრამ იმისათვის, რომ გამოეცალათ მისთვის ცოცხალი რევოლუციური შინაარსი.

რევოლუციური პოლიტიკის ნაცვლად — უილაჯო ფილისტერობა და ფრთხილი პოლიტიკანობა, საპარლამენტო დიპლომატია და საპარლამენტო კომბინაციები. სხვისთვის დასანახად, რა თქმა უნდა, გამოჰქონდათ «რევოლუციური» გადაწყვეტილებანი და ლოზუნგები, მაგრამ იმისათვის, რომ მაუდქვეშ ამოედოთ ისინი.

იმის ნაცვლად, რომ საკუთარ შეცდომებზე აღეზარდათ პარტია და შეესწავლებინათ მისთვის სწორი რევოლუციური ტაქტიკა, საგულდაგულოდ უხვევდნენ გვერდს მტკივნეულ საკითხებს, ჩქმალავდნენ და აფუჩეჩებდნენ მათ. სხვისთვის დასანახად, რა თქმა უნდა, მსჯელობდნენ მტკივნეულ საკითხებზედაც, მაგრამ იმისათვის, რომ საქმე რაიმე «მოქნილი» რეზოლუციით დაებოლოებინათ.

აი რანაირი იყო II ინტერნაციონალის ფიზიონომია, მისი მუშაობის მეთოდი, მისი არსენალი.

ამასობაში კი ახლოვდებოდა იმპერიალისტური ომებისა და პროლეტარიატის რევოლუციურ შეტაკებათა ახალი ხანა. ბრძოლის ძველი მეთოდები აშკარად არასაკმარისი და უძლური აღმოჩნდა ყოვლისშემძლე ფინანსური კაპიტალის წინაშე.

აუცილებელი იყო II ინტერნაციონალის მთელი მუშაობის, მისი მუშაობის მთელი მეთოდის გადასინჯვა, ფილისტერობის, გონებრივი სიჩლუნგის, პოლიტიკანობის, რენეგატობის, სოციალ-შოვინიზმის, სოციალ-პაციფიზმის განდევნა. აუცილებელი იყო II ინტერნაციონალის მთელი არსენალის შემოწმება, ყოველივე დაჟანგულისა

და დაძველებულის უკუგდება და იარაღის ახალი სახეების გამოჭედვა. ამ წინასწარი მუშაობის გაუწეველად უაზრო იყო კაპიტალიზმის წინააღმდეგ სალაშქროდ წასვლა. უამისოდ პროლეტარიატს იმის საფრთხე მოელოდა, რომ ახალ რევოლუციურ შეტაკებათა წინაშე არასაკმაოდ შეიარაღებული ანდა მთლად უიარაღოც კი წარმდგარიყო.

II ინტერნაციონალის ავგიოსის თავლების გენერალური შემოწმებისა და გენერალური წმენდის ეს საპატიო საქმე წილად ჰხვდა ლენინიზმს.

აი რა პირობებში წარმოიშვა და გამოიჭედა ლენინიზმის მეთოდი.

რაში მდგომარეობს ამ მეთოდის მოთხოვნები?

ჯერ ერთი, ეს არის II ინტერნაციონალის თეორიულ დოგმათა შემოწმება მასების რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში, ცოცხალი პრაქტიკის ცეცხლში, ე. ი. თეორიასა და პრაქტიკას შორის დარღვეული ერთიანობის აღდგენა, მათი ურთიერთდაშორების ლიკვიდაცია, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება რევოლუციური თეორიით შეიარაღებული ნამდვილი პროლეტარული პარტიის შექმნა.

მეორეც, ეს არის II ინტერნაციონალის პარტიების პოლიტიკის შემოწმება არა მათი ლოზუნგებისა და რეზოლუციების მიხედვით (რომელთაც არ დაეჯერება), არამედ მათი საქმის, მათი მოქმედების მიხედვით, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება პროლეტარული მასების ნდობის მოპოვება და დამსახურება.

მესამეც, ეს არის მთელი პარტიული მუშაობის გარდაქმნა ახალ რევოლუციურ ყაიდაზე რევოლუციური ბრძოლისათვის მასების აღზრდისა და მომზადების თვალსაზრისით, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება მასების მომზადება პროლეტარული რევოლუციისათვის.

მეოთხეც, ეს არის პროლეტარული პარტიების თვითკრიტიკა, მათი მომზადება და აღზრდა საკუთარ შეცდომებზე, ვინაიდან მხოლოდ ასე შეიძლება პარტიის ნამდვილი კადრებისა და ნამდვილი ლიდერების აღზრდა.

ასეთია ლენინიზმის მეთოდის საფუძველი და დედაარსი.

როგორ იყო გამოყენებული ეს მეთოდი პრაქტიკაში?

II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებს მოეპოვებათ მთელი რიგი თეორიული დოგმები, რომლებსაც ისინი მუდამ იშველიებენ. განვიხილოთ ზოგი მათგანი.

დოგმა პირველი: პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების პირობების შესახებ. ოპორტუნისტები ირწმუნებიან, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია აიღოს და არც უნდა აიღოს ძალაუფლება, თუ

იგი თვითონ არ შეადგენს უმრავლესობას ქვეყანაში. დამამტკიცებელი საბუთი კი ვერავითარი მოჰყავთ, ვინაიდან ამ უაზრო დებულების გამართლება არ შეიძლება არც თეორიულად, არც პრაქტიკულად. ვთქვათ ასეაო, უპასუხებს ლენინი II ინტერნაციონალის ვაჟბატონებს. მაგრამ რომ შეიქმნას ისეთი ისტორიული ვითარება (ომი, აგრარული კრიზისი და სხვ.), როდესაც პროლეტარიატს, რომელიც მოსახლეობის უმცირესობას შეადგენს, შესაძლებლობა ეძლევა დარაზმოს თავის გარშემო მშრომელი მასების უდიდესი უმრავლესობა, — რატომ არ უნდა აიღოს მაშინ მან ძალაუფლება? რატომ არ უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა ხელსაყრელი საერთაშორისო და საშინაო ვითარება იმისათვის, რომ გაარღვიოს კაპიტალის ფრონტი და დააჩქაროს საქმის საერთო დაბოლოება? განა მარქსი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში არ ამბობდა: პროლეტარული რევოლუციის საქმე გერმანიაში შეიძლება «საუცხოოდ» წასულიყო, რომ შესაძლებელი იყოს პროლეტარული რევოლუციისათვის დახმარების აღმოჩენა, ასე ვთქვათ, «გლეხური ომის რაიმე მეორე გამოცემით»? განა ყველასა და თვითეულისათვის ცნობილი არაა, რომ გერმანიაში მაშინ პროლეტარების რიცხვი შედარებით ნაკლები იყო, ვიდრე, მაგალითად, რუსეთში 1917 წელს? განა რუსეთის პროლეტარული რევოლუციის პრაქტიკამ არ დაამტკიცა, რომ II ინტერნაციონალის გმირების მიერ შეყვარებული ეს დოგმა ყოველგვარ სასიცოცხლო მნიშვნელობას მოკლებულია პროლეტარიატისათვის? განა ცხადი არ არის, რომ მასების რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკა ურტყამს და ამსხვრევს ამ დახავსებულ დოგმას?

დოგმა მეორე: პროლეტარიატს არ შეუძლია შეინარჩუნოს ძალაუფლება, თუ მას საკმაო რაოდენობით არა ჰყავს მომზადებული კულტურული და ადმინისტრატორული კადრები, რომელთაც შეეძლებათ მოაგვარონ ქვეყნის მართვა-გამგეობა, — ჯერ საჭიროა ამ კადრების შექმნა კაპიტალიზმის პირობებში, ხოლო შემდეგ ძალაუფლების დაპყრობაო. ვთქვათ ასეაო, უპასუხებს ლენინი. მაგრამ რატომ არ შეიძლება საქმე ისე შევატრიალოთ, რომ ჯერ ძალაუფლება ავიღოთ, შევქმნათ ხელსაყრელი პირობები პროლეტარიატის განვითარებისათვის, ხოლო შემდეგ — გოლიათური ნაბიჯით გავწიოთ წინ მშრომელი მასების კულტურული დონის ასამაღლებლად, მუშებისაგან ხელმძღვანელთა და ადმინისტრატორთა მრავალრიცხოვანი კადრების შესაქმნელად? განა რუსეთის პრაქტიკამ არ დაამტკიცა, რომ პროლეტარული ძალაუფლების დროს ხელმძღვანელთა კადრები მუშათა წრიდან ასჯერ უფრო სწრაფად და უფრო საფუ-

ძვლიანად იზრდებიან, ვიდრე კაპიტალის ბატონობის პირობებში? განა ცხადი არ არის, რომ მასების რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკა დაუნდობლად ამსხვრევს ოპორტუნისტების ამ თეორიულ დოგმასაც?

დოგმა მესამე: საერთო პოლიტიკური გაფიცვის მეთოდი მიუღებელია პროლეტარიატისათვის, რადგან ეს მეთოდი თეორიულად უსუსურია (იხ. ენგელსის კრიტიკა), პრაქტიკულად სახიფათოა (მას შეუძლია მოშალოს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობა, შეუძლია დააცარიელოს პროფესიულ კავშირთა სალაროები), მას არ შეუძლია შეცვალოს ბრძოლის საპარლამენტო ფორმები, რომლებიც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მთავარ ფორმას წარმოადგენენო. კეთილი, უპასუხებენ ლენინელები. მაგრამ, ჯერ-ერთი, ენგელსი აკრიტიკებდა არა ყოველგვარ საერთო გაფიცვას, არამედ მხოლოდ განსაზღვრული სახის საერთო გაფიცვას, ანარქისტების საყოველთაო ეკონომიურ გაფიცვას, რომელსაც აყენებდნენ ანარქისტები პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის ნაცვლად, — რა შუაშია აქ საერთო პოლიტიკური გაფიცვის მეთოდი? მეორეც, ვინ და სად დაამტკიცა, რომ ბრძოლის საპარლამენტო ფორმა პროლეტარიატის ბრძოლის მთავარი ფორმაა? განა რევოლუციური მოძრაობის ისტორია არ გვიჩვენებს, რომ საპარლამენტო ბრძოლა არის მხოლოდ სკოლა და დამხმარე საშუალება პროლეტარიატის პარლამენტგარეშე ბრძოლის ორგანიზაციისათვის, რომ კაპიტალიზმის დროს მუშათა მოძრაობის ძირითად საკითხებს წყვეტს ძალა, პროლეტარული მასების უშუალო ბრძოლა, მათი საერთო გაფიცვა, მათი აჯანყება? მესამეც, საიდან გაჩნდა საკითხი საპარლამენტო ბრძოლის შეცვლისა საერთო პოლიტიკური გაფიცვის მეთოდით? სად და როდის სცადეს საერთო-პოლიტიკური გაფიცვის მომხრეებმა ბრძოლის საპარლამენტო ფორმების შეცვლა პარლამენტგარეშე ბრძოლის ფორმებით? მეოთხეც, განა რუსეთის რევოლუციამ არ ცხადყო, რომ საერთო პოლიტიკური გაფიცვა წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციის უდიდეს სკოლას და კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრეებზე იერიშის მიტანის წინადღით პროლეტარიატის უფართოესი მასების მობილიზაციისა და დარაზმვის უბადლო საშუალებას, — მაშ რა შუაშია აქ ფილისტერული გოდება სამეურნეო ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობის მოშლისა და პროფესიულ კავშირთა სალაროების შესახებ? განა ცხადი არ არის, რომ რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკა ამსხვრევს ოპორტუნისტების ამ დოგმასაც?

და სხვ. და ა. შ.

აი რატომ ამბობდა ლენინი, რომ «რევოლუციური თეორია არ არის დოგმა», რომ იგი «საბოლოოდ ყალიბდება მხოლოდ ნამდვილად მასობრივი და ნამდვილად რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში» («საყმაწვილო სენი»), ვინაიდან თეორია პრაქტიკას უნდა ემსახურებოდეს. ვინაიდან «თეორიამ პასუხი უნდა გასცეს პრაქტიკის მიერ წამოყენებულ საკითხებს» («ხალხის მეგობრები»), ვინაიდან თეორია უნდა შემოწმდეს პრაქტიკის მონაცემებით.

რაც შეეხება II ინტერნაციონალის პარტიების პოლიტიკურ ლოზუნგებს და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ამ მხრივ საკმაოა გავიხსენოთ ისტორია ლოზუნგისა «ომი ომს», რათა გასაგები გახდეს მთელი სიყალბე და მთელი სიდამპლე ამ პარტიების პოლიტიკური პრაქტიკისა, რომელნიც თავიანთ ანტირევოლუციურ საქმეს მაღალფარდოვანი რევოლუციური ლოზუნგებით და რეზოლუციებით ფარავენ. ყველას ახსოვს II ინტერნაციონალის საზეიმო დემონსტრაცია ბაზელის კონგრესზე მუქარით იმპერიალისტების მიმართ; ემუქრებოდნენ მათ ომის აკრძალვის ყველა საშინელებით, თუ იმპერიალისტები გაბედავდნენ ომის დაწყებას, და აყენებდნენ მრისხანე ლოზუნგს: «ომი ომს». მაგრამ ვის არ ახსოვს, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ომი ის-იყო უნდა დაწყებულიყო, ბაზელის რეზოლუცია მაუდქვეშ ამოსდეს, ხოლო მუშებს მისცეს ახალი ლოზუნგი — ეჟლიტნათ ერთმანეთი კაპიტალისტური სამშობლოს სადიდებლად? განა ცხადი არ არის, რომ გროშადაც არ ღირს რევოლუციური ლოზუნგები და რეზოლუციები, თუ ისინი განმტკიცებული არ არიან საქმით? საკმარისია მხოლოდ შევადაროთ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლენინური პოლიტიკა II ინტერნაციონალის გამცემლურ პოლიტიკას ომის დროს, რომ გასაგები გახდეს ოპორტუნიზმის პოლიტიკანების მთელი გათახსირება და ლენინიზმის მეთოდის მთელი სიდიადე.

არ შემიძლია არ მოვიყვანო აქ ერთი ადგილი ლენინის წიგნიდან «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», სადაც იგი სასტიკად ამათრახებს II ინტერნაციონალის ლიდერის კ. კაუცკის ოპორტუნისტულ ცდას — იმსჯელოს პარტიებზე არა მათი საქმეების მიხედვით, არამედ მათი ქაღალდის ლოზუნგებისა და დოკუმენტების მიხედვით:

«კაუცკი ატარებს ტიპიურ მეშჩანურ, ფილისტერულ პოლიტიკას, როცა ფიქრობს... თითქოს ლოზუნგის წამოყენება საქმეს ცვლიდეს. ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელი ისტორია ამხილებს ამ ილუზიას: ხალხის მოსატყუებლად ბურჟუაზიული დემოკრატები მუდამ აყენებდნენ და მუდამ აყენებენ ყოველგვარ

«ლოზუნგებს». საქმე ისაა, რომ შეეამოწმოთ მათი გულწრფელობა, სიტყვებს დაეუპირისპიროთ საქმეები, არ დავკმაყოფილდეთ იდეალისტური ან შარლატანური ფრაზით, არამედ ჩავწვდეთ კლასობრივ რეალობას» (იხ. ტ. XXIII, გვ. 377).

აღარაფერს ვამბობ II ინტერნაციონალის პარტიების შიშზე თვითკრიტიკის წინაშე, მათს მანერაზე — დაფარონ თავიანთი შეცდომები, მიჩქმალონ მტკივნეული საკითხები, დამალონ თავიანთი დეფექტები კეთილდღეობის ყალბი პარადით, რომელიც აჩლუნგებს ცოცხალ აზრს და აფერხებს პარტიის რევოლუციურ აღზრდას საკუთარ შეცდომებზე, — მანერაზე, რომელიც სასაცილოდ აიგდო ლენინმა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა. აი რას წერდა ლენინი პროლეტარული პარტიების თვითკრიტიკის შესახებ თავის ბროშურაში «საუმაწვილო სენი»:

«პოლიტიკური პარტიის დამოკიდებულება თავისი შეცდომებისადმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უაღრესად უტყუარი კრიტერიუმია იმისა, თუ რამდენად სერიოზული არის პარტია, რამდენად საქმით ასრულებს ის თავის მოვალეობას საკუთარი კლასისა და მშრომელი მასების წინაშე. შეცდომის გულახდილად აღიარება, მისი მიზეზების გამორკვევა, მისი წარმომშობი ვითარების ანალიზი, შეცდომის გამოსწორების საშუალებათა გულდასმით განხილვა — აი ეს არის სერიოზული პარტიის ნიშანი, აი ეს არის მის მიერ თავის მოვალეობათა შესრულება, აი ეს არის აღზრდა და სწავლება კლასისა და შემდეგ მასისაც» (იხ. ტ. XXV, გვ. 200).

ზოგი ლაპარაკობს, რომ საკუთარი შეცდომების გამოაშკარავება და თვითკრიტიკა სახიფათოა პარტიისათვის, რადგან შესაძლოა მოპირდაპირემ ეს გამოიყენოს პროლეტარიატის პარტიის წინააღმდეგ. ლენინს ასეთი მოსაზრება არასერიოზულ და სრულიად უმართებულო მოსაზრებად მიაჩნდა. აი რას ამბობდა იგი თავის ბროშურაში «ნაბიჯი წინ» ჯერ კიდევ 1904 წელს, როცა ჩვენი პარტია ჯერ კიდევ სუსტი და მცირემნიშვნელოვანი იყო:

«ისინი (ე. ი. მარქსისტების მოწინააღმდეგენი. ი. სტ.) ბოროტად ხარობენ და იცინებიან, როცა ჩვენს დავას ხედავენ; ისინი, რა თქმა უნდა, თავიანთი მიზნებისათვის შეეცდებიან ამოგლიჯონ ცალკე ადგილები ჩემი ბროშურიდან, რომელიც ჩვენი პარტიის ნაკლოვანებებსა და დეფექტებს შეეხება. რუსი სოციალ-დემოკრატები უკვე საკმაოდ გამობრძმედილი არიან ბრძოლებში, რომ ასეთმა ჩქმეტამ არ შეაშფოთოს ისინი და, წინააღმდეგ ამისა, განაგრძონ თავიანთი მუშაობა თვითკრიტიკისა და იმ საკუთარი მინუსების დაუნდობელი გამოაშკარავების ხაზით, რომლებიც უეჭველად და აუცილებლად დაძლეული იქნება მუშათა მოძრაობის ზრდით» (იხ. ტ. VI, გვ. 161).

ასეთია, საერთოდ, ლენინიზმის მეთოდის დამახასიათებელი ნიშნები.

ის, რაც მოცემულია ლენინის მეთოდში, ძირითადად უკვე იყო მარქსის მოძღვრებაში, რომელიც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, «თავისი არსით კრიტიკული და რევოლუციურია». ლენინის მეთოდი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია სწორედ ამ კრიტიკული და რევოლუციური სულით. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლენინის მეთოდი უბრალო აღდგენა იყოს იმისა, რაც მარქსმა მოგვცა. ნამდვილად ლენინის მეთოდი წარმოადგენს მარქსის კრიტიკული და რევოლუციური მეთოდის, მისი მატერიალისტური დიალექტიკის არა მარტო აღდგენას, არამედ აგრეთვე მის კონკრეტიზაციას და შემდგომ განვითარებას.

III

თეორია

ამ თემიდან მე ვიღებ სამ საკითხს:

ა) თეორიის მნიშვნელობის შესახებ პროლეტარული მოძრაობისათვის,

ბ) სტიქიურობის «თეორიის» კრიტიკის შესახებ,

გ) პროლეტარული რევოლუციის თეორიის შესახებ.

1) **თეორიის მნიშვნელობის შესახებ.** ზოგი ფიქრობს, რომ ლენინიზმი არის პრაქტიკის პრიმატი თეორიის წინაშე იმ აზრით, რომ მასში მთავარია მარქსისტულ დებულებათა საქმედ ქცევა, ამ დებულებათა «შესრულება», ხოლო რაც შეეხება თეორიას, ლენინიზმი ამ მხრივ, თითქოს, საკმაოდ უდარდელი იყოს. ცნობილია, რომ პლეხანოვს არა ერთხელ უთხუნჯნია ლენინის «უდარდელობაზე» თეორიის და განსაკუთრებით ფილოსოფიის დარგში. ცნობილია აგრეთვე, რომ ბევრი თანამედროვე პრაქტიკოსი-ლენინელი მაინცდამაინც დიდად არ სწყალობს თეორიას, განსაკუთრებით იმ უამრავი პრაქტიკული მუშაობის გამო, რაც მათ მდგომარეობამ დააკისრა. მე უნდა განვაცხადო, რომ ეს უცნაურზე უცნაური შეხედულება ლენინზე და ლენინიზმზე სრულიად უმართებულოა და ოდნავადაც არ შეეფერება სინამდვილეს, რომ პრაქტიკოსების მისწრაფება — თავიდან მოიშორონ თეორია, ეწინააღმდეგება ლენინიზმის მთელ სულს და დიდ საფრთხეს უქადის საქმეს.

თეორია არის ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის გამოცდილება, აღებული მისი ზოგადი სახით. რა თქმა უნდა, თეორია უსაგნო ხდება, თუ ის არ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას, სწორედ ისევე, როგორც პრაქტიკაც ბრმა ხდება, თუ იგი არ იშუქებს გზას

რევოლუციური თეორიით. მაგრამ თეორია შეიძლება გადაიქცეს მუშათა მოძრაობის უდიდეს ძალად, თუ იგი ყალიბდება რევოლუციურ პრაქტიკასთან განუყრელ კავშირში, ვინაიდან თეორიას, და მხოლოდ თეორიას, შეუძლია მისცეს მოძრაობას რწმენა, ორიენტირების ძალა და გარემო მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგება, ვინაიდან თეორიას, და მხოლოდ თეორიას, შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკას გაიგოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით მიემართებიან კლასები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა გაემართონ ისინი უახლოეს მომავალში. სწორედ ლენინი, და არა სხვა ვინმე, ამბობდა და მრავალჯერ იმეორებდა ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ:

«რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც» [1] (იხ. ტ. IV, გვ. 380).

ლენინს უფრო ესმოდა, ვიდრე სხვა ვინმეს, თეორიის დიდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ისეთი პარტიისათვის, როგორიც არის ჩვენი პარტია, საერთაშორისო პროლეტარიატის მოწინავე მებრძოლის იმ როლის გამო, რომელიც მას წილად ჰხვდა, და საშინაო და საერთაშორისო ვითარების იმ სირთულის გამო, რომლითაც ის გარემოცულია. ლენინი ჯერ კიდევ 1902 წელს ითვალისწინებდა ჩვენი პარტიის ამ განსაკუთრებულ როლს და საჭიროდ ცნობდა უკვე მაშინ მოეგონებინა, რომ:

«მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს» (იხ. ტ. IV, გვ. 380).

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ახლა, როდესაც ლენინის წინასწარმეტყველება ჩვენი პარტიის როლის შესახებ უკვე განხორციელდა, ლენინის ეს დებულება განსაკუთრებულ ძალას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

შესაძლოა, იმ მაღალი მნიშვნელობის ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულებად, რომელსაც ლენინი თეორიას აკუთვნებდა, უნდა ჩაგვეთვალა ის ფაქტი, რომ სწორედ ლენინმა, და არა სხვა ვინმემ, მოჰკიდა ხელი უაღრესად სერიოზული ამოცანის შესრულებას — მეცნიერების მიერ ენგელსის დროიდან ლენინამდე მოპოვებულ უმნიშვნელოვანეს მიღწევათა განზოგადებას მატერიალისტურ ფილოსოფიაში და მარქსისტთა შორის არსებულ ანტიმატერიალისტურ მიმდინარეობათა ყოველმხრივ კრიტიკას. ენგელსი ამბობდა: «მატერიალიზმს ყოველი ახალი დიდი აღმოჩენის შემდეგ ახალი სახის მიღება უხდება». ცნობილია, რომ ეს ამოცანა თავისი დროისა-

---

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

თვის შეასრულა არა სხვა ვინმემ, არამედ ლენინმა თავის შესანიშნავ წიგნში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი». ცნობილია, რომ პლეხანოვმა, რომელსაც უყვარდა ოხუნჯობა ლენინის «უდარდელობაზე» ფილოსოფიის დარგში, ვერც კი გაბედა სერიოზულად შესდგომოდა აღნიშნული ამოცანის შესრულებას.

2) **სტიქიურობის «თეორიის» კრიტიკა, ანუ მოძრაობაში ავანგარდის როლის შესახებ.** სტიქიურობის «თეორია» არის ოპორტუნიზმის თეორია, მუშათა მოძრაობის სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია, მუშათა კლასის ავანგარდის, მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელი როლის ფაქტიური უარყოფის თეორია.

სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია გადაჭრით ეწინააღმდეგება მუშათა მოძრაობის რევოლუციურ ხასიათს, ის წინააღმდეგია იმისა, რომ მოძრაობა წარიმართოს კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით, — იგი იმის მომხრეა, რომ მოძრაობა მიიმართებოდეს მხოლოდ და მხოლოდ «შესრულების მხრივ შესაძლებელ», კაპიტალიზმისათვის «მისაღებ» მოთხოვნათა ხაზით, იგი მთლიანად მხარს უჭერს «უმცირესი წინააღმდეგობის ხაზს». სტიქიურობის თეორია ტრედ-უნიონიზმის იდეოლოგიაა.

სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია გადაჭრით ეწინააღმდეგება იმას, რომ სტიქიურ მოძრაობას მიეცეს შეგნებული, გეგმაშეზომილი ხასიათი, ის წინააღმდეგია იმისა, რომ პარტია წინ მიუძღოდეს მუშათა კლასს, რომ პარტიამ მასები აამაღლოს შეგნებულობის დონემდე, რომ პარტია მიუძღოდეს მოძრაობას, — იგი იმის მომხრეა, რომ მოძრაობის შეგნებული ელემენტები ხელს არ უშლიდნენ მოძრაობას წავიდეს თავისი გზით, ის იმის მომხრეა, რომ პარტია მხოლოდ ყურს მიაპყრობდეს სტიქიურ მოძრაობას და კუდში მისჩანჩალებდეს მას. სტიქიურობის თეორია არის მოძრაობაში შეგნებული ელემენტის როლის შემცირების თეორია, «მაჩანჩალობის» იდეოლოგია, **ყოველგვარი** ოპორტუნიზმის ლოგიკური საფუძველი.

პრაქტიკულად ეს თეორია, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთის პირველ რევოლუციამდე გამოვიდა სცენაზე, იწვევდა იმას, რომ მისი მიმდევრები, ეგრეთწოდებული «ეკონომისტები», უარყოფდნენ დამოუკიდებელი მუშათა პარტიის აუცილებლობას რუსეთში, ილაშქრებდნენ მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იყო ცარიზმის დამხობისაკენ, ქადაგებდნენ ტრედ-უნიონისტულ პოლიტიკას მოძრაობაში და საერთოდ მუშათა მოძრაობას ლიბერალური ბურჟუაზიის ჰეგემონიას უმორჩილებდნენ.

ძველი «ისკრის» ბრძოლამ და «მაჩანჩალობის» თეორიის ბრწყინვალე კრიტიკამ ლენინის ბროშურაში «რა ვაკეთოთ?» არა მარტო დაამსხვრია ეგრეთწოდებული «ეკონომიზმი», არამედ შექმნა აგრეთვე რუსეთის მუშათა კლასის ნამდვილად რევოლუციური მოძრაობის თეორიული საფუძვლები.

ამ ბრძოლის გარეშე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შექმნაზე რუსეთში და მის ხელმძღვანელ როლზე რევოლუციაში.

მაგრამ სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის თეორია მარტო რუსული მოვლენა როდია. ეს თეორია ძალიან ფართოდ არის გავრცელებული, მართალია, რამდენადმე სხვა ფორმით, II ინტერნაციონალის უკლებლივ ყველა პარტიაში. მე მხედველობაში მაქვს II ინტერნაციონალის ლიდერების მიერ წარყვნილი ეგრეთწოდებული «საწარმოო ძალების» თეორია, რომელიც ყველაფერს ამართლებს და ყველას ერთმანეთთან არიგებს, რომელიც აღნიშნავს ფაქტებს და მხოლოდ მას შემდეგ ახსნის ამ ფაქტებს, როცა ისინი ყველასათვის მოსაბეზრებელი ხდებიან, და, აღნიშნავს რა ფაქტებს, ამით მშვიდდება. მარქსი ამბობდა, რომ მატერიალისტური თეორია ვერ დაკმაყოფილდება სამყაროს ახსნით, რომ, გარდა ამისა, მან უნდა შეცვალოს იგიო. მაგრამ კაუცკის და კომპანიას ეს არ ანაღვლებს, ისინი ამჯობინებენ არ გასცილდნენ მარქსის ფორმულის პირველ ნაწილს.

აი ამ «თეორიის» გამოყენების მრავალი მაგალითიდან ერთ-ერთი მაგალითი. ამბობენ, რომ II ინტერნაციონალის პარტიები იმპერიალისტურ ომამდე იმუქრებოდნენ «ომით ომის წინააღმდეგ», თუ იმპერიალისტები ომს დაიწყებდნენ. ამბობენ, რომ უშუალოდ ომის წინ ამ პარტიებმა მაუდქვეშ ამოსდეს ლოზუნგი: «ომი ომს» და ცხოვრებაში გაატარეს საწინააღმდეგო ლოზუნგი: «ომი იმპერიალისტური სამშობლოსათვის». ამბობენ, რომ ლოზუნგების ამ შეცვლას შედეგად მოჰყვა მილიონობით მუშების მსხვერპლი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აქ ვინმეა დამნაშავე, რომ ვინმემ უღალატა მუშათა კლასს, გასცა იგი. არაფერი ამის მსგავსი! ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ინტერნაციონალი, თურმე, არის «ინსტრუმენტი მშვიდობიანობისა» და არა ომისა. მეორეც, იმიტომ, რომ «საწარმოო ძალთა» იმ «დონეზე», რომელიც მაშინ არსებობდა, სხვა რაიმეს გაკეთება არ შეიძლებოდა. «დამნაშავეა» «საწარმოო ძალები». ამას «ჩვენ» ზუსტად გვიხსნის ბატონ კაუცკის «საწარმოო ძალების თეორია». ხოლო ვისაც არა სწამს ეს «თეორია», ის მარქსისტი არ

არის. პარტიების როლი? მათი მნიშვნელობა მოძრაობაში? მაგრამ რას გახდება პარტია ისეთ გადამწყვეტ ფაქტორთან, როგორიც არის «საწარმოო ძალების დონე»?..

შეიძლებოდა მოგვეყვანა მარქსიზმის ფალსიფიკაციის ასეთი მაგალითების მთელი გროვა.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ეს გაყალბებული «მარქსიზმი», რომელიც მოწოდებულია დაფაროს ოპორტუნიზმის სიშიშვლე, მხოლოდ სახეცვლილებაა, ევროპულ ყაიდაზე, «მაჩანჩალობის» სწორედ იმ თეორიისა, რომელსაც ჯერ კიდევ რუსეთის პირველ რევოლუციამდე ებრძოდა ლენინი.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ თეორიული ფალსიფიკაციის გაცამტვერება წარმოადგენს დასავლეთში ნამდვილი რევოლუციური პარტიების შექმნის წინასწარ პირობას.

3) **პროლეტარული რევოლუციის თეორია.** პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორია სამი ძირითადი დებულებიდან გამოდის.

დებულება პირველი. ფინანსური კაპიტალის ბატონობა კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებში; ფასიანი ქაღალდების ემისია, როგორც ფინანსური კაპიტალის უმნიშვნელოვანესი ოპერაცია; კაპიტალის გატანა ნედლეულის წყაროებთან, როგორც იმპერიალიზმის ერთ-ერთი საფუძველი; ფინანსური ოლიგარქიის ყოვლისშემძლეობა, როგორც ფინანსური კაპიტალის ბატონობის შედეგი, — ყოველივე ეს ააშკარავებს მონოპოლისტური კაპიტალიზმის ტლანქ პარაზიტულ ხასიათს, ასჯერ უფრო საგრძნობელს ხდის ჩაგვრას კაპიტალისტური ტრესტებისა და სინდიკატების მხრით, აძლიერებს მუშათა კლასის აღშფოთებას კაპიტალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ და მიჰყავს მასები პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც ერთადერთ ხსნასთან (იხ. **ლენინის «იმპერიალიზმი»**).

აქედან — პირველი დასკვნა: რევოლუციური კრიზისის გამწვავება კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, აფეთქების ელემენტების ზრდა საშინაო, პროლეტარულ ფრონტზე «მეტროპოლიებში».

დებულება მეორე. კაპიტალის გაძლიერებული გატანა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში; «გავლენის სფეროებისა» და კოლონიური სამფლობელოების გაფართოება, თვით მთელი დედამიწის გარემოცვამდე; კაპიტალიზმის გადაქცევა ერთი მუჭა «მოწინავე» ქვეყნების მიერ დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ფინანსური დამონებისა და კოლონიური ჩაგვრის **მსოფლიო სისტემად**, — ყოველივე ამან, ერთი მხრით, ცალკე ნაციონალური მეურნეობები და ნაციონალური ტერიტორიები გადააქცია იმ მთლიანი

ჯაჭვის რგოლებად, რომელსაც მსოფლიო მეურნეობა ეწოდება, მეორე მხრით — დედამიწის მოსახლეობა გათიშა ორ ბანაკად: ერთ მუჭა «მოწინავე» კაპიტალისტურ ქვეყნებად, რომელნიც უზარმაზარი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ექსპლოატაციასა და ჩაგვრას ეწევიან, და კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების უდიდეს უმრავლესობად, რომელნიც იძულებული არიან იბრძოლონ იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის (იხ. «იმპერიალიზმი»).

აქედან — მეორე დასკვნა: რევოლუციური კრიზისის გამწვავება კოლონიურ ქვეყნებში, აღშფოთების ელემენტების ზრდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ საგარეო, კოლონიურ ფრონტზე.

დებულება მესამე. «გავლენის სფეროებისა» და კოლონიების მონოპოლიური მფლობელობა; კაპიტალისტური ქვეყნების არათანაბარი განვითარება, რაც იწვევს გააფთრებულ ბრძოლას დედამიწის ხელახალი განაწილებისათვის იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც უკვე დაიპყრეს ტერიტორიები, და იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც სურთ მიიღონ თავიანთი «წილი»; იმპერიალისტური ომები, როგორც დარღვეული «წონასწორობის» აღდგენის ერთადერთი საშუალება, — ყოველივე ეს იწვევს მესამე ფრონტის, შიდაკაპიტალისტური ფრონტის გაძლიერებას, რომელიც ასუსტებს იმპერიალიზმს და აადვილებს პირველი ორი ფრონტის — რევოლუციურ-პროლეტარული და კოლონიურ-განმათავისუფლებელი ფრონტების გაერთიანებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ (იხ. «იმპერიალიზმი»).

აქედან — მესამე დასკვნა: ომების გარდუვალობა იმპერიალიზმის დროს და აუცილებლობა ევროპის პროლეტარული რევოლუციის კოალიციისა აღმოსავლეთის კოლონიურ რევოლუციასთან რევოლუციის ერთიანი მსოფლიო ფრონტის სახით იმპერიალიზმის მსოფლიო ფრონტის წინააღმდეგ.

ყველა ამ დასკვნას ლენინი აერთიანებს ერთ საერთო დასკვნაში, რომ **«იმპერიალიზმი სოციალისტური რევოლუციის წინადღეა»** [1] (იხ. ტ. XIX, გვ. 71).

ამის შესაბამისად იცვლება თვით მიდგომა პროლეტარული რევოლუციის, რევოლუციის ხასიათის, მისი მოცულობის, მისი სიღრმის საკითხისადმი, იცვლება საერთოდ რევოლუციის სქემა.

წინათ პროლეტარული რევოლუციის წანამძღვრების ანალიზს ჩვეულებრივ უდგებოდნენ ამა თუ იმ ცალკეული ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის თვალსაზრისით. ახლა ეს მიდგომა უკვე საკმარისი არ არის. ახლა საქმეს უნდა მივუდგეთ ყველა ქვეყნის ან

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

მათი უმრავლესობის ეკონომიური მდგომარეობის თვალსაზრისით, მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობის თვალსაზრისით, ვინაიდან ცალკეული ქვეყნები და ცალკეული ნაციონალური მეურნეობანი უკვე აღარ წარმოადგენენ თვითკმარ ერთეულებს, ისინი მსოფლიო მეურნეობად წოდებული ერთიანი ჯაჭვის რგოლებად გადაიქცნენ, ვინაიდან ძველი «კულტურული» კაპიტალიზმი გადაიზარდა იმპერიალიზმად, ხოლო იმპერიალიზმი არის ერთი მუჭა «მოწინავე» ქვეყნების მიერ დედამიწის მოსახლეობის გიგანტური უმრავლესობის ფინანსური დამონებისა და კოლონიური ჩაგვრის მსოფლიო სისტემა.

წინათ მიღებული იყო ლაპარაკი იმაზე, არსებობს თუ არ არსებობს პროლეტარული რევოლუციის ობიექტური პირობები ცალკეულ ქვეყნებში, ან, უფრო ზუსტად, — ამა თუ იმ განვითარებულ ქვეყანაში. ახლა ეს თვალსაზრისი უკვე საკმარისი არ არის. ახლა უნდა ვილაპარაკოთ რევოლუციის ობიექტური პირობების არსებობაზე მსოფლიო იმპერიალისტური მეურნეობის, როგორც მთლიანი ერთეულის, მთელ სისტემაში, ამასთან ამ სისტემაში ზოგიერთი ისეთი ქვეყნის არსებობა, რომელიც მრეწველობის მხრივ საკმაოდ არ არის განვითარებული, არ შეიძლება წარმოადგენდეს დაუძლეველ დაბრკოლებას რევოლუციისათვის, თუ სისტემა მთლიანად ან, უკეთ, — **რადგან** სისტემა მთლიანად უკვე მომწიფდა რევოლუციისათვის.

წინათ მიღებული იყო ლაპარაკი პროლეტარულ რევოლუციაზე ამა თუ იმ განვითარებულ ქვეყანაში, როგორც ცალკეულ თვითკმარ სიდიდეზე, რომელიც უპირისპირდება კაპიტალის ცალკეულ, ნაციონალურ ფრონტს, როგორც თავის ანტიპოდს. ახლა ეს თვალსაზრისი უკვე საკმარისი არ არის. ახლა უნდა ვილაპარაკოთ მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაზე, ვინაიდან კაპიტალის ცალკეული ნაციონალური ფრონტები გადაიქცნენ იმპერიალიზმის მსოფლიო ფრონტად წოდებული ერთიანი ჯაჭვის რგოლებად, რასაც უნდა დაუპირისპირდეს ყველა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის საერთო ფრონტი.

წინათ პროლეტარულ რევოლუციას იხილავდნენ როგორც განსაზღვრული ქვეყნის მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი განვითარების შედეგს. ახლა ეს თვალსაზრისი უკვე საკმარისი არ არის. ახლა პროლეტარული რევოლუცია, უწინარეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ როგორც იმპერიალიზმის მსოფლიო სისტემაში წინააღმდეგობათა განვითარების შედეგი, როგორც ამა თუ იმ ქვეყანაში მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვის გაწყვეტის შედეგი.

სად დაიწყება რევოლუცია, სად შეიძლება ყველაზე ადრე გაირღვეს კაპიტალის ფრონტი, რომელ ქვეყანაში?

იქ, სადაც უფრო განვითარებულია მრეწველობა, სადაც პროლეტარიატი უმრავლესობას შეადგენს, სადაც მეტი კულტურულობაა. სადაც მეტი დემოკრატიაა, — უპასუხებდნენ ჩვეულებრივ წინათ.

არა, — შენიშნავს რევოლუციის ლენინური თეორია, — **არა აუცილებლად იქ, სადაც მრეწველობა უფრო განვითარებულია**, და სხვ.. კაპიტალის ფრონტი გაირღვევა იქ, სადაც იმპერიალიზმის ჯაჭვი უფრო სუსტია, რადგან პროლეტარული რევოლუცია შედეგია მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვის გაწყვეტისა ყველაზე უფრო სუსტ ადგილას; ამასთან შესაძლოა მოხდეს, რომ ქვეყანა, რომელმაც დაიწყო რევოლუცია, ქვეყანა, რომელმაც გაარღვია კაპიტალის ფრონტი, ნაკლებ განვითარებული იყოს კაპიტალისტურად, ვიდრე სხვა, უფრო განვითარებული ქვეყნები, რომლებიც მიუხედავად ამისა, მაინც კაპიტალიზმის ჩარჩოებში დარჩნენ.

1917 წელს მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი უფრო სუსტი აღმოჩნდა რუსეთში, ვიდრე სხვა ქვეყნებში. სწორედ აქ გაწყდა ეს ჯაჭვი, რითაც გზა მიეცა პროლეტარულ რევოლუციას. რატომ? იმიტომ, რომ რუსეთში ვითარდებოდა უდიდესი სახალხო რევოლუცია, და მას წინ მიუძღოდა რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც ისეთი სერიოზული მოკავშირე ჰყავდა, როგორიც იყო მემამულის მიერ ჩაგრული და ექსპლოატირებული მრავალმილიონიანი გლეხობა. იმიტომ, რომ რევოლუციის წინააღმდეგ აქ იდგა იმპერიალიზმის ისეთი საზიზღარი წარმომადგენელი, როგორიც იყო ცარიზმი, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ მორალურ წონას და რომელმაც დაიმსახურა მოსახლეობის საერთო სიძულვილი. რუსეთში ჯაჭვი უფრო სუსტი აღმოჩნდა, თუმცა რუსეთი კაპიტალისტურად უფრო ნაკლებ იყო განვითარებული, ვიდრე, ვთქვათ, საფრანგეთი ან გერმანია, ინგლისი ან ამერიკა.

სად გაწყდება ჯაჭვი უახლოეს მომავალში? ისევ იქ, სადაც იგი უფრო სუსტია. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ჯაჭვი გაწყდეს, ვთქვათ, ინდოეთში. რატომ? იმიტომ, რომ იქ არსებობს ახალგაზრდა მებრძოლი რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც ისეთი მოკავშირე ჰყავს, როგორიც არის განმათავისუფლებელი ნაციონალური მოძრაობა — უეჭველად დიდი და უეჭველად სერიოზული მოკავშირე. იმიტომ, რომ იქ რევოლუციის წინაშე დგას ისეთი, ყველასათვის ცნობილი, მოწინააღმდეგე, როგორიც არის უცხოეთის იმპერიალიზმი, რომელიც მოკლებულია მორალურ კრედიტს

და რომელმაც დაიმსახურა ინდოეთის ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების საერთო სიძულვილი.

სავსებით შესაძლებელია აგრეთვე, რომ ჯაჭვი გაწყდეს გერმანიაში. რატომ? იმიტომ, რომ ის ფაქტორები, რომელნიც, ვთქვათ, ინდოეთში მოქმედებენ, გერმანიაშიც იწყებენ მოქმედებას; ამასთან გასაგებია, რომ განვითარების დონის მხრივ ინდოეთსა და გერმანიას შორის არსებულმა უდიდესმა განსხვავებამ არ შეიძლება თავისი დაღი არ დაასვას რევოლუციის მიმდინარეობასა და შედეგს გერმანიაში.

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ:

«დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები დაამთავრებენ თავის განვითარებას სოციალიზმისაკენ... არა სოციალიზმის თანაბარი «მომწიფებით» მათში, ორამედ ერთი სახელმწიფოების მიერ მეორეთა ექსპლოატაციის გზით, იმპერიალისტური ომის დროს პირველი დამარცხებული სახელმწიფოს ექსპლოატაციის გზით, რასაც თან ერთვის მთელი აღმოსავლეთის ექსპლოატაცია. აღმოსავლეთი კი, მეორე მხრით, საბოლოოდ დაადგა რევოლუციური მოძრაობის გზას სწორედ ამ პირველი იმპერიალისტური ომის გამო და საბოლოოდ ჩაება მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საერთო ორომტრიალში» (იხ. ტ. XXVII, გვ. 415—416).

მოკლედ: იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი, წესისამებრ, უნდა გაწყდეს იქ, სადაც ჯაჭვის რგოლები უფრო სუსტია, და, ყოველ შემთხვევაში, არა უეჭველად იქ, სადაც კაპიტალიზმი უფრო განვითარებულია, სადაც პროლეტარების პროცენტი ამდენი და ამდენია, ხოლო გლეხებისა — ამდენი, და სხვა.

აი რატომაა, რომ სტატისტიკური მოსაზრებანი ცალკეული ქვეყნის მოსახლეობის პროლეტარული შემადგენლობის პროცენტულ გამოანგარიშებაზე კარგავენ პროლეტარული რევოლუციის საკითხის გადაწყვეტის დროს იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რასაც ასე ხალისიანად აკუთვნებდნენ ამ მოსაზრებებს II ინტერნაციონალის მწიგნობრები, რომელთაც ვერ გაიგეს იმპერიალიზმი და რომელთაც შავი ჭირივით ეშინიათ რევოლუციისა.

შემდეგ. II ინტერნაციონალის გმირები ამტკიცებდნენ (და ახლაც განაგრძობენ მტკიცებას), რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციასა, ერთი მხრით, და პროლეტარულ რევოლუციას შორის, მეორე მხრით, არსებობს უფსკრული ან, ყოველ შემთხვევაში, ჩინური კედელი, რაც მათ ერთმანეთისაგან ყოფს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ინტერვალით, რომლის განმავლობაშიც ხელისუფლების სათავეში მოქცეული ბურჟუაზია ავითარებს კაპიტალიზმს, ხოლო პროლეტარიატი იკრებს ძალებს და ემზადება «გადამწყვეტი ბრძოლისათვის» კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამ ინტერვალს ჩვეუ-

ლებრივად მრავალ ათეულ წლებად ანგარიშობენ, თუ უფრო მეტად არა. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ეს ჩინური კედლის «თეორია» მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ აზრს იმპერიალიზმის ვითარებაში, რომ ეს თეორია არის, და არც შეიძლება არ იყოს, ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ზრახვათა მხოლოდ საფარი, საბურველი. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ იმპერიალიზმის ვითარებაში, რომელიც თავის წიაღში ატარებს შეტაკებებისა და ომების აუცილებლობას, «სოციალისტური რევოლუციის წინადღის» ვითარებაში, როცა «აყვავებული» კაპიტალიზმი «მომაკვდავ» კაპიტალიზმად იქცევა (ლენინი), ხოლო რევოლუციური მოძრაობა იზრდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, როცა იმპერიალიზმი უერთდება უკლებლივ ყველა რეაქციულ ძალას, თვით ცარიზმისა და ბატონყმობის ჩათვლით, და ამით აუცილებელს ხდის ყველა რევოლუციური ძალის კოალიციას, დაწყებული დასავლეთის პროლეტარული მოძრაობით და გათავებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობით აღმოსავლეთში, როცა ფეოდალურ-ბატონყმურ წესთა გადმონაშთების დამხობა შეუძლებელი ხდება იმპერიალიზმთან რევოლუციური ბრძოლის გარეშე, — არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთ პირობებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ქვეყანაში, უნდა დაუახლოვდეს პროლეტარულ რევოლუციას, რომ პირველი უნდა გადაიზარდოს მეორეში. რუსეთის რევოლუციის ისტორიამ ცხადად დაამტკიცა ამ დებულების სისწორე და უდავობა. ტყუილად კი არ იყო, რომ ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს, რუსეთის პირველი რევოლუციის წინადღეს, თავის ბროშურაში «ორი ტაქტიკა» ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას და სოციალისტურ გადატრიალებას ახასიათებდა როგორც ერთი ჯაჭვის ორ რგოლს, როგორც რუსეთის რევოლუციის გაქანების ერთიან და მთლიან სურათს:

«პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება, გლეხობის მასის შემოერთებით, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და დასძლიოს ბურჟუაზიის მერყეობა. პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, მოსახლეობის ნახევრად-პროლეტარული ელემენტების მასის შემოერთებით, რათა ძალით გატეხოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და დასძლიოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა. ასეთია პროლეტარიატის ამოცანები, რაც ასე ვიწროდ აქვთ წარმოდგენილი ახალ-ისკრელებს ყველა თავიანთ მსჯელობასა და რეზოლუციაში რევოლუციის გაქანების შესახებ» (იხ. ტ. VIII, გვ. 96).

მე აღარაფერს ვამბობ ლენინის სხვა, მერმინდელ ნაშრომებზე, სადაც ბურჟუაზიული რევოლუციის პროლეტარულ რევოლუციად

გადაზრდის იდეა უფრო მკვეთრად არის გამოსახული, ვიდრე «ორ ტაქტიკაში», როგორც რევოლუციის ლენინური თეორიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი.

ზოგიერთი ამხანაგი, თურმე, ფიქრობს, რომ ლენინი ამ იდეამდე მივიდა მხოლოდ 1916 წელს, რომ მანამდე ის, თითქოს, იმ აზრისა იყო, რომ რუსეთის რევოლუცია ვერ გასცილდება ბურჟუაზიულ ჩარჩოებს, რომ, მაშასადამე, ძალაუფლება პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის ორგანოს ხელიდან გადავა ბურჟუაზიის და არა პროლეტარიატის ხელში. ამბობენ, რომ ამ მტკიცებამ თავი იჩინა ჩვენს კომუნისტურ პრესაშიც კი. მე უნდა ვთქვა, რომ ეს მტკიცება სავსებით უმართებულოა, რომ იგი სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს.

მე შემეძლო დამემოწმებინა ლენინის ცნობილი სიტყვა პარტიის III ყრილობაზე (1905 წ.), სადაც ის პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურას, ე. ი. დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას, ახასიათებდა არა როგორც ««წესრიგის» ორგანიზაციას», არამედ როგორც «ომის ორგანიზაციას» (იხ. ტ. VII, გვ. 264).

შემდეგ, მე შემეძლო დამემოწმებინა ლენინის ცნობილი სტატიები «დროებითი მთავრობის შესახებ» (1905 წ.), სადაც ის, გვიხატავს რა რუსეთის რევოლუციის გაშლის პერსპექტივას, პარტიის წინაშე აყენებს ამოცანას — «მიღწეულ იქნას, რომ რუსეთის რევოლუცია იყოს არა რამდენიმე თვის მოძრაობა, არამედ მრავალი წლის მოძრაობა, რომ მას შედეგად მოჰყვეს არა მარტო წვრილმანი დათმობანი ხელისუფალთა მხრით, არამედ ამ ხელისუფალთა სრული დამხობა», სადაც ლენინი შემდგომ ავითარებს ამ პერსპექტივას, უკავშირებს მას ევროპის რევოლუციას და განაგრძობს:

«და თუ ეს მოხერხდა, — მაშინ... მაშინ რევოლუციის ხანძარი მოედება ევროპას; ბურჟუაზიულ რეაქციაში განაწამები ევროპელი მუშა თავის მხრივ აღდგება და გვიჩვენებს, თუ «როგორ კეთდება ეს»; მაშინ ევროპის რევოლუციური აღმავლობა უკუმოქმედებას იქონიებს რუსეთზე და რამდენიმე რევოლუციური წლის ეპოქიდან შექმნის რამდენიმე ათეული რევოლუციური წლის ეპოქას...» (იხ. იქვე, გვ. 191).

შემდეგ, შემეძლო დამემოწმებინა ლენინის ცნობილი სტატია, გამოქვეყნებული 1915 წლის ნოემბერში, სადაც ის წერს:

«პროლეტარიატი იბრძვის და თავდადებით იბრძოლებს ძალაუფლების დაპყრობისათვის, რესპუბლიკისათვის, მიწების კონფისკაციისათვის... «არაპროლეტარული ხალხური მასების» მონაწილეობისათვის ბურჟუაზიული რუსეთის განთავისუფლებაში სამხედრო-ფეოდალური «იმპერიალიზმისაგან» (=ცარიზმისაგან). და ცარიზმისაგან, მემამულეთა საადგილმამულო ბატონობისაგან

ბურჟუაზიული რუსეთის ამ განთავისუფლებით პროლეტარიატი დაუყოვნებლივ[1] ისარგებლებს არა იმისათვის, რომ დაეხმაროს მდიდარ გლეხებს სოფლის მუშის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ — სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად ევროპის პროლეტარებთან კავშირში» (იხ. ტ. XVIII, გვ. 316).

ბოლოს, მე შემეძლო დამემოწმებინა ცნობილი ადგილი ლენინის ბროშურიდან «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», სადაც ის ემყარება ზემომოყვანილ ციტატას «ორი ტაქტიკიდან» რუსეთის რევოლუციის გაქანების შესახებ და შემდეგ დასკვნამდე მიდის:

«სწორედ ისე მოხდა, როგორც ჩვენ ვაბობდით. რევოლუციის მსვლელობამ დადასტურა ჩვენი მსჯელობის სისწორე. ჯერ «მთელ» გლეხობასთან ერთად მონარქიის წინააღმდეგ, შემამულეთა წინააღმდეგ, შუასაუკუნეობრივობის წინააღმდეგ (და ამდენად რევოლუცია რჩება ბურჟუაზიული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული). შემდეგ, უღარიბეს გლეხობასთან ერთად, ნახევრად-პროლეტარიატთან ერთად, ყველა ექსპლოატირებულთან ერთად, კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მათ შორის სოფლის მდიდრების, კულაკების, სპეკულანტების წინააღმდეგ, და ამდენად რევოლუცია ხდება სოციალისტური. მათ შორის ხელოვნური ჩინური კედლის აღმართვის, მათი ერთიმეორისაგან დაშორების ცდა სხვა რამით, გარდა პროლეტარიატის მომზადების დონისა და ღარიბ გლეხობასთან მისი შეკავშირების დონისა, არის მარქსიზმის უდიდესი დამახინჯება, მისი შერყვნა და ლიბერალიზმით შეცვლა» (იხ. ტ. XXIII, გვ. 391).

მგონი, საკმარისია.

კეთილი, გვეტყვიან ჩვენ, მაგრამ თუ ასეა, რატომღა ებრძოდა ლენინი «პერმანენტული (განუწყვეტელი) რევოლუციის» იდეას?

იმიტომ, რომ ლენინი მოითხოვდა გლეხობის რევოლუციური უნარის «ამოწურვას» და მისი რევოლუციური ენერგიის ბოლომდე გამოყენებას ცარიზმის სრული ლიკვიდაციისათვის, პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლისათვის, მაშინ როდესაც «პერმანენტული რევოლუციის» მომხრეებს არ ესმოდათ გლეხობის სერიოზული როლი რუსეთის რევოლუციაში, ისინი სათანადოდ ვერ აფასებდნენ გლეხობის რევოლუციური ენერგიის ძალას, სათანადოდ ვერ აფასებდნენ რუსეთის პროლეტარიატის ძალას და უნარს — წინ გასძღოლოდა გლეხობას, და, ამრიგად, აძნელებდნენ ბურჟუაზიის გავლენისაგან გლეხობის განთავისუფლების საქმეს, პროლეტარიატის გარშემო გლეხობის დარაზმვის საქმეს.

იმიტომ, რომ ლენინი მოითხოვდა რევოლუციის საქმის დაგვირგვინებას პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლით, მაშინ როდესაც «პერმანენტული» რევოლუციის მომხრენი ფიქრობდნენ დაეწყოთ საქმე პირდაპირ პროლეტარიატის ძალაუფლებით; მათ არ

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. ხტ.

ესმოდათ, რომ ამით ისინი თვალს ხუჭავენ ისეთ «წვრილმანზე», როგორიც არის ბატონყმობის გადმონაშთები, და ანგარიშს არ უწევენ ისეთ სერიოზულ ძალას, როგორიც არის რუსეთის გლეხობა; მათ არ ესმოდათ, რომ ასეთ პოლიტიკას შეუძლია მხოლოდ შეაფერხოს გლეხობის გადაყვანა პროლეტარიატის მხარეზე.

მაშასადამე, ლენინი ებრძოდა «პერმანენტული» რევოლუციის მომხრეებს არა განუწყვეტლობის საკითხის გამო, ვინაიდან ლენინი თვითონ იდგა განუწყვეტელი რევოლუციის თვალსაზრისზე, არამედ იმიტომ, რომ ისინი სათანადოდ ვერ აფასებდნენ გლეხობის როლს, რომელიც წარმოადგენს პროლეტარიატის უდიდეს რეზერვს, იმიტომ რომ მათ არ ესმოდათ პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეა.

«პერმანენტული» რევოლუციის იდეა არ შეიძლება ახალ იდეად მივიჩნიოთ. იგი პირველად წამოაყენა მარქსმა 40-იანი წლების დასასრულს თავის ცნობილ «მიმართვაში» «კომუნისტების კავშირისადმი» (1950 წ.). განუწყვეტელი რევოლუციის იდეა სწორედ ამ დოკუმენტიდან აქვთ აღებული ჩვენს «პერმანენტელებს». უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენმა «პერმანენტელებმა», აიღეს რა ეს იდეა მარქსისაგან, რამდენადმე სახე შეუცვალეს მას და, სახე რომ შეუცვალეს, «გააფუჭეს» იგი, გამოუსადეგარი გახადეს პრაქტიკული გამოყენებისათვის. საჭირო შეიქნა ლენინის გამოცდილი ხელი იმისათვის, რომ ეს შეცდომა გამოესწორებინა, მარქსის განუწყვეტელი რევოლუციის იდეა აეღო მისი წმინდა სახით და გაეხადა იგი რევოლუციის თავისი თეორიის ერთ-ერთ ქვაკუთხედად.

აი რას ამბობს მარქსი თავის «მიმართვაში» განუწყვეტელი (პერმანენტული) რევოლუციის შესახებ, მას შემდეგ, რაც ჩამოთვლის მთელ რიგ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნებს, რომელთა მოპოვებისაკენ ის მოუწოდებს კომუნისტებს:

«იმ დროს, როცა დემოკრატიულ წვრილ ბურჟუებს სურთ ზემოხსენებულ მოთხოვნათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის გატარებისთანავე რაც შეიძლება სწრაფად დამთავრონ რევოლუცია, ჩვენი ინტერესები და ჩვენი ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ განუწყვეტელი გავხადოთ რევოლუცია მანამდე, სანამ ბატონობა არ ჩამოერთმევა ყველა ცოტად თუ ბევრად შეძლებულ კლასს, სანამ პროლეტარიატი არ დაიპყრობს სახელმწიფო ძალაუფლებას, სანამ პროლეტართა ასოციაციები არა მარტო ერთ ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ყველა გაბატონებულ ქვეყანაშიც არ განვითარდებიან იმდენად, რომ შეწყდეს კონკურენცია ამ ქვეყნების პროლეტარებს შორის, და სანამ, ყოველ შემთხვევაში, გადამწყვეტი საწარმოო ძალები თავმოყრილი არ იქნება პროლეტარების ხელში».

სხვანაირად რომ ვთქვათ:

ა) მარქსი, **წინააღმდეგ** ჩვენი რუსი «პერმანენტელების» გეგმეგისა, სრულიადაც არ მოითხოვდა რევოლუციის საქმის **დაწყებას**

50-იანი წლების გერმანიაში პირდაპირ პროლეტარული ძალაუფლებით;

ბ) მარქსი მხოლოდ იმის წინადადებას იძლეოდა, რომ რევოლუციის საქმე **დაგვირგვინებულიყო** პროლეტარული სახელმწიფო ძალაუფლებით, ძალაუფლების მწვერვალიდან ბურჟუაზიის ფრაქციების ერთიმეორეზე მიყოლებით თანდათან ჩამოგდების გზით, რათა, პროლეტარიატის ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, გაღვივებულიყო რევოლუცია ყველა ქვეყანაში, — რაც **სავსებით ეთანხმება** ყოველივე იმას, რასაც გვასწავლიდა ლენინი და რასაც იგი ახორციელებდა ჩვენი რევოლუციის მსვლელობაში, მისდევდა რა პროლეტარული რევოლუციის თავის თეორიას იმპერიალიზმის ვითარებაში.

გამოდის, რომ ჩვენმა რუსმა «პერმანენტელებმა» არა მარტო სათანადოდ ვერ შეაფასეს გლეხობის როლი რუსეთის რევოლუციაში და პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის მნიშვნელობა, არამედ კიდევ სახე შეუცვალეს (უარესობისაკენ) მარქსის «პერმანენტული» რევოლუციის იდეას და გამოუსადეგარი გახადეს იგი პრაქტიკისათვის.

აი რატომ დასცინოდა ლენინი ჩვენი «პერმანენტელების» თეორიას, უწოდებდა რა მას «ორიგინალურს» და «მშვენიერს» და ბრალს სდებდა რა «პერმანენტელებს» იმაში, რომ მათ არ სურთ «ჩაუკვირდნენ იმას, თუ რა მიზეზების გამო უხვევდა გვერდს ცხოვრება მთელი ათი წლის განმავლობაში ამ მშვენიერ თეორიას» (ლენინის სტატია დაწერილია 1915 წელს, 10 წლის შემდეგ «პერმანენტელების» თეორიის გაჩენიდან რუსეთში, — იხ. ტ. XVIII, გვ. 317).

აი რატომ თვლიდა ლენინი ამ თეორიას ნახევრად-მენშევიკურ თეორიად და ამბობდა, რომ ეს თეორია «ბოლშევიკებისაგან იღებს მოწოდებას პროლეტარიატის გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლისა და მის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისაკენ, ხოლო მენშევიკებისაგან — გლეხობის როლის «უარყოფას»» (იხ. **ლენინის** სტატია «რევოლუციის ორი ხაზის შესახებ», იქვე).

ასეთია საქმის ვითარება ლენინის იდეის მხრივ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პროლეტარულ რევოლუციად გადაზრდის შესახებ, პროლეტარულ რევოლუციაზე «დაუყოვნებლივ» გადასასვლელად ბურჟუაზიული რევოლუციის გამოყენების შესახებ.

შემდეგ. წინათ ერთ ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვებას შეუძლებლად თვლიდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის აუცილებელია ყველა მოწინავე ქვეყნის ან, ყოველ-

შემთხვევაში, ასეთი ქვეყნების უმრავლესობის პროლეტართა ერთად გამოსვლა. ახლა ეს თვალსაზრისი უკვე აღარ შეეფერება სინამდვილეს. ახლა უნდა გამოვდიოდეთ ასეთი გამარჯვების შესაძლებლობიდან, ვინაიდან იმპერიალიზმის ვითარებაში სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნის განვითარების არათანაბარი და ნახტომისებური ხასიათი, იმპერიალიზმის შიგნით კატასტროფულ წინააღმდეგობათა განვითარება, რომლებიც იწვევენ გარდუვალ ომებს, რევოლუციური მოძრაობის ზრდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, — ყოველივე ეს იწვევს ცალკეულ ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვების არა მარტო შესაძლებლობას, არამედ აუცილებლობასაც. რუსეთის რევოლუციის ისტორია ამის აშკარა დამამტკიცებელია. ოღონდ ამასთან აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ბურჟუაზიის დამხობა წარმატებით შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ზოგიერთი, აუცილებლად საჭირო, პირობა, ურომლისოდაც პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღებაზე ფიქრიც არ შეიძლება.

აი რას ამბობს ლენინი ამ პირობებზე თავის ბროშურაში «საყმაწვილო სენი»:

«რევოლუციის ძირითადი კანონი, დადასტურებული ყველა რევოლუციით და, კერძოდ, რუსეთის XX საუკუნის სამივე რევოლუციით, აი რაში მდგომარეობს: რევოლუციისათვის საკმარისი არ არის — ექსპლოატირებულმა და ჩაგრულმა მასებმა შეიგნონ, რომ ძველებურად ცხოვრება შეუძლებელია, და მოითხოვონ ცვლილებანი; რევოლუციისათვის აუცილებელია, რომ ექსპლოატატორებს საშუალება არ ჰქონდეთ იცხოვრონ და განაგონ ძველებურად. მხოლოდ მაშინ, როცა «დაწალ ფენებს» აღარ ხურთ ძველი და როცა «ზედაფენებს» აღარ შეუძლიათ ძველებურად, მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიმარჯვოს რევოლუციამ. სხვანაირად ეს ჭეშმარიტება გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: **რევოლუცია შეუძლებელია ხალხთა-ნაციონალური კრიზისის გარეშე (რომელიც ეხება როგორც ექსპლოატირებულთ, იხე ექსპლოატატორებს)** [1]. მაშასადამე, რევოლუციისათვის საჭიროა, ჯერ-ერთი, მივაღწიოთ, რომ მუშების უმრავლესობამ (ან, ყოველ შემთხვევაში, შეგნებული, მოაზროვნე, პოლიტიკურად აქტიური მუშების უმრავლესობამ) სავსებით შეიგნოს გადატრიალების აუცილებლობა და მზად იყოს თავი დასდოს მისთვის; მეორეც, რომ მმართველი კლასები განიცდიდნენ მთავრობის კრიზისს, რაც პოლიტიკაში ითრევს ყველაზე ჩამორჩენილ მასებსაც კი..., აუძლურებს მთავრობას და რევოლუციონერებისათვის შესაძლებელს ხდის მის სწრაფად დამხობას» (იხ. ტ. XXV, გვ. 222).

მაგრამ ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა და პროლეტარიატის ძალაუფლების დამყარება ერთ ქვეყანაში — ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალიზმის სრული გამარჯვების უზრუნველყოფას. განამტკიცებს რა თავის ძალაუფლებას და გაიყოლიებს გლეხობას, გამარჯვებუ-

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ლი ქვეყნის პროლეტარიატს შეუძლია, და იგი ვალდებულიცაა ააშენოს სოციალისტური საზოგადოება. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ იგი ამით მიაღწევს სოციალიზმის სრულ, საბოლოო გამარჯვებას, ე. ი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მას მხოლოდ ერთი ქვეყნის ძალებით შეუძლია საბოლოოდ შეინარჩუნოს სოციალიზმი და სავსებით უზრუნველყოს ქვეყანა ინტერვენციისაგან და, მაშასადამე, რესტავრაციისაგან? არა, არ ნიშნავს. ამისათვის აუცილებელია რევოლუციის გამარჯვება რამდენიმე ქვეყანაში მაინც. ამიტომ სხვა ქვეყნებში რევოლუციის განვითარება და მისთვის მხარის დაჭერა გამარჯვებული რევოლუციის არსებითი ამოცანაა. ამიტომ გამარჯვებული ქვეყნის რევოლუცია თავის თავს უნდა უყურებდეს არა როგორც თვითმყარ სიდიდეს, არამედ როგორც დამხმარე ძალას, როგორც საშუალებას სხვა ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვების დასაჩქარებლად.

ლენინმა ეს აზრი ორი სიტყვით გამოხატა, როდესაც თქვა, რომ გამარჯვებული რევოლუციის ამოცანაა — განახორციელოს «იმის მაქსიმუმი, რის განხორციელებაც ერთ ქვეყანაშია შესაძლებელი, **ყველა ქვეყანაში** რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერის, გაღვივების **მ ი ზ ნ ი თ**» (იხ. ტ. XXIII, გვ. 385).

ასეთია, საერთოდ, პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის დამახასიათებელი ნიშნები.

IV

პროლეტარიატის დიქტატურა

ამ თემიდან მე ვიღებ სამ ძირითად საკითხს:

ა) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარული რევოლუციის იარაღი;

ბ) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარიატის ბატონობა ბურჟუაზიაზე;

გ) საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა.

1) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარული რევოლუციის იარაღი. პროლეტარული დიქტატურის საკითხი, უწინარეს ყოვლისა, პროლეტარული რევოლუციის ძირითადი შინაარსის საკითხია. პროლეტარული რევოლუცია, მისი მოძრაობა, მისი გაქანება, მისი მიღწევები სისხლსა და ხორცს ისხამს მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით. პროლეტარიატის დიქტატურა

არის პროლეტარული რევოლუციის იარაღი, მისი ორგანო, მისი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც სასიცოცხლოდ გამოწვეულია, ჯერ-ერთი, იმისათვის, რომ დათრგუნოს დამხობილი ექსპლოატატორების წინააღმდეგობა და განამტკიცოს თავისი მიღწევები, მეორეც, ბოლომდე მიიყვანოს პროლეტარული რევოლუცია, მიიყვანოს რევოლუცია სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე. ბურჟუაზიის დამარცხებას, მისი ძალაუფლების დამხობას რევოლუცია შესძლებს პროლეტარიატის დიქტატურის გარეშეც. მაგრამ ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვა, გამარჯვების შენარჩუნება და შემდგომი წინსვლა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ რევოლუციას უკვე აღარ შეუძლია, თუ იგი თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე არ შექმნის სპეციალურ ორგანოს პროლეტარიატის დიქტატურის სახით, როგორც თავის ძირითად დასაყრდენს.

«ძალაუფლების საკითხი ყოველი რევოლუციის ძირითად საკითხს წარმოადგენს» (ლენინი). ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქმე განისაზღვრება აქ ძალაუფლების აღებით, მისი დაპყრობით? არა, არ ნიშნავს. ძალაუფლების აღება — ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. ერთ ქვეყანაში დამხობილი ბურჟუაზია, მრავალი მიზეზის გამო, კიდევ დიდხანს რჩება მის დამამხობელ პროლეტარიატზე უფრო ძლიერი. ამიტომ მთელი საქმე ისაა, რომ შეინარჩუნო ძალაუფლება, განამტკიცო და უძლეველი გახადო იგი. რა არის საჭირო იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ეს მიზანი? ამისათვის აუცილებელია შესრულდეს სამი მთავარი ამოცანა მაინც, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის წინაშე დგება გამარჯვების «მეორე დღეს»:

ა) დაითრგუნოს რევოლუციის მიერ დამხობილ და ექსპროპრიირებულ მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგობა, მოისპოს მათი ყველა და ყოველგვარი ცდა კაპიტალის ძალაუფლების აღდგენისა;

ბ) მოეწყოს მშენებლობა პროლეტარიატის გარშემო ყველა მშრომელთა დარაზმვის საფუძველზე და წარიმართოს ეს მუშაობა იმ მიმართულებით, რომელიც მოამზადებს კლასების ლიკვიდაციას, მათს მოსპობას;

გ) შეიარაღდეს რევოლუცია, მოეწყოს რევოლუციის არმია გარეშე მტრებთან საბრძოლველად, იმპერიალიზმთან საბრძოლველად.

პროლეტარიატის დიქტატურა საჭიროა იმისათვის, რომ გატარდეს, შესრულდეს ეს ამოცანები.

«კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა, — ამბობს ლენინი, — მთელი ისტორიული ეპოქაა. სანამ იგი არ დასრულებულა, ექსპლოატატორებს აუცილებლად რჩებათ რესტავრაციის იმედი, ხოლო ეს იმედი იქცევა რესტავრაციის ცდებად.

და პირველი სერიოზული დამარცხების შემდეგ, დამხობილი ექსპლოატატორები, რომლებიც არ ელოდნენ თავიანთ დამხობას, არ სჯეროდათ და აზრადაც არ მოსდიოდათ ეს, გაათკეცებული ენერგიით, გახელებით, გაასკეცებული სიძულვილით ებმებიან ბრძოლაში წართმეული «სამოთხის» დაბრუნებისათვის, თავისი ოჯახებისათვის, რომლებიც ასე ტკბილად ცხოვრობდნენ წინათ, ახლა კი «არამზადა მდაბიო ხალხი» უქადის მათ გაჩანაგებასა და სიღატაკეს (ან «უბრალო» შრომას...) ექსპლოატატორ-კაპიტალისტებს კი უკან მოსდევს წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასა, რომლის შესახებ ყველა ქვეყნის ათეული წლების ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ იგი ქანაობს და მერყეობს, დღეს პროლეტარიატს მიჰყვება, ხვალ კი დამფრთხალია გადატრიალების სიძნელეებით, პანიკას განიცდის მუშების პირველი დამარცხების ან ნახევრად დამარცხების გამო, ნერვიულობს, აქეთ-იქით აწყდება, წუწუნებს და ერთი ბანაკიდან მეორეში გადარბის» (იხ. ტ. XXIII, გვ. 355).

ბურჟუაზიას კი აქვს საფუძველი — შეეცადოს მოახდინოს რესტავრაცია, ვინაიდან თავისი დამხობის შემდეგ იგი კიდევ დიდხანს რჩება მის დამამხობელ პროლეტარიატზე უფრო ძლიერი.

«თუ ექსპლოატატორები დამარცხებული არიან მხოლოდ ერთ ქვეყანაში, — ამბობს ლენინი, — და ეს, რა თქმა უნდა, ტიპიური შემთხვევაა, ვინაიდან ერთდროული რევოლუცია მთელ კიდ ქვეყნებში იშვიათი გამონაკლისია, — მაშინ ისინი მაინც უფრო ძლიერი რჩებიან, ვიდრე ექსპლოატირებულნი» (იხ. იქვე გვ. 354).

რაშია დამხობილი ბურჟუაზიის ძალა?

ჯერ-ერთი, «საერთაშორისო კაპიტალის ძალაში, ბურჟუაზიის საერთაშორისო ურთიერთკავშირის ძალასა და სიმტკიცეში» (იხ. ტ. XXV, გვ. 173).

მეორეც, იმაში, რომ «ექსპლოატატორებს გადატრიალების შემდეგ უეჭველად კიდევ დიდხანს რჩებათ მრავალი უდიდესი ფაქტიური უპირატესობა: მათ რჩებათ ფული (ფულის მოსპობა ერთბაშად შეუძლებელია), რაიმე მოძრავი ქონება, ხშირად მნიშვნელოვანი, რჩებათ ურთიერთკავშირი, ორგანიზაციისა და მართვა-გამგეობის გამოცდილება, მართვა-გამგეობის ყველა «საიდუმლოებათა» (ჩვეულებების, ხერხების, საშუალებების, შესაძლებლობათა) ცოდნა, რჩებათ უფრო მაღალი განათლება, კავშირი ტექნიკურად უფრო მაღალ პერსონალთან (რომელიც ბურჟუაზიულად ცხოვრობს და აზროვნებს), რჩებათ უზომოდ მეტი გამოცდილება სამხედრო საქმეში (ეს კი მეტად მნიშვნელოვანია) და სხვა, და სხვა» (იხ. ტ. XXIII, გვ. 354).

მესამეც, «ჩვეულების ძალაში, წვრილი წარმოების ძალაში. ვინაიდან წვრილი წარმოება, სამწუხაროდ, ქვეყნად ჯერ კიდევ მეტისმეტად ბევრია დარჩენილი, ხოლო წვრილი წარმოება წარმოშობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ, ყოველდღე, ყოველ საათს, სტიქიურად და მასობრივი მასშტაბით»... ვინაიდან «კლასების მოსპობა მარტო მემამულეთა და კაპიტალისტთა განდევნას როდი ნიშნავს, — ეს ჩვენ შედარებით ადვილად გავაკეთეთ, — არამედ ეს ნიშნავს ხაჭონლის წვრილ მწარმოებელთა მოსპობასაც, მათი განდევნა კი არ შეიძლება, არ შეიძლება დათრგუნვაც, მათ უნდა შევუთავსდეთ, მათი გარდაქმნა, ხელახლა აღ-

ზრდა შეიძლება (და სავალდებულოცაა) მხოლოდ მეტად ხანგრძლივი, აუჩქარებელი და ფრთხილი ორგანიზატორული მუშაობით» (იხ. ტ. XXV, გვ. 173 და 189).

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ:

«პროლეტარიატის დიქტატურა არის ახალი კლასის ყველაზე თავდადებული და ყველაზე ულმობელი ომი უფრო ძლიერი მტრის წინააღმდეგ — ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომლის წინააღმდეგობა გაათკეცებულია მისი დამხობით»,

რომ «პროლეტარიატის დიქტატურა არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლიანი და უსისხლო, ძალდატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატორული — ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ» (იხ. იქვე, გვ. 173 და 190).

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ ამოცანების შესრულება მოკლე ხანში, ყოველივე ამის გატარება რამდენიმე წელიწადში — ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ პროლეტარიატის დიქტატურა, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა უნდა განვიხილოთ არა როგორც წუთიერი პერიოდი მთელი რიგი «უაღრესად რევოლუციური» აქტებისა და დეკრეტების სახით, არამედ როგორც მთელი ისტორიული ეპოქა, აღსავსე სამოქალაქო ომებით და საგარეო შეტაკებებით, შეუპოვარი ორგანიზაციული მუშაობით და სამეურნეო მშენებლობით, შეტევით და უკანდახევით, გამარჯვებებით და დამარცხებებით. ეს ისტორიული ეპოქა აუცილებელია არა მარტო იმისათვის, რომ შექმნათ სოციალიზმის სრული გამარჯვების სამეურნეო და კულტურული წანამძღვრები, არამედ იმისთვისაც, რომ პროლეტარიატს შესაძლებლობა მიეცეს, ჯერ-ერთი — აღიზარდოს და გამოიბრძმედოს თვითონ, როგორც ძალა, რომელიც შესძლებს ქვეყნის მართვა-გამგეობას, მეორეც, — ხელახლა აღზარდოს და გარდაქმნას წვრილბურჟუაზიული ფენები ისეთი მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური წარმოების ორგანიზაციას.

«თქვენ უნდა გადაიტანოთ, — ეუბნებოდა მარქსი მუშებს, — სამოქალაქო ომისა და საერთაშორისო ბრძოლების 15, 20, 50 წელიწადი არა მარტო იმისათვის, რომ შეცვალოთ არსებული ურთიერთობანი, არამედ იმისთვისაც, რომ თვითონაც გარდაიქმნათ და გახდეთ პოლიტიკური ბატონობის უნარის მქონენი» (იხ. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ფიზზულებანი, ტ. VIII, გვ. 506).

ლენინი, განაგრძობს და შემდგომ ავითარებს რა მარქსის აზრს, წერს:

«პროლეტარიატის დიქტატურის დროს საჭირო იქნება მრავალი მილიონი გლეხისა და წვრილი მეპატრონის, ასეული ათასი მოსამსახურის, მოხელისა და ბურჟუაზიული ინტელიგენტის ხელახალი აღზრდა, ყველა მათი დამორჩილება პროლეტარული სახელმწიფოსა და პროლეტარული ხელმძღვანელობისადმი, ბურ-

ჟუაზიული ჩვეულებებისა და ტრადიციების დაძლევა მათში», ისე როგორც აუცილებელი იქნება «... ხანგრძლივ ბრძოლაში, პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზე, თვით პროლეტარების ხელახალი აღზრდა, რომელნიც საკუთარ წვრილბურჟუაზიულ ცრურწმენათაგან თავისუფლდებიან არა ერთბაშად, არა სასწაულით, არა ღვთისმშობლის წყალობით, არა ლოზუნგის, რეზოლუციის, დეკრეტის მეოხებით, არამედ მხოლოდ ხანგრძლივი და ძნელი მასობრივი ბრძოლით მასობრივ წვრილბურჟუაზიულ გავლენათა წინააღმდეგ» (იხ. ტ. XXV, გვ. 249 და 247).

2) **პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პროლეტარიატის ბატონობა ბურჟუაზიაზე.** უკვე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ არის პიროვნებათა უბრალო შეცვლა მთავრობაში, «კაბინეტის» შეცვლა და სხვ., ძველი ეკონომიური და პოლიტიკური წესების ხელუხლებლად დატოვებით. ყველა ქვეყნის მენშევიკები და ოპორტუნისტები, რომელთაც დიქტატურისა ეშინიათ, როგორც ცეცხლისა, და რომლებიც, ამ შიშის გამო, პროლეტარიატის დიქტატურის ცნებას ცვლიან «ძალაუფლების დაპყრობის» ცნებით, — ჩვეულებრივად «ძალაუფლების დაპყრობად» გულისხმობენ «კაბინეტის» შეცვლას, ხელისუფლების სათავეში ახალი სამინისტროს ჩადგომას ისეთ ადამიანთა შემადგენლობით, როგორიც არიან შეიდემანი და ნოსკე, მაკდონალდი და ჰენდერსონი. არა გვგონია საჭირო იყოს იმის ახსნა-განმარტება, რომ კაბინეტების ასეთ და ამის მსგავს შეცვლას არაფერი აქვს საერთო პროლეტარიატის დიქტატურასთან, ნამდვილი პროლეტარიატის მიერ ნამდვილი ძალაუფლების დაპყრობასთან. მაკდონალდები და შეიდემანები ხელისუფლების სათავეში, ძველი ბურჟუაზიული წესების დატოვებით, მათი, ასე ვთქვათ, მთავრობები, სხვა არა იქნება რა, თუ არა მომსახურე აპარატი ბურჟუაზიის ხელში, თუ არა იმპერიალიზმის წყლულების საფარველი, თუ არა იარაღი ბურჟუაზიის ხელში ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. ისინი, ეს მთავრობები, კაპიტალს ესაჭიროება როგორც შირმა, როცა მისთვის უხერხულია, ხელსაყრელი არაა, ძნელია უშირმოდ ჩაგროს მასები და ექსპლოატაცია გაუწიოს მათ. რა თქმა უნდა, ასეთ მთავრობათა შექმნა იმის მაჩვენებელია, რომ «მათ იქ» (ე. ი. კაპიტალისტებს), «შიპკაზე», ყველაფერი რიგზე ვერ აქვთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამგვარი მთავრობები აუცილებლად წარმოადგენენ კაპიტალის შელამაზებულ მთავრობებს. მაკდონალდის თუ შეიდემანის მთავრობიდან პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობამდე ისევე შორს არის, როგორც დედამიწიდან ცამდე. პროლეტარიატის დიქტატურა არის არა მთავრობის შეცვლა, არამედ ახალი სახელმწიფო, ძალაუფლების ახალი ორგანოებით ცენტრ-

ში და ადგილებზე, პროლეტარიატის სახელმწიფო, აღმოცენებული ძველი სახელმწიფოს, ბურჟუაზიის სახელმწიფოს ნანგრევებზე.

პროლეტარიატის დიქტატურა წარმოიშობა არა ბურჟუაზიული წესწყობილების საფუძველზე, არამედ მისი მსხვრევის მსვლელობაში, ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ, მემამულეთა და კაპიტალისტთა ექსპროპრიაციის მსვლელობაში, წარმოების ძირითადი იარაღებისა და საშუალებების სოციალიზაციის მსვლელობაში, პროლეტარიატის ძალდატანებითი რევოლუციის მსვლელობაში. პროლეტარიატის დიქტატურა არის რევოლუციური ძალაუფლება, რომელიც ემყარება ძალადობას ბურჟუაზიის მიმართ.

სახელმწიფო არის მანქანა გაბატონებული კლასის ხელში თავისი კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის დასათრგუნავად. ამ მხრივ პროლეტარიატის დიქტატურა არსებითად არაფრით არ განსხვავდება ყოველი სხვა კლასის დიქტატურისაგან, ვინაიდან პროლეტარული სახელმწიფო არის მანქანა ბურჟუაზიის დასათრგუნავად. მაგრამ აქ არის ერთი არსებითი განსხვავება. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დღემდე არსებული ყველა კლასობრივი სახელმწიფო წარმოადგენდა ექსპლოატატორული უმცირესობის დიქტატურას ექსპლოატირებულ უმრავლესობაზე, მაშინ როდესაც პროლეტარიატის დიქტატურა არის ექსპლოატირებული უმრავლესობის დიქტატურა ექსპლოატატორულ უმცირესობაზე.

მოკლედ: **პროლეტარიატის დიქტატურა არის კანონით შეუზღუდველი და ძალადობაზე დამყარებული ბატონობა პროლეტარიატისა ბურჟუაზიაზე, ბატონობა, რომელიც სარგებლობს მშრომელი და ექსპლოატირებული მასების თანაგრძნობითა და დახმარებით** (ლენინი. «სახელმწიფო და რევოლუცია»).

აქედან ორი ძირითადი დასკვნა გამომდინარეობს.

პირველი დასკვნა. პროლეტარიატის დიქტატურა არ შეიძლება იყოს «სრული» დემოკრატია, დემოკრატია ყველასათვის, მდიდრებისთვისაც და ღარიბებისთვისაც, — პროლეტარიატის დიქტატურა «უნდა იყოს სახელმწიფო ახლებურად დემოკრატიული (პროლეტარებისათვის [1] და საერთოდ ღარიბებისათვის [1]) და ახლებურად დიქტატორული (ბურჟუაზიის წინააღმდეგ [1])» (იხ. ტ. XXI, გვ. 393). კაუცკისა და კომპანიის ლაპარაკი საყოველთაო თანასწორობაზე, «წმინდა» დემოკრატიაზე, «სრულყოფილ» დემოკრატიაზე და სხვ. არის ბურჟუაზიული დაფარვა იმ უდავო ფაქტისა, რომ ექსპლოატირებულთა და ექსპლოატატორთა თანასწორობა შეუძლებელია. «წმინდა» დემოკრატიის თეორია არის თეორია მუშათა კლასის ზე-

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

დაფენისა, რომელიც მოშინაურებულია იმპერიალისტი მძარცველების მიერ და რომელიც მათი ნასუფრალით იკვებება. ეს თეორია სასიცოცხლოდ არის გამოწვეული იმისათვის, რომ დაფაროს კაპიტალიზმის წყლულები, შეალამაზოს იმპერიალიზმი და მისცეს მას მორალური ძალა ექსპლოატირებული მასების წინააღმდეგ ბრძოლაში. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს კაპიტალიზმის დროს ნამდვილი «თავისუფლებანი» ექსპლოატირებულთათვის, თუნდაც იმიტომ, რომ შენობები, სტამბები, ქაღალდის საწყობები და სხვ., რაც აუცილებელია «თავისუფლებათა» გამოსაყენებლად, ექსპლოატატორთა პრივილეგიას შეადგენს. არ არსებობს და არც შეიძლება კაპიტალიზმის დროს ექსპლოატირებულ მასათა ნამდვილი მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში, თუნდაც იმიტომ, რომ კაპიტალიზმის პირობებში უაღრესად დემოკრატიული წესების დროსაც მთავრობას აყენებს არა ხალხი, არამედ როტშილდები და სტინესები, როკფელერები და მორგანები. დემოკრატია კაპიტალიზმის დროს არის დემოკრატია კაპიტალისტური, ექსპლოატატორული უმცირესობის დემოკრატია, რომელიც ემყარება ექსპლოატირებული უმრავლესობის უფლებათა შეზღუდვას და მიმართულია ამ უმრავლესობის წინააღმდეგ. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დროს არის შესაძლებელი ნამდვილი თავისუფლებანი ექსპლოატირებულთათვის და პროლეტართა და გლეხთა ნამდვილი მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში. დემოკრატია პროლეტარიატის დიქტატურის დროს არის დემოკრატია **პროლეტარული**, ექსპლოატირებული უმრავლესობის დემოკრატია, რომელიც ემყარება ექსპლოატატორული უმცირესობის უფლებათა შეზღუდვას და მიმართულია ამ უმცირესობის წინააღმდეგ.

მეორე დასკვნა. პროლეტარიატის დიქტატურა არ შეიძლება წარმოიშვას როგორც შედეგი ბურჟუაზიული საზოგადოების და ბურჟუაზიული დემოკრატიის მშვიდობიანი განვითარებისა, — იგი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის, ბურჟუაზიული არმიის, ბურჟუაზიული სამოხელეო აპარატის, ბურჟუაზიული პოლიციის დამსხვრევის შედეგად.

«მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზამზარეულ სახელმწიფო მანქანას და ამუშაოს იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის», — ამბობენ მარქსი და ენგელსი «კომუნისტური პარტიის მანიფესტის» წინასიტყვაობაში. — პროლეტარულმა რევოლუციამ «...ერთი ხელიდან მეორეს კი არ» უნდა «გადასცეს ბიუროკრატიულ-სამხედრო მანქანა, როგორც აქამდე ხდებოდა, არამედ» უნდა «დაამსხვრიოს იგი... — ასეთია წინასწარი პირობა ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლუციის კონტინენტზე», — ამბობს მარქსი თავის წერილში კუგელმანისადმი 1871 წელს.

მარქსის შემზღუდველმა ფრაზამ კონტინენტის შესახებ საბაბი მისცა ყველა ქვეყნის ოპორტუნისტებსა და მენშევიკებს მოერთოთ ყვირილი, რომ მარქსი, მაშასადამე, შესაძლებლად თვლიდა ბურჟუაზიული დემოკრატიის მშვიდობიან განვითარებას პროლეტარულ დემოკრატიად, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ქვეყნისათვის, რომელნიც არ შედიან ევროპის კონტინენტის შემადგენლობაში (ინგლისი, ამერიკა). მარქსს, მართლაც, დასაშვებად მიაჩნდა ასეთი შესაძლებლობა, და მას საფუძველი ჰქონდა დაეშვა ეს გასული საუკუნის 70-იანი წლების ინგლისისა და ამერიკის მიმართ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა მონოპოლისტური კაპიტალიზმი, როცა არ იყო იმპერიალიზმი და, ამ ქვეყნების განვითარების განსაკუთრებული პირობების გამო, იქ არ იყო განვითარებული მილიტარიზმი და ბიუროკრატიზმი. ასეთი იყო მდგომარეობა განვითარებული იმპერიალიზმის წარმოშობამდე. მაგრამ შემდეგ, 30 — 40 წლის მერე, როცა საქმის ვითარება ამ ქვეყნებში ძირფესვიანად შეიცვალა, როცა იმპერიალიზმი განვითარდა და მოიცვა გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტური ქვეყანა, როცა მილიტარიზმი და ბიუროკრატიზმი გაჩნდა ინგლისსა და ამერიკაშიც, როცა გაქრა ინგლისისა და ამერიკის მშვიდობიანი განვითარების განსაკუთრებული პირობები, — შეზღუდვა ამ ქვეყნების მიმართ თავისთავად უნდა მოხსნილიყო.

«ახლა, — ამბობს ლენინი, — 1917 წელს, პირველი დიდი იმპერიალისტური ომის ეპოქაში, მარქსის ეს შეზღუდვა უქმდება. ინგლისიც და ამერიკაც, ანგლო-საქსური «თავისუფლების» ეს უდიდესი და უკანასკნელი წარმომადგენლები — მთელ მსოფლიოში — მილიტარიზმისა და ბიუროკრატიზმის უქონლობის მხრივ, სავსებით ჩაეფლნენ იმ ბიუროკრატიულ-სამხედრო დაწესებულებათა საერთო-ევროპულ ბინძურ და სისხლიან ჭაობში, რომელნიც ყველაფერს იმორჩილებენ, ყველაფერს ახშობენ. ამჟამად ინგლისშიც და ამერიკაშიც «ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლუციის წინასწარ პირობას» წარმოადგენს **დ ა მ ხ ს ვ რ ე ვ ა, გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ა** «მზამზარეული» «სახელმწიფო მანქანისა» (რომელიც დამზადებულ იქნა იქ 1914 — 1917 წლებში «ევროპულ», საერთო-იმპერიალისტურ, სრულყოფამდე)» (იხ. ტ. XXI, გვ. 395).

სხვანაირად რომ ვთქვათ, კანონი პროლეტარიატის ძალდატანებითი რევოლუციისა, კანონი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევისა, როგორც ასეთი რევოლუციის წინასწარი პირობისა, წარმოადგენს მსოფლიოს იმპერიალისტური ქვეყნების რევოლუციური მოძრაობის გარდუვალ კანონს.

რა თქმა უნდა, შორეულ მომავალში, თუ პროლეტარიატი გაიმარჯვებს კაპიტალიზმის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში და თუ დღევანდელი კაპიტალისტური გარემოცვა შეიცვლება სოციალისტური გარემოცვით, სავსებით შესაძლებელია განვითარების «მშვიდობია-

ნი» გზა ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნისათვის, რომელთა კაპიტალისტები, «არახელსაყრელი» საერთაშორისო ვითარების გამო, მიზანშეწონილად ჩათვლიან «ნებაყოფლობით» წავიდნენ სერიოზულ დათმობებზე პროლეტარიატის მიმართ. მაგრამ ეს ვარაუდი ეხება მხოლოდ შორეულ და შესაძლებელ მომავალს. უახლოესი მომავლისათვის ამ ვარაუდს არავითარი, სრულიად არავითარი საფუძველი არა აქვს.

ამიტომ მართალია ლენინი, როცა ამბობს:

«პროლეტარული რევოლუცია შეუძლებელია ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის ძალდატანებით დამსხვრევის და ახალი მანქანით მისი შეცვლის გარეშე» (იხ. ტ. XXIII, გვ. 342).

3) **საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა.** პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება ნიშნავს ბურჟუაზიის დათრგუნვას, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევას, ბურჟუაზიული დემოკრატიის შეცვლას პროლეტარული დემოკრატიით. ეს ცხადია. მაგრამ როგორია ის ორგანიზაციები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ამ კოლოსალური მუშაობის შესრულება? პროლეტარიატის ორგანიზაციის ძველი ფორმები, რომლებიც წარმოიშვნენ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის საფუძველზე, ასეთი მუშაობის შესასრულებლად რომ საკმარისი არ არის, — ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაშ როგორია პროლეტარიატის ორგანიზაციის ის ახალი ფორმები, რომელთაც შეუძლიათ შეასრულონ ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის მესაფლავის როლი, რომელთაც უნარი აქვთ არა მარტო დაამსხვრიონ ეს მანქანა და არა მარტო შეცვალონ ბურჟუაზიული დემოკრატია პროლეტარული დემოკრატიით, არამედ აგრეთვე გახდნენ პროლეტარული სახელმწიფო ძალაუფლების საფუძველი?

პროლეტარიატის ორგანიზაციის ამ ახალ ფორმას წარმოადგენენ საბჭოები.

რაში მდგომარეობს საბჭოების ძალა ორგანიზაციის ძველ ფორმებთან შედარებით?

იმაში, რომ საბჭოები წარმოადგენენ პროლეტარიატის ყველაზე უფრო **ყოვლისმომცველ** მასობრივ ორგანიზაციებს, ვინაიდან ისინი და მხოლოდ ისინი მოიცავენ უკლებლივ ყველა მუშას.

იმაში, რომ საბჭოები წარმოადგენენ **ერთადერთ** მასობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც აერთიანებენ ყველა ჩაგრულსა და ექსპლოატირებულს, მუშებსა და გლეხებს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს, და სადაც ამის გამო მასების ბრძოლის პოლიტიკური ხელმძღვანე-

ლობა მასების ავანგარდის მხრით, პროლეტარიატის მხრით, შეიძლება განხორციელდეს ყველაზე უფრო ადვილად და ყველაზე უფრო სრულად.

იმაში, რომ საბჭოები წარმოადგენენ მასების რევოლუციური ბრძოლის, მასების პოლიტიკური გამოსვლების, მასების აჯანყების **ყველაზე უფრო მძლავრ ორგანოებს**, ორგანოებს, რომლებსაც უნარი აქვთ მოსპონ ფინანსური კაპიტალისა და მის პოლიტიკურ დანამატთა ყოვლისშემძლეობა.

იმაში, რომ საბჭოები წარმოადგენენ თვით მასების **უშუალო** ორგანიზაციებს, ესე იგი მასების **ყველაზე უფრო დემოკრატიულ** და, მაშასადამე, ყველაზე უფრო ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, რომელნიც მაქსიმალურად უადვილებენ მათ მონაწილეობის მიღებას ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში, მის მმართველობაში და მაქსიმალურად ავითარებენ მასების რევოლუციურ ენერგიას, ინიციატივას და შემოქმედებით ნიჭს ძველი წყობის დანგრევისათვის ბრძოლაში, ახალი, პროლეტარული წყობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხელისუფლება არის ადგილობრივი საბჭოების გაერთიანება და ჩამოყალიბება ერთ საერთო სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად, პროლეტარიატის, როგორც ჩაგრულ და ექსპლოატირებულ მასათა ავანგარდის და როგორც გაბატონებული კლასის, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად, — გაერთიანება საბჭოების რესპუბლიკად.

საბჭოთა ხელისუფლების დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ იმ კლასების ყველაზე მასობრივი და ყველაზე რევოლუციური ორგანიზაციები, რომელთაც ჩაგრავდნენ კაპიტალისტები და მემამულეები, ამჟამად წარმოადგენენ «მთელი სახელმწიფო ძალაუფლების, მთელი სახელმწიფო აპარატის **მუდმივ და ერთადერთ** საფუძველს», რომ «სწორედ იმ მასებს, რომელნიც, ყველაზე უფრო დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიც კი», თუმცა კანონით თანასწორუფლებიანნი, «საქმით ათასგვარი ფანდებითა და ხრიკებით ჩამოცილებული იყვნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას და დემოკრატიული უფლებებით და თავისუფლებით სარგებლობას, ახლა შესაძლებლობა ეძლევათ — **მუდმივი** და აუცილებელი, ამასთან **გადამწყვეტი** მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს დემოკრატიულ მმართველობაში» [1] (იხ. **ლენინი**, ტ. XXIV, გვ. 13).

აი რატომ არის საბჭოთა ხელისუფლება სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის **ახალი ფორმა**, რომელიც პრინციპულად განსხვავდება

[1] ხაზგასმა ყველგან ჩემია. ი. სტ.

ძველი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და პარლამენტური ფორმისაგან, არის სახელმწიფოს ახალი ტიპი, რომელიც შეფარდებულია არა მშრომელი მასების ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ამოცანებთან, არამედ ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მათი სრული განთავისუფლების ამოცანებთან, პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანებთან.

ლენინი მართალია, როცა ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების გაჩენისთანავე «დამთავრდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტარიზმის ეპოქა, დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი თავი: პროლეტარული დიქტატურის ეპოქა».

რაში მდგომარეობს საბჭოთა ხელისუფლების დამახასიათებელი ნიშნები?

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე უფრო მასობრივ და ყველაზე უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ყველა შესაძლებელ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს შორის კლასების არსებობის პირობებში, ვინაიდან იგი, არის რა ასპარეზი მუშების და ექსპლოატირებული გლეხების კავშირისა და თანამშრომლობისა ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლაში და ეყრდნობა რა თავის მუშაობაში ამ კავშირს და ამ თანამშრომლობას, ამით წარმოადგენს მოსახლეობის უმრავლესობის ძალაუფლებას უმცირესობის მიმართ, ამ უმრავლესობის სახელმწიფოს, მისი დიქტატურის გამოხატულებას.

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე უფრო ინტერნაციონალისტურია კლასობრივი საზოგადოების ყველა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციათა შორის, ვინაიდან იგი, სპობს რა ყოველგვარ ნაციონალურ ჩაგვრას და ეყრდნობა რა სხვადასხვა ეროვნების მშრომელი მასების თანამშრომლობას, ამით აადვილებს ამ მასების გაერთიანებას ერთიან სახელმწიფოებრივ კავშირში.

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება, თვით თავისი სტრუქტურით, აადვილებს ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების ხელმძღვანელობას ამ მასების ავანგარდის მხრით, პროლეტარიატის, როგორც საბჭოების ყველაზე უფრო დარაზმული და ყველაზე უფრო შეგნებული ბირთვის მხრით.

«ყველა რევოლუციისა და ჩაგრულ კლასთა ყველა მოძრაობის გამოცდილება, მსოფლიო სოციალისტური მოძრაობის გამოცდილება გვასწავლის, — ამბობს ლენინი, — რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია გააერთიანოს და გაიყოლიოს მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის დაქსაქსული და ჩამორჩენილი ფენები» (იხ. ტ. XXIV, გვ. 14). საქმე ისაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების

სტრუქტურა აადვილებს ამ გამოცდილების მითითებათა ცხოვრებაში გატარებას.

იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება, აერთიანებს რა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას სახელმწიფოს ერთიან ორგანიზაციაში და ცვლის რა ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებს საწარმოო ერთეულებით, ფაბრიკა-ქარხნებით, — უშუალოდ აკავშირებს მუშებს და, საერთოდ, მშრომელ მასებს სახელმწიფო მმართველობის აპარატებთან, ასწავლის მათ ქვეყნის მართვას.

იმაში, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შესწევს უნარი გაათავისუფლოს არმია ბურჟუაზიული სარდლობის მორჩილებისაგან და ეს არმია ხალხის ჩაგვრის იარაღიდან, რასაც იგი ბურჟუაზიული წესწყობილების დროს წარმოადგენს, გადააქციოს ბურჟუაზიის, თავისი და უცხო ბურჟუაზიის უღლისაგან ხალხის განთავისუფლების იარაღად.

იმაში, რომ «მხოლოდ სახელმწიფოს საბჭოთა ორგანიზაციას ძალუძს მართლაც დაამსხვრიოს ერთბაშად და დაანგრიოს საბოლოოდ ძველი, ე. ი. ბურჟუაზიული, სამოხელეო და სასამართლო აპარატი» (იხ. იქვე).

იმაში, რომ მხოლოდ სახელმწიფოს საბჭოთა ფორმას, რომელიც სახელმწიფოს მმართველობის მუდმივ და აუცილებელ მონაწილეობაში აბამს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასობრივ ორგანიზაციებს, შესწევს უნარი მოამზადოს სახელმწიფოებრიობის ის კვდომა, რაც შეადგენს მომავალი უსახელმწიფოო, კომუნისტური საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს.

ამრიგად, საბჭოების რესპუბლიკა არის ის ნაძებნი და, ბოლოს, ნაპოვნი პოლიტიკური ფორმა, რომლის ჩარჩოებში უნდა მოხდეს პროლეტარიატის ეკონომიური განთავისუფლება, სოციალიზმის სრული გამარჯვება.

პარიზის კომუნა ამ ფორმის ჩანასახი იყო. საბჭოთა ხელისუფლება მის განვითარებას და დამთავრებას წარმოადგენს.

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ:

«მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა არის არა მარტო უფრო მაღალი ტიპის დემოკრატიულ დაწესებულებათა ფორმა..., არამედ ერთადერთი [1] ფორმაც, რომელსაც უნარი აქვს უზრუნველყოს ყველაზე უფრო უმტკივნეულო გადასვლა სოციალიზმზე» (იხ. ტ. XXII, გვ. 131).

---

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

V

გლეხობის საკითხი

ამ თემიდან მე ვიღებ ოთხ საკითხს:

ა) საკითხის დაყენება;

ბ) გლეხობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს;

გ) გლეხობა პროლეტარული რევოლუციის დროს;

დ) გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ.

1) **საკითხის დაყენება.** ზოგი ფიქრობს, რომ ლენინიზმში ძირითადია გლეხობის საკითხი, რომ ლენინიზმის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს გლეხობის, მისი როლის, მისი ხვედრითი წონის საკითხი. ეს სრულებით არ არის სწორი. ძირითად საკითხს ლენინიზმში, მის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს არა გლეხობის საკითხი, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის, მისი ბრძოლით მოპოვების პირობების, მისი განმტკიცების პირობების საკითხი. გლეხობის საკითხი, როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის მოკავშირის საკითხი, წარმოებული საკითხია.

მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ უკარგავს ამ საკითხს იმ სერიოზულ, სასიცოცხლო მნიშვნელობას, რომელიც მას უეჭველად აქვს პროლეტარული რევოლუციისათვის. ცნობილია, რომ გლეხობის საკითხის სერიოზული დამუშავება რუსი მარქსისტების რიგებში დაიწყო სწორედ პირველი რევოლუციის (1905 წ.) წინახანებში, როდესაც ცარიზმის დამხობისა და პროლეტარიატის ჰეგემონიის გატარების საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა პარტიის წინაშე, ხოლო მომავალ ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატის მოკავშირის საკითხმა სასიცოცხლო ხასიათი მიიღო. ცნობილია აგრეთვე, რომ რუსეთში გლეხობის საკითხს უფრო მეტი აქტუალური ხასიათი მიეცა პროლეტარული რევოლუციის დროს, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურის, მისი მოპოვებისა და შენარჩუნების საკითხმა წამოაყენა მომავალ პროლეტარულ რევოლუციაში პროლეტარიატის მოკავშირეების საკითხი. ეს გასაგებიც არის: ვინც მიისწრაფის და ემზადება ძალაუფლების დასაპყრობად, იმას არ შეიძლება არ აინტერესებდეს თავისი ნამდვილი მოკავშირეების საკითხი.

ამ აზრით გლეხობის საკითხი წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის საერთო საკითხის ნაწილს და, როგორც ასეთი, იგი ლენინიზმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სასიცოცხლო საკითხია.

II ინტერნაციონალის პარტიების გულგრილი ანდა პირდაპირ უარყოფითი დამოკიდებულება გლეხობის საკითხისადმი აიხსნება

არა მარტო განვითარების თავისებური პირობებით დასავლეთში. ეს აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ ამ პარტიებს არა სწამთ პროლეტარული დიქტატურა, ეშინიათ რევოლუციისა და არ ფიქრობენ წაიყვანონ პროლეტარიატი ძალაუფლებისაკენ. ხოლო ვისაც რევოლუციის ეშინია, ვისაც არ სურს წაიყვანოს პროლეტარები ძალაუფლებისაკენ, იმას არ შეიძლება აინტერესებდეს რევოლუციაში პროლეტარიატის მოკავშირეების საკითხი, — მისთვის მოკავშირეების საკითხი მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობასა და აქტუალობას. II ინტერნაციონალის გმირების ირონიული დამოკიდებულება გლეხობის საკითხისადმი ითვლება მათში კარგი ტონის ნიშნად, «ნამდვილი» მარქსიზმის ნიშნად. ნამდვილად კი ამაში ოპტისოდენა მარქსიზმიც არ არის, ვინაიდან გულგრილი დამოკიდებულება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხისადმი, როგორიც არის გლეხობის საკითხი, პროლეტარიატის რევოლუციის წინადღით წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფის შებრუნებულ მხარეს, მარქსიზმისადმი პირდაპირი ღალატის უეჭველ ნიშანს.

საკითხი ასე დგას: **უკვე ამოწურულია თუ არა** რევოლუციური შესაძლებლობანი, რომლებიც მოიპოვება გლეხობის წიაღში, მისი არსებობის განსაზღვრული პირობების გამო, და თუ არ არის ამოწურული, **არის თუ არა იმედი, საფუძველი** — გამოყენებულ იქნან ეს შესაძლებლობანი პროლეტარული რევოლუციის **სასარგებლოდ**, გადაქცეულ იქნას გლეხობა, მისი ექსპლოატირებული უმრავლესობა, ბურჟუაზიის რეზერვიდან, როგორიც ის დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციების დროს იყო და როგორადაც ის ამჟამადაც რჩება, — პროლეტარიატის რეზერვად, მის მოკავშირედ?

ლენინიზმი დადებითად უპასუხებს ამ კითხვაზე, ე. ი. ის აღიარებს გლეხობის უმრავლესობაში რევოლუციური უნარის არსებობას, პროლეტარული დიქტატურის ინტერესებისათვის ამ უნარის გამოყენების შესაძლებლობას.

რუსეთში სამი რევოლუციის ისტორია საკვლევით ადასტურებს ლენინიზმის დასკვნებს ამ საკითხზე.

აქედან პრაქტიკული დასკვნა — მხარი უნდა დავუჭიროთ გლეხობის მშრომელ მასებს მათს ბრძოლაში კაბალისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, მათს ბრძოლაში ჩაგვრისა და სიღატაკისაგან თავის დასაღწევად. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს **ყოველგვარ** გლეხურ მოძრაობას. აქ ლაპარაკია გლეხობის ისეთი მოძრაობისა და ისეთი ბრძოლისათვის მხარდაჭერაზე, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აადვილებს პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომე-

ლიც ასე თუ ისე უშვებს წყალს პროლეტარული რევოლუციის წისქვილს, რომელიც ხელს უწყობს გლეხობის გადაქცევას მუშათა კლასის რეზერვად და მოკავშირედ.

2) **გლეხობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს.** ეს პერიოდი მოიცავს დროს რუსეთის პირველი რევოლუციიდან (1905 წ.) მეორე რევოლუციამდე (1917 წ. თებერვალი) ამ უკანასკნელის ჩათვლით. ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია გლეხობის განთავისუფლება ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენისაგან, გლეხობის **ჩამოცილება** კადეტებისაგან, გლეხობის **შემობრუნება** პროლეტარიატისაკენ, ბოლშევიკების პარტიისაკენ. ამ პერიოდის ისტორია არის ისტორია კადეტების (ლიბერალური ბურჟუაზია) და ბოლშევიკების (პროლეტარიატი) ბრძოლისა გლეხობის მისამხრობად. ამ ბრძოლის ბედი სათათბიროს პერიოდმა გადაწყვიტა, ვინაიდან ოთხი სათათბიროს პერიოდი საგნობრივი გაკვეთილი იყო გლეხობისათვის, ხოლო ამ გაკვეთილმა თვალნათლივ დაანახა გლეხებს, რომ ისინი კადეტებისაგან ვერ მიიღებენ ვერც მიწას, ვერც თავისუფლებას, რომ მეფე სავსებით მემამულეთა მხარეზეა, ხოლო კადეტები მხარს უჭერენ მეფეს, რომ ერთადერთი ძალა, რომლის დახმარებაზე იმედის დამყარება შეიძლება, — ეს არიან ქალაქის მუშები, პროლეტარიატი. იმპერიალისტურმა ომმა მხოლოდ დაადასტურა სათათბიროს პერიოდის გაკვეთილი, დაამთავრა რა გლეხობის ჩამოშორება ბურჟუაზიისაგან, დაამთავრა რა ლიბერალური ბურჟუაზიის იზოლაცია, ვინაიდან ომიანობის წლებმა გამოააშკარავეს იმ იმედების სრული ამაოება, სრული სიყალბე, რომ მიიღებდნენ ზავს მეფისაგან და მისი ბურჟუაზიული მოკავშირეებისაგან. სათათბიროს პერიოდის თვალსაჩინო გაკვეთილების გარეშე პროლეტარიატის ჰეგემონია შეუძლებელი იქნებოდა.

ასე შეიქმნა მუშებისა და გლეხების კავშირი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. ასე დამყარდა პროლეტარიატის ჰეგემონია (ხელმძღვანელობა) ცარიზმის დასამხობად წარმოებულ საერთო ბრძოლაში, ჰეგემონია, რომელმაც მიგვიყვანა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციები (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია), როგორც ცნობილია, სხვა გზით წავიდნენ. იქ რევოლუციაში ჰეგემონია ეკუთვნოდა ლიბერალურ ბურჟუაზიას და არა პროლეტარიატს, რომელიც არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას, და არც შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო თავისი სისუსტის გამო. იქ ბატონყმური წესებისაგან განთავისუფლება გლეხობამ მიიღო არა პროლეტარიატის ხელით,

რომელიც მცირერიცხოვანი და დაურაზმავი იყო, არამედ ბურჟუაზიის ხელით. იქ გლეხობა ძველი წესების წინააღმდეგ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად მიდიოდა. იქ გლეხობა ბურჟუაზიის რეზერვს წარმოადგენდა. ამის გამო იქ რევოლუციამ გამოიწვია ბურჟუაზიის პოლიტიკური წონის უდიდესად გაძლიერება.

რუსეთში, პირიქით, ბურჟუაზიულმა რევოლუციამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგები მოგვცა. რუსეთში რევოლუციას მოჰყვა ბურჟუაზიის, როგორც პოლიტიკური ძალის, არა გაძლიერება, არამედ დასუსტება, მისი პოლიტიკური რეზერვების არა გამრავლება, არამედ მის მიერ ძირითადი რეზერვის დაკარგვა, გლეხობის დაკარგვა. ბურჟუაზიულმა რევოლუციამ რუსეთში პირველ რიგში წამოაყენა არა ლიბერალური ბურჟუაზია, არამედ რევოლუციური პროლეტარიატი და მის გარშემო დარაზმა მრავალმილიონიანი გლეხობა.

სწორედ ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუცია შედარებით მალე გადაიზარდა პროლეტარულ რევოლუციად. პროლეტარიატის ჰეგემონია იყო ჩანასახი და გარდამავალი საფეხური პროლეტარიატის დიქტატურისაკენ.

რით აიხსნება რუსეთის რევოლუციის ეს თავისებური მოვლენა, რომელსაც არა აქვს პრეცედენტი დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციების ისტორიაში? საიდან გაჩნდა ეს თავისებურება?

ეს იმით აიხსნება, რომ რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია გაიშალა კლასობრივი ბრძოლის უფრო განვითარებულ პირობებში, ვიდრე დასავლეთში, რომ რუსეთის პროლეტარიატი ამ დროისათვის უკვე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა, მაშინ როდესაც პროლეტარიატის რევოლუციურობით დამფრთხალმა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ დაკარგა რევოლუციურობის ყოველგვარი ნასახი (განსაკუთრებით 1905 წ. გაკვეთილების შემდეგ) და პირი იბრუნა მეფესთან და მემამულეებთან კავშირისაკენ რევოლუციის წინააღმდეგ, მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებებს, რომლებმაც განსაზღვრეს რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის თავისებურება:

ა) რუსეთის მრეწველობის არაჩვეულებრივი კონცენტრაცია რევოლუციის წინახანებში. ცნობილია, მაგალითად, რომ რუსეთის მუშების მთელი რაოდენობის 54% მუშაობდა საწარმოებში, სადაც 500-ზე მეტი მუშა იყო, მაშინ როდესაც ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიც არის ჩრდილოეთი ამერიკა. ანალოგიურ საწარმოებში მუშაობდა მუშების მთელი რაოდენობის სულ 33%. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ მარტო ეს გარემოებაც

კი, ისეთი რევოლუციური პარტიის არსებობის დროს, როგორიცაა ბოლშევიკების პარტია, რუსეთის მუშათა კლასს ქვეყნის პოლიტი-კური ცხოვრების უდიდეს ძალად ხდიდა.

ბ) ექსპლოატაციის უმსგავსი ფორმები საწარმოებში პლუს მეფის მსახურების აუტანელი პოლიციური რეჟიმი, — გარემოება, რომელიც მუშების ყოველ სერიოზულ გაფიცვას აქცევდა უდიდეს პოლიტიკურ აქტად და აკაჟებდა მუშათა კლასს, როგორც ბოლომდე რევოლუციურ ძალას.

გ) რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური სიძაბუნე, რომელიც 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გადაიქცა ცარიზმის მსახურობად და პირდაპირ კონტრრევოლუციურობად, რაც აიხსნება არა მარტო რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურობით, რომელმაც რუსეთის ბურჟუაზია ცარიზმის მხარეზე გადაისროლა, არამედ იმ გარემოებითაც, რომ ეს ბურჟუაზია პირდაპირ დამოკიდებული იყო საბაზინო შეკვეთებზე.

დ) ბატონყმური წესწყობილების ყოვლად უმსგავსი და ყოვლად აუტანელი გადმონაშთების არსებობა სოფლად, რასაც ერთვოდა მემამულის ყოვლისშემძლეობა, — გარემოება, რომელმაც გლეხობა მოაქცია რევოლუციის ბანაკში.

ე) ცარიზმი, რომელიც აბშობდა ყოველივე ცოცხალს და თავისი თვითნებობით აძლიერებდა ჩაგვრას კაპიტალისტისა და მემამულის მხრით, — გარემოება, რომელმაც მუშებისა და გლეხების ბრძოლა გააერთიანა ერთ რევოლუციურ ნიაღვრად.

ვ) იმპერიალისტური ომი, რომელმაც რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ყველა ეს წინააღმდეგობა შეაერთა ღრმა რევოლუციურ კრიზისად და უაღრესად გააძლიერა რევოლუციის შეტევითი ძალა.

საით უნდა წასულიყო გლეხობა ასეთ პირობებში? ვისთან უნდა ეძებნა დახმარება მემამულის ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ, მეფის თვითნებობის წინააღმდეგ, დამღუპველი ომის წინააღმდეგ, რომელიც აჩანაგებდა მის მეურნეობას? ლიბერალურ ბურჟუაზიასთან? მაგრამ ის ხომ მტერია, — ამას ადასტურებდა ოთხივე სათათბიროს ხანგრძლივი გამოცდილება. ესერებთან? ესერები, რა თქმა უნდა, კადეტებზე «უკეთესნი» არიან, მათი პროგრამაც «შესაფერისია», თითქმის გლეხურია, მაგრამ რის მოცემა შეუძლიათ ესერებს, როდესაც ისინი ფიქრობენ დაეყრდნონ მხოლოდ გლეხებს და როდესაც ისინი სუსტნი არიან ქალაქში, სადაც, პირველ ყოვლისა, კრებს თავის ძალას მოწინააღმდეგე? სად არის ის ახალი ძალა, რომელიც არაფრის წინაშე არ შეჩერდება არც სოფლად, არც ქალაქად, რომელიც თამამად ჩადგება პირველ რიგებში მეფისა და მემამულის

წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ხელს შეუწყობს გლეხობას — თავი დააღწიოს კაბალას, უმიწობას, ჩაგვრასა და ომს? იყო თუ არა, საერთოდ, ასეთი ძალა რუსეთში? დიახ, იყო. ეს იყო რუსეთის პროლეტარიატი, რომელმაც ჯერ კიდევ 1905 წელს გამოააშკარავა თავისი ძალა, თავისი უნარი ბოლომდე ბრძოლისა, თავისი გამბედაობა, თავისი რევოლუციურობა.

ყოველ შემთხვევაში, სხვა ასეთი ძალა არ არსებობდა, და მისი გამონახვაც შეუძლებელი იყო.

აი რატომ იყო, რომ გლეხობა, როდესაც კადეტებს ჩამოშორდა და ესერებს მიემხრო, ამასთან ერთად დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო დამორჩილებოდა რევოლუციის ისეთი მამაცი ბელადის ხელმძღვანელობას, როგორიც იყო რუსეთის პროლეტარიატი.

ასეთია ის გარემოებანი, რომლებმაც განსაზღვრეს რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის თავისებურება.

3) **გლეხობა პროლეტარული რევოლუციის დროს.** ეს პერიოდი მოიცავს დროს თებერვლის რევოლუციიდან (1917 წ.) ოქტომბრის რევოლუციამდე (1917 წ.). ეს პერიოდი შედარებით ხანმოკლეა, სულ რვა თვეს გრძელდება, — მაგრამ ეს რვა თვე, მასების პოლიტიკური განათლებისა და რევოლუციური აღზრდის თვალსაზრისით, თამამად შეიძლება გავუთანასწოროთ ჩვეულებრივი კონსტიტუციური განვითარების მთელ ათეულ წლებს, ვინაიდან ეს ნიშნავდა **რევოლუციის** რვა თვეს. ამ პერიოდის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს გლეხობის შემდგომი გარევოლუციურება, ესერებზე დამყარებული იმედების გაცრუება, გლეხობის **ჩამოცილება** ესერებისაგან, გლეხობის ახალი **შემობრუნება** პროლეტარიატის, როგორც ისეთი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური ძალის, გარშემო **პირდაპირი დარაზმვისაკენ**, რომელსაც შეეძლო ზავამდე მიეყვანა ჩვენი ქვეყანა. ამ პერიოდის ისტორია არის ისტორია ესერების (წვრილბურჟუაზიული დემოკრატია) და ბოლშევიკების (პროლეტარული დემოკრატია) ბრძოლისა გლეხობისათვის, გლეხობის უმრავლესობის მიმხრობისათვის. ამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს კოალიციურმა პერიოდმა, კერენშჩინის პერიოდმა, ესერებისა და მენშევიკების მიერ უარის თქმამ მემამულეთა მიწის კონფისკაციაზე, ესერებისა და მენშევიკების ბრძოლამ ომის განგრძობისათვის, ივნისის შეტევამ ფრონტზე, ჯარისკაცებისათვის სიკვდილით დასჯის შემოღებამ, კორნილოვის აჯანყებამ.

თუ მანამდე, წინა პერიოდში, რევოლუციის ძირითად საკითხს წარმოადგენდა მეფისა და მემამულეთა ძალაუფლების დამხობა, ახლა, თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში, როდესაც

მეფე უკვე აღარ იყო, ხოლო დაუსრულებელმა ომმა ჩაკლა ქვეყნის მეურნეობა, საბოლოოდ გააჩანაგა გლეხობა, — რევოლუციის ძირითად საკითხად იქცა ომის ლიკვიდაციის საკითხი. სიმძიმის ცენტრი წმინდა საშინაო ხასიათის საკითხებიდან აშკარად გადავიდა ძირითად საკითხზე — ომის საკითხზე. «ბოლო მოვუღოთ ომს», «თავი დავაღწიოთ ომს», — ასეთი იყო საერთო ძახილი გატანჯული ქვეყნისა და, უწინარეს ყოვლისა, გლეხობისა.

მაგრამ ომისაგან თავის დასაღწევად აუცილებელი იყო დროებითი მთავრობის ჩამოგდება, აუცილებელი იყო ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა, აუცილებელი იყო ესერებისა და მენშევიკების ძალაუფლების დამხობა, რადგან ისინი და მხოლოდ ისინი აპიანურებდნენ ომს «ძლევამოსილ დასრულებამდე». ომისაგან თავის დაღწევის სხვა გზა, თუ არა ბურჟუაზიის დამხობით, პრაქტიკაში არ აღმოჩნდა.

ეს იყო ახალი რევოლუცია, რევოლუცია პროლეტარული, ვინაიდან ის აგდებდა ხელისუფლებიდან იმპერიალისტური ბურჟუაზიის უკანასკნელ, უკიდურეს მემარცხენე ფრაქციას — ესერებისა და მენშევიკების პარტიას, რათა შეექმნა ახალი, პროლეტარული ძალაუფლება, საბჭოების ძალაუფლება, რათა ხელისუფლების სათავეში დაეყენებინა რევოლუციური პროლეტარიატის პარტია, ბოლშევიკების პარტია, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ დემოკრატიული ზავისათვის რევოლუციური ბრძოლის პარტია. გლეხობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მუშების ბრძოლას ზავისათვის, საბჭოების ძალაუფლებისათვის.

სხვა გამოსავალი გლეხობას არ ჰქონდა. სხვა გამოსავალი არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამრიგად, კერენსკინის პერიოდი უდიდესი საგნობრივი გაკვეთილი იყო გლეხობის მშრომელი მასებისათვის, ვინაიდან მან თვალსაჩინოდ ცხადყო, რომ ესერებისა და მენშევიკების ხელისუფლების დროს ქვეყანა თავს ვერ დააღწევდა ომს, გლეხობა ვერ ეღირსებოდა ვერც მიწას, ვერც თავისუფლებას, რომ მენშევიკები და ესერები კადეტებისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ ტკბილი სიტყვებით და ცრუ დაპირებებით, ნამდვილად კი ატარებდნენ იმავე იმპერიალისტურ, კადეტურ პოლიტიკას, რომ ერთადერთი ხელისუფლება, რომელსაც უნარი შესწევს ქვეყანა გზაზე დააყენოს, შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოების ხელისუფლება. ომის შემდგომი გაჭიანურება მხოლოდ ადასტურებდა ამ გაკვეთილის სისწორეს, აჩქარებდა რევოლუციას და მიაქანებდა გლეხთა და ჯარისკაცთა მილიონნიან მასებს პროლეტარული რევოლუციის გარშემო **პირდაპირი დარაზმ-**

ვისაკენ. ესერებისა და მენშევიკების იზოლაცია უცილობელ ფაქტად იქცა. კოალიციური პერიოდის თვალსაჩინო გაკვეთილების გარეშე პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელი იქნებოდა.

ასეთია ის გარემოებანი, რომლებმაც გააადვილეს ბურჟუაზიული რევოლუციის პროლეტარულ რევოლუციად გადაზრდის პროცესი.

ასე შეიქმნა პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში.

4) **გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ.** თუ წინათ, რევოლუციის პირველ პერიოდში, საქმე, უმთავრესად, ცარიზმის დამხობას შეეხებოდა, ხოლო მერე, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, საკითხი იდგა, უწინარეს ყოვლისა, ბურჟუაზიის დამხობის საშუალებით იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის შესახებ, — ახლა, სამოქალაქო ომის ლიკვიდაციისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, — პირველ რიგში წამოიჭრა სამეურნეო მშენებლობის საკითხები. ნაციონალიზებული ინდუსტრიის გაძლიერება და განვითარება; ამისათვის ინდუსტრიის დაკავშირება გლეხურ მეურნეობასთან ვაჭრობის საშუალებით, რომელსაც სახელმწიფო აწესრიგებს; სასურსათო გაწერის შეცვლა სასურსათო გადასახადით, რათა შემდეგ, სასურსათო გადასახადის ოდენობის თანდათან შემცირებით, საქმე მიყვანილ იქნას ინდუსტრიის ნაწარმის გადაცვლამდე გლეხური მეურნეობის პროდუქტებზე; ვაჭრობის გამოცოცხლება და კოოპერაციის განვითარება, ამ უკანასკნელში მილიონობით გლეხების ჩაბმით, — აი როგორ ხატავდა ლენინი სამეურნეო მშენებლობის მორიგ ამოცანებს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგების გზაზე.

ამბობენ, რომ ეს ამოცანა შეიძლება დაუძლეველი აღმოჩნდეს ისეთი გლეხური ქვეყნისათვის, როგორიც რუსეთია. ზოგიერთი სკეპტიკოსი იმასაც კი ამბობს, რომ ეს ამოცანა პირდაპირ უტოპიურია, განუხორციელებელია, რადგან გლეხობა არის გლეხობა, — ის შესდგება წვრილ მწარმოებელთაგან, და ამიტომ შეუძლებელია მისი გამოყენება სოციალისტური წარმოების საძირკვლის ორგანიზაციისათვისო.

მაგრამ სკეპტიკოსები ცდებიან, ვინაიდან ისინი არ ითვალისწინებენ ზოგიერთ გარემოებას, რომელთაც ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. განვიხილოთ უმთავრესნი მათ შორის.

ჯერ-ერთი. არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ საბჭოთა კავშირის გლეხობა და დასავლეთის გლეხობა. გლეხობა, რომელსაც გაუვლია სამი რევოლუციის სკოლა, რომელიც იბრძოდა მეფისა და ბურჟუაზიული ხელისუფლების წინააღმდეგ პროლეტარიატთან ერთად და პროლეტარიატის მეთაურობით, გლეხობა, რომელმაც პროლეტარუ-

ლი რევოლუციის ხელით მიიღო მიწა და ზავი და ამის გამო პროლეტარიატის რეზერვი გახდა, — ეს გლეხობა არ შეიძლება არ განსხვავდებოდეს იმ გლეხობისაგან, რომელიც ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ლიბერალური ბურჟუაზიის მეთაურობით იბრძოდა, რომელმაც ამ ბურჟუაზიის ხელით მიიღო მიწა და ამის გამო ბურჟუაზიის რეზერვი გახდა. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ საბჭოთა გლეხობა, რომელიც მიჩვეულია პროლეტარიატთან პოლიტიკური მეგობრობისა და პოლიტიკური თანამშრომლობის დაფასებას და რომელმაც თავისუფლება მიიღო ამ მეგობრობისა და ამ თანამშრომლობის მეოხებით, — არ შეიძლება არ შეადგენდეს განსაკუთრებით ხელსაყრელ მასალას პროლეტარიატთან ეკონომიური თანამშრომლობისათვის.

ენგელსი ამბობდა, რომ «სოციალისტური პარტიის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა ახლო მომავლის საქმედ იქცა», რომ «იმისათვის, რომ ეს ძალაუფლება დაიპყროს, პარტია ჯერ ქალაქიდან სოფელში უნდა წავიდეს და გახდეს ძლიერი სოფლად» (იხ. ენგელსის «გლეხთა საკითხი», 1922 წ. გამ.). ის წერდა ამას გასული საუკუნის 90-იან წლებში, მხედველობაში ჰყავდა რა დასავლეთის გლეხობა. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ რუსმა კომუნისტებმა, რომლებმაც სამი რევოლუციის განმავლობაში ამ მიმართულებით კოლოსალური მუშაობა ჩაატარეს, უკვე მოიპოვეს სოფლად ისეთი გავლენა და ისეთი დასაყრდენი, როგორზედაც ჩვენი დასავლეთელი ამხანაგები ოცნებასაც კი ვერ ბედავენ? როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ გარემოებას არ შეუძლია არსებითად არ გააადვილოს რუსეთში მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიური თანამშრომლობის მოგვარების საქმე?

სკეპტიკოსებს დაუჩემებიათ ლაპარაკი წვრილ გლეხებზე, როგორც ისეთ ფაქტორზე, რომელიც შეუთავსებელია სოციალისტურ მშენებლობასთან. მაგრამ მოისმინეთ, რას ამბობს ენგელსი დასავლეთის წვრილ გლეხებზე:

«ჩვენ გადაჭრით ვდგავართ წვრილი გლეხის მხარეზე; ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, იმისათვის, რომ მან უფრო კარგად იცხოვროს, რომ მას გაუადვილდეს ამხანაგობაზე გადასვლა იმ შემთხვევაში, თუ ის ამას გადაწყვეტს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ის ჯერ კიდევ ვერ შესძლებს მიიღოს ეს გადაწყვეტილება, ჩვენ შევეცდებით მივცეთ მას რაც შეიძლება მეტი დრო — მოიფიქროს ეს თავის პატარა ნაკვეთზე. ჩვენ ასე მოვიქცევით არა მარტო იმიტომ, რომ შესაძლებლად მიგვაჩნია დამოუკიდებლად მომუშავე წვრილი გლეხის გადმოსვლა ჩვენს მხარეზე, არამედ აგრეთვე უშუალო პარტიული ინტერესებისთვისაც. რაც უფრო მეტი იქნება ისეთი გლეხების რიცხვი, რომლებსაც ჩვენ საშუალებას მივცემთ არ ჩავარდნენ პროლეტარების მდგომარეობაში დ»

რომლებსაც გადმოვიყვანთ ჩვენს მხარეზე ჯერ კიდევ როგორც გლეხებს, მით უფრო ჩქარა და ადვილად მოხდება საზოგადოებრივი გარდაქმნა. ჩვენთვის უსარგებლო იქნება ასეთ გარდაქმნას დაველოდოთ იმ დრომდე, სანამ კაპიტალისტური წარმოება ყველგან თავისი განვითარების უკიდურეს შედეგებს მიაღწევდეს, სანამ უკანასკნელი წვრილი ხელოსანიც და უკანასკნელი წვრილი გლეხიც მსხვილი კაპიტალისტური წარმოების მსხვერპლი გახდებოდეს. მატერიალური მსხვერპლი, რომლის გაღებაც საჭირო გახდება ამ აზრით გლეხების სასარგებლოდ საზოგადოებრივი საშუალებებიდან, კაპიტალისტური ეკონომიკის თვალსაზრისით შეიძლება გადაყრილ ფულად იქნეს მიჩნეული, მაშინ როდესაც ეს არის კაპიტალის საუკეთესო გამოყენება, იმიტომ, რომ შესაძლოა, ამ მსხვერპლმა დაზოგოს ათჯერ უფრო მეტი თანხები მთლიანად საზოგადოებრივი გარდაქმნისათვის ხარჯების გაწევის დროს. მაშასადამე, ამ აზრით გლეხების მიმართ ჩვენ შეგვიძლია დიდად გულუხვნი ვიყოთ» (იხ. იქვე).

ასე ამბობდა ენგელსი, მხედველობაში ჰყავდა რა დასავლეთის გლეხობა. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ არსად არ შეიძლება ენგელსის ნათქვამის ისე ადვილად და სავსებით განხორციელება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში? განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ საბჭოთა რუსეთში შეიძლება ახლავე და სავსებით გატარდეს ცხოვრებაში «დამოუკიდებლად მომუშავე წვრილი გლეხის გადმოსვლაც ჩვენს მხარეზე», ამისათვის აუცილებელი «მატერიალური მსხვერპლის გაღებაც» და ამისათვის საჭირო «გულუხვობაც გლეხების მიმართ», რომ ასეთი და ამის მსგავსი ღონისძიებანი გლეხების სასარგებლოდ უკვე ტარდება რუსეთში? როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ გარემოებამ, თავის მხრივ უნდა გააადვილოს და წინ წასწიოს საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის საქმე?

მეორე. არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ რუსეთის სოფლის მეურნეობა და დასავლეთის სოფლის მეურნეობა. იქ სოფლის მეურნეობის განვითარება მიმდინარეობს კაპიტალიზმის ჩვეულებრივი ხაზით, გლეხობის ღრმა დიფერენციაციის პირობებში, მსხვილი მამულებით და კერძო-კაპიტალისტური ლატიფუნდიებით ერთ პოლუსზე, ხოლო პაუპერიზმით, სიღატაკითა და დაქირავებული მონობით — მეორეზე. ამის გამო იქ სავსებით ბუნებრივია რღვევა და დაშლა. სულ სხვაა რუსეთში. ჩვენში სოფლის მეურნეობის განვითარება ამ გზით ვერ წავა თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობა და წარმოების ძირითად იარაღთა და საშუალებათა ნაციონალიზაცია გამორიცხავენ ასეთ განვითარებას. რუსეთში სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა წავიდეს სხვა გზით, მილიონობით წვრილი და საშუალო გლეხების კოოპერირების გზით, სოფლად მასობრივი კოოპერაციის განვითარების გზით, რასაც სახელმწიფო ხელს უწყობს შეღავათიანი კრედიტის მიწოდებით.

ლენინმა მართებულად აღნიშნა სტატიებში კოოპერაციის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენში უნდა წავიდეს ახალი გზით, კოოპერაციის მეოხებით სოციალისტურ მშენებლობაში გლეხთა უმრავლესობის ჩაბმის გზით, სოფლის მეურნეობაში კოლექტივიზმის საფუძველთა თანდათანობით დანერგვის გზით, ჯერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების დარგში, ხოლო შემდეგ — მათი წარმოების დარგში.

მეტად საინტერესოა ამ მხრივ ზოგიერთი ახალი მოვლენა სოფლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ «სელსკოსოიუზის» შიგნით წარმოიშვნენ ახალი დიდი ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიხედვით, — სელის, კარტოფილის, ერბო-კარაქისა და სხვა ორგანიზაციები, რომელთაც დიდი მომავალი აქვთ. მათ შორის, მაგალითად, «ლნოცენტრი» აერთიანებს სელის მომყვანი გლეხების საწარმოო ამხანაგობათა მთელ ქსელს. «ლნოცენტრი» იმაზე მუშაობს, რომ ამარაგებს გლეხებს თესლითა და წარმოების იარაღებით, შემდეგ იმავე გლეხებისაგან ყიდულობს სელის მთელ პროდუქციას და ასაღებს მას ბაზარზე მასობრივი მასშტაბით; უზრუნველყოფს გლეხების მონაწილეობას მოგებაში და, ამრიგად, აკავშირებს გლეხურ მეურნეობას «სელსკოსოიუზის» მეშვეობით სახელმწიფო მრეწველობასთან. რა უნდა ვუწოდოთ წარმოების ორგანიზაციის ასეთ ფორმას? ჩემი აზრით, ეს არის მსხვილი სახელმწიფო-სოციალისტური წარმოების საშინაო სისტემა სოფლის მეურნეობის დარგში. მე ვლაპარაკობ აქ სახელმწიფო-სოციალისტური წარმოების საშინაო სისტემაზე კაპიტალიზმის საშინაო სისტემასთან ანალოგიით, ვთქვათ, საფეიქრო წარმოების დარგში, სადაც შინამრეწველნი კაპიტალისტისაგან ღებულობდნენ ნედლეულსა და იარაღებს და მასვე აბარებდნენ მთელ თავიანთ პროდუქციას, რის გამოც ფაქტიურად შინმომუშავე ნახევრად დაქირავებული მუშები იყვნენ. ეს არის მრავალთაგან ერთ-ერთი მაჩვენებელი იმისა, თუ რა გზით უნდა წავიდეს სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენში. აღარაფერს ვამბობ აქ სხვა ასეთსავე მაჩვენებლებზე სოფლის მეურნეობის დანარჩენ დარგებში.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ გლეხობის უდიდესი უმრავლესობა ხალისით დაადგება განვითარების ამ ახალ გზას და უკუაგდებს კერძო-კაპიტალისტური ლატიფუნდიებისა და დაქირავებული მონობის გზას, სიღატაკისა და გაჩანაგების გზას.

აი რას ამბობს ლენინი ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების გზების შესახებ:

«სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოების ყველა მსხვილ საშუალებაზე, სახელმწიფოს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხთან, გლეხობის მიმართ ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვ., — განა ეს არ არის ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაციიდან, მარტოოდენ კოოპერაციიდან, რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით, როგორც ჩარჩულს, და რომელიც ერთგვარად უფლება გვაქვს აბუჩად ავიგდოთ ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროსაც, განა ეს არ არის ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის? ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის ყველაფერი, რაც აუცილებელი და საკმაოა ამ აშენებისათვის» (იხ. ტ. XXVII, გვ. 392).

ლაპარაკობს რა შემდეგ ფინანსური და სხვაგვარი დახმარების აუცილებლობაზე კოოპერაციისათვის, როგორც «მოსახლეობის ორგანიზაციის ახალი პრინციპისათვის» და ახალი «საზოგადოებრივი წყობილებისათვის» პროლეტარიატის დიქტატურის დროს, ლენინი განაგრძობს:

«ყოველი საზოგადოებრივი წყობილება წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრული კლასის ფინანსური დახმარებით. საჭირო არ არის გახსენება იმ ასეული და ასეული მილიონი მანეთისა, რაც დაჯდა «თავისუფალი» კაპიტალიზმის დაბადება. ახლა ჩვენ უნდა შევიგნოთ და განვახორციელოთ საქმით, რომ ამჟამად ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც ჩვეულებრივზე უფრო მეტად უნდა დავეხმაროთ, არის კოოპერაციული წყობილება. მაგრამ საჭიროა მას დავეხმაროთ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ე. ი. საკმარისი არ არის ამ დახმარებაში ვიგულისხმოთ ყოველი სახის კოოპერაციული ბრუნვისათვის დახმარება, — ამ დახმარებაში უნდა ვიგულისხმოთ ხელის შეწყობა ისეთი კოოპერაციული ბრუნვისათვის, რომელშიც ნამდვილად იღებენ მონაწილეობას მოსახლეობის ნამდვილი მასები» (იხ. იქვე, გვ. 393).

რას გვეუბნება ყველა ეს გარემოება?

იმას, რომ სკეპტიკოსები მართალი არ არიან.

იმას, რომ მართალია ლენინიზმი, რომელსაც გლეხობის მშრომელი მასები პროლეტარიატის რეზერვად მიაჩნია.

იმას, რომ ხელისუფლების სათავეში მყოფ პროლეტარიატს შეუძლია გამოიყენოს და მან უნდა გამოიყენოს კიდეც ეს რეზერვი იმისათვის, რომ მჭიდროდ დაუკავშიროს ერთიმეორეს ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა, მაღლა ასწიოს სოციალისტური მშენებლობა და ამოიყვანოს პროლეტარიატის დიქტატურის ის აუცილებელი საძირკველი, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალისტურ ეკონომიკაზე გადასვლა.

VI

ნაციონალური საკითხი

ამ თემიდან მე ვიღებ ორ მთავარ საკითხს:

ა) საკითხის დაყენება,

ბ) ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა და პროლეტარული რევოლუცია.

1) **საკითხის დაყენება.** ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ნაციონალურმა საკითხმა მთელი რიგი მეტად სერიოზული ცვლილებები განიცადა. ნაციონალური საკითხი II ინტერნაციონალის პერიოდში და ნაციონალური საკითხი ლენინიზმის პერიოდში სრულიადაც არ არის ერთი და იგივე. ისინი დიდად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან არა მარტო მოცულობით, არამედ თავისი შინაგანი ხასიათითაც.

წინათ ნაციონალური საკითხი ჩვეულებრივ იფარგლებოდა საკითხთა ვიწრო რკალით, რომლებიც ეხებოდა, უმთავრესად, «კულტურულ» ეროვნებებს. ირლანდიელები, უნგრელები, პოლონელები, ფინელები, სერბიელები და ევროპის ზოგიერთი სხვა ეროვნება — აი ის წრე არასრულუფლებიანი ერებისა, რომელთა ბედიც აინტერესებდათ II ინტერნაციონალის მოღვაწეებს. აზიისა და აფრიკის ხალხთა ათეული და ასეული მილიონები, რომლებიც განიცდიან ეროვნულ ჩაგვრას უაღრესად უხეში და უსასტიკესი ფორმით, ჩვეულებრივ მხედველობის გარეთ იყო დატოვებული. თეთრკანიანებისა და შავკანიანების, «კულტურული» და «უკულტურო» ერების ერთად დაყენებას ვერ ბედავდნენ. ორი-სამი უშინაარსო და ტკბილ-მჟავე რეზოლუცია, რომლებიც გულმოდგინედ უხვევდნენ გვერდს კოლონიების განთავისუფლების საკითხს, — აი ყველაფერი, რაც შეეძლოთ დაეტრაბახნათ II ინტერნაციონალის მოღვაწეებს. ამჟამად ეს ორპოფობა და ნახევრულობა ნაციონალურ საკითხში მოსპობილად უნდა ჩაითვალოს. ლენინიზმმა გამოამჟღავნა ეს აღმაშფოთებელი შეუსაბამობა, დაანგრია კედელი თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის, ევროპელებსა და აზიელებს შორის, იმპერიალიზმის «კულტურულ» და «უკულტურო» მონებს შორის და, ამრიგად, ნაციონალური საკითხი დაუკავშირა კოლონიების საკითხს. ამით ნაციონალური საკითხი კერძო და შინასახელმწიფოებრივი საკითხიდან გადაქცეულ იქნა ზოგად და საერთაშორისო საკითხად, მსოფლიო საკითხად იმპერიალიზმის უღლისაგან დამოკიდებული ქვეყნებისა და კოლონიების ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების შესახებ.

წინათ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს ჩვეულებრივ არასწორად განმარტავდნენ, ხშირად ამ პრინციპს ერთა ავტონომიის უფლებით ფარგლავდნენ. II ინტერნაციონალის ზოგიერთი ლიდერი იქამდეც კი მივიდა, რომ თვითგამორკვევის უფლება მათ გადააქციეს კულტურული ავტონომიის უფლებად, ე. ი. ჩაგრული ერების უფლებად — იქონიონ თავიანთი კულტურული დაწესებულებანი, ამასთან მთელ პოლიტიკურ ძალაუფლებას ისინი გაბატონებული ერის ხელში ტოვებენ. ეს გარემოება იმას იწვევდა, რომ თვითგამორკვევის იდეას მოელოდა საფრთხე — ანექსიების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღიდან ანექსიების გამართლების იარაღად გადაქცეულიყო. ახლა ეს აბნეულობა დაძლეულად უნდა ჩაითვალოს. ლენინიზმმა გააფართოვა თვითგამორკვევის ცნება, განმარტა რა იგი, როგორც დამოკიდებული ქვეყნებისა და კოლონიების ჩაგრულ ხალხთა სრული გამოყოფის უფლება, როგორც ერების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება. ამით გამორიცხულ იქნა შესაძლებლობა ანექსიების გამართლებისა თვითგამორკვევის უფლების, როგორც ავტონომიის უფლების, განმარტების გზით. ამრიგად, თვითონ თვითგამორკვევის პრინციპი მასების მოტყუების იარაღიდან, რასაც ის უეჭველად წარმოადგენდა სოციალ-შოვინისტების ხელში იმპერიალისტური ომის დროს, გადაქცეულ იქნა ყველა და ყოველგვარი იმპერიალისტური ზრახვებისა და შოვინისტური მაქინაციების მამხილებელ იარაღად, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მასების პოლიტიკური განათლების იარაღად.

წინათ ჩაგრულ ერთა საკითხს ჩვეულებრივ იხილავდნენ, როგორც წმინდა უფლებრივ საკითხს. «ნაციონალური თანასწორუფლებიანობის» საზეიმო აღიარება, უამრავი დეკლარაციები «ერთა თანასწორობის» შესახებ, — აი რით იქცევდნენ თავს II ინტერნაციონალის პარტიები, რომელნიც ჩქმალავდნენ იმ ფაქტს, რომ «ერთა თანასწორობა» იმპერიალიზმის დროს, როდესაც ერების ერთი ჯგუფი (უმცირესობა) ცხოვრობს ერების მეორე ჯგუფის ექსპლოატაციის ხარჯზე, წარმოადგენს ჩაგრული ერების აბუჩად აგდებას. ახლა ეს ბურჟუაზიულ-უფლებრივი თვალსაზრისი ნაციონალურ საკითხში მხილებულად უნდა ჩაითვალოს. ლენინიზმმა ნაციონალური საკითხი მაღალფარდოვანი დეკლარაციების მწვერვალებიდან ჩამოიტანა მიწაზე და განაცხადა, რომ დეკლარაციები «ერთა თანასწორობის» შესახებ, თუ მათ ზურგს არ უმაგრებენ პროლეტარული პარტიები ჩაგრული ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის პირდაპირი დახმარებით, ლიტონი და ყალბი დეკლარაციებია. ამით ჩაგრულ ერთა საკითხი გადაიქცა ჩაგრული ერებისათვის მხარდა-

ჭერის, დახმარების, ნამდვილი და მუდმივი დახმარების გაწევის საკითხად მათს ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთა ნამდვილი თანასწორობისა და მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობისათვის.

წინათ ნაციონალურ საკითხს იხილავდნენ რეფორმისტულად, როგორც ცალკეულ დამოუკიდებელ საკითხს, კაპიტალის ბატონობის, იმპერიალიზმის დამხობის, პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხთან დაუკავშირებლად. მდუმარედ იგულისხმებოდა, რომ პროლეტარიატის გამარჯვება ევროპაში შესაძლებელია კოლონიების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან პირდაპირი კავშირის გარეშე, რომ ნაციონალურ-კოლონიური საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია ჩუმად, «თვითდინებით», პროლეტარული რევოლუციის ფართო გზისათვის გვერდის ავლით, იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გარეშე. ახლა ეს ანტირევოლუციური თვალსაზრისი მხილებულად უნდა ჩაითვალოს. ლენინიზმმა დაამტკიცა, ხოლო იმპერიალისტურმა ომმა და რევოლუციამ რუსეთში დაადასტურეს, რომ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციასთან დაკავშირებით და მის ნიადაგზე, რომ დასავლეთში რევოლუციის გამარჯვება მიიმართება იმპერიალიზმის წინააღმდეგ კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან რევოლუციური კავშირის გზით. ნაციონალური საკითხი არის პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის ნაწილი.

საკითხი ასე დგას: **უკვე ამოწურულია თუ არა** რევოლუციური შესაძლებლობანი, რომლებიც მოიპოვება ჩაგრული ქვეყნების რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წიაღში, და თუ არ არის ამოწურული, — არის თუ არა იმედი, საფუძველი — გამოყენებულ იქნან ეს შესაძლებლობანი პროლეტარული რევოლუციის სასარგებლოდ, გადაქცეულ იქნან დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნები იმპერიალისტური ბურჟუაზიის რეზერვიდან რევოლუციური პროლეტარიატის რეზერვად, მის მოკავშირედ?

ლენინიზმი დადებითად უპასუხებს ამ კითხვაზე, ე. ი. ის აღიარებს ჩაგრული ქვეყნების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წიაღში რევოლუციური უნარის არსებობას და მისი გამოყენების შესაძლებლობას საერთო მტრის დასამხობად, იმპერიალიზმის დასამხობად. იმპერიალიზმის განვითარების მექანიკა, იმპერიალისტური ომი და რევოლუცია რუსეთში საკვებით ადასტურებენ ლენინიზმის დასკვნებს ამის შესახებ.

აქედან — «მპყრობელ» ერთა პროლეტარიატის მხრით ჩაგრულ და დამოკიდებულ ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის დახმარების, გადამჭრელი და აქტიური დახმარების აუცილებლობა.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატმა მხარი უნდა დაუჭიროს ყოველგვარ ნაციონალურ მოძრაობას, ყველგან და ყოველთვის, ყოველ ცალკე კონკრეტულ შემთხვევაში. ლაპარაკია ისეთ ნაციონალურ მოძრაობათა მხარდაჭერაზე, რომელნიც მიმართული არიან იმპერიალიზმის დასუსტებისაკენ, მისი დამხობისაკენ, და არა მისი განმტკიცებისა და შენარჩუნებისაკენ. არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული დაჩაგრული ქვეყნების ნაციონალური მოძრაობა ეჯახება პროლეტარული მოძრაობის განვითარების ინტერესებს. თავისთავად ცხადია, ასეთ შემთხვევაში დახმარებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ერების უფლებათა საკითხი არის არა განკერძოებული და თვითკმარი საკითხი, არამედ ის არის პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება მთელს და მოითხოვს მის, ნაწილის, განხილვას მთელის თვალსაზრისით. მარქსი გასული საუკუნის 40-იან წლებში მხარს უჭერდა პოლონელებისა და უნგრელების ნაციონალურ მოძრაობას ჩეხებისა და სამხრეთელი სლავების ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. რატომ? იმიტომ, რომ ჩეხები და სამხრეთელი სლავები მაშინ წარმოადგენდნენ «რეაქციულ ერებს», «რუსეთის ფორპოსტებს» ევროპაში, აბსოლუტიზმის ფორპოსტებს, მაშინ როდესაც პოლონელები და უნგრელები იყვნენ «რევოლუციური ერები», რომლებიც ებრძოდნენ აბსოლუტიზმს. იმიტომ, რომ ჩეხებისა და სამხრეთელი სლავების ნაციონალური მოძრაობისათვის ხელის შეწყობა ნიშნავდა მაშინ არაპირდაპირი დახმარების გაწევას ცარიზმისათვის, რომელიც ევროპის რევოლუციური მოძრაობის ყველაზე უფრო საშიში მტერი იყო.

«დემოკრატიის ცალკეული მოთხოვნები, — ამბობს ლენინი, — მათ შორის თვითგამორკვევა, არის არა აბსოლუტი, არამედ საერთო-დემოკრატიული (ახლა: საერთო-სოციალისტური) მსოფლიო მოძრაობის ნაწილაკი. შესაძლებელია, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში ნაწილაკი ეწინააღმდეგებოდეს მთელს, მაშინ ეს ნაწილაკი უკუგდებულ უნდა იქნას» (იხ. ტ. XIX, გვ. 257 — 258).

ასეა ცალკეულ ნაციონალურ მოძრაობათა, ამ მოძრაობათა შესაძლებელი რეაქციული ხასიათის საკითხის საქმე, თუ, რასაკვირველია, მათ შეეფასებთ არა ფორმალური თვალსაზრისით, არა აბსტრაქტულ უფლებათა თვალსაზრისით, არამედ კონკრეტულად, რევოლუციური მოძრაობის ინტერესთა თვალსაზრისით.

იგივე უნდა ითქვას ნაციონალურ მოძრაობათა რევოლუციურ ხასიათზე საერთოდ. ნაციონალურ მოძრაობათა უდიდესი უმრავლესობის უეჭველი რევოლუციური ხასიათი იმდენადვე შედარებითია და თავისებური, რამდენადაც შედარებითი და თავისებურია ზოგიერთ ცალკეულ ნაციონალურ მოძრაობათა შესაძლებელი რეაქციულობა. ნაციონალური მოძრაობის რევოლუციური ხასიათი იმპერიალისტური ჩაგვრის პირობებში სრულიადაც არ გულისხმობს ამ მოძრაობაში პროლეტარული ელემენტების აუცილებელ არსებობას, მოძრაობის რევოლუციური ან რესპუბლიკური პროგრამის არსებობას, მოძრაობის დემოკრატიული საფუძვლის არსებობას. ავღანელი ემირის ბრძოლა ავღანისტანის დამოუკიდებლობისათვის წარმოადგენს ობიექტურად **რევოლუციურ** ბრძოლას, მიუხედავად ემირისა და მისი თანამებრძოლების შეხედულებათა მონარქისტული ხასიათისა, ვინაიდან ეს ბრძოლა ასუსტებს, არყევს, ძირს უთხრის იმპერიალიზმს, მაშინ როდესაც ისეთი «თავგამოდებული» დემოკრატებისა და «სოციალისტების», «რევოლუციონერებისა» და რესპუბლიკელების ბრძოლა იმპერიალისტური ომის დროს, როგორიც არიან, მაგალითად, კერენსკი და წერეთელი, რენოდელი და შეიდემანი, ჩერნოვი და დანი, ჰენდერსონი და კლაინსი, იყო **რეაქციული** ბრძოლა, ვინაიდან მას შედეგად მოჰყვა იმპერიალიზმის შეფერადება, გამაგრება და გამარჯვება. ეგვიპტის ვაჭრებისა და ბურჟუაზიული ინტელიგენტების ბრძოლა ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის, იმავე მიზეზების გამო, ობიექტურად **რევოლუციური** ბრძოლაა, მიუხედავად ეგვიპტის ნაციონალური მოძრაობის ლიდერთა ბურჟუაზიული წარმოშობისა და ბურჟუაზიული წოდებისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სოციალიზმის წინააღმდეგი არიან; ხოლო ინგლისის «მუშათა» მთავრობის ბრძოლა ეგვიპტის დამოკიდებული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის, იმავე მიზეზების გამო, **რეაქციული** ბრძოლაა, მიუხედავად ამ მთავრობის წევრების პროლეტარული წარმოშობისა და პროლეტარული წოდებისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სოციალიზმის «მომხრენი» არიან. აღარაფერს ვამბობ ნაციონალურ მოძრაობაზე სხვა, უფრო დიდ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, როგორიც არის ინდოეთი და ჩინეთი, რომელთა ყოველი ნაბიჯი განთავისუფლებისაკენ, თუნდაც ის არღვევდეს ფორმალური დემოკრატიის მოთხოვნებს, წარმოადგენს ორთქლით მომუშავე უროს დარტყმას იმპერიალიზმისათვის, ე. ი. უეჭველად **რევოლუციურ** ნაბიჯს.

ლენინი მართალია, როდესაც ამბობს, რომ დაჩაგრული ქვეყნების ნაციონალური მოძრაობა უნდა შეფასდეს არა ფორმალური დემო—

კრატიის თვალსაზრისით, არამედ იმპერიალიზმთან ბრძოლის საერთო ბალანსში ფაქტიური შედეგების თვალსაზრისით, ესე იგი «არა განკერძოებულად, არამედ მსოფლიო მასშტაბით» (იხ. ტ. XIX, გვ. 257).

2) **ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა და პროლეტარული რევოლუცია.** ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის დროს ლენინიზმი გამოდის შემდეგი დებულებებიდან:

ა) მსოფლიო გაყოფილია ორ ბანაკად: ერთი მუჭა ცივილიზებული ერების ბანაკად, რომლებიც ფინანსურ კაპიტალს ფლობენ და რომლებიც დედამიწის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ექსპლოატაციას ეწევიან, და კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგრულ და ექსპლოატირებულ ხალხთა ბანაკად, რომლებიც ამ უმრავლესობას შეადგენენ;

ბ) კოლონიები და დამოკიდებული ქვეყნები, რომლებიც განიცდიან ჩაგვრასა და ექსპლოატაციას ფინანსური კაპიტალისაგან, შეადგენენ უდიდეს რეზერვს და ძალების უაღრესად სერიოზულ წყაროს იმპერიალიზმისათვის;

გ) დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების ჩაგრულ ხალხთა რევოლუციური ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ არის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მათი განთავისუფლების ერთადერთი გზა;

დ) უმნიშვნელოვანესი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნებში უკვე დაადგნენ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზას, რასაც არ შეუძლია არ გამოიწვიოს მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი;

ე) განვითარებული ქვეყნების პროლეტარული მოძრაობისა და კოლონიების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესები მოითხოვენ ამ ორი სახის რევოლუციური მოძრაობის გაერთიანებას საერთო ფრონტად საერთო მტრის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ;

ვ) მუშათა კლასის გამარჯვება განვითარებულ ქვეყნებში და ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლება იმპერიალიზმის უღლისაგან შეუძლებელია საერთო რევოლუციური ფრონტის შექმნისა და განმტკიცების გარეშე;

ზ) საერთო რევოლუციური ფრონტის შექმნა შეუძლებელია, თუ მჩაგვრელი ერების პროლეტარიატმა პირდაპირი და გადამწყვეტი დახმარება არ გაუწია ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი ქვეყნის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან «არ

შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც ჩაგრავს სხვა ხალხებს» (ენგელსი);

თ) ეს დახმარება ნიშნავს ერების გამოყოფის უფლების, მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის ლოზუნგის მოთხოვნას, დაცვას, ცხოვრებაში გატარებას;

ი) ამ ლოზუნგის განუხორციელებლად შეუძლებელია მოგვარდეს ერების გაერთიანება და თანამშრომლობა ერთიან მსოფლიო მეურნეობაში, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვების მატერიალურ საფუძველს;

კ) ეს გაერთიანება შეიძლება იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი, წარმოშობილი ხალხთა ურთიერთნდობისა და ძმური ურთიერთობის საფუძველზე.

აქედან — ორი მხარე, ორი ტენდენცია ნაციონალურ საკითხში: იმპერიალიზმის ხუნდებისაგან პოლიტიკური განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის ტენდენცია, წარმოშობილი იმპერიალისტური ჩაგვრისა და კოლონიური ექსპლოატაციის საფუძველზე, და ერების სამეურნეო დაახლოების ტენდენცია, წარმოშობილი მსოფლიო ბაზრისა და მსოფლიო მეურნეობის შექმნასთან დაკავშირებით.

«განვითარებაში. მყოფმა კაპიტალიზმმა, — ამბობს ლენინი, — იცის ორი ისტორიული ტენდენცია ნაციონალურ საკითხში. პირველი: ნაციონალური ცხოვრებისა და ნაციონალურ მოძრაობათა გაღვიძება, ბრძოლა ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ, ნაციონალურ სახელმწიფოთა შექმნა. მეორე: ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება და გახშირება, ნაციონალური ზღუდეების ნგრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა.

ორივე ეს ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი ჭარბობს მისი განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულ კაპიტალიზმს, რომელიც მიიმართება სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ» (იხ. ტ. XVII, გვ. 139 — 140).

იმპერიალიზმისათვის ეს ორი ტენდენცია შეურიგებელ წინააღმდეგობებს წარმოადგენს, ვინაიდან იმპერიალიზმს არ შეუძლია ცხოვრება უექსპლოატაციოდ და «ერთიანი მთელის» ფარგლებში კოლონიების ძალდატანებითი შენარჩუნების გარეშე, ვინაიდან იმპერიალიზმს ერების დაახლოება შეუძლია მხოლოდ ანექსიისა და კოლონიების დაპყრობის გზით, ურომლისოდაც ის, საერთოდ რომ ვთქვათ, წარმოუდგენელია.

კომუნიზმისათვის, პირიქით, ეს ტენდენციები მხოლოდ ორი მხარეა ერთი და იმავე საქმისა, იმპერიალიზმის უღლისაგან ჩაგრულ

ხალხთა განთავისუფლების საქმისა, ვინაიდან კომუნიზმმა იცის, რომ ერთიან მსოფლიო მეურნეობაში ხალხთა გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთნდობისა და ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, რომ ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანების შექმნა მიიმართება «ერთიანი» იმპერიალისტური «მთელისაგან» კოლონიების ჩამოცილების, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მათი გადაქცევის გზით.

აქედან — აუცილებლობა შეუპოვარი, განუწყვეტელი, გადამწყვეტი ბრძოლისა გაბატონებულ ერთა (ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა, იტალია, იაპონია და სხვ.) «სოციალისტების» დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, «სოციალისტებისა», რომელთაც არ სურთ ებრძოლონ თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობებს, არ სურთ მხარი დაუჭირონ «მათი» კოლონიების ჩაგრულ ხალხთა ბრძოლას, ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, სახელმწიფოებრივი გამოყოფისათვის.

ასეთი ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია გაბატონებული ერების მუშათა კლასის აღზრდა ნამდვილი ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დამოკიდებული ქვეყნებისა და კოლონიების მშრომელ მასებთან დაახლოების სულისკვეთებით, პროლეტარული რევოლუციის ნამდვილი მომზადების სულისკვეთებით. რევოლუცია რუსეთში ვერ გაიმარჯვებდა, და კოლჩაკი და დენიკინი ვერ დამარცხდებოდნენ, რუს პროლეტარიატს რომ არ ჰქონოდა თანაგრძნობა და დახმარება ყოფილი რუსეთის იმპერიის ჩაგრული ხალხების მხრით. მაგრამ ამ ხალხთა თანაგრძნობა და დახმარება რომ დაემსახურებინა, მას უწინარეს ყოვლისა უნდა დაემსხვრია რუსეთის იმპერიალიზმის ბორკილები და გაეთავისუფლებინა ეს ხალხები ნაციონალური ჩაგვრისაგან.

უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, ნამდვილი ინტერნაციონალიზმის დანერგვა და ხალხთა თანამშრომლობის იმ შესანიშნავი ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც ეწოდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და რომელიც ერთიან მსოფლიო მეურნეობაში ხალხთა მომავალი გაერთიანების ცოცხალი პირველსახეა.

აქედან — აუცილებლობა ბრძოლისა დაჩაგრული ქვეყნების სოციალისტების ნაციონალური კარჩაკეტილობის, შეზღუდულობისა და განკერძოების წინააღმდეგ, სოციალისტებისა, რომელთაც არ სურთ ასცილდნენ თავიანთ ეროვნულ სამრეკლოს და არ ესმით თავიანთი ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირი გაბატონებული ქვეყნების პროლეტარულ მოძრაობასთან.

ასეთი ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია ჩაგრულ ერთა პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკისა და გაბატონებული ქვეყნების პროლეტარიატთან მისი კლასობრივი სოლიდარობის შენარჩუნება ბრძოლაში საერთო მტრის დასამხობად, ბრძოლაში იმპერიალიზმის დასამხობად.

ასეთი ბრძოლის გარეშე ინტერნაციონალიზმი შეუძლებელი იქნებოდა.

ასეთია რევოლუციური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გაბატონებულ და ჩაგრულ ერთა მშრომელი მასების აღზრდის გზა.

აი რას ამბობს ლენინი კომუნიზმის ამ ორმხრივ მუშაობაზე ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მუშების აღზრდისათვის:

«შეიძლება თუ არა, რომ ეს აღზრდა... კონკრეტულად ერთნაირი იყოს დიდსა და მჩაგვრელ ერებში და პატარა, ჩაგრულ ერებში? იმ ერებში, რომლებიც ანექსიას ახდენენ, და იმ ერებში, რომელთა ანექსიას ახდენენ?

ცხადია, არა. გზა ერთი მიზნისაკენ: ყველა ერის სრული თანასწორუფლებიანობისაკენ, მათი უაღრესად მჭიდრო დაახლოებისა და შემდგომი გაერთიანებისაკენ, აშკარაა, აქ სხვადასხვა კონკრეტული გზით მიდის, — ისე, როგორც, ვთქვათ, გზა ამ გვერდის შუაგულში მდებარე წერტილისაკენ მიდის ერთი კიდიდან მარცხნივ და საწინააღმდეგო კიდიდან — მარჯვნივ. თუ დიდი, მჩაგვრელი, ანექსიის მომხდენი ერის სოციალ-დემოკრატი, იზიარებს რა საერთოდ ერების გაერთიანების აზრს, ერთი წუთით მაინც დაივიწყებს იმ გარემოებას, რომ «მისი» ნიკოლოზ II, «მისი» ვილჰელმი, გეორგი, პუანკარე და სხვ. აგრეთვე მომხრენი არიან პატარა ერებთან გაერთიანებისა (ანექსიების გზით), — ნიკოლოზ II მომხრეა გალიციასთან «გაერთიანებისა», ვილჰელმ II — ბელგიასთან «გაერთიანებისა» და სხვ., — ასეთი სოციალ-დემოკრატი სასაცილო დოქტრინიორი იქნება თეორიაში და იმპერიალიზმის ხელშემწყობი — პრაქტიკაში.

მჩაგვრელ ქვეყნებში მუშების ინტერნაციონალისტური აღზრდის სიმძიმის ცენტრი აუცილებლად უნდა მდგომარეობდეს დაჩაგრული ქვეყნების გამოყოფის თავისუფლების ქადაგებასა და დაცვაში. უამისოდ არ არსებობს ინტერნაციონალიზმი. ჩვენ უფლება გვაქვს და მოვალენიც ვართ ავად ვახსენოთ მჩაგვრელი ერის ყოველი სოციალ-დემოკრატი, როგორც იმპერიალისტი და არამზადა», თუ ის არ ეწევა ასეთ პროპაგანდას. ეს არის აუცილებელი მოთხოვნა, თუნდაც სოციალიზმის დამყარებამდე გამოყოფის შემთხვევა 1 000 შემთხვევიდან მხოლოდ ერთხელ იყოს შესაძლებელი და «განსახორციელებელი»...

პირიქით, პატარა ერის სოციალ-დემოკრატმა თავისი აგიტაციის სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანოს ჩვენი საერთო ფორმულის მეორე სიტყვაზე: ერების «ნებაყოფლობითი გაერთიანება». მას შეუძლია თავისი, როგორც ინტერნაციონალისტის, მოვალეობის დაურღვევლად იყოს თავისი ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მომხრეც და მისი მეზობელ სახელმწიფოსთან — X, Y, Z და სხვ. შეერთების მომხრეც. მაგრამ ყველა შემთხვევაში ის უნდა იბრძოდეს ვიწრო-ნაციონალური შეზღუდულობის, კარჩაკეტილობის, განკერძოების წინააღმდეგ, იბრძოდეს იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მთელი და საერთო, რომ კერძოს ინტერესები დაუმორჩილდეს საერთოს ინტერესებს.

ადამიანები, რომლებიც არ ჩაჰკვირვებიან საკითხს, «წინაალმდეგობას» ხედავენ იმაში, რომ მჩაგვრელ ერთა სოციალ-დემოკრატები დაბეჯითებით მოითხოვდნენ «გამოყოფის თავისუფლებას», ხოლო ჩაგრულ ერთა სოციალ-დემოკრატები — «შეერთების თავისუფლებას». მაგრამ ცოტაოდენი დაფიქრება ცხადყოფს, რომ სხვა გზა ინტერნაციონალიზმისაკენ და ერების შეერთებისაკენ, სხვა გზა ამ მიზნისაკენ არსებული მდგომარეობიდან არ არის და არც შეიძლება იყოს» (იხ. ტ. XIX, გვ. 261 — 262).

VII

სტრატეგია და ტაქტიკა

ამ თემიდან მე ვიღებ ექვს საკითხს:

ა) სტრატეგია და ტაქტიკა, როგორც მეცნიერება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის შესახებ;

ბ) რევოლუციის ეტაპები და სტრატეგია;

გ) მოძრაობის მოზღვავება და უკუქცევა და ტაქტიკა;

დ) სტრატეგიული ხელმძღვანელობა;

ე) ტაქტიკური ხელმძღვანელობა;

ვ) რეფორმიზმი და რევოლუციონიზმი.

1) **სტრატეგია და ტაქტიკა, როგორც მეცნიერება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის შესახებ.** II ინტერნაციონალის ბატონობის პერიოდი უპირატესად იყო ცოტად თუ ბევრად მშვიდობიანი განვითარების პირობებში პროლეტარული პოლიტიკური არმიების შექმნისა და გაწვრთნის პერიოდი. ეს იყო პერიოდი, როდესაც კლასობრივი ბრძოლის უპირატეს ფორმას პარლამენტარიზმი წარმოადგენდა. კლასების უდიდეს შეჯახებათა, რევოლუციური შეტაკებებისათვის პროლეტარიატის მომზადებისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების გზების საკითხები, როგორც ჩანდა, იმ დროს მორიგ საკითხებად არ იდგა. ამოცანა იმით ამოიწურებოდა, რომ გამოყენებული ყოფილიყო ლეგალური განვითარების ყველა გზა პროლეტარული არმიების შესაქმნელად და გასაწვრთნელად, გამოყენებული ყოფილიყო პარლამენტარიზმი იმ პირობებთან შეფარდებით, როდესაც პროლეტარიატი რჩებოდა და, როგორც ჩანდა, უნდა დარჩენილიყო ოპოზიციის მდგომარეობაში. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთ პერიოდში და პროლეტარიატის ამოცანების ასეთი გაგების დროს არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც მთლიანი სტრატეგია, არც დამუშავებული ტაქტიკა. იყო ნაწყვეტები, ცალკე აზრები ტაქტიკისა და სტრატეგიის შესახებ, მაგრამ ტაქტიკა და სტრატეგია არ ყოფილა.

II ინტერნაციონალის მომაკვდინებელი ცოდვა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ თავის დროს ის ატარებდა ბრძოლის საპარლამენტო

ფორმების გამოყენების ტაქტიკას, არამედ იმაში, რომ ის გადაჭარბებით აფასებდა ამ ფორმების მნიშვნელობას, თითქმის ერთადერთ ფორმებად მიაჩნდა ისინი, ხოლო როდესაც დადგა აშკარა რევოლუციურ შეტაკებათა პერიოდი და ბრძოლის პარლამენტგარეშე ფორმების საკითხი პირველ რიგში წამოიჭრა, II ინტერნაციონალის პარტიებმა ზურგი შეაქციეს ახალ ამოცანებს, არ მიიღეს ისინი.

მხოლოდ შემდეგ პერიოდში, პროლეტარიატის აშკარა გამოსვლების პერიოდში, პროლეტარული რევოლუციის პერიოდში, როდესაც ბურჟუაზიის დამხობის საკითხი პირდაპირი პრაქტიკის საკითხად გადაიქცა, როდესაც პროლეტარიატის რეზერვების საკითხი (სტრატეგია) ერთ-ერთ ყველაზე სასიცოცხლო საკითხად იქცა, როდესაც ბრძოლისა და ორგანიზაციის ყველა ფორმა — საპარლამენტოც და პარლამენტგარეშეც (ტაქტიკა) — სრული გარკვეულობით გამომჟღავნდა, — მხოლოდ ამ პერიოდში შეიძლებოდა გამომუშავებულიყო პროლეტარიატის ბრძოლის მთლიანი სტრატეგია და დამუშავებული ტაქტიკა. მარქსისა და ენგელსის გენიალური აზრები ტაქტიკისა და სტრატეგიის შესახებ, რომლებიც II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმა დაასამარეს, სწორედ ამ პერიოდში გამოიტანა ლენინმა დღის სინათლეზე. მაგრამ ლენინი არ დასჯერდა მარქსისა და ენგელსის ცალკეულ ტაქტიკურ დებულებათა აღდგენას. მან ისინი შემდგომ განავითარა და შეავსო ახალი აზრებით და დებულებებით, გააერთიანა ყოველივე ეს წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების სისტემად პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის. ლენინის ისეთი ბროშურები, როგორიც არის «რა ვაკეთოთ?», «ორი ტაქტიკა», «იმპერიალიზმი», «სახელმწიფო და რევოლუცია», «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», «საყმაწვილო სენი», უეჭველად შევა როგორც უძვირფასესი საუნჯე მარქსიზმის საერთო საგანძურში, მის რევოლუციურ არსენალში. ლენინიზმის სტრატეგია და ტაქტიკა არის მეცნიერება პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობის შესახებ.

2) რევოლუციის ეტაპები და სტრატეგია. სტრატეგია არის პროლეტარიატის მთავარი დარტყმის მიმართულების განსაზღვრა რევოლუციის არსებული ეტაპის საფუძველზე, რევოლუციურ ძალთა (მთავარი და მეორეხარისხოვანი რეზერვების) განლაგების შესაფერისი გეგმის გამომუშავება, ბრძოლა ამ გეგმის განსახორციელებლად რევოლუციის მთელი ამ ეტაპის განმავლობაში.

ჩვენმა რევოლუციამ უკვე განიცადა ორი ეტაპი და ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შევიდა მესამე ეტაპში. ამის მიხედვით იცვლებოდა სტრატეგიაც.

პირველი ეტაპი. 1903 წელი — 1917 წლის თებერვალი. მიზანი — ცარიზმის დამხობა, შუა საუკუნეების ნაშთების სრული ლიკვიდაცია. რევოლუციის ძირითადი ძალა — პროლეტარიატი. უახლოესი რეზერვი — გლეხობა. ძირითადი დარტყმის მიმართულება: იზოლაცია ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიისა, რომელიც ცდილობს გლეხობის გადაბირებას და რევოლუციის ლიკვიდაციას ცარიზმთან **შეთანხმების** გზით. ძალთა განლაგების გეგმა: მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან. «პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება, გლეხობის მასის შემოერთებით, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და დასძლიოს ბურჟუაზიის მერყეობა» (იხ. **ლენინი**, ტ. VIII, გვ. 96).

მეორე ეტაპი. 1917 წლის მარტი — 1917 წლის ოქტომბერი. მიზანი — იმპერიალიზმის დამხობა რუსეთში და იმპერიალისტური ომისაგან თავის დაღწევა. რევოლუციის ძირითადი ძალა — პროლეტარიატი. უახლოესი რეზერვი — უღარიბესი გლეხობა. მეზობელი ქვეყნების პროლეტარიატი, როგორც შესაძლო რეზერვი. გაჭიანურებული ომი და იმპერიალიზმის კრიზისი, როგორც ხელსაყრელი მომენტი. ძირითადი დარტყმის მიმართულება: იზოლაცია წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისა (მენშევიკები, ესერები), რომელიც ცდილობს გლეხობის მშრომელი მასების გადაბირებას და რევოლუციის დასრულებას იმპერიალიზმთან **შეთანხმების** გზით. ძალთა განლაგების გეგმა: პროლეტარიატის კავშირი უღარიბეს გლეხობასთან. «პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, მოსახლეობის ნახევრად-პროლეტარული ელემენტების მასის შემოერთებით, რათა ძალით გატეხოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და დასძლიოს გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა» (იხ. იქვე).

მესამე ეტაპი. ეს ეტაპი დაიწყო ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. მიზანი — პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება ერთ ქვეყანაში და მისი გამოყენება როგორც დასაყრდენი პუნქტისა იმპერიალიზმის დასამხობად ყველა ქვეყანაში. რევოლუცია გამოდის ერთი ქვეყნის ჩარჩოებიდან, დაიწყო მსოფლიო რევოლუციის ეპოქა. რევოლუციის ძირითადი ძალები: პროლეტარიატის დიქტატურა ერთ ქვეყანაში, პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობა ყველა ქვეყანაში. მთავარი რეზერვები: ნახევრად-პროლეტარული

და წვრილი გლეხობის მასები განვითარებულ ქვეყნებში, განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში. ძირითადი დარტყმის მიმართულება: წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის იზოლაცია, იზოლაცია II ინტერნაციონალის პარტიებისა, რომელნიც იმპერიალიზმთან **შეთანხმების** პოლიტიკის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ. ძალთა განლაგების გეგმა: პროლეტარული რევოლუციის კავშირი კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

სტრატეგიას საქმე აქვს რევოლუციის ძირითად ძალებთან და მათ რეზერვებთან. ის იცვლება რევოლუციის ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლასთან დაკავშირებით და ძირითადად უცვლელი რჩება ერთი ეტაპის მთელ პერიოდში.

3) **მოძრაობის მოზღვავება და უკუქცევა და ტაქტიკა.** ტაქტიკა არის პროლეტარიატის მოქმედების ხაზის განსაზღვრა მოძრაობის მოზღვავებისა თუ უკუქცევის, რევოლუციის აღმავლობისა თუ შენელების შედარებით მოკლე პერიოდში, ბრძოლა ამ ხაზის გასატარებლად ბრძოლისა და ორგანიზაციის ძველი ფორმების ახალი ფორმებით შეცვლის გზით, ძველი ლოზუნგების ახალი ლოზუნგებით შეცვლის გზით, ამ ფორმების შეხამების გზით და სხვ.. თუ სტრატეგია მიზნად ისახავს, ვთქვათ, ცარიზმთან ან ბურჟუაზიასთან ომის მოგებას, ცარიზმთან ან ბურჟუაზიასთან ბრძოლის ბოლომდე მიყვანას, ტაქტიკა ისახავს ნაკლები მნიშვნელობის მიზანს, რადგან იგი ცდილობს მოიგოს არა ომი მთლიანად, არამედ ესა თუ ის შეტაკება, ესა თუ ის ბრძოლა, წარმატებით ჩაატაროს ესა თუ ის კამპანიები, ესა თუ ის გამოსვლები, რომლებიც შეესაბამებიან კონკრეტულ ვითარებას რევოლუციის განსაზღვრული აღმავლობის თუ შენელების პერიოდში. ტაქტიკა არის სტრატეგიის ნაწილი, რომელიც მას ექვემდებარება, მას უწევს მომსახურებას.

ტაქტიკა იცვლება მოძრაობის მოზღვავების და უკუქცევის მიხედვით. იმ დროს, როცა რევოლუციის პირველი ეტაპის პერიოდში (1903 — 1917 წ., თებერვალი) სტრატეგიული გეგმა უცვლელი რჩებოდა, ტაქტიკა ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა. 1903 — 1905 წლების პერიოდში პარტიის ტაქტიკა შეტევითი იყო, ვინაიდან რევოლუციის მოზღვავება იყო, მოძრაობა აღმა მიდიოდა, და ტაქტიკა ამ ფაქტიდან უნდა გამოსულიყო. ამისდაკვალად ბრძოლის ფორმებიც რევოლუციური იყო და შეეფერებოდა რევოლუციის მოზღვავების მოთხოვნებს. ადგილობრივი პოლიტიკური გაფიცვები, პოლიტიკური დემონსტრაციები, საერთო პოლიტიკური გაფიცვა, სათათბიროს ბოიკოტი, აჯანყება, რევოლუციურ-საბრძო-

ლო ლოზუნგები, — ასეთია ბრძოლის ერთიმეორის შემცვლელი ფორმები ამ პერიოდში. ბრძოლის ფორმებთან დაკავშირებით მაშინ შეიცვალა ორგანიზაციის ფორმებიც. საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, საგაფიცვო კომიტეტები, მუშათა დეპუტატების საბჭოები, ცოტად თუ ბევრად აშკარად მოქმედი მუშათა პარტია, — ასეთია ორგანიზაციის ფორმები ამ პერიოდში.

1907 — 1912 წლების პერიოდში პარტია იძულებული შეიქნა გადასულიყო უკანდახევის ტაქტიკაზე, ვინაიდან მაშინ ჩვენ გვქონდა რევოლუციური მოძრაობის შენელება, რევოლუციის უკუქცევა, და ტაქტიკას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ამ ფაქტისათვის. ამის შესაბამისად შეიცვალა ბრძოლის ფორმებიც, ისე როგორც ორგანიზაციის ფორმებიც. სათათბიროს ბოიკოტის მაგიერ — სათათბიროში მონაწილეობა, სათათბიროს გარეთ აშკარა რევოლუციური გამოსვლების მაგიერ — გამოსვლები სათათბიროში და მუშაობა სათათბიროში, საერთო პოლიტიკური გაფიცვების მაგიერ — ნაწილობრივი ეკონომიური გაფიცვები ანდა პირდაპირ მიწყნარება. გასაგებია, რომ პარტია ამ პერიოდში არალეგალურ მუშაობაზე უნდა გადასულიყო, მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციები კი შეცვლილ იქნა კულტურულ-საგანმანათლებლო, კოოპერაციული, სადაზღვევო და კანონით ნებადართული სხვა ორგანიზაციებით.

იგივე უნდა ითქვას რევოლუციის მეორე და მესამე ეტაპებზე, რომელთა დროსაც ტაქტიკა მრავალჯერ იცვლებოდა, მაშინ როდესაც სტრატეგიული გეგმები უცვლელი რჩებოდა.

ტაქტიკას საქმე აქვს პროლეტარიატის ბრძოლის ფორმებთან და ორგანიზაციის ფორმებთან, მათს შეცვლასთან, მათს შეხამებასთან. რევოლუციის განსაზღვრული ეტაპის საფუძველზე ტაქტიკა შეიძლება შეიცვალოს რამდენჯერმე, რევოლუციის მოზღვავებისა თუ უკუქცევის, რევოლუციის აღმავლობისა თუ შენელების მიხედვით.

4) **სტრატეგიული ხელმძღვანელობა.** რევოლუციის რეზერვები შემდეგია:

პირდაპირი: ა) გლეხობა და საერთოდ საკუთარი ქვეყნის გარდამავალი ფენები, ბ) მეზობელი ქვეყნების პროლეტარიატი, გ) რევოლუციური მოძრაობა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში, დ) პროლეტარიატის დიქტატურის მონაპოვარნი და მიღწევები, — რომელთა ნაწილზედაც პროლეტარიატს შეუძლია დროებით უარი თქვას და დაიტოვოს ძალთა უპირატესობა იმ მიზნით, რომ მოისყიდოს ძლიერი მოწინააღმდეგე და მიიღოს შესვენების შესაძლებლობა, და

არაპირდაპირი: ა) წინააღმდეგობანი და კონფლიქტები საკუთარი ქვეყნის არაპროლეტარულ კლასებს შორის, რაც პროლეტარიატმა შეიძლება გამოიყენოს მოწინააღმდეგის შესასუსტებლად, თავისი რეზერვების გასაძლიერებლად, ბ) წინააღმდეგობანი, კონფლიქტები და ომები (მაგალითად, იმპერიალისტური ომი) პროლეტარული სახელმწიფოსადმი მტრულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის, რაც პროლეტარიატმა შეიძლება გამოიყენოს თავისი შეტევის დროს ანდა მანევრირების დროს იძულებითი უკანდახევის შემთხვევაში.

პირველი სახის რეზერვებზე არ ღირს ბევრი ლაპარაკი, რადგან მათი მნიშვნელობა ყველასა და თვითეულს ესმის. რაც შეეხება მეორე სახის რეზერვებს, რომელთა მნიშვნელობა ყოველთვის ცხადი არ არის, უნდა ითქვას, რომ მათ ზოგჯერ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ რევოლუციის მსვლელობისათვის. არა გვგონია შეიძლებოდეს იმ უდიდესი მნიშვნელობის უარყოფა, რომელიც ჰქონდა, მაგალითად, იმ კონფლიქტს წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასა (ესერები) და ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიას (კადეტები) შორის პირველი რევოლუციის დროს და მის შემდეგ, რამაც უეჭველად შეასრულა თავისი როლი ბურჟუაზიის გავლენისაგან გლეხობის განთავისუფლების საქმეში. მით უფრო ნაკლები საფუძველი გვაქვს უარვყოთ იმპერიალისტების ძირითად ჯგუფებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომის ფაქტის კოლოსალური მნიშვნელობა ოქტომბრის გადატრიალების პერიოდში, როდესაც იმპერიალისტებს, რომლებიც ერთმანეთთან ომში იყვნენ გართულნი, შესაძლებლობა არ ჰქონდათ თავი მოეყარათ ძალებისათვის ნორჩი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ხოლო პროლეტარიატმა სწორედ ამიტომ მოახერხა უშუალოდ შესდგომოდა თავისი ძალების ორგანიზაციას, თავისი ძალაუფლების განმტკიცებას და მოემზადებინა კოლჩაკისა და დენიკინის განადგურება. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლა, როდესაც წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის უფრო და უფრო ღრმავდებიან და როდესაც აუცილებელი ხდება ახალი ომი მათ შორის, ასეთ რეზერვებს პროლეტარიატისათვის სულ უფრო სერიოზული მნიშვნელობა ექნებათ.

სტრატეგიული ხელმძღვანელობის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ეს რეზერვი სწორად იქნას გამოყენებული რევოლუციის ძირითადი მიზნის მისაღწევად მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე.

რაში მდგომარეობს რეზერვების სწორად გამოყენება?

ზოგიერთი აუცილებელი პირობის შესრულებაში, რომელთაგან მთავარ პირობებად შემდეგი უნდა ჩაითვალოს.

ჯერ-ერთი. გადამწყვეტ მომენტში რევოლუციის მთავარი ძალების დაგროვება მოწინააღმდეგისათვის ყველაზე სუსტ პუნქტში, როდესაც რევოლუცია უკვე მომწიფებულია, როდესაც შეტევა მთელი სიძლიერით მიმდინარეობს, როდესაც აჯანყება კარზე გვიკაკუნებს და როდესაც ავანგარდისათვის რეზერვების მიშველება გამარჯვების გადამწყვეტი პირობაა. რეზერვების ამგვარი გამოყენების ნათელსაყოფ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს პარტიის სტრატეგია 1917 წლის აპრილ-ოქტომბრის პერიოდში. უეჭველია, მოწინააღმდეგისათვის ყველაზე უფრო სუსტი პუნქტი ამ პერიოდში იყო ომი. უეჭველია, სწორედ ამ საკითხის, როგორც ძირითადი საკითხის, საფუძველზე შემოკრიბა პარტიამ პროლეტარული ავანგარდის გარშემო მოსახლეობის უფართოესი მასები. პარტიის სტრატეგიას ამ პერიოდში წარმოადგენდა ის, რომ იგი, წვრთნიდა რა ავანგარდს ქუჩაში გამოსვლებისათვის მანიფესტაციებისა და დემონსტრაციების გზით, ამასთან ერთად ავანგარდისაკენ რეზერვები მიჰყავდა საბჭოების საშუალებით ზურგში და ჯარისკაცთა კომიტეტების საშუალებით ფრონტზე. რევოლუციის შედეგმა დაგვანახა, რომ რეზერვების გამოყენება მართებული იყო.

აი რას ამბობს ლენინი რევოლუციის ძალთა სტრატეგიული გამოყენების ამ პირობაზე, სხვა სიტყვებით გადმოგვცემს რა მარქსისა და ენგელსის ცნობილ დებულებებს აჯანყების შესახებ:

«1) არასოდეს **არ უნდა ეთამაშო** აჯანყებას, არამედ, როდესაც აჯანყებას იწყებ, მტკიცედ უნდა იცოდე, რომ საჭიროა მისი ბოლომდე მიყვანა.

2) აუცილებელია დააგროვო **ძალთა დიდი უპირატესობა** გადამწყვეტ ადგილას, გადამწყვეტ მომენტში, ვინაიდან სხვაგვარად მოწინააღმდეგე, რომელსაც უკეთესი მომზადება და ორგანიზაცია აქვს, გაანადგურებს აჯანყებულებს.

3) რაკი აჯანყება დაწყებულია, უნდა იმოქმედო უდიდესი **გაბედულობით** და უეჭველად, უთუოდ გადახვიდე შეტევაზე. «თავდაცვა შეიარაღებული აჯანყების სიკვდილია».

4) უნდა ეცადო მოულოდნელად დაესხა თავს მოწინააღმდეგეს, შეურჩიო ისეთი მომენტი, როდესაც მისი ჯარი გაბნეულია.

5) საჭიროა **ყოველდღიურად** მიაღწიო პატარა წარმატებას მაინც (შეიძლება ითქვას: ყოველ საათობით, თუ საქმე ერთ ქალაქს ეხება) და შეინარჩუნო, რადაც უნდა დაჯდეს, **«მორალური უპირატესობა»**» (იხ. ტ. XXI, გვ. 319—320).

მეორე. გადამწყვეტი დარტყმის მომენტის შერჩევა, აჯანყების დაწყების მომენტის შერჩევა იმ ვარაუდით, რომ კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, რომ ავანგარდი უკვე მზად არის ბოლომდე იბრძოლოს, რეზერვი უკვე მზად არის მხარი დაუჭიროს ავანგარდს, ხოლო მტრის რიგებში მაქსიმალური არეულობაა.

გადამწყვეტი ბრძოლა, — ამბობს ლენინი, — შეიძლება სავსებით მომწიფებულად ჩაითვალოს, თუ «(1) ყველა ჩვენი მოწინააღმდეგე კლასობრივი ძალები საკმაოდ დაიბნენ, საკმაოდ წაეკიდნენ ერთიმეორეს, საკმაოდ დაისუსტეს თავი ბრძოლით, რომელიც მათს ძალას აღემატება»; თუ «(2) ყველა მერყეევმა, მოქანავე, არამტკიცე, შუათანა ელემენტებმა, ე. ი. წვრილმა ბურჟუაზიამ, წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიამ, ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, საკმაოდ ამხილეს თავიანთი თავი ხალხის წინაშე, საკმაოდ შეირცხვინეს თავი პრაქტიკული გაკოტრებით»; თუ «(3) პროლეტარიატში დაიწყო და მძლავრად იზრდება მასობრივი განწყობილება ბურჟუაზიის წინააღმდეგ ყველაზე უფრო გადამწყვეტ, თავგანწირულ-გაბედულ, რევოლუციურ მოქმედებათა მხარდაჭერის სასარგებლოდ. აი მაშინ არის მომწიფებული რევოლუცია, აი მაშინ ჩვენი გამარჯვება, თუ კი სისწორით გავითვალისწინეთ ყველა ზემოაღნიშნული... პირობა და სწორად შეეარჩიეთ მომენტი, მაშინ არის ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილი» (იხ. ტ. XXV, გვ. 229).

ასეთი სტრატეგიის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ოქტომბრის აჯანყების ჩატარება.

ამ პირობის დარღვევა იწვევს სახიფათო შეცდომას, რომელსაც ეწოდება «ტემპის დაკარგვა», როდესაც პარტია უკან რჩება მოძრაობის მსვლელობას ანდა ბევრად წინ უსწრებს მას და ამით მარცხის საფრთხეს ქმნის. ასეთი «ტემპის დაკარგვის» მაგალითად, იმის მაგალითად, თუ როგორ არ უნდა შეარჩიო აჯანყების მომენტი, უნდა ჩაითვალოს ამხანაგების ერთი ნაწილის ცდა — დაგვეწყო აჯანყება დემოკრატიული თათბირის დაპატიმრებით 1917 წლის სექტემბერში, როდესაც საბჭოებში ჯერ კიდევ იგრძნობოდა მერყეობა, ფრონტი ჯერ კიდევ გზაჯვარედინზე იმყოფებოდა, რეზერვები ჯერ კიდევ არ იყვნენ ავანგარდთან მიყვანილი.

მესამე. უკვე მიღებული კურსის განუხრელად გატარება, მიუხედავად მიზნისაკენ მიმავალ გზაზე არსებული ყველა და ყოველგვარი დაბრკოლებისა და გართულებისა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ავანგარდმა მხედველობიდან არ დაკარგოს ბრძოლის ძირითადი მიზანი, ხოლო მასები არ ასცდნენ გზას, იარონ ამ მიზნისაკენ და ცდილობდნენ დაირაზმონ ავანგარდის გარშემო. ამ პირობის დარღვევა იწვევს უდიდეს შეცდომას, რომელსაც კარგად იცნობენ მეზღვაურები «კურსის დაკარგვის» სახელწოდებით. «კურსის დაკარგვის» ასეთ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ჩვენი პარტიის მცდარი მოქმედება უშუალოდ დემოკრატიული თათბირის შემდეგ, როდესაც პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება წინაპარლამენტში მონაწილეობის შესახებ. პარტიამ თითქოს დაივიწყა ამ მომენტში, რომ წინაპარლამენტი არის ბურჟუაზიის ცდა — გადაიყვანოს ქვეყანა საბჭოების გზიდან ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გზაზე, რომ პარტიის მონაწილეობას ასეთ დაწესებულებაში შეუძლია მთელი საქმე არევდარიოს და გზა აუბნიოს მუშებსა

და გლეხებს, რომლებიც აწარმოებენ რევოლუციურ ბრძოლას ლოზუნგით: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!» ეს შეცდომა გამოსწორებულ იქნა ბოლშევიკების გამოსვლით წინაპარლამენტიდან.

მეოთხე. რეზერვებით მანევრირება, რომელიც მიზნად ისახავს სწორ უკანდახევას, როდესაც მტერი ძლიერია, როდესაც უკანდახევა აუცილებელია, როდესაც ბრძოლის მიღება, რომელსაც მოწინააღმდეგე თავზე გახვევს, აშკარად საზიანოა, როდესაც უკანდახევა, ძალთა არსებული თანაშეფარდების პირობებში, ერთადერთი საშუალებაა ავანგარდის საშიში მდგომარეობიდან გამოყვანისა და მისთვის რეზერვების შენარჩუნებისა.

«რევოლუციურმა პარტიებმა, — ამბობს ლენინი, — უნდა მოითავონ თავისი სწავლა. ისინი სწავლობდნენ შეტევას. ახლა საჭირო ხდება იმის შეგნება, რომ ამ მეცნიერებას უნდა დაემატოს მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უფრო სწორად უკანდახევა. საჭირო ხდება იმის შეგნება, — და რევოლუციური კლასი საკუთარი მწარე გამოცდილებით სწავლობს ამის გაგებას, — რომ არ შეიძლება გაიმარჯვო, თუ არ ისწავლე სწორი შეტევა და სწორი უკანდახევა» (იხ. ტ. XXV, გვ. 177).

ასეთი სტრატეგიის მიზანია დროის მოგება, მოწინააღმდეგის გახრწნა და ძალების დაგროვება შემდეგში შეტევაზე გადასასვლელად.

ასეთი სტრატეგიის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ბრესტის ზავის შეკვრა, რამაც შესაძლებლობა მისცა პარტიას დრო მოეგო, გამოეყენებინა შეხლა-შემოხლა იმპერიალიზმის ბანაკში, გაეხრწნა მოწინააღმდეგის ძალები, შეენარჩუნებინა თავის მხარეზე გლეხობა და დაეგროვებინა ძალები იმისათვის, რომ მოემზადებინა შეტევა კოლჩაკსა და დენიკინზე.

«სეპარატული ზავის შეკვრით, — ამბობდა მაშინ ლენინი, — ჩვენ უდიდესი, დღევანდელი მომენტისათვის შესაძლებელი ზომით ვთავისუფლდებით ორივე ერთიმეორის მოქიშპე იმპერიალისტური ჯგუფისაგან, ვიყენებთ რა მათს მტრობასა და ომს ერთმანეთთან, — რაც უძნელებს მათ შეთანხმებას ჩვენს წინააღმდეგ, — ვიყენებთ ამას, ვიღებთ რა თავისუფალი მოქმედების განსაზღვრულ პერიოდს სოციალისტური რევოლუციის განგრძობისა და განმტკიცებისათვის» (იხ. ტ. XXII, გვ. 198).

«ახლა უკანასკნელი რეგვენიც კი» ხედავს, — ამბობდა ლენინი ბრესტის ზავის შეკვრის სამი წლის შემდეგ, — «რომ «ბრესტის ზავი» იყო დათმობა, რომელმაც გაგვაძლიერა ჩვენ და დაქსაქსა საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალები» (იხ. ტ. XXVII, გვ. 7).

ასეთია მთავარი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტრატეგიული ხელმძღვანელობის სისწორეს.

5) **ტაქტიკური ხელმძღვანელობა.** ტაქტიკური ხელმძღვანელობა არის სტრატეგიული ხელმძღვანელობის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება მის ამოცანებსა და მოთხოვნებს. ტაქტიკური ხელმძღვანელობის ამოცანა ის არის, რომ დაეუფლო პროლეტარიატის ბრძოლისა და ორგანიზაციის ყველა ფორმას და უზრუნველყო მათი სწორი გამოყენება იმისათვის, რომ მიაღწიო შედეგების იმ მაქსიმუმს ძალთა არსებული თანაშეფარდების დროს, რაც აუცილებელია სტრატეგიული წარმატების მოსამზადებლად.

რაში მდგომარეობს პროლეტარიატის ბრძოლისა და ორგანიზაციის ფორმების სწორი გამოყენება?

ზოგიერთი აუცილებელი პირობის შესრულებაში, რომელთაგან მთავარ პირობებად შემდეგი უნდა ჩაითვალოს:

ჯერ-ერთი. ბრძოლისა და ორგანიზაციის სწორედ იმ ფორმების წამოყენება პირველ რიგში, რომლებიც ყველაზე უფრო შეეფერებიან მოძრაობის მოცემული მოზღვავეებისა თუ უკუქცევის პირობებს და რომელთაც შეუძლიათ გააადვილონ და უზრუნველყონ მასების მიყვანა რევოლუციურ პოზიციებთან, მრავალმილიონიანი მასების მიყვანა რევოლუციის ფრონტთან, მათი განლაგება რევოლუციის ფრონტზე.

საქმე ეხება იმას კი არა, რომ ავანგარდმა შეიგნოს ძველი წესების შენარჩუნების შეუძლებლობა და მათი დამხობის აუცილებლობა. საქმე ეხება იმას, რომ ეს აუცილებლობა შეიგნონ მასებმა, მრავალმილიონიანმა მასებმა, და გამოიჩინონ ავანგარდისათვის მხარის დაჭერის მზადყოფნა. მაგრამ ამის შეგნება მასებს შეუძლიათ მხოლოდ საკუთარი გამოცდილების გზით. მივცეთ მრავალმილიონიან მასებს შესაძლებლობა — თავისი საკუთარი გამოცდილებით შეიცნონ ძველი ხელისუფლების დამხობის აუცილებლობა, წამოვაყენოთ ბრძოლის ისეთი ხერხები და ორგანიზაციის ისეთი ფორმები, რომლებიც გაუადვილებენ მასებს გამოცდილებით შეიცნონ რევოლუციური ლოზუნგების სისწორე, — ესაა ამოცანა.

ავანგარდი მოსწყდებოდა მუშათა კლასს, ხოლო მუშათა კლასი დაკარგავდა კავშირს მასებთან, პარტიას რომ თავის დროზე არ გადაეწყვიტა მონაწილეობის მიღება სათათბიროში, მას რომ არ გადაეწყვიტა ძალთა თავმოყრა სათათბიროს მუშაობაზე და ბრძოლის გაჩაღება ამ მუშაობის საფუძველზე იმ მიზნით, რომ გაეადვილებინა მასებისათვის საკუთარი გამოცდილებით შეეცნოთ სათათბიროს არარაობა, კადეტების დაპირებათა სიცრუე, ცარიზმთან შეთანხმების შეუძლებლობა, მუშათა კლასთან გლეხობის კავშირის აუცილებლობა. სათათბიროს პერიოდში მასების გამოცდილების

გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კადეტების მხილება და პროლეტარიატის ჰეგემონია.

ოტზოვიზმის ტაქტიკის საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ ის გვიქადდა ,ავანგარდის მოწყვეტას მისი მრავალმილიონიანი რეზერვებისაგან.

პარტია მოსწყდებოდა მუშათა კლასს, ხოლო მუშათა კლასი დაკარგავდა გავლენას გლეხობისა და ჯარისკაცების ფართო მასებში, პროლეტარიატი რომ გაჰყოლოდა «მემარცხენე» კომუნისტებს, რომლებიც მოგვიწოდებდნენ აჯანყებისაკენ 1917 წლის აპრილში, როდესაც მენშევიკებსა და ესერებს ჯერ კიდევ სავსებით არ ემხილებინათ თავიანთი თავი, როგორც ომისა და იმპერიალიზმის მომხრეებს, როდესაც მასებს ჯერ კიდევ არ შეეცნოთ თავისი საკუთარი გამოცდილებით სიყალბე მენშევიკ-ესერების სიტყვებისა ზავის, მიწის, თავისუფლების შესახებ. მასების გამოცდილება რომ არა კერენშჩინის პერიოდში, მენშევიკები და ესერები არ იქნებოდნენ იზოლირებულნი, და პროლეტარიატის დიქტატურა შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ წვრილბურჟუაზიული პარტიების შეცდომათა «მოთმინებით განმარტებისა» და საბჭოების შიგნით აშკარა ბრძოლის ტაქტიკა ერთადერთი სწორი ტაქტიკა იყო.

«მემარცხენე» კომუნისტების ტაქტიკის საფრთხე ის იყო, რომ იგი გვიქადდა პარტიის გადაქცევას პროლეტარული რევოლუციის ბელადიდან ფუქსავატ და უნიადაგო შეთქმულთა მცირერიცხოვან ჯგუფად.

«მარტო ავანგარდით, — ამბობს ლენინი, — გამარჯვება შეუძლებელია. გადამწყვეტ ბრძოლაში მარტო ავანგარდის ჩაბმა, სანამ მთელ კლასს, სანამ ფართო მასებს არ დაუკავებიათ ავანგარდისათვის ან პირდაპირი დახმარების პოზიცია, ან ყოველ შემთხვევაში, მის მიმართ კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის პოზიცია... იქნებოდა არა მარტო სისულელე, არამედ დანაშაულიც. ხოლო იმისათვის, რომ ნამდვილად მთელი კლასი, მშრომელთა და კაპიტალის მიერ დაჩაგრულთა ნამდვილად ფართო მასები ამ პოზიციამდე მივიდნენ, ამისათვის მარტო პროპაგანდა, მარტო აგიტაცია არ კმარა. ამისათვის საჭიროა ამ მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება. ასეთია ყველა დიდი რევოლუციის ძირითადი კანონი, რომელიც ახლა დადასტურებულია გასაოცარი ძალითა და სიმკვეთრით არა მარტო რუსეთის მიერ, არამედ გერმანიის მიერაც. არა მარტო რუსეთის უკულტურო, ხშირად წერა-კითხვის უცოდინარ მასებს, არამედ გერმანიის დიდად კულტურულ, უკლებლივ წერა-კითხვის მცოდნე მასებსაც დასჭირდათ საკუთარ ტყავზე გამოეცადათ II ინტერნაციონალის რაინდთა მთავრობის მთელი უძლურება, მთელი უხასიათობა, მთელი უმწეობა, მთელი ლაქაობა ბურჟუაზიის წინაშე, მთელი სისაძაგლე, უკიდურესი რეაქციონერების (კორნილოვი რუსეთში, კაპი და კომპ. გერმანიაში) დიქტატურის მთელი გარდუვალობა, როგორც ერთადერთი ალტერ-

ნატიეი პროლეტარიატის დიქტატურის მიმართ, რათა ეს მასები ეროვნული ძიმეხ-
რობოდნენ კომუნიზმს» (იხ. ტ. XXV, გვ. 228).

მეორე. ყოველ მოცემულ მომენტში პროცესების ჯაჭვის იმ განსაკუთრებული რგოლის მონახვა, რომლისთვის ხელის ჩაჭიდებითაც შესაძლებელი იქნება მთელი ჯაჭვის შენარჩუნება და პირობების მომზადება სტრატეგიული წარმატების მისაღწევად.

საქმე ეხება იმას, რომ მთელ რიგ ამოცანათაგან, რომლებიც პარტიის წინაშე დგას, გამოვყოთ სწორედ ის მორიგი ამოცანა, რომლის გადაჭრაც ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს და რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფს დანარჩენ მორიგ ამოცანათა წარმატებით გადაჭრას.

ამ დებულების მნიშვნელობა შეიძლებოდა ცხადგვეყო ორი მაგალითით, რომელთაგან ერთის აღება შეიძლებოდა შორეული წარსულიდან (პარტიის შექმნის პერიოდი), ხოლო მეორისა — ჩვენთვის ყველაზე უფრო ახლო აწმყოდან (ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდი).

პარტიის შექმნის პერიოდში, როდესაც უამრავი წრეები და ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ იყვნენ ერთიმეორესთან დაკავშირებულნი, როდესაც კუსტარულობა და წრეობანა ღრღნიდა პარტიას თავიდან ბოლომდე, როდესაც იდეური დაქსაქსულობა პარტიის შინაგანი ცხოვრების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა, — ამ პერიოდში ძირითადი რგოლი და ძირითადი ამოცანა რგოლების ჯაჭვში და ამოცანების ჯაჭვში, რომლებიც იდგა მაშინ პარტიის წინაშე, აღმოჩნდა საერთო-რუსული არალეგალური გაზეთის («ისკრა») დაარსება. რატომ? იმიტომ, რომ მხოლოდ საერთო-რუსული არალეგალური გაზეთის საშუალებით შეიძლებოდა იმდროინდელ პირობებში პარტიის ხმაშეწყობილი ბირთვის შექმნა, რომელსაც უნარი ექნებოდა გაეერთიანებინა უამრავი წრეები და ორგანიზაციები, მოემზადებინა იდეური და ტაქტიკური ერთიანობის პირობები და, ამრიგად, საძირკველი ჩაეყარა ნამდვილი პარტიის შექმნისათვის.

ომიდან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში, როდესაც მრეწველობა ძლივს ბოგინობდა ნგრევის ბრეჭყალებში, ხოლო სოფლის მეურნეობა ქალაქის ნაწარმის ნაკლებობას განიცდიდა, როდესაც სახელმწიფო ინდუსტრიის კავშირი გლეხურ მეურნეობასთან გახდა სოციალისტური მშენებლობის წარმატების ძირითადი პირობა, — ამ პერიოდში ძირითადი რგოლი პროცესების ჯაჭვში, ძირითადი ამოცანა სხვა ამოცანებს შორის აღმოჩნდა ვაჭრობის განვითარება. რატომ? იმიტომ, რომ ახალი ეკონომიური

პოლიტიკის პირობებში ინდუსტრიის კავშირი გლეხურ მეურნეობასთან შეუძლებელია სხვაგვარად, თუ არა ვაჭრობის საშუალებით, იმიტომ, რომ წარმოება გასაღების გარეშე ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ინდუსტრიის სიკვდილს ნიშნავს, იმიტომ, რომ ინდუსტრიის გაფართოება შეიძლება მხოლოდ გასაღების გაფართოებით — ვაჭრობის განვითარების გზით, იმიტომ, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამაგრდები ვაჭრობის დარგში, დაეუფლები ვაჭრობას, დაეუფლები ამ რგოლს, შეიძლება იქონიო იმედი — დაუკავშირო ინდუსტრია გლეხურ ბაზარს და წარმატებით გადაჭრა სხვა მორიგი ამოცანები, რათა შექმნა პირობები სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ასაგებად.

«არ კმარა იყო რევოლუციონერი და სოციალიზმის მომხრე ან კომუნისტი საერთოდ... — ამბობს ლენინი. — უნდა შეგეძლოს ყოველ მომენტში ჯაჭვის იმ განსაკუთრებული რგოლის გამონახვა, რომელსაც მთელი ძალღონით უნდა ჩასჭიდო ხელი, რათა შეინარჩუნო მთელი ჯაჭვი და მტკიცედ მოამზადო გადასვლა შემდეგ რგოლზე»...

«დღევანდელ მომენტში... ასეთი რგოლი არის საშინაო ვაჭრობის გამოცოცხლება, მისი სწორი სახელმწიფოებრივი რეგულირების (წარმართვის) პირობებში. ვაჭრობა — აი ის «რგოლი» მოვლენათა ისტორიულ ჯაჭვში, 1921—1922 წლების ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გარდამავალ ფორმებში, «რომელსაც მთელი ძალღონით უნდა ჩავჭიდოთ ხელი...» (იხ. ტ. XXVII, გვ. 82).

ასეთია მთავარი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტაქტიკური ხელმძღვანელობის სისწორეს.

6) **რეფორმიზმი და რევოლუციონიზმი.** რით განსხვავდება რევოლუციური ტაქტიკა რეფორმისტული ტაქტიკისაგან?

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ლენინიზმი რეფორმების წინააღმდეგია, საერთოდ კომპრომისებისა და შეთანხმებების წინააღმდეგია. ეს სრულიადაც არ არის სწორი. ბოლშევიკებმა სხვებზე ნაკლებად არ იციან, რომ განსაზღვრული აზრით «ყოველი მოცემული კეთილ არს», რომ განსაზღვრულ პირობებში რეფორმები საერთოდ, კომპრომისები და შეთანხმებები კერძოდ — აუცილებელი და სასარგებლოა.

«აწარმოებდე ომს, — ამბობს ლენინი, — საერთაშორისო ბურჟუაზიის დასამხობად, ომს, რომელიც ასჯერ უფრო ძნელი, ხანგრძლივი და რთულია ყველაზე შეუპოვარ ჩვეულებრივ ომთაგან სახელმწიფოთა შორის, და ამავე დროს წინასწარ ხელი აიღო მანევრირებაზე, მტრებს შორის ინტერესთა წინააღმდეგობის (თუნდაც დროებითი წინააღმდეგობის) გამოყენებაზე, შემთანხმებლობასა და კომპრომისებზე შესაძლებელ მოკავშირეებთან (თუნდაც დროებითს, არამტკიცე, მერყევ, პირობით მოკავშირეებთან), — განა ეს უსაზღვროდ სასაცილო ამბავი არ არის? განა ეს იმას არ წააგავს, რომ ჯერ კიდევ გამოუკვლეველ და დღემდე მიუდგომელ

მთაზე საძნელო ასვლის დროს წინასწარვე უარი ვთქვათ იმაზე, რომ ზოგჯერ მიხვეულ-მოხვეული გზით ვიაროთ, ზოგჯერ უკან დაბრუნდეთ, უარი ვთქვათ ერთხელ არჩეულ მიმართულებაზე და ვსინჯოთ სხვადასხვა მიმართულება?» (იხ. ტ. XXV, გვ. 210).

საქმე, ცხადია, რეფორმები ან კომპრომისები და შეთანხმებები კი არაა, არამედ ის, თუ როგორ იყენებენ ადამიანები რეფორმებსა და შეთანხმებებს.

რეფორმისტისათვის რეფორმა ყველაფერია, რევოლუციური მუშაობა კი — სასხვათაშორისო, სალაპარაკო და თვალისასახვევი რამ არის. ამიტომ რეფორმა რეფორმისტული ტაქტიკის დროს, ბურჟუაზიული ძალაუფლების არსებობის პირობებში, აუცილებლად იქცევა ამ ძალაუფლების განმტკიცების იარაღად, რევოლუციის გახრწნის იარაღად.

რევოლუციონერისათვის კი, პირიქით, მთავარია რევოლუციური მუშაობა და არა რეფორმა, — რეფორმა მისთვის არის რევოლუციის არაპირდაპირი პროდუქტი. ამიტომ რეფორმა რევოლუციური ტაქტიკის დროს, ბურჟუაზიული ძალაუფლების არსებობის პირობებში, ბუნებრივად იქცევა ამ ძალაუფლების გახრწნის იარაღად, რევოლუციის განმტკიცების იარაღად, რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარების დასაყრდენ პუნქტად.

რევოლუციონერი იღებს რეფორმას იმისათვის, რომ გამოიყენოს იგი, როგორც ხელჩასაჭიდი არალეგალურ მუშაობასთან ლეგალური მუშაობის შესახამებლად, იმისათვის, რომ გამოიყენოს იგი, როგორც საფარი არალეგალური მუშაობის გასაძლიერებლად, რათა რევოლუციურად მოამზადოს მასები ბურჟუაზიის დასამხობად.

ესაა იმპერიალიზმის პირობებში რეფორმათა და შეთანხმებათა რევოლუციური გამოყენების დედაარსი.

რეფორმისტი კი, პირიქით, იღებს რეფორმას იმისათვის, რომ ხელი აიღოს ყოველგვარ არალეგალურ მუშაობაზე, ხელი შეუშალოს რევოლუციისათვის მასების მომზადების საქმეს და ტკბილად განისვენოს «ნაბოძები» რეფორმის ჩრდილში.

ესაა რეფორმისტული ტაქტიკის დედაარსი.

ასე არის რეფორმათა და შეთანხმებათა საქმე იმპერიალიზმის პირობებში.

მაგრამ საქმე რამდენადმე იცვლება იმპერიალიზმის დამხობის შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის დროს. გარკვეულ პირობებში, გარკვეულ ვითარებაში პროლეტარული ხელისუფლება შეიძლება იძულებული გახდეს არსებული წესების რევოლუციური გარდაქმნის გზიდან დროებით გადავიდეს მათი თანდათანობით გა-

დაკეთების გზაზე, «რეფორმისტულ გზაზე», როგორც ამბობს ლენინი ცნობილ სტატიაში «ოქროს მნიშვნელობის შესახებ», შემოვლითი მოძრაობის გზაზე, რეფორმათა და არაპროლეტარული კლასებისადმი დათმობათა გზაზე, რათა გახრწნას ეს კლასები, მისცეს რევოლუციას შესვენების საშუალება, შემოიკრიბოს ძალები და მოამზადოს პირობები ახალი შეტევისათვის. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს გზა განსაზღვრული აზრით წარმოადგენს «რეფორმისტულ» გზას. ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ აქ გვაქვს ერთი ძირითადი თავისებურება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ რეფორმა ამ შემთხვევაში პროლეტარული ხელისუფლებისაგან გამომდინარეობს, რომ ის ამაგრებს პროლეტარულ ხელისუფლებას, რომ ის აძლევს მას აუცილებელ შესვენებას, რომ იგი მოწოდებულია გახრწნას არა რევოლუცია, არამედ არაპროლეტარული კლასები.

ამრიგად, ასეთ პირობებში რეფორმა იქცევა თავის დაპირისპირებულობად.

ასეთი პოლიტიკის გატარება პროლეტარული ხელისუფლების მხრით შესაძლებელი ხდება იმიტომ, და მხოლოდ იმიტომ, რომ რევოლუციის გაქანება წინა პერიოდში საკმაოდ დიდი იყო, და, ამრიგად, მან მოგვცა საკმაოდ ფართო ასპარეზი იმისათვის, რომ მოინახოს უკანდასახევი ადგილი, შეიცვალოს შეტევის ტაქტიკა დროებითი უკანდახევის ტაქტიკით, შემოვლითი მოძრაობის ტაქტიკით.

ამრიგად, თუ წინათ, ბურჟუაზიული ხელისუფლების დროს, რეფორმები იყო რევოლუციის არაპირდაპირი პროდუქტი, ახლა, პროლეტარიატის დიქტატურის დროს, რეფორმების წყაროს წარმოადგენენ პროლეტარიატის რევოლუციური მონაპოვარნი, პროლეტარიატის ხელში დაგროვილი რეზერვი, რომელიც ამ მონაპოვართაგან შესდგება.

«რეფორმების დამოკიდებულება რევოლუციისადმი, — ამბობს ლენინი, — ზუსტად და სწორად განსაზღვრულია მხოლოდ მარქსიზმის მიერ, ამასთან მარქსს შეეძლო დაენახა ეს დამოკიდებულება მხოლოდ ერთი მხრით, სახელდობრ: იმ ვითარებაში, რომელიც წინ უსწრებდა პროლეტარიატის პირველ, რამდენადმე მტკიცე, რამდენადმე ხანგრძლივ გამარჯვებას თუნდაც ერთ ქვეყანაში. ასეთ ვითარებაში მართებული დამოკიდებულების საფუძველი იყო: რეფორმები არის პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის არაპირდაპირი პროდუქტი... პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ, თუნდაც ერთ ქვეყანაში, რევოლუციისადმი რეფორმების დამოკიდებულებაში ჩნდება რაღაც ახალი. პრინციპულად საქმე იგივე რჩება, მაგრამ ფორმის მხრივ ჩნდება ცვლილება, რომლის გათვალისწინება მარქსს პირადად არ შეეძლო, მაგრამ რომლის შეცნობაც შესაძლებელია მხოლოდ მარქსიზმის ფილოსოფიისა და პოლიტიკის ნიადაგზე... გამარჯვების შემდეგ ისინი (ე. ი. რეფორმები. ი. სტ.) (რჩებიან რა საერთაშორისო

მასშტაბით იმავე «არაპირდაპირ პროდუქტად») იმ ქვეყნისათვის, რომელშიც მიღწეულია გამარჯვება, გარდა ამისა, წარმოადგენენ აუცილებელ და კანონიერ შესვენებას იმ შემთხვევაში, როდესაც ძალები, მათი უაღრესად მაქსიმალური დაძაბვის შემდეგ, აშკარად არასაკმარისია ამა თუ იმ გადასვლის რევოლუციური შესრულებისათვის. გამარჯვება იძლევა ისეთს «ძალების მარაგს», რომ იძულებითი უკანდახევის დროსაც კი ჩვენ მოგვეპოვება ის, რაც თავს გაგვატანინებს, — თავს გაგვატანინებს მატერიალურადაც და მორალური მხრითაც» (იხ. ტ. XXVII, გვ. 84 — 85).

VIII

პარტია

რევოლუციისწინა პერიოდში, ცოტად თუ ბევრად მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, როდესაც II ინტერნაციონალის პარტიები მუშათა მოძრაობაში გაბატონებულ ძალას წარმოადგენდნენ, ხოლო ბრძოლის საპარლამენტო ფორმები ძირითად ფორმებად ითვლებოდნენ, — ამ პირობებში პარტიას არ ჰქონდა და ვერც ექნებოდა ის სერიოზული და გადამწყვეტი მნიშვნელობა, რაც მან მოიპოვა შემდეგ, აშკარა რევოლუციურ შეტაკებათა პირობებში. კაუცკი, იცავს რა II ინტერნაციონალს თავდასხმებისაგან, ამბობს, რომ II ინტერნაციონალის პარტიები არიან მშვიდობიანობის და არა ომის ინსტრუმენტი, რომ სწორედ ამიტომ ისინი უძლური აღმოჩნდნენ სერიოზული რამ გაეკეთებინათ ომის დროს, პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლების პერიოდში. ეს სავსებით სწორია. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ II ინტერნაციონალის პარტიები გამოუსადეგარი არიან პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის, რომ ისინი წარმოადგენენ არა პროლეტარიატის მებრძოლ პარტიებს, რომელთაც მუშები მიჰყავთ ძალაუფლებისაკენ, არამედ წარმოადგენენ საარჩევნო აპარატს, რომელიც შეეფერება საპარლამენტო არჩევნებს და საპარლამენტო ბრძოლას. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტთა ბატონობის პერიოდში პროლეტარიატის ძირითად პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა არა პარტია, არამედ საპარლამენტო ფრაქცია. ცნობილია, რომ საქმით პარტია ამ პერიოდში წარმოადგენდა საპარლამენტო ფრაქციის დანამატს და მომსახურე ელემენტს. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთ პირობებში და ასეთი პარტიის მეთაურობით ლაპარაკიც შეუძლებელი იყო რევოლუციისათვის პროლეტარიატის მომზადებაზე.

მაგრამ საქმე ძირფესვიანად შეიცვალა ახალი პერიოდის დადგომით. ახალი პერიოდი არის კლასთა აშკარა შეტაკებების პერიოდი,

პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლების პერიოდი, პროლეტარული რევოლუციის პერიოდი, იმპერიალიზმის დასამხობად და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დასაპყრობად ძალთა პირდაპირი მომზადების პერიოდი. ეს პერიოდი აყენებს პროლეტარიატის წინაშე ახალ ამოცანებს: მთელი პარტიული მუშაობის გარდაქმნა ახალ, რევოლუციურ ყაიდაზე, მუშების აღზრდა ძალაუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით, რეზერვების მომზადება და თავმოყრა, მეზობელი ქვეყნების პროლეტარებთან კავშირი, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან მტკიცე კავშირის დამყარება და სხვ. და სხვ.. იმის ფიქრი, რომ ამ ახალი ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიების ძალებით, რომლებიც აღზრდილი არიან პარლამენტარიზმის მშვიდობიან პირობებში, — ნიშნავს განიმზადო უიმედო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა, აუცილებელი დამარცხება. ასეთი ამოცანები გაწვეს კისერზე და სათავეში კი გედგას ძველი პარტიები — იმას ნიშნავს, რომ სრულიად განიარაღებული დარჩე. არა გეგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ პროლეტარიატს არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ მდგომარეობას.

აქედან — აუცილებლობა ახალი პარტიისა, მებრძოლი პარტიისა, რევოლუციური პარტიისა, რომელიც საკმაოდ გამბედავია იმისათვის, რომ წაიყვანოს პროლეტარები ძალაუფლებისათვის საბრძოლველად, საკმაოდ გამოცდილია იმისათვის, რომ გაერკვეს რევოლუციური ვითარების რთულ პირობებში, და საკმაოდ მოქნილია იმისათვის, რომ გვერდი აუაროს ყველა და ყოველგვარ წყალქვეშა ქვებს მიზნისაკენ სავალ გზაზე.

ასეთი პარტიის გარეშე ფიქრიც კი ზედმეტია იმპერიალიზმის დამხობაზე, პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებაზე.

ეს ახალი პარტია არის ლენინიზმის პარტია.

რაში გამოიხატება ამ ახალი პარტიის თავისებურებანი?

1) **პარტია, როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმი.** პარტია, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს მუშათა კლასის **მოწინავე** რაზმი. პარტიამ თავის არსებაში უნდა შეაერთოს მუშათა კლასის ყველა საუკეთესო ელემენტი, მათი გამოცდილება, მათი რევოლუციურობა, მათი თავდადებული ერთგულება პროლეტარიატის საქმისადმი. მაგრამ იმისათვის, რომ პარტია ნამდვილად მოწინავე რაზმს წარმოადგენდეს, იგი შეიარაღებული უნდა იყოს რევოლუციური თეორიით, მოძრაობის კანონების ცოდნით, რევოლუციის კანონების ცოდნით. უამისოდ მას არ შეუძლია უხელმძღვანელოს

პროლეტარიატის ბრძოლას, თან გაიყოლიოს პროლეტარიატი. პარტია ვერ იქნება ნამდვილი პარტია, თუ ის კმაყოფილდება იმის აღნუსხვით, რასაც განიცდის და ფიქრობს მუშათა კლასის მასა, თუ ის უკან მისჩანჩალებს სტიქიურ მოძრაობას, თუ მას არ ძალუძს გადალახოს სტიქიური მოძრაობის სიზანტე და პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, თუ მას არ შეუძლია პროლეტარიატის წუთიერ ინტერესებზე მაღლა დადგეს, თუ მას არ ძალუძს მასების ამაღლება პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების გაგების დონემდე. პარტია მუშათა კლასის წინ უნდა იდგეს, იგი მუშათა კლასზე უფრო შორს უნდა ხედავდეს, იგი წინ უნდა მიუძღოდეს პროლეტარიატს და კუდში კი არ მისჩანჩალებდეს სტიქიურობას. II ინტერნაციონალის პარტიები, რომლებიც «მაჩანჩალობას» ქადაგებენ, გამტარებელნი არიან ბურჟუაზიული პოლიტიკისა, რომელიც პროლეტარიატს არგუნებს იარაღის როლს ბურჟუაზიის ხელში. მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც პროლეტარიატის მოწინავე რაზმის თვალსაზრისზე დგას და რომელსაც უნარი აქვს აამაღლოს მასები პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების გაგების დონემდე, — მხოლოდ ასეთ პარტიას შეუძლია გადმოიყვანოს მუშათა კლასი ტრედ-უნიონიზმის გზიდან და გადააქციოს იგი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად.

პარტია არის მუშათა კლასის პოლიტიკური ბელადი.

ზემოთ მე ვილაპარაკე მუშათა კლასის ბრძოლის სიძნელეებზე, ბრძოლის პირობების სირთულეზე, სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, რეზერვებსა და მანევრირებაზე, შეტევასა და უკანდახევაზე. ეს პირობები, ომის პირობებზე თუ მეტად არა, ნაკლებად რთული არ არის. ვის შეუძლია გაერკვეს ამ პირობებში, ვის შეუძლია მისცეს სწორი ორიენტაცია პროლეტარების მილიონიან მასებს? არც ერთ არმიას არ შეუძლია ომში მოქმედება გამოცდილი შტაბის გარეშე, თუ მას არ სურს თავი გასწიროს დასამარცხებლად. განა ცხადი არ არის, რომ პროლეტარიატს მით უფრო არ შეუძლია იმოქმედოს ასეთი შტაბის გარეშე, თუ მას არ სურს თავისი მოსისხლე მტრების ლუკმა გახდეს? მაგრამ სად არის ეს შტაბი? ასეთი შტაბი შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური პარტია. მუშათა კლასი რევოლუციური პარტიის გარეშე — ეს არის უშტაბო არმია.

პარტია არის პროლეტარიატის საბრძოლო შტაბი.

მაგრამ პარტია არ შეიძლება იყოს მხოლოდ მოწინავე რაზმი. ის ამავე დროს უნდა იყოს კლასის რაზმი, კლასის ნაწილი, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია მასთან თავისი არსებობის ყველა ფესვით. განსხვავება მოწინავე რაზმსა და მუშათა კლასის დანარჩენ

მასას შორის, პარტიულებსა და უპარტიოებს შორის ვერ მოისპობა მანამდე, სანამ არ მოისპობიან კლასები, სანამ პროლეტარიატის რიგები ივსება სხვა კლასებიდან გამოსული ელემენტებით, სანამ მთლიანად მუშათა კლასი მოკლებული იქნება საშუალებას — ამაღლდეს მოწინავე რაზმის დონემდე. მაგრამ პარტია ვეღარ იქნება პარტია, ეს განსხვავება განხეთქილებად რომ გადაიქცეს, პარტია თავის ნაჭუჭში რომ ჩაიკეტოს და მოსწყდეს უპარტიო მასებს. პარტიას არ შეუძლია უხელმძღვანელოს კლასს, თუ ის დაკავშირებული არ არის უპარტიო მასებთან, თუ არ არსებობს კავშირი პარტიასა და უპარტიო მასებს შორის, თუ ეს მასები არ ცნობენ მის ხელმძღვანელობას, თუ პარტია არ სარგებლობს მასებში მორალური და პოლიტიკური ნდობით.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს პარტიაში მიღებულ იქნა ორასი ათასი ახალი წევრი მუშათა წრიდან. აქ ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეს ხალხი იმდენად თვითონ არ მოსულა პარტიაში, რამდენადაც გამოგზავნილი იყო მთელი დანარჩენი უპარტიო მასის მიერ, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალი წევრების მიღებაში და რომლის დაუდასტურებლად არ ხდებოდა ახალი წევრების მიღება. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ უპარტიო მუშათა ფართო მასები ჩვენს პარტიას თვლიან **თავიანთ** პარტიად, **ახლობელ** და **მშობლიურ** პარტიად, რომლის გაფართოებასა და განმტკიცებაში ისინი უაღრესად არიან დაინტერესებული და რომლის ხელმძღვანელობასაც ისინი ნებაყოფლობით ანდობენ თავიანთ ბედს. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ უხილავი მორალური ძაფების გარეშე, რომლებიც აკავშირებენ პარტიას უპარტიო მასებთან, პარტია ვერ გადაიქცეოდა თავისი კლასის გადამწყვეტ ძალად.

პარტია არის მუშათა კლასის განუყოფელი ნაწილი.

«ჩვენ, — ამბობს ლენინი, — კლასის პარტია ვართ, და ამიტომ **თითქმის მთელი კლასი** (ხოლო ომიანობის დროს, სამოქალაქო ომის ეპოქაში, უკლებლივ მთელი კლასიც) უნდა მოქმედებდეს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ჩვენს პარტიასთან, მაგრამ მანილოვობა და «მაჩანჩალობა» იქნებოდა გვეფიქრა, რომ ოდესმე თითქმის მთელი კლასი ან მთელი კლასი შესძლებს, კაპიტალიზმის დროს, ამაღლდეს თავისი მოწინავე რაზმის, თავისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეგნებულობამდე და აქტიურობამდე. არც ერთი გონიერი სოციალ-დემოკრატი ჯერ არ დაეჭვებულა იმაში, რომ კაპიტალიზმის დროს პროფესიულ ორგანიზაციასაც კი (რომელიც უფრო პრიმიტიულია, უფრო მისაწვდომია განუვითარებელი ფენების შეგნებისათვის) არ შეუძლია მოიცვას თითქმის მთელი ან მთელი მუშათა კლასი. მხოლოდ თავის მოტყუება, ჩვენი უდიდესი ამოცანების წინაშე თვალის დახუჭვა, ამ ამოცანების შეკვეცა იქნებოდა დავიწყება განსხვავებისა მოწინავე რაზმსა და მთელ იმ მასებს შორის, რომელნიც მისკენ მიისწრაფიან, დავიწყება მოწინავე რაზმის მუდმივი

მოვალეობისა — ამ მოწინავე დონემდე აამაღლოს სულ უფრო და უფრო ფართო ფენები» (იხ. ტ. VI, გვ. 205 — 206).

2) **პარტია, როგორც მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმი.** პარტია არ არის მუშათა კლასის მხოლოდ **მოწინავე** რაზმი. თუ პარტიას სურს ნამდვილად უხელმძღვანელოს კლასის ბრძოლას, ის ამავე დროს უნდა იყოს თავისი კლასის **ორგანიზებული** რაზმი. პარტიის ამოცანები კაპიტალიზმის პირობებში ფრიად დიდი და მრავალფეროვანია. პარტიამ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს პროლეტარიატის ბრძოლას საშინაო და საგარეო განვითარების უაღრესად ძნელ პირობებში, მან უნდა წაიყვანოს პროლეტარიატი შეტევაზე, როცა ვითარება შეტევას მოითხოვს, მან უნდა გამოიყვანოს პროლეტარიატი ძლიერი მოწინააღმდეგის თავდასხმის არიდან, როცა ვითარება უკანდახევას მოითხოვს, მან შეუკავშირებელი უპარტიო მუშების მილიონიან მასებში უნდა შეიტანოს დისციპლინისა და გეგმაშეზომილობის სული ბრძოლაში, ორგანიზებულობისა და გამძლეობის სული. მაგრამ პარტიას ამ ამოცანების შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით იგი წარმოადგენს დისციპლინისა და ორგანიზებულობის განსახიერებას, თუ ის თვით არის პროლეტარიატის **ორგანიზებული** რაზმი. ამ პირობათა გარეშე ლაპარაკიც კი არ შეიძლება პარტიის მიერ პროლეტარიატის მილიონიანი მასების ნამდვილ ხელმძღვანელობაზე.

პარტია არის მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმი.

აზრი პარტიაზე, როგორც ორგანიზებულ მთელზე, მოცემულია ლენინის მიერ ჩვენი პარტიის წესდების პირველი მუხლის ცნობილ ფორმულირებაში, სადაც პარტია განხილულია როგორც ორგანიზაციების **ჯამი**, ხოლო პარტიის წევრები — როგორც პარტიის ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრები. მენშევიკები, რომლებიც ჯერ კიდევ 1903 წელს ილაშქრებდნენ ასეთი ფორმულირების წინააღმდეგ, მის ნაცვლად აყენებდნენ პარტიაში თვითჩარიცხვის «სისტემას», «სისტემას», რომლის მიხედვით პარტიის წევრის «სახელწოდება» ერცელდებოდა ყოველ «პროფესორზე» და «გიმნაზიელზე», ყოველ «თანამგრძნობზე» და «გაფიცულზე», ვინც კი ასე თუ ისე მხარს უჭერს პარტიას, მაგრამ არ შედის და არც სურს შევიდეს პარტიის რომელიმე ორგანიზაციაში. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ეს ორიგინალური «სისტემა», ჩვენს პარტიაში რომ იგი განმტკიცებულიყო, აუცილებლად გამოიწვევდა პარტიის გავსებას პროფესორებითა და გიმნაზიელებით და მის გადაგვარებას უსახო, ჩამოუყალიბებელ, დეზორგანიზებულ «ქმნილებად», რომელიც ჩაიძირებოდა «თანამგრძნობთა» ზღვაში, რომელიც წაშლიდა ყო-

ველსავე ზღვარს პარტიასა და კლასს შორის და უკუაგდებდა პარტიის ამოცანას მოწინავე რაზმის დონემდე არაორგანიზებული მასების ამაღლების შესახებ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი ოპორტუნისტული «სისტემის» დროს ჩვენი პარტია ვერ შეასრულებდა მუშათა კლასის დამრაზმავი ბირთვის როლს ჩვენი რევოლუციის მსვლელობაში.

«ამხ. მარტოვის თვალსაზრისით, — ამბობს ლენინი, — პარტიის საზღვარი სრულიად გამოურკვეველი რჩება, ვინაიდან «ყოველ გაფიცულს» შეუძლია «თავისი თავი გამოაცხადოს პარტიის წევრად». რა სარგებლობა მოაქვს ასეთ გაურკვევლობას? «სახელწოდების» ფართოდ გავრცელება. მის ზიანს კი წარმოადგენს, შეტანა დეზორგანიზაციის გამომწვევი იდეისა კლასის და პარტიის ერთიმეორეში არევის შესახებ» (იხ. ტ. VI, გვ. 211).

მაგრამ პარტია პარტიული ორგანიზაციების მარტო ჯამი როდია. ამასთან ერთად პარტია არის ამ ორგანიზაციათა ერთიანი **სისტემა**, მათი ფორმალური გაერთიანება ერთ მთელად, ხელმძღვანელობის უმაღლესი და ქვემდგომი ორგანოებით, უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებით, პარტიის ყველა წევრისათვის სავალდებულო პრაქტიკული გადაწყვეტილებებით. ამ პირობების გარეშე პარტიას არ ძალუძს იყოს ერთიანი ორგანიზებული მთელი, რომელსაც უნარი ექნება განახორციელოს მუშათა კლასის ბრძოლის გეგმაშეზომილი და ორგანიზებული ხელმძღვანელობა.

«წინათ, — ამბობს ლენინი, — ჩვენი პარტია არ იყო ფორმალურად ორგანიზებული მთელი, არამედ მხოლოდ კერძო ჯგუფების ჯამი იყო, და ამიტომ ამ ჯგუფებს შორის, გარდა იდეური ზეგავლენისა, სხვაგვარი ურთიერთობა არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ახლა ჩვენ ორგანიზებული პარტია გავხდით, ხოლო სწორედ ეს მოასწავებს ძალაუფლების შექმნას, იდეათა ავტორიტეტის გადაქცევას ძალაუფლების ავტორიტეტად, უმაღლესი პარტიული ინსტანციებისადმი ქვემდგომი ინსტანციების დამორჩილებას» (იხ. ტ. VI, გვ. 291).

უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების პრინციპი, პარტიული მუშაობის ცენტრიდან ხელმძღვანელობის პრინციპი ხშირად იწვევს მერყევი ელემენტების თავდასხმებს, «ბიუროკრატიზმის», «ფორმალიზმის» ბრალდებას და სხვ.. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ პარტიის, როგორც მთელის, გეგმაშეზომილი მუშაობა და მუშათა კლასის ბრძოლის ხელმძღვანელობა შეუძლებელი იქნებოდა ამ პრინციპების გაუტარებლად. ლენინიზმი საორგანიზაციო საკითხში წარმოადგენს ამ პრინციპების განუხრელად გატარებას. ამ პრინციპების წინააღმდეგ ბრძოლას ლენინი უწოდებს «რუსულ ნიჰილიზმს» და «ბატონკაცურ ანარქიზმს», რომელიც დაცინვისა და უკუგდების ღირსია.

აი რას ამბობს ლენინი ამ მერყეევი ელემენტების შესახებ თავის წიგნში «ნაბიჯი წინ»:

«რუს ნიჰილისტს განსაკუთრებით სჩვეევია ეს ბატონყაცური ანარქიზმი. პარტიული ორგანიზაცია მას ეჩვენება საშინელ «ფაბრიკად», მთელისადმი ნაწილის და უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილება მას წარმოუდგენია «დამონებად»..., შრომის განაწილება ცენტრის ხელმძღვანელობით მასში იწვევს ტრაგიკომიკურ გოდებას ადამიანების «პატარა ბორბლებად და ხრახნებად» გადაქცევის წინააღმდეგ..., პარტიის საორგანიზაციო წესდების ხსენება იწვევს ზიზღს გამომხატველ დაღმეჭას და ქედმაღლურ... შენიშვნას, რომ უწესდებოდაც იოლად წავიდოდითო».

«მგონი, ცხადია, რომ ყვირილი ყბადაღებულ ბიუროკრატიზმზე არის მხოლოდ ცენტრების პირადი შემადგენლობით უკმაყოფილების დაფარვა, ლეღვის ფოთოლი... შენ ბიუროკრატი ხარ, რადგან დანიშნული ხარ ყრილობის მიერ არა ჩემი სურვილით, არამედ მის წინააღმდეგ; შენ ფორმალისტი ხარ, რადგან ეყრდნობი ყრილობის ფორმალურ გადაწყვეტილებებს და არა ჩემს თანხმობას; შენ მოქმედებ უხეშად და მექანიკურად, რადგან ემყარები პარტიული ყრილობის «მექანიკურ» უმრავლესობას და ანგარიშს არ უწევ ჩემს სურვილს — ვიყო კოოპტირებული; შენ თვითმპყრობელი ხარ, რადგან არ გსურს გადასცე ძალაუფლება ძველ, შეხმატკბილებულ კომპანიას» 1 (იხ. ტ. VI, გვ. 310 და 287).

3) **პარტია, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა.** პარტია არის მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმი. მაგრამ პარტია არ არის მუშათა კლასის ერთადერთი ორგანიზაცია. პროლეტარიატს აქვს კიდევ მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები, ურომლისოდაც მას არ შეუძლია აწარმოოს წარმატებითი ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ: პროფესიული კავშირები, კოოპერატივები, საქარხნო-საფაბრიკო ორგანიზაციები, საპარლამენტო ფრაქციები, ქალთა უპარტიო გაერთიანებანი, ბეჭდვითი სიტყვა, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები, ახალგაზრდობის კავშირები, რევოლუციურ-მებრძოლი ორგანიზაციები (აშკარა რევოლუციური გამოსვლების დროს), დეპუტატთა საბჭოები, როგორც ორგანიზაციის სახელმწიფოებრივი ფორმა (თუ ძალაუფლება პროლეტარიატის ხელშია) და სხვ.. ამ ორგანიზაციების დიდი უმეტესობა უპარტიოა, და მათი მხოლოდ ერთი ნაწილი უკავშირდება უშუალოდ პარტიას ანდა მის განშტოებას წარმოადგენს. ყველა ეს ორგანიზაცია განსაზღვრულ პირობებში აბსოლუტურად აუცილებელია მუშათა კლასისათვის, ვინაიდან უიმათოდ

---

1 ლაპარაკია აქსელროდის, მარტოვის, პოტრესოვის და სხვ. «კომპანიაზე». რომლებიც არ ემორჩილებოდნენ II ყრილობის გადაწყვეტილებებს და ლენინს «ბიუროკრატიზმს» აბრალებდნენ. ი. ხტ.

შეუძლებელია პროლეტარიატის კლასობრივი პოზიციების გამაგრება ბრძოლის სხვადასხვაგვარ სფეროში, ვინაიდან უიმათოდ შეუძლებელია პროლეტარიატის, როგორც ისეთი ძალის, გამობრძმედა, რომელიც მოწოდებულია შეცვალოს ბურჟუაზიული წესწყობილება სოციალისტური წესწყობილებით. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ერთიანი ხელმძღვანელობა ორგანიზაციათა ასეთი სიუხვის დროს? სად არის იმის გარანტია, რომ ორგანიზაციათა სიმრავლე არ გამოიწვევს შეუთანხმებლობას ხელმძღვანელობის საქმეში? შეიძლება თქვან, თვითეული ეს ორგანიზაცია თავის განკერძოებულ სფეროში მუშაობს, და ამიტომ ეს ორგანიზაციები ვერ შეუშლიან ხელს ერთიმეორესო. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ სწორია ისიც, რომ ყველა ამ ორგანიზაციამ მუშაობა უნდა აწარმოოს ერთი მიმართულებით, რადგან ისინი ემსახურებიან **ერთ** კლასს, პროლეტართა კლასს. ისმება კითხვა: ვინ განსაზღვრავს იმ ხაზს, იმ საერთო მიმართულებას, რომლითაც უნდა აწარმოებდეს მუშაობას ყველა ეს ორგანიზაცია? სად არის ის ცენტრალური ორგანიზაცია, რომელსაც, აუცილებელი გამოცდილებით აღჭურვილს, არა მარტო აქვს უნარი — შეიმუშაოს ეს საერთო ხაზი, არამედ საშუალებაც აქვს, ამისათვის საკმაო ავტორიტეტის გამო, ცხოვრებაში გაატარებინოს ყველა ამ ორგანიზაციას ეს ხაზი, რათა მიღწეულ იქნას ხელმძღვანელობის ერთიანობა და გამოირიცხოს მუშაობის შეფერხების შესაძლებლობა?

ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს პროლეტარიატის პარტია.

პარტიას ამისათვის ყველა პირობა გააჩნია, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ პარტია არის მუშათა კლასის იმ საუკეთესო ელემენტების შესაკრები პუნქტი, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ პროლეტარიატის უპარტიო ორგანიზაციებთან და რომელნიც ხშირად ხელმძღვანელობას უწევენ მათ; მეორეც, იმიტომ, რომ პარტია, როგორც მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანების შესაკრები პუნქტი, არის საუკეთესო სკოლა მუშათა კლასის ისეთი ლიდერების მოსამზადებლად, რომლებიც შესძლებენ ხელმძღვანელობა გაუწიონ თავიანთი კლასის ორგანიზაციის ყველა ფორმას; მესამეც, იმიტომ, რომ პარტია, როგორც მუშათა კლასის ლიდერების საუკეთესო სკოლა, თავისი გამოცდილებით და ავტორიტეტით არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია პროლეტარიატის ბრძოლის ხელმძღვანელობის ცენტრალიზება და, ამრიგად, მუშათა კლასის ყველა და ყოველგვარი უპარტიო ორგანიზაციის გადაქცევა მომსახურე ორგანოებად და ამძრავ ღვედებად, რომლებიც აკავშირებენ მას კლასთან.

პარტია არის პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ უპარტიო ორგანიზაციები, პროფკავშირები, კოოპერატივები და სხვ., ფორმალურად უნდა ემორჩილებოდნენ პარტიულ ხელმძღვანელობას. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ პარტიის წევრები, რომლებიც ამ ორგანიზაციების შემადგენლობაში შედიან, როგორც უეჭველად გავლენიანი პირები, დარწმუნების ყველა ზომას უნდა მიმართავდნენ იმისათვის, რომ უპარტიო ორგანიზაციები თავიანთ მუშაობაში უახლოვდებოდნენ პროლეტარიატის პარტიას და ნებაყოფლობით იღებდნენ მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ პარტია არის «პროლეტარების კლასობრივი გაერთიანების უმაღლესი ფორმა», რომლის პოლიტიკური ხელმძღვანელობაც უნდა ვრცელდებოდეს პროლეტარიატის ორგანიზაციის ყველა სხვა ფორმაზე (იხ. ტ. XXV, გვ. 194).

აი რატომ არის, რომ უპარტიო ორგანიზაციების «დამოუკიდებლობისა» და «ნეიტრალობის» ოპორტუნისტული თეორია, რაც წარმოშობს **დამოუკიდებელ** პარლამენტარიებს და პარტიისაგან **მოწყვეტილ** ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეებს, **შუბლვიწრო** პროფესიონალისტებს და **გამეშჩანებულ** კოოპერატორებს, — სრულიად შეუთავსებელია ლენინიზმის თეორიასა და პრაქტიკასთან.

4) **პარტია, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის იარაღი.** პარტია არის პროლეტარიატის ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა. პარტია არის ძირითადი ხელმძღვანელი საწყისი პროლეტართა კლასის შიგნით და ამ კლასის ორგანიზაციათა შორის. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ პარტია შეიძლება განხილულ იქნას როგორც თვითმიზანი, როგორც თვითკმარი ძალა. პარტია არის პროლეტართა კლასობრივი გაერთიანების არა მარტო უმაღლესი ფორმა, — ის ამავე დროს პროლეტარიატის ხელში არის **იარაღი** დიქტატურის **მოსაპოვებლად**, როდესაც ის ჯერ კიდევ არ არის მოპოვებული, და დიქტატურის **განსამტკიცებლად** და **გასაფართოებლად**, როდესაც ის უკვე მოპოვებულია. პარტია თავისი მნიშვნელობით ვერ დადგებოდა ასეთ მაღალ საფეხურზე, და იგი ვერ გადაფარავდა პროლეტარიატის ორგანიზაციის ყველა დანარჩენ ფორმას, პროლეტარიატი რომ ძალაუფლების საკითხის წინაშე არ მდგარიყო, იმპერიალიზმის პირობებს, ომების აუცილებლობას და კრიზისის არსებობას რომ არ მოეთხოვა პროლეტარიატის ყველა ძალის კონცენტრაცია ერთ პუნქტში, რევოლუციური მოძრაობის ყველა ძაფის თავმოყრა ერთ ადგილას იმისათვის, რომ დამხობილი

ყოფილიყო ბურჟუაზია და მოპოვებული ყოფილიყო პროლეტარიატის დიქტატურა. პარტია პროლეტარიატს ესაჭიროება, უწინარეს ყოვლისა, როგორც თავისი საბრძოლო შტაბი, რომელიც აუცილებელია ძალაუფლების წარმატებით დასაპყრობად. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ისეთი პარტიის გარეშე, რომელსაც შეუძლია თავის გარშემო პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაციების შემოკრება და ბრძოლის პროცესში მთელი მოძრაობის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია, რუსეთის პროლეტარიატი ვერ შესძლებდა თავისი რევოლუციური დიქტატურის განხორციელებას.

მაგრამ პარტია პროლეტარიატს ესაჭიროება არა მარტო დიქტატურის მოსაპოვებლად, არამედ უფრო მეტად ესაჭიროება იმისათვის, რომ შეინარჩუნოს დიქტატურა, განამტკიცოს და გააფართოოს იგი სოციალიზმის სრული გამარჯვების მისაღწევად.

«ალბათ, ახლა უკვე თითქმის ყველა ხედავს, — ამბობს ლენინი, — რომ ბოლშევიკები ვერ შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას არამც თუ 2½ წლის განმავლობაში, არამედ 2½ თვესაც, ჩვენს პარტიაში რომ არ ყოფილიყო უმკაცრესი, ჭეშმარიტად რკინისებური დისციპლინა, მისთვის რომ სავსებით და თავდადებით მხარი არ დაეჭირა მუშათა კლასის მთელ მასას, ე. ი. ყოველივე იმას, რაც ამ კლასში მოაზროვნე, პატიოსანი, თავდადებული და გავლენიანია და რასაც შეუძლია გაიყოლიოს ან გაიტაცოს ჩამორჩენილი ფენები» (იხ. ტ. XXV, გვ. 173).

მაგრამ რას ნიშნავს დიქტატურის «შენარჩუნება» და «გაფართოება»? ეს ნიშნავს — შეიტანო პროლეტარების მილიონიან მასებში დისციპლინისა და ორგანიზებულობის სული; ეს ნიშნავს — შექმნა პროლეტარულ მასებში სიმტკიცე და საყრდენი წვრილბურჟუაზიული სტიქიისა და წვრილბურჟუაზიულ ჩვეულებათა გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ; ეს ნიშნავს — გაამაგრო პროლეტარების ორგანიზატორული მუშაობა წვრილბურჟუაზიული ფენების ხელახლა აღსაზრდელად და გარდასაქმნელად; ეს ნიშნავს — დაეხმარო პროლეტარულ მასებს აღზარდონ თავიანთი თავი, როგორც ძალა, რომელიც შესძლებს მოსპოს კლასები და მოამზადოს პირობები სოციალისტური წარმოების ორგანიზაციისათვის. მაგრამ ყოველივე ამის გაკეთება შეუძლებელია ისეთი პარტიის გარეშე, რომელიც ძლიერი იქნება თავისი დარაზმულობით და დისციპლინით.

«პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს ლენინი, — არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლიანი და უსისხლო, ძალდატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატორული, ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ. მილიონებისა და ათეული მილიონების ჩვეულების ძალა ყველაზე საშინელი ძალაა. ასეთი ბრძოლის წარმატებით წარმოება

შეუძლებელია რკინისებური და ბრძოლაში გამობრძმედილი პარტიის გარეშე, ისეთი პარტიის გარეშე, რომელიც სარგებლობს თავისი კლასის ყველა პატიოსან ელემენტთა ნდობით, ისეთი პარტიის გარეშე, რომელსაც შეუძლია თვალყური ადევნოს მასების განწყობილებას და გავლენა მოახდინოს მასზე» (იხ. ტ. XXV, გვ. 190).

პარტია პროლეტარიატს ესაჭიროება **იმისათვის**, რომ მოიპოვოს და შეინარჩუნოს დიქტატურა. პარტია პროლეტარიატის დიქტატურის იარაღია.

მაგრამ აქედან ის გამომდინარეობს, რომ კლასების მოსპობის შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის კვდომის შემდეგ, უნდა განიცადოს კვდომა პარტიამაც.

5) **პარტია, როგორც ნებისყოფის ერთიანობა, რაც შეუთავსებელია ფრაქციების არსებობასთან.** პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვება და შენარჩუნება შეუძლებელია ისეთი პარტიის გარეშე, რომელიც ძლიერია თავისი დარაზმულობით და რკინისებური დისციპლინით. მაგრამ რკინისებური დისციპლინა პარტიაში წარმოუდგენელია, თუ არ იქნება ნებისყოფის ერთიანობა, თუ არ იქნება პარტიის ყველა წევრის მოქმედების სრული და უეჭველი ერთიანობა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ამით გამორიცხულია პარტიის შიგნით სხვადასხვა აზრთა ბრძოლის შესაძლებლობა. პირიქით, რკინისებური დისციპლინა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს კრიტიკას და აზრთა ბრძოლას პარტიის შიგნით. ეს, მით უმეტეს, არ ნიშნავს იმას, რომ დისციპლინა «ბრმა» უნდა იყოს. პირიქით, რკინისებური დისციპლინა კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს შეგნებულად და ნებაყოფლობით დამორჩილებას, ვინაიდან მხოლოდ შეგნებული დისციპლინა შეიძლება იყოს ნამდვილად რკინისებური დისციპლინა. მაგრამ მას შემდეგ, რაც აზრთა ბრძოლა დამთავრებულია, კრიტიკა ამოწურულია და გადაწყვეტილება მიღებულია, პარტიის ყველა წევრის ნებისყოფის ერთიანობა და მოქმედების ერთიანობა არის ის აუცილებელი პირობა, ურომლისოდ წარმოუდგენელია როგორც ერთიანი პარტია, ისე რკინისებური დისციპლინა პარტიაში.

«გამწვავებული სამოქალაქო ომის ახლანდელ ეპოქაში, — ამბობს ლენინი, — კომუნისტური პარტია მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს თავისი მოვალეობის შესრულებას, თუ ის რაც შეიძლება ცენტრალისტურად იქნება მოწყობილი, თუ მასში გაბატონებული იქნება რკინისებური დისციპლინა, სამხედრო დისციპლინის მსგავსი, და თუ მისი პარტიული ცენტრი იქნება ძლიერი ავტორიტეტული ორგანო, აღჭურვილი ფართო რწმუნებებით და პარტიის წევრთა საყოველთაო ნდობით» (იხ. ტ. XXV, გვ. 282 — 283).

ასე დგას პარტიული დისციპლინის საკითხი დიქტატურის მოპოვების წინ მიმდინარე ბრძოლის პირობებში.

იგივე, მაგრამ კიდევ უფრო მეტად, უნდა ითქვას პარტიულ დისციპლინაზე დიქტატურის მოპოვების შემდეგ.

«ვინც ოდნავადაც კი ასუსტებს, — ამბობს ლენინი, — პროლეტარიატის პარტიის რკინისებურ დისციპლინას (განსაკუთრებით პროლეტარიატის დიქტატურის დროს), ის ფაქტიურად ეხმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ» (იხ. ტ. XXV, გვ. 190).

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ფრაქციების არსებობა შეუთავსებელია როგორც პარტიის ერთიანობასთან, ისე მის რკინისებურ დისციპლინასთან. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ფრაქციების არსებობა იწვევს რამდენიმე ცენტრის არსებობას, რამდენიმე ცენტრის არსებობა კი ნიშნავს პარტიაში საერთო ცენტრის უქონლობას, ერთიანი ნებისყოფის დაქუცმაცებას, დისციპლინის დასუსტებას და დაშლას, დიქტატურის დასუსტებას და დაშლას. რასაკვირველია, II ინტერნაციონალის პარტიებს, რომლებიც იბრძვიან პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ. და რომელთაც არ სურთ წაიყვანონ პროლეტარები ძალაუფლების დასაპყრობად, შეუძლიათ შეიწყნარონ ისეთი ლიბერალიზმი, როგორიც არის ფრაქციების თავისუფლება, ვინაიდან მათ სრულიადაც არ ესაჭიროებათ რკინისებური დისციპლინა. მაგრამ კომუნისტური ინტერნაციონალის პარტიებს, რომლებიც თავიანთ მუშაობას აშენებენ პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებისა და განმტკიცების ამოცანათა საფუძველზე, არ შეუძლიათ შეიწყნარონ არც «ლიბერალიზმი», არც ფრაქციების თავისუფლება.

პარტია არის ნებისყოფის ერთიანობა, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ფრაქციულობას და ძალაუფლების დანაწილებას პარტიაში.

აქედან — ლენინის განმარტება, რომ «ფრაქციულობა საშიშია პარტიის ერთიანობისა და პროლეტარიატის ავანგარდის ნებისყოფის ერთიანობის განხორციელების თვალსაზრისით, რაც წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის წარმატების ძირითად პირობას», განმარტება, რომელიც აღბეჭდილია ჩვენი პარტიის X ყრილობის სპეციალურ რეზოლუციაში «პარტიის ერთიანობის შესახებ».

აქედან — ლენინის მოთხოვნა «ყოველგვარი ფრაქციულობის სრული მოსპობისა» და «გამოუკლებლივ ყველა, ამა თუ იმ პლატფორმის ნიადაგზე აღმოცენებული ჯგუფის დაუყოვნებლივ დაშლისა» «პარტიიდან აუცილებლივი და დაუყოვნებლივი გამორიცხვის» შიშით (იხ. რეზოლუცია «პარტიის ერთიანობის შესახებ»).

6) **პარტია მტკიცდება იმით, რომ წმენდს თავის რიგებს ოპორტუნისტული ელემენტებისაგან.** ფრაქციულობის წყაროს პარტიაში

წარმოადგენენ მისი ოპორტუნისტული ელემენტები. პროლეტარიატი არ არის კარჩაკეტილი კლასი. მის რიგებში განუწყვეტლივ შედიან გლეხების, მეშჩანებისა და ინტელიგენციის წრიდან გამოსული ელემენტები, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარებას გაუპროლეტარება. ამავე დროს მიმდინარეობს პროცესი პროლეტარიატის ზედაფენების გახრწნისა, უმთავრესად პროფესიონალისტების და პარლამენტარიების წრიდან, რომელთაც კვებავს ბურჟუაზია კოლონიური ზემოგების ხარჯზე. «ეს ფენა გაბურჟუებული მუშებისა ანუ «მუშათა არისტოკრატიისა», — ამბობდა ლენინი, — რომლებიც სავსებით მეშჩანური არიან თავისი ცხოვრების ხასიათით, ხელფასის ოდენობით, მთელი თავისი მსოფლმხედველობით, არის II ინტერნაციონალის მთავარი დასაყრდენი, ხოლო ჩვენს დროში ბურჟუაზიის მთავარი სოციალური (არა სამხედრო) დასაყრდენი. ვინაიდან ისინი არიან მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიის ნამდვილი აგენტები, კაპიტალისტთა კლასის მუშა-ნოქრები..., რეფორმიზმისა და შოვინიზმის ნამდვილი გამტარებელნი» (იხ. ტ. XIX, გვ. 77).

ყველა ეს წვრილბურჟუაზიული ჯგუფი ასე თუ ისე იჭრება პარტიაში, შეაქვს იქ მერყეობისა და ოპორტუნიზმის სული, რღვევისა და რწმენის უქონლობის სული. სწორედ ისინი წარმოადგენენ, უმთავრესად, ფრაქციულობისა და დაშლის წყაროს, პარტიის დეზორგანიზაციისა და შიგნიდან აფეთქების წყაროს. იბრძოლო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, როდესაც ზურგში ასეთი «მოკავშირეები» გყავს, — ნიშნავს ჩავარდე ისეთი ადამიანების მდგომარეობაში, რომელთაც ტყვიას უშენენ ორი მხრიდან—ფრონტიდანაც და ზურგიდანაც. ამიტომ დაუნდობელი ბრძოლა ასეთი ელემენტების წინააღმდეგ, პარტიიდან მათი განდევნა არის იმპერიალიზმთან წარმატებითი ბრძოლის წინასწარი პირობა.

პარტიის შიგნით იდეური ბრძოლის გზით ოპორტუნისტული ელემენტების «დაძლევის» თეორია, ერთი პარტიის ფარგლებში ამ ელემენტების «მონელების» თეორია არის დამპალი და სახიფათო თეორია, რომელიც უქადის პარტიას დამბლად დაცემას და ქრონიკულ უძლურებას, უქადის პარტიას ოპორტუნიზმის ლუკმად გადაქცევას, უქადის პროლეტარიატს რევოლუციური პარტიის გარეშე დატოვებას, უქადის პროლეტარიატს მთავარი იარაღის ხელიდან გამოცლას იმპერიალიზმთან ბრძოლაში. ჩვენი პარტია ვერ შესძლებდა ფართო გზაზე გამოსვლას, ის ვერ შესძლებდა ძალაუფლების დაპყრობას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, ის გამარჯვებული ვერ გამოვიდოდა სამოქალაქო ომიდან, მას რომ თავის

რიგებში ჰყოლოდა მარტოვები და დანები, პოტრესოვები და აქსელროდები. თუ ჩვენმა პარტიამ მოახერხა შეექმნა თავისი შინაგანი ერთიანობა და თავისი რიგების უმაგალითო დარაზმულობა, ყოველივე ეს, უწინარეს ყოვლისა, მოხდა იმიტომ, რომ მან დროზე შესძლო გაეწმინდა თავისი რიგები ოპორტუნიზმის სიბილწისაგან, შესძლო გაეძევებინა პარტიიდან ლიკვიდატორები და მენშევიკები. პროლეტარულ პარტიათა განვითარებისა და განმტკიცებისათვის აუცილებელია მათი გაწმენდა ოპორტუნისტებისა და რეფორმისტებისაგან, სოციალ-იმპერიალისტებისა და სოციალ-შოვინისტებისაგან, სოციალ-პატრიოტებისა და სოციალ-პაციფისტებისაგან.

პარტია მტკიცდება იმით, რომ წმენდს თავის რიგებს ოპორტუნისტული ელემენტებისაგან.

«როდესაც საკუთარ რიგებში რეფორმისტები, მენშევიკები გყავს, — ამბობს ლენინი, — შეუძლებელია გამარჯვება პროლეტარულ რევოლუციაში, შეუძლებელია მისი დაცვა. ეს აშკარაა პრინციპულად. ეს თვალსაჩინოდ დადასტურებულია როგორც რუსეთის, ისე უნგრეთის გამოცდილებით. რუსეთში ბევრჯერ ყოფილა ძნელი მდგომარეობა, როდესაც საბჭოთა რეჟიმი უემველად დაემხობოდა, ჩვენი პარტიის შიგნით რომ მენშევიკები, რეფორმისტები, წვრილბურჟუაზიული დემოკრატები დარჩენილიყვნენ... იტალიაში, სადაც, საყოველთაო აღიარებით, საქმე მიდის პროლეტარიატის გადამწყვეტი ბრძოლებისაკენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ სახელმწიფო ძალაუფლების დასაპყრობად. ასეთ მომენტში არა მარტო აუცილებლად საჭიროა პარტიიდან მენშევიკების, რეფორმისტების, ტურატელების გაძევება, არამედ შეიძლება სასარგებლოც კი იქნეს იმ ჩინებული კომუნისტების გაძევებაც, ყოველგვარი პასუხსაგები თანამდებობიდან მათი მოხსნაც, რომელთაც შეუძლიათ გამოიჩინონ მერყეობა და რომელნიც მერყეობენ და იხრებიან რეფორმისტებთან «ერთიანობისაკენ»... რევოლუციის წინადღით და მისი გამარჯვებისათვის გააფთრებული ბრძოლის მომენტებში სულ მცირეოდენ მერყეობას პარტიის შიგნით შეუძლია ყველაფერი დაღუპოს, ჩაშალოს რევოლუცია, პროლეტარიატს გამოჰგლიჯოს ხელიდან ძალაუფლება, რადგან ეს ძალაუფლება ჯერ კიდევ არის მტკიცე, რადგან მასზე შემოტევა ჯერ კიდევ მეტად ძლიერია. თუ მერყევი ბელადები განზე დგებიან ასეთ დროს, ეს კი არ ასუსტებს, არამედ აძლიერებს პარტიასაც, მუშათა მოძრაობასაც.» რევოლუციასაც» (იხ. ტ. XXV, გვ. 462, 463, 464).

IX

მუშაობის სტილი

ლაპარაკია არა სალიტერატურო სტილზე. მე მხედველობაში მაქვს მუშაობის სტილი, ის განსაკუთრებული და თავისებური ლენინიზმის პრაქტიკაში, რაც ქმნის ლენინელი მუშაკის განსაკუთრებულ ტიპს. ლენინიზმი არის თეორიული და პრაქტიკული სკოლა, რომელიც აყალიბებს პარტიული და სახელმწიფო მუშაკის განსაკუთრებულ ტიპს, ქმნის მუშაობის განსაკუთრებულ, ლენინურ სტილს.

რაში მდგომარეობს ამ სტილის დამახასიათებელი ნიშნები? როგორია მისი თავისებურებანი?

ეს თავისებურება ორია:

ა) რუსული რევოლუციური გაქანება და

ბ) ამერიკული საქმიანობა.

ლენინიზმის სტილი არის ამ ორი თავისებურების შეერთება პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში.

რუსული რევოლუციური გაქანება წარმოადგენს უმოქმედობის, რუტინის, კონსერვატიზმის, აზროვნების გაყინვის, მამაპაპური ტრადიციებისადმი მონური მორჩილების საწინააღმდეგო წამალს. რუსული რევოლუციური გაქანება — ეს ის მაცოცხლებელი ძალაა, რომელიც აღვიძებს აზრს, გვეწევა წინ, ამსხვრევს წარსულს, იძლევა პერსპექტივას. უიმისოდ შეუძლებელია რაიმე წინსვლა.

მაგრამ რუსულ რევოლუციურ გაქანებას აქვს ყველა შანსი იმისა, რომ პრაქტიკაში გადაგვარდეს ცარიელ «რევოლუციურ» მანილოვობად, თუ იგი შეერთებული არ იქნა ამერიკულ საქმიანობასთან მუშაობაში. ასეთი გადაგვარების მაგალითები უამრავია. ვინ არ იცნობს «რევოლუციური» შემთხზველობისა და «რევოლუციური» გეგმათშემოქმედების სენს, რომლის წარმომშობი წყარო არის რწმენა დეკრეტის ძლიერებისა, დეკრეტის, რომელსაც თითქოს შეუძლია ყველაფერი მოაწყოს და ყველაფერი გარდაქმნას? ერთ-ერთმა რუსმა მწერალმა, ი. ერენბურგმა, თავის მოთხრობაში სათაურით «სრულკომადამიანი» (სრულყოფილი კომუნისტური ადამიანი) გამოსახა ტიპი ამ სენით შეპყრობილი «ბოლშევიკისა», რომელმაც მიზნად დაისახა იდეალურად სრულყოფილი ადამიანის სქემის შედგენა და... «ჩაიძირა» ამ «მუშაობაში». მოთხრობაში ბევრი რამ დიდად გადამეტებულია, მაგრამ უეჭველია ის, რომ იქ სწორად არის გადმოცემული ეს სენი. მაგრამ, მგონი, არავინ არ დასცინოდა ამგვარ ავადმყოფებს ისე მწარედ და დაუნდობლად, როგორც ლენინი. «კომუნისტური ყოყოჩობაო» — ასე იხსენიებდა იგი შემთხზველობისა და დეკრეტშემოქმედების ამ ავადმყოფურ რწმენას.

«კომუნისტური ყოყოჩობა ნიშნავს იმას, — ამბობს ლენინი, — რომ ადამიანი, რომელიც კომუნისტურ პარტიაშია და ჯერ კიდევ არ არის იქიდან გარიცხული, ფიქრობს, რომ ყველა თავისი ამოცანა მას შეუძლია გადაწყვიტოს კომუნისტური დეკრეტებით» (იხ. ტ. XXVII, გვ. 50 — 51).

«რევოლუციურ» ლაყბობას ლენინი ჩვეულებრივ უპირისპირებდა უბრალო და ყოველდღიურ საქმეებს; ამით იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ «რევოლუციური» შემთხზველობა ეწინააღმდეგება ნამდვილი ლენინიზმის სულსაც და გულსაც.

«რაც შეიძლება ნაკლები მაღალფარდოვანი ფრაზები, — ამბობს ლენინი, — მეტი უბრალო, ყოველდღიური საქმე...».

«რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური რახარუხი, მეტი ყურადღება კომუნისტური მშენებლობის სულ უბრალო, მაგრამ ცოცხალ... ფაქტებს...» (იხ. ტ. XXIV, გვ. 343 და 335).

ამერიკული საქმიანობა, პირიქით, წარმოადგენს «რევოლუციური» მანილოვობისა და ფანტასტიკური შემთხზველობის საწინააღმდეგო წამალს. ამერიკული საქმიანობა — ეს ის დაუცხრომელი ძალაა, რომელმაც არ იცის, თუ რა არის დაბრკოლება, და არ ცნობს მას, რომელიც თავისი საქმიანი შეუპოვრობით სპობს ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელსაც არ შეუძლია ბოლომდე არ მიიყვანოს ერთხელ დაწყებული საქმე, თუგინდ ეს პატარა საქმეც იყოს, და ურომლისოდაც შეუძლებელია სერიოზული ალმშენებლობითი მუშაობა.

მაგრამ ამერიკულ საქმიანობას აქვს ყველა შანსი იმისა, რომ გადაგვარდეს წვრილმან და უპრინციპო საქმოსნობად, თუ ის შეერთებული არ იქნა რუსულ რევოლუციურ გაქანებასთან. ვინ არ იცის ვიწრო პრაქტიციზმისა და უპრინციპო საქმოსნობის სენი, რომელსაც ზოგიერთი «ბოლშევიკი» ხშირად გადაგვარებამდე და რევოლუციის საქმისაგან ჩამოშორებამდე მიჰყავს? ამ თავისებურმა სენმა გამოსახულება პოვა ბ. პილნიაკის მოთხრობაში «შიშველი წელიწადი», სადაც გამოხატული არიან რუსი «ბოლშევიკების» ტიპები, რომლებიც აღსავსე არიან ნებისყოფით და პრაქტიკული გაბედულობით, მეტად «ენეგრიულად» «მომქმედობენ», მაგრამ მოკლებული არიან პერსპექტივას, არ იციან, თუ «რისთვის რა არის», და ამის გამო სცილდებიან რევოლუციური მუშაობის გზას. არავინ ისე მწარედ არ დასცინოდა ასეთ საქმოსნურ სენს, როგორც ლენინი. «ვიწროშუბლიანი პრაქტიციზმი», «უთაური საქმოსნობაო» — ასე იხსენიებდა ლენინი ამ სენს. ის ჩვეულებრივ უპირისპირებდა ამ სენს ცოცხალ რევოლუციურ საქმეს და რევოლუციური პერსპექტივების აუცილებლობას ჩვენი ყოველდღიური მუშაობის ყველა საქმეში, რითაც ხაზს უსვამდა იმას, რომ უპრინციპო საქმოსნობა ისევე ეწინააღმდეგება ნამდვილ ლენინიზმს, როგორც ეწინააღმდეგება «რევოლუციური» შემთხზველობა.

რუსული რევოლუციური გაქანების შეერთება ამერიკულ საქმიანობასთან — აი რა შეადგენს ლენინიზმის დედაარსს პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობაში.

მხოლოდ ასეთი შეერთება გვაძლევს ლენინელი მუშაკის დამთავრებულ ტიპს, ლენინიზმის სტილს მუშაობაში.

ოქტომბრის რევოლუცია
და რუსი კომუნისტების ტაქტიკა

წინასიტყვაობა
წიგნისა «ოქტომბრის გზებზე»

I

ოქტომბრის რევოლუციის საგარეო და საშინაო ვითარება

საგარეო ხასიათის სამმა გარემოებამ განსაზღვრა ის შედარებითი სიადვილე, რომლითაც პროლეტარულმა რევოლუციამ რუსეთში შესძლო დაემსხვრია იმპერიალიზმის ბორკილები და, ამრიგად, დაემხო ბურჟუაზიის ძალაუფლება.

ჯერ-ერთი, იმ გარემოებამ, რომ ოქტომბრის რევოლუცია დაიწყო ორი ძირითადი იმპერიალისტური ჯგუფის — ინგლის-საფრანგეთისა და ავსტრია-გერმანიის ჯგუფების — გააფთრებული ბრძოლის პერიოდში, როცა ამ ჯგუფებს, ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით გართულნ, არ ჰქონდათ არც დრო, არც საშუალება სერიოზული ყურადღება მიექციათ ოქტომბრის რევოლუციასთან ბრძოლისათვის. ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოქტომბრის რევოლუციისათვის, ვინაიდან მან შესაძლებლობა მისცა ამ რევოლუციას თავის ძალთა განსამტკიცებლად და დასარაზმავად გამოეყენებინა სასტიკი შეტაკებანი იმპერიალიზმის შიგნით.

მეორეც, იმ გარემოებამ, რომ ოქტომბრის რევოლუცია დაიწყო იმპერიალისტური ომის მსვლელობაში, როდესაც ომით განაწამები და ზავს მოწყურებული მშრომელი მასები თვით მოვლენათა ლოგიკამ მიიყვანა პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც ომიდან ერთადერთ გამოსავალთან. ამ გარემოებას უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ოქტომბრის რევოლუციისათვის, ვინაიდან მან ამ რევოლუციას ხელში მისცა ზავის მძლავრი იარაღი, გაუადვილა მას შესაძლებლობა საბჭოთა გადატრიალების შეერთებისა საძულველი ომის დასრულებასთან და, ამის გამო, მასობრივი თანაგრძნობა მოუპოვა როგორც დასავლეთში, მუშათა შორის, ისე აღმოსავლეთში, ჩაგრულ ხალხთა შორის.

მესამეც, მუშათა მძლავრმა მოძრაობამ ევროპაში და დასავლეთსა და აღმოსავლეთში ხანგრძლივი იმპერიალისტური ომით გამოწვეული რევოლუციური კრიზისის მომწიფების ფაქტმა. ამ გარემოებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის რევოლუციისათვის, ვინაიდან მან ამ რევოლუციას რუსეთის გარეთ შესძინა ერთგული მოკავშირენი მსოფლიო იმპერიალიზმთან ბრძოლაში.

მაგრამ საგარეო ხასიათის გარემოებათა გარდა, ოქტომბრის რევოლუციას ჰქონდა აგრეთვე მთელი რიგი საშინაო ხელსაყრელი პირობები, რომლებმაც მას გამარჯვება გაუადვილეს.

ამ პირობათა შორის მთავარ პირობებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი.

ჯერ-ერთი, ოქტომბრის რევოლუციას უაღრესად აქტიურად უჭერდა მხარს რუსეთის მუშათა კლასის უდიდესი უმრავლესობა.

მეორეც, მას უეჭველად მხარს უჭერდა ღარიბი გლეხობა და ჯარისკაცთა უმრავლესობა, რომელთაც სწყუროდათ ზავი და მიწა.

მესამეც, მას სათავეში ედგა, როგორც ხელმძღვანელი ძალა, ისეთი გამობრძმედილი პარტია, როგორიცაა ბოლშევიკების პარტია, ძლიერი არა მარტო თავისი გამოცდილებით და წლობით გამომუშავებული დისციპლინით, არამედ მშრომელ მასებთან უდიდესი კავშირითაც.

მეოთხეც, ოქტომბრის რევოლუციას თავის წინაშე ჰყავდა ისეთი, შედარებით ადვილად დასაძლევი, მტრები, როგორიც იყვნენ რუსეთის ცოტად თუ ბევრად სუსტი ბურჟუაზია, გლეხთა «ამბოხებებით» საბოლოოდ დემორალიზებული მემამულეთა კლასი და ომის მსვლელობაში სრულიად გაკოტრებული შემთანხმებლური პარტიები (მენშევიკებისა და ესერების პარტიები).

მეხუთეც, მის განკარგულებაში იყო ახალგაზრდა სახელმწიფოს უზარმაზარი სივრცეები, სადაც მას შეეძლო თავისუფალი მანევრირება, უკანდახევა, როდესაც ამას ვითარება მოითხოვდა, სულის მოთქმა, ძალების მოკრება და სხვ.

მეექვსეც, ოქტომბრის რევოლუციას კონტრრევოლუციასთან ბრძოლის დროს შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ქვეყნის შიგნით არსებული სურსათის, სათბობისა და ნედლეულის რესურსები მისთვის საკმაო იქნებოდა.

ამ საგარეო და საშინაო გარემოებათა შეერთებამ შექმნა ის თავისებური ვითარება, რამაც განსაზღვრა ოქტომბრის რევოლუციის შედარებით ადვილი გამარჯვება.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციას არ ჰქონდა თავისი მინუსები საგარეო და საშინაო ვითარების მხრით. რად ღირს, მაგალითად, მარტო ის მინუსი, რომ ოქტომბრის რევო-

ლუცია ერთგვარად განმარტოებული იყო, მის ახლოს და მეზობლად არ არსებობდა საბჭოთა ქვეყანა, რომელზე დაყრდნობაც მას შეეძლებოდა? უეჭველია, მომავალი რევოლუცია, მაგალითად, გერმანიაში, ამ მხრივ უფრო ხელსაყრელ პირობებში იქნება, ვინაიდან მას მეზობლად ჰყავს ისეთი სერიოზული ძალის საბჭოთა ქვეყანა, როგორიცაა ჩვენი საბჭოთა კავშირი. აღარაფერს ვამბობ ოქტომბრის რევოლუციის ისეთ მინუსზე, როგორიცაა პროლეტარული უმრავლესობის უყოლობა ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ ეს მინუსები მხოლოდ ხაზგასმით აღნიშნავენ ოქტომბრის რევოლუციის საშინაო და საგარეო პირობათა იმ თავისებურების უდიდეს მნიშვნელობას, რის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი.

ეს თავისებურება ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს, როდესაც ანალიზს ვუკეთებთ 1923 წლის შემოდგომაზე გერმანიაში მომხდარ ამბებს. ეს უწინარეს ყოვლისა უნდა ახსოვდეს ტროცკის, რომელსაც ხელაღებით გაჰყავს ანალოგია ოქტომბრის რევოლუციასა და გერმანიის რევოლუციას შორის და რომელიც თავშეუკავებლად ამათრახებს გერმანიის კომპარტიას მისი ნამდვილი და მოჩვენებითი შეცდომებისათვის.

«რუსეთისათვის, — ამბობს ლენინი, — 1917 წლის კონკრეტულ, ისტორიულად მეტისმეტად ორიგინალურ სიტუაციაში ადვილი იყო სოციალისტური რევოლუციის დაწყება, მაშინ როდესაც მისი განგრძობა და ბოლომდე მიყვანა რუსეთისათვის უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ევროპის ქვეყნებისათვის. მე ჯერ კიდევ 1918 წლის დამდეგს მომიხდა ამ გარემოების აღნიშვნა, და მას შემდეგ ორი წლის გამოცდილებამ საკმაოდ დაადასტურა ამ მოსაზრების სისწორე. ისეთი სპეციფიკური პირობები, როგორიცაა: 1) შესაძლებლობა საბჭოთა გადატრიალების დაკავშირებისა ამ გადატრიალების შეოხებითვე იმპერიალისტური ომის დამთავრებასთან, ომის, რომელმაც საშინლად გააწამა მუშები და გლეხები; 2) შესაძლებლობა მთელ მსოფლიოში უძლიერეს იმპერიალისტურ მტაცებელთა ორ ჯგუფს შორის გაჩაღებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის განსაზღვრული დროით გამოყენებისა, რომელ ჯგუფებსაც არ შეეძლოთ თავიანთი მტრის — საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ გაერთიანება; 3) შესაძლებლობა შედარებით ხანგრძლივი სამოქალაქო ომის იტანისა, ნაწილობრივ ქვეყნის გიგანტური სივრცისა და მიმოსელის საშუალებათა უკარგისობის მეოხებით; 4) გლეხობაში ისეთი ღრმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციური მოძრაობის არსებობა, რომ პროლეტარიატის პარტიამ გლეხთა პარტიისაგან (ს.-რ. პარტიისაგან, რომლის უმრავლესობა მეტად მტრულად იყო განწყობილი ბოლშევიზმისადმი) გადმოიღო რევოლუციური მოთხოვნები და ერთბაშად განახორციელა ისინი პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის მეოხებით; — ასეთი სპეციფიკური პირობები ახლა დასავლეთ ევროპაში არ არსებობს, და ასეთი ან მსგავსი პირობების განმეორება არც ისე ადვილია. აი, სხვათა შორის, რატომ არის, რომ — მთელ რიგ სხვა მიზეზებს გარდა — დასავლეთ ევროპისათვის სოციალისტური რევოლუციის დაწყება უფრო ძნელია, ვიდრე ჩვენთვის იყო» (იხ. ტ. XXV, გვ. 205).

ლენინის ამ სიტყვების დაივიწყება არ შეიძლება.

II

ოქტომბრის რევოლუციის ორი თავისებურების შესახებ, ანუ ოქტომბერი და ტროცკის «პერმანენტული» რევოლუციის თეორია

არსებობს ოქტომბრის რევოლუციის ორი თავისებურება, რომელთა გარკვევა აუცილებელია უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ გავიგოთ ამ რევოლუციის შინაგანი აზრი და ისტორიული მნიშვნელობა.

რა თავისებურებანია ეს?

ეს არის, ჯერ-ერთი, ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა წარმოიშვა ჩვენში, როგორც ძალაუფლება, აღმოცენებული პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელი მასების კავშირის საფუძველზე, ამასთან ამ უკანასკნელთ ხელმძღვანელობას უწევდა პროლეტარიატი. მეორეც, ეს არის ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა განმტკიცდა ჩვენში, როგორც შედეგი სოციალიზმის გამარჯვებისა ერთ, კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებულ, ქვეყანაში, როდესაც კაპიტალისტურად უფრო განვითარებულ სხვა ქვეყნებში კაპიტალიზმი კვლავ რჩება. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, თითქოს ოქტომბრის რევოლუციას სხვა თავისებურებანი არ ჰქონდეს. მაგრამ ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია სწორედ ეს ორი თავისებურება არა მარტო იმიტომ, რომ ისინი მკაფიოდ გამოხატავენ ოქტომბრის რევოლუციის დედაარსს, არამედ იმიტომაც, რომ ისინი ჩინებულად ააშკარავებენ «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის ოპორტუნისტულ ბუნებას.

განვიხილოთ მოკლედ ეს თავისებურებანი.

ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის მშრომელი მასების საკითხი, პროლეტარიატის მხარეზე ამ მასების გადმობირების საკითხი პროლეტარული რევოლუციის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ვის დაუჭერს მხარს ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ქალაქისა და სოფლის მშრომელი ხალხი — ბურჟუაზიას თუ პროლეტარიატს, ვისი რეზერვი იქნება ის, ბურჟუაზიის რეზერვი თუ პროლეტარიატის რეზერვი, — ამაზეა დამოკიდებული რევოლუციის ბედი და პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცე. 1848 და 1871 წლების რევოლუციები საფრანგეთში დაიღუპნენ, უმთავრესად, იმიტომ, რომ გლეხთა რეზერვები ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდნენ. ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მან შესძლო წაერთმია ბურჟუაზიისათვის მისი გლეხთა რეზერვები, მან შესძლო ამ რეზერვების გადაყვანა პროლეტარიატის მხარეზე, და პროლეტა-

რიატი ამ რევოლუციაში აღმოჩნდა ქალაქისა და სოფლის მშრომელი ხალხის მრავალმილიონიანი მასების ერთადერთი ხელმძღვანელი ძალა.

ვისაც ეს ვერ გაუგია, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ვერც ოქტომბრის რევოლუციის ხასიათს, ვერც პროლეტარიატის დიქტატურის ბუნებას, ვერც ჩვენი პროლეტარული ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის თავისებურებას.

პროლეტარიატის დიქტატურა არ არის უბრალო მმართველი ზედაფენა, «გამოცდილი სტრატეგის» მზრუნველი ხელით «მოხერხებულად» «შერჩეული» და მოსახლეობის ამა თუ იმ ფენაზე «გონივრულად დაყრდნობილი». პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელი მასების კლასობრივი კავშირი კაპიტალის დასამხობად, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მისაღწევად, იმ პირობით, რომ ამ კავშირის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს პროლეტარიატი.

ამრიგად, აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ «ცოტათი» ვერ შეაფასო ან «ცოტათი» გადაჭარბებით შეაფასო გლეხთა მოძრაობის რევოლუციური შესაძლებლობანი, როგორც უყვარს ახლა ლაპარაკი «პერმანენტული რევოლუციის» ზოგიერთ დიპლომატიურ დამცველს. ლაპარაკია ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შექმნილი ახალი პროლეტარული სახელმწიფოს ბუნებაზე. ლაპარაკია პროლეტარული ძალაუფლების ხასიათზე, თვით პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლებზე.

«პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს ლენინი, — არის განსაკუთრებული ფორმა კლასობრივი კავშირისა პროლეტარიატსა — მშრომელთა ავანგარდსა — და მშრომელთა მრავალრიცხოვან არაპროლეტარულ ფენებს (წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეპატრონენი, გლეხობა, ინტელიგენცია და სხვ.), ან მათს უმრავლესობას შორის, კავშირისა კაპიტალის წინააღმდეგ, კავშირისა კაპიტალის სრული დამხობის, ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა და მის მხრივ რესტავრაციის ცდების სრული დათრგუნვის მიზნით, კავშირისა სოციალიზმის საბოლოოდ შექმნის და განმტკიცების მიზნით» (იხ. ტ. XXIV, გვ. 311).

და შემდეგ:

«პროლეტარიატის დიქტატურა, თუ ამ ლათინურ, მეცნიერულ, ისტორიულ-ფილოსოფიურ სიტყვებს უფრო უბრალო ენით გამოვთქვამთ, აი რას ნიშნავს:

მხოლოდ გარკვეულ კლასს, სახელდობრ ქალაქისა და საერთოდ ფაბრიკა-ქარხნების, სამრეწველო მუშებს, შეუძლიათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელ მასას კაპიტალის ბატონობის დამხობისათვის ბრძოლაში, თვით დამხობის მსვლელობაში, გამარჯვების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ახალი, სოციალისტური, საზოგადოებრივი წყობილების შექმნის საქმეში, მთელ ბრძოლაში კლასთა სრული მოსპობისათვის» (იხ. ტ. XXIV, გვ. 336).

ასეთია პროლეტარიატის დიქტატურის თეორია, რომელიც ლენინმა მოგვცა.

ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს ის, რომ ეს რევოლუცია არის პროლეტარიატის დიქტატურის ლენინური თეორიის კლასიკური განხორციელება.

ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, რომ ეს თეორია წმინდა «რუსული» თეორიაა, შეფარდებული მხოლოდ რუსეთის სინამდვილესთან. ეს არ არის სწორი. ეს სრულიადაც არ არის სწორი. როდესაც ლენინი ლაპარაკობს არაპროლეტარული კლასების მშრომელ მასებზე, რომელთაც პროლეტარიატი ხელმძღვანელობს, მას მხედველობაში ჰყავს არა მარტო რუსი გლეხები, არამედ საბჭოთა კავშირის იმ განაპირა მხარეების მშრომელი ელემენტებიც, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ რუსეთის კოლონიებს წარმოადგენდნენ. ლენინი მუდამ ამტკიცებდა, რომ ამ სხვა ეროვნებათა მასებთან შეუკავშირებლად რუსეთის პროლეტარიატი ვერ გაიმარჯვებსო. თავის სტატიებში ნაციონალურ საკითხზე და კომინტერნის კონგრესებზე წარმოთქმულ სიტყვებში ლენინს არა ერთხელ უთქვამს, რომ მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატისა და დამონებული კოლონიების ჩაგრულ ხალხთა რევოლუციური კავშირის გარეშე, რევოლუციური ბლოკის გარეშე. მაგრამ რა არის კოლონიები, თუ არა იგივე ჩაგრული მშრომელი მასები, და უწინარეს ყოვლისა გლეხობის მშრომელი მასები? ვინ არ იცის, რომ კოლონიების განთავისუფლების საკითხი **არსებითად** წარმოადგენს ფინანსური კაპიტალის უღლისა და ექსპლოატაციისაგან არაპროლეტარულ კლასთა მშრომელი მასების განთავისუფლების საკითხს?

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ლენინური თეორია არის არა წმინდა «რუსული» თეორია, არამედ ყველა ქვეყნისათვის სავალდებულო თეორია. ბოლშევიზმი მარტო რუსული მოვლენა როდია. «ბოლშევიზმი», — ამბობს ლენინი, — არის **«ტაქტიკის ნიმუში ყველასათვის»** (იხ. ტ. XXIII, გვ. 386).

ასეთია ოქტომბრის რევოლუციის პირველი თავისებურების დამახასიათებელი ნიშნები.

რას წარმოადგენს ტროცკის «პერმანენტული რევოლუციის» თეორია ოქტომბრის რევოლუციის ამ თავისებურების თვალსაზრისით?

არ გავაგრძელებთ სიტყვას ტროცკის პოზიციის შესახებ 1905 წელს, როცა მას «პირდაპირ» დაავიწყდა გლეხობა, როგორც რევოლუციური ძალა, და წამოაყენა ლოზუნგი: «უმეფოდ, ხოლო

მთავრობა მუშური», ე. ი. ლოზუნგი: რევოლუცია უგლეხებოდ. რადეკიც კი, «პერმანენტული რევოლუციის» ეს დიპლომატიური დამცველი, ახლა იძულებულია აღიაროს, რომ «პერმანენტული რევოლუცია» 1905 წელს მოასწავებდა სინამდვილიდან «ნახტომს ჰაერში». ახლა, როგორც ჩანს, ყველა აღიარებს, რომ აღარ ღირს ამ «ჰაერში ნახტომის» გამო თავის მტვრევა.

არ გავაგრძელებთ სიტყვას აგრეთვე ტროცკის პოზიციის შესახებ ომის პერიოდში, ვთქვათ, 1915 წელს, როდესაც ის თავის სტატიაში «ბრძოლა ძალაუფლებისათვის», გამოდიოდა რა იქიდან, რომ «ჩვენ ვცხოვრობთ იმპერიალიზმის ხანაში», რომ იმპერიალიზმი «ბურჟუაზიულ ერს კი არ უპირისპირებს ძველ რეჟიმს, არამედ პროლეტარიატს უპირისპირებს ბურჟუაზიულ ერსო», იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გლეხობის რევოლუციური როლი უნდა კლებულობდეს, რომ მიწის კონფისკაციის ლოზუნგს უკვე არა აქვს ის მნიშვნელობა, როგორიც მას წინათ ჰქონდა. ცნობილია, რომ ლენინი, როდესაც ტროცკის ამ სტატიას არჩევდა, ბრალს სდებდა მას მაშინ «გლეხობის როლის» «უარყოფაში» და ამბობდა, რომ «ტროცკი საქმით ეხმარება რუსეთის მუშათა ლიბერალურ პოლიტიკოსებს, რომელთაც გლეხობის როლის «უარყოფა» ესმით როგორც სურვილის უქონლობა, რომ რევოლუციისათვის აამხედრონ გლეხები!» (იხ. ტ. XVIII, გვ. 318).

უმჯობესია გადავიდეთ ტროცკის უფრო გვიანდელ ნაშრომებზე ამ საკითხის შესახებ, იმ პერიოდის ნაშრომებზე, როდესაც პროლეტარულმა დიქტატურამ უკვე მოასწრო განმტკიცება და როდესაც ტროცკის შესაძლებლობა ჰქონდა საქმით შეემოწმებინა თავისი «პერმანენტული რევოლუციის» თეორია და გამოესწორებინა თავისი შეცდომები. ავიღოთ ტროცკის მიერ 1922 წელს დაწერილი «წინასიტყვაობა» წიგნისა «1905 წელი». აი რას ამბობს ტროცკი ამ «წინასიტყვაობაში» «პერმანენტული რევოლუციის» შესახებ:

«სწორედ 1905 წლის 9 იანვრიდან ამავე წლის ოქტომბრის გაფიცვამდე განელილ პერიოდში შეუმუშავდა ავტორს ის შეხედულებანი რუსეთის რევოლუციური განვითარების ხასიათის შესახებ, რომლებმაც მიიღეს «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის სახელწოდება. ეს ახირებული სახელწოდება გამოხატავდა იმ აზრს, რომ რუსეთის რევოლუცია, რომლის წინაშე უშუალოდ ბურჟუაზიული მიზნები დგას, მაინც ვერ შესძლებს მათზე შეჩერებას. რევოლუცია ვერ გადაჭრის თავის უახლოეს ბურჟუაზიულ ამოცანებს, თუ მან ხელისუფლების სათავეში არ დააყენა პროლეტარიატი. ეს უკანასკნელი კი, როდესაც იგი ძალაუფლებას აიღებს ხელში, ვერ შემოიზღუდავს თავს რევოლუციის ბურჟუაზიული ჩარჩოებით. პირიქით, სწორედ თავისი გამარჯვების უზრუნველსაყოფად პროლეტარულ ავანგარდს თავისი ბატონობის პირველ ხანებშივე მოუხდება უღრმესად შეიჭრას

არა მარტო ფეოდალურ, არამედ ბურჟუაზიულ საკუთრებაშიც. ამასთან მას მოუხდება მტრული შეტაკებანი არა მარტო ბურჟუაზიის ყველა დაჯგუფებასთან, რომლებიც მხარს უჭერდნენ მას რევოლუციური ბრძოლის პირველ ხანებში, არამედ გლეხობის ფართო მახებთანაც, რომელთა დახმარებითაც მან დაიპყრო ძალაუფლება. მუშური მთავრობის მდგომარეობის წინააღმდეგობანი ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას გლეხობა შეადგენს, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის «ასპარეზზე» [1].

ასე ლაპარაკობს ტროცკი თავისი «პერმანენტული რევოლუციის» შესახებ.

საკმაოა შევადაროთ ეს ციტატა ლენინის თხზულებებიდან ზემომოყვანილ ციტატებს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომ დავინახოთ მთელი ის უფსკრული, რომელიც არსებობს პროლეტარიატის დიქტატურის ლენინურ თეორიასა და ტროცკის «პერმანენტული რევოლუციის» თეორიას შორის.

ლენინი ლაპარაკობს პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელი ფენების კავშირზე, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე. ტროცკის აზრით კი გამოდის, რომ «პროლეტარულ ავანგარდს» მოუხდება «მტრული შეტაკებანი» «გლეხობის ფართო მასებთან».

ლენინი ლაპარაკობს მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ხელმძღვანელობაზე პროლეტარიატის მხრით. ტროცკის აზრით კი გამოდის «მუშური მთავრობის მდგომარეობის წინააღმდეგობანი ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას გლეხობა შეადგენს».

ლენინის მიხედვით რევოლუცია თავის ძალებს იღებს უწინარეს ყოვლისა თვით რუსეთის მუშათა და გლეხთა შორის. ტროცკის აზრით კი გამოდის, რომ საჭირო ძალები შეიძლება მივიღოთ მხოლოდ «პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე».

როგორღა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, საერთაშორისო რევოლუციას რომ შეუგვიანდეს? არის თუ არა რაიმე ნათელი წერტილი ჩვენი რევოლუციისათვის? ტროცკი არავითარ ნათელ წერტილს არ იძლევა, ვინაიდან «მუშური მთავრობის მდგომარეობის წინააღმდეგობანი... შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ... პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე». ამ გეგმის მიხედვით ჩვენი რევოლუციისათვის რჩება მხოლოდ ერთი პერსპექტივა: ვაივაგლახობდეს თავის საკუთარ წინააღმდეგობათა რკალში და ზეზეურად ლპებოდეს მსოფლიო რევოლუციის მოლოდინში.

---

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

რა არის პროლეტარიატის დიქტატურა ლენინის გაგებით?

პროლეტარიატის დიქტატურა არის ძალაუფლება, რომელიც ეკუთვნება პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელი მასების კავშირს «კაპიტალის სრული. დამხობის», «სოციალიზმის საბოლოოდ შექმნისა და განმტკიცების» მიზნით.

რა არის პროლეტარიატის დიქტატურა ტროცკის გაგებით?

პროლეტარიატის დიქტატურა არის ძალაუფლება, რომელსაც უხდება «მტრული შეტაკებანი» «გლეხობის ფართო. მასებთან» და რომელიც «წინააღმდეგობათა» გადაჭრას ეძებს **მხოლოდ** «პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე».

რით განსხვავდება ეს «პერმანენტული რევოლუციის თეორია» მენშევიზმის ცნობილი თეორიისაგან, რომელიც უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურის იდეას?

არსებითად — არაფრით.

დაეჭვება შეუძლებელია. «პერმანენტული რევოლუცია» არ არის გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ შესაძლებლობათა უბრალო შეუფასებლობა. «პერმანენტული რევოლუცია» არის გლეხთა მოძრაობის ისეთი შეუფასებლობა, რომელსაც შედეგად მოსდევს პროლეტარიატის დიქტატურის ლენინური თეორიის უარყოფა.

ტროცკის «პერმანენტული რევოლუცია» მენშევიზმის სახესხვაობაა.

ასეა ოქტომბრის რევოლუციის პირველი თავისებურების საქმე.

რანაირია ოქტომბრის რევოლუციის მეორე თავისებურების დამახასიათებელი ნიშნები?

იმპერიალიზმის შესწავლის დროს, განსაკუთრებით ომის პერიოდში, ლენინი მივიდა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის, ნახტომობრიობის კანონამდე. ამ კანონის აზრის მიხედვით, საწარმოების, ტრესტების, მრეწველობის დარგებისა და ცალკეული ქვეყნების განვითარება ხდება უთანაბროდ, არა დაწესებული რიგის მიხედვით, არა ისე, რომ ერთი ტრესტი, მრეწველობის ერთი დარგი ან ერთი ქვეყანა მუდამ წინ მიდიოდეს, ხოლო სხვა ტრესტები ან ქვეყნები უკან რჩებოდნენ თანმიმდევრულად ერთიმეორეს, — არამედ ეს განვითარება ხდება ნახტომისებურად, შეწყვეტებით ერთი რიგი ქვეყნების განვითარებაში და წინსვლის ნახტომებით მეორე რიგი ქვეყნების განვითარებაში. ამასთან ერთად, ჩამორჩენილი ქვეყნების «სრულიად კანონიერი» მისწრაფება — შეინარჩუნონ ძველი პოზიციები, და წინგადამხტარი ქვეყნების ასევე «კანონიერი» მისწრაფება — დაიპყრონ ახალი პოზიციები, იწვევს იმას, რომ იმპერიალისტურ

ქვეყნებს შორის სამხედრო შეტაკებანი გარდუვალ აუცილებლობას წარმოადგენენ. ასე მოხდა, მაგალითად, გერმანიაში, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ, საფრანგეთსა და ინგლისთან შედარებით, ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. იგივე უნდა ითქვას იაპონიაზედაც რუსეთთან შედარებით. მაგრამ ცნობილია, რომ უკვე XX საუკუნის დამდეგს გერმანია და იაპონია ისე შორს გადახტნენ, რომ პირველმა გაუსწრო საფრანგეთს და დაიწყო ინგლისის შევიწროება მსოფლიო ბაზარზე, მეორემ კი გაუსწრო რუსეთს. სწორედ ამ წინააღმდეგობათაგან წარმოიშვა, როგორც ვიცით, ახლახანდელი იმპერიალისტური ომი.

ეს კანონი გამოდის იქიდან, რომ:

1) «კაპიტალიზმი გადაიზარდა ერთი მუჭა «მოწინავე» ქვეყნების მიერ დედამიწის მოსახლეობის გიგანტური უმრავლესობის კოლონიური ჩაგვრისა და ფინანსური ჩახშობის მსოფლიო სისტემად» (იხ. ლენინის «იმპერიალიზმის» ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობა, ტ. XIX, გვ. 74).

2) «ამ «ნადავლის» გაყოფა ხდება მსოფლიოს ორ-სამ უძლიერეს, თავით-ფეხამდე შეიარაღებულ მტაცებელს შორის (ამერიკა, ინგლისი, იაპონია), რომლებიც **თავიანთ** ომში **თავიანთი** ნადავლის გასაყოფად მთელ ქვეყნიერებას ითრევენ» (იხ. იქვე).

3) წინააღმდეგობათა ზრდა ფინანსური ჩაგვრის მსოფლიო სისტემის შიგნით და სამხედრო შეტაკებათა გარდუვალობა იწვევს იმას, რომ იმპერიალიზმის მსოფლიო ფრონტი რევოლუციის მხრით ადვილად დასაზიანებელი ხდება, ხოლო ამ ფრონტის გარღვევა ცალკეული ქვეყნების მხრით — შესაძლებელი ხდება.

4) ეს გარღვევა უფრო შესაძლოა მოხდეს იმ პუნქტებში და იმ ქვეყნებში, სადაც იმპერიალისტური ფრონტის ჯაჭვი უფრო სუსტია, ე. ი. სადაც იმპერიალიზმი ყველაზე უფრო ნაკლებ არის შეპურვილი, ხოლო რევოლუციის გაშლა ყველაზე უფრო ადვილია.

5) ამის გამო სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, თუნდაც ეს ქვეყანა კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებული იყოს, სხვა ქვეყნებში კაპიტალიზმის შენარჩუნების დროს, თუნდაც ეს ქვეყნები კაპიტალისტურად უფრო განვითარებული იყვნენ, — სავსებით შესაძლებელი და მოსალოდნელია.

ასეთია მოკლედ პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის საფუძვლები.

რაში მდგომარეობს ოქტომბრის რევოლუციის მეორე თავისებურება?

ოქტომბრის რევოლუციის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ეს რევოლუცია წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის პრაქტიკულად გამოყენების ნიმუშს.

ვისაც ვერ გაუგია ოქტომბრის რევოლუციის ეს თავისებურება, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ამ რევოლუციის ვერც ინტერნაციონალურ ბუნებას, ვერც მის კოლოსალურ საერთაშორისო ძლიერებას, ვერც მის თავისებურ საგარეო პოლიტიკას.

«ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა, — ამბობს ლენინი, — კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ, დაუპირისპირდებოდა დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების დაჩაგრულ კლასებს, ააჯანყებდა მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ». ვინაიდან «შეუძლებელია სოციალიზმში ერების თავისუფალი გაერთიანება ჩამორჩენილი სახელმწიფოების წინააღმდეგ სოციალისტური რესპუბლიკების ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლის გარეშე» (იხ. ტ. XVIII, გვ. 232—233).

ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები ამტკიცებენ, რომ პროლეტარული რევოლუცია შესაძლოა დაიწყოს — თუ მათი თეორიის თანახმად ის საზოგადოდ უნდა დაიწყოს სადმე — მხოლოდ მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში, რომ რაც უფრო განვითარებული არიან ეს ქვეყნები მრეწველობის მხრივ, მით უფრო მეტი შანსებია სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ამასთან სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას ერთ ქვეყანაში, და ისიც კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებულ ქვეყანაში, ისინი გამორიცხავენ, როგორც სრულიად წარმოუდგენელ რამეს. ლენინი ჯერ კიდევ ომის დროს, იმპერიალისტური სახელმწიფოების უთანაბრო განვითარების კანონზე დაყრდნობით, უპირისპირებს ოპორტუნისტებს პროლეტარული რევოლუციის თავის თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, თუნდაც ეს ქვეყანა კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებული იყოს.

ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციამ სავსებით დაადასტურა პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის სისწორე.

როგორ არის ტროცკის «პერმანენტული რევოლუციის» საქმე ერთ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ლენინური თეორიის თვალსაზრისით?

ავიღოთ ტროცკის ბროშურა «ჩვენი რევოლუცია» (1906 წ.).

ტროცკი წვრს:

«ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას და ვერ გადააქცევს თავის დროებითს ბატონობას ხანგრძლივ სოციალისტურ დიქტატურად. ამაში დაეჭვება ერთ წუთსაც არ შეიძლება».

რას გვეუბნება ეს ციტატა? გვეუბნება იმას, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, ამ შემთხვევაში რუსეთში, შეუძლებელია «ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე», ე. ი. ევროპის პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობამდე.

რა აქვს საერთო ამ «თეორიას» ლენინის დებულებასთან «ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში» სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ?

ცხადია, აქ საერთო არაფერია.

მაგრამ დავუშვათ, რომ ტროცკის ეს ბროშურა, გამოცემული 1906 წელს, როდესაც ძნელი იყო ჩვენი რევოლუციის ხასიათის გამორკვევა, შეიცავს უნებლიე შეცდომებს და არც თუ სავსებით შეესაბამება ტროცკის მერმინდელი პერიოდის შეხედულებებს. განვიხილოთ ტროცკის მეორე ბროშურა, მისი «ზავის პროგრამა», რომელიც გამოქვეყნდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის წინ და ხელმეორედ დაიბეჭდა ახლა (1924 წელს) წიგნში: «1917». ამ ბროშურაში ტროცკი აკრიტიკებს პროლეტარული რევოლუციის ლენინურ თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ და უპირისპირებს მას ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგს. ის ამტკიცებს, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელია, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ როგორც გამარჯვება ევროპის რამდენიმე ძირითადი ქვეყნისა (ინგლისის, რუსეთის, გერმანიისა), რომლებიც ერთიანდებიან ევროპის შეერთებულ შტატებად, ან იგი სრულიად შეუძლებელია. ის პირდაპირ ამბობს, რომ «რუსეთში ან ინგლისში ძლევამოსილი რევოლუცია წარმოუდგენელია, თუ არ მოხდა რევოლუცია გერმანიაში, და პირიქით».

«ერთადერთი რამდენადმე კონკრეტული ისტორიული მოსაზრება, — ამბობს ტროცკი, — შეერთებული შტატების ლოზუნგის წინააღმდეგ ფორმულირებული იყო შვეიცარიულ «სოციალ-დემოკრატში» (ბოლშევიკების მაშინდელი ცენტრალური ორგანო. ი. სტ.) შემდეგი ფრაზით: «ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია». აქედან «სოციალ-დემოკრატს» ის დასკვნა გამოჰყავდა, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია ერთ ქვეყანაში და რომ ამიტომ საჭირო არ არის თვითეულ ცალკე სახელმწიფოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების წინაპირობად ევროპის შე-

ერთებული შტატების შექმნა მივიჩნიოთო. სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება რომ უთანაბროა, ეს საკმაოდ ცალსახა ფაქტია. მაგრამ თვით ეს უთანაბრობაც მეტად უთანაბრო. ინგლისის, ავსტრიის, გერმანიის ან საფრანგეთის კაპიტალისტური დონე არ არის ერთგვარი. მაგრამ აფრიკასა და აზიასთან შედარებით ყველა ეს ქვეყანა წარმოადგენს სოციალური რევოლუციისათვის მოწყობილ კაპიტალისტურ «ევროპას». არც ერთი ქვეყანა რომ არ უნდა «უცდიდეს» სხვა ქვეყნებს თავის ბრძოლაში, — ეს ელემენტარული აზრია, რომლის განმეორება სასარგებლო და საჭიროა, რათა პარალელური ინტერნაციონალური მოქმედების იდეა არ შეცვალოს ინტერნაციონალური დაცდითი უმოქმედობის იდეამ. არ ვუცდით რა სხვებს, ჩვენ ვიწყებთ და განვაგრძობთ ბრძოლას ნაციონალურ ნიადაგზე სრული რწმენით, რომ ჩვენი ინიციატივა ბიძგს მისცემს ბრძოლას სხვა ქვეყნებში; ხოლო თუ ეს არ მოხდა, მაშინ უიმედოა იმის ფიქრი, რომ, მაგალითად, რევოლუციური რუსეთი გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას, ან სოციალისტური გერმანია შესძლებს განმარტოებულ არსებობას კაპიტალისტურ სამყაროში, — ამას ადასტურებს როგორც ისტორიის გამოცდილება, ისე თეორიული მოსაზრებებიც».

როგორც ხედავთ, ჩვენს წინაშე ევროპის ძირითად ქვეყნებში სოციალიზმის ერთდროულად გამარჯვების იგივე თეორიაა, რომელიც, როგორც წესი, გამორიცხავს რევოლუციის ლენინური თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ.

თქმა არ უნდა, სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის, ძველი წესწყობილების აღდგენისაგან სრული გარანტიისათვის აუცილებელია რამდენიმე ქვეყნის პროლეტარების ერთობლივი ღონისძიებანი. თქმა არ უნდა, ევროპის პროლეტარიატს მხარი რომ არ დაეჭირა ჩვენი რევოლუციისათვის, რუსეთის პროლეტარიატი ვერ გაუძლებდა საერთო შემოტევას, ისევე როგორც, რუსეთის რევოლუციას მხარი რომ არ დაეჭირა რევოლუციური მოძრაობისათვის დასავლეთში, ეს მოძრაობა ვერ განვითარდებოდა იმ ტემპით, რომლითაც მან იწყო განვითარება რუსეთში პროლეტარული დიქტატურის დამყარების შემდეგ. თქმა არ უნდა, ჩვენ გვჭირდება მხარდაჭერა. მაგრამ რა არის ჩვენი რევოლუციისათვის მხარდაჭერა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის მხრით? ევროპის მუშების თანაგრძნობა ჩვენი რევოლუციისადმი, მათი მზადყოფნა — ჩაშალონ იმპერიალისტების გეგმები ინტერვენციის შესახებ, — არის თუ არა ყოველივე ეს მხარდაჭერა, სერიოზული დახმარება? უთუოდ არის. არა მარტო ევროპის მუშების მხრით, არამედ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მხრითაც ასეთი მხარდაჭერის, ასეთი დახმარების გარეშე პროლეტარულ დიქტატურას რუსეთში გაუჭირდებოდა საქმე. საკმარისი იყო თუ არა აქამდე ეს თანაგრძნობა და ეს დახმარება, შეერთებული ჩვენი წითელი არმიის ძლიერებასთან და რუსეთის მუშებისა და გლეხების მზადყოფნასთან — საკუთარი გულ-

მკერდით დაეცვათ სოციალისტური სამშობლო, — საკმარისი იყო თუ არა ყოველივე ეს იმისათვის, რომ მოგვეგერიებინა იმპერიალისტების იერიშები და მოგვეპოვებინა სერიოზული აღმშენებლობითი Მუშაობისათვის საჭირო პირობები? დიახ, საკმარისი იყო. იზრდება თუ კლებულობს ეს თანაგრძნობა? უთუოდ იზრდება. გვაქვს თუ არა, ამრიგად, ხელსაყრელი პირობები არა მარტო იმისათვის, რომ წინ წავწიოთ სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციის საქმე, არამედ იმისათვისაც, რომ, ჩვენი მხრით, დავეხმაროთ როგორც დასავლეთ ევროპის მუშებს, ისე აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს? დიახ, გვაქვს. ამაზე მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს რუსეთში პროლეტარული დიქტატურის შვიდი წლის ისტორია. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჩვენში უკვე დაიწყო მძლავრი შრომითი აღმავლობა? არა, ამის უარყოფა არ შეიძლება.

რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ყოველივე ამის შემდეგ ტროცკის განცხადებას იმის შესახებ, რომ რევოლუციური რუსეთი ვერ გაუმკლავდებოდა კონსერვატიულ ევროპას?

ამ განცხადებას შეიძლება მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ჰქონდეს: Ჯერ-ერთი, ტროცკი ვერ გრძნობს ჩვენი რევოლუციის შინაგან ძლიერებას; მეორეც, ტროცკის არ ესმის იმ მორალური დახმარების ფასდაუდებელი მნიშვნელობა, რომელსაც უწევენ ჩვენს რევოლუციას დასავლეთის მუშები და აღმოსავლეთის გლეხები; მესამეც, ტროცკი ვერ ამჩნევს იმ შინაგან უძლურებას, რომელიც Ამჟამად ᲪრᲜინის იმპერიალიზმს.

პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის კრიტიკით გატაცებულმა ტროცკიმ უცაბედად გაინადგურა თავი ბროშურაში «ზავის პროგრამა», რომელიც გამოვიდა 1917 წელს და ხელმეორედ გამოიცა 1924 წელს.

მაგრამ, იქნებ, ტროცკის ეს ბროშურაც მოძველდა და რაიმე მიზეზით აღარ შეეფერება მის ახლანდელ შეხედულებებს? ავიღოთ ტროცკის სულ მერმინდელი ნაშრომები, დაწერილი მას შემდეგ, რაც პროლეტარულმა რევოლუციამ გაიმარჯვა ᲔრთᲐ ᲥვეᲧᲐᲜᲐᲨᲘ, რუსეთში. ავიღოთ, მაგალითად, ბროშურა «ზავის პროგრამის» ახალი გამოცემის «ბოლოსიტყვაობა», დაწერილი ტროცკის მიერ 1922 წელს. აი რას წერს იგი ამ «ბოლოსიტყვაობაში»:

«ᲐᲐᲖᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ» რამდენჯერმე განმეორებული მტკიცება, რომ პროლეტარული რევოლუცია ძლევამოსილად ვერ დამთავრდება ნაციონალურ ჩარჩოებში, ზოგიერთ მკითხველს, შეიძლება, გაბათილებულად მოეჩვენოს ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის თითქმის ხუთი წლის გამოცდილებით. მაგრამ ასეთი დასკვნა უსაფუძვლო იქნებოდა. ის ფაქტი, რომ მუშურმა სახელმწიფომ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგობას გაუძლო ერთ ქვეყანაში, და ისიც ჩამორჩენილ ქვეყანაში, მოწ-

მობს პროლეტარიატის კოლოსალურ ძლიერებას, რომელიც სხვა, უფრო მოწინავე, უფრო ცივილიზებულ ქვეყნებში შესძლებს ჭეშმარიტად სასწაულები მოახდინოს. მაგრამ, დავიცავით რა თავი პოლიტიკური და სამხედრო მხრით, როგორც სახელმწიფომ, ჩვენ სოციალისტური საზოგადოების შექმნამდე ვერ მივედით და ვერც კი მივუახლოვდით მას... სანამ ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებში ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია დგას, ჩვენ იძულებული ვართ, ეკონომიურ იზოლაციასთან ბრძოლის დროს, ვეძებოთ შეთანხმება კაპიტალისტურ სამყაროსთან; ამავე დროს შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ შეთანხმებებს, საუკეთესო შემთხვევაში, შეუძლიათ დაგვეხმარონ იმაში, რომ მოვიშუშოთ ესა თუ ის ეკონომიური ჭრილობა, გადავდგათ ესა თუ ის ნაბიჯი წინ, მაგრამ სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა რუსეთში შესაძლო გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს [1] ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში».

ასე ლაპარაკობს ტროცკი, რითაც აშკარად ღალატობს სინამდვილეს და დაჟინებით ცდილობს საბოლოო განაჯგურებისაგან გადაარჩინოს «პერმანენტული რევოლუცია».

გამოდის, რომ, რამდენიც არ უნდა იტრიალო, სოციალისტური საზოგადოების შექმნამდე არა თუ «ვერ მივედით», არამედ «ვერც კი მივუახლოვდით მას». თურმე, ზოგ ვინმეს ჰქონია «კაპიტალისტურ სამყაროსთან შეთანხმების» იმედი, მაგრამ ამ შეთანხმებებიდანაც, როგორც ჩანს, არაფერი გამოდის, ვინაიდან, რამდენიც არ უნდა იტრიალო, «სოციალისტური მეურნეობის ნამდვილ აღმავლობას» ვერ მიაღწევ, ვიდრე პროლეტარიატი არ გაიმარჯვებს «ევროპის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში».

და რადგან დასავლეთში ჯერ კიდევ არ არის გამარჯვება, რუსეთის რევოლუციას დარჩენია «არჩევანი»: ან ზეზეურად დალპეს, ანდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ გადაგვარდეს.

ტყუილად კი არ ლაპარაკობს ტროცკი უკვე ორი წელიწადია ჩვენი პარტიის «გადაგვარებაზე».

ტყუილად კი არ წინასწარმეტყველებდა შარშან ტროცკი ჩვენი ქვეყნის «დალუპვას».

როგორ შევუთანხმოთ ეს უცნაური «თეორია» ლენინის თეორიას «ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების» შესახებ?

როგორ შევუთანხმოთ ეს უცნაური «პერსპექტივა» ლენინის პერსპექტივას იმის შესახებ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა შესაძლებლობას მოგვცემს «ავაშენოთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი»?

როგორ შევუთანხმოთ ეს «პერმანენტული» უიმედობა, მაგალითად, ლენინის შემდეგ სიტყვებს:

---

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

«სოციალიზმი უკვე დღეს აღარ არის შორეული მომავლის, ან რაღაც განყენებული სურათის, ან რაღაც ხატის საკითხი. ხატების შესახებ ჩვენ ისევ ძველი, მეტად ცუდი აზრისა ვართ. ჩვენ სოციალიზმი შევიტანეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში და აქ უნდა გავერკვეთ. აი რა შეადგენს ჩვენს დღევანდელ ამოცანას, აი რა შეადგენს ჩვენი ეპოქის ამოცანას. ნება მიბოძეთ, დასასრულ, გამოვთქვა რწმენა, რომ, რარიგ ძნელიც უნდა იყოს ეს ამოცანა, რარიგ ახალიც უნდა იყოს. იგი ჩვენს წინანდელ ამოცანასთან შედარებით, და რაგინდ ბევრ სიძნელესაც უნდა ქმნიდეს იგი ჩვენთვის, — ჩვენ ყველანი ერთად, არა ხვალ, არამედ რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩვენ ყველანი ერთად გადავკვრით ამ ამოცანას რადაც უნდა დაგვიჯდეს, ასე რომ ნეპური რუსეთი გადაიქცევა სოციალისტურ რუსეთად» (იხ. ტ. XXVII, გვ. 366).

როგორ შეეუთანხმოთ ტროცკის ეს «პერმანენტული» უნუგეშობა, მაგალითად, ლენინის შემდეგ სიტყვებს:

«მართლაც, სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოების ყველა მსხვილ საშუალებაზე, სახელმწიფოს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხთან, გლეხობის მიმართ ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვ., — განა ეს არ არის ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაციიდან, მარტოოდენ კოოპერაციიდან, რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით, როგორც ჩარჩულს, და რომელიც ერთგვარად უფლება გვაქვს აბუჩად ავიგდოთ ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროსაც, განა ეს არ არის ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის? ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის ყველაფერი, რაც აუცილებელი და საკმაოა ამ აშენებისათვის» (იხ. ტ. XXVII, გვ. 392).

ცხადია, აქ არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე შეთანხმება. ტროცკის «პერმანენტული რევოლუცია» არის პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის უარყოფა, და პირიქით — პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორია არის «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის უარყოფა.

ჩვენი რევოლუციის ძალებისა და უნარისადმი რწმენის უქონლობა, რუსეთის პროლეტარიატის ძალებისა და უნარისადმი რწმენის უქონლობა — ასეთია «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის ქვენიადაგი.

დღემდე ჩვეულებრივ აღნიშნავდნენ «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის ერთ მხარეს — გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ შესაძლებლობათადმი რწმენის უქონლობას. ახლა სამართლიანობა მოითხოვს ამ მხარეს მივუმატოთ **მეორე** მხარე — რუსეთის პროლეტარიატის ძალებისა და უნარისადმი რწმენის უქონლობა.

რით განსხვავდება ტროცკის თეორია მენშევიზმის ჩვეულებრივი თეორიისაგან იმის შესახებ, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, ისიც ჩამორჩენილ ქვეყანაში, შეუძლებელია პროლეტა-

რული რევოლუციის წინასწარ გაუმარჯვებლად «დასავლეთ ევროპის ძირითად ქვეყნებში»?

არსებითად — არაფრით.

დაეჭვება შეუძლებელია. ტროცკის «პერმანენტული რევოლუციის» თეორია მენშევიზმის სახესხვაობაა.

უკანასკნელ დროს ჩვენს პრესაში მომრავლდნენ დამყაყებული დიპლომატები, რომლებიც ცდილობენ შემოგვაპარონ «პერმანენტული რევოლუციის» თეორია, როგორც ისეთი რამ, რაც შეიძლება შეთავსებულ იქნას ლენინიზმთან. რა თქმა უნდა, ამბობენ ისინი, ეს თეორია უვარგისი აღმოჩნდა 1905 წელს. მაგრამ ტროცკის შეცდომა ისაა, რომ ის აჩქარდა მაშინ, სცადა რა 1905 წლის პირობებში გამოეყენებინა ის, რის გამოყენებაც მაშინ არ შეიძლებოდა. მაგრამ შემდეგში, ამბობენ ისინი, მაგალითად, 1917 წლის ოქტომბერში, როდესაც რევოლუცია უკვე სავსებით მომწიფდა, ტროცკის თეორია სავსებით შესაფერისი აღმოჩნდაო. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ამ დიპლომატებს შორის ყველაზე მთავარია რადეკი. ინებეთ და მოუსმინეთ მას:

«ომმა უფსკრული გათხარა გლეხობასა, რომელიც მიისწრაფოდა მიწის მოპოვებისა და ზავისაკენ, და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს შორის; ომმა გლეხობა მოაქცია მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ. შესაძლებელი გახდა არა მუშათა კლასისა და გლეხობის დიქტატურა, არამედ გლეხობაზე დაყრდნობილი მუშათა კლასის დიქტატურა. ის, რასაც როზა ლუქსემბურგი და ტროცკი 1905 წელს აყენებდნენ ლენინის წინააღმდეგ (ე. ი. «პერმანენტულ რევოლუციას». ი. სტ.), სინამდვილეში ისტორიული განვითარების მეორე ეტაპი აღმოჩნდა».

აქ რამდენიც სიტყვაა, იმდენი სიყალბეა.

არ არის სწორი, თითქოს ომის დროს «შესაძლებელი გახდა არა მუშათა კლასისა და გლეხობის დიქტატურა, არამედ გლეხობაზე დაყრდნობილი მუშათა კლასის დიქტატურა». ნამდვილად კი 1917 წლის თებერვლის რევოლუცია იყო განხორციელება პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურისა ბურჟუაზიის დიქტატურასთან თავისებური გადახლართვით.

არ არის სწორი, თითქოს «პერმანენტული რევოლუციის» თეორია, რომლის შესახებაც მორცხვად სდუმს რადეკი, 1905 წელს როზა ლუქსემბურგს და ტროცკის წამოეყენებინოთ. ნამდვილად კი ეს თეორია წამოაყენეს პარვუსმა და ტროცკიმ. ახლა, ოქ.ი თვის შემდეგ, რადეკს შესწორება შეაქვს თავის წინანდელ სიტყვებში და ის საჭიროდ ცნობს შეუკურთხოს პარვუსს «პერმანენტული რევოლუციისათვის». მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს რადეკისაგან, რომ მან პარვუსის კომპანიონს — ტროცკისაც შეუკურთხოს.

არ არის სწორი, თითქოს 1905 წლის რევოლუციის მიერ უკუგდებული «პერმანენტული რევოლუცია» სწორი აღმოჩენილიყოს «ისტორიული განვითარების მეორე ეტაპზე», ე. ი. ოქტომბრის რევოლუციის დროს. ოქტომბრის რევოლუციის მთელმა მსვლელობამ, მთელმა მისმა განვითარებამ გვიჩვენა და დაგვიმტკიცა «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის სრული უნიადაგობა, მისი სრული შეუთავსებლობა ლენინიზმის საფუძვლებთან.

ტკბილი სიტყვებით და დამყაყებული დიპლომატიით ვერ დაფარავ იმ ღრმა უფსკრულს, რომელიც ძევს «პერმანენტული რევოლუციის» თეორიასა და ლენინიზმს შორის.

III

ბოლშევიკების ტაქტიკის ზოგიერთ თავისებურებაზე ოქტომბრის მომზადების პერიოდში

ოქტომბრის მომზადების პერიოდში ბოლშევიკების ტაქტიკის გასაგებად აუცილებელია გავარკვიოთ, ყოველ შემთხვევაში, ამ ტაქტიკის ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თავისებურება მაინც. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ბოლშევიკების ტაქტიკის შესახებ დაწერილ მრავალრიცხოვან ბროშურებში ხშირად გვერდს უვლიან სწორედ ამ თავისებურებებს.

რა თავისებურებანია ეს?

პირველი თავისებურება. ტროცკის რომ დაუგდოთ ყური, იფიქრებთ, თითქოს ოქტომბრის მზადების ისტორიაში მარტო ორი პერიოდი არსებობდეს, დაზვერვის პერიოდი და აჯანყების პერიოდი, ყოველივე დანარჩენი კი თითქოს ეშმაკეული იყოს. რას წარმოადგენს 1917 წლის აპრილის მანიფესტაცია? «აპრილის მანიფესტაცია, რომელიც უფრო «მარცხნივ» გადაიხარა, ვიდრე საჭირო იყო, წარმოადგენდა სადაზვერვო გამოსვლას მასების განწყობილებისა და საბჭოთა უმრავლესობასთან მათი ურთიერთდამოკიდებულების გამოსარკვევად». ხოლო რას წარმოადგენს 1917 წლის ივლისის დემონსტრაცია? ტროცკის აზრით, «საქმე ამ შემთხვევაშიც არსებითად გამოიხატა ახალი, უფრო ფართო დაზვერვით მოძრაობის ახალ, უფრო მაღალ ეტაპზე». ზედმეტია ლაპარაკი, რომ 1917 წლის ივნისის დემონსტრაციას, რომელიც ჩვენი პარტიის მოთხოვნით გაიმართა, მით უფრო უნდა ეწოდოს, ტროცკის წარმოდგენით, «დაზვერვა».

ამრიგად, გამოდის, რომ ბოლშევიკებს უკვე 1917 წლის მარტში მზად ჰყოლიათ მუშებისა და გლეხების პოლიტიკური არმია, და თუ ისინი ამ არმიას აჯანყებისათვის არ იყენებდნენ არც აპრილში, არც ივნისში, არც ივლისში, და მხოლოდ «დაზვერვას» აწარმოებდნენ, ეს იმიტომ, და მხოლოდ იმიტომ, რომ «დაზვერვის ცნობები» მაშინ ხელსაყრელ «ნიშნებს» არ იძლეოდნენ.

რაღა თქმა უნდა, ასეთი გამარტივებული წარმოდგენა ჩვენი პარტიის პოლიტიკურ ტაქტიკაზე სხვა არაფერია, თუ არ ჩვეულებრივი სამხედრო ტაქტიკის არევა ბოლშევიკების რევოლუციურ ტაქტიკაში.

ნამდვილად ყველა ეს დემონსტრაცია წარმოადგენდა, უწინარეს ყოვლისა, მასების სტიქიური მოწოლის შედეგს, შედეგს ომის წინააღმდეგ მასების აღშფოთებისას, რომელიც ქუჩისაკენ ისწრაფოდა.

ნამდვილად პარტიის როლი აქ მდგომარეობდა მასების სტიქიურად წარმოშობილი გამოსვლების გაფორმებასა და ხელმძღვანელობაში ბოლშევიკების რევოლუციური ლოზუნგების ხაზით.

ნამდვილად 1917 წლის მარტში ბოლშევიკებს არ ჰყოლიათ, და არც შეიძლებოდა ჰყოლოდათ მზა პოლიტიკური არმია. ასეთ არმიას ბოლშევიკები მხოლოდ ქმნიდნენ (და, ბოლოს, კიდეც შექმნეს იგი 1917 წლის ოქტომბრისათვის) კლასთა ბრძოლისა და შეტაკებების მსვლელობაში 1917 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე, ქმნიდნენ მას აპრილის მანიფესტაციითაც, ივნისისა და ივლისის დემონსტრაციებითაც, სარაიონო და საერთო-საქალაქო თვითმმართველობების არჩევნებითაც, კორნილოვშჩინასთან ბრძოლითაც და საბჭოების დაპყრობითაც. პოლიტიკური არმია სამხედრო არმია როდია. თუ სამხედრო სარდლობა იწყებს ომს უკვე მზა არმიით, პარტიას უხდება თავისი არმიის შექმნა თვით ბრძოლის მსვლელობაში, კლასთა შეტაკებების მსვლელობაში, იმისდა მიხედვით, რაც თვით მასები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებიან პარტიის ლოზუნგების სისწორეში, მისი პოლიტიკის სისწორეში.

რა თქმა უნდა, ყოველი ასეთი დემონსტრაცია ამასთან ერთად რამდენადმე ააშკარავებდა თვალისათვის უხილავს ძალთა თანაშეფარდებებს, წარმოადგენდა ერთგვარ დაზვერვას, მაგრამ აქ დაზვერვა დემონსტრაციის მოტივი კი არა, მისი ბუნებრივი შედეგი იყო.

ლენინი ანალიზს უკეთებს ოქტომბრის აჯანყების წინ მომხდარ ამბებს, ადარებს მათ აპრილ-ივლისის ამბებს და ამბობს:

«მდგომარეობა სწორედ ისეთი არ არის, როგორიც იყო 20—21 აპრილს, 9 ივნისის და 3 ივლისის წინ, ვინაიდან მაშინ იყო სტიქიური აღგზნება, რომელსაც ჩვენ, როგორც პარტია, ან ვერ ვამჩნევდით (20 აპრილს), ან ვაკავებდით და შშვ-

დობიანი დემონსტრაციის სახეს ვაძლევდით (9 ივნისი და 3 ივლისი). ვინაიდან ჩვენ მაშინ კარგად ვიცოდით, რომ საბჭოები ჯერ კიდევ არ იყო ჩვენი, რომ გლეხებს ჯერ კიდევ სწამდათ ლიბერდან-ჩერნოვის გზა, და არა ბოლშევიკური გზა (აჯანყება), რომ, მაშასადამე, არ შეიძლებოდა ჩვენს მხარეზე ყოფილიყო ხალხის უმრავლესობა, რომ, მაშასადამე, აჯანყება ნაადრევი იყო» (იხ. ტ. XXI, გვ. 345).

ცხადია, მარტოოდენ «დაზვერვით» შორს ვერ წახვალ.

აშკარაა, საქმე «დაზვერვა» კი არა, არამედ ის არის, რომ:

1) პარტია ოქტომბრის მზადების მთელი პერიოდის მანძილზე თავის ბრძოლაში განუხრელად ეყრდნობოდა მასობრივი რევოლუციური მოძრაობის სტიქიურ აღმავლობას;

2) სტიქიურ აღმავლობას რომ ეყრდნობოდა, პარტია ინარჩუნებდა მოძრაობის განუყოფელ ხელმძღვანელობას;

3) მოძრაობის ასეთი ხელმძღვანელობა უადვილებდა მას მასობრივი პოლიტიკური არმიის შექმნას ოქტომბრის აჯანყებისათვის;

4) ამგვარ პოლიტიკას არ შეეძლო არ გამოეწვია ის, რომ ოქტომბრის მთელი მომზადება ჩატარდა **ერთი** პარტიის, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით;

5) ოქტომბრის ასეთმა მომზადებამ, თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ ოქტომბრის აჯანყების შედეგად ძალაუფლება **ერთი** პარტიის, ბოლშევიკების პარტიის ხელში აღმოჩნდა.

ამრიგად, **ერთი** პარტიის, კომუნისტების პარტიის, განუყოფელი ხელმძღვანელობა, როგორც ოქტომბრის მომზადების ძირითადი მომენტი, — ასეთია ოქტომბრის რევოლუციის დამახასიათებელი ნიშანი, ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის პირველი თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკების ტაქტიკის ამ თავისებურების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება იმპერიალიზმის ვითარებაში.

ამით ოქტომბრის რევოლუცია დადებითად განსხვავდება საფრანგეთის 1871 წლის რევოლუციისაგან, სადაც რევოლუციის ხელმძღვანელობა გაინაწილა ორმა პარტიამ, რომელთაგან არც ერთს არ შეიძლება ეწოდოს კომუნისტური პარტია.

მეორე თავისებურება. ამრიგად, ოქტომბრის მომზადება მიმდინარეობდა ერთი პარტიის, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით. მაგრამ როგორ ეწეოდა პარტია ამ ხელმძღვანელობას, რა ხაზით მიმდინარეობდა ხელმძღვანელობა? ეს ხელმძღვანელობა მიმდინარეობდა **შემთანხმებლური** პარტიების, როგორც რევოლუციის გაჩაღების პერიოდში ყველაზე საშიშ დაჯგუფებათა, იზოლაციის ხაზით, ესერებისა და მენშევიკების იზოლაციის ხაზით.

რაში მდგომარეობს ლენინიზმის ძირითადი სტრატეგიული წესი? იგი მდგომარეობს იმის აღიარებაში, რომ:

1) რევოლუციის მტრების ყველაზე საშიშ სოციალურ დასაყრდენს მოახლოებული რევოლუციური აფეთქების პერიოდში წარმოადგენენ **შემთანხმებლური** პარტიები;

2) მტრის (ცარიზმის ან ბურჟუაზიის) დამხობა შეუძლებელია ამ პარტიების იზოლაციის გარეშე;

3) ამიტომ რევოლუციის მომზადების პერიოდში მთავარი ისრები მიმართული უნდა იყოს ამ პარტიების იზოლაციისაკენ, მათგან მშრომელთა ფართო მასების ჩამოშორებისაკენ.

ცარიზმთან ბრძოლის პერიოდში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადების პერიოდში (1905 — 1916) ცარიზმის ყველაზე საშიშ სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენდა ლიბერალურ-მონარქისტული პარტია, კადეტების პარტია. რატომ? იმიტომ, რომ ის იყო შემთანხმებლური პარტია, ცარიზმისა და ხალხის უმრავლესობის, ე. ი. მთელი გლეხობის **შეთანხმების** პარტია. ბუნებრივია, რომ პარტია მაშინ მთავარ დარტყმებს მიმართავდა კადეტების წინააღმდეგ, ვინაიდან კადეტების იზოლაციის გარეშე არ შეიძლებოდა ცარიზმთან გლეხობის **გათიშვის** იმედი გვქონოდა, ხოლო თუ ეს გათიშვა უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, — არ შეიძლებოდა რევოლუციის გამარჯვების იმედი გვქონოდა. მაშინ ბევრს არ ესმოდა ბოლშევიკური სტრატეგიის ეს თავისებურება, ბოლშევიკებს სწამებდნენ გადამეტებულ «კადეტჰამიობას» და ამტკიცებდნენ, რომ ბოლშევიკების ბრძოლა კადეტებთან «ჩრდილავს» მთავარ მტერთან — ცარიზმთან ბრძოლასო. მაგრამ ასეთი უსაფუძვლო ბრალდებანი ამხელდნენ იმას, რომ სრულებით არ ესმოდათ ბოლშევიკური სტრატეგია, რომელიც მოითხოვდა შემთანხმებლური პარტიის იზოლაციას **იმისათვის**, რომ გაადვილებულიყო, მოახლოებულიყო მთავარ მტერზე გამარჯვება.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთი სტრატეგიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პროლეტარიატის ჰეგემონია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

ოქტომბრის მომზადების პერიოდში მებრძოლ ძალთა სიმძიმის ცენტრი ახალ სიბრტყეში გადავიდა. მეფე აღარ იყო. კადეტთა პარტია შემთანხმებლური ძალიდან მმართველ ძალად, იმპერიალიზმის გაბატონებულ ძალად გადაიქცა. ბრძოლა წარმოებდა უკვე არა ცარიზმსა და ხალხს შორის, არამედ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ამ პერიოდში იმპერიალიზმის ყველაზე საშიშ სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ წვრილბურჟუაზიული

დემოკრატიული პარტიები, ესერებისა და მენშევიკების პარტიები. რატომ? იმიტომ, რომ მაშინ ეს პარტიები იყვნენ შემთანხმებლური პარტიები, იმპერიალიზმისა და მშრომელი მასების **შეთანხმების** პარტიები. ბუნებრივია, რომ ბოლშევიკები მაშინ მთავარ დარტყმებს მიმართავდნენ ამ პარტიების წინააღმდეგ, ვინაიდან ამ პარტიების იზოლაციის გარეშე არ შეიძლებოდა იმპერიალიზმთან მშრომელი მასების **გათიშვის** იმედი გვქონოდა, ხოლო თუ ეს გათიშვა უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, — არ შეიძლებოდა საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების იმედი გვქონოდა. მაშინ ბევრს არ ესმოდა ბოლშევიკური ტაქტიკის ეს თავისებურება, ბოლშევიკებს სწამებდნენ ესერებისა და მენშევიკებისადმი «გადაჭარბებულ სიძულვილს» და მთავარი მიზნის «დავიწყებას». მაგრამ ოქტომბრის მომზადების მთელი პერიოდი მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს, რომ მხოლოდ ასეთი ტაქტიკით შეეძლოთ ბოლშევიკებს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფა.

ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია გლეხობის მშრომელი მასების შემდგომი გარევოლუციურება, მათი იმედების გაცრუება ესერებისა და მენშევიკებისადმი, მათი ჩამოცილება ამ პარტიებისაგან, მათი შემობრუნება პირდაპირი შემჭიდროებისაკენ პროლეტარიატის, როგორც ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური ძალის ირგვლივ, რომელსაც შეეძლო ქვეყნისათვის ზავის მოპოვება. ამ პერიოდის ისტორია არის ისტორია, ერთი მხრით, ესერებისა და მენშევიკების, ხოლო, მეორე მხრით, ბოლშევიკების ბრძოლისა გლეხობის მშრომელი მასებისათვის, ამ მასების მიმხრობისათვის. ამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს კოალიციურმა პერიოდმა, კერენშჩინის პერიოდმა, ესერებისა და მენშევიკების მიერ მემამულეთა მიწების კონფისკაციაზე უარის თქმამ, ესერებისა და მენშევიკების ბრძოლამ ომის განგრძობისათვის, ფრონტზე შეტევამ ივნისში, ჯარისკაცთათვის სიკვდილით დასჯის შემოღებამ, კორნილოვის აჯანყებამ. და მათ ეს ბედი გადაწყვიტეს მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური სტრატეგიის სასარგებლოდ. ვინაიდან ესერებისა და მენშევიკების იზოლაციის გარეშე შეუძლებელი იყო იმპერიალისტთა მთავრობის დამხობა, ამ მთავრობის დაუმხობლად კი შეუძლებელი იყო ომისაგან თავის დაღწევა. ესერებისა და მენშევიკების იზოლაციის პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკა გამოდგა.

ამრიგად, მენშევიკებისა და ესერების პარტიების იზოლაცია, როგორც ძირითადი ხაზი ოქტომბრის მომზადების საქმის ხელმძღვანელობაში, — ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის მეორე თავისებურება.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკების ტაქტიკის ამ თავისებურების გარეშე მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელი მასების კავშირი ჰაერში გამოკიდებული დარჩებოდა.

დამახასიათებელია, რომ ბოლშევიკური ტაქტიკის ამ თავისებურებაზე ტროცკი არაფერს, ან თითქმის არაფერს, ამბობს თავის «ოქტომბრის გაკვეთილებში».

მესამე თავისებურება. ამრიგად, პარტიის ხელმძღვანელობა ოქტომბრის მომზადების საქმისადმი მიმდინარეობდა ესერებისა და მენშევიკების პარტიების იზოლაციის ხაზით, მათგან მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩამოშორების ხაზით. მაგრამ როგორ ახორციელებდა პარტია ამ იზოლაციას კონკრეტულად, რა ფორმით, რა ლოზუნგით? ეს იზოლაცია ხორციელდებოდა საბჭოების ძალაუფლებისათვის მასების რევოლუციური მოძრაობის ფორმით, ლოზუნგით «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!», ბრძოლით იმისათვის, რომ საბჭოები მასების მობილიზაციის ორგანოებიდან გადაგვექცია აჯანყების ორგანოებად, ძალაუფლების ორგანოებად, ახალი პროლეტარული სახელმწიფოებრიობის აპარატად.

რატომ ჩასჭიდეს ხელი ბოლშევიკებმა სწორედ საბჭოებს, როგორც ძირითად ორგანიზაციულ ბერკეტს, რომელსაც შეეძლო გაეადვილებინა მენშევიკებისა და ესერების იზოლაციის საქმე, შეეძლო წინ წაეწია პროლეტარული რევოლუციის საქმე და რომელიც მოწოდებული იყო მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები მიეყვანა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამდე?

რა არის საბჭოები?

«საბჭოები, — ამბობდა ლენინი ჯერ კიდევ 1917 წლის სექტემბერში, — არის ახალი სახელმწიფო აპარატი, რომელიც იძლევა, ჯერ-ერთი, მუშებისა და გლეხების შეიარაღებულ ძალას, ამასთან ეს ძალა ხალხისაგან მოწყვეტილი კი არ არის, როგორც ძველი მუდმივი არმიის ძალა, არამედ უმჭიდროესად არის მასთან დაკავშირებული; სამხედრო მხარით ეს ძალა შეუდარებლად უფრო ძლიერია, ვიდრე წინანდელნი; რევოლუციური მხრით მის მაგივრობას ვერ გახწევს ვერც ერთი სხვა ძალა. მეორეც, ეს აპარატი იძლევა კავშირს მასებთან, ხალხის უმრავლესობასთან, იმდენად მჭიდროს, გაუწყვეტელს, ადვილად შესამოწმებელს და განსაახლებელს, რომ არაფერი ამის მსგავსი წინანდელ სახელმწიფო აპარატში არ ყოფილა. მესამეც, ეს აპარატი, რომლის შემადგენლობის არჩევა და გამოცვლა ხდება ხალხის ნებით, ბიუროკრატიულ ფორმალობათა გარეშე, ბევრად უფრო დემოკრატიულია, ვიდრე წინანდელი აპარატები. მეოთხეც, ის იძლევა მტკიცე კავშირს სულ სხვადასხვა პროფესიასთან, რითაც აადვილებს უაღრესად ღრმა ხასიათის სხვადასხვა რეფორმის გატარებას უბიუროკრატიოდ. მეხუთეც, ის იძლევა ჩაგრული კლასების — მუშებისა და გლეხების — ავანგარდის, ე. ი. ყველაზე უფრო შეგნებული, ყველაზე უფრო ენერგიული, მოწინავე ნაწილის ორგანიზაციის ფორმას და, ამრიგად, წარმოადგენს აპარატს, რომლის საშუალებით ჩაგრული კლასების ავანგარდს შეუძლია აამაღლოს, აღზარდოს, მოამზადოს და თან გაიყო-

ლიოს ამ კლასების მთელი გიგანტური მახა, რომელიც აქამდე სრულიად მოწყვეტილი იყო პოლიტიკურ ცხოვრებას, ისტორიას. მეექვსეც, იგი შესაძლებლობას იძლევა შეერთებულ იქნას პარლამენტარიზმის ხელსაყრელობა უშუალო და პირდაპირი დემოკრატიის ხელსაყრელობასთან, ე. ი. შეერთებულ იქნას ხალხის არჩეულ წარმომადგენელთა სახით საკანონმდებლო ფუნქციაც და კანონების შეხრულებაც. ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან შედარებით ეს ისეთი წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარების მხრივ, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს...

რევოლუციური კლასების ხალხურ შემოქმედებას რომ არ შეექმნა საბჭოები, პროლეტარული რევოლუცია რუსეთში უიმედო საქმე იქნებოდა, ვინაიდან ძველი აპარატის საშუალებით პროლეტარიატი, ექვი არაა, ვერ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას, ხოლო ახალი აპარატის ერთბაშად შექმნა შეუძლებელია» (იხ. ტ. XXI, გვ. 258 — 259).

აი რატომ ჩასჭიდეს ხელი ბოლშევიკებმა საბჭოებს, როგორც ძირითად ორგანიზაციულ რგოლს, რომელსაც შეეძლო ოქტომბრის რევოლუციის ორგანიზაციის გაადვილება და პროლეტარული სახელმწიფოებრიობის ახალი ძლიერი აპარატის შექმნა.

ლოზუნგმა «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!», მისი შინაგანი განვითარების თვალსაზრისით, ორი სტადია განვლო: პირველი (ბოლშევიკების დამარცხებამდე ივლისში, ორხელისუფლებიანობის დროს) და მეორე (კორნილოვის აჯანყების დამარცხების შემდეგ).

პირველ სტადიაზე ეს ლოზუნგი ნიშნავდა მენშევიკებისა და ესერების ბლოკის გაწყვეტას კადეტებთან, საბჭოთა მთავრობის შედგენას მენშევიკებისა და ესერებისაგან (ვინაიდან საბჭოები მაშინ ესერულ-მენშევიკური იყო), თავისუფალი აგიტაციის უფლებას ოპოზიციისათვის (ე. ი. ბოლშევიკებისათვის) და პარტიების თავისუფალ ბრძოლას საბჭოების შიგნით იმ ვარაუდით, რომ ასეთი ბრძოლით ბოლშევიკები შესძლებდნენ საბჭოების დაპყრობას და საბჭოთა მთავრობის შემადგენლობის შეცვლას რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზით. ეს გეგმა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურას, მაგრამ ის უთუოდ აადვილებდა დიქტატურის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების მომზადებას, ვინაიდან იგი ხელისუფლების სათავეში აყენებდა მენშევიკებსა და ესერებს, აიძულებდა მათ საქმით გაეტარებინათ თავიანთი ანტირევოლუციური პლატფორმა და, ამრიგად, აჩქარებდა ამ პარტიების ნამდვილ ბუნების მხილებას, აჩქარებდა მათს იზოლაციას, მათს ჩამოშორებას მასებისაგან. მაგრამ ბოლშევიკების დამარცხებამ ივლისში შეწყვიტა ეს განვითარება, სასწორი გადახარა გენერალთა და კადეტთა კონტრრევოლუციის მხარეს და მის ბანაკში გადაისროლა ესერები და მენშევიკები. ამ გარემოებამ პარტია აიძულა დროებით მოეხსნა ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!»,

რათა ისევ წამოეყენებინა ის რევოლუციის ახალი აღმავლობის პირობებში.

კორნილოვის აჯანყების დამარცხებით დაიწყო მეორე სტადია. ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს!» კვლავ დღის წესრიგში დადგა. მაგრამ ახლა ეს ლოზუნგი იმას აღარ ნიშნავდა, რასაც ნიშნავდა პირველ სტადიაზე. მისი შინაარსი ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა იმპერიალიზმთან კავშირის სრულიად გაწყვეტას და ძალაუფლების გადასვლას ბოლშევიკების ხელში, ვინაიდან საბჭოების უმრავლესობა უკვე ბოლშევიკური იყო. ახლა ეს ლოზუნგი მოასწავებდა რევოლუციის პირდაპირ მისვლას პროლეტარიატის დიქტატურასთან აჯანყების გზით. უფრო მეტიც: ახლა ეს ლოზუნგი ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციას და სახელმწიფოებრივ გაფორმებას.

სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებად საბჭოების გადაქცევის ტაქტიკის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ის იყო, რომ იგი თიშავდა იმპერიალიზმისაგან მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს, სახელს უტეხდა მენშევიკებისა და ესერების პარტიებს, როგორც იმპერიალიზმის იარაღს, და ეს მასები, ასე ვთქვათ, პირდაპირი გზით მიჰყავდა პროლეტარიატის დიქტატურასთან.

ამრიგად, სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებად საბჭოების გადაქცევის პოლიტიკა, როგორც შემთანხმებლური პარტიების იზოლაციისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობა, — ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის მესამე თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში.

მეოთხე თავისებურება. სურათი სრული ვერ იქნებოდა, რომ არ გაგვერკვია იმის საკითხი, თუ როგორ და რატომ ახერხებდნენ ბოლშევიკები — გადაექციათ თავიანთი პარტიული ლოზუნგები მრავალმილიონიანი მასების ლოზუნგებად, რომლებიც რევოლუციას წინ ეწევიან, თუ როგორ და რატომ ახერხებდნენ ისინი — დაერწმუნებინათ თავიანთი პოლიტიკის სისწორეში მუშათა კლასის არა მარტო ავანგარდი და არა მარტო უმრავლესობა, არამედ ხალხის უმრავლესობაც.

საქმე ის არის, რომ რევოლუციის გამარჯვებისათვის, თუ ეს რევოლუცია ნამდვილად ხალხური და მრავალმილიონიან მასებს ამოძრავებს, — არ კმარა მარტოოდენ პარტიული ლოზუნგების სისწორე. რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭიროა კიდევ ერთი აუცილებელი პირობა, სახელდობრ ის, რომ თვით მასები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ამ ლოზუნგების სისწორეში. მხოლოდ მაშინ ხდებიან პარტიის ლოზუნგები თვით მასების ლოზუნ-

გებად. მხოლოდ მაშინ იქცევა რევოლუცია ნამდვილ ხალხურ რევოლუციად. ოქტომბრის მომზადების პერიოდში ბოლშევიკების ტაქტიკის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ახერხებდა სისწორით დაესახა ის გზები და მოსახვევები, რომლებსაც მასები ბუნებრივად მიჰყავთ პარტიის ლოზუნგებთან, ასე ვთქვათ, თვით რევოლუციის ზღურბლთან, და რომლებიც, ამრიგად, უადვილებენ მასებს საკუთარი გამოცდილებით შეიგრძნონ, შეამოწმონ და შეიცნონ ამ ლოზუნგების სისწორე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბოლშევიკების ტაქტიკის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთმანეთში არ ურევს ხელმძღვანელობას პარტიის მიმართ და ხელმძღვანელობას მასების მიმართ, რომ იგი ნათლად ხედავს განსხვავებას პირველი სახის ხელმძღვანელობასა და მეორე სახის ხელმძღვანელობას შორის, და რომ იგი, ამგვარად, წარმოადგენს მეცნიერებას არა მარტო პარტიის მიმართ ხელმძღვანელობის, არამედ აგრეთვე მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების მიმართ ხელმძღვანელობის შესახებ.

ბოლშევიკური ტაქტიკის ამ თავისებურების გამოვლინების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს დამფუძნებელი კრების მოწვევისა და გარეკვის გამოცდილება.

ცნობილია, რომ საბჭოების რესპუბლიკის ლოზუნგი ბოლშევიკებმა წამოაყენეს ჯერ კიდევ 1917 წლის აპრილში. ცნობილია, რომ დამფუძნებელი კრება წარმოადგენს ბურჟუაზიულ პარლამენტს, რომელიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება საბჭოების რესპუბლიკის საფუძვლებს. როგორ მოხდა, რომ ბოლშევიკები, რომლებიც საბჭოების რესპუბლიკისაკენ მიემართებოდნენ, ამავე დროს დროებითი მთავრობისაგან მოითხოვდნენ დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას? როგორ მოხდა, რომ ბოლშევიკებმა არა მარტო მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში, არამედ თვით მოიწვიეს დამფუძნებელი კრება? როგორ მოხდა, რომ აჯანყებამდე ერთი თვით ადრე, ძველიდან ახალზე გადასვლის დროს, ბოლშევიკებს შესაძლებლად მიაჩნდათ საბჭოების რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრების დროებითი კომბინაცია?

ეს «მოხდა» იმიტომ, რომ:

1) დამფუძნებელი კრების იდეა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იდეა იყო მოსახლეობის ფართო მასებში;

2) დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივი მოწვევის ლოზუნგი აადვილებდა დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციური ბუნების მხილებას;

3) ხალხის მასების თვალში დამფუძნებელი კრების იდეის სახელის გასატეხად საჭირო იყო ამ მასების მიყვანა დამფუძნებელი კრების კედლებთან — მიწის, ზავის, საბჭოების ძალაუფლების მოთხოვნით, რაც, ამგვარად, შეატაკებდა მათ ნამდვილ და ცოცხალ დამფუძნებელ კრებასთან;

4) მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა გაგვეადვილებინა მასებისათვის საკუთარი გამოცდილებით დარწმუნებულიყვნენ დამფუძნებელი კრების კონტრრევოლუციურობაში და მისი გარეკვის აუცილებლობაში;

5) ყოველივე ეს, ბუნებრივად, გულისხმობდა საბჭოების რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრების დროებითი კომბინაციის დაშვების შესაძლებლობას, როგორც დამფუძნებელი კრების დაძლევის ერთ-ერთ საშუალებას;

6) ასეთი კომბინაცია, თუკი იგი განხორციელდებოდა საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლის პირობით, მოასწავებდა მხოლოდ დამფუძნებელი კრების დაქვემდებარებას საბჭოებისადმი, მის გადაქცევას საბჭოების დანამატად, მის უმტკივნეულო კვდომას.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკების ასეთი პოლიტიკის გარეშე დამფუძნებელი კრების გარეკვა ვერ ჩატარდებოდა ასე იოლად, ხოლო ესერებისა და მენშევიკების შემდგომი გამოსვლები ლოზუნგით: «მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას!» — ვერ დამარცხდებოდა ასე სასტიკად.

«ჩვენ, — ამბობს ლენინი, — ვმონაწილეობდით რუსეთის ბურჟუაზიული პარლამენტის, დამფუძნებელი კრების, არჩევნებში 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში. სწორი იყო თუ არა ჩვენი ტაქტიკა?.. არ გვქონდა განა ჩვენ, რუსეთის ბოლშევიკებს, 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში უფრო მეტი უფლება, ვიდრე დასავლეთის რომელიც გნებავთ კომუნისტებს, გვეფიქრა, რომ რუსეთში პარლამენტარიზმი პოლიტიკურად დრომოჭმულია? რა თქმა უნდა, გვქონდა, ვინაიდან საქმე ის ზომ არ არის, დიდი ხანია თუ ცოტა ხანია, რაც ბურჟუაზიული პარლამენტები არსებობენ, არამედ ის, თუ რამდენად მზად არიან (იდეურად, პოლიტიკურად, პრაქტიკულად) მშრომელთა ფართო მასები — მიიღონ საბჭოთა წყობილება და გარეკონ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტი (ან დაუშვან მისი გარეკვა). 1917 წლის სექტემბერ-ნოემბერში რომ რუსეთში ქალაქების მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხები, მთელ რიგ სპეციალურ პირობათა გამო, საუცხოოდ იყვნენ მომზადებული საბჭოთა წყობილების მისაღებად და ყველაზე უფრო დემოკრატიული ბურჟუაზიული პარლამენტის გასარეკად, ეს სრულიად უდავო და სავსებით დადასტურებული ისტორიული ფაქტია. და მიუხედავად ამისა ბოლშევიკებს ბოიკოტი კი არ გამოუცხადებიათ დამფუძნებელი კრებისათვის, არამედ მათ მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობამდეც და დაპყრობის შემდეგაც» (იხ. ტ. XXV, გვ. 201 — 202).

მაშ რატომ არ გამოუცხადეს ბოლშევიკებმა ბოიკოტი დამფუძნებელ კრებას? იმიტომ, — ამბობს ლენინი, — რომ:

«საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებამდე რამდენიმე კვირით ადრეც კი, ასეთი გამარჯვების შემდეგაც კი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარლამენტში მონაწილეობა არა თუ არ ვნებს რევოლუციურ პროლეტარიატს, არამედ კიდევაც უადვილებს მას შესაძლებლობას — დაუმტკიცოს ჩამორჩენილ მასებს, თუ რატომ არიან ასეთი პარლამენტები გარეკვის ღირსნი, აადვილებს მათი გარეკვის წარმატებას, აადვილებს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის «პოლიტიკურად დაძლევას»» (იხ. იქვე).

დამახასიათებელია, რომ ტროცკის არ ესმის ბოლშევიკური ტაქტიკის ეს თავისებურება, და იგი დასცინის დამფუძნებელი კრებისა და საბჭოების შეხამების «თეორიას», როგორც ჰილფერდინგელობას.

მას არ ესმის, რომ აჯანყების ლოზუნგისა და საბჭოების შესაძლებელი გამარჯვების დროს ასეთი შეხამების დაშვება, დაკავშირებული დამფუძნებელი კრების მოწვევასთან, არის ერთადერთი რევოლუციური ტაქტიკა, და ამ ტაქტიკას არაფერი აქვს საერთო ჰილფერდინგის ტაქტიკასთან, რომელიც გულისხმობს საბჭოებას გადაცევას დამფუძნებელი კრების დანამატად, რომ ამ საკითხში ზოგიერთი ამხანაგის შეცდომა მას საბუთს არ აძლევს აძაგოს ლენინისა და პარტიის სრულიად სწორი პოზიცია «კომბინირებული სახელმწიფოებრიობის» შესახებ განსაზღვრული პირობების დროს (შეადარე ტ. XXI, გვ. 338).

მას არ ესმის, რომ თუ არ ბოლშევიკების თავისებური პოლიტიკა, რომელსაც ისინი დამფუძნებელ კრებასთან დაკავშირებით დაადგნენ, მათთვის შეუძლებელი იქნებოდა ხალხის მრავალმილიონიანი მასების მიმხრობა, ამ მასების მიუმხრობლად კი ისინი ოქტომბრის აჯანყებას ვერ გადააქცევდნენ ღრმა სახალხო რევოლუციად.

საინტერესოა, რომ ტროცკის სიცილს ჰგვრის ისეთი სიტყვებიც კი, როგორიც არის «ხალხი», «რევოლუციური დემოკრატია» და სხვ., რომლებიც გვხვდება ბოლშევიკების სტატიებში; მას ეს სიტყვები მარქსისტისათვის ურიგო სიტყვებად მიაჩნია.

ტროცკის, ალბათ, ავიწყდება, რომ ლენინი, ეს უეჭველი მარქსისტი, 1917 წლის სექტემბერშიც კი, ერთი თვით წინ პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამდე, წერდა, რომ «აუცილებელია მთელი ძალაუფლების დაუყოვნებლივ გადასვლა **რევოლუციური დემოკრატიის** ხელში, **რომელსაც რევოლუციური პროლეტარიატი მეთაურობს**» (ტ. XXI, გვ. 198).

ტროცკის, ალბათ, ავიწყდება, რომ ლენინი, ეს უეჭველი მარქსისტი, მოჰყავს რა ციტატა მარქსის ცნობილი წერილიდან კუგელმანისადმი (1871 წლის აპრილი) იმის შესახებ, რომ ბიუროკრატიულ-სამხედრო სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა წარმოადგენს კონტინენტზე ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლუციის წინასწარ პირობას, შავით თეთრზე შემდეგ სტრიქონებს წერს:

«განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მარქსის ფრიად ღრმა შენიშვნა, რომ ბიუროკრატიულ-სამხედრო სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა «ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლუციის წინასწარ პირობას» წარმოადგენს. მარქსის მხრივ ამ «ხალხური» რევოლუციის ცნებაზე ლაპარაკი უცნაურად მოგეჩვენებათ, და რუსი პლეხანოველები და მენშევიკები, სტრუვეს ეს მიმდევრები, რომელთაც მარქსისტებად მოაქვთ თავი, მარქსის ასეთ გამოთქმას, ალბათ, «წამომცდარ» სიტყვად ჩათვლიან. მათ მარქსიზმი ისეთ უბადრუკ-ლიბერალურ დამახინჯებამდე მიიყვანეს, რომ ბურჟუაზიული და პროლეტარული რევოლუციის დაპირისპირების გარდა მათთვის არაფერი არ არსებობს, და ეს დაპირისპირებაც მათ ესმით, როგორც უალრესად უსიცოცხლო რამ...

1871 წლის ევროპის კონტინენტზე პროლეტარიატი არც ერთ ქვეყანაში არ შეადგენდა ხალხის უმრავლესობას. «ხალხური» რევოლუცია, რომელიც მოძრაობაში აბამს ნამდვილ უმრავლესობას, შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიცავდა პროლეტარიატსაც და გლეხობასაც. მაშინ ორივე ეს კლასი შეადგენდა სწორედ «ხალხს». ამ ორ კლასს აერთიანებს ის, რომ ორივეს ჩაგრავს, ახშობს და ექსპლოატაციას უწევს «ბიუროკრატიულ-სამხედრო სახელმწიფო მანქანა». ამ მანქანის დამსხვრევა, მისი განადგურება — ასეთია «ხალხის», მისი უმრავლესობის, მუშებისა და გლეხების უმრავლესობის, ნამდვილი ინტერესი, ასეთია პროლეტარებთან უღარიბესი გლეხების თავისუფალი კავშირის «წინასწარი პირობა», ხოლო ასეთი კავშირის გარეშე დემოკრატია მტკიცე არ არის და სოციალისტური გარდაქმნაც შეუძლებელია» (იხ. ტ. XXI, გვ. 395 — 396).

ლენინის ამ სიტყვების დავიწყება არ შეიძლება.

ამრიგად, უნარი მასების დარწმუნებისა, მათი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, პარტიული ლოზუნგების სისწორეში ამ მასების მიყვანით რევოლუციურ პოზიციებთან, როგორც პარტიის მხარეზე მილიონობით მშრომელთა გადმოყვანის უმნიშვნელოვანესი პირობა, — ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის მეოთხე თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში.

ვფიქრობ, რომ ზემონათქვამი სავსებით საკმარისია ამ ტაქტიკის დამახასიათებელი ნიშნების ნათელსაყოფად.

IV

ოქტომბრის რევოლუცია, როგორც მსოფლიო რევოლუციის დასაწყისი და წანამძღვარი

უეჭველია, ევროპის უმთავრეს ქვეყნებში რევოლუციის ერთდროულად გამარჯვების უნივერსალური თეორია, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის თეორია, — ხელოვნური, უსიცოცხლო თეორია გამოდგა. რუსეთის პროლეტარული რევოლუციის შვიდი წლის ისტორია ამ თეორიის სასარგებლოდ კი არა, მის წინააღმდეგ ლაპარაკობს. ეს თეორია მიუღებელია არა მარტო როგორც მსოფლიო რევოლუციის განვითარების სქემა, ვინაიდან ის ეწინააღმდეგება აშკარა ფაქტებს. ის კიდევ უფრო მეტად მიუღებელია როგორც ლოზუნგი, ვინაიდან იგი გზას კი არ უხსნის, არამედ ბოჭავს იმ ცალკეული ქვეყნების ინიციატივას, რომელთაც, განსაზღვრული ისტორიული პირობების გამო, საშუალება ეძლევათ დამოუკიდებლად გაარღვიონ კაპიტალის ფრონტი; ვინაიდან ეს თეორია იძლევა სტიმულს კაპიტალზე არა აქტიური შეტევისათვის ცალკეული ქვეყნების მხრივ, არამედ «საყოველთაო კვანძის გახსნის» მომენტის პასიური ლოდინისათვის; ვინაიდან ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს შორის ეს თეორია ნერგავს არა რევოლუციური გაბედულობის, არამედ ჰამლეტური ეჭვების სულისკვეთებას: «ერთიც ვნახოთ, სხვებმა მხარი არ დაგვიჭირონო». ლენინი სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ ერთ ქვეყანაში პროლეტარიატის გამარჯვება «ტიპიური შემთხვევაა», რომ «მთელ რიგ ქვეყნებში ერთდროული რევოლუცია» შეიძლება იყოს მხოლოდ «იშვიათი გამონაკლისი» (იხ. ტ. XXIII, გვ. 354).

მაგრამ რევოლუციის ლენინური თეორია, როგორც ცნობილია, არ განისაზღვრება საქმის მარტოოდენ ამ მხარით. ის ამასთანავე წარმოადგენს მსოფლიო რევოლუციის განვითარების თეორიას [1]. სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში არ არის თვითკმარი ამოცანა. გამარჯვებული ქვეყნის რევოლუცია თავის თავს უნდა უყურებდეს არა როგორც თვითკმარ სიდიდეს, არამედ როგორც საყრდენს, როგორც იმის საშუალებას, რომ დაჩქარდეს პროლეტარიატის გამარჯვება ყველა ქვეყანაში. ვინაიდან რევოლუციის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, ამ შემთხვევაში რუსეთში, არ არის მარტო იმპერიალიზმის უთანაბრო განვითარებისა და მისი პროგრესიული რღვევის

1 იხ. ზემოთ — «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» ი. სტ.

ნაყოფი. ის იმავე დროს მსოფლიო რევოლუციის დასაწყისსა და წანამძღვარს წარმოადგენს.

უეჭველია, მსოფლიო რევოლუციის განვითარების გზები არც ისე მარტივია, როგორც ეს შესაძლოა წარმოგვედგინა წინათ, სანამ ერთ ქვეყანაში გაიმარჯვებდა რევოლუცია, სანამ გაჩნდებოდა განვითარებული იმპერიალიზმი, რომელიც «სოციალისტური რევოლუციის წინადღეს» წარმოადგენს. ვინაიდან გაჩნდა ისეთი ახალი ფაქტორი, როგორიც არის კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო განვითარების კანონი, რომელიც მოქმედებს განვითარებული იმპერიალიზმის პირობებში და რომელიც მოასწავებს სამხედრო შეტაკებათა გარდუვალობას, კაპიტალის მსოფლიო ფრონტის საერთო დასუსტებას და ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას. ვინაიდან გაჩნდა ისეთი ახალი ფაქტორი, როგორიც არის უზარმაზარი საბჭოთა ქვეყანა, რომელიც მდებარეობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შუა, მსოფლიოს ფინანსური ექსპლოატაციის ცენტრსა და კოლონიური ჩაგვრის ასპარეზს შუა, და რომელიც მარტო თავისი არსებობით არევოლუციურებს მთელ მსოფლიოს.

ყველაფერი ეს ისეთი ფაქტორებია (აღარას ვამბობ სხვა, ნაკლები მნიშვნელობის ფაქტორებზე), რომლებიც შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ მსოფლიო რევოლუციის გზების შესწავლის დროს.

წინათ ჩვეულებრივ ფიქრობდნენ, რომ რევოლუცია განვითარდება სოციალიზმის ელემენტთა თანაბარი «მომწიფების» გზით, უწინარეს ყოვლისა უფრო განვითარებულ, «მოწინავე» ქვეყნებში. ახლა ეს წარმოდგენა არსებითს ცვლილებას საჭიროებს.

«ახლა საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთი სისტემა შეიქმნა, — ამბობს ლენინი, — რომ ევროპაში ერთი სახელმწიფოთაგანი დამონებულია გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ, — ეს არის გერმანია. შემდეგ, მთელი რიგი სახელმწიფოები, ამასთან დასავლეთის უძველესი სახელმწიფოები, გამარჯვების გამო, ისეთ პირობებში აღმოჩნდნენ, როდესაც მათ შეუძლიათ ეს გამარჯვება გამოიყენონ იმ მიზნით, რომ თავიანთი დაჩაგრული კლასებისათვის გაიმეტონ ზოგიერთი უმნიშვნელო დათმობანი, — დათმობანი, რომლებიც მაინც აფერხებენ მათში რევოლუციურ მოძრაობას და ქმნიან «სოციალური მშვიდობის» ერთგვარ მსგავსებას».

«ამავე დროს მთელი რიგი ქვეყნები: აღმოსავლეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ., სწორედ უკანასკნელი იმპერიალისტური ომის გამო, საბოლოოდ ამოვარდნენ თავიანთი კალაპოტიდან. მათი განვითარება საბოლოოდ წარიმართა საერთო-ევროპული კაპიტალისტური მასშტაბით. იქ დაიწყო საერთო-ევროპული მღელვარება. და ახლა მთელი მსოფლიოსათვის ცხადია, რომ ისინი ჩაებნენ ისეთ განვითარებაში, რომელსაც არ შეუძლია არ გამოიწვიოს მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი».

ამის გამო და ამასთან დაკავშირებით «დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები დაამთავრებენ თავიანთ განვითარებას სოციალიზმისაკენ... არა ისე, რო-

გორც ჩვენ წინათ ველოდით. ისინი ამთავრებენ ამ განვითარებას არა სოციალიზმის თანაბარი «მომწიფებით» მათში, არამედ ერთი სახელმწიფოების მიერ მეორეთა ექსპლოატაციის გზით, იმპერიალისტური ომის დროს პირველი დამარცხებული სახელმწიფოს ექსპლოატაციის გზით, რასაც თან ერთვის მთელი აღმოსავლეთის ექსპლოატაცია. აღმოსავლეთი კი, მეორე მხრით, საბოლოოდ დაადგა რევოლუციური მოძრაობის გზას სწორედ ამ პირველი იმპერიალისტური ომის გამო და საბოლოოდ ჩაება მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის საერთო ოროვტრიალში» (იხ. ტ. XXVII, გვ. 415 — 416).

თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ არა მარტო დამარცხებული ქვეყნები და კოლონიები განიცდიან ექსპლოატაციას გამარჯვებული ქვეყნების მხრით, არამედ გამარჯვებული ქვეყნების ნაწილიც ჰყვება ყველაზე უფრო ძლიერი გამარჯვებული ქვეყნების, ამერიკისა და ინგლისის, ფინანსური ექსპლოატაციის ორბიტაში; რომ ყველა ამ ქვეყანას შორის არსებული წინააღმდეგობანი წარმოადგენენ მსოფლიო იმპერიალიზმის გახრწნის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს; რომ ამ წინააღმდეგობათა გარდა კიდეე არსებობენ და ვითარდებიან უღრმესი წინააღმდეგობანი თვითეული ამ ქვეყნის შიგნით; რომ ყველა ამ წინააღმდეგობას აღრმავებს და ამწვავებს ამ ქვეყნების გვერდით საბჭოების დიდი რესპუბლიკის არსებობის ფაქტი, — თუ ყოველივე ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ საერთაშორისო მდგომარეობის თავისებურების სურათი ცოტად თუ ბევრად სრული იქნება.

ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ მსოფლიო რევოლუცია განვითარდება იმპერიალისტური სახელმწიფოების სისტემისაგან მთელი რიგი ახალი ქვეყნების რევოლუციურად ჩამოშორების გზით, რაშიც ამ ქვეყნების პროლეტარებს მხარს დაუჭერს იმპერიალისტური სახელმწიფოების პროლეტარიატი. ჩვენ ვხედავთ, რომ პირველ ჩამოშორებულ ქვეყანას, პირველ გამარჯვებულ ქვეყანას უკვე მხარს უჭერენ სხვა ქვეყნების მუშები და მშრომელი მასები. ამ მხარდაჭერის გარეშე ის ვერ გასძლებდა. უეჭველია, ეს დახმარება გაძლიერდება და გაიზრდება. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ თვით მსოფლიო რევოლუციის განვითარება, იმპერიალიზმისაგან მთელი რიგი ახალი ქვეყნების ჩამოშორების თვით პროცესი მით უფრო სწრაფი და უფრო საფუძვლიანი იქნება, რაც უფრო საფუძვლიანად განმტკიცდება სოციალიზმი პირველ გამარჯვებულ ქვეყანაში, რაც უფრო სწრაფად გადაიქცევა ეს ქვეყანა მსოფლიო რევოლუციის შემდგომი გაშლის ბაზად, იმპერიალიზმის შემდგომი გახრწნის ბერკეტად.

თუ სწორია ის დებულება, რომ პირველ განთავისუფლებულ ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება შეუძლებელია რამ-

დენიმე ქვეყნის პროლეტარების საერთო ძალღონის გარეშე, მაშინ ასევე სწორია ის დებულებაც, რომ მსოფლიო რევოლუცია მით უფრო ჩქარა და საფუძვლიანად გაიშლება, რაც უფრო ნამდვილი იქნება პირველი სოციალისტური ქვეყნის დახმარება ყველა დანარჩენი ქვეყნის მუშებისა და მშრომელი მასებისადმი.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს დახმარება?

ის უნდა გამოიხატებოდეს, ჯერ-ერთი, იმაში, რომ გამარჯვებულმა ქვეყანამ «გაატაროს იმის მაქსიმუმი, რის განხორციელებაც ერთ ქვეყანაშია შესაძლებელი, ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერის, გაღვივების მიზნით» (იხ. ლენინი, ტ. XXIII, გვ. 385).

მეორეც, ის უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ ერთი ქვეყნის «გამარჯვებული პროლეტარიატი», «კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ..., დაუპირისპირდეს დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს, მიიმხროს სხვა ქვეყნების დაჩაგრული კლასები, ააჯანყოს ისინი კაპიტალისტების წინააღმდეგ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც კი გამოვიდეს ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ» (იხ. ლენინი, ტ. XVIII, გვ. 232 — 233).

გამარჯვებული ქვეყნის მხრით ამ დახმარების დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს არა მარტო ის, რომ იგი აჩქარებს სხვა ქვეყნების პროლეტარების გამარჯვებას, არამედ ისიც, რომ ამ გამარჯვების გაადვილებით იგი უზრუნველყოფს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას პირველ გამარჯვებულ ქვეყანაში.

ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ მსოფლიო რევოლუციის განვითარების პროცესში, იმპერიალიზმის კერებთან ერთად ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში და ამ ქვეყნების სისტემასთან ერთად მთელ მსოფლიოში, შეიქმნება სოციალიზმის კერები ცალკეულ საბჭოთა ქვეყნებში და ამ კერების სისტემა მთელ მსოფლიოში, ამასთანავე ბრძოლა ამ ორ სისტემას შორის აავსებს მსოფლიო რევოლუციის გაშლის ისტორიას.

ვინაიდან, — ამბობს ლენინი, — «შეუძლებელია სოციალიზმში ერების თავისუფალი გაერთიანება ჩამორჩენილი სახელმწიფოების წინააღმდეგ სოციალისტური რესპუბლიკების ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლის გარეშე» (იხ. იქვე).

ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ის წარმოადგენს ერთი ქვეყნის დიად თაოს-

ნობას იმპერიალიზმის სისტემის გარღვევის საქმეში და სოციალიზმის პირველ კერას იმპერიალისტური ქვეყნების ოკეანეში, არამედ იმაშიც, რომ ის შეადგენს მსოფლიო რევოლუციის პირველ ეტაპს და მისი შემდგომი გაშლის მძლავრ ბაზას.

ამიტომ მართალი არ არიან არა მარტო ისინი, რომელნიც, ივიწყებენ რა ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათს, ერთ ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვებას თვლიან წმინდა ნაციონალურ და მხოლოდ ნაციონალურ მოვლენად. მართალი არ არიან აგრეთვე ისინიც, რომელთაც, ახსოვთ რა ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი, მიაჩნიათ ეს რევოლუცია რაღაც პასიურ მოვლენად, რომელიც მოწოდებულია მხოლოდ დახმარება მიიღოს გარეგან. ნამდვილად კი არა მარტო ოქტომბრის რევოლუცია საჭიროებს დახმარებას სხვა ქვეყნების რევოლუციის მხრით, არამედ ამ ქვეყნების რევოლუციაც საჭიროებს დახმარებას ოქტომბრის რევოლუციის მხრით იმისათვის, რომ დაჩქარდეს და წინ წავიდეს მსოფლიო იმპერიალიზმის დამხობის საქმე.

1924 წ. 17 დეკემბერი.

ლენინიზმის საკითხებისათვის

საკავშირო კ. პ. (ბ)
ლენინგრადის ორგანიზაციას
ვუძღვნი

ი. სტალინი

I

ლენინიზმის განსაზღვრა

ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» მოცემულია ლენინიზმის ცნობილი განსაზღვრა, რომელმაც, როგორც ჩანს, მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა. ეს განსაზღვრა ასეთია:

«ლენინიზმი არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი. უფრო ზუსტად: ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა. საერთოდ, პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა განსაკუთრებით».

სწორია თუ არა ეს განსაზღვრა?

მე ვფიქრობ, რომ სწორია. იგი სწორია, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ სწორად მიუთითებს ლენინიზმის ისტორიულ ფესვებზე, ახასიათებს მას როგორც **იმპერიალიზმის** ეპოქის მარქსიზმს, წინააღმდეგ ლენინის ზოგიერთი კრიტიკოსისა, რომელნიც უმართებულოდ ფიქრობენ, რომ ლენინიზმი იმპერიალისტური ომის შემდეგ წარმოიშვა. მეორეც, იგი სწორია იმიტომ, რომ სწორად აღნიშნავს ლენინიზმის საერთაშორისო ხასიათს, წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიისა, რომელსაც მიაჩნია, რომ ლენინიზმის გამოყენება შეიძლება მხოლოდ რუსეთის ნაციონალურ ვითარებაში. მესამეც, იგი სწორია იმიტომ, რომ სწორად აღნიშნავს ლენინიზმის ორგანულ კავშირს მარქსის მოძღვრებასთან, ახასიათებს რა მას როგორც იმპერიალიზმის ეპოქის **მარქსიზმს**, წინააღმდეგ ლენინიზმის ზოგიერთი კრიტიკოსისა, რომელნიც თვლიან მას მარქსიზმის არა შემდგომ განვითარებად, არამედ მარქსიზმის მხოლოდ აღდგენად და რუსეთის სინამდვილეში მის გამოყენებად.

ყოველივე ეს თითქოს არ საჭიროებს განსაკუთრებულ კომენტარებს.

მიუხედავად ამისა, ჩვენს პარტიაში თურმე მოიპოვებიან ადამიანები, რომლებსაც საჭიროდ მიაჩნიათ რამდენადმე სხვანაირად განსაზღვრონ ლენინიზმი. აი, მაგალითად, ზინოვიევი ფიქრობს. რომ:

«ლენინიზმი არის იმპერიალისტური ომებისა და მსოფლიო რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი, მსოფლიო რევოლუციისა, **რომელიც უშუალოდ დაიწყო იმ ქვეყანაში, სადაც ჭარბობს გლეხობა».**

რას შეიძლება ნიშნავდეს ზინოვიევის მიერ ხაზგასმული სიტყვები? რას ნიშნავს ლენინიზმის განსაზღვრაში რუსეთის ჩამორჩენილობის, მისი გლეხური ხასიათის შეტანა?

ეს ნიშნავს გადააქციო ლენინიზმი ინტერნაციონალური პროლეტარული მოძღვრებიდან რუსეთის თავისებურების პროდუქტად.

ეს ნიშნავს ხელი შეუწყო ბაუერსა და კაუცკის, რომელნიც უარყოფენ ლენინიზმის გამოსადეგობას სხვა, კაპიტალისტურად უფრო განვითარებული, ქვეყნებისათვის.

თქმა არ უნდა, რომ რუსეთისათვის გლეხობის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენი ქვეყანა გლეხურია. მაგრამ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ამ ფაქტს ლენინიზმის საფუძვლების დახასიათებისათვის? განა ლენინიზმი შემუშავდა მხოლოდ რუსეთის ნიადაგზე და რუსეთისათვის, და არა იმპერიალიზმის ნიადაგზე და საერთოდ იმპერიალისტური ქვეყნებისათვის? განა ლენინის ისეთ შრომებს, როგორიც არის «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია», «სახელმწიფო და რევოლუცია», «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» და სხვ., მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ რუსეთისათვის, და არა საერთოდ ყველა იმპერიალისტური ქვეყნისათვის? განა ლენინიზმი **ყველა** ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების განზოგადება არ არის? განა ლენინიზმის თეორიისა და ტაქტიკის საფუძვლები გამოსადეგი არ არის, საევალდებულო არ არის **ყველა** ქვეყნის პროლეტარული პარტიებისათვის? განა ლენინი მართალი არ იყო, როდესაც ამბობდა, **«ბოლშევიზმი ყველასათვის გამოსადეგია, როგორც ტაქტიკის ნიმუშია»?** (იხ. ტ. XXIII, გვ. 386). განა ლენინი მართალი არ იყო, როდესაც ლაპარაკობდა «საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკური თეორიისა და ტაქტიკის საფუძვლების **საერთაშორისო მნიშვნელობაზე»**[1]? (იხ. ტ. XXV, გვ. 171 — 172). განა სწორი არ არის, მაგალითად, ლენინის შემდეგი სიტყვები:

---

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

«რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს ზოგიერთი თავისებურებით მოწინავე ქვეყნებთან შედარებით ჩვენი ქვეყნის მეტად დიდი ჩამორჩენილობისა და წვრილბურჟუაზიულობის გამო. მაგრამ ძირითადი ძალები — და საზოგადოებრივი მეურნეობის ძირითადი ფორმები — რუსეთში იგივეა, რაც ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, ასე რომ ეს თავისებურებანი შეიძლება ეხებოდნენ მხოლოდ არა უმთავრესს» [1] (იხ. ტ. XXIV, გვ. 508).

მაგრამ თუ ყოველივე ეს სწორია, მაშინ განა აქედან არ გამომდინარეობს, რომ ლენინიზმის განსაზღვრა, რომელსაც ზინოვიევი იძლევა, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს?

როგორ შეიძლება ლენინიზმის ამ ნაციონალურ-შეზღუდული განსაზღვრის შეთავსება ინტერნაციონალიზმთან?

II

მთავარი ლენინიზმში

ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» ნათქვამია:

«ზოგი ფიქრობს, რომ ლენინიზმში ძირითადია გლეხობის საკითხი, რომ ლენინიზმის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს გლეხობის, მისი როლის, მისი ხვედრითი წონის საკითხი. ეს სრულებით არ არის სწორი. ძირითად საკითხს ლენინიზმში, მის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს არა გლეხობის საკითხი, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის, მისი ბრძოლით მოპოვების პირობების, მისი განმტკიცების პირობების საკითხი. გლეხობის საკითხი, როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის მოკავშირის საკითხი, წარმოებული საკითხია».

სწორია თუ არა ეს დებულება?

მე ვფიქრობ, რომ სწორია. ეს დებულება მთლიანად გამომდინარეობს ლენინიზმის განსაზღვრიდან. მართლაც, თუ ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა, ხოლო პროლეტარული რევოლუციის ძირითად შინაარსს პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს, — მაშინ ცხადია, რომ ლენინიზმში მთავარია პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, ამ საკითხის დამუშავება, ამ საკითხის დასაბუთება და კონკრეტიზაცია.

მიუხედავად ამისა, ზინოვიევი, როგორც ჩანს, არ ეთანხმება ამ დებულებას. თავის სტატიაში «ლენინის ხსოვნას» ის ამბობს:

«გლეხობის როლის საკითხი, როგორც უკვე ვთქვი, წარმოადგენს ბოლშევიზმის, ლენინიზმის ძირითად საკითხს» [1].

ზინოვიევის ეს დებულება, როგორც ხედავთ, მთლიანად გამომდინარეობს ლენინიზმის არასწორი განსაზღვრიდან, რომელსაც

---

[1] ნაზვასმა ჩემია. ი. სტ.

იძლევა ზინოვიევი. ამიტომ იგი ისევე არ არის სწორი, როგორც არ არის სწორი მის მიერ ლენინიზმის განსაზღვრა.

სწორია თუ არა ლენინის თეზისი, რომ პროლეტარიატის დიქტატურა წარმოადგენს «პროლეტარული რევოლუციის ძირითად შინაარსს»? (იხ. ტ. XXIII, გვ. 337). უთუოდ სწორია. სწორია თუ არა თეზისი იმის შესახებ, რომ ლენინიზმი არის პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა? მე ვფიქრობ, რომ სწორია. მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან? აქედან ის გამომდინარეობს, რომ ლენინიზმის ძირითად საკითხს, მის გამოსავალ პუნქტს, მის საძირკველს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი.

განა სწორი არ არის, რომ იმპერიალიზმის საკითხი, იმპერიალიზმის განვითარების ნახტომისებური ხასიათის საკითხი, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი, პროლეტარიატის სახელმწიფოს საკითხი, ამ სახელმწიფოს საბჭოთა ფორმის საკითხი, პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში პარტიის როლის საკითხი, სოციალიზმის მშენებლობის გზების საკითხი,—რომ ყველა ეს საკითხი სწორედ ლენინის მიერ არის დამუშავებული? განა სწორი არ არის, რომ სახელდობრ ეს საკითხები შეადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის იდეის საფუძველს, საძირკველს? განა სწორი არ არის, რომ ამ ძირითადი საკითხების დამუშავებლად წარმოუდგენელი იქნებოდა გლეხობის საკითხის დამუშავება პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისით?

თქმა არ უნდა, რომ ლენინი გლეხობის საკითხის მცოდნე იყო. თქმა არ უნდა, რომ გლეხობის საკითხს, როგორც პროლეტარიატის მოკავშირის საკითხს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატისათვის და რომ იგი წარმოადგენს ძირითადი საკითხის — პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის შემადგენელ ნაწილს. მაგრამ განა ცხადი არ არის, ლენინიზმის წინაშე რომ არ მდგარიყო ძირითადი საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მაშინ აღარ იქნებოდა წარმოებული საკითხიც — პროლეტარიატის მოკავშირის საკითხი, გლეხობის საკითხი? განა ცხადი არ არის, ლენინიზმის წინაშე რომ არ მდგარიყო პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის პრაქტიკული საკითხი, მაშინ აღარ იქნებოდა გლეხობასთან კავშირის საკითხიც?

ლენინი არ იქნებოდა უდიდესი პროლეტარული იდეოლოგი, როგორიც ის, უეჭველად, არის, ის იქნებოდა უბრალო «გლეხური ფილოსოფოსი», როგორადაც მას ხშირად სახავენ საზღვარგარეთელი ლიტერატურული ობივატელები, მას რომ გლეხობის საკითხის დამუშავება ეწარმოებინა არა პროლეტარიატის დიქტატურის თეო-

რიისა და ტაქტიკის ბაზაზე, არამედ ამ ბაზისაგან დამოუკიდებლად, ამ ბაზის გარეშე.

ორში ერთი:

ან ლენინიზმში მთავარია გლეხობის საკითხი, და მაშინ ლენინიზმი გამოუსადეგარია, სავალდებულო არ არის კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნებისათვის, იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც გლეხური ქვეყნები არ არიან;

ან ლენინიზმში მთავარია პროლეტარიატის დიქტატურა, და მაშინ ლენინიზმი წარმოადგენს ყველა ქვეყნის პროლეტარების ინტერნაციონალურ მოძღვრებას, რომელიც გამოსადეგი და სავალდებულოა უკლებლივ ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნებისთვისაც.

აქ არჩევანია საჭირო.

III

«პერმანენტული» რევოლუციის საკითხი

ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» «პერმანენტული რევოლუციის თეორია» შეფასებულია, როგორც გლეხობის როლის არასაკმაოდ შეფასების «თეორია». იქ ნათქვამია:

«მაშასადამე, ლენინი ებრძოდა «პერმანენტულ» რევოლუციის მომხრეებს არა განუწყვეტლობის საკითხის გამო, ვინაიდან ლენინი თვითონ იდგა განუწყვეტელი რევოლუციის თვალსაზრისზე, არამედ იმიტომ, რომ ისინი სათანადოდ ვერ აფასებდნენ გლეხობის როლს, რომელიც წარმოადგენს პროლეტარიატის უდიდეს რეზერვს».

რუსი «პერმანენტელების» ეს დახასიათება ბოლო დრომდე საყოველთაოდ მიღებულად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, იგი, თუმცა საერთოდ სწორია, მაგრამ არ შეიძლება ამომწურავად იქნას მიჩნეული. 1924 წლის დისკუსიამ, ერთი მხრით, და ლენინის შრომების ზედმიწევნითმა ანალიზმა, მეორე მხრით, დაგვანახა, რომ რუსი «პერმანენტელების» შეცდომას შეადგენდა არა მარტო გლეხობის როლის შეუფასებლობა, არამედ გლეხობის გაძლოლის საქმეში პროლეტარიატის ძალებისა და უნარის შეუფასებლობაც, პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეისადმი ურწმენობა.

ამიტომ ჩემს ბროშურაში «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა» (1924 წ. დეკემბერი) მე გავაფართოვე ეს დახასიათება და შევცვალე სხვა, უფრო სრული დახასიათებით. აი რა არის ნათქვამი ამ ბროშურაში:

«დღემდე ჩვეულებრივ აღნიშნავდნენ «პერმანენტული რევოლუციის» თეორიის ერთ მხარეს — გლეხთა მოძრაობის რევოლუციურ შესაძლებლობათადმი რწმენის უქონლობას. ახლა სამართლიანობა მოითხოვს ამ მხარეს მივუმატოთ მეორე მხარე — რუსეთის პროლეტარიატის ძალებისა და უნარისადმი რწმენის უქონლობა».

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ლენინიზმი წინააღმდეგი იყო ან წინააღმდეგია პერმანენტული რევოლუციის იდეისა, უბრალოდ, იდეისა, რომელიც მარქსმა წარსული საუკუნის ორმოციან წლებში წამოაყენა. პირიქით. ლენინი იყო ერთადერთი მარქსისტი, რომელმაც სწორად გაიგო და განავითარა პერმანენტული რევოლუციის იდეა. ლენინის განსხვავება «პერმანენტელებისაგან» ამ საკითხში ის არის, რომ «პერმანენტელები» ამახინჯებდნენ მარქსის პერმანენტული რევოლუციის იდეას და გადააქციეს იგი უსიცოცხლო, მწიგნობრულ სიბრძნედ, მაშინ როდესაც ლენინმა ეს იდეა აიღო მისი წმინდა სახით და გახადა ერთ-ერთ საფუძვლად თავისი თეორიისა რევოლუციის შესახებ. უნდა გვახსოვდეს, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის იდეა, რომელიც ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს წამოაყენა, არის მარქსის პერმანენტული რევოლუციის თეორიის განსახიერების ერთ-ერთი ფორმა. აი რას წერდა ამის შესახებ ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს:

«დემოკრატიული რევოლუციიდან ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას, და სწორედ ჩვენი ძალის მიხედვით, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძალის მიხედვით, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. ჩვენ მხარს ვუჭერთ **განუწყვეტელ რევოლუციას**[1]. ჩვენ არ შეეჩერდებით შუა გზაზე... ისე, რომ არ გადავვარდეთ ავანტიურიზმში, არ ვუღალატოთ ჩვენს მეცნიერულ სინდისს, არ გამოვუდგეთ იაფფასიან პოპულარობას, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ და ვამბობთ **მხოლოდ ერთს**: მთელი ჩვენი ძალღონით დავეხმარებით მთელ გლეხობას, რომ მან მოახდინოს დემოკრატიული რევოლუცია, რათა მით უფრო გაგვიადვილდეს ჩვენ, პროლეტარიატის პარტიას, გადასვლა რაც შეიძლება დაჩქარებით ახალ და უმაღლეს ამოცანაზე — სოციალისტურ რევოლუციაზე» (იხ. ტ. VIII, გვ. 186 — 187).

ხოლო აი რას წერს ლენინი ამ თემაზე თექვსმეტი წლის შემდეგ, როდესაც პროლეტარიატმა უკვე დაიპყრო ძალაუფლება:

«კაუცკებმა, ჰილფერდინგებმა, მარტოვებმა, ჩერნოვებმა, ჰილკვიტებმა, ლონგეებმა, მაკდონალდებმა, ტურატებმა და «II 1/2» მარქსიზმის დანარჩენმა გმირებმა ვერ გაიგეს... თანაფარდობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და პროლეტარულ-სოციალისტურ რევოლუციას შორის. **პირველი გადაიზრდება მეორეში**[1]. მეორე,

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

გზადაგზა, წყვეტს პირველის საკითხებს. მეორე განმტკიცებს პირველის საქმეს. ბრძოლა და მხოლოდ ბრძოლა წყვეტს, თუ რამდენად ახერხებს მეორე გასცილდეს პირველს» (იხ. ტ. XXVII, გვ. 26).

მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ პირველ ციტატას, აღებულს ლენინის სტატიიდან «სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი», რომელიც გამოქვეყნდა 1905 წლის 1 სექტემბერს. ამას ხაზს ვუსვამ იმათ საყურადღებოდ, ვინც კვლავ ამტკიცებს, ვითომც ლენინი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის იდეამდე, ესე იგი პერმანენტული რევოლუციის იდეამდე მისულიყოს იმპერიალისტური ომის შემდეგ. ეს ციტატა ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს ადამიანები ღრმად ცდებიან.

IV

პროლეტარული რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა

რაში მდგომარეობს პროლეტარული რევოლუციის დამახასიათებელი ნიშნები ბურჟუაზიული რევოლუციისაგან განსხვავებით?

პროლეტარულ რევოლუციასა და ბურჟუაზიულ რევოლუციას შორის განსხვავება შეიძლება განვსაზღვროთ ხუთი ძირითადი პუნქტით.

1) ბურჟუაზიული რევოლუცია ჩვეულებრივ იწყება მაშინ, როცა უკვე არსებობს კაპიტალისტური წყობის ცოტად თუ ბევრად მზა ფორმები, აღმოცენებული და მომწიფებული ჯერ კიდევ აშკარა რევოლუციამდე ფეოდალური საზოგადოების წიაღში, პროლეტარული რევოლუცია კი იწყება მაშინ, როცა არ არსებობს, ან თითქმის არ არსებობს სოციალისტური წყობის მზა ფორმები.

2) ბურჟუაზიული რევოლუციის ძირითად ამოცანას შეადგენს ძალაუფლების დაპყრობა და მისი შეფარდება არსებულ ბურჟუაზიულ ეკონომიკასთან, პროლეტარული რევოლუციის ძირითად ამოცანას კი შეადგენს ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ახალი, სოციალისტური ეკონომიკის აშენება.

3) ბურჟუაზიული რევოლუცია ჩვეულებრივ **მთავრდება** ძალაუფლების დაპყრობით, პროლეტარული რევოლუციისათვის კი ძალაუფლების დაპყრობა წარმოადგენს მხოლოდ მის **დასაწყისს**, ამასთან ძალაუფლება გამოიყენება როგორც ბერკეტი ძველი ეკონომიკის გარდაქმნისა და ახალი ეკონომიკის ორგანიზაციისათვის.

4) ბურჟუაზიული რევოლუცია სჯერდება იმას, რომ ხელისუფლების სათავეში მდგომ ერთ ექსპლოატატორულ ჯგუფს ცვლის

მეორე ექსპლოატატორული ჯგუფით, რის გამო მას არ სჭირდება ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა, პროლეტარული რევოლუცია კი აძევებს ხელისუფლებიდან ყველა და ყოველგვარ ექსპლოატატორულ ჯგუფს და ხელისუფლების სათავეში აყენებს ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ბელადს, პროლეტარების კლასს, რის გამო მას არ შეუძლია არ დაამსხვრიოს ძველი სახელმწიფო მანქანა და არ შეცვალოს იგი ახლით.

5) ბურჟუაზიულ რევოლუციას არ შეუძლია რამდენადმე ხანგრძლივი პერიოდით შეამჭიდროოს ბურჟუაზიის გარშემო მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მილიონიანი მასები სწორედ იმიტომ, რომ ისინი მშრომელები და ექსპლოატირებულები არიან, პროლეტარულ რევოლუციას კი შეუძლია გააერთიანოს და კიდევაც უნდა გააერთიანოს ისინი პროლეტარიატთან ხანგრძლივ კავშირში სწორედ როგორც მშრომელნი და ექსპლოატირებულნი, თუ სურს შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა — პროლეტარიატის ძალაუფლების განმტკიცებისა და ახალი, სოციალისტური ეკონომიკის აშენების ამოცანა.

აი ლენინის ზოგიერთი ძირითადი დებულება ამის შესახებ:

«ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციას შორის, — ამბობს ლენინი, — იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზიული რევოლუციისათვის, რომელიც ფეოდალიზმიდან წარმოიშობა, ძველი წყობილების წიაღში თანდათან იქმნებიან ახალი ეკონომიური ორგანიზაციები, რომლებიც თანდათანობით ცვლიან ფეოდალური საზოგადოების ყველა მხარეს. ბურჟუაზიული რევოლუციის წინაშე მხოლოდ ერთი ამოცანა იყო — წინანდელი საზოგადოების ყველა ბორკილის დამსხვრევა, უკუგდება, განადგურება. ამ ამოცანის შესრულებით ყოველი ბურჟუაზიული რევოლუცია ასრულებს ყველაფერს, რაც მას მოეთხოვება: იგი აძლიერებს კაპიტალიზმის ზრდას.

სულ სხვა მდგომარეობაშია სოციალისტური რევოლუცია. რაც უფრო ჩამორჩენილია ქვეყანა, რომელსაც, ისტორიის ზიგზაგების გამო, მოუხდა სოციალისტური რევოლუციის დაწყება, მით უფრო ძნელია მისთვის ძველი კაპიტალისტური ურთიერთობიდან სოციალისტურ ურთიერთობაზე გადასვლა. აქ დანგრევის ამოცანებს ემატება ახალი, გაუგონარი სიძნელის ამოცანები — ორგანიზაციული ამოცანები» (იხ. ტ. XXII, გვ. 315).

«რუსეთის რევოლუციის ხალხურ შემოქმედებას, — განაგრძობს ლენინი, — რომელმაც გაიარა 1905 წლის დიადი გამოცდილება, ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვალში რომ არ შეექმნა საბჭოები, ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდნენ ძალაუფლების აღებას ოქტომბერში, ეინაიდან წარმატება დამოკიდებული იყო მხოლოდ მოძრაობის უკვე მზა ორგანიზაციული ფორმების არსებობაზე, მოძრაობისა, რომელიც მილიონებს მოედო. ასეთი მზა ფორმა საბჭოები აღმოჩნდნენ, და ამიტომ პოლიტიკურ დარგში ჩვენ გველოდა ის ბრწყინვალე წარმატებანი, ის განუწყვეტელი ტრიუმფალური მსვლელობა, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, ვინაიდან პოლიტიკური ძალაუფლების ახალი ფორმა მზად იყო, და ჩვენ მხოლოდ დაგერჩე-

ნოდა რამდენიმე დეკრეტით გადაგვექცია საბჭოების ძალაუფლება იმ ემბრიონალური მდგომარეობიდან, რომელშიც ის იმყოფებოდა რევოლუციის პირველ თვეებში, კანონიერად აღიარებულ, რუსეთის სახელმწიფოში დამკვიდრებულ ფორმად — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკად» (იხ. ტ. XXII, გვ. 315).

«რჩებოდა კიდევ, — ამბობს ლენინი, — ორი, გიგანტური სიძნელის ამოცანა, რომელთა გადაჭრაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის ტრიუმფალური მსვლელობა, როგორითაც მიდიოდა ჩვენი რევოლუცია პირველ თვეებში» (იხ. იქვე, გვ. 315).

«ჯერ-ერთი, ეს იყო შინაგანი ორგანიზაციის ამოცანები, რომელნიც ყოველი სოციალისტური რევოლუციის წინაშე დგანან. სოციალისტური რევოლუციის განსხვავება ბურჟუაზიულისაგან სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მეორე შემთხვევაში არის კაპიტალისტური ურთიერთობის მზა ფორმები, ხოლო საბჭოთა — პროლეტარული — ხელისუფლება ამ მზა ურთიერთობას არ იღებს, თუ არ ვიგულისხმებთ კაპიტალიზმის ყველაზე განვითარებულ ფორმებს, რომელნიც, არსებითად, მოიცავენ მრეწველობის მხოლოდ მცირე ზედა ნაწილს და ჯერ კიდევ სულ ოდნავ შეეხნენ მიწათმოქმედებას. აღრიცხვის ორგანიზაცია, კონტროლი უდიდესი საწარმოებისადმი, მთელი სახელმწიფო ეკონომიური მექანიზმის გადაქცევა ერთიან დიდ მანქანად, სამეურნეო ორგანიზმად, რომელიც ისე იმუშავებს, რომ ასეული მილიონი ადამიანი ხელმძღვანელობდეს ერთი გეგმით, — აი ის გიგანტური ორგანიზაციული ამოცანა, რომელიც ჩვენ მხრებზე დაგვაწვა. შრომის ახლანდელი პირობების მიხედვით იგი არავითარ შემთხვევაში არ იწყნარებდა «ჯიქურად» გადაჭრას, მსგავსად იმისა, როგორც ვახერხებდით სამოქალაქო ომის ამოცანათა გადაჭრას» (იხ. იქვე, გვ. 316).

«მეორე გიგანტური სიძნელე... საერთაშორისო საკითხია. თუ ჩვენ ასე ადვილად გავუსწორდით კერენსკის ბანდებს, თუ ასე ადვილად შევქმენით ჩვენში ხელისუფლება, თუ ჩვენ სულ ოოლად მივიღეთ დეკრეტი მიწის სოციალიზაციის, მუშათა კონტროლის შესახებ, — თუ ჩვენ ყოველივე ეს ასე ადვილად მივიღეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენდა საბედნიეროდ შექმნილმა პირობებმა მოკლე ხნით დაგვიფარეს საერთაშორისო იმპერიალიზმისაგან. საერთაშორისო იმპერიალიზმს. მისი კაპიტალის მთელი ძლიერებით, მისი უაღრესად ორგანიზებული სამხედრო ტექნიკით, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო კაპიტალის ნამდვილ ძალას. ნამდვილ სიმაგრეს, არავითარ შემთხვევაში, არავითარ პირობებში არ შეეძლო შერიგებოდა საბჭოთა რესპუბლიკას, არც თავისი ობიექტური მდგომარეობით და არც იმ კაპიტალისტური კლასის ეკონომიური ინტერესების მიხედვით, რომელიც მასში იყო განსახიერებული, — არ შეეძლო სავაჭრო კავშირის, საერთაშორისო საფინანსო ურთიერთობის გამო. აქ კონფლიქტი გარდუვალია. აქ არის რუსეთის რევოლუციის უდიდესი სიძნელე, მისი უდიდესი ისტორიული პრობლემა: საერთაშორისო ამოცანების გადაჭრის აუცილებლობა, საერთაშორისო რევოლუციის გამოწვევის აუცილებლობა» (იხ. ტ. XXII, გვ. 317).

ასეთია პროლეტარული რევოლუციის შინაგანი ხასიათი და მისი დედააზრი.

განა შეიძლება ძველი, ბურჟუაზიული წესების ასე ძირფესვიანად გარდაქმნა ძალდატანებითი რევოლუციის გარეშე, პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე?

ცხადია, არ შეიძლება. ფიქრი, რომ ასეთი რევოლუციის მოხდენა შესაძლებელია მშვიდობიანად, ბურჟუაზიის ბატონობასთან შეგუებული ბურჟუაზიული დემოკრატიის ჩარჩოებში, — ნიშნავს ან ჭკუაზე შეშლას და ნორმალური ადამიანური ცნებების დაკარგვას, ან პროლეტარულ რევოლუციაზე უხეშად და აშკარად უარის თქმას.

ამ დებულებას ხაზი უნდა გაესვას მით უფრო ძლიერად და მით უფრო მეტი კატეგორიულობით, რომ ჩვენ საქმე გვაქვს პროლეტარულ რევოლუციასთან, რომელმაც ჯერჯერობით გაიმარჯვა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმულია მტრული კაპიტალისტური ქვეყნებით და რომლის ბურჟუაზიასაც არ შეიძლება არ დაეხმაროს საერთაშორისო კაპიტალი.

აი რატომ ამბობს ლენინი, რომ:

«დაჩაგრული კლასის განთავისუფლება შეუძლებელია არა მარტო ძალდატანებითი რევოლუციის გარეშე, **არამედ** სახელმწიფო ძალაუფლების იმ აპარატის **მოხპობის გარეშეც**, რომელიც შექმნილია გაბატონებული კლასის მიერ» (იხ. ტ. XXI, გვ. 373).

««დაე ჯერ, კერძო საკუთრების შენარჩუნების, ე. ი. კაპიტალის ძალაუფლებისა და მისგან ჩაგვრის შენარჩუნების, პირობებში მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭიროს პროლეტარიატის პარტიას, — მხოლოდ მაშინ შეუძლია მას აიღოს ძალაუფლება და კიდეც უნდა აიღოს», — ასე ამბობენ **წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, ბურჟუაზიის ფაქტიური მხახურნი, რომელნიც თავის თავს «სოციალისტებს» უწოდებენ»** [1] (იხ. ტ. XXIV, გვ. 647).

««დაე ჯერ რევოლუციურმა პროლეტარიატმა დაამხოს ბურჟუაზია, მოსპოს კაპიტალის უღელი, დაამსხვრიოს ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი, — მაშინ შესძლებს გამარჯვებული პროლეტარიატი მშრომელი არაპროლეტარული მასების უმრავლესობის თანაგრძნობისა და დახმარების სწრაფად მოპოვებას, დაკმაყოფილებს რა მათ ექსპლოატატორთა ხარჯზე», — ვამბობთ ჩვენ» [1] (იხ. იქვე).

«მოსახლეობის უმრავლესობა რომ მიიმხროს, — განაგრძობს ლენინი, — ამისათვის პროლეტარიატმა, ჯერ-ერთი, უნდა დაამხოს ბურჟუაზია და ხელში ჩაიგდოს სახელმწიფო ძალაუფლება; მეორეც, მან უნდა დაამყაროს საბჭოთა ხელისუფლება, ნამსხვრევებად უნდა აქციოს ძველი სახელმწიფო აპარატი, რითაც იგი ერთბაშად ძირს უთხრის არაპროლეტარულ მშრომელ მასებში ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიულ შემთანხმებელთა ბატონობას, ავტორიტეტსა და გავლენას. მესამეც, მან **საბოლოოდ** უნდა **მოსპოს** ბურჟუაზიისა და წვრილბურჟუაზიულ შემთანხმებელთა გავლენა არაპროლეტარული მშრომელი მასების **უმრავლესობაში მათი** ეკონომიური საჭიროების **რევოლუციური** დაკმაყოფილებით **ექსპლოატატორთა ხარჯზე»** (იხ. იქვე, გვ. 641).

ასეთია პროლეტარული რევოლუციის დამახასიათებელი ნიშნები.

როგორია, ამასთან დაკავშირებით, პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ნიშნები, თუ აღიარებულია, რომ პროლეტარიატის

---

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

დიქტატურა პროლეტარული რევოლუციის ძირითად შინაარსს წარმოადგენს?

აი პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე ზოგადი განმარტება, რომელიც ლენინმა მოგვცა:

«პროლეტარიატის დიქტატურა კლასობრივი ბრძოლის დასრულება როდია, არამედ მისი გაგრძელებაა ახალ ფორმებში. პროლეტარიატის დიქტატურა არის გამარჯვებული და პოლიტიკური ძალაუფლების სათავეში მოქცეული პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც დამარცხებულია, მაგრამ მოსპობილი, გამქრალი არ არის, რომელმაც არა თუ არ შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა, არამედ უფრო გააძლიერა იგი» (იხ. ტ. XXIV, გვ. 311).

ილაშქრებს რა პროლეტარიატის დიქტატურისა და «საერთო-სახალხო», «საერთო-არჩევითი» ხელისუფლების, «არაკლასობრივი» ხელისუფლების ერთმანეთში არევის წინააღმდეგ, ლენინი ამბობს:

«იმ კლასმა, რომელმაც თავის ხელში აიღო პოლიტიკური ბატონობა, აიღო ის იმის შეგნებით, რომ მას მარტო[1] იგი იღებს. ეს შედის პროლეტარიატის დიქტატურის ცნებაში. ამ ცნებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ერთმა კლასმა იცის, რომ იგი მარტო იღებს თავის ხელში პოლიტიკურ ძალაუფლებას და არ ატყუებს არც თავის თავს და არც სხვებს ლათაიებით «საერთო-სახალხო, საერთო-არჩევითი, მთელი ხალხის მიერ ნაკურთხი» ხელისუფლების შესახებ» (იხ. ტ. XXVI, გვ. 286).

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ერთი კლასის, პროლეტართა კლასის ძალაუფლებას, რომელსაც იგი არ უნაწილებს და ვერც გაუნაწილებს სხვა კლასებს, არ ესაჭიროება თავისი მიზნების განსახორციელებლად სხვა კლასთა მშრომელი და ექსპლოატირებული მასების დახმარება, კავშირი. პირიქით. ეს ძალაუფლება, ერთი კლასის ძალაუფლება, შეიძლება განმტკიცდეს და ბოლომდე გატარდეს პროლეტართა კლასსა და წვრილბურჟუაზიული კლასების მშრომელ მასებს, უწინარეს ყოვლისა, გლეხობის მშრომელ მასებს შორის კავშირის მხოლოდ განსაკუთრებული ფორმის გზით.

კავშირის რა განსაკუთრებული ფორმაა ეს, რაში მდგომარეობს იგი? ეს კავშირი სხვა, არაპროლეტარული კლასების მშრომელ მასებთან საერთოდ ხომ არ ეწინააღმდეგება ერთი კლასის დიქტატურის იდეას?

იგი, კავშირის ეს განსაკუთრებული ფორმა, იმაში მდგომარეობს, რომ ამ კავშირის ხელმძღვანელ ძალას პროლეტარიატი წარმოადგენს. იგი, კავშირის ეს განსაკუთრებული ფორმა, იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელს, ხელმძღვანელს პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში წარმოადგენს **ერთი** პარტია,

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

პროლეტარიატის პარტია, კომუნისტების პარტია, რომელიც არ უნაწილებს და ვერც გაუნაწილებს ხელმძღვანელობას სხვა პარტიებს.

როგორც ხედავთ, წინააღმდეგობა აქ მხოლოდ გარეგნული, მოჩვენებითია.

«პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს ლენინი, — არის განსაკუთრებული ფორმა კლასობრივი კავშირისა[1] პროლეტარიატსა — მშრომელთა ავანგარდსა — და მშრომელთა მრავალრიცხოვან არაპროლეტარულ ფენებს (წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეპატრონენი, გლეხობა, ინტელიგენცია და სხვ.), ან მათს უმრავლესობას შორის, კავშირისა კაპიტალის წინააღმდეგ, კავშირისა კაპიტალის სრული დამხობის, ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა და მის მხრივ რესტავრაციის ცდების სრული დათრგუნვის მიზნით, კავშირისა სოციალიზმის საბოლოოდ შექმნის და განმტკიცების მიზნით. ეს განსაკუთრებული სახის კავშირია, რომელიც იქმნება განსაკუთრებულ ვითარებაში, სახელდობრ, გააფთრებული სამოქალაქო ომის ვითარებაში. ეს არის სოციალიზმის მტკიცე მომხრეების კავშირი მის მერყეე მოკავშირეებთან, ზოგჯერ «ნეიტრალურ» მოკავშირეებთან (მაშინ შეთანხმებიდან ბრძოლის შესახებ კავშირი ხდება შეთანხმებად ნეიტრალიტეტის შესახებ), ეს არის კავშირი ეკონომიურად, პოლიტიკურად, სოციალურად, სულიერად სხვადასხვაგვარ კლასებს შორის»[1] (იხ. ტ. XXIV, გვ. 311).

ერთ-ერთ თავის საინსტრუქციო მოხსენებაში კამენევი, ილაშქრებს რა პროლეტარიატის დიქტატურის ასეთი გაგების წინააღმდეგ, ამბობს:

«დიქტატურა არ არის[1] ერთი კლასის კავშირი მეორესთან».

მე ვფიქრობ, რომ აქ კამენევს მხედველობაში აქვს უწინარეს ყოვლისა, ერთი ადგილი ჩემი ბროშურიდან «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა», სადაც ნათქვამია:

«პროლეტარიატის დიქტატურა არ არის უბრალო მმართველი ზედაფენა, «გამოცდილი სტრატეგის» მზრუნველი ხელით «მოხერხებულად» «შერჩეული» და მოსახლეობის ამა თუ იმ ფენაზე «ვონივრულად დაყრდნობილი». პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელი მასების კლასობრივი კავშირი კაპიტალის დასამხობად, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მისაღწევად, იმ პირობით, რომ ამ კავშირის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს პროლეტარიატი».

მე სავსებით ვუჭერ მხარს პროლეტარიატის დიქტატურის ასეთ ფორმულირებას, ვინაიდან ვფიქრობ, რომ იგი მთლიანად და სავსებით ეთანხმება ლენინის ზემომოყვანილ ფორმულირებას.

---

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

მე ვამტკიცებ, რომ კამენევის ასეთი კატეგორიული ფორმით მოცემულ განცხადებას იმის შესახებ, რომ «დიქტატურა არ არის ერთი კლასის კავშირი მეორესთან», არაფერი აქვს საერთო პროლეტარიატის დიქტატურის ლენინურ თეორიასთან.

მე ვამტკიცებ, რომ ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც ვერ გაუგიათ კავშირის იდეის, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის იდეის აზრი, ამ კავშირში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეის აზრი.

ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც ვერ გაუგიათ ლენინის თეზისი იმის შესახებ, რომ:

«მხოლოდ გლეხობასთან შეთანხმებას[1] შეუძლია იხსნას სოციალისტური რევოლუცია რუსეთში, სანამ რევოლუცია სხვა ქვეყნებში არ დაწყებულა» (იხ. ტ. XXVI, გვ. 238).

ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც ვერ გაუგიათ ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ:

«დიქტატურის უმაღლესი პრინციპი[1] არის გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის შენარჩუნება, რათა პროლეტარიატმა შესძლოს ხელმძღვანელი როლისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება» (იხ. იქვე, გვ. 460).

ლენინი, აღნიშნავს რა დიქტატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს, ექსპლოატატორთა დათრგუნვის მიზანს, ამბობს:

«დიქტატურის მეცნიერული ცნება სხვას არას ნიშნავს, თუ არა ისეთ ხელისუფლებას, რომელიც არ არის შეზღუდული არაფრით, არავითარი კანონით, აბსოლუტურად არავითარი წესით, და უშუალოდ ემყარება ძალადატანებას» (იხ. ტ. XXV, გვ. 441).

«დიქტატურა ნიშნავს — მიიღეთ ეს ცნობად ერთხელ და სამუდამოდ, ბატონო-კადეტებო, — ძალაზე და არა კანონზე დამყარებულ შეუზღუდველ ძალაუფლებას. სამოქალაქო ომის დროს ყოველი გამარჯვებული ძალაუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ დიქტატურა» (იხ. ტ. XXV, გვ. 436).

მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება ძალადატანებით, თუმცა დიქტატურა ძალადატანების გარეშე შეუძლებელია.

«დიქტატურა, — ამბობს ლენინი, — ნიშნავს არა მარტო ძალადატანებას, თუმცა ძალადატანების გარეშე იგი შეუძლებელია, იგი ნიშნავს აგრეთვე შრომის უფრო მაღალ ორგანიზაციას, ვიდრე წინათ იყო» (იხ. ტ. XXIV, გვ. 305).

«პროლეტარიატის დიქტატურა... არ არის მხოლოდ ძალადატანება ექსპლოატატორების მიმართ და არც უმთავრესად ძალადატანებაა. ამ რევოლუციური ძალადატა-

---

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. ხტ.

ნების ეკონომიურ საფუძველს, მისი სიცოცხლისუნარიანობისა და წარმატების საწინდარს წარმოადგენს ის, რომ პროლეტარიატი განასახიერებს და ახორციელებს შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის უფრო მაღალ ტიპს, კაპიტალიზმთან შედარებით. ამაშია დედაარსი. ამაშია კომუნიზმის ძლიერების წყარო და მისი აუცილებელი სრული გამარჯვების საწინდარი» (იხ. ტ. XXIV, გვ. 335—336).

«მისი (ე. ი. დიქტატურის. ი. სტ.) მთავარი დედაარსი მდგომარეობს მშრომელთა მოწინავე რაზმის, მისი ავანგარდის, მისი ერთადერთი ხელმძღვანელის — პროლეტარიატის ორგანიზებულობასა და დისციპლინიანობაში. მისი მიზანია სოციალიზმის შექმნა, საზოგადოების კლასებად დაყოფის მოსპობა, საზოგადოების ყველა წევრის მშრომელად გადაქცევა, ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციისათვის ნიადაგის გამოცლა. ამ მიზნის ერთბაშად განხორციელება შეუძლებელია, იგი მოითხოვს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე საკმაოდ ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდს, — იმიტომაც, რომ წარმოების გარდაქმნა ძნელი საქმეა, იმიტომაც, რომ ცხოვრების ყველა დარგში ძირეულ ცვლილებათა მოსახდენად საჭიროა დრო, იმიტომაც, რომ წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული სამეურნეო საქმიანობისადმი შეჩვევის უდიდესი ძალის დაძლევა შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი, მედგარი ბრძოლით. ამიტომაც ლაპარაკობს მარქსი პროლეტარიატის დიქტატურის მთელი პერიოდის, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდის, შესახებ» (იხ. იქვე, გვ. 314).

ასეთია პროლეტარიატის დიქტატურის დამახასიათებელი ნიშნები.

აქედან წარმოსდგება პროლეტარიატის დიქტატურის სამი ძირითადი მხარე.

1) პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება ექსპლოატატორთა დათრგუნვისათვის, ქვეყნის თავდაცვისათვის, სხვა ქვეყნების პროლეტარებთან კავშირის განმტკიცებისათვის, ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარებისა და გამარჯვებისათვის.

2) პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება მშრომელი და ექსპლოატირებული მასების საბოლოო ჩამოშორებისათვის ბურჟუაზიისაგან, ამ მასებთან პროლეტარიატის კავშირის განმტკიცებისათვის, სოციალისტური მშენებლობის საქმეში ამ მასების ჩაბმისათვის, პროლეტარიატის მხრივ ამ მასების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობისათვის.

3) პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება სოციალიზმის ორგანიზაციისათვის, კლასების მოსპობისათვის, უკლასო საზოგადოებაში, სოციალისტურ საზოგადოებაში გადასვლისათვის.

პროლეტარული დიქტატურა სამივე ამ მხარის შეერთებაა. არც ერთი ეს მხარე არ შეიძლება წამოყენებულ იქნას როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ერთადერთი დამახასიათებელი ნიშანი, და, პირიქით, საკმარისია ამ ნიშანთაგან თუნდაც ერთი დააკლდეს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა უკვე აღარ იყოს დიქტატურა კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში. ამიტომ ამ სამი მხარი-

დან არც ერთის გამორიცხვა არ შეიძლება, თუ არ გვინდა დავამახინჯოთ პროლეტარიატის დიქტატურის ცნება. მხოლოდ სამივე ეს მხარე, ერთად აღებული, გვაძლევს პროლეტარიატის დიქტატურის სრულ და დამთავრებულ ცნებას.

პროლეტარიატის დიქტატურას აქვს თავისი პერიოდები, თავისი განსაკუთრებული ფორმები, მუშაობის სხვადასხვაგვარი მეთოდები. სამოქალაქო ომის პერიოდში განსაკუთრებით შესამჩნევია დიქტატურის ძალდატანებითი მხარე. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ სამოქალაქო ომის პერიოდში არავითარი აღმშენებლობითი მუშაობა არ წარმოებს. აღმშენებლობითი მუშაობის გარეშე სამოქალაქო ომის წარმოება შეუძლებელია. სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში კი, პირიქით, განსაკუთრებით შესამჩნევია დიქტატურის მშვიდობიანი, ორგანიზატორული, კულტურული მუშაობა, რევოლუციური კანონიერება და სხვ.. მაგრამ აქედანაც სრულიად არ გამომდინარეობს, რომ დიქტატურის ძალდატანებითი მხარე მოიხსნა ან შეიძლება მოიხსნას მშენებლობის პერიოდში. დათრგუნვის ორგანოები, არმია და სხვა ორგანიზაციები, ისევე აუცილებელია ახლა, მშენებლობის მომენტში, როგორც სამოქალაქო ომის პერიოდში. ამ ორგანოების არსებობის გარეშე შეუძლებელია დიქტატურის ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი აღმშენებლობითი მუშაობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რევოლუციამ ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ქვეყანაში გაიმარჯვა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ, სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იქნება ინტერვენციის საფრთხეც, ამ საფრთხიდან გამომდინარე ყველა შედეგით.

V

პარტია და მუშათა კლასი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში

ზემოთ მე ვლაპარაკობდი პროლეტარიატის დიქტატურაზე მისი ისტორიული აუცილებლობის თვალსაზრისით, მისი კლასობრივი შინაარსის თვალსაზრისით, მისი სახელმწიფოებრივი ბუნების თვალსაზრისით, ბოლოს, მისი იმ ნგრევითი და შემოქმედებითი ამოცანების თვალსაზრისით, რომლებსაც იგი ასრულებს მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, რასაც ეწოდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდი.

ახლა უნდა ვილაპარაკოთ პროლეტარიატის დიქტატურაზე მისი აგებულების თვალსაზრისით, მისი «მექანიზმის» თვალსაზრისით, იმ «ამძრავი ღვედების», «ბერკეტებისა» და «წარმმართავი ძალის»

როლისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით, რომელთა ერთობლიობა შეადგენს «პროლეტარიატის დიქტატურის სისტემას» (ლენინი) და რომელთა დახმარებითაც ხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურის ყოველდღიური მუშაობა.

ეს რა «ამძრავი ღვედები» და «ბერკეტებია» პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში? ეს რა «წარმმართავი ძალაა»? რისთვის გახდნენ ისინი საჭირო?

ბერკეტები ან ამძრავი ღვედები პროლეტარიატის ის მასობრივი ორგანიზაციები არიან, რომელთა დაუხმარებლადაც შეუძლებელია დიქტატურის განხორციელება.

წარმმართავი ძალა პროლეტარიატის მოწინავე რაზმია, მისი ავანგარდია, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს.

ეს ამძრავი ღვედები, ბერკეტები და წარმმართავი ძალა პროლეტარიატს ესაჭიროება იმიტომ, რომ უიმათოდ იგი გამარჯვებისათვის ბრძოლაში დაემსგავსებოდა უიარაღო არმიას ორგანიზებული და შეიარაღებული კაპიტალის წინაშე. ეს ორგანიზაციები პროლეტარიატს ესაჭიროება იმიტომ, რომ უიმათოდ იგი აუცილებლად დამარცხდებოდა ბურჟუაზიის დამხობისათვის ბრძოლაში, თავისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში. ამ ორგანიზაციების სისტემატური დახმარება და ავანგარდის წარმმართავი ძალა საჭიროა იმიტომ, რომ ამ პირობების გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის რამდენადმე ხანგრძლივი და მტკიცე დიქტატურა.

რა ორგანიზაციებია ეს?

ეს არის, ჯერ-ერთი, მუშათა **პროფკავშირები**, თავიანთი განშტოებებით ცენტრში და ადგილებზე მთელი რიგი საწარმოო, კულტურული, აღმზრდელობითი და სხვა ორგანიზაციების სახით. ისინი აერთიანებენ ყველა პროფესიის მუშებს. ეს არაპარტიული ორგანიზაციაა. პროფკავშირებს შეიძლება ეწოდოს ჩვენში გაბატონებული მუშათა კლასის საყოველთაო ორგანიზაცია. ისინი წარმოადგენენ კომუნიზმის სკოლას. ისინი თავისი წრიდან გამოყოფენ საუკეთესო ადამიანებს ხელმძღვანელი მუშაობისათვის მართვა-გამგეობის ყველა დარგში. ისინი ახორციელებენ კავშირს მოწინავეებსა და ჩამორჩენილებს შორის მუშათა კლასის შემადგენლობაში. ისინი აკავშირებენ მუშათა მასებს მუშათა კლასის ავანგარდთან.

მეორეც, ეს არის **საბჭოები**, თავიანთი მრავალრიცხოვანი განშტოებებით ცენტრში და ადგილებზე ადმინისტრაციული, სამეურ-

ნეო, სამხედრო, კულტურული და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების სახით, პლუს მშრომელთა ურიცხვი მასობრივი ნებაყოფლობითი გაერთიანებანი, რომელნიც გარს არტყიან ამ ორგანიზაციებს და აკავშირებენ მათ მოსახლეობასთან. საბჭოები ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციაა. ეს არაპარტიული ორგანიზაციაა. საბჭოები პროლეტარიატის დიქტატურის პირდაპირი გამოხატულებაა. საბჭოების მეშვეობით ტარდება დიქტატურის განმტკიცებისა და სოციალიზმის მშენებლობის ყველა და ყოველგვარი ღონისძიება. საბჭოების მეშვეობით ხორციელდება პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა გლეხობის მიმართ. საბჭოები აკავშირებენ მშრომელთა მილიონნიან მასებს პროლეტარიატის ავანგარდთან.

მესამეც, ეს არის ყველა სახის **კოოპერაცია** მთელი თავისი განშტოებებით. ეს არის მშრომელთა მასობრივი ორგანიზაცია, ორგანიზაცია არაპარტიული, რომელიც აერთიანებს მათ, უწინარეს ყოვლისა, როგორც მომხმარებლებს, და აგრეთვე, დროთა მსვლელობაში, როგორც მწარმოებლებსაც (სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია). მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ, ფართო მშენებლობის პერიოდში. იგი აადვილებს პროლეტარიატის ავანგარდის კავშირს გლეხობის მასებთან და ქმნის სოციალისტური მშენებლობის ფერხულში უკანასკნელთა ჩაბმის შესაძლებლობას.

მეოთხეც, ეს არის **ახალგაზრდობის კავშირი**. ეს არის მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მასობრივი ორგანიზაცია, ორგანიზაცია არაპარტიული, მაგრამ პარტიასთან შეკავშირებული. მისი ამოცანაა დაეხმაროს პარტიას სოციალიზმის სულისკვეთებით ახალი თაობის აღზრდის საქმეში. იგი იძლევა ახალგაზრდა რეზერვებს პროლეტარიატის ყველა დანარჩენი მასობრივი ორგანიზაციისათვის მართვა-გამგეობის ყველა დარგში. ახალგაზრდობის კავშირმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ, პროლეტარიატის ფართო კულტურული და აღმშრდელობითი მუშაობის პერიოდში.

ეს არის, ბოლოს, პროლეტარიატის **პარტია**, მისი ავანგარდი. პარტიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავის რიგებში იკრებს პროლეტარიატის ყველა საუკეთესო ადამიანს ყველა მისი მასობრივი ორგანიზაციიდან. მისი დანიშნულება ისაა, რომ **გააერთიანოს** პროლეტარიატის უკლებლივ ყველა მასობრივი ორგანიზაციის მუშაობა და **წარმართოს** მათი მოქმედება ერთი მიზნისაკენ, პროლეტარიატის განთავისუფლების მიზნისაკენ. ხოლო მათი გაერთიანე-

ბა და ერთი მიზნის ხაზით წარმართვა აბსოლუტურად აუცილებელია, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია პროლეტარიატის ბრძოლის ერთიანობა, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია პროლეტარული მასების ხელმძღვანელობა მათს ბრძოლაში ძალაუფლებისათვის, მათს ბრძოლაში სოციალიზმის მშენებლობისათვის. მაგრამ პროლეტარიატის მასობრივ ორგანიზაციათა მუშაობის გაერთიანება და წარმართვა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატის ავანგარდს, მის პარტიას. მხოლოდ პროლეტარიატის პარტიას, მხოლოდ კომუნისტების პარტიას შესწევს უნარი შეასრულოს ეს როლი ძირითადი ხელმძღვანელისა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში.

რატომ?

«ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ პარტია არის მუშათა კლასის იმ საუკეთესო ელემენტების შესაკრები პუნქტი, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ პროლეტარიატის უპარტიო ორგანიზაციებთან და რომელნიც ძალიან ხშირად ხელმძღვანელობას უწევენ მათ; მეორეც, იმიტომ, რომ პარტია, როგორც მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანების შესაკრები პუნქტი, არის საუკეთესო სკოლა მუშათა კლასის ისეთი ლიდერების მოსამზადებლად, რომლებიც შესძლებენ ხელმძღვანელობა გაუწიონ თავიანთი კლასის ორგანიზაციის ყველა ფორმას; მესამეც, იმიტომ, რომ პარტია, როგორც მუშათა კლასის ლიდერების საუკეთესო სკოლა, თავისი გამოცდილებით და ავტორიტეტით არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია პროლეტარიატის ბრძოლის ხელმძღვანელობის ცენტრალიზება და, ამრიგად, მუშათა კლასის ყველა და ყოველგვარი უპარტიო ორგანიზაციის გადაქცევა მომსახურე ორგანოებად და ამძრავ ღვედებად, რომლებიც აკავშირებენ მას კლასთან» (იხ. «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ»).

პარტია არის ძირითადი ხელმძღვანელი ძალა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში.

«პარტია არის პროლეტარიატის კლასობრივი გაერთიანების უმაღლესი ფორმა» (ლენინი).

ამრიგად: **პროფკავშირები**, როგორც პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც პარტიას აკავშირებს კლასთან, უწინარეს ყოვლისა საწარმოო ხაზით; **საბჭოები**, როგორც მშრომელთა მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც აკავშირებს პარტიას ამ მშრომელებთან, უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოებრივი ხაზით; **კოოპერაცია**, როგორც მასობრივი ორგანიზაცია, უმთავრესად გლეხობის ორგანიზაცია, რომელიც პარტიას აკავშირებს გლეხთა მასებთან, უწინარეს ყოვლისა სამეურნეო ხაზით, სოციალისტურ მშენებლობაში გლეხობის ჩაბმის ხაზით; **ახალგაზრდობის კავშირი**, როგორც მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია გაუადვილოს პროლეტარიატის ავან-

გარდს ახალი თაობის სოციალისტურად აღზრდა და ახალგაზრდა რეზერვების გამომუშავება; და, ბოლოს, პარტია, როგორც ძირითადი წარმმართავი ძალა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს ყველა ამ მასობრივ ორგანიზაციას, — ასეთია ზოგადად დიქტატურის «მექანიზმის» სურათი, «პროლეტარიატის დიქტატურის სისტემის» სურათი.

პარტიის, როგორც ძირითადი ხელმძღვანელი ძალის, გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი და მტკიცე დიქტატურა.

ამრიგად, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, «გამოდის, საერთოდ და მთლიანად, ფორმალურად არა კომუნისტური, მოქნილი და შედარებით ფართო, მეტად მძლავრი, პროლეტარული, აპარატი, რომლის საშუალებითაც პარტია მჭიდროდ არის დაკავშირებული კლასთან და მასასთან და რომლის საშუალებითაც, პარტიის ხელმძღვანელობით, ხორციელდება კლასის დიქტატურა» (იხ. ტ. XXV, გვ. 192).

ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ისე გავიგოთ, რომ პარტიას შეუძლია ან ვალდებულია შეცვალოს პროფკავშირები, საბჭოები და სხვა მასობრივი ორგანიზაციები. პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას. მაგრამ იგი ახორციელებს მას არა უშუალოდ, არამედ პროფკავშირების დახმარებით, საბჭოებისა და მათი განშტოებების მეშვეობით. ამ «ამძრავი ღვედების» გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ცოტად თუ ბევრად მტკიცე დიქტატურა.

«შეუძლებელია, — ამბობს ლენინი, — დიქტატურის განხორციელება, თუ არ იქნა რამდენიმე «ამძრავი ღვედი» ავანგარდიდან მოწინავე კლასის მასისაკენ, მისგან მშრომელთა მასისაკენ» (იხ. ტ. XXVI, გვ. 65).

«პარტია, ასე ვთქვათ, იკრებს თავის რიგებში პროლეტარიატის ავანგარდს, და ეს ავანგარდი ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას. და თუ არ იქნა ისეთი საძირკველი, როგორიც არიან პროფკავშირები, შეუძლებელია დიქტატურის განხორციელება, შეუძლებელია სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება. მათი განხორციელება კი გვიხდება ისევ და ისევ რაღაც ახალი ტიპის მთელი რიგი განსაკუთრებული დაწესებულებების მეშვეობით [1], სახელდობრ: საბჭოთა აპარატის მეშვეობით» [1] (იხ. ტ. XXVI, გვ. 64).

პარტიის ხელმძღვანელი როლის უმაღლეს გამოხატულებად, მაგალითად, ჩვენში, საბჭოთა კავშირში, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, ის ფაქტი უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენი საბჭოთა და სხვა მასობრივი ორგანიზაციები არ წყვეტენ არც ერთ მნიშვნე-

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. ხტ.

ლოვან პოლიტიკურ ან ორგანიზაციულ საკითხს პარტიისაგან სახელმძღვანელო მითითებათა მიუღებლად. ამ აზრით შეიძლებოდა გვეთქვა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, **არსებითად**, არის მისი ავანგარდის «დიქტატურა», მისი პარტიის, როგორც პროლეტარიატის ძირითადი ხელმძღვანელი ძალის, «დიქტატურა». აი რას ამბობდა ამის შესახებ ლენინი კომინტერნის II კონგრესზე:

«ტენერი ამბობს, რომ იგი პროლეტარიატის დიქტატურის მომხრეა, მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა მას ცოტა სხვანაირად აქვს წარმოდგენილი, ვიდრე ის გვაქვს წარმოდგენილი ჩვენ. იგი ამბობს, რომ ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურა **არსებითად**[1] გვესმის როგორც მისი ორგანიზებული და შეგნებული უმცირესობის დიქტატურა.

და მართლაც, კაპიტალიზმის ეპოქაში, როდესაც მუშათა მასები განუწყვეტელ ექსპლოატაციას განიცდიან და მოკლებული არიან თავისი ადამიანური ნიჭის განვითარების საშუალებას, მუშათა პოლიტიკური პარტიების ყველაზე დამახასიათებელია სწორედ ის, რომ მათ შეუძლიათ მოიცვან თავისი კლასის მხოლოდ უმცირესობა. პოლიტიკურ პარტიას შეუძლია გააერთიანოს კლასის მხოლოდ უმცირესობა, ისევე, როგორც ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნამდვილად შეგნებული მუშები ყველა მუშების მხოლოდ უმცირესობას შეადგენენ. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ მხოლოდ ამ შეგნებულ უმცირესობას შეუძლია ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა ფართო მასებს და თან გაიყოლიოს ისინი. და თუ ეხს. ტენერი ამბობს, რომ ის პარტიის მტერია, მაგრამ ამავე დროს იმის მომხრეა, რომ ყველაზე უკეთ ორგანიზებული და ყველაზე რევოლუციური მუშების უმცირესობა უჩვენებდეს გზას მთელ. პროლეტარიატს, მე ვამბობ, რომ ჩვენს შორის ნამდვილად არ არის განსხვავება» (იხ. ტ. XXV, გვ. 347).

მაგრამ ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, რომ პროლეტარიატის დიქტატურასა და პარტიის ხელმძღვანელ როლს (პარტიის «დიქტატურას») შორის შეიძლება **ტოლობის ნიშნის** გავლება, რომ შეიძლება პირველის **გაიგივება** მეორესთან, რომ შეიძლება პირველის შეცვლა მეორით. აი, მაგალითად, სორინი ამბობს, რომ «**პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენი პარტიის დიქტატურაა**». ეს დებულება, როგორც ხედავთ, აიგივებს «პარტიის დიქტატურას» პროლეტარიატის დიქტატურასთან. შეიძლება თუ არა, თუ ლენინიზმის ნიადაგზე დავრჩებით, მართებულად ვცნოთ ეს გაიგივება? არა, არ შეიძლება და აი რატომ.

ჯერ-ერთი. ლენინის მიერ კომინტერნის II კონგრესზე წარმოთქმული სიტყვიდან ზემომოყვანილ ციტატაში ლენინი სრულიადაც არ აიგივებს პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურასთან. იგი მარტო იმას ამბობს, რომ «მხოლოდ შეგნებულ უმცირესობას (ე. ი. პარტიას. ი. სტ.) შეუძლია ხელმძღვანელობა

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

გაუწიოს მუშათა ფართო მასებს და თან გაიყოლიოს ისინი», რომ სწორედ ამ აზრით «ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურა. არსებითად [1], გვესმის როგორც მისი ორგანიზებული და შეგნებული უმცირესობის დიქტატურა».

სთქვა — «არსებითად» კიდევ არ ნიშნავს სთქვა — «სავსებით». ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ნაციონალური საკითხი, არსებითად, გლეხობის საკითხია. და ეს სავსებით სწორია. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ გლეხობის საკითხი ფარავს ნაციონალურ საკითხს, რომ გლეხობის საკითხი თავისი მოცულობით უდრის ნაციონალურ საკითხს, რომ გლეხობის საკითხი გაიგივებულია ნაციონალურ საკითხთან. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ნაციონალური საკითხი თავისი მოცულობით გლეხობის საკითხზე უფრო ფართო და მდიდარია. ამის ანალოგიით, იგივე უნდა ითქვას პარტიის ხელმძღვანელი როლისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. თუ პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას, და ამ აზრით პროლეტარიატის დიქტატურა, არსებითად, წარმოადგენს მისი პარტიის «დიქტატურას», ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ «პარტიის დიქტატურა» (ხელმძღვანელი როლი) იგივეა, რაც პროლეტარიატის დიქტატურა, რომ თავისი მოცულობით პირველი უდრის მეორეს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ პროლეტარიატის დიქტატურა თავისი მოცულობით პარტიის ხელმძღვანელ როლზე უფრო ფართო და მდიდარია. პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას, მაგრამ იგი ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას და არა სხვა რაიმე დიქტატურას. ვინც აიგივებს პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურასთან, ის პროლეტარიატის დიქტატურას ცვლის პარტიის «დიქტატურით».

მეორეც. პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაციების არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ ხორციელდება პარტიის მხრივ სახელმძღვანელო მითითებათა გარეშე. ეს სავსებით სწორია. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პროლეტარიატის დიქტატურა პარტიის სახელმძღვანელო მითითებებით ამოიწურება? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ, ამის გამო, შეიძლება პარტიის სახელმძღვანელო მითითებათა გაიგივება პროლეტარიატის დიქტატურასთან? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. პროლეტარიატის დიქტატურა შესდგება პარტიის სახელმძღვანელო მითითებათაგან, პლუს ამ მითითებათა განხორციელება პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაციების მიერ, პლუს მათი განხორციელება მოსახლეობის მიერ. აქ, როგორც

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. ხტ.

ხედავთ, საქმე გვაქვს მთელ რიგ გადასვლებთან და შუალედ საფეხურებთან, რომელნიც შეადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის სრულიადაც არა მცირემნიშვნელოვან მომენტს. მაშასადამე, პარტიის სახელმძღვანელო მითითებებსა და მათ განხორციელებას შორის მოქცეულია იმათი ნება და მოქმედება, რომელთაც ხელმძღვანელობენ, კლასის ნება და მოქმედება, მისი მზადყოფნა (ან არნდომა) მხარი დაუჭიროს ამ მითითებებს, მისი უნარი (ან უუნარობა) განახორციელოს ეს მითითებანი, მისი უნარი (ან უუნარობა) განახორციელოს ისინი სწორედ ისე, როგორც ამას ვითარება მოითხოვს. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ პარტიას, რომელმაც იკისრა ხელმძღვანელობა, არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს იმათ ნებას, მდგომარეობას და შეგნების დონეს, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევს, არ შეუძლია მხედველობაში არ მიიღოს თავისი კლასის ნება, მდგომარეობა და შეგნების დონე. ამიტომ, ვინც აიგივებს პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურასთან, ის ცვლის კლასის ნებისყოფას და მოქმედებას პარტიის მითითებებით.

მესამეც. «პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს ლენინი, — არის გამარჯვებული და პოლიტიკური ძალაუფლების სათავეში მოქცეული პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა» (იხ. ტ. XXIV, გვ. 311). რით შეიძლება გამოიხატოს ეს **კლასობრივი** ბრძოლა? იგი შეიძლება გამოიხატოს პროლეტარიატის მთელი რიგი შეიარაღებული გამოსვლებით დამხობილი ბურჟუაზიის გამოხდომათა წინააღმდეგ ან უცხოეთის ბურჟუაზიის ინტერვენციის წინააღმდეგ. იგი შეიძლება გამოიხატოს სამოქალაქო ომით, თუ პროლეტარიატის ხელისუფლება ჯერ კიდევ განმტკიცებული არ არის. იგი შეიძლება გამოიხატოს პროლეტარიატის ფართო ორგანიზატორული და ალმშენებლობითი მუშაობით, საქმეში ფართო მასების ჩაბმით, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება უკვე განმტკიცდა. ყველა ამ შემთხვევაში მოქმედ პირს წარმოადგენს პროლეტარიატი როგორც **კლასი**. არ მომხდარა, რომ პარტიას, მარტო პარტიას, მოეწყო ყველა ეს გამოსვლა მხოლოდ და მხოლოდ თავისი საკუთარი ძალებით, კლასის დაუხმარებლად. ჩვეულებრივ პარტია მხოლოდ ხელმძღვანელობას უწევს ამ გამოსვლებს, და ხელმძღვანელობას უწევს იმდენად, რამდენადაც მას მხარს უჭერს კლასი. ვინაიდან პარტიას არ შეუძლია დაფაროს, არ შეუძლია შეცვალოს კლასი. ვინაიდან პარტია, მიუხედავად მთელი მისი მნიშვნელოვანი, ხელმძღვანელი როლისა, მაინც რჩება კლასის **ნაწილად**. ამიტომ, ვინც აიგივებს პარ-

ტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურასთან, ის კლასს ცვლის პარტიით.

მეოთხეც. პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას. «პარტია პროლეტარიატის უშუალო მმართველი ავანგარდია, იგი ხელმძღვანელია» (ლენინი). ამ აზრით, პარტია ხელთ იღებს ძალაუფლებას, პარტია მართავს ქვეყანას. მაგრამ ეს ისე როდი უნდა გვესმოდეს, რომ პარტია ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას სახელმწიფო ხელისუფლების გვერდის ავლით, სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე, რომ პარტია მართავს ქვეყანას საბჭოების გვერდის ავლით, არა საბჭოების მეშვეობით. ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ შეიძლება პარტიის გაიგივება საბჭოებთან, სახელმწიფო ხელისუფლებასთან. პარტია არის ძალაუფლების ბირთვი. მაგრამ იგი არ არის სახელმწიფო ხელისუფლება და არც შეიძლება გაიგივებულ იქნას მასთან.

«როგორც მმართველ პარტიას, — ამბობს ლენინი, — ჩვენ არ შეგვეძლო საბჭოთა «ზედაფენები» არ შეგვედუღებინა პარტიულ «ზედაფენებთან», — ისინი ჩვენში შედუღებული არიან და ასეთივე დარჩებიან» (იხ. ტ. XXVI, გვ. 208). ეს სავსებით სწორია. მაგრამ ამით ლენინს სრულიადაც არ სურს თქვას, რომ მთლიანად ჩვენი საბჭოთა დაწესებულებანი, მაგალითად, ჩვენი არმია, ჩვენი ტრანსპორტი, ჩვენი სამეურნეო დაწესებულებანი და სხვ., წარმოადგენენ ჩვენი პარტიის დაწესებულებებს, რომ პარტიას შეუძლია საბჭოებისა და მათი განშტოებების შეცვლა, რომ შეიძლება პარტიის გაიგივება სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ლენინს არა ერთხელ უთქვამს, რომ «საბჭოების სისტემა არის პროლეტარიატის დიქტატურა», რომ «საბჭოთა ხელისუფლება არის პროლეტარიატის დიქტატურა» (იხ. ტ. XXIV, გვ. 15 და 14), მაგრამ მას არასოდეს არ უთქვამს, რომ პარტია არის სახელმწიფო ხელისუფლება, რომ საბჭოები და პარტია ერთი და იგივეა. პარტია, რომელსაც რამდენიმე ასეული ათასი წევრი ჰყავს, ხელმძღვანელობას უწევს საბჭოებს და მათს განშტოებებს ცენტრში და ადგილებზე, რომლებიც აერთიანებენ ათეულმილიონობით ადამიანს, პარტიულსა და უპარტიოს, მაგრამ პარტიას არ შეუძლია და არც უნდა გასწიოს მათი მაგიერობა. აი რატომ ამბობს ლენინი, რომ «დიქტატურას ახორციელებს საბჭოებში ორგანიზებული პროლეტარიატი, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა», რომ «პარტიის მთელი მუშაობა ხორციელდება საბჭოების მეშვეობით [1],

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. ხტ.

რომლებიც აერთიანებენ მშრომელთა მასებს განურჩევლად პროფესიისა» (იხ. ტ. XXV, გვ. 192 და 193), რომ დიქტატურის «განხორციელება გვიხდება... საბჭოთა აპარატის მეშვეობით»[1] (იხ. ტ. XXVI, გვ. 64). ამიტომ, ვინც აიგივებს პარტიის ხელმძღვანელ როლს პროლეტარიატის დიქტატურასთან, იგი საბჭოებს, ე. ი. სახელმწიფო ხელისუფლებას, ცვლის პარტიით.

მეხუთეც. პროლეტარიატის დიქტატურის ცნება სახელმწიფოებრივი ცნებაა. პროლეტარიატის დიქტატურა უთუოდ შეიცავს ძალდატანების ცნებას. ძალდატანების გარეშე არ არსებობს დიქტატურა, თუ დიქტატურას ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით გავიგებთ. ლენინი განსაზღვრავს პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც «ხელისუფლებას, რომელიც უშუალოდ ეყრდნობა **ძალდატანებას**» (იხ. ტ. XIX, გვ. 315). ამის გამო ლაპარაკი პარტიის დიქტატურაზე **პროლეტარების კლასის მიმართ** და მისი გაიგივება პროლეტარიატის დიქტატურასთან — ნიშნავს ლაპარაკს იმის შესახებ, რომ პარტია უნდა იყოს თავისი კლასის მიმართ არა მარტო ხელმძღვანელი, არა მარტო ბელადი და მასწავლებელი, არამედ ერთგვარი დიქტატორიც, რომელიც მის მიმართ იყენებს ძალდატანებას, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად არ არის სწორი. ამიტომ, ვინც აიგივებს «პარტიის დიქტატურას» პროლეტარიატის დიქტატურასთან, ის მდუმარედ გამოდის იქიდან, რომ პარტიის ავტორიტეტის აგება შეიძლება ძალდატანებაზე მუშათა კლასის მიმართ, რაც აბსურდია და რაც სრულიად შეუთავსებელია ლენინიზმთან. პარტიის ავტორიტეტი ემყარება მუშათა კლასის ნდობას. ხოლო მუშათა კლასის ნდობის მოპოვება შეიძლება არა ძალდატანებით, — ძალდატანება მხოლოდ კლავს ნდობას, — არამედ პარტიის სწორი თეორიით, პარტიის სწორი პოლიტიკით, პარტიის ერთგულებით მუშათა კლასისადმი, მისი კავშირით მუშათა კლასის მასებთან, მისი მზადყოფნით და მისი უნარით — **დაარწმუნოს** მასები თავისი ლოზუნგების სისწორეში.

რა გამოდის აქედან?

აქედან ის გამოდის, რომ:

1) ლენინი ხმარობს სიტყვას **პარტიის დიქტატურა** ამ სიტყვის არა ზუსტი მნიშვნელობით («ძალდატანებაზე დამყარებული ხელისუფლება»), არამედ გადატანითი აზრით, მისი განუყოფელი ხელმძღვანელობის აზრით;

2) ვინც აიგივებს პარტიის ხელმძღვანელობას **პროლეტარიატის დიქტატურასთან**, ის ამახინჯებს ლენინს, უმართებულოდ აკუთვ-

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ნებს რა პარტიას ძალდატანების ფუნქციებს მთლიანად მუშათა კლასის მიმართ;

3) ვინც პარტიას აკუთვნებს მისთვის შეუფერებელ ძალდატანების ფუნქციებს მთლიანად მუშათა კლასის მიმართ, ის არღვევს ავანგარდისა და კლასის, პარტიისა და პროლეტარიატის სწორი ურთიერთობის ელემენტარულ მოთხოვნებს.

ამრიგად, ჩვენ პირისპირ მივადექით პარტიისა და კლასის, მუშათა კლასში პარტიულებისა და უპარტიოების ურთიერთობის საკითხს.

ლენინი ამ ურთიერთობას განსაზღვრავს, როგორც «ურთიერთნდობას [1] მუშათა კლასის ავანგარდსა და მუშათა მასას შორის» (იხ. ტ. XXVI, გვ. 235).

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, იმას, რომ პარტია გულისხმიერად უნდა უგდებდეს ყურს მასების ხმას, რომ იგი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს მასების რევოლუციურ ინსტინქტს, რომ იგი უნდა სწავლობდეს მასების ბრძოლის პრაქტიკას და ამით ამოწმებდეს თავისი პოლიტიკის სისწორეს, რომ იგი, მაშასადამე, არა მარტო უნდა ასწავლიდეს მასებს, არამედ კიდევაც სწავლობდეს მათგან.

მეორეც, ეს ნიშნავს იმას, რომ პარტია დღითი-დღე უნდა იმსახურებდეს პროლეტარული მასების ნდობას, რომ იგი თავისი პოლიტიკით და თავისი მუშაობით უნდა ჭედდეს თავისთვის მასების მხარდაჭერას, რომ იგი კი არ უნდა მბრძანებლობდეს, არამედ უწინარეს ყოვლისა არწმუნებდეს და უადვილებდეს მასებს პარტიის პოლიტიკის სისწორის შეცნობას საკუთარი გამოცდილებით, რომ იგი, მაშასადამე, უნდა იყოს თავისი კლასის ხელმძღვანელი, ბელადი, მასწავლებელი.

ამ პირობების დარღვევა ნიშნავს ავანგარდსა და კლასს შორის სწორი ურთიერთობის დარღვევას, «ურთიერთნდობისათვის» ძირის გამოთხრას, როგორც კლასობრივი, ისე პარტიული დისციპლინის დაშლას.

«ალბათ, — ამბობს ლენინი, — ახლა უკვე თითქმის ყველა ხედავს, რომ ბოლშევიკები ვერ შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას არა თუ 2½ წლის განმავლობაში, არამედ 2½ თვესაც, ჩვენს პარტიაში რომ არ ყოფილიყო უმკაცრესი, ჭეშმარიტად რკინისებური დისციპლინა, მისთვის რომ საკვებით და თავდადებით მხარი არ დაეჭირა მუშათა კლასის მთელ მასას [1], ე. ი. ყოველივე იმას, რაც ამ კლასში მოაზროვნე, პატიოსანი, თავდადებული და გავლენიანია და რასაც შეუძლია გაიყოლიოს ან გაიტაცოს ჩამორჩენილი ფენები» (იხ. ტ. XXV, გვ. 173).

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

«პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობს შემდეგ ლენინი, — არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლიანი და უსისხლო, ძალდატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატორული, ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ. მილიონებისა და ათეული მილიონების ჩვეულების ძალა ყველაზე საშინელი ძალაა. ასეთი ბრძოლის წარმატებით წარმოება შეუძლებელია რკინისებური და ბრძოლაში გამობრძმედილი პარტიის გარეშე, ისეთი პარტიის გარეშე, რომელიც ხარგებლობს თავისი კლასის ყველა პატიოსან ელემენტთა ნდობით [1], ისეთი პარტიის გარეშე, რომელსაც შეუძლია თვალყური ადევნოს მასის განწყობილებას და გავლენა მოახდინოს მასზე» (იხ. ტ. XXV, გვ. 190).

მაგრამ როგორ იძენს პარტია კლასის ამ ნდობას და დახმარებას? როგორ იქმნება პროლეტარიატის დიქტატურისათვის აუცილებელი რკინისებური დისციპლინა მუშათა კლასში, რა ნიადაგზე აღმოცენდება იგი?

აი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი:

«რას ემყარება პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის დისციპლინა? რით მოწმდება იგი? რით მაგრდება? ჯერ-ერთი, პროლეტარული ავანგარდის შეგნებულობით და რევოლუციისადმი მისი ერთგულებით, მისი სიმტკიცით, თავდადებით, გმირობით. მეორეც, მისი უნარით — დაუკავშირდეს, დაუახლოვდეს, თუ გნებავთ, რამდენადმე შეუდუღდეს მშრომელთა უფართოეს მასას [1], პირველ რიგში პროლეტარულს, მაგრამ აგრეთვე არაპროლეტარულ მშრომელ მასასაც. მესამეც, იმ პოლიტიკური ხელმძღვანელობის სისწორით, რომელსაც ეს ავანგარდი ახორციელებს, მისი პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის სისწორით, იმ პირობით, რომ უფართოესი მასები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ამ სისწორეში. ამ პირობების გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს დისციპლინა რევოლუციურ პარტიაში, რომელსაც ნამდვილად აქვს უნარი იყოს მოწინავე კლასის პარტია, იმ კლასისა, რომელმაც უნდა დაამხოს ბურჟუაზია და გარდაქმნას მთელი საზოგადოება. ამ პირობების გარეშე დისციპლინის შექმნის ცდა აუცილებლად იქცევა ამაო ცდად, ფრაზად, მანკვა-გრეხად. მაგრამ ეს პირობები, მეორე მხრივ, ერთბაშად ვერ გაჩნდებიან. ისინი გამომუშავდებიან მხოლოდ ხანგრძლივი შრომით, მძიმე გამოცდილებით; მათს გამომუშავებას აადვილებს მხოლოდ სწორი რევოლუციური თეორია, რომელიც, თავის მხრივ, დოგმა კი არ არის, არამედ საბოლოოდ იქმნება მხოლოდ ნამდვილად მასობრივი და ნამდვილად რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში» (იხ. ტ. XXV, გვ. 174).

და შემდეგ:

«კაპიტალიზმზე გამარჯვების მოსაპოვებლად საჭიროა სწორი ურთიერთობა ხელმძღვანელ, კომუნისტურ პარტიასა, რევოლუციურ კლასსა, პროლეტარიატსა — და მასას, ე. ი. მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთელ ერთობლიობას შორის. მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, თუ იგი ნამდვილად წარმოადგენს

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

რევოლუციური კლასის ავანგარდს, თუ იგი შეიცავს ამ კლასის ყველა საუკეთესო წარმომადგენელს, თუ იგი შესდგება მედგარი რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებით განათლებული და გამობრძმედილი, საესებით შეგნებული და ერთგული კომუნისტებისაგან, თუ ამ პარტიამ შესძლო განუყრელად დაკავშირებოდა თავისი კლასის მთელ ცხოვრებას, ხოლო მისი მეშვეობით ექსპლოატირებულთა მთელ მასას, და შთაეგონებინა ამ კლასისა და ამ მახისათვის სრული ნდობა [1], — მხოლოდ ასეთ პარტიას აქვს უნარი — ხელმძღვანელობა გაუწიოს პროლეტარიატს უაღრესად ულმობელ, გადამწყვეტ, უკანასკნელ ბრძოლაში კაპიტალიზმის მთელი ძალების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, მხოლოდ ასეთი პარტიის ხელმძღვანელობით შეუძლია პროლეტარიატს გაშალოს თავისი რევოლუციური შეტევის მთელი ძლიერება, არარად აქციოს უმნიშვნელო უმცირესობის — კაპიტალიზმის მიერ გარყვნილი მუშათა არისტოკრატიის, ტრედ-უნიონებისა და კოოპერაციის ძველი ბელადების და სხვ. აუცილებელი ამპთია და ნაწილობრივ წინააღმდეგობაც, — შეუძლია გაშალოს მთელი თავისი ძალა, რომელიც, თვით კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური წყობილების გამო, განუზომლად უფრო დიდია, ვიდრე მისი წილი მოსახლეობაში» (იხ. ტ. XXV, გვ. 315).

ამ ციტატებიდან გამოდის, რომ:

1) პარტიის ავტორიტეტი და რკინისებური დისციპლინა მუშათა კლასში, რაც აუცილებელია პროლეტარიატის დიქტატურისათვის, შენდება არა შიშზე ან პარტიის «შეუზღუდველ» უფლებებზე, არამედ პარტიისადმი მუშათა კლასის ნდობაზე, მუშათა კლასის მიერ პარტიისათვის მხარდაჭერაზე;

2) პარტიისადმი მუშათა კლასის ნდობა მოიპოვება არა ერთბაშად და არა ძალდატანებით მუშათა კლასის მიმართ, არამედ პარტიის ხანგრძლივი მუშაობით მასებში, პარტიის სწორი პოლიტიკით, პარტიის უნარით — დაარწმუნოს მასები თავისი პოლიტიკის სისწორეში მასების საკუთარი გამოცდილების ნიადაგზე, პარტიის უნარით — უზრუნველყოს თავისთვის მუშათა კლასის მხარდაჭერა, უნარით — გაიყოლიოს მუშათა კლასის მასები;

3) პარტიის სწორი პოლიტიკის გარეშე, რაც მასების ბრძოლის გამოცდილებით უნდა იყოს განმტკიცებული, და მუშათა კლასის ნდობის გარეშე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს პარტიის ნამდვილი ხელმძღვანელობა;

4) პარტია და მისი ხელმძღვანელობა, თუ პარტია სარგებლობს კლასის ნდობით, და თუ ეს ხელმძღვანელობა ნამდვილი ხელმძღვანელობაა, არ შეიძლება დაუპირისპირდეს პროლეტარიატის დიქტატურას, ვინაიდან მუშათა კლასის ნდობით აღჭურვილი პარტიის ხელმძღვანელობის (პარტიის «დიქტატურის») გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის რამდენადმე მტკიცე დიქტატურა.

---

[1] ბაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ამ პირობების გარეშე პარტიის ავტორიტეტი და რკინისებური დისციპლინა მუშათა კლასში არის ან უშინაარსო ფრაზა, ანდა ყოყოჩობა და ავანტიურა.

არ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურის დაპირისპირება პარტიის ხელმძღვანელობისათვის («დიქტატურისათვის»). არ შეიძლება, ვინაიდან პარტიის ხელმძღვანელობა მთავარია პროლეტარიატის დიქტატურაში, თუ ვიგულისხმებთ რამდენადმე მტკიცე და სრულ დიქტატურას, და არა ისეთს, როგორიც იყო, მაგალითად, პარიზის კომუნა, რომელიც წარმოადგენდა არასრულ და არამტკიცე დიქტატურას. არ შეიძლება, ვინაიდან პროლეტარიატის დიქტატურა და პარტიის ხელმძღვანელობა მოქცეული არიან, ასე ვთქვათ, მუშაობის ერთ ხაზზე, მოქმედებენ ერთი მიმართულებით.

«საკითხის უკვე მარტო დაყენება, — ამბობს ლენინი, — «პარტიის დიქტატურა თუ კლასის დიქტატურა? ბელადების დიქტატურა (პარტია) თუ მასების დიქტატურა (პარტია)?» მოწმობს აზრის ყოვლად წარმოუდგენელ და გამოუვალ არევდარევას... ყველამ იცის, რომ მასები იყოფიან კლასებად..., რომ კლასებს ჩვეულებრივ და მეტწილად ხელმძღვანელობენ, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებში, პოლიტიკური პარტიები; — რომ პოლიტიკურ პარტიებს, როგორც საერთო წესი, მართავენ ცოტად თუ ბევრად მტკიცე ჯგუფები ყველაზე ავტორიტეტული, გავლენიანი, გამოცდილი პირებისა, რომელთაც ირჩევენ ყველაზე პასუხსაგებ თანამდებობებზე და რომელთაც ბელადები ეწოდებათ... მიხვიდე... საერთოდ ბელადების დიქტატურისადმი მასების დიქტატურის დაპირისპირებამდე — სასაცილო უაზრობა და სისულელეა» (იხ. ტ. XXV, გვ. 187 და 188).

ეს სავსებით სწორია. მაგრამ ეს სწორი დებულება გამომდინარეობს იმ წანამძღვრიდან, რომ უკვე არსებობს სწორი ურთიერთობა ავანგარდსა და მუშათა მასებს შორის, პარტიასა და კლასს შორის. იგი გამომდინარეობს იმ ვარაუდიდან, რომ ურთიერთობა ავანგარდსა და კლასს შორის რჩება, ასე ვთქვათ, ნორმალური, რჩება «ურთიერთნდობის» ფარგლებში.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ სწორი ურთიერთობა ავანგარდსა და კლასს შორის, თუ «ურთიერთნდობა» პარტიასა და კლასს შორის დარღვეულია?

როგორ მოვიქცეთ, თუ თვით პარტია ასე თუ ისე იწყებს თავის დაპირისპირებას კლასისადმი, არღვევს კლასთან სწორი ურთიერთობის საფუძვლებს, არღვევს «ურთიერთნდობის» საფუძვლებს?

შესაძლებელია თუ არა საერთოდ ასეთი შემთხვევები?

დიახ, შესაძლებელია.

ეს შემთხვევები შესაძლებელია:

1) თუ პარტია იწყებს მასებში თავისი ავტორიტეტის აგებას არა

თავის მუშაობაზე და მასების ნდობაზე, არამედ თავის «შეუზღუდველ» უფლებებზე;

2) თუ პარტიის პოლიტიკა აშკარად არასწორია, ხოლო მას არა სურს გადასინჯოს და გამოასწოროს თავისი შეცდომა;

3) თუ პარტიის პოლიტიკა, საერთოდ, სწორია, მაგრამ მასები ჯერ კიდევ არ არიან მომზადებულნი მის შესათვისებლად, ხოლო პარტიას არა სურს ან არა აქვს უნარი დაელოდოს, რომ მასებს საშუალება მიეცეთ საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ პარტიის პოლიტიკის სისწორეში, და ცდილობს თავს მოახვიოს მასებს თავისი პოლიტიკა.

ჩვენი პარტიის ისტორია მთელ რიგ ასეთ შემთხვევებს იძლევა. ჩვენი პარტიის სხვადასხვა დაჯგუფებანი და ფრაქციები ეცემოდნენ და იფანტებოდნენ იმიტომ, რომ ისინი არღვევდნენ ერთ ამ სამ პირობათაგანს, ხოლო ზოგჯერ ერთად აღებულ ყველა ამ პირობასაც.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დაპირისპირება პარტიის «დიქტატურისადმი» (ხელმძღვანელობისადმი) არ შეიძლება სწორად იქნას მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში:

1) თუ პარტიის დიქტატურად მუშათა კლასის მიმართ ეიგულისხმებთ არა დიქტატურას ამ სიტყვის საკუთარი აზრით («ძალდატანებაზე დამყარებული ძალაუფლება»), არამედ პარტიის ხელმძღვანელობას, რომელიც გამორიცხავს ძალდატანებას მთლიანად მუშათა კლასის მიმართ, მისი უმრავლესობის მიმართ, სწორედ ისე, როგორც ეს ლენინს ესმის;

2) თუ პარტიას შესწევს ძალა იყოს კლასის ნამდვილი ხელმძღვანელი, ე ი. თუ პარტიის პოლიტიკა სწორია, თუ ეს პოლიტიკა შეესაბამება კლასის ინტერესებს;

3) თუ კლასი, თუ კლასის უმრავლესობა იზიარებს ამ პოლიტიკას, ითვისებს მას, რწმუნდება, პარტიის მუშაობის მეოხებით, ამ პოლიტიკის სისწორეში, ენდობა პარტიას და მხარს უჭერს მას.

ამ პირობების დარღვევა აუცილებლად იწვევს კონფლიქტს პარტიასა და კლასს შორის, განხეთქილებას მათ შორის, მათ დაპირისპირებას ერთიმეორისადმი.

შეიძლება თუ არა ძალით მოვახვიოთ კლასს პარტიის ხელმძღვანელობა? არა, არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ხელმძღვანელობა არ შეიძლება რამდენადმე ხანგრძლივი იქნეს. პარტიამ, თუ მას სურს დარჩეს პროლეტარიატის პარტიად, უნდა იცოდეს, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, არის მუშათა კლა-

სის ხელმძღვანელი, ბელადი, მასწავლებელი. არ შეიძლება დავივიწყოთ ლენინის სიტყვები, რომლებიც ამის შესახებ მან თქვა ბროშურაში «სახელმწიფო და რევოლუცია»:

«მარქსიზმი, ზრდის რა მუშათა პარტიას, ზრდის პროლეტარიატის ავანგარდს, რომელსაც უნარი შესწევს აიღოს ძალაუფლება და წაიყვანოს მთელი ხალხი სოციალიზმისაკენ, წარმართოს და მოაწყოს ახალი წყობილება, იყოს ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასწავლებელი, ხელმძღვანელი, ბელადი[1] თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მოწყობის საქმეში» (იხ. ტ. XXI, გვ. 386).

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს პარტია კლასის ნამდვილ ხელმძღვანელად, თუ მისი პოლიტიკა არასწორია, თუ მისი პოლიტიკა ეწინააღმდეგება კლასის ინტერესებს? რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ასეთ შემთხვევებში პარტიამ, თუ მას სურს დარჩეს ხელმძღვანელად, უნდა გადასინჯოს თავისი პოლიტიკა, უნდა გამოასწოროს თავისი პოლიტიკა, უნდა აღიაროს თავისი შეცდომა და გამოასწოროს იგი. ამ დებულების დასადასტურებლად შეიძლებოდა მიგვეთითებინა ჩვენი პარტიის ისტორიის თუნდაც ისეთ ფაქტზე, როგორიც არის სასურსათო გაწერის გაუქმების პერიოდი, როდესაც მუშათა და გლეხთა მასები აშკარად უკმაყოფილონი აღმოჩნდნენ ჩვენი პოლიტიკით და როდესაც პარტია შეუდგა, — გულახდილად და პატიოსნად შეუდგა ამ პოლიტიკის გადასინჯვას. აი რას ამბობდა მაშინ ლენინი X ყრილობაზე სასურსათო გაწერის გაუქმებისა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების საკითხის შესახებ:

«ჩვენ არ უნდა ვცდილობდეთ დავმალოთ რამე, არამედ პირდაპირ უნდა ვამბობდეთ, რომ გლეხობა უკმაყოფილოა ურთიერთობის იმ ფორმით, რომელიც დამყარდა ჩვენსა და გლეხობას შორის, რომ მას არ სურს ურთიერთობის ეს ფორმა და შემდეგში ასე არ იცხოვრებს. ეს უდავოა. ეს მისი ნება გარკვეულად გამოიხატა. ეს არის მშრომელი მოსახლეობის უდიდესი მასების ნება. ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ, და ჩვენ საკმაოდ ფხიზელი პოლიტიკოსები ვართ, რომ პირდაპირ ვთქვათ: მოდი გადავსინჯოთ ჩვენი პოლიტიკა გლეხობის მიმართ»[1] (იხ. ტ. XXVI, გვ. 238).

შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ პარტიამ უნდა იკისროს ინიციატივა და ხელმძღვანელობა მასების გადამწყვეტი გამოსვლების მოწყობაში მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ მისი პოლიტიკა საერთოდ სწორია, თუ ამ პოლიტიკას ჯერ კიდევ ნდობით არ ეკიდება და მხარს არ უჭერს კლასი, ვთქვათ, თავისი პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამო, თუ პარტიას ჯერ კიდევ ვერ დაურწმუნებია

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

კლასი თავისი პოლიტიკის სისწორეში, ვთქვათ, იმის გამო, რომ მოვლენები ჯერ კიდევ არ მომწიფებულან? არა, არ შეიძლება. ასეთ შემთხვევებში პარტიას, თუ მას სურს იყოს ნამდვილი ხელმძღვანელი, უნდა შეეძლოს დაცდა, იგი უნდა არწმუნებდეს მასებს თავისი პოლიტიკის სისწორეში, უნდა დაეხმაროს მასებს თავიანთი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ამ პოლიტიკის სისწორეში.

«თუ რევოლუციურ პარტიას, — ამბობს ლენინი, — არა ჰყავს უმრავლესობა რევოლუციური კლასების მოწინავე რაზმებში და ქვეყანაში, მაშინ აჯანყებაზე ლაპარაკიც ზედმეტია» (იხ. ტ. XXI, გვ. 282).

«რევოლუცია შეუძლებელია, თუ მუშათა კლასის უმრავლესობის შეხედულებები არ გამოიცვალა, ხოლო ეს გამოცდილა იქმნება მასების პოლიტიკური გამოცდილებით» (იხ. ტ. XXV, გვ. 221).

«პროლეტარული ავანგარდი იდეურად დაპყრობილია. ეს მთავარია. უამისოდ გამარჯვებისაკენ პირველი ნაბიჯის გადადგმაც კი შეუძლებელია. მაგრამ აქედან გამარჯვებამდე კიდევ საკმაოდ დიდი მანძილია. მარტო ავანგარდით გამარჯვება შეუძლებელია. გადამწყვეტ ბრძოლაში მარტო ავანგარდის ჩაბმა, სანამ მთელ კლასს, სანამ ფართო მასებს არ დაუკავებიათ ავანგარდისათვის ან პირდაპირი დახმარების პოზიცია, ან, ყოველ შემთხვევაში, მის მიმართ კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის და მისი მოწინააღმდეგისათვის მხარდაჭერის სრული უუნარობის პოზიცია, — ეს იქნებოდა არა მარტო სისულელე, არამედ დანაშაულიც. ხოლო იმისათვის, რომ ნამდვილად მთელი კლასი, მშრომელთა და კაპიტალის მიერ დაჩაგრულთა ნამდვილად ფართო მასები ასეთ პოზიციამდე მივიდნენ, ამისათვის მარტო პროპაგანდა, მარტო აგიტაცია არ კმარა. ამისათვის საჭიროა ამ მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება» (იხ. იქვე, გვ. 228).

ცნობილია, რომ ჩვენი პარტია სწორედ ასე იქცეოდა ლენინის აპრილის თეზისების გამოქვეყნებიდან 1917 წლის ოქტომბრის აჯანყებამდე განვლილ პერიოდში. და სწორედ იმიტომ, რომ იგი ლენინის ამ მითითებათა თანახმად მოქმედებდა, მოიგო მან აჯანყება.

ასეთია ძირითადად ავანგარდსა და კლასს შორის სწორი ურთიერთობის პირობები.

რას ნიშნავს ხელმძღვანელობის გაწევა, თუ პარტიის პოლიტიკა სწორია, ხოლო სწორი ურთიერთობა ავანგარდსა და კლასს შორის არ ირღვევა?

ასეთ პირობებში ხელმძღვანელობის გაწევა ნიშნავს უნარს — დაარწმუნო მასები პარტიის პოლიტიკის სისწორეში, წამოაყენო და გაატარო ისეთი ლოზუნგები, რომლებსაც მასები პარტიის პოზიციებამდე მიჰყავთ და რომლებიც უადვილებენ მათ საკუთარი გამოცდილებით შეიცნონ პარტიის პოლიტიკის სისწორე, აამაღლო მასები პარტიის შეგნების დონემდე და, ამრიგად, უზრუნველ-

ყო მასების მიერ მხარდაჭერა, მათი მზადყოფნა გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ამიტომ დარწმუნების მეთოდი წარმოადგენს პარტიის მიერ მუშათა კლასის ხელმძღვანელობის ძირითად მეთოდს.

«ჩვენ, — ამბობს ლენინი, — ახლა რუსეთში, რუსეთისა და ანტანტის ბურჟუაზიაზე 2½ წლის უმაგალითო გამარჯვებათა შემდეგ, პროფკავშირებში შესვლის პირობად «დიქტატურის აღიარება» რომ წამოგვეყენებინა, სისულელეს ჩავიდენდით, წავახდენდით ჩვენს გავლენას მასებზე, დავეხმარებოდით მენშევიკებს. ვინაიდან კომუნისტების მთელი ამოცანაა — შეეძლოთ დაარწმუნონ ჩამორჩენილები, შეეძლოთ იმუშაონ მათ შორის, და არა ის, რომ გაემიჯნონ მათ გამოგონილი ბავშვურ-«მემარცხენე» ლოზუნგებით» (იხ. ტ. XXV, გვ. 197).

ეს, რასაკვირველია, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ პარტიამ უნდა დაარწმუნოს უკლებლივ ყველა მუშა, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოქმედებაზე გადასვლა, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოქმედების დაწყება. სრულიადაც არა! ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პარტიამ, სანამ იგი გადამწყვეტ პოლიტიკურ მოქმედებას შეუდგებოდეს, ხანგრძლივი რევოლუციური მუშაობით უნდა უზრუნველყოს მის მიმართ მუშათა მასების უმრავლესობის მხარდაჭერა, ყოველ შემთხვევაში კლასის უმრავლესობის კეთილმოსურნე ნეიტრალიტეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ პარტიის მიერ მუშათა კლასის უმრავლესობის მიმხრობა ძლევამოსილი რევოლუციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, — ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა.

მაგრამ რა ვუყოთ უმცირესობას, თუ მას არ სურს, თუ იგი თანახმა არ არის ნებაყოფლობით დაემორჩილოს უმრავლესობის ნებას? შეუძლია თუ არა პარტიას, ვალდებულია თუ არა პარტია, როდესაც იგი აღჭურვილია უმრავლესობის ნდობით, აიძულოს უმცირესობა დაემორჩილოს უმრავლესობის ნებას? დიახ, შეუძლია და ვალდებულიც არის. ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს მასების დარწმუნების მეთოდი, როგორც მასებზე პარტიის ზეგავლენის ძირითადი მეთოდი. მაგრამ ეს კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს იძულებას, თუ ეს იძულება ემყარება პარტიის მიმართ მუშათა კლასის უმრავლესობის ნდობასა და მხარდაჭერას, თუ მას იყენებენ უმცირესობის მიმართ მას შემდეგ, რაც შესძლეს დაარწმუნებინათ უმრავლესობა.

საჭიროა გავიხსენოთ ამის შესახებ დავა ჩვენს პარტიაში, რაც პროფკავშირული დისკუსიის პერიოდში წარმოებდა. რა იყო მაშინ ოპოზიციის შეცდომა «ცეკტრანის» შეცდომა? ის ხომ არა, რომ ოპოზიცია მაშინ შესაძლებლად თვლიდა იძულებას? არა, ეს

როდი იყო. ოპოზიციის შეცდომა მაშინ ის იყო, რომ მან ვერ მოახერხა უმრავლესობის დარწმუნება თავისი პოზიციის სისწორეში, დაკარგა უმრავლესობის ნდობა, მაგრამ მაინც მიმართა იძულებას, მოითხოვდა უმრავლესობის ნდობით აღჭურვილი ადამიანების «შებერტყვას».

აი რას ამბობდა მაშინ ლენინი პარტიის X ყრილობაზე თავის სიტყვაში პროფესიული კავშირების შესახებ:

«იმისათვის, რომ მუშათა კლასის ავანგარდსა და მუშათა მასას შორის დამყარებულიყო ურთიერთობა, ურთიერთნდობა, საჭირო იყო, თუ «ცეკტრანმა» შეცდომა დაუშვა... საჭირო იყო მისი გასწორება. მაგრამ როდესაც ამ შეცდომის დაცვას იწყებენ, ეს უკვე პოლიტიკური საფრთხის წყარო ხდება. ჩვენ რომ დემოკრატიის აზრით მაქსიმალურად შესაძლებელი არ გაგვეკეთებინა იმ განწყობილებიდან, რომლის გამომხატველიც აქ კუტუზოვია, პოლიტიკურ კრახამდე მივიდოდით. ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა დავარწმუნოთ, ხოლო შემდეგ ვაიძულოთ. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ჯერ უნდა დავარწმუნოთ, ხოლო შემდეგ ვაიძულოთ [1]. ჩვენ ვერ შევძელით ფართო მასების დარწმუნება და დავარღვიეთ სწორი თანაფარდობა ავანგარდსა და მასებს შორის» (იხ. ტ. XXVI, გვ. 235).

ამასვე ამბობს ლენინი თავის ბროშურაში «პროფკავშირების შესახებ»:

«ჩვენ იძულებას მართებულად და წარმატებით მაშინ ვიყენებდით, როდესაც ვახერხებდით მისთვის ჯერ დარწმუნების ბაზის შექმნას» (იხ. იქვე, გვ. 74).

და ეს სავსებით სწორია. ვინაიდან ამ პირობების გარეშე არაეითარი ხელმძღვანელობა არ შეიძლება. ვინაიდან მხოლოდ ამგვარად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მოქმედების ერთიანობა პარტიაში, თუ საქმე ეხება პარტიას, კლასის მოქმედების ერთიანობა, თუ საქმე ეხება კლასს მთლიანად. უამისოდ მუშათა კლასის რიგებში მოხდება გათიშვა, დაქსაქსვა, რღვევა.

ასეთია ზოგადად პარტიის მიერ მუშათა კლასის სწორი ხელმძღვანელობის საფუძვლები.

ხელმძღვანელობის ყოველი სხვაგვარი გაგება არის სინდიკალიზმი, ანარქიზმი, ბიუროკრატიზმი, ყველაფერი რაც გნებავთ, — მხოლოდ არა ბოლშევიზმი, მხოლოდ არა ლენინიზმი.

არ შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურა დავუპირისპიროთ პარტიის ხელმძღვანელობას («დიქტატურას»), თუ არსებობს სწორი ურთიერთობა პარტიასა და მუშათა კლასს შორის, ავანგარდსა და მუშათა მასებს შორის. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ მით უფრო არ შეიძლება გავაიგივეოთ პარტია მუშათა კლასთან, პარტიის ხელმძღვანელობა («დიქტატურა») მუშათა კლასის დიქტატუ-

---

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

რასთან. იმ საფუძველზე, რომ არ შეიძლება პარტიის «დიქტატურა» დავუპირისპიროთ პროლეტარიატის დიქტატურას, სორინი მივიდა იმ არასწორ დასკვნამდე, რომ **«პროლეტარიატის დიქტატურა არის ჩვენი პარტიის დიქტატურა».**

მაგრამ ლენინი ლაპარაკობს არა მარტო ასეთი დაპირისპირების შეუწყნარებლობაზე. იგი ამასთან ამბობს, რომ შეუწყნარებელია «ბელადების დიქტატურისათვის მასების დიქტატურის» დაპირისპირება. ხომ არ გნებავთ **ამ საფუძველზე** გააიგივეოთ ბელადების დიქტატურა პროლეტარიატის დიქტატურასთან? თუ ამ გზით წავიდოდით, უნდა გვეთქვა, რომ **«პროლეტარიატის დიქტატურა არის ჩვენი ბელადების დიქტატურა».** კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ სისულელემდე მივყევართ პარტიის «დიქტატურისა» და პროლეტარიატის დიქტატურის გაიგივების პოლიტიკას...

რა აზრს ადგას ამის შესახებ ზინოვიევი?

ზინოვიევი, არსებითად, ადგას იმავე თვალსაზრისს — პროლეტარიატის დიქტატურასთან პარტიის «დიქტატურის» გაიგივების თვალსაზრისს, — რომელსაც ადგას სორინი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სორინი თავის აზრს უფრო პირდაპირ და უფრო გარკვეულად გამოთქვამს, ზინოვიევი კი «თავს იძვრენს». საკმარისია ავიღოთ თუნდაც შემდეგი ადგილი ზინოვიევის წიგნიდან «ლენინიზმი», რომ დავრწმუნდეთ ამაში:

«რა არის, — ამბობს ზინოვიევი, — სსრ კავშირში არსებული წყობილება მისი კლასობრივი შინაარსის თვალსაზრისით? ეს არის პროლეტარიატის დიქტატურა. რა არის ძალაუფლების უშუალო ძარღვი სსრ კავშირში? ვინ ახორციელებს მუშათა კლასის ძალაუფლებას? კომუნისტური პარტია! ამ აზრით ჩვენში[1] პარტიის დიქტატურაა. როგორია ხელისუფლების იურიდიული ფორმა სსრ კავშირში? როგორია სახელმწიფო წყობილების ახალი ტიპი, შექმნილი ოქტომბრის რევოლუციის მიერ? ეს არის საბჭოთა სისტემა. ერთი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მეორეს».

ერთი რომ მეორეს არ ეწინააღმდეგება, ეს, რა თქმა უნდა, მართალია, თუ პარტიის დიქტატურად მთლიანად მუშათა კლასის მიმართ პარტიის ხელმძღვანელობას ვიგულისხმებთ. მაგრამ როგორ შეიძლება ამ საფუძველზე ტოლობის ნიშნის გავლება პროლეტარიატის დიქტატურასა და პარტიის «დიქტატურას» შორის, საბჭოთა სისტემასა და პარტიის «დიქტატურას» შორის? ლენინი აიგივებდა საბჭოების სისტემას პროლეტარიატის დიქტატურასთან, და ის მართალი იყო, ვინაიდან საბჭოები, ჩვენი საბჭოები, წარმოადგენენ პარტიის ხელმძღვანელობით პროლეტარიატის გარშემო მშრომელი

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ვასების შეკავშირების ორგანიზაციას. მაგრამ როდის, სად, თავის რომელ შრომაში სვამდა ლენინი ტოლობის ნიშანს პარტიის «დიქტატურასა» და პროლეტარიატის დიქტატურას შორის, პარტიის «დიქტატურასა» და საბჭოების სისტემას შორის, როგორც ამას ახლა ზინოვიევი სჩადის? პროლეტარიატის დიქტატურას არ ეწინააღმდეგება არა მარტო პარტიის ხელმძღვანელობა («დიქტატურა»), არამედ ბელადების ხელმძღვანელობაც («დიქტატურა»). ხომ არ გნებავთ ამის საფუძველზე გამოვაცხადოთ, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას, ესე იგი პარტიის დიქტატურის ქვეყანას, ესე იგი ბელადების დიქტატურის ქვეყანას? და აკი სწორედ ამ სისულელემდე მივყავართ პროლეტარიატის დიქტატურასთან პარტიის «დიქტატურის» გაიგივების «პრინციპს», რომელსაც ზინოვიევი შეპარვით და გაუბედავად ატარებს.

ლენინის მრავალრიცხოვან შრომებში შევძელი მხოლოდ ხუთი შემთხვევის აღნიშვნა, სადაც ლენინი გაკვრით ეხება პარტიის დიქტატურის საკითხს.

პირველი შემთხვევა — ეს არის კამათი ესერებთან და მენშევიკებთან, სადაც ლენინი ამბობს:

«როდესაც ჩვენ გვისაყვედურებენ ერთი პარტიის დიქტატურას და გვთავაზობენ, როგორც თქვენ გაგეგონებათ, ერთიან სოციალისტურ ფრონტს, ჩვენ ვამბობთ: «დიახ, ერთი პარტიის დიქტატურა! ჩვენ ამას ვადგევართ და ამ ნიადაგს ვერ მოეშორდებით, ვინაიდან ეს ის პარტიაა, რომელმაც ათეული წლების განმავლობაში შოიპოვა მთელი საფაბრიკო-საქარხნო და სამრეწველო პროლეტარიატის ავანგარდის მდგომარეობა»» (იხ. ტ. XXIV, გვ. 423).

მეორე შემთხვევა — ეს არის «წერილი მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო», სადაც ლენინი ამბობს:

«გლეხებს აშინებენ (განსაკუთრებით მენშევიკები და ესერები, ყველანი, მათგან თვით «მემარცხენეებიც») «ერთი პარტიის დიქტატურის», ბოლშევიკ-კომუნისტების პარტიის დიქტატურის საფრთხობელათი.

კოლჩაკის მაგალითზე გლეხებმა ისწავლეს არ შეუშინდნენ საფრთხობელას.

ან მემამულეებისა და კაპიტალისტების დიქტატურა (ე. ი. რკინისებური ძალაუფლება), ან მუშათა კლასის დიქტატურა» (იხ. ტ. XXIV, გვ. 436).

მესამე შემთხვევა — ეს არის ლენინის სიტყვა კომინტერნის II კონგრესზე ტენერთან კამათის დროს. ციტატა ამ სიტყვიდან ზემოთ მოვიყვანე.

მეოთხე შემთხვევა — ეს არის რამდენიმე სტრიქონი ბროშურაში ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში». სათანადო ციტატები უკვე მოყვანილია ზემოთ.

და მეხუთე შემთხვევა — ეს არის პროლეტარიატის დიქტატურის სქემის მონახაზი, გამოქვეყნებული III «ლენინის კრებულში», სადაც არის ქვესათაური სახელწოდებით: «ერთი პარტიის დიქტატურა» (იხ. «ლენინის კრებული» III, გვ. 497).

საჭიროა აღინიშნოს, რომ ხუთიდან ორ შემთხვევაში, უკანასკნელ და მეორე შემთხვევაში, სიტყვებს «ერთი პარტიის დიქტატურა» ლენინი ბრჭყალებში სვამს, რითაც აშკარად ხაზს უსვამს ამ ფორმულის არაზუსტ, გადატანითს აზრს.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ ყველა ამ შემთხვევაში ლენინი «პარტიის დიქტატურად» გულისხმობდა დიქტატურას («რკინისებური ძალაუფლება») «მემამულეებისა და კაპიტალისტების» მიმართ და არა მუშათა კლასის მიმართ, წინააღმდეგ კაუცკისა და კომპანიის ცილისმწამებლური მონაჭორებისა.

დამახასიათებელია, რომ ლენინის **არც ერთ** შრომაში, როგორც ძირითადში, ისე მეორეხარისხოვანში, სადაც იგი განმარტავს ან მხოლოდ იხსენიებს პროლეტარიატის დიქტატურას და პარტიის როლს პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, გაკვრითაც არ არის ნათქვამი, რომ «პროლეტარიატის დიქტატურა არის ჩვენი პარტიის დიქტატურა». პირიქით, ამ შრომების ყოველი გვერდი, ყოველი სტრიქონი ასეთი ფორმულის წინააღმდეგ ღაღადებს (იხ. «სახელმწიფო და რევოლუცია», «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი», ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» და სხვ.).

უფრო მეტად დამახასიათებელია, რომ კომინტერნის II კონგრესის თეზისებში პოლიტიკური პარტიის როლის შესახებ, რომლებიც გამომუშავებულია უშუალოდ ლენინის ხელმძღვანელობით და რომლებზეც ლენინი არა ერთხელ მიუთითებდა თავის სიტყვებში, როგორც პარტიის როლისა და ამოცანების სწორი ფორმულირების ნიმუშზე,—ჩვენ **ერთ სიტყვასაც**, პირდაპირ **ერთ სიტყვასაც კი** ვერ ვპოულობთ პარტიის დიქტატურის შესახებ.

რას მოწმობს ყოველივე ეს?

იმას, რომ:

ა) ლენინს ფორმულა «პარტიის დიქტატურა» არ მიაჩნდა უნაკლო, ზუსტ ფორმულად, რის გამო ლენინი მას მეტად იშვიათად ხმარობს თავის შრომებში და ზოგჯერ ბრჭყალებში სვამს;

ბ) იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ლენინი, მოწინააღმდეგეებთან კამათის დროს, იძულებული იყო ელაპარაკნა პარტიის დიქტატურის შესახებ, ის ჩვეულებრივ ლაპარაკობდა «ერთი პარტიის დიქტატურაზე», ე. ი. იმაზე, რომ ჩვენი პარტია **ერთი** დგას

ხელისუფლების სათავეში, რომ იგი ძალაუფლებას **არ უნაწილებს სხვა** პარტიებს, ამასთან იგი ყოველთვის განმარტავდა, რომ პარტიის დიქტატურად **მუშათა კლასის მიმართ** უნდა ვიგულისხმოთ პარტიის ხელმძღვანელობა, მისი ხელმძღვანელი როლი;

გ) ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ლენინს საჭიროდ მიაჩნდა მეცნიერულად განესაზღვრა პარტიის როლი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, იგი ლაპარაკობდა პარტიის **მხოლოდ და მხოლოდ** ხელმძღვანელ როლზე (ასეთი შემთხვევა კი ათასობითაა) მუშათა კლასის მიმართ;

დ) სწორედ ამიტომ ლენინმა ვერ «მოისაზრა» შეეტანა ძირითად რეზოლუციაში პარტიის როლის შესახებ — მხედველობაში მაქვს კომინტერნის II კონგრესის რეზოლუცია — «პარტიის დიქტატურის» ფორმულა;

ე) ლენინიზმის თვალსაზრისით მართალი არ არიან და პოლიტიკურად ბეცები არიან ის ამხანაგები, რომლებიც აიგივებენ ან ცდილობენ გააიგივეონ პარტიის «დიქტატურა» და, მაშასადამე, «ბელადების დიქტატურაც», პროლეტარიატის დიქტატურასთან, ვინაიდან ამით ისინი არღვევენ ავანგარდისა და კლასის სწორი ურთიერთობის პირობებს.

აღარას ვამბობ იმაზე, რომ ფორმულას «პარტიის დიქტატურა», აღებულს ზემოხსენებული შენიშვნების გარეშე, შეუძლია შექმნას მთელი რიგი საშიშროებანი და პოლიტიკური მინუსები ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში. ამ ფორმულით, თუ იგი უშენიშვნოდ იქნება აღებული, თითქოს უკარნახებენ:

ა) **უპარტიო მასებს:** არ გაბედოთ შედავება, არ გაბედოთ მსჯელობა, ვინაიდან პარტიას ყველაფერი შეუძლია, ვინაიდან ჩვენში პარტიის დიქტატურაა;

ბ) **პარტიულ კადრებს:** იმოქმედეთ უფრო გაბედულად, შეუტიეთ უფრო მაგრად, შეგიძლიათ ყურიც არ ათხოვოთ უპარტიო მასების ხმას, — ჩვენში პარტიის დიქტატურაა;

გ) **პარტიულ ზედაფენებს:** შეგიძლიათ ერთგვარი თვითკმაყოფილების ნება მისცეთ თავს, შეგიძლიათ კიდევაც გაამპარტავნდეთ, ვინაიდან ჩვენში პარტიის დიქტატურაა და, «მაშასადამე», ბელადების დიქტატურაც.

მართებულია გავიხსენოთ ეს საშიშროებანი სწორედ ახლა, მასების პოლიტიკური აქტივობის აღმავლობის პერიოდში, როცა ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია პარტიის მზადყოფნა — გულდასმით დაუგდოს ყური მასების ხმას, როცა ჩვენი პარტიის ძირითად მცნებას წარმოადგენს მასების მოთხოვნილებებისადმი გულის-

ხმიერება, როცა პარტიას მოეთხოვება გამოიჩინოს განსაკუთრებული წინდახედულობა და განსაკუთრებული მოქნილობა პოლიტიკაში, როცა გაამპარტავნების საშიშროება ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საფრთხეა, რომელიც კი დგას პარტიის წინაშე მასების სწორი ხელმძღვანელობის საქმეში.

არ შეიძლება არ მოვიგონოთ ლენინის ოქრო-სიტყვები, რომლებიც მან თქვა ჩვენი პარტიის XI ყრილობაზე:

«ხალხის მასაში ჩვენ (კომუნისტები. ი. სტ.) მაინც წვეთი ვართ ზღვაში, და ჩვენ შეგვიძლია მართვა მხოლოდ მაშინ, როცა სწორად გამოვხატავთ იმას, რაც ხალხს შეუგნია. უამისოდ კომუნისტური პარტია ვერ გაუძღვება პროლეტარიატს, ხოლო პროლეტარიატი ვერ გაიყოლიებს მასებს, და მთელი მანქანა დაიშლება» (იხ. ტ. XXVII, გვ. 256).

«სწორად გამოხატოს ის, რაც ხალხს შეუგნია» — სწორედ ეს არის ის აუცილებელი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს პარტიისათვის პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში ძირითადი ხელმძღვანელი ძალის საპატიო როლს.

VI

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი

ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» (1924 წ. მაისი, პირველი გამოცემა) მოცემულია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის ორი ფორმულირება. პირველ ფორმულირებაში ნათქვამია:

«წინათ ერთ ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვებას შეუძლებლად თვლიდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ბურჟუაზიაზე გამარჯვებისათვის აუცილებელია ყველა მოწინავე ქვეყნის ან, ყოველ შემთხვევაში, ასეთი ქვეყნების უმრავლესობის პროლეტართა ერთად გამოსვლა. ახლა ეს თვალსაზრისი უკვე აღარ შეეფერება სინამდვილეს. ახლა უნდა გამოვდიოდეთ ასეთი გამარჯვების შესაძლებლობიდან, ვინაიდან იმპერიალიზმის ვითარებაში სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნის განვითარების არათანაბარი და ნახტომისებური ხასიათი, იმპერიალიზმის შიგნით კატასტროფულ წინააღმდეგობათა განვითარება, რომლებიც იწვევენ გარდუვალ ომებს, რევოლუციური მოძრაობის ზრდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, — ყოველივე ეს იწვევს ცალკეულ ქვეყნებში პროლეტარიატის გამარჯვების არა მარტო შესაძლებლობას, არამედ აუცილებლობასაც» (იხ. «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ»).

ეს დებულება საკვანძო სწორია, და მას კომენტარები არ ესაჭიროება. იგი მიმართულია სოციალ-დემოკრატების თეორიის წინააღმ-

დეგ, რომლებსაც პროლეტარიატის მიერ ერთ ქვეყანაში ძალაუფლების აღება, თუ ამავე დროს რევოლუციამ სხვა ქვეყნებშიც არ გაიმარჯვა, — უტოპიად მიაჩნიათ.

მაგრამ ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» არის კიდევ მეორე ფორმულირება. იქ ნათქვამია [1]:

«მაგრამ ერთ ქვეყანაში ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა და პროლეტარიატის ძალაუფლების დამყარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალიზმის სრული გამარჯვების უზრუნველყოფას. სოციალიზმის მთავარი ამოცანა — სოციალისტური წარმოების ორგანიზაცია — ჯერ კიდევ წინ არის. შეიძლება თუ არა ამ ამოცანის გადაჭრა, შეიძლება თუ არა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მიღწევა ერთ ქვეყანაში, რამდენიმე მოწინავე ქვეყნის პროლეტარების შეერთებულ ღონისძიებათა გარეშე? არა, არ შეიძლება. ბურჟუაზიის დასამხობად საკმაოა ერთი ქვეყნის ღონისძიებანი, — ამას მოწმობს ჩვენი რევოლუციის ისტორია. სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის, სოციალისტური წარმოების ორგანიზაციისათვის ერთი ქვეყნის ღონისძიებანი, განსაკუთრებით ისეთი გლეხური ქვეყნისა, როგორიც რუსეთია, უკვე საკმაო არ არის, — ამისათვის აუცილებელია რამდენიმე მოწინავე ქვეყნის პროლეტართა ღონისძიებანი» (იხ. «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ», პირველი გამოცემა).

ეს მეორე ფორმულირება მიმართული იყო ლენინიზმის კრიტიკოსების მტკიცების წინააღმდეგ, ტროცკისტების წინააღმდეგ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ერთ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა, სხვა ქვეყნებში გაუმარჯვებლად, ვერ «გაუმკლავდება კონსერვატიულ ევროპას».

ამდენად, — მაგრამ მხოლოდ ამდენად, — ეს ფორმულირება მაშინ (1924 წ. მაისი) საკმარისი იყო, და მან, უეჭველია, ერთგვარი სარგებლობა მოიტანა.

მაგრამ შემდეგ, როდესაც ლენინიზმის კრიტიკა ამ დარგში უკვე დაძლეული იყო პარტიაში და როდესაც დღის წესრიგში დადგა ახალი საკითხი, გარედან დაუხმარებლად, ჩვენი ქვეყნის ძალებით, სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის საკითხი, — მეორე ფორმულირება აღმოჩნდა უკვე აშკარად არასაკმარისი და, ამიტომ, არასწორი.

რაში მდგომარეობს ამ ფორმულირების ნაკლი?

მისი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ერთ საკითხად აკავშირებს ორ სხვადასხვა საკითხს: ერთი ქვეყნის ძალებით სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხს, რაზედაც დადებითი პასუხი უნდა იქნას გაცემული, და საკითხს იმის შესახებ, შეუძლია თუ არა პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას ჩათვალოს თავი სავსებით

[1] ლაპარაკია პირველ გამოცემაზე.

უზრუნველყოფილად ინტერვენციისაგან და, მაშასადამე, ძველი წესების რესტავრაციისაგან, მთელ რიგ სხვა ქვეყნებში რევოლუციის გაუმარჯვებლად, რაზედაც უარყოფითი პასუხი უნდა იქნას გაცემული. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ამ ფორმულირებამ შეიძლება საბაბი მოგვცეს ვიფიქროთ, რომ სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია შეუძლებელია ერთი ქვეყნის ძალებით, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

ამის გამო მე სახე შევუცვალე ამ ფორმულირებას, შევასწორე იგი ჩემს ბროშურაში «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა» (1924 წ. დეკემბერი) და ეს საკითხი გავყავი ორ საკითხად: **ბურჟუაზიული წესების რესტავრაციისაგან სრული გარანტიის** საკითხად და ერთ ქვეყანაში **სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის** საკითხად. ეს მიღწეულ იქნა, ჯერ-ერთი, იმ გზით, რომ «სოციალიზმის სრული გამარჯვება» გაგებულია როგორც «ძველი წესების აღდგენისაგან სრული გარანტია», რაც შესაძლებელია მხოლოდ «რამდენიმე ქვეყნის პროლეტარების საერთო ძალღონით», და, მეორეც, იმ გზით, რომ, თანახმად ლენინის ბროშურისა «კოოპერაციის შესახებ», გამოცხადებულია ის უდავო ჭეშმარიტება, რომ ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც კი აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად (იხ. «ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა») [1].

საკითხის სწორედ ეს ახალი ფორმულირება დაედო საფუძვლად XIV პარტკონფერენციის ცნობილ რეზოლუციას «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანების შესახებ», რომელიც ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხს განიხილავს კაპიტალიზმის სტაბილიზაციასთან დაკავშირებით (1925 წ. აპრილი) და რომელსაც სოციალიზმის აშენება ჩვენი ქვეყნის ძალებით შესაძლებლად და აუცილებლად მიაჩნია.

იგივე დაედო საფუძვლად ჩემს ბროშურას «რკპ(ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის», რომელიც გამოიცა უშუალოდ XIV პარტკონფერენციის შემდეგ, 1925 წლის მაისში.

ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის დასმის შესახებ ამ ბროშურაში ნათქვამია:

«ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს წინააღმდეგობათა ორ ჯგუფს. წინააღმდეგობათა ერთი ჯგუფია შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებობენ (აქ ლაპარაკია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებაზე. ი. სტ.).

---

[1] საკითხის ამ ახალმა ფორმულირებამ შეცვალა შემდეგ მისი ძველი ფორმულირება ბროშურის «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» შემდგომ გამოცემებში.

წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფია საგარეო წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობენ ჩვენს ქვეყანასა, როგორც სოციალიზმის ქვეყანასა, და ყველა დანარჩენ ქვეყნებს, როგორც კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის (აქ ლაპარაკია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაზე. ი. სტ.)»... «ეინც ერთმანეთში ურევს პირველი ჯგუფის წინააღმდეგობებს, რომელთა დაძლევაც სავსებით შესაძლებელია ერთი ქვეყნის ძალღონით, და მეორე ჯგუფის წინააღმდეგობებს, რომელთა გადასაჭრელადაც საჭიროა რამდენიმე ქვეყნის პროლეტარების ძალღონე, — ის ყოვლად უხეშ შეცდომას სჩადის ლენინიზმის წინააღმდეგ, ის ან გზააბნეულია, ან გამოუსწორებელი ოპორტუნისტი» (იხ. «რკპ(ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის»).

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის შესახებ ბროშურაში ნათქვამია:

«ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ სოციალიზმი, და ჩვენ მას ავაშენებთ გლეხობასთან ერთად, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით»... ეინაიდან «პროლეტარიატის დიქტატურის დროს ჩვენ... გვაქვს ყველა მონაცემი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ავაშენოთ სრული სოციალისტური საზოგადოება, დაეძლიოთ ყველა და ყოველგვარი შინაგანი სიძნელენი, ეინაიდან ჩვენ შეგვიძლია დაეძლიოთ და კიდევაც უნდა დაეძლიოთ ისინი ჩვენი საკუთარი ძალებით» (იხ. იქვე).

სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების საკითხის შესახებ იქ ნათქვამია:

«სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება არის სრული გარანტია ინტერვენციის და, მაშასადამე, რესტავრაციის ცდებისაგან, ეინაიდან რესტავრაციის რამდენადმე მაინც სერიოზული ცდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ გარედან სერიოზული დახმარებით, მხოლოდ საერთაშორისო კაპიტალის დახმარებით. ამიტომ ჩვენი რევოლუციისადმი ყველა ქვეყნის მუშების დახმარება, და მით უმეტეს ამ მუშების გამარჯვება თუნდაც რამდენიმე ქვეყანაში, წარმოადგენს იმის აუცილებელ პირობას, რომ პირველი გამარჯვებული ქვეყანა სავსებით გარანტირებული იყოს ინტერვენციისა და რესტავრაციის ცდებისაგან, წარმოადგენს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების აუცილებელ პირობას» (იხ. იქვე).

ვგონებ, ნათელია.

ცნობილია, რომ ამნაირადვეა განმარტებული ეს საკითხი ჩემს ბროშურაში «კითხვა-პასუხი» (1925 წ. ივნისი) და ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე (1925 წ. დეკემბერი).

ასეთია ფაქტები.

მე ვფიქრობ, რომ ამ ფაქტებს იცნობს ყველა ამხანაგი, მათ შორის ზინოვიევიც.

თუ ახლა, როცა თითქმის ორი წელიწადი გავიდა პარტიაში იდეური ბრძოლისა და XIV პარტკონფერენციაზე მიღებული რეზოლუციის შემდეგ (1925 წ. აპრილი), ზინოვიევს შესაძლებლად მიაჩნია თავის საბოლოო სიტყვაში XIV პარტყრილობაზე (1925 წ. დეკემბერი) გამოქექოს, როგორც ბაზა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გა-

მარჯვების უკვე გადაწყვეტილი საკითხის გადასაწყვეტად, ძველი, სრულიად არასაკმარისი ფორმულა სტალინის ბროშურიდან, რომელიც დაიწერა 1924 წლის აპრილში, — ზინოვიევის ეს თავისებური მანერა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ის საბოლოოდ დაიბნა ამ საკითხში. უკან ეწეოდე პარტიას, მას შემდეგ რაც ის წინ წავიდა, გვერდს უვლიდე XIV პარტკონფერენციის რეზოლუციას, მას შემდეგ რაც ის დაადასტურა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, — ეს ნიშნავს უიმედოდ ჩაეფლო წინააღმდეგობებში, არ გწამდეს სოციალიზმის მშენებლობის საქმე, გადაუხვიო ლენინის გზას და აღიარო საკუთარი დამარცხება.

რა არის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა?

ეს არის ჩვენი ქვეყნის შინაგანი ძალებით პროლეტარიატსა და გლეხობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა გადაჭრის შესაძლებლობა, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების და ჩვენს ქვეყანაში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ამ ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობა, სხვა ქვეყნების პროლეტარების თანაგრძნობითა და მხარდაჭერით, მაგრამ სხვა ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციის წინასწარ გაუმარჯვებლად.

ასეთი შესაძლებლობის გარეშე სოციალიზმის მშენებლობა არის მშენებლობა უპერსპექტივოდ, მშენებლობა სოციალიზმის აშენების რწმენის უქონლად. არ შეიძლება სოციალიზმის შენება, თუ დარწმუნებული არა ხარ, რომ მისი აშენება შესაძლებელია, თუ დარწმუნებული არა ხარ, რომ ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობა არ წარმოადგენს დაუძლეველ დაბრკოლებას სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის. ასეთი შესაძლებლობის უარყოფა არის სოციალიზმის მშენებლობის საქმისადმი ურწმენობა, ლენინიზმისაგან ჩამოშორება.

რა არის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის სრული, საბოლოო გამარჯვების შეუძლებლობა სხვა ქვეყნებში რევოლუციის გაუმარჯვებლად?

ეს არის ინტერვენციისაგან და, მაშასადამე, ბურჟუაზიული წესების რესტავრაციისაგან სრული გარანტიის შეუძლებლობა, თუ რევოლუციამ რამდენიმე ქვეყანაში მაინც არ გაიმარჯვა. ამ უდავო დებულების უარყოფა არის ინტერნაციონალიზმისაგან ჩამოშორება, ლენინიზმისაგან ჩამოშორება.

«ჩვენ ვცხოვრობთ, — ამბობს ლენინი, — არა მარტო სახელმწიფოში, არამედ სახელმწიფოთა სისტემაშიც, და საბჭოთა რესპუბლიკის ხანგრძლივად არსებობა იმპერიალისტური სახელმწიფოების გვერდით წარმოუდგენელია. ბოლოს და ბო-

ლოს ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე. ხოლო ვიდრე ეს ბოლო დადგებოდეს, აუცილებელია მთელი რიგი უსაშინელესი შეტაკებანი საბჭოთა რესპუბლიკასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ გაბატონებულმა კლასმა, პროლეტარიატმა, თუკი მას სურს იბატონოს და თუ იგი იბატონებს, ეს უნდა დაამტკიცოს თავისი სამხედრო ორგანიზაციითაც» (იხ. ტ. XXIV, გვ. 122).

«ჩვენს წინაშე არის, — ამბობს ლენინი მეორე ადგილას, — უაღრესად მერყეები, ბაგრამ მაინც უეჭველი, უდავო ერთგვარი წონასწორობა. დიდი ხნით არის ეს თუ არა — არ ვიცი, და ვფიქრობ, რომ ამის ცოდნა არ შეიძლება. ამიტომ ჩვენი ბრძოლა უდიდესი სიფრთხილეა საჭირო, და ჩვენი პოლიტიკის პირველი მცნება, პირველი გაკვეთილი, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი ერთი წლის სამთავრობო მოღვაწეობიდან, გაკვეთილი, რომელიც უნდა შეითვისოს ყველა მუშამ და გლეხმა, არის — ვიყოთ ფხიზლად, გვახსოვდეს, რომ გარშემორტყმული ვართ ადამიანებით, კლასებით, მთავრობებით, რომლებიც აშკარად გამოხატავენ უდიდეს სიძულვილს ჩვენდამი. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ შემოსევას ჩვენ მუდამ ბეწვზე ვართ დაშორებული» (იხ. ტ. XXVII, გვ. 117).

ვგონებ, ნათელია.

რას ფიქრობს ზინოვიევი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხზე?

მოუსმინეთ:

«სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებად უნდა ვგულისხმობდეთ, ყოველ შემთხვევაში: 1) კლასების მოსპობას და, მაშასადამე, 2) ერთი კლასის დიქტატურის, ამ შემთხვევაში პროლეტარიატის დიქტატურის გაუქმებას»... «კიდევ უფრო ზუსტად რომ გავერკვეთ იმაში, — ამბობს შემდეგ ზინოვიევი, — თუ როგორ დგას საკითხი ჩვენში, სსრ კავშირში, 1925 წელს, უნდა განვასხვაოთ ორი რამ: 1) სოციალიზმის შენების უზრუნველყოფილი შესაძლებლობა, — სოციალიზმის შენების ასეთი შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, სავსებით შეიძლება წარმოვიდგინოთ ერთი ქვეყნის ფარგლებშიც, და 2) სოციალიზმის საბოლოო აშენება და განმტკიცება, ე. ი. სოსოციალისტური წყობილების, სოციალისტური საზოგადოების განხორციელება».

რას შეიძლება ნიშნავდეს ყოველივე ეს?

იმას, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ზინოვიევს ესმის არა როგორც გარანტია ინტერვენციისა და რესტავრაციისაგან, არამედ როგორც სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობა. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება კი ზინოვიევს ესმის როგორც სოციალიზმის ისეთი მშენებლობა, რომელიც ვერ მიგვიყვანს და ვერც უნდა მიგვიყვანოს სოციალიზმის აშენებამდე. მშენებლობა ალალბედზე, უპერსპექტივოდ, სოციალიზმის მშენებლობა, როდესაც სოციალისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია, — ასეთია ზინოვიევის პოზიცია.

სოციალიზმის შენება მისი აშენების შესაძლებლობის გარეშე. შენება, როცა იცი, რომ ვერ ააშენებ, — აი რა შეუსაბამობამდე მივიდა ზინოვიევი.

მაგრამ ეს ხომ საკითხის აბუჩად აგდებაა, და არა საკითხის გადაჭრა!

აი კიდევ ერთი ადგილი ზინოვიევის საბოლოო სიტყვიდან XIV პარტყრილობაზე:

«დახეთ ერთი, სადამდე მივიდა, მაგალითად, ამხ. იაკოველევი თავის სიტყვაში კურსკის უკანასკნელ საგუბერნიო პარტკონფერენციაზე. «შეგვიძლია თუ არა ერთ ქვეყანაში, — აყენებს იგი კითხვას, — როდესაც ყოველმხრივ გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტი მტრებით, შეგვიძლია თუ არა ასეთ პირობებში ავაშენოთ სოციალიზმი ერთ ქვეყანაში?». და უპასუხებს: «ყოველივე ნათქვამის საფუძველზე უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენ არა მარტო ვაშენებთ სოციალიზმს, არამედ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით მარტონი ვართ, რომ ჩვენ ჯერჯერობით მსოფლიოში ერთადერთი საბჭოთა ქვეყანა, საბჭოთა სახელმწიფო ვართ, — ჩვენ ამ სოციალიზმს ავაშენებთ» (1925 წ. 8 დეკემბრის, «კურსკაია პრავდა», № 279). **განა ეს საკითხის ლენინური დაყენებაა, კითხულობს ზინოვიევი, განა ამახ ნაციონალური შეზღუდულობის სუნი არ უდის»** 1.

ამრიგად, ზინოვიევის აზრით გამოდის, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის აღიარება ნიშნავს ნაციონალური შეზღუდულობის თვალსაზრისზე დადგომას, ხოლო ასეთი შესაძლებლობის უარყოფა ნიშნავს ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისზე დადგომას.

მაგრამ თუ ეს სწორია, — განა ღირს საერთოდ ბრძოლა ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე გასამარჯვებლად? განა აქედან არ გამომდინარეობს, რომ ასეთი გამარჯვება შეუძლებელია?

კაპიტულაცია ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების წინაშე — აი სადამდე მივყავართ ზინოვიევის არგუმენტაციის შინაგან ლოგიკას.

და ამ შეუსაბამობას, რომელსაც ლენინიზმთან საერთო არა აქვს რა, ზინოვიევი გვაწვდის როგორც «ინტერნაციონალიზმს», როგორც «ასპროცენტიან ლენინიზმს»!

მე ვამტკიცებ, რომ უმნიშვნელოვანეს საკითხში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ ზინოვიევი შორდება ლენინიზმს და მენშევიკ სუხანოვის თვალსაზრისზე დგება.

მივმართოთ ლენინს. აი რას ამბობს ის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, 1915 წლის აგვისტოში:

«ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტა-

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ლისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ [1], დაუპირისპირდებოდა დანარჩენ, კაპიტალისტურ სამყაროს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების ჩაგრულ კლასებს, ააჯანყებდა მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ» (იხ. ტ. XVIII, გვ. 232—233).

რას ნიშნავს ლენინის ხაზგასმული ფრაზა: «თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ»? ეს ნიშნავს, რომ გამარჯვებული ქვეყნის პროლეტარიატს შეუძლია და იგი მოვალეცაა მოაწყოს თავის ქვეყანაში, ძალაუფლების აღების შემდეგ, სოციალისტური წარმოება. ხოლო რას ნიშნავს «სოციალისტური წარმოების მოწყობა»? ეს ნიშნავს სოციალისტური საზოგადოების აშენებას. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ლენინის ამ ნათელ და გარკვეულ დებულებას შემდგომი კომენტარები არა სჭირდება. წინაალმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ლენინის მოწოდება, რომ პროლეტარიატს ძალაუფლება აეღო 1917 წლის ოქტომბერში.

თქვენ ხედავთ, რომ ლენინის ეს ნათელი დებულება, როგორც ცადედამიწისაგან, ისე განსხვავდება ზინოვიევის აბნეული და ანტილენინური «დებულებისაგან» იმის შესახებ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ სოციალიზმი «ერთი ქვეყნის ფარგლებში», როცა მისი აშენება შეუძლებელია.

ლენინმა ეს თქვა 1915 წელს, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღებამდე. მაგრამ იქნებ მას შეეცვალა შეხედულებანი ძალაუფლების აღების გამოცდილების შემდეგ, 1917 წლის შემდეგ? მივმართოთ ლენინის ბროშურას «კოოპერაციის შესახებ», რომელიც დაწერილია 1923 წელს.

«მართლაც, — ამბობს ლენინი, — სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოების ყველა მსხვილ საშუალებაზე, სახელმწიფოს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ პროლეტარიატის კავშირი მრავალ მილიონ წვრილ და უწვრილეს გლეხთან, გლეხობის მიმართ ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა და სხვ., — განა ეს არ არის ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კოოპერაციისაგან, მარტოოდენ კოოპერაციისაგან, რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით, როგორც ჩარჩულს, და რომელიც ერთგვარად უფლება გვაქვს აბუჩად ავიგდოთ ახლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროსაც, განა ეს არ არის ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის? [1] ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალისტური საზოგადოების აშენება, მაგრამ ეს არის ყველაფერი, რაც აუცილებელი და საკმაოა ამ აშენებისათვის» [1] (იხ. ტ. XXVII, გვ. 392).

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

სხვანაირად რომ ვთქვათ: ჩვენ შეგვიძლია და უნდა ავაშენოთ სრული სოციალისტური საზოგადოება, ვინაიდან ჩვენს განკარგულებაშია ყველაფერი, რაც აუცილებელი და საკმარისია ამ აშენებისათვის.

ვფიქრობ, რომ ძნელია აზრის უფრო ნათლად გამოთქმა.

შეადარეთ ლენინის ეს კლასიკური დებულება ზინოვიევის ანტილენინურ გალაშქრებას იაკოვლევის წინააღმდეგ და გაიგებთ, რომ იაკოვლევმა მხოლოდ გაიმეორა ლენინის სიტყვები ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ, ზინოვიევი კი, რომელიც გამოდის ამ დებულების წინააღმდეგ და ამათრახებს იაკოვლევს, ჩამოშორდა ლენინს და დადგა მენშევიკ სუხანოვის თვალსაზრისზე, ჩვენს ქვეყანაში, მისი ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო, სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის თვალსაზრისზე.

ოღონდ გაუგებარია, რისთვის ვიღებდით ძალაუფლებას 1917 წლის ოქტომბერში, თუ სოციალიზმის აშენების იმედი არა გვქონდა?

არ უნდა აგვეღო ძალაუფლება 1917 წლის ოქტომბერში — აი რა დასკვნამდე მივყევართ ზინოვიევის არგუმენტაციის შინაგან ლოგიკას.

შემდეგ, მე ვამტკიცებ, რომ უმნიშვნელოვანეს საკითხში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ზინოვიევი წავიდა ჩვენი პარტიის გარკვეულ გადაწყვეტილებათა **წინააღმდეგ**, რომლებიც აღბეჭდილია XIV პარტკონფერენციის ცნობილ რეზოლუციაში «კომინტერნისა და რკპ(ბ) ამოცანებზე კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმთან დაკავშირებით».

მივმართოთ ამ რეზოლუციას. აი რა არის იქ ნათქვამი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ:

«ერთიმეორის პირდაპირ საწინააღმდეგო ორი საზოგადოებრივი სისტემის არსებობა იწვევს კაპიტალისტური ბლოკადის, ეკონომიური ზეგავლენის სხვა ფორმების, შეიარაღებული ინტერვენციის, რესტავრაციის მუდმივ საფრთხეს. მაშასადამე, **სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების** ერთადერთ გარანტიას, ე. ი. **გარანტიას რესტავრაციისაგან** [1], წარმოადგენს ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია მთელ რიგ ქვეყნებში...» «ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალიზმის **საბოლოო** გამარჯვება, ბურჟუაზიული ურთიერთობის **რესტავრაციისაგან სრული გარანტიის აზრით** [1], შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით...» «**აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს** [1], რომ შეუძლებელია **სრული სოციალისტური საზოგადოების** [1] აშენება ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი, გარეშე «**სახელმწიფოებრივი დახმარებისა**» (ტროცკი) ტექნიკურ-ეკონომიურად **უფრო** განვითარებული ქვეყნების მხრივ» (იხ. რეზოლუცია).

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

თქვენ ხედავთ, რომ რეზოლუცია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას განმარტავს, როგორც გარანტიას ინტერვენციისა და რესტავრაციისაგან, — რაც სავსებით ეწინააღმდეგება ზინოვიევის მიერ მის წიგნში — «ლენინიზმში» მოცემულ განმარტებას.

თქვენ ხედავთ, რომ რეზოლუცია აღიარებს სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობას ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი, ტექნიკურ-ეკონომიურად უფრო განვითარებული ქვეყნების «სახელმწიფოებრივი დახმარების» გარეშე, — რაც სავსებით ეწინააღმდეგება ზინოვიევის სულ სხვა მტკიცებას მის საბოლოო სიტყვაში XIV პარტყრილობაზე, სადაც მან გაილაშქრა იაკოვლევის წინააღმდეგ.

რა უნდა ვუწოდოთ ამას, თუ არ ზინოვიევის ბრძოლა XIV პარტკონფერენციის რეზოლუციის წინააღმდეგ?

რა თქმა უნდა, პარტიული რეზოლუციები ზოგჯერ უცოდველი არ არის. ხდება ხოლმე, რომ პარტიული რეზოლუციები შეიცავენ შეცდომებს. საერთოდ რომ ვთქვათ, შეიძლება დავუშვათ, რომ XIV პარტკონფერენციის რეზოლუციაც შეიცავს ზოგიერთ შეცდომას. შესაძლოა, ზინოვიევი ამ რეზოლუციას შემცდარად თვლის. მაგრამ მაშინ ეს უნდა ითქვას გარკვევით და აშკარად, როგორც ბოლშევიკს შეჰშვენის. ზინოვიევი კი რატომღაც გაურბის ამას. მან ამჯობინა აერჩია სხვა გზა: ზურგიდან მიეტანა იერიშები XIV პარტკონფერენციის რეზოლუციაზე, ამავე დროს არაფერი ეთქვა ამ რეზოლუციის შესახებ და სრულიად არ გამოსულიყო ამ რეზოლუციის რაიმე აშკარა კრიტიკით. როგორც ჩანს, ზინოვიევი ფიქრობს, რომ ეს გზა ყველაზე უკეთ აღწევს მიზანს. მიზანი კი მას ერთი აქვს — «გააუმჯობესოს» რეზოლუცია და «ცოტაოდნად» შეასწოროს ლენინი. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ზინოვიევი ანგარიშში მოტყუვდა.

საიდან მომდინარეობს ზინოვიევის შეცდომა? სად არის ამ შეცდომის ფესვი?

ჩემი აზრით, ამ შეცდომის ფესვს შეადგენს ზინოვიევის რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობა წარმოადგენს სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების დაუძლეველ დაბრკოლებას, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია სოციალიზმის აშენება ჩვენი ქვეყნის ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო. ზინოვიევმა და კამენევმა ერთ დროს სცადეს ამ არგუმენტით გამოსვლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე აპრილის პარტკონფერენციის წინ. მაგრამ მათ შესაფერი პასუხი მიიღეს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, ფორმალურად დაემორჩილნენ საწი-

ნააღმდეგო თვალსაზრისს, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის თვალსაზრისს. მაგრამ ზინოვიევი, ფორმალურად დაემორჩილა რა ამ თვალსაზრისს, მუდამ განაგრძობდა მის წინააღმდეგ ბრძოლას. აი რას ამბობს რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში მომხდარი ამ «ინციდენტის» შესახებ ჩვენი პარტიის მოსკოვის კომიტეტი თავის «პასუხში» ლენინგრადის საგუბერნიო პარტკონფერენციის წერილზე:

«არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც კამენევი და ზინოვიევი პოლიტბიუროში იცავდნენ იმ თვალსაზრისს, თითქოს ჩვენ თავს ვერ გავართმევთ შინაგან სიძნელეებს ჩვენი ტექნიკური და ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო, თუ საერთაშორისო რევოლუციამ არ გვიხსნა. ჩვენ კი, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია ვაშენოთ სოციალიზმი, ვაშენებთ მას და ავაშენებთ კიდეც, მიუხედავად და წინააღმდეგ ჩვენი ტექნიკური ჩამორჩენილობისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მშენებლობა იწარმოებს, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე მსოფლიო გამარჯვების პირობებში, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ წინ მივდივართ და ვიკლით. სწორედ ასევე ვფიქრობთ, რომ კამენევისა და ზინოვიევის თვალსაზრისი გამოხატავს ურწმენობას ჩვენი მუშათაკლასისა და მისი წინამძღოლობით მიმავალი გლეხთა მასების შინაგანი ძალებისადმი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თვალსაზრისი ლენინური პოზიციისაგან ჩამოშორებაა» (იხ. «პასუხი»).

ეს დოკუმენტი პრესაში გამოქვეყნდა XIV პარტყრილობის პირველი სხდომების დროს. ზინოვიევს, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა ჰქონდა ჯერ კიდევ ყრილობაზე გამოსულიყო ამ დოკუმენტის წინააღმდეგ. დამახასიათებელია, რომ ზინოვიევმა და კამენევმა ვერ იპოვეს არგუმენტები ჩვენი პარტიის მოსკოვის კომიტეტის მიერ მათ მიმართ წაყენებული ამ მძიმე ბრალდების წინააღმდეგ. შემთხვევითია თუ არა ეს? მე ვფიქრობ, რომ არ არის შემთხვევითი. ბრალდება, როგორც ჩანს, მიზანში მოხვდა. ზინოვიევმა და კამენევმა ამ ბრალდებას დუმილით «უპასუხეს» იმიტომ, რომ არაფრით შეეძლოთ მისი «გაბათილება».

«ახალ ოპოზიციას» სწყინს, რომ ზინოვიევს ბრალს სდებენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების საქმისადმი ურწმენობაში. მაგრამ თუ ზინოვიევი, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის მთელი წლის მანძილზე განხილვის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ზინოვიევის თვალსაზრისი უკუგდებულ იქნა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ (1925 წ. აპრილი), მას შემდეგ, რაც ამ საკითხის შესახებ უკვე ჩამოყალიბდა პარტიის გარკვეული აზრი, რაც აღბეჭდილია XIV პარტკონფერენციის (1925 წ. აპრილი) ცნობილ რეზოლუციაში, თუ ყოველივე ამის შემდეგ ზინოვიევი ბედავს გამოვიდეს თავის წიგნში «ლენინიზმი» (1925 წ. სექტემბერი) პარტიის თვალსაზრისის წინააღმდეგ, თუ

იგი შემდეგ იმეორებს ამ გამოსვლას XIV ყრილობაზე, — მაშინ რით უნდა აიხსნას ყოველივე ეს, ეს ჯიუტობა, ეს დაჟინება თავისი შეცდომის დაცვაში, თუ არა იმით, რომ ზინოვიევი დაავადებულია, უიმედოდ დაავადებულია ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების საქმისადმი ურწმენობით?

ზინოვიევს ნებაეს ეს თავისი ურწმენობა ინტერნაციონალიზმად გაასაღოს. მაგრამ როდის აქეთ არის, რომ ლენინიზმის კარდინალურ საკითხში ლენინიზმისაგან ჩამოშორება ინტერნაციონალიზმად საღდება ჩვენში?

განა უფრო სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ პარტია კი არა, არამედ ზინოვიევი ცოდავს აქ ინტერნაციონალიზმისა და საერთაშორისო რევოლუციის წინააღმდეგ? ვინაიდან რას წარმოადგენს ჩვენი ქვეყანა, «სოციალიზმის მშენებლობის» ქვეყანა, თუ არა მსოფლიო რევოლუციის ბაზას? მაგრამ შეუძლია თუ არა მას იყოს მსოფლიო რევოლუციის ნამდვილი ბაზა, თუ მას არ ძალუძს სოციალისტური საზოგადოების აშენება? შეუძლია თუ არა მას დარჩეს იმ უდიდეს მიმზიდველ ცენტრად ყველა ქვეყნის მუშებისათვის, როგორიც ის ახლა უეჭველად არის, თუ მას არა აქვს უნარი მიაღწიოს თავის ქვეყანაში გამარჯვებას ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე, მიაღწიოს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებას? მე ვფიქრობ, რომ არ შეუძლია. მაგრამ განა აქედან არ გამომდინარეობს, რომ სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისადმი ურწმენობა და ამ ურწმენობის ქადაგება იწვევს ჩვენი ქვეყნის როგორც მსოფლიო რევოლუციის ბაზის სახელის გატეხას, ხოლო ჩვენი ქვეყნის სახელის გატეხა იწვევს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის შესუსტებას? რითი აფრთხობდნენ ჩვენგან მუშებს ბ-ნი სოციალ-დემოკრატები? იმის ქადაგებით, რომ «რუსებს არაფერი გამოუვათო». რითი ვამარცხებთ ახლა სოციალ-დემოკრატებს და ვიზიდავთ მუშათა დელეგაციების მთელ წყებებს და ამით ვამაგრებთ კომუნიზმის პოზიციებს მთელ მსოფლიოში? ჩვენი წარმატებებით სოციალიზმის მშენებლობაში. მაგრამ ამის შემდეგ განა ცხადი არ არის, რომ, ვინც ქადაგებს ურწმენობას ჩვენი წარმატებებისადმი სოციალიზმის მშენებლობაში, ის არაპირდაპირ ეხმარება სოციალ-დემოკრატებს, ის ასუსტებს საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გაქანებას, ის აუცილებლად შორდება ინტერნაციონალიზმს?..

თქვენ ხედავთ, რომ ზინოვიევის «ინტერნაციონალიზმი» არაფრით არ არის უკეთესი მის «ასპროცენტიან ლენინიზმზე» ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხში.

ამიტომ XIV პარტყრილობა სწორად მოიქცა, როდესაც მან «ახალი ოპოზიციის» შეხედულებანი განსაზღვრა როგორც «სოციალიზმის მშენებლობის საქმისადმი ურწმენობა» და «ლენინიზმის დამახინჯება».

VII

ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის

მე ვფიქრობ, რომ სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისადმი ურწმენობა წარმოადგენს «ახალი ოპოზიციის» ძირითად შეცდომას. ეს შეცდომა, ჩემი აზრით, იმიტომ არის ძირითადი, რომ აქედან წარმოსდგება «ახალი ოპოზიციის» ყველა დანარჩენი შეცდომა. «ახალი ოპოზიციის» შეცდომები ახალი ეკონომიური პოლიტიკის, სახელმწიფო კაპიტალიზმის, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ბუნების, პროლეტარიატის დიქტატურის დროს კოოპერაციის როლის, კულაკობასთან ბრძოლის მეთოდების, საშუალო გლეხობის როლისა და ხვედრითი წონის საკითხებში, — ყველა ეს შეცდომა წარმოსდგება ოპოზიციის ძირითადი შეცდომიდან, ჩვენი ქვეყნის ძალებით სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობისადმი ურწმენობიდან.

რა არის ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისადმი ურწმენობა?

ეს არის, უწინარეს ყოვლისა, იმის რწმენის უქონლობა, რომ გლეხობის ძირითად მასებს, ჩვენი ქვეყნის განვითარების განსაზღვრული პირობების გამო, შეუძლიათ ჩაებან სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

მეორეც, ეს არის იმის რწმენის უქონლობა, რომ ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატს, რომლის განკარგულებაშიც არის სახალხო მეურნეობის მბრძანებელი მწვერვალები, შესწევს უნარი ჩააბას გლეხობის ძირითადი მასები სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ამ დებულებებიდან მდუმარედ გამოდის ოპოზიცია ჩვენი განვითარების გზების შესახებ მსჯელობის დროს, — სულ ერთია, შეგნებულად ᲗᲩᲐᲓᲘᲡ ამას იგი თუ შეუგნებლად.

შეიძლება თუ არა საბჭოთა გლეხობის ძირითადი მასის ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში?

ბროშურაში «ლენინიზმის საფუძვლების შესახებ» ამ საკითხზე ორი ძირითადი დებულებაა მოყვანილი:

1) «არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ საბჭოთა კავშირის გლეხობა და დასავლეთის გლეხობა. გლეხობა, რომელსაც გაუელია სამი რევოლუციის სკოლა, რომელიც იბრძოდა მეფისა და ბურჟუაზიული ხელისუფლების წინააღმდეგ პროლეტარიატთან ერთად და პროლეტარიატის მეთაურობით, გლეხობა, რომელმაც პროლეტარული რევოლუციის ხელით მიიღო მიწა და ზავი და ამის გამო პროლეტარიატის რეზერვი გახდა, — ეს გლეხობა არ შეიძლება არ განსხვავდებოდეს იმ გლეხობისაგან, რომელიც ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ლიბერალური ბურჟუაზიის მეთაურობით იბრძოდა, რომელმაც ამ ბურჟუაზიის ხელით მიიღო მიწა და ამის გამო ბურჟუაზიის რეზერვი გახდა. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ საბჭოთა გლეხობა, რომელიც მიჩვეულია პროლეტარიატთან პოლიტიკური მეგობრობისა და პოლიტიკური თანამშრომლობის დაფასებას და რომელმაც თავისუფლება მიიღო ამ მეგობრობისა და ამ თანამშრომლობის მეოხებით, — არ შეიძლება არ შეადგენდეს განსაკუთრებით ხელსაყრელ მასალას პროლეტარიატთან ეკონომიური თანამშრომლობისათვის».

2) «არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ რუსეთის სოფლის მეურნეობა და დასავლეთის სოფლის მეურნეობა. იქ სოფლის მეურნეობის განვითარება მიმდინარეობს კაპიტალიზმის ჩვეულებრივი ხაზით, გლეხობის ლრმა დაფერენციაციის პირობებში, მსხვილი მამულებით და კერძო-კაპიტალისტური ლატიფუნდიებით ერთ პოლუსზე, ხოლო პაუპერიზმით, სიღატაკითა და დაჭირავებული მონობით — მეორეზე. ამის გამო იქ სავსებით ბუნებრივია რღვევა და დაშლა. სულ სხვაა რუსეთში. ჩვენში სოფლის მეურნეობის განვითარება ამ გზით ვერ წავა თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობა და წარმოების ძირითად იარაღთა და საშუალებათა ნაციონალიზაცია გამორიცხავენ ასეთ განვითარებას. რუსეთში სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა წავიდეს სხვა გზით, მილიონობით წვრილი და საშუალო გლეხების კოოპერირების გზით, სოფლად მასობრივი კოოპერაციის განვითარების გზით, რასაც სახელმწიფო ხელს უწყობს შეღავათიანი კრედიტის მიწოდებით. ლენინმა მართებულად აღნიშნა სტატიებში კოოპერაციის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენში უნდა წავიდეს ახალი გზით, კოოპერაციის მეოხებით სოციალისტურ მშენებლობაში გლეხთა უმრავლესობის ჩაბმის გზით, სოფლის მეურნეობაში კოლექტივიზმის საფუძველთა თანდათანობითი დანერგვის გზით, ჯერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების დარგში, ხოლო შემდეგ — მათი წარმოების დარგში...

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ გლეხობის უდიდესი უმრავლესობა ხალისით დაადგება განვითარების ამ ახალ გზას და უკუაგდებს კერძო-კაპიტალისტური ლატიფუნდიებისა და დაქირავებული მონობის გზას, სიღატაკისა და გაჩანაგების გზას».

სწორია თუ არა ეს დებულებანი?

მე ვფიქრობ, რომ ორივე ეს დებულება სწორი და უდავოა მთელი ჩვენი აღმშენებლობითი პერიოდისათვის ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში.

ეს დებულებანი მხოლოდ გამოხატულებაა ლენინის ცნობილი თეზისებისა პროლეტარიატის და გლეხობის კავშირის შესახებ, ქვეყნის სოციალისტური განვითარების სისტემაში გლეხურ მეურნეობათა მოქცევის შესახებ, იმის შესახებ, რომ პროლეტარიატი

უნდა მიდიოდეს სოციალიზმისაკენ გლეხობის ძარითად მასებთან ერთად, იმის შესახებ, რომ გლეხობის მილიონნიანი მასების კოოპერირება წარმოადგენს სოფლად სოციალისტური მშენებლობის მთავარ გზას, რომ ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის ზრდის დროს «კოოპერაციის უბრალო ზრდა ჩვენთვის იგივეა... რაც სოციალიზმის ზრდა» (იხ. ტ. XXVII, გვ. 396).

მართლაც, რა გზით შეიძლება წავიდეს და უნდა წავიდეს გლეხური მეურნეობის განვითარება ჩვენს ქვეყანაში?

გლეხური მეურნეობა კაპიტალისტური მეურნეობა არ არის. გლეხური მეურნეობა, თუ გლეხურ მეურნეობათა უდიდეს უმრავლესობას ავიღებთ, არის წვრილსასაქონლო მეურნეობა. ხოლო რა არის წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობა? ეს ისეთი მეურნეობაა, რომელიც დგას გზაჯვარედინზე კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შუა. მას შეუძლია განვითარდეს კაპიტალიზმის მიმართულებითაც, როგორც ეს ახლა კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდება, და სოციალიზმის მიმართულებითაც, როგორც ეს უნდა მოხდეს ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში, პროლეტარიატის დიქტატურის დროს.

საიდან წარმოსდგება გლეხური მეურნეობის ასეთი მერყეობა, ასეთი არადამოუკიდებლობა? რით აიხსნება ეს?

ეს აიხსნება გლეხურ მეურნეობათა დაქსაქსულობით, მათი არაორგანიზებულობით, იმით, რომ ისინი დამოკიდებული არიან ქალაქზე, ინდუსტრიაზე, საკრედიტო სისტემაზე, ქვეყანაში არსებული ძალაუფლების ხასიათზე, ბოლოს, იმ საყოველთაოდ ცნობილი დებულებით, რომ სოფელი მიჰყვება და უნდა მიჰყვებოდეს ქალაქს როგორც მატერიალურად, ისე კულტურულად.

გლეხური მეურნეობის განვითარების კაპიტალისტური გზა ნიშნავს განვითარებას გლეხობის უღრმესი დიფერენციაციის მეშვეობით, როდესაც ერთ პოლუსზე ვხედავთ დიდ ლატიფუნდიებს და მეორეზე — მასობრივ გაღატაკებას. განვითარების ასეთი გზა აუცილებელია კაპიტალისტურ ქვეყნებში, იმიტომ რომ სოფელი, გლეხური მეურნეობა დამოკიდებულია ქალაქზე, ინდუსტრიაზე, ქალაქში კონცენტრირებულ კრედიტზე, ძალაუფლების ხასიათზე, ქალაქში კი გამეფებულია ბურჟუაზია, კაპიტალისტური მრეწველობა, კაპიტალისტური საკრედიტო სისტემა, კაპიტალისტური სახელმწიფო ძალაუფლება.

სავალდებულოა თუ არა გლეხურ მეურნეობათა განვითარების ეს გზა ჩვენს ქვეყანაში, სადაც ქალაქს სულ სხვა სახე აქვს, სადაც ინდუსტრია პროლეტარიატის ხელშია, სადაც ტრანსპორტი, საკრედიტო სისტემა, სახელმწიფო ძალაუფლება და სხვ. თავმოყრილია

პროლეტარიატის ხელში, სადაც მიწის ნაციონალიზაცია საყოველთაო კანონს წარმოადგენს? რა თქმა უნდა, არ არის სავალდებულო. პირიქით. სწორედ იმიტომ, რომ ქალაქი სოფლის ხელმძღვანელია, ჩვენში კი ქალაქში ბატონობს პროლეტარიატი, რომელსაც ხელთ უპყრია სახალხო მეურნეობის ყველა მბრძანებელი მწვერვალი, სწორედ ამიტომ გლეხური მეურნეობანი თავის განვითარებაში უნდა წავიდნენ სულ სხვა გზით, სოციალისტური მშენებლობის გზით.

რა გზაა ეს გზა?

ეს არის გზა მილიონობით გლეხურ მეურნეობათა მასობრივი კოოპერირებისა კოოპერაციის ყველა ხაზით, გზა დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებისა სოციალისტური ინდუსტრიის გარშემო, გზა გლეხობაში კოლექტივიზმის საფუძვლების დანერგვისა ჯერ მიწათმოქმედების პროდუქტების გასაღების და ქალაქის ნაწარმით გლეხურ მეურნეობათა მომარაგების ხაზით, ხოლო შემდეგ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხაზით.

და რაც უფრო გადის დრო, მით უფრო აუცილებელი ხდება ეს გზა პროლეტარიატის დიქტატურის ვითარებაში, ვინაიდან კოოპერირება გასაღების ხაზით, კოოპერირება მომარაგების ხაზით, ბოლოს, კოოპერირება კრედიტისა და წარმოების ხაზით (სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი) წარმოადგენს სოფლის კეთილდღეობის აღმავლობის ერთადერთ გზას, სიღატაკისა და გაჩანაგებისაგან გლეხობის ფართო მასების ხსნის ერთადერთ საშუალებას.

ამბობენ, გლეხობა ჩვენში თავისი მდგომარეობით არასოციალისტურია და ამის გამო მას სოციალისტური განვითარების უნარი არ შესწევსო. გლეხობა რომ თავისი მდგომარეობით არასოციალისტურია, ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ ეს არ არის არგუმენტი გლეხურ მეურნეობათა სოციალიზმის გზით განვითარების წინააღმდეგ, თუ დამტკიცებულია, რომ სოფელი მისდევს ქალაქს, ხოლო ქალაქში სოციალისტური მრეწველობა მბრძანებლობს. გლეხობა ოქტომბრის რევოლუციის დროსაც არ იყო სოციალისტური თავისი მდგომარეობით და მას სრულებითაც არ სურდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დამყარება. იგი მაშინ ესწრაფოდა, უმთავრესად, მემამულეთა ძალაუფლების ლიკვიდაციას და ომის დამთავრებას, ზავის დამყარებას. მიუხედავად ამისა, ის მაინც გაჰყვა მაშინ სოციალისტურ პროლეტარიატს. რატომ? იმიტომ, რომ ბურჟუაზიის დამხობა და სოციალისტური პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღება მაშინ იყო იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის ერთადერთი გზა, ზავის დამყარების ერთადერთი გზა. იმიტომ, რომ მაშინ სხვა გზა არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. იმიტომ, რომ ჩვენმა პარტიამ

მოახერხა მაშინ გამოეძებნა, გამოენახა გლეხობის სპეციფიკური ინტერესების (შემამულის დამხობა, ზავი) ქვეყნის საერთო ინტერესებთან (პროლეტარიატის დიქტატურა) გაერთიანებისა და დაქვემდებარების ის ხარისხი, რომელიც გლეხობისათვის მისაღები და ხელსაყრელი გამოდგა. და გლეხობა, მიუხედავად თავისი არასოციალისტურობისა, გაჰყვა მაშინ სოციალისტურ პროლეტარიატს.

იგივე უნდა ითქვას სოციალისტურ მშენებლობაზე ჩვენს ქვეყანაში, გლეხობის ჩაბმაზე ამ მშენებლობის ფერხულში. გლეხობა თავისი მდგომარეობით არასოციალისტურია. მაგრამ იგი უნდა დაადგეს, და აუცილებლად დაადგება, სოციალისტური განვითარების გზას, ვინაიდან არ არის და არც შეიძლება იყოს სიღატაკისა და გაჩანაგებისაგან გლეხობის ხსნის სხვა გზა, გარდა პროლეტარიატთან კავშირისა, გარდა სოციალისტურ მრეწველობასთან კავშირისა, გარდა გლეხური მეურნეობის მოქცევისა სოციალისტური განვითარების საერთო ფერხულში გლეხობის მასობრივი კოოპერირების საშუალებით.

რატომ სწორედ გლეხობის მასობრივი კოოპერირების საშუალებით?

იმიტომ, რომ მასობრივ კოოპერირებაში «ჩვენ ვიპოვეთ კერძო ინტერესის, კერძო ვაჭრული ინტერესის შეერთების, სახელმწიფოს მიერ მისი შემოწმებისა და კონტროლის ის ხარისხი, საერთო ინტერესებისადმი მისი დაქვემდებარების ის ხარისხი» (ლენინი), რომელიც მისაღები და ხელსაყრელია გლეხობისათვის და რომელიც პროლეტარიატისათვის უზრუნველყოფს სოციალისტური მშენებლობის საქმეში გლეხობის ძირითადი მასის ჩაბმის შესაძლებლობას. სწორედ იმიტომ, რომ გლეხობისათვის ხელსაყრელია კოოპერაციის საშუალებით თავისი საქონლის გასაღებისა და მანქანებით თავისი მეურნეობის მომარაგების ორგანიზაცია, სწორედ ამიტომ უნდა წავიდეს იგი და კიდევაც წავა მასობრივი კოოპერირების გზით.

ხოლო რას ნიშნავს გლეხური მეურნეობათა მასობრივი კოოპერირება სოციალისტური მრეწველობის ბატონობის დროს?

ეს ნიშნავს წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის **ჩამოშორებას** ძველი, კაპიტალისტური გზიდან, რომელსაც მოსდევს გლეხობის მასობრივი გაღატაკება, და განვითარების ახალ გზაზე, სოციალისტური მშენებლობის გზაზე **გადასვლას**.

აი რატომ არის, რომ ბრძოლა გლეხური მეურნეობის განვითარების ახალი გზისათვის, ბრძოლა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში გლეხობის ძირითადი მასის ჩაბმისათვის ჩვენი პარტიის მორიგ ამოცანას წარმოადგენს.

ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობა სწორად მოიქცა, როდესაც დაადგინა, რომ:

«სოფლად სოციალიზმის მშენებლობის ძირითადი გზა მდგომარეობს იმაში, რომ პროლეტარიატის ხელში მყოფი სოციალისტური სახელმწიფო მრეწველობის, სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებისა და სხვა მბრძანებელი სიმაღლეების მხრით მზარდი ეკონომიური ხელმძღვანელობის დროს, ჩავებათ კოოპერაციულ ორგანიზაციაში გლეხობის ძირითადი მასა და უზრუნველვყოთ ამ ორგანიზაციისათვის სოციალისტური განვითარება, რისთვისაც გამოყენებული, დაძლეული და განდევნილი უნდა იქნან მისი კაპიტალისტური ელემენტები» (იხ. ყრილობის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო).

«ახალი ოპოზიციის» უდიდესი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას არა სწამს გლეხობის განვითარების ეს ახალი გზა, ვერ ხედავს ან არ ესმის ამ გზის მთელი აუცილებლობა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ხოლო ეს არ ესმის იმიტომ, რომ არა სწამს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება, არა სწამს, რომ ჩვენს პროლეტარიატს შესწევს უნარი თან გაიყოლიოს გლეხობა სოციალიზმის გზით.

აქედან — ახალი ეკონომიური პოლიტიკის ორმაგი ხასიათის გაუგებლობა, ახალი ეკონომიური პოლიტიკის უარყოფითი მხარეების გაზვიადება და ახალი ეკონომიური პოლიტიკის განმარტება როგორც უმთავრესად უკანდახევისა.

აქედან — ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების როლის გაზვიადება და ჩვენი სოციალისტური განვითარების ბერკეტების (სოციალისტური მრეწველობა, საკრედიტო სისტემა, კოოპერაცია, პროლეტარიატის ძალაუფლება და სხვ.) როლის დამცირება.

აქედან — ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის სოციალისტური ბუნების გაუგებლობა და ლენინის კოოპერაციული გეგმის სისწორეში ეჭვის შეტანა.

აქედან — სოფლად დიფერენციაციის გაზვიადება, პანიკა კულაკის წინაშე, საშუალო გლეხის როლის დამცირება, ცდა — ჩაშალონ პარტიის პოლიტიკა, მიმართული საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის უზრუნველყოფისაკენ, და, საერთოდ, აქეთ-იქით წყვეტება სოფლად პარტიის პოლიტიკის საკითხში.

აქედან — იმ უდიდესი მუშაობის გაუგებლობა, რომელსაც პარტია აწარმოებს მუშათა და გლეხთა მრავალმილიონიანი მასების ჩასაბმელად მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშენებლობაში, კოოპერაციისა და საბჭოების გამოცოცხლებაში, ქვეყნის მართვა-გამგეობაში, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და გარდაქმნისათვის ბრძოლაში, რომელიც

მოასწავებს განვითარების ახალ ხანას და ურომლისოდაც წარმოუდგენელია რაიმე სოციალისტური მშენებლობა.

აქედან — უიმედობა და დაბნეულობა ჩვენი მშენებლობის სიძნელეთა წინაშე, დაეჭვება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესაძლებლობაში, პესიმისტური ლაყბობა პარტიის გადაგვარებაზე და სხვ.

მათ, ბურჟუებს, ყველაფერი ცოტად თუ ბევრად კარგად აქვთ, ჩვენ კი, პროლეტარებს, — ცოტად თუ ბევრად ცუდად; თუ დასავლეთიდან რევოლუციამ არ მოგვისწრო — ჩვენი საქმე წასულია, — ასეთია «ახალი ოპოზიციის» საერთო ტონი, რომელიც, ჩემი აზრით, ლიკვიდატორული ტონია, მაგრამ რატომღაც (ალბათ გასართობად) ოპოზიცია მას «ინტერნაციონალიზმად» ასაღებს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა კაპიტალიზმიაო, ამბობს ოპოზიცია. ახალი ეკონომიური პოლიტიკა უმთავრესად უკანდახევააო, ამბობს ზინოვიევი. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ნამდვილად ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის პარტიის პოლიტიკა, რომლითაც დაშვებულია სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლა და რომელიც ნავარაუდევია სოციალისტური ელემენტების გამარჯვებისათვის კაპიტალისტურ ელემენტებზე. ნამდვილად ახალი ეკონომიური პოლიტიკა მხოლოდ დაიწყო უკანდახევით, მაგრამ იგი ნავარაუდევია იმისათვის, რომ უკანდახევის მსვლელობაში მოხდეს ძალთა გადაჯგუფება და დაიწყოს შეტევა. ნამდვილად ჩვენ შეტევას უკვე რამდენიმე წელიწადია ვაწარმოებთ, და ვაწარმოებთ წარმატებით, ვავითარებთ ჩვენს ინდუსტრიას, ვავითარებთ საბჭოთა ვაჭრობას, ვავიწროებთ კერძო კაპიტალს.

მაგრამ რა აზრი აქვს თეზისს — ახალი ეკონომიური პოლიტიკა კაპიტალიზმია, ახალი ეკონომიური პოლიტიკა უმთავრესად უკანდახევაა? რისგან გამოდის ეს თეზისი?

იგი გამოდის იმ არასწორი მოსაზრებიდან, რომ ჩვენში ახლა წარმოებს კაპიტალიზმის უბრალო აღდგენა, კაპიტალიზმის უბრალო «დაბრუნება». მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ოპოზიციის დაეჭვება ჩვენი მრეწველობის სოციალისტურ ბუნებაში. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ოპოზიციის პანიკა კულაკის წინაშე. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ის აჩქარება, რომლითაც ოპოზიციამ ჩასჭიდა ხელი არასწორ ციფრებს გლეხობის დიფერენციაციის შესახებ. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ოპოზიციის განსაკუთრებული გულმავიწყობა იმის შესახებ, რომ საშუალო გლეხი ჩვენში მიწათმოქმედების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას

საშუალო გლეხის ხვედრითი წონის შეუფასებლობა და ლენინის კოოპერაციულ გეგმაში დაეჭვება. მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლება იმის «დასაბუთება», თუ რატომ არა სწამს «ახალ ოპოზიციას» სოფლის განვითარების ახალი გზა, სოციალისტურ მშენებლობაში სოფლის ჩაბმის გზა.

ნამდვილად ჩვენში ახლა ხდება არა კაპიტალიზმის აღდგენის ერთმხრივი პროცესი, არამედ კაპიტალიზმის განვითარების და სოციალიზმის განვითარების ორმხრივი პროცესი, კაპიტალისტურ ელემენტებთან სოციალისტური ელემენტების ბრძოლის წინააღმდეგობრივი პროცესი, სოციალისტური ელემენტების მიერ კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის პროცესი. ეს ერთნაირად უდავოა როგორც ქალაქისათვის, სადაც სოციალიზმის ბაზას წარმოადგენს სახელმწიფო მრეწველობა, ისე სოფლისათვის, სადაც სოციალისტური განვითარების ძირითად ხელჩასაჭიდს წარმოადგენს მასობრივი კოოპერაცია, დაკავშირებული სოციალისტურ მრეწველობასთან.

კაპიტალიზმის უბრალო აღდგენა შეუძლებელია თუნდაც იმიტომ. რომ ხელისუფლება ჩვენში პროლეტარულია, მსხვილი მრეწველობა პროლეტარიატის ხელშია, ტრანსპორტი და კრედიტი პროლეტარული სახელმწიფოს განკარგულებაშია.

დიფერენციაცია სოფლად ვერ მიაღწევს წინანდელ ფარგლებს, საშუალო გლეხი რჩება გლეხობის ძირითად მასად, ხოლო კულაკი ვეღარ მოიკრებს წინანდელ ძალას თუნდაც იმიტომ, რომ მიწა ჩვენში ნაციონალიზებულია, ის აღარ არის მიმოქცევის საგანი, ხოლო ჩვენი სავაჭრო, საკრედიტო, საგადასახადო და კოოპერაციული პოლიტიკა იქითკენ არის მიმართული, რომ შეზღუდოს კულაკობის ექსპლოატატორული მისწრაფებანი, აამაღლოს გლეხობის უფართოესი მასების კეთილდღეობა და გამოასწოროს უკიდურესობანი სოფლად. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ახლა კულაკობასთან ბრძოლა წარმოებს ჩვენში არა მარტო ძველი ხაზით, კულაკობის წინააღმდეგ ღარიბი გლეხობის დარაზმვის ხაზით, არამედ ახალი ხაზითაც, კულაკის წინააღმდეგ საშუალო გლეხობის მასებთან პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის კავშირის განმტკიცების ხაზით. ის ფაქტი, რომ ოპოზიციას არ ესმის კულაკობასთან ამ მეორე ხაზით ბრძოლის აზრი და მნიშვნელობა, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ოპოზიცია ადგება სოფლის განვითარების ძველ გზას, მისი კაპიტალისტური განვითარების გზას, როდესაც კულაკი და ღარიბი გლეხობა შეადგენდნენ სოფლის ძირითად ძალებს, ხოლო საშუალო გლეხი «ქრებოდა».

კოოპერაცია სახელმწიფო კაპიტალიზმის სახესხვაობაა, ამბობს ოპოზიცია, იმოწმებს რა ამასთან ლენინის «სასურსათო გადასახადს», რის გამო მას არა სწამს კოოპერაციის, როგორც სოციალისტური განვითარების ძირითადი ხელჩასაკიდის გამოყენების შესაძლებლობა. ოპოზიცია აქაც ყოვლად უხეშ შეცდომას სჩადის. კოოპერაციის ასეთი განმარტება საკმარისი და დამაკმაყოფილებელი იყო 1921 წელს, როდესაც «სასურსათო გადასახადი» დაიწერა, როდესაც ჩვენ არ გვქონდა განვითარებული სოციალისტური მრეწველობა, როდესაც ლენინს სახელმწიფო კაპიტალიზმი წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ჩვენი სამეურნეო საქმიანობის შესაძლო ძირითადი ფორმა, ხოლო კოოპერაციას განიხილავდა სახელმწიფო კაპიტალიზმთან შეხამებით. მაგრამ ახლა ეს განმარტება საკმარისი აღარ არის და ისტორიის მიერ უკან მოტოვებულია, ვინაიდან მას შემდეგ დრონი იცვალნენ, ჩვენში სოციალისტური მრეწველობა განვითარდა, სახელმწიფო კაპიტალიზმმა ისე ვერ მოიკიდა ფეხი, როგორც სასურველი იყო, ხოლო კოოპერაციამ, რომელშიც ახლა ათ მილიონზე მეტი წევრია, სოციალისტურ ინდუსტრიასთან დაკავშირება იწყო.

მაშ რითლა უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ «სასურსათო გადასახადის» გამოსვლის უკვე ორი წლის შემდეგ, 1923 წელს, ლენინი უკვე სხვანაირად განიხილავდა კოოპერაციას და ფიქრობდა, რომ «ჩვენს პირობებში კოოპერაცია ხშირად სავსებით ემთხვევა სოციალიზმს»? (იხ. ტ. XXVII, გვ. 396).

მაშ რითლა უნდა აიხსნას ეს, თუ არა იმით, რომ ამ ორი წლის განმავლობაში სოციალისტური მრეწველობა უკვე გაიზარდა, ხოლო სახელმწიფო კაპიტალიზმმა სათანადოდ ვერ მოიკიდა ფეხი, რის გამო ლენინი განიხილავდა კოოპერაციას უკვე არა სახელმწიფო კაპიტალიზმთან შეხამებით, არამედ სოციალისტურ მრეწველობასთან შეხამებით?

შეიცვალა კოოპერაციის განვითარების პირობები. უნდა შეცვლილიყო კოოპერაციის საკითხისადმი მიდგომაც.

აი, მაგალითად, ერთი შესანიშნავი ადგილი ლენინის ბროშურიდან «კოოპერაციის შესახებ» (1923 წ.), რომელიც შუქს ჰფენს ამ საკითხს:

«ხალხმწიფო კაპიტალიზმის დროს[1] კოოპერატიული საწარმონი განსხვავდებიან სახელმწიფო-კაპიტალისტური საწარმოებისაგან, ჯერ-ერთი, როგორც კერძო საწარმონი და, მეორეც, როგორც კოლექტიური საწარმონი. ჩვენი არსებული წყობილების დროს[1] კოოპერაციული საწარმონი განსხვავდებიან კერძო-კაპიტალისტური საწარმოებისაგან, როგორც კოლექტიური საწარმონი, მაგრამ არ განსხვავდე-

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ბიან[1] სოციალისტურ საწარმოთაგან, თუ მიწა, რომელზეც ისინი მოწყობილი არიან, და წარმოების საშუალებანი ეკუთვნის სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა კლასს» (იხ. ტ. XXVII, გვ. 396).

ამ პატარა ციტატაში გადაკრილია ორი დიდი საკითხი. ჯერ-ერთი, საკითხი იმის შესახებ, რომ «ჩვენი არსებული წყობილება» არ არის სახელმწიფო კაპიტალიზმი. მეორეც, საკითხი იმის შესახებ, რომ კოოპერაციული საწარმონი, აღებულნი «ჩვენს წყობილებასთან» შეხამებით, «არ განსხვავდებიან» სოციალისტურ საწარმოთაგან.

მე ვფიქრობ, რომ აზრის უფრო ნათლად გამოხატვა ძნელია.

აი კიდევ ერთი ადგილი ლენინის იმავე ბროშურიდან:

«კოოპერაციის უბრალო ზრდა ჩვენთვის იგივეა (ზემოთ აღნიშნული «მცირე» გამონაკლისით), რაც სოციალიზმის ზრდა, და ამასთან ერთად ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ სოციალიზმის მიმართ მთელი ჩვენი თვალსაზრისის ძირიანად შეცვლა» (იხ. იქვე).

ცხადია, რომ ბროშურაში «კოოპერაციის შესახებ» ჩვენ საქმე გვაქვს კოოპერაციის ახალ შეფასებასთან, რის აღიარებაც არა სურს «ახალ ოპოზიციას» და რასაც იგი გულმოდგინედ ჩქმალავს, წინააღმდეგ ფაქტებისა, წინააღმდეგ აშკარა ჭეშმარიტებისა, წინააღმდეგ ლენინიზმისა.

ერთი საქმეა კოოპერაცია, აღებული სახელმწიფო კაპიტალიზმთან შეხამებით, და სხვა საქმეა კოოპერაცია, აღებული სოციალისტურ მრეწველობასთან შეხამებით.

მაგრამ აქედან არ შეიძლება გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ «სასურსათო გადასახადსა» და ბროშურას «კოოპერაციის შესახებ» შორის უფსკრული იყოს. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. საკმარისია მოვიყვანოთ, მაგალითად, შემდეგი ადგილი «სასურსათო გადასახადიდან», რომ ერთბაშად შევამჩნიოთ განუყრელი კავშირი «სასურსათო გადასახადსა» და ბროშურას «კოოპერაციის შესახებ» შორის კოოპერაციის შეფასების საკითხში. აი ეს ადგილი:

«კონცესიებიდან სოციალიზმზე გადასვლა არის მსხვილი წარმოების ერთი ფორმიდან მსხვილი წარმოების მეორე ფორმაზე გადასვლა. წვრილ მეურნეთა კოოპერაციიდან სოციალიზმზე გადასვლა არის წვრილი წარმოებიდან მსხვილ წარმოებაზე გადასვლა, ე. ი. გადასვლა უფრო რთული, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი, რომელსაც ძალუძს, წარმატების შემთხვევაში, მოიცვას მოსახლეობის უფრო ფართო მასები, ძალუძს ამოგლიჯოს უფრო ღრმა და უფრო გამძლე ფესვები ძველი, წინასოციალისტური[1] და თვით წინაკაპიტალისტური ურთიერთობისა, რომელიც ყველაზე გამძლეა ყოველი «სიახლისათვის» წინააღმდეგობის გაწევის აზრით» (იხ. ტ. XXVI, გვ. 337).

---

1 ხაზგასმა ჩემია. ი. ხ.

ამ ციტატიდან ჩანს, რომ ლენინს ჯერ კიდევ «სასურსათო გადასახადის» დროს, როდესაც ჩვენ ჯერ არ გვქონდა განვითარებული სოციალისტური ინდუსტრია, შესაძლებლად მიაჩნდა, წარმატების შემთხვევაში, კოოპერაციის გადაქცევა «წინასოციალისტური» და, მაშასადამე, კაპიტალისტური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ საშუალებად. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ეს აზრი გახდა შემდეგში გამოსავალი პუნქტი მისი ბროშურისათვის «კოოპერაციის შესახებ».

მაგრამ რა გამომდინარეობს ყოველივე აქედან?

აქედან გამომდინარეობს ის, რომ «ახალი ოპოზიცია» კოოპერაციის საკითხს უდგება არა მარქსისტულად, არამედ მეტაფიზიკურად. იგი განიხილავს კოოპერაციას არა როგორც ისტორიულ მოვლენას, აღებულს სხვა მოვლენებთან დაკავშირებით, ვთქვათ, სახელმწიფო კაპიტალიზმთან (1921 წ.) ან სოციალისტურ მრეწველობასთან (1923 წ.) დაკავშირებით, არამედ როგორც რაღაც მუდმივს და ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს, როგორც «საგანს თავისთავად».

აქედან — ოპოზიციის შეცდომები კოოპერაციის საკითხში, აქედან — იმის რწმენის უქონლობა, რომ სოფელი კოოპერაციის გზით სოციალიზმისაკენ ვითარდება, აქედან — ოპოზიციის გადახვევა ძველ გზაზე, სოფლის კაპიტალისტური განვითარების გზაზე.

ასეთია საერთოდ «ახალი ოპოზიციის» პოზიცია სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებში.

დასკვნა ერთია: ოპოზიციის ხაზს, რამდენადაც მას ხაზი აქვს, ოპოზიციის მერყეობასა და ქანაობას, ჩვენი საქმისადმი მის ურწმენობას და სიძნელეთა წინაშე დაბნეულობას — მივყავართ კაპიტულაციისაკენ ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების წინაშე.

ვინაიდან, თუ ახალი ეკონომიური პოლიტიკა უმთავრესად უკანდახევაა, თუ სახელმწიფო მრეწველობის სოციალისტური ბუნება საეჭვოდ არის მიჩნეული, თუ კულაკი თითქმის ყოვლისშემძლეა, კოოპერაცია ნაკლებ საიმედოა, საშუალო გლეხის როლი პროგრესიულად ეცემა, სოფლის განვითარების ახალი გზა საეჭვოა, პარტია თითქმის გადაგვარებას განიცდის, ხოლო რევოლუცია დასავლეთში ჯერ კიდევ არც თუ ისე ახლოა, — რაღა რჩება ყოველივე ამის შემდეგ ოპოზიციის არსენალში, რის იმედი აქვს მას ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში? მარტო «ეპოქის ფილოსოფიით» ხომ ვერ იბრძოლებ!

ცხადია, «ახალი ოპოზიციის» არსენალი ვერაფერი სახარბიელოა, თუ მას საერთოდ შეიძლება არსენალი ეწოდოს. ეს არსენალი ბრძოლისათვის უვარგისია. მით უმეტეს უვარგისია იგი გამარჯვებისათვის.

ცხადია, პარტია ასეთი არსენალით «მყისვე» დაიღუპავდა თავს, ჩხუბში რომ ჩარეულიყო, — მას მოუხდებოდა პირდაპირ კაპიტულაცია ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების წინაშე.

ამიტომ პარტიის XIV ყრილობა სავსებით სწორად მოიქცა, როდესაც დაადგინა, რომ «ბრძოლა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ჩვენი პარტიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს»; რომ ამ ამოცანის გადასაჭრელად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა «ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმისადმი ურწმენობასთან და იმ ცდებთან, რომ ჩვენი საწარმონი, რომელნიც «თანმიმდევრულ-სოციალისტური ტიპის» (ლენინი) საწარმოებს წარმოადგენენ, განიხილონ როგორც სახელმწიფო-კაპიტალისტური საწარმონი»; რომ «ასეთ იდეურ მიმდინარეობებს, რომლებიც შეუძლებელს ხდიან მასების შეგნებულ დამოკიდებულებას საერთოდ სოციალიზმის და კერძოდ სოციალისტური მრეწველობის მშენებლობისადმი, შეუძლიათ მხოლოდ შეაფერხონ მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ზრდა და გააადვილონ მათთან ბრძოლა კერძო კაპიტალის მხრივ»; რომ «ყრილობას ამიტომ აუცილებლად მიაჩნია ფართო აღმზრდელობითი მუშაობა ლენინიზმის ამ დამახინჯებათა დასაძლევად» (იხ. რეზოლუცია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო).

საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შესძლო ძირფესვიანად გამოეაშკარავებინა «ახალი ოპოზიციის» შეცდომები, უკუაგდო მისი ურწმენობა და წუწუნი, ნათლად და მკაფიოდ დასახა სოციალიზმისათვის შემდგომი ბრძოლის გზა, მისცა პარტიას გამარჯვების პერსპექტივა და მით პროლეტარიატი შეაიარაღა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების შეურყეველი რწმენით.

1926 წ. 25 იანვარი.

პარტიის სამი ძირითადი ლოზუნგის შესახებ გლეხობის საკითხში

პასუხი იან — სკის

თქვენი წერილი, რა თქმა უნდა, თავის დროზე მივიღე. ცოტა დაგვიანებით გიპასუხებთ, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი.

1) ლენინი ამბობს, რომ **«ყოველი რევოლუციის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს სახელმწიფო ძალაუფლების საკითხი»** (იხ. ტ. XXI, გვ. 142). რომელი კლასის ან რომელი კლასების ხელშია მოქცეული ძალაუფლება; რომელი კლასი ან რომელი კლასები უნდა იქნან დამხობილი, რომელმა კლასმა ან რომელმა კლასებმა უნდა აიღონ ძალაუფლება; — ეს არის «ყოველი რევოლუციის უმთავრესი საკითხი».

პარტიის ძირითად სტრატეგიულ ლოზუნგებს, რომლებიც ძალას ინარჩუნებენ რევოლუციის ამა თუ იმ ეტაპის მთელი პერიოდის განმავლობაში, არ შეიძლება ვუწოდოთ ძირითადი ლოზუნგები, თუ ისინი მთლიანად და სავსებით არ ემყარებიან ლენინის ამ კარდინალურ თეზისს.

ძირითადი ლოზუნგები შეიძლება სწორი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აგებულია კლასობრივ ძალთა მარქსისტული ანალიზის ბაზაზე, თუ ისინი სახავენ კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე რევოლუციურ ძალთა განლაგების სწორ სქემას, თუ ისინი აადვილებენ მასების მიყვანას რევოლუციის გამარჯვებისათვის წარმოებული ბრძოლის ფრონტთან, ახალი კლასის მიერ ძალაუფლების აღებისათვის წარმოებული ბრძოლის ფრონტთან, თუ ისინი უადვილებენ პარტიას ხალხის ფართო მასებიდან ფართო და მძლავრი პოლიტიკური არმიის შექმნას, რაც აუცილებელია ამ ამოცანის შესასრულებლად.

რევოლუციის ამა თუ იმ ეტაპის განმავლობაში შეიძლება აღგილი ექნეს დამარცხებას და უკანდახევას, წარუმატებლობას და ცალკეულ ტაქტიკურ შეცდომებს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ძირითადი სტრატეგიული ლოზუნგი სწორი არ არის. ასე, მაგალითად, ძირითადი ლოზუნგი ჩვენი რევოლუციის პირველ ეტაპზე — «მთელ გლეხობასთან ერთად, შეფისა და მემამულეების წინააღმ-

დეგ ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის» — საკუთრივ სწორი იყო, მიუხედავად იმისა, რომ 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა.

მაშასადამე, არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ პარტიის ძირითადი ლოზუნგის საკითხი და საკითხი რევოლუციის წარმატებისა თუ წარუმატებლობისა მისი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე.

შეიძლება მოხდეს, რომ რევოლუციის მსვლელობაში პარტიის ძირითადმა ლოზუნგმა უკვე მიგვიყვანოს ძველი კლასების ან ძველი კლასის ძალაუფლების დამხობამდე, მაგრამ რევოლუციის მთელი რიგი არსებითი მოთხოვნები, რომლებიც ამ ლოზუნგიდან გამომდინარეობენ, ვერ განხორციელდნენ, ან მათი განხორციელება გაჭიანურდეს დროის მთელი პერიოდის განმავლობაში, ან მათი განხორციელებისათვის საჭირო გახდეს ახალი რევოლუცია, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ძირითადი ლოზუნგი სწორი არ არის. ასე, მაგალითად, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ დაამხო ცარიზმი და მემამულეები, მაგრამ ვერ განახორციელა მემამულეთა მიწების კონფისკაცია და სხვ., მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ რევოლუციის პირველ ეტაპზე ჩვენი ძირითადი ლოზუნგი სწორი არ იყო.

ან კიდევ: ოქტომბრის რევოლუციამ განახორციელა ბურჟუაზიის დამხობა და ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში, მაგრამ მას ერთბაშად არ მოჰყოლია: ა) საერთოდ, ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა და ბ) კერძოდ, კულაკობის იზოლაცია სოფლად, და ეს საქმე გააჭიანურა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სწორი არ იყო ჩვენი ძირითადი ლოზუნგი რევოლუციის მეორე ეტაპზე — «უღარიბეს გლეხობასთან ერთად, ქალაქად და სოფლად კაპიტალიზმის წინააღმდეგ საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პირობებში, პროლეტარიატის ძალაუფლებისათვის».

მაშასადამე, არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ პარტიის ძირითადი ლოზუნგის საკითხი და ამ ლოზუნგიდან გამომდინარე ამა თუ იმ მოთხოვნის განხორციელების ვადისა და ფორმების საკითხი.

ამიტომ ჩვენი პარტიის სტრატეგიული ლოზუნგები არ შეიძლება შეფასდეს არც ამა თუ იმ პერიოდში რევოლუციური მოძრაობის ეპიზოდური წარმატებისა თუ დამარცხების თვალსაზრისით, არც, მით უმეტეს, ამ ლოზუნგებიდან გამომდინარე ამა თუ იმ მოთხოვნის განხორციელების ვადებისა თუ ფორმების თვალსაზრისით. პარტიის სტრატეგიული ლოზუნგები შეიძლება შეფასდეს მხოლოდ კლასობრივ ძალთა მარქსისტული ანალიზის თვალსაზრისით

და რევოლუციის გამარჯვებისათვის, ახალი კლასის ხელში ძალაუფლების მოქცევისათვის ბრძოლის ფრონტზე რევოლუციის ძალთა სწორი განლაგების თვალსაზრისით.

თქვენი შეცდომა ის არის, რომ თქვენ გვერდი აუარეთ ამ უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ საკითხს ან ვერ გაიგეთ იგი.

2) თქვენს წერილში სწერთ:

«სწორია თუ არა მტკიცება, რომ ჩვენ კავშირი გვქონდა მთელ გლეხობასთან მხოლოდ ოქტომბრამდე? არა, არ არის სწორი ლოზუნგი — «კავშირი მთელ გლეხობასთან» ძალაში იყო ოქტომბრამდე, ოქტომბრის მომენტში და პირველ პერიოდში ოქტომბრის შემდეგ, რამდენადაც მთელი გლეხობა დაინტერესებული იყო ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე დამთავრებით».

ამრიგად, ამ ციტატიდან გამომდინარეობს, რომ პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1905 წ. — 1917 წ. თებერვალი), როდესაც საქმე ეხებოდა მეფისა და მემამულეთა ძალაუფლების დამხობას და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის დამყარებას, არ განსხვავდებოდა რევოლუციის მეორე ეტაპის (1917 წ. თებერვალი — 1917 წ. ოქტომბერი) სტრატეგიული ლოზუნგისაგან, როდესაც საქმე ეხებოდა ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას.

თქვენ, მაშასადამე, უარყოფთ ძირითად განსხვავებას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციასა და პროლეტარულ-სოციალისტურ რევოლუციას შორის. ხოლო ეს შეცდომა იმიტომ მოგდით, რომ, როგორც ჩანს, არ გინდათ გაიგოთ ის უბრალო გარემოება, რომ სტრატეგიული ლოზუნგის ძირითად თემას წარმოადგენს ძალაუფლების საკითხი რევოლუციის მოცემულ ეტაპზე, საკითხი იმის შესახებ, თუ **რომელი** კლასი ემხობა და **რომელი** კლასის ხელში გადადის ძალაუფლება. არა მგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ თქვენ აქ სრულიად არა ხართ მართალი.

თქვენ ამბობთ, რომ ოქტომბრის მომენტში და პირველ პერიოდში ოქტომბრის შემდეგ ჩვენ ვატარებდით ლოზუნგს — «კავშირი მთელ გლეხობასთან», რამდენადაც მთელი გლეხობა იყო დაინტერესებული ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანით. მაგრამ ვინ გითხრათ, რომ ოქტომბრის გადატრიალება და ოქტომბრის რევოლუცია ამოიწურებოდა ან თავის ძირითად ამოცანად ისახავდა ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანას? საიდან აიღეთ ეს? განა ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება შეიძლება მოთავსდეს ბურჟუაზიული რევოლუციის ჩარჩოებში? განა პროლეტარიატის დიქტატურის მოპო-

ვება ბურჟუაზიული რევოლუციის ჩარჩოებიდან გამოსვლა არ არის?

როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ კულაკებს (ისინიც ხომ გლეხები არიან) შეეძლოთ მხარი დაეჭირათ ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლისათვის?

როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის, მიწის კერძო საკუთრების გაუქმების, მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ და სხვ., მიუხედავად იმისა, რომ ის არ შეიძლება აღიარებულ იქნას სოციალისტურ დეკრეტად, ტარდებოდა ჩვენში კულაკობასთან **ბრძოლისა** და არა მასთან კავშირის გზით?

როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ კულაკებს (იმავე გლეხებს) შეეძლოთ მხარი დაეჭირათ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებისათვის ფაბრიკების, ქარხნების, რკინიგზების, ბანკების და სხვ. ექსპროპრიაციის შესახებ ან მხარი დაეჭირათ პროლეტარიატის ლოზუნგისათვის იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ?

როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციაში **ძირითადია** არა ეს და ამის მსგავსი აქტები, არა ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, არამედ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა?

უდავოა, რომ ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, რომ ოქტომბრის რევოლუციის გარეშე იგი ვერ იქნებოდა ბოლომდე მიყვანილი, ისევე როგორც თვით ოქტომბრის რევოლუციის განმტკიცება არ შეიძლებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიუყვანლად, და რამდენადაც ოქტომბრის რევოლუციას ბოლომდე მიჰყავდა ბურჟუაზიული რევოლუცია, იმდენად მას თანაგრძნობით უნდა მოპყრობოდა მთელი გლეხობა. ყველაფერი ეს უდავოა. მაგრამ განა შეიძლება ამ საბუთით იმის მტკიცება, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა წარმოადგენდა **არა წარმოებულ მოვლენას** ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობაში, არამედ მის **დედაარსს** ან მის **ძირითად** მიზანს? რა უყავით ოქტომბრის რევოლუციის მთავარი მიზანი — ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა, კაპიტალისტების ექსპროპრიაცია და სხვ.?

და თუ სტრატეგიული ლოზუნგის მთავარ თემას წარმოადგენს ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხი, ე. ი. ერთი კლასის ხე-

ლიდან მეორე კლასის ხელში ძალაუფლების გადასვლის საკითხი, განა აქედან ცხადი არ არის, რომ არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ პროლეტარული ხელისუფლების მიერ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის საკითხი და ბურჟუაზიის დამხობისა და თვით ამ პროლეტარული ძალაუფლების დაპყრობის საკითხი, ე. ი. საკითხი, რომელიც რევოლუციის მეორე ეტაპზე სტრატეგიული ლოზუნგის მთავარ თემას წარმოადგენს?

პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი მიღწევა ის არის, რომ მან ბოლომდე მიიყვანა ბურჟუაზიული რევოლუცია და მთლიანად გახვეტა შუა საუკუნეების ნაგავი. სოფლისათვის ამას უმთავრესი და ჭეშმარიტად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. უამისოდ ვერ განხორციელდებოდა გლეხთა ომების შეერთება პროლეტარულ რევოლუციასთან, რის შესახებაც ლაპარაკობდა მარქსი ჯერ კიდევ წარსული საუკუნის მეორე ნახევარში. უამისოდ ვერ განმტკიცდებოდა თვით პროლეტარული რევოლუცია.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება. ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა ვრთეული აქტი როდია. ნამდვილად იგი გაგრძელდა მთელი პერიოდის განმავლობაში და შეიცავდა არა მარტო 1918 წლის ნაწილს, როგორც თქვენ ამტკიცებთ თქვენს წერილში, არამედ 1919 წლის (ვოლგისპირეთი — ურალი) და 1919 — 1920 წლების (უკრაინა) ნაწილებსაც. მე მხედველობაში მაქვს კოლჩაკისა და დენიკინის შემოტევა, როცა მთელი გლეხობის წინაშე წამოიჭრა მემამულეთა ძალაუფლების აღდგენის საფრთხე და როცა იგი, სწორედ როგორც **მთელი**, იძულებული გახდა შემჭიდროებულიყო საბჭოთა ხელისუფლების გარშემო, რათა უზრუნველეყო ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა და შეენარჩუნებინა ამ რევოლუციის ნაყოფი. ცოცხალი ცხოვრების პროცესთა ეს სირთულე და მრავალფეროვნება, პროლეტარიატის დიქტატურის უშუალო სოციალისტურ ამოცანათა ეს «უცნაური» გადახლართვა. ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ამოცანასთან ყოველთვის თვალწინ უნდა გვქონდეს, რათა სწორად გავიგოთ როგორც თქვენს მიერ ლენინის თხზულებებიდან მოყვანილი ციტატები, ისე პარტიული ლოზუნგების განხორციელების მექანიკა.

განა შეიძლება ითქვას, რომ ეს გადახლართვა მოწმობს პარტიის ლოზუნგის უმართებულობას რევოლუციის **მეორე** ეტაპზე, რომ ეს ლოზუნგი არ განსხვავდება რევოლუციის **პირველი** ეტაპის ლოზუნგისაგან? არა, ამის თქმა არ შეიძლება. პირიქით, ეს გადახლართვა მხოლოდ ადასტურებს პარტიის ლოზუნგის სიხწორეს რე-

ვოლუციის მეორე ეტაპზე: უღარიბეს გლეხობასთან ერთად, ქალაქად და სოფლად კაპიტალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის ძალაუფლებისათვის და სხვ.. რატომ? იმიტომ რომ, ბურჟუაზიული რევოლუცია ბოლომდე რომ მიგვეყვანა, საჭირო იყო ჯერ დაგვემხო ბურჟუაზიის ხელისუფლება ოქტომბერში და დაგვემყარებინა პროლეტარიატის ხელისუფლება, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შესწევს უნარი ბოლომდე მიიყვანოს ბურჟუაზიული რევოლუცია. ხოლო ოქტომბერში პროლეტარიატის ხელისუფლების დასამყარებლად საჭირო იყო ოქტომბრისათვის მოგვემზადებინა და შეგვექმნა **სათანადო** პოლიტიკური არმია, რომელსაც შეეძლებოდა დაემხო ბურჟუაზია, შეეძლო დაემყარებინა პროლეტარიატის ხელისუფლება, ამასთან საჭირო არ არის ვამტკიცოთ, რომ ასეთი პოლიტიკური არმიის მომზადება და შექმნა ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ლოზუნგით: პროლეტარიატის კავშირი უღარიბეს გლეხობასთან ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ცხადია, რომ ასეთი სტრატეგიული ლოზუნგის გარეშე, რომელიც 1917 წლის აპრილიდან 1917 წლის ოქტომბრამდე ტარდებოდა, ჩვენ არ გვეყოლებოდა ასეთი პოლიტიკური არმია, მაშასადამე, ვერ ვავიმარჯვებდით ოქტომბერში, ვერ დავამხობდით ბურჟუაზიის ძალაუფლებას და, მაშასადამე, შესაძლებლობა არ გვექნებოდა ბოლომდე მიგვეყვანა ბურჟუაზიული რევოლუცია.

აი რატომ არ შეიძლება ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა დავუპირდაპიროთ სტრატეგიულ ლოზუნგს რევოლუციის მეორე ეტაპზე, ლოზუნგს, რომლის ამოცანა იყო პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის უზრუნველყოფა.

არის მხოლოდ ერთი საშუალება თავიდან ავიცილოთ ყველა ეს «წინააღმდეგობა», — ვაღიაროთ ძირითადი განსხვავება რევოლუციის პირველი ეტაპის (ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია) სტრატეგიულ ლოზუნგსა და რევოლუციის მეორე ეტაპის (პროლეტარული რევოლუცია) სტრატეგიულ ლოზუნგს შორის, — ვაღიაროთ, რომ რევოლუციის პირველი ეტაპის პერიოდში ჩვენ მივდიოდით მთელ გლეხობასთან ერთად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის, ხოლო რევოლუციის მეორე ეტაპის პერიოდში ჩვენ მივდიოდით უღარიბეს გლეხობასთან ერთად კაპიტალის ძალაუფლების წინააღმდეგ პროლეტარული რევოლუციისათვის.

ამის აღიარება კი საჭიროა, რადგან ამას გვავალებს რევოლუციის პირველი და მეორე ეტაპების კლასობრივ ძალთა ანალიზი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა იმ ფაქტის ახსნა, რომ

1917 წლის თებერვლამდე ჩვენ ვეწეოდით მუშაობას პროლეტარიატისა და **გლეხობის** **რევოლუციურ-დემოკრატიული** **დიქტატურის** ლოზუნგით, ხოლო 1917 წლის თებერვლის შემდეგ ეს ლოზუნგი შევცვალეთ პროლეტარიატისა და **უღარიბესი** **გლეხობის** **სოციალისტური** **დიქტატურის** ლოზუნგით.

დამეთანხმეთ, რომ ერთი ლოზუნგის ეს შეცვლა მეორე ლოზუნგით 1917 წლის მარტ-აპრილში არ შეიძლება აიხსნას თქვენი სქემის მიხედვით.

პარტიის ამ ორი სტრატეგიული ლოზუნგის ძირითადი განსხვავება ლენინმა აღნიშნა ჯერ კიდევ თავის ბროშურაში «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში». პარტიის ლოზუნგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადების პირობებში მან ასე ჩამოაყალიბა:

«პროლეტარიატმა ბოლომდე უნდა გაატაროს დემოკრატიული გადატრიალება, გლეხობის მასის შემოერთებით, რათა ძალით დათრგუნოს თვითმპყრობელობის წინააღმდეგობა და დასძლიოს ბურჟუაზიის მერყეობა» (იხ. ტ. VIII, გვ. 96).

სხვანაირად რომ ვთქვათ: მთელ გლეხობასთან ერთად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში, — დემოკრატიული გადატრიალებისათვის.

რაც შეეხება პარტიის ლოზუნგს სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში, ლენინმა იგი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

«პროლეტარიატმა უნდა მოახდინოს სოციალისტური გადატრიალება, მოსახლეობის ნახევრად-პროლეტარული ელემენტების მასის შემოერთებით, რათა ძალით გატეხოს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა და დასძლიოს **გლეხობისა** და წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა» (იხ. იქვე).

სხვანაირად რომ ვთქვათ: **უღარიბეს** **გლეხობასთან** და საერთოდ მოსახლეობის ნახევრად-პროლეტარულ ფენებთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ წვრილი ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში ქალაქად და სოფლად, — სოციალისტური გადატრიალებისათვის.

ეს იყო 1905 წელს.

1917 წლის აპრილში ლენინი, ახასიათებდა რა მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, როგორც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის გადახლართვას ბურჟუაზიის რეალურ ძალაუფლებასთან, ამბობდა:

«მიმდინარე მომენტის თავისებურება, რუსეთში წარმოადგენს ის, რომ ხდება გადასვლა რევოლუციის პირველი[1] ეტაპიდან, რომელმაც, პროლეტარიატის არა-

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

საკმაო შეგნებულობისა და ორგანიზებულობის გამო, ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, — მის მეორე ეტაპზე, რომელმაც ძალაუფლება უნდა მისცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს»[1] (იხ. ლენინის «აპრილის თეზისები» — ტ. XX, გვ. 88).

1917 წლის აგვისტოს დამლეგს, როცა გამალებული მზადება წარმოებდა ოქტომბრისათვის, ლენინი სპეციალურ სტატიაში «გლეხები და მუშები» წერდა:

«მხოლოდ პროლეტარიატსა და გლეხობას[1] შეუძლიათ დაამხონ მონარქია — ასეთი იყო, იმ დროის მიხედვით (იგულისხმება 1905 წელი. ი. სტ.), ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის ძირითადი განსაზღვრა. და ეს განსაზღვრა სწორი იყო. 1917 წლის თებერვალმა და მარტმა ეს ერთხელ კიდევ დაადასტურეს. მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს უღარიბეს გლეხობას[1] (ნახევრად-პროლეტარებს, როგორც ჩვენი პროგრამა ამბობს), შეუძლია დემოკრატიული ზღვით დაამთავროს ომი, მოაშუშოს მისი ჭრილობები, გადადგას ნაბიჯები სოციალიზმისაკენ, რაც უთუოდ აუცილებელი და გადაუდებელი გახდა, — ასეთია ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის განსაზღვრა ამჟამად» (იხ. ტ. XXI, გვ. 111).

ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ჩვენ ამჟამად გვქონდეს პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ჩვენ მივდიოდით ოქტომბრისაკენ-პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგით და განვახორციელეთ იგი ოქტომბერში ფორმალურად, რამდენადაც ჩვენ ბლოკი გვქონდა მემარცხენე ესერებთან და ვუნაწილებდით მათ ხელმძღვანელობას, თუმცა ფაქტიურად ჩვენში მაშინაც იყო პროლეტარიატის დიქტატურა, ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკები, უმრავლესობას შევადგენდით. მაგრამ პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა ფორმალურად აღარ არსებობდა მემარცხენე ესერების «პუტჩის» შემდეგ, მემარცხენე ესერებთან ბლოკის გაწყვეტის შემდეგ, როცა ხელმძღვანელობა მთლიანად და სავსებით გადავიდა ერთი პარტიის, ჩვენი პარტიის ხელში, რომელიც სახელმწიფოს ხელმძღვანელობას არ უნაწილებს და ვერც გაუნაწილებს სხვა პარტიას. სწორედ ამას ეწოდება ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურა.

დასასრულ, 1918 წლის ნოემბერში ლენინი, რეტროსპექტულად ავლებდა რა თვალს რევოლუციის მიერ განვლილ გზას, წერდა:

«დიახ, ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, სანამ ჩვენ მივდიოვართ გლეხობასთან ერთად, როგორც მთელთან. ეს ჩვენ ცხადზე უცხადესად გვქონდა შეგნებული, ასჯერ და ათასჯერ გვითქვამს 1905 წლიდან, არასოდეს არ გვიცდია ისტორიული პროცესის ამ აუცილებელ საფეხურზე გადახტომა, არც მისი გაუქმება

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

დეკრეტებით... მაგრამ 1917 წელს, აპრილიდან, ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, ჩვენს მიერ[1] ძალაუფლების აღებამდე[1], ჩვენ აშკარად ვამბობდით და ვუხსნიდით ხალხს: ახლა რევოლუცია ამაზე ვერ შეჩერდება, ვინაიდან ქვეყანა წინ წავიდა, კაპიტალიზმმა გადადგა ნაბიჯი წინ, არნახულ საზღვარს მიაღწია გაჩანაგებამ, რომელიც მოითხოვს (სურს ეს ვისმე თუ არა), მოითხოვს ნაბიჯების გადადგმას წინ, სოციალიზმისაკენ. ვინაიდან სხვაგვარად წინსვლა, ომისაგან განაწამები ქვეყნის სხვაგვარად გადარჩენა, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ტანჯვის სხვაგვარად შემსუბუქება შეუძლებელია. სწორედ ისე მოხდა, როგორც ჩვენ ვამბობდით. რევოლუციის მსვლელობამ დაადასტურა ჩვენი მსჯელობის სისწორე. ჯერ «მთელ» გლეხობასთან ერთად მონარქიის წინააღმდეგ, მემამულეთა წინააღმდეგ, შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ (და ამდენად რევოლუცია რჩება ბურჟუაზიული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული). შემდეგ, უღარიბეს გლეხობასთან ერთად, ნახევრად-პროლეტარიატთან ერთად, ყველა ექსპლოატირებულთან ერთად, კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მათ შორის სოფლის მდიდრებისა, კულაკების, სპეკულანტების წინააღმდეგ[1], და ამდენად რევოლუცია ხდება სოციალისტური» (იხ. ტ. XXIII, გვ. 390—391).

როგორც ხედავთ, ლენინს არა ერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადების პერიოდის პირველ სტრატეგიულ ლოზუნგსა და ოქტომბრის მომზადების პერიოდის მეორე სტრატეგიულ ლოზუნგს შორის არსებული განსხვავების მთელი სიღრმე. იქ — ლოზუნგი: მთელ გლეხობასთან ერთად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, აქ — ლოზუნგი: უღარიბეს გლეხობასთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა გაგრძელდა მთელი პერიოდით ოქტომბრის შემდეგ, რომ, რამდენადაც ჩვენ ბოლომდე მიგვყავდა ბურჟუაზიული რევოლუცია, იმდენად არ შეიძლებოდა «მთელი» გლეხობის თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე არ ყოფილიყო, — ეს ფაქტი, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ოდნავადაც არ არყევს იმ ძირითად დებულებას, რომ ოქტომბრისაკენ ჩვენ მივდიოდით და ოქტომბერში გავიმარჯვეთ უღარიბეს გლეხობასთან ერთად, რომ დავამხეთ ბურჟუაზიის ხელისუფლება და დავამყარეთ პროლეტარიატის დიქტატურა (რომლის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა ბურჟუაზიული რევოლუციის მიყვანა ბოლომდე) უღარიბეს გლეხობასთან ერთად კულაკობის (იგივე გლეხები) წინააღმდეგობისა და საშუალო გლეხობის მერყეობის პირობებში.

ვგონებ, ნათელია.

3) შემდეგ თქვენს წერილში სწერთ:

«სწორია თუ არა მტკიცება, რომ «ჩვენ მივიდით ოქტომბერთან ლოზუნგით — კავშირი სოფლის ღარიბ გლეხობასთან საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პირო-

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ბებში»? არა, სწორი არ არის. უკვე ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან და ლენინის თხზულებებიდან ამოღებული ციტატებიდან ჩანს, რომ ეს ლოზუნგი შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ მაშინ, როცა «მომწიფდა კლასობრივი დაყოფა გლეხობის შიგნით» (ლენინი), ე. ი. «1918 წ. ზაფხულში და შემოდგომაზე»».

ამ ციტატიდან გამოდის, რომ საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის გზას პარტია დაადგა არა ოქტომბრის მომზადების პერიოდში და არა ოქტომბრის დროს, არამედ ოქტომბრის შემდეგ და განსაკუთრებით 1918 წლის შემდეგ, ღარიბთა კომიტეტების შემდეგ. ეს სრულიად არ არის სწორი.

პირიქით, საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა კი არ დაიწყო, არამედ დამთავრდა ღარიბთა კომიტეტების შემდეგ, 1918 წლის შემდეგ. საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა გაუქმდა (და არა შემოღებულ იქნა) ჩვენს პრაქტიკაში სწორედ 1918 წლის შემდეგ. სწორედ 1918 წლის შემდეგ, 1919 წლის მარტში, ლენინმა, გახსნა რა ჩვენი პარტიის VIII ყრილობა, თქვა:

«ძველი დროის სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენლები, — როცა მათ ჯერ კიდევ სწამდათ რევოლუცია და თეორიულად და იდეურად ემსახურებოდნენ მას, — ლაპარაკობდნენ გლეხობის ნეიტრალიზაციაზე, ე. ი. იმაზე, რომ საშუალო გლეხობა გადაექცეთ ისეთ საზოგადოებრივ ფენად, რომელიც, თუ აქტიურად არ დაეხმარებოდა პროლეტარიატის რევოლუციას, ყოველ შემთხვევაში, ხელს მაინც არ შეუშლიდა მას, ნეიტრალური იქნებოდა, არ დადგებოდა ჩვენი მტრების მხარეზე. ამოცანის ეს განყენებული, თეორიული დასმა ჩვენთვის საკმაოდ ნათელია. მაგრამ იგი საკმარისი არ არის[1]. ჩვენ შეეედით სოციალისტური მშენებლობის ისეთ სტადიაში[1], როცა საჭიროა კონკრეტულად, დეტალურად შევიმუშაოთ სოფლად მუშაობის გამოცდილებით შემოწმებული ძირითადი წესები და მითითებანი, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ იმისათვის, რომ საშუალო გლეხის მიმართ მტკიცე კავშირის ნიადაგზე დავდგეთ» (იხ. ტ. XXIV, გვ. 114).

როგორც ხედავთ, გამოდის რაღაც იმის პირდაპირ საწინააღმდეგო, რასაც ამბობთ თქვენს წერილში, ამასთან თქვენ თავდაყირა აყენებთ აქ ჩვენს ნამდვილ პარტიულ პრაქტიკას, ერთმანეთში ურევთ ნეიტრალიზაციის დასაწყისსა და მის დასასრულს.

საშუალო გლეხი წუწუნებდა და მერყეობდა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის, სანამ ბურჟუაზიას ეამხობდით, სანამ საბჭოების ძალაუფლება ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული, რის გამო გვიხდებოდა მისი ნეიტრალიზება. საშუალო გლეხმა იწყო ჩვენსკენ მობრუნება, როცა იგი უკვე რწმუნდებოდა, რომ ბურჟუაზია «სერიოზულად» დამხობილია, რომ საბჭოების ძალაუფლება მტკიცდება, კულაკს ამარცხებენ, წითელი არმია იმარჯვებს სამო-

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ქალაქო ომის ფრონტებზე. სწორედ ასეთი გარდატეხის შემდეგ გახდა შესაძლებელი პარტიის მესამე სტრატეგიული ლოზუნგი, რომელიც ლენინმა პარტიის VIII ყრილობაზე მოგვცა: ღარიბ გლეხობაზე **დაყრდნობით** და საშუალო გლეხთან **მტკიცე კავშირის** დამყარებით — წინ, სოციალისტური მშენებლობისათვის.

როგორ დაგავიწყდათ ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი?

თქვენი წერილიდან შემდეგ გამომდინარეობს, რომ საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა პროლეტარულ რევოლუციაზე **გადასვლის დროს** და ამ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ **პირველ დღეებში** — არასწორი, გამოუსადეგარი და ამიტომ მიუღებელია. ეს **სრულიად არ არის სწორი.** საქმე სწორედ პირიქითაა. სწორედ ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობის დროს და პროლეტარიატის ძალაუფლების განმტკიცებამდე ყველაზე უფრო მერყეობს და წინააღმდეგობას გვიწევს საშუალო გლეხი. სწორედ ამ პერიოდშია აუცილებელი ღარიბ გლეხობასთან კავშირი და საშუალო გლეხის ნეიტრალიზაცია.

დაჟინებით იცავთ რა თქვენს შეცდომას, თქვენ ამტკიცებთ, რომ გლეხობის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც, რომლებიც «ცოტად თუ ბევრად მოგვაგონებენ ოქტომბრის წინადროინდელი რუსეთის ეკონომიკას». ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ აი რას ამბობს ლენინი თავის თეზისებში აგრარული საკითხის შესახებ კომინტერნის II კონგრესზე პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების პერიოდში საშუალო გლეხის მიმართ პროლეტარული პარტიების პოლიტიკის შესახებ. ლენინი განსაზღვრავს უღარიბეს გლეხობას, ან, უფრო ზუსტად, «სოფლის მშრომელ და ექსპლოატირებულ მასებს», როგორც ცალკე ჯგუფს, რომელსაც შეადგენენ სოფლის მეურნეობის მუშები, ნახევრად-პროლეტარები ან პარცელური გლეხები და წვრილი გლეხობა, შემდეგ გადადის საშუალო გლეხობის, როგორც სოფლად განსაკუთრებული ჯგუფის, საკითხზე და ამბობს:

««საშუალო გლეხობად» ეკონომიური აზრით უნდა ვიგულისხმოთ წვრილი მიწათმოქმედნი, რომელნიც, საკუთრებისა თუ იჯარის უფლებით, ფლობენ მიწის ასევე მცირე ნაკვეთებს, მაგრამ მაინც ისეთ ნაკვეთებს, რომლებიც, ჯერ-ერთი, როგორც საერთო წესი, კაპიტალიზმის დროს იძლევიან არა მარტო მეურნეობის ოჯახის ხელმოკლედ შენახვის საშუალებას, არამედ განსაზღვრული გარდამეტის მიღების შესაძლებლობასაც, რაც, ყოველ შემთხვევაში საუკეთესო წლებში, შეიძლება გადაიქცეს კაპიტალად, და რომლებიც, მეორე მხრივ, საკმაოდ ხშირად მიმართავენ (მაგალითად, ორი ან სამი მეურნეობიდან ერთში) სხვისი სამუშაო ძალის დაქირავებას... რევოლუციურ პროლეტარიატს არ შეუძლია ამოცანად დაი-

სახოს, — ყოველ შემთხვევაში უახლოესი მომავლისათვის და პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდის დასაწყისისათვის, — ამ ფენის მომხრობა, ის უნდა დაეამაყოფილდეს მისი ნეიტრალიზების ამოცანით, ე. ი. ამოცანით — ნეიტრალური გახადოს იგი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ბრძოლაში» [1] **(იხ. ტ. XXV, გვ. 271 — 272).**

როგორ შეიძლება ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა ჩვენში შეიძლებოდა «წარმოშობილიყო» «მხოლოდ» «1918 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე», ე. ი. საბჭოების ძალაუფლების განმტკიცების საქმეში, პროლეტარიატის ძალაუფლების განმტკიცების საქმეში მიღწეულ გადამწყვეტ წარმატებათა **შემდეგ?**

როგორც ხედავთ, პროლეტარული პარტიების სტრატეგიული ლოზუნგის საკითხი სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისა და პროლეტარიატის ძალაუფლების განმტკიცების მომენტისათვის, ისევე როგორც საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის საკითხი, არც ისე მარტივია, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ.

4) ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ თქვენს მიერ ლენინის თხზულებებიდან მოყვანილი ციტატები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუპირდაპიროთ პარტიის ძირითად ლოზუნგს რევოლუციის მეორე ეტაპზე, ვინაიდან ისინი, ეს ციტატები: ა) გველაპარაკებიან არა პარტიის ძირითად ლოზუნგზე ოქტომბრის **წინ**, არამედ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანაზე ოქტომბრის **შემდეგ**, ბ) ისინი კი არ აბათილებენ, არამედ ადასტურებენ ამ ლოზუნგის სისწორეს.

ზემოთ უკვე ვთქვი და იძულებული ვარ ერთხელ კიდევ გავიმეორო, რომ პარტიის სტრატეგიულ ლოზუნგს რევოლუციის მეორე ეტაპზე, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების **წინა** პერიოდში, ლოზუნგს, რომლის მთავარ თემას შეადგენს ძალაუფლების საკითხი, არ შეიძლება დავუპირდაპიროთ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ამოცანა, რომელიც ხორციელდებოდა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების **შემდგომ** პერიოდში.

5) თქვენ ლაპარაკობთ ამხ. მოლოტოვის ცნობილ სტატიაზე «პრავდაში» «ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ ჩვენს ქვეყანაში» (1927 წ. 12 მარტი), რომელმაც, თურმე, «გაიძულათ» მოგემართათ ჩემთვის ახსნა-განმარტების მისაღებად. მე არ ვიცი, როგორ კითხულობთ თქვენ სტატიებს. მეც წავიკითხე ამხ. მოლოტოვის სტატია

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

და ვფიქრობ, რომ იგი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმას, რაც. ნათქვამია ჩემს მოხსენებაში ჩვენი პარტიის XIV ყრილობაზე გლეხობის მიმართ პარტიის ლოზუნგების შესახებ.

ამბ. მოლოტოვი თავის სტატიაში ლაპარაკობს არა პარტიის ძირითად ლოზუნგზე ოქტომბრის პერიოდში, არამედ იმაზე, რომ, რამდენადაც პარტიას ოქტომბრის შემდეგ ბოლომდე მიჰყავდა ბურჟუაზიული რევოლუცია, იმდენად მას თანაუგრძნობდა ყველა გლეხი. მაგრამ მე ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ამ ფაქტის აღნიშვნა კი არ უარყოფს, არამედ, პირიქით, ადასტურებს იმ ძირითადი დებულების სისწორეს, რომ ჩვენ დავამხეთ ბურჟუაზიის ხელისუფლება და დავამყარეთ პროლეტარიატის დიქტატურა უღარიბეს გლეხობასთან ერთად და საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პირობებში ქალაქისა და სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ უამისოდ ჩვენ ბოლომდე ვერ მივიყვანდით ბურჟუაზიულ რევოლუციას.

«ბოლშევიკ» № 7—8, 1927 წ. 15 აპრილი.

პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის შესახებ ოქტომბრის მომზადების პერიოდში

პასუხი ს. პოკროვსკის

მე ვფიქრობ, რომ თქვენი ა. წ. 2 მაისის წერილი არ იძლევა არც საბაბს, არც საფუძველს იმისათვის, რომ გიპასუხოთ დაწვრილებით, ასე ვთქვათ, ყველა პუნქტზე.

სიმართლე რომ ითქვას, იგი არ იძლევა რაიმე განსაკუთრებით ახალს იან — სკის წერილთან შედარებით.

თუ მე მაინც გიპასუხებთ თქვენს წერილზე, ეს იმიტომ, რომ იგი შეიცავს 1917 წლის აპრილ-მაისის პერიოდის კამენევშჩინის პირდაპირი რესტავრაციის ზოგიერთ ელემენტს. მხოლოდ კამენევშჩინის რესტავრაციის ამ ელემენტთა მხილებისათვის საპიროდ მიმაჩნია მოკლედ გიპასუხოთ თქვენს წერილზე.

1) თქვენს წერილში თქვენ ლაპარაკობთ, რომ «ნამდვილად თებერვლიდან ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში ჩვენ გვქონდა მთელ გლეხობასთან კავშირის ლოზუნგი», რომ «თებერვლიდან ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში პარტია მტკიცედ იცავდა თავის ძველ ლოზუნგს გლეხობის მიმართ — კავშირს მთელ გლეხობასთან მთლიანად».

ჯერ-ერთი, გამოდის, რომ ოქტომბრის მომზადების პერიოდში (1917 წ. აპრილი — ოქტომბერი) ბოლშევიკები ამოცანად არ ისახავდნენ მიჯნის გავლებას უღარიბეს გლეხობასა და შეძლებულ გლეხებს შორის, არამედ გლეხობას იღებდნენ როგორც მთელს.

მეორეც, გამოდის, რომ ოქტომბრის მომზადების პერიოდში ბოლშევიკებს არ შეუცვლიათ ძველი ლოზუნგი — «პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა» — ახალი ლოზუნგით — «პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა», არამედ დარჩნენ ძველ პოზიციებზე, რომლებიც მოცემულია ლენინის ბროშურაში «ორი ტაქტიკა» 1905 წელს.

მესამეც, გამოდის, რომ ბოლშევიკური პოლიტიკა ბრძოლისა საბჭოების მერყეობასთან და შემთანხმებლობასთან, ოქტომბრის მომ-

ზადების პერიოდში (1917 წ. მარტი — ოქტომბერი), საშუალო გლეხობის მერყეობასთან საბჭოებში და ფრონტზე, მერყეობასთან რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის, მერყეობასთან და შემთანხმებლობასთან, რამაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ივლისის დღეებში, როცა საბჭოები შემთანხმებელ ესერთა და მენშევიკთა მეთაურობით გვერდში ამოუდგნენ კონტრრევოლუციურ გენერლებს ბოლშევიკების იზოლაციის საქმეში, — გამოდის, რომ ბოლშევიკური ბრძოლა გლეხობის გარკვეული ფენების ამ მერყეობისა და შემთანხმებლობის წინააღმდეგ უსაგნო და აბსოლუტურად ზედმეტი იყო.

ბოლოს, გამოდის, რომ კამენევი მართალი იყო, როცა 1917 წლის აპრილ-მაისში იცავდა პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის ძველ ლოზუნგს, ხოლო ლენინი, რომელსაც ეს ლოზუნგი უკვე მოძველებულად მიაჩნდა და რომელმაც გამოაცხადა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ახალი ლოზუნგი, მართალი არ იყო.

საკმარისია მხოლოდ დაისვას ეს კითხვები, რომ ნათელი გახდეს სრული შეუსაბამობა თქვენი წერილისა მთლიანად.

მაგრამ ვინაიდან თქვენ ძალიან გიყვართ ცალკე ციტატების მოყვანა ლენინის თხზულებებიდან, მივმართოთ ციტატებს.

დიდი შრომა არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ თებერვლის გადატრიალების შემდეგ რუსეთის აგრარულ ურთიერთობაში ახალ მოვლენად, რევოლუციის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ლენინს მიაჩნდა არა პროლეტარიატის და მთელი გლეხობის ინტერესთა ერთიანობა, არამედ უღარიბესი გლეხობის გათიშვა შეძლებულ გლეხობასთან, რომელთაგან პირველი, ე. ი. უღარიბესი გლეხობა, მიიწევდა პროლეტარიატისაკენ, ხოლო მეორე, ე. ი. შეძლებული გლეხობა, მიჰყვებოდა დროებითს მთავრობას.

აი რას ამბობდა ამის შესახებ ლენინი 1917 წლის აპრილში კამენევისა და კამენევშჩინის წინააღმდეგ პოლემიკის დროს:

«შეუწყნარებელია პროლეტარული პარტიისათვის ახლა[1] იმედის დამყარება გლეხობასთან ინტერესთა ერთიანობაზე» (იხ. ლენინის სიტყვა 1917 წ. აპრილის კონფერენციაზე, ტ. XX, გვ. 245).

შემდეგ:

«ჩვენ უკვე ახლა ვხედავთ გლეხობის მთელ რიგ ყრილობათა გადაწყვეტილებებში იმ აზრს, რომ აგრარული საკითხის გადაჭრა გადაიდოს დამფუძნებელ კრებამდე, — ეს არის გამარჯვება შეძლებული გლეხობისა[1], რომელიც კადეტებისა-

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ყენ იხრება» (იხ. ლენინის სიტყვა პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე 1917 წ. აპრილში, ტ. XX, გვ. 176).

შემდეგ:

«შესაძლებელია, რომ გლეხობამ ხელში ჩაიგდოს მთელი მიწა და მთელი ძალაუფლება. მე არა თუ არ ვივიწყებ ამ შესაძლებლობას, არა თუ არ ეფარგლებ მარტო დღევანდელი დღით ჩემს თვალთახედვის არეს, არამედ პირდაპირ და ზუსტ ფორმულირებას ვაძლევ აგრარულ პროგრამას, ვითვალისწინებ რა ახალ მოვლენას: მოჯამაგირეთა და უღარიბეს გლეხთა უფრო ღრმა გათიშვას [1] მეპატრონე გლეხებთან» (იხ. ლენინის აპრილში დაწერილი სტატია «წერილები ტაქტიკაზე», ტ. XX, გვ. 103).

აი რაში ხედავდა ლენინი ახალს და მნიშვნელოვანს სოფლის ახალ ვითარებაში თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

აი რას ემყარებოდა ლენინი პარტიის პოლიტიკის გამომუშავების დროს 1917 წლის თებერვლის შემდგომ პერიოდში.

ამ დებულებას ემყარებოდა ლენინი, როცა იგი 1917 წლის აპრილში პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე ლაპარაკობდა:

«მხოლოდ ადგილებზე, აქ გავიგეთ უკვე, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ძალაუფლება გადასცა დროებითს მთავრობას. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო არის პროლეტარიატისა და ჯარისკაცთა დიქტატურის განხორციელება; ჯარისკაცთა შორის უმრავლესობა გლეხებია. სწორედ ეს არის პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა. მაგრამ ეს «დიქტატურა» შეუთანხმდა ბურჟუაზიას. აი აქ არის საჭირო «ძველი» ბოლშევიზმის გადასინჯვა» [1] (იხ. ტ. XX, გვ. 176).

ამავე დებულებას ემყარებოდა ლენინი, როცა 1917 წლის აპრილში წერდა:

«ვინც ახლა ლაპარაკობს მხოლოდ «პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიულ დიქტატურაზე», იგი ჩამორჩა ცხოვრებას, ის ამის გამო ნამდვილად გადავიდა წვრილი ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგ, იგი უნდა ჩაბარდეს «ბოლშევიკური» წინარევოლუციურ იშვიათობათა არქივს (შეიძლება ეუწოდოთ: «ძველი ბოლშევიკების» არქივი)» (იხ. ტ. XX, გვ. 101).

სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგი ნაცვლად ძველი ლოზუნგისა — პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის შესახებ.

თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, როგორც კიდევაც ლაპარაკობთ თქვენს წერილში, რომ ეს არის ტროცკისტული გადახტომა ჯერ კიდევ დაუმთავრებელ გლეხურ რევოლუციაზე, მაგრამ ეს იმდენადვე იქნება

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

დამაჯერებელი, რამდენადაც დამაჯერებელი იყო კამენევის ასეთივე გამოდავება, მიმართული ლენინის წინააღმდეგ 1917 წლის აპრილში.

ლენინი სავსებით ითვალისწინებდა ასეთ გამოდავებას, როცა თქვა:

«ტროცკიზმი — «უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური». ეს სწორი არ არის. წვრილი ბურჟუაზია არსებობს, მისი გამორიცხვა არ შეიძლება. მაგრამ მას ორი ნაწილი აქვს. მისი უღარიბესი[1] ნაწილი მუშათა კლასს მიჰყვება» (იხ. ტ. XX, გვ. 182).

კამენევის შეცდომა, ახლა კი თქვენი შეცდომა ის არის, რომ თქვენ უუნარო აღმოჩნდით შეამჩნიოთ და ხაზგასმით აღნიშნოთ განსხვავება წვრილი ბურჟუაზიის, ამ შემთხვევაში გლეხობის, ორ ნაწილს შორის, უუნარო აღმოჩნდით გამოჰყოთ გლეხობის უღარიბესი ნაწილი გლეხობის მთელი მასიდან და ააგოთ ამაზე პარტიის პოლიტიკა 1917 წლის რევოლუციის პირველი ეტაპიდან მის მეორე ეტაპზე გადასვლის ვითარებაში, უუნარო აღმოჩნდით გამოიყვანოთ აქედან ახალი ლოზუნგი, პარტიის მეორე სტრატეგიული ლოზუნგი პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის შესახებ.

თანმიმდევრობით გავადევნოთ თვალი «პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის» ლოზუნგის პრაქტიკულ ისტორიას 1917 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე ლენინის შრომებში.

1917 წლის აპრილი:

«მიმდინარე მომენტის თავისებურებას რუსეთში წარმოადგენს ის, რომ ხდება გადასვლა რევოლუციის პირველი[1] ეტაპიდან, რომელმაც, პროლეტარიატის არასაკმაო შეგნებულობისა და ორგანიზებულობის გამო, ძალაუფლება ბურჟუაზიას მისცა, — მის მეორე ეტაპზე, რომელმაც ძალაუფლება უნდა მისცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს»[1] (იხ. ლენინის «აპრილის თეზისები», ტ. XX, გვ 88).

1917 წლის ივლისი:

«მხოლოდ რევოლუციურ მუშებს, თუ მათ მხარს დაუჭერენ უღარიბესი გლეხები[1], შეეძლიათ გატეხონ კაპიტალისტების წინააღმდეგობა, წაიყვანონ ხალხი გამოუსყიდველად მიწის მოპოვებისაკენ, სრული თავისუფლებისაკენ, შიმშილზე გამარჯვებისაკენ, ომზე გამარჯვებისაკენ, სამართლიანი და მტკიცე ზავისაკენ» (იხ. ტ. XXI, გვ. 77).

1917 წლის აგვისტო:

«მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს უღარიბეს გლეხობას[1] (ნახევრად-პროლეტარებს, როგორც ჩვენი პროგრამა ამბობს), შეუძლია

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

დემოკრატიული ზავით დაამთავროს ომი, მოაშუშოს მისი ჭრილობები, გადადგას ნაბიჯები სოციალიზმისაკენ, რაც უთუოდ აუცილებელი და გადაუდებელი გახდა, — ასეთია ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის განსაზღვრა ამჟამად» (იხ. ტ. XXI, გვ. 111).

1917 წლის სექტემბერი:

«მხოლოდ პროლეტარებისა და უღარიბესი გლეხების[1] დიქტატურას შეუძლია გატეხოს კაპიტალისტების წინააღმდეგობა, გამოიჩინოს ძალაუფლების ნამდვილად დიადი გამბედაობა და სიმტკიცე, უზრუნველყოს თავისთვის მასების აღფრთოვანებული, თავდადებული, ჭეშმარიტად გმირული მხარდაჭერა არმიაშიც და გლეხობაშიც» (იხ. ტ. XXI, გვ. 147).

1917 წლის სექტემბერი — ოქტომბერი, ბროშურა «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?», სადაც ლენინი ეკამათება «ნოვაია ჟიზნს»:

«ან[1] მთელი ძალაუფლება ბურჟუაზიას — ამას თქვენ დიდი ხანია აღარ იცავთ, და თვით ბურჟუაზიაც ვერ ბედავს ამის შესახებ კრინტის დაძვრასაც კი, რადგან იცის, რომ ხალხმა უკვე 20 — 21 აპრილს ასეთი ძალაუფლება მხარის ერთი შეტოკებით დაამხო და ახლაც დაამხობს სამჯერ უფრო გაბედულად და დაუზოგავად. ან[1] წვრილი ბურჟუაზიის ძალაუფლება, ე. ი. მისი კოალიცია (კავშირი, შეთანხმება) ბურჟუაზიასთან, ვინაიდან თავისთავად და დამოუკიდებლად წვრილ ბურჟუაზიას არ სურს და არც შეუძლია მოიპოვოს ძალაუფლება, როგორც ეს დაამტკიცა ყველა რევოლუციის გამოცდილებამ, როგორც ამას ამტკიცებს ეკონომიური მეცნიერებაც, რომელიც განმარტავს, რომ კაპიტალისტურ ქვეყანაში შეიძლება იდგე კაპიტალის მხარეზე, შეიძლება იდგე შრომის მხარეზე, მაგრამ შუაში დგომას ვერ შესძლებ. ამ კოალიციამ რუსეთში ნახევარი წლის განმავლობაში მრავალი ათეული ხერხი სინჯა და მარცხი განიცადა. ან[1], ბოლოს, მთელი ძალაუფლება პროლეტარებს და უღარიბეს გლეხებს[1], ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იმისათვის, რომ გატეხონ მისი წინააღმდეგობა. ეს ჯერ კიდევ არ არის ნასინჯი. და თქვენ ამას, ბატონებო «ნოვაია ჟიზნიდან», არ ურჩევთ ხალხს, აშინებთ რა მას თქვენი საკუთარი შიშით ბურჟუაზიის წინაშე. სხვა რაიმე მეოთხის გამოგონებაც კი შეუძლებელია» (იხ. ტ. XXI, გვ. 275).

ასეთია ფაქტები.

თქვენ «არხეინად» გვერდს უვლით ყველა ამ ფაქტსა და მოვლენას ოქტომბრის მომზადების ისტორიიდან, «არხეინად» ჰშლით ბოლშევიზმის ისტორიიდან ბოლშევიკების ბრძოლას ოქტომბრის მომზადების პერიოდში იმ «მეპატრონე გლეხების» მერყეობასთან და შემთანხმებლობასთან, რომლებიც ისხდნენ მაშინ საბჭოებში, «არხეინად» ასამარებთ ლენინის ლოზუნგს პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის შესახებ და ამასთან ერთად

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

გგონიათ, რომ ეს არ არის ძალადობა ისტორიის მიმართ, ლენინიზმის მიმართ.

ამ ციტატებიდან, რომელთა რიცხვის გადიდება შეიძლებოდა, თქვენ უნდა ხედავდეთ, რომ 1917 წლის თებერვლის შემდეგ ბოლშევიკები გამოსავალ პუნქტად იღებდნენ არა გლეხობას მთლიანად, არამედ მის უღარიბეს ნაწილს, ისინი მიდიოდნენ ოქტომბრისაკენ არა ძველი ლოზუნგით — პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის შესახებ, არამედ ახალი ლოზუნგით — პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის შესახებ.

აქედან ჩანს, რომ ბოლშევიკები ამ ლოზუნგს ატარებდნენ საბჭოების მერყეობასა და შემთანხმებლობასთან ბრძოლაში, გლეხობის იმ გარკვეული ნაწილის მერყეობასა და შემთანხმებლობასთან ბრძოლაში, რომელიც საბჭოებში იჯდა, წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის იმ გარკვეული პარტიების მერყეობასა და შემთანხმებლობასთან ბრძოლაში, რომლებსაც ესერები და მენშევიკები ეწოდებათ.

აქედან ჩანს, რომ ახალი ლოზუნგის — პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის გარეშე ჩვენ ვერ შევკრებდით საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ არმიას, რომელიც შესძლებდა ესერებისა და მენშევიკების შემთანხმებლობის დაძლევას, გლეხობის გარკვეული ნაწილის მერყეობის ნეიტრალიზაციას, ბურჟუაზიული ძალაუფლების დამხობას და, ამრიგად, შესაძლებელს გახდიდა ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანას.

აქედან ჩანს, რომ «ოქტომბრისაკენ ჩვენ მივდიოდით და ოქტომბერში გავიმარჯვეთ უღარიბეს გლეხობასთან ერთად, კულაკობის (იგივე გლეხობა) წინააღმდეგობისა და საშუალო გლეხობის მერყეობის პირობებში» (იხ. ჩემი პასუხი იან — სკისადმი).

ამრიგად, გამოდის, რომ 1917 წლის აპრილში, ისე როგორც ოქტომბრის მომზადების მთელ პერიოდში, მართალი იყო ლენინი, და არა კამენევი, ხოლო თქვენ, ახდენთ რა ახლა კამენევშჩინის რესტავრაციას, თითქოს მაინცდამაინც კარგ კომპანიაში არ ხვდებით.

2) წინააღმდეგ ყოველივე ზემოთქმულისა, თქვენ მოგყავთ ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ 1917 წლის ოქტომბერში ჩვენ ძალაუფლებას ვიპყრობდით მთლიანად გლეხობის მხარდაჭერით. ჩვენ რომ ძალაუფლებას ვიპყრობდით მთლიანად გლეხობის ერთგვარი მხარდაჭერით, ეს სავსებით მართალია. მაგრამ თქვენ დაგავიწყდათ ერთი «წვრილმანის» დამატება: მთლიანად გლეხობა მხარს გვიჭერდა ოქტომბერში, ოქტომბრის შემდეგაც, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენ ბოლომდე მიგვყავდა ბურჟუაზიული რევოლუ-

ცია. ეს ფრიად მნიშვნელოვანი «წვრილმანია», რომელიც ამ შემთხვევაში წყვეტს საკითხს. ასეთი მნიშვნელოვანი «წვრილმანის» «დავიწყება» და, ამრიგად, უმნიშვნელოვანესი საკითხის მიჩქმალვა არ მიეტევება ბოლშევიკს.

თქვენი წერილიდან ჩანს, რომ თქვენ ლენინის სიტყვებს **მთლიანად** გლეხობის მხარდაჭერის შესახებ **უპირდაპირებთ** პარტიის ლოზუნგს «პროლეტარიატისა და **უღარიბესი** გლეხობის დიქტატურის» შესახებ, რომელიც იმავე ლენინმა მოგვცა. მაგრამ იმისათვის, რომ დაუპირდაპიროთ ლენინის ეს სიტყვები ზემომოყვანილ ციტატებს ლენინის თხზულებებიდან, იმისათვის, რომ გქონდეთ საფუძველი გააბათილოთ ლენინის ზემომოყვანილი ციტატები პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის შესახებ იმავე ლენინის თქვენს მიერ მოყვანილი სიტყვებით გლეხობაზე **მთლიანად**, — ამისათვის საჭიროა დაამტკიცოთ, ყოველ შემთხვევაში, ორი რამ.

პირველი. საჭიროა დაამტკიცოთ, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა **მთავარია** ოქტომბრის რევოლუციაში. ლენინის აზრით, ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა **«დამატებითი»** პროდუქტია ოქტომბრის რევოლუციისა, რომელმაც **«გზადაგზა»** გადაწყვიტა ეს ამოცანა. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, გააბათილოთ ლენინის ეს დებულება და დაამტკიცოთ, რომ ოქტომბრის რევოლუციაში **მთავარია** არა ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობა და ძალაუფლების გადასვლა პროლეტარიატის ხელში, არამედ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა. სცადეთ დაამტკიცოთ ეს, და მაშინ მე მზადა ვარ ვაღიარო, რომ პარტიის ლოზუნგს 1917 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე შეადგენდა ჩვენში არა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა.

თქვენი წერილიდან ჩანს, რომ თქვენ შესაძლებლად არა სთვლით იკისროთ ეს მეტად სახიფათო ამოცანა, მაგრამ ცდილობთ «გზადაგზა» დაამტკიცოთ, რომ ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხში, ზავის საკითხში, თითქოს ჩვენ მხარს გვიჭერდა **მთელი** გლეხობა. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ეს სრულიად არ არის სწორი. ზავის საკითხში თქვენ დადექით ობივატელურ თვალსაზრისზე. ნამდვილად კი ზავის საკითხი ჩვენთვის მაშინ ძალაუფლების საკითხი იყო, ვინაიდან მხოლოდ ძალაუფლების გადასვლით პროლეტარიატის ხელში შესაძლებელი იყო იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის იმედი გვქონოდა.

თქვენ, ალბათ, დაგავიწყდათ ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ «ომის დამთავრება შეიძლება მხოლოდ ძალაუფლების გადასვლით მეორე კლასის ხელში», რომ «ძირს ომი» — არ ნიშნავს ხიშტის გადაგდებას. ეს ნიშნავს ძალაუფლების გადასვლას მეორე კლასის ხელში» (იხ. ლენინის სიტყვა პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე 1917 წ. აპრილში, ტ. XX, გვ. 181 და 178).

ამრიგად, ორში ერთი: ან უნდა დაამტკიცოთ, რომ ოქტომბრის რევოლუციაში მთავარია ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, ან ამას ვერ დაამტკიცებთ, — და მაშინ თავისთავად გამოდის დასკვნა იმის შესახებ, რომ გლეხობას მთლიანად შეეძლო ჩვენთვის მხარი დაეჭირა ოქტომბერში მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ჩვენ ბოლომდე მიგვყავდა ბურჟუაზიული რევოლუცია, ვსპობდით მონარქიას, მემამულეთა საკუთრებას და მემამულურ წესებს.

მეორე. თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ ბოლშევიკებს შეეძლოთ მიეღწიათ მთლიანად გლეხობის მხარდაჭერისათვის ოქტომბერში და ოქტომბრის შემდეგ, რამდენადაც მათ ბოლომდე მიჰყავდათ ბურჟუაზიული რევოლუცია, ოქტომბრის მომზადების მთელ პერიოდში პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის სისტემატურად გატარების გარეშე, წვრილბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლობასთან სისტემატური ბრძოლის გარეშე, რაც გამომდინარეობს ამ ლოზუნგიდან, გლეხობის გარკვეული ფენებისა და საბჭოებში მათ წარმომადგენელთა მერყეობის სისტემატური მხილების გარეშე, რაც იმავე ლოზუნგიდან გამომდინარეობს.

სცადეთ ამის დამტკიცება. მართლაც, რატომ მოვახერხეთ მთლიანად გლეხობის მიერ ჩვენთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა ოქტომბერში და ოქტომბრის შემდეგ? იმიტომ, რომ ჩვენ შესაძლებლობა მივიღეთ ბოლომდე მიგვეყვანა ბურჟუაზიული რევოლუცია.

რატომ მივიღეთ ასეთი შესაძლებლობა? იმიტომ, რომ ჩვენ მოვახერხეთ დაგვემხო ბურჟუაზიული ხელისუფლება და შეგვეცვალა იგი პროლეტარიატის ხელისუფლებით, რომელსაც, და მხოლოდ მას, შესწევს უნარი ბოლომდე მიიყვანოს ბურჟუაზიული რევოლუცია.

რატომ შევძელით ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობა და პროლეტარიატის ხელისუფლების დამყარება? იმიტომ, რომ ოქტომბრის მომზადებას ვაწარმოებდით პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგით, იმიტომ, რომ, ვემყარებოდით რა ამ ლოზუნგს, ჩვენ სისტემატურად ვებრძოდით წვრილბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლობას, იმიტომ, რომ, ვემყარებოდით რა ამ ლოზუნგს, ჩვენ სისტემატურად ვებრძოდით საშუალო გლეხო-

ბის მერყეობას საბჭოებში, იმიტომ, რომ **მხოლოდ ასეთი ლოზუნგით** შეგვეძლო დაგვეძლია საშუალო გლეხის მერყეობა, დაგვემსხვრია წვრილბურჟუაზიული პარტიების შემთანხმებლობა და შეგვეკრიბა ისეთი პოლიტიკური არმია, რომელსაც უნარი ექნებოდა ებრძოლნა ძალაუფლების გადასვლისათვის პროლეტარიატის ხელში.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ამ წინასწარი პირობების გარეშე, რომლებმაც განსაზღვრეს ოქტომბრის რევოლუციის ბედი, ჩვენ ვერ შევძლებდით მიგველწია ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის საქმეში **მთლიანად** გლეხობის მხარდაჭერისათვის არც ოქტომბერში და არც ოქტომბრის შემდეგ.

აი როგორ უნდა გვესმოდეს გლეხთა ომების შეერთება პროლეტარულ რევოლუციასთან.

აი რატომ არის, რომ ოქტომბერში და ოქტომბრის შემდეგ ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის საქმეში მთლიანად გლეხობის მხარდაჭერის **დაპირდაპირება** პროლეტარიატისა და **უღარიბესი** გლეხობის დიქტატურის ლოზუნგით ოქტომბრის რევოლუციის მომზადების ფაქტისადმი — იმას ნიშნავს, რომ **ვერაფერი გაიგო ლენინიზმში.**

თქვენი ძირითადი შეცდომა ის არის, რომ თქვენ ვერ გაიგეთ ვერც ის ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლუციის მსვლელობაში **სოციალისტური** ამოცანები გადაეხლართა **ბურჟუაზიული** რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ამოცანებს, ვერ გაიგეთ ვერც ოქტომბრის რევოლუციის იმ ცალკე მოთხოვნების განხორციელების მექანიკა, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის მეორე სტრატეგიული ლოზუნგიდან პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურის შესახებ.

როდესაც თქვენს წერილს კითხულობ, შეიძლება იფიქრო, რომ ჩვენ კი არ ავიყვანეთ გლეხობა პროლეტარული რევოლუციის სამსახურში, არამედ, პირიქით, «გლეხობამ მთლიანად», კულაკობის ჩათვლით, აიყვანა თავის სამსახურში ბოლშევიკები. ცუდად წავიდოდა ბოლშევიკების საქმე, ისინი რომ ასე იოლად «დგებოდნენ» არაპროლეტარული კლასების სამსახურში.

1917 წლის აპრილის პერიოდის კამენევშჩინა — აი რა გბოჭავთ თქვენ.

3) თქვენ ამტკიცებთ, რომ სტალინი ვერ ხედავს განსხვავებას 1905 წლის ვითარებასა და 1917 წლის თებერვლისათვის არსებულ ვითარებას შორის. ეს, რა თქმა უნდა, არასერიოზულია. მე ეს არ მითქვამს და არც შემეძლო მეთქვა. ჩემს წერილში ვამბობდი მხოლოდ იმას, რომ პარტიის ლოზუნგმა პროლეტარიატისა და გლე-

ხობის დიქტატურის შესახებ, რომელიც მოცემული იყო 1905 წელს, თავისი დადასტურება პოვა 1917 წლის თებერვლის რევოლუციაში. და ეს, რა თქმა უნდა, სწორია. სწორედ ასე გვიხატავდა მდგომარეობას ლენინი თავის სტატიაში «გლეხები და მუშები» 1917 წლის აგვისტოში:

«მხოლოდ პროლეტარიატსა და გლეხობას შეუძლიათ დაამხონ მონარქია — ასეთი იყო, იმ დროის მიხედვით (ნაგულისხმევია 1905 წელი. ი. სტ.), ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის ძირითადი განსაზღვრა. და ეს განსაზღვრა სწორი იყო. 1917 წლის თებერვალმა და მარტმა ეს ერთხელ კიდევ დაადასტურეს»[1] (იხ. ტ. XXI, გვ. 111).

თქვენ მხოლოდ შარზე ხართ.

4) შემდეგ, თქვენ ცდილობთ ამხილოთ სტალინი წინააღმდეგობებში, უპირდაპირებთ რა მის თეზისს საშუალო გლეხის შემთანხმებლობის შესახებ ოქტომბრამდე ციტატას სტალინის ბროშურიდან «ლენინიზმის საკითხები», სადაც ლაპარაკია საშუალო გლეხობასთან ერთად სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობაზე **პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ.**

დიდი შრომა არ არის საჭირო, რომ დაამტკიცო ორი სხვადასხვა მოვლენის ასეთი გაიგივების აბსოლუტურად არამეცნიერული ხასიათი. საშუალო გლეხი ოქტომბრის წინ, როცა ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია იდგა, და საშუალო გლეხი პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ, როცა ბურჟუაზია უკვე დამხობილი და ექსპროპრიირებულია, კოოპერაცია განვითარდა და წარმოების ძირითადი საშუალებანი პროლეტარიატის ხელშია თავმოყრილი, — ორი სხვადასხვა რამეა. ამ ორი სხვადასხვაგვარი საშუალო გლეხის გაიგივება და მათი ერთად დაყენება, — ეს იმას ნიშნავს, რომ მოვლენები განიხილო ისტორიულ ვითარებასთან დაუკავშირებლად და დაკარგო ყველა პერსპექტივა. ეს ციტატების მოყვანის ზინოვიევისებურ მანერას წააგავს, ყველა თარიღი და პერიოდი ერთმანეთში რომ არის არეული.

თუ ამას «რევოლუციური დიალექტიკა» ეწოდება, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ პოკროვსკიმ უკან მოიტოვა «დიალექტიკური» ხრიკიანობის ყველა რეკორდი.

5) დანარჩენ საკითხებს არ ვეხები, რადგან ვფიქრობ, რომ ისინი უკვე ამოწურულია იან — სკისთან მიწერ-მოწერაში.

1927 წ. 20 მაისი.

---

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ხასიათი

ოქტომბრის ათი წლისთავისათვის

ოქტომბრის რევოლუცია არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ რევოლუციად «ნაციონალურ ჩარჩოებში». იგი, უწინარეს ყოვლისა, არის ინტერნაციონალური, მსოფლიო ხასიათის რევოლუცია, ვინაიდან ის ნიშნავს ძირეულ მობრუნებას კაცობრიობის მსოფლიო ისტორიაში ძველი, კაპიტალისტური სამყაროდან ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ.

რევოლუციები წარსულში ჩვეულებრივ იმით თავდებოდა, რომ მმართველობის საჭესთან ექსპლოატატორთა ერთ ჯგუფს ცვლიდა ექსპლოატატორთა მეორე ჯგუფი. ექსპლოატატორები იცვლებოდნენ, ექსპლოატაცია რჩებოდა. ასე იყო მონების განმათავისუფლებელ მოძრაობათა დროს. ასე იყო ყმების აჯანყებათა პერიოდში. ასე იყო ცნობილი «დიდი» რევოლუციების დროს ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში. მე არ ვლაპარაკობ პარიზის კომუნაზე, რომელიც იყო პროლეტარიატის პირველი, სახელოვანი, გმირული, მაგრამ მაინც წარუმატებელი ცდა — შეებრუნებინა ისტორია კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ოქტომბრის რევოლუცია ამ რევოლუციებისაგან **პრინციპულად** განსხვავდება. იგი თავის მიზნად ისახავს არა ექსპლოატაციის ერთი ფორმის შეცვლას ექსპლოატაციის მეორე ფორმით, ექსპლოატატორთა ერთი ჯგუფისა — ექსპლოატატორთა მეორე ჯგუფით, არამედ ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობას, ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორული ჯგუფის მოსპობას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, დღემდე არსებულ ყველა ჩაგრულ კლასთა შორის ყველაზე რევოლუციური კლასის ძალაუფლების დამყარებას, ახალი უკლასო სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციას.

სწორედ ამიტომ ოქტომბრის რევოლუციის **გამარჯვება** ნიშნავს ძირეულ გარდატეხას კაცობრიობის ისტორიაში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორიულ ბედში, ძირეულ გარდატე-

ხას მსოფლიო პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ძირეულ გარდატეხას მთელი მსოფლიოს ექსპლოატირებული მასების ბრძოლის წესებსა და ორგანიზაციის ფორმებში, ყოფაცხოვრებასა და ტრადიციებში, კულტურასა და იდეოლოგიაში.

ამაშია იმის საფუძველი, რომ ოქტომბრის რევოლუცია არის ინტერნაციონალური, მსოფლიო ხასიათის რევოლუცია.

ამაშივეა იმ ღრმა სიმპათიის ფესვები, რომელსაც გრძნობენ ოქტომბრის რევოლუციისადმი ყველა ქვეყნის ჩაგრული კლასები, რადგან მასში ხედავენ თავიანთი განთავისუფლების საწინდარს.

შეიძლებოდა აღგვენიშნა მთელი რიგი ძირითადი საკითხები, რომელთა ხაზითაც მიიმართება ოქტომბრის რევოლუციის ზემოქმედება რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე მთელ მსოფლიოში.

1. ოქტომბრის რევოლუცია შესანიშნავია, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ მან გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტი, დაამხო იმპერიალისტური ბურჟუაზია ერთ-ერთ ყველაზე დიდ კაპიტალისტურ ქვეყანაში და ხელისუფლების სათავეში დააყენა სოციალისტური პროლეტარიატი.

დაქირავებულთა კლასი, დევნილთა კლასი, ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა კლასი კაცობრიობის ისტორიაში პირველად ამაღლდა გაბატონებული კლასის მდგომარეობამდე და თავისი მაგალითით აღაფრთოვანებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს.

ეს ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ეპოქას, პროლეტარული რევოლუციების ეპოქას იმპერიალიზმის ქვეყნებში.

მან ჩამოართვა წარმოების იარაღები და საშუალებანი მემამულეებსა და კაპიტალისტებს, გადააქცია ისინი საზოგადოებრივ საკუთრებად და, ამრიგად, დაუპირისპირა ბურჟუაზიულ საკუთრებას სოციალისტური საკუთრება. ამით მან ამხილა კაპიტალისტების სიცრუე იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული საკუთრება ხელუხლებელი, წმიდათა-წმიდა, მარადიულია.

მან ძალაუფლება გამოსტაცა ბურჟუაზიას, ჩამოართვა ბურჟუაზიას პოლიტიკური უფლებები, დაამსხვრია ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი, გადასცა ძალაუფლება საბჭოებს და, ამრიგად, დაუპირისპირა ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს, როგორც კაპიტალისტურ დემოკრატიას, საბჭოების სოციალისტური ძალაუფლება, როგორც პროლეტარული დემოკრატია. ლაფარგი მართალი იყო, როდესაც იგი ჯერ კიდევ 1887 წელს ამბობდა, რომ რევოლუციის მეორე დღეს «ყველა ყოფილ კაპიტალისტს ჩამოერთმევა საარჩევნო უფლებები».

ამით ოქტომბრის რევოლუციამ ამხილა სოციალ-დემოკრატების სიცრუე იმის შესახებ, რომ ახლა შესაძლებელია მშვიდობიანი გადასვლა სოციალიზმზე, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის საშუალებითო.

მაგრამ ოქტომბრის რევოლუცია ამაზე არ შეჩერებულა და ვერც შეჩერდებოდა. დაამსხვრია რა ძველი, ბურჟუაზიული, მან დაიწყო ახალის, სოციალისტურის შენება. ოქტომბრის რევოლუციის ათი წელი არის პარტიის, პროფკავშირების, საბჭოების, კოოპერაციის, კულტურული ორგანიზაციების, ტრანსპორტის, მრეწველობის, წითელი არმიის მშენებლობის ათი წელი. სსრ კავშირში სოციალიზმის უეჭველმა წარმატებებმა მშენებლობის ფრონტზე თვალსაჩინოდ დაგვანახეს, რომ პროლეტარიატს შეუძლია წარმატებით მართოს ქვეყანა უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ მას შეუძლია წარმატებით აშენოს მრეწველობა უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ მას შეუძლია წარმატებით უხელმძღვანელოს მთელ სახალხო მეურნეობას უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ მას შეუძლია წარმატებით აშენოს სოციალიზმი, კაპიტალისტური გარემოცვის მიუხედავად.

ძველი «თეორია» იმის შესახებ, რომ ექსპლოატირებულთ არ შეუძლიათ არსებობა უექსპლოატატორებოდ, ისე როგორც თავს და სხეულის სხვა ნაწილებს არ შეუძლიათ არსებობა უკუქოდ, — არ არის მარტო ძველ ისტორიაში ცნობილი რომაელი სენატორის, მენენიუს აგრიპას კუთვნილება. ეს «თეორია» ახლა წარმოადგენს საერთოდ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური «ფილოსოფიის». განსაკუთრებით კი — იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან კოალიციის სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ქვაკუთხედს. ეს «თეორია», რომელმაც ცრურწმენის ხასიათი მიიღო, წარმოადგენს ახლა ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ დაბრკოლებას კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის გარევოლუციურების გზაზე. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის ფაქტი, რომ მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ამ ყალბ «თეორიას».

განა საჭიროა კიდევ იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციის ამ და ამგვარ შედეგებს არ შეეძლოთ არ მოეხდინათ და არც შეუძლიათ არ მოახდინონ სერიოზული გავლენა მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობაზე კაპიტალისტურ ქვეყნებში?

ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, როგორიცაა კომუნიზმის უფრო და უფრო ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ყველა ქვეყნის პროლეტარების სიმპათიის ზრდა სსრ კავშირის მუშათა კლასისადმი, დასასრულ, მუშათა დელეგაციების მოზღვავება საბჭოების

ქვეყანაში, უდავოდ მეტყველებენ იმას, რომ ოქტომბრის რევოლუციის მიერ გადასროლილი თესლი უკვე იწყებს ნაყოფის მოცემას.

2. ოქტომბრის რევოლუციამ შეარყია იმპერიალიზმი არა მარტო მისი ბატონობის ცენტრებში, არა მარტო «მეტროპოლიებში». მან ლახვარი ჩასცა აგრეთვე იმპერიალიზმის ზურგს, მის პერიფერიებს, ძირი გამოუთხარა იმპერიალიზმის ბატონობას კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

დაამხო რა მემამულეები და კაპიტალისტები, ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის ბორკილები და გაათავისუფლა მისგან უზარმაზარი სახელმწიფოს ყველა ჩაგრული ხალხი უკლებლივ. პროლეტარიატს არ შეუძლია გაითავისუფლოს თავი ისე, რომ არ გაათავისუფლოს ჩაგრული ხალხები. ოქტომბრის რევოლუციის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მან სსრ კავშირში ეს ნაციონალურ-კოლონიური რევოლუციები ჩაატარა არა ნაციონალური მტრობისა და ერთა შორის შეტაკებათა დროშით, არამედ სსრ კავშირის ხალხთა მუშებისა და გლეხების ურთიერთნდობისა და ძმური დაახლოების დროშით, არა **ნაციონალიზმის** გულისათვის, არამედ **ინტერნაციონალიზმის** გულისათვის.

სწორედ იმიტომ, რომ ჩვენში ნაციონალურ-კოლონიური რევოლუციები მოხდა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით და ინტერნაციონალიზმის დროშით, სწორედ ამიტომ ხალხნი-პარიები, ხალხნი-მონები კაცობრიობის ისტორიაში **პირველად** ამაღლდნენ **ნამდვილად** თავისუფალ და **ნამდვილად** თანასწორ ხალხთა მდგომარეობამდე და თავიანთი მაგალითით აღაფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს.

ეს ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ **დასაბამი მისცა** ახალ ეპოქას, **კოლონიური** რევოლუციების ეპოქას, რომლებიც მსოფლიოს **ჩაგრულ ქვეყნებში** ტარდება პროლეტარიატთან **კავშირით**, პროლეტარიატის **ხელმძღვანელობით**.

წინათ «მიღებული იყო» ეფიქრათ, რომ მსოფლიო იმთავითვე გაყოფილია დაბალ და მაღალ რასებად, შავებად და თეთრებად, რომელთაგან პირველნი მოკლებული არიან ცივილიზაციის უნარს და განწირული არიან საიმისოდ, რომ ექსპლოატაციის ობიექტი იყვნენ, ხოლო მეორენი წარმოადგენენ ცივილიზაციის ერთადერთ მატარებელთ, რომელნიც მოწოდებული არიან პირველთა ექსპლოატაციისათვის.

ახლა ეს ლეგენდა დამსხვრეულად და უკუგდებულად უნდა ჩაითვალოს. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის ფაქტი, რომ მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ამ ლეგენდას და საქმით დაგვანახა, რომ განთავისუფლებულ, საბჭოთა განვითარების ფერხულში ჩაბმულ, აზიაევროპელ ხალხებს შესწევთ უნარი წინ წასწიონ ნამდვილად მოწინავე კულტურა და ნამდვილად მოწინავე ცივილიზაცია ოდნავადაც არა ნაკლებ, ვიდრე ეს შეუძლიათ ევროპელ ხალხებს.

წინათ «მიღებული იყო» ეფიქრათ, რომ ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების ერთადერთი მეთოდია **ბურჟუაზიული ნაციონალიზმის** მეთოდი, ერების ერთიმეორისაგან ჩამოცილების მეთოდი, მათი გათიშვის მეთოდი, სხვადასხვა ერთა მშრომელ მასებს შორის ნაციონალური მტრობის გაძლიერების მეთოდი.

ახლა ეს ლეგენდა გაქარწყლებულად უნდა ჩაითვალოს. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის ფაქტი, რომ მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ამ ლეგენდას და საქმით დაგვანახა ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების **პროლეტარული, ინტერნაციონალური** მეთოდის, როგორც ერთადერთი სწორი მეთოდის, შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა, საქმით დაგვანახა **ნებაყოფლობისა** და **ინტერნაციონალიზმის** საფუძველზე სულ სხვადასხვა ხალხთა მუშებისა და გლეხების **ძმური კავშირის** შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა. არსებობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა, რომელიც არის პირველსახე ყველა ქვეყნის მშრომელთა მომავალი გაერთიანებისა ერთიან მსოფლიო მეურნეობაში, არ შეიძლება არ წარმოადგენდეს ამის პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს.

ზედმეტია ლაპარაკი, რომ ოქტომბრის რევოლუციის ამ და ამგვარ შედეგებს არ შეეძლოთ არ მოეხდინათ და არ შეუძლიათ არ მოახდინონ სერიოზული გავლენა რევოლუციურ მოძრაობაზე კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ისეთი ფაქტები, როგორიც არის ჩაგრულ ხალხთა რევოლუციური მოძრაობის ზრდა ჩინეთში, ინდონეზიაში, ინდოეთში და ა. შ. და ამ ხალხთა სიმპათიების ზრდა სსრ კავშირისადმი, — უდავოდ მეტყველებენ ამას.

კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების უშფოთველი ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ერამ **განვლო.**

დადგა ერა განმათავისუფლებელი რევოლუციებისა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში, ერა ამ ქვეყნების **პროლეტარიატის** გამოღვიძებისა, ერა მისი **ჰეგემონიისა** რევოლუციაში.

3. გადაისროლა რა რევოლუციის თესლი როგორც იმპერიალიზმის ცენტრებში, ისე მის ზურგში, დაასუსტა რა იმპერიალიზმის ძლიერება «მეტროპოლიებში» და შეარყია მისი ბატონობა კოლონიებში, — ოქტომბრის რევოლუციამ ამით კითხვის ქვეშ დააყენა **მთლიანად** მსოფლიო კაპიტალიზმის თვით არსებობა.

თუ კაპიტალიზმის სტიქიური განვითარება იმპერიალიზმის პირობებში, — მისი უთანაბრობის გამო, კონფლიქტებისა და საომარი შეტაკებების გარდუვალობის გამო, ბოლოს, უმაგალითო იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის გამო, — გადაიზარდა კაპიტალიზმის ლპობისა და კვდომის პროცესად, ოქტომბრის რევოლუციას და მასთან დაკავშირებულს უზარმაზარი ქვეყნის მოწყვეტას კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემისაგან არ შეეძლოთ არ დაეჩქარებინათ ეს პროცესი, თანდათან არ დაერღვიათ მსოფლიო იმპერიალიზმის თვით საფუძვლები.

უფრო მეტიც. ოქტომბრის რევოლუციამ, იმპერიალიზმის შერყევასთან ერთად, შექმნა პირველი პროლეტარული დიქტატურის სახით მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მძლავრი და აშკარა ბაზა, რომელიც ამ მოძრაობას **არასოდეს არა ჰქონია** წინათ და რომელზეც მას ახლა შეუძლია დაეყრდნოს. მან შექმნა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ის მძლავრი და აშკარა ცენტრი, რომელიც ამ მოძრაობას **არასოდეს არა ჰქონია** წინათ და რომლის ირგვლივ მას შეუძლია ახლა დაირაზმოს, მოაწყოს **ყველა ქვეყნის პროლეტართა და ჩაგრულ ხალხთა ერთიანი რევოლუციური ფრონტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ.**

ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიო კაპიტალიზმს მიაყენა მომაკვდინებელი ჭრილობა, რომლისგანაც იგი ამიერიდან ვერასოდეს ვეღარ გამომრთელდება. სწორედ ამიტომ კაპიტალიზმი ამიერიდან ვერასოდეს ვეღარ დაიბრუნებს იმ «წონასწორობასა» და იმ «სიმყარეს», რაც მას ოქტომბრამდე ჰქონდა.

კაპიტალიზმს შეუძლია ნაწილობრივი სტაბილიზება, მას შეუძლია თავისი წარმოების რაციონალიზაცია, ქვეყნის მმართველობის გადაცემა ფაშიზმისათვის, მუშათა კლასის დროებით შებოჭვა, მაგრამ ის ვერასოდეს ვეღარ დაიბრუნებს იმ «სიმშვიდესა» და იმ «რწმენას», იმ «წონასწორობასა» და იმ «სიმყარეს», რომლითაც მას თავი მოჰქონდა წინათ, ვინაიდან მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი განვითარების ისეთ დონემდე მივიდა, როდესაც რევოლუციის ცეცხლმა აუცილებლად უნდა იფეთქოს ხან იმპერიალიზმის ცენტრებში, ხან პერიფერიაში, არარად აქციოს კაპიტალისტური დანაკე-

რები და დღითი-დღე მოაახლოოს კაპიტალიზმის დაცემა. სწორედ ისე, როგორც ეს ცნობილ არაკშია: «კუდს ამოათრევ — ცხვირი ეფლობა, ცხვირს ამოათრევ — კუდი ეფლობა».

მეორეც, ეს ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ გარკვეულ სიმაღლეზე აიყვანა მთელი მსოფლიოს ჩაგრული კლასების ძალა და ხვედრითი წონა, სიმამაცე და საბრძოლო მზადყოფნა, აიძულა გაბატონებული კლასები ანგარიში გაუწიონ მათ, როგორც ახალ, სერიოზულ ფაქტორს. ახლა უკვე აღარ შეიძლება მსოფლიოს მშრომელ მასებს უყურონ როგორც «ბრმა ბრბოს», რომელიც ხეტიალობს წყვდიადში და მოკლებულია პერსპექტივებს, ვინაიდან ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა მათთვის შუქურა, რომელიც უნათებს მათ გზას და აძლევს პერსპექტივებს. თუ წინათ არ ყოფილა საკვეყნო აშკარა ფორუმი, საიდანაც შეიძლებოდა ჩაგრული კლასების ზრახვათა და მისწრაფებათა დემონსტრირება და გაფორმება, ახლა ასეთი ფორუმი არსებობს პირველი პროლეტარული დიქტატურის სახით.

არა მგონია შეიძლებოდეს იმაში დაეჭვება, რომ ამ ფორუმის მოსპობა დიდი ხნით დაფარავდა «მოწინავე ქვეყნების» საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას თავშეუკავებელი შავი რეაქციის წყვდიადით. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ თვით «ბოლშევიკური სახელმწიფოს» არსებობის უბრალო ფაქტი ლაგამს სდებს რეაქციის შავბნელ ძალებს და უადვილებს ჩაგრულ კლასებს თავიანთი განთავისუფლებისათვის ბრძოლას. სწორედ ამით აიხსნება ის მხეცური სიძულვილი, რომელსაც გრძნობენ ყველა ქვეყნის ექსპლოატატორები ბოლშევიკებისადმი.

ისტორია მეორდება, თუმცა ახალ საფუძველზე. როგორც წინათ, ფეოდალიზმის დაცემის პერიოდში, სიტყვა «იაკობინელი» საზარელ შიშსა და ზიზღს ჰგვრიდა ყველა ქვეყნის არისტოკრატებს, ისე ახლაც, კაპიტალიზმის დაცემის პერიოდში, სიტყვა «ბოლშევიკი» საზარელ შიშსა და ზიზღს ჰგვრის ყველა ქვეყნის ბურჟუაზიას. და, პირიქით, როგორც წინათ პარიზი იყო თავშესაფარი და სკოლა ზეაღმავალი ბურჟუაზიის რევოლუციური წარმომადგენლებისათვის, ისე ახლა მოსკოვი არის თავშესაფარი და სკოლა ზეაღმავალი პროლეტარიატის რევოლუციური წარმომადგენლებისათვის. იაკობინელებისადმი სიძულვილმა ვერ იხსნა ფეოდალიზმი დაღუპვისაგან. განა შეიძლება იმაში დაეჭვება, რომ ბოლშევიკებისადმი სიძულვილი ვერ იხსნის კაპიტალიზმს მისი გარდუვალი დაღუპვისაგან?

კაპიტალიზმის «სიმყარის» ერამ განვლო და თან წაიღო ბურჟუაზიული წესწყობილების ურყევლობის ლეგენდა.

დადგა კაპიტალიზმის დამსხვრევის ერა.

4. ოქტომბრის რევოლუცია არ შეიძლება ჩაითვალოს რევოლუციად მხოლოდ ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში. იგი ამასთან ერთად არის რევოლუცია აზროვნებაში, რევოლუცია მუშათა კლასის იდეოლოგიაში. ოქტომბრის რევოლუცია იშვა და განმტკიცდა მარქსიზმის დროშის ქვეშ, პროლეტარიატის დიქტატურის იდეის დროშის ქვეშ, ლენინიზმის დროშის ქვეშ, ლენინიზმისა, რომელიც არის იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმი. ამიტომ იგი მოასწავებს მარქსიზმის გამარჯვებას რეფორმიზმზე, ლენინიზმის გამარჯვებას სოციალ-დემოკრატიზმზე, III ინტერნაციონალის გამარჯვებას II ინტერნაციონალზე.

ოქტომბრის რევოლუციამ გაუვალი კვალი გაავლო მარქსიზმსა და სოციალ-დემოკრატიზმს შორის, ლენინიზმის პოლიტიკასა და სოციალ-დემოკრატიზმის პოლიტიკას შორის.

წინათ, **პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამდე**, სოციალ-დემოკრატიას შეეძლო კოხტაობა მარქსიზმის დროშით ისე, რომ არ უარეყო აშკარად პროლეტარიატის დიქტატურის იდეა, მაგრამ არც არაფერი გაეკეთებინა, აბსოლუტურად არაფერი იმისათვის, რომ მოეახლოებინა ამ იდეის განხორციელება, ამასთან გასაგებია, რომ სოციალ-დემოკრატიის ასეთი მოქმედება არ ქმნიდა არავითარ საფრთხეს კაპიტალიზმისათვის. მაშინ, იმ პერიოდში, სოციალ-დემოკრატია ფორმალურად შეერთებული, ან თითქმის შეერთებული იყო მარქსიზმთან.

ახლა, **პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების შემდეგ**, როდესაც ყველამ თვალნათლივ დაინახა, **საითკენ** მივყავართ მარქსიზმს და **რას** შეიძლება ნიშნავდეს მისი გამარჯვება, სოციალ-დემოკრატიას უკვე აღარ შეუძლია მარქსიზმის დროშით კოხტაობა, აღარ შეუძლია პროლეტარიატის დიქტატურის იდეასთან კეკლუცობა ისე, რომ არ შექმნას ერთგვარი საფრთხე კაპიტალიზმისათვის. სოციალ-დემოკრატია, რაკი მან დიდი ხანია კავშირი გაწყვიტა მარქსიზმის სულთან, იძულებული შეიქნა გაეწყვიტა კავშირი მარქსიზმის დროშასთანაც, აშკარად და გარკვეულად დადგა მარქსიზმის პირმშოს წინააღმდეგ, ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ, მსოფლიოში პირველი პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ.

ახლა ის უნდა გამიჯნოდა, და ნამდვილადაც გაემიჯნა, მარქსიზმს, ვინაიდან ახლანდელ პირობებში არ შეიძლება მარქსისტი უწოდო თავს, თუ აშკარად და თავდადებით არ უჭერ მხარს მსოფლიოში

პირველ პროლეტარულ დიქტატურას, თუ არ აწარმოებ რევოლუციურ ბრძოლას საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, თუ არ ჰქმნი პირობებს პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის შენს საკუთარ ქვეყანაში.

სოციალ-დემოკრატიასა და მარქსიზმს შორის უფსკრული გაითხარა. ამიერიდან მარქსიზმის ერთადერთი მატარებელი და ბურჯი არის ლენინიზმი, კომუნიზმი.

მაგრამ საქმე ამით არ განსაზღვრულა. გამოჯნა რა სოციალ-დემოკრატია მარქსიზმისაგან, ოქტომბრის რევოლუცია უფრო შორს წავიდა, — მან გადაისროლა სოციალ-დემოკრატია კაპიტალიზმის პირდაპირ დამცველთა, მსოფლიოში პირველი პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლთა ბანაკში. როდესაც ბატონი ადლერები და ბაუერები, ველსები და ლევები, ლონგეები და ბლიუმები ლანძღავენ «საბჭოთა რეჟიმს» და ხოტბას ასხამენ პარლამენტურ «დემოკრატიას», ამით მათ იმისი თქმა სურთ, რომ ისინი იბრძვიან და იბრძოლებენ სსრ კავშირში კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენის გულისათვის, «ცივილიზებულ» სახელმწიფოებში კაპიტალისტური მონობის შენარჩუნების გულისათვის.

ახლანდელი სოციალ-დემოკრატიზმი კაპიტალიზმის იდეური დასაყრდენია. ლენინი ათასჯერ მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ ახლანდელი სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკოსები არიან «ბურჟუაზიის ნამდვილი აგენტები მუშათა მოძრაობაში, კაპიტალისტთა კლასის მუშა-ნოქრები», რომ «სამოქალაქო ომში პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის» ისინი აუცილებლად დადგებიან ««ვერსალელთა» მხარეზე «კომუნარების» წინააღმდეგ».

შეუძლებელია ბოლო მოუღო კაპიტალიზმს, თუ ბოლო არ მოუღე სოციალ-დემოკრატიზმს მუშათა მოძრაობაში. ამიტომ კაპიტალიზმის კვდომის ერა ამასთან ერთად არის მუშათა მოძრაობაში სოციალ-დემოკრატიზმის კვდომის ერა.

ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი მნიშვნელობა, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოასწავებს ლენინიზმის გარდუვალ გამარჯვებას სოციალ-დემოკრატიზმზე მსოფლიო მუშათა მოძრაობაში.

მუშათა მოძრაობაში II ინტერნაციონალისა და სოციალ-დემოკრატიზმის ბატონობის ერა დამთავრდა.

დადგა ლენინიზმისა და III ინტერნაციონალის ბატონობის ერა.

«პრავდა» № 255, 1927 წ. 6 — 7 ნოემბერი.

პურის ფრონტზე

საუბრიდან წითელი პროფესურის ინსტიტუტის, კომუნისტური აკადემიისა და სვერდლოვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან 1928 წ. 28 მაისს

კითხვა. რა უნდა ჩაითვალოს ძირითადად იმ სიძნელეებში, რაც პურის საქმეში გვაქვს? რაში მდგომარეობს გამოსავალი ამ სიძნელეებიდან? როგორი უნდა იყოს დასკვნები ამ სიძნელეებთან დაკავშირებით საერთოდ ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპის მხრივ, განსაკუთრებით მსუბუქი და მძიმე ინდუსტრიის თანაფარდობის თვალსაზრისით?

პასუხი. ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ სიძნელეები, რაც პურის საქმეში გვაქვს, შემთხვევითია, მხოლოდ ცუდი დაგეგმვის შედეგია, მხოლოდ შედეგია მთელი რიგი შეცდომებისა სამეურნეო დაბალანსების საქმეში.

მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენოს. ნამდვილად კი სიძნელეთა მიზეზები აქ გაცილებით უფრო ღრმაა. უხეირო დაგეგმვამ და სამეურნეო დაბალანსების შეცდომებმა აქ მნიშვნელოვანი როლი რომ შეასრულეს, — ეს სრულიად უეჭველია. მაგრამ ყველაფრის ახსნა უხეირო დაგეგმვით და შემთხვევითი შეცდომებით, — ნიშნავს მეტად უხეში შეცდომის დაშვებას. შეცდომა იქნებოდა შეგვემცირებინა დაგეგმვის როლი და მნიშვნელობა. მაგრამ უფრო მეტი შეცდომა იქნებოდა გეგმიანი საწყისის როლი გაგვეზვიადებინა იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ განვითარების იმ დონეს, როცა შესაძლებლობა გვაქვს ყველაფერი და ყოველივე ვგეგმოთ და ვაწესრიგოთ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ ელემენტებს გარდა, რომლებიც ჩვენს გეგმიან ზემოქმედებას ემორჩილებიან, ჩვენი სახალხო მეურნეობის შემადგენლობაში არიან სხვა ელემენტებიც, რომლებიც ჯერჯერობით არ ემორჩილებიან დაგეგმვას, ბოლოს, არიან ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასები, რომელთა დაძლევა არ შეიძლება სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოებული უბრალო დაგეგმვის წესით.

აი რატომ ვფიქრობ, რომ არ შეიძლება ყველაფერი მივაწეროთ უბრალო შემთხვევითობას, დაგეგმვის შეცდომებს და სხვ.

მაშ რა არის საფუძველი იმ სიძნელეებისა, რაც პურის ფრონტზე გვაქვს?

პურის საქმეში ჩვენი სიძნელეების საფუძველი ის არის, რომ სასაქონლო პურის წარმოების ზრდა ჩვენში უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე პურის მოთხოვნილების ზრდა.

იზრდება მრეწველობა. იზრდება მუშების რაოდენობა. იზრდება ქალაქები. იზრდება, ბოლოს, ტექნიკური ნედლეულის (ბამბა, სელი, ჭარხალი და სხვ.) წარმოების რაიონები, რომლებიც აყენებენ მოთხოვნილებას სასაქონლო პურზე. ყოველივე ეს იწვევს პურის, სასაქონლო პურის მოთხოვნილების სწრაფ ზრდას. ხოლო სასაქონლო პურის წარმოება საშინლად ნელი ტემპით იზრდება.

არ შეიძლება ითქვას, რომ დამზადებული პური, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაშია, წელს უფრო ცოტა გვქონოდეს, ვიდრე შარშან ან შარშანწინ გვქონდა. პირიქით, წელს ჩვენს სახელმწიფოს ბევრად უფრო მეტი პური ჰქონდა, ვიდრე წარსულ წლებში. მაგრამ ჩვენს წინაშე მაინც სიძნელეებია პურის მხრივ.

აი ზოგიერთი ციფრი. 1925/26 წელს 1 აპრილისათვის ჩვენ შევძელით დაგვემზადებინა 434 მილიონი ფუთი პური. აქედან საზღვარგარეთ გავიტანეთ 123 მილიონი ფუთი. მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში დარჩა 311 მილიონი ფუთი დამზადებული პური. 1926/27 წელს 1 აპრილისათვის დამზადებული გვქონდა 596 მილიონი ფუთი პური. აქედან საზღვარგარეთ გავიტანეთ 153 მილიონი ფუთი. ჩვენს ქვეყანაში დარჩა 443 მილიონი ფუთი დამზადებული პური. 1927/28 წელს 1 აპრილისათვის დამზადებული გვქონდა 576 მილიონი ფუთი პური. აქედან საზღვარგარეთ გავიტანეთ 27 მილიონი ფუთი. ჩვენს ქვეყანაში დარჩა 549 მილიონი ფუთი დამზადებული პური.

სხვანაირად რომ ვთქვათ, წელს 1 აპრილისათვის ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებისათვის დამზადებული გვქონდა 100 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან, და 230 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშანწინ. და წელს ჩვენ მაინც სიძნელეები გვაქვს პურის ფრონტზე.

ჩემს ერთ-ერთ მოხსენებაში უკვე ვთქვი, რომ ეს სიძნელეები სოფლის კაპიტალისტურმა ელემენტებმა და, უწინარეს ყოვლისა, კულაკებმა იმისათვის გამოიყენეს, რომ ჩაეშალათ საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკა. თქვენ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო მთელი რიგი ზომები, რომელთა მიზანია კულაკობის ანტისაბჭოთა გამოსვლის ლიკვიდაცია. ამიტომ ამაზე აქ ბევრს ალარ

ვილაპარაკებ. ამ შემთხვევაში მეორე საკითხი მაინტერესებს. მხედ-ველობაში მაქვს სასაქონლო პურის წარმოების ნელი ტემპით ზრდის მიზეზების საკითხი, საკითხი იმის შესახებ, რომ სასაქონლო პურის წარმოება ჩვენში უფრო ნელი ტემპით იზრდება, ვიდრე მოთხოვნილება პურზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე მივაღ-წიეთ სათესი ფართობებისა და პურის საერთო პროდუქციის ომამ-დელ ნორმებს.

მართლაც, განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ სათე-სი ფართობების ომამდელ ნორმებს? დიახ, ფაქტია. განა ფაქტი არ არის, რომ პურის საერთო პროდუქცია უკვე შარშან უდრიდა წარ-მოების ომამდელ ნორმას, ე. ი. აღწევდა 5 მილიარდ ფუთამდე? დიახ, ფაქტია. მაშ, თუ ასეა, რით უნდა აიხსნას, რომ, მიუხედავად ამ გარემოებებისა, სასაქონლო პური მოგვყავს ორჯერ ნაკლები, ხოლო საზღვარგარეთ პური გაგვაქვს ოცჯერ ნაკლები, ვიდრე ომამდე?

ეს, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, იმით აიხსნება, რომ ოქ-ტომბრის რევოლუციის შედეგად შეიცვალა ჩვენი სოფლის მეურ-ნეობის აგებულება, მსხვილი მემამულური და მსხვილი კულაკური მეურნეობიდან, რომელიც სასაქონლო პურის ყველაზე მეტ რაო-დენობას იძლეოდა, გადავედით წვრილ და საშუალო გლეხურ მე-ურნეობაზე, რომელიც სასაქონლო პურის ყველაზე ნაკლებ რაო-დენობას იძლევა. უკვე მარტო ის გარემოება, რომ ომამდე ჩვენში იყო 15 — 16 მილიონი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა, ახლა კი 24 — 25 მილიონი გლეხური მეურნეობაა, — უკვე მარტო ეს მოწმობს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის ძირითად ბაზას ახლა წარმოადგენს წვრილი გლეხური მეურნეობა, რომელიც სასა-ქონლო პურის მინიმუმს იძლევა.

მიწათმოქმედებაში მსხვილი მეურნეობის ძალა, იქნება ეს მემა-მულური, კულაკური თუ კოლექტიური მეურნეობა, იმაში მდგომა-რეობს, რომ მას, ამ მსხვილ მეურნეობას, შესაძლებლობა აქვს გა-მოიყენოს მანქანები, გამოიყენოს მეცნიერების მიღწევები, გამოი-ყენოს სასუქი, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება და, ამრიგად, მო-გვცეს სასაქონლო პურის ყველაზე მეტი რაოდენობა. და პირიქით, წვრილი გლეხური მეურნეობის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოკლებულია, ან თითქმის მოკლებულია ამ შესაძლებლობებს, რის გამო იგი ნახევრად-მომხმარებელ, მცირესაქონლიან მეურნეო-ბას წარმოადგენს.

ავიღოთ, მაგალითად, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეო-ბები. ისინი სასაქონლო პურს გვაძლევენ მთელი თავიანთი საერთო

წარმოების 47,2 პროცენტის რაოდენობით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი შედარებით მეტ სასაქონლო პურს გვაძლევენ, ვიდრე მემამულური მეურნეობა ომამდე იძლეოდა. წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობანი კი? ისინი სასაქონლო პურს გვაძლევენ მთელი თავიანთი პროდუქციის მხოლოდ 11,2 პროცენტის რაოდენობით. განსხვავება, როგორც ხედავთ, საკმაოდ მკვეთრმეტყველურია.

აი რამდენიმე ციფრი, რომლებიც ააშკარავებენ პურის წარმოების აგებულების სურათს წარსულში, ომამდელ პერიოდში, და ახლა, ოქტომბრისშემდგომ პერიოდში. ეს ციფრები მოგვაწოდა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კოლეგიის წევრმა ამხ. ნემჩინოვმა. მათ, ამ ციფრებს, არა აქვთ სიზუსტის პრეტენზია, როგორც აღნიშნავს თავის ბარათში ამხ. ნემჩინოვი, — ისინი მხოლოდ დაახლოებითი გაანგარიშების შესაძლებლობას გვაძლევენ. მაგრამ ეს ციფრები საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ განსხვავება ომამდელ პერიოდსა და ოქტომბრისშემდგომ პერიოდს შორის საერთოდ პურის წარმოების, განსაკუთრებით კი სასაქონლო პურის წარმოების აგებულების თვალსაზრისით.

	პურის საერთო პროდუქცია		სასაქონლო პური (არასასოფლო)		
ომამდე:	მლნ. ფუთ.	%	მლნ. ფუთ.	%	საქონლიანობის %
1. მემამულეები . . .	600	12,0	281,6	21,6	47,0
2. კულაკები	1 900	38,0	650,0	50,0	34,0
3. საშუალო და ღარიბი გლეხები .	2 500	50,0	369,0	28,4	14,7
სულ . .	5 000	100	1 300,6	100	26,0
ომის შემდეგ (1926/27 წელს):					
1. საბჭ. მეურნ. და კოლექტ. მეურნ.	80,0	1,7	37,8	6,0	47,2
2. კულაკები	617,0	13,0	126,0	20,0	20,0
3. საშუალო და ღარიბი გლეხები .	4 052,0	85,3	466,2	74,0	11,2
სულ . . .	4 749,0	100	630,0	100	13,3

რას მოწმობს ეს ცხრილი?

იგი მოწმობს, ჯერ-ერთი, იმას, რომ პურის პროდუქტების უდიდესი მასის წარმოება მემამულეებიდან და კულაკებიდან გადავიდა წვრილი და საშუალო გლეხების ხელში. ეს ნიშნავს, რომ წვრილსა და საშუალო გლეხებს, რომლებმაც სავსებით დააღწიეს თავი მემამულეთა უღელს და ძირითადად შეარყიეს კულაკობის ძალა, შესაძ-

ლებლობა მიეცათ ფრიად სერიოზულად გაეუმჯობესებინათ თავიანთი მატერიალური მდგომარეობა. ეს ოქტომბრის რევოლუციის შედეგია. ამაში თავს იჩენს, უწინარეს ყოვლისა, ის გადამწყვეტი მოგება, რაც გლეხობის ძირითადმა მასებმა ოქტომბრის რევოლუციისაგან მიიღეს.

მეორეც, იგი მოწმობს იმას, რომ ჩვენში სასაქონლო პური ძირითადად აქვთ წვრილ და, უწინარეს ყოვლისა, საშუალო გლეხებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არა მარტო პურის საერთო პროდუქციის თვალსაზრისით, არამედ სასაქონლო პურის წარმოების თვალსაზრისითაც სსრ კავშირი, ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, გახდა წვრილ-გლეხური მეურნეობის ქვეყნად, ხოლო საშუალო გლეხი — მიწათმოქმედების «ცენტრალურ ფიგურად».

მესამეც, იგი მოწმობს იმას, რომ მემამულური (მსხვილი) მეურნეობის ლიკვიდაციას, კულაკური (მსხვილი) მეურნეობის ერთისამად და უფრო მეტად შემცირებას და წვრილ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლას, რომელიც საქონლიანობის მხოლოდ 11 პროცენტს იძლევა, ისეთ პირობებში, როცა არ არსებობს რამდენადმე განვითარებული მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობა· პურის წარმოების დარგში (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები), — უნდა გამოეწვია და მართლაც გამოიწვია სასაქონლო პურის წარმოების მკვეთრი შემცირება ომამდელ დროსთან შედარებით. ფაქტია, რომ ჩვენ ახლა ორჯერ ნაკლები სასაქონლო პური გვაქვს, მიუხედავად პურის საერთო პროდუქციის ომამდელი ნორმის არსებობისა.

აი სად არის საფუძველი იმ სიძნელეებისა, რაც პურის ფრონტზე გვაქვს.

აი რატომ არ შეიძლება უბრალო შემთხვევითობად ჩაითვალოს ჩვენი სიძნელენი პურის დამზადების დარგში.

უეჭველია, აქ ერთგვარი უარყოფითი როლი შეასრულა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ჩვენმა სავაჭრო ორგანიზაციებმა იკისრეს ზედმეტი მოვალეობა — პურით მოემარაგებინათ მთელი რიგი პატარა და საშუალო ქალაქები, რასაც არ შეეძლო რამდენადმე არ შეემცირებინა სახელმწიფოს პურის მარაგი. მაგრამ არაეითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელეების საფუძველია არა ეს გარემოება, არამედ ჩვენი სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ნელი განვითარების ფაქტი იმ დროს, როცა სწრაფად იზრდება მოთხოვნილება სასაქონლო პურზე.

სად არის გამოსავალი მდგომარეობიდან?

არიან ადამიანები, რომლებიც მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავენ კულაკური მეურნეობისაკენ დაბრუნებაში, კულაკური მეურნეობის განვითარებასა და გაშლაში. ეს ადამიანები ვერ ბედავენ ლაპარაკს მემამულური მეურნეობისაკენ დაბრუნებაზე, ვინაიდან, როგორც ჩანს, ესმით, რომ ასეთ რამეებზე ლაყბობა ჩვენს დროში სახიფათოა. მაგრამ ისინი მით უფრო მეტი ხალისით ლაპარაკობენ იმაზე, რომ აუცილებელია კულაკური მეურნეობის ყოველნაირად განვითარება... საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია ერთსა და იმავე დროს დაეყრდნოს ორ მოპირდაპირე კლასს, — კულაკების კლასს, რომელთა სამეურნეო პრინციპია მუშათა კლასის ექსპლოატაცია, და მუშების კლასს, რომელთა სამეურნეო პრინციპია ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობა. ეს რეაქციონერების შესაფერისი ოინია.

იმის მტკიცებაც კი არ ღირს, რომ ამ რეაქციულ «გეგმებს» საერთო არა აქვთ რა მუშათა კლასის ინტერესებთან, მარქსიზმის პრინციპებთან, ლენინიზმის ამოცანებთან. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კულაკი ქალაქის კაპიტალისტზე «უარესი არ არის», რომ კულაკი ქალაქის ნეპმანზე უფრო მეტ საფრთხეს არ წარმოადგენს და რომ ამიტომ ახლა არ უნდა «გვეშინოდეს» კულაკობისა, — ასეთი ლაპარაკი ფუჭი ლიბერალური ლაყბობაა, რომელიც ადუნებს მუშათა კლასის და გლეხობის ძირითადი მასების სიფხიზლეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ინდუსტრიაში ჩვენ შეგვიძლია წვრილ კაპიტალისტს ქალაქში დავუპირდაპიროთ მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, რომელიც სამრეწველო საქონლის მთელი მასის $^{9}/_{10}$-ს იძლევა, მსხვილ კულაკურ წარმოებას სოფლად შეგვიძლია წარმოების ხაზით დავუპირდაპიროთ მხოლოდ ჯერ კიდევ მოუმაგრებელი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებსაც კულაკურ მეურნეობებთან შედარებით 8-ჯერ ნაკლები პური მოჰყავთ. სოფლად მსხვილი კულაკური მეურნეობის მნიშვნელობის გაუგებლობა, იმის გაუგებლობა, რომ კულაკობის ხვედრითი წონა სოფლად ასჯერ მეტია, ვიდრე წვრილი კაპიტალისტების ხვედრითი წონა ქალაქის მრეწველობაში, — ეს ნიშნავს ჭკუაზე შეშლას, ლენინიზმთან კავშირის გაწყვეტას, მუშათა კლასის მტრების მხარეზე გადასვლას.

ამრიგად, სად არის გამოსავალი მდგომარეობიდან?

1) გამოსავალი, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ წვრილი, ჩამორჩენილი და დაჭსაქსული გლეხური მეურნეობებიდან გადავიდეთ გაერთიანებულ, მსხვილ, საზოგადოებრივ მეურნეობებ-

ზე, რომლებიც მომარაგებული იქნებიან მანქანებით, აღჭურვილი იქნებიან მეცნიერების მიღწევებით და რომლებსაც შეეძლებათ მოიყვანონ სასაქონლო პურის ყველაზე მეტი რაოდენობა. გამოსავალს წარმოადგენს გადასვლა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობიდან კოლექტიურ, საზოგადოებრივ მეურნეობაზე მიწათმოქმედებაში.

ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდან მოუწოდებდა პარტიას კოლმეურნეობების მოწყობისაკენ. მას შემდეგ ჩვენს პარტიაში არ შეწყვეტილა კოლმეურნეობების იდეის პროპაგანდა. მაგრამ მოწოდებამ კოლმეურნეობების მშენებლობისაკენ მხოლოდ უკანასკნელ დროს პოვა მასობრივი გამოძახილი. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ კოოპერაციული საზოგადოებრიობის ფართო განვითარებამ სოფლად მოამზადა გარდატეხა გლეხობის განწყობილებაში კოლმეურნეობების სასარგებლოდ, ხოლო მთელი რიგი კოლმეურნეობების არსებობამ, რომლებიც უკვე ახლა იძლევიან 150 — 200 ფუთ მოსავალს დესეტინაზე და თავიანთი მოსავლის 30 — 40 პროცენტ სასაქონლო პროდუქციას, — შექმნა ღარიბი გლეხობისა და საშუალო გლეხობის ქვედა ფენების სერიოზული სწრაფვა კოლმეურნეობებისაკენ.

აქ მცირე მნიშვნელობა როდი აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს მიეცა სახელმწიფოს შესაძლებლობა სერიოზულად დააფინანსოს საკოლმეურნეო მოძრაობა. ცნობილია, რომ წელს სახელმწიფომ კოლმეურნეობების დასახმარებლად შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი თანხა გაიღო (60 მილიონ მანეთზე მეტი). პარტიის XV ყრილობა სავსებით მართალი იყო, როცა აღიარა, რომ პირობები მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობისათვის უკვე მომწიფდა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიერება ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული საშუალებაა ჩვენს ქვეყანაში პურის წარმოების საქონლიანობის გასადიდებლად.

პურის საერთო პროდუქცია კოლმეურნეობებში 1927 წელს, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, შეადგენდა სულ მცირე 55 მილიონ ფუთს 30 პროცენტი საერთო საშუალო საქონლიანობით. ახალი კოლმეურნეობების შექმნის ფართო ტალღამ და ძველი კოლმეურნეობების გაფართოებამ მიმდინარე წლის დამდეგს საგრძნობლად უნდა გაადიდოს პურის წარმოება კოლმეურნეობებში წლის დამლევისათვის. ამოცანა ის არის, რომ შევინარჩუნოთ საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების ახლანდელი ტემპი, გავამსხვილოთ კოლმეურნეობები, უკუვაგდოთ ცრუ კოლმეურნეობები, შევცვალოთ ისინი ნამდვილი კოლმეურნეობებით და

დავამყაროთ ისეთი რეჟიმი, რომ კოლმეურნეობები მთელ თავიანთ სასაქონლო პურს აბარებდნენ სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებს, წინაალმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო მოუსპობს მათ სუბსიდიებსა და კრედიტებს. მე ვფიქრობ, რომ ამ პირობების დაცვით ჩვენ შევძლებდით იმის მიღწევას, რომ 3 — 4 წლის შემდეგ კოლმეურნეობებმა მოგვცენ ასეულ მილიონამდე ფუთი სასაქონლო პური.

ზოგჯერ საკოლმეურნეო მოძრაობას უპირდაპირებენ კოოპერაციულ მოძრაობას; როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ კოლმეურნეობები ერთია, ხოლო კოოპერაცია — მეორე. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ზოგიერთი იქამდეც კი მიდის, რომ კოლმეურნეობებს უპირდაპირებს ლენინის კოოპერაციულ გეგმას. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ასეთ დაპირისპირებას საერთო არა აქვს რა ჭეშმარიტებასთან. ნამდვილად კოლმეურნეობები წარმოადგენენ კოოპერაციის სახეს, საწარმოო კოოპერაციის ყველაზე მკაფიო სახეს. არის კოოპერაცია გამსაღებელი, არის მომმარაგებელი, არის საწარმოოც. კოლმეურნეობები წარმოადგენენ საერთოდ კოოპერაციული მოძრაობის, კერძოდ ლენინის კოოპერაციული გეგმის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს. ლენინის კოოპერაციული გეგმის გატარება იმას ნიშნავს, რომ გამსაღებელი და მომმარაგებელი კოოპერაციიდან გლეხობა ავამაღლოთ საწარმოო კოოპერაციამდე, ასე ვთქვათ, საკოლმეურნეო კოოპერაციამდე. სხვათა შორის, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობებმა ჩვენში წარმოშობა და განვითარება იწყეს მხოლოდ გამსაღებელი და მომმარაგებელი კოოპერაციის განვითარებისა და გაძლიერების შედეგად.

2) მეორეც, გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ გავაფართოოთ და განვამტკიცოთ ძველი საბჭოთა მეურნეობები, მოვაწყოთ და განვავითაროთ ახალი მსხვილი საბჭოთა მეურნეობები. პურის საერთო პროდუქცია ახლანდელ საბჭოთა მეურნეობებში 1927 წელს, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, შეადგენდა სულ მცირე 45 მილიონ ფუთს 65 პროცენტი საქონლიანობით. უეჭველია, რომ სახელმწიფოს მხრივ გარკვეული დახმარებით საბჭოთა მეურნეობები შესძლებენ პურის წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებას.

მაგრამ ამოცანა ამით როდი ამოიწურება. არსებობს საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომლის თანახმად იმ რაიონებში, სადაც გლეხებს არ უჭირავთ მიწის ნაკვეთები, ეწყობა ახალი მსხვილი საბჭოთა მეურნეობები (თვითეული 10 ათასი დესეტინიდან 30 ათას დესეტინამდე), რომლებმაც 5 — 6 წლის შემდეგ უნდა

მოგვცენ 100 მილიონი ფუთი სასაქონლო პური. ამ საბჭოთა მეურნეობების შექმნა უკვე დაიწყო. ამოცანა ის არის, რომ აუცილებლად განვახორციელოთ საბჭოთა ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება. მე ვფიქრობ, თუ ამ ამოცანებს განვახორციელებთ, ჩვენ შეეძლებთ მივაღწიოთ იმას, რომ 3 — 4 წლის შემდეგ ძველი და ახალი საბჭოთა მეურნეობებიდან მივიღოთ 80 — 100 მილიონი ფუთი სასაქონლო პური.

3) ბოლოს, გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატურად გავადიდოთ წვრილ და საშუალო ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მოსავლიანობა. ჩვენ ვერ გავუწევთ და არ უნდა ვუწევდეთ დახმარებას ინდივიდუალურ მსხვილ კულაკურ მეურნეობას. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა გავუწიოთ დახმარება ინდივიდუალურ წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობას, — გავადიდოთ მისი მოსავლიანობა და მოვაქციოთ იგი კოოპერაციული ორგანიზებულობის კალაპოტში. ეს ძველი ამოცანაა, იგი ჩვენში განსაკუთრებული სიძლიერით წამოყენებულ იქნა ჯერ კიდევ 1921 წელს სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის დროს. ეს ამოცანა დადასტურებულია ჩვენი პარტიის მიერ XIV და XV ყრილობებზე. ამ ამოცანის დიდ მნიშვნელობას ცხადყოფენ ახლა სიძნელეები პურის ფრონტზე. ამიტომ იგი, ეს ამოცანა, ისეთივე სიმტკიცით უნდა სრულდებოდეს, როგორითაც შესრულდება პირველი ორი ამოცანა, — ამოცანა კოლმეურნეობების შესახებ და ამოცანა საბჭოთა მეურნეობების შესახებ.

ყველა მონაცემი მოწმობს, რომ გლეხური მეურნეობის მოსავლიანობა რამდენიმე წლის განმავლობაში შეიძლება გადიდებულ იქნას 15 — 20 პროცენტით. ჩვენში ამჟამად ხმარებაშია სულ მცირე 5 მილიონი კავი. მარტო მათი შეცვლა გუთნებით უაღრესად სერიოზულად გაზრდიდა პურის წარმოებას ჩვენს ქვეყანაში. აღარაფერს ვამბობ გლეხურ მეურნეობათა მომარაგებაზე სასუქის ერთგვარი მინიმუმით, გაწმენდილი თესლეულით, წვრილი ტიპის მანქანებითა და სხვ.. მეთოდი კონტრაქტაციისა, მეთოდი მთელ სოფლებთან ხელშეკრულებათა დადებისა მათ მოსამარაგებლად თესლეულით და სხვ. იმ აუცილებელი პირობით, რომ მათგან მივიღებთ პურის პროდუქტებს სათანადო რაოდენობით, — ეს მეთოდი წარმოადგენს გლეხურ მეურნეობათა მოსავლიანობის გადიდებისა და კოოპერაციაში გლეხების ჩაბმის საუკეთესო საშუალებას. მე ვფიქრობ, რომ თუ სერიოზულად ვიმუშავებთ ამ მიმართულებით, 3 — 4 წლის შემდეგ შეეძლებთ წვრილ და საშუალო ინდივიდუალურ გლეხურ

მეურნეობათაგან მივიღოთ სულ მცირე 100 მილიონი ფუთი ახალი სასაქონლო პური.

ამრიგად, თუ ყველა ამ ამოცანას შევასრულებთ, 3 — 4 წლის შემდეგ შეიძლება გვქონდეს სახელმწიფოს განკარგულებაში დამატებით ახალი 250 — 300 მილიონი ფუთი სასაქონლო პური, რაც ცოტად თუ ბევრად საკმაო იქნება სათანადო მანევრირებისათვის როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

ასეთია, ძირითადად, ის ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ სიძნელეებს პურის ფრონტზე.

ამ ძირითად ღონისძიებათა შეერთება იმ მიმდინარე ღონისძიებებთან, რომელთა დანიშნულებაა დაგეგმვის გაუმჯობესება საქონლით სოფლის მომარაგების დარგში, და ჩვენი საავჭრო ორგანიზაციების განთავისუფლება მთელი რიგი პატარა და საშუალო ქალაქების პურით მომარაგების მოვალეობისაგან, — ასეთია ამჟამად ამოცანა.

საჭირო ხომ არ არის ამ ღონისძიებებთან ერთად მივიღოთ კიდევ მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, ვთქვათ, ღონისძიებანი ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შესანელებლად, ვინაიდან ინდუსტრიის ზრდა ქმნის პურის მოთხოვნილების გაძლიერებულ ზრდას, რაც ჯერჯერობით წინ უსწრებს სასაქონლო პურის წარმოების ზრდას? არა, არ არის საჭირო. არავითარ შემთხვევაში! ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელება ნიშნავს მუშათა კლასის დასუსტებას, ვინაიდან თვითეული ნაბიჯის წინ გადადგმა ინდუსტრიის განვითარების საქმეში, თვითეული ახალი ფაბრიკა, თვითეული ახალი ქარხანა წარმოადგენს, ლენინის თქმით, მუშათა კლასის «ახალ ციხე-სიმაგრეს», რომელიც აძლიერებს მის პოზიციებს წვრილბურჟუაზიულ სტიქიასთან ბრძოლაში, ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში. პირიქით, უნდა შევინარჩუნოთ ინდუსტრიის განვითარების ახლანდელი ტემპი, პირველი შესაძლებლობისთანავე კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ იგი, რათა სოფელი საქონლით ავავსოთ და მეტი პური გამოვიტანოთ იქიდან, რათა სოფლის მეურნეობა და, უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოვამარაგოთ მანქანებით, რათა მოვახდინოთ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია და გავადიდოთ მისი პროდუქციის საქონლიანობა.

იქნებ საჭირო იყოს მეტი «სიფრთხილისათვის» მძიმე მრეწველობის განვითარების შენელება იმ მიზნით, რომ მსუბუქი მრეწველო-

ბა, რომელიც, უმთავრესად, გლეხური ბაზრისათვის მუშაობს, ჩვენი ინდუსტრიის ბაზად გავხადოთ? არავითარ შემთხვევაში! ეს იქნებოდა თვითმკვლელობა, ძირის გამოთხრა მთელი ჩვენი მრეწველობისათვის, მათ შორის მსუბუქი მრეწველობისათვისაც. ეს იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგზე ხელის აღება, ჩვენი ქვეყნის გადაქცევა მეურნეობის მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დანამატად.

ჩვენ აქ ვემყარებით ლენინის ცნობილ სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც მან მოგვცა კომინტერნის IV კონგრესზე და რომლებიც უთუოდ სავალდებულოა მთელი ჩვენი პარტიისათვის. აი რას ამბობდა ლენინი ამის შესახებ კომინტერნის IV კონგრესზე:

«რუსეთის ხსნას წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში — ეს კიდევ ცოტაა, — და არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც მოხმარების საგნებს აწვდის გლეხობას, — ესეც კიდევ ცოტაა, — ჩვენთვის აუცილებელია აგრეთვე მძიმე ინდუსტრია».

ან კიდევ:

«ჩვენ მომპირნეობას ვეწევით ყველაფერზე, სკოლებზეც კი. ეს უნდა იყოს, რადგან ვიცით, რომ თუ არ ვიხსენით მძიმე მრეწველობა, თუ არ აღვადგინეთ იგი, ისე ჩვენ ვერავითარ მრეწველობას ვერ შეექმნით, უიმისოდ კი ჩვენ საერთოდ დავიღუპებით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა» (ტ. XXVII, გვ. 349).

ლენინის ამ მითითებათა დავიწყება არ შეიძლება.

როგორ იქნება მუშათა და გლეხთა კავშირის საქმე დასახულ ღონისძიებებთან დაკავშირებით? მე ვფიქრობ, რომ ამ ღონისძიებებს შეუძლიათ მხოლოდ გააადვილონ მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საქმე.

მართლაც: თუ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აჩქარებული ტემპით განვითარდებიან; თუ წვრილი და საშუალო გლეხობისათვის პირდაპირი დახმარების გაწევის შედეგად მათი მეურნეობების მოსავლიანობა გაიზრდება, ხოლო კოოპერაციაა გლეხობის სულ უფრო ფართო მასებს მოიცავს; თუ სახელმწიფო მიიღებს რამდენიმე ახალ ასეულ მილიონ ფუთ სასაქონლო პურს, რაც საჭიროა მანევრირებისათვის; თუ ამ და მსგავს ღონისძიებათა შედეგად კულაკობა აილაგმება და იგი თანდათან იქნება დაძლეული, — მაშინ განა ცხადი არ არის, რომ წინააღმდეგობანი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის მუშათა და გლეხთა კავშირის შიგნით ამ დროს სულ უფრო და უფრო შესუსტდება, პურის დამზადების საქმეში საგანგებო ზომები საჭირო აღარ იქნება, გლეხობის ფართო მასები სულ უფრო მეტად მობრუნდებიან მეურნეობის კოლექტი-

ური ფორმებისაკენ, ხოლო ბრძოლა კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისათვის სოფლად სულ უფრო მასობრივ და ორგანიზებულ ხასიათს მიიღებს.

განა ცხადი არ არის, რომ მუშათა და გლეხთა კავშირის საქმე მხოლოდ მოიგებს ასეთ ღონისძიებათა გატარებით?

ოღონდ საჭიროა მხედველობაში გვქონდეს, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში უბრალო კავშირად არ შეიძლება მივიჩნიოთ. ეს კავშირი არის მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელი მასების კლასობრივი კავშირის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს: ა) მუშათა კლასის პოზიციების გაძლიერებას, ბ) მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფას ამ კავშირის შიგნით, გ) კლასებისა და კლასობრივი საზოგადოების მოსპობას. მუშათა და გლეხთა კავშირის ყოველი სხვაგვარი გაგება არის ოპორტუნიზმი, მენშევიზმი, ესერობა, — ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ არა მარქსიზმი, ოღონდ არა ლენინიზმი.

როგორ შევათავსოთ მუშათა და გლეხთა კავშირის იდეა ლენინის ცნობილ დებულებასთან იმის შესახებ, რომ გლეხობა «უკანასკნელი კაპიტალისტური კლასია»? აქ წინააღმდეგობა ხომ არ არის? წინააღმდეგობა აქ მხოლოდ გარეგნულია, მოჩვენებითი. ნამდვილად აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. იმავე მოხსენებაში კომინტერნის III კონგრესზე, სადაც ლენინი გლეხობას ახასიათებს როგორც «უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასს», ამავე მოხსენებაში ლენინი კიდევ და კიდევ ასაბუთებს მუშათა და გლეხთა კავშირის აუცილებლობას და აცხადებს, რომ «დიქტატურის უმაღლესი პრინციპია გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის უზრუნველყოფა, რათა პროლეტარიატმა შესძლოს ხელმძღვანელი როლისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება». ცხადია, რომ ლენინი, ყოველ შემთხვევაში, აქ არ ხედავს არავითარ წინააღმდეგობას.

როგორ უნდა გვესმოდეს ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ გლეხობა «უკანასკნელი კაპიტალისტური კლასია»? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გლეხობა კაპიტალისტებისაგან შესდგება? არა, არ ნიშნავს.

ჯერ-ერთი, ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალური გლეხობა განსაკუთრებული კლასია, რომელიც მეურნეობას აშენებს წარმოების იარაღებისა და საშუალებების კერძო საკუთრების საფუძველზე და რომელიც, ამის გამო, განსხვავდება პროლეტარების კლასისაგან, რომლებიც მეურნეობას აშენებენ წარმოების იარაღებისა და საშუალებების კოლექტიური საკუთრების საფუძველზე.

მეორეც, ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალური გლეხობა ისეთი კლასია, რომელიც თავისი წრიდან გამოყოფს, წარმოშობს და ასაზრდოებს კაპიტალისტებს, კულაკებს და საერთოდ სხვადასხვაგვარ ექსპლოატატორებს.

ეს გარემოება დაუძლეველ დაბრკოლებას ხომ არ წარმოადგენს მუშათა და გლეხთა კავშირის ორგანიზაციის საქმისათვის? არა, არ წარმოადგენს. პროლეტარიატის კავშირი გლეხობასთან პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მთელ გლეხობასთან კავშირი. პროლეტარიატის კავშირი გლეხობასთან არის მუშათა კლასის კავშირი გლეხობის მშრომელ მასებთან. ასეთი კავშირი ვერ განხორციელდება გლეხობის კაპიტალისტურ ელემენტებთან უბრძოლველად, კულაკობასთან უბრძოლველად. ასეთი კავშირი მტკიცე ვერ იქნება, თუ ორგანიზებული არ იქნა ღარიბი გლეხობა, როგორც მუშათა კლასის დასაყრდენი სოფლად. ამიტომ მუშათა და გლეხთა კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის ახლანდელ პირობებში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ლენინის ცნობილი ლოზუნგით: დაეყრდენი ღარიბ გლეხობას, მოაწყე მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან, ერთი წუთითაც ნუ შეწყვეტ ბრძოლას კულაკობასთან, ვინაიდან მხოლოდ ამ ლოზუნგის გატარებით შეიძლება განხორციელდეს სოციალისტური მშენებლობის კალაპოტში გლეხობის ძირითადი მასების მოქცევის საქმე.

ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ წინააღმდეგობა ლენინის ორ ფორმულას შორის მხოლოდ მოჩვენებითი, გარეგნული წინააღმდეგობაა. ნამდვილად კი მათ შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არის.

ლენინი და საშუალო გლეხთან კავშირის საკითხი [1]

პასუხი ამხ. ს.-ს

ამხანაგო ს.!

მართალი არ არის, ვითომ ლენინის ლოზუნგი: «შეგვეძლოს შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხთან — ამავე დროს კი ერთი წუთითაც არ ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას», მოცემული მის ცნობილ სტატიაში პიტირიმ სოროკინის შესახებ, — წარმოადგენდეს «ღარიბთა კომიტეტების პერიოდის» ლოზუნგს, «საშუალო გლეხობის ეგრეთწოდებული ნეიტრალიზაციის პერიოდის დასასრულის» ლოზუნგს. ეს **სრულიად არ არის მართალი.**

ღარიბთა კომიტეტები დაარსდა 1918 წლის ივნისში. 1918 წლის ოქტომბრის დამლეგისათვის ჩვენი ძალები სოფლად უკვე სჭარბობდნენ კულაკობას და მოხდა საშუალო გლეხის მობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. სწორედ ამ მობრუნების საფუძველზე წარმოიშვა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საბჭოებსა და ღარიბთა კომიტეტებს შორის ორხელისუფლებიანობის მოსპობის შესახებ, სათემო და სასოფლო საბჭოების ხელახალი არჩევნების, ახლად არჩეულ საბჭოებში ღარიბთა კომიტეტების გათქვეფისა და, მაშასადამე, ღარიბთა კომიტეტების ლიკვიდაციის შესახებ. ამ გადაწყვეტილების გაფორმება საბჭოთა ხაზით, როგორც ვიცით, მიღებულ იქნა 1918 წ. 9 ნოემბერს საბჭოების VI ყრილობაზე. მე მხედველობაში მაქვს საბჭოების VI ყრილობის 1918 წლის 9 ნოემბრის დადგენილება სასოფლო და სათემო საბჭოების ხელახალი არჩევნებისა და საბჭოებში ღარიბთა კომიტეტების გათქვეფის შესახებ.

ხოლო როდის გამოქვეყნდა ლენინის სტატია «პიტირიმ სოროკინის საგულისხმო აღიარება», სადაც მან საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის ლოზუნგის ნაცვლად წამოაყენა საშუალო გლეხთან შეთანხმების ლოზუნგი? ეს სტატია გამოქვეყნდა 1918 წლის 21 ნოემბერს, ე. ი. საბჭოების VI ყრილობის მიერ ამ დადგენილე-

---

[1] იბეჭდება ერთგვარი შემოკლებით. ი. ხტ.

ბის გამოტანიდან თითქმის ორი კვირის შემდეგ. ამ სტატიაში ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკას გვიკარნახებს საშუალო გლეხის მობრუნება ჩვენსკენ.

აი ლენინის სიტყვები:

«სოფლად ჩვენი ამოცანაა — მოვსპოთ მემამულე, დავძლიოთ ექსპლოატატორისა და სპეკულანტ-კულაკის წინააღმდეგობა; ამისათვის ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ნახევრად-პროლეტარებს, «ღარიბ გლეხობას». მაგრამ საშუალო გლეხი ჩვენი მტერი არ არის. იგი მერყეობდა, მერყეობს და მომავალშიც განაგრძობს მერყეობას: მერყეევებზე ზემოქმედების ამოცანა და ექსპლოატატორის დამხობისა და აქტიურ მტერზე გამარჯვების ამოცანა ერთი და იგივე არ არის. შეგვეძლოს შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხთან — ამავე დროს კი ერთი წუთითაც არ ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას — ეს არის მომენტის ამოცანა, ვინაიდან ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო სწორედ ახლაა აუცილებელი საშუალო გლეხობის მობრუნება ჩვენსკენ[1] (ტ. XXIII, გვ. 294).

რა გამომდინარეობს აქედან?

აქედან ის გამომდინარეობს, რომ ლენინის ლოზუნგი ეხება არა ძველ პერიოდს, არა ღარიბთა კომიტეტებისა და საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პერიოდს, არამედ ახალ პერიოდს, საშუალო გლეხთან შეთანხმების პერიოდს. ამრიგად, ის გამოხატავს არა ძველი პერიოდის დასასრულს, არამედ ახალი პერიოდის დასაწყისს.

მაგრამ თქვენი მტკიცება ლენინის ლოზუნგის შესახებ სწორი არ არის არა მარტო ფორმალურად, არა მარტო, ასე ვთქვათ, ქრონოლოგიური მხრივ, — იგი სწორი არ არის არსებითადაც.

ცნობილია, რომ ლენინის ლოზუნგმა საშუალო გლეხთან შეთანხმების შესახებ, როგორც ახალმა ლოზუნგმა, საერთო პარტიული აღიარება პოვა ჩვენი პარტიის VIII ყრილობაზე (1919 წ. მარტი). ცნობილია, რომ პარტიის VIII ყრილობა არის სწორედ ის ყრილობა, რომელმაც დაადგინა საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის ჩვენი პოლიტიკის საფუძვლები. ცნობილია, რომ ჩვენი პროგრამა, საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამა, მიღებულია პარტიის VIII ყრილობაზეე. ცნობილია, რომ ამ პროგრამაში არის სპეციალური პუნქტები, რომლებიც ეხება პარტიის დამოკიდებულებას სოფლად არსებული სხვადასხვა დაჯგუფებებისადმი: ღარიბი გლეხობისა, საშუალო გლეხებისა და კულაკობისადმი. რა არის ნათქვამი საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამის ამ პუნქტებში სოფლის სოციალურ დაჯგუფებათა და მათთან პარტიის დამოკიდებულების შესახებ? მოისმინეთ:

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

«რუსეთის კომუნისტური პარტია მთელ თავის მუშაობაში სოფლად წინანდებურად ეყრდნობა ხოფლის პროლეტარულ და ნახევრად-პროლეტარულ ფენებს, რაზმავს მათ, უწინარეს ყოვლისა, დამოუკიდებელ ძალად, რისთვისაც ქმნის პარტიულ უჯრედებს სოფლად, ღარიბი გლეხობის ორგანიზაციებს, სოფლის პროლეტარებისა და ნახევრად-პროლეტარების განსაკუთრებული ტიპის პროფესიულ კავშირებს და სხვ., ყოველნაირად აახლოებს მათ ქალაქის პროლეტარიატთან და ათავისუფლებს მათ სოფლის ბურჟუაზიისა და წვრილმესაკუთრული ინტერესების გავლენისაგან.

კულაკობის მიმართ, სოფლის ბურჟუაზიის მიმართ, რუსეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მდგომარეობს მათი ექსპლოატატორული ზრახვების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში, საბჭოთა პოლიტიკისადმი მათი წინააღმდეგობის დათრგუნვაში.

საშუალო გლეხობის მიმართ რუსეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი თანდათან და გეგმაშეზომილად ჩაბმულ იქნას სოციალისტური მშენებლობის მუშაობაში. პარტია ამოცანად ისახავს ჩამოაშოროს საშუალო გლეხობა კულაკებს, მიიზიდოს იგი მუშათა კლასის მხარეზე და ამ მიზნით უურადღებით მოეპყროს მის საჭიროებებს, ებრძოლოს მის ჩამორჩენილობას იდეური ზეგავლენის ზომებით და სრულიადაც არა დათრგუნვის ზომებით, შეეცადოს ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა საქმე მის საარსებო ინტერესებს ეხება, მასთან პრაქტიკულ შეთანხმებას, წავიდეს დათმობაზე მის მიმართ სოციალისტურ გარდაქმნათა გატარების საშუალებათა განსაზღვრის დროს» [1] («რკპ(ბ) VIII ყრილობა», სტენოგრაფ. ანგარიში, გვ. 351).

აბა სცადეთ იპოვოთ თუნდაც მცირეოდენი, თუნდაც სიტყვიერი განსხვავება პროგრამის ამ პუნქტებსა და ლენინის ლოზუნგს შორის! თქვენ ვერ იპოვით ამ განსხვავებას, ვინაიდან იგი არ არსებობს ბუნებაში. უფრო მეტიც. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ლენინის ლოზუნგი არა თუ არ ეწინააღმდეგება VIII ყრილობის გადაწყვეტილებებს საშუალო გლეხის შესახებ, არამედ პირიქით, — წარმოადგენს ამ გადაწყვეტილებათა უაღრესად ზუსტ და უაღრესად მოხდენილ ფორმულირებას. ხომ ფაქტია, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამა მიღებულია 1919 წლის მარტში პარტიის VIII ყრილობაზე, რომელმაც სპეციალურად განიხილა საშუალო გლეხის საკითხი, ხოლო ლენინის სტატია პიტირიმ სოროკინის წინააღმდეგ, რომელშიც წამოყენებულ იქნა საშუალო გლეხთან შეთანხმების ლოზუნგი, პრესაში გამოქვეყნდა 1918 წლის ნოემბერში, ოთხი თვით ადრე პარტიის VIII ყრილობამდე.

განა ცხადი არ არის, რომ პარტიის VIII ყრილობამ მთლიანად და სავსებით დაადასტურა ლენინის ლოზუნგი, რომელიც წამოყენებული იყო მის სტატიაში პიტირიმ სოროკინის წინააღმდეგ, როგორც ისეთი ლოზუნგი, რომლითაც პარტია ვალდებულია იხელ-

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

მძღვანელოს თავის მუშაობაში სოფლად სოციალისტური მშენებლობის მთელ ახლანდელ პერიოდში?

რაში მდგომარეობს ლენინის ლოზუნგის არსი?

ლენინის ლოზუნგის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესანიშნავი მოხდენილობით ასახავს სოფლად პარტიული მუშაობის სამერთოვან ამოცანას, რომელიც გამოთქმულია ერთ სხარტ ფორმულაში: ა) **დაეყრდენი** ღარიბ გლეხობას, ბ) მოაწყე **შეთანხმება** საშუალო გლეხთან, გ) ერთი წუთითაც ნუ შეწყვეტ **ბრძოლას** კულაკთან. სცადეთ და ამოიღეთ ამ ფორმულიდან ერთ-ერთი მისი ნაწილი, როგორც ბაზა სოფლად მუშაობისათვის ახლანდელ მომენტში, ხოლო ამ ფორმულის სხვა ნაწილები დაივიწყეთ, — და თქვენ აუცილებლად ჩიხში მოექცევით.

შეიძლება თუ არა სოციალისტური მშენებლობის ახლანდელი ფაზის პირობებში მივაღწიოთ ნამდვილ და მტკიცე შეთანხმებას საშუალო გლეხთან ისე, თუ არ დავეყრდნობით ღარიბ გლეხობას და არ ვაწარმოებთ ბრძოლას კულაკის წინააღმდეგ?

არ შეიძლება.

შეიძლება თუ არა ახლანდელი განვითარების პირობებში წარმატებით ვიბრძოლოთ კულაკის წინააღმდეგ ისე, თუ არ დავეყრდნობით ღარიბ გლეხობას და არ შევუთანხმდებით საშუალო გლეხს?

არ შეიძლება.

როგორ შეიძლება ყველაზე უფრო მოხერხებულად გამოიხატოს ერთ განმაზოგადებელ ლოზუნგში სოფლად პარტიული მუშაობის ეს სამერთოვანი ამოცანა? მე ვფიქრობ, რომ ლენინის ლოზუნგი ამ ამოცანის ყველაზე უფრო მოხერხებული გამოხატულებაა. უნდა ვაღიაროთ, რომ ლენინზე უფრო მოხერხებულად ვერ იტყვი...

რატომ უნდა გაესვას ხაზი ლენინის ლოზუნგის მიზანშეწონილობას სწორედ ახლა, სოფლად მუშაობის სწორედ ახლანდელ პირობებში?

იმიტომ, რომ სწორედ ახლა ემჩნევა ზოგიერთ ამხანაგს ტენდენცია — ნაწილებად დაშალოს სოფლად პარტიული მუშაობის **სამერთოვანი** ამოცანა და დააშოროს ერთმანეთს ეს ნაწილები. ეს სავსებით დაადასტურა პურის დამზადების ჩვენი კამპანიის პრაქტიკამ ამა წლის იანვარ-თებერვალში.

საშუალო გლეხთან რომ შეთანხმების მიღწევაა საჭირო — ეს ყველა ბოლშევიკმა იცის. მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ ამ შეთანხმებას — ეს ყველას როდი ესმის. ერთნი საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევას ფიქრობენ კულაკობასთან ბრძოლაზე ხელის აღების გზით ან ამ ბრძოლის შესუსტების გზით: აქაო-და, კულაკო-

ბასთან ბრძოლამ შეიძლება დააფრთხოს საშუალო გლეხობის ნაწილი, მისი შეძლებული ნაწილიო.

მეორენი საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევას ფიქრობენ ღარიბი გლეხობის დარაზმვისათვის საჭირო მუშაობაზე ხელის აღების გზით ან ამ მუშაობის შესუსტების გზით: აქაო-და, ღარიბი გლეხობის დარაზმვა იწვევს ღარიბი გლეხობის განკერძოებას, განკერძოებამ კი შეიძლება საშუალო გლეხები შემოგვიფრთხოსო.

სწორი ხაზიდან ასეთ გადახვევებს შედეგად მოსდევს იმ მარქსისტული დებულების დავიწყება, რომ საშუალო გლეხი არის მერყევი კლასი, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმება შეიძლება მტკიცე იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ იწარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ და გაძლიერდება მუშაობა ღარიბ გლეხობაში, და რომ ამ პირობების გარეშე საშუალო გლეხი შეიძლება გადაიხაროს კულაკობისაკენ, როგორც ძალისაკენ.

გაიხსენეთ ლენინის სიტყვები, რაც მან თქვა პარტიის VIII ყრილობაზე:

«აუცილებელია განისაზღვროს დამოკიდებულება იმ კლასისადმი, რომელსაც არა აქვს გარკვეული მტკიცე მდგომარეობა 1. პროლეტარიატი თავისი მასით სოციალიზმის მომხრეა, ბურჟუაზია თავისი მასით სოციალიზმის წინააღმდეგია, — ამ ორი კლასის ურთიერთობის გარკვევა ადვილია. ხოლო როდესაც გადავდიეართ ისეთ ფენაზე, როგორიც არის საშუალო გლეხობა, ირკვევა, რომ ეს ისეთი კლასია, რომელიც მერყეობს. ის ნაწილობრივ მესაკუთრეა, ნაწილობრივ მშრომელი. ის არ ეწევა მშრომელთა სხვა წარმომადგენლების ექსპლოატაციას. მას ათეული წლების განმავლობაში უდიდესი გაჭირვებით უხდებოდა თავისი მდგომარეობის დაცვა, მან გამოსცადა მემამულეებისა და კაპიტალისტების ექსპლოატაცია, მან ყველაფერი გადაიტანა, და ამავე დროს ის მესაკუთრეა. ამიტომ ჩვენი დამოკიდებულება ამ მერყევი კლასისადმი უდიდეს სიძნელეებს წარმოადგენს» («რკპ(ბ) VIII ყრილობა», სტენოგრაფ. ანგარიში, გვ. 300).

მაგრამ არის ხოლმე სხვანაირი გადახვევებიც სწორი ხაზიდან, რომლებიც არა ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე წინა გადახვევები. ხდება ხოლმე, რომ ეწევიან ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ, მაგრამ ისე მოუხეშავად და უაზროდ, რომ მახვილი ხვდება საშუალო გლეხსა და ღარიბ გლეხს. ამის შედეგად კულაკი უვნებელი რჩება, საშუალო გლეხთან კავშირი რღვევას იწყებს, ხოლო ღარიბი გლეხობის ნაწილი დროებით უვარდება ბრჭყალებში კულაკს, რომელიც ძირგამომთხრელ ბრძოლას ეწევა საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ სურთ გადააქციონ განკულაკებად, ხოლო მუშაობა პუ-

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

რის დამზადების დარგში — სასურსათო გაწერად, ამასთან ივიწყებენ, რომ განკულაკება ჩვენს პირობებში სისულელეა, ხოლო სასურსათო გაწერა ნიშნავს არა კავშირს, არამედ ბრძოლას საშუალო გლეხთან.

საიდან წარმოსდგება ეს გადახვევები პარტიული ხაზიდან?

იმის გაუგებლობიდან, რომ სოფლად პარტიული მუშაობის სამმაგი ამოცანა წარმოადგენს **ერთიან და განუყოფელ** ამოცანას. იმის გაუგებლობიდან, რომ **არ შეიძლება ჩამოვაშოროთ** კულაკობასთან ბრძოლის ამოცანა საშუალო გლეხთან შეთანხმების ამოცანას, ხოლო ორივე ეს ამოცანა — სოფლად პარტიის დასაყრდენად ღარიბი გლეხობის გადაქცევის ამოცანას [1].

---

[1] აქედან გამომდინარეობს, რომ გადახვევანი სწორი ხაზიდან ქმნიან ორგვარ საფრთხეს მუშებისა და გლეხების კავშირის საქმისათვის: საფრთხეს იმათი მხრით, ვინც ფიქრობს, ვთქვათ, გადააქციონ დროებითი საგანგებო ზომები პურის დამზადების საქმეში პარტიის მუდმივ ან ხანგრძლივ კურსად, და საფრთხეს იმათი მხრით, ვინც ფიქრობს გამოიყენოს საგანგებო ზომების გაუქმება კულაკისათვის ხელ-ფეხის გასახსნელად, ვაჭრობის სრული თავისუფლების გამოსაცხადებლად, სახელმწიფოს ორგანოების მიერ ვაჭრობის მოუწესრიგებლად. ამიტომ სწორი ხაზის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ‹ბრძოლა ორ ფრონტზე.

ვსარგებლობ შემთხვევით აღვნიშნო, რომ ჩვენი პრესა ყოველთვის როდი იცავს ამ წესს და ზოგჯერ ერთგვარ ცალმხრივობას იჩენს. ხდება, მაგალითად, რომ ამხილებენ იმათ, ვისაც სურს პურის დამზადების ხაზით დროებითი ხასიათის საგანგებო ზომები გადააქციოს ჩვენი პოლიტიკის მუდმივ კურსად, რაც საფრთხეს ემზადებს მუშებისა და გლეხების კავშირს. ეს ძალიან კარგია. მაგრამ არ ვარგა და არც სწორია, როცა ამავე დროს საკმარ ყურადღებას არ აქცევენ და როგორც საჭიროა არ ამხილებენ იმათ, ვინც მუშებისა და გლეხების კავშირს ემუქრება მეორე მხრიდან, არ ამხილებენ იმათ, ვინც მიჰყვება წვრილბურჟუაზიულ სტიქიას და მოითხოვს სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას და ვაჭრობის სრული თავისუფლების დაწესებას, სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის გარეშე, რაც, ამგვარად, მეორე მხრიდან უთხრის ძირს მუშებისა და გლეხების კავშირს. ეს უკვე არ ვარგა. ეს ცალმხრივობაა.

ხდება ისიც, რომ ამხილებენ იმათ, ვინც, ვთქვათ, უარყოფს ინდივიდუალურ წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა განვითარების შესაძლებლობას და მიზანშეწონილობას, იმ მეურნეობათა, რომელნიც ახლანდელ სტადიაში სოფლის მეურნეობის ბაზას წარმოადგენენ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ არ ვარგა და არც სწორია, როცა ამავე დროს არ ამხილებენ იმათ, ვინც ამცირებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობას და ვერ ხედავს იმას, რომ ინდივიდუალური წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობის განვითარების ამოცანა პრაქტიკულად უნდა შეივსოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განვითარების ამოცანით. ეს უკვე ცალმხრივობაა.

სწორი ხაზის უზრუნველსაყოფად საჭიროა ორ ფრონტზე ბრძოლის წარმოება და ყოველგვარი ცალმხრივობის უკუგდება.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს ამოცანები არ დასცილდეს ერთმანეთს სოფლად ჩვენი მიმდინარე მუშაობის მსვლელობაში?

ამისათვის საჭიროა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი სახელმძღვანელო ლოზუნგის წამოყენება, რომელიც გააერთიანებდა ყველა ამ ამოცანას ერთ საერთო ფორმულად და რომელიც, მაშასადამე, არ დაუშვებდა ამ ამოცანების ერთმანეთისაგან დაცილებას.

მოიპოვება თუ არა ჩვენს პარტიულ არსენალში ასეთი ფორმულა, ასეთი ლოზუნგი?

დიახ, მოიპოვება. ასეთ ფორმულას წარმოადგენს ლენინის ლოზუნგი: «შეგვეძლოს შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხთან, ამავე დროს კი ერთი წუთითაც არ ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას».

აი რატომ ვფიქრობ, რომ ეს ლოზუნგი ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და ყოვლისშემცველი ლოზუნგია, რომ საჭიროა ამ ლოზუნგის პირველ რიგში წამოყენება **სწორედ ახლა**, სოფლად მუშაობის **სწორედ ახლანდელ პირობებში.**

თქვენ ლენინის ლოზუნგი «ოპოზიციურ» ლოზუნგად მიგაჩნიათ და თქვენს წერილში აყენებთ კითხვას: **«როგორ მოხდა, რომ... ეს ოპოზიციური ლოზუნგი დაიბეჭდა 1928 წლის 1 მაისისათვის «პრავდაში»... რით შეიძლება ავხსნათ ამ ლოზუნგის გამოქვეყნება საკავშირო კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ორგანოს «პრავდის» ფურცლებზე, ეს მხოლოდ ტექნიკური შეცდომაა თუ კომპრომისი ოპოზიციის მიმართ საშუალო გლეხის საკითხში?»**

მრისხანედ არის ნათქვამი, — ლაპარაკი არ უნდა! მაინც, ფრთხილად იყავით «მოსახვევებში», ამხ. ს.: თქვენი სიფიცხით იმ დასკვნამდე არ მიხვიდეთ, რომ უნდა აიკრძალოს ჩვენი პროგრამის დაბეჭდვა, რომელიც სავსებით ადასტურებს ლენინის ლოზუნგს (ფაქტია!), პროგრამისა, რომელიც ძირითადად შეიმუშავა ლენინმა (სრულიადაც არა ოპოზიციონერმა!) და მიიღო პარტიის VIII ყრილობამ (არც ის ყოფილა ოპოზიციური!). მეტი პატივისცემა ჩვენი პროგრამის ცნობილი პუნქტებისადმი სოფლად სოციალურ დაჯგუფებათა შესახებ! მეტი პატივისცემა პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი საშუალო გლეხობის შესახებ!..

რაც შეეხება თქვენს ფრაზას «საშუალო გლეხის საკითხში ოპოზიციის მიმართ კომპრომისის» შესახებ, — ვფიქრობ, იგი, ეს ფრაზა, არ ღირს იმად, რომ მის გაბათილებას შევუდგეთ: იგი, ალბათ, გაცხარების დროს წამოგცდათ.

თქვენ, მგონი, საგონებელში გაგდებთ ის გარემოება, რომ ლენინის ლოზუნგში და VIII ყრილობის მიერ მიღებულ საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამაში ლაპარაკია საშუალო გლეხთან **შეთანხმებაზე**, მაშინ როცა VIII ყრილობის გახსნის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ლენინი ლაპარაკობდა **მტკიცე კავშირზე** საშუალო გლეხთან. თქვენ, ალბათ, რაღაც წინააღმდეგობის მაგვარს ხედავთ ამაში. თქვენ, შეიძლება, იმასაც კი ფიქრობთ, რომ საშუალო გლეხთან **შეთანხმების** პოლიტიკა მოასწავებს ერთგვარ დაშორებას მასთან **კავშირის** პოლიტიკისაგან. ეს სწორი არ არის, ამწ. ს.. ეს დიდი შეცდომაა. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც იციან ლოზუნგის ასოების წაკითხვა, მაგრამ არ ძალუძთ ლოზუნგის აზრის გაგება. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც არ იცნობენ საშუალო გლეხთან კავშირის, შეთანხმების ლოზუნგის ისტორიას. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც წარმოუდგენიათ, რომ ლენინი, რომელმაც პარტიის VIII ყრილობაზე თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა საშუალო გლეხთან «მტკიცე კავშირის» პოლიტიკის საჭიროება, **დაშორდა** ლენინს, როცა **იმავე** ყრილობაზე თავის მეორე სიტყვაში და VIII ყრილობაზე მიღებულ პარტიულ პროგრამაში თქვა, ჩვენთვის ახლა საჭიროა საშუალო გლეხთან «შეთანხმების» პოლიტიკაო.

რაშია აქ საქმე? საქმე იმაშია, რომ ლენინი და პარტია VIII ყრილობის სახით **არავითარ განსხვავებას** არ ხედავენ «შეთანხმების» ცნებასა და «კავშირის» ცნებას შორის. საქმე იმაშია, რომ ლენინი ყოველთვის, VIII ყრილობაზე წარმოთქმულ ყველა თავის სიტყვაში **ტოლობის ნიშანს** ავლებს «კავშირის» და «შეთანხმების» ცნებათა შორის. იგივე უნდა ითქვას VIII ყრილობის რეზოლუციაზე «საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ», სადაც «შეთანხმების» და «კავშირის» ცნებათა შორის გავლებულია **ტოლობის ნიშანი**. და რადგანაც ლენინი და პარტია საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკას თვლიან არა შემთხვევით და სწრაფწარმავალ, არამედ ხანგრძლივ პოლიტიკად, ამიტომ მათ ყველა საფუძველი ჰქონდათ და აქვთ უწოდონ საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკას მასთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა და, პირიქით, საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკას — მასთან შეთანხმების პოლიტიკა. საკმარისია გავეცნოთ პარტიის VIII ყრილობის სტენოგრაფიულ ანგარიშს და იმავე ყრილობის რეზოლუციას საშუალო გლეხის შესახებ, რომ დავრწმუნდეთ ამაში.

აი ამონაწერი ლენინის სიტყვიდან პარტიის VIII ყრილობაზე:

«ხშირად, საბჭოთა მუშაკების გამოუცდელობის, საკითხის სიძნელის გამო, ის მახვილი, რომელიც გათვალისწინებული იყო კულაკების წინააღმდეგ, ხედებოდა საშუალო გლეხობას. აქ ჩვენ მეტისმეტად შეეცოდეთ. ამ მხრივ დაგროვილი გამოცდილება დაგვეხმარება ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მომავალში ეს თავიდან ავიცილოთ. აი ამოცანა, რომელიც დგას ჩვენს წინაშე არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ძნელი ამოცანაა. ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი სიკეთენი, რომელთა მიცემაც შეგვეძლოს საშუალო გლეხისათვის, ის კი მატერიალისტია, პრაქტიკოსია და მოითხოვს კონკრეტულ მატერიალურ სიკეთეს, რის მიცემაც ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია და ურომლისოდაც ჩვენმა ქვეყანამ უნდა გასძლოს, შესაძლოა, მძიმე ბრძოლის კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში, ბრძოლისა, რომელიც ახლა სრული გამარჯვების იმედს იძლევა. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ გავაკეთოთ ჩვენს ადმინისტრაციულ პრაქტიკაში: გავაუმჯობესოთ ჩვენი აპარატი, აღმოვფხვრათ უამრავი ბოროტმოქმედება. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი პარტიის ხაზი, რომელიც საკმაოდ არ იყო მიმართული საშუალო გლეხობასთან ბლოკისაკენ, კავშირისაკენ, შეთანხმებისაკენ [1], — ჩვენ ეს ხაზი შეგვიძლია გამოვასწოროთ და კიდევაც უნდა გამოვასწოროთ» («რკპ(ბ) VIII ყრილობა», სტენოგრაფ. ანგარიში, გვ. 20).

თქვენ ხედავთ, რომ ლენინი არ განასხვავებს ერთმანეთისაგან «შეთანხმებას» და «კავშირს».

აი ამონაწერებიც VIII ყრილობის რეზოლუციიდან «საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ»:

«საშუალო გლეხების არევა კულაკობაში და მათზე იმ ზომების ასე თუ ისე გავრცელება, რომლებიც მიმართულია კულაკობის წინააღმდეგ, ნიშნავს იმას, რომ უაღრესად უხეშად იქნას დარღვეული არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების ყველა დეკრეტი და მთელი მისი პოლიტიკა, არამედ კომუნიზმის ყველა ძირითადი პრინციპიც, რომლებიც მიგვითითებენ, რომ ერთ-ერთ პირობას ყოველგვარი ექსპლოატაციის აღმოფხვრაზე უმტკივნეულო გადასვლისათვის წარმოადგენს საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატის შეთანხმება იმ პერიოდში, როდესაც პროლეტარიატი გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს ბურჟუაზიის დასამხობად.

საშუალო გლეხობა, რომელსაც შედარებით მაგარი ეკონომიური ფესვები აქვს, საკმაოდ ხანგრძლივად გასძლებს პროლეტარული რევოლუციის დაწყების შემდეგ იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჩამორჩენილია სამრეწველო ტექნიკისაგან მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი, რუსეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამიტომ სოფლად საბჭოთა მუშაკების, ავგრეთვე პარტიის მოღვაწეების ტაქტიკა ნავარაუდევი უნდა იყოს საშუალო გლეხობასთან თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდისათვის...

... ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების სავსებით სწორი პოლიტიკა სოფლად უზრუნველყოფს ძლევამოსილი პროლეტარიატის კავშირსა და შეთანხმებას საშუალო გლეხობასთან...

... მუშურ-გლეხური მთავრობისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა კვლავაც უნდა წარიმართოს ამ გზით — საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის შეთანხმების გზით» [2] («რკპ(ბ) VIII ყრილობა», სტენოგრაფ. ანგარიში, გვ. 370 — 372).

---

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

[2] ხაზგასმა ყველგან ჩემია. ი. სტ.

როგორც ხედავთ, არც რეზოლუცია განასხვავებს ერთმანეთისაგან «შეთანხმებასა» და «კავშირს».

ზედმეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ VIII ყრილობის ამ რეზოლუციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი საშუალო გლეხთან «მტკიცე კავშირის» შესახებ. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ რეზოლუცია ამით შორდება საშუალო გლეხთან «მტკიცე კავშირის» პოლიტიკას? არა, არ ნიშნავს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ რეზოლუცია ტოლობის ნიშანს ავლებს «შეთანხმების», «თანამშრომლობის» ცნებასა და «მტკიცე კავშირის» ცნებას შორის. ეს გასაგებიც არის: შეუძლებელია საშუალო გლეხთან «კავშირი», თუ მასთან «შეთანხმება» არ მოხდება, ხოლო კავშირი საშუალო გლეხთან «მტკიცე» ვერ იქნება, თუ მასთან «ხანგრძლივი» შეთანხმება და თანამშრომლობა არ არსებობს.

ასეთია ფაქტები.

ორში ერთი: ან ლენინი და პარტიის VIII ყრილობა **დაშორდნენ** ლენინის განცხადებას საშუალო გლეხთან «მტკიცე კავშირის» შესახებ, ან უნდა უკუვაგდოთ ეს არასერიოზული მოსაზრება და ვაღიაროთ, რომ ლენინი და პარტიის VIII ყრილობა **არავითარ** განსხვავებას არ ხედავენ «შეთანხმებისა» და «მტკიცე კავშირის» ცნებებს შორის.

ამრიგად, ვისაც არ სურს უბრალო ასოჩაკირკიტების მსხვერპლი გახდეს, ვისაც სურს ჩასწვდეს ლენინის იმ ლოზუნგის აზრს, რომელიც ლაპარაკობს ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობის, საშუალო გლეხთან შეთანხმებისა და კულაკობასთან ბრძოლის შესახებ, მას არ შეუძლია არ გაიგოს, რომ საშუალო გლეხთან **შეთანხმების** პოლიტიკა არის მასთან **მტკიცე კავშირის** პოლიტიკა.

თქვენი შეცდომა ის არის, რომ თქვენ ვერ გაიგეთ ოპოზიციის თაღლითური ხერხი და წამოეგეთ მისი პროვოკაციის ანკესზე, გაებით რა მოწინააღმდეგის მიერ თქვენთვის დაგებულ მახეში. ოპოზიციონერი თაღლითები გაჰყვირიან და ხმაურობენ, ირწმუნებიან, რომ ისინი მხარს უჭერენ ლენინის ლოზუნგს საშუალო გლეხთან შეთანხმების შესახებ, ამასთან ისინი პროვოკატორულად გადაკვრით შენიშნავენ, რომ საშუალო გლეხთან «შეთანხმება» ერთია, ხოლო მასთან «მტკიცე კავშირი» — რაღაც სხვაო. ამით მათ სურთ ორი კურდღელი დაიჭირონ: ჯერ-ერთი, — დამალონ საშუალო გლეხობის საკითხში თავიანთი ნამდვილი პოზიცია, რომელიც მდგომარეობს საშუალო გლეხთან არა შეთანხმებაში, არამედ «საშუალო გლეხთან **განხეთქილებაში**» (იხ. ოპოზიციონერ სმირნოვის ცნობილი სიტყვა, რომლიდანაც ციტატები მოვიყვანე მოსკოვის XVI სა-

გუბერნიო პარტკონფერენციაზე); მეორეც, — დაიკვირონ ზოგიერთი მიამიტი ბოლშევიკი მოჩვენებითს განსხვავებაზე «შეთანხმებასა» და «კავშირს» შორის, საბოლოოდ აუბნიონ მათ თავგზა და ჩამოაშორონ ლენინს.

ხოლო რას აკეთებს ამის საპასუხოდ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი? ნაცვლად იმისა, რომ ნიღაბი ჩამოჰგლიჯონ ოპოზიციონერ გაიძვერებს, ნაცვლად იმისა, რომ ამხილონ ისინი პარტიის მოტყუებაში მათი ნამდვილი პოზიციის შესახებ, — ნაცვლად ამისა ისინი ეგებიან ანკესზე, ებმებიან მახეში და აშორებინებენ თავიანთ თავს ლენინისაგან. ოპოზიცია ხმაურობს ლენინის ლოზუნგის გამო, ოპოზიციონერებს თავიანთი თავი ლენინური ლოზუნგის მომხრეებად გამოჰყავთ, — მაშასადამე, მე უნდა გავიმიჯნო ამ ლოზუნგისაგან, რომ არ გამრიონ ოპოზიციაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ზრალი დამდონ «ოპოზიციის მიმართ კომპრომისში», — ასეთია ამ ამხანაგების ლოგიკა!

და ეს ოპოზიციის თაღლითური ხერხების ერთადერთი მაგალითი როდია. აიღეთ, მაგალითად, თვითკრიტიკის ლოზუნგი. ბოლშევიკებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი წარმოადგენს ჩვენი პარტიული მოქმედების საფუძველს, პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების საშუალებას, კადრების აღზრდის ბოლშევიკური მეთოდის არსს. ოპოზიცია განგაშს სტეხს და ირწმუნება, რომ მან, ოპოზიციამ, გამოიგონა თვითკრიტიკის ლოზუნგი, რომ პარტიამ წაართვა მას ეს ლოზუნგი და, ამრიგად იარაღი დაყარა ოპოზიციის წინაშე. ასეთი საქციელით ოპოზიციას სურს მიაღწიოს ორ რამეს მაინც:

ჯერ-ერთი, — დაუმალოს მუშათა კლასს და მოატყუოს იგი, რომ ოპოზიციურ «თვითკრიტიკასა», რომელიც მიზნად ისახავს პარტიულობის დარღვევას, და ბოლშევიკურ თვითკრიტიკას შორის, რომლის მიზანია პარტიულობის განმტკიცება, უფსკრულია:

მეორეც, — ანკესზე წამოაგოს ზოგიერთი მიამიტი და აიძულოს ისინი გაემიჯნონ პარტიულ ლოზუნგს თვითკრიტიკის შესახებ.

ხოლო როგორ უპასუხებს ამას ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი? იმის მაგიერ, რომ ნიღაბი ჩამოჰგლიჯონ ოპოზიციის გაიძვერებს და დაიცვან ბოლშევიკური თვითკრიტიკის ლოზუნგი, — ისინი ებმებიან მახეში, შორდებიან თვითკრიტიკის ლოზუნგს, ცეკვავენ ოპოზიციის სტვირის ხმაზე და... იარაღს ყრიან ოპოზიციის წინაშე, შეცდომით ფიქრობენ რა, რომ ემიჯნებიან ოპოზიციას.

შეიძლებოდა მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს მუშაობაში ვისიმე სტვირის ხმას ავყვეთ. მით უმეტეს არ შეგვიძლია ჩვენს მუშაობაში ვიხელმძღვანელოთ იმით, თუ რას ლაპარაკობენ ჩვენზე ოპოზიციონერები. ჩვენ უნდა ვიაროთ ჩვენი გზით და უკუვაგდოთ როგორც ოპოზიციის თაღლითური ოინები, ისე იმ ზოგიერთი ჩვენი ბოლშევიკის შეცდომები, რომლებიც ეგებიან ოპოზიციონერთა პროვოკაციის ანკესზე. მოიგონეთ მარქსის სიტყვები: «იარე საკუთარ გზით, და დაე ხალხმა ილაპარაკოს რაც უნდა!».

1928 წ. 12 ივნისი.
«პრავდა» № 152, 1928 წ. 3 ივლისი.

მემარჯვენე საფრთხის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)

სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე
1928 წ. 19 ოქტომბერი

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ უწინარეს ყოვლისა გვერდი უნდა ავუხვიოთ წვრილმანებს, პირად მომენტებს, და სხვ., რათა გადავჭრათ მემარჯვენე გადახრის საკითხი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს.

არის თუ არა ჩვენს პარტიაში მემარჯვენე, ოპორტუნისტული საფრთხე; არსებობენ თუ არა ასეთი საფრთხის ხელშემწყობი ობიექტური პირობები; როგორ ვებრძოლოთ ამ საფრთხეს, — აი რა საკითხები დგას ახლა ჩვენს წინაშე.

მაგრამ ჩვენ ვერ გადავჭრით მემარჯვენე გადახრის ამ საკითხს, თუ არ ჩამოვაშორეთ მას მთელი ის წვრილმანები და გარედან მოტანილი ელემენტები, რომლებიც გარს შემოჰკვრიან მას და რომლებიც ხელს გვიშლიან გავიგოთ საკითხის არსი.

მართალი არ არის ზაპოლსკი, როცა ფიქრობს, რომ მემარჯვენე გადახრის საკითხი შემთხვევითი საკითხია. იგი ამტკიცებს, რომ მთელი საქმე აქ მემარჯვენე გადახრაში კი არ არის, არამედ კინკლაობაშია, პირად ინტრიგებში და სხვ.. დავუშვათ ერთი წუთით, რომ კინკლაობა და პირადი ინტრიგები აქ ერთგვარ როლს ასრულებენ, ისევე როგორც ყოველ ბრძოლაში. მაგრამ ყველაფერი კინკლაობით რომ ახსნა და კინკლაობას იქით საკითხის არსი ვერ დაინახო, — ეს ნიშნავს ასცდე სწორ, მარქსისტულ გზას.

შეუძლებელია, რომ ისეთი დიდი, ძველი, მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია, როგორიც უეჭველად არის მოსკოვის ორგანიზაცია, თავიდან ბოლომდე აეფორიაქებინა და აემოძრავებინა რამდენიმე მოკინკლავის ან ინტრიგანის ცდებს. არა, ამხანაგებო, ასეთი სასწაულები ქვეყნად არ ხდება. აღარას ვამბობ იმაზე, რომ არ შეიძლება ასე მჩატედ შევაფასოთ მოსკოვის ორგანიზაციის ძალა და ძლიერება. ცხადია, აქ მოქმედებდნენ უფრო ღრმა მიზეზები,

რომლებსაც არც კინკლაობასთან და არც ინტრიგასთან საერთო არა აქვთ რა.

მართალი არ არის აგრეთვე ფრუნტოვი, რომელიც თუმცა აღიარებს მემარჯვენე საფრთხის არსებობას, მაგრამ არ მიაჩნია იგი იმის ღირსად, რომ მას სერიოზული ყურადღება მიაქციონ სერიოზულმა საქმიანმა ადამიანებმა. მისი აზრით ისე გამოდის, რომ მემარჯვენე გადახრის საკითხი ყბედების ყურადღების საგანია და არა საქმიანი ადამიანებისა. ჩემთვის სავსებით გასაგებია, ფრუნტოვი ასე რომ ფიქრობს: იგი იმდენად გართულია ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობით, რომ არ სცალია იფიქროს ჩვენი განვითარების პერსპექტივებზე. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ზოგიერთი პარტიული მუშაკის ვიწრო და საქმიანი პრაქტიციზმი ჩვენი მშენებლობის დოგმატად უნდა გადავაქციოთ. საღი საქმოსნობა კარგი რამ არის, მაგრამ თუ ის მუშაობაში პერსპექტივებს კარგავს და თავის მუშაობას პარტიის ძირითად ხაზს არ უმორჩილებს, — იგი მინუსად იქცევა. ამავე დროს კი ძნელი არ არის იმის გაგება, რომ მემარჯვენე გადახრის საკითხი არის ჩვენი პარტიის ძირითადი ხაზის საკითხი, არის საკითხი იმის შესახებ, სწორია თუ არ არის სწორი განვითარების ის პერსპექტივა, რომელიც ჩვენმა პარტიამ მოგვცა XV ყრილობაზე.

მართალი არ არიან ის ამხანაგებიც, რომლებიც მემარჯვენე გადახრის პრობლემის განხილვის დროს საკითხს ამახვილებენ მემარჯვენე გადახრის გამომხატველ პიროვნებებზე. გვიჩვენეთ მემარჯვენეები ან შემარიგებლები, ამბობენ ისინი, დაგვისახელეთ პიროვნებანი, რომ შეგვეძლოს მათ გავუსწორდეთო. ეს საკითხის არასწორი დაყენებაა. პიროვნებანი, რასაკვირველია, ერთგვარ როლს ასრულებენ. მაგრამ აქ საქმე პიროვნებებში კი არაა, არამედ იმ პირობებში, იმ ვითარებაში, რომლებიც წარმოშობენ მემარჯვენე საფრთხეს პარტიაში. შეიძლება მოვიცილოთ პიროვნებანი, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამით ნიადაგი გამოვაცალეთ მემარჯვენე საფრთხეს ჩვენს პარტიაში. ამიტომ პიროვნებათა საკითხი არ წყვეტს საქმეს, თუმცა უეჭველად საინტერესო საკითხია.

არ შეიძლება, ამასთან დაკავშირებით, არ გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი, რომელიც მოხდა ოდესაში 1919 წლის ბოლოს და 1920 წლის დამდეგს, როცა ჩვენი ჯარები, უკრაინიდან დენიკინელების განდევნის შემდეგ, საბოლოოდ სპობდნენ დენიკინის ჯარების უკანასკნელ ნაშთებს ოდესის რაიონში. წითელარმიელთა ერთი ნაწილი მაშინ გააფთრებით ეძებდა ოდესაში ანტანტას, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ თუ ისინი დაიჭერდნენ მას, ანტანტას,

ომს ბოლო მოეღებოდა. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი). შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ წითელარმიელებს მოეხერხებინათ ოდესაში ანტანტის რომელიმე წარმომადგენლის დაჭერა. მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ გადაწყდებოდა ანტანტის საკითხი, ვინაიდან ანტანტის ფესვები ოდესაში კი არ არის, თუმცა ოდესა მაშინ დენიკინელების უკანასკნელი ტერიტორია იყო, არამედ მსოფლიო კაპიტალიზმშია.

იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ ჩვენს ამხანაგზე, რომლებიც მემარჯვენე გადახრის საკითხში ყურადღებას ამახვილებენ მემარჯვენე გადახრის გამომხატველ პიროვნებებზე, ხოლო ივიწყებენ იმ პირობებს, რომლებიც ამ გადახრას წარმოშობენ.

ამიტომ ჩვენ აქ უწინარეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ საკითხი ლენინური ხაზიდან მემარჯვენე, აგრეთვე «მემარცხენე» (ტროცკისტული) გადახრის აღმოცენების პირობების შესახებ.

კომუნიზმში მემარჯვენე გადახრა **კაპიტალიზმის პირობებში** ნიშნავს კომუნისტთა ერთი ნაწილის ტენდენციას, მიდრეკილებას, მართალია, ჯერ ჩამოუყალიბებელს და, თუ გნებავთ, ჯერ შეუცნობელ მიდრეკილებას, მაგრამ მაინც მიდრეკილებას იმისაკენ, რომ მარქსიზმის რევოლუციური ხაზიდან სოციალ-დემოკრატიისაკენ გადაიხარონ. როცა კომუნისტების გარკვეული წრეები უარყოფენ საარჩევნო ბრძოლაში ლოზუნგის «კლასი კლასის წინააღმდეგ» მიზანშეწონილობას (საფრანგეთი), ან გამოდიან კომპარტიის მიერ დამოუკიდებელი კანდიდატურების წამოყენების წინააღმდეგ (ინგლისი), ან არ სურთ გაამახვილონ «მემარცხენე» სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლის საკითხი (გერმანია) და სხვ. და ა. შ., — ეს იმას ნიშნავს, რომ კომპარტიების შიგნით მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ შეუგუონ კომუნიზმი სოციალ-დემოკრატიზმს.

კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიებში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება კომპარტიების იდეური განადგურებისა და სოციალ-დემოკრატიზმის უდიდესი გაძლიერების მომასწავებელი იქნებოდა. ხოლო რა არის სოციალ-დემოკრატიზმის უდიდესი გაძლიერება? ეს არის კაპიტალიზმის გაძლიერება და განმტკიცება, ვინაიდან სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს კაპიტალიზმის მთავარ დასაყრდენს მუშათა კლასში.

მაშასადამე, კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიებში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება იწვევს კაპიტალიზმის **შენარჩუნებისათვის** აუცილებელი პირობების ზრდას.

კომუნიზმში მემარჯვენე გადახრა **საბჭოთა განვითარების პირობებში**, სადაც კაპიტალიზმი უკვე დამხობილია, მაგრამ სადაც ჯერ

კიდევ ამოგლეჯილი არ არის მისი ფესვები, ნიშნავს კომუნისტთა-ერთი ნაწილის ტენდენციას, მიდრეკილებას, მართალია, ჯერ ჩამოუყალიბებელს და, თუ გნებავთ, ჯერ შეუცნობელ მიდრეკილებას, მაგრამ მაინც მიდრეკილებას იმისაკენ, რომ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზიდან ბურჟუაზიული იდეოლოგიისაკენ გადაიხარონ. როცა ჩვენი კომუნისტების ზოგიერთი წრეები უკან ეწევიან პარტიას XV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, უარყოფენ რა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის აუცილებლობას; ან მოითხოვენ ჩვენი ინდუსტრიის შეკვეცას, თვლიან რა მისი სწრაფი განვითარების ახლანდელ ტემპს ქვეყნისათვის დამღუპველად; ან უარყოფენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, თანხების გაღების. მიზანშეწონილობას, თვლიან რა ამას (თანხების გაღებას) ფულის წყალში გადაყრად; ან უარყოფენ თვითკრიტიკის ბაზაზე ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანშეწონილობას, ფიქრობენ რა, რომ თვითკრიტიკა არყევს ჩვენს აპარატს; ან მოითხოვენ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შერბილებას და სხვ. და ა. შ., — ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პარტიის რიგებში მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, შესაძლოა თავისდა შეუმჩნევლად, შეუგუონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმე «საბჭოთა» ბურჟუაზიის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს.

ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების უდიდესი გაძლიერების მომასწავებელი იქნებოდა. ხოლო რას ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერება? ეს ნიშნავს პროლეტარული დიქტატურის შესუსტებას და კაპიტალიზმის აღდგენის შანსების გაძლიერებას.

მაშასადამე, ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება იმ პირობების ზრდის მომასწავებელი იქნებოდა, რომლებიც აუცილებელია ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღსადგენად.

არსებობენ თუ არა ჩვენში, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, პირობები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან კაპიტალიზმის აღდგენას (რესტავრაციას)? დიახ, არსებობენ. ეს, შეიძლება, უცნაურად გვეჩვენოს, მაგრამ ეს ფაქტია, ამხანაგებო. ჩვენ დავამხეთ კაპიტალიზმი, დავამყარეთ პროლეტარიატის დიქტატურა და გაძლიერებული ტემპით ვავითარებთ ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას, ვაკავშირებთ რა მასთან გლეხურ მეურნეობას. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ამოგვიგლეჯია კაპიტალიზმის ფესვები. სად ბუდობენ ისინი, ეს ფესვები? ეს ფესვები ბუდობენ სასაქონლო წარმოებაში, ქალაქის და განსაკუთრებით სოფლის წვრილ წარმოებაში.

კაპიტალიზმის ძალა მდგომარეობს, როგორც ლენინი ამბობს, «წვრილი წარმოების ძალაში. ვინაიდან წვრილი წარმოება, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მეტისმეტად ბევრია დარჩენილი ქვეყნად, ხოლო წვრილი წარმოება **წარმოშობს** კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ, ყოველდღე, ყოველ საათს, სტიქიურად და მასობრივი მასშტაბით» (იხ. ტ. XXV, გვ. 173).

ცხადია, რომ რამდენადაც წვრილ წარმოებას ჩვენში მასობრივი ხასიათი აქვს და კიდევაც ჰარბობს და რამდენადაც ის **წარმოშობს** კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას, განსაკუთრებით ნეპის პირობებში. განუწყვეტლივ და მასობრივი მასშტაბით, — იმდენად ჩვენში არსებობენ პირობები, რომლებიც **შესაძლებელს** ხდიან კაპიტალიზმის აღდგენას.

არსებობენ თუ არა ჩვენში, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, საშუალებანი და ძალები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოვსპოთ, აღმოვფხვრათ კაპიტალიზმის აღდგენის **შესაძლებლობა?** დიახ. არსებობენ. სწორედ ამაზეა დაფუძნებული სისწორე ლენინის თეზისისა სსრ კავშირში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების **შესაძლებლობის** შესახებ. ამისათვის აუცილებელია პროლეტარული დიქტატურის გამაგრება, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება, ჩვენი მბრძანებელი მაღლობების განვითარება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის თვალსაზრისით, ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი, ქვეყნის ელექტროფიკაცია, მთელი სახალხო მეურნეობის გადაყვანა ახალ ტექნიკურ ბაზაზე, გლეხობის მასობრივი კოოპერირება და მისი მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება, ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა თანდათანობით გაერთიანება საზოგადოებრივ, კოლექტიურ მეურნეობებად, საბჭოთა მეურნეობების განვითარება, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვა და დაძლევა და სხვ. და ა. შ.

აი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი:

«სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის. ეს აუცილებლად უნდა დავიხსომოთ. ყველამ, ვინც კი ყურადღებით დაჰკვირვებია სოფლის ცხოვრებას და ის ქალაქის ცხოვრებისათვის შეუდარებია, იცის, რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ ამოგვიგლეჯია და შინაური მტრისათვის საძირკველი, საფუძველი არ გამოგვიცლია. შინაური მტერი წვრილ მეურნეობას ეყრდნობა, და მას რომ ძირი გამოვუთხაროთ, ამისათვის არსებობს ერთი საშუალება — გადავიყვანოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, მასთან მიწათმოქმედებაც, ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე. ასეთ ბაზას წარმოადგენს მხოლოდ ელექტრობა. კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა წვრილგლეხურ ქვეყნად რჩება, და საჭიროა, რომ ეს ნათლად შევიგნოთ.

ჩვენ უფრო სუსტნი ვართ, ვიდრე კაპიტალიზმი, არა მარტო მსოფლიო მასშტაბით, არამედ ჩვენი ქვეყნის შიგნითაც. ეს ყველამ იცის. ეს ჩვენ შეგნებული გვაქვს, და საქმეს იქამდე მივიყვანთ, რომ სამეურნეო ბაზა წვრილგლეხურიდან მსხვილ-სამრეწველო ბაზად გადაიქცეს. მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას შევუქმნით, — მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ» (ტ. XXVI, გვ. 46 — 47).

გამოდის, ჯერ-ერთი, რომ, სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სანამ ჯერ კიდევ არ ამოგვიგლეჯია კაპიტალიზმის ფესვები, მანამდე კაპიტალიზმისათვის უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის. ხდება ხოლმე, რომ ხეს მოჭრიან, მაგრამ ფესვებს ვეღარ ამოგლეჯენ: ძალა აღარ ეყოთ. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის **შესაძლებლობა.**

მეორეც, გამოდის, რომ კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობის გარდა ჩვენში არსებობს **სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობაც,** ვინაიდან ჩვენ **შეგვიძლია** მოვსპოთ კაპიტალიზმის აღდგენის **შესაძლებლობა,** შეგვიძლია ამოვგლეჯოთ კაპიტალიზმის ფესვები და მივაღწიოთ ჩვენს ქვეყანაში საბოლოო გამარჯვებას კაპიტალიზმზე, **თუ** გაძლიერებულ მუშაობას გავაჩაღებთ ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის, **თუ** მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს შევუქმნით თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების **შესაძლებლობა.**

ბოლოს, გამოდის, რომ არ შეიძლება სოციალიზმის შენება მარტო მრეწველობაში, ხოლო სოფლის მეურნეობის მიტოვება სტიქიური განვითარების ამარა, იმ მოსაზრებით, რომ სოფელი «თვითონ გაჰყვება» ქალაქს. ქალაქში სოციალისტური მრეწველობის არსებობა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს ფაქტორი სავსებით საკმარისი იყოს. სოციალისტურმა ქალაქმა ბოლომდე რომ გაიყოლიოს გლეხური სოფელი, ამისათვის აუცილებელია, როგორც ლენინი ამბობს, «გადავიყვანოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, **მასთან მიწათმოქმედებაც** [1], ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე».

ხომ არ ეწინააღმდეგება ლენინის ეს ციტატა მის მეორე ციტატას იმის შესახებ, რომ «ნეპი სავსებით უზრუნველყოფს ჩვენთვის

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების **შესაძლებლობას»**[1] არა, არ ეწინააღმდეგება. პირიქით, ეს ორი ციტატა სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. ლენინი სრულებითაც არ ამბობს, ვითომც ნეპი სოციალიზმს მზამზარეულად გვაძლევდეს. ლენინი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ნეპი ჩვენთვის უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების **შესაძლებლობას.** სოციალიზმის აშენების **შესაძლებლობასა** და **მის ნამდვილად აშენებას** შორის დიდი განსხვავება არსებობს. არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ შესაძლებლობა და სინამდვილე. სწორედ იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა სინამდვილედ ვაქციოთ, სწორედ ამისათვის ლენინი საჭიროდ ცნობს ქვეყნის ელექტროფიკაციას და მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტისათვის თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკური ბაზის შექმნას, როგორც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების პირობას.

მაგრამ სოციალიზმის აშენების ამ პირობის ერთ-ორ წელიწადში განხორციელება შეუძლებელია. არ შეიძლება ერთ-ორ წელიწადში განვახორციელოთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ავაშენოთ მძლავრი მრეწველობა, მოვახდინოთ გლეხობის მილიონიანი მასების კოოპერირება, შევუქმნათ მიწათმოქმედებას ახალი ტექნიკური ბაზა, გავაერთიანოთ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი მსხვილ კოლექტივებად, განვავითაროთ საბჭოთა მეურნეობები, შევზღუდოთ და დავძლიოთ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტები. ამისათვის საჭიროა პროლეტარული დიქტატურის გაძლიერებული აღმშენებლობითი მუშაობის წლები და კიდევ წლები. და სანამ ეს არ გაკეთებულა, — ამას კი ერთბაშად ვერ გააკეთებ, — ჩვენ ისევ ვრჩებით წვრილგლეხურ ქვეყნად, სადაც წვრილი წარმოება წარმოშობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ და მასობრივი მასშტაბით და სადაც კაპიტალიზმის აღდგენის საფრთხე ძალაში რჩება.

და რადგან ჩვენი პროლეტარიატი ცხოვრობს არა უჰაერო სივრცეში, არამედ სავსებით ნამდვილ და რეალურ ცხოვრებაში მთელი მისი მრავალფეროვნებით, ამიტომ წვრილი წარმოების ბაზაზე წარმოშობილ ბურჟუაზიულ ელემენტებს «პროლეტარიატი ყოველი მხრიდან გარემოცული ჰყავთ წვრილბურჟუაზიული სტიქიით, ეღენთავენ მას ამ სტიქიით, რყვნიან მას ამ სტიქიით, მუდამ იწვევენ პროლეტარიატის შიგნით წვრილბურჟუაზიული უხერხემლობის,

---

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

დაქსაქსულობის, ინდივიდუალიზმის, გატაცებიდან სასოწარკვეთილებაში გადასვლის რეციდივებს» (ლენინი, ტ. XXV, გვ. 189) და, ამრიგად, პროლეტარიატსა და მის პარტიაში შეაქვთ ერთგვარი მერყეობა, ერთგვარი ქანაობა.

აი სად არის ფესვი და საფუძველი ყოველგვარი რყევისა და გადახრებისა ლენინური ხაზიდან ჩვენი პარტიის რიგებში.

აი რატომ არის, რომ საკითხი მემარჯვენე ან «მემარცხენე» გადახრისა ჩვენს პარტიაში არ შეიძლება ჩაითვალოს უმნიშვნელო საკითხად.

რაში მდგომარეობს ჩვენს პარტიაში **მემარჯვენე**, აშკარა ოპორტუნისტული გადახრის საფრთხე? იმაში, **რომ** იგი **სათანადოდ ვერ** აფასებს ჩვენი მტრების ძალას, კაპიტალიზმის ძალას, ვერ ხედავს კაპიტალიზმის აღდგენის საფრთხეს, არ ესმის პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში კლასობრივი ბრძოლის მექანიკა და ამიტომ ასე ადვილად მიდის დათმობებზე კაპიტალიზმის მიმართ, მოითხოვს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელებას, მოითხოვს სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტებისათვის მდგომარეობის შემსუბუქებას, მოითხოვს უკან გადავწიოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკითხი, მოითხოვს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შერბილებას და სხვ. და ა. შ.

უეჭველია, რომ ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება ხელ-ფეხს გაუხსნიდა კაპიტალიზმის ძალებს, ძირს გამოუთხრიდა პროლეტარიატის რევოლუციურ პოზიციებს და გააძლიერებდა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის შანსებს.

რაში მდგომარეობს ჩვენს პარტიაში «მემარცხენე» (ტროცკისტული) გადახრის საფრთხე? იმაში, რომ იგი **გადაჭარბებით** აფასებს ჩვენი მტრების ძალას, კაპიტალიზმის ძალას, ხედავს მხოლოდ კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობას, მაგრამ ვერ ხედავს ჩვენი ქვეყნის ძალებით სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას, სასოწარკვეთილებაში ვარდება და იძულებულია თავი ინუგეშოს ლაყბობით ჩვენს პარტიაში თერმიდორელობის შესახებ.

ლენინის სიტყვებიდან იმის შესახებ, რომ «სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის», — ლენინის ამ სიტყვებიდან «მემარცხენე» გადახრას ის არასწორი დასკვნა გამოჰყავს, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება საერთოდ შეუძლებელია, რომ გლეხობასთან ვერაფერს გააწყობ, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეა დროშოკშული იდეაა, რომ თუ არ მოგვისწრო დახმარებამ დასავლეთში

გამარჯვებული რევოლუციის მხრივ, სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურა უთუოდ დაეცემა ან გადაგვარდება, რომ თუ მიღებულ არ იქნა ზეინდუსტრიალიზაციის ფანტასტიკური გეგმა, რომელიც უნდა გატარდეს თუნდაც გლეხობასთან განხეთქილების საფასურით, სსრ კავშირში სოციალიზმის საქმე დაღუპულად უნდა ჩაითვალოს.

აქედანაა ავანტიურიზმი «მემარცხენე» გადახრის პოლიტიკაში. აქედანაა «ზეადამიანური» ნახტომები პოლიტიკაში.

უეჭველია, რომ ჩვენს პარტიაში «მემარცხენე» გადახრის გამარჯვება გამოიწვევდა მუშათა კლასის მოწყვეტას მისი გლეხური ბაზისაგან, მუშათა კლასის ავანგარდის მოწყვეტას მუშათა დანარჩენი მასისაგან, — მაშასადამე, გამოიწვევდა პროლეტარიატის დამარცხებას და კაპიტალიზმის აღდგენის პირობების გაადვილებას.

როგორც ხედავთ, ამ ორივე საფრთხეს, «მემარცხენესაც» და მემარჯვენესაც, ორივე ამ გადახრას ლენინური ხაზიდან, მემარჯვენესაც და «მემარცხენესაც», მივყავართ ერთ და იმავე შედეგამდე, თუმცა სხვადასხვა მხრიდან.

ამ საფრთხეთაგან რომელია უარესი? მე ვფიქრობ, რომ ორივე უარესია.

განსხვავება ამ გადახრებს შორის მათთან წარმატებითი ბრძოლის თვალსაზრისით ის არის, რომ ახლანდელ მომენტში «მემარცხენე» გადახრის საფრთხე უფრო ნათელია პარტიისათვის, ვიდრე მემარჯვენე გადახრის საფრთხე. ის გარემოება, რომ «მემარცხენე» გადახრასთან ჩვენში უკვე რამდენიმე წელია წარმოებს გაძლიერებული ბრძოლა, ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ფუჭად ვერ ჩაივლიდა პარტიისათვის. ცხადია, რომ «მემარცხენე», ტროცკისტულ გადახრასთან ბრძოლის წლებში პარტიამ ბევრი რამ ისწავლა და უკვე ადვილი როდია მისი მოტყუება «მემარცხენე» ფრაზებით.

რაც შეეხება მემარჯვენე საფრთხეს, რომელიც წინათაც არსებობდა და რომელიც დღეს უფრო გამოკვეთილად გვევლინება გასული წლის დამზადებათა კრიზისთან დაკავშირებით წვრილბურჟუაზიული სტიქიის გაძლიერების გამო, მე ვფიქრობ, რომ იგი ისე ნათელი არ არის ჩვენი პარტიის გარკვეული ფენებისათვის. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ, ოდნავადაც არ შევასუსტოთ რა ბრძოლა «მემარცხენე», ტროცკისტულ საფრთხესთან, მთავარი ყურადღება მივაქციოთ ბრძოლას მემარჯვენე გადახრასთან და ყველა ზომა მივიღოთ იმისათვის, რომ ამ გადახრის საფრთხე ისევე ცხადი გახდეს პარტიისათვის, როგორც ცხადია მისთვის ტროცკისტული საფრთხე.

შესაძლოა, მემარჯვენე გადახრის საკითხი ჩვენში ისე მწვავედ არ მდგარიყო, როგორც დგას ამჟამად, იგი რომ ჩვენი განვითარების **სიძნელეთა** საკითხთან არ იყოს დაკავშირებული. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მემარჯვენე გადახრის არსებობა ართულებს ჩვენი განვითარების სიძნელეებს და აფერხებს ამ სიძნელეთა დაძლევის საქმეს. და სწორედ იმიტომ, რომ მემარჯვენე საფრთხე აბრკოლებს ბრძოლას ამ სიძნელეთა დაძლევისათვის, სწორედ ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მემარჯვენე საფრთხის დაძლევის საკითხს.

ორიოდე სიტყვა ჩვენი სიძნელეების ხასიათზე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი სიძნელეები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს შეჩერების ან დაცემის სიძნელეებად. არსებობენ სიძნელენი მეურნეობის დაცემის ან მისი შეჩერების დროს, და ადამიანები ცდილობენ ნაკლებად მტკივნეული გახადონ მეურნეობის შეჩერება ან ნაკლებად ღრმა გახადონ მისი დაცემა. ჩვენს სიძნელეებს ასეთ სიძნელეებთან საერთო არა აქვთ რა. ჩვენი სიძნელეების დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ისინი **აღმავლობის** სიძნელენი, ზრდის სიძნელენი არიან. როდესაც ჩვენში სიძნელეებზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ გულისხმობენ იმას, თუ რამდენი პროცენტით **გავზარდოთ** მრეწველობა, რამდენი პროცენტით **გავადიდოთ** ნათესი ფართობები, რამდენი ფუთით **გავზარდოთ** მოსავლიანობა და სხვ. და სხვ.. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი სიძნელენი არიან არა დაცემის ან შეჩერების, არამედ აღმავლობის სიძნელენი, სწორედ ამიტომ ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ პარტიისათვის განსაკუთრებით საშიშ რამეს.

მაგრამ სიძნელეები მაინც სიძნელეებია. და ვინაიდან სიძნელეთა დასაძლევად აუცილებელია მთელი ძალღონის დაძაბვა, აუცილებელია სიმტკიცე და გამძლეობა, ხოლო სიმტკიცე და გამძლეობა ყველას როდი ჰყოფნის, შესაძლოა, იმიტომ, რომ ზოგნი დაღლილნი და მოტეხილნი არიან, ან იმიტომ, რომ ამჯობინებენ უფრო მშვიდად, უბრძოლველად და უშფოთველად იცხოვრონ, — აი სწორედ აქ იწყება რყევა და ქანაობა, მიბრუნებანი ნაკლები წინააღმდეგობის მიმართულებით, ლაპარაკი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელებაზე, კაპიტალისტური ელემენტებისათვის მდგომარეობის შემსუბუქებაზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების და საერთოდ ყოველივე იმის უარყოფაზე, რაც სცილდება ყოველდღიური მუშაობის ჩვეულებრივი და დამშვიდებული ვითარების ფარგლებს.

მაგრამ ჩვენ წინ ვერ წავალთ, თუ არ გადავლახეთ ჩვენს წინაშე მდგომი სიძნელენი. ხოლო სიძნელეები რომ გადავლახოთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დავძლიოთ მემარჯვენე საფრთხე, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დავძლიოთ მემარჯვენე გადახრა, რომელიც აფერხებს სიძნელეებთან ბრძოლის საქმეს და ცდილობს გატეხოს ჩვენი პარტიის ნებისყოფა სიძნელეების გადალახვისათვის ბრძოლაში.

საქმე ეხება, რა თქმა უნდა, არა სიტყვიერ, ფორმალურ ბრძოლას, არამედ ნამდვილ ბრძოლას მემარჯვენე გადახრასთან. ჩვენს პარტიაში მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მზად არიან, სინდისის დასამშვიდებლად, გამოაცხადონ ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან, იმის მსგავსად, როგორც ზოგჯერ ხუცები «ალილუია, ალილუიას» გაიძახიან ხოლმე, მაგრამ არავითარ, სრულიად არავითარ პრაქტიკულ ზომას არ იღებენ იმისათვის, რომ მტკიცედ დააყენონ ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და ნამდვილად დასძლიონ იგი, ეს მემარჯვენე გადახრა. ასეთ მიმდინარეობას ჩვენში ეწოდება მემარჯვენე, აშკარად ოპორტუნისტული გადახრის მიმართ შემარიგებელი მიმდინარეობა. ძნელი გასაგები არ არის, რომ ამგვარ შემარიგებლობასთან ბრძოლა წარმოადგენს მემარჯვენე გადახრასთან, მემარჯვენე საფრთხესთან საერთო ბრძოლის შემადგენელ ნაწილს. ვინაიდან შეუძლებელია მემარჯვენე, ოპორტუნისტული გადახრის დაძლევა, თუ არ ვაწარმოეთ სისტემატური ბრძოლა შემარიგებლობასთან, რომელიც თავის კალთას აფარებს ოპორტუნისტებს.

მემარჯვენე გადახრის მატარებელთა საკითხი უეჭველად საინტერესოა, თუმცა იგი არა წყვეტს საქმეს. ჩვენ შემთხვევები გვქონდა შევხვედროდით მემარჯვენე საფრთხის მატარებლებს ჩვენი პარტიის ძირეულ ორგანიზაციებში შარშან პურის დამზადების კრიზისის დროს, როდესაც მთელი რიგი კომუნისტები თემებსა და სოფლებში გამოდიოდნენ პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, ხელს უწყობდნენ კულაკურ ელემენტებთან დაკავშირებას. თქვენ იცით, რომ ამგვარი ელემენტებისაგან გავწმინდეთ ჩვენი პარტია მიმდინარე წლის გაზაფხულზე, რაც სპეციალურად მოხსენიებულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის თებერვლის ცნობილ დოკუმენტში.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ასეთი ელემენტები აღარ დარჩენილან ჩვენს პარტიაში. თუ ახვალთ უფრო მაღლა, სამაზრო, საგუბერნიო პარტორგანიზაციებში, და რიგიანად მოჩხრეკთ საბჭოთა და კოოპერაციულ აპარატს, ადვილად შეხვდებით აქ მე-

მარჯვენე საფრთხისა და მასთან შემარიგებლობის მატარებლებს. ცნობილია ჩვენი პარტიული და საბჭოთა აპარატის მთელ რიგ მუშაკთა «წერილები», «განცხადებები» და სხვა დოკუმენტები, სადაც მემარჯვენე გადახრისაკენ მიდრეკილებამ სრულიად გარკვეულად იჩინა თავი. თქვენ იცით, რომ ეს წერილები და დოკუმენტები მოხსენიებული იყო ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის სტენოგრამაში.

თუ კიდევ უფრო მაღლა ავალთ და დავსვამთ საკითხს ცენტრალური კომიტეტის წევრების შესახებ, უნდა ვაღიაროთ, რომ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაშიც მოიპოვებიან ზოგიერთი, მართალია, სრულიად უმნიშვნელო ელემენტები, რომლებიც შემარიგებლურ დამოკიდებულებას იჩენენ მემარჯვენე საფრთხისადმი. ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის სტენოგრამა ამის პირდაპირ დამამტკიცებელია.

ხოლო რა მდგომარეობაა პოლიტბიუროში? არის თუ არა პოლიტბიუროში რაიმე გადახრა? პოლიტბიუროში ჩვენ არ გვყვანან არც მემარჯვენენი, არც «მემარცხენენი», არც მათთან შემარიგებელნი. ეს აქ სრულიად კატეგორიულად უნდა ითქვას. დროა დავანებოთ თავი იმ ჭორებს, რომლებსაც ავრცელებენ ჩვენი პარტიის არაკეთილმოსურნენი და ყოველგვარი ოპოზიციონერები, თითქოს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში იყოს მემარჯვენე გადახრა ან მასთან შემარიგებელი დამოკიდებულება.

იყო თუ არა მერყეობა და ქანაობა მოსკოვის ორგანიზაციაში ან მის ზედაფენაში, მოსკოვის კომიტეტში? დიახ, იყო. სისულელე იქნებოდა ახლა იმის მტკიცება, რომ იქ ქანაობა, მერყეობა არ ყოფილა. პენკოვის გულახდილი სიტყვა ამის პირდაპირ დამამტკიცებელია. პენკოვი უკანასკნელი კაცი როდია მოსკოვის ორგანიზაციასა და მოსკოვის კომიტეტში. თქვენ მოისმინეთ, რომ მან პირდაპირ და გულახდილად აღიარა თავისი შეცდომები ჩვენი პარტიული პოლიტიკის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ მოსკოვის კომიტეტი მთლიანად მერყეობას იჩენდა. არა, არ ნიშნავს. ისეთი დოკუმენტი, როგორიც არის მოსკოვის კომიტეტის მიმართვა მოსკოვის ორგანიზაციის წევრებისადმი ამა წლის ოქტომბერში, უეჭველად მოწმობს იმას, რომ მოსკოვის კომიტეტმა შესძლო ზოგიერთი თავისი წევრის მერყეობის დაძლევა. მე ეჭვი არ მეპარება, რომ მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელი ბირთვი შესძლებს საბოლოოდ გამოასწოროს მდგომარეობა.

ზოგიერთი ამხანაგი უკმაყოფილოა იმით, რომ ამ საქმეში ჩაერიენ რაიონული ორგანიზაციები, დააყენეს რა მოსკოვის ორგანიზაციის

ამა თუ იმ ხელმძღვანელთა შეცდომებისა და მერყეობის ლიკვიდაციის საკითხი. არ ვიცი, რით შეიძლება ასეთი უკმაყოფილების გამართლება. რა უნდა იყოს ცუდი იმაში, რომ მოსკოვის ორგანიზაციის რაიონულმა აქტივებმა ხმა აღიმაღლეს და მოითხოვეს შეცდომებისა და მერყეობის ლიკვიდაცია? განა ჩვენი მუშაობა ქვემოდან მომდინარე თვითკრიტიკის ნიშნით არ წარმოებს? განა ფაქტი არ არის, რომ თვითკრიტიკა აძლიერებს პარტიული და საერთოდ პროლეტარული ქვედაფენების აქტივობას? რა არის აქ ცუდი ან საშიში, თუ რაიონული აქტივები თავისი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ?

სწორად მოიქცა თუ არა ცენტრალური კომიტეტი, ამ საქმეში რომ ჩაერია? მე ვფიქრობ, რომ ცენტრალური კომიტეტი სწორად მოიქცა. ბერზინს ჰგონია, რომ ცენტრალური კომიტეტი მკაცრად იქცევა, როცა აყენებს საკითხს ერთ-ერთი იმ რაიონული ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ, რომლის წინააღმდეგაც რაიონული ორგანიზაცია ამხედრდა. ეს სრულებით არ არის სწორი. მე შემეძლო გამეხსენებინა ბერზინისათვის 1919 თუ 1920 წლის ზოგიერთი ეპიზოდი, როცა ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრი, რომელმაც დაუშვა ზოგიერთი, ჩემი აზრით, არც იმდენად სერიოზული, შეცდომა პარტიული ხაზის მიმართ, ლენინის წინადადებით სამაგალითოდ დაისაჯა, ამასთან ერთ-ერთი მათგანი თურქესტანში გაიგზავნა, ხოლო მეორე კინაღამ გარიცხულ იქნა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან.

მართალი იყო თუ არა ლენინი, ასე რომ მოიქცა? მე ვფიქრობ, სავსებით მართალი იყო. ცენტრალურ კომიტეტში მაშინ ისეთი მდგომარეობა როდი იყო, როგორიც ახლა არის. ცენტრალური კომიტეტის ნახევარი მაშინ ტროცკის მიჰყვებოდა, ხოლო თვით ცენტრალურ კომიტეტში მტკიცე მდგომარეობა არ იყო. ახლა ცენტრალური კომიტეტი შეუდარებლად უფრო რბილად იქცევა. რატომ? იქნებ ჩვენ გვინდა ლენინზე უფრო გულკეთილი ვიყოთ? არა, ამაში როდია საქმე. საქმე იმაშია, რომ ცენტრალური კომიტეტის მდგომარეობა ახლა უფრო მტკიცეა, ვიდრე მაშინ იყო, და ცენტრალურ კომიტეტს ახლა საშუალება აქვს უფრო რბილად მოიქცეს.

მართალი არ არის სახაროვიც, როცა ამტკიცებს, ცენტრალურმა კომიტეტმა საქმეში ჩარევა დააგვიანაო. მართალი არ არის, ვინაიდან, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ცენტრალური კომიტეტის ჩარევა არსებითად მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო. სახაროვს შეუძლია დარწმუნდეს ამაში, თუ სურვილი აქვს. მართალია, ცენტრალური კომიტეტის ჩარეევამ ერთბაშად ვერ გამოიღო დადებითი

შედეგები. მაგრამ უცნაური იქნებოდა, რომ ამაში ცენტრალური კომიტეტისათვის დაგვედო ბრალი.

დასკვნები:

1) მემარჯვენე საფრთხე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენს პარტიაში, ვინაიდან მას ფესვი აქვს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ვითარებაში;

2) მემარჯვენე გადახრის საფრთხეს აძლიერებს იმ სიძნელეთა არსებობა, რომელთა დაძლევა შეუძლებელია, თუ დაძლეულ არ იქნა მემარჯვენე გადახრა და მასთან შემარიგებლობა;

3) მოსკოვის ორგანიზაციაში იყო ყოყმანი და ქანაობა, იყო მერყეობის ელემენტები;

4) მოსკოვის კომიტეტის ბირთვმა ცენტრალური კომიტეტისა და რაიონული აქტივების დახმარებით ყველა ზომა მიიღო მერყეობის ლიკვიდაციისათვის;

5) ეჭვს გარეშეა, რომ მოსკოვის კომიტეტი შესძლებს დასძლიოს შეცდომები, რომლებმაც წინათ იჩინეს თავი;

6) ამოცანა ის არის, რომ ბოლო მოვუღოთ შინაგან ბრძოლას, მჭიდროდ შევაკავშიროთ მოსკოვის ორგანიზაცია და წარმატებით ჩავატაროთ უჯრედების გადარჩევა გაშლილი თვითკრიტიკის ბაზაზე. (ტ ა შ ი).

მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)[1]

სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე 1929 წ. აპრილში

(სტენოგრამა)

ამხანაგებო! მე არ შევეხები პირად მომენტს, თუმცა პირადი მომენტი ბუხარინის ჯგუფის მონაწილე ზოგიერთი ამხანაგის სიტყვებში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. არ შევეხები, ვინაიდან პირადი მომენტი წვრილმანია, ხოლო წვრილმანებზე შეჩერება არა ღირს. ბუხარინი ლაპარაკობდა პირად მიწერ-მოწერაზე ჩემთან. მან წაიკითხა რამდენიმე წერილი, რომლებიდანაც ჩანს, რომ ჩვენ, ჯერ კიდევ გუშინ პირად მეგობრებს, ახლა პოლიტიკაში ერთმანეთთან უთანხმოება გვაქვს. იგივე კილო გამოსჭვიოდა უგლანოვისა და ტომსკის სიტყვებში. ეს როგორ მოხდა: ჩვენ ძველი ბოლშევიკები ვართ, და ჩვენს შორის კი უთანხმოებაა, ერთმანეთის პატივისცემა არ ვიცითო.

მე ვფიქრობ, რომ მთელი ეს საყვედური და გოდება გახვრეტილ ფარად არა ღირს. ჩვენ ოჯახური წრე, პირად მეგობართა არტელი კი არა გვაქვს, არამედ მუშათა კლასის პოლიტიკური პარტია. არ შეიძლება დავუშვათ, რომ პირადი მეგობრობის ინტერესებს საქმის ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ.

თუ ჩვენ მხოლოდ იმისათვის გვეწოდება ძველი ბოლშევიკები, რომ **ძველები** ვართ, ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, ამხანაგებო. ძველი ბოლშევიკები იმიტომ კი არ სარგებლობენ პატივისცემით, რომ **ძველები** არიან, არამედ იმიტომ, რომ ამავე დროს ისინი მუდამ ახალი, დაუბერებელი რევოლუციონერები არიან. თუ ძველმა ბოლშევიკმა რევოლუციის გზას გადაუხვია ან მოეშვა და პოლიტიკურად გახუნდა, თუნდაც ასი წლისა იყოს, მას უფლება არა აქვს

---

[1] სიტყვაში აღდგენილია 30 გვერდზე მეტი ტექსტი, რაც თავის დროზე პრესაში არ გამოქვეყნებულა. რ ე დ.

ძველ ბოლშევიკად იწოდებოდეს, უფლება არა აქვს პარტიისაგან პატივისცემას მოითხოვდეს.

შემდეგ, არ შეიძლება პირადი მეგობრობის საკითხები გავუთანაბროთ პოლიტიკის საკითხებს, ვინაიდან, როგორც იტყვიან, მეგობრობა სხვაა და სამსახური სხვა. ჩვენ ყველანი მუშათა კლასს ვემსახურებით, და თუ პირადი მეგობრობის ინტერესები რევოლუციის ინტერესებს არ ეთანხმება, მაშინ პირადი მეგობრობა განზე უნდა გადაიდოს. ჩვენ სხვანაირად ვერ დავაყენებთ საკითხს, როგორც ბოლშევიკები.

არც იმ გადაკრულ მითითებებსა და პირადი ხასიათის ფარულ ბრალდებებს შეეხები, რომლებითაც სავსე იყო ბუხარინული ოპოზიციის მონაწილე ამხანაგების სიტყვები. ამ ამხანაგებს, ეტყობა, სურთ გადაკრული მითითებებითა და მიკიბ-მოკიბვით დაფარონ ჩვენი უთანხმოების პოლიტიკური საფუძველი. მათ სურთ პოლიტიკანობით შეცვალონ პოლიტიკა. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ტომსკის სიტყვა. მისი სიტყვა იყო ტიპიური სიტყვა ტრედ-უნიონისტი პოლიტიკანისა, რომელიც ცდილობს პოლიტიკანობით შეცვალოს პოლიტიკის საკითხები. მაგრამ ეს ფანდი არ გაუვათ.

გადავიდეთ საქმეზე.

I

ერთი თუ ორი ხაზი?

ერთი საერთო გენერალური ხაზი გვაქვს ჩვენ, თუ ორი ხაზი, — ეს არის ძირითადი საკითხი, ამხანაგებო.

რიკოვი აქ თავის სიტყვაში ამბობდა, გენერალური ხაზი ჩვენ ერთი გვაქვს, ხოლო თუ ზოგიერთი «უმნიშვნელო» უთანხმოება გვაქვს, ეს იმიტომ არის, რომ გენერალური ხაზის გაგებაში სხვადასხვა «ელფერი» არსებობსო.

მართალია თუ არა ეს? სამწუხაროდ, არ არის მართალი. და არა თუ მართალი არ არის, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. მართლაც, თუ ხაზი ერთი გვაქვს და მხოლოდ ელფერი განგვასხვავებს, მაშ რატომ იყო, რომ ბუხარინი დარბოდა გუშინდელ ტროცკისტებთან, კამენევის მეთაურობით, და ცდილობდა მოეწყო მათთან ფრაქციული ბლოკი ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს წინააღმდეგ? განა ფაქტი არ არის, რომ ბუხარინი იქ ლაპარაკობდა ცენტრალური კომიტეტის ხაზის «დამღუპველობაზე», პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ბუხარინის, ტომსკისა

და რიკოვის პრინციპულ უთანხმოებაზე, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობის ძირფესვიანი შეცვლის აუცილებლობაზე?

თუ ხაზი ერთია, რატომ მოხდა, რომ ბუხარინი კონსპირაციულად უთანხმდებოდა გუშინდელ ტროცკისტებს ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და რატომ უპერდნენ მას მხარს ამ საქმეში რიკოვი და ტომსკი?

თუ გენერალური ხაზი ერთია, როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ პოლიტბიუროს ერთი ნაწილი, რომელიც ერთ საერთო გენერალურ ხაზს ემხრობა, ორმოს უთხრიდეს პოლიტბიუროს მეორე ნაწილს, რომელიც იმავე გენერალურ ხაზს ემხრობა?

განა შეიძლება დავუშვათ გადაფრენ-გადმოფრენის ასეთი პოლიტიკა, როცა ერთი საერთო გენერალური ხაზი არსებობს?

თუ ხაზი ერთია, საიდან გაჩნდა ბუხარინის 30 იანვრის დეკლარაცია, რომელიც მთლიანად და სავსებით მიმართულია ცენტრალური კომიტეტისა და მისი გენერალური ხაზის წინააღმდეგ?

თუ ხაზი ერთია, საიდან გაჩნდა სამეულის (ბუხარინის, რიკოვის, ტომსკის) 9 თებერვლის დეკლარაცია, რომელშიც პარტიას თავხედურად და უხეშ-ცილისმწამებლურად აბრალებენ: ა) გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკას, ბ) ბიუროკრატიზმის დანერგვის პოლიტიკას, გ) კომინტერნის დაშლის პოლიტიკას?

იქნებ ეს დეკლარაციები ბუნებაში აღარ არსებობს? იქნებ ისინი, ეს დეკლარაციები, ახლა მცდარად ითვლება? იქნებ რიკოვი, ბუხარინი და ტომსკი თანახმა არიან უკან წაიღონ ეს უთუოდ მცდარი და ანტიპარტიული დეკლარაციები? მაშ პირდაპირ და პატიოსნად გეითხრან ეს. მაშინ ყველასათვის ნათელი იქნება, რომ ჩვენ ერთი ხაზი გვაქვს და მხოლოდ უმნიშვნელო ელფერი განგვასხვავებს. მაგრამ მათ ასე მოქცევა არ მოისურვეს, როგორც ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის სიტყვებიდან ჩანს. და არა თუ ასე მოქცევა არ მოისურვეს, არამედ არც აპირებენ მომავალში ხელი აიღონ თავიანთ დეკლარაციებზე და აცხადებენ, რომ კვლავ იცავენ ამ დეკლარაციებში ჩამოყალიბებულ თავიანთ შეხედულებებს.

მაშ სადღაა ერთი საერთო გენერალური ხაზი?

თუ ხაზი ერთია, ხოლო პარტიის ხაზი, ბუხარინის ჯგუფის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკა გავატაროთ, ნუთუ ბუხარინს, რიკოვსა და ტომსკის სურთ კი არ ებრძოლონ ამ დამღუპველ პოლიტიკას, არამედ ჩვენთან ერთად გაატარონ იგი? ეს ხომ რაღაც აბდაუბდაა.

თუ ხაზი ერთია, ხოლო პარტიის ხაზი, ბუხარინული ოპოზიციის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ბიუროკრატიზმი დავნერგოთ, ნუთუ რიკოვს, ბუხარინსა და ტომსკის სურთ კი არ ებრძოლონ ბიუროკრატიზმს პარტიაში, არამედ ჩვენთან ერთად დანერგონ იგი? ეს ხომ რაღაც უაზრობაა.

თუ ხაზი ერთია, ხოლო პარტიის ხაზი, ბუხარინული ოპოზიციის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ კომინტერნში რღვევა შევიტანოთ, ნუთუ რიკოვს, ბუხარინსა და ტომსკის სურთ კი არ ებრძოლონ კომინტერნის დაშლის პოლიტიკას, არამედ ჩვენთან ერთად დაშალონ კომინტერნი? როგორ შეიძლება დავიჯეროთ ასეთი აბსურდი?

არა, ამხანაგებო, რიკოვის განცხადებაში, თითქოს ჩვენ ერთი საერთო ხაზი გვქონდეს, ყველაფერი რიგზე ვერ არის. რაც გნებავთ სთქვით, მაგრამ ერთი საერთო ხაზის საქმე არ გამოგიდით. თუ მხედველობაში მივიღებთ ეს-ეს არის გადმოცემულ ფაქტებს ბუხარინის ჯგუფის დეკლარაციებისა და მოქმედების სფეროდან.

თუ ხაზი ერთია, საიდან გაჩნდა გადადგომათა პოლიტიკა ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის მხრივ? განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ საერთო გენერალური ხაზის არსებობისას პოლიტბიუროს ერთი ნაწილი სისტემატურად ამბობდეს უარს პარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთგზის დადგენილებათა შესრულებაზე და ნახევარი წლის განმავლობაში განაგრძობდეს პარტიაში მუშაობისათვის საბოტაჟის გაწევას? საიდან გაჩნდა გადადგომათა ეს დეზორგანიზატორული პოლიტიკა, რომელსაც გულმოდგინედ ახორციელებს პოლიტბიუროს ერთი ნაწილი, თუ ჩვენ ნამდვილად ერთი საერთო გენერალური ხაზი გვაქვს?

ჩვენი პარტიის ისტორიას ახსოვს გადადგომათა პოლიტიკის მაგალითები. ცნობილია, მაგალითად, რომ ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღეს ამხანაგთა ერთმა ნაწილმა, კამენევისა და ზინოვიევის მეთაურობით, უარი თქვა მათთვის მინდობილ პოსტებზე და პარტიის პოლიტიკის შეცვლა მოითხოვა. ცნობილია, რომ გადადგომათა პოლიტიკას მაშინ ისინი იმ მოთხოვნით ასაბუთებდნენ, რომ შექმნილიყო კოალიციური მთავრობა მენშევიკებთან და ესერებთან ერთად, წინააღმდეგ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც წმინდა-ბოლშევიკური მთავრობის შექმნის პოლიტიკას ახორციელებდა. მაგრამ მაშინ გადადგომათა პოლიტიკას აზრი ჰქონდა, იმიტომ რომ ემყარებოდა ორი სხვადასხვა ხაზის არსებობას, რომელთაგან ერთი ხაზი მდგომარეობდა წმინდა-ბოლშევიკური მთავრობის შექმნაში. ხოლო მეორე ხაზი — მენშევიკებთან და ესერებთან ერთად კოალიციური მთავრობის შექმნაში. ეს ნათელი და

გასაგები იყო. მაგრამ არავითარი, სრულიად არავითარი ლოგიკა არ არის იმაში, რომ ბუხარინული ოპოზიცია ერთი მხრივ გენერალური ხაზის ერთიანობას აცხადებს, ხოლო მეორე მხრივ ეწევა გადადგომათა პოლიტიკას, რაც ნასესხებია ოქტომბრის გადატრიალების პერიოდის ზინოვიევისა და კამენევისაგან.

ორში ერთი: ან ერთი ხაზი გვაქვს, — და მაშინ ბუხარინისა და მისი მეგობრების გადადგომათა პოლიტიკა გაუგებარია და არაფრით აიხსნება; ან ორი ხაზი გვაქვს, — და მაშინ გადადგომათა პოლიტიკა საესებით გასაგებია და ადვილად აიხსნება.

თუ ხაზი ერთია, საიდან გამოვიდა ისეთი ფაქტი, რომ პოლიტბიუროს წევრთა სამეულმა, რიკოვმა, ბუხარინმა და ტომსკიმ, პოლიტბიუროში ხმის მიცემისას შესაძლებლად ჩათვალა **თავი შეეკავებინა** ხუთწლედზე და გლეხთა საკითხზე ძირითადი თეზისების მიღებისას? განა ისე ხდება, რომ გენერალური ხაზი ადამიანებს ერთი ჰქონდეთ, ხოლო სამეურნეო პოლიტიკის ძირითად საკითხებზე ერთი ნაწილი ამხანაგებისა თავს იკავებდეს კენჭისყრაში? არა, ამხანაგებო, ქვეყნად ასეთი სასწაულები არ ხდება.

დასასრულ, თუ ხაზი ერთია და ჩვენ მხოლოდ ელფერი განგვასხვავებს, რატომ არ დათანხმდნენ ბუხარინული ოპოზიციის მონაწილე ამხანაგები, ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი, მიეღოთ პოლიტბიუროს კომისიის კომპრომისი, რაც მათ ამა წლის 7 თებერვალს შევთავაზეთ? განა ფაქტი არ არის, რომ ეს კომპრომისი ბუხარინის ჯგუფს აძლევდა საესებით მისაღებ გამოსავალს იმ ჩიხიდან, რომელშიც მან თვითონ მოიმწყვდია თავი?

აი ტექსტი ამ კომპრომისისა, რომელიც ამა წლის 7 თებერვალს შესთავაზა მათ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობამ:

«კომისიაში აზრთა გაცვლა-გამოცვლით გამოირკვა, რომ:

1) ბუხარინი პოლიტიკურ შეცდომად აღიარებს კამენევთან მოლაპარაკებას;

2) ბუხარინი აღიარებს, რომ მტკიცებანი მისი 1929 წლის 30 იანვრის «განცხადებისა» იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტი სინამდვილეში ახორციელებს «გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის» პოლიტიკას, რომ ცენტრალური კომიტეტი კომინტერნს შლის და პარტიაში ბიუროკრატიზმს ნერგავს, — მთელი ეს მტკიცებანი მის მიერ ნათქვამია გაცხარების დროს, პოლემიკით გატაცებისას, რომ იგი აღარ იცავს ამ მტკიცებას და მიაჩნია, რომ ცენტრალურ კომიტეტთან ამ საკითხებში მას უთანხმოება არა აქვს;

3) ბუხარინი ამის საფუძველზე აღიარებს, რომ შესაძლებელი და აუცილებელია ერთსულოვანი მუშაობა პოლიტბიუროში;

4) ბუხარინი უარს ამბობს გადადგომაზე როგორც «პრავდის» ხაზით, ისე კომინტერნის ხაზით;

5) ბუხარინი ამის გამო ხსნის თავის 30 იანვრის განცხადებას.

აღნიშნულის საფუძველზე კომისიას შესაძლებლად მიაჩნია არ შეიტანოს პო-

ლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე თავისი პროექტი რეზოლუციისა ბუხარინის შეცდომების პოლიტიკური შეფასებით და წინადადებას აძლევს პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომას — ხმარებიდან ამოიღოს ყველა არსებული დოკუმენტი (სიტყვათა სტენოგრამები და სხვ.).

კომისია წინადადებას აძლევს პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს უზრუნველყონ ბუხარინისათვის ყველა ის პირობა, რაც „უცილებელია მისი ნორმალური მუშაობისათვის «პრავდის» პასუხისმგებელი რედაქტორისა და კომინტერნის აღმასკომის მდივნის პოსტებზე».

რატომ უარყვეს ბუხარინმა და მისმა მეგობრებმა ეს კომპრომისი, თუ ჩვენ მართლაც ერთი ხაზი გვაქვს და მხოლოდ უმნიშვნელო ელფერი განგვასხვავებს? განა ძნელი გასაგებია, რომ ბუხარინი და მისი მეგობრები მთელი ძალღონით უნდა ჩასჭიდებოდნენ პოლიტბიუროს მიერ მათთვის შეთავაზებულ ამ კომპრომისს, რათა ამით ბოლო მოეღოთ შინაპარტიული მდგომარეობის სიმწვავისათვის და შეექმნათ პოლიტბიუროში ერთსულოვანი და მწყობრი მუშაობის ვითარება?

ლაპარაკობენ პარტიის ერთიანობაზე, პოლიტბიუროში კოლეგიურ მუშაობაზე. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ ვისაც ნამდვილი ერთიანობა სურს და მუშაობის კოლეგიურობას აფასებს, მას უნდა მიეღო ასეთი კომპრომისი? მაშ რატომ უარყვეს ბუხარინმა და მისმა მეგობრებმა ეს კომპრომისი?

განა ცხადი არ არის — ჩვენ რომ ერთი ხაზი გვქონოდა, მაშინ აღარ იქნებოდა არც საშეულის 9 თებერვლის დეკლარაცია, არც ბუხარინისა და მისი მეგობრების უარი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ მათთვის შეთავაზებულ კომპრომისზე?

არა, ამხანაგებო, ერთი საერთო ხაზის საქმე არ გამოგიდით, თუ ჩქედველობაში მივიღებთ ზემოთ მოყვანილ ფაქტებს.

გამოდის, რომ სინამდვილეში ჩვენ გვაქვს არა ერთი ხაზი, არამედ ორი ხაზი, რომელთაგან ერთი ხაზია ცენტრალური კომიტეტის ხაზი, ხოლო მეორე — ბუხარინის ჯგუფის ხაზი.

რიკოვმა თავის სიტყვაში ტყუილი თქვა, როცა განაცხადა, გენერალური ხაზი ერთი გვაქვსო. ამით მას სურდა შეენიღბა თავისი საკუთარი ხაზი, რომელიც პარტიის ხაზისაგან განსხვავდება, რათა ფარულად დაეწყო ძირგამომთხრელი მუშაობა პარტიის ხაზის წინააღმდეგ. ოპორტუნიზმის პოლიტიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მიჩქმალოს უთანხმოება, მიაფუჩეჩოს პარტიის შიგნით არსებული ნამდვილი მდგომარეობა, შენიღბოს თავისი საკუთარი პოზიცია და მოუსპოს პარტიას სრული სიცხადის მიღწევის შესაძლებლობა.

რისთვის სჭირდება ოპორტუნიზმს ასეთი პოლიტიკა? იმისათვის, რომ ამოეფაროს ლაყბობას ხაზის ერთიანობის შესახებ, სინამდვილეში კი გაატაროს თავისი საკუთარი ხაზი, რომელიც პარტიის ხაზისაგან განსხვავდება. თავის სიტყვაში ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ამ პლენუმზე რიკოვი ამ ოპორტუნისტულ თვალსაზრისს დაადგა.

ხომ არ გნებავთ მოისმინოთ საერთოდ ოპორტუნისტის დახასიათება, რაც ამხანაგმა ლენინმა მოგვცა თავის ერთ-ერთ სტატიაში? იგი, ეს დახასიათება, მნიშვნელოვანია ჩვენთვის არა მარტო მისი საერთო მნიშვნელობის თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ იგი სავსებით შეეფერება რიკოვს.

აი რას ამბობს ლენინი ოპორტუნიზმისა და ოპორტუნისტების თავისებურებათა შესახებ:

«როდესაც ლაპარაკია ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ მთელი თანამედროვე ოპორტუნიზმის დამახასიათებელი თვისება ყველა და ყოველგვარ სფეროში: მისი გაურკვევლობა, უსახობა, მოუხელებლობა. ოპორტუნისტი, მთელი თავისი ბუნებით, ყოველთვის გაურბის საკითხის გარკვეულად და მტკიცედ დასმას, ტოლქმედ ხაზს ეძებს, ძლოკვივით იკლაკნება ერთიმეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისთა შორის, ცდილობს ერთსაც «დაეთანხმოს» და მეორესაც, თავის უთანხმოებას პატარ-პატარა შესწორებებად, ეპეებად, კეთილ და გულუბრყვილო სურვილებად და სხვ. და სხვ. აქცევს» (ტ. VI, გვ. 320).

აი იგი, სახე ოპორტუნისტისა, რომელიც სიცხადესა და გარკვეულობას უფრთხის და ცდილობს მიჩქმალოს ნამდვილი ვითარება, შიაფუჩეჩოს პარტიაში არსებული ნამდვილი უთანხმოება.

დიახ, ამხანაგებო, უნდა შეგვეძლოს თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს, რა არასასიამოვნოც უნდა იყოს იგი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ სიმართლის შიშის სენი გადმოგვდებოდეს. ბოლშევიკები, სხვათა შორის, სწორედ იმით განსხვავდებიან ყოველი სხვა პარტიისაგან, რომ არ ეშინიათ სიმართლისა, არ ეშინიათ თვალი გაუსწორონ სიმართლეს, რა მწარეც უნდა იყოს იგი. ხოლო სიმართლე ამ შემთხვევაში ის არის, რომ სინამდვილეში ჩვენ ერთი საერთო ხაზი არა გვაქვს. არის ერთი ხაზი, პარტიის ხაზი, რევოლუციური, ლენინური ხაზი. მაგრამ ამის გვერდით არსებობს მეორე ხაზი, ბუხარინის ჯგუფის ხაზი, რომელიც ებრძვის პარტიის ხაზს ანტიპარტიული დეკლარაციების გზით, გადადგომათა გზით, პარტიაზე ცილისწამების გზით, პარტიის წინააღმდეგ შენიღბულად ორმოს თხრის გზით, ანტიპარტიული ბლოკის მოსაწყობად გუშინდელ ტროცკისტებთან ფარული მოლაპარაკების გზით. ეს მეორე ხაზი ოპორტუნისტული ხაზია.

აი ფაქტი, რომელსაც ვერ მიჩქმალავ ვერავითარი დიპლომატიური სიტყვებით, ვერავითარი ეშმაკური განცხადებებით ერთიანი ხაზის არსებობის შესახებ და სხვ. და ა. შ.

II

კლასობრივი ძვრები და ჩვენი უთანხმოებანი

რაში მდგომარეობს ჩვენი უთანხმოება, რასთან არის იგი დაკავშირებული?

იგი დაკავშირებულია უწინარეს ყოვლისა იმ კლასობრივი ძვრების საკითხთან, რომლებიც ამ ბოლო დროს ხდება ჩვენს ქვეყანაში და კაპიტალისტურ ქვეყნებში. ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, რომ უთანხმოებას ჩვენს პარტიაში შემთხვევითი ხასიათი აქვს. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს სრულებით არ არის მართალი. უთანხმოება ჩვენს პარტიაში წარმოიშვა იმ კლასობრივი ძვრების ნიადაგზე. კლასობრივი ბრძოლის იმ გამწვავების ნიადაგზე, რომელიც ამ ბოლო დროს ხდება და რომელიც ქმნის გარდატეხას განვითარებაში.

ბუხარინის ჯგუფის მთავარი შეცდომა ის არის, რომ იგი ვერ ხედავს ამ ძვრებსა და ამ გარდატეხას, ვერ ხედავს და არ სურს შეამჩნიოს ისინი. სწორედ ამით აიხსნება პარტიისა და კომინტერნის ახალი ამოცანების ის გაუგებლობა, რაც ბუხარინული ოპოზიციის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს.

შეამჩნიეთ თუ არა, ამხანაგებო, რომ ბუხარინული ოპოზიციის ხელმძღვანელებმა თავიანთ სიტყვებში ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე სრულიად აუარეს გვერდი საკითხს ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ძვრების შესახებ. ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიეს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და კრინტიც არ დაუძრავთ იმაზე, რომ ჩვენი უთანხმოება დაკავშირებულია კლასობრივი ბრძოლის სწორედ ამ გამწვავებასთან? ისინი ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, ფილოსოფიაზეც, თეორიაზეც, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ იმ კლასობრივი ძვრების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი პარტიის ორიენტაციასა და პრაქტიკას ამჟამად.

რით აიხსნება ეს უცნაურობა? იქნებ გულმავიწყობით? რა თქმა უნდა, არა! პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ დაივიწყონ მთავარი. ეს აიხსნება იმით, რომ მათ ვერ დაუნახავთ და ვერ გაუგიათ ახალი რევოლუციური პროცესები, რომლებიც ახლა ხდება როგორც აქ, ჩვენს ქვეყანაში, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს აიხსნება იმით,

რომ მათ გამოეპარათ მთავარი, გამოეპარათ ის კლასობრივი ძვრები, რომლებიც პოლიტიკოსს არ უნდა გამოეპაროს. სწორედ ამით აიხსნება ის აბნეულობა და უმწეობა, რასაც იჩენს ბუხარინული ოპოზიცია ჩვენი პარტიის ახალი ამოცანების წინაშე.

გაიხსენეთ ჩვენს პარტიაში მომხდარი უკანასკნელი ამბები. გაიხსენეთ ის ლოზუნგები. რომლებიც მოგვცა ამ ბოლო დროს პარტიამ ჩვენს ქვეყანაში ახალ კლასობრივ ძვრებთან დაკავშირებით. მე ვლაპარაკობ ისეთ ლოზუნგებზე, როგორიც არის **თვითკრიტიკის** ლოზუნგი, **ბიუროკრატიზმთან ბრძოლის** გამახვილებისა და **საბჭოთა აპარატის წმენდის** ლოზუნგი, **ახალი სამეურნეო კადრებისა** და **წითელი სპეციალისტების ორგანიზაციის** ლოზუნგი, **კოლმეურნეობებისა** და **საბჭოთა მეურნეობების** მშენებლობისათვის **მოძრაობის** გაძლიერების ლოზუნგი, **კულაკზე შეტევის** ლოზუნგი, **პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა** და **პროფკავშირული მუშაობის პრაქტიკის** ძირფესვიანი **გაუმჯობესების** ლოზუნგი, **პარტიის წმენდის** ლოზუნგი და სხვ.. ზოგიერთ ამხანაგს ეს ლოზუნგები განსაცვიფრებელ და თავბრუდამხვევ ლოზუნგებად ეჩვენა. ამავე დროს კი აშკარაა, რომ ეს ლოზუნგები ამჟამად პარტიის ყველაზე აუცილებელი და აქტუალური ლოზუნგებია.

საქმე იმით დაიწყო, რომ ჩვენ, შახტის საქმესთან დაკავშირებით, ახლებურად დავაყენეთ ახალი სამეურნეო კადრების საკითხი, ის საკითხი, რომ მუშათა კლასის წრიდან მოვამზადოთ წითელი სპეციალისტები ძველი სპეცების შესაცვლელად.

რა გამოირკვა შახტის საქმესთან დაკავშირებით? გამოირკვა ის, რომ ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ არის მთლად განადგურებული, რომ ის აწყობს და კვლავაც მოაწყობს მავნებლობას ჩვენს სამეურნეო მშენებლობაში, რომ ჩვენს სამეურნეო, პროფკავშირულ და ნაწილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს გამოეპარათ ჩვენი კლასობრივი მტრების ძირგამომთხრელი მუშაობა, რომ, მაშასადამე, საჭიროა მთელი ძალღონით, ყველა საშუალებით განვამტკიცოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი ორგანიზაციები, განვავითაროთ და განვამტკიცოთ მათი კლასობრივი სიფხიზლე.

ამასთან დაკავშირებით გამახვილდა **თვითკრიტიკის** ლოზუნგის საკითხი. რატომ? იმიტომ, რომ არ შეიძლება გავაუმჯობესოთ ჩვენი სამეურნეო, პროფკავშირული და პარტიული ორგანიზაციები, არ შეიძლება წინ წავწიოთ სოციალიზმის მშენებლობის საქმე და აგლაგმოთ ბურჟუაზიული მავნებლობა, თუ ყოველმხრივ არ განვავითარეთ კრიტიკა და თვითკრიტიკა. თუ მასების კონტროლს არ დაეუქვემდებარეთ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობა. ეს ხომ ფაქტია,

რომ მაკნებლობას ადგილი ჰქონდა და კვლავ აქვს ადგილი არა მარტო ქვანახშირის რაიონებში, არამედ ლითონის წარმოების დარგშიც, სამხედრო მრეწველობის დარგშიც, გზათა სახალხო კომისარიატშიც, ოქროს და პლატინის მრეწველობაშიც და სხვ. და ა. შ.. აქედან გამომდინარეობს თვითკრიტიკის ლოზუნგი.

შემდეგ, პურის დამზადების სიძნელეებთან დაკავშირებით, ფასების საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ კულაკობის გამოსვლასთან დაკავშირებით, ჩვენ გავამახვილეთ საკითხი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველნაირად განვითარების შესახებ, კულაკზე შეტევის შესახებ, იმის შესახებ, რომ პურის დამზადება მოვაწყოთ კულაკურ-შეძლებული ელემენტებისათვის ხელის მოჭერის გზით.

რა გამოარკვია პურის დამზადების სიძნელეებმა? გამოარკვია ის, რომ კულაკს არ სძინავს, კულაკი იზრდება, იგი აწყობს ძირგამომთხრელ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ, ჩვენი პარტიული, საბჭოთა და კოოპერაციული ორგანიზაციები კი, მათი ნაწილი მაინც, ან ვერ ხედავენ მტერს, ან ეგუებიან მას ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლონ მას.

აქედან გამომდინარეობს თვითკრიტიკის ლოზუნგის, ჩვენი პარტიული, კოოპერაციული და საერთოდ დამამზადებელი ორგანიზაციების შემოწმებისა და გაუმჯობესების ლოზუნგის ახალი გამახვილება.

შემდეგ, სოციალიზმის ბაზაზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ახალ ამოცანებთან დაკავშირებით, წარმოიშვა ლოზუნგი პროდუქციის თვითღირებულების სისტემატურად შემცირების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ და სხვ.. ამ ამოცანებმა მოითხოვეს პროფესიული კავშირებისა და საბჭოთა აპარატის მთელი პრაქტიკის გადასინჯვა, ამ ორგანიზაციების ძირფესვიანი გამოცოცხლება და ამ ორგანიზაციების გაწმენდა ბიუროკრატიზმის ელემენტებისაგან.

აქედან გამომდინარეობს პროფკავშირებსა და საბჭოთა აპარატში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლოზუნგის გამახვილება.

დასასრულ, პარტიის წმენდის ლოზუნგის საკითხი. სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ შეიძლება განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა-სამეურნეო, პროფკავშირული და კოოპერაციული ორგანიზაციები, შეიძლება გავწმინდოთ ისინი ბიუროკრატიზმის სიბილწისაგან, თუ თვით პარტია არ დავხვეწეთ. ეჭვს გარეშეა, რომ ბიუროკრატიული ელემენტები ცოცხალი არიან არა მარტო სამეურნეო-

კოოპერაციულ და პროფკავშირულ-საბჭოთა ორგანიზაციებში, არამედ თვით პარტიის ორგანიზაციებშიც. თუ პარტია ყველა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ძალაა, მაშინ ცხადია, რომ პარტიის წმენდა წარმოადგენს იმ აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ბოლომდე ვერ განხორციელდება მუშათა კლასის ყველა სხვა ორგანიზაციის გამოცოცხლება და გაუმჯობესება. აქედან გამომდინარეობს პარტიის წმენდის ლოზუნგი.

შემთხვევითი ხომ არ არის ეს ლოზუნგები? არა, არ არის შემთხვევითი. თქვენ თვითონ ხედავთ, რომ ეს ლოზუნგები შემთხვევითი არ არის. **ისინი შეადგენენ იმ ერთი განუწყვეტელი ჯაჭვის აუცილებელ რგოლებს, რომელსაც ეწოდება სოციალიზმის შეტევა კაპიტალიზმის ელემენტების წინააღმდეგ.**

ისინი დაკავშირებული არიან უწინარეს ყოვლისა სოციალიზმის ბაზაზე ჩვენი მრეწველობისა და ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდთან. ხოლო რას წარმოადგენს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია სოციალიზმის ბაზაზე? იგი წარმოადგენს სოციალიზმის შეტევას სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მთელ ფრონტზე. ეს არის ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის უაღრესად სერიოზული ძერა სოციალიზმის აშენების მიმართულებით. მაგრამ ეს რეკონსტრუქცია რომ განვახორციელოთ, ამისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავაუმჯობესოთ და განვამტკიცოთ სოციალისტური მშენებლობის როგორც სამეურნეო-საბჭოთა და პროფკავშირული, ისე პარტიულ-კოოპერაციული კადრები, საჭიროა დავხვეწოთ ყველა ჩვენი ორგანიზაცია, გავწმინდოთ ისინი სიბილწისაგან, საჭიროა გავაძლიეროთ მუშათა კლასისა და გლეხობის მილიონიანი მასების აქტივობა.

შემდეგ, ეს ლოზუნგები დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტები წინააღმდეგობას უწევენ სოციალიზმის შეტევას. არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს ეგრეთწოდებული შახტის საქმე. «შახტელები» ახლა ჩვენი მრეწველობის ყველა დარგში სხედან. ბევრი მათგანი შეპყრობილია, მაგრამ ჯერ კიდევ ყველა როდია შეპყრობილი. ბურჟუაზიული ინტელიგენციის მავნებლობა არის განვითარების პროცესში მყოფი სოციალიზმისათვის წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთი უაღრესად საშიში ფორმა. მავნებლობა მით უფრო საშიშია, რომ იგი დაკავშირებულია საერთაშორისო კაპიტალთან. ბურჟუაზიული მავნებლობა იმის უეჭველი მაჩვენებელია, რომ კაპიტალისტურ ელემენტებს ჯერ სრულიადაც არ დაუყრიათ იარაღი, რომ ისინი

იკრეზენ ძალებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი გამოსვლებისათვის.

რაც შეეხება სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებს, მით უფრო არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს კულაკობის გამოსვლა, რაც უკვე მეორე წელიწადია გრძელდება ფასების საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ. ბევრს დღემდე კიდევ ვერ აუხსნია ის ფაქტი, რომ კულაკი თვითდინების წესით იძლეოდა პურს 1927 წლამდე, ხოლო 1927 წლის შემდეგ მან შეწყვიტა პურის მოცემა თვითდინების წესით. მაგრამ ამ გარემოებაში გასაკვირველი არაფერია. თუ წინათ კულაკი ჯერ კიდევ შედარებით სუსტი იყო, შესაძლებლობა არ ჰქონდა სერიოზულად მოეწყო თავისი მეურნეობა, საკმაო კაპიტალი არ ჰქონდა თავისი მეურნეობის განმტკიცებისათვის, რის გამო იძულებული იყო ბაზარზე გაეტანა თავისი პურის წარმოების მთელი ან თითქმის მთელი ნაჭარბი, ახლა, მთელი რიგი მოსავლიანი წლების შემდეგ, როცა მან მოასწრო თავისი მეურნეობის მოწყობა, როცა შესძლო საჭირო კაპიტალის დაგროვება, — მას მიეცა ბაზარზე მანეერირების შესაძლებლობა. მიეცა შესაძლებლობა თავისთვის რეზერვში გადადოს პური. ეს ვალუტათა ვალუტა, და ამჯობინებს ბაზარზე გაიტანოს ხორცი, შვრია. ქერი და სხვა მეორეხარისხოვანი კულტურები. სასაცილო იქნებოდა ახლა გვქონოდა იმის იმედი, რომ შეიძლება ნებაყოფლობით მივიღოთ პური კულაკისაგან.

აი სად არის იმ წინააღმდეგობის ფესვი, რომელსაც ახლა კულაკი საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას უწევს.

ხოლო რას წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობა სოციალიზმის შეტევისადმი? ეს არის პროლეტარიატის კლასობრივი მტრების ძალთა გადაჯგუფება, რომლის მიზანია ძველის დაცვა ახლის წინააღმდეგ. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ამ გარემოებებმა არ შეიძლება არ გამოიწვიონ კლასთა ბრძოლის გამწვავება. მაგრამ კლასობრივი მტრების წინააღმდეგობა რომ დავძლიოთ და სოციალიზმის წინსვლას გზა გავუკაფოთ, ამისათვის, ყოველივე დანარჩენის გარდა, საჭიროა დავხვეწოთ ყველა ჩვენი ორგანიზაცია, გავწმინდოთ ისინი ბიუროკრატიზმისაგან, გავაუმჯობესოთ მათი კადრები და დავრაზმოთ მუშათა კლასისა და სოფლის მშრომელი ფენების მილიონიანი მასები ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

აი რა კლასობრივი ძვრების ნიადაგზე წარმოიშვნენ ჩვენი პარტიის ახლანდელი ლოზუნგები.

იგივე უნდა ითქვას კლასობრივ ძვრებზე კაპიტალისტურ ქვეყნებში. სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ კაპიტალიზმის სტაბი-

ლიზაცია უცვლელი დარჩა. მით უფრო სასაცილო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ სტაბილიზაცია მტკიცდება, მკვიდრი ხდება. ნამდვილად კაპიტალიზმის სტაბილიზაციას ძირი ეთხრება, იგი ყოველთვიურად, დღითი-დღე ირყევა. საგარეო ბაზრებისა და ნედლეულისათვის ბრძოლის გამწვავება, შეიარაღების ზრდა, ამერიკასა და ინგლისს შორის ანტაგონიზმის ზრდა, სსრ კავშირში სოციალიზმის ზრდა, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის გამემარცხენება, ევროპის ქვეყნებში გაფიცვებისა და კლასობრივი ბრძოლების ხანა, კოლონიებში, მათ შორის ინდოეთში, რევოლუციური მოძრაობის ზრდა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კომუნიზმის ზრდა — ყოველივე ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც უეჭველად მოწმობენ, რომ კაპიტალიზმის ქვეყნებში ახალი რევოლუციური აღმავლობის ელემენტები იზრდება.

აქედან გამომდინარეობს სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, და უწინარეს ყოვლისა მისი «მემარცხენე» ფრთის, როგორც კაპიტალიზმის სოციალური დასაყრდენის წინააღმდეგ ბრძოლის გამახვილების ამოცანა.

აქედან გამომდინარეობს კომპარტიებში მემარჯვენე ელემენტების, როგორც სოციალ-დემოკრატიული გავლენის აგენტურის წინააღმდეგ ბრძოლის გამახვილების ამოცანა.

აქედან გამომდინარეობს მემარჯვენე გადახრისადმი შემარიგებლობის, როგორც კომპარტიებში ოპორტუნიზმის თავშესაფრის წინააღმდეგ ბრძოლის გამახვილების ამოცანა.

აქედან გამომდინარეობს სოციალ-დემოკრატიული ტრადიციებისაგან კომპარტიების გაწმენდის ლოზუნგი.

აქედან გამომდინარეობს კომუნიზმის ეგრეთწოდებული ახალი ტაქტიკა პროფკავშირებში.

ზოგიერთ ამხანაგს არ ესმის ამ ლოზუნგების აზრი და მნიშვნელობა. მაგრამ მარქსისტი ყოველთვის მიხვდება, რომ ამ ლოზუნგების განუხორციელებლად წარმოუდგენელია პროლეტარული მასების მომზადება ახალი კლასობრივი ბრძოლებისათვის, წარმოუდგენელია გამარჯვება სოციალ-დემოკრატიაზე, შეუძლებელია შერჩევა კომუნისტური მოძრაობის ნამდვილი ლიდერებისა, რომლებსაც უნარი ექნებათ წაიყვანონ მუშათა კლასი კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აი, ამხანაგებო, ის კლასობრივი ძვრები ჩვენს ქვეყანაში და კაპიტალიზმის ქვეყნებში, რომელთა საფუძველზეც წარმოიშვნენ ჩვენი პარტიის ახლანდელი ლოზუნგები როგორც მისი საშინაო პოლიტიკის ხაზით, ისე კომინტერნის ხაზით.

ჩვენი პარტია ხედავს ამ კლასობრივ ძვრებს. მას ესმის ახალი ამოცანების მნიშვნელობა და რაზმავს ძალებს ამ ამოცანების გადასაჭრელად. ამიტომ იგი მოვლენებს სავსებით მომზადებული ხვდება. ამიტომ მას არ ეშინია მის წინაშე მდგომი სიძნელეებისა, ვინაიდან მზად არის გადალახოს ეს სიძნელენი.

ბუხარინის ჯგუფის უბედურება ის არის, რომ იგი ვერ ხედავს ამ კლასობრივ ძვრებს და არ ესმის პარტიის ახალი ამოცანები. და სწორედ იმიტომ, რომ მას არ ესმის ეს ამოცანები, იგი განიცდის სრულ დაბნეულობას, მზად არის გაექცეს სიძნელეებს, უკან დაიხიოს მათ წინაშე, დათმოს პოზიციები.

გინახავთ თუ არა მეთევზეები ქარიშხლის წინ დიდ მდინარეზე, როგორიც არის, მაგალითად, ენისეი? მე ისინი არა ერთხელ მინახავს. ხდება ხოლმე, რომ მეთევზეთა ერთი ჯგუფი, როცა ქარიშხალი ამოვარდება, მთელ ძალღონეს იკრებს, ამხნევებს თავის ამხანაგებს და გაბედულად მიჰყავს ნავი ქარიშხალთან შესაბმელად: «მხნედ იყავით, ბიჭებო, მაგრად ჩასჭიდეთ ხელი საჭეს, გაჰკვეთეთ ტალღები, ჩვენ გავიმარჯვებთ!»

მაგრამ არიან სხვა ჯურის მეთევზეებიც, რომლებიც, ქარიშხლის მოახლოებას რომ იგრძნობენ, სულით ეცემიან, წუწუნს იწყებენ და დემორალიზაცია შეაქვთ თავისსავე საკუთარ რიგებში: «უბედურება გვეწია, ქარიშხალი ამოვარდა, დაწექით, ბიჭებო, ნავის ფსკერზე, თვალი დახუჭეთ, იქნება როგორმე ნაპირზე გაგვრიყოს». (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

განა საჭიროა კიდევ იმის მტკიცება, რომ ბუხარინის ჯგუფის გეზი და საქციელი, როგორც ორი წვეთი წყალი ერთმანეთს, ისე ჰგავს იმ მეთევზეთა მეორე ჯგუფის გეზსა და საქციელს, რომელნიც პანიკით შეპყრობილნი უკან იხევენ სიძნელეთა წინაშე?

ჩვენ ვამბობთ, რომ ევროპაში მწიფდება ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობები, რომ ეს გარემოება გვიკარნახებს ახალ ამოცანებს — გავაძლიეროთ ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან კომპარტიებში და განვდევნოთ პარტიიდან მემარჯვენე უკლონისტები, გავაძლიეროთ ბრძოლა შემარიგებლობასთან, რომელიც ხელს აფარებს მემარჯვენე გადახრას, გავაძლიეროთ ბრძოლა სოციალ-დემოკრატიულ ტრადიციებთან კომპარტიებში და სხვ. და ა. შ.. ბუხარინი კი გვიპასუხებს, რომ ყოველივე ეს სრულიად უმნიშვნელო რამ არის, რომ ჩვენ არავითარი ასეთი ახალი ამოცანა არა გვაქვს, რომ ნამდვილად საქმე იმას ეხება, რომ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას სურს «დაამუშაოს» იგი, ე. ი. ბუხარინი.

ჩვენ ვამბობთ, რომ კლასობრივი ძვრები ჩვენს ქვეყანაში გვიკარნახებენ ახალ ამოცანებს, რომლებიც მოითხოვენ პროდუქციის თვითღირებულების სისტემატურ შემცირებას და საწარმოებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, რომ ამ ამოცანების განხორციელება შეუძლებელია, თუ ძირფესვიანად არ შეიცვალა პროფესიული კავშირების მუშაობის მთელი პრაქტიკა. ტომსკი კი გვიპასუხებს, რომ ყოველივე ეს სრულიად უმნიშვნელო რამ არის, რომ ჩვენ არავითარი ასეთი ახალი ამოცანა არა გვაქვს, რომ ნამდვილად საქმე იმას ეხება, რომ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას სურს «დაამუშაოს» იგი, ე. ი. ტომსკი.

ჩვენ ვამბობთ, რომ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია გვიკარნახებს ახალ ამოცანებს — გავაძლიეროთ ბრძოლა საბჭოთა-სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიზმთან, გავწმინდოთ ეს აპარატი ხამპალი და უცხო ელემენტებისაგან, მავნებლებისაგან და სხვ. და ა. შ.. ხოლო რიკოვი გვიპასუხებს, რომ ყოველივე ეს სრულიად უმნიშვნელო რამ არის, რომ ჩვენ არავითარი ასეთი ახალი ამოცანა არა გვაქვს, რომ ნამდვილად საქმე იმას ეხება, რომ ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობას სურს «დაამუშაოს» იგი, ე. ი. რიკოვი.

განა ეს სასაცილო არ არის, ამხანაგებო? განა ცხადი არ არის, რომ ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი ამ ქვეყნად თავიანთი ჭიპის მეტს ვერაფერს ხედავენ?

ბუხარინის ჯგუფის უბედურება ის არის, რომ იგი ვერ ხედავს ახალ კლასობრივ ძვრებს და არ ესმის პარტიის ახალი ამოცანები. და სწორედ იმიტომ, რომ მას ეს ამოცანები არ ესმის, იგი იძულებულია კუდში მისჩანჩალებდეს მოვლენებს და იარაღი დაყაროს სიძნელეთა წინაშე.

აი სად არის ჩვენი უთანხმოების ფესვი.

III

უთანხმოებანი კომინტერნის ხაზით

მე უკვე ვთქვი, რომ ბუხარინი ვერ ხედავს და რომ მას არ ესმის კომინტერნის ახალი ამოცანები — მემარჯვენეების განდევნა კომპარტიებიდან, შემარიგებლობის ალაგმვა და კომპარტიების გაწმენდა სოციალ-დემოკრატიული ტრადიციებისაგან — ამოცანები, რომლებსაც გვიკარნახებენ ახალი რევოლუციური აღმავლობის მზარდი პირობები. ეს დებულება სავსებით დაადასტურა ჩვენმა უთანხმოებამ კომინტერნის საკითხებში.

რით დაიწყო უთანხმოება ამ დარგში?

საქმე დაიწყო საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ბუხარინის თეზისებით VI კონგრესზე. ჩვეულებრივად თეზისებს წინასწარ განიხილავდა საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაცია. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს პირობა არ ყოფილა დაცული. ისე მოხდა, რომ თეზისები ბუხარინის ხელმოწერით, რომლებიც გადაეცა საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციას, ამავე დროს დაეგზავნა VI კონგრესის უცხოელ დელეგაციებს. მაგრამ თეზისები არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა მთელ რიგ პუნქტებში. საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციას მოუხდა დაახლოებით 20 შესწორების შეტანა თეზისებში.

ამ გარემოებამ ერთგვარ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ბუხარინი. მაგრამ ვისი ბრალია ეს? რატომ დასჭირდა ბუხარინს დაეგზავნა თეზისები უცხოეთის დელეგაციებისათვის, სანამ ამ თეზისებს საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაცია განიხილავდა? შეეძლო თუ არა საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციას არ შეეტანა შესწორებანი, თუ თეზისები არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა? და აი მოხდა ისე, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის ხელიდან გამოვიდა არსებითად ახალი თეზისები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რომლებიც უცხოეთის დელეგაციებმა დაუპირდაპირეს ბუხარინის მიერ ხელმოწერილ ძველ თეზისებს. ცხადია, ეს უხერხულობა არ იქნებოდა, ბუხარინს ასე აჩქარებით რომ არ დაეგზავნა თავისი თეზისები უცხოეთის დელეგაციებისათვის.

მე მინდა აღვნიშნო ოთხი ძირითადი შესწორება, რომლებიც საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციამ შეიტანა ბუხარინის თეზისებში. მე მინდა აღვნიშნო ეს ძირითადი შესწორებანი იმისათვის, რომ უფრო ნათლად გიჩვენოთ, თუ რა ხასიათისაა უთანხმოება კომინტერნის საკითხებში.

პირველი საკითხია კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ხასიათის საკითხი. ბუხარინის თეზისებიდან ისე გამოდიოდა, რომ ამჟამად არ ხდება არავითარი ახალი რამ, რაც არყევდეს კაპიტალისტურ სტაბილიზაციას, რომ, პირიქით, კაპიტალიზმი რეკონსტრუქციას განიცდის და ძირითადად ცოტად თუ ბევრად მტკიცედ დგას. ცხადია, რომ ეგრეთწოდებული მესამე პერიოდის, ე. ი. ახლანდელი პერიოდის ასეთ დახასიათებას საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაცია ვერ დაეთანხმებოდა. იგი ვერ დაეთანხმებოდა ამას, ვინაიდან მესამე პერიოდის ასეთი დახასიათების დატოვება ჩვენს კრიტიკოსებს საბაბს მისცემდა ელაპარაკნათ, რომ ჩვენ ვდგებით კაპიტალიზმის ეგრეთწოდებული «გაჯანსაღების» თვალსაზრისზე, ე. ი. ჰილფერდინგის თვალსაზრისზე, იმ თვალსაზრისზე, რომელზეც ჩვენ, კომუნისტებს, არ შეგვიძლია დგომა. ამის გამო საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციამ

შეიტანა შესწორება, საიდანაც ჩანს, რომ კაპიტალისტური სტაბილიზაცია არ არის და ვერც იქნება მტკიცე, რომ მას, მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის გამწვავების გამო, არყევს და კვლავაც შეარყევს მოვლენათა მსვლელობა.

ამ საკითხს, ამხანაგებო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომინტერნის სექციებისათვის. ირყევა თუ მტკიცდება კაპიტალისტური სტაბილიზაცია, — ამაზეა დამოკიდებული კომპარტიების მთელი გეზი მათს ყოველდღიურ პოლიტიკურ მუშაობაში. რევოლუციური მოძრაობის დაცემის პერიოდში ვიმყოფებით ჩვენ, ძალთა უბრალო მოკრების პერიოდში, თუ ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობების მომწიფების პერიოდში; მომავალი კლასობრივი ბრძოლებისათვის მუშათა კლასის მომზადების პერიოდში, — ამაზეა დამოკიდებული კომპარტიების ტაქტიკური გეზი. საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის შესწორება, რომელიც შემდეგ კონგრესმა მიიღო, სწორედ იმით არის კარგი, რომ ნათლად მიგვითითებს მეორე პერსპექტივაზე, ახალი რევოლუციური აღმავლობის პირობების მომწიფების პერსპექტივაზე.

მეორე საკითხია სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლის საკითხი. ბუხარინის თეზისებში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლა კომინტერნის სექციების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ ეს არ კმარა. სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლა წარმატებით რომ მიმდინარეობდეს, ამისათვის უნდა გავამახვილოთ ის საკითხი, რომ საჭიროა ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის ეგრეთწოდებულ «მემარცხენე» ფრთასთან, სწორედ იმ «მემარცხენე» ფრთასთან, რომელიც, ოინბაზობს რა «მემარცხენე» ფრაზებით და ამრიგად მოხერხებულად ატყუებს მუშებს, აფერხებს სოციალ-დემოკრატიისაგან მუშათა მასების ჩამოშორების საქმეს. ცხადია, რომ «მემარცხენე» სოციალ-დემოკრატების გაუნადგურებლად შეუძლებელია საერთოდ სოციალ-დემოკრატიის დაძლევა. ბუხარინის თეზისებში კი «მემარცხენე» სოციალ-დემოკრატიის საკითხს სრულიად ავლილი ჰქონდა გვერდი. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ნაკლია. ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციას მოუხდა შეეტანა ბუხარინის თეზისებში სათანადო შესწორება, რომელიც შემდეგ კონგრესმა მიიღო.

მესამე საკითხია კომინტერნის სექციებში შემარიგებლობის საკითხი. ბუხარინის თეზისებში ლაპარაკი იყო მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის აუცილებლობაზე, მაგრამ იქ ერთი სიტყვაც არ აღმოჩნდა მემარჯვენე გადახრასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ნაკლია. საქმე ის არის, რომ,

როცა ომს ვუცხადებთ მემარჯვენე გადახრას, მემარჯვენე უკლონისტები ჩვეულებრივად შემარიგებლების სახეს იღებენ და პარტიას ძნელ მდგომარეობას უქმნიან. მემარჯვენე უკლონისტების ასეთი მანევრი წინასწარ რომ აღვკვეთოთ, საჭიროა დავაყენოთ საკითხი შემარიგებლობასთან გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ. ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციამ საჭიროდ სცნო შეეტანა ბუხარინის თეზისებში სათანადო შესწორება, რომელიც შემდეგ კონგრესმა მიიღო.

მეოთხე საკითხია პარტიული დისციპლინის საკითხი. ბუხარინის თეზისებში მოხსენებული არ ყოფილა, რომ საჭიროა კომპარტიებში რკინისებური დისციპლინის შენარჩუნება. ესეც მცირე მნიშვნელობის ნაკლი როდია. რატომ? იმიტომ, რომ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის გაძლიერების პერიოდში, ოპორტუნისტული ელემენტებისაგან კომპარტიების გაწმენდის ლოზუნგის გატარების პერიოდში, მემარჯვენე უკლონისტები ჩვეულებრივ ირაზმებიან ფრაქციად, ქმნიან თავიანთ საკუთარ ფრაქციულ დისციპლინას, ხოლო პარტიის დისციპლინას არღვევენ და შლიან. პარტია მემარჯვენე უკლონისტების ფრაქციული იერიშებისაგან რომ დავიცვათ, საჭიროა დავაყენოთ საკითხი პარტიის რკინისებური დისციპლინისა და იმის შესახებ, რომ პარტიის წევრები აუცილებლად ემორჩილებოდნენ ამ დისციპლინას. უამისოდ მემარჯვენე გადახრასთან სერიოზულ ბრძოლაზე ფიქრიც არ შეიძლება. ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციამ ბუხარინის თეზისებში შეიტანა სათანადო შესწორება, რომელიც შემდეგ VI კონგრესმა მიიღო.

შეგვეძლო თუ არა ჩვენ არ შეგვეტანა ეს შესწორებანი ბუხარინის თეზისებში? ცხადია, არ შეგვეძლო. ძველად ფილოსოფოს პლატონზე ამბობდნენ: პლატონი გვიყვარს, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო მეტად გვიყვარსო. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა ბუხარინზე: ბუხარინი გვიყვარს, მაგრამ ჭეშმარიტება, პარტია, კომინტერნი უფრო მეტად გვიყვარს. ამიტომ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაცია იძულებული გახდა შეეტანა ეს შესწორებანი ბუხარინის თეზისებში.

ეს არის, ასე ვთქვათ, **პირველი ეტაპი ჩვენი უთანხმოებისა** კომინტერნის საკითხებში.

ჩვენი უთანხმოების მეორე ეტაპი დაკავშირებულია ვიტორფისა და ტელმანის ეგრეთწოდებულ საქმესთან. ვიტორფი ჰამბურგის ორგანიზაციის ყოფილი მდივანია, რომელსაც ბრალი დაედო პარტიული ფულის გაფლანგვაში. ამისათვის იგი გარიცხულ იქნა პარტიიდან. შემარიგებლებმა გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ისარგებლეს იმით, რომ ვიტორფი დაახლოებული იყო ამხ.

ტელმანთან, თუმცა ამხ. ტელმანს ვიტორფის დანაშაულთან საერთო არაფერი ჰქონია, ვიტორფის საქმე ტელმანის საქმედ გადააქციეს და გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობის დამხობას შეუდგნენ. თქვენ ალბათ უკვე იცით პრესაში გამოქვეყნებული ცნობებიდან, რომ მაშინ შემარიგებლებმა ევერტმა და ჰერჰარტმა შესძლეს დროებით მიემხროთ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა ამხ. ტელმანის წინააღმდეგ. რა მოჰყვა ამას? მათ ჩამოაშორეს ტელმანი ხელმძღვანელობას, ბრალი დასდეს მას კორუპციაში და გამოაქვეყნეს «სათანადო» რეზოლუცია კომინტერნის აღმასკომის შეუტყობინებლად და უსანქციოდ.

ამრიგად, შემარიგებლობასთან ბრძოლის შესახებ კომინტერნის VI კონგრესის დირექტივის შესრულების ნაცვლად, მემარჯვენე გადახრასთან და შემარიგებლობასთან ბრძოლის ნაცვლად, სინამდვილეში გამოვიდა ამ დირექტივის ყოვლად უხეში დარღვევა, გამოვიდა ბრძოლა გერმანიის კომპარტიის რევოლუციური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ბრძოლა ამხ. ტელმანის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომლის მიზანსაც შეადგენდა მემარჯვენე გადახრის **დაფარვა** და გერმანიის კომუნისტთა რიგებში შემარიგებლობის **დამკვიდრება**.

და აი, ნაცვლად იმისა, რომ მოებრუნებინა საქე და გამოესწორებინა მდგომარეობა, ნაცვლად იმისა, რომ უფლებებში აღედგინა VI კონგრესის დარღვეული დირექტივა, წესრიგისაკენ მოეწოდებინა შემარიგებლებისათვის, ბუხარინი თავის ცნობილ წერილში წინადადებას იძლევა **სანქცია მივცეთ** შემარიგებლების გადატრიალებას, შემარიგებლებს ჩავუგდოთ ხელში გერმანიის კომპარტია, ხოლო ამხ. ტელმანი ხელახლა გავაბიაბრუოთ პრესაში და ერთხელ კიდევ გამოვაქვეყნოთ განცხადება მისი დამნაშავეობის შესახებ. და ამას ეწოდება კომინტერნის «ხელმძღვანელი»! განა არსებობენ ქვეყნად ასეთი «ხელმძღვანელები»?

ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ბუხარინის წინადადება და უარყო იგი. ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა ბუხარინს. მაგრამ ვინ არის აქ დამნაშავე? VI კონგრესის გადაწყვეტილებანი მიღებულია არა იმისათვის, რომ დავარღვიოთ, არამედ იმისათვის, რომ შევასრულოთ ისინი. თუ VI კონგრესმა დაადგინა გამოეცხადოს ბრძოლა მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებლობას და ხელმძღვანელობა დარჩეს გერმანიის კომპარტიის ძირითად ბირთვს ამხ. ტელმანის მეთაურობით, ხოლო შემარიგებლებს ევერტსა და ჰერჰარტს ამ გადაწყვეტილების დარღვევა მოეხასიათათ, ბუხარინის მოვალეობა ის იყო, რომ წესრიგისაკენ მოეწოდებინა შემარიგებლებისათვის,

და არა ის, რომ მათთვის დაეტოვებინა ხელმძღვანელობა გერმანიის კომპარტიაში. დამნაშავეა ბუხარინი, რომელმაც «დაივიწყა» VI კონგრესის გადაწყვეტილებანი.

ჩვენი უთანხმოების მესამე ეტაპი დაკავშირებულია გერმანიის კომპარტიაში მემარჯვენეების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთან, ბრანდლერისა და ტალჰეიმერის ფრაქციის განადგურებისა და გერმანიის კომპარტიიდან ამ ფრაქციის ლიდერების გარიცხვის საკითხთან. ბუხარინისა და მისი მეგობრების «პოზიცია» ამ კარდინალურ საკითხში იმით გამოიხატებოდა, რომ ისინი მუდამ გაურბოდნენ ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობას. არსებითად გერმანიის კომპარტიის ბედის საკითხი წყდებოდა. ბუხარინი და მისი მეგობრები კი, რომლებმაც ეს იცოდნენ, მაინც მუდამ აფერხებდნენ საქმეს, სისტემატურად არიდებდნენ თავს სათანადო ინსტანციების სხდომებში მონაწილეობას. რისთვის? ალბათ იმისათვის, რომ «წმინდად» დარჩენილიყვნენ კომინტერნის წინაშეც და გერმანიის კომპარტიის მემარჯვენეების წინაშეც. იმისათვის, რომ შემდეგ შესძლებოდათ ეთქვათ: «ეს ჩვენ, ბუხარინელებმა, კი არა, არამედ მათ, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობამ, გაატარეს ბრანდლერისა და ტალჰეიმერის გარიცხვა კომპარტიიდანო». და ამას ეწოდება მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლა!

დასასრულ, **ჩვენი უთანხმოების მეოთხე ეტაპი.** იგი დაკავშირებულია ბუხარინის მოთხოვნასთან ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის წინ გერმანიიდან ნეიმანის გამოწვევის შესახებ და იმის შესახებ, რომ წესრიგისაკენ მოგვეწოდებინა ამხ. ტელმანისათვის, რომელმაც, თითქოს ერთ-ერთ თავის სიტყვაში გააკრიტიკა ბუხარინის მიერ VI კონგრესზე გაკეთებული მოხსენება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებოდით ბუხარინს, ვინაიდან ხელთ არ გვქონდა სრულიად არავითარი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ბუხარინის მოთხოვნას. ბუხარინი დაგვპირდა, რომ წარმოადგენდა დოკუმენტებს ნეიმანისა და ტელმანის წინააღმდეგ. მაგრამ არავითარი დოკუმენტი არ წარმოუდგენია. დოკუმენტების ნაცვლად მან საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის წევრებს დაუგზავნა ემბერ-დროს ცნობილი სიტყვა, წარმოთქმული კომინტერნის აღმასკომის პოლიტიკურ სამდივნოში, სწორედ ის სიტყვა, რომელიც შემდეგ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა შეაფასა როგორც ოპორტუნისტული სიტყვა. უგზავნიდა რა საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის წევრებს ემბერ-დროს სიტყვას და რეკომენდაციას აძლევდა რა მას როგორც მასალას ტელმანის წინააღმდეგ, ბუხარინს სურდა დაემტკიცებინა, რომ მისი მოთხოვნა ნეიმანის გამოწვევისა

და ამხ. ტელმანის წესრიგისაკენ მოწოდების შესახებ სწორი იყო. ნამდვილად კი მან ამით დაამტკიცა, რომ იგი სოლიდარულია ემბერ-დროსადმი, რომლის პოზიციას კომინტერნის აღმასკომი ოპორტუ-ნისტულ პოზიციად თვლის.

აი, ამხანაგებო, მთავარი პუნქტები ჩვენი უთანხმოებისა კომინ-ტერნის საკითხებში.

ბუხარინს ჰგონია, რომ, როცა ჩვენ ვებრძვით მემარჯვენე გა-დახრას და მასთან შემარიგებლობას კომინტერნის სექციებში, ვწმენდთ გერმანიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიებს სოციალ-დემოკრატიული ელემენტებისა და ტრადიციებისაგან, კომპარტიე-ბიდან ვაძევებთ ბრანდლერებსა და ტალჰეიმერებს, ამით ჩვენ «ვშლით» კომინტერნს, «ვლუპავთ» კომინტერნს. ჩვენ კი, პირიქით, ვფიქრობთ, რომ ასეთი პოლიტიკის გატარებით და მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლის სა-კითხის გამახვილებით, ჩვენ განვამტკიცებთ კომინტერნს, ვწმენდთ მას ოპორტუნისტებისაგან, ვახდენთ მისი სექციების ბოლშევიზა-ციას და ვეხმარებით კომპარტიებს მომავალი რევოლუციური ბრძო-ლებისათვის მუშათა კლასის მომზადებაში, ვინაიდან პარტია იმით მტკიცდება, რომ იშორებს სიბილწეს.

თქვენ ხედავთ, რომ ეს აზრთა უბრალო სხვადასხვაობა კი არ არის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის რიგებში, არა-მედ საკმაოდ სერიოზული უთანხმოებაა კომინტერნის პოლიტიკის ძირითად საკითხებში.

IV

უთანხმოებანი საშინაო პოლიტიკის ხაზით

ზემოთ მე ვილაპარაკე კლასობრივ ძვრებზე და კლასობრივ ბრძოლაზე ჩვენს ქვეყანაში. მე ვთქვი, რომ ბუხარინის ჯგუფი სიბრმავით არის დაავადებული და ვერ ხედავს ამ ძვრებს, არ ესმის პარტიის ახალი ამოცანები. მე ვთქვი, რომ ამ ნიადაგზე წარმოიშვა ბუხარინული ოპოზიციის დაბნეულობა, სიძნელეთა შიში, სიძნე-ლეთა წინაშე იარაღის დაყრისათვის მზადყოფნა.

არ შეიძლება ითქვას, რომ ბუხარინელთა ეს შეცდომები ციდან იყოს ჩამოცვენილი. პირიქით, ეს შეცდომები დაკავშირებულია გან-ვითარების იმ ხანასთან, რომელიც უკვე განვლილია და რომელსაც ეწოდება სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდი, როცა მშენებ-ლობა მიმდინარეობდა მშვიდობიანი გზით, ასე ვთქვათ, თვითდინე-ბის წესით, როცა ჯერ კიდევ არ იყო ის კლასობრივი ძვრები,

რომლებიც ახლა არსებობენ, როცა ჯერ კიდევ არ იყო კლასობრივი ბრძოლის ისეთი გამწვავება, როგორსაც ახლა ვხედავთ.

მაგრამ ახლა ჩვენ ვიმყოფებით განვითარების ახალ ხანაში, რომელიც განსხვავდება ძველი პერიოდისაგან, აღდგენის პერიოდისაგან. ახლა ჩვენში მშენებლობის ახალი პერიოდია, სოციალიზმის ბაზაზე მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდი. ეს ახალი პერიოდი იწვევს ახალ კლასობრივ ძვრებს, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. იგი მოითხოვს ბრძოლის ახალ ხერხებს, ჩვენი ძალების გადაჯგუფებას, ყველა ჩვენი ორგანიზაციის გაუმჯობესებასა და განმტკიცებას.

ბუხარინის ჯგუფის უბედურება სწორედ ის არის, რომ იგი წარსულში ცხოვრობს, იგი ვერ ხედავს ამ ახალი პერიოდის დამახასიათებელ თავისებურებებს და არ ესმის ბრძოლის ახალი ხერხების აუცილებლობა. ამით აიხსნება მისი სიბრმავე, დაბნეულობა, პანიკა სიძნელეთა წინაშე.

ა) კლასობრივი ბრძოლის შესახებ

რაში მდგომარეობს ბუხარინის ჯგუფის ამ სიბრმავისა და ამ დაბნეულობის თეორიული საფუძველი?

მე ვფიქრობ, რომ ამ სიბრმავისა და დაბნეულობის თეორიული საფუძველია ბუხარინის არასწორი, არამარქსისტული მიდგომა ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის საკითხისადმი. მხედველობაში მაქვს ბუხარინის არამარქსისტული თეორია სოციალიზმში კულაკობის შეზრდის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის ვითარებაში კლასობრივი ბრძოლის მექანიკის გაუგებლობა.

აქ რამდენჯერმე მოიყვანეს ცნობილი ადგილი ბუხარინის წიგნიდან «გზა სოციალიზმისაკენ» სოციალიზმში კულაკობის შეზრდის შესახებ. მაგრამ ციტატა აქ ისე მოჰყავდათ, რომ ზოგი რამ გამოტოვებული იყო. ნება მიბოძეთ მოვიყვანო იგი მთლიანად. ეს აუცილებელია, ამხანაგებო, იმისათვის, რომ ნათელვყოთ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიისაგან ბუხარინის დაშორების მთელი სიღრმე.

მოისმინეთ:

«ჩვენი კოოპერაციული გლეხური ორგანიზაციების ძირითადი ქსელი შემდგარი იქნება არა კულაკური, არამედ «შრომითი» ტიპის კოოპერაციული უჯრედებისაგან, რომლებიც შეეზრდებიან ჩვენი საერთო-სახელმწიფოებრივი ორგანოების სისტემას და ამრიგად გადაიქცევიან სოციალისტური მეურნეობის ერთიანი ჯაჭვის რგოლებად. მეორე მხრივ, კულაკური კოოპერაციული ბუდეები ბანკებისა და სხვ. საშუალებით ხნორედ ასევე შეეზრდებიან ამავე ხისტემას; მაგრამ ისინი

რამდენადმე უცხო სხეული იქნებიან, მაგალითად, საკონცესიო ხაწარმოების მსგავსად» [1].

ზოგიერთი ამხანაგები, რომლებსაც მოჰყავდათ ეს ადგილი ბუხარინის ბროშურიდან, რატომღაც ტოვებდნენ უკანასკნელ ფრაზას კონცესიონერების შესახებ. როზიტმა, რომელსაც, ეტყობა, სურდა დახმარებოდა ბუხარინს, ისარგებლა ამით და აქ ადგილიდან ყვიროდა, ბუხარინს ამახინჯებენო. ამავე დროს კი მთელი ამ ციტატის დედააზრი მდგომარეობს სწორედ უკანასკნელ ფრაზაში კონცესიონერების შესახებ. ვინაიდან თუ კონცესიონერებს კულაკებთან ათანაბრებთ, ხოლო კულაკები სოციალიზმს შეეზრდებიან, რა გამოდის აქედან? აქედან გამოდის მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ კონცესიონერებიც შეეზრდებიან სოციალიზმს, რომ არა მარტო კულაკები, არამედ კონცესიონერებიც შეეზრდებიან სოციალიზმს. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

აი რა გამოდის აქედან.

როზიტი. ბუხარინს ნათქვამი აქვს — «უცხო სხეული».

სტალინი. ბუხარინს ნათქვამი აქვს არა «უცხო სხეული», არამედ «რამდენადმე უცხო სხეული». მაშასადამე, კულაკები და კონცესიონერები წარმოადგენენ «რამდენადმე» უცხო სხეულს სოციალიზმის სისტემაში. მაგრამ ბუხარინის შეცდომა სწორედ ის არის, რომ კულაკები და კონცესიონერები, წარმოადგენენ რა «რამდენადმე» უცხო სხეულს, მაინც შეეზრდებიან სოციალიზმს.

აი რა აბდაუბდამდე მივყავართ ბუხარინის თეორიას.

ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტები, კულაკები და კონცესიონერები, რომლებიც სოციალიზმს შეეზრდებიან, — აი რა სისულელემდე მივიდა ბუხარინი.

არა, ამხანაგებო, ჩვენ არ გვესაჭიროება ასეთი «სოციალიზმი». იგი ბუხარინისათვის დაგვითმია.

დღემდე ჩვენ, მარქსისტ-ლენინელები, ვფიქრობდით, რომ, ერთი მხრივ, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტებსა და, მეორე მხრივ, მუშათა კლასს შორის ინტერესთა შეურიგებელი წინააღმდეგობა არსებობს. სწორედ ამას ეყრდნობა კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორია. ახლა კი, თანახმად ბუხარინის თეორიისა სოციალიზმში კაპიტალისტების **მშვიდობიანი შეზრდის შესახებ,** ყოველივე ეს თავდაყირა დგება, ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა კლასობრივი ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობა ქრება, ექსპლოატატორები სოციალიზმს შეეზრდებიან.

---

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

როზიტი. ეს სწორი არ არის, პროლეტარიატის დიქტატურა იგულისხმება.

სტალინი. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა კლასობრივი ბრძოლის ყველაზე მწვავე ფორმაა.

როზიტი. საქმეც ეს არის.

სტალინი. ბუხარინის მიხედვით კი გამოდის, რომ კაპიტალისტები შეეზრდებიან სწორედ პროლეტარიატის ამ დიქტატურას. როგორ არ გესმით ეს, როზიტ? მაშ ვის წინააღმდეგ უნდა ვეწეოდეთ ბრძოლას, ვის წინააღმდეგ უნდა ვეწეოდეთ კლასობრივ ბრძოლას უმწვავესი ფორმით, თუ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტები პროლეტარიატის დიქტატურის სისტემას შეეზრდებიან?

პროლეტარიატის დიქტატურა საჭიროა იმისათვის, რომ შეურიგებელ ბრძოლას ვეწეოდეთ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, იმისათვის, რომ დავთრგუნოთ ბურჟუაზია და ძირფესვიანად აღმოვფხვრათ კაპიტალიზმი. მაგრამ თუ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტები, თუ კულაკი და კონცესიონერი სოციალიზმს შეეზრდებიან, საჭიროა თუ არა ამის შემდეგ საერთოდ პროლეტარიატის დიქტატურა, და თუ საჭიროა, რომელი კლასის დასათრგუნავად?

როზიტი. საქმეც ის არის, რომ შეზრდა ბუხარინის მიხედვით გულისხმობს კლასობრივ ბრძოლას.

სტალინი. მე ვხედავ, რომ როზიტს დაუფიცნია სამსახური გაუწიოს ბუხარინს. მაგრამ მას დათვური სამსახური გამოუდის, ვინაიდან, სურს რა გადაარჩინოს ბუხარინი, სინამდვილეში მთლად ღუპავს მას. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, «მტერი იმდენს რას დამაკლებს, რასაც მოყვარე დათვიო». (ს ა ე რ თ ო ხ ა რ ხ ა რ ი).

ორში ერთი: ან კაპიტალისტების კლასსა და მუშათა კლასს შორის, რომელმაც დაიპყრო ძალაუფლება და დაამყარა თავისი დიქტატურა, არსებობს ინტერესთა შეურიგებელი წინააღმდეგობა, ან ინტერესთა ეს წინააღმდეგობა არ არსებობს, და მაშინ რჩება ერთი რამ — გამოვაცხადოთ კლასობრივ ინტერესთა ჰარმონია.

ორში ერთი:

ან კლასთა ბრძოლის მარქსის თეორია, **ან** სოციალიზმში კაპიტალისტების შეზრდის თეორია;

ან კლასობრივ ინტერესთა შეურიგებელი წინააღმდეგობა, **ან** კლასობრივ ინტერესთა ჰარმონიის თეორია.

შეიძლება კიდევ გაიგო ბრენტანოს ან სიდნეი ვების ტიპის «სოციალისტები», რომლებიც ქადაგებენ სოციალიზმის შეზრდას კაპიტალიზმში და კაპიტალიზმისას — სოციალიზმში, ვინაიდან ეს

«სოციალისტები» ნამდვილად ანტისოციალისტები, ბურჟუაზიული ლიბერალები არიან. მაგრამ შეუძლებელია იმ ადამიანის გაგება, რომელსაც სურს იყოს მარქსისტი და ამავე დროს ქადაგებს სოციალიზმში კაპიტალისტების კლასის შეზრდის თეორიას.

ბუხარინმა თავის სიტყვაში სცადა გაემგრებინა სოციალიზმში კულაკობის შეზრდის თეორია ცნობილი ციტატით ლენინის ნაწერებიდან. ამასთან ის ამტკიცებს, რომ ლენინი იმასვე ამბობს, რასაც ბუხარინი.

ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს უხეში და შეუწყნარებელი ცილისწამებაა ლენინის მიმართ.

აი ლენინის ამ ციტატის ტექსტი:

«რა თქმა უნდა, ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში სოციალისტური წყობილება დაფუძნებულია ორი კლასის: მუშებისა და გლეხების თანამშრომლობაზე, რომელში მონაწილეობისთვისაც ახლა განსაზღვრული პირობებით დაშვებული არიან «ნეპმანებიც», ე. ი. ბურჟუაზია» (ტ. XXVII, გვ. 405).

თქვენ ხედავთ, რომ აქ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი სოციალიზმში კაპიტალისტთა კლასის შეზრდაზე. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ჩვენ «დავუშვით» მუშებისა და გლეხების თანამშრომლობაში «განსაზღვრული პირობებით» ნეპმანებიც, ე. ი. ბურჟუაზია.

რას ნიშნავს ეს? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამით ჩვენ დავუშვით სოციალიზმში ნეპმანების შეზრდის შესაძლებლობა? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. ლენინის ციტატის ასე განმარტება მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებსაც სირცხვილი დაუკარგავთ. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბურჟუაზიას ჩვენ ამჟამად არ ვსპობთ, რომ ჩვენ ამჟამად არ ვახდენთ მის კონფისკაციას, არამედ ვუშვებთ მის არსებობას განსაზღვრული პირობებით, ე. ი. იმ პირობებით, რომ იგი უთუოდ ემორჩილებოდეს პროლეტარიატის დიქტატურის კანონებს, რომელთა მიზანია კაპიტალისტების განუხრელი შეზღუდვა და მათი თანდათანობით განდევნა სახალხო-სამეურნეო ცხოვრებიდან.

შეიძლება თუ არა განვახორციელოთ კაპიტალისტების განდევნა და კაპიტალიზმის ფესვების მოსპობა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის გარეშე? არა, არ შეიძლება.

შეიძლება თუ არა კლასების მოსპობა სოციალიზმში კაპიტალისტების შეზრდის თეორიისა და პრაქტიკის პირობებში? არა, არ შეიძლება. ასეთი თეორიითა და პრაქტიკით შეიძლება მხოლოდ ხელის შეწყობა კლასებისათვის და მათი სამუდამოდ განმტკიცება, ვინაიდან იგი, ეს თეორია, ეწინააღმდეგება კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ თეორიას.

ხოლო ლენინიდან მოყვანილი ციტატა მთლიანად და სავსებით ემყარება პროლეტარიატის დიქტატურის ვითარებაში კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ თეორიას.

რა შეიძლება საერთო ჰქონდეს სოციალიზმში კულაკების შეზრდის ბუხარინის თეორიას ლენინის თეორიასთან დიქტატურის, როგორც გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის შესახებ? ცხადია, აქ საერთო არაფერია და არც შეიძლება იყოს.

ბუხარინი ფიქრობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დროს კლასობრივი ბრძოლა უნდა ჩაქრეს და მოისპოს იმისათვის, რომ გამოვიდეს კლასების მოსპობა. ლენინი კი, პირიქით, გვასწავლის, რომ კლასები შეიძლება მოისპოს მხოლოდ შეუპოვარი კლასობრივი ბრძოლის გზით, რაც პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში კიდევ უფრო გააფთრებული ხდება, ვიდრე პროლეტარიატის დიქტატურამდე.

«კლასების მოსპობა, — ამბობს ლენინი, — იმ განხრძლივი, ძნელი, შეუპოვარი კლასობრივი ბრძოლის საქმეა, რომელიც კაპიტალის ძალაუფლების დამხობის შემდეგ, ბურჟუაზიული სახელმწიფოს დანგრევის შემდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ კი არ ქრება (როგორც ფიქრობენ ძველი სოციალიზმისა და ძველი სოციალ-დემოკრატიის უხამსები), არამედ მხოლოდ ფორმებს იცვლის და ბევრი მხრით უფრო გააფთრებული ხდება» (ტ. XXIV, გვ. 315).

აი რას ამბობს ლენინი კლასების მოსპობაზე.

კლასების მოსპობა **პროლეტარიატის გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის გზით**, — ასეთია ლენინის ფორმულა.

კლასების მოსპობა **კლასობრივი ბრძოლის ქრობისა და სოციალიზმში კაპიტალისტების შეზრდის გზით**, — ასეთია ბუხარინის ფორმულა.

რა შეიძლება საერთო იყოს ამ ორ ფორმულას შორის?

ამრიგად, სოციალიზმში კულაკების შეზრდის ბუხარინული თეორია წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური თეორიისაგან დაშორებას. იგი კათედერ-სოციალიზმის თეორიასთან დაახლოებაა.

ამაშია ბუხარინისა და მისი მეგობრების ყველა შეცდომის საფუძველი.

შეიძლება თქვან, არ ღირს სიტყვის გაგრძელება სოციალიზმში კულაკების შეზრდის ბუხარინულ თეორიაზე, ვინაიდან იგი თვითონ მეტყველებს — და არა მარტო მეტყველებს, არამედ გაჰყვირის — ბუხარინის წინააღმდეგო. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო! სანამ ეს თეორია სადღაც იყო მიგდებული, შეიძლებოდა ყურადღება არ მიგვექცია მისთვის: განა ცოტა სისულელე მოიპოვება სხვადასხვა

ამხანაგთა ნაწერებში! ასეც ვიქცეოდით ამ ბოლო დრომდე. მაგრამ უკანასკნელ ხანს ვითარება შეიცვალა. წვრილბურჟუაზიულმა სტიქიამ, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ამოძრავდა, სული შთაბერა ამ ანტიმარქსისტულ თეორიას, აქტუალური ხასიათი მისცა მას. ახლა აღარ შეიძლება ითქვას, რომ იგი მიგდებულია. ახლა მას, ბუხარინის ამ უცნაურ თეორიას, პრეტენზია აქვს გადაიქცეს ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის დროშად, ოპორტუნიზმის დროშად. ამიტომ ჩვენ აღარ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ამ თეორიას. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ დავამსხვრიოთ იგი, როგორც არასწორი და მავნე თეორია, რათა გავუადვილოთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან.

ბ) კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ

ბუხარინის მეორე შეცდომა, რომელიც გამომდინარეობს მისი პირველი შეცდომიდან, ის არის, რომ იგი არასწორად, არამარქსისტულად უდგება კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საკითხს, საბჭოთა ხელისუფლების სოციალისტური პოლიტიკის მიმართ კაპიტალისტური ელემენტების მხრივ წინააღმდეგობის გაძლიერების საკითხს.

რაზეა აქ ლაპარაკი? იმაზე ხომ არა, რომ კაპიტალისტური ელემენტები უფრო სწრაფად იზრდებიან, ვიდრე ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორი, და რომ ამის გამო ისინი აძლიერებენ თავიანთ წინააღმდეგობას, ძირს უთხრიან სოციალისტურ მშენებლობას? არა, ამაზე არა. თანაც მართალი არ არის, თითქოს კაპიტალისტური ელემენტები სოციალისტურ სექტორზე უფრო სწრაფად იზრდებიან. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ სოციალისტური მშენებლობა უკვე დაღუპვის პირას იქნებოდა.

აქ ლაპარაკია იმაზე, რომ სოციალიზმი წარმატებით აწარმოებს შეტევას კაპიტალისტურ ელემენტებზე, სოციალიზმი კაპიტალისტურ ელემენტებზე უფრო სწრაფად იზრდება, ამის გამო კაპიტალისტური ელემენტების ხვედრითი წონა ეცემა, და სწორედ იმიტომ, რომ კაპიტალისტური ელემენტების ხვედრითი წონა ეცემა, კაპიტალისტური ელემენტები გრძნობენ სასიკვდილო საფრთხეს და აძლიერებენ თავიანთ წინააღმდეგობას.

ხოლო თავიანთი წინააღმდეგობის გაძლიერების შესაძლებლობა მათ ჯერ კიდევ აქვთ არა მარტო იმიტომ, რომ მათ მხარს უჭერს მსოფლიო კაპიტალიზმი, არამედ იმიტომაც, რომ, მიუხედავად მათი ხვედრითი წონის დაცემისა, სოციალიზმის ზრდასთან შედარებით მათი შეფარდებითი ზრდის შესუსტებისა, კაპიტალისტური ელემენ-

ტების აბსოლუტური ზრდა მაინც ხდება, და ეს მათ აძლევს ერთგვარ შესაძლებლობას დააგროვონ ძალები იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ სოციალიზმის ზრდას.

სწორედ ამ საფუძველზე წარმოიშობა განვითარების ახლანდელ სტადიაში, ძალთა თანაფარდობის ახლანდელ პირობებში, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობის გაძლიერება.

ბუხარინისა და მისი მეგობრების შეცდომა ის არის, რომ მათ არ ესმით ეს უბრალო და აშკარა ჭეშმარიტება. მათი შეცდომა ის არის, რომ ისინი საქმეს უდგებიან არა მარქსისტულად, არამედ ობივატელურად, ცდილობენ ახსნან კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ყოველნაირი შემთხვევითი მიზეზებით: საბჭოთა აპარატის «უვარგისობით», ადგილობრივი ამხანაგების «წინდაუხედავი» პოლიტიკით, მოქნილობის «უქონლობით», «გადახვევებით» და სხვ. და ა. შ.

ჟი, მაგალითად, ციტატა ბუხარინის ბროშურიდან «გზა სოციალიზმისაკენ», რომელიც ცხადყოფს სრულიად არამარქსისტულ მიდგომას კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საკითხისადმი:

«ხან აქ, ხან იქ კლასობრივი ბრძოლა სოფლად იფეთქებს ხოლმე თავისი წინანდელი სახით, ამასთან ამ გამწვავებას ჩვეულებრივად კულაკური ელემენტები იწვევენ. როცა, მაგალითად, კულაკები ან ის ადამიანები, რომლებიც სხვის ხარჯზე ისქელებენ ჯიბეს და რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებში გამძვრალან, სოფლკორებს ტყვიას ესვრიან, — ეს არის კლასობრივი ბრძოლის გამოვლინება ყველაზე მწვავე ფორმით. (ეს მართალი არ არის, ვინაიდან ბრძოლის ყველაზე მწვავე ფორმა აჯანყებაა. ი. სტალინი). მაგრამ ასეთი შემთხვევები ჩვეულებრივ ხდება იქ, სადაც ადგილობრივი საბჭოთა აპარატი ჯერ კიდევ სუსტია. რაც უფრო გაუმჯობესდება ეს აპარატი, რაც უფრო განმტკიცდება საბჭოთა ხელისუფლების ყველა ძირეული უჯრედი, რაც უფრო გაუმჯობესდება და გაძლიერდება სოფლის ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, აჩგვარი მოვლენები, როგორც ეს სავსებით ცხადია, სულ უფრო იშვიათი გახდება და, ბოლოს, უკვალოდ გაქრება» [1].

ამრიგად, გამოდის, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება აიხსნება აპარატული ხასიათის მიზეზებით, ჩვენი ძირეული ორგანიზაციების ვარგისობით თუ უვარგისობით, სისუსტით თუ ძლიერებით.

გამოდის, მაგალითად, რომ შახტის ბურჟუაზიული ინტელიგენტების მავნებლობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ბურჟუაზიული ელემენტების წინააღმდეგობის ფორმა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფორმაა, აიხსნება არა კლასობრივ

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ძალთა თანაფარდობით, არა სოციალიზმის ზრდით, არამედ ჩვენი აპარატის უვარგისობით.

გამოდის, რომ შახტის რაიონში მასობრივი მავნებლობის დაწყებამდე ჩვენი აპარატი კარგი იყო, ხოლო შემდეგ, მასობრივი მავნებლობის გამოვლინების მომენტში, აპარატი რატომღაც სრულიად უვარგისი გახდა.

გამოდის, რომ შარშანდლამდე, როცა პურის დამზადება თვითდინებით მიდიოდა და კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული გამწვავება ჩვენში არ იყო, ჩვენი ორგანიზაციები ადგილებზე ძალიან კარგი ან იდეალურიც კი იყვნენ, შარშანდლიდან კი, როცა კულაკობის წინააღმდეგობამ განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო, ჩვენი ორგანიზაციები უცბად ცუდი და სრულიად უვარგისი გახდნენ.

ეს ახსნა კი არა, ახსნის აბუჩად აგდებაა, ეს მეცნიერება კი არ არის, არამედ ექიმბაშობაა.

მაშ ნამდვილად რით აიხსნება ეს გამწვავება?

ორი მიზეზით.

ჯერ-ერთი, ჩვენი წინსვლით, ჩვენი შეტევით, მეურნეობის სოციალისტური ფორმების ზრდით მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც, ზრდით, რომელსაც თან სდევს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტთა განსაზღვრული რაზმების სათანადო განდევნა. საქმის ვითარება ისეთია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ლენინის ფორმულის მიხედვით — «ვინ-ვის»: ჩვენ დავცემთ მათ, კაპიტალისტებს, ორივე ბეჭით და გავუმართავთ მათ, როგორც ლენინი ამბობდა, უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლას, თუ ისინი დაგვცემენ ჩვენ ორივე ბეჭით.

მეორეც, იმით, რომ კაპიტალისტურ ელემენტებს არ სურთ ნებაყოფლობით დატოვონ ასპარეზი: ისინი წინააღმდეგობას უწევენ და კვლავაც გაუწევენ წინააღმდეგობას სოციალიზმს, ვინაიდან ხედავენ, რომ დგება მათი არსებობის უკანასკნელი დღეები. ხოლო წინააღმდეგობის გაწევა მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ, ვინაიდან, მიუხედავად მათი ხვედრითი წონის დაცემისა, აბსოლუტურად ისინი მაინც იზრდებიან: წვრილი ბურჟუაზია, ქალაქისა და სოფლისა, ყოველდღიურად, ყოველსაათობით, როგორც ლენინი ამბობდა, გამოყოფს თავისი წრიდან დიდ და პატარა კაპიტალისტებს, და ისინი, ეს კაპიტალისტური ელემენტები, ყოველ ზომას მიმართავენ, რომ შეინარჩუნონ არსებობა.

ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მომაკვდავ კლასებს ნებაყოფლობით დაეტოვებინოთ ასპარეზი. ისტორიაში

ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მომაკვდავ ბურჟუაზიას არ ესინჯოს თავისი ძალების ყველა ნაშთი თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. კარგი იქნება ჩვენი ძირეული საბჭოთა აპარატი თუ ცუდი, ჩვენი წინსვლა, ჩვენი შეტევა გამოიწვევს კაპიტალისტური ელემენტების შემცირებას და მათს განდევნას, ხოლო ისინი, მომაკვდავი კლასები, წინააღმდეგობას გაგვიწევენ, ყოველივეს მიუხედავად.

აი რა არის ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საფუძველი.

ბუხარინისა და მისი მეგობრების შეცდომა ის არის, რომ ისინი კაპიტალისტების წინააღმდეგობის ზრდას მათი ხვედრითი წონის ზრდასთან აიგივებენ. მაგრამ ამ გაიგივებას არავითარი ნიადაგი არ მოეპოვება. ნიადაგი არ მოეპოვება, ვინაიდან თუ ისინი, კაპიტალისტები, წინააღმდეგობას გვიწევენ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისინი ჩვენზე ძლიერნი გახდნენ. საქმე სწორედ პირიქით არის. დრომოჭმული კლასები წინააღმდეგობას გვიწევენ არა იმიტომ, რომ ისინი ჩვენზე ძლიერნი გახდნენ, არამედ იმიტომ, რომ სოციალიზმი მათზე უფრო სწრაფად იზრდება და ისინი ჩვენზე უფრო სუსტნი ხდებიან. და სწორედ იმიტომ, რომ ისინი უფრო სუსტნი ხდებიან, ისინი გრძნობენ თავიანთი არსებობის უკანასკნელ დღეებს და იძულებული არიან მთელი ძალღონით, ყველა საშუალებით გაგვიწიონ წინააღმდეგობა.

აი რაშია კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და კაპიტალისტთა წინააღმდეგობის მექანიკა ახლანდელ ისტორიულ მომენტში.

რაში უნდა მდგომარეობდეს პარტიის პოლიტიკა საქმის ასეთი ვითარების გამო?

იგი უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ ვაღვიძებდეთ მუშათა კლასს და სოფლის ექსპლოატირებულ მასებს, ვაძლიერებდეთ მათს ბრძოლისუნარიანობას და ვავითარებდეთ მათს მობილიზაციურ მზადყოფნას ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, წინააღმდეგობის გამწევი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

კლასთა ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური თეორია, სხვათა შორის, სწორედ იმით არის კარგი, რომ იგი აადვილებს მუშათა კლასის მობილიზაციას პროლეტარიატის დიქტატურის მტრების წინააღმდეგ.

რაში მდგომარეობს მავნებლობა ბუხარინის თეორიისა სოციალიზმში კაპიტალისტთა შეზრდის შესახებ და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საკითხის ბუხარინული გაგებისა?

იმაში, რომ იგი აძინებს მუშათა კლასს, ძირს უთხრის ჩვენი ქვეყნის რევოლუციური ძალების მობილიზაციურ მზადყოფნას, ახდენს მუშათა კლასის დემობილიზაციას და აადვილებს კაპიტალისტური ელემენტების შეტევას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ბ) გლეხობის შესახებ

ბუხარინის მესამე შეცდომა გლეხობის საკითხს ეხება. ცნობილია, რომ ჩვენში გლეხობის საკითხი ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ჩვენს პირობებში გლეხობა შესდგება სხვადასხვა სოციალური დაჯგუფებებისაგან, სახელდობრ: ღარიბი გლეხობისა, საშუალო გლეხობისა და კულაკებისაგან. გასაგებია, რომ ჩვენი დამოკიდებულება ამ დაჯგუფებებისადმი არ შეიძლება ერთნაირი იყოს. ღარიბი გლეხობა როგორც მუშათა კლასის **დასაყრდენი**, საშუალო გლეხი როგორც **მოკავშირე** და კულაკი როგორც **კლასობრივი მტერი**, — ასეთია ჩვენი დამოკიდებულება ამ სოციალური დაჯგუფებებისადმი. ყოველივე ეს გასაგებია და საყოველთაოდ ცნობილია.

მაგრამ ბუხარინი ამ საქმეს რამდენადმე სხვანაირად უყურებს. გლეხობის დახასიათებისას მას ეკარგება გლეხობის დიფერენციაციის ფაქტი, სადღაც ქრება სოციალურ დაჯგუფებათა არსებობა და რჩება მხოლოდ უფერული ლაქა, რომელსაც სოფელი ეწოდება. ბუხარინისათვის არც კულაკია კულაკი, არც საშუალო გლეხია საშუალო გლეხი, არამედ არის რაღაც საყოველთაო სიღატაკე სოფლად. სწორედ ასე ამბობდა იგი აქ თავის სიტყვაში: განა ჩვენს კულაკს კულაკი შეიძლება ეწოდოს? ის ხომ ღატაკიაო, — ამბობდა იგი. ხოლო ჩვენი საშუალო გლეხი — განა ის საშუალო გლეხსა ჰგავს? — აცხადებდა აქ ბუხარინი. — ის ხომ ღატაკია, ნახევრადმშიერიო. გასაგებია, რომ ასეთი შეხედულება გლეხობაზე ძირფესვიანად მცდარი, ლენინიზმთან შეუთავსებელი შეხედულებაა.

ლენინი ამბობდა, რომ ინდივიდუალური გლეხობა **უკანასკნელი კაპიტალისტური კლასია**. სწორია თუ არა ეს დებულება? დიახ, უთუოდ სწორია. რატომ არის ინდივიდუალური გლეხობა მიჩნეული უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასად? იმიტომ, რომ ორი ძირითადი კლასიდან, რომლებისგანაც ჩვენი საზოგადოება შესდგება, გლეხობა ის კლასია, რომლის მეურნეობაც ეყრდნობა კერძო საკუთრებას და წვრილ სასაქონლო წარმოებას. იმიტომ, რომ გლეხობა, სანამ იგი რჩება ინდივიდუალურ გლეხობად, რომელიც წვრილ-სასაქონლო წარმოებას ეწევა, მუდამ და განუწყვეტლივ გა-

მოყოფს და არც შეიძლება არ გამოყოფდეს თავისი წრიდან კაპიტალისტებს.

ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის პრობლემისადმი ჩვენი მარქსისტული დამოკიდებულების საკითხში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვესაჭიროება არა **ყოველგვარი** კავშირი გლეხობასთან, არამედ მხოლოდ **ისეთი კავშირი**, რომელიც ეყრდნობა ბრძოლას გლეხობის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

როგორც ხედავთ, ლენინის თეზისი გლეხობის, როგორც უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის, შესახებ არა თუ არ ეწინააღმდეგება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეას, არამედ, პირიქით, საფუძველს აძლევს ამ კავშირს, როგორც მუშათა კლასისა და გლეხობის უმრავლესობის კავშირს, რომელიც მიმართულია საერთოდ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, კერძოდ სოფლად გლეხობის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

ლენინმა ეს თეზისი წამოაყენა იმის ნათელსაყოფად, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი შეიძლება მტკიცე იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ეყრდნობა ბრძოლას სწორედ იმ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, რომლებსაც გლეხობა გამოყოფს.

ბუხარინის შეცდომა ის არის, რომ მისთვის გაუგებარი და მიუღებელია ეს უბრალო რამ, მას ავიწყდება სოფლად სოციალურ დაჯგუფებათა არსებობა, მისი მხედველობის არეში ქრებიან კულაკები და ღარიბი გლეხობა და რჩება მხოლოდ საშუალო გლეხობის მთლიანი მასა.

ეს გარემოება წარმოადგენს ბუხარინის უეჭველ გადახრას მარჯვნივ, წინააღმდეგ «მემარცხენე», ტროცკისტული გადახრისა, რომელიც სოფლად, ღარიბი გლეხობისა და კულაკების გარდა, სხვა სოციალურ დაჯგუფებებს ვერ ხედავს და რომლის მხედველობის არეშიც ქრებიან საშუალო გლეხები.

რაშია განსხვავება ტროცკიზმსა და ბუხარინის ჯგუფს შორის გლეხობასთან კავშირის საკითხში? იმაში, რომ ტროცკიზმი გლეხობის საშუალო მასებთან **მტკიცე** კავშირის პოლიტიკის **წინააღმდეგია**, ხოლო ბუხარინის ჯგუფი **მხარს უჭერს ყოველგვარ** კავშირს გლეხობასთან საერთოდ. მტკიცება აღარ ესაჭიროება იმას, რომ ორივე ეს გეზი არასწორია და ერთი მეორეს არ ჩამოუვარდება.

ლენინიზმი უთუოდ მხარს უჭერს მტკიცე კავშირს გლეხობის ძირითად მასებთან, კავშირს საშუალო გლეხებთან, მაგრამ არა ყოველგვარ კავშირს, არამედ ისეთ კავშირს საშუალო გლეხებთან,

რომელიც უზრუნველყოფს მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს, განამტკიცებს პროლეტარიატის დიქტატურას და აადვილებს კლასების მოსპობის საქმეს.

«მუშათა კლასსა და გლეხობას შორის შეთანხმებად — ამბობს ლენინი, — შეიძლება ვიგულისხმოთ ყველაფერი რაც გნებავთ. თუ მხედველობაში არ ვიქონიეთ, რომ შეთანხმება, მუშათა კლასის თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, სწორი და პრინციპულად შესაძლებელი, როცა იგი ხელს უწყობს მუშათა კლასის დიქტატურას და წარმოადგენს კლასების მოსპობისაკენ მიმართულ ერთ-ერთ ზომას, მაშინ გლეხობასთან მუშათა კლასის შეთანხმების ფორმულა, რა თქმა უნდა, რჩება ფორმულად, რომელსაც თავის შეხედულებებში ატარებს საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტერი და დიქტატურის ყველა მტერი» (ტ. XXVI, გვ. 387).

და შემდეგ:

«ახლა, — ამბობს ლენინი, — პროლეტარიატს ხელთ უპყრია ძალაუფლება და ხელმძღვანელობს მას. იგი ხელმძღვანელობს გლეხობას. რას ნიშნავს გლეხობისადმი ხელმძღვანელობა? ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, იმას, რომ აღებული გვქონდეს გეზი კლასების მოსპობისაკენ, და არა წვრილი მწარმოებლის შენარჩუნებისაკენ. ჩვენ რომ ავმცდარიყავით ამ ხაზს, მთავარ და ძირითად ხაზს, მაშინ სოციალისტები აღარ ვიქნებოდით და მოვხვდებოდით იმ წვრილი ბურჟუების ბანაკში, ესერებისა და მენშევიკების ბანაკში, რომლებიც ამჟამად პროლეტარიატის უბოროტესი მტრები არიან» (იქვე, გვ. 399 — 400).

აი იგი, ლენინის თვალსაზრისი გლეხობის ძირითად მასებთან კავშირის, საშუალო გლეხებთან კავშირის შესახებ.

ბუხარინის ჯგუფის შეცდომა საშუალო გლეხის საკითხში ის არის, რომ იგი ვერ ხედავს საშუალო გლეხის ორმაგ ბუნებას, ორმაგ მდგომარეობას მუშათა კლასსა და კაპიტალისტებს შორის. «საშუალო გლეხი მერყევი კლასია», ამბობდა ლენინი. რატომ? იმიტომ, რომ საშუალო გლეხი, ერთი მხრივ, მშრომელია, რაც მას აახლოებს მუშათა კლასთან, ხოლო მეორე მხრივ — მესაკუთრეა, რაც მას აახლოებს კულაკთან. აქედან წარმოსდგება საშუალო გლეხის მერყეობა. და ეს სწორია არა მარტო თეორიულად. ეს მერყეობა მეღავნდება აგრეთვე პრაქტიკაში ყოველდღიურად, ყოველსაათობით.

«გლეხი, — ამბობს ლენინი, — როგორც მშრომელი, მიიწევს სოციალიზმისაკენ, უპირატესობას აძლევს მუშების დიქტატურას ბურჟუაზიის დიქტატურის წინაშე. გლეხი, როგორც პურის გამყიდველი, მიიწევს ბურჟუაზიისაკენ, თავისუფალი ვაჭრობისაკენ, ე. ი. უკან, «შეჩვეული», ძველი, «საუკუნეობრივი» კაპიტალიზმისაკენ» (ტ. XXIV, გვ. 314).

ამიტომ საშუალო გლეხთან კავშირი შეიძლება მტკიცე იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიმართულია კაპიტალისტური ელე-

მენტების წინააღმდეგ, საერთოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ, თუ იგი უზრუნველყოფს მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს ამ კავშირში, თუ იგი ადევილებს კლასების მოსპობის საქმეს.

ბუხარინის ჯგუფს ავიწყდება ეს უბრალო და გასაგები რამ.

დ) ნეპისა და საბაზრო ურთიერთობის შესახებ

ბუხარინის მეოთხე შეცდომა ნეპის (ახალი ეკონომიური პოლიტიკის) საკითხს ეხება. ბუხარინის შეცდომა აქ ის არის, რომ იგი ვერ ხედავს ნეპის ორმხრივობას, იგი ხედავს ნეპის მხოლოდ ერთ მხარეს. როცა ჩვენ 1921 წელს ნეპი შემოვიღეთ, მაშინ მის მახვილს მივმართავდით სამხედრო კომუნიზმის წინააღმდეგ, ისეთი რეჟიმისა და წესების წინააღმდეგ, რომლებიც გამორიცხავენ კერძო ვაჭრობის რაიმე თავისუფლებას. ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ნეპი ნიშნავს კერძო ვაჭრობის ერთგვარ თავისუფლებას. ბუხარინს საქმის ეს მხარე დაუხსომებია. და ეს ძალიან კარგია.

მაგრამ ბუხარინი ცდება, როცა ფიქრობს, რომ ნეპი საქმის ამ მხარით ამოიწურება. ბუხარინს ავიწყდება, რომ ნეპს მეორე მხარეც აქვს. საქმე ის არის, რომ ნეპი სრულიადაც არ ნიშნავს კერძო ვაჭრობის სრულ თავისუფლებას, ბაზარზე ფასების თავისუფალ თამაშს. ნეპი არის კერძო ვაჭრობის თავისუფლება განსაზღვრულ ფარგლებში, განსაზღვრულ ჩარჩოებში, როცა უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლი ბაზარზე. სწორედ ამაში მდგომარეობს ნეპის მეორე მხარე. ამასთან ნეპის ეს მხარე უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე მისი პირველი მხარე. ჩვენში ბაზარზე არ არის ფასების თავისუფალი თამაში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩვენ ძირითადად განვსაზღვრავთ პურის ფასებს. ჩვენ განვსაზღვრავთ სამრეწველო საქონლის ფასებს. ჩვენ ვცდილობთ ვახორციელებდეთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და სამრეწველო საქონლის ფასების შემცირების პოლიტიკას, ვისწრაფით შევინარჩუნოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების სტაბილურობა. განა ცხადი არ არის, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბაზარზე ასეთი განსაკუთრებული და სპეციფიკური წესები არ არსებობს.

აქედან გამომდინარეობს, რომ, სანამ არსებობს ნეპი, შენარჩუნებულ უნდა იქნას მისი ორივე მხარე: პირველი მხარეც, რომელიც მიმართულია სამხედრო კომუნიზმის რეჟიმის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს კერძო ვაჭრობის ერთგვარი თავისუფლების უზრუნველყოფას, და მეორე მხარეც, რომელიც მიმართულია კერძო ვაჭრობის სრული თავისუფლების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ბა-

ზარზე სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის უზრუნველყოფას. მოსპეთ ერთ-ერთი რომელიმე ეს მხარე, — და ახალი ეკონომიური პოლიტიკა აღარ გექნებათ.

ბუხარინი ფიქრობს, რომ ნეპს საფრთხე შეიძლება მოელოდეს მხოლოდ «მარცხნიდან», იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც სურთ მოსპონ ვაჭრობის ყოველგვარი თავისუფლება. ეს არ არის მართალი. ეს ყოვლად უხეში შეცდომაა. ესეც არ იყოს, ასეთი საფრთხე ახლა ყველაზე ნაკლებად რეალურია, ვინაიდან ჩვენს ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანიზაციებში ახლა არა გვყავს, ან თითქმის არა გვყავს ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ ესმოდეთ ვაჭრობის ერთგვარი თავისუფლების შენარჩუნების მთელი აუცილებლობა და მიზანშეწონილობა.

გაცილებით უფრო რეალურია საფრთხე მარჯვნიდან, საფრთხე იმ ადამიანთა მხრივ, რომელთაც სურთ მოსპონ ბაზარზე სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლი, სურთ «გაათავისუფლონ» ბაზარი და ამრიგად დასაბამი მისცენ კერძო ვაჭრობის სრული თავისუფლების ერას. სავსებით უეჭველია, რომ ეს საფრთხე — მარჯვნიდან ნეპის ჩაშლის საფრთხე ახლა გაცილებით უფრო რეალურია.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ წვრილბურჟუაზიული სტიქია მუშაობს სწორედ ამ მიმართულებით, — ნეპის მარჯვნიდან ჩაშლის მიმართულებით. უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ კულაკებისა და შეძლებული ელემენტების მოთქმა, სპეკულანტებისა და შემსყიდველების მოთქმა, რომელიც ხშირად გავლენას ახდენს ბევრ ჩვენს ამხანაგზე, თავს ესხმის ნეპს სწორედ ამ მხრიდან. ის ფაქტი, რომ ბუხარინი ვერ ხედავს ნეპის ჩაშლის ამ მეორე, ნამდვილად რეალურ, საფრთხეს, — ეს ფაქტი უეჭველად მოწმობს, რომ იგი წვრილბურჟუაზიული სტიქიის გავლენაში მოექცა.

ბუხარინი წინადადებას იძლევა მოვახდინოთ ბაზრის «ნორმალიზაცია» და ვაწარმოოთ «მანევრირება» პურის დამზადების ფასებით რაიონებში, ე. ი. გავადიდოთ პურის ფასები. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ აკმაყოფილებს ბაზრის საბჭოთა პირობები, მას სურს თანდათანობით შეასუსტოს სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლი ბაზარზე და წინადადებას იძლევა — წავიდეთ დათმობებზე წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინაშე, რომელიც მარჯვნიდან ფუშავს ნეპს.

დავუშვათ ერთ წუთს, რომ ჩვენ დავიჯერეთ ბუხარინის რჩევა. რა გამოვა აქედან? ჩვენ ვადიდებთ პურის ფასებს, ვთქვათ, შემოდგომაზე, დამზადების პერიოდის დასაწყისში. მაგრამ ვინაიდან ბაზარზე ყოველთვის არიან ისეთი ადამიანები, ყოველგვარი სპეკუ-

ლანტები და შემსყიდველები, რომლებსაც შეუძლიათ ერთისამად მეტი მისცენ პურში, და ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია გამოვედევნოთ სპეკულანტებს, რადგან ისინი ყიდულობენ რაღაც ათეულ მილიონ ფუთს, ჩვენ კი ასეულმილიონობით ფუთი უნდა ვიყიდოთ, პურის მფლობელები სულ ერთია შემოინახავენ პურს ფასების შემდგომი გადიდების მოლოდინში. მაშასადამე, ჩვენ მოგვიხდება პურის ფასის კვლავ მომატება გაზაფხულზე, როცა უმთავრესად იჩენს თავს პურის ძირითადი საჭიროება სახელმწიფოსათვის. მაგრამ რას ნიშნავს პურის ფასის გადიდება გაზაფხულზე? ეს ნიშნავს ყელის გამოჭრას ღარიბი გლეხობისა და სოფლის ხელმოკლე ფენებისათვის, რომლებიც თვითონ იძულებული არიან იყიდონ გაზაფხულზე დანაკლისი პური, ნაწილობრივ სათესლედ, ნაწილობრივ მოხმარებისათვის, სწორედ ის პური, რომელიც მათ შემოდგომაზე უფრო იაფად გაყიდეს. შევძლებთ თუ არა ჩვენ რაიმე სერიოზულს მივაღწიოთ ამ ოპერაციების შედეგად იმ მხრივ, რომ საკმაო რაოდენობით მივიღოთ პური? ყველაზე მოსალოდნელია, რომ ვერ შეეძლებთ, ვინაიდან ყოველთვის მოინახებიან სპეკულანტები და შემსყიდველები, რომლებიც შესძლებენ კვლავ ერთიორად და ერთისამად მეტი მისცენ ამავე პურში. მაშასადამე, ჩვენ, სპეკულანტებისა და შემსყიდველების გასწრების ამაო ცდაში, მზად უნდა ვიყოთ კვლავ გავადიდოთ პურის ფასები.

მაგრამ აქედან გამოდის, რომ, რაკი ერთხელ დავადექით პურის ფასების გადიდების გზას, შემდეგშიც უნდა დავეშვათ დაბლა, თუმცა მაინც არ გვექნება პურის საკმაო რაოდენობით მიღების გარანტია.

მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდება:

ჯერ-ერთი, რაკი პურის **დამზადების** ფასებს გავადიდებთ, ჩვენ შემდეგ უნდა გავადიდოთ სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული ნედლეულის ფასებიც, რათა დავიცვათ ერთგვარი პროპორცია სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებში.

მეორეც, პურის დამზადების ფასებს რომ ავწევთ, ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ პურის დაბალ საცალო ფასს ქალაქებში, — მაშასადამე, იძულებული ვიქნებით გავადიდოთ პურის **გასაყიდი** ფასებიც. ხოლო ვინაიდან ჩვენ არ შეგვიძლია ვაწყენინოთ და არც უნდა ვაწყენინოთ მუშებს, — აჩქარებული ტემპით უნდა გავადიდოთ ხელფასი. მაგრამ ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს სამრეწველო საქონლის ფასების აწევაც, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს სახსრების გადაქაჩვა ქალაქიდან სოფელში, წინააღმდეგ ინდუსტრიალიზაციის ინტერესებისა.

შედეგად ჩვენ იძულებული ვიქნებით გავუთანასწოროთ ერთმანეთს სამრეწველო საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები არა კლებადი ან ყოველ შემთხვევაში სტაბილიზებული ფასების ბაზაზე, არამედ როგორც პურის, ისე სამრეწველო საქონლის მზარდი ფასების ბაზაზე.

სხვანაირად რომ ვთქვათ, იძულებული ვიქნებით კურსი ავიღოთ სამრეწველო საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაძვირებაზე.

ძნელი გასაგები არ არის, რომ ფასებით ასეთმა «მანევრირებამ» არ შეიძლება არ გამოიწვიოს ფასების საბჭოთა პოლიტიკის სრული ლიკვიდაცია, ბაზარზე სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის ლიკვიდაცია და წვრილბურჟუაზიული სტიქიის სრული აშვება.

ვისთვის იქნება ეს ხელსაყრელი?

მხოლოდ ქალაქისა და სოფლის შეძლებული ფენებისათვის, ვინაიდან ძვირი სამრეწველო საქონელი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები არ შეიძლება მიუწვდომელი არ გახდეს როგორც მუშათა კლასისათვის, ისე ღარიბი გლეხობისა და სოფლის ხელმოკლე ფენებისათვის. მოიგებენ კულაკები და მდიდრები, ნეპმანები და სხვა შეძლებული კლასები.

ესეც კავშირი იქნება, მაგრამ კავშირი თავისებური — კავშირი სოფლისა და ქალაქის შეძლებულ ფენებთან. მუშებსა და სოფლის ხელმოკლე ფენებს სრული უფლება ექნებათ გვკითხონ: ვისი ხელისუფლება ვართ ჩვენ, მუშურ-გლეხური თუ კულაკურ-ნეპმანური?

გათიშვა მუშათა კლასთან და სოფლის ხელმოკლე ფენებთან, კავშირი სოფლისა და ქალაქის მდიდარ ფენებთან — აი სადამდე უნდა მიგვიყვანოს ბაზრის ბუხარინულმა «ნორმალიზაციამ» და რაიონებში პურის ფასებით «მანევრირებამ».

ცხადია, რომ პარტია ვერ დაადგება ამ დამღუპველ გზას.

თუ რამდენად აერია ბუხარინს ყველა ეს ცნება ნეპის შესახებ და რა მაგრად მოექცა იგი ბურჟუაზიული სტიქიის ტყვეობაში, — ეს ჩანს, სხვათა შორის, იმ უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულებიდან, რომელსაც იჩენს იგი ქალაქსა და სოფელს შორის, სახელმწიფოსა და გლეხობას შორის საქონელბრუნვის ახალი ფორმების საკითხისადმი. იგი აღშფოთებულია და გაჰყვირის იმის წინააღმდეგ, რომ სახელმწიფო გადაიქცა გლეხობისათვის საქონლის მიმწოდებლად, ხოლო გლეხობა სახელმწიფოსათვის პურის მიმწოდებელი ხდება. მას მიაჩნია ეს ნეპის ყველა წესის დარღვევად, ნეპის თითქმის ჩაშლად. საკითხავია, რატომ, რა საფუძვლით?

რა შეიძლება ცუდი იყოს იმაში, რომ სახელმწიფო, სახელმწიფო მრეწველობა გლეხობისათვის საქონლის მიმწოდებელია, უშუალავლოდ, ხოლო გლეხობა — მრეწველობისათვის, სახელმწიფოსათვის პურის მიმწოდებელია აგრეთვე უშუალავლოდ?

რა შეიძლება ცუდი იყოს მარქსიზმისა და მარქსისტული პოლიტიკის თვალსაზრისით იმაში, რომ გლეხობა უკვე გადაიქცა სახელმწიფო მრეწველობის საჭიროებისათვის ბამბის, ჭარხლის, სელის მიმწოდებლად, ხოლო სახელმწიფო მრეწველობა — სოფლის მეურნეობის ამ დარგებისათვის ქალაქის საქონლის, თესლისა და წარმოების იარაღების მიმწოდებლად?

კონტრაქტაციის მეთოდი აქ წარმოადგენს ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის ამ ახალი ფორმების დადგენის ძირითად მეთოდს. მაგრამ კონტრაქტაციის მეთოდი განა ეწინააღმდეგება ნეპის მოთხოვნებს?

რა შეიძლება ცუდი იყოს იმაში, რომ გლეხობა კონტრაქტაციის იმავე მეთოდის მეოხებით სახელმწიფოსათვის პურის მიმწოდებელიც ხდება, და არა მარტო ბამბისა, ჭარხლისა, სელისა?

რატომ შეიძლება წვრილი პარტიობით ვაჭრობას, წვრილ ვაჭრობას ეწოდებოდეს საქონელბრუნვა, ხოლო მსხვილი პარტიობით ვაჭრობა საქონლის ფასებისა და ხარისხის შესახებ წინასწარ შედგენილი ხელშეკრულებებით (კონტრაქტაცია) არ შეიძლება ჩაითვალოს საქონელბრუნვად?

განა ძნელი გასაგებია, რომ ქალაქსა და სოფელს შორის კონტრაქტაციის მეთოდით საქონელბრუნვის ეს ახალი მასობრივი ფორმები წარმოიშვა სწორედ ნეპის საფუძველზე, რომ ეს ფორმები წარმოადგენენ ჩვენი ორგანიზაციების მიერ წინ გადადგმულ უდიდეს ნაბიჯს სახალხო მეურნეობის გეგმიანი, სოციალისტური ხელმძღვანელობის გაძლიერების აზრით?

ბუხარინმა დაკარგა ასეთი უბრალო და გასაგები ამბების გაგების უნარი.

ი) ეგრეთწოდებული «ხარკის» შესახებ

ბუხარინის მეხუთე შეცდომა (მე ვლაპარაკობ მის მთავარ შეცდომებზე) ის არის, რომ იგი ოპორტუნისტულად ამახინჯებს პარტიულ ხაზს ქალაქსა და სოფელს შორის «მაკრატლის» საკითხში, ეგრეთწოდებული «ხარკის» საკითხში.

რაზეა ლაპარაკი პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომის (1929 წლის თებერვალი) ცნობილ რეზოლუციაში «მაკრატლის» საკითხზე? იქ

ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვეულებრივი — პირდაპირი და არაპირდა-პირი —გადასახადების გარდა, რომლებსაც გლეხობა სახელმწიფოს უხდის, იგი იძლევა კიდევ ერთგვარ ზეგადასახადს სამრეწველო საქონელში ზედმეტის გადახდისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების ხაზით ნაკლების მიღების სახით.

მართალია თუ არა, რომ ეს ზეგადასახადი, რასაც გლეხობა იხდის, ნამდვილად არსებობს? დიახ, მართალია. რა ეწოდება მას ჩვენში სხვანაირად? მას ჩვენში ეწოდება აგრეთვე «მაკრატელი», სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში სახსრების «გადაქაჩვა» ჩვენი ინდუსტრიის სწრაფი განვითარების მიზნით.

საჭიროა თუ არა იგი, ეს «გადაქაჩვა»? ჩვენს შორის უთანხმოება არ არის იმის შესახებ, რომ ეს «გადაქაჩვა», როგორც დროებითი ღონისძიება, საჭიროა, თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს შევინარჩუნოთ მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპი. ხოლო ინდუსტრიის სწრაფი ზრდა ჩვენ აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ, ვინაიდან იგი საჭიროა არა მარტო თვით მრეწველობისათვის, არამედ უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობისათვის, გლეხობისათვის, რომელსაც ყველაზე მეტად ესაჭიროება ახლა ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სასუქები.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ახლა მოვსპოთ ეს ზეგადასახადი? სამწუხაროდ, არ შეგვიძლია. ჩვენ უნდა მოვსპოთ იგი პირველი შესაძლებლობისთანავე, უახლოეს წლებში. მაგრამ ახლა მისი მოსპობა არ შეგვიძლია.

და აი, სწორედ ეს ზეგადასახადი, რომელსაც «მაკრატლის» შედეგად ვიღებთ, შეადგენს «რაღაც ხარკის მსგავსს». არა ხარკს, არამედ «რაღაც ხარკის მსგავსს». ეს არის ჩვენი ჩამორჩენილობისათვის «ხარკის მსგავსი რაღაც». ეს ზეგადასახადი საჭიროა იმისათვის, რომ წინ წავწიოთ ინდუსტრიის განვითარება და ბოლო მოვუღოთ ჩვენს ჩამორჩენილობას.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ამ დამატებითი გადასახადის აღებით ჩვენ გლეხობის ექსპლოატაციას ვეწევით? არა, არ ნიშნავს. საბჭოთა ხელისუფლების ბუნება ვერ დაუშვებს გლეხობის რაიმე ექსპლოატაციას სახელმწიფოს მხრივ. ჩვენი ამხანაგების სიტყვებში ივლისის პლენუმზე პირდაპირ ნათქვამია, რომ საბჭოთა წესწყობილების პირობებში გლეხობის ექსპლოატაცია გამორიცხულია სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ, ვინაიდან მშრომელი გლეხობის კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდა საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონია, ეს კი გლეხობის ექსპლოატაციის ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს.

ასატანია თუ არა ეს დამატებითი გადასახადი გლეხობისათვის? დიახ, ასატანია. რატომ?

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ამ დამატებითი გადასახადის აღება გლეხობის მატერიალური მდგომარეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების პირობებში ხდება.

მეორეც, იმიტომ, რომ გლეხს აქვს თავისი პირადი მეურნეობა, რომლის შემოსავალიც შესაძლებლობას აძლევს მას გადაიხადოს დამატებითი გადასახადი, რაც არ შეიძლება ითქვას მუშაზე, რომელსაც პირადი მეურნეობა არა აქვს და რომელიც, მიუხედავად ამისა, მთელ თავის ძალღონეს ახმარს ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

მესამეც, იმიტომ, რომ დამატებითი გადასახადის ზომა წლითიწლობით მცირდება.

სწორად ვიქცევით თუ არა, ამ დამატებითს გადასახადს «რაღაც ხარკის მსგავსს» რომ ვუწოდებთ? უთუოდ, სწორად ვიქცევით. ამ სიტყვებით ჩვენს ამხანაგებს შთავაგონებთ, რომ დამატებითი გადასახადი ოდიოზურია, არასასურველია და დიდი ხნის ვადით მისი დატოვება შეუწყნარებელია. გლეხობის დამატებითს გადასახადს ასე რომ ვუწოდებთ, ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ვიღებთ მას არა სურვილით, არამედ საჭიროების გამო, რომ ჩვენ, ბოლშევიკებმა, ყველა ზომა უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე, რაც შეიძლება მალე მოვსპოთ ეს დამატებითი გადასახადი.

ასეთია «მაკრატლის», «გადაქაჩვის», «ზეგადასახადის» საკითხი, იმის საკითხი, რაც ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დახასიათებულია, როგორც «ხარკის მსგავსი რაღაც».

ბუხარინმა, რიკოვმა და ტომსკიმ სცადეს მოემიზეზებინათ სიტყვა «ხარკი» და დაიწყეს პარტიისათვის ბრალის დადება გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკაში. მაგრამ ახლა ბრმებიც კი ხედავენ, რომ ეს იყო ბუხარინელების უპატიოსნო ცდა — ყოვლად უხეშად დაეწამებინათ ცილი ჩვენი პარტიისათვის. ახლა თვითონ ისინიც კი იძულებული არიან მდუმარედ აღიარონ, რომ სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის შესახებ ლაყბობაში ისინი სამარცხვინოდ ჩაფლავდნენ.

ვინაიდან ორში ერთი:

ან ბუხარინელები აღიარებენ, რომ ამჟამად «მაკრატელი» და სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში სახსრების «გადაქაჩვა» აუცილებელია, — და მაშინ მათ უნდა აღიარონ თავიანთი ბრალდებების ცილისმწამებლური ხასიათი და პარტიის სრული სიმართლე;

ან ისინი უარყოფენ, რომ ამჟამად «მაკრატელი» და «გადაქაჩვა»

აუცილებელია, მაგრამ მაშინ პირდაპირ თქვან ეს იმისათვის, რომ პარტიას შეეძლოს შეიტანოს ისინი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მოწინააღმდეგეთა! რიცხვში.

მე შემიძლია, ყოველ შემთხვევაში, დავიმოწმო ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის მთელი რიგი სიტყვები, სადაც ისინი უშენიშვნოდ აღიარებენ, რომ ამჟამად «მაკრატელი» აუცილებელია, რომ სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში სახსრების «გადაქაჩვა» აუცილებელია. და ეს ხომ აღიარებაა ფორმულისა «ხარკის მსგავსი რაღაც».

როგორაა საქმე, კვლავ დგანან ისინი «გადაქაჩვის» თვალსაზრისზე, ამჟამად «მაკრატლის» შენარჩუნების თვალსაზრისზე თუ არა? პირდაპირ თქვან ეს.

ბუხარინი. გადაქაჩვა საჭიროა, მაგრამ «ხარკი» შეუფერებელი სიტყვაა. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი).

სტალინი. მაშასადამე, **საკითხის არსზე ჩვენ უთანხმოება არა გვაქვს**, მაშასადამე, სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაში სახსრების «გადაქაჩვა», ეგრეთწოდებული «მაკრატელი», დამატებითი გადასახადი, «ხარკის მსგავსი რაღაც» — ამჟამად ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის აუცილებელი, მაგრამ დროებითი საშუალებაა.

ძალიან კარგი. მაშ რაღაშია საქმე, რის გამოა აურზაური? არ მოსწონთ **სიტყვა** «ხარკი», თუ «ხარკის მსგავსი რაღაც», ვინაიდან ეს გამოთქმა მარქსისტულ ლიტერატურაში უხმარად ჰიაჩნიათ?

რაკი ასეა, ვილაპარაკოთ **სიტყვა** «ხარკის» შესახებ.

მე ვამტკიცებ, ამხანაგებო, რომ ამ სიტყვამ უკვე დიდი ხანია მოიპოვა მოქალაქეობის უფლება ჩვენს მარქსისტულ ლიტერატურაში, მაგალითად, ამხ. ლენინის სტატიებში. ამან შეიძლება გააკვირვოს ზოგი ვინმე იმათგან, ვინც ლენინს არ კითხულობს, მაგრამ ეს ფაქტია, ამხანაგებო. ბუხარინი აქ «ყბედობდა» იმის შესახებ, რომ მარქსისტული ლიტერატურა თითქოს ვერ ურიგდება სიტყვა «ხარკს». იგი აღშფოთებული იყო და გაკვირვებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საერთოდ მარქსისტები თავს ნებას აძლევენ იხმარონ სიტყვა «ხარკი». მაგრამ რა არის აქ გასაკვირველი, თუ დამტკიცებულია, რომ ამ სიტყვამ უკვე დიდი ხანია მოიპოვა მოქალაქეობის უფლებები ისეთი მარქსისტის სტატიებში, როგორიც არის ამხ. ლენინი? ან იქნებ ლენინი ვერ აკმაყოფილებს მარქსისტის მოთხოვნებს ბუხარინის თვალსაზრისით? მაშ პირდაპირ თქვით, ძვირფასო ამხანაგებო.

აიღეთ, მაგალითად, ისეთი მარქსისტის სტატია, როგორიც არის ლენინი, ««მემარცხენე» ბალღობისა და წვრილბურჟუაზიულობის შესახებ» (1918 წ. მაისი) და წაიკითხეთ იქ შემდეგი ადგილი:

«წვრილი ბურჟუა, რომელიც ათასებს ინახავს, სახელმწიფო კაპიტალიზმის მტერია, და მას სურს ამ ათასების რეალიზაცია მოახდინოს აუცილებლად თავისთვის, ღარიბი გლეხობის წინააღმდეგ, ყოველგვარი საერთო-სახელმწიფოებრივი კონტროლის წინააღმდეგ, ხოლო ათასების ჯამი მრავალმილიარდიან ბაზას აძლევს სპეკულაციას, რომელიც ფუშავს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას. დავუშვათ, რომ მუშების გარკვეული რაოდენობა რამდენიმე დღეში იძლევა ღირებულებათა ჯამს, რაც გამოიხატება ციფრ 1 000-ით. შემდეგ, დავუშვათ, რომ ამ ჯამიდან 200 გვეკარგება წვრილი სპეკულაციის, ყოველგვარი მტაცებლობის შედეგად და საბჭოთა დეკრეტებისა და საბჭოთა წესებისათვის წვრილმესაკუთრული «გვერდის ავლის» გამო. ყოველი შეგნებული მუშა იტყვის: რომ შემეძლოს 300 მივცე ათასიდან, მეტი წესრიგისა და ორგანიზაციის შექმნის გზით, სიამოვნებით მივცემდი სამასს ორასის ნაცვლად, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების დროს შემდეგში ამ «ხარკის» შემცირება, ვთქვათ, ასამდე ან ორმოცდაათამდე, სულ იოლი ამოცანა იქნება, რაკი წესრიგი და ორგანიზაცია მოგვარდება, რაკი ყოველგვარი სახელმწიფო მონოპოლიის წვრილმესაკუთრული ჩაშლა საბოლოოდ გაცამტვერდება» (ტ. XXII, გვ. 515).

ვგონებ, ნათელია. ხომ არ გამოვაცხადოთ ამხ. ლენინი ამის საფუძველზე მუშათა კლასის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკის მომხრედ? სინჯეთ, ძვირფასო ამხანაგებო!

ხმა. მაინც საშუალო გლეხის მიმართ არასოდეს არ ხმარებულა «ხარკის» ცნება.

სტალინი. ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ საშუალო გლეხი უფრო ახლოა პარტიასთან, ვიდრე მუშათა კლასი? რა უხეირო მარქსისტი ყოფილხართ. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი). თუ მუშათა კლასის შესახებ შეიძლება «ხარკზე» ლაპარაკი, მუშათა კლასის შესახებ, რომლის პარტიაც ჩვენ ვართ, რატომ არ შეიძლება იგივე ვთქვათ საშუალო გლეხზე, რომელიც ჩვენი მოკავშირეა და მეტი არაფერი?

ზოგმა შარიანმა ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ სიტყვა «ხარკი» სტატიაში ««მემარცხენე» ბალღობის შესახებ» ამხ. ლენინს წამოსცდა, შემთხვევით წამოსცდა. მაგრამ შემოწმება გვიჩვენებს, რომ შარიანი ადამიანების ეჭვი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. აიღეთ ამხ. ლენინის მეორე სტატია ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბროშურა «სასურსათო გადასახადის შესახებ» (1921 წ. აპრილი) და წაიკითხეთ იქ გვ. 324 (ტ. XXVI, გვ. 324). თქვენ დაინახავთ, რომ ეს-ეს არის მოყვანილი ციტატა «ხარკის» შესახებ იქ სიტყვასიტყვით გამეორებულია ამხ. ლენინის მიერ. დასასრულ, აიღეთ ამხ. ლენინის სტატია «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» (ტ. XXII, გვ. 448, 1918 წ. მარტი — აპრილი) და დაინახავთ, რომ ლენინი აქაც ლაპარაკობს «ხარკზე (უკვე უბრეკალებოდ), რასაც ჩვენ ვიხდით ჩვენი ჩამორჩენილობისათვის საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და ქვემოდან კონტროლის ორგანიზაციის საქმეში».

გამოდის, რომ სიტყვა «ხარკი» ლენინის სტატიებში სრულებითაც არ წარმოადგენს შემთხვევითს ელემენტს. ეს სიტყვა ამხ. ლენინს ნახმარი აქვს იმისათვის, რომ ხაზგასმით აღნიშნოს «ხარკის» დროებითი ხასიათი, აღძრას ბოლშევიკებში ენერგია და წარმართოს იგი იქითკენ, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე მოესპოთ ეს «ხარკი», რომელსაც მუშათა კლასი იხდის ჩვენი ჩამორჩენილობისათვის, ჩვენი «მოუწესრიგებლობისათვის».

გამოდის, რომ გამოთქმით «ხარკის მსგავსი რაღაც» მე მარქსისტების საკმაოდ კარგ საზოგადოებაში ვარ, ამხ. ლენინთან ვარ.

ბუხარინი აქ ამბობდა, რომ მარქსისტებმა თავიანთ ლიტერატურაში სიტყვა «ხარკი» არ უნდა შეიწყნარონო. რომელ მარქსისტებზე ლაპარაკობდა იგი? თუ ის გულისხმობდა ისეთ, უკაცრავად პასუხია, მარქსისტებს, როგორიც არიან სლეპკოვი, მარეცკი, პეტროვსკი, როზიტი და სხვ., რომლებიც ლიბერალებს უფრო ჰგვანან, ვიდრე მარქსისტებს, მაშინ ბუხარინის აღშფოთება საესებით გასაგებია. ხოლო თუ იგი გულისხმობს ნამდვილ მარქსისტებს, მაგალითად, ამხ. ლენინს, უნდა ვაღიაროთ, რომ სიტყვა «ხარკმა» მათ შორის უკვე დიდი ხანია მოიპოვა მოქალაქეობის უფლება, ხოლო ბუხარინს, რომელიც ნაკლებად იცნობს ლენინის ნაწარმოებებს, აქ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

მაგრამ «ხარკის» საკითხი ამით როდი მთავრდება. საქმე ის არის, რომ ბუხარინმა და მისმა მეგობრებმა შემთხვევით როდი მოიმიზეზეს სიტყვა «ხარკი» და ალაპარაკდნენ გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკაზე. უეჭველია, სამხედრო-ფეოდალურ ექსპლოატაციაზე ხმაური რომ ატეხეს, მათ სურდათ გამოეთქვათ თავიანთი უკიდურესი უკმაყოფილება ჩვენი პარტიის იმ პოლიტიკის გამო კულაკობის მიმართ, რომელსაც ჩვენი ორგანიზაციები ახორციელებენ. გლეხობის მიმართ ხელმძღვანელობის საქმეში პარტიის ლენინური პოლიტიკით უკმაყოფილებამ, პურის დამზადების დარგში ჩვენი პოლიტიკით უკმაყოფილებამ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველმხრივი განვითარების ჩვენი პოლიტიკით უკმაყოფილებამ, დასასრულ, ბაზრის «განთავისუფლებისა» და კერძო ვაჭრობის სრული თავისუფლების დამკვიდრების სურვილმა, — აი რამ პოვა გამოხატულება ბუხარინის გოდებაში გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკის შესახებ.

მე არ ვიცი ჩვენი პარტიის ისტორიაში სხვა ისეთი მაგალითი, რომ პარტიისათვის ბრალი დაედოთ სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის პოლიტიკაში. პარტიის წინააღმდეგ მიმართული ეს

იარაღი მარქსისტების არსენალიდან არ არის აღებული. მაშ საიდან არის იგი აღებული? კადეტების ლიდერ მილიუკოვის არსენალიდან. როცა კადეტებს სურთ წაჰკიდონ მუშათა კლასი გლეხობას, ისინი ჩვეულებრივ ამბობენ: თქვენ, ბატონო ბოლშევიკებო, სოციალიზმს გლეხობის ძვლებზე აშენებთო. «ხარკის» შესახებ ხმაურის ატეხით ბუხარინი ბანს აძლევს ბატონ მილიუკოვებს, კუდში მისჩანჩალებს ხალხის მტრებს.

3) ინდუსტრიის განვითარების ტემპისა და ქალაქისა და სოფლის კავშირის ახალი ფორმების შესახებ

დასასრულ, საკითხი ინდუსტრიის განვითარების ტემპისა და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმების შესახებ. ეს საკითხი ჩვენი უთანხმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამ საკითხის მნიშვნელობა ის არის, რომ მასში თავმოყრილია პარტიის სამეურნეო პოლიტიკის საკითხების გამო ჩვენს შორის არსებული **პრაქტიკული** უთანხმოების ყველა ძაფი.

რა არის ქალაქისა და სოფლის კავშირის ახალი ფორმები, რას ნიშნავს ეს ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის თვალსაზრისით?

უწინარეს ყოვლისა, ეს ნიშნავს იმას, რომ ქალაქისა და სოფლის კავშირის ძველ ფორმებს გარდა, როცა მრეწველობა აკმაყოფილებდა უმთავრესად გლეხის **პირად** მოთხოვნილებებს (ჩითი, ფეხსაცმელი, საერთოდ მანუფაქტურა და სხვ.), ჩვენ გვესაჭიროება კავშირის კიდევ ახალი ფორმები, როცა მრეწველობა დააკმაყოფილებს გლეხური მეურნეობის **საწარმოო** საჭიროებებს (სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრაქტორები, გაუმჯობესებული თესლი, სასუქი და სხვ.).

თუ ჩვენ წინათ ვაკმაყოფილებდით **უმთავრესად** გლეხის პირად მოთხოვნილებებს და ნაკლებად ვეხებოდით მისი მეურნეობის საწარმოო საჭიროებებს, ახლა, გლეხის პირად მოთხოვნილებათა წინანდებურად დაკმაყოფილებასთან ერთად, დიდად უნდა გავაძლიეროთ მომარაგება სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ტრაქტორებით, სასუქით და სხვ., რასაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეკონსტრუქციასთან ახალ ტექნიკურ ბაზაზე.

სანამ საქმე ეხებოდა სოფლის მეურნეობის **აღდგენას** და გლეხების მიერ ყოფილი მემამულეთა და კულაკთა მიწების ათვისებას, ჩვენ შეგვეძლო დავჯერებოდით კავშირის ძველ ფორმებს. მაგრამ ახლა, როცა საქმე ეხება სოფლის მეურნეობის **რეკონსტრუქციას**, ეს აღარ კმარა. ახლა საჭიროა უფრო შორს წავიდეთ, — დავეხმა-

როთ გლეხობას გარდაქმნას სასოფლო-სამეურნეო წარმოება ახალი ტექნიკისა და კოლექტიური შრომის ბაზაზე.

მეორეც, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მრეწველობის ხელახლა შეიარაღებასთან ერთად სერიოზულად უნდა დავიწყოთ სოფლის მეურნეობის ხელახლა შეიარაღებაც. ჩვენ ვეწეეთ ჩვენი მრეწველობის ხელახლა შეიარაღებას და ნაწილობრივ უკვე ხელახლა შევაიარაღეთ იგი, ვუქმნით მას ახალ ტექნიკურ ბაზას, ვამარაგებთ მას ახალი გაუმჯობესებული მანქანებით, ახალი გაუმჯობესებული კადრებით. ჩვენ ვაშენებთ ახალ ქარხნებსა და ფაბრიკებს, ჩვენ ვახდენთ ძველების რეკონსტრუქციას და ვაფართოებთ მათ, ჩვენ ვავითარებთ მეტალურგიას, ქიმიას, მანქანათმშენებლობას. ამ საფუძველზე იზრდება ქალაქები, მრავლდება ახალი სამრეწველო პუნქტები, ფართოვდება ძველები. ამ ბაზაზე იზრდება მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე, მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულზე. სოფლის მეურნეობაში კი რჩება ძველი იარაღები, მიწის დამუშავების ძველი, მამაპაპური მეთოდები, ძველი, პრიმიტიული, ახლა უკვე უვარგისი ან თითქმის უვარგისი ტექნიკა, სამეურნეო საქმიანობისა და შრომის ძველი წვრილგლეხური ინდივიდუალური ფორმები.

რად ღირს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ რევოლუციამდე ჩვენში იყო დაახლოებით 16 მილიონი კომლი, ახლა კი სულ მცირე 25 მილიონი კომლია? რას მოწმობს ეს, თუ არა იმას, რომ სოფლის მეურნეობა სულ უფრო დაქსაქსულ, დაქუცმაცებულ ხასიათს იღებს? ხოლო დაქსაქსულ წვრილ მეურნეობათა დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მათ არ ძალუძთ სათანადოდ გამოიყენონ ტექნიკა, მანქანები, ტრაქტორები, აგრონომიული მეცნიერების მიღწევები, რომ ისინი მცირესაქონლიანი მეურნეობებია.

აქედან წარმოსდგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ნაკლები საქონლიანობა.

აქედან წარმოსდგება ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირის გაწყვეტის საფრთხე.

აქედან წარმოსდგება სოფლის მეურნეობის გაძლიერების, ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპთან მისი შეფარდების აუცილებლობა.

და აი, კავშირის გაწყვეტის ეს საფრთხე რომ არ იყოს, საჭიროა სერიოზულად დავიწყოთ სოფლის მეურნეობის ხელახლა შეიარაღება ახალი ტექნიკის ბაზაზე. მისი ხელახლა შეიარაღებისათვის კი საჭიროა თანდათანობით გავაერთიანოთ დაქუცმაცებული გლეხუ-

რი ინდივიდუალური მეურნეობანი მსხვილ მეურნეობებად, კოლმეურნეობებად, საჭიროა ვაშენოთ სოფლის მეურნეობა კოლექტიური შრომის ბაზაზე, საჭიროა გავამსხვილოთ კოლექტივები, საჭიროა განვავითაროთ ძველი და ახალი საბჭოთა მეურნეობები, საჭიროა სისტემატურად გამოვიყენოთ კონტრაქტაციის მასობრივი ფორმები სოფლის მეურნეობის ყველა ძირითად დარგში, საჭიროა განვავითაროთ სისტემა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა, რომლებიც გლეხობას ეხმარებიან ახალი ტექნიკის ათვისებასა და შრომის კოლექტივიზებაში, — ერთი სიტყვით, საჭიროა თანდათანობით გადავიყვანოთ წვრილი გლეხური ინდივიდუალური მეურნეობანი მსხვილი კოლექტიური წარმოების ბაზაზე, ვინაიდან მხოლოდ საზოგადოებრივი ტიპის მსხვილ წარმოებას შეუძლია მთლიანად გამოიყენოს მეცნიერების მიღწევები და ახალი ტექნიკა და ბუმბერაზული ნაბიჯებით წასწიოს წინ ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჩვენ უყურადღებოდ უნდა მივატოვოთ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობა. არა, არ ნიშნავს. ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობა ასრულებს და უახლოეს მომავალშიც შეასრულებს უპირატეს როლს სურსათითა და ნედლეულით მრეწველობის მომარაგების საქმეში. სწორედ ამიტომ საჭიროა დავეხმაროთ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გაერთიანებული კოლმეურნეობებში.

მაგრამ ეს ნიშნავს, რომ მარტო ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა საკმარისი **აღარ** არის. ამას მოწმობს ჩვენი სიძნელენი პურის დამზადების საქმეში. ამიტომ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას უნდა **დაემატოს** მეურნეობის კოლექტიური ფორმებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველმხრივი განვითარება.

ამიტომ საჭიროა ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობასა და მეურნეობის კოლექტიურ საზოგადოებრივ ფორმებს შორის გავდოთ ხიდი მასობრივი კონტრაქტაციის სახით, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სახით, კოოპერაციული საზოგადოებრიობის ყოველნაირად განვითარების სახით, რათა გავუადვილოთ გლეხებს კოლექტიური შრომის რელსებზე გადაიყვანონ თავიანთი წვრილი ინდივიდუალური მეურნეობა.

ეს პირობები თუ არ იქნა, შეუძლებელია სოფლის მეურნეობის სერიოზული განვითარება. ეს პირობები თუ არ იქნა, შეუძლებელია მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა. ეს პირობები თუ არ იქნა,

შეუძლებელია გლეხობის ხელმოკლე ფენების ხსნა გაჩანაგებისაგან, სიღატაკისაგან.

დასასრულ, ეს ნიშნავს, რომ ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ ჩვენი ინდუსტრია, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი მასაზრდოებელი წყარო, მისი რეკონსტრუქციის ხაზით, უნდა განვავითაროთ მეტალურგია, ქიმია, მანქანათმშენებლობა, უნდა ვაშენოთ სატრაქტორო ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნები და სხვ.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ შეუძლებელია კოლმეურნეობების განვითარება, შეუძლებელია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განვითარება, თუ გლეხობის ძირითად მასებს არ წავწევთ სამეურნეო საქმიანობის კოლექტიური ფორმებისაკენ მასობრივი კონტრაქტაციის საშუალებით, თუ სოფლის მეურნეობას საკმაო რაოდენობით არ მოვამარაგებთ ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და სხვ.

მაგრამ მანქანებითა და ტრაქტორებით სოფლის მომარაგება შეუძლებელია, თუ გაძლიერებული ტემპით არ განვავითარებთ ჩვენს ინდუსტრიას. აქედან წარმოსდგება ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი, რაც კოლექტივიზმის ბაზაზე სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღებს წარმოადგენს.

ასეთია ქალაქისა და სოფლის კავშირის ახალი ფორმების აზრი და მნიშვნელობა.

ბუხარინის ჯგუფი იძულებულია სიტყვიერად აღიაროს კავშირის ახალი ფორმების აუცილებლობა. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერი აღიარებაა, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ კავშირის ახალი ფორმების სიტყვიერი აღიარების დროშით შემოგვაპაროს სრულიად საწინააღმდეგო რამ. ნამდვილად ბუხარინი ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმების წინააღმდეგია. ბუხარინისათვის გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს არა ინდუსტრიის, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეკონსტრუქციის ბერკეტის, განვითარების სწრაფი ტემპი, არამედ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარება. ის პირველ რიგში აყენებს ბაზრის «ნორმალიზაციას» და ფასების თავისუფალი თამაშის დაშვებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარზე, კერძო ვაჭრობის სრული თავისუფლების დაშვებას. აქედან წარმოსდგება მისი უნდობლობა კოლმეურნეობებისადმი, რაც გამოაშკარავდა მის სიტყვაში ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე და მის თეზისებში ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის წინ. აქედან წარმოსდგება მისი უარყოფითი დამოკიდებულება პურის დამ-

ზადების დროს კულაკობის წინააღმდეგ მიმართული საგანგებო ზომების ყველა და ყოველგვარი ფორმისადმი.

ცნობილია, რომ ბუხარინი ისე გაურბის საგანგებო ზომებს, როგორც ეშმაკი საკმეველს.

ცნობილია, რომ ბუხარინი ჯერ კიდევ ვერ მიხვედრილა, რომ ახლანდელ პირობებში კულაკი საკმაო რაოდენობით არ ჩაგვაბარებს პურს ნებაყოფლობით, თვითდინების წესით.

ახლა ეს დამტკიცებულია დამზადების დარგში ჩვენი მუშაობის ორი წლის გამოცდილებით.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, სასაქონლო პური მაინც რომ არ გვეყოს? ბუხარინი ამაზე გვიპასუხებს: ნუ აწუხებთ კულაკს საგანგებო ზომებით და შემოიტანეთ პური უცხოეთიდანო. იგი ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ წინადადებას იძლეოდა შემოგვეტანა უცხოეთიდან 50 მილიონამდე ფუთი პური, ე. ი. ვალუტით 100 მილიონამდე მანეთისა. მაგრამ თუ ვალუტა იმისათვის არის საჭირო, რომ შემოვიტანოთ მოწყობილობა ინდუსტრიისათვის? ბუხარინი ამაზე გვიპასუხებს: უპირატესობა უნდა მივცეთ პურის შემოტანას უცხოეთიდან, მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის შემოტანა კი, ალბათ, უკანა რიგში უნდა მოვაქციოთ.

ამრიგად, გამოდის, რომ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საფუძველს წარმოადგენს არა ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი, არამედ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარება, კერძოდ, კულაკური მეურნეობისაც, თავისუფალი ბაზრისა და იქ ფასების თავისუფალი თამაშის საფუძველზე.

ამრიგად საქმე გვაქვს სამეურნეო პოლიტიკის ორ სხვადასხვა გეგმასთან.

პარტიის გეგმა:

1. ჩვენ ვეწევით მრეწველობის ხელახლა შეიარაღებას (რეკონსტრუქციას).

2. ჩვენ სერიოზულად ვიწყებთ სოფლის მეურნეობის ხელახლა შეიარაღებას (რეკონსტრუქციას).

3. ამისათვის საჭიროა გავაფართოოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, მასობრივად გამოვიყენოთ კონტრაქტაცია და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, როგორც ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობას შორის საწარმოო კავშირის დამყარების საშუალება.

4. რაც შეეხება პურის დამზადების ახლანდელ სიძნელეებს, უნდა ვაღიაროთ, რომ დასაშვებია დროებითი საგანგებო ზომები,

განმტკიცებული საშუალო და ღარიბ გლეხთა მასების საზოგადოებრივი მხარდაჭერით, როგორც იმის ერთ-ერთი საშუალება, რომ დავძლიოთ კულაკობის წინააღმდეგობა და მაქსიმალურად გამოვართვათ მას პურის ჭარბი ნაწილი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ არ მივმართოთ პურის იმპორტს და შევინარჩუნოთ ვალუტა ინდუსტრიის განვითარებისათვის.

5. ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობა ასრულებს და კვლავაც შეასრულებს უპირატეს როლს სურსათითა და ნედლეულით ქვეყნის მომარაგების საქმეში, მაგრამ მარტო იგი საკმარისი აღარ არის, — ამიტომ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას უნდა დაემატოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარება, მასობრივი კონტრაქტაცია, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გაძლიერებული განვითარება, რათა გაადვილდეს კაპიტალისტური ელემენტების განდევნა სოფლის მეურნეობიდან და ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა თანდათანობითი გადაყვანა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა რელსებზე, კოლექტიური შრომის რელსებზე.

6. მაგრამ ყოველივე ამას რომ მივაღწიოთ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავაძლიეროთ ინდუსტრიის, მეტალურგიის, ქიმიის, მანქანათმშენებლობის, სატრაქტორო ქარხნების, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნების და სხვ. განვითარება. უამისოდ შეუძლებელია მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა, ისევე როგორც შეუძლებელია სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია.

დასკვნა: სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღებს წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი.

ბუხარინის გეგმა:

1. ბაზრის «ნორმალიზაცია», ბაზარზე ფასების თავისუფალი თამაშის დაშვება და პურის ფასების გადიდება, იმისდა მიუხედავად, რომ ამას შეუძლია გამოიწვიოს სამრეწველო საქონლის, ნედლეულის, პურის გაძვირება.

2. ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ყოველნაირად განვითარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების ტემპის ერთგვარი შენელების პირობებში (ბუხარინის თეზისები ივლისში, ბუხარინის სიტყვა ივლისის პლენუმზე).

3. დამზადება თვითდინების გზით, რაც ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში გამორიცხავს კულაკობის წინააღმდეგ საგანგებო ზომების თუნდაც ნაწილობრივ გამოყენებას, ამ ზომებს მხარსაც რომ უჭერდეს საშუალო და ღარიბი გლეხობის მასა.

4. თუ პური დაგვაკლდა, 100 მილიონამდე მანეთის პურის შემოტანა უცხოეთიდან.

5. და თუ ვალუტა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ დაიფაროს პურის შემოტანაც და მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის შემოტანაც, მაშინ უნდა შემცირდეს მოწყობილობის შემოტანა, მაშასადამე უნდა შენელდეს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპიც, — წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ იმას, რომ სოფლის მეურნეობა იწყებს «ერთ ადგილზე ტკეპნას», ანდა იგი «პირდაპირ თავქვე დაეშვება».

დასკვნა: **სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღებს წარმოადგენს ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარება.**

აი რა მიმართულებას იღებს საქმე, ამხანაგებო!

ბუხარინის გეგმა არის ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელების და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმებისათვის **ძირის გამოთხრის** გეგმა.

ასეთია ჩვენი უთანხმოება.

ზოგჯერ გვეკითხებიან: ხომ არ დავაგვიანეთ კავშირის ახალი ფორმების განვითარება, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვ. განვითარება?

არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, პარტიამ ეს საქმე სულ ცოტა ორი წლით დააგვიანაო. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ეს სრულიად არ არის მართალი. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ «მემარცხენე» მყვირალებს, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ სსრ კავშირის ეკონომიკაზე.

რას ნიშნავს დაგვიანება ამ საქმეში? თუ ლაპარაკია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აუცილებლობის გათვალისწინებაზე, ეს საქმე ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალების დროს დაიწყეთ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აუცილებლობა პარტიას რომ ჯერ კიდევ მაშინ, ოქტომბრის გადატრიალების პერიოდში ჰქონდა გათვალისწინებული, — ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ბოლოს, შეიძლება აიღოთ ჩვენი პროგრამა, რომელიც მიიღო პარტიის VIII ყრილობამ (1919 წ. მარტი). იქ მთელი სიცხადით არის გათვალისწინებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აუცილებლობა.

მაგრამ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ზედაფენის მიერ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აუცილებლობის მარტო გათვალისწინება საკმარისი როდია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის **მასობრივი მოძრაობის** განსახორციელებლად და მოსაწყობად. მაშასადამე, ლაპარაკია არა გათვა-

ლისწინებაზე, არამედ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გეგმის განხორციელებაზე. მაგრამ ასეთი გეგმის განხორციელებისათვის საჭიროა მთელი რიგი პირობები, რომლებიც ჩვენში დღემდე არ არსებობდა და რომლებიც მხოლოდ უკანასკნელ ხანს შეიქმნა.

აი რაშია საქმე, ამხანაგებო.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მასობრივი მოძრაობის გეგმა რომ განვახორციელოთ, ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ ამ საქმეში პარტიის ზედაფენას მხარი დაუჭიროს პირველ რიგში პარტიამ მასობრივად. ხოლო ჩვენი პარტია, როგორც ცნობილია, მილიონიანია. მაშასადამე, საჭირო იყო დაგვერწმუნებინა ფართო პარტიული მასები, რომ ხელმძღვანელი ზედაფენის პოლიტიკა სწორია. ეს — პირველი.

შემდეგ, ამისათვის საჭიროა, რომ გლეხობის წიაღში შეიქმნას მასობრივი მოძრაობა კოლმეურნეობებისათვის, რომ გლეხობას კი არ ეშინოდეს კოლმეურნეობებისა, არამედ თვითონ მიდიოდეს კოლმეურნეობებში, როცა იგი გამოცდილებით დარწმუნდება კოლმეურნეობათა უპირატესობაში ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით. ეს კი სერიოზული საქმეა, რომელიც გარკვეულ დროს მოითხოვს. ეს — მეორე.

შემდეგ, ამისათვის საჭიროა, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს საკოლმეურნეო მშენებლობის დასაფინანსებლად, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დასაფინანსებლად საჭირო მატერიალური სახსრები. ამ საქმისათვის კი საჭიროა მრავალი ასეული მილიონი მანეთი, ძვირფასო ამხანაგებო. ეს — მესამე.

ბოლოს, ამისათვის საჭიროა, რომ ინდუსტრია ცოტად თუ ბევრად საკმაოდ იყოს განვითარებული, განვითარებული იმდენად, რომ სოფლის მეურნეობა მოამარაგოს მანქანებით, ტრაქტორებით, სასუქით და სხვ.. ეს — მეოთხე.

განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ორი თუ სამი წლის წინათ ყველა ეს პირობა უკვე გვქონდა? არა. ამის მტკიცება არ შეიძლება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვართ მმართველი და არა ოპოზიციური პარტია. ოპოზიციურ პარტიას შეუძლია წამოაყენოს ლოზუნგები, — მე ვლაპარაკობ მოძრაობის ძირითად პრაქტიკულ ლოზუნგებზე, — იმ ანგარიშით, რომ განახორციელოს ისინი ძალაუფლების მოპოვების შემდეგ. ოპოზიციურ პარტიას ბრალს ვერავინ დასდებს იმაში, რომ იგი თავის ძირითად ლოზუნგებს დაუყოვნებლივ არ ახორციელებს, ვინაიდან ყველას ესმის, რომ საქესთან დგას არა ის, ოპოზიციური პარტია, არამედ სხვა პარტიები.

სულ სხვა პირობებში იმყოფება მმართველი პარტია, როგორსაც ჩვენი ბოლშევიკური პარტია წარმოადგენს. ასეთი პარტიის ლოზუნგები წარმოადგენენ არა უბრალო საგიტაციო ლოზუნგებს, არამედ რაღაც გაცილებით ცოტა მეტს, ვინაიდან მათ აქვთ **პრაქტიკული გადაწყვეტილების** ძალა, **კანონის** ძალა, რომლებიც ახლავე უნდა განხორციელდეს. ჩვენს პარტიას არ შეუძლია წამოაყენოს პრაქტიკული ლოზუნგი და შემდეგ გადადოს მისი განხორციელება. ეს მასების მოტყუება იქნებოდა. პრაქტიკული ლოზუნგი, განსაკუთრებით ისეთი სერიოზული ლოზუნგი რომ წამოაყენო, როგორიც არის გლეხობის მილიონიანი მასების გადაყვანა კოლექტივიზმის რელსებზე, უნდა გქონდეს მისი პირდაპირი განხორციელების პირობები, ბოლოს, უნდა შექმნა, მოაწყო ეს პირობები. აი რატომ არ არის ჩვენთვის საკმარისი პარტიული ზედაფენის მიერ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აუცილებლობის მხოლოდ გათვალისწინება. აი რატომ გვესაჭიროება კიდევ ისეთი პირობები, რომლებიც აუცილებელია ჩვენი ლოზუნგების დაუყოვნებლივ **განხორციელებისათვის, ცხოვრებაში გატარებისათვის.**

იყო თუ არა ჩვენი პარტია **მასობრივად** მზად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოველმხრივი განვითარებისათვის, ვთქვათ, ორი თუ სამი წლის წინათ? არა, ამისათვის ის ჯერ კიდევ მზად არ იყო. ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმებისაკენ სერიოზული მობრუნება პარტიულ მასებში დაიწყო მხოლოდ პურის დამზადების პირველი სერიოზული სიძნელეების შემდეგ. საჭირო გახდა ეს სიძნელენი, რომ პარტიას მასობრივად ეგრძნო კავშირის ახალი ფორმების, უწინარეს ყოვლისა კი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სწრაფი განვითარების მთელი აუცილებლობა და ამ საქმეში გადაჭრით დაეჭირა მხარი თავისი ცენტრალური კომიტეტისათვის. აი ერთი პირობა, რომელიც წინათ არ გვქონდა და რომელიც ამჟამად მოგვეპოვება.

იყო თუ არა ჩვენში ორი თუ სამი წლის წინათ გლეხობის მილიონიანი მასების სერიოზული მოძრაობა კოლმეურნეობების ან საბჭოთა მეურნეობების სასარგებლოდ? არა, არ იყო. ყველამ იცის, რომ ორი თუ სამი წლის წინათ გლეხობა მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა მეურნეობების მიმართ, ხოლო კოლმეურნეობებს იგი დასცინოდა როგორც არაფრის მაქნის «კომუნიას». ახლა კი? ახლა სხვა საქმეა. ახლა ჩვენ უკვე გვყავს გლეხობის მთელი ფენები, რომლებიც საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს უყურებენ როგორც გლეხური მეურნეობისათვის თესლეულით, გაუმჯობესებული პირუტყვით, მანქანებით, ტრაქტორებით დახმარების

გაწევის წყაროს. ახლა მხოლოდ მიაწოდე მანქანები და ტრაქტორები, — და კოლმეურნეობების საქმე გაძლიერებული ტემპით წავა წინ.

საიდან წარმოიშვა ასეთი გარდატეხა გლეხობის გარკვეულ, საკმაოდ მნიშვნელოვან ფენებში? რამ შეუწყო მას ხელი?

უწინარეს ყოვლისა კოოპერაციისა და კოოპერაციული საზოგადოებრიობის განვითარებამ. უეჭველია, მძლავრად რომ არ განვითარებულიყო კოოპერაცია, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელმაც გლეხებში შექმნა ფსიქოლოგიური ბაზა კოლმეურნეობების სასარგებლოდ, ჩვენში არ იქნებოდა ის სწრაფვა კოლმეურნეობებისაკენ, რასაც ახლა გლეხობის მთელი ფენები იჩენენ.

აქ დიდი როლი შეასრულა აგრეთვე კარგად მოწყობილი კოლმეურნეობების არსებობამ, რომლებმაც გლეხებს მისცეს იმის კარგი ნიმუშები, თუ როგორ შეიძლება სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება წვრილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებით მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობებად.

აქ თავისი როლი შეასრულა აგრეთვე კეთილმოწყობილი საბჭოთა მეურნეობების არსებობამ, რომლებიც ეხმარებოდნენ გლეხებს მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში. მე აღარ ვლაპარაკობ სხვა ფაქტებზე, რომლებიც ყოველი თქვენგანისათვის კარგად არის ცნობილი. აი კიდევ ერთი პირობა, რომელიც არ გვქონდა წინათ და რომელიც ამჟამად გვაქვს.

შემდეგ, განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჩვენ ორი თუ სამი წლის წინათ შესაძლებლობა გვქონდა სერიოზულად დაგვეფინანსებინა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, გაგვეღო ამ საქმისათვის ასეულმილიონობით მანეთი? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება. თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენ არ გვყოფნიდა სახსრები მრეწველობის იმ მინიმუმის განსავითარებლადაც კი, ურომლისოდაც საერთოდ შეუძლებელია რაიმე ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაზე რომ არაფერი ვთქვათ. შეგვეძლო თუ არა ჩვენ ეს სახსრები წაგვერთმია მრეწველობისათვის, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბაზას წარმოადგენს, და გადაგვეცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის? ცხადია, არ შეგვეძლო. ახლა კი? ახლა ჩვენ გვაქვს სახსრები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განსავითარებლად.

დასასრულ, განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ ორი თუ სამი წლის წინათ ინდუსტრიაში უკვე გვქონდა საკმაო ბაზა სოფლის მეურნეობის გაძლიერებული მომარაგებისათვის მანქანებით, ტრაქ-

ტორებით და სხვ.? არა, ამის მტკიცება არ შეიძლება. მაშინ ამოცანა ის იყო, რომ შეგვექმნა **ინდუსტრიული ბაზის მინიმუმი** სოფლის მეურნეობის მოსამარაგებლად **მომავალში** მანქანებითა და ტრაქტორებით. სწორედ ამ ბაზის შექმნაზე დაგვეხარჯა მაშინ ჩვენი მცირე ფინანსური სახსრები. ახლა კი? ახლა ჩვენ გვაქვს ეს ინდუსტრიული ბაზა სოფლის მეურნეობისათვის. ყოველ შემთხვევაში იგი, ეს ბაზა, ჩვენში აჩქარებული ტემპით იქმნება.

გამოდის, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მასობრივი განვითარებისათვის საჭირო პირობები ჩვენში მხოლოდ უკანასკნელ დროს შეიქმნა.

აი როგორია საქმის ვითარება, ამხანაგებო.

აი რატომ არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ დავაგვიანეთ ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმების განვითარება.

ზ) ბუხარინი როგორც თეორეტიკოსი

ასეთია, ძირითადად, მემარჯვენე ოპოზიციის თეორეტიკოსის — ბუხარინის — მთავარი შეცდომები ჩვენი პოლიტიკის ძირითად საკითხებში.

ამბობენ, ბუხარინი ჩვენი პარტიის ერთ-ერთი თეორეტიკოსიაო. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ საქმე ის არის, რომ თეორიის მხრივ მას ყველაფერი რიგზე როდი აქვს. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მან პარტიული თეორიისა და პოლიტიკის საკითხებში დაახვავა მთელი გროვა შეცდომები, რომლებიც ეს-არის დავახასიათე. არ შეიძლება, რომ ეს შეცდომები, შეცდომები კომინტერნის ხაზით, შეცდომები კლასობრივი ბრძოლის, კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, გლეხობის, ახალი ეკონომიური პოლიტიკის, ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის ახალი ფორმების საკითხებში, — არ შეიძლება, რომ ყველა ეს შეცდომა მას შემთხვევით მოსვლოდეს. არა, ეს შეცდომები შემთხვევითი როდია. ისინი, ბუხარინის ეს შეცდომები, გამომდინარეობენ მისი არასწორი თეორიული თვალსაზრისიდან, მისი თეორიული ხარვეზებიდან. დიახ, ბუხარინი თეორეტიკოსია, მაგრამ ის არ არის სავსებით მარქსისტი თეორეტიკოსი, ისეთი თეორეტიკოსია, რომელმაც ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს, რომ მარქსისტი თეორეტიკოსი გახდეს.

მიუთითებენ ამხანაგ ლენინის ცნობილ წერილზე ბუხარინის როგორც თეორეტიკოსის შესახებ. მოდით, წავიკითხოთ ეს წერილი:

«ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდა წევრებიდან, — ამბობს ლენინი, — რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ბუხარინზე და პიატაკოვზე. ესენი, ჩემი აზრით, ყველაზე თვალსაჩინო ძალებია (ყველაზე ახალგაზრდა ძალებს შორის), და მათ შეს-

ხებ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი: ბუხარინი არის პარტიის არა მარტო უძვირფასესი და უთვალსაჩინოესი თეორეტიკოსი, იგი აგრეთვე სამართლიანად ითვლება მთელი პარტიის საყვარელ პირად, მაგრამ მისი თეორიული შეხედულებანი ძალიან დიდი ეჭვით შეიძლება მივიჩნიოთ სავსებით მარქსისტულ შეხედულებებად, ვინაიდან მას ახასიათებს რაღაც სქოლასტიკური (მას არასოდეს არ უსწავლია და, ვფიქრობ, სავსებით არასოდეს არ ესმოდა დიალექტიკა)» [1] (1926 წ. ივლისის პლენუმის სტენოგრამა, ნაკე. IV, გვ. 66).

ამრიგად, თეორეტიკოსი უდიალექტიკოდ. თეორეტიკოსი-სქოლასტიკოსი. თეორეტიკოსი, რომლის «თეორიული შეხედულებანი ძალიან დიდი ეჭვით შეიძლება მივიჩნიოთ სავსებით მარქსისტულ შეხედულებებად». ასეთია ბუხარინის თეორიული ფიზიონომიის დახასიათება, რომელიც ლენინმა მოგვცა.

თქვენ თვითონ გესმით, ამხანაგებო, რომ ასეთმა თეორეტიკოსმა ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს. და ბუხარინს რომ ესმოდეს, რომ ის ჯერ კიდევ არ არის სავსებით დასრულებული თეორეტიკოსი, რომ მას კიდევ ესაჭიროება სწავლა, რომ ის ისეთი თეორეტიკოსია, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია დიალექტიკა, ხოლო დიალექტიკა მარქსიზმის სულია, — მას რომ ეს ესმოდეს, ის უფრო თავმდაბალი იქნებოდა, და ამით პარტია მხოლოდ მოიგებდა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბუხარინს თავმდაბლობა არ მოსდგამს, უბედურება ის არის, რომ მას არა თუ თავმდაბლობა არ მოსდგამს, არამედ იმასაც კი კისრულობს, რომ ასწავლოს ჩვენს მასწავლებელს ლენინს მთელ რიგ საკითხებში და უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოს საკითხში. აი რა არის ბუხარინის უბედურება.

ნება მომეცით ამის გამო მოვიყვანო ლენინსა და ბუხარინს შორის 1916 წელს მომხდარი ცნობილი თეორიული დავა სახელმწიფოს საკითხზე. ამას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გამოვაშკარაოთ როგორც უზომო პრეტენზიები ბუხარინისა, რომელიც აპირებს ასწავლოს ლენინს, ისე ფესვები მისი თეორიული სისუსტისა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც არის პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი, კლასთა ბრძოლის საკითხი და სხვ.

როგორც ცნობილია, ჟურნალ «ახალგაზრდობის ინტერნაციონალში» 1916 წელს Nota Bene-ს ხელმოწერით დაიბეჭდა ბუხარინის სტატია, რომელიც არსებითად მიმართული იყო ამხანაგ ლენინის წინააღმდეგ. ამ სტატიაში ბუხარინი წერს:

«...სრულიად შემცდარია სოციალისტებსა და ანარქისტებს შორის განსხვავების ძიება იმაში, რომ პირველნი სახელმწიფოს მომხრენი არიან, ხოლო მეორენი — წინააღმდეგნი. ნამდვილად განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუ-

[1] ბაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ციურ სოციალ-დემოკრატიას სურს მოაწყოს ახალი საზოგადოებრივი წარმოება როგორც ცენტრალიზებული, ე. ი. ტექნიკურად ყველაზე უფრო პროგრესული წარმოება, მაშინ როდესაც დეცენტრალიზებული ანარქიული წარმოება იქნებოდა მხოლოდ ნაბიჯის უკან გადადგმა ძველი ტექნიკისაკენ, საწარმოთა ძველი ფორმისაკენ...»

«...სოციალ-დემოკრატიისათვის, რომელიც არის ანდა ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს მასების აღმზრდელი, ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ხაზი გაუსვას თავის პრინციპულ მტრობას სახელმწიფოსადმი... ახლანდელმა ომმა გვიჩვენა, თუ რა ღრმად გაიდგა ფესვები სახელმწიფოებრიობამ მუშათა შეგნებაში».

აკრიტიკებს რა ბუხარინის ამ შეხედულებებს, ლენინი 1916 წელს გამოქვეყნებულ ცნობილ სტატიაში ამბობს:

«ეს არ არის სწორი. ავტორი აყენებს კითხვას, თუ რით განსხვავდება ერთიმეორისაგან სოციალისტებისა და ანარქისტების დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, მაგრამ უპასუხებს არა, ამ, არამედ სხვა კითხვაზე, თუ რით განსხვავდება ერთიმეორისაგან მათი დამოკიდებულება მომავალი საზოგადოების ეკონომიური საფუძვლისადმი. ეს, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხია. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ შეიძლებოდეს დავიეიწყოთ ის, რაც მთავარია სახელმწიფოსადმი სოციალისტებისა და ანარქისტების დამოკიდებულების განსხვავებაში. სოციალისტები იმის მომხრენი არიან, რომ თანამედროვე სახელმწიფო და მისი დაწესებულებანი გამოყენებულ იქნას მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, აგრეთვე იმის მომხრენი არიან, რომ სახელმწიფო საჭიროა გამოყენებულ . იქნას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე თავისებური გარდამავალი ფორმისათვის. ასეთ გარდამავალ ფორმას. ასევე სახელმწიფოს, წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურა. ანარქისტებს სურთ «გააუქმონ» სახელმწიფო, «ააფეთქონ» («sprengen») იგი, როგორც წერს ერთ ადგილას ამბ. Nota Bene, შეცდომით მიაწერს რა ამ შეხედულებას სოციალისტებს. სოციალისტები — ავტორს, სამწუხაროდ, ძალიან არასრულად მოჰყავს ენგელსის სიტყვები ამის შესახებ — ცნობენ სახელმწიფოს «კვდომას», თანდათანობით «მიძინებას» ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის შემდეგ»...

«სახელმწიფოსადმი «პრინციპულ მტრობას» რომ «ხაზი გაუსვა», საჭიროა მართლაც «ცხადად» გესმოდეს იგი, ავტორს კი სწორედ ეს სიცხადე არ გააჩნია. ხოლო ფრაზა «სახელმწიფოებრიობის ფესვების» შესახებ უკვე სრულიად დაბნეული, არამარქსისტული და არასოციალისტურია. «სახელმწიფოებრიობა» კი არ შეეჯახა სახელმწიფოებრიობის უარყოფას, არამედ ოპორტუნისტული პოლიტიკა (ე. ი. ოპორტუნისტული, რეფორმისტული, ბურჟუაზიული დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი) შეეჯახა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკას (ე. ი. რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ დამოკიდებულებას ბურჟუაზიული სახელმწიფოსადმი და სახელმწიფოს გამოყენებისადმი ბურჟუაზიის წინააღმდეგ მის დასამხობად). ეს სრულიად, სრულიად სხვადასხვა რამეა» (ტ. XIX, გვ. 296).

ვგონებ ცხადია, თუ რაშია აქ საქმე და რა ნახევრად-ანარქისტულ წუმპეში შეტოპა ბუხარინმა!

სტენი. ლენინს მაშინ გაშლილი სახით ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფორმულირებული სახელმწიფოს «აფეთქების» აუცილებლობა. ბუ-

ხარინი ანარქისტულ შეცდომებს უშვებდა, მაგრამ მაინც უახლოვდებოდა ამ საკითხის ფორმულირებას.

სტალინი. არა, ახლა ლაპარაკია არა ამაზე, ლაპარაკია საერთოდ სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაზე, ლაპარაკია იმაზე, რომ, ბუხარინის აზრით, მუშათა კლასი **პრინციპულად** მტრულად უნდა იყოს განწყობილი **ყოველგვარი** სახელმწიფოსადმი, მათ **შორის** მუშათა კლასის სახელმწიფოსადმიც.

სტენი. ლენინი მაშინ ლაპარაკობდა მხოლოდ სახელმწიფოს გამოყენებაზე და ბუხარინის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკაში არაფერს ამბობდა «აფეთქებაზე».

სტალინი. სცდებით: სახელმწიფოს «აფეთქება» მარქსისტული კი არა, ანარქისტული ფორმულაა. გარწმუნებთ, რომ აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მუშებმა ხაზგასმით უნდა აღნიშნონ, ბუხარინის (და ანარქისტების) აზრით, თავიანთი პრინციპული მტრობა ყოველგვარი სახელმწიფოსადმი, მაშასადამე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოსადმიც, მუშათა კლასის სახელმწიფოსადმი.

სცადეთ ჩააგონოთ ჩვენს მუშებს, რომ მუშათა კლასი პრინციპული მტრობით უნდა გაიმსჭვალოს პროლეტარული დიქტატურისადმი, რომელიც ხომ აგრეთვე სახელმწიფოა.

ბუხარინის პოზიცია, რომელიც მოცემულია «ახალგაზრდობის ინტერნაციონალში» მოთავსებულ მის სტატიაში, არის პოზიცია სახელმწიფოს უარყოფისა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში.

ბუხარინს აქ გამოეპარა «წვრილმანი», სახელდობრ — მას გამოეპარა მთელი გარდამავალი პერიოდი, როცა მუშათა კლასს არ შეიძლება არ ჰქონდეს თავისი საკუთარი სახელმწიფო, თუ მას ნამდვილად სურს დათრგუნოს ბურჟუაზია და აშენოს სოციალიზმი. ეს — პირველი.

მეორეც, მართალი არ არის, თითქოს ამხანაგი ლენინი მაშინ თავის კრიტიკაში არ შეჰხებია საერთოდ სახელმწიფოს «აფეთქების», «გაუქმების» თეორიას. ლენინი არა მარტო ეხებოდა ამ თეორიას, როგორც ეს ჩანს ჩემს მიერ მოყვანილი ციტატებიდან, არამედ მან კიდევაც გააკრიტიკა იგი როგორც ანარქისტული თეორია, დაუპირდაპირა მას ბურჟუაზიის დამხობის შემდეგ ახალი სახელმწიფოს, სახელდობრ — პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს **შექმნისა** და **გამოყენების** თეორია.

ბოლოს, არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ სახელმწიფოს «აფეთქებისა» და «გაუქმების» ანარქისტული თეორია და **პროლეტარული** სახელმწიფოს «**კვდომის**», ანუ **ბურჟუაზიულ**-სახელმწი-

ფეოდრივი მანქანის «დანგრევის», «დამსხვრევის» მარქსისტული თეორია. ზოგიერთს მიდრეკილება აქვს ერთმანეთში აურიოს ეს ორი სხვადასხვა ცნება და ფიქრობს, რომ ისინი ერთსა და იმავე აზრს გამოხატავენ. მაგრამ ეს არ არის სწორი. ლენინი ემყარებოდა ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი მანქანის «დანგრევისა» და პროლეტარული სახელმწიფოს «კვდომის» სწორედ მარქსისტულ თეორიას, როცა აკრიტიკებდა საერთოდ სახელმწიფოს «აფეთქებისა» და «გაუქმების» ანარქისტულ თეორიას.

იქნებ ზედმეტი არ იყოს, თუ აქ, მეტი სიცხადისათვის, მოვიყვან ამხ. ლენინის ერთ-ერთ ხელნაწერს სახელმწიფოს შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, დაწერილია 1916 წლის დამლევს ან 1917 წლის დამდეგს (1917 წ. თებერვლის რევოლუციამდე). ამ ხელნაწერიდან შეიძლება ადვილად დავინახოთ, რომ:

ა) აკრიტიკებდა რა ბუხარინის ნახევრად-ანარქისტულ შეცდომებს სახელმწიფოს საკითხში, ლენინი ემყარებოდა პროლეტარული სახელმწიფოს «კვდომისა» და ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი მანქანის «დანგრევის» მარქსისტულ თეორიას.

ბ) თუმცა ბუხარინი, ლენინის თქმით, «უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე კაუცკი», მაგრამ ის მაინც «კაუცკელთა მხილების ნაცვლად ხელს უწყობს მათ თავისი შეცდომებით».

აი ამ ხელნაწერის ტექსტი:

«სახელმწიფოს საკითხში მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ენგელსის 1875 წლის 18—28 მარტის წერილს ბებელისადმი.

აი უმთავრესი ადგილი მთლიანად:

«...თავისუფალი სახალხო სახელმწიფო გადაიქცა თავისუფალ სახელმწიფოდ. ამ სიტყვების გრამატიკული აზრით, თავისუფალი სახელმწიფო ისეთი სახელმწიფოა, რომელშიც სახელმწიფო თავისუფალია თავის მოქალაქეთა მიმართ, ე. ი. ისეთი სახელმწიფოა, სადაც დესპოტური მთავრობაა. საჭიროა უკუგდებულ იქნას მთელი ეს ლაყბობა სახელმწიფოს შესახებ, განსაკუთრებით კომუნის შემდეგ, რომელიც აღარ იყო სახელმწიფო პირდაპირი აზრით. ანარქისტები უკვე კარგა ხანია თვალში გვჩრდნენ «სახალხო სახელმწიფოს», თუმცა უკვე მარქსის თხზულება პრუდონის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ «კომუნისტური მანიფესტი» პირდაპირ გვეუბნებიან, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების შემოღების შემდეგ სახელმწიფო თავისთავად იშლება (sich auflöst) და ქრება. ვინაიდან სახელმწიფო არის მხოლოდ გარდამავალი დაწესებულება, რომლითაც უნდა ვისარგებლოთ ბრძოლაში, რევოლუციაში, რათა ძალით დავთრგუნოთ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ამიტომ ლაპარაკი თავისუფალ სახალხო სახელმწიფოზე სრული უაზრობაა: სანამ პროლეტარიატს კიდევ სჭირდება (ხაზგასმა ენგელსისაა) სახელმწიფო, ის სჭირდება მას არა თავისუფლების ინტერესებისათვის, არამედ თავის მოწინააღმდეგეთა დათრგუნვის ინტერესებისათვის, ხოლო როცა შესაძლებელი ხდება თავისუფლებაზე ლაპარაკი, მაშინ სახელმწიფო როგორც ასეთი, აღარ არსებობს. ამიტომ ჩვენი წინადადება იქნებოდა სიტყვა სახელმწიფოს (ხაზგასმა ენგელსისაა) ნაც-

ელად ყველგან ხმარებულ იქნას სიტყვა «თემი» (Gemeinwesen), ძველი საუცხოო გერმანული სიტყვა, რომელიც შეესაბამება ფრანგულ სიტყვას «კომუნა»».

შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე შესანიშნავი და, ალბათ, ყველაზე მკვეთრი «დგილია, ასე ვთქვათ, «სახელმწიფოს წინააღმდეგ» მარქსისა და ენგელსის თხზულებებში.

(1) «საჭიროა» უკუგდებულ იქნას მთელი ლაყბობა სახელმწიფოს შესახებ».

(2) «კომუნა ადარ იყო სახელმწიფო პირდაპირი აზრით» (მაშ რა იყო? გარდამავალი ფორმა სახელმწიფოდან არასახელმწიფოსაკენ, ცხადია!).

(3) ანარქისტები უკვე კარგა ხანია «თვალში გვჩრიდნენ» (in die Zähne geworfen, სიტყვასიტყვით — სახეში გვირტყამდნენ) «სახალხო სახელმწიფოს» (მაშასადამე, მარქსსა და ენგელსს რცხვენოდათ თავიანთი გერმანელი მეგობრების ამ აშკარა შეცდომისა; — მაგრამ იგი მათ მიაჩნდათ, და, რა თქმა უნდა, მაშინდელი პირობების მიხედვით მართებულადაც მიაჩნდათ, გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვან შეცდომად, ეიდრე ანარქისტების შეცდომა. ეს NB!!).

(4) სახელმწიფო «თავისთავად ირღვევა («იშლება») (Nota Bene) და ქრება»... შეად. შემდეგ: «კვდება») «სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების შემოღების შემდეგ»...

(5) სახელმწიფო არის «დროებითი დაწესებულება», რომელიც საჭიროა «ბრძოლაში, რევოლუციაში»... (საჭიროა, რა თქმა უნდა, პროლეტარიატისათვის)...

(6) სახელმწიფო საჭიროა არა თავისუფლებისათვის, არამედ პროლეტარიატის მოწინააღმდეგეთა დათრგუნვისათვის (Niederhaltung, პირდაპირი აზრით ნიშნავს არა დათრგუნვას, არამედ რესტავრაციისაგან შეკავებას, მორჩილებაში ყოლას).

(7) როცა თავისუფლება იქნება, მაშინ აღარ იქნება სახელმწიფო.

(8) «ჩვენი» (ე. ი. ენგელსისა და მარქსის) წინადადება იქნებოდა «ყველგან» (პროგრამაში) «სახელმწიფოს» ნაცვლად ხმარებულ იქნას სიტყვა «თემი» Gemeinwesen), «კომუნა»!!!

აქედან ჩანს, თუ როგორ გაავულგარეს, შებღალეს მარქსი და ენგელსი არა მარტო ოპორტუნისტებმა, არამედ კაუცკიმაც.

ოპორტუნისტებმა ამ 8 უდიადეს აზრში ვერც ერთი ვერ გაიგეს!!

მათ აიღეს აწყოს მხოლოდ პრაქტიკული საჭიროება: გამოიყენონ პოლიტიკური ბრძოლა, გამოიყენონ თანამედროვე სახელმწიფო პროლეტარიატის გასაწვრთნელად და აღსაზრდელად, «დათმობათა გამოსაგლეჯად». ეს მართალია (ანარქისტების წინააღმდეგ), მაგრამ ეს მარქსიზმის მხოლოდ $^1/_{100}$-ია, თუ შეიძლება ასე არითმეტიკულად გამოითქვას.

თავის პროპაგანდისტულ და საერთოდ პუბლიცისტურ მუშაობაში კაუცკიმ საკუთარი მიჩქმალა (თუ დაავიწყდა? თუ ვერ გაიგო?) 1, 2, 5, 6, 7, 8 პუნქტები და მარქსის «Zerbrechen» (პანეკუკთან პოლემიკის დროს 1912 თუ 1913 წელს (იხ. ქვემოთ, გვ. 45 — 47) კაუცკი უკვე სავსებით ჩაეფლო ოპორტუნიზმში ამ საკითხის გამო).

ანარქისტებისაგან ჩვენ განგვასხვავებს (α) სახელმწიფოს გამოყენება ახლა და (β) პროლეტარიატის რევოლუციის დროს («პროლეტარიატის დიქტატურა») — პრაქტიკისათვის უმნიშვნელოვანესი პუნქტები, მაშინვე. (სწორედ ისინი დაავიწყდა ბუხარინს!).

ოპორტუნისტებისაგან — უფრო ღრმა, «უფრო მარადიული» ჭეშმარიტებანი (αα) სახელმწიფოს «დროებითი» ხასიათის შესახებ, (ββ) ამჟამად მასზე «ლაყბობის» მავნეობის შესახებ, (γγ) პროლეტარიატის დიქტატურის არასავსებით

სახელმწიფოებრივი ხასიათის შესახებ, (ιδ) სახელმწიფოსა და თავისუფლების წინააღმდეგობის შესახებ, (ιε) სახელმწიფოს ნაცვლად «თემის» უფრო სწორი იდეის (ცხების, საპროგრამო ტერმინის) შესახებ, (ιζ) ბიუროკრატიულ-სამხედრო მანქანის «დამსხვრევის» (Zerbrechen) შესახებ.

არ უნდა დავივიწყოთ კიდევ, რომ პროლეტარიატის დიქტატურას გერმანიის აშკარა ოპორტუნისტები (ბერნშტეინი, კოლბი etc.) პირდაპირ უარყოფენ, ხოლო ოფიციალური პროგრამა და კაუცკი უარყოფენ არაპირდაპირ, დუმან რა მის შესახებ ყოველდღიურ აგიტაციაში და ითმენენ რა კოლბებისა და კომპანიის რენეგატობას.

1916 წ. აგვისტოში ბუხარინს მისწერეს: «აცალე მომწიფება შენს აზრებს სახელმწიფოს შესახებ». მან კი არ აცალა მომწიფება, გამოძვრა პრესაში როგორც «Nota Bene» და ეს ისე მოიმოქმედა, რომ კაუცკელთა მხილების ნაცვლად ხელი შეუწყო მათ თავისი შეცდომებით!! არსებითად კი ბუხარინი უფრო ახლოა ჰეშმარიტებასთან, ვიდრე კაუცკი».

ასეთია სახელმწიფოს საკითხის გამო თეორიული დავის მოკლე ისტორია.

საქმე თითქოს ცხადია: ბუხარინმა დაუშვა ნახევრად-ანარქისტული შეცდომები, — დროა გამოასწოროს ეს შეცდომები და შემდგომ გაჰყვეს ლენინის გზას. მაგრამ მხოლოდ ლენინელებს შეუძლიათ ასე იფიქრონ. ბუხარინი, თურმე, როდი ეთანხმება ამას. პირიქით, ის ამტკიცებს, რომ ცდებოდა არა ის, არამედ ლენინი, რომ ის კი არ წასულა ან უნდა წავიდეს ლენინის გზით, არამედ, პირიქით, ლენინი გახდა იძულებული ბუხარინის გზას გაჰყოლოდა.

ეს დაუჯერებლად მიგაჩნიათ, ამხანაგებო? მაშ მოისმინეთ კიდევ. 1916 წელს მომხდარი ამ დავის დროიდან 9 წლის შემდეგ, რომელთა განმავლობაშიც ბუხარინი დუმდა, ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, სახელდობრ 1925 წელს, ბუხარინი კრებულში «სამართლის რევოლუცია» ათავსებს სტატიას «იმპერიალისტური სახელმწიფოს თეორიისათვის», რომელიც თავის დროზე არ მიიღო დასაბეჭდად «სოციალ-დემოკრატის კრებულის» რედაქციამ (ესე იგი ლენინმა); ამ სტატიის შენიშვნაში ბუხარინი პირდაპირ აცხადებს, რომ ამ დავაში მართალი იყო არა ლენინი, არამედ, ის, ბუხარინი. ეს შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს ფაქტია, ამხანაგებო.

მოისმინეთ ამ შენიშვნის ტექსტი:

««ახალგაზრდობის ინტერნაციონალში» მოთავსებული სტატიის წინააღმდეგ შენიშვნით გამოვიდა ვ. ი. (ესე იგი ლენინი). მკითხველები ადვილად დაინახავენ, რომ მე არ მჭონია შეცდომა, რომელსაც მომაწერდნენ, ვინაიდან მე ნათლად ვხედავდი პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას; მეორე მხრივ, ილიჩის შენიშვნიდან ჩანს, რომ ის მაშინ არასწორად უდგებოდა დებულებას სახელმწიფოს (რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული სახელმწიფოს) «აფეთქების» შესახებ, ამ

საკითხს ურევდა პროლეტარიატის დიქტატურის კვლომის საკითხში [1]. იქნებ, მაშინ უფრო უნდა განმეკითარებინა თემა დიქტატურის შესახებ. მაგრამ თავის გასამართლებლად შემიძლია ვთქვა, რომ მაშინ ისე საყოველთაოდ იყო გავრცელებული ბურჟუაზიული სახელმწიფოს სოციალ-დემოკრატიული ქება-დიდება, რომ ბუნებრივი იყო მთელი ყურადღების მიპყრობა ამ მანქანის აფეთქების საკითხისადმი.

როცა ამერიკიდან რუსეთში ჩამოვედი და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ვნახე (ეს იყო ჩვენს არალეგალურ VI ყრილობაზე, და ამ დროს ვ. ი. იმალებოდა), მისი პირველი სიტყვები იყო: «ვ. ი. მთხოვა გადმოგცეთ, რომ სახელმწიფოს საკითხში მას ახლა თქვენთან უთანხმოება არა აქვს». ამ საკითხზე მუშაობის დროს ილიჩი მივიდა იმავე დასკვნებამდე [1] «აფეთქების» შესახებ, მაგრამ მან ეს თემა და შემდეგ დიქტატურის შესახებ მოძღვრებაც იმდენად განავითარა, რომ მთელი ეპოქა შექმნა თეორიული აზრის განვითარებაში ამ მიმართულებით».

ასე წერს ლენინზე ბუხარინი ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ.

აი ნიმუში სწავლამოუთავებელი თეორეტიკოსის ჰიპერტროფირებული პრეტენზიულობისა!

სავსებით შესაძლებელია, რომ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა მართლაც უთხრა ბუხარინს ის, რასაც აქ ბუხარინი წერს. მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან? აქედან მხოლოდ ერთი რამ გამომდინარეობს, რომ ლენინს ერთგვარი საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ბუხარინმა უარყო ან მზად არის უარყოს თავისი შეცდომები. ეს არის და ეს. მაგრამ ბუხარინმა სხვანაირად განსაჯა. მან გადაწყვიტა, რომ ამიერიდან სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის შემქმნელად, ან ყოველ შემთხვევაში სულისჩამდგმელად, უნდა ჩაითვალოს არა ლენინი, არამედ ის, ე. ი. ბუხარინი.

დღემდე ჩვენს თავს ვთვლიდით და კვლავაც ვთვლით ლენინელებად. ახლა კი გამოდის, რომ, თურმე, ლენინიც და ჩვენც, მისი მოწაფეები, ბუხარინელები ვყოფილვართ. ცოტა არ იყოს სასაცილოა, ამხანაგებო. მაგრამ რა გაეწყობა, როცა საქმე გვაქვს ბუხარინის გაბერილ პრეტენზიულობასთან.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბუხარინს წამოსცდა ეს სიტყვები ზემოაღნიშნული სტატიის შენიშვნაში, რომ მან სისულელე თქვა და შემდეგ დაივიწყა იგი. მაგრამ ეს, თურმე, არ არის სწორი. ბუხარინი ამას, თურმე, სავსებით სერიოზულად ამბობდა. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ბუხარინის ის განცხადება ლენინის შეცდომებზე და ბუხარინის სიმართლეზე, რომლითაც იგი გამოვიდა ამ შენიშვნაში, ხელმეორედ გამოქვეყნდა ამას წინათ, სახელდობრ 1927 წელს, ესე იგი ლენინის წინააღმდეგ ბუხარინის პირველი გამოსვლიდან ორი

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

წლის შემდეგ, მარეცკის ბიოგრაფიულ ნარკვევში ბუხარინის შესახებ, ამასთან ბუხარინს ფიქრადაც არ მოსვლია პროტესტი განეცხადებინა მარეცკის ასეთი... გამბედაობის წინააღმდეგ. ცხადია, რომ ბუხარინის გამოსვლა ლენინის წინააღმდეგ არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს.

ამრიგად, გამოდის, რომ მართალია ბუხარინი, და არა ლენინი, რომ სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის სულისჩამდგმელია არა ლენინი, არამედ ბუხარინი.

ასეთია, ამხანაგებო, ბუხარინის თეორიულ ნაღრძობთა და თეორიულ პრეტენზიათა სურათი.

და ამ ადამიანს ყოველივე ამის შემდეგ გამბედაობა ჰყოფნის თქვას აქ თავის სიტყვაში, რომ ჩვენი პარტიის თეორიულ გეზში «რაღაც სიდამპლეა», რომ ჩვენი პარტიის თეორიულ გეზში არის გადახრა ტროცკიზმისაკენ!

და ამას ამბობს სწორედ ის ბუხარინი, რომელიც უშვებს (და წარსულშიც უშვებდა) მთელ რიგ უაღრესად უხეშ თეორიულ და პრაქტიკულ შეცდომებს, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ტროცკის შეგირდი იყო, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ლენინელების წინააღმდეგ ტროცკისტებთან ბლოკს ეძებდა და მათთან უკანა კარიდან დარბოდა!

განა ეს სასაცილო არ არის, ამხანაგებო?

თ) ხუთწლედი თუ ოცწლედი

ახლა ნება მომეცით გადავიდე რიკოვის სიტყვაზე. თუ ბუხარინი ცდილობდა თეორიულად დაესაბუთებინა მემარჯვენე გადახრა, რიკოვი თავის სიტყვაში ცდილობს ამ საქმეს საფუძვლად დაუდოს პრაქტიკული წინადადებანი და გვაშინებს «საშინელი ამბებით» იმ სიძნელეთა სფეროდან, რომლებიც გვაქვს სოფლის მეურნეობის ხაზით. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რიკოვი არ შეეხებია თეორიულ საკითხებს. არა, ის მათ შეეხო. მაგრამ, შეეხო რა მათ, სულ ცოტა ორი სერიოზული შეცდომა დაუშვა.

ხუთწლიანი გეგმის შესახებ თავის რეზოლუციის პროექტში, რომელიც პოლიტბიუროს კომისიამ უარყო, რიკოვი ამბობს, რომ «ხუთწლიანი გეგმის ცენტრალური იდეა მდგომარეობს სახალხო შრომის ნაყოფიერების ზრდაში». მიუხედავად იმისა, რომ პოლიტბიუროს კომისიამ უარყო ეს სრულიად უმართებულო გეზი, რიკოვი იცავდა მას აქ თავის სიტყვაში.

მართალია თუ არა, რომ საბჭოთა ქვეყანაში ხუთწლიანი გეგმის ცენტრალურ იდეას შრომის ნაყოფიერების ზრდა შეადგენს? არა,

არ არის მართალი. ჩვენ ხომ სახალხო შრომის ნაყოფიერების ყოველგვარი ზრდა არ გვესაჭიროება. ჩვენ გვესაჭიროება სახალხო შრომის ნაყოფიერების გარკვეული ზრდა, სახელდობრ — ისეთი ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის სისტემატურ უპირატესობას კაპიტალისტურ სექტორთან შედარებით. ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ამ ცენტრალურ იდეას ივიწყებს, ხუთწლიანი გეგმა კი არა, ხუთწლიანი აბდაუბდაა.

შრომის ნაყოფიერების ზრდით საერთოდ დაინტერესებულია ყოველგვარი საზოგადოება, კაპიტალისტურიც და წინაკაპიტალისტურიც. საბჭოთა საზოგადოება სწორედ იმით განსხვავდება ყოველგვარი სხვა საზოგადოებისაგან, რომ ის დაინტერესებულია შრომის ნაყოფიერების არა ყოველგვარი ზრდით, არამედ ისეთი ზრდით, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობის სოციალისტური ფორმების უპირატესობას მეურნეობის სხვა ფორმებთან და უწინარეს ყოვლისა კაპიტალისტურ ფორმებთან შედარებით, რომელიც ამრიგად უზრუნველყოფს მეურნეობის კაპიტალისტური ფორმების დაძლევასა და განდევნას. რიკოვმა კი დაივიწყა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ხუთწლიანი გეგმის ეს მართლაც ცენტრალური იდეა. ეს არის მისი პირველი თეორიული შეცდომა.

მისი მეორე შეცდომა ის არის, რომ იგი არ განასხვავებს ან არ სურს გაიგოს, თუ რა განსხვავებაა საქონელბრუნვის თვალსაზრისით, ვთქვათ, კოლმეურნეობასა და ყოველგვარ ინდივიდუალურ მეურნეობას, კერძოდ ინდივიდუალურ კაპიტალისტურ მეურნეობას შორის. რიკოვი გვარწმუნებს, რომ პურის ბაზარზე საქონელბრუნვის თვალსაზრისით, პურის მიღების თვალსაზრისით ის ვერ ხედავს განსხვავებას კოლმეურნეობასა და პურის კერძო მფლობელს შორის, მაშასადამე, მისთვის სულ ერთია, პურს კოლმეურნეობისაგან ვყიდულობთ, კერძო მფლობელისაგან თუ პურის რომელიმე არგენტინელი შემსყიდველისაგან. ეს სრულიად არ არის მართალი. ეს არის ფრუმკინის ცნობილი განცხადების გამეორება, რომელიც ერთ დროს გვარწმუნებდა, რომ მისთვის სულ ერთია, სად ვიყიდით და ვისგან ვიყიდით პურს, კერძო ვაჭრისაგან თუ კოლმეურნეობისაგან.

ეს არის პურის ბაზარზე კულაკური მახინაციების დაცვის, რეაბილიტაციის, გამართლების შენიღბული ფორმა. ის ფაქტი, რომ ეს დაცვა საქონელბრუნვის თვალსაზრისით წარმოებს, — ეს ფაქტი არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ეს მაინც გამართლებაა კულაკური მახინაციებისა პურის ბაზარზე. თუ საქონელბრუნვის თვალსაზრისით განსხვავება არ არსებობს მეურნეობის კოლექტიურ და არაკოლექ-

ტიურ ფორმებს შორის, მაშინ განა ღირს განვავითაროთ კოლმეურნეობები, განა ღირს მივცეთ მათ შეღავათები, განა ღირს ხელი მოვკიდოთ სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის ძნელ ამოცანას? ცხადია, რიკოვმა უმართებულო გეზი აიღო. ეს არის მისი მეორე თეორიული შეცდომა.

მაგრამ ეს — გაკვრით. გადავიდეთ პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებიც დაყენებულია რიკოვის სიტყვაში.

რიკოვი აქ ამტკიცებდა, რომ ხუთწლიან გეგმას გარდა საჭიროა კიდევ მეორე, პარალელური გეგმა, სახელდობრ — სოფლის მეურნეობის განვითარების ორწლიანი გეგმა. ამ წინადადებას პარალელური ორწლიანი გეგმის შესახებ იგი სოფლის მეურნეობაში არსებული სიძნელეებით ასაბუთებდა. ის ამბობდა: ხუთწლიანი გეგმა კარგი საქმეა, და მე მხარს ვუჭერ მას, მაგრამ თუ ამავე დროს გვექნება სოფლის მეურნეობის ორწლიანი გეგმა, ეს უფრო უკეთესი იქნება, — წინაალმდეგ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის საქმე შეფერხდებაო.

ერთი შეხედვით ეს წინადადება თითქოს ცუდს არაფერს წარმოადგენს. მაგრამ თუ საქმეს ჩავუკვირდებით, გამოდის, რომ სოფლის მეურნეობის ორწლიანი გეგმა მოგონილია იმისათვის, რომ ხაზი გაესვას ხუთწლიანი გეგმის არარეალურ, კანცელარიულ ხასიათს. შეგვეძლო თუ არა დავთანხმებოდით ამას? არა, არ შეგვეძლო. ჩვენ ვეუბნებოდით რიკოვს: თუ თქვენ უკმაყოფილო ხართ ხუთწლიანი გეგმით სოფლის მეურნეობის ხაზით, თუ არასაკმაოდ მიგაჩნიათ ის ასიგნობები, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის არის განკუთვნილი, მაშინ პირდაპირ გვითხარით, როგორია თქვენი დამატებითი წინადადებანი, თქვენი დამატებითი დაბანდებანი, — ჩვენ თანახმა ვართ შევიტანოთ ხუთწლიან გეგმაში ეს დამატებითი დაბანდებანი სოფლის მეურნეობისათვის. და მერე რა გამოირკვა? გამოირკვა, რომ რიკოვს არა აქვს არავითარი დამატებითი წინადადებანი სოფლის მეურნეობისათვის დამატებით დაბანდებათა შესახებ. იბადება კითხვა: მაშ რა საჭიროა სოფლის მეურნეობის პარალელური ორწლიანი გეგმა?

შემდეგ ჩვენ მას ვეუბნებოდით: ხუთწლიან გეგმას გარდა არის კიდევ წლიური გეგმები, რომლებიც ხუთწლიანი გეგმის ნაწილს წარმოადგენენ, — მოდით შევიტანოთ პირველი ორი წლის წლიურ გეგმებში ის დამატებითი კონკრეტული წინადადებანი სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზით, რომლებიც თქვენ გაქვთ, თუ კი საერთოდ გაქვთ ისინი. და მერე რა გამოირკვა? გამოირკვა, რომ

დამატებითი ასიგნობების ასეთი კონკრეტული გეგმები რიკოვს არა აქვს.

მაშინ ჩვენ მიეხვდით, რომ რიკოვის წინადადება ორწლიანი გეგმის შესახებ გულისხმობს არა სოფლის მეურნეობის განვითარებას, არამედ სურვილს — ხაზი გაესვას ხუთწლედის არარეალურ, კანცელარიულ ხასიათს, სურვილს — სახელი გაუტეხოს ხუთწლედს. «სულისათვის», საჩვენებლად — ხუთწლიანი გეგმა, საქმისათვის, პრაქტიკული მუშაობისათვის — ორწლიანი გეგმა, — აი რა სტრატეგია გამოუვიდა რიკოვს. ორწლიანი გეგმა რიკოვმა იმისთვის წამოაყენა, რომ შემდეგ, ხუთწლიანი გეგმის პრაქტიკული განხორციელების მსვლელობაში, ხუთწლედისათვის დაეპირისპირებინა ორწლედი, გადაეკეთებინა ხუთწლედი და შეეგუებინა იგი ორწლიანი გეგმისათვის, შეეკვეცა და შეემცირებინა ასიგნობები ინდუსტრიის საქმისათვის.

აი რა მოსაზრებებით უარვყავით რიკოვის წინადადება ორწლიანი პარალელური გეგმის შესახებ.

Ა) ᲜᲐᲗᲔᲡᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

რიკოვი აქ აშინებდა პარტიას და გვარწმუნებდა, სსრ კავშირში ნათეს ფართობებს სისტემატური შემცირების ტენდენცია აქვთო. ამასთან იგი თითს იშვერდა პარტიისაკენ და გადაკერით ამბობდა, ნათესი ფართობების შემცირება პარტიის პოლიტიკის ბრალიაო. იგი პირდაპირ არ ამბობდა, რომ ჩვენში საქმე სოფლის მეურნეობის დეგრადაციისაკენ მიდის. მაგრამ მისი სიტყვა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ჩვენში დეგრადაციის მსგავსი რამ ხდებოდეს.

მართალია თუ არა, რომ ნათეს ფართობებს სისტემატური შემცირების ტენდენცია აქვთ? არა, არ არის მართალი. რიკოვმა მოიყვანა აქ საშუალო რიცხვები ჩვენი ქვეყნის ნათესი ფართობების შესახებ. მაგრამ საშუალო რიცხვთა მეთოდი, რომელიც შესწორებული არ არის ცნობებით რაიონების მიხედვით, არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მეცნიერული მეთოდი.

იქნებ რიკოვს როდისმე წაუკითხავს ლენინის «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში». თუ წაუკითხავს, უნდა ახსოვდეს, როგორ ლანძღავს ლენინი იქ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს, რომლებიც სარგებლობენ ნათესი ფართობების ზრდის საშუალო რიცხვთა მეთოდით და უგულებელყოფენ ცნობებს რაიონების მიხედვით. უცნაურია, რომ რიკოვი ახლა იმეორებს ბურჟუაზიული ეკონომისტების შეცდომებს. და აი, თუ განვიხილავთ ნათესი ფართობების მოძრაობას რაიონების მიხედვით, ე. ი. თუ საქმეს მეცნიერულად მი-

ვუდგებით, გამოდის, რომ ზოგ რაიონში ნათესი ფართობები სისტემატურად იზრდება, ზოგში კი — ხანდახან მცირდება, უმთავრესად მეტეოროლოგიური პირობების გამო, ამასთან არ მოიპოვება ისეთი ცნობები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ სადმე, პურის თუნდაც ერთ-ერთ სერიოზულ რაიონში, ნათესი ფართობების სისტემატური შემცირება გვქონდეს.

მართლაც, იმ რაიონებში, სადაც ყინვები ან გვალვა იყო, მაგალითად უკრაინის ზოგიერთ ოლქში, ნათესი ფართობები უკანასკნელ ხანს შემცირდა...

ხმა. არა მთელ უკრაინაში.

შლიხტერი. უკრაინაში ნათესი ფართობები 2,7%-ით გაიზარდა.

სტალინი. მე მხედველობაში მაქვს უკრაინის ველიანი ზოლი. სხვა რაიონებში კი, ვთქვათ, ციმბირში, ვოლგისპირეთში, ყაზახეთში, ბაშკირეთში, სადაც ცუდი კლიმატური პირობები არ იყო, ნათესი ფართობები სისტემატურად იზრდება.

რით აიხსნება, რომ ზოგ რაიონში ნათესი ფართობები სისტემატურად იზრდება, ზოგში კი — ხანდახან მცირდება? მართლაცდა ხომ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ პარტიის პოლიტიკა უკრაინაში ერთია, ხოლო სსრ კავშირის აღმოსავლეთ ნაწილსა ან ცენტრში — სხვა. ეს ხომ აბსურდია, ამხანაგებო. ცხადია, კლიმატურ პირობებს აქ მცირე მნიშვნელობა როდი აქვთ.

მართალია, კულაკები ამცირებენ ნათეს ფართობებს, კლიმატური პირობებისაგან დამოუკიდებლად. ამაში, შეიძლება ითქვას, «ბრალი მიუძღვის» პარტიის პოლიტიკას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს ღარიბი და საშუალო გლეხობის მასებს კულაკობის წინააღმდეგ. მაგრამ აქედან რა გამომდინარეობს? განა ჩვენ როდისმე გვიკისრია ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომელიც დააკმაყოფილებდა სოფლის ყველა სოციალურ ჯგუფს, მათ შორის კულაკებსაც? და საერთოდ, განა ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც დააკმაყოფილებდა ექსპლოატატორებსაც და ექსპლოატირებულებსაც, თუ კი საერთოდ გვინდა ვაწარმოოთ მარქსისტული პოლიტიკა? რა არის აქ გასაკვირველი, თუ ჩვენი ლენინური პოლიტიკის შედეგად, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვას და დაძლევას სოფლად, კულაკები იწყებენ თავიანთი ნათესის ნაწილობრივ შემცირებას? განა სხვანაირად შეიძლება იყოს?

იქნებ ეს პოლიტიკა სწორი არ არის, — მაშინ გვითხრან ეს პირდაპირ. განა უცნაური არ არის, რომ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს მარქსისტებს უწოდებენ, შეშინებულები ცდილობენ

კულაკების მიერ ნათესის ნაწილობრივ შემცირება გაასაღონ საერთოდ ნათესი ფართობების შემცირებად და ივიწყებენ, რომ კულაკებს გარდა არსებობენ აგრეთვე ღარიბი და საშუალო გლეხები, რომელთა ნათესი ფართოვდება, ივიწყებენ, რომ არსებობენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელთა ნათესი ჩქარი ტემპით იზრდება.

დასასრულ, კიდევ ერთი უმართებულობა რიკოვის სიტყვაში ნათესი ფართობების საკითხის შესახებ. რიკოვი აქ ჩიოდა, რომ აქაიქ, სახელდობრ იმ ადგილებში, სადაც კოლმეურნეობები ყველაზე მეტად არის განვითარებული, ღარიბი და საშუალო გლეხობის ინდივიდუალური ფართობი მცირდებაო. ეს მართალია. მერე რა არის აქ ცუდი? მაშ სხვანაირად როგორ უნდა იყოს? თუ კი ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობანი ინდივიდუალურ ფართობს ტოვებენ და კოლექტიურ მეურნეობაზე გადადიან, განა ცხადი არ არის, რომ კოლმეურნეობების გაფართოებამ და გამრავლებამ უნდა გამოიწვიოს ღარიბი და საშუალო გლეხობის ინდივიდუალური ფართობის შემცირება? მაშ როგორ გინდათ?

ამჟამად კოლმეურნეობებს აქვთ ორ მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა. ხუთწლედის დასასრულს კოლმეურნეობებს 25 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა ექნებათ. ვის ხარჯზე იზრდება აქ საკოლმეურნეო ფართობი? ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური ფართობის ხარჯზე. მაშ როგორ გინდათ? სხვანაირად როგორ უნდა გადავიყვანოთ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობანი კოლექტიური მეურნეობის რელსებზე? განა ცხადი არ არის, რომ მთელ რიგ რაიონებში საკოლმეურნეო ფართობი გაიზრდება ინდივიდუალური ფართობის ხარჯზე?

გასაოცარია, რომ ადამიანებს არა სურთ ეს მარტივი რამ გაიგონ.

ᲙᲐ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პურის საქმეში ჩვენი სიძნელეების შესახებ აქ ბევრი ზღაპარი ითქვა. მაგრამ პურის საქმეში ჩვენი კონიუნქტურული სიძნელეების მთავარი მომენტები მხედველობიდან გამორჩათ.

უწინარეს ყოვლისა დაავიწყდათ, რომ წელს ჰვავი და ხორბალი, — მე ვლაპარაკობ საერთო მოსავალზე, — 500 — 600 მილიონი ფუთით ნაკლები ავიღეთ, ვიდრე გასულ წელს. განა შეიძლებოდა ამას ჩვენს პურის დამზადებაზე გავლენა არ მოეხდინა? ცხადია, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა.

იქნებ ეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის ბრალია? არა, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია. ეს აიხსნე-

ბა სერიოზული მოუსავლობით უკრაინის ველიან ზოლში (ყინვები და გვალვა) და ნაწილობრივი მოუსავლობით ჩრდილოეთ კავკასიაში, ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქში, ჩრდილო-დასავლეთ ოლქში.

უმთავრესად სწორედ ამით აიხსნება, რომ უკრაინაში შარშან 1 აპრილისათვის პური (ჭვავი და ხორბალი) დავამზადეთ 200 მილიონი ფუთი, წელს კი მხოლოდ 26 — 27 მილიონი ფუთი.

ამითვე უნდა აიხსნას ხორბლისა და ჭვავის დამზადების თითქმის 8-ჯერ შემცირება ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქში და 4-ჯერ — ჩრდილოეთ კავკასიაში.

მიმდინარე წელს აღმოსავლეთის ზოგიერთ რაიონში პურის დამზადება თითქმის ერთიორად გაიზარდა. მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო შეევსო და არც შეუესია პურის ის დანაკლისი, რომელიც გვქონდა უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნორმალური მოსავლის დროს უკრაინა და ჩრდილოეთი კავკასია ამზადებენ მთელი იმ პურის დაახლოებით ნახევარს, რომელიც სსრ კავშირში მზადდება.

უცნაურია, რომ ეს გარემოება რიკოვს მხედველობიდან გამორჩა.

დასასრულ, მეორე გარემოება, რომელიც პურის დამზადებაში ჩვენი კონიუნქტურული სიძნელეების მთავარ მომენტს წარმოადგენს. მე მხედველობაში მაქვს წინააღმდეგობა, რასაც სოფლის კულაკური ელემენტები უწევენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას პურის დამზადების დარგში. რიკოვმა გვერდი აუარა ამ გარემოებას. მაგრამ ამ მომენტისათვის გვერდის ავლა ნიშნავს გვერდი აუარო იმას, რაც მთავარია პურის დამზადების საქმეში. რას მოწმობს პურის დამზადების უკანასკნელი ორი წლის გამოცდილება? იგი იმას მოწმობს, რომ სოფლის შეძლებულ ფენებს, რომლებსაც ხელში მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვთ ჭარბი პური და რომლებიც პურის ბაზარზე სერიოზულ როლს თამაშობენ, არ უნდათ ნებაყოფლობით მოგვცეს პურის საჭირო რაოდენობა საბჭოთა ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ ფასებში. პურით ქალაქებისა და სამრეწველო პუნქტების, წითელი არმიისა და ტექნიკურ კულტურათა რაიონების უზრუნველყოფისათვის ჩვენ გვესაჭიროება ყოველწლიურად 500 მილიონამდე ფუთი პური. თვითდინების წესით ვახერხებთ დაახლოებით 300 — 350 მილიონი ფუთის დამზადებას. დანარჩენი 150 მილიონი ფუთის აღება გვიხდება სოფლის კულაკურ და შეძლებულ ფენებზე ორგანიზებული ზემოქმედების წესით. აი რას მოწმობს უკანასკნელი ორი წლის ჩვენი გამოცდილება პურის დამზადებაში.

რა მოხდა ამ ორი წლის განმავლობაში, საიდან წარმოიშვა ასეთი ცვლილებანი, წინათ რატომ გვშველოდა თვითდინება, ახლა კი იგი არასაკმარისი აღმოჩნდა? მოხდა ის, რომ ამ წლების განმავლობაში კულაკური და შეძლებული ელემენტები გაიზარდნენ, კარგმოსავლიან მთელ რიგ წლებს მათთვის უშედეგოდ როდი ჩაუვლია, ისინი მომაგრდნენ მეურნეობრივად, დაიგროვეს საკმაო კაპიტალი და ახლა შეუძლიათ მანევრირება ბაზარზე, ჭარბი პურის შემოხახვა მაღალი ფასების მოლოდინში და იოლად წასვლა სხვა კულტურებით.

პური არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უბრალო საქოხლად. პური ბამბა როდია, რომლის ჭამა არ შეიძლება და რომელსაც ყველას ვერ მიჰყიდი. ბამბისაგან განსხვავებით, პური ჩვენს დღევანდელ პირობებში ისეთი საქონელია, რომელიც ყველას მიაქვს და ურომლისოდაც არსებობა შეუძლებელია. კულაკი ამას ითვალისწინებს, და იგი შემოინახავს ხოლმე მას, რითაც მაგალითს აძლევს საერთოდ იმათ, ვის ხელშიც პურია. კულაკმა იცის, რომ პური ვალუტათა ვალუტაა. კულაკმა იცის, რომ ჭარბი პური არა მარტო საკუთარი გამდიდრების საშუალებაა, არამედ ღარიბი გლეხობის დამონების საშუალებაც არის. ახლანდელ პირობებში ჭარბი პური კულაკის ხელში კულაკური ელემენტების სამეურნეო და პოლიტიკური გაძლიერების საშუალებაა. ამიტომ კულაკისათვის ამ ჭარბი პურის გამორთმევით ჩვენ არა მარტო ვაადვილებთ ქალაქებისა და წითელი არმიის მომარაგებას პურით, არამედ ძირსაც ვუთხრით კულაკობის სამეურნეო და პოლიტიკური გაძლიერების საშუალებას.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს ჭარბი პური მივიღოთ? უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღმოვფხვრათ თვითდინების ფსიქოლოგია, როგორც მავნე და საშიში მოვლენა. საჭიროა მოვაწყოთ პურის დამზადება. საჭიროა დავრაზმოთ ღარიბი და საშუალო გლეხობის მასები კულაკობის წინააღმდეგ და მოვაწყოთ მათი საზოგადოებრივი მხარდაჭერა იმ ღონისძიებებისათვის, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება პურის დამზადების გასაძლიერებლად ახორციელებს. მნიშვნელობა პურის დამზადების ურალ-ციმბირის მეთოდისა, რომელიც თვითდაბეგვრის პრინციპის მიხედვით ტარდება, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა დავრაზმოთ სოფლის მშრომელი ფენები კულაკობის წინააღმდეგ პურის დამზადების გასაძლიერებლად. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეს მეთოდი დადებით შედეგებს გვაძლევს. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ დადებით შედეგებს ვიღებთ ორი მიმართულებით: ჯერ-ერთი, სოფლის შეძლებულ ფენებს ვართმევთ ჭარბ პურს და ამით ვაადვილებთ ჩვენი ქვეყნის მომარაგებას; მეორეც, ამ საქმეზე

ვრაზმავთ ღარიბი და საშუალო გლეხობის მასებს კულაკობის წინააღმდეგ, ვანათლებთ მათ პოლიტიკურად და ვქმნით მათგან ჩვენს მძლავრ მრავალმილიონიან პოლიტიკურ არმიას სოფლად. ზოგიერთი ამხანაგი ანგარიშს არ უწევს ამ უკანასკნელ გარემოებას. ნამდვილად კი სწორედ იგი წარმოადგენს პურის დამზადების ურალ-ციმბირის მეთოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს, თუ ყველაზე მნიშვნელოვანს არა.

მართალია, ეს მეთოდი ზოგჯერ უკავშირდება კულაკობის წინააღმდეგ საგანგებო ზომების მიღებას, რაც ბუხარინისა და რიკოვის კომიკურ გოდებას იწვევს. განა რა არის აქ ცუდი? რატომ არ შეიძლება ზოგჯერ, გარკვეულ პირობებში გამოვიყენოთ საგანგებო ზომები ჩვენი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, კულაკობის წინააღმდეგ? რატომ შეიძლება ქალაქებში ასობით ვაპატიმრებდეთ სპეკულანტებს და ვასახლებდეთ ტურუხანსკის მხარეში, კულაკებს კი, რომლებიც პურით სპეკულაციას ეწევიან და ცდილობენ ყელში სწვდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და დაიმონონ ღარიბი გლეხობა, არ შეიძლება საზოგადოებრივი იძულების წესით ჩამოვართვათ ჭარბი პური იმ ფასებში, რა ფასებშიც ღარიბი და საშუალო გლეხები აბარებენ პურს ჩვენს დამამზადებელ ორგანიზაციებს? საიდან გამომდინარეობს ეს? განა ჩვენი პარტია როდისმე პრინციპულად წინააღმდეგი ყოფილა სპეკულანტების და კულაკობის მიმართ საგანგებო ზომების გამოყენებისა? განა ჩვენ არა გვაქვს კანონი სპეკულანტების წინაღმდეგ?

რიკოვი და ბუხარინი, როგორც ჩანს, პრინციპულად წინააღმდეგი არიან კულაკობის მიმართ საგანგებო ზომების ყოველგვარი გამოყენებისა. მაგრამ ეს ხომ ბურჟუაზიულ-ლიბერალური პოლიტიკაა და არა მარქსისტული პოლიტიკა. არ შეიძლება თქვენ არ იცოდეთ, რომ ლენინი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ იმ აზრსაც კი გამოთქვამდა, რომ დაგბრუნებოდით ღარიბთა კომიტეტების პოლიტიკას, რა თქმა უნდა, გარკვეულ პირობებში. ხოლო რა არის კულაკების წინააღმდეგ საგანგებო ზომების ნაწილობრივ გამოყენება? ღარიბთა კომიტეტების პოლიტიკასთან შედარებით ეს წვეთიც არ არის ზღვაში.

მათ, ბუხარინის ჯგუფის მომხრეებს, იმედი აქვთ დაარწმუნონ კლასობრივი მტერი იმაში, რომ მან ნებაყოფლობით თქვას უარი თავის ინტერესებზე და ნებაყოფლობით ჩაგვაბაროს თავისი ჭარბი პური. მათ იმედი აქვთ, რომ კულაკი, რომელიც გაიზარდა, რომელიც სპეკულაციას ეწევა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს იოლად წავიდეს სხვა კულტურებით და რომელიც მალავს თავის ჭარბ პურს, —

მათ იმედი აქვთ, რომ აი ეს კულაკი ნებაყოფლობით მოგვცემს თავის ჭარბ პურს ჩვენს დამზადების ფასებში. ისინი ჭკუაზე ხომ არ შეშლილან? განა ცხადი არ არის, რომ მათ არ ესმით კლასობრივი ბრძოლის შექანიკა, არ იციან, რა არის კლასები?

იციან თუ არა მათ, როგორ დასცინიან კულაკები ჩვენს მუშაკებს და საბჭოთა ხელისუფლებას სასოფლო კრებებზე, რომლებიც პურის დამზადების გასაძლიერებლად იმართება? იციან თუ არა მათ ისეთი ფაქტები, როცა ჩვენი აგიტატორი, მაგალითად, ყაზახეთში, ორ საათს არწმუნებდა პურის მფლობელებს ჩაებარებინათ პური ჩვენი ქვეყნის მომარაგებისათვის, კულაკი კი გამოვიდა ჩიბუხით პირში და უპასუხა: «ყმაწვილო, მოდი ერთი იცეკვე, და ორიოდე ფუთ პურს მოგცემო».

ხმები. არამზადები!

სტალინი. მოდით და დაარწმუნეთ ასეთი ხალხი.

დიახ, ამხანაგებო, კლასი კლასია. ამ ჭეშმარიტებას ვერ გაექცევი. ურალ-ციმბირის მეთოდი სწორედ იმით არის კარგი, რომ იგი აადვილებს კულაკების წინააღმდეგ გლეხობის ღარიბი და საშუალო ფენების ამხედრების შესაძლებლობას, აადვილებს კულაკების წინააღმდეგობის დაძლევის შესაძლებლობას და აიძულებს მათ ჩააბარონ ჭარბი პური საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს.

ბუხარინის ჯგუფის რიგებში ახლა ყველაზე მოდური სიტყვას წარმოადგენს სიტყვა «გადახვევები» პურის დამზადებაში. ეს სიტყვა მათ ყველაზე ხშირად სახმარ სიტყვად აქვთ, რადგან იგი მათ ეხმარება თავიანთი ოპორტუნისტული ხაზის შენიღბვაში. როცა მათ სურთ შენიღბონ თავიანთი ხაზი, ისინი ჩვეულებრივ ამბობენ: ჩვენ, რა თქმა უნდა, კულაკების მიმართ მტკიცე ზომების წინააღმდეგი როდი ვართ, მაგრამ წინააღმდეგი ვართ გადახვევებისა, რომლებსაც ამ მხრივ უშვებენ და რომლებიც საშუალო გლეხის ინტერესებს ლახავენო. შემდეგ მოჰყვებიან ამბებს ამ გადახვევების «საშინელებათა» შესახებ, კითხულობენ «გლეხების» წერილებს, კითხულობენ მარკოვისთანა ამხანაგების პანიკურ წერილებს და შემდეგ გამოჰყავთ დასკვნა: უნდა გაუქმდეს კულაკობის მიმართ მტკიცე ზომების პოლიტიკაო.

როგორ მოგწონთ: **რადგან** სწორი პოლიტიკის გატარებაში გადახვევებია, **ამიტომ**, თურმე **უნდა გაუქმდეს თვით ეს სწორი პოლიტიკა.** ასეთია ოპორტუნისტების ჩვეულებრივი ხერხი: სწორი ხაზის გატარებისას გადახვევების დაშვების გამო — გაუქმდეს ეს ხაზი და შეიცვალოს იგი ოპორტუნისტული ხაზით. ამასთან ბუხარინის ჯგუფის მომხრენი გულმოდგინედ მალავენ იმას, რომ არსებობს კიდევ

მეორეგვარი, უფრო საშიში და უფრო მავნე გადახვევები, სახელდობრ — გადახვევები კულაკობასთან შეზრდის, სოფლის შეძლებულ ფენებთან შეგუების მიმართულებით, მემარჯვენე უკლონისტების ოპორტუნისტული პოლიტიკით პარტიის რევოლუციური პოლიტიკის შეცვლის მიმართულებით.

რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ამ გადახვევების წინააღმდეგი ვართ. ჩვენ ყველანი იმის წინააღმდეგი ვართ, რომ კულაკობის წინააღმდეგ მიმართული დარტყმა საშუალო გლეხებს შეეხოს. ეს ცხადია, და ამაში არ შეიძლება არავითარი ეჭვის შეტანა. მაგრამ ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ გადახვევებზე ლაყბობით, რასაც გულმოდგინედ ეწევა ბუხარინის ჯგუფი, გავაუქმოთ ჩვენი პარტიის რევოლუციური პოლიტიკა და შევცვალოთ იგი ბუხარინის ჯგუფის ოპორტუნისტული პოლიტიკით. არა, ეს ფანდი მათ არ გაუვათ.

დაასახელეთ პარტიის თუნდაც ერთი პოლიტიკური ღონისძიება, რომელსაც ესა თუ ის გადახვევა არ ახლდეს. აქედან ის გამომდინარეობს, რომ საჭიროა ვებრძოლოთ გადახვევებს. მაგრამ განა შეიძლება ამის საფუძველზე ვაძაგოთ თვით ხაზი, რომელიც ერთადერთი სწორი ხაზია?

ავიღოთ ისეთი ღონისძიება, როგორიც არის 7-საათიანი სამუშაო დღის გატარება. სრულიად უეჭველია, რომ ესაა ერთ-ერთი უაღრესად რევოლუციური ღონისძიება იმ ღონისძიებათა შორის, რომლებსაც ჩვენი პარტია უკანასკნელ ხანს ატარებს. ვინ არ იცის, რომ ამ, არსებითად უღრმეს რევოლუციურ, ღონისძიებას ჩვენში ხშირად ახლავს მთელი რიგი გადახვევები, ზოგჯერ უსაზიზღრესი გადახვევები? განა ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გავაუქმოთ 7-საათიანი სამუშაო დღის გატარების პოლიტიკა?

ესმით თუ არა ბუხარინული ოპოზიციის მომხრეებს, რა წუმპეში ვარდებიან ისინი, როცა საბუთად იყენებენ გადახვევებს პურის დამზადების საქმეში?

ლ) ვალუტის რეზერვებისა და პურის იმპორტის შესახებ

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა პურის იმპორტისა და ვალუტის რეზერვების შესახებ. მე უკვე ვთქვი, რომ რიკოვმა და მისმა უახლოესმა მეგობრებმა რამდენჯერმე დააყენეს საკითხი უცხოეთიდან პურის შემოტანის შესახებ. რიკოვი ჯერ ამბობდა, საჭიროა შემოვიტანოთ 80 — 100 მილიონი ფუთი პურიო. ეს შეადგენს დაახლოებით 200 მილიონ მანეთს ვალუტით. შემდეგ მან დააყენა საკითხი 50 მილიონი ფუთის, ე. ი. ვალუტით 100 მილიონი მანეთის პურის

შემოტანის შესახებ. ჩვენ ეს საქმე უარვყავით, რადგან გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესია მტკიცე ზომები მივიღოთ კულაკის წინააღმდეგ და გამოვწუროთ მას ჭარბი პური, რაც მას ცოტა როდი აქვს, ვიდრე დავხარჯოთ ვალუტა, რომელიც იმისათვის გვაქვს გადადებული, რომ შემოვიტანოთ მოწყობილობა ჩვენი მრეწველობისათვის.

ახლა რიკოვი ფრონტს იცვლის. ახლა ის გვარწმუნებს, რომ კაპიტალისტები პურს ნისიად გვაძლევენ, ჩვენ კი თითქოს არ გვსურს ავიღოთ იგი. მან თქვა, რომ მის ხელში გაიარა რამდენიმე დეპეშამ, რომლებიდანაც ჩანს, რომ კაპიტალისტებს უნდათ ნისიად მოგვცენ პური. ამასთან იგი საქმეს ისე სახავდა, რომ ჩვენში თითქოს არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ნისიად მიიღონ პური ან ქინიანობის გამო, ან რომელიღაც სხვა გაუგებარი მიზეზების გამო.

ყოველივე ეს ფუჭი სიტყვებია, ამხანაგებო. სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ დასავლეთელ კაპიტალისტებს ერთბაშად აზრად მოუვიდათ და შეეცოდეთ, სურთ თითქმის მუქთად ან გრძელვადიანი კრედიტით მოგვცენ რამდენიმე ათეული მილიონი ფუთი პური. ეს ფუჭი სიტყვებია, ამხანაგებო.

მაშ რაშია საქმე? საქმე ის არის, რომ კაპიტალისტთა სხვადასხვა ჯგუფები აი უკვე ნახევარი წელიწადია ცდილობენ მოგვსინჯონ, მოსინჯონ ჩვენი ფინანსური შესაძლებლობა, ჩვენი კრედიტუნარიანობა, ჩვენი სიმტკიცე. ისინი მიმართავენ ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლებს პარიზში, ჩეხოსლოვაკიაში, ამერიკაში, არგენტინაში და გვპირდებიან მოგვყიდონ პური ნისიად სულ მოკლე ვადით, სამი თვით ან, მაქსიმუმი, ექვსი თვით. მათ სურთ მიაღწიონ არა იმდენად იმას, რომ ნისიად მოგვყიდონ პური, რამდენადაც იმას, რომ გაიგონ, მართლა მძიმეა თუ არა ჩვენი მდგომარეობა, მართლა ამოიწურა თუ არა ჩვენი ფინანსური შესაძლებლობანი, მტკიცედ ვდგავართ თუ არა ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით და ხომ არ წამოვეგებით ანკესზე, რომელსაც ისინი გვიგებენ.

ამჟამად კაპიტალისტურ სამყაროში დიდი დავაა ჩვენი ფინანსური შესაძლებლობების შესახებ. ზოგი ამბობს, რომ ჩვენ უკვე გავკოტრდით და საბჭოთა ხელისუფლების დაცემა რამდენიმე თვის საქმეა, თუ რამდენიმე კვირისა არა. სხვები ამბობენ, ეს მართალი არ არის, საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ დგას, ფინანსური შესაძლებლობანი აქვს და პური საკმარისი რაოდენობით მოეპოვებაო.

ამჟამად ამოცანა ის არის, რომ გამოვიჩინოთ ჯეროვანი სიმტკიცე და გამძლეობა, არ დავუჯეროთ ცრუ დაპირებებს პურის ნისიად მოცემის შესახებ და დავანახოთ კაპიტალისტურ სამყაროს, რომ

შეგვიძლია იოლად წავიდეთ პურის შემოუტანლად. ეს მარტო ჩემი აზრი როდია. ეს პოლიტბიუროს უმრავლესობის აზრია.

ამ საფუძვლით გადავწყვიტეთ უარი ვთქვათ ნანსენის მაგვარ სხვადასხვა ქველმოქმედთა წინადადებაზე სსრ კავშირში ნისიად 1 მილიონი დოლარის პურის შემოტანის შესახებ.

ამავე საფუძვლით უარყოფითი პასუხი გავეცით კაპიტალისტური სამყაროს ყველა ამ მზვერავებს პარიზში, ამერიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, რომლებიც ნისიად მცირეოდენ პურს გვთავაზობდნენ.

ამავე საფუძვლით გადავწყვიტეთ გამოვიჩინოთ მომჭირნეობის მაქსიმუმი პურის ხარჯვაში, ორგანიზებულობის მაქსიმუმი პურის დამზადების საქმეში.

აქ ჩვენ ორ მიზანს ვისახავდით: ერთი მხრივ — იოლად წავიდეთ პურის შემოუტანლად და შევინარჩუნოთ ვალუტა მოწყობილობის შემოსაზიდად, მეორე მხრივ — ვუჩვენოთ ყველა ჩვენს მტერს, რომ მტკიცედ ვდგავართ და არ ვფიქრობთ დავუჯეროთ დაპირებებს მოწყალების შესახებ.

სწორი იყო თუ არა ასეთი პოლიტიკა? მე ვფიქრობ, რომ იგი ერთადერთი სწორი პოლიტიკა იყო. იგი სწორი იყო არა მარტო იმიტომ, რომ, აქ, ჩვენი ქვეყნის შიგნით, აღმოვაჩინეთ პურის მიღების ახალი შესაძლებლობანი. იგი სწორი იყო იმიტომაც, რომ პურის იმპორტის გარეშე იოლად წასვლით და კაპიტალისტური სამყაროს მზვერავთა თავიდან მოშორებით ჩვენ განვამტკიცეთ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, გავაძლიერეთ ჩვენი კრედიტუნარიანობა და გავაცამტვერეთ ლაყბობა საბჭოთა ხელისუფლების «მომავალი დაღუპვის» შესახებ.

ამ დღეებში ერთგვარი წინასწარი მოლაპარაკება გვქონდა გერმანელ კაპიტალისტთა წარმომადგენლებთან. ისინი გვპირდებიან მოგვცენ 500-მილიონიანი კრედიტი, ამასთან საქმე ისე გამოიყურება, რომ მათ მართლაც საჭიროდ მიაჩნიათ მოგვცენ ეს კრედიტი, რათა უზრუნველყონ საბჭოთა დაკვეთები თავიანთი მრეწველობისათვის.

ამ დღეებში ჩვენთან იყო ინგლისელ კონსერვატორთა დელეგაცია, რომელსაც აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე და ჩვენთვის კრედიტების მოცემის მიზანშეწონილობა, რათა უზრუნველყოს თავისთვის საბჭოთა სამრეწველო დაკვეთები.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ გვექნებოდა ეს ახალი შესაძლებლობანი კრედიტების მიღების აზრით, უწინარეს ყოვლისა გერმანელების მხრივ, ხოლო შემდეგ ინგლისელ კაპიტალისტთა ერთი ჯგუფის

მხრივაც, ის საჭირო სიმტკიცე რომ არ გამოგვეჩინა, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე.

მაშასადამე, საქმე ეხება არა იმას, რომ ჩვენ თითქოს ფინიანობის გამო უარს ვამბობთ მივიღოთ მოჩვენებითი პური მოჩვენებითი გრძელვადიანი კრედიტით. საქმე ეხება იმას, რომ გამოვიცნოთ ჩვენი მტრების სახე, გამოვიცნოთ მათი ნამდვილი სურვილები და გამოვიჩინოთ სიმტკიცე, რაც საჭიროა ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის განსამტკიცებლად.

აი, ამხანაგებო, რატომ ვთქვით უარი პურის იმპორტზე.

როგორც ხედავთ, პურის იმპორტის საკითხი არც ისე უბრალოა, როგორც ამას აქ რიკოვი სახავდა. პურის იმპორტის საკითხი ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის საკითხია.

V

პარტიული ხელმძღვანელობის საკითხები

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ყველა მთავარი საკითხი ჩვენი უთანხმოებისა როგორც თეორიის სფეროში, ისე კომინტერნის ხაზით და ჩვენი პარტიის საშინაო პოლიტიკის სფეროში. ნათქვამიდან ჩანს, რომ რიკოვის განცხადება ჩვენში **ერთიანი** ხაზის არსებობის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება. ნათქვამიდან ჩანს, რომ ჩვენ ნამდვილად გვაქვს **ორი** ხაზი. ერთი ხაზია პარტიის გენერალური ხაზი, ჩვენი პარტიის რევოლუციური ლენინური ხაზი. მეორე ხაზია ბუხარინის ჯგუფის ხაზი. ეს მეორე ხაზი ჯერ კიდევ სავსებით გაფორმებული არ არის ნაწილობრივ იმიტომ, რომ ბუხარინის ჯგუფის რიგებში შეხედულებათა წარმოუდგენელი არევდარევაა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ იგი, ეს მეორე ხაზი, რომელიც სუსტია პარტიაში თავისი ხვედრითი წონით, ცდილობს ასე თუ ისე შეინიღბოს. მაგრამ იგი, ეს ხაზი, როგორც ხედავთ, მაინც არსებობს. და არსებობს როგორც ხაზი, რომელიც **განსხვავდება** პარტიის ხაზისაგან, როგორც ხაზი, რომელიც თავის თავს **უპირდაპირებს** პარტიის გენერალურ ხაზს ჩვენი პოლიტიკის თითქმის ყველა საკითხში. ეს მეორე ხაზი **მემარჯვენე** გადახრის ხაზია.

ახლა გადავიდეთ პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებზე.

ა) ბუხარინის ჯგუფის ფრაქციულობის შესახებ

ბუხარინი ამბობდა, რომ პარტიაში ჩვენ ოპოზიცია არა გვყავს. რომ იგი, ბუხარინის ჯგუფი, ოპოზიციას არ წარმოადგენს. ეს არ არის მართალი, ამხანაგებო. პლენუმზე წარმოებული კამათიდან სრული სიცხადით გამოირკვა, რომ ბუხარინის ჯგუფის სახით

ახალი ოპოზიცია გვყავს. ამ ჯგუფის ოპოზიციური მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ცდილობს რევიზია გაუწიოს პარტიის ხაზს, იგი ცდილობს გადასინჯოს პარტიის ხაზი და ნიადაგს ამზადებს იმისათვის, რომ იგი, პარტიის ხაზი, შეცვალოს სხვა ხაზით, ოპოზიციის ხაზით, რომელიც სხვა არა შეიძლება იყოს რა, თუ არ მემარჯვენე გადახრის ხაზი.

ბუხარინი ამბობდა, სამეული ფრაქციულ ჯგუფს არ წარმოადგენსო. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ბუხარინის ჯგუფი ფრაქციულობის ყველა ელემენტს შეიცავს. აქ არის პლატფორმაც, აქ არის ფრაქციული კარჩაკეტილობაც, აქ არის გადადგომის პოლიტიკაც, აქ არის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლაც. კიდევ რაღა არის საჭირო? რა საჭიროა სიმართლის დაფარვა ბუხარინის ჯგუფის ფრაქციულობის შესახებ, როცა იგი თავისთავად ცხადია? ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი სწორედ იმიტომ შეიკრიბა, რომ აქ მთელი სიმართლე თქვას ჩვენი უთანხმოების შესახებ. სიმართლე კი ის არის, რომ ბუხარინის ჯგუფი ფრაქციული ჯგუფია. და ეს უბრალოდ ფრაქციული ჯგუფი კი არ არის, არამედ — მე ვიტყოდი — ყველაზე უსიამოვნო და ყველაზე წვრილმანია იმ ფრაქციულ ჯგუფთაგან, რომლებიც კი პარტიაში გვყოლია.

ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ იგი ახლა ცდილობს თავისი ფრაქციული მიზნებისათვის გამოიყენოს ისეთი უმნიშვნელო წვრილმანი, როგორიცაა მღელვარება აპარაში. მართლაცდა, რას წარმოადგენს ეგრეთწოდებული «აჯანყება» აპარაში ისეთ აჯანყებებთან შედარებით, როგორიც კრონშტადტის აჯანყება იყო? მე ვფიქრობ, რომ ამ აჯანყებასთან შედარებით ეგრეთწოდებული «აჯანყება» აპარაში წვეთიც არ არის ზღვაში. იყო თუ არა ისეთი შემთხვევები, რომ ტროცკისტები ან ზინოვიეველები ცდილიყვნენ გამოეყენებინათ ეს სერიოზული აჯანყება კრონშტადტში ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, პარტიის წინააღმდეგ? უნდა ვაღიარო, ამხანაგებო, რომ ასეთი შემთხვევები არ ყოფილა. პირიქით, ოპოზიციური ჯგუფები, რომლებიც ამ სერიოზული აჯანყების პერიოდში ჩვენს პარტიაში იყვნენ, ეხმარებოდნენ პარტიას მის ჩაქრობაში და ვერ ბედავდნენ გამოეყენებინათ იგი პარტიის წინააღმდეგ.

ბუხარინის ჯგუფი კი როგორ იქცევა ახლა? თქვენ უკვე გქონდათ შემთხვევა დარწმუნებულიყავით, რომ იგი ცდილობს უაღრესად წვრილმანურად, უაღრესად უხამსად გამოიყენოს პარტიის წინააღმდეგ ეს მიკროსკოპული «აჯანყება» აპარაში. აბა რა არის ეს,

თუ არა ფრაქციული დაბრმავებისა და ფრაქციული დაწვრილმანების უკიდურესი საზღვარი?

ჩვენგან, როგორც ეტყობა, მოითხოვენ, რომ ჩვენში არ იყოს შემთხვევები მღელვარებისა კაპიტალისტური სახელმწიფოების მოსაზღვრე განაპირა მხარეებში. ჩვენგან, როგორც ჩანს, მოითხოვენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც აკმაყოფილებდეს ჩვენი საზოგადოების ყველა კლასს, მდიდრებსაც და ღარიბებსაც, მუშებსაც და კაპიტალისტებსაც. ჩვენგან, როგორც ჩანს, მოითხოვენ, რომ ჩვენში არ იყონ უკმაყოფილო ელემენტები. ჭკუაზე ხომ არ შეშლილან ისინი, ეს ამხანაგები ბუხარინის ჯგუფიდან?

როგორ შეიძლება მოითხოვდნენ ჩვენგან, პროლეტარული დიქტატურის ადამიანებისაგან, რომლებიც ბრძოლას ვეწევით კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც, — როგორ შეიძლება მოითხოვდნენ ჩვენგან, რომ ჩვენს ქვეყანაში არ იყონ უკმაყოფილოები და რომ ზოგჯერ არ იყოს შემთხვევები მღელვარებისა ჩვენდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მოსაზღვრე ზოგიერთ განაპირა მხარეში? მაშინ რისთვის არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, თუ არა იმისათვის, რომ საერთაშორისო კაპიტალი მთელი ძალებით ცდილობდეს მოაწყოს ჩვენს საზღვრისპირა რაიონებში ჩვენი ქვეყნის უკმაყოფილო ელემენტების გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ? აბა ვის შეუძლია, გარდა წყალწყალა ლიბერალებისა, წამოგვიყენოს ასეთი მოთხოვნები? განა ცხადი არ არის, რომ ფრაქციულ წვრილმანობას ზოგჯერ შეუძლია ადამიანები ლიბერალურ სიბრმავემდე და შეზღუდულობამდე მიიყვანოს?

ბ) ლოიალობისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის შესახებ

რიკოვი აქ გვარწმუნებდა, ბუხარინი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართ პარტიის ერთ-ერთი ყველაზე «უმწიკვლო» და «ლოიალური» წევრიაო.

ნება გვიბოძეთ ეჭვი შევიტანოთ ამაში. ჩვენ არ შეგვიძლია დავუჯეროთ რიკოვის სიტყვებს. ჩვენ ფაქტებს მოვითხოვთ. რიკოვს კი სწორედ ფაქტები არა აქვს.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ფაქტი, როგორიცაა ბუხარინის ფარული მოლაპარაკება კამენევის ჯგუფთან, რომელიც ტროცკისტებთან არის დაკავშირებული, მოლაპარაკება ფრაქციული ბლოკის შექმნის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის შეცვლის წესახებ, პოლიტბიუროს შემადგენლობის შეცვლის შესახებ, ცენტ-

რალური კომიტეტის წინააღმდეგ გამოსვლისათვის პურის დამზადების კრიზისის გამოყენების შესახებ. საკითხავია, სად არის აქ ბუხარინის «ლოიალობა», «უმწიკვლობა» თავისი ცენტრალური კომიტეტის მიმართ?

განა, ეს პირიქით, პოლიტბიუროს ერთ-ერთი წევრის მხრივ თავისი ცენტრალური კომიტეტის მიმართ, თავისი პარტიის მიმართ ყოველგვარი ლოიალობის დარღვევა არ არის? თუ ამას ცენტრალური კომიტეტის მიმართ ლოიალობა ეწოდება, მაშინ რაღას ეწოდება თავისი ცენტრალური კომიტეტისადმი ღალატი?

ბუხარინს უყვარს ლაპარაკი ლოიალობაზე, პატიოსნებაზე, მაგრამ რატომ არ შეეცდება იგი შეხედოს თავის თავს და ჰკითხოს: განა უაღრესად უპატიოსნოდ არ არღვევს იგი თავისი ცენტრალური კომიტეტის მიმართ ლოიალობის ელემენტარულ მოთხოვნებს, როცა ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებს ტროცკისტებთან თავისი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და ამრიგად ღალატობს თავის ცენტრალურ კომიტეტს?

ბუხარინი აქ ლაპარაკობდა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში კოლექტიური ხელმძღვანელობა არ არისო, და გვარწმუნებდა, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს უმრავლესობა არღვევს კოლექტიური ხელმძღვანელობის მოთხოვნებს.

რა თქმა უნდა, ჩვენი პლენუმი ყველაფერს ითმენს. მას შეუძლია მოითმინოს ბუხარინის ეს უსირცხვილო და თვალთმაქცური განცხადებაც. მაგრამ ადამიანმა მართლაც უნდა დაკარგოს სირცხვილის გრძნობა, რომ იკისროს გამბედაობა ასეთნაირად გამოვიდეს პლენუმზე ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის წინააღმდეგ.

მართლაცდა, რა კოლექტიურ ხელმძღვანელობაზე შეიძლება აქ ლაპარაკი, როცა ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა სახელმწიფო ურემში შებმულა, მთელი თავისი ძალღონის დაძაბვით ეწევა მას წინ და სთხოვს ბუხარინის ჯგუფს დაეხმაროს მას ამ ძნელ საქმეში, ბუხარინის ჯგუფი კი არა თუ არ ეხმარება თავის ცენტრალურ კომიტეტს, არამედ პირიქით — ყოველნაირად უშლის ხელს, დაბრკოლებებს უქმნის, ემუქრება გადადგომით და უთანხმდება პარტიის მტრებს, ტროცკისტებს, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ?

ვის შეუძლია, გარდა პირმოთნეებისა, უარყოს, რომ ბუხარინს, რომელიც ტროცკისტებთან ქმნის ბლოკს პარტიის წინააღმდეგ და ღალატობს თავის ცენტრალურ კომიტეტს, არა სურს განახორციელოს და არც განახორციელებს კოლექტიურ ხელმძღვანელობას ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში?

ვის შეუძლია, გარდა ბრმებისა, ვერ დაინახოს, რომ თუ ბუხარინი მაინც ლაყბობს კოლექტიურ ხელმძღვანელობაზე ცენტრალურ კომიტეტში და თითს იშვერს ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის წინააღმდეგ, ამას იგი იმიტომ სჩადის, რომ ამრიგად თავისი გამცემლური პოზიცია შენიღბოს?

საჭიროა აღინიშნოს, რომ ბუხარინი პირველად როდი არღვევს ლოიალობისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის ელემენტარულ მოთხოვნებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართ. ჩვენი პარტიის ისტორიამ იცის იმის მაგალითები, თუ ბრესტის ზავის პერიოდში, ლენინის სიცოცხლეში, როგორ დარბოდა ბუხარინი, როცა ზავის საკითხში უმცირესობაში დარჩა, მემარცხენე ესერებთან, ჩვენი პარტიის მტრებთან, აწარმოებდა მათთან ფარულ მოლაპარაკებას და ცდილობდა შეეკრა მათთან ბლოკი ლენინისა და ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. რის შესახებ უთანხმდებოდა მაშინ იგი მემარცხენე ესერებს, — ეს ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ვიცით. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მემარცხენე ესერებს მაშინ განზრახვა ჰქონდათ დაეპატიმრებინათ ლენინი და მოეხდინათ ანტისაბჭოთა გადატრიალება... მაგრამ ყველაზე გასაკვირველი ის არის, რომ, დარბოდა რა მემარცხენე ესერებთან და აწყობდა მათთან კონსპირაციას ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ, ბუხარინი განაგრძობდა ყვირილს, ისევე როგორც ახლა, კოლექტიური ხელმძღვანელობის საჭიროების შესახებ.

ჩვენი პარტიის ისტორიამ გარდა ამისა იცის მაგალითები, როცა, ლენინის სიცოცხლეში, ბუხარინი, რომელსაც ჩვენი პარტიის მოსკოვის საოლქო ბიუროში უმრავლესობა ჰყავდა და რომელსაც მხარს უჭერდა «მემარცხენე» კომუნისტების ჯგუფი, პარტიის ყველა წევრს მოუწოდებდა — უნდობლობა გამოეცხადებინათ პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, უარი ეთქვათ მისთვის დამორჩილებაზე და დაეყენებინათ საკითხი ჩვენს პარტიაში გათიშვის შესახებ. ეს იყო ბრესტის ზავის პერიოდში, მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე გამოიტანა თავისი დადგენილება ბრესტის ზავის პირობების მიღების საჭიროების შესახებ.

ასეთია ბუხარინის ლოიალობა და კოლექტიური ხელმძღვანელობა.

რიკოვი აქ ლაპარაკობდა კოლეგიური მუშაობის საჭიროებაზე. ამასთან იგი თითს იშვერდა პოლიტბიუროს უმრავლესობისაკენ და აღნიშნავდა, რომ ის და მისი უახლოესი მეგობრები კოლეგიური მუშაობის მომხრენი არიან, ხოლო პოლიტბიუროს უმრავლესობა, მაშასადამე, კოლეგიური მუშაობის წინააღმდეგია. ამასთან რიკოვს

თავისი განცხადების დასადასტურებლად ერთი ფაქტიც არ მოუყვანია.

რიკოვის ეს არაკი რომ გამოვააშკარაოთ, ნება მომეცით მოვიყვანო რამდენიმე ფაქტი, რამდენიმე მაგალითი, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ ახორციელებს რიკოვი კოლეგიურ მუშაობას.

პირველი მაგალითი. თქვენ იცით ამერიკაში ოქროს გატანის ისტორია. ბევრი თქვენგანი იქნებ ფიქრობს, რომ ოქრო ამერიკაში გატანილ იქნა სახკომსაბჭოს ან ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ან ცენტრალური კომიტეტის თანხმობით, ან ამის შესახებ იცოდა ცენტრალურმა კომიტეტმა. მაგრამ ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოს ამ საქმესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. ჩვენ გვაქვს გადაწყვეტილება, რომ არ შეიძლება ოქროს გატანა ცენტრალური კომიტეტის სანქციის გარეშე. მაგრამ ეს გადაწყვეტილება დარღვეულ იქნა. ვინ დართო მისი გატანის ნება? ოქრო, თურმე, გატანილ იქნა რიკოვის ერთ-ერთი მოადგილის ნებართვით, და ეს იცოდა რიკოვმა და დასტურიც მისცა.

რა არის ეს, — კოლეგიური მუშაობა?

მეორე მაგალითი. საქმე ეხება მოლაპარაკებას ამერიკის ერთ-ერთ დიდ კერძო ბანკთან, რომლის ქონება ნაციონალიზებულ იქნა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და რომელიც ახლა ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს. ცენტრალურმა კომიტეტმა შეიტყო, რომ ამ ბანკთან მოლაპარაკებას აწარმოებს ჩვენი სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელი მისი ზარალის ანაზღაურების პირობების შესახებ.

კერძო პრეტენზიების ანაზღაურების საკითხი, როგორც იცით, ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული საკითხია, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩვენს საგარეო პოლიტიკასთან. შეიძლება იფიქროთ, რომ ეს მოლაპარაკება წარმოებდა სახკომსაბჭოს ან ცენტრალური კომიტეტის ნებართვით. მაგრამ ეს მართალი არ არის, ამხანაგებო. ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოს ამ საქმესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. შემდეგში, ამ მოლაპარაკების ამბავი, რომ შეიტყო, ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა შემწყდარიყო მოლაპარაკება. მაგრამ იბადება კითხვა: ვისი სანქციით წარმოებდა ეს მოლაპარაკება? იგი, თურმე, წარმოებდა რიკოვის ერთ-ერთი მოადგილის სანქციით, და ეს იცოდა რიკოვმა და დასტურიც მისცა.

რა არის ეს, — კოლეგიური მუშაობა?

მესამე მაგალითი. საქმე ეხება კულაკებისა და საშუალო გლეხების მომარაგებას სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. საქმე ეხება

იმას, რომ რსფს რესპუბლიკის ეკონომსაბჭომ, სადაც თავმჯდომარეობს რიკოვის ერთ-ერთი მოადგილე რსფს რესპუბლიკის ხაზით. დაადგინა შემცირებულიყო საშუალო გლეხების მომარაგება სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და გადიდებულიყო სოფლის ზედაფენების, ესე იგი კულაკების მომარაგება მანქანებით. აი რსფს რესპუბლიკის ეკონომსაბჭოს ამ ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა დადგენილების ტექსტი:

«ყაზახეთისა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკების, ციმბირისა და ქვემო ვოლგის მხარეებისა და შუა ვოლგის და ურალის ოლქებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გასაღების პროცენტები, რაც ამ პუნქტშია აღნიშნული, სოფლის ზედაფენებისათვის დიდდება 20%-მდე, ხოლო საშუალო ფენებისათვის მცირდება 30%-მდე».

როგორ მოგწონთ: რსფს რესპუბლიკის ეკონომსაბჭო, კულაკების წინააღმდეგ პარტიის გაძლიერებული შეტევისა და კულაკობის წინააღმდეგ ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების დარაზმვის პერიოდში, დადგენილებას იღებს მანქანებით საშუალო გლეხების მომარაგების ნორმის შემცირებისა და სოფლის ზედაფენების მომარაგების ნორმის გადიდების შესახებ.

და ამას ეწოდება ლენინური, კომუნისტური პოლიტიკა!

შემდეგში ცენტრალურმა კომიტეტმა, ეს ამბავი რომ შეიტყო, გააუქმა ეკონომსაბჭოს დადგენილება, მაგრამ ვისი სანქციით იქნა მიღებული ეს ანტისაბჭოთა დადგენილება? იგი მიღებულ იქნა რიკოვის ერთ-ერთი მოადგილის სანქციით, და ეს იცოდა რიკოვმა და დასტურიც მისცა.

რა არის ეს, — კოლეგიური მუშაობა?

ვგონებ, ეს მაგალითები საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ როგორ ახორციელებენ კოლეგიურ მუშაობას რიკოვი და მისი მოადგილეები.

ბ) მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის შესახებ

ბუხარინი ლაპარაკობდა პოლიტბიუროს იმ სამი წევრის «მოქალაქეობრივი სიკვდილით დასჯაზე», რომლებსაც, მისი სიტყვით, ჩვენი პარტიის ორგანიზაციები «ამუშავებენ». ის ლაპარაკობდა. რომ პარტიამ პოლიტბიუროს სამი წევრი, ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი, «მოქალაქეობრივი სიკვდილით დასაჯა», აკრიტიკებდა რა მათს შეცდომებს პრესაში და კრებებზე, მაშინ როცა ისინი, პოლიტბიუროს ეს სამი წევრი, «იძულებული» იყვნენ გაჩუმებულიყვნენ.

ყოველივე ეს ფუჭი ლაყბობაა, ამხანაგებო. ეს არის ყალბი სიტყვები მოლიბერალო კომუნისტისა, რომელიც ცდილობს მოადუნოს პარტია მის ბრძოლაში მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. ბუხარინის აზრით გამოდის, რომ რაკი ის და მისი მეგობრები ჩაეფლნენ მემარჯვენე-უკლონისტურ შეცდომებში, პარტიას უფლება არა აქვს ამხილოს ეს შეცდომები, პარტიამ უნდა შეწყვიტოს ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და ელოდოს იმ მომენტს, როცა ბუხარინი და მისი მეგობრები ინებებენ და უარს იტყვიან თავიანთ შეცდომებზე.

მეტად ბევრს ხომ არ მოითხოვს ჩვენგან ბუხარინი? ხომ არ ფიქრობს იგი, რომ პარტია მისთვის არსებობს და არა იგი პარტიისათვის? ვინ აიძულებს მას გაჩუმდეს, იყოს უძრავ მდგომარეობაში, როცა მთელი პარტია მობილიზებულია მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ და გადამწყვეტი იერიშები მიაქვს სიძნელეთა წინააღმდეგ? რატომ არ უნდა გამოვიდნენ ახლა იგი, ბუხარინი, და მისი უახლოესი მეგობრები და არ გააჩაღონ გადამწყვეტი ბრძოლა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ? განა ვინმეს შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ პარტია მიესალმებოდა ბუხარინსა და მის უახლოეს მეგობრებს, თუ კი ისინი გადაწყვეტდნენ გადაედგათ ეს, არც თუ იმდენად ძნელი ნაბიჯი? რატომ ვერ გადაუწყვეტიათ მათ გადადგან ეს, ბოლოს და ბოლოს, მათთვის სავალდებულო ნაბიჯი? იმიტომ ხომ არა, რომ ისინი თავისი ჯგუფის ინტერესებს პარტიისა და მისი გენერალური ხაზის ინტერესებზე მაღლა აყენებენ? ვისი ბრალია, რომ ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი არ მონაწილეობენ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაში? განა ცხადი არ არის, რომ ლაპარაკი პოლიტბიუროს სამი წევრის «მოქალაქეობრივი სიკვდილით დასჯაზე» არის პოლიტბიუროს სამი წევრის უხეიროდ შენიღბული ცდა — აიძულონ პარტია გაჩუმდეს და შეწყვიტოს ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ?

მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლა არ შეიძლება ჩვენი პარტიის მეორეხარისხოვან ამოცანად მივიჩნიოთ. მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი გადამწყვეტი ამოცანაა. თუ ჩვენს საკუთარ წრეში, ჩვენს საკუთარ პარტიაში, პროლეტარიატის პოლიტიკურ შტაბში, რომელიც ხელმძღვანელობს მოძრაობას და წინ მიუძღვის პროლეტარიატს, — თუ სწორედ ამ შტაბში დავუშვებთ მემარჯვენე უკლონისტთა თავისუფალ არსებობას და თავისუფალ მოქმედებას, რომლებიც ცდილობენ პარტიის დემობილი-

ზებას, მუშათა კლასის გახრწნას, ჩვენი პოლიტიკის შეგუებას «საბ-ბოთა» ბურჟუაზიის გემოვნებასთან და, ამრიგად, ქედის მოხრას ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა წინაშე, — თუ ჩვენ ყოველივე ამას დავუშვებთ, ეს რის მომასწავებელი იქნება? განა ეს იმის მომასწავებელი არ იქნება, რომ ჩვენ მზად ვართ თანდათანობით შევანელოთ რევოლუცია, ჩავშალოთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, გავექცეთ სიძნელეებს, დავუთმოთ პოზიციები კაპიტალისტურ ელემენტებს?

ესმის თუ არა ბუხარინის ჯგუფს, რომ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაზე ხელის აღება იმას ნიშნავს, რომ ვუღალატოთ მუშათა კლასს, ვუღალატოთ რევოლუციას?

ესმის თუ არა ბუხარინის ჯგუფს, რომ მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის დაუძლეველად შეუძლებელია ჩვენს წინაშე მდგომ სიძნელეთა დაძლევა, ხოლო ამ სიძნელეთა დაუძლეველად შეუძლებელია სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტ წარმატებათა მიღწევა?

რად ღირს ყოველივე ამის შემდეგ უბადრუკი სიტყვები პოლიტბიუროს სამი წევრის «მოქალაქეობრივი სიკვდილით დასჯის» შესახებ?

არა, ამხანაგებო, «მოქალაქეობრივი სიკვდილით დასჯაზე» ლიბერალური ლაყბობით ბუხარინელები ვერ შეაშინებენ პარტიას. პარტია მათგან მოითხოვს მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას ერთ მწყობრში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრთან ერთად. იგი მოითხოვს ამას ბუხარინის ჯგუფისაგან იმისათვის, რომ გაადვილდეს მუშათა კლასის მობილიზაციის საქმე, დაძლეულ იქნას კლასობრივი მტრების წინააღმდეგობა და მოეწყოს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადაჭრით დაძლევა.

ან შეასრულებენ ბუხარინელები პარტიის ამ მოთხოვნას, და მაშინ პარტია მიესალმება მათ, ან ისინი არ გააკეთებენ ამას, — მაგრამ რაც მაშინ მოუვათ, თავიანთ თავს დააბრალონ.

VI

დასკვნები

გადავდივარ დასკვნებზე.

შემომაქვს შემდეგი წინადადებანი:

1) საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დაგმობილ იქნას ბუხარინის ჯგუფის შეხედულებანი. საჭიროა დაგმობილ იქნას ამ ჯგუფის

შეხედულებანი, რომლებიც მოყვანილია მის დეკლარაციებში და მის წარმომადგენელთა სიტყვებში, მიჩნეულ იქნას, რომ ეს შეხედულებანი შეუთავსებელია პარტიის ხაზთან და რომ ისინი მთლიანად ემთხვევიან მემარჯვენე გადახრის პოზიციას.

2) საჭიროა დაგმობილ იქნას ბუხარინის ფარული მოლაპარაკება კამენევის ჯგუფთან, როგორც ბუხარინის ჯგუფის არალოიალობისა და ფრაქციულობის ყველაზე მკაფიო გამოხატულება.

3) საჭიროა დაგმობილ იქნას გადადგომის პოლიტიკა, რომელსაც ბუხარინი და ტომსკი მიმართავდნენ, როგორც პარტიული დისციპლინის ელემენტარულ მოთხოვნათა უხეში დარღვევა.

4) საჭიროა მოიხსნან ბუხარინი და ტომსკი იმ პოსტებიდან, რომლებიც მათ უკავიათ, და მიეცეთ მათ გაფრთხილება, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებისადმი დაუმორჩილებლობის ოდნავი ცდის შემთხვევაში ცენტრალური კომიტეტი იძულებული იქნება გამოიყვანოს ისინი პოლიტბიუროს შემადგენლობიდან.

5) საჭიროა ზომების მიღება, რომ კრებებზე პოლიტბიუროს ცალკეული წევრებისა და კანდიდატების გამოსვლებში დაშვებულ არ იქნას რაიმე გადახრები პარტიის ხაზიდან, ცენტრალური კომიტეტისა და მისი ორგანოების გადაწყვეტილებებიდან.

6) საჭიროა ზომების მიღება, რომ პრესის ორგანოებში, როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ორგანოებში, როგორც გაზეთებში, ისე ჟურნალებში მთლიანად ტარდებოდეს პარტიის ხაზი და მისი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი.

7) საჭიროა დაწესდეს სპეციალური ზომები, თვით ცენტრალური კომიტეტიდან და პარტიიდან გარიცხვამდე, იმათ წინააღმდეგ, ვინც შეეცდება დაარღვიოს პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს გადაწყვეტილებათა საიდუმლოება.

8) საჭიროა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუცია შინაპარტიულ საკითხებზე დაეგზავნოს პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას და XVI კონფერენციის წევრებს, ჯერჯერობით კი იგი არ გამოქვეყნდეს პრესაში.

ასეთია, ჩემი აზრით, მდგომარეობიდან გამოსავალი.

ზოგიერთი ამხანაგი მოითხოვს ბუხარინისა და ტომსკის დაუყოვნებლივ გარიცხვას ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროდან. მე არ ვეთანხმები ამ ამხანაგებს. ჩემი აზრით, ამჟამად შეიძლება არ მივმართოთ ასეთ უკიდურეს ზომას.

დიადი გარდატეხის წელი

ოქტომბრის XII წლისთავისათვის

გასული წელი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე დიადი **გარდატეხის** წელი იყო. ეს გარდატეხა მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალიზმის გადამწყვეტი **შეტევის** ნიშნით. ამ შეტევის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ მან უკვე მოგვცა მთელი რიგი გადამწყვეტი წარმატებანი ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის (რეკონსტრუქციის) ძირითად დარგებში.

აქედან გამომდინარეობს, რომ პარტიამ შესძლო მიზანშეწონილად გამოეყენებინა ჩვენი უკანდახევა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ სტადიებში იმისათვის, რომ შემდეგ, მის შემდგომ სტადიებში, მოეწყო **გარდატეხა** და დაეწყო **წარმატებითი შეტევა** კაპიტალისტურ ელემენტებზე.

ლენინი ნეპის შემოღებისას ამბობდა:

«ჩვენ ახლა უკან ვიხევთ, თითქოს უკან ვიხევთ, მაგრამ ამას იმისათვის ვშვრებით, რომ ჯერ უკან დავიხიოთ, შემდეგ კი გავქანდეთ და უფრო ძლიერ გადავხტეთ წინ. მხოლოდ ამ ერთი პირობით დავიხიეთ უკან ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებაში... რათა უკანდახევის შემდეგ დავიწყოთ უალრესად მედგარი შეტევა წინ» (ტ. XXVII, გვ. 361—362).

გასული წლის შედეგები უეჭველად მოწმობენ, რომ პარტია წარმატებით ასრულებს თავის მუშაობაში ლენინის ამ გადამწყვეტ მითითებას.

*
* *

თუ ავიღებთ გასული წლის შედეგებს სამეურნეო მშენებლობის ხაზით, რომელსაც ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამ ფრონტზე ჩვენი შეტევის **წარმატებანი**, ჩვენი **მიღწევები** გასული წლის მანძილზე შეიძლება განვსაზღვროთ სამი ძირითადი მომენტით.

I

შრომის ნაყოფიერების დარგში

არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ უკანასკნელი წლის მანძილზე ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტია ის ფაქტი, რომ ჩვენ შევძელით მიგვეღწია **გადამწყვეტი გარდატეხი-**

სათვის შრომის ნაყოფიერების დარგში. ეს გარდატეხა გამოიხატა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მუშათა კლასის მილიონიანი მასების **შემოქმედებითი ინიციატივისა** და **მძლავრი შრომითი აღმავლობის** გაშლით. ეს არის ჩვენი პირველი და ძირითადი **მიღწევა** გასულ წელს.

მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და შრომითი აღმავლობის გაშლას სტიმული ეძლეოდა სამი ძირითადი ხაზით:

ა) ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, რომელიც ბოჭავს მასების შრომითს ინიციატივასა და შრომითს აქტივობას — **თვითკრიტიკის** საშუალებით;

ბ) ბრძოლა გამცდენებთან და შრომის პროლეტარული დისციპლინის ძირის გამომთხრელებთან — **სოციალისტური შეჯიბრების** საშუალებით;

გ) ბრძოლა რუტინასთან და დახავსებულობასთან წარმოებაში — **განუწყვეტელი საწარმოო დროის** მოწყობის საშუალებით.

ამის შედეგად ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევა შრომის ფრონტზე ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხეში მუშათა კლასის მილიონიანი მასების შრომითი ენთუზიაზმისა და შრომითი ურთიერთგამოძახების სახით. ხოლო ამ მიღწევის მნიშვნელობა ჭეშმარიტად ფასდაუდებელია, ვინაიდან მხოლოდ მილიონიანი მასების შრომითს აღმავლობასა და შრომითს ენთუზიაზმს შეუძლია უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ის განუწყვეტელი ზრდა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება კაპიტალიზმზე.

«შრომის ნაყოფიერება, — ამბობს ლენინი, — ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, არნახული ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხებულ იქნას და საბოლოოდ იქნება დამარცხებული იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას» (ტ. XXIV, გვ. 342).

ეყრდნობა რა ამას, ლენინი თვლის, რომ:

«ჩვენ უნდა გავიმსჭვალოთ იმ შრომითი ენთუზიაზმით, შრომისადმი იმ მისწრაფებით, შეუპოვრობით, რომელზეც ახლა დამოკიდებულია მუშებისა და გლეხების უსწრაფესი ხსნა, სახალხო მეურნეობის ხსნა» (ტ. XXV, გვ. 477).

ასეთია ამოცანა, რომელიც ლენინმა დაუსახა პარტიას.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ პარტია წარმატებით ასრულებს ამ ამოცანას, გადაჭრით სძლევს რა ამ გზაზე არსებულ სიძნელეებს.

ასეთია პარტიის პირველი მნიშვნელოვანი მიღწევა გასულ წელს.

II

მრეწველობის მშენებლობის დარგში

პარტიის ამ პირველ მიღწევასთან განუყრელად დაკავშირებულია მისი მეორე მიღწევა. იგი, პარტიის ეს მეორე მიღწევა, იმაში მდგომარეობს, რომ გასულ წელს ჩვენ ძირითადად წარმატებით გადავჭერით მძიმე მრეწველობის კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო დაგროვების პრობლემა, ავიღეთ წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარების აჩქარებული ტემპი და შევქმენით წინაპირობები ჩვენი ქვეყნის ლითონის ქვეყნად გადაქცევისათვის.

ეს არის ჩვენი მეორე და ძირითადი მიღწევა გასულ წელს.

მსუბუქი ინდუსტრიის პრობლემა განსაკუთრებულ სიძნელეებს არ წარმოადგენს. იგი ჩვენ უკვე გადავჭერით რამდენიმე წლის წინათ. უფრო ძნელი და უფრო მნიშვნელოვანია მძიმე ინდუსტრიის პრობლემა.

უფრო ძნელია, ვინაიდან მოითხოვს კოლოსალურ დაბანდებებს, ამასთან, როგორც მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნების ისტორია ცხადყოფს, მძიმე ინდუსტრიისათვის აუცილებელია კოლოსალური გრძელვადიანი სესხები.

უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან მძიმე მრეწველობის განუვითარებლად ჩვენ ვერავითარ მრეწველობას ვერ ავაშენებთ, ვერავითარ ინდუსტრიალიზაციას ვერ გავატარებთ.

ხოლო ვინაიდან ჩვენ არა გვქონია და არა გვაქვს არც გრძელვადიანი სესხები, არც რამდენადმე ხანგრძლივი კრედიტები, ამიტომ პრობლემის სიმწვავე ჩვენთვის ცხადზე უცხადესი ხდება.

სწორედ ამას ეყრდნობიან ყველა ქვეყნის კაპიტალისტები, როცა უარს გვეუბნებიან სესხებსა და კრედიტებზე, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ჩვენ საკუთარი ძალებით თავს ვერ გავართმევთ დაგროვების პრობლემას, მარცხი მოგვივა მძიმე მრეწველობის რეკონსტრუქციის საკითხში და იძულებული გავხდებით ქედი მოვიხაროთ მათ წინაშე, დავემონოთ მათ.

ხოლო რას მეტყველებენ ამაზე გასული წლის შედეგები? გასული წლის შედეგების მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი აცამტვერებენ ბატონ კაპიტალისტთა ვარაუდებს.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ, მიუხედავად სსრ კავშირის აშკარა და ფარული ფინანსური ბლოკადისა, ჩვენ არ დავემონეთ კაპიტალისტებს და ჩვენივე საკუთარი ძალებით წარმატებით გადავჭერით დაგროვების პრობლემა, საფუძველი ჩავუყარეთ მძიმე ინდუსტრიას. ამას ახლა მუშათა კლასის დაუძინებელი მტრებიც კი ვერ უარყოფენ.

მართლაც, თუ, ჯერ-ერთი, კაპიტალური დაბანდებები მსხვილ მრეწველობაში შარშან 1 600 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენდა, ამასთან დაახლოებით 1 300 მილიონი მძიმე მრეწველობას მოხმარდა, ხოლო წელს კაპიტალური დაბანდებები მსხვილ მრეწველობაში 3 400 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს, ამასთან 2 500 მილიონზე მეტი მძიმე მრეწველობას მოხმარდება; თუ, მეორე მხრივ, მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია შარშან 23%-ით გაიზარდა, ამასთან მძიმე მრეწველობაში ზრდამ 30% შეადგინა, ხოლო წელს მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია 32%-ით უნდა გაიზარდოს, ამასთან მძიმე მრეწველობაში ზრდამ 46% უნდა შეადგინოს, — განა ცხადი არ არის, რომ მძიმე მრეწველობის ასაშენებლად დაგროვების პრობლემა ჩვენთვის გადაულახავ სიძნელეებს აღარ წარმოადგენს.

როგორ შეიძლება იმაში ეჭვის შეტანა, რომ ჩვენ აჩქარებული ნაბიჯით მივდივართ წინ ჩვენი მძიმე ინდუსტრიის განვითარების ხაზით, წინ ვუსწრებთ ძველ ტემპებს და უკან ვიტოვებთ ჩვენს «საუკუნეობრივ» ჩამორჩენილობას?

ყოველივე ნათქვამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ ხუთწლედის ვარაუდებს გასულ წელს უკვე გადავაჭარბეთ, ხოლო ხუთწლედის ოპტიმალური ვარიანტი, რომელსაც ბურჟუაზიული მჯღაბნელები «მიუწვდომელ ფანტასტიკად» თვლიან და რომელიც თავზარსა სცემს ჩვენს მემარჯვენე ოპორტუნისტებს (ბუხარინის ჯგუფი), სინამდვილეში ხუთწლედის **მინიმალურ** ვარიანტად გადაიქცა?

«რუსეთის ხსნას, — ამბობს ლენინი, — წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში, — ეს კიდევ ცოტაა, — და არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც მოხმარების საგნებს აწვდის გლეხობას, — ესეც კიდევ ცოტაა, — ჩვენთვის აუცილებელია აგრეთვე მძიმე ინდუსტრია... თუ არ ვიხსენით მძიმე მრეწველობა, თუ არ აღვადგინეთ იგი, ისე ვერავითარ მრეწველობას ვერ შევქმნით, უიმისოდ კი ჩვენ საერთოდ დავიღუპებით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა... მძიმე ინდუსტრიას სახელმწიფო სუბსიდიები ესაჭიროება. თუ ეს სუბსიდიები ვერ გამოვნახეთ, მაშინ ჩვენ, როგორც ცივილიზებული სახელმწიფო — აღარ ვამბობ, როგორც სოციალისტური სახელმწიფო, — დავიღუპებით» (ტ. XXVII, გვ. 349).

აი რა მკვეთრად აყალიბებს ლენინი დაგროვების პრობლემას და პარტიის ამოცანას მძიმე მრეწველობის აშენების საქმეში.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ პარტია წარმატებით ართმევს თავს ამ ამოცანას. გადაჭრით სძლევს რა ყველა და ყოველგვარ სიძნელეს ამ გზაზე.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მრეწველობას ამიერიდან სერიოზული სიძნელეები აღარ ექნება. მძიმე მრეწველობის აშენების ამოცანა ებჯინება არა მარტო დაგროვების პრობლემას. იგი ებჯინება კიდევ კადრების პრობლემას, ისეთ პრობლემას, როგორიც არის:

ა) ათეულათასობით საბჭოურად განწყობილი ტექნიკოსისა და სპეციალისტის ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში და

ბ) ახალი წითელი ტექნიკოსებისა და წითელი სპეციალისტების გამოზრდა მუშათა კლასის წრიდან.

თუ დაგროვების პრობლემა შეიძლება ძირითადად გადაჭრილად ჩაითვალოს, კადრების პრობლემა ჯერ კიდევ გადასაჭრელია. ხოლო კადრების პრობლემა ახლა, მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციის ვითარებაში, სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტი პრობლემაა.

«მთავარი, — ამბობს ლენინი, — რაც ჩვენ გვაკლია, ეს არის კულტურულობა, მართვის ცოდნა... ეკონომიურად და პოლიტიკურად ᲜᲝᲡᲘ სავსებით უზრუნველყოფს ჩვენთვის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების შესაძლებლობას. საქმე «მხოლოდ» პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის კულტურულ ძალებშია» (ტ. XXVII, გვ. 207).

ცხადია, აქ ლაპარაკია, უწინარეს ყოვლისა, «კულტურული ძალების» პრობლემაზე, საერთოდ სამეურნეო მშენებლობისათვის, განსაკუთრებით კი მრეწველობის მშენებლობისა და მმართველობისათვის საჭირო კადრების პრობლემაზე.

მაგრამ აქედან გამოდის, რომ, მიუხედავად უაღრესად სერიოზული მიღწევებისა დაგროვების დარგში, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მძიმე მრეწველობისათვის, მძიმე მრეწველობის აშენების პრობლემა არ შეიძლება სავსებით გადაჭრილად ჩაითვალოს, სანამ კადრების პრობლემა არ გადაიჭრება.

აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა — უშუალოდ მოჰკიდოს ხელი კადრების პრობლემას და აუცილებლად დაეუფლოს ამ ციხე-სიმაგრეს.

ასეთია პარტიის მეორე მიღწევა გასულ წელს.

III

სოფლის მეურნეობის მშენებლობის დარგში

დასასრულ, პარტიის გასული წლის მესამე მიღწევის შესახებ, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია ორ პირველ მიღწევასთან. ლაპარაკია ᲫᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲠᲓᲐᲢᲔᲮᲐᲖᲔ ჩვენი მიწათმოქმედების

განვითარებაში წვრილი და ჩამორჩენილი **ინდივიდუალური** მეურნეობიდან მსხვილი და მოწინავე **კოლექტიური** მიწათმოქმედებისაკენ, მიწის საერთო ძალებით დამუშავებისაკენ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისაკენ, არტელებისაკენ, კოლმეურნეობებისაკენ, რომლებიც ეყრდნობიან ახალ ტექნიკას, დასასრულ, გიგანტი საბჭოთა მეურნეობებისაკენ, რომლებიც შეიარაღებული არიან ასეული ტრაქტორებითა და კომბაინებით.

პარტიის მიღწევა აქ ის არის, რომ ჩვენ შევძელით **მოგვებრუნებინა** გლეხობის ძირითადი მასები მთელ რიგ რაიონებში განვითარების ძველი, **კაპიტალისტური** გზიდან, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ ერთი მუჭა ბობოლა-კაპიტალისტებისათვის, ხოლო გლეხობის უდიდეს უმრავლესობას აიძულებს გაჩანაგდეს და სიღატაკეში იმყოფებოდეს, — განვითარების ახალი, **სოციალისტური** გზისაკენ, რომელიც აძლევს ბობოლა-კაპიტალისტებს, ხოლო საშუალო და ღარიბ გლეხებს აიარაღებს ახლებურად, აიარაღებს ახალი იარაღებით, აიარაღებს ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, რათა შესაძლებლობა მისცეს მათ თავი დააღწიონ სიღატაკესა და კულაკურ კაბალას და გამოვიდნენ მიწის ამხანაგური, კოლექტიური დამუშავების ფართო გზაზე.

პარტიის მიღწევა ის არის, რომ ჩვენ შევძელით მოგვეხდინა ეს **ძირეული გარდატეხა** თვით გლეხობის წიაღში და გაგვეყოლიებინა ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო მასები, მიუხედავად წარმოუდგენელი სიძნელეებისა, მიუხედავად გააფთრებული წინააღმდეგობისა ყველა და ყოველგვარი ბნელი ძალების მხრივ, კულაკებითა და ხუცებით დაწყებული და ფილისტერებითა და მემარჯვენე ოპორტუნისტებით დამთავრებული.

აი ზოგიერთი ციფრი.

1928 წელს საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობი შეადგენდა 1 425 ათას ჰექტარს და მათი მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 6 მილიონ ცენტნერზე მეტს (36 მილიონ ფუთზე მეტს), ხოლო კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი შეადგენდა 1 390 ათას ჰექტარს და მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 3½ მილიონამდე ცენტნერს (20 მილიონ ფუთზე მეტს).

1929 წელს საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობი შეადგენდა 1 816 ათას ჰექტარს და მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 8 მილიონამდე ცენტნერს (47 მილიონამდე ფუთს), ხოლო კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი შეადგენდა 4 262 ათას ჰექტარს და მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 13 მილიონამდე ცენტნერს (78 მილიონამდე ფუთს).

მომავალ 1930 წელს საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობი საკონტროლო ციფრების მიხედვით ალბათ 3 280 ათასი ჰექტარი იქნება და მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 18 მილიონი ცენტნერი (110 მილიონამდე ფუთი), ხოლო კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი უთუოდ იქნება 15 მილიონი ჰექტარი და მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია — 49 მილიონამდე ცენტნერი (300 მილიონამდე ფუთი).

სხვანაირად რომ ვთქვათ, მომავალ 1930 წელს მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში 400 მილიონ ფუთზე მეტი იქნება, ე. ი. **მთელი** სოფლის მეურნეობის მარცვლეული სასაქონლო პროდუქციის 50 პროცენტზე მეტი (სოფლისგარეშე ბრუნვა).

უნდა ვაღიაროთ, რომ განვითარების ასეთი სწრაფი ტემპები **არ ახასიათებს** ჩვენს სოციალიზებულ მსხვილ მრეწველობასაც კი, რომლის განვითარების ტემპები საერთოდ დიდი გაქანებით განირჩევა.

ცხადია, რომ ჩვენს ახალგაზრდა მსხვილ სოციალისტურ (კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების) მიწათმოქმედებას დიდი მომავალი აქვს, რომ იგი ზრდის სასწაულებს გამოიჩენს.

ეს უმაგალითო წარმატება საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში აიხსნება მთელი რიგი მიზეზებით, რომელთაგან საჭიროა აღინიშნოს შემდეგი მაინც.

იგი აიხსნება, **უწინარეს ყოვლისა**, იმით, რომ პარტია ახორციელებდა მასების აღზრდის ლენინურ პოლიტიკას, თანმიმდევრულად აახლოებდა გლეხთა მასებს კოლმეურნეობებთან კოოპერაციული საზოგადოებრიობის დანერგვის საშუალებით. იგი აიხსნება იმით, რომ პარტია წარმატებით ებრძოდა როგორც იმათ, ვინც ცდილობდა გაესწრო მოძრაობისათვის და დეკრეტირებით განვითარებინა კოლმეურნეობანი («მემარცხენე» ფრაზიორები), ისე იმათ, ვინც უკან ეწეოდა პარტიას და ცდილობდა დარჩენილიყო მოძრაობის კუდში (მემარჯვენე უთავგზურები). ასეთი პოლიტიკა რომ არა, პარტია ვერ გადააქცევდა საკოლმეურნეო მოძრაობას თვით გლეხების ნამდვილად მასობრივ მოძრაობად.

«როცა პეტროგრადის პროლეტარიატი და პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცები ძალაუფლებას იღებდნენ, — ამბობს ლენინი, — მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ მშენებლობა სოფლად დიდ სიძნელეებს წააწყდებოდა, რომ აქ საჭიროა წინსვლა უფრო თანდათანობით, რომ აქ უდიდესი უაზრობა იქნებოდა ცდა მიწის საზოგადოებრივი დამუშავების შემოღებისა დეკრეტებით და კანონებით, რომ ამაზე დათანხმდებოდა შეგნებულთა სრულიად უმნიშვნელო რიცხვი, ხოლო გლეხების უდიდესი უმრავლესობა ამ ამოცანას არ ისახავდა. ამიტომ ჩვენ ვჯერდებოდით იმას, რაც აბსოლუტურად აუცილებელია რევოლუციის განვითარების ინტერესებისათვის: არავითარ შემთხვევაში არ გიგვეესწრო მასების განვითარებისა-

თვის, არამედ დავლოდებოდით, ვიდრე ამ მასების საკუთარი გამოცდილება, მათი საკუთარი ბრძოლა არ გამოიწვევდა წინსვლას» (ტ. XXIII, გვ. 252).

თუ პარტიამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე, ეს იმიტომ მოხდა, რომ იგი ზუსტად ასრულებდა ლენინის ამ ტაქტიკურ მითითებას.

იგი, ეს უმაგალითო წარმატება სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის საქმეში, აიხსნება, მეორე მხრივ, იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სწორად გაითვალისწინა, რომ გლეხობას უფრო და უფრო ესაჭიროება ახალი ინვენტარი, ახალი ტექნიკა, მან სწორად გაითვალისწინა გლეხობის გამოუვალი მდგომარეობა მიწის დამუშავების ძველი ფორმების დროს და, გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, დროზე მოაგვარა გლეხობისათვის დახმარების გაწევა გასაქირავებელი პუნქტების, სატრაქტორო კოლონების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სახით, მიწის საზოგადოებრივი დამუშავების მოწყობის სახით, კოლმეურნეობათა დანერგვის სახით, დასასრულ, საბჭოთა მეურნეობების ძალებით გლეხური მეურნეობისათვის ყოველმხრივი დახმარების სახით.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად გაჩნდა ქვეყნად ისეთი ხელისუფლება, საბჭოების ხელისუფლება, რომელმაც საქმით დაამტკიცა თავისი მზადყოფნა და თავისი უნარი — გაუწიოს გლეხობის მშრომელ მასებს სისტემატური და ხანგრძლივი საწარმოო დახმარება.

განა ცხადი არ არის, რომ გლეხობის მშრომელი მასები, რომლებიც ძველთაგანვე განიცდიან ინვენტარის დიდ ნაკლებობას, არ შეიძლებოდა არ ჩასჭიდებოდნენ ამ დახმარებას, არ დასდგომოდნენ საკოლმეურნეო მოძრაობის გზას?

და განა გასაკვირველია, რომ მუშების ძველ ლოზუნგს: «პირი სოფლისაკენ» ამიერიდან ალბათ დაემატება კოლმეურნე გლეხთა ახალი ლოზუნგი: «პირი ქალაქისაკენ»?

იგი, ეს უმაგალითო წარმატება საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში, აიხსნება, დასასრულ, იმით, რომ ეს საქმე თავიანთ ხელში აიღეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე მუშებმა. მე ვგულისხმობ მუშათა ბრიგადებს, რომლებიც ათობით და ასობით არიან გაფანტულნი ჩვენი ქვეყნის ძირითად რაიონებში. უნდა ვაღიაროთ, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ყველა არსებულ და შესაძლებელ პროპაგანდისტთა შორის მუშა-პროპაგანდისტები საუკეთესო პროპაგანდისტები არიან გლეხთა მასებში. რა უნდა იყოს გასაკვირველი იმაში, რომ მუშებმა შესძლეს დაერწმუნებინათ გლეხები მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში ინდივიდუალურ წვრილ

მეურნეობასთან შედარებით, მით უმეტეს, რომ არსებული კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ამ უპირატესობის დამადასტურებელ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ?

აი რა ნიადაგზე წარმოიშვა ჩვენი მიღწევა საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში, მიღწევა, რომელიც, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი მიღწევაა უკანასკნელი წლების ყველა მიღწევათაგან.

დაიმსხერა და გაცამტვერდა «მეცნიერების» მოსაზრებანი იმის წინააღმდეგ, რომ შესაძლებელი და მიზანშეწონილია მარცვლეულის 40 — 50-ათასჰექტარიანი მსხვილი ფაბრიკების მოწყობა. პრაქტიკამ გააბათილა «მეცნიერების» მოსაზრებანი და კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ არა მარტო პრაქტიკა უნდა სწავლობდეს «მეცნიერებისაგან», არამედ «მეცნიერებისთვისაც» ზედმეტი არ იქნება ისწავლოს პრაქტიკისაგან.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მარცვლეულის მსხვილი გიგანტიფაბრიკები ვერ ხეირობენ. მაგრამ ჩვენი ქვეყანა სოციალისტური ქვეყანაა. არ შეიძლება დავივიწყოთ ეს «პატარა» განსხვავება.

იქ, კაპიტალისტებთან, არ შეიძლება მოეწყოს მარცვლეულის მსხვილი ფაბრიკა, თუ მიწის მთელი რიგი ნაკვეთები არ შეისყიდეს ან მიწის აბსოლუტური რენტა არ გადაიხადეს, რამაც არ შეიძლება არ დატვირთოს წარმოება კოლოსალური ხარჯებით, ვინაიდან იქ მიწის კერძო საკუთრება არსებობს. ჩვენში, პირიქით, არც მიწის აბსოლუტური რენტა არსებობს, არც მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, რამაც არ შეიძლება არ შექმნას ხელსაყრელი პირობები მარცვლეულის მსხვილი მეურნეობის განვითარებისათვის, ვინაიდან ჩვენში მიწის კერძო საკუთრება არ არსებობს.

იქ, კაპიტალისტებთან. მარცვლეულის მსხვილ მეურნეობათა მიზანს შეადგენს მოგების მაქსიმუმის მიღება ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთი მოგების მიღება, რაც შეესაბამება მოგების ეგრეთწოდებულ საშუალო ნორმას, ურომლისოდ, საერთოდ რომ ვთქვათ, კაპიტალი დაინტერესებული არ არის ჩაებას მარცვლეულის მეურნეობის მოწყობის საქმეში. ჩვენში, პირიქით, მარცვლეულის მსხვილ მეურნეობებს, რომლებიც ამავე დროს სახელმწიფო მეურნეობები არიან, თავიანთი განვითარებისათვის არც მოგების მაქსიმუმი ესაჭიროებათ, არც მოგების საშუალო ნორმა, არამედ შეუძლიათ დასჯერდნენ მოგების მინიმუმს, ზოგჯერ კი ისინი ყოველგვარი მოგების გარეშეც იოლად მიდიან, რაც კვლავ ხელსაყრელ პირობებს უქმნის მარცვლეულის მსხვილი მეურნეობის განვითარებას.

დასასრულ, კაპიტალიზმის დროს მარცვლეულის მსხვილი მეურნეობებისათვის არც განსაკუთრებული შეღავათიანი კრედიტები არსებობს, არც განსაკუთრებული შეღავათიანი გადასახადები, მაშინ როცა საბჭოთა წყობილების დროს, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური სექტორისათვის ხელის შეწყობას, ასეთი შეღავათები არსებობს და იარსებებს.

ყოველივე ეს დაივიწყა დიდად პატივცემულმა «მეცნიერებამ».

დაიმსხვრა და გაცამტვერდა მემარჯვენე ოპორტუნისტების (ბუხარინის ჯგუფი) მტკიცება იმის შესახებ, რომ:

ა) გლეხები კოლმეურნეობებში არ შევლენ,

ბ) კოლმეურნეობათა განვითარების გაძლიერებულმა ტემპმა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ მასობრივი უკმაყოფილება და გლეხობის გათიშვა მუშათა კლასისაგან,

გ) სოფლად სოციალისტური განვითარების «მთავარ გზას» წარმოადგენენ არა კოლმეურნეობანი, არამედ კოოპერაცია,

დ) კოლმეურნეობათა განვითარებამ და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევამ შეიძლება ქვეყანა უპუროდ დატოვოს.

ყოველივე ეს დაიმსხვრა და გაცამტვერდა, როგორც ძველი ბურჟუაზიულ-ლიბერალური ნაგავი.

ჯერ-ერთი, გლეხები შევიდნენ კოლმეურნეობებში, შევიდნენ მთელი სოფლობით, თემობით, რაიონობით.

მეორეც, მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა კი არ ასუსტებს, არამედ განამტკიცებს გლეხობისა და მუშათა კლასის კავშირს. აძლევს მას ახალ, საწარმოო ბაზას. ახლა ბრმებიც კი ხედავენ, რომ თუ გლეხობის ძირითად მასებში კიდევაც არის რაიმე სერიოზული უკმაყოფილება, იგი ეხება არა საბჭოთა ხელისუფლების საკოლმეურნეო პოლიტიკას, არამედ იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია კვალდაკვალ მიჰყვეს საკოლმეურნეო მოძრაობის ზრდას იმ მხრივ, რომ გლეხები მანქანებითა და ტრაქტორებით მოამარაგოს.

მესამეც, დავა სოფლის სოციალისტური განვითარების «მთავარი გზის» შესახებ არის სქოლასტიკური დავა, რომელიც აიხენვალდისა და სლეპკოვის ტიპის ახალგაზრდა წვრილბურჟუაზიულ ლიბერალებს შეეფერება. ცხადია, სანამ მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა არ იყო, «მთავარ გზას» წარმოადგენდნენ კოოპერაციის დაბალი ფორმები, მომმარაგებელი და გამსაღებელი კოოპერაცია, ხოლო როცა ასპარეზზე გამოვიდა კოოპერაციის უმაღლესი ფორმა, მისი საკოლმეურნეო ფორმა, განვითარების «მთავარ გზად» ეს უკანასკნელი გადაიქცა.

უბრუყალებოდ თუ. ვიტყვით, სოფლის სოციალისტური განვითარების მთავარ გზას შეადგენს ლენინის კოოპერაციული გეგმა, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყველა ფორმას, დაბალი (მომმარაგებელ-გამსაღებელი) ფორმებით დაწყებული და უმაღლესი (საწარმოო-საკოლმეურნეო) ფორმებით დამთავრებული. კოოპერაციისათვის კოლმეურნეობების **დაპირდაპირება** ნიშნავს ლენინიზმის აბუჩად აგდებას და საკუთარი უმეცრების დადასტურებას.

მეოთხეც, ახლა ბრმებიც კი ხედავენ — სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევა რომ არ ყოფილიყო და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოძრაობა რომ არ განვითარებულიყო, ჩვენ ახლა არ გვექნებოდა არც გადამწყვეტი წარმატებანი პურის დამზადების საქმეში, რაც წელს მოვიპოვეთ, არც ათეულმილიონობით ფუთი პურის ის ხელუხლებელი მარაგი, რაც უკვე დაგროვდა სახელმწიფოს ხელში.

უფრო მეტიც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოძრაობის ზრდის მეოხებით ჩვენ საბოლოოდ ვაღწევთ თავს ან უკვე დავაღწიეთ თავი პურის კრიზისს. და თუ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარება გაძლიერებული ტემპით წავიდა, საფუძველი არა გვაქვს დავეჭვდეთ იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა სულ რაღაც სამიოდე წლის შემდეგ გადაიქცევა ერთ-ერთ დიდად პურიან ქვეყნად მსოფლიოში, თუ ყველაზე პურიან ქვეყნად არა.

რა არის ახალი ახლანდელ საკოლმეურნეო მოძრაობაში? ახლანდელ საკოლმეურნეო მოძრაობაში ახალი და გადამწყვეტი ის არის, რომ კოლმეურნეობებში გლეხები შედიან არა ცალკე ჯგუფებად, როგორც ეს წინათ ხდებოდა, არამედ მთელი სოფლობით, თემობით, რაიონობით, ოლქობითაც კი.

ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ **კოლმეურნეობებისაკენ დაიძრა საშუალო გლეხი**. ეს არის სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ძირეული გარდატეხის საფუძველი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს მიღწევას შეადგენს გასული წლის მანძილზე.

ინგრევა და იმსხვრევა ტროცკიზმის მენშევიკური «კონცეფცია» იმის შესახებ, თითქოს მუშათა კლასს უნარი არ შესწევს გაიყოლიოს გლეხობის ძირითადი მასები სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ახლა ბრმებიც კი ხედავენ, რომ საშუალო გლეხმა პირი იბრუნა კოლმეურნეობებისაკენ. ახლა ყველასათვის ცხადია, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხუთწლედი სოციალისტუ-

რი საზოგადოების აშენების ხუთწლედია, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც არა სწამთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა, უფლება არა აქვთ მიესალმონ ჩვენს ხუთწლედს.

იმსხვრევა და ქარწყლდება უკანასკნელი იმედი ყველა ქვეყნის კაპიტალისტებისა, რომლებიც ოცნებობენ სსრ კავშირში კაპიტალიზმის აღდგენაზე, — «კერძო საკუთრების წმინდა პრინციპი». გლეხები, რომლებსაც ისინი კაპიტალიზმისათვის ნიადაგის გამანოყიერებელ მასალად თვლიან, მასობრივად ტოვებენ «კერძო საკუთრების» ნაქებ დროშას და გადადიან კოლექტივიზმის რელსებზე, სოციალიზმის რელსებზე. იმსხვრევა კაპიტალიზმის აღდგენის უკანასკნელი იმედი.

სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების გააფთრებული ცდები — აამხედრონ შეტევაზე გადასული სოციალიზმის წინააღმდეგ ძველი სამყაროს მთელი ძალები, ცდები, რომლებიც იწვევენ კლასთა ბრძოლის გამწვავებას. კაპიტალს არ სურს «შეეზარდოს» სოციალიზმს.

ამითვე უნდა აიხსნას ის გაბოროტებული ღმუილი ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რაც უკანასკნელ ხანს ატეხეს კაპიტალის ქოფაკებმა, ყველა ჯურის სტრუვეებმა და გესენებმა, მილიუკოვებმა და კერენსკებმა, დანებმა და აბრამოვიჩებმა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის: ქრება კაპიტალიზმის აღდგენის უკანასკნელი იმედი.

მაშ რას შეიძლება მოწმობდეს კლასობრივი მტრების ეს ცოფმორეული გაბოროტება და კაპიტალის ლაქიების ეს გააფთრებული ღმუილი, თუ არა იმას, რომ პარტიამ მართლაც გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის უძნელეს ფრონტზე?

«მხოლოდ იმ შემთხვევაში, — ამბობს ლენინი, — თუ შევძლებთ საქმით ვუჩვენოთ გლეხებს მიწის საზოგადოებრივი, კოლექტიური, ამხანაგური, არტელური დამუშავების უპირატესობანი, მხოლოდ მაშინ, თუ შევძლებთ დავეხმაროთ გლეხს, ამხანაგური, არტელური მეურნეობის შემწეობით, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, ნამდვილად დაუმტკიცებს გლეხს თავის სიმართლეს, ნამდვილად მიიმხრობს მტკიცედ და ჯეროვნად გლეხობის მრავალმილიონიან მასას» (ტ. XXIV, გვ. 579).

ასე აყენებს ლენინი იმ საკითხს, თუ რა გზით მოვიზიდოთ მრავალმილიონიანი გლეხობა მუშათა კლასის მხარეზე, რა გზით გადავიყვანოთ გლეხობა საკოლმეურნეო მშენებლობის რელსებზე.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ პარტია წარმატებით ართმევს თავს ამ ამოცანას, გადაჭრით სძლევს რა ყველა და ყოველგვარ სიძნელეს ამ გზაზე.

«კომუნისტურ საზოგადოებაში, — ამბობს ლენინი, — საშუალო გლეხობა მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენს მხარეზე, როცა მას ცხოვრების ეკონომიურ პირობებს შევუმსუბუქებთ და გავუუმჯობესებთ. ჩვენ რომ შეგვეძლოს მივცეთ ხვალ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, მოვამარაგოთ ისინი ბენზინით, მოვამარაგოთ ისინი მემანქანეებით (თქვენ მშვენიერად იცით, რომ ჯერჯერობით ეს ფანტაზიაა), საშუალო გლეხი იტყოდა: «მე კომუნიის (ე. ი. კომუნიზმის) მომხრე ვარო». მაგრამ ეს რომ მოვახერხოთ, ამისათვის ჯერ უნდა დავამარცხოთ საერთაშორისო ბურჟუაზია, უნდა ვაიძულოთ იგი მოგვცეს ეს ტრაქტორები, ანდა იძდენად უნდა ავამაღლოთ ჩვენი წარმოების ნაყოფიერება, რომ თვითონ ჩვენ შევძლოთ მათი მიწოდება. მხოლოდ ეს იქნება საკითხის სწორი დაყენება» (ტ. XXIV, გვ. 170).

ასე აყენებს ლენინი იმ საკითხს, თუ რა გზით მოვახდინოთ საშუალო გლეხის ხელახალი ტექნიკური შეიარაღება, რა გზით მოვიზიდოთ იგი კომუნიზმის მხარეზე.

გასულმა წელმა ცხადყო, რომ პარტია ამ ამოცანასაც წარმატებით ართმევს თავს. ცნობილია, რომ დამდეგი 1930 წლის გაზაფხულისათვის ჩვენ მინდვრებზე გვექნება 60 ათასზე მეტი ტრაქტორი, ხოლო ერთი წლის შემდეგ — 100 ათასზე მეტი ტრაქტორი, კიდევ ორი წლის შემდეგ კი — 250 ათასზე მეტი ტრაქტორი. ის, რაც რამდენიმე წლის წინათ «ფანტაზიად» ითვლებოდა, ჩვენ ახლა საშუალება გვაქვს გადაჭარბებით ვაქციოთ სინამდვილედ.

აი სად არის იმის მიზეზი, რომ საშუალო გლეხმა პირი იბრუნა «კომუნიისაკენ».

ასეთია პარტიის მესამე მიღწევა.

ასეთია პარტიის ძირითადი მიღწევები გასულ წელს.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ:

ჩვენ მთელი სისწრაფით მივეშურებით ინდუსტრიალიზაციის გზით — სოციალიზმისაკენ და უკან ვიტოვებთ ჩვენს საუკუნეობრივ «რუსეთულ» ჩამორჩენილობას.

ჩვენ ვხდებით ლითონის ქვეყანა, ავტომობილიზაციის ქვეყანა, ტრაქტორიზაციის ქვეყანა.

და როცა სსრ კავშირს დავსვამთ ავტომობილზე, ხოლო გლეხს ტრაქტორზე, — მაშინ სცადონ და დაგვეწიონ პატივცემული კაპიტალისტები, რომლებიც ყოყოჩობენ თავიანთი «ცივილიზაციით». მაშინ ვნახოთ, რომელი ქვეყნები შეიძლება «განვსაზღვროთ» ჩამორჩენილებად და რომელი მოწინავეებად.

«პრავდა» № 259, 1929 წ. 7 ნოემბერი.

აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში

სიტყვა აგრარიკოს-მარქსისტთა კონფერენციაზე

1929 წ. 27 დეკემბერი

ამხანაგებო! ჩვენი საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრების ძირითადი ფაქტი ამჟამად, ფაქტი, რომელიც საყოველთაო ყურადღებას იპყრობს, არის საკოლმეურნეო მოძრაობის კოლოსალური ზრდის ფაქტი.

ახლანდელი საკოლმეურნეო მოძრაობის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ კოლმეურნეობებში შედიან არა მარტო ღარიბი გლეხობის ცალკეული ჯგუფები, როგორც ეს დღემდე იყო, არამედ კოლმეურნეობებში მასობრივად შედის საშუალო გლეხიც. ეს იმას ნიშნავს, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა მშრომელი გლეხების ცალკეული ჯგუფებისა და შუაფენების მოძრაობიდან გადაიქცა გლეხობის ძირითადი მასების მილიონთა და მილიონთა მოძრაობადსხვათა შორის, ამით უნდა აიხსნას ის კოლოსალური მნიშვნელობის ფაქტი, რომ საკოლმეურნეო მოძრაობა, რომელმაც მძლავრი, სულ უფრო მზარდი ანტიკულაკური ზვავის ხასიათი მიიღო, თავის გზაზე აცამტვერებს კულაკის წინააღმდეგობას, ამსხვრევს კულაკობას და გზას უკაფავს ფართო სოციალისტურ მშენებლობას სოფლად.

მაგრამ თუ ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიამაყოთ სოციალისტური მშენებლობის **პრაქტიკული** წარმატებებით, არ შეიძლება იგივე ითქვას ჩვენი **თეორიული** მუშაობის წარმატებებზე საერთოდ ეკონომიკის დარგში და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგში. უფრო მეტიც: უნდა ვაღიაროთ, რომ თეორიული აზროვნება ჩამორჩება ჩვენს პრაქტიკულ წარმატებებს, რომ ჩვენ გვაქვს ერთგვარი დაშორება პრაქტიკულ წარმატებებსა და თეორიული აზროვნების განვითარებას შორის. აუცილებელი კია, რომ თეორიული მუშაობა არა თუ არ ჩამორჩებოდეს პრაქტიკულ მუშაობას, არამედ წინ უსწრებდეს მას, აიარაღებდეს ჩვენს პრაქტიკოსებს მათს ბრძოლაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

აქ სიტყვას არ გავაგრძელებ თეორიის მნიშვნელობაზე. თქვენ ეს საკმაოდ კარგად იცით. ცნობილია, რომ თეორია, თუ იგი ნამდვილი

თეორიაა, პრაქტიკოსებს აძლევს ორიენტირების ძალას, პერსპექტივის სიცხადეს, სიმტკიცეს მუშაობაში, ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენას. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, — და არც შეიძლება არა ჰქონდეს, — ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმეში. უბედურება ის არის, რომ ჩვენ მოვიკოჭლებთ სწორედ ამ დარგში, ჩვენი ეკონომიკის საკითხების თეორიული დამუშავების დარგში.

მაშ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ჩვენში, ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჯერ კიდევ გასავალი აქვს სხვადასხვა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ თეორიებს ჩვენი ეკონომიკის საკითხებზე? რით უნდა აიხსნას, რომ ამ თეორიებს და ვაი-თეორიებს დღემდე ჯეროვანი წინააღმდეგობა არ ეწევა? რით უნდა აიხსნას, რომ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის მთელი რიგი ძირითადი დებულებანი, რომლებიც უებარ წამალს წარმოადგენენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ, დავიწყებას ეძლევა, რომ არ ხდება მათი პოპულარიზაცია ჩვენს პრესაში, რატომღაც არ აყენებენ მათ პირველ ადგილზე? განა ძნელია იმის გაგება, რომ კლასობრივ მტრებზე სრული გამარჯვების მიღწევა შეუძლებელია, თუ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე შეურიგებელი ბრძოლა არ ვაწარმოეთ ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ?

ახალი პრაქტიკა წარმოშობს ახალ მიდგომას გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის პრობლემებისადმი. ახლებურად ისმება ახლა საკითხი ნეპის შესახებ, კლასების შესახებ, მშენებლობის ტემპების შესახებ, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, პარტიის პოლიტიკის შესახებ. პრაქტიკას რომ არ ჩამოვრჩეთ, ახლავე უნდა შევუდგეთ ყველა ამ პრობლემის დამუშავებას ახალი ვითარების თვალსაზრისით. უამისოდ შეუძლებელია იმ ბურჟუაზიული თეორიების დაძლევა, რომლებიც გონებას უნაგვიანებენ ჩვენს პრაქტიკოსებს. უამისოდ შეუძლებელია აღმოვფხვრათ ეს თეორიები, რომლებიც ცრურწმენათა სიმტკიცეს იძენენ. ვინაიდან მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციების განმტკიცებას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმით, თუ ვიბრძოლებთ ბურჟუაზიულ ცრურწმენათა წინააღმდეგ თეორიაში.

ნება მიბოძეთ გადავიდე თუნდაც ზოგიერთი ამ ბურჟუაზიული ცრურწმენის დახასიათებაზე, რომლებსაც თეორიებს უწოდებენ, და ცხადვყო მათი უსაფუძვლობა ჩვენი მშენებლობის ზოგიერთი საკვანძო პრობლემის გაშუქებით.

I

«წონასწორობის» თეორია

თქვენ, რასაკვირველია, იცით, რომ კომუნისტებს შორის ჯერ კიდევ აქვს გასავალი ჩვენი სახალხო მეურნეობის სექტორების ეგრეთწოდებულ «წონასწორობის» თეორიას. ამ თეორიას, რა თქმა უნდა, საერთო არა აქვს რა მარქსიზმთან. მაგრამ სწორედ ამ თეორიის პროპაგანდას ეწევიან მთელი რიგი პირები მემარჯვენე უკლონისტთა ბანაკიდან.

ამ თეორიის მიხედვით იგულისხმება, რომ ჩვენ უწინარეს ყოვლისა გვაქვს სოციალისტური სექტორი, — ეს თავისებური ყუთია, — და გარდა ამისა გვაქვს არასოციალისტური, თუ გნებავთ — კაპიტალისტური სექტორი, — ეს მეორე ყუთია. ორივე ეს ყუთი დადგმულია სხვადასხვა რელსებზე და მშვიდობიანად მისრიალებს წინ ისე, რომ ერთმანეთს არ ეხება. გეომეტრიიდან ვიცით, რომ პარალელური ხაზები ერთმანეთს არ ხვდებიან. მაგრამ ამ შესანიშნავი თეორიის ავტორები ფიქრობენ, რომ ოდესმე ეს პარალელები ერთმანეთს შეხვდებიან და, როცა შეხვდებიან, მივიღებთ სოციალიზმს. ამასთან ეს თეორია მხედველობიდან უშვებს, რომ ეგრეთწოდებულ «ყუთებს» უკან დგანან კლასები, ხოლო ამ «ყუთების» მოძრაობა ხდება გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პირობებში, «ვინ ვის» პრინციპის მიხედვით მიმდინარე ბრძოლის პირობებში.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ამ თეორიას ლენინიზმთან საერთო არა აქვს რა. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ეს თეორია ობიექტურად მიზნად ისახავს დაიცვას ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის პოზიციები, შეაიარაღოს კულაკური ელემენტები «ახალი» თეორიული იარაღით მათს ბრძოლაში კოლმეურნეობების წინააღმდეგ და სახელი გაუტეხოს კოლმეურნეობათა პოზიციებს.

მიუხედავად ამისა, მას, ამ თეორიას, დღემდე გასავალი აქვს ჩვენს პრესაში. და არ შეიძლება ითქვას, რომ ეს თეორია სერიოზულ წინააღმდეგობას, მით უმეტეს — გამანადგურებელ წინააღმდეგობას ხვდებოდეს ჩვენი თეორეტიკოსების მხრივ. მაშ რით უნდა აიხსნას ეს შეუსაბამობა, თუ არა ჩვენი თეორიული აზროვნების ჩამორჩენილობით?

ამავე დროს კი საკმარისია მარქსიზმის საგანძურიდან ამოვიღოთ რეპროდუქციის თეორია და დავუპირდაპიროთ იგი სექტორების წონასწორობის თეორიას, რომ ამ უკანასკნელი თეორიის ნასახიც აღარ დარჩეს. მართლაც, რეპროდუქციის მარქსისტული თეორია

გვასწავლის, რომ თანამედროვე საზოგადოება ვერ განვითარდება, თუ იგი წლითი-წლობით არ აგროვებს სახსრებს, ხოლო დაგროვება შეუძლებელია, თუ წლითი-წლობით არ იწარმოებს გაფართოებული რეპროდუქცია. ეს ცხადი და გასაგებია. ჩვენი მსხვილი ცენტრალიზებული სოციალისტური მრეწველობა ვითარდება გაფართოებული რეპროდუქციის მარქსისტული თეორიის მიხედვით, ვინაიდან იგი ყოველწლიურად იზრდება თავისი მოცულობით, აქვს თავისი დაგროვება და გოლიათური ნაბიჯით მიდის წინ.

მაგრამ ჩვენი სახალხო მეურნეობა მსხვილი მრეწველობით როდი ამოიწურება. პირიქით, ჩვენს სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ ჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობა. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენი წვრილგლეხური მეურნეობა გაფართოებული რეპროდუქციის პრინციპის მიხედვით ვითარდება? არა, ამის თქმა არ შეიძლება. ჩვენი წვრილგლეხური მეურნეობის მასა არა თუ ყოველწლიურად არ ახორციელებს გაფართოებულ რეპროდუქციას, არამედ, პირიქით, მას ძალიან იშვიათად აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მარტივი რეპროდუქციაც კი. შეიძლება თუ არა დაჩქარებული ტემპით წავწიოთ წინ ჩვენი სოციალიზებული ინდუსტრია, როცა გვაქვს სოფლის მეურნეობის ისეთი ბაზა, როგორიც წვრილგლეხური მეურნეობაა, რომელსაც გაფართოებული რეპროდუქციის უნარი არა აქვს და რომელიც ამასთანავე უპირატეს ძალას წარმოადგენს ჩვენს სახალხო მეურნეობაში? არა, არ შეიძლება. შეიძლება თუ არა ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დავამყაროთ საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური მშენებლობა ორ **სხვადასხვა** საფუძველზე — ყველაზე მსხვილი და გაერთიანებული სოციალისტური მრეწველობის საფუძველზე და ყველაზე დაქუცმაცებული და ჩამორჩენილი წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის საფუძველზე? არა, არ შეიძლება. ეს როდისმე უნდა დამთავრდეს მთელი სახალხო მეურნეობის სრული მოშლით.

მაშ სად არის გამოსავალი? გამოსავალი ის არის, რომ გავამსხვილოთ სოფლის მეურნეობა, მივცეთ მას დაგროვების, გაფართოებული რეპროდუქციის უნარი და ამრიგად გარდავქმნათ სახალხო მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ბაზა.

მაგრამ როგორ გავამსხვილოთ იგი?

ამისათვის არსებობს ორი გზა. არსებობს **კაპიტალისტური** გზა, რომელიც გულისხმობს სოფლის მეურნეობის გამსხვილებას მასში კაპიტალიზმის დანერგვით, გზა, რომელსაც მივყავართ გლეხობის გაღატაკებისა და სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ საწარმო-

თა განვითარებისაკენ. ამ გზას ჩვენ უარვყოფთ, როგორც საბჭოთა მეურნეობასთან შეუთავსებელ გზას.

არსებობს მეორე გზა, **სოციალისტური** გზა, რომელიც გულისხმობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დანერგვას სოფლის მეურნეობაში, გზა, რომელსაც მივყავართ წვრილგლეხურ მეურნეობათა გაერთიანებისაკენ ტექნიკითა და მეცნიერებით შეიარაღებულ და შემდგომი განვითარების შესაძლებლობის მქონე მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად, ვინაიდან ამ მეურნეობებს შეუძლიათ განახორციელონ გაფართოებული რეპროდუქცია.

მაშასადამე, საკითხი ასე დგას: ან ერთი გზა, ან მეორე, ან უკან—კაპიტალიზმისაკენ, ან **წინ** — სოციალიზმისაკენ. არავითარი მესამე გზა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

«წონასწორობის» თეორია მესამე გზის დასახვის ცდაა. და სწორედ იმიტომ, რომ ის ითვალისწინებს მესამე (არარსებულ) გზას, იგი უტოპიური, ანტიმარქსისტულია.

ამრიგად, საკმარისი იყო მარქსის რეპროდუქციის თეორია დაგვეპირდაპირებინა სექტორების «წონასწორობის» თეორიისათვის, რომ ამ უკანასკნელი თეორიის ნასახიც აღარ დარჩენილიყო.

მაშ რატომ არ აკეთებენ ამას ჩვენი აგრარიკოს-მარქსისტები? ვისთვის არის საჭირო, რომ «წონასწორობის» სასაცილო თეორიას გასავალი ჰქონდეს ჩვენს პრესაში, ხოლო რეპროდუქციის მარქსისტული თეორია მივიწყებული იყოს?

II

სოციალისტურ მშენებლობაში «თვითდინების» თეორია

გადავიდეთ მეორე ცრურწმენაზე პოლიტიკურ ეკონომიაში, ბურჟუაზიული ტიპის მეორე თეორიაზე. მხედველობაში მაქვს თეორია «თვითდინებისა» სოციალისტური მშენებლობის საქმეში, თეორია, რომელსაც მარქსიზმთან საერთო არა აქვს რა, მაგრამ რომელსაც გულმოდგინედ ქადაგებენ ჩვენი ამხანაგები მემარჯვენე ბანაკიდან.

ამ თეორიის ავტორები დაახლოებით შემდეგს ამტკიცებენ. ჩვენ გვქონდა კაპიტალიზმი, ვითარდებოდა ინდუსტრია კაპიტალისტურ ბაზაზე, სოფელი კი კაპიტალისტურ ქალაქს მიჰყვებოდა სტიქიურად, თვითდინებით, სახეს იცვლიდა ხატად და მსგავსად კაპიტალისტური ქალაქისა. თუ ასე ხდებოდა კაპიტალიზმის დროს, რატომ არ შეიძლება იგივე მოხდეს საბჭოთა მეურნეობის დროსაც? რატომ არ შეუძლია სოფელს, წვრილგლეხურ მეურნეობას, გაჰყვეს სოციალისტურ ქალაქს თვითდინების გზით, სტიქიურად იცვალოს

სახე ხატად და მსგავსად სოციალისტური ქალაქისა? ამ თეორიის ავტორები ამ საბუთით ამტკიცებენ, რომ სოფელს შეუძლია თვითდინების წესით გაჰყვეს სოციალისტურ ქალაქს. აქედან — კითხვა: ღირს თუ არა თავი გამოვიდოთ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შექმნისათვის, ღირს თუ არა ფარ-ხმალი ვამსხვრიოთ, თუ სოფელს უამისოდაც შეუძლია გაჰყვეს სოციალისტურ ქალაქს?

აი კიდევ ერთი თეორია, რომელიც ობიექტურად მიზნად ისახავს ახალი იარაღით აღჭურვოს სოფლის კაპიტალისტური ელემენტები მათს ბრძოლაში კოლმეურნეობათა წინააღმდეგ.

ამ თეორიის ანტიმარქსისტული არსი სავსებით უეჭველია.

განა უცნაური არ არის, რომ ჩვენმა თეორეტიკოსებმა ჯერ კიდევ ვერ მოიცალეს იმისათვის, რომ გაეცამტვერებინათ ეს ახირებული თეორია, რომელიც გონებას უნაგვიანებს ჩვენს პრაქტიკოს-კოლმეურნეებს?

ეჭვს გარეშეა, რომ წვრილგლეხური ინდივიდუალისტური სოფლის მიმართ სოციალისტური ქალაქის წამყვანი როლი დიდი დაფასდაუდებელია. სწორედ ამას ემყარება ინდუსტრიის გარდამქმნელი როლი სოფლის მეურნეობის მიმართ. მაგრამ საკმარისია თუ არა ეს ფაქტორი იმისათვის, რომ წვრილგლეხური სოფელი თვითონ თვითდინებით გაჰყვეს ქალაქს სოციალისტური მშენებლობის საქმეში? არა, არ არის საკმარისი.

კაპიტალიზმის დროს სოფელი სტიქიურად მიჰყვებოდა ქალაქს, იმიტომ რომ ქალაქის კაპიტალისტური მეურნეობა და გლეხის წვრილსასაქონლო ინდივიდუალური მეურნეობა თავისი საფუძვლით ერთი ტიპის მეურნეობას წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, წვრილგლეხური სასაქონლო მეურნეობა ჯერ კიდევ არ არის კაპიტალისტური მეურნეობა. მაგრამ იგი თავისი საფუძვლით იმავე ტიპისაა, რაც კაპიტალისტური მეურნეობა, რადგან წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას ემყარება. ათასჯერ მართალია ლენინი, როცა თავის შენიშვნებში ბუხარინის წიგნის — «გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის» — შესახებ ლაპარაკობს «გლეხობის სასაქონლო-კაპიტალისტურ ტენდენციაზე» წინააღმდეგ «პროლეტარიატის სოციალისტური ტენდენციისა» [1]. სწორედ ამით აიხსნება, რომ «წვრილი წარმოება წარმოშობს კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ, ყოველდღე, ყოველ საათს, სტიქიურად და მასობრივი მასშტაბით» (ლენინი).

---

1 ხაზგასმა ლენინისაა. ი. ხ.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობა თავისი საფუძვლით იმავე ტიპისაა, რაც ქალაქის სოციალისტური წარმოება? ცხადია, ამის თქმა არ შეიძლება მარქსიზმთან კავშირის გაუწყვეტლად. ასე რომ არ იყოს, ლენინი არ იტყოდა, რომ «სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის».

მაშასადამე, თეორია «თვითდინებისა» სოციალისტური მშენებლობის საქმეში დამპალი, ანტილენინური თეორიაა.

მაშასადამე, წვრილგლეხური სოფელი სოციალისტურ ქალაქს რომ გაჰყვეს, ამისთვის, ყოველივე დანარჩენს გარდა, კიდევ საჭიროა დაინერგოს სოფლად მსხვილი სოციალისტური მეურნეობები საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, როგორც სოციალიზმის ბაზის, სახით, რომლებსაც შეეძლებათ სოციალისტური ქალაქის მეთაურობით გაიყოლიონ გლეხობის ძირითადი მასები.

მაშასადამე, თეორია «თვითდინებისა» სოციალისტურ მშენებლობაში ანტიმარქსისტული თეორიაა. სოციალისტურ ქალაქს შეუძლია გაიყოლიოს წვრილგლეხური სოფელი მხოლოდ იმ პირობით, თუ სოფლად დანერგავს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს და გარდაქმნის სოფელს ახალ, სოციალისტურ ყაიდაზე.

უცნაურია, რომ ანტიმარქსისტული თეორია «თვითდინებისა» სოციალისტურ მშენებლობაში დღემდე ვერ ხვდება ჯეროვან წინააღმდეგობას ჩვენი თეორეტიკოს-აგრარიკოსების მხრივ.

III

წვრილგლეხური მეურნეობის «მყარობის» თეორია

გადავიდეთ მესამე ცრურწმენაზე პოლიტიკურ ეკონომიაში, წვრილგლეხური მეურნეობის «მყარობის» თეორიაზე. ყველასათვის ცნობილია ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის დავა მარქსიზმის იმ ცნობილი თეზისის წინააღმდეგ, რომელიც შეეხება მსხვილი მეურნეობის უპირატესობას წვრილთან შედარებით და რომელსაც თითქოს ძალა აქვს მხოლოდ მრეწველობაში, მაგრამ გამოუყენებელია სოფლის მეურნეობაში. დავიდისა და ჰერცის ტიპის სოციალ-დემოკრატი თეორეტიკოსები, რომლებიც ამ თეორიას ქადაგებენ, ამასთანავე ცდილობდნენ «დაყრდნობოდნენ» იმ ფაქტს, რომ წვრილი გლეხი ამტანია, მომთმენია, მზად არის გაუძლოს

ყოველგვარ გაჭირვებას, ოღონდ კი თავისი ნაკერი მიწა შეინარჩუნოს, რომ, ამის გამო, მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობასთან ბრძოლის დროს წვრილგლეხური მეურნეობა მყარობას იჩენს.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ასეთი «მყარობა» ყოველგვარ მერყეობაზე უარესია. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ამ ანტიმარქსისტულ თეორიას მიზნად აქვს მხოლოდ ერთი რამ: შექება და განმტკიცება კაპიტალისტური წესწყობილებისა, რომელიც წვრილი გლეხების მილიონნიან მასებს აღატაკებს. და სწორედ იმიტომ, რომ ამ თეორიას ასეთი მიზანი აქვს, სწორედ ამიტომ შესძლეს მარქსისტებმა ასე ადვილად გაეცამტვერებინათ ეს თეორია.

მაგრამ ახლა საქმე ეს კი არ არის. საქმე ის არის, რომ ჩვენი პრაქტიკა, ჩვენი სინამდვილე იძლევა ახალ არგუმენტებს ამ თეორიის წინააღმდეგ, ხოლო ჩვენს თეორეტიკოსებს რატომღაც არ სურთ ან არ შეუძლიათ გამოიყენონ ეს ახალი იარაღი მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ. მხედველობაში მაქვს მიწის კერძო საკუთრების მოსპობის პრაქტიკა, მიწის ნაციონალიზაციის პრაქტიკა ჩვენში, პრაქტიკა, რომელიც წვრილ გლეხს ათავისუფლებს თავისი ნაკერი მიწისადმი მონური ერთგულებისაგან და ამით აადვილებს გადასვლას წვრილი გლეხური მეურნეობიდან მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობაზე.

მართლაც, რა აკავშირებდა, აკავშირებს და მომავალშიც დააკავშირებს დასავლეთ ევროპაში წვრილ გლეხს თავის წვრილ სასაქონლო მეურნეობასთან? უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად თავისი საკუთარი ნაკერი მიწის არსებობა, მიწის კერძო საკუთრების არსებობა. იგი წლობით აგროვებდა ფულს იმისათვის, რომ ეყიდა ნაკერი მიწა, მან იყიდა ეს მიწა და, გასაგებია, არა სურს შეელიოს მას, ამჯობინებს აიტანოს ყველა და ყოველგვარი გაჭირვება, ამჯობინებს გაველურდეს, გაღატაკდეს, ოღონდ კი შეინარჩუნოს თავისი ნაკერი მიწა — მისი ინდივიდუალური მეურნეობის საფუძველი.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს ფაქტორი ამ სახით განაგრძობს მოქმედებას ჩვენშიც, საბჭოთა წყობილების პირობებში? არა, არ შეიძლება ითქვას. არ შეიძლება ითქვას, რადგან ჩვენში არ არსებობს მიწის კერძო საკუთრება. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენში არ არსებობს მიწის კერძო საკუთრება, ჩვენში არ არის გლეხის ის მონური ერთგულებაც ნაკერი მიწისადმი, რაც დასავლეთშია. ეს გარემოება კი არ შეიძლება არ აადვილებდეს წვრილგლეხური მეურნეობის გადასვლას კოლმეურნეობათა რელსებზე.

აი სად არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მსხვილი მეურნეობები სოფლად, კოლმეურნეობები სოფლად, ასე ადვილად ცხადყოფენ

ჩვენში, მიწის ნაციონალიზაციის პირობებში, თავიანთ უპირატესობას წვრილი გლეხური მეურნეობის წინაშე.

აი სად არის უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა საბჭოთა აგრარული კანონებისა, რომლებმაც მოსპეს აბსოლუტური რენტა, გააუქმეს მიწის კერძო საკუთრება და დააწესეს მიწის ნაციონალიზაცია.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენს განკარგულებაშია ახალი არგუმენტი ბურჟუაზიული ეკონომისტების წინააღმდეგ, რომლებიც აცხადებენ წვრილგლეხური მეურნეობის მყარობას მსხვილ მეურნეობასთან ბრძოლაში.

რატომ საკმაოდ არ იყენებენ ამ ახალ არგუმენტს ჩვენი თეორეტიკოს-აგრარიკოსები ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ ბრძოლაში?

მიწის ნაციონალიზაციას რომ ვახორციელებდით, ჩვენ ვემყარებოდით, სხვათა შორის, იმ თეორიულ წანამძღვრებს, რომლებიც მოცემულია «კაპიტალის» მესამე ტომში, მარქსის ცნობილ წიგნში «ზედმეტი ღირებულების თეორიები» და ლენინის აგრარულ შრომებში, რომლებიც თეორიული აზროვნების უმდიდრეს საგანძურს წარმოადგენენ. მე მხედველობაში მაქვს მიწის რენტის თეორია საერთოდ და მიწის აბსოლუტური რენტის თეორია განსაკუთრებით. ახლა ცხადია, რომ ამ შრომების თეორიული დებულებანი ბრწყინვალედ დაადასტურა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ ქალაქად და სოფლად.

ოღონდ გაუგებარია, რატომ უნდა ჰქონდეთ ჩვენს პრესაში თავისუფალი გასავალი ჩაიანოვის ტიპის «საბჭოთა» ეკონომისტების ანტიმეცნიერულ თეორიებს, ხოლო მარქს-ენგელს-ლენინის გენიალური შრომები მიწის რენტისა და მიწის აბსოლუტური რენტის თეორიის შესახებ პირველ ადგილზე არ უნდა იყოს წამოყენებული, დავიწყებას უნდა ეძლეოდეს და არ უნდა ხდებოდეს მათი პოპულარიზაცია?

თქვენ, ალბათ, გახსოვთ ენგელსის ცნობილი ბროშურა «გლეხთა საკითხი». თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ, რამდენად წინდახედულად უდგება ენგელსი საამხანაგო მეურნეობის გზაზე, კოლექტიური მეურნეობის გზაზე წვრილი გლეხების გადაყვანის საკითხს. ნება მიბოძეთ მოვიყვანო ენგელსის ბროშურის სათანადო ადგილი:

«ჩვენ გადაჭრით ვდგავართ წვრილი გლეხის მხარეზე; ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი შესაძლებელია, რომ მან უფრო რიგიანად იცხოვროს, რომ გაუადვილოთ მას ამხანაგობაზე გადასვლა იმ შემთხვევაში, თუ იგი ამას გადაწყვეტს; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი ჯერ კიდევ ვერ შესძლებს მიიღოს ეს გადა-

წაეტილება, შეეეცდებით რაც შეიძლება მეტი დრო მიეცეთ მას ამის მოსაფიქრებლად თავის ნაკერ მიწაზე»[1].

თქვენ ხედავთ, რამდენად წინდახედულად უდგება ენგელსი კოლექტივიზმის რელსებზე ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის გადაყვანის საკითხს. რით უნდა აიხსნას ენგელსის ასეთი, ერთი შეხედვით გადაჭარბებული, წინდახედულობა? რას ემყარებოდა იგი ამ შემთხვევაში? ცხადია, იგი ემყარებოდა მიწის კერძო საკუთრების არსებობას, იმ ფაქტს, რომ გლეხს აქვს «თავისი ნაკერი» მიწა და რომ მისთვის, გლეხისთვის, სამძიმო იქნება შეელიოს ამ ნაკერს. ასეთია გლეხობა დასავლეთში. ასეთია გლეხობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მიწის კერძო საკუთრება არსებობს. გასაგებია, რომ აქ საჭიროა დიდი წინდახედულობა.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენში, სსრ კავშირში, ასეთივე მდგომარეობაა? არა, ამის თქმა არ შეიძლება. არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენში არ არსებობს მიწის კერძო საკუთრება, რომელიც გლეხს აჯაჭვავს თავის ინდივიდუალურ მეურნეობაზე. არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენში მიწის ნაციონალიზაციაა, რომელიც აადვილებს კოლექტივიზმის რელსებზე ინდივიდუალური გლეხის გადასვლის საქმეს.

აი სად არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჩვენში ამ ბოლო დროს შედარებით ასე ადვილად და სწრაფად ვითარდება საკოლმეურნეო მოძრაობა.

სამწუხაროა, რომ ჩვენს თეორეტიკოს-აგრარიკოსებს ჯერ კიდევ არ უცდიათ სათანადო სიცხადით გამოეაშკარავებინათ ეს განსხვავება გლეხის მდგომარეობისა ჩვენში და დასავლეთში. ასეთ მუშაობას კი უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა არა მარტო ჩვენთვის, საბჭოთა მუშაკებისათვის, არამედ ყველა ქვეყნის კომუნისტებისთვისაც. ვინაიდან კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციისათვის სულ ერთი არ არის, მოუხდებათ იქ სოციალიზმის შენება პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის პირველი დღეებიდანვე მიწის ნაციონალიზაციის ბაზაზე თუ ასეთი ბაზის უქონლად.

ჩემს სტატიაში, რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა («დიადი გარდატეხის წელი»), მე ვავითარებდი გარკვეულ არგუმენტებს იმის შესახებ, რომ მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობას უპირატესობა აქვს წვრილ მეურნეობასთან შედარებით, მხედველობაში მქონდა რა მსხვილი საბჭოთა მეურნეობები. მტკიცებაც კი არ ესაჭიროება იმას, რომ ყველა ეს არგუმენტი მთლიანად და სავსე-

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ბით ეხება კოლმეურნეობებსაც, როგორც მსხვილ სამეურნეო ერთეულებს. მე ვლაპარაკობ არა მარტო განვითარებულ კოლმეურნეობებზე, რომლებსაც სამანქანო-სატრაქტორო ბაზა აქვთ, არამედ პირველადს კოლმეურნეობებზეც, რომლებიც საკოლმეურნეო მძენებლობის, ასე ვთქვათ, მანუფაქტურულ პერიოდს წარმოადგენენ და გლეხურ ინვენტარს ეყრდნობიან. მხედველობაში მაქვს ის პირველადი კოლმეურნეობები, რომლებიც ამჟამად იქმნებიან მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში და რომლებიც ეყრდნობიან წარმოების გლეხური იარაღების უბრალო შეერთებას.

ავიღოთ, მაგალითად, კოლმეურნეობები ყოფილ დონის ოლქის ხოპიორის რაიონში. ტექნიკის თვალსაზრისით ეს კოლმეურნეობები ერთი შეხედვით თითქოს არ განსხვავდებიან წვრილი გლეხური მეურნეობისაგან (ცოტა აქვთ მანქანები, ცოტა აქვთ ტრაქტორები). კოლმეურნეობათა წიაღში გლეხური იარაღების უბრალო შეერთებამ კი ისეთი ეფექტი მოგვცა, რომელზედაც არც კი ოცნებობდნენ ჩვენი პრაქტიკოსები. რით გამოიხატა ეს ეფექტი? იმით, რომ კოლმეურნეობათა რელსებზე გადასვლამ ნათესი ფართობი 30, 40 და 50 პროცენტით გაადიდა. რით უნდა ავხსნათ ეს «თავბრუდამხვევი» ეფექტი? იმით, რომ გლეხები, რომლებიც უძლურნი იყვნენ ინდივიდუალური შრომის პირობებში, უდიდეს ძალად გადაიქცნენ, როდესაც თავიანთი იარაღები შეაერთეს და კოლმეურნეობებში გაერთიანდნენ. იმით, რომ გლეხებს შესაძლებლობა მიეცათ დაემუშავებინათ ინდივიდუალური შრომის პირობებში ძნელად დასამუშავებელი მიტოვებული მიწები და ყამირი. იმით, რომ გლეხებს შესაძლებლობა მიეცათ ხელში აეღოთ ყამირი. იმით, რომ შესაძლებელი გახდა მიგდებული მიწების, მიწის ცალკე ნაჭრების, მიჯნებისა და სხვ. და სხვ. გამოყენება.

მიტოვებული მიწებისა და ყამირის დამუშავების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. თქვენ იცით, რომ ძველად რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ღერძს აგრარული საკითხი წარმოადგენდა. თქვენ იცით, რომ აგრარული მოძრაობის ერთ-ერთი მიზანი იყო მიწის სიმცირის მოსპობა. მაშინ ბევრი ფიქრობდა, მიწის ეს სიმცირე აბსოლუტურიაო, ე. ი. რუსეთში დასამუშავებლად ვარგისი თავისუფალი მიწები აღარ არისო. ნამდვილად კი რა გამოირკვა? ახლა საესებით ცხადია, რომ სსრ კავშირში იყო და დარჩა ათეულმილიონობით ჰექტარი თავისუფალი მიწები, მაგრამ გლეხს არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა დაემუშავებინა ეს მიწები თავისი უბადრუკი იარაღებით. და სწორედ იმიტომ, რომ გლეხს შესაძლებლობა არ ჰქონდა დაემუშავე-

ბინა ყამირი და მიტოვებული მიწები, სწორედ ამიტომ მიისწრაფოდა იგი «რბილი მიწებისაკენ», იმ მიწებისაკენ, რომლებიც მემამულეებს ეკუთვნოდათ, იმ მიწებისაკენ, რომელთა დამუშავებაც მოსახერხებელი იყო გლეხური ინვენტარის ძალებით ინდივიდუალური შრომის პირობებში. აი რა იყო «მიწის სიმცირის» საფუძველი. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენს მარცვლეულის ტრესტს, რომელიც ტრაქტორებით არის აღჭურვილი, ახლა შესაძლებლობა აქვს დაამუშაოს ოციოდე მილიონი ჰექტარი თავისუფალი მიწები, რომლებიც გლეხებს არ უჭირავთ და რომელთა დამუშავება შეუძლებელია ინდივიდუალური შრომის წესით წვრილგლეხური ინვენტარის ძალებით.

საკოლმეურნეო მოძრაობის მნიშვნელობა ყველა მის ფაზაში, — მის პირველადს ფაზაშიც და უფრო განვითარებულ ფაზაშიც, როდესაც ის ტრაქტორებით არის აღჭურვილი, — სხვათა შორის, ის არის, რომ გლეხებს ახლა შესაძლებლობა ეძლევათ დაამუშაონ მიტოვებული მიწები და ყამირი. ამაშია საიდუმლოება ნათესი ფართობების უდიდესი ზრდისა გლეხების კოლექტიურ შრომაზე გადასვლის დროს. ეს არის ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით კოლმეურნეობათა უპირატესობის ერთ-ერთი საფუძველი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით კოლმეურნეობათა უპირატესობა კიდევ უფრო უდავო გახდება, როდესაც მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში პირველადს კოლმეურნეობებს დაეხმარებიან ჩვენი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და კოლონები, როდესაც თვით კოლმეურნეობებს მიეცემათ შესაძლებლობა თავიანთ ხელში დააგროვონ ტრაქტორები და კომბაინები.

IV

ქალაქი და სოფელი

არსებობს ცრურწმენა ეგრეთწოდებული «მაკრატლის» შესახებ, რომელსაც ბურჟუაზიული ეკონომისტები ნერგავენ; ამ ცრურწმენას ულმობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, ისევე როგორც ყველა სხვა ბურჟუაზიულ თეორიას, რომლებიც, სამწუხაროდ, გავრცელებულია საბჭოთა პრესაში. მხედველობაში მაქვს თეორია იმის შესახებ, რომ ოქტომბრის რევოლუციამ გლეხობას ვითომც ნაკლები მისცა, ვიდრე თებერვლის რევოლუციამ, რომ ოქტომბრის რევოლუციას, არსებითად, არაფერი არ მიუცია გლეხობისათვის.

ამ ცრურწმენას ერთ დროს ჩვენს პრესაში ავრცელებდა ერთ-ერთი «საბჭოთა» ეკონომისტი. მართალია, მან, ამ «საბჭოთა» ეკონომისტმა, შემდეგში უარი თქვა თავის თეორიაზე. (ხ მ ა: «ვინ არის იგი?»). ეს არის გრომანი. მაგრამ ამ თეორიას ხელი ჩასჭიდა ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ოპოზიციამ და გამოიყენა პარტიის წინააღმდეგ. ამასთან არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მას ამჟამადაც არა აქვს გასავალი «საბჭოთა» საზოგადოებრიობის წრეებში.

ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, ამხანაგებო. იგი ეხება ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის პრობლემას. იგი ეხება ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის პრობლემას. იგი ეხება უაღრესად აქტუალურ საკითხს «მაკრატლის» შესახებ. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ღირს ყურადღება შევაჩეროთ ამ უცნაურ თეორიაზე.

მართალია თუ არა, რომ ოქტომბრის რევოლუციისაგან გლეხებს არაფერი მიუღიათ? მივმართოთ ფაქტებს.

მე ხელთ მაქვს ცნობილი სტატისტიკოსის ამხ. ნემჩინოვის ცნობილი ცხრილი, გამოქვეყნებული ჩემს სტატიაში «პურის ფრონტზე». ამ ცხრილიდან ჩანს, რომ რევოლუციამდე მემამულეებს «მოჰყავდათ» სულ ცოტა 600 მილიონი ფუთი მარცელეული პური. მაშასადამე, მემამულეების ხელში მაშინ იყო 600 მილიონი ფუთი პური.

ამ ცხრილის მიხედვით კულაკებს მაშინ «მოჰყავდათ» 1 900 მილიონი ფუთი პური. ეს მეტად დიდი ძალაა, რომელიც მაშინ კულაკებს ჰქონდათ.

ღარიბ და საშუალო გლეხებს კი იმავე ცხრილის მიხედვით მოჰყავდათ 2 500 მილიონი ფუთი პური.

ასეთია ძველი სოფლის, ოქტომბრის რევოლუციის წინადროინდელი სოფლის მდგომარეობის სურათი.

რა ცვლილებები მოხდა სოფლად ოქტომბრის შემდეგ? ვიღებ ციფრებს იმავე ცხრილიდან. ავიღოთ, მაგალითად, 1927 წელი. რამდენი მოიყვანეს ამ წელს მემამულეებმა? ცხადია, მათ არაფერი მოუყვანიათ და არც შეეძლოთ მოეყვანათ, იმიტომ რომ მემამულეები ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო. თქვენ მიხვდებით, რომ ამას დიდად უნდა შეემსუბუქებინა გლეხობის მდგომარეობა, ვინაიდან გლეხები განთავისუფლდნენ მემამულეთა უღლისაგან. ეს, რა თქმა უნდა, გლეხობისათვის დიდი მოგებაა, რომელიც მან ოქტომბრის რევოლუციის შედეგად მიიღო.

რამდენი მოიყვანეს კულაკებმა 1927 წელს? 600 მილიონი ფუთი პური ნაცვლად 1 900 მილიონი ფუთისა. მაშასადამე, ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში კულაკები ერთისამად და უფრო მეტად დასუსტდნენ. თქვენ მიხვდებით, რომ ამას არ შეეძლო არ შეემსუბუქებინა ღარიბი და საშუალო გლეხების მდგომარეობა.

ხოლო რამდენი მოიყვანეს ღარიბმა და საშუალო გლეხებმა 1927 წელს? 4 მილიარდი ფუთი ნაცვლად 2 500 მილიონი ფუთისა. მაშასადამე, ღარიბ და საშუალო გლეხებს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 1,5 მილიარდი ფუთით მეტი პური მოჰყავთ, ვიდრე რევოლუციამდე მოჰყავდათ.

აი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ღარიბმა და საშუალო გლეხებმა ოქტომბრის რევოლუციის შედეგად კოლოსალური სარგებლობა ნახეს.

აი რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ ღარიბ და საშუალო გლეხებს.

როგორ შეიძლება ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციას გლეხებისათვის არაფერი მიუცია?

მაგრამ ეს ყველაფერი როდია, ამხანაგებო.. ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო მიწის კერძო საკუთრება, მოსპო მიწის ყიდვა-გაყიდვა, გაატარა მიწის ნაციონალიზაცია. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ პურის მოსაყვანად გლეხს ახლა სრულიადაც არ ესაჭიროება იყიდოს მიწა. წინათ იგი წლობით აგროვებდა სახსრებს იმისათვის, რომ შეეძინა მიწა, ვალებში ეფლობოდა, კაბალაში ვარდებოდა, ოღონდ კი მიწა ეყიდა. მიწის ყიდვაზე გაწეული ხარჯი, რა თქმა უნდა, ადიდებდა პურის წარმოების ღირებულებას. ახლა გლეხს ეს აღარ ესაჭიროება. ახლა მას შეუძლია პური ისე მოიყვანოს, რომ მიწა არ იყიდოს. მაშასადამე, ასეულმილიონობით მანეთი, რასაც გლეხები მიწის შესაძენად ხარჯავდნენ, ახლა გლეხებს ჯიბეში რჩებათ. როგორ გგონიათ — უმსუბუქებს ეს გლეხებს მდგომარეობას თუ არ უმსუბუქებს? ცხადია, უმსუბუქებს.

შემდეგ. უკანასკნელ დრომდე გლეხი იძულებული იყო ეჩიჩქნა მიწა ძველი ინვენტარით ინდივიდუალური შრომის წესით. ყველასათვის ცნობილია, რომ წარმოების ძველი, ახლა უკვე უვარგისი იარაღებით აღჭურვილი ინდივიდუალური შრომა არ იძლევა იმ სარგებლობას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გლეხმა რიგიანად იცხოვროს, სისტემატურად გაიუმჯობესოს მატერიალური მდგომარეობა, განავითაროს თავისი კულტურა და გამოვიდეს სოცია-

ლისტური მშენებლობის ფართო გზაზე. ახლა, საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიერებული განვითარების შემდეგ, გლეხებს შესაძლებლობა აქვთ გაერთიანონ თავიანთი შრომა თავიანთი მეზობლების შრომასთან, გაერთიანდნენ კოლმეურნეობაში, გატეხონ ყამირი, გამოიყენონ მიტოვებული მიწა, მიიღონ მანქანა და ტრაქტორი და ამრიგად, თუ ერთისამად არა, ერთიორად მაინც გაადიდონ თავისი შრომის ნაყოფიერება. ეს კი რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხს ახლა, კოლმეურნეობებში გაერთიანების მეოხებით, შესაძლებლობა აქვს იმავე შრომის დახარჯვით გაცილებით მეტი მოიყვანოს, ვიდრე წინათ მოჰყავდა. მაშასადამე, ეს იმას ნიშნავს, რომ პურის წარმოება ბევრად იაფდება, ვიდრე ეს უკანასკნელ დრომდე იყო. დასასრულ, ეს იმას ნიშნავს, რომ ფასების სტაბილობის დროს გლეხს შეუძლია პურში გაცილებით მეტი მიიღოს, ვიდრე აქამდე იღებდა.

როგორ შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ ოქტომბრის რევოლუციას გლეხობისათვის სარგებლობა არ მოუტანია?

განა ცხადი არ არის, რომ ადამიანები, რომლებიც ასეთ რამეს ჩმახავენ, აშკარად სწამებენ ცილს პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას?

მაგრამ რა გამომდინარეობს ყოველივე ნათქვამიდან?

აქედან გამომდინარეობს, რომ ახლა «მაკრატლის» საკითხი, «მაკრატლის» ლიკვიდაციის საკითხი ახლებურად უნდა დაისვას. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ საკოლმეურნეო მოძრაობა ახლანდელი ტემპით გაიზრდება, «მაკრატელი» უახლოეს დროში მოისპობა. აქედან გამომდინარეობს, რომ ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის საკითხი ახალ ნიადაგზე დგება, რომ ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობა აჩქარებული ტემპით გაქრება.

ამ გარემოებას, ამხანაგებო, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი მშენებლობისათვის. იგი გარდაქმნის გლეხის ფსიქოლოგიას და პირს აბრუნებინებს მას ქალაქისაკენ. იგი ნიადაგს ქმნის ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობისათვის. იგი ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ პარტიის ლოზუნგს «პირი სოფლისაკენ» დაემატოს კოლმეურნე გლეხთა ლოზუნგი «პირი ქალაქისაკენ».

და აქ გასაკვირველი არაფერია, ვინაიდან გლეხი ახლა ქალაქისაგან იღებს მანქანას, ტრაქტორს, აგრონომს, ორგანიზატორს, დასასრულ, პირდაპირ დახმარებას კულაკობის წინააღმდეგ საბრძოლველად და მის დასაძლევად. ძველი ტიპის გლეხი თავისი

მხეცური უნდობლობით ქალაქისადმი, როგორც მძარცველისადმი, უკანა რიგში ექცევა. მის ადგილს იჭერს ახალი გლეხი, კოლმეურნე გლეხი, რომელიც ქალაქს შეჰყურებს იმედით, რომ იქიდან რეალურ საწარმოო დახმარებას მიიღებს. ძველი ტიპის გლეხის ადგილს, რომელსაც ეშინია ღარიბ გლეხამდე დაქვეითებისა და რომელიც მხოლოდ მალულად ადის კულაკის მდგომარეობამდე (შეიძლება საარჩევნო უფლება ჩამოართვან!), იჭერს ახალი გლეხი, რომელსაც აქვს ახალი პერსპექტივა — შევიდეს კოლმეურნეობაში, თავი დაალწიოს სიღატაკესა და უმეცრებას და გამოვიდეს სამეურნეო და კულტურული აღმავლობის ფართო გზაზე.

აი რა მიმართულებას იღებს საქმე, ამხანაგებო.

მით უფრო სამწუხაროა, ამხანაგებო, რომ ჩვენმა თეორეტიკოს-აგრარიკოსებმა ყველა ზომა არ მიიღეს იმისათვის, რომ გაეცამტვერებინათ და ძირფესვიანად ამოეგლიჯათ ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული თეორიები, რომლებიც ცდილობენ სახელი გაუტეხონ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართ და მზარდ საკოლმეურნეო მოძრაობას.

V

კოლმეურნეობათა ბუნების შესახებ

კოლმეურნეობები, როგორც მეურნეობის ტიპი, სოციალისტური შეურნეობის ერთ-ერთი ფორმაა. ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება.

აქ გამოსული ერთ-ერთი ორატორი სახელს უტეხდა კოლმეურნეობებს. ის გვარწმუნებდა, რომ კოლმეურნეობებს, როგორც საშეურნეო ორგანიზაციებს, საერთო არა აქვთ რა მეურნეობის სოციალისტურ ფორმასთან. მე უნდა განვაცხადო, ამხანაგებო, რომ კოლმეურნეობების ასეთი დახასიათება სრულიად არასწორია. ეჭვს გარეშეა, რომ მას, ამ დახასიათებას, საერთო არა აქვს რა სინამდვილესთან.

რით განისაზღვრება მეურნეობის ტიპი? აშკარაა, ადამიანთა ურთიერთობით წარმოების პროცესში. აბა სხვით რითღა შეიძლება განისაზღვროს მეურნეობის ტიპი? მაგრამ განა კოლმეურნეობაში არის კლასი ადამიანებისა, რომლებიც წარმოების საშუალებათა მესაკუთრეები არიან, და კლასი ადამიანებისა, რომლებიც მოკლებული არიან წარმოების ამ საშუალებებს? განა კოლმეურნეობაში არის ექსპლოატატორთა კლასი და ექსპლოატირებულთა კლასი? განა კოლმეურნეობა არ წარმოადგენს წარმოების ძირითადი იარაღების განსაზოგადოებას მიწაზე, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის?

რა საფუძველი არსებობს იმის მტკიცებისათვის, რომ კოლმეურნეობები, როგორც მეურნეობის ტიპი, სოციალისტური მეურნეობის ერთ-ერთ ფორმას არ წარმოადგენენ?

რა თქმა უნდა, კოლმეურნეობებში არის წინააღმდეგობანი. რა თქმა უნდა, კოლმეურნეობებში მოიპოვება ინდივიდუალისტური და თვით კულაკური გადმონაშთები, რომლებიც ჯერ არ გამქრალა, მაგრამ რომლებიც აუცილებლად უნდა გაქრეს დროთა განმავლობაში, რაც უფრო განმტკიცდებიან კოლმეურნეობები, რაც უფრო მეტად მოხდება მათი მანქანიზაცია. მაგრამ განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ კოლმეურნეობები მთლიანად, აღებულნი მათი წინააღმდეგობებითა და ნაკლოვანებებით, კოლმეურნეობები, როგორც სამეურნეო ფაქტი, ძირითადად წარმოადგენენ სოფლის განვითარების ახალ გზას, სოფლის სოციალისტური განვითარების გზას, წინააღმდეგ განვითარების კულაკური, კაპიტალისტური გზისა? განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ კოლმეურნეობები (მე ვლაპარაკობ კოლმეურნეობებზე და არა ცრუკოლმეურნეობებზე) ჩვენს პირობებში წარმოადგენენ სოფლად სოციალისტური მშენებლობის ბაზასა და კერას, რომლებიც კაპიტალისტურ ელემენტებთან მძაფრ შეტაკებებში შეიქმნენ?

განა ცხადი არ არის, რომ ზოგიერთი ამხანაგის ცდა — სახელი გაუტეხოს კოლმეურნეობებს და გამოაცხადოს ისინი მეურნეობის ბურჟუაზიულ ფორმად — ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია?

1923 წელს ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა. ლენინს თავის ბროშურაში «კოოპერაციის შესახებ» მხედველობაში ჰქონდა კოოპერაციის ყველა სახე, მისი დაბალი ფორმებიც (მომმარაგებელ-გამსაღებელი) და უმაღლესი ფორმებიც (საკოლმეურნეო ფორმა). რას ამბობდა მაშინ იგი კოოპერაციაზე, კოოპერაციულ საწარმოებზე? აი ერთი ციტატა ლენინის ბროშურიდან «კოოპერაციის შესახებ»:

«ჩვენში არსებული წყობილების დროს კოოპერაციული საწარმონი განსხვავდებიან კერძო-კაპიტალისტური საწარმოებისაგან, როგორც კოლექტიური საწარმონი, მაგრამ არ განსხვავდებიან[1] სოციალისტურ საწარმოთაგან, თუ მიწა, რომელზეც ისინი მოწყობილი არიან, და წარმოების საშუალებანი ეკუთვნის სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა კლასს» (ტ. XXVII, გვ. 396).

მაშასადამე, ლენინი კოოპერაციულ საწარმოებს იღებს არა თავისთავად, არამედ ჩვენში არსებულ წყობილებასთან დაკავშირებით, იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი მოქმედებენ სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე, ისეთ ქვეყანაში, სადაც წარმოების საშუალებები სახელმწიფოს ეკუთვნის, და, განიხილავს რა მათ ასეთი წესით,

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ლენინი ამტკიცებს, რომ კოოპერაციული საწარმოები არ განსხვავდებიან სოციალისტური საწარმოებისაგან.

ამას ამბობს ლენინი კოოპერაციული საწარმოების შესახებ საერთოდ.

განა ცხადი არ არის, რომ მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს იგივე ვთქვათ ჩვენი პერიოდის კოლმეურნეობების შესახებ?

სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება, რომ ლენინს «კოოპერაციის უბრალო ზრდა» ჩვენს პირობებში «სოციალიზმის ზრდის იგივეობად» მიაჩნია.

თქვენ ხედავთ, რომ, სახელს უტეხდა რა კოლმეურნეობებს, ზემოხსენებულმა ორატორმა ყოვლად უხეში შეცდომა დაუშვა ლენინიზმის წინააღმდეგ.

ამ შეცდომიდან გამომდინარეობს მისი მეორე შეცდომა — კოლმეურნეობებში კლასობრივი ბრძოლის შესახებ. ორატორმა ისე ფერადოვნად დახატა კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობებში, რომ შეიძლება იფიქრო, კოლმეურნეობებში კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობებს გარეთ წარმოებული კლასობრივი ბრძოლისაგან **არ განსხვავდებაო.** უფრო მეტიც, შეიძლება იფიქრო, რომ იქ ეს ბრძოლა უფრო გააფთრებული ხდება. ესეც კია, მარტო ხსენებული ორატორი როდი სცოდავს ამ საქმეში. ლაყბობა კლასობრივი ბრძოლის შესახებ, წრიპინი და კივილი კლასობრივი ბრძოლის შესახებ კოლმეურნეობებში ახლა ყველა ჩვენი «მემარცხენე» ყბედის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ამასთან ამ წრიპინში ყველაზე კომიკური ის არის, რომ ეს მოწრიპინენი კლასობრივ ბრძოლას «ხედავენ» იქ, სადაც ის არ არის ან თითქმის არ არის, მაგრამ ვერ ხედავენ მას იქ, სადაც იგი არსებობს და ბობოქრობს.

არის თუ არა კლასობრივი ბრძოლის ელემენტები კოლმეურნეობებში? დიახ, არის. არ შეიძლება კლასობრივი ბრძოლის ელემენტები არ იყოს კოლმეურნეობებში, თუ იქ ჯერ კიდევ რჩება ინდივიდუალისტური ანდა თვით კულაკური ფსიქოლოგიის ნაშთები, თუ იქ ჯერ კიდევ არის ერთგვარი უთანასწორობა მატერიალურ მდგომარეობაში. განა შეიძლება ითქვას, რომ კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობებში იგივეა, რაც კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობებს გარეთ? არა, არ შეიძლება. ჩვენი «მემარცხენე» ფრაზიორების შეცდომა სწორედ ის არის, რომ ისინი ამ განსხვავებას ვერ ხედავენ.

რას ნიშნავს კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობებს **გარეთ, კოლმეურნეობების შეკმნამდე?** ეს ნიშნავს ბრძოლას კულაკთან, რომელიც **ფლობს** წარმოების იარაღებსა და საშუალებებს და რომელიც **იმონებს** ღარიბ გლეხებს წარმოების ამ იარაღებისა და სა-

შუალებების შემწეობით. ეს ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა.

ხოლო რას ნიშნავს კლასობრივი ბრძოლა კოლმეურნეობების ბაზაზე? ეს, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ კულაკი დამარცხებულია და მას წართმეული აქვს წარმოების იარაღები და საშუალებები. მეორეც, ეს ნიშნავს, რომ ღარიბი და საშუალო გლეხები გაერთიანებული არიან კოლმეურნეობებში, წარმოების ძირითადი იარაღებისა და საშუალებების განსაზოგადოების ბაზაზე. ბოლოს, ეს ნიშნავს, რომ საქმე ეხება ბრძოლას კოლმეურნეობების წევრთა შორის, რომელთაგან ზოგი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ინდივიდუალისტური და კულაკური გადმონაშთებისაგან და ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ერთგვარი უთანასწორობა კოლმეურნეობებში, ზოგს კი სურს განდევნოს კოლმეურნეობებიდან ეს გადმონაშთები და ეს უთანასწორობა. განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ბრმებს არ შეუძლიათ დაინახონ განსხვავება კოლმეურნეობების ბაზაზე წარმოებულ კლასობრივ ბრძოლასა და კოლმეურნეობებს გარეთ წარმოებულ კლასობრივ ბრძოლას შორის?

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაკი მოცემულია კოლმეურნეობები, ამით მოცემულია ყველაფერი, რაც აუცილებელია სოციალიზმის ასაშენებლად. უფრო მეტი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კოლმეურნეობათა წევრები უკვე გადაიქცნენ სოციალისტებად. არა, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ გარდავქმნათ კოლმეურნე გლეხი, გამოვასწოროთ მისი ინდივიდუალისტური ფსიქოლოგია და გადავაქციოთ იგი სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ მშრომელად. და ეს მით უფრო მალე იქნება, რაც უფრო მალე მოხდება კოლმეურნეობათა მანქანიზაცია, რაც უფრო მალე მოხდება მათი ტრაქტორიზაცია. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს კოლმეურნეობების, როგორც სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ბერკეტის, უდიდეს მნიშვნელობას. კოლმეურნეობების დიადი მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოადგენენ ძირითად ბაზას მანქანებისა და ტრაქტორების გამოსაყენებლად მიწათმოქმედებაში, რომ ისინი შეადგენენ ძირითად ბაზას გლეხის გარდასაქმნელად, მისი ფსიქოლოგიის გადასამუშავებლად სოციალიზმის სულისკვეთებით. ლენინი მართალი იყო, როდესაც ამბობდა:

«წვრილი მიწათმოქმედის გარდაქმნის, მთელი მისი ფსიქოლოგიისა და ჩვეულების გარდაქმნის საქმე ისეთი საქმეა, რომელსაც თაობები ესაჭიროება. ამ საკითხის გადაწყვეტა წვრილი მიწათმოქმედის მიმართ, მთელი მისი ფსიქოლოგიის, [illegible] ეფექტი, გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზას, ტექნიკას, მი-

წათმოქმედებაში ტრაქტორებისა და მანქანების გამოყენებას მასობრივი მასშტაბით, ელექტროფიკაციას მასობრივი მასშტაბით» (ტ. XXVI, გვ. 239).

ვის შეუძლია უარყოს, რომ კოლმეურნეობები წარმოადგენენ სოციალისტური მეურნეობის სწორედ იმ ფორმას, მხოლოდ რომლის საშუალებითაც შეუძლია მრავალმილიონიან წერილ ინდივიდუალურ გლეხობას გამოიყენოს მსხვილი მეურნეობა მისი მანქანებითა და ტრაქტორებით, როგორც სამეურნეო აღმავლობის ბერკეტებით, როგორც სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების ბერკეტებით?

ყველაფერი ეს დაავიწყდათ ჩვენს «მემარცხენე» ფრაზიორებს. დაავიწყდა ეს ჩვენს ორატორსაც.

VI

კლასობრივი ძვრები და მოგრუნება პარტიის პოლიტიკაში

დასასრულ, საკითხი ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ძვრებისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალიზმის შეტევის შესახებ.

უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩვენი პარტიის მუშაობის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ჩვენ, როგორც პარტიამ, როგორც საბჭოთა ხელისუფლებამ:

ა) გავშალეთ შეტევა მთელ ფრონტზე სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ,

ბ) ამ შეტევამ, როგორც ცნობილია, მოგვცა და კვლავაც გვაძლევს ფრიად საგრძნობ დადებითს შედეგებს.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან ჩვენ გადავედით კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მოვახდინეთ და კვლავ ვახდენთ ერთ-ერთ გადამწყვეტ მობრუნებას მთელ ჩვენს პოლიტიკაში.

უკანასკნელ დრომდე პარტია კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოზიციაზე იდგა. ცნობილია, რომ ეს პოლიტიკა გამოცხადებულ იქნა პარტიის ჯერ კიდევ VIII ყრილობაზე. იგი, სწორედ ეს პოლიტიკა, ხელახლა გამოცხადებულ იქნა ნეპის შემოღების დროს და ჩვენი პარტიის XI ყრილობაზე. ყველას ახსოვს ლენინის ცნობილი წერილი პრეობრაჟენსკის თეზისების შესახებ (1922 წ.), სადაც ის კვლავ უბრუნდება სწორედ ასეთი პოლიტიკის გატარების აუცილებლობის საკითხს. დასასრულ, ეს პოლიტიკა დაადასტურა ჩვენი პარტიის XV ყრილობამ. სწორედ მას ვახორციელებდით უკანასკნელ დრომდე.

სწორი იყო თუ არა.ეს პოლიტიკა? დიახ, მაშინ ეს უთუოდ სწორი იყო. შეგვეძლო თუ არა ჩვენ ხუთი ან სამი წლის წინათ დაგვეწყო ასეთი შეტევა კულაკობის წინააღმდეგ? შეგვეძლო თუ არა მაშინ ასეთი შეტევის წარმატების იმედი გვქონოდა? არა, არ შეგვეძლო. ეს ფრიად საშიში ავანტიურიზმი იქნებოდა. ეს შეტევის ფრიად საშიში თამაში იქნებოდა. ვინაიდან ამ საქმეში ჩვენ უეჭველად მარცხი მოგვივიდოდა და ამ მარცხით კულაკობის პოზიციებს გავამაგრებდით. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ არ გვქონდა სოფლად ის დასაყრდენი პუნქტები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფართო ქსელის სახით, რომლებსაც შეიძლებოდა. დავყრდნობოდით კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის დროს. იმიტომ, რომ ჩვენ მაშინ შესაძლებლობა არ გვქონდა კულაკის კაპიტალისტური წარმოება შეგვეცვალა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური წარმოებით.

1926 — 1927 წლებში ზინოვიევურ-ტროცკისტული ოპოზიცია დაჟინებით ახვევდა თავზე პარტიას კულაკობის წინააღმდეგ დაუყოვნებლივი შეტევის პოლიტიკას. პარტია არ წავიდა ამ საშიში ავანტიურის გზით, ვინაიდან მან იცოდა, რომ სერიოზული ადამიანები თავს ნებას ვერ მისცემენ შეტევა ითამაშონ. კულაკობაზე შეტევა სერიოზული საქმეა. არ შეიძლება მისი არევა კულაკობის წინააღმდეგ დეკლამაციაში. არ შეიძლება მისი არევა აგრეთვე კულაკობასთან კენწლაობის პოლიტიკაში, რომელსაც დაჟინებით ახვევდა თავზე პარტიას ზინოვიევურ-ტროცკისტული ოპოზიცია. კულაკობაზე შეტევა იმას ნიშნავს, რომ გატეხო კულაკობა და მოსპო იგი, როგორც კლასი. ეს მიზნები თუ არა გაქვს, შეტევა დეკლამაციაა, კენწლაობაა, ფუჭი ლაყბობაა, ყველაფერია, რაც გნებავთ, ოღონდ არა ნამდვილი ბოლშევიკური შეტევა. კულაკობაზე შეტევა იმას ნიშნავს, რომ საქმისათვის მოემზადო და დაჰკრა კულაკობას, მაგრამ დაჰკრა მას ისე, რომ ფეხზე ველარ წამოდგეს. სწორედ ამას ვუწოდებთ ჩვენ, ბოლშევიკები, ნამდვილ შეტევას. შეგვეძლო თუ არა ჩვენ ხუთი ან სამი წლის წინათ ასეთი შეტევა დაგვეწყო და წარმატების იმედი გვქონოდა? არა, არ შეგვეძლო.

მართლაც, 1927 წელს კულაკს 600 მილიონზე მეტი ფუთი პური მოჰყავდა, აქედან კი იგი სოფლისგარეშე გაცვლის წესით დაახლოებით 130 მილიონ ფუთს ყიდდა. ეს საკმაოდ სერიოზული ძალაა, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. ხოლო რამდენი მოჰყავდათ მაშინ ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს? დაახლოებით 80 მილიონი ფუთი, აქედან ბაზარზე გაიტანეს (სასაქონლო პური) დაახლოებით 35 მილიონი ფუთი. თვითონ განსაჯეთ, შეგვეძლო თუ არა მაშინ კულაკური წარმოება და

კულაკური სასაქონლო პური შეგვეცვალა ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით და სასაქონლო პურით? ცხადია, არ შეგვეძლო.

რას ნიშნავს ასეთ პირობებში კულაკობის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის დაწყება? ეს ნიშნავს უეჭველ მარცხს, კულაკობის პოზიციების გაძლიერებას და უპუროდ დარჩენას. აი რატომ არ შეგვეძლო და არც უნდა დაგვეწყო მაშინ გადამწყვეტი შეტევა კულაკობაზე, წინააღმდეგ ზინოვიევურ-ტროცკისტული ოპოზიციის ავანტიურისტული დეკლამაციებისა.

ახლა კი? როგორია ახლა საქმის ვითარება? ახლა ჩვენ საკმაო მატერიალური ბაზა გვაქვს იმისათვის, რომ დავკრათ კულაკობას, გავტეხოთ მისი წინააღმდეგობა, მოვსპოთ იგი, როგორც კლასი, და შევცვალოთ მისი წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. ცნობილია, რომ 1929 წელს პურის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეადგენდა სულ მცირე 400 მილიონ ფუთს (200 მილიონი ფუთით ნაკლებს, ვიდრე კულაკური მეურნეობის საერთო პროდუქცია 1927 წელს). ცნობილია აგრეთვე, რომ 1929 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოგვცეს 130 მილიონ ფუთზე მეტი სასაქონლო პური (ე. ი. მეტი, ვიდრე კულაკმა 1927 წელს). ბოლოს, ცნობილია, რომ 1930 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პურის საერთო პროდუქცია იქნება სულ მცირე 900 მილიონი ფუთი (ე. ი. მეტი, ვიდრე კულაკის საერთო პროდუქცია 1927 წელს), ხოლო სასაქონლო პურს ისინი მოგვცემენ სულ მცირე 400 მილიონ ფუთს (ე. ი. გაცილებით მეტს, ვიდრე კულაკმა 1927 წელს მოგვცა).

ასეთია ახლა საქმის ვითარება ჩვენში, ამხანაგებო.

აი როგორი გადაჯგუფება მოხდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

როგორც ხედავთ, ახლა ჩვენ გვაქვს მატერიალური ბაზა იმისათვის, რომ კულაკური წარმოება შევცვალოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენს გადამწყვეტ შეტევას კულაკობაზე ახლა უეჭველი წარმატება აქვს.

აი როგორ უნდა შეუტიო კულაკობას, თუ ვილაპარაკებთ ნამდვილ და გადამწყვეტ შეტევაზე, და არ დაეჯერდებით ლიტონ დეკლამაციას კულაკობის წინააღმდეგ.

აი რატომ გადავედით უკანასკნელ დროს კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე.

მაგრამ რა ვუყოთ განკულაკების პოლიტიკას, შეიძლება თუ არა დავუშვათ განკულაკება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში? — გვეკითხებიან სხვადასხვა მხრიდან. სასაცილო კითხვა! განკულაკების დაშვება არ შეიძლებოდა, სანამ ჩვენ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის თვალსაზრისზე ვიდექით, სანამ ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა გადავსულიყავით გადამწყვეტ შეტევაზე კულაკობის წინააღმდეგ, სანამ ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა შეგვეცვალა კულაკური წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. მაშინ განკულაკების დაუშვებლობის პოლიტიკა აუცილებელი და სწორი იყო. ახლა კი? ახლა სხვა საქმეა. ახლა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გადამწყვეტი შეტევა დავიწყოთ კულაკობაზე, გავტეხოთ მისი წინააღმდეგობა, მოვსპოთ იგი, როგორც კლასი, და შევცვალოთ მისი წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. ახლა განკულაკებას ახდენენ თვით ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები, რომლებიც მთლიან კოლექტივიზაციას ახორციელებენ. ახლა განკულაკება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში უბრალო ადმინისტრაციული ღონისძიება აღარ არის. ახლა იქ განკულაკება კოლმეურნეობების შექმნისა და განვითარების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ სასაცილო და არასერიოზულია ახლა ბევრი ლაპარაკი განკულაკებაზე. კაცს თავსა სჭრიდნენ, და მუწუკი არ ნატკინოთო.

არა ნაკლებ სასაცილოა მეორე კითხვა: შეიძლება თუ არა კოლმეურნეობაში კულაკის შეშვებაო. რა თქმა უნდა, არ შეიძლება მისი შეშვება კოლმეურნეობაში. არ შეიძლება, რადგან იგი საკოლმეურნეო მოძრაობის დაუძინებელი მტერია.

VII

დასკვნები

ასეთია, ამხანაგებო, ექვსი საკვანძო საკითხი, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის ჩვენი აგრარიკოს-მარქსისტების თეორიული მუშაობა.

ამ საკითხების მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მათი მარქსისტული დამუშავება შესაძლებლობას გვაძლევს ძირფესვიანად აღმოვფხვრათ ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული თეორიები, რომლებსაც ზოგჯერ — ჩვენდა სამარცხვინოდ — ავრცელებენ ჩვენივე ამხანაგი-კომუნისტები და რომლებიც გონებას უნაგვიანებენ ჩვენს პრაქტიკოსებს. ხოლო ამ თეორიების აღმოფხვრა და უკუგდება დიდი ხანია საჭიროა. ვინაიდან მხოლოდ ამ და მათ მსგავს თეორიებთან ულმობელ ბრძოლაში

შეიძლება გაძლიერდეს და განმტკიცდეს აგრარიკოს-მარქსისტების თეორიული აზროვნება.

ამ საკითხების მნიშვნელობა, ბოლოს, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ახალ სახეს აძლევენ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ძველ პრობლემებს.

ახლებურად ისმება ახლა საკითხი ნეპის შესახებ, კლასების შესახებ, კოლმეურნეობების შესახებ, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის შესახებ.

უნდა გამოვააშკარაოთ იმათი შეცდომა, ვისაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ესმის როგორც უკანდახევა და მხოლოდ უკანდახევა. ნამდვილად კი ლენინი ჯერ კიდევ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებისას ამბობდა, რომ ნეპი არ ამოიწურება უკანდახევით, რომ ის ამასთან ერთად ნიშნავს მზადებას ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე ახალი გადამწყვეტი შეტევისათვის.

უნდა გამოვააშკარაოთ იმათი შეცდომა, ვინც ფიქრობს, რომ ნეპი საჭიროა მხოლოდ ქალაქსა და სოფელს შორის კავშირისათვის. ჩვენ ქალაქისა და სოფლის ყოველგვარი კავშირი როდი გვესაჭიროება. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალიზმის გამარჯვებას. და თუ ჩვენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ვადგავართ, ეს იმიტომ, რომ იგი სოციალიზმის საქმეს ემსახურება. ხოლო როცა იგი სამსახურს ვეღარ გაუწევს სოციალიზმის საქმეს, ჩვენ მას ჯანდაბისაკენ გადავაგდებთ. ლენინი ამბობდა, ნეპი სერიოზულად და დიდი ხნით არის შემოღებულიო. მაგრამ მას არასოდეს არ უთქვამს, რომ ნეპი სამუდამოდ არის შემოღებული.

უნდა დაისვას აგრეთვე რეპროდუქციის მარქსისტული თეორიის პოპულარიზაციის საკითხი. უნდა დამუშავდეს საკითხი ჩვენი სახალხო მეურნეობის ბალანსის აგების სქემის შესახებ. ის, რაც ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ 1926 წელს სახალხო მეურნეობის ბალანსის სახით გამოაქვეყნა, ბალანსი კი არა, ციფრობანას თამაშია. შეუსაბამოა აგრეთვე ის განმარტება, რომელსაც ბაზაროვი და გრომანი სახალხო მეურნეობის ბალანსის პრობლემას აძლევენ. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ბალანსის სქემა უნდა შეიმუშაონ რევოლუციურმა მარქსისტებმა, თუ მათ საერთოდ სურთ ხელი მოჰკიდონ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის საკითხების დამუშავებას.

კარგი იქნება, თუ ჩვენი მარქსისტი-ეკონომისტები გამოყოფენ მუშაკთა სპეციალურ ჯგუფს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის პრობლემების დასამუშავებლად, რომლებიც ახლებურად არის დაყენებული განვითარების ახლანდელ ეტაპზე.

კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკის საკითხისათვის

«კრასნაია ზვეზდას» № 16-ში მოთავსებული სტატია «კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია» საერთოდ უდავოდ სწორია, მაგრამ მის ფორმულირებებში არის ორი არაზუსტი ადგილი. მე მგონია, საჭიროა ამ არასიზუსტეთა გასწორება.

1. სტატიაში ნათქვამია:

«აღდგენითს პერიოდში ჩვენ ვატარებდით ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკას. რეკონსტრუქციის პერიოდი რომ დაიწყო, ჩვენ შეზღუდვის პოლიტიკიდან გადავედით მათი გამოდევნის პოლიტიკაზე».

ეს დებულება სწორი არ არის. კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკა და მათი გამოდევნის პოლიტიკა ორ სხვადასხვა პოლიტიკას არ წარმოადგენს. ეს ერთი და იგივე პოლიტიკაა. სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნა არის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკის, კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკის გარდუვალი შედეგი და შემადგენელი ნაწილი. სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნა არ შეიძლება გავუთანაბროთ კულაკობის, როგორც კლასის, გამოდევნას. სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნა არის გამოდევნა და დაძლევა კულაკობის ცალკეული რაზმებისა, რომლებმაც ვერ გაუძლეს გადასახადის სიმძიმეს, ვერ გაუძლეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ შემზღუდველ ღონისძიებათა სისტემას. გასაგებია, რომ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკა, სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკა არ შეიძლება არ იწვევდეს კულაკობის ცალკეული რაზმების გამოდევნას. ამიტომ კულაკობის ცალკეული რაზმების გამოდევნა არ შეიძლება განხილულ იქნას სხვანაირად, თუ არა როგორც სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკის გარდუვალი შედეგი და შემადგენელი ნაწილი.

ამ პოლიტიკას ჩვენ ვეწეოდით არა მარტო აღდგენის პერიოდში, არამედ რეკონსტრუქციის პერიოდშიც, არამედ XV ყრილობის

(1927 წ. დეკემბერი) შემდგომ პერიოდშიც, არამედ ჩვენი პარტიის XVI კონფერენციის (1929 წ. აპრილი) პერიოდშიც, ისევე როგორც ამ კონფერენციის შემდეგ 1929 წლის ზაფხულამდე, როცა ჩვენში დადგა მთლიანი კოლექტივიზაციის ხანა, როცა მოხდა გარდატეხა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკისაკენ.

თუ განვიხილავთ პარტიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, დაწყებული თუნდაც XIV ყრილობიდან 1925 წლის დეკემბერში (იხ. რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო) და გათავებული XVI კონფერენციით 1929 წლის აპრილში (იხ. რეზოლუცია «სოფლის მეურნეობის აღმავლობის გზების შესახებ»), არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ თეზისი «კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის» შესახებ ან «სოფლად კაპიტალიზმის ზრდის შეზღუდვის» შესახებ ყოველთვის გვერდით უდგას თეზისს «სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნის» შესახებ, «სოფლის კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის» შესახებ.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ პარტია სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნას არ აცალკევებს კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკისაგან, სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკისაგან.

პარტიის XV ყრილობა, ისევე როგორც XVI კონფერენცია, მთლიანად დგანან «სასოფლო-სამეურნეო ბურჟუაზიის ექსპლოატატორულ მისწრაფებათა შეზღუდვის» პოლიტიკის ბაზაზე (XV ყრილობის რეზოლუცია «სოფლად მუშაობის შესახებ»), «სოფლად კაპიტალიზმის განვითარების შემზღუდველ ახალ ღონისძიებათა მიღების» პოლიტიკის ბაზაზე (იხ. იქვე), «კულაკის ექსპლოატატორული ტენდენციების გადაჭრით შეზღუდვის» პოლიტიკის ბაზაზე (იხ. XV ყრილობის რეზოლუცია ხუთწლედის შესახებ), «კულაკზე შეტევის» პოლიტიკის ბაზაზე «კულაკისა და კერძო ვაჭრის შემდგომს, უფრო სისტემატურ და მტკიცე შეზღუდვაზე გადასვლის» აზრით (იხ. იქვე). ქალაქად და სოფლად «კერძო-კაპიტალისტური მეურნეობის ელემენტების» «კიდევ უფრო გადამწყვეტი მეურნეობრივი გამოდევნის» პოლიტიკის ბაზაზე (იხ. XV ყრილობის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო).

მაშასადამე, ა) მართალი არ არის ხსენებული სტატიის ავტორი, როცა კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკას და მათი გამოდევნის პოლიტიკას ორ სხვადასხვა პოლიტიკად გვიხატავს. ფაქტები მოწმობენ, რომ აქ საქმე გვაქვს კაპიტალიზმის

შეზღუდვის ერთ საერთო პოლიტიკასთან, რომლის შემადგენელ ნაწილსა და შედეგს წარმოადგენს კულაკობის ცალკეული რაზმების გამოდევნა.

მაშასადამე, ბ) მართალი არ არის ხსენებული სტატიის ავტორი, როცა ამტკიცებს, რომ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნა დაიწყო მხოლოდ რეკონსტრუქციის პერიოდში, XV ყრილობის პერიოდში. სინამდვილეში გამოდევნას ადგილი ჰქონდა XV ყრილობამდეც, აღდგენის პერიოდში, და XV ყრილობის შემდეგაც, რეკონსტრუქციის პერიოდში. XV ყრილობის პერიოდში მხოლოდ გაძლიერებულ იქნა კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკა ახალი დამატებითი ღონისძიებებით, ხოლო ამასთან დაკავშირებით უნდა გაძლიერებულიყო კულაკობის ცალკეული რაზმების გამოდევნაც.

2. სტატიაში ნათქვამია:

«კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა საესებით გამომდინარეობს კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნის პოლიტიკიდან და წარმოადგენს ამ პოლიტიკის განგრძობას ახალ ეტაპზე».

ეს დებულება არაზუსტია და ამიტომ არასწორია. გასაგებია, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა ციდან ვერ ჩამოვარდებოდა. ის მოამზადა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და მაშასადამე, გამოდევნის მთელმა წინანდელმა პერიოდმა. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ის **ძირეულად** არ განსხვავდება სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის (და გამოდევნის) პოლიტიკისაგან, რომ ის თითქოს შეზღუდვის პოლიტიკის **განგრძობაა**. ისე ლაპარაკი, როგორც ჩვენი ავტორი ლაპარაკობს, ნიშნავს იმ **გარდატეხის** უარყოფას, რაც სოფლის განვითარებაში 1929 წლის ზაფხულიდან მოხდა. ასე ლაპარაკი ნიშნავს იმ ფაქტის უარყოფას, რომ ამ პერიოდში ჩვენ მოვახდინეთ **მობრუნება** ჩვენი პარტიის პოლიტიკაში სოფლად. ასე ლაპარაკი ნიშნავს ერთგვარი იდეოლოგიური საფარის შექმნას ჩვენი პარტიის მემარჯვენე ელემენტებისათვის, რომლებიც ახლა XV ყრილობის გადაწყვეტილებებს ებღაუჭებიან პარტიის **ახალი** პოლიტიკის წინააღმდეგ ისევე, როგორც თავის დროზე ფრუმკინი XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს ებღაუჭებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დანერგვის პოლიტიკის წინააღმდეგ.

რას ეყრდნობოდა XV ყრილობა, როცა გამოაცხადა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის (და გამოდევნის) პოლიტიკის გაძლიერება? იმას, რომ, მიუხედავად კულაკობის ამ შეზღუდვისა, კულაკობა, **როგორც კლასი**, მაინც **უნდა დარჩეს** განსა-

ზღვრულ დრომდე. ამის საფუძველზე XV ყრილობამ ძალაში დატოვა კანონი მიწის იჯარის შესახებ, ოუმცა მშვენივრად იცოდა, რომ მოიჯარეთა მთავარ მასას კულაკები შეადგენენ. ამის საფუძველზე XV ყრილობამ ძალაში დატოვა კანონი სოფლად შრომის დაქირავების შესახებ და მოითხოვა მისი ზუსტად განხორციელება. ამის საფუძველზე ერთხელ კიდევ გამოცხადებულ იქნა განკულაკების დაუშვებლობა. ეწინააღმდეგებიან თუ არა ეს კანონები და ეს დადგენილებები სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის (და გამოდევნის) პოლიტიკას? უთუოდ, არა. ეწინააღმდეგებიან თუ არა ეს კანონები და ეს დადგენილებები კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკას? უთუოდ, კი! მაშასადამე, ეს კანონები და ეს დადგენილებები ახლა განზე უნდა გადავდოთ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, რომლის გავრცელების სფეროც იზრდება არა დღითი-დღე, არამედ საათობით. თუმცაღა, ეს კანონები და დადგენილებები უკვე განზე გადადო თვით საკოლმეურნეო მოძრაობის მიმდინარეობამ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.

შეიძლება თუ არა ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის (და გამოდევნის) პოლიტიკის განგრძობაა? ცხადია, არ შეიძლება.

ხსენებული სტატიის ავტორს ავიწყდება, რომ არ შეიძლება განვდევნოთ კულაკობის კლასი, როგორც კლასი, საგადასახადო და ყოველგვარი სხვა შეზღუდვის ღონისძიებებით, თუ ამ კლასის ხელში დავტოვეთ წარმოების იარაღები მიწის თავისუფალი სარგებლობის უფლებით და ჩვენს პრაქტიკაში შევინარჩუნეთ კანონი სოფლად შრომის დაქირავების შესახებ, კანონი იჯარის შესახებ. განკულაკების აკრძალვა. ავტორს ავიწყდება, რომ კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკის დროს შეიძლება ვიქონიოთ კულაკობის მხოლოდ ცალკეული რაზმების გამოდევნის იმედი, რაც კი არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, გულისხმობს კულაკობის, როგორც კლასის, განსაზღვრულ დრომდე დატოვებას. კულაკობა, როგორც კლასი, რომ გამოვდევნოთ, ამისათვის არ კმარა მისი ცალკეული რაზმების შეზღუდვისა და გამოდევნის პოლიტიკა. კულაკობა, როგორც კლასი, რომ გამოვდევნოთ, ამისათვის საჭიროა აშკარა ბრძოლაში გავტეხოთ ამ კლასის წინააღმდეგობა და მოვუსპოთ მას არსებობისა და განვითარების საწარმოო წყაროები (მიწის თავისუფალი სარგებლობა, წარმოების იარაღები, იჯარა, შრომის დაქირავების უფლება და სხვ.).

სწორედ ეს არის მობრუნება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკისაკენ. უამისოდ ლაპარაკი კულაკობის, როგორც კლასის, გამოდევნის შესახებ ფუჭი ლაყბობაა, რომელიც სასურველი და ხელსაყრელია მხოლოდ მემარჯვენე უკლონისტებისათვის. უამისოდ წარმოუდგენელია სოფლის რაიმე სერიოზული და მით უმეტეს მთლიანი კოლექტივიზაცია. ეს კარგად შეიგნეს ჩვენი სოფლის ღარიბმა და საშუალო გლეხებმა, რომლებიც ანადგურებენ კულაკობას და ახორციელებენ მთლიან კოლექტივიზაციას. ეტყობა, ეს ჯერ კიდევ არ ესმის ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს.

მაშასადამე, პარტიის ახლანდელი პოლიტიკა სოფლად არის არა ძველი პოლიტიკის განგრძობა, არამედ მობრუნება სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის (და გამოდევნის) ძველი პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ახალი პოლიტიკისაკენ.

«კრასნაია ზვეზდა» № 18, 1930 წ. 21 იანვარი.

თავბრუდახვევა წარმატებებისაგან

საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხებისათვის

საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებზე საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში ახლა ყველა ლაპარაკობს. მტრებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ სერიოზული წარმატებანი. ეს წარმატებები კი, მართლაც, დიდია.

ფაქტია, რომ ა. წ. 20 თებერვლისათვის სსრ კავშირში უკვე კოლექტივიზებულია გლეხურ მეურნეობათა 50%. ეს იმას ნიშნავს, რომ 1930 წლის 20 თებერვლისათვის ჩვენ ერთიორად და მეტი **გადაჭარბებით შევასრულეთ** კოლექტივიზაციის ხუთწლიანი გეგმა.

ფაქტია, რომ ამა წლის 28 თებერვლისათვის კოლმეურნეობებმა **უკვე მოასწრეს** გადაედოთ საგაზაფხულო თესვისათვის 36 მილიონ ცენტნერზე მეტი თესლი, ე. ი. გეგმის 90%-ზე მეტი, ე. ი. 220 მილიონამდე ფუთი. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მარტო საკოლმეურნეო ხაზით 220 მილიონი ფუთი თესლის შეგროვება — პურის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულების შემდეგ — უდიდეს შიღწევას წარმოადგენს.

რას მოწმობს ყოველივე ეს?

იმას, რომ სოფლის ძირეული მობრუნება სოციალიზმისაკენ უკვე უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ამ წარმატებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის ბედისათვის, მთელი მუშათა კლასისათვის, როგორც ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი ძალისათვის, დასასრულ, თვით პარტიისათვის. პირდაპირს პრაქტიკულ შედეგებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, მათ, ამ წარმატებებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ თვით პარტიის შინაგანი ცხოვრებისათვის, ჩვენი პარტიის აღზრდისათვის. ისინი ჩვენს პარტიას უნერგავენ სიმხნეევეს და თავისი ძალების რწმენას. ისინი მუშათა კლასს აიარაღებენ ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენით. მათ ჩვენს პარტიასთან მოჰყავთ ახალი მილიონნიანი რეზერვები.

აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა: **განამტკიცოს** მიღწეული წარმატებანი და გეგმაშეზომილად **გამოიყენოს** ისინი შემდგომი წინსვლისათვის.

მაგრამ წარმატებებს თავიანთი ჩრდილოვანი მხარეც აქვთ, მეტადრე თუ ისინი მოპოვებულია შედარებით «იოლად», ასე ვთქვათ, «მოულოდნელობის» წესით. ასეთი წარმატებანი ზოგჯერ გულზვიადობასა და თავგასულობას იწვევენ: «ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია!», «ჩვენთვის დაბრკოლება არ არსებობს!». ისინი, ეს წარმატებანი, ხშირად ათრობენ ადამიანებს, ამასთან ადამიანებს თავბრუ ეხვევათ წარმატებებისაგან, ეკარგებათ ზომიერების გრძნობა, ეკარგებათ სინამდვილის გაგების უნარი, მათში თავს იჩენს მისწრაფება — გადაჭარბებით შეაფასონ თავიანთი ძალები და არასათანადოდ შეაფასონ მოწინააღმდეგის ძალები, ჩნდება ავანტიურისტული ცდები «ერთი დაკვრით» გადაჭრან სოციალისტური მშენებლობის ყველა საკითხი. აქ აღარ არის იმაზე ზრუნვა, რომ **განამტკიცონ** მიღწეული წარმატებანი და გეგმაშეზომილად **გამოიყენონ** ისინი შემდგომი წინსვლისათვის. რისთვის უნდა განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი, — ისედაც შევძლებთ «ერთი დაკვრით» მივირბინოთ სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდეო: «ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია!», «ჩვენთვის დაბრკოლება არ არსებობს!».

აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა: გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღოს ამ საშიშ და საქმისათვის საზიანო განწყობილებათა წინააღმდეგ და განდევნოს ისინი პარტიიდან.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს საშიში და საქმისათვის საზიანო განწყობილებანი რამდენადმე ფართოდ იყოს გავრცელებული ჩვენი პარტიის რიგებში. მაგრამ ისინი, ეს განწყობილებანი, მაინც არსებობენ ჩვენს პარტიაში, ამასთან საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ისინი არ გაძლიერდებიან. და თუ მათ, ამ განწყობილებებმა, მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვეს ჩვენში, შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს იმაში, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის საქმე საგრძნობლად შესუსტდება და ამ მოძრაობის ჩაშლის საფრთხე შეიძლება რეალობად იქცეს.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი პრესის ამოცანა: სისტემატურად ამხილოს ეს და ამის მსგავსი ანტილენინური განწყობილებანი.

რამდენიმე ფაქტი.

1. ჩვენი საკოლმეურნეო პოლიტიკის წარმატებანი სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ იგი, ეს პოლიტიკა, ეყრდნობა საკოლმეურნეო მოძრაობის **ნებაყოფლობას** და სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონში **პირობების სხვადასხვაობის გათვალისწინებას**. არ შეიძლება კოლმეურნეობების დანერგვა ძალით. ეს სულელური და რეაქციული ნაბიჯი იქნებოდა. საკოლმეურნეო მოძრაობა უნდა ეყრდნობოდეს გლეხობის ძირითადი მასების მიერ აქტიურ მხარდაჭერას.

არ შეიძლება მექანიკურად გადავიტანოთ განვითარებული რაიონების საკოლმეურნეო მშენებლობის ნიმუშები განუვითარებელ რაიონებში. ეს სულელური და რეაქციული ნაბიჯი იქნებოდა. ასეთი «პოლიტიკა» ერთი დაკვრით გაუტეხდა სახელს კოლექტივიზაციის იდეას. საკოლმეურნეო მშენებლობის ტემპისა და მეთოდების განსაზღვრისას გულდასმით უნდა გავითვალისწინოთ სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონის პირობების სხვადასხვაობა.

საკოლმეურნეო მოძრაობაში ყველა რაიონზე წინ ჩვენში მარცვლეულის რაიონები დგანან. რატომ?

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ამ რაიონებში ჩვენ გვაქვს ყველაზე მეტი რაოდენობა უკვე განმტკიცებული საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისა, რომელთა მეოხებითაც გლეხებს შესაძლებლობა ჰქონდათ დარწმუნებულიყვნენ ახალი ტექნიკის ძალასა და მნიშვნელობაში, მეურნეობის ახალი, კოლექტიური ორგანიზაციის ძალასა და მნიშვნელობაში.

მეორეც, იმიტომ, რომ ამ რაიონებს გავლილი აქვთ პურის დამზადების კამპანიების დროს კულაკობასთან ბრძოლის ორი წლის სკოლა, რასაც არ შეიძლებოდა არ გაეადვილებინა საკოლმეურნეო მოძრაობის საქმე.

დასასრულ, იმიტომ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ამ რაიონებში გაძლიერებით იგზავნებოდნენ სამრეწველო ცენტრებიდან საუკეთესო კადრები.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები არსებობს სხვა რაიონებშიც, მაგალითად, ისეთ სამომხმარებლო რაიონებში, როგორიც არიან ჩვენი ჩრდილოეთი ოლქები, ან ჯერ კიდევ ჩამორჩენილ ეროვნებათა რაიონებში, როგორიც არის, ვთქვათ, თურქესტანი?

არა, ამის თქმა არ შეიძლება.

ცხადია, რომ სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონის პირობების სხვადასხვაობის გათვალისწინების პრინციპი, ნებაყოფლობის პრინციპთან ერთად, ჯანსაღი საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ წინაპირობას წარმოადგენს.

ნამდვილად კი რა ხდება ზოგჯერ ჩვენში? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ნებაყოფლობისა და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპი არ ირღვევა მთელ რიგ რაიონებში? არა, ამის თქმა, სამწუხაროდ, არ შეიძლება. ცნობილია, მაგალითად, რომ სამომხმარებლო ზოლის მთელ რიგ ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც კოლმეურნეობათა დაუყოვნებლივ მოწყობისათვის ხელსაყრელი პირობები შედარებით ნაკლებია, ვიდრე მარცვლეუ-

ლის რაიონებში, ხშირად ცდილობენ კოლმეურნეობათა მოწყობისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა შეცვალონ საკოლმეურნეო მოძრაობის ჩინოვნიკური დეკრეტირებით, ფარატინა რეზოლუციებით კოლმეურნეობათა ზრდის შესახებ, ქაღალდზე კოლმეურნეობების მოწყობით, რომელნიც სინამდვილეში ჯერ კიდევ არ არსებობენ, მაგრამ რომელთა «არსებობის» შესახებ დაწერილია უამრავი მკვეხარა რეზოლუცია.

ანდა ავიღოთ თურქესტანის ზოგიერთი რაიონი, სადაც კოლმეურნეობათა დაუყოვნებლივ მოწყობისათვის ხელსაყრელი პირობები კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე სამომხმარებლო ზოლის ჩრდილოეთ ოლქებში. ცნობილია, რომ თურქესტანის მთელ რიგ რაიონებში უკვე იყო ცდა «დასწეოდნენ და გაესწროთ» სსრ კავშირის მოწინავე რაიონებისათვის — სამხედრო ძალით დამუქრების გზით, დამუქრებით, რომ სარწყავ წყალსა და სამრეწველო საქონელს არ მიაწვდიდნენ იმ გლეხებს, რომლებსაც ჯერჯერობით არ სურთ შევიდნენ კოლმეურნეობებში.

რა შეიძლება საერთო იყოს უნტერ პრიშიბეევის ამ «პოლიტიკასა» და პარტიის პოლიტიკას შორის, რომელიც ეყრდნობა ნებაყოფლობას და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებას საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში? ცხადია, მათ შორის საერთო არაფერია და არც შეიძლება იყოს.

ვის სჭირდება ეს გამრუდებანი, საკოლმეურნეო მოძრაობის ეს ჩინოვნიკური დეკრეტირება, ეს არასაკადრისი მუქარა გლეხობის მიმართ? არავის, ჩვენი მტრების მეტს!

რა შეიძლება გამოიწვიონ მათ, ამ გამრუდებებმა? ჩვენი მტრების გაძლიერება და საკოლმეურნეო მოძრაობის იდეებისათვის სახელის გატეხა.

განა ცხადი არ არის, რომ ამ გამრუდებათა ავტორები, რომლებსაც თავი მოაქვთ «მემარცხენეებად», სინამდვილეში ხელს უწყობენ მემარჯვენე ოპორტუნიზმს?

2. ჩვენი პარტიის პოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთი უდიდესი ღირსება ის არის, რომ მას უნარი აქვს ყოველ განსაზღვრულ მომენტში გამოარჩიოს მოძრაობის ძირითადი რგოლი და, ჩასჭიდებს რა ხელს ამ რგოლს, შემდეგ მთელ ჯაჭვს სწევს ერთი საერთო მიზნისაკენ იმისათვის, რომ მიაღწიოს ამოცანის გადაჭრას. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ პარტიამ უკვე გამოარჩია საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი რგოლი საკოლმეურნეო მშენებლობის სისტემაში? დიახ, შეიძლება ითქვას და უნდა ითქვას კიდევაც.

რაში მდგომარეობს ის, ეს ძირითადი რგოლი?

იქნებ ეს არის მიწის **საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა?** არა, ეს არ არის. მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობანი, სადაც წარმოების საშუალებანი ჯერ კიდევ არ არის განსაზოგადოებული, საკოლმეურნეო მოძრაობის უკვე განვლილ საფეხურს წარმოადგენენ.

იქნებ ეს არის **სასოფლო-სამეურნეო კომუნა?** არა, არც კომუნაა. კომუნები ჯერ კიდევ ერთეულ მოვლენას წარმოადგენენ საკოლმეურნეო მოძრაობაში. სასოფლო-სამეურნეო კომუნებისათვის, როგორც **მთავარი** ფორმისათვის, სადაც განსაზოგადოებულია არა მარტო წარმოება, არამედ განაწილებაც, ჯერჯერობით პირობები არ მომწიფებულა.

საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად რგოლს, მის ახლანდელ **მთავარ** ფორმას, რომელსაც ახლა ხელი უნდა ჩავჭიდოთ, წარმოადგენს **სასოფლო-სამეურნეო არტელი.**

სასოფლო-სამეურნეო არტელში განსაზოგადოებულია წარმოების ძირითადი საშუალებანი, უმთავრესად მარცვლეულის მეურნეობის ხაზით: შრომა, მიწათსარგებლობა, მანქანები და დანარჩენი ინვენტარი, მუშა-პირუტყვი, სამეურნეო შენობები. იქ **განსაზოგადოებული არ არის:** საკარმიდამო მიწები (პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები), საცხოვრებელი შენობები, მეწველი პირუტყვის განსაზღვრული ნაწილი, წვრილფეხა პირუტყვი, შინაური ფრინველი და სხვ.

არტელი წარმოადგენს **საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად რგოლს** იმიტომ, რომ იგი მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმაა. მარცვლეულის პრობლემა კი წარმოადგენს **ძირითად რგოლს მთელი სოფლის მეურნეობის სისტემაში** იმიტომ, რომ მის გადაუჭრელად ვერ გადაწყდება ვერც მეცხოველეობის (წვრილფეხა და მსხვილფეხა მეცხოველეობის) პრობლემა, ვერც პრობლემა ტექნიკური და სპეციალური კულტურებისა, რომლებიც იძლევიან ძირითად ნედლეულს მრეწველობისათვის. სწორედ ამიტომ სასოფლო-სამეურნეო არტელი ამჟამად წარმოადგენს ძირითად რგოლს საკოლმეურნეო მოძრაობის სისტემაში.

ამას ეყრდნობა კოლმეურნეობათა «სანიმუშო წესდება», რომლის საბოლოო ტექსტი დღეს ქვეყნდება[1].

ამასვე უნდა ეყრდნობოდნენ ჩვენი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომელთა ერთ-ერთი მოვალეობა ის არის, რომ არსებითად შეისწავლონ ეს წესდება. და ბოლომდე განახორციელონ იგი.

---

1 «პრავდა», 1930 წ. 2 მარტი

ასეთია პარტიის გეზი ამჟამად.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ პარტიის ეს გეზი დაურღვეველად და დაუმახინჯებლად ხორციელდება? არა, ამის თქმა, სამწუხაროდ, არ შეიძლება. ცნობილია, რომ სსრ კავშირის მთელ რიგ რაიონებში, სადაც ბრძოლა კოლმეურნეობათა არსებობისათვის ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის დამთავრებული და სადაც არტელები ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულან, არის ცდები — ამოხტნენ არტელის ჩარჩოებიდან და ერთბაშად გადახტნენ სასოფლო-სამეურნეო კომუნაში. არტელი ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა, ისინი კი უკვე «ასაზოგადოებენ» საცხოვრებელ შენობებს, წვრილფეხა პირუტყვს, შინაურ ფრინველს, ამასთან ეს «განსაზოგადოება» ფორმალურ-ბიუროკრატიული დეკრეტირების ხასიათს იღებს, ვინაიდან ჯერ კიდევ არ არის პირობები, რომლებიც აუცილებელს ხდიდნენ ასეთ განსაზოგადოებას. შეიძლება იფიქრო, რომ კოლმეურნეობებში უკვე გადაჭრილია მარცვლეულის პრობლემა, რომ ის უკვე განვლილ საფეხურს წარმოადგენს, რომ ამჟამად მთავარი ამოცანაა არა მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა, არამედ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პრობლემის გადაჭრა. იბადება კითხვა, ვის ესაჭიროება ეს უთავგზური «მუშაობა» — საკოლმეურნეო მოძრაობის სხვადასხვა ფორმის ერთმანეთში დომხალივით არევა? ვის სჭირდება ეს სულელური და საქმისათვის საზიანო წინწარბენა? კოლმეურნე გლეხის გაღიზიანება საცხოვრებელი შენობების, მთელი მეწველი პირუტყვის, მთელი წვრილფეხა პირუტყვის, შინაური ფრინველის «განსაზოგადოებით», როცა მარცვლეულის პრობლემა ჯერ კიდევ **არ არის გადაჭრილი**, როცა კოლმეურნეობათა არტელური ფორმა ჯერ კიდევ **არ დამკვიდრებულა**, — განა ცხადი არ არის, რომ ასეთი «პოლიტიკა» სასურველი და სასარგებლოა მხოლოდ ჩვენი მოსისხლე მტრებისათვის?

ერთი ასეთი ფიცხი «განმსაზოგადოებელი» იქამდეც კი მიდის, რომ არტელს მიმართავს ბრძანებით, სადაც განკარგულებას იძლევა «სამი დღის ვადაში აღრიცხონ თვითეული მეურნეობის მთელი შინაური ფრინველი», შემოიღონ აღრიცხვისა და მეთვალყურეობის დარგში სპეციალურ «მეთაურთა» თანამდებობა, «დაიკავონ არტელში მბრძანებელი მაღლობები», «სარდლობა გაუწიონ სოციალისტურ ბრძოლას პოსტების მიუტოვებლად» და — ცხადია — მაგრად ჩაიჭირონ ხელში მთელი არტელი.

რა არის ეს — კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის პოლიტიკა, თუ მისი დაშლისა და დისკრედიტაციის პოლიტიკა?

აღარას ვამბობ იმ, უკაცრავად პასუხია, «რევოლუციონერებზე», რომლებიც არტელის მოწყობის საქმეს იწყებენ ეკლესიებზე ზარების ჩამოხსნით. ზარების ჩამოხსნა, — დახეთ რა ررررევოლუციონერობაა!

როგორ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ჩვენში ეს უთავგზური ვარჯიშობა «განსაზოგადოების» საქმეში, თავის თავზე გადახტომის ეს სასაცილო ცდები, ცდები, რომელთა მიზანია გვერდი აუარონ კლასებს და კლასობრივ ბრძოლას, ხოლო ნამდვილად წყალს უშვებენ ჩვენი კლასობრივი მტრების წისქვილზე?

ეს შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ იმ «იოლ» და «მოულოდნელ» წარმატებათა ატმოსფეროში, რომელთაც მივაღწიეთ საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე.

ეს შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ იმის შედეგად, რომ პარტიის ერთი ნაწილის რიგებში არსებობს უთავგზური განწყობილება: «ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია!», «ჩვენთვის დაბრკოლება არ არსებობს!».

ეს შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ იმის შედეგად, რომ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს თავბრუ დაესხა წარმატებებისაგან, და მათ ერთი წუთით დაკარგეს საღი გონიერება და ფხიზელი აზროვნება.

საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში ჩვენი მუშაობის ხაზი რომ გამოვასწოროთ, ამისათვის **საჭიროა ბოლო მოვუღოთ ამ განწყობილებებს.**

ეს არის ახლა პარტიის ერთ-ერთი მორიგი ამოცანა.

ხელმძღვანელობის ხელოვნება სერიოზული საქმეა. არ შეიძლება ჩამორჩე მოძრაობას, ვინაიდან ჩამორჩენა ნიშნავს იმას, რომ მოსწყდე მასებს. მაგრამ არც წინწარბენა შეიძლება, ვინაიდან წინწარბენა ნიშნავს მასებთან კავშირის გაწყვეტას და თავის განმარტოებას. ვისაც სურს ხელმძღვანელოს მოძრაობას და ამასთან ერთად შეინარჩუნოს კავშირი მილიონიან მასებთან, მან უნდა აწარმოოს ბრძოლა ორ ფრონტზე — ჩამორჩენილთა წინააღმდეგაც და წინგაქცეულთა წინააღმდეგაც.

ჩვენი პარტია ძლიერი და უძლეველია იმიტომ, რომ, ხელმძღვანელობს რა მოძრაობას, მას უნარი აქვს შეინარჩუნოს და ამრავლოს თავისი კავშირი მუშათა და გლეხთა მილიონიან მასებთან.

«პრავდა» № 60, 1930 წ. 2 მარტი.

პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს

გაზეთებიდან ცნობილია, რომ სტალინის სტატიამ «თავბრუდახვევა წარმატებებისაგან» და ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ «საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» მრავალი გამოხმაურება გამოიწვია საკოლმეურნეო მოძრაობის პრაქტიკოს მუშაკთა რიგებში. ამასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანს ამხანაგ კოლმეურნეებისაგან მომივიდა მთელი რიგი წერილები, რომლებშიც ისინი მოითხოვენ პასუხს იქ დასმულ კითხვებზე. ჩემი მოვალეობა იყო მეპასუხნა წერილებზე კერძო ნიწერ-მოწერის წესით. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან წერილების ნახევარზე მეტი მიღებულია მათი ავტორების მისამართის აღუნიშნავად (დავიწყებიათ მისამართების გამოგზავნა). წერილებში აღძრული საკითხები კი უდიდეს პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენს ყველა ჩვენი ამხანაგისათვის. გარდა ამისა, გასაგებია, რომ არ შემეძლო პასუხი არ გამეცა იმ ამხანაგებისთვისაც, რომლებსაც დავიწყებიათ თავიანთი მისამართების გამოგზავნა. ამიტომ ჩემთვის აუცილებელი გახდა ამხანაგ კოლმეურნეთა წერილებზე პასუხი გამეცა საჯაროდ, ე. ი. პრესაში, ამასთან წერილებიდან ამეღო საქმისათვის საჭირო ყველა კითხვა. მე მით უფრო ხალისით მოვკიდე ამ საქმეს ხელი, რომ ამის შესახებ მქონდა ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი გადაწყვეტილება.

პირველი კითხვა. რა არის გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომების **ფესვი?**

პასუხი. საშუალო გლეხისადმი არასწორი მიდგომა. საშუალო გლეხთან სამეურნეო ურთიერთობის ხაზით ძალდატანების დაშვება. იმის დავიწყება, რომ საშუალო გლეხობის მასებთან სამეურნეო კავშირი ძალდატანებით ღონისძიებებს კი არ უნდა ემყარებოდეს, არამედ საშუალო გლეხთან შეთანხმებას, საშუალო გლეხთან კავშირს. იმის დავიწყება, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის საფუძველს ამჟამად წარმოადგენს მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხთან საერთოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კულაკობის წინააღმდეგ.

სანამ კულაკობის წინააღმდეგ შეტევა წარმოებდა საშუალო გლეხთან საერთო ფრონტით, ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ როცა წარმატებებით გაბრუებულმა ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა კულაკის წინააღმდეგ შეტევის გზიდან შეუმჩნეველად იწყო გადახვევა საშუალო გლეხთან ბრძოლის გზაზე, როცა მათ, კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტის მიღწევის სურვილით, იწყეს საშუალო გლეხისადმი ძალდატანების გამოყენება — მისთვის საარჩევნო უფლების წართმევა, მისი «განკულაკება» და ექსპროპრიირება, — დაიწყო შეტევის გამრუდება, დაიწყო საშუალო გლეხთან ერთიანი ფრონტის შერყევა, და, ცხადია, კულაკს შესაძლებლობა მიეცა ეცადნა კვლავ დამდგარიყო ფეხზე.

დაავიწყდათ, რომ ძალდატანება, რაც აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, შეუწყნარებელი და დამღუპველია საშუალო გლეხის მიმართ, რომელიც ჩვენი მოკავშირეა.

დაავიწყდათ, რომ ცხენოსნური თავდასხმები, რაც აუცილებელი და სასარგებლოა სამხედრო ხასიათის ამოცანების გადასაწყვეტად, უვარგისი და დამღუპველია საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისას, მით უმეტეს, რომ ეს მშენებლობა ეწყობა საშუალო გლეხთან კავშირში.

ეს არის გლეხობის საკითხში დაშვებული შეცდომების ფესვი.

აი რას ამბობს ლენინი საშუალო გლეხთან სამეურნეო ურთიერთობის შესახებ:

«ყველაზე უფრო ჩვენ იმ ჭეშმარიტებას უნდა ვეყრდნობოდეთ, რომ აქ ძალდატანების მეთოდებით თვით საქმის არსის გამო არაფრის მიღწევა არ შეიძლება. აქ ეკონომიური ამოცანა სულ სხვანაირად დგას. აქ არ არის ის ზედაფენა, რომელიც შეიძლება მოჭკვეთო, ხოლო მთელი საძირკველი, მთელი შენობა დასტოვო. ის ზედაფენა, როგორიც ქალაქში კაპიტალისტები იყვნენ, აქ არ არის. აქ ძალდატანებით მოქმედება ნიშნავს მთელი საქმის დაღუპვას... იმაზე სულელური არაფერია, როგორც თვით აზრი ძალდატანებისა საშუალო გლეხის სამეურნეო ურთიერთობის დარგში» (ტ. XXIV, გვ. 168).

შემდეგ:

«საშუალო გლეხობის მიმართ ძალდატანება უაღრესად საზიანოა. ეს არის მრავალრიცხოვანი, მრავალმილიონიანი ფენა. ევროპაშიც კი, სადაც იგი არსად არ აღწევს ასეთ ძლიერებას, სადაც გიგანტურად განვითარებულია ტექნიკა და კულტურა, ქალაქის ცხოვრება, რკინიგზები, სადაც ყველაზე ადვილად შეიძლებოდა ამაზე ფიქრი, — არავის, არც ერთ ყველაზე რევოლუციურ სოციალისტს არ უცვნია საჭიროდ ძალდატანებითი ღონისძიებანი საშუალო გლეხობის მიმართ» (ტ. XXIV, გვ. 167).

ვგონებ, ნათელია.

მეორე კითხვა. რა მთავარი შეცდომებია დაშვებული საკოლმეურნეო მოძრაობაში?

პასუხი. ასეთი შეცდომა სამი მაინც არის.

1) კოლმეურნეობათა მოწყობის დროს დაარღვიეს ნებაყოფლობის ლენინური პრინციპი. დაარღვიეს პარტიის ძირითადი მითითებანი და სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება საკოლმეურნეო მშენებლობის ნებაყოფლობის შესახებ.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ გლეხები კოლექტიური მეურნეობის რელსებზე უნდა გადავიყვანოთ ნებაყოფლობის წესით, ერთპიროვნულ მეურნეობასთან შედარებით საზოგადოებრივი, კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში დარწმუნების გზით. ლენინიზმი გვასწავლის, რომ გლეხები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დავარწმუნოთ კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში, თუ მათ საქმით, გამოცდილებით ვუჩვენებთ და დავუმტკიცებთ, რომ კოლმეურნეობა სჯობს ერთპიროვნულ მეურნეობას, რომ იგი ერთპიროვნულ მეურნეობაზე უფრო ხელსაყრელია, რომ კოლმეურნეობა აძლევს გლეხს, ღარიბ და საშუალო გლეხს, გამოსავალს გაჭირვებიდან და სიღატაკიდან. ლენინიზმი გვასწავლის, რომ ამ პირობების გარეშე კოლმეურნეობები მტკიცე ვერ იქნებიან. ლენინიზმი გვასწავლის, რომ ყოველმა ცდამ — ძალით მოახვიო თავზე გლეხს კოლექტიური მეურნეობა, ყოველმა ცდამ — დანერგო კოლმეურნეობანი იძულების წესით, შეიძლება მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოგვცეს, შეიძლება მხოლოდ ჩამოაშოროს გლეხები საკოლმეურნეო მოძრაობას.

და მართლაც, სანამ ამ ძირითად წესს იცავდნენ, საკოლმეურნეო მოძრაობა წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. მაგრამ წარმატებებით გაბრუებულმა ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა დაიწყო ამ წესის უგულებელყოფა, დაიწყო მეტისმეტი აჩქარება და, კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტის მიღწევის სურვილით, კოლმეურნეობების იძულებითი წესით დანერგვა. გასაკვირველი როდია, რომ ასეთი «პოლიტიკის» უარყოფითმა შედეგებმა მალე იჩინა თავი. ნაჩქარევად წარმოშობილმა კოლმეურნეობებმა ისევე სწრაფად იწყეს დაშლა, როგორც სწრაფად წარმოიშვნენ, ხოლო გლეხობის ნაწილმა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ უდიდესი ნდობით უყურებდა კოლმეურნეობებს, ზურგი შეაქცია მათ.

ეს არის პირველი და მთავარი შეცდომა საკოლმეურნეო მოძრაობაში.

აი რას ამბობს ლენინი საკოლმეურნეო მშენებლობის ნებაყოფლობის შესახებ:

«ახლა ჩვენი ამოცანაა გადასვლა მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე, გადასვლა მსხვილ საერთო მეურნეობაზე. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მხრივ არაეითარი ძალდატანება არ შეიძლება; არავითარი კანონი ამას არ გვაიძულებს. სასოფლო-სამეურნეო კომუნა ეწყობა ნებაყოფლობით, მიწის საზოგადოებრივ დამუშავებაზე გადასვლა შეიძლება იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი, მუშურ-გლეხური მთავრობის მხრივ ამ საქმეში ოდნავი იძულებაც არ შეიძლება, და კანონით დაშვებული არ არის. თუ ვინმე თქვენგანს შეუმჩნეია ასეთი იძულება, უნდა იცოდეთ, რომ ეს არის ბოროტმოქმედება, რომ ეს არის კანონის დარღვევა, რის გამოსწორებასაც ჩვენ მთელი ძალღონით ვცდილობთ და კელავაც ვეცდებით გამოვასწოროთ»[1] (ტ. XXIV, გვ. 43).

შემდეგ:

«მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეეძლებთ საქმით ვუჩვენოთ გლეხებს მიწის საზოგადოებრივი, კოლექტიური, ამხანაგური, არტელური დამუშავების უპირატესობანი, მხოლოდ მაშინ, თუ შეეძლებთ დავეხმაროთ გლეხს, ამხანაგური, არტელური მეურნეობის შემწეობით, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, ნამდვილად დაუმტკიცებს გლეხს თავის სიმართლეს, ნამდვილად მიიმხრობს მტკიცედ და ჯეროვნად გლეხობის მრავალმილიონიან მასას. ამიტომ ძნელია ამხანაგური, არტელური მიწათმოქმედების ხელშემწყობ ყოველგვარ წამოწყებათა მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება. ჩვენ მილიონობით გვაქვს გაფანტული, მიყრუებულ სოფლებში დაქსაქსული, ცალკეული მეურნეობანი... მხოლოდ მაშინ, როცა პრაქტიკულად, გლეხებისათვის გასაგები გამოცდილებით, დამტკიცებული იქნება, რომ ამხანაგურ, არტელურ მიწათმოქმედებაზე გადასვლა საჭირო და შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება ვთქვათ, რომ ისეთ უზარმაზარ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, სოციალისტური მიწათმოქმედების გზაზე გადადგმულია სერიოზული ნაბიჯი»[1] (ტ. XXIV, გვ. 579 — 580).

დასასრულ, კიდევ ერთი ადგილი ლენინის ნაშრომებიდან:

«საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა წაახალისონ საშუალო გლეხების ყოველგვარი ამხანაგობანი, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კომუნები, მაგრამ მათი შექმნის დროს ოდნავი იძულებაც კი არ უნდა დაუშვან. მხოლოდ ის გაერთიანებებია ძვირფასი, რომლებიც შექმნილია თვით გლეხების მიერ მათი თავისუფალი თანხმობით და რომელთა ხელსაყრელობა პრაქტიკულად შემოწმებულია მათ მიერ. ამ საქმეში მეტისმეტი აჩქარება მავნეა, ვინაიდან ამას შეუძლია. მხოლოდ გააძლიეროს საშუალო გლეხობის ეჭვები ახალი წესების წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც თავს ნებას აძლევენ მიმართონ არა მარტო პირდაპირ, არამედ თუნდაც არაპირდაპირ იძულებას ამ მიზნით, რომ გლეხები კომუნებში შეიყვანონ, მიცემულ უნდა იქნან უსასტიკეს პასუხისგებაში და მოხსნილ იქნან სოფლად სამუშაოდან»[1] (ტ. XXIV, გვ. 174).

ვგონებ, ნათელია.

---

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ პარტია მთელი სიმკაცრით გაატარებს ლენინის ამ მითითებებს.

2) დაარღვიეს ლენინური პრინციპი სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონის პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებისა საკოლმეურნეო მშენებლობასთან შეფარდებით. დაავიწყდათ, რომ სსრ კავშირში არსებობენ უაღრესად სხვადასხვანაირი ოლქები სხვადასხვა ეკონომიური წყობით და კულტურის დონით. დაავიწყდათ, რომ ამ ოლქებს შორის არიან მოწინავე, საშუალო და ჩამორჩენილი ოლქები. დაავიწყდათ, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ტემპები და საკოლმეურნეო მშენებლობის მეთოდები არ შეიძლება ერთნაირი იყოს ამ, სრულიადაც არაერთნაირი ოლქებისათვის.

«შეცდომა იქნებოდა, — ამბობს ლენინი, — რომ ჩვენ უბრალოდ, შაბლონის მიხედვით გადმოგვეწერა დეკრეტები რუსეთის ყველა ადგილისათვის, რომ ბოლშევიკ-კომუნისტებს, საბჭოთა მუშაკებს უკრაინასა და დონის ოლქში, განურჩევლად, ხელაღებით დაეწყოთ ამ დეკრეტების გავრცელება სხვა ოლქებზე»... ეინაიდან «ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვიბოჭავთ თავს ერთფეროვანი შაბლონით, ერთხელ და სამუდამოდ არ ვწყვეტთ, რომ ჩვენი გამოცდილება, ცენტრალური რუსეთის გამოცდილება, შეიძლება მთლიანად გადატანილ იქნას ყველა განაპირა მხარეზე» (ტ. XXIV, გვ. 125 — 126).

შემდეგ ლენინი ამბობს, რომ:

«ცენტრალური რუსეთის, უკრაინის, ციმბირის გაშაბლონება, ერთგვარი შაბლონისათვის დამორჩილება უდიდესი სისულელე იქნება» (ტ. XXVI, გვ. 243).

დასასრულ, ლენინი ავალებს კავკასიის კომუნისტებს, რომ მათ

«შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება, რსფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ უცვლელად კი არ გადაილონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუცვალონ მას სახე კონკრეტული პირობების განსხვავებასთან შეფარდებით» (ტ. XXVI, გვ. 191).

ვგონებ, ნათელია.

ლენინის ამ მითითებათა საფუძველზე ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში «კოლექტივიზაციის ტემპის შესახებ» (იხ. «პრავდა», 1930 წ. 6 იანვარი) სსრ კავშირის ოლქები, კოლექტივიზაციის ტემპების თვალსაზრისით, დაჰყო სამ ჯგუფად, რომელთაგან ჩრდილოეთ კავკასიას, შუა ვოლგასა და ქვემო ვოლგას შეუძლიათ კოლექტივიზაცია ძირითადად დაამთავრონ 1931 წლის გაზაფხულზე, მარცვლეულის სხვა ოლქებს (უკრაინას, ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქს, ციმბირს, ურალს, ყაზახეთს და სხვ.) შეუძლიათ ძირითადად დაამთავრონ იგი 1932 წლის

გაზაფხულზე, ხოლო დანარჩენ ოლქებს შეუძლიათ კოლექტივიზაცია გააგრძელონ ხუთწლედის დასასრულამდე, ე. ი. 1933 წლამდე.

ნამდვილად კი რა გამოვიდა? აღმოჩნდა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი წარმატებებით გაბრუებულმა ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა უდარდელად დაივიწყა ლენინის მითითებებიც და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაც. მოსკოვის ოლქმა, რომელიც კოლექტივიზაციის გაბერილმა ციფრებმა გაიტაცა, გეზი მისცა თავის მუშაკებს — დაემთავრებინათ კოლექტივიზაცია 1930 წლის გაზაფხულზე, თუმცა მის განკარგულებაში სულ ცოტა სამი წელიწადი იყო (1932 წლის დამლევი). ცენტრალურმა შავნიადაგიანმა ოლქმა არ ისურვა «სხვებს ჩამორჩენოდა» და თავის მუშაკებს გეზი მისცა — დაემთავრებინათ კოლექტივიზაცია 1930 წლის პირველი ნახევრისათვის, თუმცა მის განკარგულებაში სულ ცოტა ორი წელიწადი იყო (1931 წლის დამლევი). ხოლო ამიერკავკასიელებმა და თურქესტანელებმა, რომლებიც გაიტაცა სურვილმა — «დასწეოდნენ და გაესწროთ» მოწინავე რაიონებისათვის, აიღეს გეზი კოლექტივიზაციის «უმოკლეს ვადაში» დამთავრებისა, თუმცა მათს განკარგულებაში მთელი ოთხი წელიწადი იყო (1933 წლის დამლევი).

გასაგებია, რომ კოლექტივიზაციის ასეთი ნაჩქარევი «ტემპის» დროს ის რაიონები, რომლებიც ნაკლებად მომზადებული იყვნენ საკოლმეურნეო მოძრაობისათვის და რომლებიც გაიტაცა სურვილმა — «გაესწროთ» უფრო მომზადებული რაიონებისათვის, იძულებული გახდნენ გამოეყენებინათ გაძლიერებული ადმინისტრაციული ზემოქმედება და შეეცადნენ თავიანთი საკუთარი ადმინისტრაციული სიფიცხით აენაზღაურებინათ საკოლმეურნეო მოძრაობის სწრაფი ტემპის ფაქტორების უქონლობა. შედეგები ცნობილია. ყველასათვის ცნობილია ის არევდარევა, რომელიც ამ ოლქებში მიეიღეთ და რომლის გამოსასწორებლადაც შემდეგ საჭირო გახდა ცენტრალური კომიტეტის ჩარევა.

ეს არის მეორე შეცდომა საკოლმეურნეო მოძრაობაში.

3) დაარღვიეს ის ლენინური პრინციპი, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში დაუშვებელია გადაახტე მოძრაობის დაუმთავრებელ ფორმას. დაარღვიეს ის ლენინური პრინციპი, რომ არ გავუსწროთ მასების განვითარებას, არ დავუშვათ მასების მოძრაობის დეკრეტირება, არ მოვწყდეთ მასებს, არამედ ვიაროთ მასებთან ერთად და წავწიოთ ისინი წინ, მივიყვანოთ ისინი ჩვენი ლოზუნგების გაგებამდე და გავუადვილოთ მათ თავიანთი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ჩვენი ლოზუნგების სისწორეში.

«როცა პეტროგრადის პროლეტარიატი და პეტროგრადის გარნიზონის ჯარისკაცები ძალაუფლებას იღებდნენ, — ამბობს ლენინი, — მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ მშენებლობა სოფლად დიდ სიძნელეებს წააწყდებოდა, რომ აქ საჭიროა წინსვლა უფრო თანდათანობით, რომ აქ უდიდესი უაზრობა იქნებოდა ცდა მიწის საზოგადოებრივი დამუშავების შემოღებისა დეკრეტებით და კანონებით, რომ ამაზე დათანხმდებოდა შეგნებულთა სრულიად უმნიშვნელო რიცხვი, ხოლო გლეხების უდიდესი უმრავლესობა ამ ამოცანას არ ისახავდა. ამიტომ ჩვენ ვჯერდებოდით იმას, რაც აბსოლუტურად აუცილებელია რევოლუციის განვითარების ინტერესებისათვის: არავითარ შემთხვევაში არ გაგვესწრო მასების განვითარებისათვის, არამედ დავლოდებოდით, ვიდრე ამ მასების საკუთარი გამოცდილება, მათი საკუთარი ბრძოლა არ გამოიწვევდა წინსვლას» [1] (ტ. XXIII, გვ. 252).

ლენინის ამ მითითებებზე დაყრდნობით, ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ცნობილ დადგენილებაში «კოლექტივიზაციის ტემპის შესახებ» (იხ. 1930 წ. 6 იანვრის «პრავდა») სცნო, რომ

ა) საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარ ფორმას ამჟამად წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომ

ბ) ამის გამო საჭიროა შემუშავებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო არტელის, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარი ფორმის, სანიმუშო წესდება, რომ

გ) ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში არ შეიძლება დავუშვათ საკოლმეურნეო მოძრაობის ზემოდან «დეკრეტირება» და «კოლექტივიზაციობანას თამაში».

ეს ნიშნავს იმას, რომ ამჟამად ჩვენ აღებული უნდა გვქონდეს კურსი არა კომუნაზე, არამედ სასოფლო-სამეურნეო არტელზე, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის მთავარ ფორმაზე, რომ არ შეიძლება დავუშვათ სასოფლო-სამეურნეო არტელზე გადახტომით კომუნაზე გადასვლა, რომ არ შეიძლება კოლმეურნეობებისაკენ გლეხების მასობრივი მოძრაობა შევცვალოთ კოლმეურნეობათა «დეკრეტირებით», «კოლმეურნეობანას თამაშით».

ვგონებ, ნათელია.

ნამდვილად კი რა გამოვიდა? აღმოჩნდა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი წარმატებებით გაბრუებულმა ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა უდარდელად დაივიწყა ლენინის მითითებებიც და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაც. სასოფლო-სამეურნეო არტელის სასარგებლოდ მასობრივი მოძრაობის მოწყობის ნაცვლად, ეს ამხანაგები შეუდგნენ ერთპიროვნული გლეხების «გადაყვანას» პირდაპირ კომუნის წესდებაზე. მოძრაობის არტელური ფორმის განმტკიცების ნაცვლად შეუდგნენ წვრილფეხა პირუტყვის,

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ფრინველის, არასასაქონლო მეწველი პირუტყვის, საცხოვრებელი შენობების იძულებითი წესით «განსაზოგადოებას».

თუ რა შედეგები მოჰყვა ამ, ლენინელისათვის შეუწყნარებელ აჩქარებას, ეს ახლა ყველამ იცის. მტკიცე კომუნები, როგორც წესი, რა თქმა უნდა, ვერ შექმნეს. მაგრამ სამაგიეროდ ხელიდან გაუშვეს მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო არტელები. მართალია, ღარჩა «კარგი» რეზოლუციები. მაგრამ მათ რა აზრი აქვთ?

ეს არის მესამე შეცდომა საკოლმეურნეო მოძრაობაში.

მესამე კითხვა. როგორ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ეს შეცდომები და როგორ უნდა გამოასწოროს ისინი პარტიამ?

პასუხი. ისინი წარმოიშვნენ საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში ჩვენი სწრაფი წარმატებების საფუძველზე. წარმატებანი ხშირად თავბრუს ხვევენ ადამიანს. ისინი ხშირად წარმოშობენ მეტად გადაჭარბებულ წარმოდგენას თავის თავზე და თავგასულობას. ეს განსაკუთრებით ადვილად შეიძლება დაემართოთ ხელისუფლების სათავეში მდგომი პარტიის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით ისეთი პარტიის წარმომადგენლებს, როგორიც ჩვენი პარტიაა, რომლის ძალა და ავტორიტეტი თითქმის განუზომელია. აქ სავსებით შესაძლებელია ფაქტები კომყოყოჩობისა, რომლის წინააღმდეგაც გააფთრებით იბრძოდა ლენინი. აქ სავსებით შესაძლებელია რწმენა დეკრეტის, რეზოლუციის, განკარგულების ყოვლისშემძლეობისადმი. აქ სავსებით რეალურია იმის საფრთხე, რომ პარტიის რევოლუციური ღონისძიებანი გადაიქცნენ პარტიის ცალკეული წარმომადგენლების უშინაარსო, ჩინოვნიკურ დეკრეტირებად ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში. მხედველობაში მყავს არა მარტო ადგილობრივი მუშაკები, არამედ ცალკეული საოლქო მუშაკებიც, არამედ ცენტრალური კომიტეტის ცალკეული წევრებიც.

«კომუნისტური ყოყოჩობა, — ამბობს ლენინი, — ნიშნავს იმას, რომ ადამიანი, რომელიც კომუნისტურ პარტიაშია და ჯერ კიდევ არ არის იქიდან გარიცხული, ფიქრობს, რომ ყველა თავისი ამოცანა მას შეუძლია გადაწყვიტოს კომუნისტური დეკრეტირებით» (ტ. XXVII, გვ. 50—51).

აი რა ნიადაგზე წარმოიშვა შეცდომები საკოლმეურნეო მოძრაობაში, პარტიული ხაზის გამრუდებანი საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში.

რაში მდგომარეობს ამ შეცდომათა და გამრუდებათა საფრთხე, თუ ისინი კვლავაც გაგრძელდა, თუ არ მოხდა მათი ლიკვიდაცია სწრაფად და უკლებლივ?

საფრთხე აქ იმაში მდგომარეობს, რომ მათ, ამ შეცდომებს, პირდაპირი გზით მივყავართ საკოლმეურნეო მოძრაობისათვის სახე-

ლის გატეხისაკენ, საშუალო გლეხთან უთანხმოებისაკენ, ღარიბი გლეხობის დეზორგანიზაციისაკენ, დაბნეულობისაკენ ჩვენს რიგებში, მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის შესუსტებისაკენ, კულაკობის აღდგენისაკენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამ შეცდომებს ტენდენცია აქვთ გადაგვახვევინონ გლეხობის ძირითად მასებთან კავშირის განმტკიცების გზიდან, პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების გზიდან ამ მასებთან კავშირის გაწყვეტის გზისაკენ, პროლეტარული დიქტატურისათვის ძირის გამოთხრის გზისაკენ.

ამ საფრთხემ თავი იჩინა უკვე თებერვლის მეორე ნახევარში, სწორედ იმ მომენტში, როცა წინანდელი წარმატებებით დაბრმავებულმა ჩვენი ამხანაგების ერთმა ნაწილმა ლენინურ გზას გადაუხვია და თავაწყვეტილი მიჰქროდა განზე. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა ეს საფრთხე და დაუყოვნებლივ ჩაერია საქმეში, დაავალა სტალინს მიეცა თავგასული ამხანაგებისათვის გაფრთხილება სპეციალურ სტატიაში საკოლმეურნეო მოძრაობის შესახებ. ზოგი ფიქრობს, რომ სტატია «თავბრუდახვევა წარმატებებისაგან» სტალინის პირადი თაოსნობის შედეგს წარმოადგენს. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ცენტრალური კომიტეტი ჩვენში იმისათვის როდი არსებობს, რომ ასეთ საქმეში ვისიმე პირადი თაოსნობა დაუშვას. ეს იყო ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილი ღრმა დაზვერვა. და როცა გამოირკვა შეცდომების სიღრმე და სიდიდე, ცენტრალურმა კომიტეტმა არ დააყოვნა თავისი ავტორიტეტის მთელი ძალით დაერტყა შეცდომებისათვის, გამოაქვეყნა რა თავისი 1930 წლის 15 მარტის ცნობილი დადგენილება.

ძნელია გამალებული სრბოლის დროს შეაჩერო და სწორი გზისაკენ მოაბრუნო ადამიანები, რომლებიც თავაწყვეტილი მიჰქრიან უფსკრულისაკენ. მაგრამ ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს სწორედ იმიტომ ეწოდება ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომ მას ამაზე მეტ სიძნელეთა გადალახვაც შეუძლია. და მან ძირითადად უკვე გადალახა ეს სიძნელენი.

ძნელია ასეთ შემთხვევებში პარტიის მთელმა რაზმებმა შეაჩერონ თავიანთი სრბოლა, დროულად მობრუნდნენ სწორი გზისაკენ და გზადაგზა გადააჯგუფონ თავიანთი რიგები. მაგრამ ჩვენს პარტიას სწორედ იმიტომ ეწოდება ლენინის პარტია, რომ მას საკმაო მოქნილობა აქვს ასეთ სიძნელეთა გადასალახავად. და მან ძირითადად უკვე გადალახა ეს სიძნელენი.

აქ მთავარი ის არის, რომ გამოიჩინო გამბედაობა — აღიარო შენი შეცდომები და ჰპოვო ძალა ამ შეცდომების უმოკლეს ხანში

ლიკვიდაციისათვის. შიში საკუთარი შეცდომების აღიარებისა მას შემდეგ, რაც სულ ახლახან გაბრუებული იყავი წარმატებებით, თვითკრიტიკის შიში, შეცდომების სწრაფად და გადაჭრით გამოსწორების მოუწადინებლობა — ეს არის მთავარი სიძნელე. საკმარისია გადალახო ეს სიძნელე, საკმარისია უკუაგდო გაბერილი ციფრობრივი დავალებანი და კანცელარიულ-ბიუროკრატიული მაქსიმალიზმი, საკმარისია გადაიტანო ყურადღება კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო მშენებლობის ამოცანებზე, რომ შეცდომების ნასახიც აღარ დარჩეს. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეშვი შევიტანოთ იმაში, რომ პარტიამ ძირითადად უკვე გადალახა ეს სახიფათო სიძნელე.

«ყველა რევოლუციური პარტიები, — ამბობს ლენინი, — რომლებიც აქამდე იღუპებოდნენ, — იღუპებოდნენ იმის გამო, რომ გამედიდურდებოდნენ ხოლმე და ვერ ხედავდნენ, თუ რა შეადგენდა მათს ძალას, და ეშინოდათ ელაპარაკნათ თავიანთ სუსტ მხარეებზე. ჩვენ კი არ დავიღუპებით, იმიტომ რომ არ გვეშინია ჩვენს სუსტ მხარეებზე ლაპარაკისა, და ვისწავლით ამ სუსტ მხარეთა დაძლევას» [1] (ტ. XXVII, გვ. 260 — 261).

ლენინის ეს სიტყვები არ უნდა დავივიწყოთ.

მეოთხე კითხვა. პარტიული ხაზის გამრუდებებთან ბრძოლა ნაბიჯის უკან გადადგმა, უკანდახევა ხომ არ არის?

პასუხი. რა თქმა უნდა, არა! უკანდახევაზე აქ ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც შეცდომათა და გამრუდებათა განგრძობა შეტევად მიაჩნიათ, ხოლო შეცდომებთან ბრძოლა — უკანდახევად. შეტევა შეცდომათა და გამრუდებათა დაბვავების გზით; — კარგი «შეტევაც» ეს არის...

ჩვენ წამოვაყენეთ სასოფლო-სამეურნეო არტელი, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი ფორმა ამჟამად, თანაც შევიმუშავეთ სათანადო სანიმუშო წესდება, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის ხაზით მუშაობის სახელმძღვანელო. უკან ვიხევთ თუ არა ამ საქმიდან? რა თქმა უნდა, არა!

ჩვენ წამოვაყენეთ განმტკიცება მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის საწარმოო კავშირისა საშუალო გლეხთან, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის საფუძველი ამჟამად. უკან ვიხევთ თუ არა ამ საქმიდან? რა თქმა უნდა, არა!

ჩვენ წამოვაყენეთ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი, როგორც სოფლად ჩვენი პრაქტიკული მუშაობის მთავარი ლოზუნგი ამჟამად. უკან ვიხევთ თუ არა ამ საქმიდან? რა თქმა უნდა, არა!

---

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ჩვენ ჯერ კიდევ 1930 წლის იანვარში ავიღეთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გარკვეული ტემპი, სსრ კავშირის ოლქები დავყავით გარკვეულ ჯგუფებად და თვითეული ჯგუფისათვის განესაზღვრეთ თავისი განსაკუთრებული ტემპი. უკან ვიხევთ თუ არა ამ საქმიდან? რა თქმა უნდა, არა!

სად არის აქ პარტიის «უკანდახევა»?

ჩვენ გვსურს, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც შეცდომები და გამრუდებანი დაუშვეს, უკუაგდონ თავიანთი შეცდომები. ჩვენ გვსურს, რომ უთავგზურებმა უკუაგდონ თავიანთი უთავგზურობა და დაადგნენ ლენინიზმის პოზიციებს. ჩვენ ეს გვსურს, რადგან მხოლოდ ამ პირობით იქნება შესაძლებელი განვაგრძოთ **ნამდვილი** შეტევა ჩვენს კლასობრივ მტრებზე. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ამით უკან ვიხევთ? რა თქმა უნდა, არა! ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვსურს ვაწარმოოთ **სწორი** შეტევა, და არა შეტევის უთავგზური თამაში.

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ახირებულ ადამიანებს და «მემარცხენე» გადამხვევებს შეუძლიათ მიიჩნიონ პარტიის ასეთი გეზი უკანდახევად?

ადამიანებს, რომლებიც უკანდახევაზე ლაყბობენ, ყოველ შემთხვევაში ორი რამ არ ესმით.

ა) მათ არ იციან შეტევის კანონები. მათ არ ესმით, რომ შეტევა დაპყრობილი პოზიციების **განუმტკიცებლად** ისეთი შეტევაა, რომელიც განწირულია დასამარცხებლად.

როდის შეიძლება შეტევა წარმატებითი იყოს, ვთქვათ, სამხედრო საქმეში? როცა ადამიანები არ სჯერდებიან თავაწყვეტილ წინსვლას. არამედ ამასთან ერთად ცდილობენ **განამტკიცონ** დაპყრობილი პოზიციები, **გადააჯგუფონ** თავიანთი ძალები შეცვლილ ვითარებასთან შეფარდებით, **მოიახლოონ** ზურგის ნაწილები, **ახლოს მოიყვანონ** რეზერვები. რისთვის არის საჭირო ყოველივე ეს? იმისათვის, რომ უზრუნველჰყო თავი მოულოდნელობისაგან, მოსპო ცალკეული გარღვევები, რომელთაგან უზრუნველყოფილი არ არის არც ერთი შეტევა, და, ამრიგად, მოამზადო მტრის სრული ლიკვიდაცია. პოლონეთის ჯარების შეცდომა 1920 წელს, საქმის მხოლოდ სამხედრო მხარეს თუ ავიღებთ, ის იყო, რომ მათ უგულებელყვეს ეს წესი. სხვათა შორის, ამით აიხსნება, რომ ისინი, თავაწყვეტით მოქანდნენ რა კიევამდე, შემდეგ იძულებული გახდნენ ასევე თავაწყვეტით უკუქცეულიყვნენ ვარშავამდე. საბჭოთა ჯარების შეცდომა 1920 წელს, ისევ საქმის მხოლოდ სამხედრო მხარეს თუ

ავიღებთ, ის იყო, რომ ვარშავაზე შეტევის დროს მათ პოლონელების შეცდომა გაიმეორეს.

იგივე უნდა ითქვას კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე შეტევის კანონების შესახებ. არ შეიძლება წარმატებით აწარმოო შეტევა კლასობრივი მტრების ლიკვიდაციისათვის, თუ არ განამტკიცე დაპყრობილი პოზიციები, თუ არ გადააჯგუფე შენი ძალები, თუ არ უზრუნველჰყავი ფრონტი რეზერვებით, თუ არ მოიახლოვე ზურგის ნაწილები და სხვ.

მთელი საქმე ის არის, რომ უთავგზურებს არ ესმით შეტევის კანონები. მთელი საქმე ის არის, რომ პარტიას ესმის ეს კანონები და ახორციელებს მათ.

ბ) მათ არ ესმით შეტევის კლასობრივი ბუნება. გაჰკივიან შეტევაზე. მაგრამ შეტევა რომელ კლასზე, რომელ კლასთან კავშირში? ჩვენ ვაწარმოებთ შეტევას სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე საშუალო გლეხთან კავშირში, ვინაიდან მხოლოდ ასეთ შეტევას შეუძლია მოგვიტანოს გამარჯვება. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ პარტიის ცალკეული რაზმების უზომო გატაცების გამო შეტევა იწყებს სწორი გზიდან გადახვევას და თავისი მახვილით მიიმართება ჩვენი მოკავშირის წინააღმდეგ, საშუალო გლეხის წინააღმდეგ? განა ჩვენ გვესაჭიროება ყოველგვარი შეტევა, და არა გარკვეულ კლასზე შეტევა გარკვეულ კლასთან კავშირში? დონ-კიხოტსაც ხომ წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მტრებზე აწარმოებდა შეტევას, როდესაც წისქვილზე მიჰქონდა იერიში. მაგრამ ცნობილია, რომ მან შუბლი გაიტეხა ამ, უკაცრავად პასუხია, შეტევის დროს.

როგორც ჩანს. დონ-კიხოტის დაფნის გვირგვინი მოსვენებას არ აძლევს ჩვენს «მემარცხენე» გადამხვევებს.

მეხუთე კითხვა. რომელია ჩვენში მთავარი საფრთხე, მემარჯვენე თუ «მემარცხენე»?

პასუხი. ჩვენში ამჟამად მთავარი საფრთხეა მემარჯვენე საფრთხე. მემარჯვენე საფრთხე იყო და რჩება ჩვენში მთავარ საფრთხედ.

ხომ არ ეწინააღმდეგება ეს დებულება ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 15 მარტის დადგენილების ცნობილ თეზისს იმის შესახებ, რომ «მემარცხენე» გადამხვევთა შეცდომები და გამრუდებანი ახლა საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენენ? არა, არ ეწინააღმდეგება. საქმე ის არის, რომ «მემარცხენე» გადამხვევთა შეცდომები საკოლმეურნეო მოძრაობის დარგში წარმოადგენენ ისეთ შეცდომებს, რომლებიც ხელსაყრელ ვითარებას ქმნიან პარტიაში მემარჯვენე გადახრის გაძლიერებისა

და განმტკიცებისათვის. რატომ? იმიტომ, რომ ეს შეცდომები პარტიის ხაზს გვიხატავენ დამახინჯებულად, — მაშასადამე, ისინი აადვილებენ პარტიის დისკრედიტაციის საქმეს, — მაშასადამე, ისინი აადვილებენ მემარჯვენე ელემენტების ბრძოლას პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. პარტიული ხელმძღვანელობის დისკრედიტაცია სწორედ ის ელემენტარული ნიადაგია, რომლის ბაზაზედაც არის მხოლოდ შესაძლებელი მემარჯვენე უკლონისტების ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ. მემარჯვენე უკლონისტებს ამ ნიადაგს აძლევენ «მემარცხენე» გადამხვევნი, მათი შეცდომები და გამრუდებანი. ამიტომ, მემარჯვენე ოპორტუნიზმს წარმატებით რომ ვებრძოლოთ, საჭიროა დავძლიოთ «მემარცხენე» ოპორტუნისტების შეცდომები. «მემარცხენე» გადამხვევნი ობიექტურად მემარჯვენე უკლონისტების მოკავშირეები არიან.

ასეთია თავისებური კავშირი «მემარცხენე» ოპორტუნიზმსა და მემარჯვენე უკლონიზმს შორის.

სწორედ ამ კავშირით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ზოგიერთი «მემარცხენე» ხშირად ჩამოაგდებს ხოლმე სიტყვას მემარჯვენეებთან ბლოკზე. ამითვე უნდა აიხსნას ის თავისებური მოვლენა, რომ «მემარცხენეთა» ერთი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ «აწარმოებდა» ჯიქურ შეტევას და ცდილობდა რაღაც ორ-სამ კვირაში მოეხდინა სსრ კავშირის კოლექტივიზაცია, დღეს პასიურობას იჩენს, გულზე ხელს იკრეფს, დამშვიდებით უთმობს ბრძოლის ასპარეზს მემარჯვენე უკლონისტებს და, ამრიგად, ადგება კულაკობის წინაშე ნამდვილი უკანდახევის (უბრჭყალებოდ!) ხაზს.

ახლანდელი მომენტის თავისებურება ის არის, რომ ჩვენში «მემარცხენე» გადამხვევთა შეცდომებთან ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტებთან წარმატებითი ბრძოლის პირობას და თავისებურ ფორმას წარმოადგენს.

მეექვსე კითხვა. როგორ შევაფასოთ გლეხების ერთი ნაწილის გასვლა კოლმეურნეობებიდან?

პასუხი. გლეხების ერთი ნაწილის გასვლა კოლმეურნეობებიდან იმას ნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში გაჩნდა განსაზღვრული რაოდენობა არამტკიცე კოლმეურნეობებისა, რომლებიც ახლა იწმინდებიან მერყევი ელემენტებისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელოვნურად გაბერილი კოლმეურნეობები გაქრებიან, მკვიდრნი დარჩებიან და განმტკიცდებიან. მე ვფიქრობ, ეს სავსებით ნორმალური მოვლენაა. ზოგიერთი ამხანაგი ამის გამო სასოწარკვეთილებაში ვარდება, პანიკას ეძლევა და წყალწაღებულივით ებღაუჭება კოლექტივიზაციის გაბერილ პროცენტებს. სხვები ღვარძლიანად ხა-

რობენ და საკოლმეურნეო მოძრაობის «ჩაშლას» წინასწარმეტყველებენ. ერთნიც და მეორენიც სასტიკად ცდებიან. ერთნიც და მეორენიც შორს არიან საკოლმეურნეო მოძრაობის არსის მარქსისტული გაგებისაგან.

კოლმეურნეობებიდან გადიან, უწინარეს ყოვლისა, ეგრეთწოდებული მკვდარი სულები. ეს გასვლაც კი არ არის, არამედ სიცარიელის გამოაშკარავებაა. გვჭირდება თუ არა ჩვენ მკვდარი სულები? რა თქმა უნდა, არ გვჭირდება. მე ვფიქრობ, რომ ჩრდილოეთ-კავკასიელები და უკრაინელები სავსებით სწორად იქცევიან, როდესაც შლიან მკვდარი სულებისაგან შემდგარ კოლმეურნეობებს და ქმნიან ნამდვილად ცოცხალ და ნამდვილად მტკიცე კოლმეურნეობებს. საკოლმეურნეო მოძრაობა ამით მხოლოდ მოიგებს.

შემდეგ, გადიან უცხო, ჩვენი საქმისადმი პირდაპირ მტრულად განწყობილი ელემენტები. ცხადია, რაც უფრო მალე განიდევნებიან ასეთი ელემენტები, მით უკეთესია საკოლმეურნეო მოძრაობისათვის.

დასასრულ, გადიან მერყევი ელემენტები, რომლებსაც ვერც უცხო ელემენტებს ვუწოდებთ და ვერც მკვდარ სულებს. ესენი სწორედ ის გლეხები არიან, რომლებიც **დღეს** ჯერ კიდევ ვერ დაგვირწმუნებია ჩვენი საქმის სიმართლეში, მაგრამ რომლებსაც **ხვალ** უთუოდ დავარწმუნებთ. ასეთი გლეხების გასვლა წარმოადგენს სერიოზულ, თუმცა დროებითს, ზიანს საკოლმეურნეო მოძრაობისათვის. ამიტომ ბრძოლა კოლმეურნეობათა მერყევი ელემენტებისათვის ახლა საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი უაღრესად არსებითი ამოცანაა.

გამოდის, რომ კოლმეურნეობებიდან გლეხების ერთი ნაწილის გასვლა მარტო უარყოფითს მოვლენას როდი წარმოადგენს. გამოდის, რომ, რამდენადაც ეს გასვლა კოლმეურნეობებს ათავისუფლებს მკვდარი სულებისა და პირდაპირ უცხო ელემენტებისაგან, იგი კოლმეურნეობათა გაჯანსაღებისა და განმტკიცების კეთილმოქმედ პროცესს მოასწავებს.

ერთი თვის წინათ ვარაუდობდნენ, რომ ჩვენს მარცვლეულის ოლქებში კოლექტივიზაცია 60 პროცენტს აღემატებოდა. ახლა ცხადია, რომ, თუ ავიღებთ ნამდვილ და ცოტად თუ ბევრად მტკიცე კოლმეურნეობებს, ეს ციფრი აშკარად გაზვიადებული იყო. თუ გლეხთა ერთი ნაწილის გასვლის შემდეგ საკოლმეურნეო მოძრაობა მარცვლეულის ოლქებში განმტკიცდება კოლექტივიზაციის 40 პროცენტზე, — ამის განხორციელება კი უთუოდ შეიძლება, — ეს

იქნება საკოლმეურნეო მოძრაობის უდიდესი მიღწევა ამჟამად. მარცვლეულის ოლქებისათვის მე ვიღებ საშუალო ციფრს, თუმცა კარგად ვიცი, რომ ამავე დროს გვაქვს მთლიანი კოლექტივიზაციის ცალკეული რაიონები, სადაც კოლექტივიზაციის ციფრი 80 — 90 პროცენტს აღწევს. მარცვლეულის ოლქებში კოლექტივიზაციის 40 პროცენტი იმას ნიშნავს, რომ კოლექტივიზაციის თავდაპირველი ხუთწლიანი გეგმა 1930 წლის გაზაფხულისათვის ერთიორად შევასრულეთ.

ვინ გაბედავს უარყოს სსრ კავშირის სოციალისტური განვითარების საქმეში ამ ისტორიული მიღწევის გადამწყვეტი ხასიათი?

მეშვიდე კითხვა. კარგად იქცევიან თუ არა მერყევი გლეხები, კოლმეურნეობებიდან რომ გადიან?

პასუხი. არა, ისინი კარგად არ იქცევიან. კოლმეურნეობებიდან გასვლით ისინი თავისივე საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ მიდიან, ვინაიდან მხოლოდ კოლმეურნეობები აძლევენ გლეხებს გამოსავალს გაჭირვებიდან და სიბნელიდან. კოლმეურნეობებიდან გასვლით გლეხები აუარესებენ თავიანთ მდგომარეობას, ვინაიდან კარგავენ იმ შეღავათებსა და სარგებლობას, რასაც საბჭოთა ხელისუფლება კოლმეურნეობებს აძლევს. კოლმეურნეობებში დაშვებული შეცდომები და გამრუდებანი გასვლის საბუთად ვერ ჩაითვლება. შეცდომები უნდა გამოსწორდეს საერთო ძალებით, კოლმეურნეობაში დარჩენით. შეცდომების გამოსწორება მით უფრო ადვილია, რომ საბჭოთა ხელისუფლება მთელი ძალებით იბრძოლებს მათ წინააღმდეგ.

ლენინი ამბობს, რომ:

«წვრილი მეურნეობის სისტემას სასაქონლო წარმოების დროს არ ძალუძს იხსნას კაცობრიობა მასების სიღატაკისა და მათი ჩაგვრისაგან» (ტ. XX, გვ. 122),

ლენინი ამბობს, რომ:

«წვრილი მეურნეობით გაჭირვებას თავს ვერ დააღწევ» (ტ. XXIV, გვ. 540).

ლენინი ამბობს, რომ:

«თუ ჩვენ ძველებურად ეისხდებით წვრილ მეურნეობებში, თუნდაც თავისუფალ მოქალაქეებად თავისუფალ მიწაზე, სულ ერთია გარდუვალი დაღუპვა გვემუქრება» (ტ. XX, გვ. 417).

ლენინი ამბობს, რომ:

«მხოლოდ საერთო, არტელური, ამხანაგური შრომის დახმარებით შეგვიძლია გამოვიდეთ იმ ჩიხიდან, რომელშიც იმპერიალისტურმა ომმა მოგვაშწყვდია» (ტ. XXIV, გვ. 537).

ლენინი ამბობს, რომ:

«საჭიროა გადავიდეთ საერთო დამუშავებაზე მსხვილ სანიმუშო მეურნეობებში», ვინაიდან «უამისოდ თავს ვერ დავაღწევთ იმ ნგრევას, იმ პირდაპირ საშინელ ბოროტმყოფობას, რომელშიც რუსეთი იმყოფება» (ტ. XX, გვ. 418).

რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობები წარმოადგენენ ერთადერთ საშუალებას, რომელიც გლეხებს აძლევს გამოსავალს გაჭირვებიდან და სიბნელიდან.

ცხადია, გლეხები სწორად არ იქცევიან, კოლმეურნეობებიდან რომ გადიან.

ლენინი ამბობს:

«თქვენ, რა თქმა უნდა, ყველამ იცით საბჭოთა ხელისუფლების მთელი მოღვაწეობიდან, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ვაკუთვნებთ ჩვენ კომუნებს, არტელებს და საერთოდ ყოველგვარ ორგანიზაციებს, რომელთა დანიშნულებაა· წვრილი, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის გადაქცევა საზოგადოებრივ, საამხანაგო ან საარტელო მეურნეობად, ამ გადაქცევისათვის თანდათანობით ხელის შეწყობა»[1] (ტ. XXIV, გვ. 579).

ლენინი ამბობს, რომ:

«საბჭოთა ხელისუფლებამ პირდაპირი უპირატესობა მიანიჭა კომუნებსა და ამხანაგობებს, დააყენა ისინი პირველ ადგილზე»[1] (ტ. XXIII, გვ. 399).

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება კოლმეურნეობებს მისცემს შეღავათებს და უპირატესობებს ერთპიროვნულ მეურნეობათა წინაშე. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი კოლმეურნეობებს მისცემს შეღავათებს მიწის გადაცემის მხრივაც, მანქანებით, ტრაქტორებით, სათესლე მარცვლეულით და სხვ. მომარაგების მხრივაც. საგადასახადო დაბეგვრის შემსუბუქების მხრივაც, კრედიტების მიცემის მხრივაც.

რატომ აძლევს საბჭოთა ხელისუფლება კოლმეურნეობებს შეღავათებსა და· უპირატესობებს?

იმიტომ, რომ კოლმეურნეობები წარმოადგენენ სიღატაკისაგან გლეხთა ხსნის ერთადერთ საშუალებას.

იმიტომ. რომ კოლმეურნეობებისათვის უპირატესი დახმარების გაწევა წარმოადგენს ღარიბი და საშუალო გლეხებისათვის დახმარების გაწევის ყველაზე ნამდვილ ფორმას.

ამ დღეებში საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ორი წლით გაათავისუფლოს გადასახადით დაბეგვრისაგან კოლმეურნეობებში

---

1 ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

განსაზოგადოებული მთელი მუშა-პირუტყვი (ცხენები, ხარები და სხვ.), როგორც კოლმეურნეობათა კოლექტიურ მფლობელობაში, ისე კოლმეურნეთა ინდივიდუალურ მფლობელობაში მყოფი ყველა ძროხა, ღორი, ცხვარი და ფრინველი.

გარდა ამისა, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა წლის ბოლომდე გადადოს კოლმეურნეთა იმ დავალიანების დაფარვის ვადა, რაც მათ კრედიტებით დაედოთ, და მოხსნას ყველა ჯარიმა და სასამართლო გადასახდელი, რომელიც 1 აპრილამდე დადებული ჰქონდათ კოლმეურნეობებში შესულ გლეხებს.

დასასრულ, მან გადაწყვიტა აუცილებლად განახორციელოს წელს კოლმეურნეობათა დაკრედიტება 500 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ეს შეღავათები დაეხმარება კოლმეურნე გლეხებს. ეს შეღავათები დაეხმარება იმ კოლმეურნე გლეხებს, რომლებმაც სიმტკიცე გამოიჩინეს და კოლმეურნეობებიდან არ გავიდნენ, რომლებიც გამოიბრძმედნენ კოლმეურნეობების მტრებთან ბრძოლაში, რომლებმაც დაიცვეს კოლმეურნეობები და შეინარჩუნეს საკოლმეურნეო მოძრაობის დიადი დროშა. ეს შეღავათები დაეხმარება იმ ღარიბ და საშუალო კოლმეურნე გლეხებს, რომლებიც ახლა ჩვენი კოლმეურნეობების ძირითად ბირთვს შეადგენენ, რომლებიც განამტკიცებენ და გააფორმებენ ჩვენს კოლმეურნეობებს და რომლებიც სოციალიზმის მხარეზე მოიზიდავენ მილიონობით და მილიონობით გლეხებს. ეს შეღავათები დაეხმარება იმ კოლმეურნე გლეხებს, რომლებიც ახლა კოლმეურნეობათა ძირითად კადრებს შეადგენენ და რომლებიც სავსებით ღირსი არიან, რომ მათ საკოლმეურნეო მოძრაობის გმირები ეუწოდოთ.

ამ შეღავათებს არ მიიღებენ კოლმეურნეობებიდან გასული გლეხები.

განა ცხადი არ არის, რომ გლეხები შეცდომას უშვებენ, კოლმეურნეობებიდან რომ გადიან?

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ კოლმეურნეობებში დაბრუნებით შეუძლიათ მათ უზრუნველყონ თავისთვის ამ შეღავათების მიღება?

მერვე კითხვა. რა ვუყოთ კომუნებს, ხომ არ უნდა დავშალოთ ისინი?

პასუხი. არა, არ უნდა დავშალოთ და არც საჭიროა დავშალოთ. მწედველობაში მაქვს ნამდვილი და არა ქაღალდზე არსებული კომუნები. სსრ კავშირის მარცვლეულის ოლქებში არსებობს მთელი რიგი საუცხოო კომუნები, რომლებიც წახალისებისა და დახმა-

რების ღირსი არიან. მხედველობაში მაქვს ძველი კომუნები, რომ-ლებმაც წლობით გაუძლეს განსაცდელს, გამოიბრძმედნენ ბრძოლაში და სავსებით გაამართლეს თავიანთი არსებობა. ისინი არ უნდა დავშალოთ, მაგრამ საჭიროა არტელებად გარდავქმნათ.

კომუნების შექმნა და მათი გაძღოლა რთული და ძნელი საქმეა. მსხვილ და მტკიცე კომუნებს შეუძლიათ იარსებონ და განვითარ-დნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ეყოლებათ გამოცდილი კადრები და ნაცადი ხელმძღვანელები. ნაჩქარევი გადაყვანა არტელის წესდებიდან კომუნის წესდებაზე მხოლოდ ჩამოაშორებს გლეხებს საკოლმეურნეო მოძრაობას. ამიტომ ამ საქმეს განსაკუთრებული სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ და არავითარი აჩქარება არ დავუშვათ. არტელი უფრო ადვილი საქმეა და უფრო მისაწვდომია გლეხთა ფართო მასების შეგნებისათვის. ამიტომ არტელი ამჟამად წარმოადგენს საკოლმეურნეო მოძრაობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას. მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო არტელების გამაგრებასა და განმტკიცებასთან ერთად შეიძლება შეიქმნას ნიადაგი გლეხობის მასობრივი მოძრაობისათვის კომუნისაკენ. მაგრამ ეს მალე როდი იქნება. ამიტომ კომუნა, რომელიც უმაღლეს ფორმას წარმოადგენს, მხოლოდ მომავალში შეიძლება გახდეს საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარი რგოლი.

მეცხრე კითხვა. როგორ მოვექცეთ კულაკობას?

პასუხი. აქამდე ჩვენ ლაპარაკი გვქონდა საშუალო გლეხზე. საშუალო გლეხი მუშათა კლასის მოკავშირეა, და ჩვენი პოლიტიკა საშუალო გლეხის მიმართ მეგობრული უნდა იყოს. სხვა საქმეა კულაკი. კულაკი საბჭოთა ხელისუფლების მტერია. ჩვენ მასთან ზავი არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს. ჩვენი პოლიტიკა კულაკობის მიმართ არის მისი, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთი დაკვრით მოვახდინოთ მისი ლიკვიდაცია. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საქმეს ისე წავიყვანთ, რათა გარს შემოვერტყათ და ლიკვიდაცია ვუყოთ მას.

აი რას ამბობს ლენინი კულაკის შესახებ:

«კულაკები არიან ყველაზე მხეცი, ყველაზე უხეში, ყველაზე ველური ექსპლოატატორები, რომლებსაც სხვა ქვეყნების ისტორიაში არა ერთხელ აღუდგენიათ მემამულეების, მეფეების, ხუცების, კაპიტალისტების ძალაუფლება. კულაკებზე მეტი არიან, ვიდრე მემამულეები და კაპიტალისტები. მაგრამ კულაკები მაინც უმცირესობას შეადგენენ ხალხში... ამ სისხლისმსმელებმა ომის დროს ჯიბე გაიქნეს ხალხის გაჭირვებაზე, მათ ათასობით და ასათასობით შეაგროვეს ფული პურისა და სხვა პროდუქტების ფასების აწევით. ეს ობობები სუქდებოდნენ ომით გაჩანაგებული გლეხების ხარჯზე, მშიერი მუშების ხარჯზე. ეს წურბელები

სისხლს სწოვდნენ მშრომელებს და მით უფრო მდიდრდებოდნენ, რაც უფრო შიმშილობდა მუშა ქალაქებსა და ფაბრიკებში. ეს სისხლისმსმელები ხელში ოქდებდნენ და იგდებენ მემამულეთა მიწებს, ისინი კვლავ და კვლავ იმონებენ ღარიბ გლეხებს» (ტ. XXIII, გვ. 206 — 207).

ჩვენ ვითმენდით ამ სისხლისმსმელებს, ობობებსა და წურბელებს, ვახორციელებდით რა მათი ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკას. ვითმენდით, რადგან არაფრით არ შეგვეძლო შეგვეცვალა კულაკური მეურნეობა, კულაკური წარმოება. ახლა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ჭარბად შეევცვალოთ მათი მეურნეობა ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეურნეობით. ამ ობობებისა და სისხლისმსმელების კვლავ მოთმენა საჭირო აღარ არის. ამ ობობებისა და სისხლისმსმელების კვლავ მოთმენა, რომლებიც ცეცხლს უკიდებენ კოლმეურნეობებს, კლავენ კოლმეურნეობათა მუშაკებს და ცდილობენ ჩაშალონ თესვა, — მუშათა და გლეხთა ინტერესების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს.

ამიტომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა უნდა განვახორციელოთ მთელი იმ სიმტკიცითა და თანმიმდევრობით, რის უნარიც კი აქვთ ბოლშევიკებს.

მეათე კითხვა. რა არის კოლმეურნეობათა უახლოესი პრაქტიკული ამოცანა?

პასუხი. კოლმეურნეობათა უახლოესი პრაქტიკული ამოცანაა თესვისათვის ბრძოლა, ნათესი ფართობების რაც შეიძლება მეტი გადიდებისათვის ბრძოლა, თესვის სწორი ორგანიზაციისათვის ბრძოლა.

თესვის ამოცანას ამჟამად უნდა შეეფარდოს კოლმეურნეობათა ყველა სხვა ამოცანა.

თესვის ორგანიზაციის დარგში მუშაობას ამჟამად უნდა დაექვემდებაროს ყველა სხვა სამუშაო კოლმეურნეობებში.

ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებისა და მათი უპარტიო აქტივის სიმტკიცე, კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა და მათი ბოლშევიკური ბირთვის უნარი შემოწმებული იქნება არა მყვირალა რეზოლუციებითა და მრავლისაღმთქმელი მისალმებებით, არამედ თესვის სწორი ორგანიზაციის ცოცხალი საქმით.

მაგრამ ეს პრაქტიკული ამოცანა ღირსეულად რომ განვახორციელოთ, კოლმეურნეობების მუშაკთა ყურადღება უნდა მოვაბრუნოთ საკოლმეურნეო მშენებლობის სამეურნეო საკითხებისაკენ, **შინასაკოლმეურნეო** მშენებლობის საკითხებისაკენ.

ბოლო დრომდე კოლმეურნეობების მუშაკთა ყურადღების ცენტრში იდგა კოლექტივიზაციის მაღალი ციფრების გამოდევნება,

ამასთან ამ ადამიანებს არ სურდათ დაენახათ განსხვავება ნამდვილ კოლექტივიზაციასა და ქაღალდზე არსებულ კოლექტივიზაციას შორის. ახლა ციფრებით ეს გატაცება უკუგდებულ უნდა იქნას. ახლა მუშაკებმა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ კოლმეურნეობათა განმტკიცებას, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ გაფორმებას, კოლმეურნეობებში საქმიანი მუშაობის ორგანიზაციას.

ბოლო დრომდე კოლმეურნეობათა მუშაკები მთელ ყურადღებას აქცევდნენ მსხვილი საკოლმეურნეო ერთეულების მოწყობას, ეგრეთწოდებული «გიგანტების» მოწყობას, ამასთან «გიგანტები» ხშირად გადაგვარდებოდნენ ხოლმე მიწერ-მოწერის ვეება კომენდატურებად, რომლებიც მოკლებული იყვნენ სამეურნეო ფესვებს სოფლებში. მაშასადამე, მოჩვენებითი მუშაობა ნთქამდა საქმიან მუშაობას. ახლა ეს გატაცება მოჩვენებითი მუშაობით უკუგდებულ უნდა იქნას. ახლა მუშაკებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო მუშაობაზე სოფლებში. როცა ეს მუშაობა ჯეროვან წარმატებას მოგვცემს, «გიგანტები» თავისთავად გაჩნდებიან.

ბოლო დრომდე კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე საშუალო გლეხების მიზიდვას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. საშუალო გლეხთა შორის კი მოიპოვებიან შესანიშნავი მეურნეები, რომლებსაც შეუძლიათ საკოლმეურნეო მშენებლობის საუცხოო სამეურნეო მუშაკები გახდნენ. ახლა ჩვენი მუშაობის ეს ნაკლი აღმოფხვრილ უნდა იქნას. ახლა ამოცანა ის არის, რომ კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე მივიზიდოთ საუკეთესო ადამიანები საშუალო გლეხებიდან და შესაძლებლობა მივცეთ მათ გაშალონ ამ საქმეში თავიანთი ნიჭი.

ბოლო დრომდე საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ გლეხ ქალთა შორის მუშაობას. განვლილმა პერიოდმა ცხადყო, რომ გლეხ ქალთა შორის მუშაობა ჩვენი მუშაობის ყველაზე სუსტი ადგილია. ახლა ეს ნაკლი გადაჭრით და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას.

ბოლო დრომდე მთელი რიგი რაიონების კომუნისტები ფიქრობდნენ, რომ საკუთარი ძალებით შეუძლიათ საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა ამოცანის გადაჭრა. ამის გამო ისინი საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ უპარტიოთა მიზიდვას პასუხსაგებ სამუშაოზე კოლმეურნეობებში, უპარტიოთა დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოზე კოლმეურნეობებში, ფართო უპარტიო აქტივის შექმნას კოლმეურნეობებში. ჩვენი პარტიის ისტორიამ დაამტკიცა, ხოლო საკოლმეურნეო მშენებლობის განვლილმა პერიოდმა ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ ასეთი შეხედულება სრულიად არასწორია.

კომუნისტები თავიანთ ნაუუკში რომ ჩაკეტილიყვნენ და კედლით გამიჯნოდნენ უპარტიოებს, ისინი მთელ საქმეს დაღუპავდნენ. თუ კომუნისტები სოციალიზმისათვის ბრძოლებში სახელს იხვეჭდნენ, ხოლო კომუნიზმის მტრები მარცხდებოდნენ, ეს, სხვათა შორის, იმიტომ ხდებოდა, რომ კომუნისტებს უნარი ჰქონდათ ჩაებათ საქმეში საუკეთესო ადამიანები უპარტიოებიდან, უნარი ჰქონდათ შეეგროვებინათ ძალები უპარტიოთა ფართო ფენებში, უნარი ჰქონდათ თავიანთი პარტიის ირგვლივ შემოეკრიბათ ფართო უპარტიო აქტივი. ახლა უპარტიოებთან ჩვენი მუშაობის ეს ნაკლი გადაკრით და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას.

ჩვენი მუშაობის ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება, მათი ძირფესვიანად აღმოფხვრა — სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ კოლმეურნეობათა სამეურნეო მუშაობა რელსებზე დავაყენოთ.

ამრიგად:

1) თესვის სწორი ორგანიზაცია — ასეთია ამოცანა.

2) მთელი ყურადღების მიპყრობა საკოლმეურნეო მოძრაობის სამეურნეო საკითხებისაკენ — ასეთია ამ ამოცანის გადაჭრის აუცილებელი საშუალება.

«პრავდა» № 92, 1930 წ. 3 აპრილი.

სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ

სიტყვა სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა
პირველ სრულიად საკავშირო კონფერენციაზე
1931 წ. 4 თებერვალს

ამხანაგებო! თქვენი კონფერენციის მუშაობა დასასრულს უახლოვდება. ახლა თქვენ მიიღებთ რეზოლუციებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს რეზოლუციები ერთხმად იქნება მიღებული. ამ რეზოლუციებში, — მე მათ ვიცნობ ცოტათი, — თქვენ იწონებთ მრეწველობის საკონტროლო ციფრებს 1931 წლისათვის და ვალდებულებას კისრულობთ შეასრულოთ ისინი.

ბოლშევიკის სიტყვა სერიოზული სიტყვაა. ბოლშევიკები მიჩვეული არიან შეასრულონ ის დაპირებანი, რომლებსაც ისინი იძლევიან. მაგრამ რას ნიშნავს იკისრო 1931 წლის საკონტროლო ციფრების შესრულების ვალდებულება? ეს ნიშნავს — უზრუნველყო სამრეწველო პროდუქციის საერთო ზრდა 45 პროცენტით. ეს კი ძალიან დიდი ამოცანაა. უფრო მეტიც. ასეთი ვალდებულება ნიშნავს, რომ თქვენ არა მარტო იძლევით დაპირებას — ჩვენი ხუთწლედი შეასრულოთ 4 წელიწადში, — ეს უკვე გადაწყვეტილი საქმეა, და აქ არავითარი რეზოლუცია აღარ არის საჭირო, — **ეს ნიშნავს, რომ თქვენ პირობას იძლევით შეასრულოთ იგი 3 წელიწადში მრეწველობის ძირითად, გადამწყვეტ დარგებში.**

ეს კარგია, რომ კონფერენცია პირობას იძლევა შეასრულოს 1931 წლის გეგმა, შეასრულოს ხუთწლედი სამ წელიწადში. მაგრამ ჩვენ ჭკუა გვასწავლა «მწარე გამოცდილებამ». ჩვენ ვიცით, რომ დაპირება ყოველთვის როდი სრულდება. 1930 წლის დასაწყისშიც მოცემული იყო ასეთი დაპირება, რომ შეასრულებდნენ წლიურ გეგმას. მაშინ ჩვენი მრეწველობის პროდუქცია 31 — 32 პროცენტით უნდა გადიდებულიყო. მაგრამ დაპირება არ იქნა შესრულებული მთლიანად. სამრეწველო პროდუქციის ზრდა 1930 წელს ნამდვილად შეადგენდა 25 პროცენტს. ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა: იგივე ხომ არ განმეორდება წელსაც? ჩვენი მრეწველობის ხელმძღვანელები, მუშაკები ახლა იძლევიან დაპირებას, რომ ისინი 1931 წელს

45 პროცენტით გაადიდებენ მრეწველობის პროდუქციას. მაგრამ რა გარანტიაა, რომ დაპირება შესრულდება?

რა არის საჭირო იმისათვის, რომ შევასრულოთ საკონტროლო ციფრები, რომ გავზარდოთ პროდუქცია 45 პროცენტით, რომ მივაღწიოთ ხუთწლედის შესრულებას არა 4 წელიწადში, არამედ ძირითად და გადამწყვეტ დარგებში — 3 წელიწადში?

ამისათვის საჭიროა ორი ძირითადი პირობა.

ჯერ-ერთი, საჭიროა, რომ იყოს ამის რეალური ან, როგორც ჩვენში ამბობენ, «ობიექტური» შესაძლებლობანი.

მეორეც, საჭიროა, რომ იყოს ჩვენი საწარმოებისათვის ისეთი ხელმძღვანელობის გაწევის სურვილი და უნარი, რომ ეს შესაძლებლობანი განხორციელდეს.

იყო თუ არა ჩვენში შარშან «ობიექტური» შესაძლებლობანი გეგმის მთლიანად შესრულებისათვის? დიახ, იყო. უდავო ფაქტები მოწმობენ ამას. ეს ფაქტები მდგომარეობენ იმაში, რომ გასული წლის მარტსა და აპრილში მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 31 პროცენტით წინა წელთან შედარებით. იბადება კითხვა, რატომ ვერ შევასრულეთ მთელი წლის გეგმა? რამ შეგვიშალა ხელი? რა გვაკლდა? **გვაკლდა არსებულ შესაძლებლობათა გამოყენების უნარი. გვაკლდა ქარხნების, ფაბრიკების, მაღაროების მიმართ სწორი ხელმძღვანელობის უნარი.**

ჩვენ გვქონდა პირველი პირობა: «ობიექტური» შესაძლებლობანი გეგმის შესრულებისათვის. მაგრამ ჩვენ არ გვქონდა საკმაოდ მეორე პირობა: წარმოების მიმართ ხელმძღვანელობის უნარი. და სწორედ იმიტომ, რომ გვაკლდა საწარმოთა მიმართ ხელმძღვანელობის უნარი, — სწორედ ამიტომ გეგმა ვერ შესრულდა. 31 — 32 პროცენტის ნაცვლად ზრდა მხოლოდ 25 პროცენტს უდრის.

რა თქმა უნდა, 25 პროცენტით ზრდა დიდი საქმეა. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ ჰქონია 1930 წელს და არა აქვს ამჟამად პროდუქციის ზრდა. უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ხდება წარმოების მკვეთრი დაცემა. ასეთ პირობებში 25 პროცენტით ზრდა დიდი ნაბიჯია წინ. მაგრამ ჩვენ უფრო მეტის მოცემა შეგვეძლო. ჩვენ ამისათვის ყველა აუცილებელი «ობიექტური» პირობა გვქონდა.

მაშ, რა გარანტიაა, რომ წელს არ განმეორდება შარშანდელი კაზუსი, რომ გეგმა შესრულდება მთლიანად, რომ არსებულ შესაძლებლობებს გამოვიყენებთ ისე, როგორც საჭიროა მათი გამოყენება, რომ თქვენი დაპირება ნაწილობრივ ქაღალდზე არ დარჩება?

სახელმწიფოთა ისტორიაში, ქვეყნების ისტორიაში, არმიების ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა წარმატებისათვის, გამარჯვებისათვის ყველა შესაძლებლობა არსებობდა, მაგრამ ისინი, ეს შესაძლებლობანი, გამოუყენებელი რჩებოდა, რადგან ხელმძღვანელები ვერ ამჩნევდნენ ამ შესაძლებლობებს, ვერ იყენებდნენ მათ, და არმიები მარცხდებოდნენ.

გვაქვს თუ არა ჩვენ ყველა შესაძლებლობა, რაც აუცილებელია 1931 წლის საკონტროლო ციფრების შესასრულებლად?

დიახ, ასეთი შესაძლებლობანი ჩვენ გვაქვს.

რაში მდგომარეობენ ეს შესაძლებლობანი, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობანი რეალურად არსებობდნენ?

უწინარეს ყოვლისა საჭიროა ქვეყანას ჰქონდეს საკმაო **ბუნებრივი სიმდიდრე:** რკინის მადანი, ქვანახშირი, ნავთი, პური, ბამბა. არის თუ არა ყოველივე ეს ჩვენში? არის. არის უფრო მეტი, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. ‹ავიღოთ თუნდაც ურალი, რომელიც წარმოადგენს სიმდიდრეთა ისეთ კომბინაციას, როგორიც არც ერთ სხვა ქვეყანაში არ მოიპოვება. მადანი, ქვანახშირი, ნავთი, პური — რა გინდათ, რომ ურალში არ იყოს! ჩვენს ქვეყანაში ყველაფერია, გარდა კაუჩუკისა. მაგრამ ერთი-ორი წლის შემდეგ ჩვენს განკარგულებაში კაუჩუკიც იქნება. ამ მხრივ, ბუნებრივი სიმდიდრის მხრივ, ჩვენ სავსებით უზრუნველყოფილი ვართ. იგი ჩვენ უფრო მეტიც გვაქვს, ვიდრე გვესაჭიროება.

რა არის კიდევ საჭირო?

საჭიროა **ისეთი ხელისუფლების არსებობა,** რომელსაც ექნება სურვილი და ძალა — გამოიყენოს ეს უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე ხალხის სასარგებლოდ. არსებობს თუ არა ჩვენში ასეთი ხელისუფლება? არსებობს. მართალია, ჩვენი მუშაობა ბუნებრივი სიმდიდრის გამოსაყენებლად ყოველთვის როდი ხერხდება ჩვენივე მუშაკებს შორის შეხლა-შემოხლის გარეშე. მაგალითად, შარშან საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა ერთგვარი ბრძოლის გაწევა ქვანახშირისა და მეტალურგიის მეორე ბაზის შექმნის საკითხში, ბაზისა, ურომლისოდაც შეუძლებელია ჩვენი შემდგომი განვითარება. მაგრამ ჩვენ უკვე გადავლახეთ ეს დაბრკოლებანი. და ჩვენ მალე გვექნება ეს ბაზა.

რა არის კიდევ საჭირო?

საჭიროა კიდევ, რომ ეს ხელისუფლება სარგებლობდეს მუშებისა და გლეხების მილიონნიანი მასების **მხარდაჭერით.** სარგებლობს თუ არა ჩვენი ხელისუფლება ასეთი მხარდაჭერით? დიახ, სარგებლობს. მთელ მსოფლიოში ვერ ნახავთ მეორე ასეთ ხელისუფლებას,

რომელიც სარგებლობდეს მუშებისა და გლეხების ისეთი მხარდაჭერით, როგორითაც საბჭოთა ხელისუფლება სარგებლობს. არ მივუთითებ სოციალისტური შეჯიბრების ზრდის ფაქტებზე, დამკვრელობის ზრდის ფაქტებზე, შემხვედრი სამრეწველო-საფინანსო გეგმისათვის ბრძოლის კამპანიაზე. ყველა ეს ფაქტი, რაც ცხადყოფს მილიონიანი მასების მიერ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარის დაჭერას, საყოველთაოდ ცნობილია.

რა არის კიდევ საჭირო, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს 1931 წლის საკონტროლო ციფრები?

საჭიროა კიდევ ისეთი წყობილების არსებობა, რომელიც თავისუფალი იქნება კაპიტალიზმის განუკურნავი სენისაგან და რომელსაც სერიოზული უპირატესობა ექნება კაპიტალიზმთან შედარებით. კრიზისი, უმუშევრობა, მფლანგველობა, ფართო მასების სიღატაკე — აი კაპიტალიზმის განუკურნავი სენი. ჩვენი წყობილება არ არის დაავადებული ამ სენით, იმიტომ რომ ძალაუფლება ჩვენს ხელშია, მუშათა კლასის ხელში, იმიტომ რომ ჩვენ გეგმიანი მეურნეობა გვაქვს, გეგმაშეზომილად ვაგროვებთ რესურსებს და სწორად ვანაწილებთ მათ სახალხო მეურნეობის დარგებს შორის. ჩვენ თავისუფალი ვართ კაპიტალიზმის განუკურნავი სენისაგან. ამაშია ჩვენი განსხვავება, ამაშია ჩვენი გადამწყვეტი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე. შეხედეთ, როგორ სურთ კაპიტალისტებს თავი დააღწიონ კრიზისს. ისინი მაქსიმალურად ამცირებენ მუშების ხელფასს. ისინი მაქსიმალურად ამცირებენ ნედლეულისა და სასურსათო პროდუქტების ფასებს. მაგრამ მათ არ სურთ რამდენადმე სერიოზულად შეამცირონ სამრეწველო ნაწარმის ფასები. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ სურთ თავი დააღწიონ კრიზისს საქონლის ძირითად მომხმარებელთა ხარჯზე, მუშების ხარჯზე, გლეხების ხარჯზე, იმ ქვეყნების მშრომელთა ხარჯზე, რომლებიც ნედლეულსა და სურსათ-სანოვაგეს ამზადებენ. კაპიტალისტები ჭრიან იმ ტოტს, რომელზედაც თვითონ სხედან. და კრიზისიდან თავის დაღწევის მაგივრად გამოდის მისი გაღრმავება, გამოდის ახალ წანამძღვართა დაგროვება, რომელნიც ახალ, უფრო მწვავე კრიზისს იწვევენ. ჩვენი უპირატესობა ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით ჭარბი წარმოების კრიზისი, ჩვენ არა გვყავს და არც გვეყოლება უმუშევართა მილიონები, ჩვენში არ არის წარმოების ანარქია, ვინაიდან ჩვენ გეგმიანი მეურნეობა გვაქვს. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ჩვენი ქვეყანა ყველაზე კონცენტრირებული მრეწველობის ქვეყანაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მრეწველობის აგება საუკეთესო ტექნიკის საფუძველზე და ამის მეოხებით შრომის უმაგალითო ნაყოფიერების,

დაგროვების უმაგალითო ტემპის უზრუნველყოფა. ჩვენი სისუსტე წარსულში ის იყო, რომ ეს მრეწველობა ეყრდნობოდა დაქუცმაცებულ და წვრილ გლეხურ მეურნეობას. მაგრამ ეს იყო. ახლა ეს უკვე აღარ არის. ხვალ, შეიძლება, ერთი წლის შემდეგ, ჩვენ გავხდებით მსოფლიოში ყველაზე მსხვილი სოფლის მეურნეობის ქვეყნად. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, — ისინი კი მსხვილი მეურნეობის ფორმებს წარმოადგენენ, — უკვე ამ წელს მოგვცეს მთელი ჩვენი სასაქონლო მარცვლეულის ნახევარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი წყობილება, საბჭოთა წყობილება, გვაძლევს სწრაფი წინსვლის ისეთ შესაძლებლობებს, რომლებზედაც არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანას არ შეუძლია ოცნება.

რა არის კიდევ საჭირო იმისათვის, რომ ბუმბერაზული ნაბიჯით გავწიოთ წინ?

საჭიროა ისეთი პარტიის არსებობა, რომელიც საკმაოდ შემჭიდროებული და ერთიანი იქნება იმისათვის, რომ მუშათა კლასის ყველა საუკეთესო ადამიანის ძალღონე წარმართოს ერთი წერტილისაკენ, და საკმაოდ გამოცდილი იმისათვის, რომ არ შედრკეს სიძნელეთა წინაშე და სისტემატურად გაატაროს ცხოვრებაში სწორი, რევოლუციური, ბოლშევიკური პოლიტიკა. გვყავს თუ არა ჩვენ ასეთი პარტია? დიახ, გვყავს. სწორია თუ არა მისი პოლიტიკა? დიახ, სწორია, ვინაიდან იგი სერიოზულ წარმატებებს იძლევა. ამას ახლა აღიარებენ მუშათა კლასის არა მარტო მეგობრები, არამედ მტრებიც. შეხედეთ, როგორ ღმუიან და ცოფს ჰყრიან ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ყველასათვის ცნობილი «პატივცემული» ჯენტლმენები— ფიში ამერიკაში, ჩერჩილი ინგლისში, პუანკარე საფრანგეთში. რატომ ღმუიან და ცოფს ჰყრიან ისინი? იმიტომ, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა სწორია, იმიტომ, რომ ის წარმატებას წარმატებაზე იძლევა.

აი, ამხანაგებო, ყველა ის შესაძლებლობანი, რომელნიც გვიადვილებენ 1931 წლის საკონტროლო ციფრების განხორციელებას, რომელნიც შესაძლებლობას გვაძლევენ შევასრულოთ ხუთწლედი 4 წელიწადში, ხოლო გადამწყვეტ დარგებში — 3 წელიწადშიც კი.

ამრიგად, გეგმის შესრულების პირველი პირობა — «ობიექტური» შესაძლებლობანი — ჩვენ გვაქვს.

გვაქვს თუ არა მეორე პირობა — ამ შესაძლებლობათა გამოყენების უნარი?

სხვანაირად რომ ვთქვათ, გვაქვს თუ არა სწორი ხელმძღვანელობა ფაბრიკების, ქარხნებისა და მაღაროების მიმართ? აქ ყველაფერი რიგზეა თუ არა?

სამწუხაროდ, აქ ყველაფერი რიგზე არ არის. და ჩვენ, როგორც ბოლშევიკებმა, ეს პირდაპირ და აშკარად უნდა ვთქვათ.

რას ნიშნავს ხელმძღვანელობის გაწევა წარმოებისათვის? ჩვენში ყოველთვის ბოლშევიკურად როდი უყურებენ საწარმოთათვის ხელმძღვანელობის გაწევის საკითხს. ჩვენში ხშირად ფიქრობენ, რომ ხელმძღვანელობა ნიშნავს ქაღალდებზე ხელის მოწერას. ეს სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია. ზოგჯერ უნებურად გაგონდება შჩედრინის პომპადურები. ხომ გახსოვთ, პომპადური ქალი როგორ ასწავლიდა ჭკუას ახალგაზრდა პომპადურს: თავს ნუ იმტვრევ მეცნიერების შესწავლით, ნუ ჩაუკვირდები საქმეს, დაე ეს სხვებმა აკეთონ, შენი საქმე არ არის ეს, — შენი საქმე ხელმძღვანელობაა, ქაღალდებზე ხელის მოწერაო. ჩვენდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს შორისაც, ბოლშევიკებს შორისაც, ცოტა არ არიან ისეთები, რომელნიც ხელმძღვანელობას ეწევიან ქაღალდებზე ხელის მოწერით. ხოლო რაც შეეხება საქმეში ჩახედვას, ტექნიკის დაუფლებას, საქმის ბატონ-პატრონად გახდომას, — ამაზე თავს არ იტკივებენ.

როგორ მოხდა, რომ ჩვენ, ბოლშევიკებმა, რომლებმაც სამი რევოლუცია მოვახდინეთ, რომლებიც გამარჯვებული გამოვედით სასტიკი სამოქალაქო ომიდან, რომლებმაც გადავჭერით მრეწველობის შექმნის უდიდესი ამოცანა, მოვაბრუნეთ გლეხობა სოციალიზმის გზისაკენ, — როგორ მოხდა, რომ ჩვენ წარმოების ხელმძღვანელობის საქმეში ქედს ვიხრით ქაღალდის წინაშე?

ამის მიზეზი არის ის, რომ ქაღალდზე ხელის მოწერა უფრო ადვილია, ვიდრე წარმოების ხელმძღვანელობა. და აი ბევრი სამეურნეო მუშაკი ამ ნაკლები წინააღმდეგობის ხაზით წავიდა. ჩვენც, ცენტრსაც, მიგვიძღვის აქ ბრალი. ათიოდე წლის წინათ წამოყენებული იყო ლოზუნგი: «რადგან კომუნისტებს წარმოების ტექნიკა ჯერ არ ესმით ისე, როგორც საჭიროა, რადგან მათ ჯერ კიდევ უნდა ისწავლონ მეურნეობის მართვა, დაე ძველი ტექნიკოსები და ინჟინრები, სპეციალისტები, გაუძღვნენ წარმოებას, თქვენ კი, კომუნისტები, ნუ ჩაერევით საქმის ტექნიკაში, მაგრამ, ჩაურევლად, შეისწავლეთ ტექნიკა, შეუსვენებლად შეისწავლეთ წარმოების მართვის მეცნიერება, რათა შემდეგში ჩვენს ერთგულ სპეციალისტებთან ერთად გახდეთ წარმოების ნამდვილი ხელმძღვანელები, საქმის ნამდვილი ბატონ-პატრონები». ასეთი იყო ლოზუნგი. რა გამოვიდა ნამდვილად? ამ ფორმულის მეორე ნაწილი უკუაგდეს, რადგან სწავლა უფრო ძნელია, ვიდრე ქაღალდებზე ხელის მოწერა; ფორმულის პირველი ნაწილი კი დაამახინჯეს იმით, რომ ჩაურევლობა გაიგეს,

როგორც წარმოების ტექნიკის შესწავლაზე ხელის აღება. გამოვიდა სისულელე, მავნე და სახიფათო სისულელე, რომლისგანაც რაც უფრო მალე განვთავისუფლდებით, მით უკეთესია.

თვით ცხოვრებას არა ერთხელ მოუცია ჩვენთვის სიგნალი, რომ ამ მხრივ საქმე კარგად ვერ არის. შახტის საქმე პირველი სიგნალი იყო. შახტის საქმემ გვიჩვენა, რომ პარტორგანიზაციებს და პროფკავშირებს აკლდათ რევოლუციური სიფხიზლე. მან გვიჩვენა, რომ ჩვენი სამეურნეო მუშაკები უმსგავსოდ ჩამორჩნენ ტექნიკის მხრივ, რომ ზოგიერთი ძველი ინჟინერი და ტექნიკოსი, რაკი უკონტროლოდ შუშაობს, ადვილად ადგება მავნებლობის გზას, მით უფრო, რომ მათ განუწყვეტლივ თავს აბეზრებენ «წინადადებებით» მტრები უცხოეთიდან. მეორე სიგნალი «სამრეწველო პარტიის» პროცესია.

რა თქმა უნდა, მავნებლობას საფუძვლად უდევს კლასობრივი ბრძოლა. რა თქმა უნდა, კლასობრივი მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს სოციალისტურ შეტევას. მაგრამ მარტო ეს არ კმარა მავნებლობის ასე ფართოდ გაფურჩქვნის ასახსნელად.

როგორ მოხდა, რომ მავნებლობამ ასეთი ფართო ხასიათი მიიღო? ვინ არის დამნაშავე ამაში? ჩვენ ვართ ამაში დამნაშავე. ჩვენ რომ შეურნეობის ხელმძღვანელობის საქმე სხვანაირად დაგვეყენებინა, ჩვენ რომ გაცილებით უფრო ადრე დაგვეწყო საქმის ტექნიკის შესწავლა, ტექნიკის დაუფლება, ჩვენ რომ უფრო ხშირად და გონივრულად ჩავრეოდით მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმეში,— მავნებლები ვერ მოგვაყენებდნენ ასეთ დიდ ზიანს.

საჭიროა ჩვენ თვითონ გავხდეთ სპეციალისტები, საქმის ბატონ-პატრონნი, საჭიროა პირი ვიბრუნოთ ტექნიკური ცოდნისაკენ, — აი საითკენ გვეწეოდა ცხოვრება. მაგრამ ვერც პირველმა სიგნალმა, ვერც მეორე სიგნალმაც კი ვერ უზრუნველყო ჯერ კიდევ აუცილებელი მობრუნება. დროა, დიდი ხანია დროა პირი ვიბრუნოთ ტექნიკისაკენ. დროა უკუვაგდოთ ძველი ლოზუნგი, დრომოჭმული ლოზუნგი ტექნიკაში ჩაურევლობის შესახებ, და თვითონ გავხდეთ სპეციალისტები, საქმის მცოდნენი, გავხდეთ საქმის სრული ბატონ-პატრონნი.

ხშირად კითხულობენ, რატომ არა გვაქვს ერთმმართველობა? იგი არა გვაქვს და არ გვექნება მანამდე, ვიდრე არ დაეუფლებით ტექნიკას. სანამ ჩვენს შორის, ბოლშევიკებს შორის, საკმაოდ არ გვეყოლება ტექნიკის, ეკონომიკისა და ფინანსების საკითხებთან კარგად გაცნობილი ადამიანები, ჩვენ არ გვექნება ნამდვილი ერთმმართველობა. რამდენი რეზოლუციაც უნდა სწეროთ, რა სიტყვებითაც უნდა იფიცოთ, თუ. თქვენ არ დაეუფლებით ქარხნის, ფაბ-

რიკის, მაღაროს ტექნიკას, ეკონომიკას და ფინანსებს, — არაფერი არ გამოვა, ერთმმართველობა არ იქნება.

მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ თვითონ ჩვენ დავეუფლოთ ტექნიკას, თვითონ ჩვენ გავხდეთ საქმის ბატონ-პატრონნი. მხოლოდ ამაშია იმის გარანტია, რომ ჩვენი გეგმები სავსებით შესრულდება, ხოლო ერთმმართველობა გატარდება.

რა თქმა უნდა, ეს საქმე ადვილი არაა, მაგრამ სავსებით დასაძლევია. მეცნიერება, ტექნიკური გამოცდილება, ცოდნა — ყოველივე ეს შეიძლება შეძენილ იქნას. დღეს არა გვაქვს ისინი, მაგრამ ხვალ გვექნება. აქ მთავარი ისაა, რომ გქონდეს ძლიერი ბოლშევიკური სურვილი — დაეუფლო ტექნიკას, დაეუფლო წარმოების მეცნიერებას. თუ ძლიერი სურვილი იქნება, ყველაფრის მიღწევა შეიძლება, ყველაფრის დაძლევა შეიძლება.

ზოგჯერ კითხულობენ, ხომ არ შეიძლება რამდენადმე შევანელოთ ტემპები, შევაკავოთ მოძრაობა. არა, ამხანაგებო, არ შეიძლება! არ შეიძლება ტემპების შემცირება! პირიქით, ძალებისა და შესაძლებლობათა მიხედვით საჭიროა მათი გადიდება. ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი ვალდებულებანი სსრ კავშირის მუშებისა და გლეხების წინაშე. ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი ვალდებულებანი მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის წინაშე.

ტემპების შენელება ჩამორჩენას ნიშნავს. ჩამორჩენილებს კი სცემენ. ჩვენ კი არ გვინდა ნაცემი ვიყოთ. არა, არ გვინდა! ძველი რუსეთის ისტორია, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობდა, რომ მას განუწყვეტლივ სცემდნენ ჩამორჩენილობისათვის. სცემდნენ მონღოლელი ხანები. სცემდნენ თურქი ბეგები. სცემდნენ შვედი ფეოდალები. სცემდნენ პოლონელ-ლიტველი პანები. სცემდნენ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტები. სცემდნენ იაპონელი ბარონები. სცემდნენ ყველანი — ჩამორჩენილობისათვის. სამხედრო ჩამორჩენილობისათვის, კულტურული ჩამორჩენილობისათვის, სახელმწიფოებრივი ჩამორჩენილობისათვის, სამრეწველო ჩამორჩენილობისათვის, სასოფლო-სამეურნეო ჩამორჩენილობისათვის. სცემდნენ იმიტომ, რომ ეს მათთვის სახეირო იყო და დაუსჯელად ჩაუვლიდათ ხოლმე. ხომ გახსოვთ რევოლუციის წინადროის პოეტის სიტყვები: «Ты и убогая, ты и обильная, ты и могучая, ты и бессильная, матушка Русь»[1]. ძველი პოეტის ეს სიტყვები კარგად დაისწავლეს ამ ვაებატონებმა. ისინი სცემდნენ და თან დას-

[1] «შენ უხვიცა ხარ, თან უბადრუკიც, შენ ძლიერიც ხარ, თანაც უძლური, დედავ რუსეთო».

ძენდნენ: «შენ უხვი ხარ» — მაშასადამე, შეიძლება შენს ხარჯზე გავმდიდრდეთ. ისინი სცემდნენ და თან დასძენდნენ: «შენ უბადრუკი და უძლური ხარ» — მაშასადამე, შეიძლება შენი ცემა და ძარცვა დაუსჯელად. ასეთია ექსპლოატატორების კანონი—ჩამორჩენილებისა და სუსტების ცემა. კაპიტალიზმის მგლური კანონი. შენ ჩამორჩი, შენ სუსტი ხარ — მაშასადამე, შენ მართალი არა ხარ, მაშასადამე, შეიძლება შენი ცემა და დამონება. შენ ძლიერი ხარ — მაშასადამე, შენ მართალი ხარ, მაშასადამე, შენ უნდა გერიდონ.

აი რატომ აღარ შეიძლება ჩამოვრჩეთ.

წარსულში ჩვენ არ გვქონდა და არც შეიძლებოდა გვქონოდა სამშობლო. მაგრამ ახლა, როცა დავამხეთ კაპიტალიზმი, ხოლო ჩვენში ხელისუფლება მუშურია, — ჩვენ გვაქვს სამშობლო და ჩვენ დავიცავთ კიდეც მის დამოუკიდებლობას. გინდათ თუ არა, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლო დაამარცხონ და რომ მან დაკარგოს თავისი დამოუკიდებლობა? და თუ ეს არ გინდათ, მაშინ რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა მოსპოთ მისი ჩამორჩენილობა და განავითაროთ ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები მისი სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის საქმეში. სხვა გზა არ არსებობს. აი რატომ ამბობდა ლენინი ოქტომბრის დროს: «ან სიკვდილი, ან დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს».

ჩვენ 50 — 100 წლით ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთ. ან შევასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ.

აი რას გვიკარნახებს ჩვენი ვალდებულებანი სსრ კავშირის მუშებისა და გლეხების წინაშე.

მაგრამ ჩვენ გვაქვს კიდევ სხვა, უფრო სერიოზული და უფრო მნიშვნელოვანი ვალდებულებანი. ეს არის ვალდებულებანი მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე. ისინი ემთხვევიან პირველი სახის ვალდებულებებს. მაგრამ ჩვენ მათ უფრო მაღლა ვაყენებთ. სსრ კავშირის მუშათა კლასი მსოფლიო მუშათა კლასის ნაწილია. ჩვენ გავიმარჯვეთ არა მარტო სსრ კავშირის მუშათა კლასის ძალღონის მეოხებით, არამედ მსოფლიო მუშათა კლასის მხარდაჭერითაც. ასეთი დახმარება რომ არ გვქონოდა, ჩვენ დიდი ხანია გაგვწეწავდნენ. ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ყველა ქვეყნის პროლეტარიატის დამკვრელი ბრიგადა არისო. ეს კარგადაა ნათქვამი. მაგრამ ეს ჩვენ გვაკისრებს მეტად სერიოზულ ვალდებულებებს. რისთვის ვვიჭერს მხარს საერთაშორისო პროლეტარიატი, რით დავიმსახურეთ ასეთი მხარდაჭერა? იმით, რომ პირველად ჩვენ შევებრძო-

ლეთ კაპიტალიზმს, პირველად ჩვენ დავამყარეთ მუშური ხელისუფლება, პირველად ჩვენ დავიწყეთ სოციალიზმის შენება. იმით, რომ ჩვენ ვაკეთებთ ისეთ საქმეს, რომელიც წარმატების შემთხვევაში მთელ მსოფლიოს გადააბრუნებს და გაათავისუფლებს მთელ მუშათა კლასს. ხოლო რა არის საჭირო წარმატებისათვის? ჩვენი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, მშენებლობის მაღალი ბოლშევიკური ტემპების განვითარება. ჩვენ ისე უნდა წავიდეთ წინ, რომ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს, რომელიც ჩვენ შემოგვყურებს, შეეძლოს თქვას: აი ის, ჩემი მოწინავე რაზმი, აი ის, ჩემი დამკვრელი ბრიგადა, აი ის, ჩემი მუშური ხელისუფლება, აი ის, ჩემი საშობლო, — ისინი აკეთებენ თავიანთ საქმეს, ჩვენს საქმეს — კარგია, — მხარი დავუჭიროთ მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და გავაჩაღოთ მსოფლიო რევოლუციის საქმე. უნდა გავამართლოთ თუ არა ჩვენ მსოფლიო მუშათა კლასის იმედები, შევასრულოთ ჩვენი ვალდებულებანი მის წინაშე? დიახ, უნდა გავამართლოთ, თუ ჩვენ არ გვსურს საბოლოოდ შევირცხვინოთ თავი.

ასეთია ჩვენი ვალდებულებანი, საშინაო და საერთაშორისო.

თქვენ ხედავთ, რომ ისინი გვიკარნახებენ განვითარების ბოლშევიკურ ტემპებს.

ვერ ვიტყვი, რომ მეურნეობის ხელმძღვანელობის მხრივ ჩვენში ამ წლების განმავლობაში არაფერი გაკეთებულიყოს. გაკეთებულია, და ძალიან ბევრიც. ჩვენ, ომისწინა დროსთან შედარებით, ერთიორად გავადიდეთ მრეწველობის პროდუქცია. ჩვენ შევქმენით მსოფლიოში ყველაზე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება. მაგრამ ჩვენ კიდევ მეტის გაკეთება შეგვეძლო, რომ ამ ხნის განმავლობაში ვცდილიყავით ჯეროვნად დავუფლებოდით წარმოებას, მის ტექნიკას, მის ფინანსურ-ეკონომიურ მხარეს.

მაქსიმუმ ათ წელიწადში უნდა გავირბინოთ ჩვენ ის მანძილი, რომლითაც კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებს ჩამოვრჩით. ამისათვის ჩვენ ყველა «ობიექტური» შესაძლებლობა მოგვეპოვება. გვაკლია მხოლოდ ამ შესაძლებლობათა სათანადოდ გამოყენების უნარი. ეს კი დამოკიდებულია ჩვენზე. **მხოლოდ** ჩვენზე! დროა ვისწავლოთ ამ შესაძლებლობათა გამოყენება. დროა ბოლო მოვუღოთ წარმოებაში ჩაურევლობის დამპალ გეზს. დროა შევითვისოთ სხვა, ახალი, ახლანდელი პერიოდის შესაბამისი გეზი: ჩავერიოთ ყველაფერში. თუ შენ ქარხნის დირექტორი ხარ — ჩაერიე ყველა საქმეში, ჩაუკვირდი ყველაფერს, მხედველობიდან არაფერი გაუშვა, ისწავლე და კიდევ ისწავლე. ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას. დროა, რომ ბოლშევიკები თვითონ გახდნენ სპეციალისტები.

ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში ყველაფერს წყვეტს. და ის სამეურნეო მუშაკი, რომელსაც არ სურს შეისწავლოს ტექნიკა, არ სურს დაეუფლოს ტექნიკას, — ანეგდოტია და არა სამეურნეო მუშაკი.

ამბობენ, ძნელია ტექნიკის დაუფლებაო. მართალი არ არის! არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ. ჩვენ გადავეჭრით მთელი რიგი უძნელესი ამოცანები. ჩვენ დავამხეთ კაპიტალიზმი. ჩვენ ავიღეთ ძალაუფლება. ჩვენ ავაშენეთ უმსხვილესი სოციალისტური ინდუსტრია. ჩვენ საშუალო გლეხი მოვაბრუნეთ სოციალიზმის გზისაკენ. მშენებლობის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენ უკვე გავაკეთეთ. ცოტა-ღა დაგვრჩა: შევისწავლოთ ტექნიკა, დავეუფლოთ მეცნიერებას. და როცა ამას გავაკეთებთ, მაშინ ჩვენ ისეთ ტემპებს განვავითარებთ, რომელთა შესახებ ახლა ოცნებასაც კი ვერ ვბედავთ. და ჩვენ ამას გავაკეთებთ, თუ ამას ნამდვილად მოვისურვებთ!

ახალი ვითარება — სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები

სიტყვა სამეურნეო მუშაკთა თათბირზე
1931 წ. 23 ივნისს

ამხანაგებო! თათბირის მასალებიდან ჩანს, რომ ჩვენი მრეწველობა გეგმის შესრულების თვალსაზრისით საკმაოდ ჭრელ სურათს წარმოადგენს. არის მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებმაც განვლილ ხუთ თვეში, შარშანდელთან შედარებით, პროდუქცია 40 — 50 პროცენტით გაადიდეს. არის დარგები, რომელთა პროდუქციის გადიდება 20 — 30 პროცენტს არ აღემატება. ბოლოს, არის მრეწველობის ცალკე დარგები, რომლებმაც პროდუქცია მინიმალურად გაადიდეს — რაღაც 6 — 10 პროცენტით, ზოგმა ამაზე ნაკლებითაც. ამ უკანასკნელთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს ქვანახშირის მრეწველობა და შავი მეტალურგია. როგორც ხედავთ, სურათი ჭრელია.

რით აიხსნება ეს სიჭრელე? სად არის მრეწველობის ზოგიერთი დარგის ჩამორჩენის მიზეზი? სად არის იმის მიზეზი, რომ მრეწველობის ზოგიერთი დარგი იძლევა მხოლოდ 20 — 25% ზრდას, ხოლო ქვანახშირის მრეწველობა და შავი მეტალურგია იძლევიან ამაზე უფრო ნაკლებ ზრდას, კუდში მისჩანჩალებენ სხვა დარგებს?

მიზეზი ის არის, რომ ამ უკანასკნელ დროს მრეწველობის განვითარების პირობები ძირფესვიანად შეიცვალა, შეიქმნა ახალი ვითარება, რომელიც მოითხოვს ხელმძღვანელობის ახალ ხერხებს, ხოლო ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო მუშაკი იმის ნაცვლად, რომ შეცვალოს მუშაობის ხერხები, კვლავ ძველებურად განაგრძობს მუშაობას. საქმე, მაშასადამე, იმაშია. რომ მრეწველობის განვითარების ახალი პირობები მოითხოვენ ახლებურად მუშაობას, ხოლო ზოგიერთ ჩვენს სამეურნეო მუშაკს არ ესმის ეს და ვერ ხედავს იმას, რომ ახლა საჭიროა ახლებურად ხელმძღვანელობა.

ამაშია ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი დარგის ჩამორჩენის მიზეზი.

რა არის ჩვენი მრეწველობის განვითარების ეს ახალი პირობები? საიდან გაჩნდნენ ისინი?

ისინი, ეს ახალი პირობები, სულ ცოტა, ექვსია.

განვიხილოთ ეს პირობები.

I

მუშა-ხელი

ლაპარაკია უწინარეს ყოვლისა მუშა-ხელით საწარმოთა უზრუნველყოფის შესახებ. წინათ ჩვეულებრივ მუშები თვითონ მიდიოდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, — მაშასადამე, არსებობდა ერთგვარი თვითდინება ამ საქმეში. ხოლო ეს თვითდინება იქიდან გამომდინარეობდა, რომ იყო უმუშევრობა, იყო ფენებად დაყოფა სოფლად, იყო სიღატაკე, იყო შიმშილის შიში, რომელიც ადამიანებს სოფლიდან ქალაქისაკენ ერეკებოდა. ხომ გახსოვთ ფორმულა: «გლეხის გაქცევა სოფლიდან ქალაქში»? რა აიძულებდა გლეხს გაქცეულიყო სოფლიდან ქალაქში? შიმშილის შიში, უმუშევრობა, ის გარემოება, რომ სოფელი მისთვის წარმოადგენდა დედინაცვალს, და იგი მზად იყო გაქცეულიყო იქიდან, თუნდაც ეშმაკთან, ოღონდ რამე სამუშაო მიეღო.

ასეთი ან თითქმის ასეთი იყო ჩვენში საქმის ვითარება ახლო წარსულში.

შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ჩვენში დღესაც სწორედ ასეთი სურათია? არა, ამის თქმა არ შეიძლება. პირიქით, ვითარება ახლა ძირფესვიანად შეიცვალა. და სწორედ იმიტომ, რომ ვითარება შეიცვალა, ჩვენში აღარ არის მუშა-ხელის თვითდინება. სახელდობრ, რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში? ჯერ-ერთი, ჩვენ მოვსპეთ უმუშევრობა, — მაშასადამე, მოვსპეთ ის ძალა, რომელიც აწვებოდა «შრომის ბაზარს». მეორეც, ძირი გამოვუთხარეთ ფენებად დაყოფას სოფლად, — მაშასადამე, ვძლიეთ სწორედ ის მასობრივი სიღატაკე, რომელიც გლეხს სოფლიდან ქალაქისაკენ ერეკებოდა. ბოლოს, ჩვენ სოფელი მოვამარაგეთ რამდენიმე ათეული ათასი ტრაქტორით და სასოფლო-სამეურნეო მანქანით, დავამარცხეთ კულაკი, მოვაწყეთ კოლმეურნეობანი და მივეცით გლეხებს ადამიანურად ცხოვრებისა და მუშაობის შესაძლებლობა. ახლა სოფელს უკვე აღარ შეიძლება ეწოდოს გლეხის დედინაცვალი. და სწორედ იმიტომ, რომ მას უკვე აღარ შეიძლება ეწოდოს დედინაცვალი, გლეხი რჩება სოფელში, და ჩვენში აღარ არის არც «გლეხის გაქცევა სოფლიდან ქალაქში», არც მუშა-ხელის თვითდინება.

თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ ახლა გვაქვს სრულიად ახალი ვითარება და მუშა-ხელით საწარმოთა უზრუნველყოფის ახალი პირობები.

რა გამომდინარეობს აქედან?

ჯერ-ერთი, აქედან გამომდინარეობს ის, რომ უკვე აღარ შეიძლება მუშა-ხელის თვითდინების იმედი ვიქონიოთ. მაშასადამე, თვითდინების «პოლიტიკიდან» უნდა გადავიდეთ მრეწველობისათვის მუშების **ორგანიზებულად** შეგროვების პოლიტიკაზე. მაგრამ ამისათვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა — სამეურნეო ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებთან ხელშეკრულებათა დადების გზა. თქვენ იცით, რომ ამ გზას უკვე დაადგა ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაცია და კოლმეურნეობა, ამასთან გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ხელშეკრულებათა პრაქტიკა სერიოზულ წარმატებებს იძლევა როგორც კოლმეურნეობებისათვის, ისე სამრეწველო საწარმოებისთვისაც.

მეორეც, აქედან გამომდინარეობს ის, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ გადავიდეთ შრომის ყველაზე უფრო მძიმე პროცესების **მექანიზაციაზე** და ყოველნაირად გავშალოთ ეს საქმე (ხე-ტყის მრეწველობა, სამშენებლო საქმე, ქვანახშირის მრეწველობა, დატვირთვა-გადმოტვირთვა, ტრანსპორტი, შავი მეტალურგია და სხვ.). რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს საჭირო იყოს თავი მივანებოთ ხელით მუშაობას. პირიქით, ხელით მუშაობა კიდევ დიდხანს ითამაშებს წარმოებაში უაღრესად სერიოზულ როლს. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის პროცესების მექანიზაცია ჩვენთვის წარმოადგენს იმ **ახალს** და **გადამწყვეტ** ძალას, ურომლისოდ ვერ გავუძლებთ ვერც ჩვენს ტემპებს, ვერც წარმოების ახალ მასშტაბებს.

ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდი მოიპოვება ისეთი სამეურნეო მუშაკი, რომელსაც «არა სწამს» არც მექანიზაცია, არც კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებათა დადება. ეს სწორედ ის სამეურნეო მუშაკები არიან, რომელთაც არ ესმით ახალი ვითარება, არ სურთ იმუშაონ ახლებურად და რომელნიც გულისტკივილით იგონებენ «ძველ კარგ დროებას», როცა მუშა-ხელი «თვითონ მიდიოდა» საწარმოებში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი სამეურნეო მუშაკები, როგორც ცა დედამიწას, ისე არიან დაშორებულნი სამეურნეო მშენებლობის იმ ახალ ამოცანებს, რომლებსაც ახალი ვითარება გვიყენებს. ისინი, ალბათ, ფიქრობენ, რომ სიძნელენი მუშა-ხელის საკითხში წარმოადგენენ შემთხვევითს. მოვლენას, რომ მუშა-ხელის ნაკლებობა გაქრება თავისთავად, ასე ვთქვათ, თვითდინების წესით. ეს შეცდომაა, ამხანაგებო. სიძნელენი მუშა-ხელის

საკითხში არ შეიძლება თავისთავად გაქრნენ. ისინი შეიძლება გაქრნენ მხოლოდ ჩვენი საკუთარი ღონისძიებების შედეგად.

ამრიგად, მუშა-ხელის ორგანიზებულად შეგროვება კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებათა დადების წესით, შრომის მექანიზება — ასეთია ამოცანა.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენი მრეწველობის განვითარების პირველი ახალი პირობის საკითხის მხრივ.

გადავიდეთ მეორე პირობის საკითხზე.

II

მუშების ხელფასი

მე ეს-ეს არის ვილაპარაკე ჩვენი საწარმოებისათვის მუშების ორგანიზებულად შეგროვებაზე. მაგრამ მუშების შეგროვება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მთელი საქმის გაკეთებას. იმისათვის, რომ ჩვენი საწარმოები უზრუნველვყოთ მუშა-ხელით, საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მუშები შევინარჩუნოთ წარმოებაში და მუშების შემადგენლობა საწარმოში ცოტად თუ ბევრად მუდმივი გავხადოთ. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ისეთი მუშების მუდმივი შემადგენლობის გარეშე, რომელთაც ცოტად თუ ბევრად შეითვისეს წარმოების ტექნიკა და რომელნიც შეეჩვივნენ ახალ მექანიზმებს, — შეუძლებელია წინსვლა, შეუძლებელია საწარმოო გეგმების შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა ყოველთვის მუშების ხელახლა სწავლება და ნახევარი დროს დაკარგვა მათ სწავლებაზე, იმის ნაცვლად, რომ ეს დრო წარმოებისათვის გამოგვეყენებინა. ნამდვილად კი რა ხდება ახლა ჩვენში? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მუშების შემადგენლობა ჩვენს საწარმოებში ცოტად თუ ბევრად მუდმივია? არა, სამწუხაროდ, არ შეიძლება ამის თქმა. პირიქით, ჩვენს საწარმოებში ჯერ კიდევ არის მუშა-ხელის ეგრეთწოდებული დენადობა. უფრო მეტიც, მთელ რიგ საწარმოებში მუშა-ხელის დენადობა არა თუ არ ისპობა, არამედ, პირიქით, იზრდება და ძლიერდება. ყოველ შემთხვევაში, ცოტას ნახავთ ისეთ საწარმოს, სადაც მუშათა შემადგენლობა არ იცვლებოდეს ნახევარი წლის ან კვარტალის განმავლობაშიც კი, სულ ცოტა, 30 — 40 პროცენტით.

წინათ, მრეწველობის აღდგენის პერიოდში, როცა ტექნიკური მოწყობილობა ჩვენში რთული არ იყო, ხოლო წარმოების მასშტაბები მცირე იყო, — კიდევ შეიძლებოდა მუშა-ხელის ეგრეთწოდებული დენადობის ასე თუ ისე «მოთმენა». ახლა სხვა საქმეა. ახლა

ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა, გაშლილი რეკონსტრუქციის პერიოდში, როცა წარმოების მასშტაბები გიგანტური გახდა, ხოლო ტექნიკური მოწყობილობა უაღრესად რთული, — მუშა-ხელის დენადობა გადაიქცა წარმოების უბედურებად, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ჩვენს საწარმოებში. ახლა მუშა-ხელის დენადობის «მოთმენა» ნიშნავს ჩვენი მრეწველობის დაშლას, საწარმოო გეგმების შესრულების შესაძლებლობის მოსპობას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობისათვის ძირის გამოთხრას.

სად არის მუშა-ხელის დენადობის მიზეზი?

ხელფასის უმართებულო ორგანიზაციაში, უმართებულო სატარიფო სისტემაში, ხელფასის ხაზით «მომემარცხენო» გათანაბრებაში. მთელ რიგ საწარმოებში სატარიფო განაკვეთები იმნაირად არის დაწესებული, რომ თითქმის ისპობა განსხვავება კვალიფიციურ შრომასა და არაკვალიფიციურ შრომას შორის, მძიმე შრომასა და მსუბუქ შრომას შორის. გათანაბრება იწვევს იმას, რომ არაკვალიფიციური მუშა დაინტერესებული არ არის გახდეს კვალიფიციურ მუშად და, ამრიგად, მოკლებულია წინწაწევის პერსპექტივას, რის გამო იგი წარმოებაში თავს გრძნობს «მოაგარაკედ», რომელიც მუშაობს მხოლოდ დროებით, რომ ცოტა რამ «იშოვოს» და მერე წავიდეს სადმე სხვაგან «ბედის საძებნელად». გათანაბრება იწვევს იმას, რომ კვალიფიციური მუშა იძულებულია გადავიდეს საწარმოდან საწარმოში იმისათვის, რომ, ბოლოს, მონახოს ისეთი საწარმო, სადაც ჯეროვნად დააფასებენ კვალიფიციურ შრომას.

აქედან — «საყოველთაო» მოძრაობა საწარმოდან საწარმოში, მუშა-ხელის დენადობა.

ამ ბოროტების მოსასპობად საჭიროა გათანაბრების გაუქმება და ძველი სატარიფო სისტემის დამსხვრევა. ამ ბოროტების მოსასპობად საჭიროა შემოღებულ იქნას ტარიფების ისეთი სისტემა, რომელიც ანგარიშს გაუწევს განსხვავებას კვალიფიციურ შრომასა და არაკვალიფიციურ შრომას შორის, მძიმე შრომასა და მსუბუქ შრომას შორის. არ შეიძლება იმის მოთმენა, რომ მგლინავი შავ მეტალურგიაში იმდენივეს ღებულობდეს, რამდენსაც დამგველი. არ შეიძლება იმის მოთმენა, რომ მემანქანე რკინიგზის ტრანსპორტზე იმდენივეს ღებულობდეს, რამდენსაც გადამწერი. მარქსი და ლენინი ამბობენ, რომ განსხვავება კვალიფიციურ შრომასა და არაკვალიფიციურ შრომას შორის იარსებებს სოციალიზმის დროსაც კი, კლასების მოსპობის შემდეგაც კი, რომ მხოლოდ კომუნიზმის დროს უნდა გაქრეს ეს განსხვავება, რომ, ამის გამო, «ხელფასი»

სოციალიზმის დროსაც კი უნდა გაიცეს შრომის და არა მოთხოვნილების მიხედვით. მაგრამ ჩვენი გამთანაბრებლები სამეურნეო მუშაკთა და პროფმუშაკთა წრიდან ამას არ ეთანხმებიან და ფიქრობენ, რომ ეს განსხვავება უკვე გაქრა ჩვენი საბჭოთა წყობილების დროს. ვინ არის მართალი — მარქსი და ლენინი თუ გამთანაბრებლები? უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მართალი არიან მარქსი და ლენინი. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ვინც ახლა სატარიფო სისტემას აგებს გათანაბრების «პრინციპებზე», კვალიფიციურ შრომასა და არაკვალიფიციურ შრომას შორის განსხვავების გაუთვალისწინებლად, ის კავშირს წყვეტს მარქსიზმთან, კავშირს წყვეტს ლენინიზმთან.

მრეწველობის თვითეულ დარგში, თვითეულ საწარმოში, თვითეულ საამქროში არიან წამყვანი ჯგუფები ცოტად თუ ბევრად კვალიფიციური მუშებისა, რომლებიც უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად უნდა შევინარჩუნოთ წარმოებაში, თუ მართლა გვინდა უზრუნველვყოთ მუშების მუდმივი შემადგენლობა საწარმოში. ისინი, მუშების ეს წამყვანი ჯგუფები, შეადგენენ წარმოების ძირითად რგოლს. მათი შენარჩუნება საწარმოში, საამქროში — ნიშნავს მუშების მთელი შემადგენლობის შენარჩუნებას, მუშა-ხელის დენადობის ძირშივე მოსპობას. ხოლო როგორ უნდა შევინარჩუნოთ ისინი საწარმოში? მათი შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ მათი დაწინაურებით, მათი ხელფასის დონის აწევით, ხელფასის ისეთი ორგანიზაციით, რომელიც კუთვნილს მიუზღავს მუშაკის კვალიფიკაციას. ხოლო რას ნიშნავს მათი დაწინაურება და მათი ხელფასის დონის აწევა? ეს, გარდა ყოველივე დანარჩენისა, ნიშნავს იმას, რომ პერსპექტივა დავუსახოთ არაკვალიფიციურ მუშებს და მივცეთ სტიმული წინწაწევისათვის, კვალიფიციურთა თანრიგში მოხვედრისათვის. თქვენ თვითონ იცით, რომ ჩვენ ახლა ასიათასობით და მილიონობით გვჭირდება კვალიფიციური მუშები. მაგრამ კვალიფიციური მუშების შესაქმნელად საჭიროა მოუმზადებელ მუშებს მივცეთ სტიმული და წინსვლის, წინწაწევის პერსპექტივა. და რაც უფრო გაბედულად დავადგებით ამ გზას, მით უკეთესია, ვინაიდან ეს არის მუშა-ხელის დენადობის ლიკვიდაციის ძირითადი საშუალება. ამ საქმეში ეკონომიის გაწევა — ნიშნავს დანაშაულის ჩადენას, ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის ინტერესების წინააღმდეგ წასვლას.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია.

საწარმოში მუშების შესანარჩუნებლად აუცილებელია კიდევ მუშათა მომარაგებისა და საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯო-

ბესება. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საბინაო მშენებლობისა და მუშათა მომარაგების დარგში ცოტა რამ როდი გაკეთდა უკანასკნელ წლებში. მაგრამ ის, რაც გაკეთდა, სრულიად არ კმარა იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მუშათა სწრაფად მზარდი მოთხოვნილებანი. არ შეიძლება იმაზე მითითება, რომ წინათ ბინები უფრო ცოტა იყო, ვიდრე ახლაა და რომ ამიტომ შეიძლება მიღწეული შედეგებით გულის დამშვიდება. არ შეიძლება აგრეთვე იმაზე მითითება, რომ წინათ მუშათა მომარაგება გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ახლაა, და რომ ამიტომ შეიძლება დავკმაყოფილდეთ არსებული მდგომარეობით. მხოლოდ დამპალ და საბოლოოდ დამყაყებულ ადამიანებს შეუძლიათ დამშვიდდნენ წარსულზე მითითებებით. უნდა ვიხელმძღვანელოთ არა წარსულით, არამედ მუშების გაზრდილი მოთხოვნილებებით ამჟამად. საჭიროა იმის შეგნება, რომ მუშათა არსებობის პირობები ჩვენში ძირფესვიანად შეიცვალა. ახლა მუშა ის აღარ არის, რაც წინათ იყო. ახლანდელ მუშას, ჩვენს საბჭოთა მუშას, სურს ისე იცხოვროს, რომ დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება სურსათის მომარაგების მხრივაც, ბინის მხრივაც, კულტურული და სხვა ყოველგვარი მოთხოვნილების უზრუნველყოფის მხრივაც. მას აქვს ამის უფლება, და ჩვენ ვალდებული ვართ უზრუნველვყოთ მისთვის ეს პირობები. მართალია, მას არ აწუხებს ჩვენში უმუშევრობა, იგი თავისუფალია კაპიტალიზმის უღლისაგან, ის უკვე მონა კი აღარ არის, არამედ თავისი საქმის ბატონ-პატრონია. მაგრამ ეს ცოტაა. ის მოითხოვს ყველა თავისი მატერიალური და კულტურული საჭიროების უზრუნველყოფას, და ჩვენ ვალდებული ვართ შევასრულოთ მისი ეს მოთხოვნა. ნუ გავიწყდებათ, რომ ახლა ჩვენ თვითონ ერთგვარ მოთხოვნებს ვუყენებთ მუშას, — მოვითხოვთ მისგან შრომის დისციპლინას, დაძაბულ მუშაობას, შეჯიბრებას, დამკვრელობას. ნუ გავიწყდებათ, რომ მუშების დიდმა უმრავლესობამ საბჭოთა ხელისუფლების ეს მოთხოვნები დიდი აღტყინებით მიიღო და გმირულად ასრულებს მათ. ამიტომ ნუ გიკვირთ, რომ, ახორციელებენ რა საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნებს, მუშები თავის მხრივ მოითხოვენ მისგან, რათა მან შეასრულოს თავისი ვალდებულებანი მუშების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მხრივ.

ამრიგად, **მუშა-ხელის დენადობის ლიკვიდაცია, გათანაბრების მოსპობა, ხელფასის სწორი ორგანიზაცია, მუშათა ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება** — ასეთია ამოცანა.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენი მრეწველობის განვითარების მეორე ახალი პირობის საკითხის მხრივ.

გადავიდეთ მესამე პირობის საკითხზე.

III

შრომის ორგანიზაცია

მე ზემოთ ვილაპარაკე მუშა-ხელის დენადობის ლიკვიდაციის აუცილებლობაზე, საწარმოებში მუშების შენარჩუნებაზე. მაგრამ მუშების შენარჩუნებით არ ამოიწურება მთელი საქმე. არ კმარა მარტო დენადობის მოსპობა. საჭიროა აგრეთვე მუშების ჩაყენება შრომის ისეთ პირობებში, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ მათ იმუშაონ აზრიანად, გაადიდონ წარმოების ნაყოფიერება, გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. მაშასადამე, საჭიროა შრომის ისეთი ორგანიზაცია საწარმოებში, რომ ნაყოფიერება იზრდებოდეს ყოველთვიურად, ყოველ კვარტალში.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ შრომის ახლანდელი ფაქტიური ორგანიზაცია ჩვენს საწარმოებში აკმაყოფილებს წარმოების თანამედროვე მოთხოვნებს? სამწუხაროდ, არ შეიძლება ამის თქმა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენში ჯერ კიდევ არსებობენ მთელი რიგი საწარმოები, სადაც შრომის ორგანიზაცია ძალიან ცუდად არის დაყენებული, სადაც მუშაობაში წესრიგისა და შეთანხმების ნაცვლად უწესრიგობა და არევდარევაა, სადაც მუშაობისათვის პასუხისმგებლობის ნაცვლად გამეფებულია სრული უპასუხისმგებლობა და **გაუპიროვნება.**

რა არის გაუპიროვნება? გაუპიროვნება არის სრული უპასუხისმგებლობა მინდობილი მუშაობისათვის, უპასუხისმგებლობა მექანიზმებისა, დაზგებისა და ინსტრუმენტებისათვის. გასაგებია, რომ გაუპიროვნების დროს ლაპარაკიც არ შეიძლება შრომის ნაყოფიერების რაიმე სერიოზულ აღმავლობაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, მექანიზმებისა, დაზგებისა და ინსტრუმენტებისადმი ფრთხილად მოპყრობაზე. თქვენ იცით, რა მოჰყვა გაუპიროვნებას რკინიგზის ტრანსპორტზე. ასეთივე შედეგები მოსდევს მას მრეწველობაშიც. ჩვენ მოვსპეთ გაუპიროვნება რკინიგზის ტრანსპორტზე და გავაუმჯობესეთ მისი მუშაობა. ასევე უნდა მოვიქცეთ მრეწველობაში, რათა უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ მისი მუშაობა.

წინათ კიდევ შეიძლებოდა ასე თუ ისე «იოლად წასვლა» შრომის იმ უმართებულო ორგანიზაციით, რომელიც მოხერხებულად

ეგუება გაუპიროვნებას და თვითეულის უპასუხისმგებლობას მიცემული კონკრეტული სამუშაოსათვის. ახლა სხვა საქმეა. ახლა ვითარება სულ სხვანაირია. წარმოების ახლანდელი გრანდიოზული მასშტაბებისა და გიგანტ-საწარმოთა არსებობის დროს გაუპიროვნება ისეთი უბედურებაა მრეწველობისათვის, რომელიც საფრთხეს უქმნის ყველა ჩვენს საწარმოო და ორგანიზაციულ მიღწევებს საწარმოებში.

როგორ შესძლო დამკვიდრება გაუპიროვნებამ მთელ რიგ ჩვენს საწარმოებში? იგი საწარმოებში მივიდა როგორც განუწყვეტელი კვირის უკანონო თანამგზავრი. უმართებულო იქნებოდა გვეთქვა, რომ განუწყვეტელი კვირა აუცილებლად იწვევს გაუპიროვნებას წარმოებაში. როცა შრომის ორგანიზაცია სწორია, როცა თვითეული მუშა პასუხისმგებელია განსაზღვრული სამუშაოსათვის, როცა მუშათა განსაზღვრული ჯგუფები მიმაგრებული არიან მექანიზმებზე, დაზგებზე და სწორად არის მოწყობილი ცვლები, რომლებიც ერთიმეორეს არ ჩამოუვარდებიან ხარისხითა და კვალიფიკაციით, — ამ პირობებში განუწყვეტელი კვირა შედეგად იძლევა შრომის ნაყოფიერების უდიდეს ზრდას, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, გაუპიროვნების აღმოფხვრას. ასეა საქმე, მაგალითად, რკინიგზის ტრანსპორტზე, სადაც ახლა განუწყვეტელი კვირა არსებობს, მაგრამ სადაც უკვე აღარ არის გაუპიროვნება. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სამრეწველო საწარმოებშიც ასეთივე ხელსაყრელი სურათია განუწყვეტელი კვირის ხაზით? სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეიძლება. საქმე ის არის, რომ მთელი რიგი ჩვენი საწარმოები განუწყვეტელ კვირაზე გადავიდნენ მეტისმეტი აჩქარებით, შესაფერისი პირობების მოუმზადებლად, ხარისხისა და კვალიფიკაციის მხრივ ცოტად თუ ბევრად ტოლფასიან ცვლათა სათანადოდ მოუწყობლად, მოცემული კონკრეტული სამუშაოსათვის თვითეულის პასუხისმგებლობის დაუწესებლად. ამან კი ის გამოიწვია, რომ განუწყვეტელი კვირა, სტიქიის ნებაზე მიშვებული, გადაიქცა გაუპიროვნებად. შედეგად მთელ რიგ საწარმოებში ჩვენ გვაქვს ქაღალდის, სიტყვიერი განუწყვეტელი კვირა, და არა-ქაღალდის, რეალური გაუპიროვნება. ამის შედეგია მუშაობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობა, დაუდევარი დამოკიდებულება მექანიზმებისადმი, დაზგების მასობრივი დამტვრევა და სტიმულის უქონლობა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ტყუილად კი არ ამბობენ მუშები: «ჩვენ გავადიდებდით შრომის ნაყოფიერებას და გავაუმჯობესებდით საქმეს, მაგრამ ვინ დაგვაფასებს, როცა არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს?»

აქედან გამომდინარეობს, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი აქაიქ აჩქარდა განუწყვეტელი კვირის შემოღებაში და, აჩქარების გამო, დაამახინჯა განუწყვეტელი კვირა, გადააქცია იგი გაუპიროვნებად. ამ მდგომარეობის ლიკვიდაციისა და გაუპიროვნების მოსპობისათვის არსებობს ორი გამოსავალი. ან ისე უნდა შეეცვალოთ განუწყვეტელი კვირის გატარების პირობები, რომ განუწყვეტელი კვირა არ გადაიქცეს გაუპიროვნებად, როგორც ეს რკინიგზის ტრანსპორტის მიმართ მოიმოქმედეს. ანდა იქ, სადაც ამჟამად არ არის ხელსაყრელი პირობები ასეთი ცდისათვის, — უკუვაგდოთ ქაღალდზე არსებული განუწყვეტელი კვირა და დროებით გადავიდეთ ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე, როგორც ეს მოიმოქმედეს ამას წინათ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანაში, და მოვამზადოთ პირობები იმისათვის, რომ შემდეგ დავუბრუნდეთ ნამდვილ და არა ქაღალდზე არსებულ განუწყვეტელ კვირას, დავუბრუნდეთ განუწყვეტელ კვირას გაუპიროვნების გარეშე.

სხვა გამოსავალი არ არის.

უეჭველია, ჩვენს სამეურნეო მუშაკებს საკმაოდ კარგად ესმით ყოველივე ეს. მაგრამ ისინი სდუმან. რატომ? როგორც ჩანს, იმიტომ, რომ სიმართლის ეშინიათ. მაგრამ როდის იყო, რომ ბოლშევიკებს სიმართლის ეშინოდათ? განა მართალი არ არის, რომ მთელ რიგ საწარმოებში განუწყვეტელი კვირა გადაიქცა გაუპიროვნებად, რომ განუწყვეტელი კვირა ამრიგად უაღრესად დამახინჯდა? იბადება კითხვა, ვის სჭირდება ასეთი განუწყვეტელი კვირა? ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ ასეთი, ქაღალდზე არსებული და დამახინჯებული განუწყვეტელი კვირის შენარჩუნების ინტერესები მაღლა დგას შრომის სწორი ორგანიზაციის ინტერესებზე, მაღლა დგას შრომის ნაყოფიერების განვითარების ინტერესებზე, მაღლა დგას ნამდვილი განუწყვეტელი კვირის ინტერესებზე, მაღლა დგას ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ინტერესებზე? განა ცხადი არ არის, რომ რაც მალე დავასამარებთ ქაღალდზე არსებულ განუწყვეტელ კვირას, მით უფრო მალე მივაღწევთ ნამდვილი, არა ქაღალდზე არსებული განუწყვეტელი კვირის ორგანიზაციას?

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ გაუპიროვნების მოსპობა შეიძლება შელოცვით, მაღალფარდოვანი სიტყვებით. ყოველ შემთხვევაში, მე ვიცნობ მთელ რიგ სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც თავიანთ ბრძოლაში გაუპიროვნების წინააღმდეგ კმაყოფილდებიან იმით, რომ წამდაუწუმ გამოდიან კრებებზე და წყევლა-კრულვას უთვლიან გაუპიროვნებას, — ალბათ, ფიქრობენ, რომ ასეთი

სიტყვების შემდეგ გაუპიროვნება თავისთავად, ასე ვთქვათ, თვითდინების წესით მოისპობა. ისინი დიდად ცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ პრაქტიკიდან გაუპიროვნების აღმოფხვრა შეიძლება სიტყვების წარმოთქმით და შელოცვებით. არა, ამხანაგებო, გაუპიროვნება თავისთავად არასოდეს არ გაქრება. იგი შეგვიძლია მოვსპოთ და უნდა მოვსპოთ მხოლოდ თვითონ ჩვენ, ვინაიდან ჩვენ თქვენთან ერთად. ვდგავართ ხელისუფლების სათავეში და ჩვენ თქვენთან ერთად პასუხისმგებელი ვართ ყველაფრისათვის, მათ შორის გაუპიროვნებისთვისაც. მე ვფიქრობ, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელები, იმის მაგივრად, რომ გართული იყვნენ სიტყვებითა და შელოცვებით, ერთი-ორი თვე დაჰყოფდნენ, ვთქვათ, მაღაროში ან ქარხანაში, შეისწავლიდნენ შრომის ორგანიზაციის ყველა დეტალსა და «წვრილმანს», ნამდვილად მოსპობდნენ იქ გაუპიროვნებას და შემდეგ ამ საწარმოს გამოცდილებას სხვა საწარმოებზე გაავრცელებდნენ. ეს ბევრად უკეთესი იქნებოდა. ეს იქნებოდა ნამდვილი ბრძოლა გაუპიროვნების წინააღმდეგ, ბრძოლა შრომის სწორი, ბოლშევიკური ორგანიზაციისათვის, ბრძოლა ძალების სწორი განაწილებისათვის საწარმოში.

ამრიგად, **გაუპიროვნების ლიკვიდაცია, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, ძალების სწორი განაწილება საწარმოში** — ასეთია ამოცანა.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენი მრეწველობის განვითარების მესამე ახალი პირობის საკითხის მხრივ.

გადავიდეთ მეოთხე პირობის საკითხზე.

IV

მუშათა კლასის საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის საკითხი

შეიცვალა ვითარება აგრეთვე მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობის მიმართ საერთოდ და საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის მიმართ კერძოდ.

წინათ ჩვენში ისეთი მდგომარეობა იყო, რომ მთელი ჩვენი მრეწველობის ძირითად წყაროს წარმოადგენდა უკრაინის ქვანახშირ-მეტალურგიის ბაზა. უკრაინა ამარაგებდა ლითონით ყველა ჩვენს სამრეწველო რაიონს, როგორც სამხრეთს, ისე მოსკოვსა და ლენინგრადს. იგივე ამარაგებდა ქვანახშირით სსრ კავშირის ძირითად საწარმოებს. მე აქ მხედველობაში არ ვღებულობ ურალს, ვინაიდან

ურალის ხვედრითი წონა, დონბასთან შედარებით, უმნიშვნელო ოდენობას შეადგენდა. ამის შესაბამისად ჩვენ გვქონდა სამი ძირითადი კერა მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებლად: სამხრეთი, მოსკოვის რაიონი, ლენინგრადის რაიონი. გასაგებია, რომ საქმის ასეთი ვითარების დროს ჩვენ შეგვეძლო ასე თუ ისე დავჯერებოდით საინჟინერო-ტექნიკური ძალების იმ მინიმუმს, რომელიც კი მაშინ ჩვენს ქვეყანას მოეპოვებოდა.

ასე იყო ახლო წარსულში.

მაგრამ ახლა სრულიად სხვა ვითარება გვაქვს. მე ვფიქრობ, ახლა აშკარაა, რომ, ვინარჩუნებთ რა განვითარების ახლანდელ ტემპებს და წარმოების გიგანტურ მასშტაბებს, ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია თავი გავიტანოთ მარტო უკრაინის ქვანახშირ-მეტალურგიის ბაზით. თქვენ იცით, რომ ჩვენ უკვე არ გვყოფნის უკრაინის ქვანახშირი და ლითონი, მიუხედავად მათი წარმოების ზრდისა. თქვენ იცით, რომ, ამის გამო, ჩვენ იძულებული ვართ შევქმნათ ქვანახშირ-მეტალურგიის ახალი ბაზა აღმოსავლეთში — ურალ-კუზბასი. თქვენ იცით, რომ ჩვენ ამ ბაზას წარმატებით ვქმნით. მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ უნდა შევქმნათ აგრეთვე მეტალურგია თვით ციმბირში მისი მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. და ჩვენ მას უკვე ვქმნით. გარდა ამისა, ჩვენ უნდა შევქმნათ ფერადი მეტალურგიის ახალი ბაზა ყაზახეთში, თურქესტანში. ბოლოს, ჩვენ უნდა განვავითაროთ უფართოესი სარკინიგზო მშენებლობა. ამას გვიკარნახებენ სსრ კავშირის ინტერესები მთლიანად — როგორც განაპირა რესპუბლიკების ინტერესები, ისე ცენტრის ინტერესებიც.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია დავჯერდეთ ინჟინერ-ტექნიკოსთა და მეთაურთა ძალების იმ მინიმუმს მრეწველობაში, რასაც წინათ ვჯერდებოდით. აქედან გამომდინარეობს, რომ საინჟინერო-ტექნიკურ ძალთა მომზადების ძველი კერები უკვე საკმარისი არ არის, რომ საჭიროა შევქმნათ ახალი კერების მთელი ქსელი — ურალში, ციმბირში, შუა აზიაში. ჩვენ ახლა უნდა უზრუნველვყოთ თავი სამჯერ, ხუთჯერ მეტად მრეწველობის საინჟინერო-ტექნიკური და მეთაურთა ძალებით, თუ მართლა გვსურს განვახორციელოთ სსრ კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამა.

მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება მეთაურთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა არა ყოველგვარი ძალები. ჩვენ გვესაჭიროება მეთაურთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ისეთი ძალები, რომელთაც შეეძლებათ გაიგონ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის პოლიტიკა, შეეძლებათ შეითვისონ ეს პოლიტიკა და, რომელნიც მზად იქნებიან სინდისიერად განახორ-

ციელონ იგი. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა შევიდა განვითარების ისეთ ფაზაში, როცა **მუშათა კლასმა უნდა შექმნას თავისი საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია,** რომელსაც შეეძლება დაიცვას მისი, როგორც გაბატონებული კლასის, ინტერესები წარმოებაში.

ყოველ გაბატონებულ კლასს ჰყავდა თავისი საკუთარი ინტელიგენცია. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასსაც აუცილებლად უნდა ჰყავდეს თავისი საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია.

საბჭოთა ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო ეს გარემოება და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უმაღლესი სასწავლებლების კარები გაუღო მუშათა კლასიდან გამოსულ ადამიანებს. თქვენ იცით, რომ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ათეული ათასობით სწავლობს ახლა უმაღლეს სასწავლებლებში. თუ წინათ, კაპიტალიზმის დროს, უმაღლესი სასწავლებლები წარმოადგენდნენ ბატონთა შვილების მონოპოლიას, ახლა, საბჭოთა წყობილების დროს, იქ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა შეადგენს გაბატონებულ ძალას. უეჭველია, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები მალე ათასობით მოგვცემენ ახალ ტექნიკოსებს და ინჟინრებს, ახალ მეთაურებს ჩვენი მრეწველობისათვის.

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. საქმის მეორე მხარე ის არის, რომ მუშათა კლასის საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია მომზადდება არა მარტო ისეთი ადამიანებისაგან, რომელთაც უმაღლესი სკოლა გაიარეს, — ის შევსებული იქნება აგრეთვე ჩვენი საწარმოების პრაქტიკოსი მუშაკებისაგან, კვალიფიციური მუშებისაგან და მუშათა კლასის კულტურული ძალებისაგან ქარხანაში, ფაბრიკაში, მაღაროში. შეჯიბრების ინიციატორები, დამკვრელი ბრიგადების წინამძღოლები, შრომითი აღმავლობის პრაქტიკული სულისჩამდგმელნი, მშენებლობის ამა თუ იმ უბნის სამუშაოთა ორგანიზატორები, — აი მუშათა კლასის ახალი ფენა, რომელმაც უმაღლეს სკოლადამთავრებულ ამხანაგებთან ერთად უნდა შეადგინოს მუშათა კლასის ინტელიგენციის ბირთვი, ჩვენი მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობის ბირთვი. ამოცანა ის არის, რომ არ დავჩრდილოთ ინიციატივის მქონე ეს ამხანაგები, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ისინი მეთაურთა თანამდებობებზე, მივცეთ მათ შესაძლებლობა გამოიჩინონ თავიანთი ორგანიზატორული ნიჭი, მივცეთ მათ შესაძლებლობა შეიესონ ცოდნა და შევუქმნათ მათ სათანადო პირობები, არ დავიშუროთ ამისათვის ფული.

ამ ამხანაგებს შორის ცოტა როდი ურევია უპარტიო. მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს იმის დაბრკოლება, რომ ისინი უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ხელმძღვანელ თანამდებობებზე. პირიქით, საჭიროა სწორედ მათ, ამ უპარტიო ამხანაგებს, მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, დავაწინაუროთ ისინი მეთაურთა თანამდებობებზე, რათა ისინი საქმით დარწმუნდნენ, რომ პარტიას შეუძლია დააფასოს უნარიანი და ნიჭიერი მუშაკები. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ფაბრიკებში, ქარხნებში შეიძლება დავაწინაუროთ მხოლოდ პარტიული ამხანაგები. ამის გამო ისინი ხშირად ჩრდილავენ ნიჭიერსა და ინიციატივის მქონე უპარტიო ამხანაგებს, და პირველ ადგილზე აყენებენ პარტიულებს, თუნდაც ისინი ნაკლებად ნიჭიერნი და უინიციატივონი იყვნენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ, უკაცრავად პასუხია, «პოლიტიკაზე» უფრო სულელური და რეაქციული არაფერია. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთი «პოლიტიკით» შეიძლება მხოლოდ პარტიის დისკრედიტაცია და პარტიისაგან უპარტიო მუშების ჩამოცილება. ჩვენი პოლიტიკა სრულიადაც არ მდგომარეობს იმაში, რომ პარტია გადავაქციოთ კარჩაკეტილ კასტად. ჩვენი პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ პარტიულ და უპარტიო მუშებს შორის არსებობდეს «ურთიერთი ნდობის» ატმოსფერო, «ურთიერთი შემოწმების» ატმოსფერო (ლენინი). ჩვენი პარტია, სხვათა შორის, იმიტომ არის ძლიერი მუშათა კლასში, რომ იგი სწორედ ასეთ პოლიტიკას ახორციელებს.

ამრიგად, **მივაღწიოთ იმას, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასს ჰყავდეს თავისი საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია** — ასეთია ამოცანა.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენი მრეწველობის განვითარების მეოთხე ახალი პირობის საკითხის მხრივ.

გადავიდეთ მეხუთე პირობის საკითხზე.

V

მოგრუნების ნიშნები ძველ საწარმოო-ტექნიკურ ინტელიგენციაში

სხვაგვარად ისმება აგრეთვე ძველი, ბურჟუაზიული საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციისადმი დამოკიდებულების საკითხი.

ორიოდე წლის წინათ ჩვენში იმგვარად იყო საქმე, რომ ძველი ტექნიკური ინტელიგენციის ყველაზე კვალიფიციური ნაწილი შეპყ-

რობილი იყო მავნებლობის სენით. უფრო მეტიც, მავნებლობა მაშინ წარმოადგენდა თავისებურ მოდას. ერთნი მავნებლობდნენ, მეორენი ხელს აფარებდნენ მავნებლებს, მესამენი ხელს იბანდნენ და ნეიტრალიტეტს იცავდნენ, მეოთხენი საბჭოთა ხელისუფლებასა და მავნებელთა შუა მერყეობდნენ. რა თქმა უნდა, ძველი ტექნიკური ინტელიგენციის უმრავლესობა განაგრძობდა მუშაობას ცოტად თუ ბევრად ლოიალურად. მაგრამ აქ ლაპარაკია არა უმრავლესობაზე, არამედ ტექნიკური ინტელიგენციის ყველაზე კვალიფიციურ ნაწილზე.

რა ქმნიდა მავნებლურ მოძრაობას, რა ასაზრდოებდა მას? კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სსრ კავშირის შიგნით, საბჭოთა ხელისუფლების შეტევითი პოლიტიკა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ წინააღმდეგობის გაწევა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისათვის, საერთაშორისო მდგომარეობის სირთულე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის სიძნელენი. თუ მავნებელთა მებრძოლი ნაწილის აქტივობას ზურგს უმაგრებდა კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტების ინტერვენციონისტული ზრახვები და სიძნელენი პურის საკითხში ქვეყნის შიგნით, ძველი ტექნიკური ინტელიგენციის მეორე ნაწილის მერყეობას აქტიური მავნებლობისაკენ აძლიერებდა ტროცკისტულ-მენშევიკური მოლაყბეების მოდური ლაპარაკი იმის შესახებ, რომ «კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან სულ ერთია არაფერი გამოვა», «საბჭოთა ხელისუფლება სულ ერთია გადაგვარების გზას ადგია და მოკლე ხანში უნდა დაეცეს», «ბოლშევიკები თავიანთი პოლიტიკით თვითონ უწყობენ ხელს ინტერვენციასო» და სხვ. და სხვ.. გარდა ამისა, თუ ზოგიერთი ძველი ბოლშევიკიც კი მემარჯვენე უკლონისტების რიცხვიდან აჰყვა «მოარულ სენს» და ამ პერიოდში პარტიას დაშორდა, საფუძველი არა გვაქვს გავიკვირვოთ, რომ ძველი ტექნიკური ინტელიგენციის განსაზღვრული ნაწილიც, რომელსაც არასოდეს არ უყნოსია ბოლშევიზმი, ასევე განზე გადაქანდა, ღვთის შეწევნით.

გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო გაეტარებინა მხოლოდ ერთადერთი პოლიტიკა ძველი ტექნიკური ინტელიგენციის მიმართ — აქტიური მავნებლების **განადგურების**, ნეიტრალურთა **დიფერენციაციისა** და ლოიალურთა **მიმხრობის პოლიტიკა.**

ასე იყო ერთი-ორი წლის წინათ.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენ ახლა სწორედ ასეთივე ვითარება გვაქვს? არა, ამის თქმა არ შეიძლება. პირიქით, ჩვენში ახლა სრულიად სხვა ვითარება შეიქმნა. დაიწყოთ იქიდან, რომ ჩვენ დავამარცხეთ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტები და წარმატებით ვძლევთ მათ. რა თქმა უნდა, ეს არ შეიძლება უბაროდეს ძველ ინტელიგენციას. ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი კვლავ თანაგრძნობას უცხადებენ თავიანთ დამარცხებულ მეგობრებს. მაგრამ ისე არ ხდება, რომ თანამგრძნობნი და, მით უფრო, ნეიტრალურნი და მერყეენი ნებაყოფლობით დათანხმდნენ გაიზიარონ თავიანთი აქტიური მეგობრების ბედი, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელებმა სასტიკი და გამოუსწორებელი დამარცხება განიცადეს. შემდეგ, ჩვენ დავძლიეთ სიძნელეები პურის საქმეში, და არა მარტო დავძლიეთ, არამედ საზღვარგარეთ გაგვაქვს პურის ისეთი რაოდენობა, როგორიც ჯერ არ გაგვიტანია საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში. მაშასადამე, ბათილდება მერყეევთა ეს «არგუმენტიც». შემდეგ, ახლა ბრმებიც კი ხედავენ, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ფრონტზე ჩვენ აშკარად გავიმარჯვეთ და მივაღწიეთ უდიდეს წარმატებებს.

მაშასადამე, ყველაზე მთავარი ძველი ინტელიგენციის «არსენალისა» უფსკრულს ჩაბარდა. რაც შეეხება ბურჟუაზიული ინტელიგენციის ინტერვენციონისტულ იმედებს, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი აღმოჩნდნენ, — ჯერჯერობით მაინც, — ქვიშაზე აგებულ სახლად. მართლაც, ექვსი წლის განმავლობაში ინტერვენციას გვიქადდნენ და ერთხელაც არ უცდიათ ამის განხორციელება. დროა აღიარებულ იქნას, რომ ჩვენს გამჭრიახ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას პირდაპირ ასულელებდნენ. აღარას ვამბობ იმაზე, რომ თვით აქტიური მავნებლების ყოფაქცევას ცნობილ სასამართლო პროცესზე მოსკოვში სახელი უნდა გაეტეხა მავნებლობის იდეისათვის და მართლაც გაუტეხა სახელი.

გასაგებია, რომ ამ ახალ გარემოებებს არ შეეძლოთ გავლენა არ მოეხდინათ ჩვენს ძველ ტექნიკურ ინტელიგენციაზე. ახალ ვითარებას უნდა შეექმნა და მან კიდევაც შექმნა ახალი განწყობილება ძველ ტექნიკურ ინტელიგენციაში. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენ გვაქვს გარკვეული ნიშნები საბჭოთა ხელისუფლებისაკენ ამ ინტელიგენციის იმ განსაზღვრული ნაწილის მობრუნებისა, რომელიც წინათ თანაუგრძნობდა მავნებლებს. ის ფაქტი, რომ არა მარტო ძველი ინტელიგენციის ეს ფენა, არამედ გუშინდელი აშკარა მავნებლებიც კი, გუშინდელი მავნებლების საგრძნობი ნა-

წილი მუშაობას იწყებს მთელ რიგ ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშათა კლასთან ერთად, — ეს ფაქტი უეჭველად გვეუბნება იმას, რომ უკვე დაიწყო მობრუნება ძველ ტექნიკურ ინტელიგენციაში. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში აღარ მოიპოვებიან მავნებლები. არა, არ ნიშნავს. მავნებლები არიან და იქნებიან, სანამ ჩვენში არსებობენ კლასები, სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ რაკი ძველი ტექნიკური ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი, რომელიც წინათ ასე თუ ისე თანაუგრძნობდა მავნებლებს, ახლა მობრუნდა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ,— აქტიური მავნებლები ცოტანი დარჩნენ, ისინი იზოლირებული არიან და დრომდე იატაკქვეშ ღრმად უნდა მიიმალონ.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ამის შესაბამისად უნდა შეიცვალოს ჩვენი პოლიტიკაც ძველი ტექნიკური ინტელიგენციის მიმართ. თუ გაჩაღებული მავნებლობის დროს ჩვენი დამოკიდებულება ძველი ტექნიკური ინტელიგენციისადმი გამოიხატებოდა, უმთავრესად, განადგურების პოლიტიკაში, ახლა, აბ ინტელიგენციის საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მობრუნების პერიოდში, ჩვენი დამოკიდებულება მისდამი უნდა გამოიხატოს, უმთავრესად, მისი მოზიდვისა და მისთვის ზრუნვის პოლიტიკაში. არასწორი და არადიალექტიკური იქნებოდა ახალ, შეცვლილ პირობებში, განგვეგრძო ძველი პოლიტიკა. სისულელე და უგუნურება იქნებოდა, რომ ახლა ძველი სკოლის თითქმის ყოველი სპეციალისტი და ინჟინერი ჩაგვეთვალა დაუჯერელ ბოროტმოქმედად და მავნებლად. «სპეციჭამიობა» ყოველთვის ითვლებოდა და ახლაც რჩება ჩვენში მავნე და სამარცხვინო მოვლენად.

ამრიგად, **დამოკიდებულების შეცვლა ძველი სკოლის ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალებისადმი, მეტი ყურადღებისა და მზრუნველობის გამოჩენა მათ მიმართ, მათი უფრო გაბედულად ჩაბმა მუშაობაში** — ასეთია ამოცანა.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენი მრეწველობის განვითარების მეხუთე ახალი პირობის საკითხის მხრივ.

გადავიდეთ უკანასკნელი პირობის საკითხზე.

VI

სამეურნეო ანგარიშის შესახებ

სურათი სრული არ იქნება, თუ არ შევეხები ერთ ახალ პირობასაც. ლაპარაკია მრეწველობისათვის, სახალხო მეურნეობისათვის დაგროვების წყაროებზე, ამ დაგროვების ტემპების გაძლიერებაზე.

რა არის ახალი და განსაკუთრებული ჩვენი მრეწველობის განვითარებაში დაგროვების თვალსაზრისით? ის, რომ დაგროვების ძველი წყაროები უკვე საკმარისი აღარ არის მრეწველობის შემდგომი გაშლისათვის. ის, რომ აუცილებელია, მაშასადამე, გამოვძებნოთ დაგროვების ახალი წყაროები და გავაძლიეროთ ძველი წყაროები, თუ ჩვენ მართლაც გვსურს შეინარჩუნოთ და განვავითაროთ ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ტემპები.

კაპიტალისტური ქვეყნების ისტორიიდან ვიცით, რომ არც ერთ ახალგაზრდა სახელმწიფოს, რომელსაც მოუსურვებია თავისი ინდუსტრიის უმაღლეს საფეხურზე აყვანა, გვერდი ვერ აუვლია გარედან დახმარებისათვის გრძელვადიანი კრედიტებისა ან სესხთა სახით. ამის გამო დასავლეთის ქვეყნების კაპიტალისტებმა გადაჭრილი უარი უთხრეს ჩვენს ქვეყანას კრედიტებისა და სესხთა მიცემაზე, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ კრედიტებისა და სესხთა უქონლობა უთუოდ ძირს გამოუთხრიდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. მაგრამ კაპიტალისტები შეცდნენ. მათ მხედველობაში არ მიიღეს ის, რომ ჩვენს ქვეყანას, კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, მოეპოვება დაგროვების ზოგიერთი განსაკუთრებული წყარო, რაც საკმაოა იმისათვის, რომ აღდგენილ და უფრო განვითარებულ იქნას ინდუსტრია. მართლაც, ჩვენ არა თუ აღვადგინეთ მრეწველობა, არა თუ აღვადგინეთ სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი, არამედ ჩვენ უკვე მოვასწარით რელსებზე დაგვეყენებინა მძიმე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის რეკონსტრუქციის გრანდიოზული საქმეც. გასაგებია, რომ ამ საქმეს მოხმარდა ათეულმილიარდობით მანეთი. საიდან ვიღებდით ამ მილიარდებს? მსუბუქი მრეწველობიდან, სოფლის მეურნეობიდან, საბიუჯეტო დაგროვებიდან. ასე მიდიოდა ჩვენში საქმე უკანასკნელ დრომდე.

სულ სხვანაირად არის საქმე ამჟამად. თუ წინათ მრეწველობისა და ტრანსპორტის რეკონსტრუქციისათვის გვყოფნიდა დაგროვების ძველი წყაროები, ახლა ეს წყაროები აშკარად აღარ გვყოფნის. საქმე ახლა ეხება არა იმას, რომ მოვახდინოთ ძველი მრეწველობის რეკონსტრუქცია. საქმე ეხება ახალი, ტექნიკურად შეიარაღებული, მრეწველობის შექმნას ურალში, ციმბირში, ყაზახეთში. საქმე ეხება ახალი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნას სსრ კავშირის მარცვლეულის, მეცხოველეობისა და ნედლეულის რაიონებში. საქმე ეხება რკინიგზების ახალი ქსელის შექმნას სსრ კავშირის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. გასაგებია, რომ

დაგროვების ძველი წყაროები არ შეიძლება ეყოს ამ გრანდიოზულ საქმეს.

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. ამას უნდა დაემატოს ის გარემოება, რომ, საქმის უყაირათოდ წარმართვის გამო, სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს სრულიად გამოეთხარა ძირი მთელ რიგ ჩვენს საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში. ფაქტია, რომ მთელ რიგ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში დიდი ხანია თავი მიანებეს ანგარიშს, კალკულაციას, შემოსავლისა და გასაყლის დასაბუთებული ბალანსების შედგენას. ფაქტია, რომ მთელ რიგ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში დიდი ხანია მოდიდან გამოვიდა ცნებები: «მომჭირნეობის რეჟიმი», «უნაყოფო ხარჯების შემცირება». «წარმოების რაციონალიზაცია». ალბათ, მათ იმედი აქვთ, რომ სახელმწიფო ბანკი «სულ ერთია მოგვცემს საჭირო თანხებსო». ფაქტია, რომ უკანასკნელ დროს თვითღირებულება მთელ რიგ საწარმოებში გაიზარდა. მათ მიეცათ დავალება 10 და მეტი პროცენტით შეამცირონ თვითღირებულება, ისინი კი მას ადიდებენ. ხოლო რა არის თვითღირებულების შემცირება? თქვენ იცით, რომ თვითღირებულების შემცირების ყოველი პროცენტი ნიშნავს მრეწველობის შიგნით 150 — 200 მილიონი მანეთის დაგროვებას. ცხადია, ასეთ პირობებში თვითღირებულების გადიდება ნიშნავს მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობისათვის ასეულმილიონობით მანეთის დაკარგვას.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ აღარ შეიძლება თავი გავიტანოთ მარტოოდენ მსუბუქი მრეწველობით, მარტოოდენ საბიუჯეტო დაგროვებით, მარტოოდენ სოფლის მეურნეობის შემოსავლით. მსუბუქი მრეწველობა წარმოადგენს დაგროვების უმდიდრეს წყაროს, და მას ახლა შემდგომი განვითარების ყველა შანსი აქვს, მაგრამ ეს წყარო უსაზღვრო როდია. სოფლის მეურნეობა დაგროვების ნაკლებად მდიდარ წყაროს არ წარმოადგენს, მაგრამ იგი თვითონ საჭიროებს ახლა, თავისი რეკონსტრუქციის პერიოდში, სახელმწიფოს ფინანსურ დახმარებას. რაც შეეხება საბიუჯეტო დაგროვებას, თქვენ თვითონ იცით, რომ იგი არ შეიძლება და არც უნდა იყოს უსაზღვრო. რაღა რჩება? რჩება მძიმე მრეწველობა. მაშასადამე, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მძიმე მრეწველობაც — უწინარეს ყოვლისა კი მისი მანქანათმშენებლობის ნაწილი — აგრეთვე იძლეოდეს დაგროვებას. მაშასადამე, დაგროვების ძველი წყაროების გაძლიერებასა და გაშლასთან ერთად, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მძიმე მრეწველობაც — უწინარეს ყოვლისა კი მანქანათმშენებლობა — აგრეთვე იძლეოდეს დაგროვებას.

ამაშია გამოსავალი.

ხოლო რა არის ამისათვის საჭირო? უყაირათობის მოსპობა, მრეწველობის შინარეესურსების მობილიზაცია, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და განმტკიცება ყველა ჩვენს საწარმოში, თვითღირებულების სისტემატური შემცირება, შინასამრეწველო დაგროვების გაძლიერება მრეწველობის უკლებლივ ყველა დარგში.

ასეთია გამოსავალი გზა.

ამრიგად, **სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და განმტკიცება, შინასამრეწველო დაგროვების გადიდება** — ასეთია ამოცანა.

VII

ვიმუშაოთ ახლებურად, ვუხელმძღვანელოთ ახლებურად

ასეთია, ამხანაგებო, ჩვენი მრეწველობის განვითარების ახალი პირობები.

ამ ახალი პირობების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მრეწველობისათვის ქმნიან ახალ ვითარებას, რომელიც მოითხოვს მუშაობის ახალ ხერხებს, ხელმძღვანელობის ახალ ხერხებს.

მაშასადამე:

ა) ამრიგად, გამოდის, რომ უკვე არ შეიძლება ძველებურად იმედი დავამყაროთ მუშა-ხელის თვითდინებაზე. მუშა-ხელით მრეწველობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მისი შეგროვება ორგანიზებულად, საჭიროა შრომის მექანიზაცია. იმის ფიქრი, რომ ჩვენი მუშაობის ტემპებისა და წარმოების მასშტაბების დროს შეიძლება იოლად წავიდეთ უმექანიზაციოდ, — ნიშნავს იმედი დავამყაროთ იმაზე, რომ შესაძლებელია ზღვის ამოშრობა კოზით.

ბ) შემდეგ, გამოდის, რომ უკვე არ შეიძლება შევურიგდეთ მუშა-ხელის დენადობას მრეწველობაში. ამ ბოროტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ხელფასის ახლებურად ორგანიზაცია და მუშების ცოტად თუ ბევრად მუდმივი შემადგენლობის შექმნა საწარმოებში.

გ) შემდეგ, გამოდის, რომ უკვე არ შეიძლება შევურიგდეთ გაუპიროვნებას წარმოებაში. ამ ბოროტების თავიდან ასაცილებლად საჭიროა შრომის ახლებურად ორგანიზაცია, საჭიროა ძალების იმგვარად განრიგება, რომ მუშათა ყოველი ჯგუფი იყოს პასუხისმგებელი მუშაობისათვის, მექანიზმებისათვის, დაზგებისათვის, მუშაობის ხარისხისათვის.

დ) შემდეგ, გამოდის, რომ უკვე შეუძლებელია ძველებურად დავჯერდეთ ძველი საინჟინერო-ტექნიკური ძალების იმ მინიმუმს, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ბურჟუაზიული რუსეთისაგან. ახლანდელი ტემპებისა და წარმოების მასშტაბების გასადიდებლად საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მუშათა კლასს ჰყავდეს თავისი საკუთარი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია.

ე) შემდეგ, გამოდის, რომ შეუძლებელია ძველებურად ერთ გროვაში მოვაქციოთ ძველი სკოლის ყველა სპეციალისტი და საინჟინერო-ტექნიკური ძალები. იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ შეცვლილი ვითარება, საჭიროა შევცვალოთ ჩვენი პოლიტიკა და გამოვიჩინოთ მაქსიმალური მზრუნველობა იმ სპეციალისტებისა და საინჟინერო-ტექნიკური ძალების მიმართ, რომლებიც გარკვეულად დგებიან მუშათა კლასის მხარეზე.

ვ) ბოლოს, გამოდის, რომ არ შეიძლება ძველებურად თავი გავიტანოთ დაგროვების ძველი წყაროებით. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გამოვიყენოთ დაგროვების ახალი წყაროები, მოვსპოთ უყაირათობა, დავნერგოთ სამეურნეო ანგარიში, შევამციროთ თვითღირებულება და გავადიდოთ შინასამრეწველო დაგროვება.

ასეთია მრეწველობის განვითარების ახალი პირობები, რომლებიც მოითხოვენ მუშაობის ახალ ხერხებს, სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის ახალ ხერხებს.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოვაგვაროთ ხელმძღვანელობა ახლებურად?

ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა, რომ ჩვენმა სამეურნეო ხელმძღვანელებმა შეიგნონ ახალი ვითარება, კონკრეტულად შეისწავლონ მრეწველობის განვითარების ახალი პირობები და გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ახალი ვითარების მოთხოვნებთან შეფარდებით.

შემდეგ, ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენმა სამეურნეო ხელმძღვანელებმა უხელმძღვანელონ საწარმოებს არა «საერთოდ», არა «ჰაერიდან», არამედ კონკრეტულად, საგნობრივად, რომ ისინი ყოველ საკითხს მიუდგნენ არა ზოგადი ლაყბობის თვალსაზრისით, არამედ უაღრესად საქმიანად, რომ ისინი არ დაკმაყოფილდნენ ქაღალდების წერით ან საერთო ფრაზებით და ლოზუნგებით, არამედ გაეცნონ საქმის ტექნიკას, ჩასწვდნენ საქმის დეტალებს, ჩასწვდნენ «წვრილმანებს», ვინაიდან «წვრილმანებისგან» შენდება ახლა დიდი საქმეები.

შემდეგ, ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი ახლანდელი უზარმაზარი გაერთიანებანი, რომელთა შემადგენლობაში ზოგჯერ 100 — 200 საწარმოა, — დაუყოვნებლივ დავანაწილოთ და რამდენიმე გაერთიანებად დავყოთ. გასაგებია, რომ გაერთიანების თავმჯდომარეს, რომელსაც ას და უფრო მეტ ქარხანასთან აქვს საქმე, არ შეუძლია ჯეროვნად იცნობდეს ამ ქარხნებს, მათს შესაძლებლობებს, მათს მუშაობას. გასაგებია, რომ, თუ ქარხნებს არ იცნობს, იგი ვერ უხელმძღვანელებს მათ. მაშასადამე, იმისათვის, რომ გაერთიანებათა თავმჯდომარეებს შესაძლებლობა მივცეთ ჯეროვნად შეისწავლონ ქარხნები და უხელმძღვანელონ მათ, საჭიროა მათი განტვირთვა ზედმეტი ქარხნებისაგან, საჭიროა გაერთიანებათა დაყოფა რამდენიმე გაერთიანებად და გაერთიანებათა დაახლოება ქარხნებთან.

შემდეგ, ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენი გაერთიანებანი კოლეგიალური მართვიდან გადავიდნენ ერთპიროვნულ მართვაზე. ამჟამად საქმე ისეა, რომ გაერთიანებათა კოლეგიებში არის 10 — 15 კაცი, და ისინი წერენ ქაღალდებს, ეწევიან დისკუსიას. ასე მართვა შემდეგში, ამხანაგებო, არ შეიძლება. უნდა მოესპოთ ქაღალდის «ხელმძღვანელობა» და გადავიდეთ ნამდვილ, საქმიან, ბოლშევიკურ მუშაობაზე. დაე გაერთიანების სათავეში დარჩეს თავმჯდომარე და რამდენიმე მოადგილე. ეს სავსებით საკმარისი იქნება გაერთიანების მართვისათვის. კოლეგიის დანარჩენი წევრები უმჯობესი იქნებოდა გადაგვეყვანა დაბლა — ფაბრიკა-ქარხნებში. ეს ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა მათთვისაც და საქმისთვისაც.

შემდეგ, ამისათვის საჭიროა, რომ გაერთიანებათა თავმჯდომარეებმა და მათმა მოადგილეებმა უფრო ხშირად ჩამოუარონ ქარხნებს, უფრო მეტ ხანს დარჩნენ იქ სამუშაოდ, უკეთ გაეცნონ ქარხნის მუშაკებს და არა მარტო ასწავლონ ადგილობრივ მუშაკებს, არამედ კიდევაც ისწავლონ მათგან. ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ახლა შეიძლება ხელმძღვანელობის გაწევა კანცელარიიდან, კანტორაში ჯდომით, ქარხნებისაგან დაშორებით. ქარხნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საჭიროა უფრო ხშირი ურთიერთობა საწარმოთა მუშაკებთან, საჭიროა მათთან ცოცხალი კავშირის დაჭერა.

ბოლოს, ორიოდე სიტყვა 1931 წლის ჩვენი საწარმოო გეგმის შესახებ. არის პარტიასთან შორიახლოს მდგომი ზოგიერთი ობივატელი, რომელიც გვარწმუნებს, რომ ჩვენი საწარმოო პროგრამა არარეალურია, განუხორციელებელია. ისინი მოგვაგონებენ შჩედრინის «უბრძნენ ჭიჭყინებს», რომლებიც მუდამ მზად არიან გაავრცელონ თავიანთ გარშემო «უსუსური აზროვნების სიცარიელე». რეა-

ლურია თუ არა ჩვენი საწარმოო პროგრამა? უეჭველად რეალურია! იგი რეალურია თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ყველა საჭირო პირობა მისი განხორციელებისათვის. იგი რეალურია თუნდაც იმიტომ, რომ მისი შესრულება ახლა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზე, ჩვენს უნარსა და ჩვენს სურვილზე — გამოვიყენოთ ჩვენი უაღრესად მდიდარი შესაძლებლობანი. მაშ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მთელმა რიგმა საწარმოებმა და მრეწველობის დარგებმა უკვე გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა? სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ საწარმოო გეგმა ციფრებისა და დავალებების ჩამოთვლით ამოიწურება. ნამდვილად კი საწარმოო გეგმა არის მრავალი მილიონი ადამიანის ცოცხალი და პრაქტიკული მუშაობა. ჩვენი საწარმოო გეგმის რეალობა — ეს მშრომელთა მილიონებია, რომლებიც ახალ ცხოვრებას ქმნიან. ჩვენი პროგრამის რეალობა — ეს ცოცხალი ადამიანებია, ეს თვითონ ჩვენ ვართ თქვენთან ერთად, ჩვენი ნებისყოფა შრომისადმი, ჩვენი მზადყოფნა ვიმუშაოთ ახლებურად, ჩვენი სიმტკიცე გეგმის შესრულებაში. გვაქვს თუ არა ჩვენ იგი, სწორედ ეს სიმტკიცე? დიახ, გვაქვს. მაშასადამე, ჩვენი საწარმოო პროგრამა შეიძლება და უნდა განხორციელდეს კიდეეაც-

(ხანგრძლივი ტაში).

ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ

წერილი ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციას» რედაქციას

/

პატივცემულო ამხანაგებო!

გადაჭრით ვაცხადებ პროტესტს იმის გამო, რომ ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში» (№ 6, 1930 წ.) დაიბეჭდა სლუცკის ანტიპარტიული და ნახევრად-ტროცკისტული სტატია «ბოლშევიკები გერმანიის სოციალ-დემოკრატიის შესახებ მისი ომისწინადროინდელი კრიზისის პერიოდში», როგორც სადისკუსიო სტატია.

სლუცკი ამტკიცებს, რომ ლენინი (ბოლშევიკები) სათანადოდ არ აფასებდა **ცენტრიზმის** საფრთხეს გერმანიის და საერთოდ ომისწინადროინდელ სოციალ-დემოკრატიაში, ესე იგი სათანადოდ არ აფასებდა შენიღბული ოპორტუნიზმის საფრთხეს, ოპორტუნიზმთან შემარიგებლობის საფრთხეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სლუცკის აზრით გამოდის, რომ ლენინი (ბოლშევიკები) არ აწარმოებდა შეურიგებელ ბრძოლას ოპორტუნიზმთან, ვინაიდან ცენტრიზმის არასათანადოდ შეფასება არსებითად მოასწავებს ხელის აღებას გაშლილ ბრძოლაზე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ამრიგად, გამოდის, რომ ლენინი ომისწინა პერიოდში ჯერ კიდევ არ ყოფილა ნამდვილი ბოლშევიკი, რომ მხოლოდ იმპერიალისტური ომის პერიოდში, ან — მეტიც — თვით ამ ომის დასასრულს გახდა ლენინი ნამდვილი ბოლშევიკი. ასე მოგვითხრობს თავის სტატიაში სლუცკი. თქვენ კი, იმის ნაცვლად, რომ დაგმოთ ეს ახლად მოვლენილი «ისტორიკოსი». როგორც ცილისმწამებელი და ფალსიფიკატორი, დისკუსიას მართავთ მასთან, აძლევთ მას ტრიბუნას. არ შემიძლია არ განვაცხადო პროტესტი თქვენს ჟურნალში სლუცკის სტატიის, როგორც სადისკუსიო სტატიის, მოთავსების წინააღმდეგ, რადგან არ შეიძლება სადისკუსიო საგნად გადავაქციოთ საკითხი ლენინის **ბოლშევიზმის შესახებ**, საკითხი იმის შესახებ, **აწარმოებდა** ლენინი პრინციპულ შეურიგებელ ბრძოლას ცენტრიზმთან, როგორც ოპორტუნიზმის განსაზღვრულ სახესთან, თუ **არ** **აწარმოებდა** მას, **იყო** ლენინი ნამდვილი ბოლშევიკი, თუ **არ** **იყო** ასეთი.

თქვენს განცხადებაში «რედაქციისაგან», რომელიც 20 ოქტომბერს გაუგზავნეთ ცენტრალურ კომიტეტს, თქვენ აღიარებთ, რომ რედაქციამ სლუცკის სტატიის, როგორც სადისკუსიო სტატიის, მოთავსებით შეცდომა დაუშვა. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მიუხედავად იმისა, რომ რედაქციის განცხადება დიდი დაგვიანებით გამოდის. მაგრამ თქვენს განცხადებაში ახალ შეცდომას უშვებთ, როცა ამბობთ, რომ «რედაქციას პოლიტიკურად მეტად აქტუალურად და აუცილებლად მიაჩნია «პროლეტარსკაია რევოლუციას» ფურცლებზე იმ პრობლემათა მთელი რკალის შემდგომი დამუშავება, რომლებიც დაკავშირებულია ბოლშევიკების ურთიერთდამოკიდებულებასთან ომამდელი დროის II ინტერნაციონალისადმი». ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ განზრახული გაქვთ კვლავ ჩაბათ ხალხი დისკუსიაში იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ბოლშევიზმის აქსიომებს წარმოადგენენ. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ კვლავ ფიქრობთ საკითხი ლენინის ბოლშევიზმის შესახებ გადააქციოთ აქსიომიდან პრობლემად, რომელსაც «შემდგომი დამუშავება» სჭირდება. რატომ, რა საბუთით? ყველასათვის ცნობილია, რომ ლენინიზმი წარმოიშვა, გაიზარდა და განმტკიცდა ულმობელ ბრძოლაში ყველა ჯურის ოპორტუნიზმთან, მათ შორის ცენტრიზმთან დასავლეთში (კაუცკი), ცენტრიზმთან ჩვენში (ტროცკი და სხვ.). ამის უარყოფა ბოლშევიზმის პირდაპირ მტრებსაც კი არ შეუძლიათ. ეს აქსიომაა. თქვენ კი უკან გვეწევით, ცდილობთ რა აქსიომა გადააქციოთ პრობლემად, რომელსაც «შემდგომი დამუშავება» სჭირდება. რატომ? რა საბუთით? იქნებ იმიტომ, რომ არ იცნობთ ბოლშევიზმის ისტორიას? იქნებ დამპალი ლიბერალიზმის გულისთვის, რათა სლუცკებმა და ტროცკის სხვა მოწაფეებმა ვერ შესძლონ იმის თქმა, რომ პირში ბურთს გვჩრიანო? საკმაოდ ახირებული ლიბერალიზმია, რომელიც ბოლშევიზმის საარსებო ინტერესების ხარჯზე ტარდება...

სახელდობრ რა მიაჩნია რედაქციას სლუცკის სტატიაში სადისკუსიო განხილვის ღირსად?

1) სლუცკი ამტკიცებს, რომ ლენინი (ბოლშევიკები) არ ატარებდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებთან, ომამდელი პერიოდის II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებთან განხეთქილების, გათიშვის ხაზს. თქვენ გსურთ დისკუსია გამართოთ სლუცკის ამ ტროცკისტული თეზისის წინააღმდეგ. მაგრამ რა არის აქ სადისკუსიო? განა ცხადი არ არის, რომ სლუცკი აშკარად ცილს სწამებს ლენინს, ბოლშევიკებს? ცილისწამება სადისკუსიო საგნად კი არ უნდა გახადოთ, არამედ უნდა დაგმოთ.

ყოველმა ბოლშევიკმა იცის, თუ იგი ნამდვილად ბოლშევიკია, რომ ლენინი ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნის წინათ, დაახლოებით 1903 — 1904 წლებიდან, როცა რუსეთში ბოლშევიკების ჯგუფი ჩამოყალიბდა და როცა პირველად თავი იჩინეს მემარცხენეებმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში, — ატარებდა ოპორტუნისტებთან განხეთქილების, გათიშვის ხაზს ჩვენშიც, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, და იქაც, II ინტერნაციონალში, კერძოდ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში. ყოველმა ბოლშევიკმა იცის, რომ სწორედ ამიტომ ბოლშევიკებმა უკვე მაშინ (1903 — 1905 წწ.) II ინტერნაციონალის ოპორტუნისტთა რიგებში დაიმსახურეს «გამთიშველებისა» და «დეზორგანიზატორების» საპატიო სახელი. მაგრამ რა შეეძლო ლენინს, რა შეეძლოთ ბოლშევიკებს, თუ მემარცხენე სოციალ-დემოკრატები II ინტერნაციონალში და, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში წარმოადგენდნენ სუსტ და უძლურ ჯგუფს, ორგანიზაციულად ჩამოუყალიბებელ, იდეოლოგიურად გამოუბრძმედავ ჯგუფს, რომელსაც სიტყვა «განხეთქილების», «გათიშვის» თქმისაც კი ეშინოდა? ხომ არ შეიძლება იმის მოთხოვნა, რომ ლენინს, რომ ბოლშევიკებს რუსეთიდან მემარცხენეების მაგივრად გათიშვა მოეწყოთ დასავლეთის პარტიებში. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ორგანიზაციული და იდეოლოგიური სისუსტე მემარცხენე სოციალ-დემოკრატების დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა არა მარტო ომამდელ პერიოდში. იგი, ეს უარყოფითი თვისება, როგორც ვიცით, ომისშემდგომ პერიოდშიც შერჩათ მემარცხენეებს. ყველა იცნობს გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების შეფასებას ლენინის ცნობილ სტატიაში «იუნიუსის ბროშურის შესახებ» [1], რომელიც დაიწერა 1916 წლის ოქტომბერში, ესე იგი მაშინ, როცა ორ წელიწადზე მეტი გავიდა ომის დაწყების შემდეგ. ამ სტატიაში ლენინი, აკრიტიკებს რა გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების მთელ რიგ უაღრესად სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომებს, ლაპარაკობს «**გერმანიის უ ვ ე ლ ა მემარცხენეთა სისუსტეზე, რომლებიც ყოველი მხრიდან გახლართული არიან კაუცკიანური თვალთმაქცობის, პედანტობის, ოპორტუნისტებისადმი «მეგობრული განწყობილების» საზიზღარი ქსელით»**; ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ «**იუნიუსი სავსებით ვერ განთავისუფლდა გერმანიის სოციალ-დემოკრატების, თვით იმ მემარცხენე სოციალ-დემოკრატების «წრისაგან», რომელთაც ეში-**

[1] იუნიუსი — როზა ლუქსემბურგი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე სოც.-დემოკრატების ლიდერი.

ნიათ გათიშვისა, ეშინიათ ბოლომდე თქვან რევოლუციური ლოზუნგები».

II ინტერნაციონალის ყველა დაჯგუფებათა შორის მაშინ რუსი ბოლშევიკები წარმოადგენდნენ ერთადერთ დაჯგუფებას, რომელსაც თავისი ორგანიზაციული გამოცდილებით და იდეოლოგიური სიმტკიცით შეეძლო რაიმე სერიოზული ნაბიჯები გადაედგა თავის რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში თავის ოპორტუნისტებთან აშკარა განხეთქილების, გათიშვის მხრივ. სლუცკებს რომ ეცადათ არა თუ დამტკიცება, არამედ მხოლოდ იმ მოსაზრების გამოთქმა, რომ ლენინმა და რუსმა ბოლშევიკებმა არ გამოიყენეს მთელი თავისი ძლიერება იმისათვის, რომ მოეწყოთ გათიშვა ოპორტუნისტებთან (პლეხანოვი, მარტოვი, დანი) და გაეძევებინათ ცენტრისტები (ტროცკი და აგვისტოს ბლოკის სხვა მომხრეები), — მაშინ შესაძლებელი იყო დავა ლენინის ბოლშევიზმის შესახებ, ბოლშევიკების ბოლშევიზმის შესახებ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ სლუცკები კრიტიკის დაძვრასაც კი ვერ ბედავენ ასეთი ველური მოსაზრების სასარგებლოდ. ვერ ბედავენ, რადგან იციან, რომ ყველასათვის ცნობილი ფაქტები ყველა ჯგუფის ოპორტუნისტებთან განხეთქილების იმ გაბედული პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდნენ რუსი ბოლშევიკები (1904 — 1912 წწ.), ასეთი მოსაზრების წინააღმდეგ ღაღადებენ. ვერ ბედავენ, რადგან იციან, რომ მეორე დღესვე ისინი სამარცხვინო ბოძზე იქნებიან გაკრული.

მაგრამ აი კითხვა: შეეძლოთ თუ არა რუს ბოლშევიკებს განეხორციელებინათ გათიშვა თავიანთ ოპორტუნისტებთან და ცენტრისტ-შემარიგებლებთან დიდი ხნით ადრე იმპერიალისტურ ომამდე (1904 — 1912 წწ.) ისე, რომ ამავე დროს არ გაეტარებინათ II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებთან და ცენტრისტებთან განხეთქილების, გათიშვის ხაზი? ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ რუსი ბოლშევიკები თავიანთ პოლიტიკას ოპორტუნისტებისა და ცენტრისტების მიმართ თვლიდნენ პოლიტიკის ნიმუშად დასავლეთის მემარცხენეებისათვის? ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ რუსი ბოლშევიკები ყოველნაირად აქებდნენ დასავლეთის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს, კერძოდ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენეებს, განხეთქილებისა, გათიშვისაკენ თავიანთ ოპორტუნისტებთან და ცენტრისტებთან? ლენინი და რუსი ბოლშევიკები არ არიან დამნაშავენი იმაში, თუ დასავლეთის მემარცხენე სოციალ-დემოკრატები მოუმწიფებელი გამოდგნენ იმისათვის, რომ გაჰყოლოდნენ რუსი ბოლშევიკების კვალს.

2) სლუცკი უსაყვედურებს ლენინს და ბოლშევიკებს, რომ ისინი გადაჭრით და საბოლოოდ არ უჭერდნენ მხარს მემარცხენეებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში, რომ ისინი მხარს უჭერდნენ მათ მხოლოდ სერიოზული შენიშვნებით, რომ ფრაქციული მოსაზრებები ხელს უშლიდა მათ ბოლომდე დაეჭირათ მხარი მემარცხენეებისათვის. თქვენ გსურთ დისკუსია გამართოთ ამ შარლატანური და თავიდან ბოლომდე ყალბი საყვედურის წინააღმდეგ. მაგრამ მაინც რა არის აქ სადისკუსიო? განა ცხადი არ არის, რომ სლუცკი აქ მიმართავს მანევრებს და ცდილობს ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ყალბი საყვედურით დაფაროს ნამდვილი ხარვეზები გერმანიის მემარცხენეთა პოზიციაში? განა ცხადი არ არის, რომ ბოლშევიკებს არ შეეძლოთ დაეჭირათ მხარი ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის მუდამ მერყეევი გერმანელი მემარცხენეებისათვის, სერიოზული შენიშვნების გარეშე, მათი შეცდომების სერიოზული კრიტიკის გარეშე, ისე, რომ არ ეღალატნათ მუშათა კლასისა და მისი რევოლუციისათვის? თაღლითური მანევრები სადისკუსიო საგნად კი არ უნდა გახადოთ, არამედ უნდა დაგმოთ.

დიახ, ბოლშევიკები გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს მხარს უჭერდნენ მხოლოდ განსაზღვრული სერიოზული შენიშვნებით, აკრიტიკებდნენ ,რა მათს ნახევრად-მენშევიკურ შეცდომებს. მაგრამ ამისათვის ბოლშევიკებს კი არ უნდა ვუსაყვედუროთ, არამედ მივესალმოთ.

არიან ადამიანები, რომელთაც ეჭვი ეპარებათ ამაში?

მივმართოთ ყველაზე უფრო ცნობილ ფაქტებს ისტორიიდან.

ა) 1903 წელს თავი იჩინა სერიოზულმა უთანხმოებამ რუსეთის ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის პარტიის წევრობის საკითხის გამო. თავისი ფორმულირებით პარტიის წევრობის შესახებ ბოლშევიკებს სურდათ შეექმნათ ორგანიზაციული ლაგამი პარტიაში არაპროლეტარული ელემენტების მოზღვავების წინააღმდეგ. მაშინ ასეთი მოზღვავების საფრთხე რეალურზე უფრო მეტი იყო, რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის გამო. რუსი მენშევიკები იცავდნენ მოპირდაპირე პოზიციას, რომელიც პარტიის კარებს ფართოდ უღებდა არაპროლეტარულ ელემენტებს. ვინაიდან მსოფლიო რევოლუციური მოძრაობისათვის რუსეთის რევოლუციის საკითხებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატებმა გადაწყვიტეს ჩარეულიყვნენ საქმეში. საქმეში ჩაერივნენ გერმანიის მემარცხენე

სოციალ-დემოკრატებიც, პარვუსი და როზა ლუქსემბურგი, მემარცხენეთა მაშინდელი ლიდერები. და რა მოხდა? ორივემ ბოლშევიკების წინააღმდეგ გაილაშქრა. ამასთან ბოლშევიკებს ბრალი დასდეს ულტრაცენტრალიზმსა და ბლანკისტურ ტენდენციებში. შემდეგში ეს უხამსი და მეშჩანური ეპითეტები ხელზე დაიხვიეს მენშევიკებმა და მთელ მსოფლიოს მოჰფინეს.

ბ) 1905 წელს რუსეთის ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის გაჩაღდა დავა რუსეთის რევოლუციის ხასიათის შესახებ. ბოლშევიკები იცავდნენ გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის იდეას პროლეტარიატის ჰეგემონიის პირობებში. ბოლშევიკები ამტკიცებდნენ, რომ საჭიროა საქმე წავიყვანოთ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურისაკენ, რათა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან დაუყოვნებლივ გადავიდეთ სოციალისტურ რევოლუციაზე სოფლის ღარიბი გლეხობის მიერ მხარის დაჭერის უზრუნველყოფის პირობებში. მენშევიკები რუსეთში უარყოფდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას, გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის პოლიტიკას მათ ამჯობინეს ლიბერალურ ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკა, ხოლო პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა გამოაცხადეს რეაქციულ ბლანკისტურ სქემად, რომელიც ეწინააღმდეგება ბურჟუაზიული რევოლუციის განვითარებას. როგორ შეხედეს ამ დავას გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენეებმა, პარვუსმა და როზა ლუქსემბურგმა? მათ შეთხზეს პერმანენტული რევოლუციის უტოპიური და ნახევრად-მენშევიკური სქემა (მარქსის რევოლუციის სქემის მახინჯი გამოხატვა), რომელიც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის პოლიტიკის მენშევიკური უარყოფით, და ის დაუპირისპირეს პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ბოლშევიკურ სქემას. შემდეგში პერმანენტული რევოლუციის ამ ნახევრად-მენშევიკურ სქემას ხელი ჩასჭიდა ტროცკიმ (ნაწილობრივ მარტოვმაც) და იგი გადაიქცა ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად.

გ) ომისწინა პერიოდში II ინტერნაციონალის პარტიებში სცენაზე გამოჩნდა, როგორც ერთ-ერთი უაღრესად აქტუალური საკითხი, ნაციონალურ-კოლონიური საკითხი, ჩაგრული ერებისა და კოლონიების საკითხი, ჩაგრული ერებისა და კოლონიების განთავისუფლების საკითხი, იმპერიალიზმთან ბრძოლის გზების საკითხი, იმპერია-

ლიზმის დამხობის გზების საკითხი. პროლეტარული რევოლუციის გაშლის ინტერესებისათვის და იმისათვის, რომ ალყა შემორტყმოდა იმპერიალიზმს, ბოლშევიკებმა წამოაყენეს ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე ჩაგრული ერებისა და კოლონიების განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკა და განავითარეს მოწინავე ქვეყნების პროლეტარული რევოლუციისა და კოლონიების და ჩაგრული ქვეყნების ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანი ფრონტის სქემა. ყველა ქვეყნის ოპორტუნისტებმა, ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტებმა და სოციალ-იმპერიალისტებმა არ დააყოვნეს ამხედრებულიყვნენ ამასთან დაკავშირებით ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბოლშევიკებს დევნიდნენ, როგორც ცოფიან ძაღლებს. რა პოზიცია დაიჭირეს მაშინ მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა დასავლეთში? მათ განავითარეს იმპერიალიზმის ნახევრად-მენშევიკური თეორია, უარყვეს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მისი მარქსისტული გაგებით (თვით გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნამდე), უარყვეს თეზისი კოლონიებისა და ჩაგრული ქვეყნების განმათავისუფლებელი მოძრაობის სერიოზული რევოლუციური მნიშვნელობის შესახებ, უარყვეს თეზისი პროლეტარულ რევოლუციასა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის ერთიანი ფრონტის შესაძლებლობის შესახებ და მთელი ეს ნახევრად-მენშევიკური დომხალი, რომელიც წარმოადგენს ნაციონალურ-კოლონიური საკითხის სრულ შეუფასებლობას, — დაუპირისპირეს ბოლშევიკების მარქსისტულ სქემას. ცნობილია, რომ შემდეგში ამ ნახევრად-მენშევიკურ დომხალს ხელი ჩასჭიდა ტროცკიმ და გამოიყენა იგი ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად.

ასეთია გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ყველასათვის ცნობილი შეცდომები.

მე უკვე აღარაფერს ვამბობ გერმანიის მემარცხენეთა დანარჩენ შეცდომებზე, რომლებიც გაკრიტიკებულია ლენინის სათანადო სტატიებში.

აღარაფერს ვამბობ აგრეთვე იმ შეცდომებზე, რომლებიც დაუშვეს მათ ბოლშევიკების პოლიტიკის შეფასების დროს ოქტომბრის გადატრიალების პერიოდში.

რას გვეუბნება გერმანიის მემარცხენეთა ეს შეცდომები, აღებული ომამდელი პერიოდის ისტორიიდან, თუ არა იმას, რომ მემარცხენე სოციალ-დემოკრატები, მიუხედავად მათი მემარცხენეობისა, კიდევ ვერ განთავისუფლდნენ მენშევიკური ბაგაჟისაგან?

რა თქმა უნდა, მემარცხენეებს გერმანიაში ჰქონდათ არა მარტო სერიოზული შეცდომები. მათ დიდი და სერიოზული რევოლუციური საქმეებიც გააკეთეს. მხედველობაში მაქვს მთელი რიგი მათი დამსახურება და რევოლუციური გამოსვლები საშინაო პოლიტიკის საკითხებში და, კერძოდ, საარჩევნო ბრძოლის, პარლამენტური და პარლამენტგარეშე ბრძოლის საკითხებში, საყოველთაო გაფიცვის, ომის, რუსეთის 1905 წ. რევოლუციისა და სხვ. საკითხებში. სწორედ ამიტომ უწევდნენ ბოლშევიკები ანგარიშს მათ, როგორც მემარცხენეებს, მხარს უჭერდნენ და წინ უბიძგებდნენ მათ. მაგრამ ეს არ სპობს და ვერც მოსპობს იმ ფაქტს, რომ ამასთან ერთად გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა დაუშვეს მთელი რიგი უაღრესად სერიოზული პოლიტიკური და თეორიული შეცდომები, რომ ისინი კიდევ ვერ განთავისუფლდნენ მენშევიკური ტვირთისაგან და რომ მათ, ამის გამო, სჭირდებოდათ უაღრესად სერიოზული კრიტიკა ბოლშევიკების მხრით.

ახლა თვითონ განსაჯეთ, შეეძლოთ თუ არა ლენინს და ბოლშევიკებს მხარი დაეჭირათ დასავლეთის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისათვის **სერიოზული შენიშვნების გარეშე**, მათი შეცდომების **სერიოზული კრიტიკის გარეშე**, ისე, რომ არ ეღალატნათ მუშათა კლასის ინტერესებისათვის, არ ეღალატნათ რევოლუციის ინტერესებისათვის, არ ეღალატნათ კომუნიზმისათვის?

განა ცხადი არ არის, რომ სლუცკი, რომელიც უსაყვედურებს ლენინსა და ბოლშევიკებს იმას, რისთვისაც იგი უნდა მისალმებოდა მათ, ის რომ ბოლშევიკი იყოს, — საბოლოოდ ააშკარავებს თავის თავს, როგორც ნახევრად-მენშევიკს, როგორც ნიღაბაფარებულ ტროცკისტს?

სლუცკი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ლენინი და ბოლშევიკები დასავლეთის მემარცხენეების შეფასების დროს ხელმძღვანელობდნენ თავიანთი ფრაქციული მოსაზრებებით, რომ, მაშასადამე, რუს ბოლშევიკებს თავიანთი ფრაქციის ინტერესებისათვის მსხვერპლად მიჰქონდათ საერთაშორისო რევოლუციის დიადი საქმე. არა გვგონია საჭირო იყოს მტკიცება, რომ არაფერი შეიძლება იყოს იმაზე უხამსი და საზიზღარი, ვიდრე ეს მოსაზრებაა. არ შეიძლება იყოს უფრო უხამსი, რადგან აღვირახსნილ უხამსი ადამიანებიც კი მენშევიკების წრიდან იწყებენ იმის შეგნებას, რომ რუსეთის რევოლუცია არ არის რუსების კერძო საქმე, რომ, პირიქით, იგი წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის საქმეს, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის საქმეს. არაფერი შეიძლე-

ბა იყოს უფრო საზიზღარი, რადგან პროფესიული ცილისმწამებლებიც კი II ინტერნაციონალიდან იწყებენ იმის შეგნებას, რომ ბოლშევიკების თანმიმდევრობითი და ბოლომდე რევოლუციური ინტერნაციონალიზმი წარმოადგენს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნიმუშს ყველა ქვეყნის მუშებისათვის.

დიახ, რუსი ბოლშევიკები პირველ რიგში აყენებდნენ რუსეთის რევოლუციის ძირითად საკითხებს, როგორიც არის საკითხები პარტიის შესახებ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისადმი მარქსისტების დამოკიდებულების შესახებ, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ, პარლამენტური და პარლამენტგარეშე ბრძოლის შესახებ, საყოველთაო გაფიცვის შესახებ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, იმპერიალიზმის შესახებ, ერთა თვითგამორკვევის შესახებ, ჩაგრული ერებისა და კოლონიების განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ, ამ მოძრაობისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკის შესახებ და სხვ.. ისინი აყენებდნენ ამ საკითხებს, როგორც სასინჯს, რომლის საშუალებითაც ამოწმებდნენ დასავლეთის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების რევოლუციურ სიმტკიცეს. ჰქონდათ თუ არა მათ ამის უფლება? დიახ, ჰქონდათ. არა თუ ჰქონდათ, არამედ ვალდებულიც იყვნენ ასე ემოქმედნათ. ისინი ვალდებული იყვნენ ასე ემოქმედნათ, რადგან ყველა ეს საკითხი ამავე დროს იყო ძირითადი საკითხები მსოფლიო რევოლუციისა, რომლის ამოცანებსაც უმორჩილებდნენ ბოლშევიკები თავიანთ პოლიტიკას, თავიანთ ტაქტიკას. ისინი ვალდებული იყვნენ ასე ემოქმედნათ, რადგან მხოლოდ ასეთ საკითხებზე შეიძლებოდა ნამდვილად შემოწმებულიყო II ინტერნაციონალის ამა თუ იმ დაჯგუფების რევოლუციურობა. იბადება კითხვა, რაშია აქ რუსი ბოლშევიკების «ფრაქციულობა» და რა შუაშია აქ «ფრაქციული» მოსაზრებანი?

ლენინი ჯერ კიდევ 1902 წელს თავის ბროშურაში «რა ვაკეთოთ?» წერდა, რომ «ისტორიამ ახლა ჩვენს წინაშე დააყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე რევოლუციური რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანათა შორის», რომ «ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპული, არამედ აგრეთვე აზიური რეაქციის ყველაზე მძლავრი ბურჯის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს გახდიდა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავან-

გარდად». 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბროშურა «რა ვაკეთოთ?» გამოქვეყნდა. ვერავინ ვერ გაბედავს იმის უარყოფას, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მომხდარმა ამბებმა ბრწყინვალედ დაადასტურეს ლენინის სიტყვები. მაგრამ განა აქედან არ გამომდინარეობს, რომ რუსეთის რევოლუცია იყო (და რჩება) მსოფლიო რევოლუციის საკვანძო პუნქტად, რომ რუსეთის რევოლუციის ძირითადი საკითხები ამავე დროს წარმოადგენდნენ (და ახლაც წარმოადგენენ) მსოფლიო რევოლუციის ძირითად საკითხებს?

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ასეთ ძირითად საკითხებზე შეიძლებოდა ნამდვილად შემოწმებულიყო დასავლეთის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების რევოლუციურობა?

განა ცხადი არ არის, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამ საკითხებს უყურებენ, როგორც «ფრაქციულ» საკითხებს, — საბოლოოდ ააშკარავებენ თავიანთ თავს, როგორც უხამს და გადაგვარებულ ადამიანებს?

3) სლუცკი ამტკიცებს, რომ ჯერჯერობით არ არის მონახული საკმაო ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც მოწმობდნენ ლენინის (ბოლშევიკების) გადამწყვეტ და შეურიგებელ ბრძოლას ცენტრიზმის წინააღმდეგ. ამ ბიუროკრატიულ თეზისს იყენებს იგი, როგორც ურყევ არგუმენტს იმ დებულების სასარგებლოდ, რომ ლენინი (ბოლშევიკები), მაშასადამე, სათანადოდ ვერ აფასებდა ცენტრიზმის საფრთხეს II ინტერნაციონალში. თქვენ კისრულობთ დისკუსიას ამ აბდაუბდის, ამ თაღლითური ხრიკების წინააღმდეგ. მაგრამ მაინც რა არის აქ სადისკუსიო? განა ისედაც ცხადი არ არის, რომ დოკუმენტებზე ლაპარაკით სლუცკი ცდილობს დაფაროს თავისი ეგრეთწოდებული გეზის უბადრუკობა და სიყალბე?

სლუცკის არსებული პარტიული დოკუმენტები საკმარისად არ მიაჩნია. რატომ, რა საბუთით? განა ყველასათვის ცნობილი დოკუმენტები როგორც II ინტერნაციონალის ხაზით, ისე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შინაპარტიული ბრძოლის ხაზით, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ საესებით ცხადვყოთ ლენინისა და ბოლშევიკების რევოლუციური შეურიგებლობა ოპორტუნისტებისა და ცენტრისტების წინააღმდეგ ბრძოლაში? იცნობს თუ არა საერთოდ სლუცკი ამ დოკუმენტებს? რა დოკუმენტები სჭირდება კიდევ მას?

დავუშვათ, რომ, უკვე ცნობილ დოკუმენტებს გარდა, მოინახა სხვა დოკუმენტების გროვა, ვთქვათ, ბოლშევიკების რეზოლუციე-

ბის სახით, რომლებიც ერთხელ კიდევ გველაპარაკებიან ცენტრიზმის მოსპობის აუცილებლობაზე. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მხოლოდ ქაღალდის დოკუმენტების არსებობა საკმარისია იმისათვის, რომ ცხადვყოთ ბოლშევიკების ნამდვილი რევოლუციურობა და ნამდვილი შეურიგებლობა ცენტრიზმის მიმართ? ვის შეუძლია, გარდა უიმედო ბიუროკრატებისა, დაეყრდნოს მარტო ქაღალდის დოკუმენტებს? ვის არ ესმის, გარდა არქივის ვირთაგვებისა, რომ პარტიებისა და ლიდერების შემოწმება საჭიროა უწინარეს ყოვლისა მათი საქმეების მიხედვით და არა მხოლოდ მათი დეკლარაციების მიხედვით? ისტორია იცნობს ბევრ სოციალისტს, რომლებიც ხალისით აწერდნენ ხელს ყოველგვარ რევოლუციურ რეზოლუციას, ოღონდ კი თავიდან მოეშორებინათ აბეზარი კრიტიკოსები. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი ცხოვრებაში ატარებდნენ ამ რეზოლუციებს. შემდეგ, ისტორია იცნობს ბევრ სოციალისტს, რომელნიც დორბლმორეულნი მოითხოვდნენ სხვა ქვეყნების მუშათა პარტიებისაგან უაღრესად რევოლუციურ მოქმედებას. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ისინი იარაღს არ ჰყრიდნენ თავიანთ საკუთარ პარტიაში ან საკუთარ ქვეყანაში თავიანთი ოპორტუნისტების წინაშე, თავიანთი ბურჟუაზიის წინაშე. განა ამიტომ არ გვასწავლიდა ლენინი შეგვემოწმებინა რევოლუციური პარტიები, მიმდინარეობანი, ლიდერები არა მათი დეკლარაციებისა და რეზოლუციების მიხედვით, არამედ მათი საქმეების მიხედვით?

განა ცხადი არ არის, სლუცკის რომ მართლა ჰქონოდა სურვილი — შეემოწმებინა ლენინისა და ბოლშევიკების შეურიგებლობა მათს დამოკიდებულებაში ცენტრიზმისადმი, მას თავისი სტატიისათვის საფუძვლად უნდა დაედო არა ცალკე დოკუმენტები და ორი-სამი პირადი წერილი, არამედ ბოლშევიკების შემოწმება მათი საქმეების მიხედვით, მათი ისტორიის მიხედვით, მათი მოქმედების მიხედვით? განა ჩვენში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში, არ იყვნენ ოპორტუნისტები, ცენტრისტები? განა ბოლშევიკები არ აწარმოებდნენ გადამწყვეტ და შეურიგებელ ბრძოლას ყველა ამ მიმდინარეობის წინააღმდეგ? განა ეს მიმდინარეობანი იდეურადაც და ორგანიზაციულადაც არ იყვნენ დაკავშირებულნი დასავლეთის ოპორტუნისტებთან და ცენტრისტებთან? განა ბოლშევიკებმა არ გაანადგურეს ოპორტუნისტები და ცენტრისტები ისე, როგორც არც ერთ მემარცხენე ჯგუფს მსოფლიოში არ გაუნადგურებია ისინი? როგორ შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ ლაპარაკი, რომ ლენინი და ბოლშევიკები სათანადოდ არ აფასებდნენ ცენტრიზმის

საფრთხეს? რატომ უგულებელყო სლუცკიმ ეს ფაქტები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ბოლშევიკების დახასიათებისათვის? რატომ არ გამოიყენა მან ლენინისა და ბოლშევიკების შემოწმების ყველაზე საიმედო მეთოდი — შემოწმება მათი საქმეების, მათი მოქმედების მიხედვით? რატომ ამჯობინა მან შემთხვევით შერჩეულ ქაღალდებში ქექვის უფრო ნაკლებად საიმედო მეთოდი?

იმიტომ, რომ ბოლშევიკების საქმეთა მიხედვით შემოწმების უფრო საიმედო მეთოდის გამოყენება მყისვე ყირამალა დააყენებდა სლუცკის მთელ თვალსაზრისს.

იმიტომ, რომ ბოლშევიკების შემოწმება მათი საქმეების მიხედვით დაგვანახებდა, რომ ბოლშევიკები წარმოადგენენ მსოფლიოში ერთადერთ რევოლუციურ ორგანიზაციას, რომელმაც საბოლოოდ გაანადგურა ოპორტუნისტები და ცენტრისტები და გააძევა ისინი პარტიიდან.

იმიტომ, რომ ბოლშევიკების ნამდვილი საქმეებისა და ნამდვილი ისტორიის დამოწმება დაგვანახებდა, რომ სლუცკის მასწავლებლები — ტროცკისტები — იყვნენ **მთავარი** და **ძირითადი** ჯგუფი, რომელიც რუსეთში ნერგავდა ცენტრიზმს და რომელმაც ამისათვის შექმნა სპეციალური ორგანიზაცია, როგორც ცენტრიზმის კერა, აგვისტოს ბლოკის სახით.

იმიტომ, რომ ბოლშევიკების შემოწმება მათი საქმეების მიხედვით საბოლოოდ ამხელდა სლუცკის, როგორც ჩვენი პარტიის ისტორიის ფალსიფიკატორს, რომელიც ცდილობს ომამდელი პერიოდის ტროცკიზმის ცენტრიზმი დაფაროს ლენინისა და ბოლშევიკებისადმი ცილისმწამებლური ბრალდებების წაყენებით ცენტრიზმის საფრთხის არასათანადოდ შეფასების შესახებ.

აი როგორია, ამხანაგო რედაქტორებო; საქმის ვითარება სლუცკისა და მისი სტატიის ირგვლივ.

თქვენ ხედავთ, რომ რედაქციას შეცდომა მოუვიდა, როდესაც დაუშვა დისკუსია ჩვენი პარტიის ისტორიის ფალსიფიკატორთან.

რამ აიძულა რედაქცია დასდგომოდა ამ არასწორ გზას? ვფიქრობ, რომ ამ გზაზე იგი დააყენა დამპალმა ლიბერალიზმმა, რომელიც ახლა რამდენადმე გავრცელებულია ბოლშევიკების ერთ ნაწილში. ზოგიერთი ბოლშევიკი ფიქრობს, რომ ტროცკიზმი არის კომუნიზმის ფრაქცია, რომელიც, მართალია, ცდება, ბევრ სისულელეს სჩადის, ზოგჯერ ანტისაბჭოთა ფრაქციასაც კი წარმოადგენს, მაგრამ მაინც კომუნიზმის ფრაქციაა. აქედან — ერთგვარი ლიბერალიზმი ტროცკისტებისა და ტროცკისტულად მოაზროვნე ადამიანების მი-

მართ. არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ასეთი შეხედულება ტროცკიზმზე დიდად შემცდარი და მავნე შეხედულებაა. ნამდვილად კი ტროცკიზმი უკვე დიდი ხანია აღარ არის კომუნიზმის ფრაქცია. ნამდვილად კი ტროცკიზმი არის მოწინავე რაზმი „კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისა, რომელიც აწარმოებს ბრძოლას კომუნიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის წინააღმდეგ.

ვინ მისცა კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას სულიერი იარაღი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის თეზისის სახით, ბოლშევიკების გადაგვარების აუცილებლობის თეზისის სახით და სხვ.? ეს იარაღი მისცა მას ტროცკიზმმა. არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ყველა ანტისაბჭოთა დაჯგუფება სსრ კავშირში საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის აუცილებლობის დასაბუთების ცდების დროს ეყრდნობოდა ტროცკიზმის ცნობილ თეზისს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ, საბჭოთა ხელისუფლების გადაგვარების აუცილებლობის შესახებ, კაპიტალიზმისაკენ დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ.

ვინ მისცა კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას სსრ კავშირში ტაქტიკური იარაღი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა გამოსვლების ცდების სახით? ეს იარაღი მას მისცეს ტროცკისტებმა, რომლებიც ცდილობდნენ ანტისაბჭოთა დემონსტრაციების მოწყობას მოსკოვსა და ლენინგრადში 1927 წლის 7 ნოემბერს. ფაქტია, რომ ტროცკისტების ანტისაბჭოთა გამოსვლებმა გააძხნევეს ბურჟუაზია და ხელი შეუწყეს ბურჟუაზიული სპეციალისტების მავნებლური მუშაობის გაშლას.

ვინ მისცა კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას ორგანიზაციული იარაღი ფარული ანტისაბჭოთა ორგანიზაციების მოწყობის ცდების სახით? ეს იარაღი მას მისცეს ტროცკისტებმა, რომლებმაც მოაწყეს თავიანთი საკუთარი „ანტიბოლშევიკური არალეგალური ჯგუფი. ფაქტია, რომ ტროცკისტების არალეგალურმა ანტისაბჭოთა მუშაობამ გააადვილა ანტისაბჭოთა დაჯგუფებათა ორგანიზაციული ჩამოყალიბება სსრ კავშირში.

ტროცკიზმი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმია.

აი რატომ არის ლიბერალიზმი ტროცკიზმის, თუნდაც დამარცხებული და ნიღაბაფარებული ტროცკიზმის, მიმართ — უთავგზურობა,

რომელიც ესაზღვრება ბოროტმოქმედებას, მუშათა კლასისადმი ღალატს.

აი რატომ უნდა გაუწიონ ბოლშევიკებმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა ზოგიერთი «ლიტერატორისა» და «ისტორიკოსის» ცდებს — შეაპარონ კონტრაბანდად ჩვენს ლიტერატურაში შენიღბული ტროცკისტული ნაგავი.

აი რატომ არ შეიძლება ლიტერატურული დისკუსიის დაშვება ტროცკისტ კონტრაბანდისტებთან.

მე მგონია, «ისტორიკოსები» და «ლიტერატორები» ტროცკისტ კონტრაბანდისტთა წრიდან ჯერჯერობით ორი ხაზით ცდილობენ თავიანთი კონტრაბანდისტული მუშაობის გატარებას.

ჯერ-ერთი, ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ლენინი ომისწინა პერიოდში სათანადოდ არ აფასებდა ცენტრიზმის საფრთხეს, ამასთან გამოუცდელ მკითხველს ანდობენ თვითონ მიხვდეს, რომ, ლენინი, მაშასადამე, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ნამდვილი რევოლუციონერი, რომ იგი ნამდვილი რევოლუციონერი გახდა მხოლოდ ომის შემდეგ, მას შემდეგ, როცა «ხელახლა შეიარაღდა» ტროცკის დახმარებით. ასეთი კონტრაბანდისტების ტიპიურ წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს სლუცკი. ჩვენ დავინახეთ ზემოთ, რომ სლუცკი და კომპანია არ ღირან იმად, რომ დიდხანს შევჩერდეთ მათზე.

მეორეც, ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ლენინს ომისწინა პერიოდში არ ესმოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის აუცილებლობა, ამასთან გამოუცდელ მკითხველს ანდობენ თვითონ მიხვდეს, რომ ლენინი, მაშასადამე, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ნამდვილი ბოლშევიკი, რომ მან ასეთი გადაზრდის აუცილებლობა შეიგნო მხოლოდ ომის შემდეგ, მას შემდეგ, როცა იგი «ხელახლა შეიარაღდა» ტროცკის დახმარებით. ასეთი კონტრაბანდისტების ტიპიურ წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს ვოლოსევიჩი, «საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კურსის» ავტორი. მართალია, ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს წერდა, **რომ «დემოკრატიული რევოლუციიდან ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას, და სწორედ ჩვენი ძალის მიხედვით, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძალის მიხედვით, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე»**, რომ **«ჩვენ მხარს ვუჭერთ განუწყვეტელ რევოლუციას»**, **რომ «ჩვენ არ შევჩერდებით შუა გზაზე»**. მართალია, ლენინის თხზულებებში შეიძლება მრავალზე უმრავლესი ანალოგიური ხასიათის ფაქტებისა და დოკუ-

შენტების მონახვა. მაგრამ რაში უნდათ ვოლოსევიჩებს ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფაქტები? ვოლოსევიჩები წერენ იმისათვის, რომ ბოლშევიკური ნიღაბის აფარებით შემოგვაპარონ თავიანთი ანტილენინური კონტრაბანდა, იცრუონ ბოლშევიკების შესახებ და გააყალბონ ბოლშევიკური პარტიის ისტორია.

თქვენ ხედავთ, რომ ვოლოსევიჩები არ ჩამოუვარდებიან სლუცკებს.

ასეთია ტროცკისტი კონტრაბანდისტების «გზები და გზაჯვარედინები».

თვითონ ხედავთ, რომ რედაქციის საქმე არ არის ასეთ «ისტორიკოსებს» გაუადვილოს კონტრაბანდისტული მუშაობა სადისკუსიო ტრიბუნის დათმობით.

ჩემი აზრით, რედაქციის ამოცანა ის არის, რომ სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები, მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე დააყენოს ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე და გაამახვილოს ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტ და ყველა სხვა ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ. სისტემატურად ჩამოჰგლიჯოს მათ ნიღაბი.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსიც კი, — მე ვლაპარაკობ ისტორიკოსებზე უბრალოდ, ჩვენი პარტიის ბოლშევიკურ ისტორიკოსებზე, — არ არის თავისუფალი იმ შეცდომებისაგან, რომლებიც სლუცკებისა და ვოლოსევიჩების წისქვილზე უშვებენ წყალს. სამწუხაროდ, აქ გამონაკლისს არ შეადგენს არც ამხ. იაროსლავსკი, რომლის წიგნები საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შესახებ, მიუხედავად მათი ღირსებისა, მთელ რიგ პრინციპული და ისტორიული ხასიათის შეცდომებს შეიცავენ.

კომ. სალამით **ი. სტალინი**

«პროლეტარსკაია რევოლუცია»
№ 6 (113), 1931 წ.

პირველი ხუთწლედის შედეგები

მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წ. 7 იანვარს

I

ხუთწლედის საერთაშორისო მნიშვნელობა

ამხანაგებო! როცა ხუთწლიანი გეგმა გაჩნდა, ძნელად თუ იფიქრებდნენ ადამიანები, რომ ხუთწლედს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ექნებოდა. პირიქით, ბევრი ფიქრობდა, რომ ხუთწლედი არის საბჭოთა კავშირის კერძო საქმე, საქმე მნიშვნელოვანი და სერიოზული, მაგრამ მაინც საბჭოთა კავშირის კერძო, ნაციონალური საქმე.

მაგრამ ისტორიამ ცხადყო, რომ ხუთწლედის საერთაშორისო მნიშვნელობა განუზომელია. ისტორიამ ცხადყო, რომ ხუთწლედი წარმოადგენს არა საბჭოთა კავშირის კერძო საქმეს, არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეს.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ხუთწლიანი გეგმის გაჩენამდე, იმ პერიოდში, როცა ჩვენ ვამთავრებდით ბრძოლას ინტერვენტებთან და გადავდიოდით სამეურნეო მშენებლობის რელსებზე, — ჯერ კიდევ ამ პერიოდში ლენინი ამბობდა, რომ ჩვენს სამეურნეო მშენებლობას ღრმა საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამეურნეო მშენებლობის გზაზე წინ გადადგმული თვითეული ნაბიჯი ღრმა გამოხმაურებას პოულობს კაპიტალისტური ქვეყნების სულ სხვადასხვა ფენებში და ორ ბანაკად ყოფს ადამიანებს — პროლეტარული რევოლუციის მომხრეთა ბანაკად და მის მოწინააღმდეგეთა ბანაკად.

ლენინი მაშინ ამბობდა:

«ამჟამად მთავარ ზეგავლენას საერთაშორისო რევოლუციაზე ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შემოსცქერის ყველა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა მშრომელი, სრულიად უკლებლივ და სრულიად გაუზვიადებლად. ეს მიღწეულია... ამ ასპარეზზე ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით

წარმოებს. გადავწყვეტთ ამ ამოცანას — და მაშინ უეჭველად და საბოლოოდ ვიმარჯვებთ საერთაშორისო მასშტაბით. ამიტომ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს ჩვენთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ ფრონტზე ჩვენ გამარჯვება უნდა მოვიპოვოთ ნელი, თანდათანობითი, — ჩქარით არ შეიძლება, — მაგრამ განუხრელი აღმავლობითა და წინსვლით» (იხ. ტ. XXVI, გვ. 410 — 411).

ეს ნათქვამი იყო იმ პერიოდში, როცა ჩვენ ვამთავრებდით ომს ინტერვენტებთან, როცა კაპიტალიზმთან სამხედრო ბრძოლიდან გადავდიოდით სამეურნეო ფრონტზე ბრძოლისაკენ, სამეურნეო მშენებლობის პერიოდისაკენ.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, და საბჭოთა ხელისუფლების თვითეული ნაბიჯი სამეურნეო მშენებლობის დარგში, თვითეული წელი, თვითეული კვარტალი ბრწყინვალედ ადასტურებდნენ ამხ. ლენინის ამ სიტყვების სისწორეს.

მაგრამ ლენინის სიტყვების სისწორის ყველაზე ბრწყინვალე დადასტურება მოგვცა ჩვენი მშენებლობის ხუთწლიანმა გეგმამ, ამ გეგმის წარმოშობამ, მისმა განვითარებამ, მისმა განხორციელებამ. მართლაც, მგონი, არც ერთ ნაბიჯს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის გზაზე არ გამოუწვევია ისეთი გამოხმაურება ევროპის, ამერიკის, აზიის კაპიტალისტური ქვეყნების სულ სხვადასხვა ფენებში, როგორიც გამოიწვია ხუთწლიანი გეგმის, მისი განვითარების, მისი განხორციელების საკითხმა.

პირველ ხანებში ხუთწლიან გეგმას დაცინვით შეხვდნენ ბურჟუაზია და მისი პრესა. «ფანტაზია», «ბოდვა», «უტოპია», — ასე მონათლეს მაშინ მათ ჩვენი ხუთწლიანი გეგმა. შემდეგ, როცა აშკარავდებოდა, რომ ხუთწლიანი გეგმის განხორციელება რეალურ შედეგებს იძლევა, — მათ ატეხეს განგაში, ამტკიცებდნენ რა, რომ ხუთწლიანი გეგმა ემუქრება კაპიტალისტური ქვეყნების არსებობას, რომ მისი განხორციელება გამოიწვევს ევროპის ბაზრების ავსებას საქონლით, დემპინგის გაძლიერებას და უმუშევრობის გაღრმავებას. შემდეგ, როცა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოყენებულმა ამ ოინმაც ვერ გამოიღო მოსალოდნელი შედეგები, — დაიწყო სხვადასხვაგვარი ფირმების, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების, სხვადასხვა ჯურის საზოგადოებათა და სხვ. ყოველგვარი წარმომადგენლების მოგზაურობათა სერია სსრ კავშირში იმ მიზნით, რომ საკუთარი თვალით დაენახათ, — თუ რა ხდება ნამდვილად სსრ კავშირში. მე აქ არ ვლაპარაკობ მუშათა დელეგაციებზე, რომელნიც ხუთწლიანი გეგმის გაჩენისთანავე აღტაცებას გამოთქვამდნენ საბჭოთა ხელისუფლების თაოსნობისა და წარმატებათა გამო და

გამოხატავდნენ მზადყოფნას მხარი დაეჭირათ სსრ კავშირის მუშათა კლასისათვის.

სწორედ ამ დროიდან დაიწყო ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი აზრის, ბურჟუაზიული პრესის, სხვადასხვაგვარ ბურჟუაზიულ საზოგადოებათა და სხვ. განხეთქილება. ერთნი ამტკიცებდნენ — ხუთწლიანმა გეგმამ სრული კრახი განიცადა და ბოლშევიკები დაღუპვის პირას დგანანო. სხვები, პირიქით, ირწმუნებოდნენ — თუმცა ბოლშევიკები საძაგელი ადამიანები არიან, მაგრამ მაინც მათი ხუთწლიანი გეგმით საქმე კეთდება და ისინი, ალბათ, მიაღწევენ თავიანთ მიზანსო.

შეიძლება ზედმეტი არ იქნება, თუ მოვიყვან ბურჟუაზიული პრესის სხვადასხვა ორგანოთა აზრს.

ავიღოთ, მაგალითად, ამერიკული გაზეთი «ნიუ-იორკ ტაიმსი». 1932 წლის ნოემბრის დამლევს ეს გაზეთი წერს:

«ხუთწლიანი სამრეწველო გეგმა, რომელმაც მიზნად დაისახა ბრძოლის გამოცხადება პროპორციის გრძნობისათვის და რომელიც თავისი მიზნისაკენ მიისწრაფის «დამოუკიდებლად ხარჯებისა», როგორც ხშირად სიამაყით თავს იწონებდა მოსკოვი, — ნამდვილად არ წარმოადგენს გეგმას. ეს სპეკულაციაა».

გამოდის, რომ ხუთწლედი გეგმაც კი არ არის, არამედ ცარიელი სპეკულაციაა. აი კიდევ ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთის «დეილი ტელეგრაფის» აზრი, რომელიც გამოთქმულია 1932 წლის ნოემბრის დამლევს:

«თუ გეგმას განვიხილავთ, როგორც გამოცდას «დაგეგმილი ეკონომიკისათვის», მაშინ უნდა ვთქვათ, რომ მან სრული კრახი განიცადა».

«ნიუ-იორკ ტაიმსის» აზრი, 1932 წლის ნოემბერს:

«კოლექტივიზაცია სამარცხვინოდ ჩაიშალა. მან შიმშილის პირას მიიყვანა რუსეთი».

პოლონეთის ბურჟუაზიული გაზეთის «გაზეტა პოლსკას» აზრი, გამოთქმული 1932 წლის ზაფხულში:

«მდგომარეობა, თითქოს, გვიჩვენებს, რომ საბჭოების მთავრობა სოფლის კოლექტივიზაციის პოლიტიკით ჩიხში მოექცა».

ინგლისის ბურჟუაზიული გაზეთის «ფინანშიელ ტაიმსის» აზრი, გამოთქმული 1932 წლის ნოემბერში:

«სტალინი და მისი პარტია, თავიანთი პოლიტიკის შედეგად, დგანან ხუთწლიანი გეგმის სისტემის კრახისა და ყველა იმ ამოცანის ჩაშლის წინაშე, რომლებიც ამ გეგმას უნდა განეხორციელებინა».

იტალიური ჟურნალის «პოლიტიკას» აზრი:

«აბსურდი იქნებოდა გვეფიქრა, რომ 160 მილიონი კაცისაგან შემდგარი ხალხის ოთხი წლის მუშაობას, ეკონომიური და პოლიტიკური ძალების ზეადამიანურ დაჭიმვას ოთხი წლის განმავლობაში ისეთი ძალის მქონე რეჟიმის მხრივ, როგორსაც წარმოადგენს ბოლშევიკური რეჟიმი, არაფერი არ შეუქმნია. პირიქით, მათ ბევრი რამ შექმნეს... და მიუხედავად ამისა, კატასტროფა მაინც თვალწინ არის, იგი ყველასათვის აშკარა ფაქტია. ამაში დარწმუნდნენ მეგობრები და მტრები, ბოლშევიკები და ანტიბოლშევიკები, ოპოზიციონერები მარჯვნიდან და მარცხნიდან».

ბოლოს, ამერიკული ბურჟუაზიული ჟურნალის «კერენტ ისტორის» აზრი:

«ამრიგად, რუსეთში საქმის ახლანდელი მდგომარეობის მიმოხილვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ხუთწლიანი პროგრამა ჩაიშალა როგორც დასახული მიზნების მხრივ, ისე უფრო საფუძვლიანად თავისი ძირითადი სოციალური პრინციპების მხრივ».

ასეთია ბურჟუაზიული პრესის ერთი ნაწილის აზრი.

არა გვგონია ღირდეს ამ დახასიათებათა ავტორების გაკრიტიკება. მე ვფიქრობ, რომ არა ღირს. არა ღირს, რადგან ეს «შუბლმაგარი» ადამიანები ეკუთვნიან საშუალო საუკუნეთა პერიოდის იმ ამონათხარ ცხოველთა ჯიშს, რომელთათვისაც ფაქტებს მნიშვნელობა არა აქვს და რომელნიც, — როგორც არ უნდა ხორციელდებოდეს ჩვენში ხუთწლიანი გეგმა, — სულ ერთია, თავისას იტყვიან.

გადავიდეთ პრესის სხვა ორგანოების აზრზე, რომელიც იმავე ბურჟუაზიული ბანაკიდან მომდინარეობს.

აი ცნობილი ფრანგული ბურჟუაზიული გაზეთის «ტანის» აზრი, გამოთქმული 1932 წლის იანვარში:

«სსრ კავშირმა მოიგო პირველი ტური, ახორციელებს რა ინდუსტრიალიზაციას უცხოეთის კაპიტალის დაუხმარებლად».

იმავე «ტანის» აზრი, გამოთქმული 1932 წლის ზაფხულში:

«კომუნიზმი გიგანტური ტემპებით ამთავრებს რეკონსტრუქციას, იმ დროს, როცა კაპიტალისტური წყობილება მხოლოდ ნელი ნაბიჯით წინსვლის საშუალებას იძლევა... საფრანგეთში, სადაც მიწის საკუთრება დაუსრულებლივ დაყოფილია ცალკე მესაკუთრეებს შორის, შეუძლებელია სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; საბჭოებმა კი, რომელნიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას, შესძლეს პრობლემის გადაჭრა... ჩვენთან შეჯიბრებაში ბოლშევიკები გამარჯვებულნი აღმოჩნდნენ».

ინგლისური ბურჟუაზიული ჟურნალის «რაუნდ ტეიბლის» აზრი:

«ხუთწლიანი გეგმის მიღწევები გასაოცარ მოვლენას წარმოადგენენ. სატრაქტორო ქარხნები ხარკოვსა და სტალინგრადში, «ამოს» საავტომობილო ქარხანა მოსკოვში, საავტომობილო ქარხანა ნიჟნი-ნოვგოროდში, დნეპრის ჰიდროელექტროსადგუ-

რი, ლითონის ჩამომსხმელი გრანდიოზული ქარხნები მაგნიტოგორსკსა და კუზნეცკში, მანქანათმშენებელი და ქიმიური ქარხნების მთელი ქსელი ურალზე, რომელიც საბჭოთა რურად იქცევა, — ყოველივე ეს და სხვა სამრეწველო მიღწევები მთელ ქვეყანაში მოწმობენ, რომ, რანაირი სიძნელეებიც უნდა იყოს, საბჭოთა მრეწველობა იზრდება და მაგრდება, როგორც მცენარე, რომელსაც კარგად რწყავენ... ხუთწლიანმა გეგმამ საფუძველი ჩაუყარა მომავალ განვითარებას და უაღრესად გაადიდა სსრ კავშირის სიმძლავრე».

ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთის «ფინანშიელ ტაიმსის» აზრი:

«მანქანათმშენებელ მრეწველობაში მიღწეული წარმატებანი ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ამ წარმატებათა ხოტბა პრესაში და სიტყვებში სრულიადაც არ არის უსაფუძვლო. არ უნდა დავიიწყოთ, რომ წინათ რუსეთი ამზადებდა მხოლოდ ყველაზე მარტივ მანქანებსა და იარაღებს. მართალია, ახლაც მანქანებისა და ინსტრუმენტების შეზიდვის აბსოლუტური ციფრები იზრდება; მაგრამ შეზიდული მანქანების პროპორციული წილი იმ მანქანებთან შედარებით, რომლებიც დამზადდა თვით სსრ კავშირში, განუწყვეტლივ მცირდება. სსრ კავშირი ამჟამად ამზადებს მთელ მოწყობილობას, რომელიც საჭიროა მისი მეტალურგიული და ელექტრო-მრეწველობისათვის. მან შესძლო საკუთარი საავტომობილო მრეწველობის შექმნა. მან შექმნა იარაღებისა და ინსტრუმენტების წარმოება, რომელიც მოიცავს მთელ გამას, დაწყებული დიდი სიზუსტის ყველაზე მცირე ინსტრუმენტებით და გათავებული უმძიმესი წნეხებით. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, სსრ კავშირი უკვე აღარ არის დამოკიდებული მათს უცხოეთიდან შემოზიდვაზე. ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობა ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ ქვანახშირისა და რკინის პროდუქციის მიწოდების დაგვიანებამ ხელი არ შეუშალოს ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებას. ეჭვს გარეშეა, რომ ახლად აგებული უდიდესი ქარხნები უზრუნველყოფენ მძიმე მრეწველობის პროდუქციის მნიშვნელოვან ზრდას».

ავსტრიის ბურჟუაზიული გაზეთის «ნეიე ფრეიე პრესეს» აზრი, გამოთქმული 1932 წლის დამდეგს:

«შეიძლება ბოლშევიზმი შეაჩვენო, მაგრამ საჭიროა მისი ცოდნა. ხუთწლედი — ეს ახალი ბუმბერაზია, რომელიც მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში და, ყოველ შემთხვევაში, სამეურნეო ანგარიშში».

ინგლისელი კაპიტალისტის, «იუნაიტედ დომინიონის» ბანკის თავმჯდომარის, ჰიბსონ ჯარვის აზრი, გამოთქმული 1932 წლის ოქტომბერში:

«მე მინდა განვმარტო, რომ არა ვარ კომუნისტი და ბოლშევიკი, — მე ვარ აშკარა კაპიტალისტი და ინდივიდუალისტი... რუსეთი წინ მიდის, იმ დროს, როცა ფრიად ბევრი ჩვენი ქარხანა უმოქმედოდ დგას, და დაახლოებით 3 მილიონი ჩვენი მოქალაქე სასოწარკვეთილი დაეძებს სამუშაოს. ხუთწლედს დასცინოდნენ და წინასწარმეტყველებდნენ მის ჩაშლას. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ უეჭველად ჩათვალოთ, რომ ხუთწლიანი გეგმის პირობებში გაკეთდა უფრო მეტი, ვიდრე დასახული იყო... ყველა სამრეწველო ქალაქში, რომლებიც კი მე ვინახულე, იქმნება

ახალი რაიონები, აგებული განსაზღვრული გეგმის მიხედვით, ფართო, ხეებითა და სკვერებით მორთული ქუჩებით, უველაზე უფრო თანამედროვე ტიპის სახლებით, სკოლებით, საავადმყოფოებით, მუშათა კლუბებით და აუცილებელი საბავშვო ბაღებით და საბავშვო სახლებით, სადაც ზრუნავენ მომუშავე დედების ბავშვებზე... ნუ ცდილობთ არასაკმაოდ შეაფასოთ რუსეთის გეგმები და ნუ სჩადიხართ შეცდომას იმ იმედით, რომ საბჭოთა მთავრობა შეიძლება დამარცხდეს... დღევანდელი რუსეთი არის ქვეყანა სულით და იდეალით. რუსეთი განსაცვიფრებელი აქტივობის ქვეყანაა. მე მწამს, რომ რუსეთის მისწრაფებანი ჯანსაღია... შეიძლება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს ის, რომ რუსეთის მთელ ახალგაზრდობას და მუშებს აქეთ ერთი რამ, რაც, სამწუხაროდ, დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებს აკლიათ, სახელდობრ — იმედი».

ამერიკული ბურჟუაზიული ჟურნალის «ნეიშენის» აზრი, გამოთქმული 1932 წლის ნოემბერში:

«ხუთწლიანი გეგმის ოთხმა წელმა ჭეშმარიტად შესანიშნავი მიღწევები დაგვანახა. საბჭოთა კავშირი ომის დროის ინტენსივობით მუშაობდა ახალი ცხოვრების საფუძველთა აგების შემოქმედებითი ამოცანის გადასაჭრელად. ამ ქვეყნის სახე პირდაპირ ისე იცვლება, რომ მას ვეღარ იცნობ... ეს მართალია მოსკოვის მიმართ. შისი მრავალი ასეული ახლად მოასფალტებული ქუჩებით და სკვერებით, ახალი შენობებით, ახალი განაპირა უბნებით და ახალი ფაბრიკების კორდონით მის გარეუბნებში. ეს მართალია აგრეთვე უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ქალაქების შიმართ. ახალი ქალაქები წარმოიშვნენ ველებზე და უდაბნოებში, რაღაც რამდენიმე ქალაქი კი არა, არამედ, სულ ცოტა, 50 ქალაქი, მოსახლეობით 50-დან 250 ათას კაცამდე. ყველა ისინი აღმოცენდნენ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, ყოველი მათგანი წარმოადგენს ახალი საწარმოს ან მთელ რიგ საწარმოთა ცენტრს, რომლებიც აგებული არიან ბუნებრივი რესურსების დასამუშავებლად. ასეული ახალი რაიონული ელექტროსადგურები და მთელი რიგი გიგანტები, დნეპრშენის მსგავსად, თანდათან ხორცს ასხამენ ლენინის ფორმულას: «სოციალიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს ელექტროფიკაცია»... საბჭოთა კავშირმა მოაწყო ეთვალაეი ისეთი საგნების მასობრივი წარმოება, რომლებსაც რუსეთი წინათ არასოდეს არ ამზადებდა: ტრაქტორების, კომბაინების, მაღალხარისხოვანი ფოლადის, სინთეტიკური კაუჩუკის, ბურთობსაკისურების, მძლავრი დიზელების, 50 000-კილოვატიანი ტურბინების, სატელეფონო მოწყობილობის, ელექტრომანქანებისა სამთო შრეწველობისათვის, აეროპლანების, ავტომობილების, ველოსიპედების და რამდენიმე ასეული ტიპის ახალი მანქანებისა... პირველად ისტორიაში რუსეთმა მოაწყო ალუმინის, მაგნეზიტის, აპატიტების, იოდის, პოტასიუმისა და მრავალი სხვა ძვირფასი პროდუქტის მოპოვება. საბჭოთა ველების გზისმაჩვენებელ წერტილებს უკვე წარმოადგენენ არა ბელსიის დიდი ჯვრები და გუშმათები, არამედ მარცვლეულის ელევატორები და სახალოსე კოშკები. კოლმეურნეობები აშენებენ სახლებს, ბოსლებს, საღორეებს. ელექტრობა იჭრება სოფლად; რადიომ და გაზეთმა დაიპყრეს სოფელი. მუშები სწავლობენ უახლეს მანქანებზე მუშაობას. ახალგაზრდა გლეხები ამზადებენ და მომსახურებას უწევენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რომლებიც უფრო დიდი და რთულია, ვიდრე ის, რაც ოდესმე უნახავს ამერიკას. რუსეთი იწყებს «მანქანებით აზროვნებას». რუსეთი ხის საუკუნიდან სწრაფად გადადის რკინის, ფოლადის, ბეტონისა და მოტორების საუკუნეზე».

ინგლისური «მემარცხენე»-რეფორმისტული ჟურნალის «ფორვარდის» აზრი, გამოთქმული 1932 წლის სექტემბერში.

«თვალში გეცემა ის უდიდესი მუშაობა, რომელიც სსრ კავშირში წარმოებს. ახალი ქარხნები, ახალი სკოლები, ახალი კინოები, ახალი კლუბები, ყველაფერი ახალი სახლები, — ყველგან ახალი ნაგებობანი. ბევრი მათგანი უკვე დამთავრებულია, ბევრი მათგანი ჯერ კიდევ გარშემორტყმულია ხარაჩოებით. ძნელია უამბო ინგლისელ მკითხველს, თუ რა გაკეთდა ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში და რა კეთდება შემდგომ. საჭიროა ნახო ყველაფერი ეს, რომ დაიჯერო. ჩვენი საკუთარი მიღწევები, რაც ჩვენს მიერ განხორციელებულია ომის დროს, — არაფერია იმასთან შედარებით, რაც კეთდება სსრ კავშირში. ამერიკელები აღიარებენ, რომ იქ პერიოდშიც კი, როცა დასავლეთის შტატებში ყველაზე მძაფრი აღმშენებლობითი მუშაობა იყო, მსგავსიც კი არ ყოფილა იმ გაცხოველებული შემოქმედებითი საქმიანობისა, რაც ახლა სსრ კავშირში ხდება. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სსრ კავშირში მოხდა იმდენად ბევრი ცვლილება, რომ ველარ წარმოგიდგენია, თუ რა იქნება ამ ქვეყანაში კიდევ 10 წლის შემდეგ... უკუაგდეთ ფანტასტიკური საშინელი ამბები, რასაც მოგითხრობენ თქვენ ინგლისური გაზეთები, რომლებიც ასე დაჟინებით და სულელურად ტყუიან სსრ კავშირის შესახებ. უკუაგდეთ აგრეთვე გაუგებლობაზე დამყარებული ორპოფული სიმართლე და შთაბეჭდილებები, გავრცელებული იმ მოდილეტანტო ინტელიგენტების მიერ, რომლებიც მფარველობით უყურებენ სსრ კავშირს საშუალო კლასის სათვალეებით, მაგრამ რომელთაც ოდნავი წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, თუ რა ხდება იქ... სსრ კავშირი აშენებს ახალ საზოგადოებას ჯანსაღ საფუძველზე. ეს მიზანი რომ განახორციელო, საჭიროა გასწიო რისკი, იმუშაო ენთუზიაზმით და ისეთი ენერგიით, რომელიც დღემდე უმაგალითოა მსოფლიოსათვის, უნდა ეგრძოლო უდიდეს სიძნელეებს, რაც აუცილებელია დანარჩენი მსოფლიოსაგან განცალკევებულ უზარმაზარ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისაკენ მისწრაფების დროს. მაგრამ როცა ეს ქვეყანა მეორედ ჭნახე ორი წლის განმავლობაში, ისეთი შთაბეჭდილება მიეიღე, რომ იგი მიდის მტკიცე პროგრესის გზით, გეგმავს, ქმნის, აშენებს, და ყოველივე ამას იგი აკეთებს ისეთი მასშტაბით, რომელიც წარმოადგენს მკვეთრ გამოწვევას მტრულად განწყობილი კაპიტალისტური სამყაროს მიმართ».

ასეთია აზრთა სხვადასხვაობა და განხეთქილება ბურჟუაზიული წრეების ბანაკში, რომელთაგან ერთნი მხარს უჭერენ სსრ კავშირის მოსპობას, მისი ვითომდა ჩაფუშული ხუთწლიანი გეგმით, ხოლო სხვები, როგორც ჩანს, მომხრე არიან სსრ კავშირთან სავაჭრო თანამშრომლობისა, ალბათ იმ ანგარიშით, რომ ხუთწლიანი გეგმის წარმატებებიდან თავისთვის ერთგვარი სარგებლობა ნახონ.

განსაკუთრებით დგას საკითხი, თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი ხუთწლიანი გეგმის საკითხისადმი, სსრ კავშირის სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა საკითხისადმი. შეიძლებოდა აქ დავკმაყოფილებულიყავით ერთი იმ მრავალრიცხოვანი მუშათა დელეგაციათაგანის, თუნდაც, მაგალითად, ბელგიის მუშათა დელეგაციის, აზრის მოყ-

ვანით, რომლებიც ყოველ წელიწადს ჩამოდიან სსრ კავშირში. ეს აზრი ტიპიურია უკლებლივ ყველა მუშათა დელეგაციისათვის, სულ ერთია, ლაპარაკია ინგლისისა თუ საფრანგეთის დელეგაციებზე, გერმანიისა თუ ამერიკის ან სხვა ქვეყნების დელეგაციებზე. აი ეს აზრი:

«ჩვენ აღტაცებული ვართ იმ უდიდესი მშენებლობით, რომელიც ენახეთ ჩვენი მოგზაურობის დროს. მოსკოვში, ისე როგორც მაკეევკაში, გორლოვკაში, ხარკოვში და ლენინგრადში, ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისა, თუ რა ენთუზიაზმით მუშაობენ იქ. ყველა მანქანა უახლესი კონსტრუქციისაა. ქარხნებში სისუფთავე, ბევრი ჰაერი და სინათლეა. ჩვენ ვნახეთ, თუ მუშებს სსრ კავშირში როგორ უწევენ საექიმო და სანიტარულ დახმარებას. მუშათა საცხოვრებელი სახლები აშენებულია ქარხნების მახლობლად. მუშათა ქალაქებში მოწყობილია სკოლები და ბაგები; უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ბავშვებისადმი. ჩვენ ვნახეთ, თუ რა განსხვავებაა ძველ და ახლად აგებულ ქარხნებს შორის, ძველ და ახალ საცხოვრებელ სახლებს შორის. ყველაფერმა ჩვენ მიერ ნახულმა მოგვცა ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა უდიდესი ძალა აქვთ მშრომელებს, რომლებიც, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ახალ საზოგადოებას აშენებენ. ჩვენ ვნახეთ სსრ კავშირში დიდი კულტურული აღმავლობა, იმ დროს, როცა სხვა ქვეყნებში გამეფებულია დაცემა ყველა დარგში, გამეფებულია უმუშევრობა. ჩვენ ვნახეთ, თუ რა საშინელ სიძნელეებს ხვდებიან საბჭოთა კავშირის მშრომელები თავიანთ გზაზე. ჩვენ მით უფრო მეტად გვესმის მათი სიმაყე, რომლითაც ისინი თავიანთ გამარჯვებებს გვიჩვენებენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი გადალახავენ ყველა დაბრკოლებას».

აი ხუთწლედის საერთაშორისო მნიშვნელობა. საკმაო იყო ჩაგვეტარებინა სააღმშენებლო მუშაობა რაღაც ორი-სამი წლის განმავლობაში, საკმაო იყო გვეჩვენებინა ხუთწლედის პირველი წარმატებანი, რომ მთელი მსოფლიო გაყოფილიყო ორ ბანაკად, ისეთი ადამიანების ბანაკად, რომლებიც დაუღალავად გვიყეფენ ჩვენ, და ისეთი ადამიანებისა, რომლებიც განცვიფრებული არიან ხუთწლედის წარმატებებით, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ არის და ძლიერდება ჩვენი საკუთარი ბანაკი მთელ მსოფლიოში, — კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ბანაკი, რომელსაც ახარებს სსრ კავშირის მუშათა კლასის წარმატებანი და რომელიც მზად არის აღმოუჩინოს მას დახმარება მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის თავზარდასაცემად.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, რომ ხუთწლედის საერთაშორისო მნიშვნელობა, მის წარმატებათა და მონაპოვართა საერთაშორისო მნიშვნელობა ყოველ ეჭვს გარეშეა.

ეს ნიშნავს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს მოელის პროლეტარული რევოლუცია, და სწორედ იმიტომ, რომ მათ მოელის პრო-

ლეტარული რევოლუცია, ბურჟუაზიას სურს ხუთწლედის მარცხში იპოვოს ახალი არგუმენტი რევოლუციის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც პროლეტარიატი, პირიქით, ცდილობს იპოვოს და ნამდვილად პოულობს ხუთწლედის წარმატებებში ახალ არგუმენტს რევოლუციის სასარგებლოდ, მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ხუთწლედის წარმატებანი რაზმავენ ყველა ქვეყნის მუშათა კლასის რევოლუციურ ძალებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ, — ასეთია უდავო ფაქტი.

არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ ხუთწლედის საერთაშორისო რევოლუციური მნიშვნელობა მართლაც განუზომელია.

მით უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ საკითხს ხუთწლედის შესახებ, ხუთწლედის შინაარსის შესახებ, ხუთწლედის ძირითადი ამოცანების შესახებ.

მით უფრო მეტი გულმოდგინებით უნდა გავუკეთოთ ანალიზი ხუთწლედის შედეგებს, ხუთწლიანი გეგმის შესრულებისა და განხორციელების შედეგებს.

II

ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა და მისი განხორციელების გზა

გადავიდეთ ხუთწლიანი გეგმის საკითხზე არსებითად.

რა არის ხუთწლიანი გეგმა?

რა იყო ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა?

ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იყო ის, რომ ჩვენი ქვეყანა, თავისი ჩამორჩენილი, ხშირად შუასაუკუნეობრივი ტექნიკით, გადაგვეყვანა ახალი, თანამედროვე ტექნიკის რელსებზე.

ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იყო ის, რომ სსრ კავშირი აგრარული და უძლური, კაპიტალისტური ქვეყნების კაპრიზებზე დამოკიდებული ქვეყნიდან გადაქცეულიყო ინდუსტრიულ და მძლავრ ქვეყნად, საკუთარ თავზე დამოკიდებულ ქვეყნად.

ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იყო ის, რომ, გადავაქცევდით რა სსრ კავშირს ინდუსტრიულ ქვეყნად, საბოლოოდ გაგვეფანა კაპიტალისტური ელემენტები, გაგვეფართოებინა მეურნეობის სოციალისტური ფორმების ფრონტი და შეგვექმნა ეკონომიური ბაზა სსრ კავშირში კლასების მოსპობისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იყო ის, რომ შეგვექმნა ჩვენს ქვეყანაში ისეთი ინდუსტრია, რომელიც შესძლებდა ხელახლა შეე-

ფარაღებინა და გარდაექმნა არა მარტო მრეწველობა მთლიანად, არამედ ტრანსპორტიცა და სოფლის მეურნეობაც — სოციალიზმის ბაზაზე.

ხუთწლედის ძირითადი ამოცანა იყო ის, რომ გადაგვეყვანა წვრილი და დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობა მსხვილი კოლექტიური მეურნეობის რელსებზე, უზრუნველგვეყო ამით სოციალიზმის ეკონომიური ბაზა სოფლად და, ამრიგად, მოგვესპო სსრ კავშირში კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობა.

ბოლოს, ხუთწლიანი გეგმის ამოცანა იყო ის, რომ შეგვექმნა ჩვენს ქვეყანაში ყველა საჭირო ტექნიკური და ეკონომიური წანამძღვარი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მაქსიმალური გაძლიერებისათვის, რაც საშუალებას იძლევა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გავუწიოთ სამხედრო ინტერვენციის ყველა და ყოველგვარ ცდას გარედან, სამხედრო თავდასხმის ყველა და ყოველგვარ ცდას გარედან.

რით იყო ნაკარნახევი ხუთწლედის ეს ძირითადი ამოცანა, რით იყო იგი დასაბუთებული?

საბჭოთა კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საჭიროებით, ჩამორჩენილობისა, რომელიც მას არასახარბიელო არსებობას უქმნიდა, ჩვენს ქვეყანაში ისეთ წანამძღვართა შექმნის საჭიროებით, რომელნიც მას საშუალებას მისცემდნენ არა მარტო დასწეოდა ტექნიკურ-ეკონომიური მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, არამედ, დროთა განმავლობაში, კიდევაც გაესწრო მათთვის.

იმ მოსაზრებით, რომ საბჭოთა ძალაუფლებას არ შეუძლია დიდხანს გასძლოს ჩამორჩენილი მრეწველობის ბაზაზე, რომ მხოლოდ თანამედროვე მსხვილი მრეწველობა, რომელიც არა თუ არ ჩამოუვარდება, არამედ დროთა განმავლობაში გადააჭარბებს კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობას, — შეიძლება იყოს ნამდვილი და საიმედო საძირკველი საბჭოთა ძალაუფლებისათვის.

იმ მოსაზრებით, რომ საბჭოთა ძალაუფლებას არ შეუძლია ხანგრძლივად დაეყრდნოს ორ მოპირდაპირე საფუძველს, მსხვილ სოციალისტურ მრეწველობას, რომელიც **სპობს** კაპიტალისტურ ელემენტებს, და წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობას, რომელიც **წარმოშობს** კაპიტალისტურ ელემენტებს.

იმ მოსაზრებით, რომ სანამ სოფლის მეურნეობისათვის არ შექმნილა მსხვილი წარმოების ბაზა, სანამ წვრილი გლეხური მეურნეობანი არ გაერთიანებულან მსხვილ კოლექტიურ მეურნეობე-

ბად, — მანამდე კაპიტალიზმის აღდგენის საფრთხე სსრ კავშირში წარმოადგენს ყველაზე რეალურ საფრთხეს ყველა შესაძლებელ საფრთხეთაგან.

ლენინი ამბობდა:

«რევოლუციამ გააკეთა ის, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში რუსეთი თავისი პოლიტიკური წყობილებით დაეწია მოწინავე ქვეყნებს.

მაგრამ ეს არ კმარა. ომი ულმობელია, იგი დაუნდობელი სიმკვეთრით აყენებს საკითხს: ან დავიღუპოთ, ან დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე ქვეყნებს აგრეთვე ეკონომიურადაც... დავიღუპოთ, ან მთელი სისწრაფით გავეშუროთ წინ. ასეა დაყენებული საკითხი ისტორიის მიერ» (იხ. ტ. XXI, გვ. 191).

ლენინი ამბობდა:

«სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის. ეს აუცილებლად უნდა დავიხსომოთ. ყველამ, ვინც კი ყურადღებით დაჰკვირვებია სოფლის ცხოვრებას და ის ქალაქის ცხოვრებისათვის შეუდარებია, იცის, რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ ამოგვიგლეჯია და შინაური მტრისათვის საძირკველი, საფუძველი არ გამოგვიცლია. შინაური მტერი წვრილ მეურნეობას ეყრდნობა, და მას რომ ძირი გამოვუთხაროთ, ამისათვის არსებობს ერთი საშუალება — გადავიყვანოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, მასთან მიწათმოქმედებაც, ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე... მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას შევუქმნით, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ» (იხ. ტ. XXVI, გვ. 46 — 47).

სწორედ ეს დებულებანი დაედო საფუძვლად პარტიის იმ მოსაზრებებს, რომლებმაც მიგვიყვანეს ხუთწლიანი გეგმის გამომუშავებამდე, რომლებმაც მიგვიყვანეს ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანის განსაზღვრამდე.

ასეა საქმე ხუთწლედის ძირითადი ამოცანის მხრივ.

მაგრამ ასეთი გრანდიოზული გეგმის განხორციელების დაწყება არ შეიძლება აბნეულად, უთავბოლოდ. ასეთი გეგმის განსახორციელებლად საჭიროა უწინარეს ყოვლისა გამოინახოს გეგმის ძირითადი რგოლი, ვინაიდან მხოლოდ ძირითადი რგოლის გამონახვით და მისთვის ხელის ჩაჭიდებით — შეიძლებოდა გეგმის ყველა დანარჩენი რგოლის ამოწევა.

რა შეადგენდა ხუთწლიანი გეგმის ძირითად რგოლს?

ხუთწლიანი გეგმის ძირითად რგოლს შეადგენდა მძიმე მრეწველობა, მისი მთავარი ძარღვით — მანქანათმშენებლობით. ვინაიდან მხოლოდ მძიმე მრეწველობას შეუძლია რეკონსტრუქცია მოახდინოს და ფეხზე დააყენოს მრეწველობაც მთლიანად, ტრანსპორტიც

და სოფლის მეურნეობაც. სწორედ ამით უნდა დაწყებულიყო ხუთწლედის განხორციელება. მაშასადამე, ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საფუძვლად უნდა დაგვედო მძიმე მრეწველობის აღდგენა.

ჩვენ გვაქვს ლენინის მითითებანი ამ საკითხის შესახებაც:

«რუსეთის ხსნას წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში, — ეს კიდევ ცოტაა, — და არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც მოხმარების საგნებს აწვდის გლეხობას, — ესეც კიდევ ცოტაა, — ჩვენთვის აუცილებელია აგრეთვე მძიმე ინდუსტრია... თუ არ ვიხსენით მძიმე მრეწველობა, თუ არ აღვადგინეთ იგი, ისე ვერავითარ მრეწველობას ვერ შეექმნით, უიმისოდ კი ჩვენ, საერთოდ, დაეღუპებით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა... მძიმე ინდუსტრიას სახელმწიფო სუბსიდიები ესაჭიროება. თუ ეს სუბსიდიები ვერ გამოვნახეთ, მაშინ ჩვენ, როგორც ცივილიზებული სახელმწიფო, — აღარ ვამბობ, როგორც სოციალისტური სახელმწიფო, — დაეღუპებით» (იხ. ტ. XXVII, გვ. 349).

მაგრამ მძიმე ინდუსტრიის აღდგენა და განვითარება, განსაკუთრებით ისეთ ჩამორჩენილ და ღარიბ ქვეყანაში, როგორიც იყო ჩვენი ქვეყანა ხუთწლედის დასაწყისში, წარმოადგენს ყველაზე ძნელ საქმეს, ვინაიდან მძიმე ინდუსტრია, როგორც ვიცით, მოითხოვს დიდძალ ფინანსურ ხარჯებს და გამოცდილი ტექნიკური ძალების ერთგვარ მინიმუმს, ურომლისოდ, საერთოდ რომ ითქვას, შეუძლებელია მძიმე ინდუსტრიის აღდგენა. იცოდა თუ არა ეს პარტიამ და ანგარიშს უწევდა თუ არა ამას? დიახ, იცოდა. და არა მარტო იცოდა, არამედ საქვეყნოდაც აცხადებდა ამის შესახებ. პარტიამ იცოდა, თუ რა გზით შეიქმნა მძიმე ინდუსტრია ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში. მან იცოდა, რომ მძიმე ინდუსტრია ამ ქვეყნებში შეიქმნა ან დიდ სესხთა საშუალებით, ან სხვა ქვეყნების გაძარცვის გზით, ანდა ერთდროულად ორივე ამ გზით. პარტიამ იცოდა, რომ ეს გზები დახურულია ჩვენი ქვეყნისათვის. მაშრის იმედი ჰქონდა მას? მას ჰქონდა ჩვენი ქვეყნის საკუთარი ძალების იმედი. მას ჰქონდა იმის იმედი, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობით და მიწის, მრეწველობის, ტრანსპორტის, ბანკების, ვაჭრობის ნაციონალიზაციაზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია გავატაროთ მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმი იმისათვის, რომ საკმაო რაოდენობით დავაგროვოთ საჭირო საშუალებანი მძიმე ინდუსტრიის აღსადგენად და განსავითარებლად. პარტია პირდაპირ ამბობდა, რომ ეს საქმე სერიოზულ მსხვერპლს მოითხოვს და რომ ჩვენ უნდა გავიღოთ ეს მსხვერპლი აშკარად და შეგნებულად, თუ გვინდა მიზანს მივაღწიოთ. პარტიას იმედი ჰქონდა, რომ ამ

საქმეს მოერეოდა ჩვენი ქვეყნის საკუთარი ძალებით, გარედან კაბალური კრედიტებისა და სესხთა მიუღებლად.

აი რას ამბობდა ლენინი ამ საკითხის შესახებ:

«ჩვენ უნდა შევეცადოთ ავაშენოთ სახელმწიფო, რომელშიც მუშები შეინარჩუნებენ გლეხებისადმი ხელმძღვანელობას, გლეხების ნდობას მათ მიმართ და უდიდესი მომჭირნეობით განდევნიან თავისი საზოგადოებრივი ურთიერთობიდან ყოველგვარი გადამეტებულობის ნატამალს.

ჩვენ უნდა განვახორციელოთ ჩვენს სახელმწიფო აპარატში მაქსიმალური მომჭირნეობა. იქიდან ჩვენ უნდა განვდევნოთ გადამეტებულობის ყოველგვარი კვალი, რაც იქ ასე ბლომად დარჩა მეფის რუსეთისაგან, მისი ბიუროკრატიულ-კაპიტალისტური აპარატისაგან.

ეს გლეხური შეზღუდულობის სამეფო ხომ არ იქნება?

არა. თუ მუშათა კლასს გლეხობისადმი ხელმძღვანელობას შევუნარჩუნებთ, მაშინ შესაძლებლობას მივიღებთ ჩვენს სახელმწიფოში მეურნეობის უდიდესი და უდიდესი მომჭირნეობის ფასად მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი მცირეოდენი დანაზოგი გადავდოთ ჩვენი მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განსავითარებლად, ელექტროფიკაციის, ჰიდროტორფის განსავითარებლად, ვოლხოვმშენის დასამთავრებლად და სხვა.

ეს და მხოლოდ ეს იქნება ჩვენი იმედი. მხოლოდ მაშინ შეეძლებთ ჩვენ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, გადაეჯდეთ ერთი ცხენიდან მეორეზე, სახელდობრ, გლეხური, ტეტიური, გაძვალტყავებული ცხენიდან, გაპარტახებული გლეხური ქვეყნისათვის ნავარაუდევ ეკონომიათა ცხენიდან, — იმ ცხენზე, რომელსაც ეძებს და არ შეიძლება არ ეძებდეს თავისთვის პროლეტარიატი, — მსხვილი მანქანური ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის, ვოლხოვმშენის და სხვ. ცხენზე» (იხ. ტ. XXVII, გვ. 417).

გაძვალტყავებული გლეხური ცხენიდან მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ცხენზე გადაჯდომა, — აი რა მიზანი დაისახა პარტიამ, როცა ის ამუშავებდა ხუთწლიან გეგმას და იბრძოდა მისი განხორციელებისათვის.

მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმის დაწესება და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების დაგროვება, — აი რა გზაზე უნდა დავმდგარიყავით, რომ მიგველწია მძიმე ინდუსტრიის აღდგენისა და ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის.

გაბედული ამოცანაა? ძნელი გზაა? მაგრამ ჩვენს პარტიას იმიტომ ეწოდება ლენინური პარტია, რომ მას უფლება არა აქვს სიძნელეების ეშინოდეს.

უფრო მეტიც. პარტია იმდენად იყო დარწმუნებული ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შესაძლებლობაში და მისი რწმენა მუშათა კლასის ძალებისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ პარტიამ შესაძლებლად დაინახა დაესახა ამოცანად ამ ძნელი საქმის განხ-

ხორციელება არა ხუთ წელიწადში, როგორც ამას ხუთწლიანი გეგმა მოითხოვდა, არამედ ოთხ წელიწადში, უფრო სწორად — ოთხ წელსა და სამ თვეში, თუ განსაკუთრებულ კვარტალს მივუმატებთ.

სწორედ ამ საფუძველზე წარმოიშვა განთქმული ლოზუნგი: «ხუთწლედი ოთხ წელიწადში».

და მერე რა?

ფაქტებმა შემდეგ გვიჩვენეს, რომ პარტია მართალი იყო.

ფაქტებმა გვიჩვენეს, რომ ამ გაბედულობისა და ნუშათა კლასის ძალებისადმი რწმენის გარეშე პარტია ვერ მიაღწევდა იმ გამარჯვებას, რომლითაც ჩვენ ახლა სამართლიანად ვამაყობთ.

III

ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები მრეწველობის დარგში

გადავიდეთ ახლა ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგთა საკითხზე.

როგორია ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები მრეწველობის დარგში?

მივაღწიეთ თუ არა გამარჯვებას ამ დარგში?

დიახ, მივაღწიეთ. და არა თუ მივაღწიეთ, არამედ უფრო მეტი გავაკეთეთ, ვიდრე ამას ჩვენ თვითონ მოველოდით, ვიდრე მოელოდნენ ყველაზე უფრო ფიცხი გონების ადამიანები ჩვენს პარტიაში. ამას ახლა მტრებიც კი არ უარყოფენ. მით უფრო არ შეუძლიათ ამის უარყოფა ჩვენს მეგობრებს.

ჩვენ არ გვქონდა შავი მეტალურგია, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა სატრაქტორო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა საავტომობილო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა დაზგათმშენებლობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა სერიოზული და თანამედროვე ქიმიური მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა ნამდვილი და სერიოზული მრეწველობა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების დარგში. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ჩვენ არ გვქონდა საავიაციო მრეწველობა. ახლა ჩვენ გვაქვს იგი.

ელექტროენერგიის წარმოების მხრივ ჩვენ სულ უკანასკნელ ადგილზე ვიდექით. ახლა ერთ-ერთ პირველ ადგილზე წამოვიწიეთ.

ნავთის პროდუქტებისა და ქვანახშირის წარმოების მხრივ ჩვენ უკანასკნელ ადგილზე ვიდექით. ახლა ერთ-ერთ პირველ ადგილზე წამოვიწიეთ.

ჩვენ გვქონდა ქვანახშირისა და მეტალურგიის მხოლოდ ერთადერთი ბაზა — უკრაინაში, რასაც ძლივს ვუძღვებოდით. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ არა მარტო გავაფართოეთ ეს ბაზა, არამედ შევქმენით ქვანახშირისა და მეტალურგიის კიდევ ახალი ბაზა — აღმოსავლეთში, რაც ჩვენი ქვეყნის სიმაყეს წარმოადგენს.

ჩვენ გვქონდა საფეიქრო მრეწველობის მხოლოდ ერთადერთი ბაზა — ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ უახლოეს დროში გვექნება საფეიქრო მრეწველობის ორი ახალი ბაზა — შუა აზიასა და დასავლეთ ციმბირში.

და ჩვენ არა მარტო შევქმენით მრეწველობის ეს ახალი უზარმაზარი დარგები, არამედ შევქმენით ისეთი მასშტაბით და ისეთ ფარგლებში, რომელთა წინაშე იჩრდილება ევროპის ინდუსტრიის მასშტაბები და ფარგლები.

ხოლო ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ კაპიტალისტური ელემენტები საბოლოოდ და სამუდამოდ გამოდევნილია მრეწველობიდან, სოციალისტური მრეწველობა კი გახდა ინდუსტრიის ერთადერთ ფორმად სსრ კავშირში.

ხოლო ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ჩვენი ქვეყანა აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ ქვეყნად, ვინაიდან სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმართ 48 პროცენტიდან ხუთწლედის დასაწყისში (1928 წ.) ავიდა 70 პროცენტამდე ხუთწლედის მეოთხე წლის დასასრულს (1932 წ.).

ხოლო ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ხუთწლედის მეოთხე წლის დასასრულისათვის ჩვენ შევძელით შეგვესრულებინა ხუთი წლისათვის ნავარაუდევი საერთო სამრეწველო წარმოების პროგრამა — 93,7 პროცენტით და სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაგვედიდებინა სამჯერ და უფრო მეტად ომამდელ დონესთან შედარებით და ორჯერ და უფრო მეტად 1928 წლის დონესთან შედარებით. რაც შეეხება მძიმე მრეწველობის წარმოების პროგრამას, ხუთწლიანი გეგმა შევასრულეთ 108 პროცენტით.

მართალია, ხუთწლედის საერთო პროგრამის შესრულებას აქ დააკლდა 6 პროცენტი. მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ, რადგან მეზობელმა ქვეყნებმა უარი თქვეს დაედოთ ჩვენთან თავდაუსხმელობის პაქტები, და შორეულ აღმოსავლეთში გართულდა მდგომარეობა, ჩვენ მოგვიხდა სასწრაფოდ გადაგვეყვანა მთელი რიგი ქარხნები, თავდაცვის გაძლიერების მიზნით, თავდაცვის თანამედროვე იარაღების წარმოებაზე. ხოლო ამ გადაყვანამ, ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდის გავლის საჭიროების გამო, გამოიწვია ის, რომ ამ ქარხნებმა ოთხი თვის განმავლობაში შეწყვიტეს პროდუქციის წარმოება, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული საერთო საწარმოო პროგრამის შესრულებაზე 1932 წლის განმავლობაში. ამ ოპერაციამ გამოიწვია ის, რომ ჩვენ სავსებით და მთლიანად შევავსეთ ხარვეზები ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საქმეში. მაგრამ მას არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა წარმოების პროგრამის შესრულებაზე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ თუ არა ეს გაუთვალისწინებელი გარემოება, ჩვენ არა მარტო შევასრულებდით, არამედ უეჭველად გადაჭარბებითაც შევასრულებდით ხუთწლიანი გეგმის ციფრობრივ ნაწილს.

ბოლოს, ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ საბჭოთა კავშირი სუსტი და თავდაცვისათვის მოუმზადებელი ქვეყნიდან გადაიქცა თავდაცვისუნარიანობის მხრივ ძლავრ ქვეყნად, ქვეყნად, რომელიც მზად არის ყოველი შემთხვევითობისათვის, ქვეყნად, რომელსაც შეუძლია დაამზადოს მასობრივი მასშტაბით თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღი და მოამარაგოს ამ იარაღებით თავისი არმია გარედან თავდასხმის შემთხვევაში.

ასეთია საერთოდ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები მრეწველობის დარგში.

ახლა თვითონ განსაჯეთ, რა ფასი აქვს ყოველივე ამის შემდეგ ბურჟუაზიული პრესის ლაყბობას იმის შესახებ, რომ ხუთწლედი «ჩაიშალა» მრეწველობის დარგში.

ხოლო როგორ არის კაპიტალისტური ქვეყნების საქმე, რომლებიც ამჟამად განიცდიან საშინელ კრიზისს, მათი სამრეწველო პროდუქციის ზრდის მხრივ?

აი ყველასათვის ცნობილი ოფიციალური მონაცემები.

იმ დროს, როცა სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1932 წლის დასასრულისათვის, ომამდელ დონესთან შედარებით, გაიზარდა 334 პროცენტამდე, ჩრდილოეთ ამერიკის

შეერთებული შტატების სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ამავე ხნის განმავლობაში შემცირდა ომამდელი დონის 84 პროცენტამდე, ინგლისისა — 75 პროცენტამდე, გერმანიისა — 62 პროცენტამდე.

იმ დროს, როცა სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1932 წლის დასასრულისათვის, 1928 წლის დონესთან შედარებით, გაიზარდა 219 პროცენტამდე, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ამავე პერიოდში შემცირდა 56 პროცენტამდე, ინგლისისა — 80 პროცენტამდე, გერმანიისა — 55 პროცენტამდე, პოლონეთისა — 54 პროცენტამდე.

რას გვეუბნება ეს მონაცემები, თუ არა იმას, რომ მრეწველობის კაპიტალისტურმა სისტემამ ვერ დაიკმაყოფილა გამოცდა საბჭოთა სისტემასთან დავაში, რომ მრეწველობის საბჭოთა სისტემას ყველა უპირატესობა აქვს კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

ჩვენ გვეუბნებიან: ყველაფერი ეს კარგია, აშენდა ბევრი ახალი ქარხანა, საძირკველი ჩაეყარა ინდუსტრიალიზაციას. მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდა უარი გვეთქვა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკაზე, წარმოების საშუალებათა წარმოების გაფართოების პოლიტიკაზე, ან, ყოველ შემთხვევაში, უკანა რიგში მოგვექცია ეს საქმე იმ ანგარიშით, რომ დაგვემზადებინა მეტი ჩითი, ფეხსაცმელი, ტანისამოსი და ფართო მოხმარების სხვა საგნები. ფართო მოხმარების საგნები დამზადებულია იმაზე ნაკლები, რაც საჭიროა, ეს კი ერთგვარ სიძნელეებს ქმნისო.

მაგრამ მაშინ საჭიროა ვიცოდეთ და ანგარიში მივცეთ ჩვენს თავს, თუ სადამდე მიგვიყვანდა ინდუსტრიალიზაციის ამოცანათა უკანა რიგში გადადების ასეთი პოლიტიკა. რასაკვირველია, იმ მილიარდნახევარი მანეთის ვალუტიდან, რომელიც ამ პერიოდში ჩვენი მძიმე მრეწველობის მოწყობილობაზე დაიხარჯა, ჩვენ შეგვეძლო ნახევარი გადაგვედო ბამბის, ტყავის, მატყლის, კაუჩუკისა და სხვ. იმპორტზე. მაშინ ჩვენ გვექნებოდა მეტი ჩითი, ფეხსაცმელი, ტანისამოსი. მაგრამ მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა არც სატრაქტორო, არც საავტომობილო მრეწველობა, არ გვექნებოდა რამდენადმე სერიოზული შავი მეტალურგია, არ გვექნებოდა ლითონი მანქანების დასამზადებლად, — და ჩვენ უიარაღონი ვიქნებოდით ახალი ტექნიკით შეიარაღებული კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე. მაშინ ჩვენს თავს წავართმევდით შესაძლებლობას მოგვემარაგებინა სოფლის მეურნეობა ტრაქტორებით და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, — მაშასადამე, ვისხდებოდით უპუროდ-

ჩვენს თავს წავართმევდით შესაძლებლობას მოგვეპოვებინა გამარჯვება კაპიტალისტურ ელემენტებზე ჩვენს ქვეყანაში, — მაშასადამე, წარმოუდგენლად გავაძლიერებდით კაპიტალიზმის რესტავრაციის შანსებს. მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა თავდაცვის ყველა ის თანამედროვე საშუალება, ურომლისოდაც შეუძლებელია ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ურომლისოდაც ქვეყანა ხდება გარეშე მტრების სამხედრო ოპერაციების ობიექტად. მაშინ ჩვენი მდგომარეობა ცოტად თუ ბევრად ანალოგიური იქნებოდა ახლანდელი ჩინეთის მდგომარეობისა, რომელსაც არა აქვს საკუთარი მძიმე მრეწველობა, არა აქვს თავისი სამხედრო მრეწველობა, და რომელსაც ახლა ჰკორტნის ყველა, ვისაც კი მოესურვება.

ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა სამხედრო ინტერვენცია, არა თავდაუსხმელობის პაქტები, არამედ ომი, ომი სახიფათო და სამკვდრო-სასიცოცხლო, ომი სისხლიანი და უთანასწორო, ვინაიდან ამ ომში ჩვენ თითქმის უიარაღონი ვიქნებოდით მტრების წინაშე, რომელთა განკარგულებაშიც არის თავდასხმის ყველა თანამედროვე საშუალება.

აი რა მიმართულებას იღებს საქმე, ამხანაგებო!

ცხადია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც პატივსა სცემს თავის თავს, პარტია, რომელიც პატივსა სცემს თავის თავს, ვერ დაადგებოდა ასეთ დამღუპველ თვალსაზრისს.

და სწორედ იმიტომ, რომ პარტიამ უარყო ასეთი ანტირევოლუციური თვალსაზრისი, — სწორედ ამიტომ მიაღწია მან გადამწყვეტ გამარჯვებას მრეწველობის ხაზით ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში.

ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისა და სამრეწველო მშენებლობის დარგში გამარჯვების ორგანიზაციის დროს, პარტია ატარებდა მრეწველობის განვითარების უაღრესად სწრაფი ტემპების პოლიტიკას. პარტია თითქოს მიერეკებოდა ჩვენს ქვეყანას და აჩქარებდა მის სრბოლას წინ.

სწორად იქცეოდა თუ არა პარტია, როცა იგი უაღრესად სწრაფი ტემპების პოლიტიკას ატარებდა?

დიახ, უთუოდ სწორად იქცეოდა.

არ შეიძლება არ დაეჩქარო იმ ქვეყნის წინსვლა, რომელიც ასი წლით ჩამორჩა და რომელსაც, მისი ჩამორჩენილობის გამო, სასიკვდილო საფრთხე მოელის. მხოლოდ ამგვარად შეიძლებოდა მიგვეცა ჩვენი ქვეყნისათვის ახალი ტექნიკის ბაზაზე სწრაფი ხელ-

ახალი შეიარაღებისა და, ბოლოს, ფართო გზაზე გამოსვლის შესაძლებლობა.

შემდეგ, ჩვენ არ შეგვეძლო გვცოდნოდა, თუ რა დღეს დაესხმოდნენ თავს იმპერიალისტები სსრ კავშირს და შეწყვეტდნენ ჩვენს მშენებლობას, ხოლო მათ რომ ყოველ წუთს შეეძლოთ თავდასხმა, ისარგებლებდნენ რა ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური სისუსტით, — ეს სავსებით უეჭველი იყო. ამიტომ პარტია იძულებული იყო სწრაფი ნაბიჯით წაეყვანა ჩვენი ქვეყანა, რომ არ დაეკარგა დრო, მთლიანად გამოეყენებინა შესვენება და მოესწრო ინდუსტრიალიზაციის საფუძვლების შექმნა სსრ კავშირში, რაც წარმოადგენს მისი ძლიერების ბაზას. პარტიას არ ჰქონდა ლოდინისა და მანევრირების საშუალება, და მას უნდა გაეტარებინა უაღრესად დაჩქარებული ტემპების პოლიტიკა.

დასასრულ, პარტიას რაც შეიძლება მოკლე ვადაში ბოლო უნდა მოეღო ჩვენი ქვეყნის სისუსტისათვის თავდაცვის დარგში. მომენტის პირობები, კაპიტალისტური ქვეყნების შეიარაღების ზრდა, განიარაღების იდეის ჩაშლა, საერთაშორისო ბურჟუაზიის სიძულვილი სსრ კავშირისადმი, — ყოველივე ეს აიძულებდა პარტიას დაეჩქარებინა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, მისი დამოუკიდებლობის საფუძვლის გაძლიერების საქმე.

მაგრამ ჰქონდა თუ არა პარტიას რეალური შესაძლებლობა — განეხორციელებინა უაღრესად დაჩქარებული ტემპების პოლიტიკა? დიახ, ჰქონდა. მას ჰქონდა ეს შესაძლებლობა არა მარტო იმიტომ, რომ მან მოასწრო თავის დროზე აემოძრავებინა ქვეყანა სწრაფი წინსვლისათვის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ფართო ახალი მშენებლობის საქმეში მას შეეძლო დაყრდნობოდა ძველ ან განახლებულ ქარხნებსა და ფაბრიკებს, რომლებიც უკვე ათვისებული იყო მუშებისა და საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის მიერ და რომლებიც, ამის გამო, იძლეოდნენ საშუალებას გაგვეხორციელებინა განვითარების უაღრესად დაჩქარებული ტემპები.

აი რა საფუძველზე აღმოცენდა ჩვენში პირველი ხუთწლედის პერიოდში ახალი მშენებლობის სწრაფი აღმავლობა, გაშლილი მშენებლობის პათოსი, ახალშენებათა გმირები და დამკვრელები, განვითარების მძაფრი ტემპების პრაქტიკა.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მეორე ხუთწლედში მოგვიხდება უაღრესად დაჩქარებული ტემპების სწორედ ასეთივე პოლიტიკის გატარება?

არა, ამის თქმა არ შეიძლება.

ჯერ-ერთი, ხუთწლედის წარმატებით ჩატარების შედეგად, ჩვენ ძირითადად უკვე შევასრულეთ მისი მთავარი ამოცანა — ახალი თანამედროვე ტექნიკის ბაზის შექმნა მრეწველობისათვის, ტრანსპორტისათვის, სოფლის მეურნეობისათვის. ღირს თუ არა ამის შემდეგ, რომ წინანდებურად მივაქანებდეთ და ვერეკებოდეთ წინ ჩვენს ქვეყანას? ცხადია, ახლა ამის საჭიროება არ არის.

მეორეც, ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად, ჩვენ უკვე შევძელით სათანადო სიმაღლეზე დაგვეყენებინა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ღირს თუ არა ამის შემდეგ, რომ წინანდებურად მივაქანებდეთ და ვერეკებოდეთ წინ ჩვენს ქვეყანას? ცხადია, ახლა ამის საჭიროება არ არის.

დასასრულ, ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად, ჩვენ შევძელით აგვეშენებინა ათობით და ასობით ახალი დიდი ქარხნები და კომბინატები, რომლებსაც აქვთ ახალი რთული ტექნიკა. ეს ნიშნავს იმას, რომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მხრივ მეორე ხუთწლედში ძირითად როლს უკვე ითამაშებენ არა ძველი ქარხნები, რომელთა ტექნიკა უკვე ათვისებულია, როგორც ეს იყო პირველი ხუთწლედის პერიოდში, არამედ ახალი ქარხნები, რომელთა ტექნიკა ჯერ კიდევ არ არის ათვისებული და რომელიც უნდა ავითვისოთ. მაგრამ ახალი საწარმოებისა და ახალი ტექნიკის ათვისება გაცილებით მეტ სიძნელეებს წარმოადგენს, ვიდრე ძველი ან განახლებული ქარხნებისა და ფაბრიკების გამოყენება, რომელთა ტექნიკა უკვე ათვისებულია. იგი მოითხოვს მეტ დროს იმისათვის, რომ ავამაღლოთ მუშებისა და საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია და შევიძინოთ ახალი ჩვევები ახალი ტექნიკის სრულად გამოყენებისათვის. ყოველივე ამის შემდეგ განა ცხადი არ არის, რომ, ძალიანაც რომ გვინდოდეს, ჩვენ ვერ განვახორციელებთ მეორე ხუთწლედის პერიოდში, განსაკუთრებით მეორე ხუთწლედის პირველ ორ-სამ წელიწადში, განვითარების უაღრესად დაჩქარებული ტემპების პოლიტიკას.

აი რატომ ვფიქრობ მე, რომ მეორე ხუთწლედისათვის ჩვენ მოგვიხდება სამრეწველო პროდუქციის ზრდის უფრო ნაკლებად სწრაფი ტემპების აღება. პირველი ხუთწლედის პერიოდში სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა საშუალოდ 22 პროცენტს შეადგენდა. მე ვფიქრობ, რომ მეორე ხუთწლედისათვის მოგვიხდება სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდის საშუალოდ 13 — 14 პროცენტის აღება. სამრეწველო პროდუქციის ზრდის ასეთი ტემპი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის მიუწვდომელ იდეალს წარმოადგენს. და სამრეწველო პროდუქციის ზრდის

არა მარტო ასეთი ტემპი, — ყოველწლიური საშუალო ზრდის 5 პროცენტიც კი ახლა მიუწვდომელი იდეალია მათთვის. მაგრამ ამიტომაც არიან ისინი კაპიტალისტური ქვეყნები. სულ სხვაა საბჭოთა ქვეყანა მეურნეობის საბჭოთა სისტემით. ჩვენი მეურნეობის სისტემის დროს ჩვენ გვაქვს სრული შესაძლებლობა — განვახორციელოთ და კიდევაც უნდა განვახორციელოთ პროდუქციის ყოველწლიური ზრდა 13 — 14 პროცენტით, როგორც **მინიმუმი.**

პირველი ხუთწლედის პერიოდში ჩვენ შეეძელით **ახალი მშენებლობის** ენთუზიაზმის, პათოსის შექმნა და გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიეთ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ახლა ეს არ კმარა. ახლა ეს საქმე უნდა შევავსოთ ახალი ქარხნებისა და ახალი ტექნიკის **ათვისების** ენთუზიაზმით, პათოსით, შრომის ნაყოფიერების სერიოზული ამაღლებით, თვითღირებულების სერიოზული შემცირებით.

ეს არის ახლა მთავარი.

ვინაიდან მხოლოდ ამ ბაზაზე შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ, ვთქვათ, მეორე ხუთწლედის მეორე ნახევრისათვის ავიღოთ ახალი მძლავრი გაქანება როგორც მშენებლობის დარგში, ისე სამრეწველო პროდუქციის ზრდის დარგში.

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა პროდუქციის ყოველწლიური ზრდის თვით ტემპებისა და პროცენტების შესახებ. ჩვენი სამრეწველო მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს. ეს კი მეტად საინტერესო საკითხია. რა არის პროდუქციის ზრდის პროცენტები და, სახელდობრ, რა იფარება ზრდის თვითეულ პროცენტში? ავიღოთ, მაგალითად, 1925 წელი, აღდგენითი პერიოდი. პროდუქციის წლიური ზრდა მაშინ 66 პროცენტს აღწევდა. მრეწველობის საერთო პროდუქცია შეადგენდა 7 700 მილიონ მანეთს. ზრდის 66 პროცენტი მაშინ აბსოლუტურ ციფრებში 3 მილიარდზე მეტს შეადგენდა. მაშასადამე, ზრდის თვითეული პროცენტი მაშინ უდრიდა 45 მილიონ მანეთს. ავიღოთ ახლა 1928 წელი. მან მოგვცა პროდუქციის ზრდის 26 პროცენტი, ე. ი. პროცენტულად თითქმის სამჯერ ნაკლები, ვიდრე 1925 წელმა მოგვცა. მრეწველობის საერთო პროდუქცია მაშინ შეადგენდა 15 500 მილიონ მანეთს. მთელმა წლიურმა ზრდამ აბსოლუტურ ციფრებში შეადგინა 3 280 მილიონი მანეთი. მაშასადამე, ზრდის თვითეული პროცენტი მაშინ უდრიდა 126 მილიონ მანეთს, ე. ი. შეადგენდა თითქმის სამჯერ უფრო მეტ თანხას, ვიდრე 1925 წელს, როცა პროდუქცია 66 პროცენტით გაიზარდა. ბოლოს, ავიღოთ 1931 წელი. მან მოგვცა ზრდის 22 პროცენტი, ე. ი. სამჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე

1925 წელმა. მრეწველობის საერთო პროდუქცია მაშინ შეადგენდა 30 800 მილიონ მანეთს. მთელმა ზრდამ აბსოლუტურ ციფრებში მოგვცა 5 600 მილიონ მანეთზე მეტი. მაშასადამე, ზრდის თვითეული პროცენტი შეადგენდა 250 მილიონ მანეთზე მეტს, ე. ი. ექვსჯერ უფრო მეტს, ვიდრე 1925 წელს, როცა ჩვენ გვქონდა ზრდის 66 პროცენტი და ორჯერ უფრო მეტს, ვიდრე 1928 წელს, როცა ჩვენ გვქონდა ზრდის 26 პროცენტზე ცოტა მეტი.

რას გვეუბნება ყოველივე ეს? იმას, რომ პროდუქციის ზრდის ტემპების შესწავლის დროს არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ ზრდის პროცენტების მხოლოდ საერთო ჯამის განხილვით, — საჭიროა ვიცოდეთ კიდევ, რა იფარება ზრდის თვითეულ პროცენტში და როგორია პროდუქციის წლიური ზრდის საერთო ჯამი. 1933 წლისათვის, მაგალითად, ჩვენ ვიღებთ ზრდის 16 პროცენტს, ე. ი. ოთხჯერ უფრო ნაკლებს, ვიდრე 1925 წელს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ პროდუქციის ზრდა ამ წლის განმავლობაში ასევე ოთხჯერ ნაკლები იქნება. პროდუქციის ზრდა 1925 წელს აბსოლუტურ ციფრებში შეადგენდა სამ მილიარდზე მეტს, ხოლო ზრდის თვითეული პროცენტი უდრიდა 45 მილიონ მანეთს. საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ პროდუქციის ზრდა 1933 წელს აბსოლუტურ ციფრებში ზრდის 16-პროცენტიანი ნორმის დროს იქნება არა ნაკლებ ხუთი მილიარდი მანეთისა, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1925 წელს, ხოლო ზრდის თვითეული პროცენტი მიაღწევს, სულ ცოტა, 320 — 340 მილიონ მანეთს, ე. ი. შეადგენს, სულ ცოტა, შვიდჯერ უფრო მეტ თანხას, ვიდრე ზრდის თვითეული პროცენტი 1925 წელს.

აი რა მიმართულებას იღებს საქმე, ამხანაგებო, თუ კონკრეტულად განვიხილავთ ზრდის ტემპებისა და პროცენტების საკითხს.

ასეთია საქმის ვითარება მრეწველობის დარგში ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელების შედეგების მხრივ.

IV

ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები სოფლის მეურნეობის დარგში

გადავიდეთ სოფლის მეურნეობის დარგში ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელების შედეგების საკითხზე.

ხუთწლედი სოფლის მეურნეობის დარგში არის კოლექტივიზაციის ხუთწლედი. რას ემყარებოდა პარტია, როცა კოლექტივიზაციას ატარებდა?

პარტია ემყარებოდა იმას, რომ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, ინდუსტრიალიზაციის გარდა, საჭიროა კიდევ წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობიდან გადასვლა ტრაქტორებითა და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით მომარაგებულ მსხვილ კოლექტიურ სოფლის მეურნეობაზე, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ერთადერთ მტკიცე დასაყრდენზე სოფლად.

პარტია ემყარებოდა იმას, რომ უკოლექტივიზაციოდ შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის გამოყვანა სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის აგების ფართო გზაზე, შეუძლებელია მრავალმილიონიანი მშრომელი გლეხობის ხსნა სიღატაკისა და უმეცრებისაგან.

ლენინი ამბობდა, რომ

«წვრილი მეურნეობით გაჭირვებას თავს ვერ დააღწევ» (იხ. ტ. XXIV, გვ. 540).

ლენინი ამბობდა, რომ

«თუ ჩვენ ძველებურად ვისხდებით წვრილ მეურნეობებში, თუნდაც თავისუფალ მოქალაქეებად თავისუფალ მიწაზე, სულ ერთია გარდუვალი დაღუპვა გვეშუქრება» (იხ. ტ. XX, გვ. 417).

ლენინი ამბობდა, რომ

«მხოლოდ საერთო, არტელური, ამხანაგური შრომის დახმარებით შეგვიძლია გამოვიდეთ იმ ჩიხიდან, რომელშიც იმპერიალისტურმა ომმა მოგვამწყვდია» (იხ. ტ. XXIV, გვ. 537).

ლენინი ამბობდა, რომ

«საჭიროა გადავიდეთ საერთო დამუშავებაზე მსხვილ სანიმუშო მეურნეობებში; უამისოდ თავს ვერ დავაღწევთ იმ ნგრევას, იმ პირდაპირ საშინელ მდგომარეობას, რომელშიც რუსეთი იმყოფება» (იხ. ტ. XX, გვ. 418).

ითვალისწინებდა რა ამას, ლენინი მივიდა შემდეგ ძირითად დასკვნამდე:

«მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ საქმით ვუჩვენოთ გლეხებს მიწის საზოგადოებრივი, კოლექტიური, ამხანაგური, არტელური დამუშავების უპირატესობანი, მხოლოდ მაშინ, თუ შევძლებთ დავეხმაროთ გლეხს, ამხანაგური, არტელური მეურნეობის შემწეობით, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, ნამდვილად დაუმტკიცებს გლეხს თავის სიმართლეს, ნამდვილად მიიმხრობს მტკიცედ და ჯეროვნად გლეხობის მრავალმილიონიან მასას» (იხ. ტ. XXIV, გვ. 579).

ლენინის ამ დებულებებით ხელმძღვანელობდა პარტია, როცა ახორციელებდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროგრამას, ხუთწლედის პროგრამას სოფლის მეურნეობის დარგში.

ამასთან დაკავშირებით ხუთწლედის ამოცანა სოფლის მეურნეობის ხაზით ის იყო, რომ დაქუცმაცებული და წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი, მოკლებულნი ტრაქტორებისა და თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების საშუალებას, — გაგვეერთიანებინა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად, რომლებიც შეიარაღებული არიან უაღრესად განვითარებული სოფლის მეურნეობის ყველა თანამედროვე იარაღით, ხოლო თავისუფალ მიწებზე მოგვეწყო სანიმუშო სახელმწიფო მეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი.

ხუთწლედის ამოცანა სოფლის მეურნეობის ხაზით ის იყო, რომ სსრ კავშირი წვრილგლეხური და ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაგვექცია კოლექტიური შრომის ბაზაზე მოწყობილი და მაქსიმალური საქონლიანობის მომცემი მსხვილი სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

რას მიაღწია პარტიამ, როდესაც იგი ახორციელებდა ხუთწლედის პროგრამას ოთხ წელიწადში სოფლის მეურნეობის ხაზით? შეასრულა მან ეს პროგრამა თუ კრახი განიცადა?

პარტიამ მიაღწია იმას, რომ რაღაც სამიოდე წლის განმავლობაში მან შესძლო მოეწყო 200 ათასზე მეტი კოლექტიური მეურნეობა და მარცვლეულისა და მეცხოველეობის დაახლოებით 5 ათასი საბჭოთა მეურნეობა, ამავე დროს 4 წლის განმავლობაში ნათესი ფართობი გაადიდა 21 მილიონი ჰექტარით.

პარტიამ მიაღწია იმას, რომ კოლმეურნეობები ახლა აერთიანებენ გლეხურ მეურნეობათა 60 პროცენტზე მეტს და მოიცავენ ყველა გლეხურ მეურნეობათა ფართობის 70 პროცენტზე მეტს, რაც ნიშნავს ხუთწლიანი გეგმის შესრულებას სამჯერ გადაჭარბებით.

პარტიამ მიაღწია იმას, რომ 500 — 600 მილიონი ფუთი სასაქონლო პურის ნაცვლად, რაც მზადდებოდა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ჭარბობის პერიოდში, მას ახლა შესაძლებლობა აქვს ყოველწლიურად დაამზადოს 1 200 — 1 400 მილიონი ფუთი მარცვლეული.

პარტიამ მიაღწია იმას, რომ კულაკობა, როგორც კლასი, განადგურებულია, თუმცა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ მოსპობილი; მშრომელი გლეხობა განთავისუფლებულია კულაკური კაბალისა და ექსპლოატაციისაგან, და საბჭოთა ძალაუფლებისათვის სოფლად შექმნილია მტკიცე ეკონომიური ბაზა, კოლექტიური მეურნეობის ბაზა.

პარტიამ მიაღწია იმას, რომ სსრ კავშირი წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყნიდან უკვე გარდაქმნილია მსოფლიოში ყველაზე უფრო მსხვილი სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

ასეთია საერთოდ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები სოფლის მეურნეობის ხაზით.

ახლა თვითონ განსაჯეთ: რა ფასი აქვს ყოველივე ამის შემდეგ ბურჟუაზიული პრესის ლაყბობას კოლექტივიზაციის «კრახზე», ხუთწლედის «ჩაშლაზე» სოფლის მეურნეობის დარგში.

ხოლო რანაირია სოფლის მეურნეობის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც ამჟამად განიცდიან საშინელ სასოფლო-სამეურნეო კრიზისს?

აი ყველასათვის ცნობილი ოფიციალური მონაცემები.

სათესი ფართობი პურისმწარმოებელ ძირითად ქვეყნებში შემცირებულია 8 — 10 პროცენტით. ბამბის სათესი ფართობი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში შემცირებულია 15 პროცენტით, შაქრის ჭარხლის ფართობი გერმანიასა და ჩეხო-სლოვაკიაში — 22 — 30 პროცენტით, სელის ფართობი ლიტვასა და ლატვიაში — 25 — 30 პროცენტით.

ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტის მონაცემებით სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 11 მილიარდი დოლარიდან 1929 წელს შემცირდა 5 მილიარდ დოლარამდე 1932 წელს, ე. ი. 50 პროცენტზე უფრო მეტით. იქვე მარცვლეულის საერთო პროდუქციის ღირებულება 1 288 მილიონი დოლარიდან 1929 წელს შემცირდა 391 მილიონ დოლარამდე 1932 წელს, ე. ი. 68 პროცენტზე უფრო მეტით. იქვე ბამბის საერთო პროდუქციის ღირებულება 1 389 მილიონი დოლარიდან 1929 წელს შემცირდა 397 მილიონ დოლარამდე 1932 წელს, ე. ი. შემცირდა 70 პროცენტზე უფრო მეტით.

განა ყველა ეს ფაქტი არ მოწმობს სოფლის მეურნეობის საბჭოთა სისტემის უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე? განა ეს ფაქტები არ მოწმობენ იმას, რომ კოლმეურნეობანი წარმოადგენენ მეურნეობის უფრო სიცოცხლისუნარიან ფორმას, ვიდრე ერთპიროვნული და კაპიტალისტური მეურნეობანი?

ამბობენ, რომ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი არ არიან საესებით რენტაბელურნი, რომ ისინი დიდძალ სახსრებს ნთქამენ, რომ ასეთ საწარმოთა არსებობას არავითარი აზრი არა აქვს, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა დაგვეშალა ისინი და მათგან დაგვეტოვებინა მხოლოდ რენტაბელურნი. მაგრამ ასე ლა-

პარაკი მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც არაფერი გაეგებათ სახალხო მეურნეობის საკითხებში, ეკონომიკის საკითხებში. საფეიქრო საწარმოთა ნახევარზე მეტი რამდენიმე წლის წინათ არარენტაბელური იყო. ჩვენი ამხანაგების ერთი ნაწილი მაშინ გვირჩევდა დაგვეხურა ეს საწარმონი. რა დაგვემართებოდა, რომ დაგვეჯერებინა მათთვის? ჩვენ ჩავიდენდით უდიდეს დანაშაულს ქვეყნის წინაშე, მუშათა კლასის წინაშე, ვინაიდან ამით გავანადგურებდით ჩვენს მრეწველობას, რომელიც განვითარების გზაზე იდგა. როგორ მოვიქეცით მაშინ? ჩვენ დავიცადეთ ერთ წელზე ცოტა მეტი და მივაღწიეთ იმას, რომ მთელი საფეიქრო მრეწველობა რენტაბელური გახდა. ჩვენი ავტოქარხანა ქალაქ გორკიში? ისიც ხომ ჯერჯერობით რენტაბელური არ არის. ხომ არ გვიბრძანებთ დავხუროთ იგი? ან ჩვენი შავი მეტალურგია, რომელიც ჯერჯერობით აგრეთვე არარენტაბელურია? ხომ არ დავხუროთ იგი, ამხანაგებო? თუ ასე შევხედავთ რენტაბელობას, მაშინ ჩვენ ყოველმხრივ უნდა გაგვევითარებინა მრეწველობის მხოლოდ ზოგიერთი დარგი, რომელნიც ყველაზე მეტ რენტას იძლევიან, მაგალითად, — საშაქარლამო მრეწველობა, ფქვილის მრეწველობა, საპარფიუმერიო და სატრიკოტაჟო მრეწველობა, ბავშვთა სათამაშოების მრეწველობა და სხვ.. მე, რა თქმა უნდა, მრეწველობის ამ დარგების განვითარების წინააღმდეგი არა ვარ. პირიქით, ისინი უნდა განვითარდნენ, რადგან ეს დარგებიც საჭიროა მოსახლეობისათვის. მაგრამ, ჯერ-ერთი, ისინი ვერ განვითარდებიან მოწყობილობისა და სათბობის გარეშე, რომლებსაც მათ მძიმე ინდუსტრია აძლევს. მეორეც, შეუძლებელია მათზე ინდუსტრიალიზაციის დაყრდნობა. აი რაშია საქმე, ამხანაგებო.

რენტაბელობას არ უნდა ვუყურებდეთ ჩარჩულად, ახლანდელი წუთის თვალსაზრისით. რენტაბელობა უნდა ავიღოთ საერთოსახალხო მეურნეობის თვალსაზრისით, რამდენიმე წლის ვარაუდით. მხოლოდ ასეთ თვალსაზრისს შეიძლება ეწოდოს ნამდვილი ლენინური, ნამდვილი მარქსისტული თვალსაზრისი. და ეს თვალსაზრისი სავალდებულოა არა მარტო მრეწველობის მიმართ. არამედ უფრო მეტად — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიმართ. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ: რაღაც სამიოდე წელიწადში ჩვენ შევქმენით 200 ათასზე მეტი კოლმეურნეობა და 5 ათასამდე საბჭოთა მეურნეობა, ე. ი. შევქმენით სრულიად ახალი მსხვილი საწარმონი, რომელთაც ისეთივე მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობისათვის, როგორიც აქვთ ქარხნებსა და ფაბრიკებს მრეწველობისათვის. დაასახელეთ ისეთი ქვეყანა, რომელმაც

შესძლო შეექმნა სამი წლის განმავლობაში არა 205 ათასი ახალი მსხვილი საწარმო, არამედ თუნდაც 25 ათასი ასეთი საწარმო. ვერ დაასახელებთ, ვინაიდან არ არის და არც ყოფილა ასეთი ქვეყანა. ჩვენ კი შევქმენით 205 ათასი ახალი საწარმო სოფლის მეურნეობაში. და აი, თურმე არიან ქვეყნად ისეთი ადამიანები, რომლებიც მოითხოვენ, რომ ეს საწარმონი ერთბაშად რენტაბელურნი გახდნენ, ხოლო თუ ისინი ერთბაშად ვერ გახდებიან რენტაბელურნი, დავანგრიოთ და დავშალოთ ისინი. განა ცხადი არ არის, რომ ჰეროსტრატეს დაფნის გვირგვინი ძილს უფრთხობს ამ ახირებულ ადამიანებს?

როცა ვლაპარაკობ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების არარენტაბელობაზე, მე სრულიადაც არ მინდა ვთქვა, რომ ყველა ისინი არარენტაბელურია. სრულიადაც არა! ყველამ ვიცით, რომ უკვე ახლა არის მთელი რიგი დიდად რენტაბელური კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი. ჩვენ გვაქვს უკვე ახლა საკმაოდ რენტაბელური ათასობით კოლმეურნეობა და ათობით საბჭოთა მეურნეობა. ეს კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი წარმოადგენენ ჩვენი პარტიის სიამაყეს, საბჭოთა ხელისუფლების სიამაყეს. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, რა თქმა უნდა, ყველგან ერთნაირი როდი არიან. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის მოიპოვებიან ძველი, ახალი და საკმაოდ ახალგაზრდა მეურნეობანი. ეს ჯერ კიდევ სუსტი, არა საკმაოდ ჩამოყალიბებული სამეურნეო ორგანიზმებია. ისინი თავიანთ ორგანიზაციულ მშენებლობაში დაახლოებით იმავე პერიოდს განიცდიან, როგორსაც განიცდიდნენ ჩვენი ქარხნები და ფაბრიკები 1920 — 21 წლებში. გასაგებია, რომ მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ იქნება რენტაბელური. მაგრამ ისინი რომ 2 — 3 წლის განმავლობაში ისევე გახდებიან რენტაბელურნი, როგორც რენტაბელურნი გახდნენ ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები 1921 წლის შემდეგ, — ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. უარის თქმა მათთვის დახმარების გაწევასა და ხელის შეწყობაზე იმ საბუთით, რომ დღეს ყველა ისინი არ არიან რენტაბელურნი, — ნიშნავს უდიდესი დანაშაულის ჩადენას მუშათა კლასისა და გლეხობის მიმართ. მხოლოდ ხალხის მტრებსა და კონტრრევოლუციონერებს შეუძლიათ დააყენონ საკითხი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზედმეტობის შესახებ.

ახორციელებდა რა ხუთწლიან გეგმას სოფლის მეურნეობაში, პარტია დაჩქარებული ტემპებით ატარებდა კოლექტივიზაციას. სწორად იქცეოდა თუ არა პარტია, როცა ატარებდა კოლექტივიზა-

ციის დაჩქარებული ტემპების პოლიტიკას? დიახ, უთუოდ სწორად იქცეოდა, თუმცა ამ საქმეში ერთგვარ გატაცებასაც ჰქონდა ადგილი. პარტიას, რომელიც ატარებდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკას და ძირფესვიანად სპობდა კულაკურ ბუდეებს, არ შეეძლო შუა გზაზე შეჩერებულიყო, — მას ბოლომდე უნდა მიეყვანა ეს საქმე.

ეს — ერთი.

მეორეც, პარტიას, რომელსაც, ერთი მხრით, მოეპოვებოდა ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, და რომელიც, მეორე მხრით, სარგებლობდა მიწის კერძო საკუთრების არარსებობით (მიწის ნაციონალიზაცია!), ჰქონდა ყველა შესაძლებლობა — დაეჩქარებინა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. და მან მართლაც მიაღწია ამ დარგში უდიდეს წარმატებას, ვინაიდან სამჯერ გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის პროგრამა კოლექტივიზაციის ხაზით.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ მეორე ხუთწლედის პერიოდშიც უნდა გავატაროთ კოლექტივიზაციის დაჩქარებული ტემპების პოლიტიკა? არა, არ ნიშნავს. საქმე ის არის, რომ ჩვენ ძირითადად უკვე დავამთავრეთ სსრ კავშირის მთავარი რაიონების კოლექტივიზაცია. მაშასადამე, ამ დარგში უფრო მეტი გავაკეთეთ, ვიდრე მოსალოდნელი იყო. და არა მარტო დავამთავრეთ ძირითადად კოლექტივიზაცია. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ გლეხობის უდიდესი უმრავლესობის შეგნებაში კოლმეურნეობანი გახდნენ მეურნეობის ყველაზე მისაღები ფორმა. ეს უდიდესი მიღწევაა, ამხანაგებო. ღირს თუ არა ამის შემდეგ სიფიცხე კოლექტივიზაციის სწრაფი ტემპების საკითხში? ცხადია, არა ღირს.

ახლა უკვე საკითხია არა კოლექტივიზაციის დაჩქარებულ ტემპებზე, და, მით უმეტეს, არა იმაზე — იყონ თუ არ იყონ კოლმეურნეობანი, — ეს საკითხი უკვე გადაჭრილია დადებითად. კოლმეურნეობანი შენარჩუნებული არიან, და გზა ძველი, ერთპიროვნული მეურნეობისაკენ საბოლოოდ დახურულია. ახლა ამოცანა ის არის, რომ ორგანიზაციულად განვამტკიცოთ კოლმეურნეობანი, გავაძევოთ იქიდან მავნებლური ელემენტები, შევარჩიოთ ნამდვილი, შემოწმებული ბოლშევიკური კადრები კოლმეურნეობებისათვის და გადავაქციოთ კოლმეურნეობანი ნამდვილად ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად.

ეს არის ახლა მთავარი.

ასეთია საქმის ვითარება სოფლის მეურნეობის დარგში ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელების მხრივ.

V

ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში

მე ზემოთ ვილაპარაკე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულ წარმატებებზე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობაზე სსრ კავშირში. რა შედეგები მივიღეთ ამ წარმატებათაგან მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით? რაში მდგომარეობს ჩვენი წარმატებების ძირითადი შედეგები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის ძირფესვიანად გაუმჯობესების თვალსაზრისით?

იგი მდგომარეობს, ჯერ-ერთი, **უმუშევრობის მოსპობაში** და ხვალინდელი დღისადმი რწმენის უქონლობის ლიკვიდაციაში მუშებს შორის.

მეორეც, იგი მდგომარეობს იმაში, რომ საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩაბმულია თითქმის მთელი ღარიბი გლეხობა, რომ ამ საფუძველზე ნიადაგი გამოეცალა გლეხობის დაყოფას კულაკებად და ღარიბ გლეხებად და რომ, **ამასთან დაკავშირებით, ბოლო მოეღო გაღატაკებას და პაუპერიზმს სოფლად.**

ეს, ამხანაგებო, უდიდესი მონაპოვარია, რომელზედაც არ შეუძლია ოცნება არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რაგინდ «დემოკრატიულიც» უნდა იყოს იგი.

ჩვენში, სსრ კავშირში, მუშებმა უკვე დიდი ხანია დაივიწყეს უმუშევრობა. სამიოდე წლის წინათ ჩვენ გვყავდა ერთნახევარ მილიონამდე უმუშევარი. უკვე ორი წელიწადია, რაც მოვსპეთ უმუშევრობა. და ამ ხნის განმავლობაში მუშებმა უკვე დაივიწყეს უმუშევრობა, დაივიწყეს მისგან გამოწვეული ჩაგვრა, მისი საშინელებანი. შეხედეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, რა საშინელებანი ხდება იქ უმუშევრობის ნიადაგზე. ამ ქვეყნებში ამჟამად 30 — 40 მილიონი უმუშევარი მაინც არის. რა ხალხია ეს? მათ შესახებ ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ეს «განწირული ხალხია».

ისინი ყოველდღე ცდილობენ მიიღონ სამუშაო, დაეძებენ სამუშაოს, მზად არიან დასთანხმდნენ მუშაობის თითქმის ყოველგვარ პირობებს, მაგრამ მათ არ ღებულობენ სამუშაოზე, რადგან ისინი «ზედმეტი» ხალხია. და ეს იმ დროს, როცა დიდძალი საქონელი და პროდუქტები იფლანგება ბედისაგან განებივრებული კაპიტალისტთა და მემამულეთა შვილების კაპრიზების დასაკმაყოფილებლად.

უმუშევრებს არ აძლევენ საკმელს, რადგან მათ არ შეუძლიათ გადაიხადონ ამ საკმლის ფასი, არ აძლევენ თავშესაფარს, რადგან მათ არ შეუძლიათ ბინის ქირის გადახდა. როგორ ან სად ცხოვრობენ ისინი? ისინი ცხოვრობენ ბატონის უბადრუკი ნასუფრალით, ქექავენ სანაგვე ყუთებს, სადაც პოულობენ საკმლის დამპალ ნარჩენებს, ცხოვრობენ დიდი ქალაქების ჯურღმულებში, უფრო კი ქალაქგარეთ უმუშევრების მიერ ყუთის ფიცრებისა და ხის ქერქისაგან სახელდახელოდ აგებულ ქოხმახებში. ეს კიდევ ცოტაა. უმუშევრობისაგან იჩაგრებიან არა მარტო უმუშევრები. მისგან იჩაგრებიან აგრეთვე მუშები, რომლებსაც სამუშაო აქვთ. იჩაგრებიან იმიტომ, რომ უამრავი უმუშევრის არსებობა მათთვის ქმნის მერყეულ მდგომარეობას წარმოებაში, ხვალინდელი დღისადმი რწმენის უქონლობას. დღეს ისინი მუშაობენ საწარმოში, მაგრამ დარწმუნებული არ არიან, რომ ხვალ, გამოღვიძებისთანავე, არ გაიგებენ, რომ დათხოვნილი არიან სამუშაოდან.

ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მონაპოვარს წარმოადგენს ის, რომ ჩვენ მოვსპეთ უმუშევრობა და მის საშინელებათაგან ვიხსენით სსრ კავშირის მუშები.

იგივე უნდა ითქვას გლეხების შესახებ. მათაც დაავიწყდათ გლეხობის დაყოფა კულაკებად და ღარიბ გლეხებად, ღარიბი გლეხობის ექსპლოატაცია კულაკების მხრივ, გაღატაკება, რომელიც ყოველ წელს მათხოვრად ხდიდა ასიათასობით და მილიონობით ღარიბ გლეხებს. სამი-ოთხი წლის წინათ ჩვენს გლეხობაში ღარიბი გლეხი იყო მთელი გლეხური მოსახლეობის სულ ცოტა 30 პროცენტი. ეს შეადგენდა ათ მილიონზე მეტ ადამიანს. ხოლო უფრო ადრე, ოქტომბრის რევოლუციამდე, ღარიბი გლეხები შეადგენდნენ გლეხური მოსახლეობის სულ ცოტა 60 პროცენტს. ვინ არიან ღარიბი გლეხები? ეს ისეთი ადამიანებია, რომლებსაც მეურნეობისათვის ჩვეულებრივ არ ჰყოფნიდათ ან თესლი, ან ცხენი, ან იარაღები, ან არ ჰყოფნიდათ ყველა ეს, ერთად აღებული. ღარიბი გლეხები — ეს ისეთი ადამიანებია, რომელნიც ნახევრად-მშიერნი ცხოვრობდნენ და, როგორც წესი, იმყოფებოდნენ კულაკების კაბალაში, ხოლო ძველ დროს — როგორც კულაკების, ისე მემამულეების კაბალაში. სულ ცოტა ხნის წინათ მილიონ-ნახევარი ან შეიძლება მთელი ორი მილიონი ღარიბი გლეხი ყოველწლიურად მიდიოდა საშოვარზე სამხრეთში — ჩრდილოეთ კავკასიაში და უკრაინაში, კულაკებთან ქირაზე სამუშაოდ, ხოლო უფრო წინათ — კულაკებთან და მემამულეებთან. უფრო მეტი რაოდენობით აწყდებოდნენ ისინი ყოველწლიურად ჭარხნების ჭიშკრებს, ავსებდნენ რა უმუშევართა რიგებს. და

არა მარტო ღარიბი გლეხები იმყოფებოდნენ ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაში. საშუალო გლეხების თითქმის ნახევარი ისეთსავე გაჭირვებასა და შევიწროებას განიცდიდა, როგორც ღარიბი გლეხები. ყველაფერი ეს უკვე დაივიწყეს გლეხებმა.

რა მისცა ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებამ ღარიბ გლეხებს და საშუალო გლეხთა დაბალ ფენებს? მან ძირი გამოუთხარა კულაკობას და დაამარცხა იგი, როგორც კლასი, გაათავისუფლა რა ღარიბი გლეხები და საშუალო გლეხთა ნახევარი კულაკური კაბალისაგან. მან ჩაბა ისინი კოლმეურნეობებში და შეუქმნა მათ მტკიცე მდგომარეობა. ამით მან მოსპო შესაძლებლობა გლეხობის დაყოფისა ფენებად: ექსპლოატატორებად — კულაკებად და ექსპლოატირებულებად — ღარიბ გლეხებად. ღარიბი გლეხობა და საშუალო გლეხთა დაბალი ფენები მან კოლმეურნეობებში ჩააყენა უზრუნველყოფილი ხალხის მდგომარეობაში და მოსპო ამით გლეხობის გაღატაკებისა და გაჩანაგების პროცესი. ახლა ჩვენში უკვე აღარ არის ისეთი შემთხვევები, რომ მილიონობით კლეხები ყოველ წელს ტოვებდნენ თავის ადგილს და საშოვარზე მიდიოდნენ შორეულ მხარეებში. გლეხი რომ სამუშაოზე გაიყვანო სადმე, მისი საკუთარი კოლმეურნეობის გარეთ, ამისათვის ახლა საჭიროა ხელშეკრულება დასდო კოლმეურნეობასთან და, გარდა ამისა, უზრუნველყო კოლმეურნე უფასო მგზავრობით რკინიგზაზე. ახლა ჩვენში უკვე აღარ არის ისეთი შემთხვევები, რომ ასიათასობით და მილიონობით გლეხები ღატაკდებოდნენ და ატუზული იყვნენ ფაბრიკებისა და ქარხნების კარებთან. ეს იყო, მაგრამ დიდი ხანია მოისპო. ამჟამად გლეხი უზრუნველყოფილი მეურნეა და წევრია კოლმეურნეობისა, რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სათესლე ფონდები, სამარაგო ფონდები და სხვ. და სხვ.

აი რა მისცა ხუთწლედმა ღარიბ გლეხობას და საშუალო გლეხების ქვედა ფენებს.

აი რა არის ხუთწლედის ძირითად მონაპოვართა დედაარსი მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში.

ამ ძირითად მონაპოვართა შედეგად მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხაზით პირველი ხუთწლედის მანძილზე ჩვენ გვაქვს:

ა) მსხვილი მრეწველობის მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვის ერთიორად ზრდა 1928 წელთან შედარებით, რაც იძლევა ხუთწლიანი გეგმის 57 პროცენტით გადაჭარბებით შესრულებას;

ბ) სახალხო შემოსავლის ზრდა, — მაშასადამე, მუშათა და გლეხთა შემოსავლის ზრდა, — რომელმაც 1932 წელს 45,1 მილიარდ მანეთს მიაღწია, რაც იძლევა 85 პროცენტით მატებას 1928 წელთან შედარებით;

გ) მსხვილი მრეწველობის მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასის ზრდა, 1928 წელთან შედარებით, 67 პროცენტით, რაც იძლევა ხუთწლედის 18 პროცენტით გადაჭარბებით შესრულებას;

დ) სოციალური დაზღვევის ფონდის ზრდა, 1928 წელთან შედარებით, 292 პროცენტით (4 120 მილიონი მანეთი 1932 წელს, ნაცვლად 1 050 მილიონი მანეთისა 1928 წელს), რაც იძლევა ხუთწლიანი გეგმის 111 პროცენტით გადაჭარბებით შესრულებას;

ე) საზოგადოებრივი კვების ზრდა მრეწველობის გადამწყვეტი დარგების მუშების 70 პროცენტისათვის მომსახურების გაწევით, რაც იძლევა ხუთწლედის 6-ჯერ გადაჭარბებით შესრულებას.

რასაკვირველია, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ სავსებით უზრუნველყოთ მუშათა და გლეხთა მატერიალური მოთხოვნილებანი. და არა გვგონია, რომ ამას მივაღწიოთ უახლოეს წლებში. მაგრამ ჩვენ უეჭველად მივაღწიეთ იმას, რომ მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობა ჩვენში წლიდან წლამდე უმჯობესდება. ამაში ეჭვის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტრებს ან, შეიძლება, ბურჟუაზიული პრესის ზოგიერთ წარმომადგენელს, მათ შორის ამ პრესის კორესპონდენტების ერთ ნაწილს მოსკოვში, რომელთაც ხალხთა ეკონომიკასა და მშრომელთა მდგომარეობაში იმდენივე გაეგებათ, რამდენიც, ვთქვათ, აბისინიის მეფეს უმაღლეს მათემატიკაში.

ხოლო როგორია მუშათა და გლეხთა მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში?

აი ოფიციალური მონაცემები.

უმუშევართა რიცხვი კაპიტალისტურ ქვეყნებში კატასტროფულად გაიზარდა. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ცნობებით მარტო დამმუშავებელ მრეწველობაში დაბანდებული მუშების რიცხვი 1928 წლის 8,5 მილიონი კაციდან შემცირდა 5,5 მილიონამდე 1932 წელს, ამერიკის შრომის ფედერაციის ცნობებით კი უმუშევართა რიცხვი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთელ მრეწველობაში 1932 წლის დამლევს 11 მილიონ კაცს აღწევს. ინგლისში უმუშევართა რიცხვი, ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 1928 წლის 1 290 ათასიდან გაიზარდა 2,8 მილიონ კაცამდე 1932 წელს. გერმანიაში,

ოფიციალური ცნობების მიხედვით, უმუშევართა რიცხვი 1928 წლის 1 376 ათასიდან გაიზარდა 5,5 მილიონამდე 1932 წელს. ასეთივე სურათს ვხედავთ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, ამასთან ოფიციალური სტატისტიკა, როგორც მიღებულია, ამცირებს ცნობებს უმუშევართა შესახებ, რომელთა რაოდენობა კაპიტალისტურ ქვეყნებში 35-დან 40 მილიონ კაცამდე ქანაობს.

სისტემატურად ტარდება მუშათა ხელფასის შემცირება. ოფიციალური ცნობებით, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში საშუალო თვიური ხელფასის შემცირებამ, 1928 წლის დონესთან შედარებით, მიაღწია 35 პროცენტს, ინგლისში იმავე ხნის განმავლობაში — 15 პროცენტს, ხოლო გერმანიაში — 50 პროცენტსაც კი. ამერიკის შრომის ფედერაციის გამოანგარიშებით, ამერიკელმა მუშებმა ხელფასის შემცირების შედეგად 1930/31 წელს დაკარგეს 35 მილიარდ დოლარზე მეტი.

საგრძნობლად შემცირდა ინგლისისა და გერმანიის მუშების ისედაც უმნიშვნელო დასაზღვევი ფონდი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში სრულიად არ არის ან თითქმის არ არის უმუშევართა დაზღვევის რაიმე ფორმები, რის გამო კოლოსალურად იზრდება უსახლკარო მუშებისა და უპატრონო ბავშვების რიცხვი, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

უკეთესად არ არის საქმე გლეხთა მასების მდგომარეობის მხრივ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო კრიზისი ძირფესვიანად არყევს გლეხურ მეურნეობას და ქუჩაში ჰყრის მრავალ მილიონ გაღატაკებულ გლეხსა და ფერმერს.

ასეთია ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები სსრ კავშირის მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში.

VI

ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის დარგში

ახლა გადავიდეთ ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის ზრდის დარგში ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგების საკითხზე.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის უდიდეს ზრდას, გარდამეტი საქონლის ზრდას როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, დასასრულ, მუშებისა და გლეხების მოთხოვნილებათა ზრდას, — ყოველივე ამას არ შეეძლო არ გამოეწვია

და ნამდვილადაც გამოიწვია ქალაქსა და სოფელს შორის საქონელ-ბრუნვის გამოცოცხლება და გაფართოება.

საწარმოო კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის არის კავშირის ძირითადი ფორმა. მაგრამ მარტო საწარმოო კავშირი საკმაო არ არის, იგი უნდა შეავსოთ სასაქონლო კავშირით იმისათვის, რომ კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის მტკიცე და განუწყვეტელი გახდეს. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა ვაჭრობის გაშლის გზით. სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ საბჭოთა ვაჭრობის გაშლა შესაძლებელია რომელიმე ერთი არხის მეშვეობით, მაგალითად, კოოპერაციის მეშვეობით. საბჭოთა ვაჭრობის გასაშლელად საჭიროა გამოვიყენოთ ყველა არხი: კოოპერაციული ქსელიც, სახელმწიფო-სავაჭრო ქსელიც, საკოლმეურნეო ვაჭრობაც.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ საბჭოთა ვაჭრობის გაშლა, განსაკუთრებით კი საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლა, არის დაბრუნება ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიისაკენ. ეს სრულიადაც არ არის სწორი.

საბჭოთა ვაჭრობასა, მასთან ერთად საკოლმეურნეო ვაჭრობასა. და ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის ვაჭრობას შორის ძირფესვიანი განსხვავება არსებობს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ სტადიაზე ჩვენ ვუშვებდით კაპიტალიზმის გამოცოცხლებას, ვუშვებდით კერძო საქონელბრუნვას, ვუშვებდით კერძო ვაჭრების, კაპიტალისტების, სპეკულანტების «საქმიანობას».

ეს იყო ცოტად თუ ბევრად თავისუფალი ვაჭრობა, მხოლოდ შეზღუდული სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლით. მაშინ კერძო-კაპიტალისტურ სექტორს საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა ჩვენი ქვეყნის საქონელბრუნვაში. აღარას ვამბობ იმაზე, რომ მაშინ ჩვენ არ გვქონდა არც ისეთი განვითარებული მრეწველობა, როგორც ახლა, არც კოლმეურნეობები, არც საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც გეგმის მიხედვით მუშაობენ და სახელმწიფოს აძლევენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და საქალაქო ნაწარმის უდიდეს რეზერვებს.

შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ჩვენ ახლა ასეთივე მდგომარეობა გვაქვს? რასაკვირველია, ამის თქმა არ შეიძლება.

ჯერ-ერთი, არ შეიძლება ერთმანეთს მივუთანაბროთ საბჭოთა ვაჭრობა და ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის ვაჭრობა, თუმცა ამ უკანასკნელს აწესრიგებდა სახელმწიფო. თუ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის ვაჭრობა უშვებდა კაპიტალიზმის გამოცოცხლებას და კერძო-კაპიტალისტური

სექტორის მოქმედებას საქონელბრუნვაში, საბჭოთა ვაჭრობა უარყოფს როგორც ერთს, ისე მეორეს. რა არის საბჭოთა ვაჭრობა? საბჭოთა ვაჭრობა არის ვაჭრობა გარეშე კაპიტალისტებისა — დიდი და პატარა კაპიტალისტებისა, ვაჭრობა გარეშე სპეკულანტებისა — დიდი და პატარა სპეკულანტებისა. ეს განსაკუთრებული სახის ვაჭრობაა, რომელსაც დღემდე არ იცნობდა ისტორია და რომელიც შემოღებული გვაქვს მხოლოდ ჩვენ, ბოლშევიკებს, საბჭოთა განვითარების პირობებში.

მეორეც, ახლა ჩვენ გვაქვს საკმაოდ განვითარებული სახელმწიფო მრეწველობა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონლის უდიდეს რეზერვებს საბჭოთა ვაჭრობის გასაშლელად. ეს არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის პირობებში.

მესამეც, ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში სრულიად განვდევნეთ საქონელბრუნვიდან კერძო ჩარჩები, ვაჭრები, ყოველგვარი შუამავლები. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ, ატავიზმის კანონის ძალით, შეიძლება საქონელბრუნვაში კვლავ გაჩნდნენ კერძო ვაჭრები და სპეკულანტები, რომლებიც ამისათვის გამოიყენებენ მათთვის ყველაზე უფრო მოხერხებულ ასპარეზს, სახელდობრ — საკოლმეურნეო ვაჭრობას. უფრო მეტიც, თვითონ კოლმეურნენი ზოგჯერ მზად არიან გასწიონ სპეკულაცია, რაც მათ, რა თქმა უნდა, სასახელო საქმედ ვერ ჩაეთვლებათ. მაგრამ ამ არაჯანსაღ მოვლენათა წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ ცოტა ხნის წინათ გამოცემული კანონი სპეკულაციის აღკვეთისა და სპეკულანტების დასჯის ზომების შესახებ. თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ამ კანონს არ ახასიათებს განსაკუთრებული ლმობიერება. თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რომ ასეთი კანონი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის პირობებში.

თქვენ ხედავთ, რომ ყოველივე ამის შემდეგ ლაპარაკი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის ვაჭრობისაკენ დაბრუნების შესახებ — ნიშნავს: არაფერი, სრულიად არაფერი გესმოდეს ჩვენს საბჭოთა ეკონომიკაში.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ შეუძლებელია ვაჭრობის გაშლა, თუნდაც ის საბჭოთა ვაჭრობა იყოს, ჯანსაღი ფულადი მეურნეობისა და ჯანსაღი ვალუტის უქონლად, რომ, უწინარეს ყოვლისა, საჭირო

ვეუწამლოთ ფულად მეურნეობას და ჩვენს საბჭოთა ვალუტას, რომელიც ვითომ არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ასე გვეუბნებიან ჩვენ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომისტები. მე ვფიქრობ, რომ ამ პატივცემულ ეკონომისტებს იმაზე მეტი არ გაეგებათ პოლიტიკურ ეკონომიაში, ვიდრე, ვთქვათ, კენტერბერის არქიეპისკოპოსს ანტირელიგიურ პროპაგანდაში. როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჩვენი საბჭოთა ვალუტა არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს? განა ფაქტი არ არის, რომ ამ ვალუტით ვაშენებდით მაგნიტომშენს, დნეპრმშენს, კუზნეცკმშენს, სტალინგრადისა და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნებს, გორკისა და მოსკოვის საავტომობილო ქარხნებს, ასეულ ათას კოლმეურნეობებს და ათასეულ საბჭოთა მეურნეობებს? ხომ არ ფიქრობენ ეს ვაჟბატონები, რომ ყველა ეს საწარმო აშენებულია ჩალით ან თიხით, და არა ნამდვილი მასალით, რომელსაც განსაზღვრული ღირებულება აქვს? რით არის უზრუნველყოფილი საბჭოთა ვალუტის სიმტკიცე, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში მივიღებთ მოწესრიგებულ ბაზარს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის საქონელბრუნვაში, და არა მოუწესრიგებელ ბაზარს, რომელსაც მხოლოდ დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს? რა თქმა უნდა, არა მარტო ოქროს მარაგით. საბჭოთა ვალუტის სიმტკიცე უზრუნველყოფილია, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს ხელში არსებული საქონლის მასის დიდძალი რაოდენობით, რომელიც მტკიცე ფასებით შედის საქონელბრუნვაში. რომელ ეკონომისტს შეუძლია უარყოს, რომ ასეთი უზრუნველყოფა, რომელიც მხოლოდ სსრ კავშირში არის, წარმოადგენს ვალუტის სიმტკიცის უფრო რეალურ უზრუნველყოფას, ვიდრე ოქროს რაიმე მარაგი? მიხვდებიან თუ არა როდისმე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომისტები, რომ ისინი საბოლოოდ დაიბნენ ოქროს მარაგის, როგორც ვალუტის სიმტკიცის ერთადერთი უზრუნველმყოფელი საშუალების, თეორიაში?

ასე დგას საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ვაჭრობის გაშლასთან.

რას მივაღწიეთ ჩვენ ხუთწლედის განხორციელების შედეგად საბჭოთა ვაჭრობის გაშლის დარგში?

ხუთწლედის შედეგად ჩვენ გვაქვს:

ა) მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გადიდება, რამაც მიაღწია 187 პროცენტს, 1928 წელთან შედარებით;

ბ) საცალო კოოპერაციულ-სახელმწიფო საქონელბრუნვის ზრდა, რაც ამჟამად შეადგენს 39,6 მილიარდ მანეთს 1932 წლის ფასებში, ე. ი. საქონლის მასის გადიდება საცალო ვაჭრობაში 175 პროცენტამდე, 1928 წელთან შედარებით;

ბ) სახელმწიფო-კოოპერაციული სავაჭრო ქსელის ზრდა 158 ათასი დუქნით და მაღაზიით, 1929 წელთან შედარებით;

დ) საკოლმეურნეო ვაჭრობისა და ცალკეული სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების სასოფლო-სამეურნეო დამზადებათა სულ უფრო და უფრო გაშლა.

ასეთია ფაქტები.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს საქონელბრუნვის მდგომარეობა კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, სადაც კრიზისმა გამოიწვია ვაჭრობის კატასტროფული შემცირება, საწარმოთა მასობრივად დახურვა და წვრილი და საშუალო ვაჭრების განადგურება, მსხვილი სავაჭრო ფირმების გაკოტრება და სავაჭრო საწარმოებში საქონლის დაგროვება მშრომელი მასების მყიდველობითი უნარის სულ უფრო და უფრო დაცემის დროს.

ასეთია ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელების შედეგები საქონელბრუნვის განვითარების ხაზით.

VII

ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შედეგები მტრული კლასების ნაშთებთან ბრძოლის დარგში

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის დარგში ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად ჩვენ დავამკვიდრეთ სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალიზმის პრინციპი და განვდევნეთ იქიდან კაპიტალისტური ელემენტები.

რა უნდა გამოეწვია ამას კაპიტალისტური ელემენტების მიმართ და რა გამოიწვია ამან ნამდვილად?

ამან გამოიწვია ის, რომ კალაპოტიდან ამოვარდნილი აღმოჩნდნენ მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთები: მრეწველები და მათი ავანჩავანნი, ვაჭრები და მათი დამქაშები, ყოფილი აზნაურები და ხუცები, კულაკები და მათი დამქაშები, ყოფილი თეთრი ოფიცრები და ურიადნიკები, ყოფილი პოლიციელები და ჟანდარმები, შოვინისტური ყაიდის სხვადასხვაგვარი ბურჟუაზიული ინტელიგენტები და ყველა დანარჩენი ანტისაბჭოთა ელემენტები.

ეს ყოფილი ადამიანები, რომლებიც ამოვარდნენ კალაპოტიდან და გაიფანტნენ მთელ სსრ კავშირში, მოედვნენ ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებს, ჩვენს დაწესებულებებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის საწარმოებს და უმთავრესად — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ისინი დაიქსაქსნენ და მიიმალნენ იქ, ჩამოიცვეს «მუშებისა» და «გლეხების» ნიღაბი, ამასთან ზოგიერთი მათგანი პარტიაშიც კი შეძვრა.

რა მიიტანეს მათ იქ? რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილის გრძნობა, მეურნეობის, ყოფაცხოვრებისა და კულტურის ახალი ფორმებისადმი მოსისხლე მტრობის გრძნობა.

ამ ვაჟბატონებს უკვე აღარ ძალუძთ პირდაპირი იერიში მიიტანონ საბჭოთა ხელისუფლებაზე. ისინი და მათი კლასები წინათ რამდენჯერმე გადმოვიდნენ ასეთ იერიშზე, მაგრამ დამარცხდნენ და გაიფანტნენ. ამიტომ ერთადერთი, რაც მათ დარჩენიათ, — ეს არის გაუფუჭონ საქმე და ავნონ მუშებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა ხელისუფლებას, პარტიას. და ისინიც აფუჭებენ საქმეს რითაც შეუძლიათ, მოქმედებენ მიპარვით. ცეცხლს უკიდებენ საწყობებს და ამტვრევენ მანქანებს. აწყობენ საბოტაჟს. აწყობენ მავნებლობას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ამასთან ზოგიერთნი მათგანი, რომელთა შორის პროფესორებიც არიან, თავიანთ მავნებლურ სწრაფვაში იქამდე მიდიან, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვს უცრიან შაე ჭირს, ციმბირის წყლულს, ხელს უწყობენ მენინგიტის გავრცელებას ცხენებს შორის და სხვ.

მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ამ ყოფილი ადამიანების «მოღვაწეობაში» ის არის, რომ ისინი აწყობენ სახელმწიფო ქონების, კოოპერაციული ქონების, საკოლმეურნეო საკუთრების მასობრივ ქურდობასა და მტაცებლობას. ქურდობა და მტაცებლობა ფაბრიკებსა და ქარხნებში, ქურდობა და მტაცებლობა რკინიგზის ტვირთისა, ქურდობა და მტაცებლობა საწყობებსა და სავაჭრო საწარმოებში, — მეტადრე ქურდობა და მტაცებლობა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, — ასეთია ამ ყოფილი ადამიანების «მოღვაწეობის» ძირითადი ფორმა. ისინი თითქოს კლასობრივი ინსტინქტით გრძნობენ; რომ საბჭოთა მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრება, რომ სწორედ ამ საფუძვლის შერყევაა საჭირო იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას საქმე გაუფუჭდეს, — და ისინი მართლაც ცდილობენ შეარყიონ საზოგადოებრივი საკუთრება მასობრივი ქურდობისა და მტაცებლობის მოწყობის გზით.

მტაცებლობის მოსაწყობად ისინი იყენებენ კოლმეურნეთა, გუშინდელ ერთპიროვნულ მეურნეთა, ახლა კი კოლმეურნეობების წევრთა კერძო-მესაკუთრულ ჩვევებსა და გადმონაშთებს. თქვენ, როგორც მარქსისტებმა, უნდა იცოდეთ, რომ ადამიანთა შეგნება თავის განვითარებაში ჩამორჩება მათს ფაქტიურ მდგომარეობას. კოლმეურნეები მდგომარეობით უკვე ერთპიროვნული მეურნეები კი არ არიან, არამედ კოლექტივისტები, მაგრამ მათ ჯერჯერობით

ძველი, კერძო-მესაკუთრული შეგნება აქვთ. და აი, ყოფილი ადამიანები ექსპლოატატორულ კლასთა რიგებიდან იყენებენ კოლმეურნეთა. კერძო-მესაკუთრულ ჩვეულებებს, რათა მოაწყონ საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობა და მით შეარყიონ საბჭოთა წყობილების საფუძველი — საზოგადოებრივი საკუთრება.

ბევრი ჩვენი ამხანაგი უდარდელად უყურებს ასეთ მოვლენას, მათ არ ესმით მასობრივი ქურდობისა და მტაცებლობის ფაქტების აზრი და მნიშვნელობა. ისინი, როგორც ბრმები, გვერდს უვლიან ამ ფაქტებს და ფიქრობენ, რომ «აქ არაფერი განსაკუთრებული არ არის». მაგრამ ისინი, ეს ამხანაგები, დიდად ცდებიან. ჩვენი წყობილების საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრება, ისე როგორც კაპიტალიზმის საფუძველს — კერძო საკუთრება. თუ კაპიტალისტებმა კერძო საკუთრება გამოაცხადეს წმიდათა-წმიდად და ხელშეუხებლად, მიაღწიეს რა თავის დროზე კაპიტალისტური წყობილების განმტკიცებას, ჩვენ, კომუნისტებმა, მით უფრო უნდა გამოვაცხადოთ საზოგადოებრივი საკუთრება წმიდათა-წმიდად და ხელშეუხებლად, რათა ამ გზით განვამტკიცოთ მეურნეობის ახალი სოციალისტური ფორმები წარმოებისა და ვაჭრობის ყველა დარგში. საზოგადოებრივი საკუთრების, — სულ ერთია, იქნება ეს სახელმწიფოებრივი საკუთრება თუ კოოპერაციული ან საკოლმეურნეო საკუთრება, — ქურდობისა და მტაცებლობის დაშვება და ასეთ კონტრრევოლუციურ უმსგავსობათა უყურადღებოდ დატოვება — ნიშნავს ხელი შეუწყო საბჭოთა წყობილების ძირის გამოთხრას, იმ წყობილებისა, რომელიც ემყარება საზოგადოებრივ საკუთრებას, როგორც თავის ბაზას. ამ თვალსაზრისიდან გამოდიოდა ჩვენი საბჭოთა მთავრობა, როცა მან ამას წინათ გამოსცა კანონი საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის შესახებ. ეს კანონი არის რევოლუციური კანონიერების საფუძველი ამჟამად. ხოლო მისი უმკაცრესად გატარება ცხოვრებაში — თვითეული კომუნისტის, თვითეული მუშისა და კოლმეურნის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს.

ამბობენ, რომ ჩვენი დროის რევოლუციური კანონიერება არაფრით არ განირჩევა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის რევოლუციური კანონიერებისაგან, რომ ჩვენი დროის რევოლუციური კანონიერება არის დაბრუნება ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის რევოლუციური კანონიერებისაკენ. ეს სრულიად არ არის სწორი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდის რევოლუციური კანონიერება თავისი მახვილით მიმართული იყო, უმთავრესად, სამხედრო კომუნიზმის უკიდურესობათა წინააღმდეგ, «უკანონო» კონფისკაციებისა და გადასახადე-

ბის წინააღმდეგ. იგი ყერძო მეპატრონისათვის, ერთპიროვნული მეურნისათვის, კაპიტალისტისათვის უზრუნველყოფდა მათი ქონების დაცვას იმ პირობით, თუ ისინი ზედმიწევნით შეასრულებდნენ საბჭოთა კანონებს. სულ სხვანაირად არის რევოლუციური კანონიერების საქმე ჩვენს დროში. ჩვენი დროის რევოლუციური კანონიერება თავისი მახვილით მიმართულია არა სამხედრო კომუნიზმის უკიდურესობათა წინააღმდეგ, რომელნიც უკვე დიდი ხანია არ არსებობენ ბუნებაში, არამედ ქურდებისა და მავნებლების წინააღმდეგ საზოგადოებრივ მეურნეობაში, ხულიგნებისა და საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლების წინააღმდეგ. მაშასადამე, რევოლუციური კანონიერების ძირითადი საზრუნავი ჩვენს ეროში არის საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა და არა სხვა რამ.

აი ამიტომ ბრძოლა საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის, ბრძოლა ყველა ღონისძიებითა და საშუალებით, როგორსაც კი გვაძლევენ საბჭოთა ხელისუფლების კანონები, — პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

პროლეტარიატის მაგარი და მძლავრი დიქტატურა, — აი რა გვესაჭიროება ახლა იმისათვის, რომ გავაცამტვეროთ მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთები და მოვსპოთ მათი ქურდული მახინაციები.

ზოგიერთმა ამხანაგმა თეზისი კლასების მოსპობის, უკლასო საზოგადოების შექმნისა და სახელმწიფოს კვდომის შესახებ გაიგო, როგორც სიზარმაცისა და უდარდელობის გამართლება, როგორც კლასობრივი ბრძოლის ქრობისა და სახელმწიფო ძალაუფლების შესუსტების კონტრრევოლუციური თეორიის გამართლება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ ადამიანებს არ შეუძლიათ რაიმე საერთო ჰქონდეთ ჩვენს პარტიასთან. ესენი არიან გადაგვარებულნი, ან ორგულნი, რომლებიც უნდა გაეძევოთ პარტიიდან. კლასების მოსპობის მიღწევა შეიძლება არა კლასობრივი ბრძოლის ქრობით, არამედ მისი გაძლიერებით. სახელმწიფოს კვდომას მოგვიტანს არა სახელმწიფო ძალაუფლების შესუსტება, არამედ მისი მაქსიმალური გაძლიერება, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ბოლომდე გავანადგუროთ მომაკვდავი კლასების ნაშთები და მოვაწყოთ თავდაცვა კაპიტალისტური გარემოცვის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი და არც მალე მოისპობა.

ხუთწლედის განხორციელების შედეგად ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საბოლოოდ განვდევნეთ მტრული კლასების უკანასკნელი ნაშთები მათი საწარმოო პოზიციებიდან, გავანადგურეთ კულაკობა და მოვამზადეთ ნიადაგი მისი მოსპობისათვის. ასეთია ხუთწლედის შე-

დეგი ბურჟუაზიის უკანასკნელ რაზმებთან ბრძოლის დარგში. მაგრამ ეს ცოტაა. ამოცანა ისაა, რომ ეს ყოფილი ადამიანები განვდევნოთ ჩვენივე საკუთარი საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან და საბოლოოდ დავუკარგოთ ზიანის მოყენების უნარი.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ყოფილ ადამიანებს შეეძლოთ რისიმე შეცვლა თავიანთი მავნებლური და ქურდული მახინაციებით სსრ კავშირის ახლანდელ მდგომარეობაში. ისინი მეტად სუსტნი და უძლურნი არიან იმისათვის, რომ წინააღუდგნენ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს. მაგრამ, თუ ჩვენი ამხანაგები არ შეიარაღდებიან რევოლუციური სიფხიზლით და არ განდევნიან პრაქტიკიდან ობივატელურ-უდარდელ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი საკუთრების ქურდობისა და მტაცებლობის ფაქტებისადმი, ყოფილ ადამიანებს შეუძლიათ ბევრი სისაძაგლის ჩადენა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდა გააძლიერებს მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგობას. სწორედ იმიტომ, რომ ისინი კვდებიან და სულს ღაფავენ, ისინი თავდასხმების ერთი ფორმიდან გადავლენ თავდასხმების სხვა, უფრო მწვავე ფორმაზე, მიმართავენ მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებს და დარაზმავენ მათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. არ არის ისეთი სისაძაგლე და ცილისწამება, რომელიც ამ ყოფილმა ადამიანებმა არ მიაწერონ საბჭოთა ხელისუფლებას და რომლის გარშემოც არ შეეცადონ ჩამორჩენილი ელემენტების მობილიზაციას. ამ ნიადაგზე შეიძლება გამოცოცხლდნენ და ამოძრავდნენ ძველი კონტრრევოლუციური პარტიების — ესერების, მენშევიკების, ცენტრისა და განაპირა მხარეების ბურჟუაზიული ნაციონალისტების დამარცხებული ჯგუფები, შეიძლება გამოცოცხლდნენ და ამოძრავდნენ კონტრრევოლუციური ოპოზიციური ელემენტების ნაშთები ტროცკისტებისა და მემარჯვენე უკლონისტების წრიდან. ეს, რა თქმა უნდა, საშიში არ არის. მაგრამ ყოველივე ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, თუ გვსურს ამ ელემენტებს ბოლო მოვუღოთ სწრაფად და რაიმე საგრძნობი მსხვერპლის გარეშე.

აი რატომ წარმოადგენს რევოლუციური სიფხიზლე სწორედ იმ ფასებას, რაც განსაკუთრებით საჭიროა ახლა ბოლშევიკებისათვის.

VIII

საერთო დასკვნები

ასეთია ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ძირითადი შედეგები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისა და საქონელბრუნვის განვითა-

რების დარგში, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და მომაკვდავ კლასთა ნარჩენებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის გაშლის დარგში.

ასეთია საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი და მონაპოვარნი უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა ამ წარმატებათა საფუძველზე, რომ ჩვენში ყველაფერი რიგზეა. რა თქმა უნდა, ჩვენში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდია. ნაკლი და შეცდომები ჩვენს მუშაობაში საკმაოდ მოგვეპოვება. უყაირათობა და უთავბოლობა ჯერ კიდევ არის ჩვენს პრაქტიკაში. მე, სამწუხაროდ, არ შემიძლია ახლა შევჩერდე ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე, რადგან ჩემთვის დავალებული შემაჯამებელი მოხსენების ფარგლები ამისათვის გასაქანს არ იძლევა. მაგრამ ახლა საქმე ამაში როდია. საქმე იმაშია, რომ, მიუხედავად ნაკლოვანებებისა და შეცდომებისა, რომელთა არსებობას არც ერთი ჩვენთაგანი არ უარყოფს, ჩვენ მივაღწიეთ ისეთ სერიოზულ წარმატებებს, რომელნიც იწვევენ აღტაცებას მთელი მსოფლიოს მუშათა კლასში, ჩვენ მივაღწიეთ ისეთ გამარჯვებას, რომელსაც ჭეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

რას შეეძლო ეთამაშნა და ნამდვილად რამ ითამაშა მთავარი როლი იმაში, რომ, შეცდომებისა და ნაკლთა მიუხედავად, პარტიამ მაინც მიაღწია გადამწყვეტ წარმატებებს ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში განხორციელების მხრივ?

სად არის ის ძირითადი ძალები, რომლებმაც, მიუხედავად ყველაფრისა, უზრუნველყვეს ეს ჩვენი ისტორიული გამარჯვება?

ეს არის, პირველ ყოვლისა, აქტივობა და თავდადება, ენთუზიაზმი და ინიციატივა მუშათა და კოლმეურნეთა მილიონიანი მასებისა, რომლებმაც, საინჟინერო-ტექნიკურ ძალებთან ერთად, განავითარეს კოლოსალური ენერგია სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გასაშლელად. ეჭვი არაა, რომ ამ გარემოების გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევდით მიზანს, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდით წინ.

მეორეც, ეს არის მტკიცე ხელმძღვანელობა პარტიისა და მთავრობის მხრით, რომელნიც მოუწოდებდნენ მასებს წინ და სძლევდნენ ყველა და ყოველგვარ სიძნელეს მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

ბოლოს, ეს არის განსაკუთრებული ღირსებანი და უპირატესობანი მეურნეობის საბჭოთა სისტემისა, რომელიც შეიცავს ყველა და ყოველგვარი სიძნელის გადასალახავად საჭირო კოლოსალურ შესაძლებლობებს.

ასეთია სამი ძირითადი ძალა, რომელმაც განსაზღვრა სსრ კავშირის ისტორიული გამარჯვება.

საერთო დასკვნები:

1. ხუთწლედის შედეგებმა გააცამტვერეს ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეთა მტკიცება იმის შესახებ, რომ ხუთწლიანი გეგმა არის ფანტაზია, ბოდვა, განუხორციელებელი ოცნება. ხუთწლედის შედეგებმა ცხადყვეს, რომ ხუთწლიანი გეგმა უკვე განხორციელდა.

2. ხუთწლედის შედეგებმა დაამსხვრიეს ცნობილი ბურჟუაზიული «სიმბოლო სარწმუნოებისა» იმის შესახებ, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია ახლის შენება, რომ მას შეუძლია მხოლოდ ძველის დანგრევა. ხუთწლედის შედეგებმა ცხადყვეს, რომ მუშათა კლასს შეუძლია ახლის ისევე კარგად შენება, როგორც ძველის ნგრევა.

3. ხუთწლედის შედეგებმა დაამსხვრიეს სოციალ-დემოკრატების თეზისი იმის შესახებ, რომ შეუძლებელია სოციალიზმის აშენება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში. ხუთწლედის შედეგებმა ცხადყვეს, რომ სავსებით შესაძლებელია სოციალისტური საზოგადოების აშენება ერთ ქვეყანაში, ვინაიდან ასეთი საზოგადოების ეკონომიური საძირკველი უკვე აშენებულია სსრ კავშირში.

4. ხუთწლედის შედეგებმა გააცამტვერეს ბურჟუაზიული ეკონომისტების მტკიცება იმის შესახებ, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა წარმოადგენს საუკეთესო სისტემას, რომ მეურნეობის ყოველგვარი სხვა სისტემა არ არის მტკიცე, და მას არ შეუძლია დაიჭიროს გამოცდა ეკონომიური განვითარების სიძნელეთა წინაშე. ხუთწლედის შედეგებმა ცხადყვეს, რომ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა უნიადაგოა და არამტკიცე, რომ იგი უკვე სულს ღაფავს და მან თავისი ადგილი უნდა დაუთმოს მეურნეობის მეორე, უმაღლეს, საბჭოთა, სოციალისტურ სისტემას, რომ მეურნეობის ერთადერთი სისტემა, რომელსაც კრიზისებისა არ ეშინია და შეუძლია გადალახოს კაპიტალიზმისათვის გადაუჭრელი სიძნელენი, — ეს არის მეურნეობის საბჭოთა სისტემა.

5. ბოლოს, ხუთწლედის შედეგებმა ცხადყვეს, რომ პარტია უძლეველია, თუ მან იცის, საით წარმართოს საქმე, და თუ მას სიძნელეებისა არ ეშინია.

(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა; დარბაზი ფეხზე ამდგარი მიესალმება ამხანაგ სტალინს).

სოფლად მუშაობის შესახებ

სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წ. 11 იანვარს

ამხანაგებო! მე ვფიქრობ, რომ ორატორებმა სწორად დაასურათეს პარტიული მუშაობის მდგომარეობა სოფლად, მისი ნაკლი, მისი ღირსებანი, — განსაკუთრებით მისი ნაკლი. და მაინც მგონია, რომ მათ არ უთქვამთ ყველაზე მთავარი სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლთა შესახებ, არ გამოუაშკარავებიათ ამ ნაკლთა ფესვები. ეს მხარე კი ჩვენთვის ყველაზე უფრო მეტ ინტერესს წარმოადგენს. ამიტომ ნება მომეცით გამოვთქვა ჩემი აზრი სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლთა შესახებ, გამოვთქვა მთელი იმ პირდაპირობით, რომელიც სჩვეოდათ ბოლშევიკებს.

რა არის სოფლად ჩვენი მუშაობის მთავარი ნაკლი უკანასკნელ წელს, 1932 წელს?

მთავარი ნაკლი არის ის, რომ პურის დამზადება ამ წელს ჩვენში ჩატარდა უფრო მეტი სიძნელეებით, ვიდრე წინა წელს, ვიდრე 1931 წელს.

ამის ახსნა ცუდი მოსავლით ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან წელს ჩვენში მოსავალი წინა წელთან შედარებით უკეთესი იყო და არა უარესი. არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ პურის საერთო მოსავალი 1932 წელს უფრო დიდი იყო, ვიდრე 1931 წელს, როცა გვალვამ სსრ კავშირის ჩრდილო-აღმოსავლეთის ხუთ ძირითად რაიონში საგრძნობლად შეამცირა ჩვენი ქვეყნის პურის ბალანსი. რა თქმა უნდა, ჩვენ 1932 წელსაც გვქონდა მოსავლის ერთგვარი დანაკარგი არახელსაყრელი კლიმატური პირობების გაშო ყუბანსა და თერგის ოლქში, აგრეთვე უკრაინის ზოგიერთ რაიონში. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ეს დანაკარგი იმ დანაკარგის ნახევარიც არ არის, რომელიც იყო 1931 წელს გვალვის გამო სსრ კავშირის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში. მაშასადამე, 1932 წელს ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტი პური იყო, ვიდრე 1931 წელს. და მაინც, მიუხედავად ამ გარემოებისა, პურის დამზადება ჩვენში 1932 წელს ჩატარდა უფრო მეტი სიძნელეებით, ვიდრე წინა წელს.

რაშია აქ საქმე? სად არის ჩვენი მუშაობის ამ ნაკლის მიზეზები? რით ავხსნათ ეს შეუსაბამობა?

1) ეს აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ ადგილობრივ მომუშავე ჩვენმა ამხანაგებმა, ჩვენმა სოფლის მუშაკებმა ვერ გაითვალისწინეს ახალი ვითარება სოფლად, რომელიც შეიქმნა პურის საკოლმეურნეო ვაჭრობის გამოცხადების გამო. და სწორედ იმიტომ, რომ მათ ვერ გაითვალისწინეს ახალი ვითარება, სწორედ ამიტომ მათ ვერ გარდაქმნეს მუშაობა ახალ ყაიდაზე ახალ ვითარებასთან შეფარდებით. სანამ არ არსებობდა პურის საკოლმეურნეო ვაჭრობა, სანამ არ არსებობდა პურის ორი ფასი, სახელმწიფო და საბაზრო ფასი, — სოფლად იყო ერთი ვითარება. როცა გამოცხადდა პურის საკოლმეურნეო ვაჭრობა, ვითარება მძაფრად უნდა შეცვლილიყო, ვინაიდან საკოლმეურნეო ვაჭრობის გამოცხადება ნიშნავს პურის საბაზრო ფასის, დაწესებულ სახელმწიფო ფასთან შედარებით, უფრო მაღალი ფასის ლეგალიზაციას. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს გარემოება შექმნიდა გლეხების ერთგვარ თავშეკავებას სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების საქმეში. გლეხი ასე ანგარიშობდა: «გამოცხადებულია პურის საკოლმეურნეო ვაჭრობა, მოხდა საბაზრო ფასის ლეგალიზაცია, ბაზარზე მე შემიძლია პურის იმავე რაოდენობაში მივიღო უფრო მეტი, ვიდრე სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების დროს, — მაშასადამე, თუ სულელი არა ვარ, უნდა შემოვინახო პური, სახელმწიფოს ჩავაბარო ნაკლები, საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის დავიტოვო უფრო მეტი და ამგვარად მივაღწიო იმას, რომ გაყიდული პურის იმავე რაოდენობაში მეტი ავიღო».

სულ უბრალო და ბუნებრივი ლოგიკაა!

მაგრამ აქ უბედურება ის არის, რომ ჩვენმა სოფლის მუშაკებმა, ყოველ შემთხვევაში ბევრმა მათგანმა, ვერ გაიგო ეს უბრალო და ბუნებრივი რამ. საბჭოთა ხელისუფლების დავალებანი რომ არ ჩაშლილიყო, კომუნისტებს ამ ახალი ვითარების დროს მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე, ჯერ კიდევ 1932 წლის ივლისში, — ყოველნაირად უნდა გაეძლიერებინათ და დაეჩქარებინათ პურის დამზადება. ამას მოითხოვდა საქმის ვითარება. ხოლო როგორ მოიქცნენ ისინი ნამდვილად? იმის ნაცვლად, რომ დაეჩქარებინათ პურის დამზადება, მათ დააჩქარეს სხვადასხვა ფონდების შექმნა და ამით გააძლიერეს პურის ჩამბარებელთა თავშეკავება მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულების საქმეში. ვერ გაიგეს რა ეს ახალი ვითარება, მათ ეშინოდათ არა იმისი, რომ გლეხების თავშეკავებას პურის ჩაბარების საქმეში შეუძლია შეაფერხოს პურის დამზადება, არამედ ეშინოდათ, რომ გლეხები ვერ მიხვდებიან შემოინახონ პური იმისათვის, რათა შემდეგ გაიტანონ ბაზარზე სა-

კოლმეურნეო ვაჭრობის ხაზით და ვაი თუ მთელი თავიანთი პური ელევატორებს ჩააბარონო.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენმა სოფლის კომუნისტებმა, ყოველ შემთხვევაში მათმა უმრავლესობამ, საკოლმეურნეო ვაჭრობა გაიგეს მხოლოდ მისი დადებითი მხრით, გაიგეს და შეითვისეს მისი დადებითი მხარე, მაგრამ სრულიად ვერ გაიგეს და ვერ შეითვისეს საკოლმეურნეო ვაჭრობის უარყოფითი მხარეები, — ვერ გაიგეს ის, რომ საკოლმეურნეო ვაჭრობის უარყოფითს მხარეებს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს, თუ ისინი, ე. ი. კომუნისტები, მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე ყოველნაირად არ დააჩქარებენ პურის დამზადების კამპანიას.

და ეს შეცდომა დაშვებულ იქნა არა მარტო მუშაკების მიერ კოლმეურნეობებში. იგი დაშვებულ იქნა საბჭოთა მეურნეობების დირექტორების მიერაც, რომლებმაც დანაშაულებრივად შემოინახეს ის პური, რაც სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ. და იწყეს მისი გაყიდვა კერძოდ, უფრო მაღალ ფასებში.

ითვალისწინებდნენ თუ არა სახკომსაბჭო და ცენტრალური კომიტეტი თავიანთ ცნობილ დადგენილებაში საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ ამ ახალ ვითარებას, რომელიც შეიქმნა პურის საკოლმეურნეო ვაჭრობასთან დაკავშირებით? დიახ, ითვალისწინებდნენ. ამ დადგენილებაში პირდაპირ ნათქვამია, რომ პურის საკოლმეურნეო ვაჭრობა შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც სავსებით და მთლიანად იქნება შესრულებული პურის დამზადების გეგმა და შეგროვილი იქნება თესლი. იქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მხოლოდ პურის დამზადებისა და თესლის შეგროვების დამთავრების შემდეგ, დაახლოებით 1933 წლის 15 იანვრისათვის, — მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ, შესაძლებელი იქნება პურის საკოლმეურნეო ვაჭრობის დაშვება. ამ თავისი დადგენილებით სახკომსაბჭო და ცენტრალური კომიტეტი თითქოს ეუბნებოდნენ ჩვენს სოფლის მუშაკებს: ნუ დაჩრდილავთ თქვენს ყურადღებას ზრუნვით ფონდებსა და ყოველგვარ მარაგზე, ნუ მოაკლებთ ყურადღებას მთავარ ამოცანას, გაშალეთ პურის დამზადება მოსავლის აღების პირველივე დღეებიდან და დააჩქარეთ იგი, ვინაიდან პირველი მცნებაა პურის დამზადების გეგმის შესრულება, მეორე მცნება — თესლის შეგროვება, და მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ შეგიძლიათ დაიწყოთ და გაშალოთ პურის საკოლმეურნეო ვაჭრობა.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სახკომსაბჭოს შეცდომა შეიძლება ის იყო, რომ მათ არასაკმაო დაჟინებით გაუსვეს

ხაზი საქმის ამ მხარეს და არასაკმაოდ ხმამაღლა გააფრთხილეს ჩვენი სოფლის მუშაკები იმ საშიშროებათა შესახებ, რომლებიც იმალებოდა საკოლმეურნეო ვაჭრობაში: მაგრამ, მათ რომ აღნიშნული საშიშროების შესახებ გააფრთხილეს ისინი, და საკმაოდ ნათლადაც გააფრთხილეს, — ამაში არ შეიძლება არავითარი ეჭვის შეტანა. უნდა ვაღიაროთ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ რამდენადმე გადაჭარბებით შეაფასეს ჩვენი ადგილობრივი მუშაკების, არა მარტო რაიონული, არამედ აგრეთვე მთელი რიგი საოლქო მუშაკების ლენინური გამობრძმედილობა და გამჭრიახობა.

შეიძლება საჭირო არ იყო პურის საკოლმეურნეო ვაჭრობის გამოცხადება? შეიძლება ეს იყო შეცდომა, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას. რომ საკოლმეურნეო ვაჭრობას თან სდევს არა მარტო დადებითი, არამედ ზოგიერთი უარყოფითი მხარეც?

არა, ეს არ იყო შეცდომა. არც ერთი რევოლუციური ღონისძიება არ არის უზრუნველყოფილი ზოგიერთი უარყოფითი მხარისაგან, თუ იგი არ ტარდება სწორად. იგივე უნდა ითქვას პურის საკოლმეურნეო ვაჭრობაზეც. საკოლმეურნეო ვაჭრობა საჭიროა და ხელსაყრელი როგორც სოფლისათვის, ისე ქალაქისთვისაც, როგორც მუშათა კლასისათვის, ისე გლეხობისთვისაც. და სწორედ იმიტომ, რომ იგი ხელსაყრელია, საჭირო იყო მისი შემოღება.

რით ხელმძღვანელობდნენ სახკომსაბჭო და ცენტრალური კომიტეტი, როცა ისინი პურის საკოლმეურნეო ვაჭრობას აცხადებდნენ?

უწინარეს ყოვლისა იმით. რომ გაეფართოებინათ საქონელბრუნვის ბაზა ქალაქსა და სოფელს შორის და გაეუმჯობესებინათ მუშების მომარაგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ხოლო გლეხებისა — ქალაქის ნაწარმით. ეჭვს გარეშეა, რომ მარტო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა ამისათვის საკმაო არ არის. საჭირო იყო საქონელბრუნვის ამ არხების შევსება ახალი არხით — საკოლმეურნეო ვაჭრობით. და ჩვენ ისინი შევავსეთ, შემოვიღეთ რა საკოლმეურნეო ვაჭრობა.

შემდეგ, ისინი ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ პურის საკოლმეურნეო ვაჭრობის საშუალებით მიეცათ კოლმეურნისათვის შემოსავლის დამატებითი წყარო და განემტკიცებინათ მისი ეკონომიური მდგომარეობა.

ბოლოს, ისინი ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ საკოლმეურნეო ვაჭრობის შემოღებით ახალი ბიძგი მისცემოდა გლეხს კოლმეურნეობათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის როგორც თესვის ხაზით, ისე მოსავლის აღების ხაზითაც.

თქვენ იცით, რომ სახკომსაბჭოს და ცენტრალური კომიტეტის ყველა ეს მოსაზრება სავსებით და მთლიანად დაადასტურეს ამ უკანასკნელ დროს კოლმეურნეობათა ცხოვრების ფაქტებმა. კოლმეურნეობათა განმტკიცების პროცესის გაძლიერება, კოლმეურნეობებიდან გამოსვლის შეწყვეტა, ერთპიროვნულ მეურნეთა გაძლიერებული ლტოლვა კოლმეურნეობებისაკენ, კოლმეურნეთა მისწრაფება მიიღონ ახალი წევრები მეტი შერჩევით, — ყოველივე ეს და მრავალი ამის მსგავსი უდავოდ გვეუბნება იმას, რომ საკოლმეურნეო ვაჭრობამ არამც თუ არ შეასუსტა, არამედ, პირიქით, გააძლიერა და განამტკიცა კოლმეურნეობების მდგომარეობა.

მაშასადამე, სოფლად ჩვენი მუშაობის ხარვეზები აიხსნება არა საკოლმეურნეო ვაჭრობით, არამედ იმით, რომ იგი ყოველთვის არ ტარდება სწორად, აიხსნება უუნარობით ახალი ვითარების გათვალისწინებისა, უუნარობით საკუთარი რიგების გარდაქმნისა იმ ახალ ვითარებასთან შეფარდებით, რომელიც შექმნა პურის საკოლმეურნეო ვაჭრობის გამოცხადებამ.

2) სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლთა მეორე მიზეზი ის არის, რომ ჩვენმა ამხანაგებმა ადგილებზე, — და არა მარტო ამ ამხანაგებმა, — ვერ გაიგეს სოფლად ჩვენი მუშაობის პირობების შეცვლა, რომელიც მოხდა პურის ძირითად რაიონებში კოლმეურნეობათა გაბატონებული მდგომარეობის დამკვიდრებასთან დაკავშირებით. ჩვენ ყველას გვახარებს ის, რომ ჩვენს პურის რაიონებში მეურნეობის საკოლმეურნეო ფორმა გახდა გაბატონებულ ფორმად. მაგრამ ყველას როდი ესმის ის, რომ ეს გარემოება კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს ჩვენს ზრუნვას და ჩვენს პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ბევრი ფიქრობს, რომ, რაკი ამა თუ იმ რაიონში, ამა თუ იმ ოლქში მიღწეულია კოლექტივიზაციის, ვთქვათ, 70 ან 80 პროცენტი, ამით უკვე ყველაფერი მოცემულია, და ჩვენ შეგვიძლია საქმე მივანდოთ მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას, საქმე მივანდოთ თვითდინებას, იმ მოსაზრებით, რომ კოლექტივიზაცია თითქოს თვითონ გააკეთებს თავის საქმეს, თვითონ წასწევს სოფლის მეურნეობას. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა, ამხანაგებო. ნამდვილად კი, გადასვლა კოლექტიურ მეურნეობაზე, როგორც მეურნეობის გაბატონებულ ფორმაზე, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს ჩვენს ზრუნვას სოფლის მეურნეობის მიმართ, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს კომუნისტების ხელმძღვანელ როლს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში. თვითდინება ახლა უფრო საშიშია, ვიდრე ოდესმე, სოფლის მეურნეობის განვითარების საქმისათვის. თვითდინებას ახლა შეუძლია მთელი საქმის დაღუპვა.

სანამ სოფლად ერთპიროვნული მეურნე ჰარბობდა, პარტიას შეეძლო განესაზღვრა თავისი ჩარევა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში დახმარების, რჩევა-დარიგების ან გაფრთხილების ცალკე აქტებით. მაშინ ერთპიროვნულ მეურნეს თვითონ უნდა ეზრუნა თავის მეურნეობაზე, ვინაიდან იგი ვერავის დააკისრებდა პასუხისმგებლობას ამ მეურნეობისათვის, რომელიც იყო მხოლოდ მისი პირადი მეურნეობა, და, გარდა საკუთარი თავისა, ვერავის იმედი ვერ ექნებოდა. მაშინ ერთპიროვნულ მეურნეს თვითონ უნდა ეზრუნა თესვაზე, მოსავლის აღებაზე და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო შრომის ყველა პროცესზე, თუ მას არ სურდა დარჩენილიყო უპუროდ და შიმშილის მსხვერპლი გამხდარიყო. კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლასთან ერთად საქმე არსებითად შეიცვალა. კოლმეურნეობა არ არის ერთპიროვნული მეურნეობა. კოლმეურნენი ახლა სწორედ ასე ლაპარაკობენ: «კოლმეურნეობა ჩემია და არც არის ჩემი; ის ჩემია, მაგრამ ამასთან ერთად ეკუთვნის ივანეს, ფილიპეს, მიხეილს და კოლმეურნეობის სხვა წევრებს; კოლმეურნეობა საერთოა». ახლა მას, კოლმეურნეს, გუშინდელ ერთპიროვნულ მეურნეს და დღევანდელ კოლექტივისტს, — ახლა მას შეუძლია პასუხისმგებლობა დააკისროს კოლმეურნეობის სხვა წევრებს და იქონიოს მათი იმედი, რადგან მან იცის, რომ კოლმეურნეობა მას უპუროდ არ დატოვებს. ამიტომ საზრუნავი მას, კოლმეურნეს, უკვე ნაკლები აქვს, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობის დროს, ვინაიდან ზრუნვა და პასუხისმგებლობა მეურნეობისათვის ახლა განაწილებულია ყველა კოლმეურნეს შორის.

რა გამომდინარეობს აქედან? აქედან ის გამომდინარეობს, რომ პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრი მეურნეობის გაძღოლისათვის ახლა ცალკე გლეხებიდან გადადის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობაზე, კოლმეურნეობის ხელმძღვანელ ბირთვზე. ახლა გლეხები მოითხოვენ ზრუნვას მეურნეობაზე და საქმის გონიერად გაძღოლას არა თავისი თავისაგან, არამედ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისაგან, ან, უფრო სწორად, არა იმდენად თავისი თავისაგან, რამდენადაც კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისაგან. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ პარტიას ახლა უკვე არ შეუძლია დაკმაყოფილდეს სასოფლო-სამეურნეო განვითარების პროცესში ჩარევის ცალკე აქტებით. მან ახლა თავის ხელში უნდა აიღოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა, იკისროს პასუხისმგებლობა მუშაობისათვის და დაეხმაროს კოლმეურნეებს წინ წასწიონ თავიანთი მეურნეობა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. კოლმეურნეობა არის მსხვილი მეურნეობა. მაგრამ მსხვილი მეურნეობის გაძღოლა უგეგმოდ არ

შეიძლება. მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობას, რომელიც მოიცავს ასეულ, ხოლო ზოგჯერ ათასეულ კომლს, შეიძლება გაუძღვეთ მხოლოდ გეგმიანი ხელმძღვანელობის წესით. უამისოდ იგი უნდა დაიღუპოს და დაიშალოს. აი კიდევ ერთი ახალი პირობა საკოლმეურნეო წყობილების დროს, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება ერთპიროვნული წვრილი მეურნეობის გაძღოლის პირობებისაგან. განა შეიძლება ასეთი მეურნეობის გაძღოლა მივანდოთ ეგრეთწოდებულს საქმეთა ბუნებრივ მიმდინარეობას, თვითდინებას? ცხადია, არ შეიძლება. ასეთ მეურნეობას რომ გაუძღვეუნდა უზრუნველყო კოლმეურნეობა ელემენტარულად მომზადებულ ადამიანთა ერთგვარი მინიმუმით, რომელთაც შეეძლებათ მეურნეობის დაგეგმვა და მისი ორგანიზებულად გაძღოლა. გასაგებია, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში საბჭოთა ხელისუფლების სისტემატური ჩარევის გარეშე, მისი სისტემატური დახმარების გარეშე, ასეთი მეურნეობის მოწყობა შეუძლებელია.

ხოლო რა გამომდინარეობს აქედან? აქედან ის გამომდინარეობს. რომ საკოლმეურნეო წყობილება კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას და პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართ. აქედან გამომდინარეობს, რომ პარტია, თუ მას სურს უხელმძღვანელოს საკოლმეურნეო მოძრაობას, უნდა ჩასწვდეს საკოლმეურნეო ცხოვრებისა და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის ყველა დეტალს. აქედან გამომდინარეობს, რომ პარტიამ კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ უნდა გააძლიეროს თავისი კავშირი კოლმეურნეობებთან, რომ მან უნდა იცოდეს ყველაფერი. რაც ხდება კოლმეურნეობებში, რათა თავის დროზე გაუწიოს დახმარება და თავიდან ააცილოს კოლმეურნეობებს მოსალოდნელი საფრთხე.

ხოლო რას ვხედავთ ნამდვილად? ნამდვილად ვხედავთ მთელი რიგი რაიონული და საოლქო ორგანიზაციების მოწყვეტას კოლმეურნეობათა ცხოვრებისაგან, მათი მოთხოვნილებებისაგან. სხედან ადამიანები კანცელარიებში, თვითკმაყოფილების გრძნობით აწრიპინებენ კალამს და ვერ ამჩნევენ იმას, რომ კოლმეურნეობათა განვითარება მიმდინარეობს ბიუროკრატიული კანცელარიებისაგან დამოუკიდებლად. ცალკე შემთხვევებში კოლმეურნეობებისაგან მოწყვეტა იქამდე მიდიოდა, რომ სამხარეო ორგანიზაციების ზოგიერთი წევრი თავისი მხარის „კოლმეურნეობათა ამბავს იგებდა არა შესაფერი რაიონული ორგანიზაციებისაგან, არამედ ცენტრალური „კომიტეტის წევრებისაგან მოსკოვში. ეს სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია, ამხანაგებო. ინდივიდუალური მეურნეობიდან კოლმეურნეობებზე გადასვლას უნდა გამოეწვია კომუნისტების ხელმძღვანელობის გაძლიე-

რება სოფლად. ნამდვილად კი მთელ რიგ შემთხვევებში ამ გადასვლამ გამოიწვია ის, რომ კომუნისტები განცხრომას მიეცნენ, თავი მოჰქონდათ კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტით, ხოლო საქმე მიანდეს თვითდინებას, საქმე მიანდეს მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას. საკოლმეურნეო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის პრობლემას უნდა გამოეწვია კომუნისტების ხელმძღვანელობის გაძლიერება კოლმეურნეობებში. ნამდვილად კი მთელ რიგ შემთხვევებში მოხდა ის, რომ კომუნისტები განზე აღმოჩნდნენ, ხოლო კოლმეურნეობებში საქმეს განაგებდნენ ყოფილი თეთრი ოფიცრები, ყოფილი პეტლიურელები და საერთოდ მუშებისა და გლეხების მტრები.

ასეთია სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლთა მეორე მიზეზი.

3) სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლთა მესამე მიზეზი ის არის, რომ ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა გადაჭარბებით შეაფასა კოლმეურნეობები, როგორც მეურნეობის ახალი ფორმა, გადაჭარბებით შეაფასა და აქცია ხატად. მათ გადაწყვიტეს, რომ რაკი არსებობენ კოლმეურნეობანი, როგორც მეურნეობის სოციალისტური ფორმა, — ამით უკვე ყველაფერია მოცემული, ამით უკვე უზრუნველყოფილია კოლმეურნეობათა საქმის სწორად წაყვანა, კოლექტიური მეურნეობის სწორი დაგეგმვა, კოლმეურნეობათა გადაქცევა სანიმუშო სოციალისტურ მეურნეობებად. მათ ვერ გაიგეს, რომ კოლმეურნეობანი ორგანიზაციული მოწყობის მხრივ ჯერ კიდევ სუსტნი არიან და საჭიროებენ პარტიის სერიოზულ დახმარებას, როგორც შემოწმებული ბოლშევიკური კადრებით მათი მომარაგების, ისე საკოლმეურნეო საქმეების მიმდინარე ხელმძღვანელობის მხრივ. მაგრამ ეს ყველაფერი როდია, და მთავარიც კი არ არის. აქ მთავარი ნაკლი ის არის, რომ ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა გადაჭარბებით შეაფასა თვით კოლმეურნეობათა, როგორც სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ახალი ფორმის, ძალები და შესაძლებლობანი. მათ ვერ გაიგეს ის, რომ კოლმეურნეობა თავისთავად, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტურ ფორმას, — ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის უზრუნველყოფილი ყოველგვარი საფრთხისაგან და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობაში ყოველი ჯურის კონტრრევოლუციურ ელემენტთა შეპარვისაგან, არ არის უზრუნველყოფილი იმისაგან, რომ განსაზღვრულ პირობებში კოლმეურნეობები შეიძლება გამოიყენონ ანტისაბჭოთა ელემენტებმა თავიანთი მიზნებისათვის.

კოლმეურნეობა არის სამეურნეო ორგანიზაციის სოციალისტური ფორმა ისევე, როგორც საბჭოები წარმოადგენენ პოლიტიკური

ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმას. როგორც კოლმეურნეობები, ისე საბჭოები წარმოადგენენ ჩვენი რევოლუციის უდიდეს მონაპოვარს, მუშათა კლასის უდიდეს მონაპოვარს. მაგრამ კოლმეურნეობები და საბჭოები წარმოადგენენ მხოლოდ ორგანიზაციის ფორმას, მართალია, სოციალისტურს, მაგრამ მაინც ორგანიზაციის ფორმას. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შინაარსი მიეცემა ამ ფორმას. ჩვენ ვიცით შემთხვევები, როცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები განსაზღვრულ პერიოდში მხარს უჭერდნენ კონტრრევოლუციას რევოლუციის წინააღმდეგ. ასეთი მდგომარეობა იყო ჩვენში, სსრ კავშირში, მაგალითად, 1917 წლის ივლისს, როცა საბჭოებს ხელმძღვანელობდნენ მენშევიკები და ესერები და საბჭოები იფარავდნენ კონტრრევოლუციას რევოლუციის წინააღმდეგ. ასეთი მდგომარეობა იყო გერმანიაში 1918 წლის დამლევს, როცა საბჭოებს ხელმძღვანელობდნენ სოციალდემოკრატები და როცა ისინი იფარავდნენ კონტრრევოლუციას რევოლუციის წინააღმდეგ. მაშასადამე, საქმე მარტო საბჭოები კი არ არის, როგორც ორგანიზაციის ფორმა, თუმცა თვით ეს ფორმა წარმოადგენს უდიდეს რევოლუციურ მონაპოვარს. საქმე, უწინარეს ყოვლისა, საბჭოების მუშაობის შინაარსია, საქმე საბჭოების მუშაობის ხასიათია, საქმე ისაა, თუ სახელდობრ ვინ უწევს ხელმძღვანელობას საბჭოებს, — რევოლუციონერები თუ კონტრრევოლუციონერები. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კონტრრევოლუციონერები ყოველთვის როდი ილაშქრებენ საბჭოების წინააღმდეგ. ცნობილია, მაგალითად, რომ რუსეთის კონტრრევოლუციის მეთაური მილიუკოვი კრონშტადტის აჯანყების დროს მხარს უჭერდა საბჭოებს, მაგრამ უკომუნისტებოდ. «საბჭოები უკომუნისტებოდ» — აი რა იყო მაშინ რუსეთის კონტრრევოლუციის მეთაურის მილიუკოვის ლოზუნგი. კონტრრევოლუციონერებმა შეიგნეს, რომ საქმე მარტო თვით საბჭოები კი არ არის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ის, თუ ვინ გაუწევს მათ ხელმძღვანელობას.

იგივე უნდა ითქვას კოლმეურნეობათა შესახებ. კოლმეურნეობებს, როგორც მეურნეობის ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმას, შეუძლიათ გვიჩვენონ სამეურნეო მშენებლობის სასწაულები, თუ მათს სათავეში დგანან ნამდვილი რევოლუციონერები, ბოლშევიკები, კომუნისტები. და პირიქით — კოლმეურნეობანი განსაზღვრულ პერიოდში შეიძლება გადაიქცნენ ყოველგვარი კონტრრევოლუციური მოქმედების საფარად, თუ კოლმეურნეობებში მესვეურებად იქნებიან ესერები და მენშევიკები, პეტლიურელი ოფიცრები და სხვა თეთრგვარდიელები, ყოფილი დენიკინელები

და კოლჩაკელები. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კოლმეურნეობანი, როგორც ორგანიზაციის ფორმა, არა თუ არ არიან უზრუნველყოფილნი ანტისაბჭოთა ელემენტების შეპარვისაგან, არამედ პირველ ხანებში ერთგვარ ხელსაყრელ პირობებსაც კი წარმოადგენენ მათი დროებითი გამოყენებისათვის კონტრრევოლუციონერების მიერ. სანამ გლეხები ინდივიდუალურ მეურნეობას მისდევდნენ, — ისინი დაქუცმაცებული და ერთიმეორისაგან დაშორებული იყვნენ, რის გამო ანტისაბჭოთა ელემენტების კონტრრევოლუციურ ცდებს გლეხთა წრეში არ შეეძლოთ დიდი ეფექტის მოცემა. სულ სხვა სურათს ვიღებთ კოლექტიურ მეურნეობაზე გლეხების გადასვლის დროს. აქ გლეხებს კოლმეურნეობათა სახით უკვე აქვთ მასობრივი ორგანიზაციის მზა ფორმა. ამის გამო კოლმეურნეობებში ანტისაბჭოთა ელემენტების შეპარვას და მათს ანტისაბჭოთა მუშაობას შეუძლიათ გაცილებით მეტი ეფექტის მოცემა. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერს ამას ანგარიშს უწევენ ანტისაბჭოთა ელემენტები. ცნობილია, რომ კონტრრევოლუციონერების ერთი ნაწილი, მაგალითად, ჩრდილოეთ კავკასიაში, თვითონ ცდილობს შექმნას კოლმეურნეობათა მსგავსი რამ და იყენებს მათ როგორც ლეგალურ საფარს თავისი ფარული ორგანიზაციებისათვის. ცნობილია აგრეთვე, რომ ანტისაბჭოთა ელემენტები მთელ რიგ რაიონებში, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არიან მხილებულნი და განადგურებულნი, — ხალისით მიდიან კოლმეურნეობებში, ხოტბასაც კი ასხამენ კოლმეურნეობებს იმისათვის, რომ კოლმეურნეობათა შიგნით შექმნან კონტრრევოლუციური მუშაობის ბუდეები. ცნობილია აგრეთვე, რომ ანტისაბჭოთა ელემენტების ერთი ნაწილი ახლა თვითონ გამოდის კოლმეურნეობათა მომხრედ, მაგრამ იმ პირობით, რომ კოლმეურნეობებში კომუნისტები არ იყვნენ. «კოლმეურნეობანი უკომუნისტებოდ» — აი რა ლოზუნგს უტრიალებენ ახლა ანტისაბჭოთა ელემენტების წრეში. მაშასადამე, საქმე მდგომარეობს არა მარტო თვით კოლმეურნეობებში, როგორც ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმაში, არამედ უწინარეს ყოვლისა იმაში, თუ რა შინაარსი ეძლევა ამ ფორმას, — საქმე უწინარეს ყოვლისა ისაა, თუ ვინ დგას კოლმეურნეობათა სათავეში და ვინ ხელმძღვანელობს მათ.

ლენინიზმის თვალსაზრისით კოლმეურნეობები, ისე როგორც საბჭოები, აღებული როგორც ორგანიზაციის ფორმა, წარმოადგენენ იარაღს, და მხოლოდ იარაღს. ეს იარაღი განსაზღვრულ პირობებში შეიძლება მიმართულ იქნას რევოლუციის წინააღმდეგ. იგი შეიძლება მიმართულ იქნას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. იგი

შეიძლება ემსახურებოდეს მუშათა კლასს და გლეხობას. იგი შეიძლება განსაზღვრულ პირობებში ემსახურებოდეს მუშათა კლასისა და გლეხობის მტრებს. მთელი საქმე ის არის, თუ ვის ხელშია ეს იარაღი და ვის წინააღმდეგ იქნება იგი მიმართული.

ამას უკვე იგნებენ მუშათა და გლეხთა მტრები, რომლებიც თავიანთი კლასობრივი ინსტინქტით ხელმძღვანელობენ.

სამწუხაროდ, ეს ჯერ კიდევ არ ესმის ზოგიერთ ჩვენს კომუნისტს.

და სწორედ იმიტომ, რომ ზოგიერთმა ჩვენმა კომუნისტმა ვერ გაიგო ეს უბრალო რამ, — სწორედ ამიტომ ჩვენ გვაქვს ახლა ისეთი სურათი, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში საქმეებს მეთაურობენ კარგად შენიღბული ანტისაბჭოთა ელემენტები, რომელნიც იქ აწყობენ მავნებლობას და საბოტაჟს.

4) სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლთა მეოთხე მიზეზი ის არის, რომ მთელ რიგ ჩვენს ამხანაგებს ადგილებზე არ შესწევთ უნარი გარდაქმნან კულაკობასთან ბრძოლის ფრონტი, არ ესმით ის, რომ ამ უკანასკნელ დროს შეიცვალა კლასობრივი მტრის სახე, შეიცვალა კლასობრივი მტრის ტაქტიკა სოფლად და რომ ამასთან შეფარდებით უნდა შეიცვალოს ჩვენი ტაქტიკაც, რათა წარმატებას მივაღწიოთ. მტერმა შეიგნო შეცვლილი ვითარება, შეიგნო სოფლად არსებული ახალი წყობილების ძალა და ძლიერება, შეიგნო ეს და გარდაიქმნა, შეცვალა თავისი ტაქტიკა, — კოლმეურნეობათა წინააღმდეგ პირდაპირი იერიშიდან გადავიდა მიმპარავ მუშაობაზე. ჩვენ კი ეს ვერ გავიგეთ, ახალი ვითარება ვერ შევამჩნიეთ და განვაგრძობთ კლასობრივი მტრის ძებნას იქ, სადაც იგი აღარ არის, განვაგრძობთ კულაკობასთან გამარტივებული ბრძოლის ძველ ტაქტიკას, მაშინ როცა იგი, ეს ტაქტიკა, დიდი ხანია უკვე მოძველდა.

კლასობრივ მტერს ეძებენ კოლმეურნეობათა გარეთ, მას ეძებენ ისეთი ადამიანების სახით, რომელთაც აქვთ მხეცური ფიზიონომია, უზარმაზარი კბილები, სქელი კისერი, ლულაგადაჭრილი თოფი ხელში. ეძებენ ისეთ კულაკს, როგორსაც ჩვენ პლაკატებით ვიცნობთ. მაგრამ ასეთი კულაკები უკვე დიდი ხანია აღარ არიან ზედაპირზე. ახლანდელი კულაკები და მათი დამქაშები, ახლანდელი ანტისაბჭოთა ელემენტები სოფლად — ეს მეტწილად «წყნარი», «ტკბილი» ადამიანები, თითქმის «წმინდანები» არიან. ისინი არ უნდა ვეძებოთ კოლმეურნეობისაგან დაშორებით, ისინი სხედან თვით კოლმეურნეობაში და უჭირავთ იქ მეკუჭნავეების, მნეების, მოანგარიშეების, მდივნებისა და სხვ. თანამდებობა. ისინი არასოდეს

არ იტყვიან — «ძირს კოლმეურნეობანი». ისინი «მხარს უჭერენ» კოლმეურნეობებს. მაგრამ კოლმეურნეობებში ისინი ეწევიან ისეთ საბოტაჟურ და მავნებლურ მუშაობას, რომ კოლმეურნეობებს მათგან ხეირი არ დაეყრებათ. ისინი არასოდეს არ იტყვიან — «ძირს პურის დამზადება». ისინი «მხარს უჭერენ» პურის დამზადებას. ისინი «მხოლოდ» დემაგოგიას ეწევიან და მოითხოვენ, რომ კოლმეურნეობამ შექმნას ფონდი მეცხოველეობისათვის სამჯერ იმაზე მეტი, რაც საჭიროა საქმისათვის, რომ კოლმეურნეობამ შექმნას დასაზღვევი ფონდი სამჯერ იმაზე მეტი, რაც საჭიროა საქმისათვის, რომ კოლმეურნეობამ გასცეს საზოგადოებრივი კვებისათვის 6-დან 10 გირვანქამდე პური დღეში თვითეულ მუშაკზე და სხვ.. გასაგებია, რომ ასეთი «ფონდებისა» და საზოგადოებრივი კვებისათვის პურის ასე გაცემის შემდეგ, ასეთი თაღლითური დემაგოგიის შემდეგ კოლმეურნეობის სამეურნეო ძლიერება უნდა შეირყეს, და პურის დამზადებისათვის აღარ რჩება ადგილი.

ასეთ გაქნილ მტერს რომ კბილი გაუსინჯო და დემაგოგიას არ აჰყვე, საჭიროა გქონდეს რევოლუციური სიფხიზლე, საჭიროა გქონდეს უნარი — ჩამოჰგლიჯო ნიღაბი მტერს და დაანახო კოლმეურნეებს მისი ნამდვილი, კონტრრევოლუციური სახე. მაგრამ განა ბევრი გვყავს ჩვენ სოფლად ისეთი კომუნისტები, რომლებსაც ასეთი თვისებები მოეპოვებათ? ხშირად კომუნისტები არამც თუ არ ამჟღავნებენ ასეთ კლასობრივ მტრებს, არამედ, პირიქით, თვითონ ექცევიან მათი თაღლითური დემაგოგიის გავლენაში და კუდში მისჩანჩალებენ მათ.

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, ვერ ამჩნევს რა კლასობრივ მტერს მის ახალ ნიღაბში და არ შესწევს რა უნარი გამოააშკარაოს მისი გაიძვერული მახინაციები, ხშირად იმშვიდებს თავს იმით, რომ კულაკები თითქოს აღარ არიან ამ ქვეყნად, რომ ანტისაბჭოთა ელემენტები სოფლად უკვე მოისპნენ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის შედეგად და რომ ამის გამო შეიძლება შეურიგდე «ნეიტრალური» კოლმეურნეობების არსებობას, რომლებიც არ არიან არც ბოლშევიკური, არც ანტისაბჭოური, მაგრამ რომლებიც თვითონ, ასე ვთქვათ, სტიქიური წესით, უნდა გადავიდნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა, ამხანაგებო. კულაკები დამარცხებული არიან, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან საესებით განადგურებულნი. უფრო მეტიც, — ისინი ჯერ კიდევ ასე ჩქარა არ იქნებიან საესებით განადგურებულნი, თუ კომუნისტები დაიწყებენ მთქნარებას და მიე-

ცემიან განცხრომას, იმ იმედით, რომ კულაკები თვითონ ჩაწვებიან სამარეში, ასე ვთქვათ, სტიქიური თავისი განვითარების წესით. რაც შეეხება «ნეიტრალურ» კოლმეურნეობებს, ისინი საერთოდ არ არსებობენ და არც შეიძლება იყვნენ ბუნებაში. «ნეიტრალური» კოლმეურნეობები — ეს არის იმ ადამიანების ფანტაზია, რომლებსაც თვალები იმისათვის აქვთ, რომ არაფერი არ დაინახონ. ისეთი მწვავე კლასობრივი ბრძოლის დროს, როგორიც არის ახლა ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, «ნეიტრალური» კოლმეურნეობებისათვის უკვე არ რჩება ადგილი; ასეთ ვითარებაში კოლმეურნეობებს შეუძლიათ იყვნენ ან ბოლშევიკური, ან ანტისაბჭოური კოლმეურნეობები. და თუ ჩვენ არ ვუწევთ ხელმძღვანელობას ამა თუ იმ კოლმეურნეობებს, ეს ნიშნავს იმას, რომ მათ ხელმძღვანელობას უწევენ ანტისაბჭოთა ელემენტები. ეს ყოველ ეჭვს გარეშეა.

5) დასასრულ, სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლთა კიდევ ერთი მიზეზი. იგი, ეს მიზეზი, მდგომარეობს იმაში, რომ სათანადოდ არ აფასებენ კომუნისტთა როლსა და პასუხისმგებლობას საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში, სათანადოდ არ აფასებენ კომუნისტთა როლსა და პასუხისმგებლობას პურის დამზადების საქმეში. როცა კომუნისტები ლაპარაკობენ პურის დამზადების სიძნელეებზე, ჩვეულებრივ ისინი პასუხისმგებლობას აკისრებენ გლეხებს და ამტკიცებენ, რომ ყველაფერში გლეხები არიან დამნაშავენი. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის სწორი და უთუოდ არ არის სამართლიანი. გლეხები აქ არაფერ შუაში არიან. თუ ლაპარაკია პასუხისმგებლობასა და დანაშაულობაზე, პასუხისმგებლობა მთლიანად და სავსებით ეკისრებათ კომუნისტებს, დამნაშავენი კი აქ ყველაფერში მხოლოდ ჩვენ, კომუნისტები ვართ.

ქვეყნად არ არის და არც ყოფილა ისეთი მძლავრი და ავტორიტეტიანი ხელისუფლება, როგორიც არის ჩვენი, საბჭოთა ხელისუფლება. ქვეყნად არ არის და არც ყოფილა ისეთი მძლავრი და ავტორიტეტიანი პარტია, როგორიც არის ჩვენი, კომუნისტური პარტია. ჩვენ არავინ არ გვიშლის ხელს და არც შეუძლია ხელი შეგვიშალოს იმაში, რომ წავიყვანოთ კოლმეურნეობების საქმე ისე, როგორც ამას მოითხოვენ კოლმეურნეობების ინტერესები, სახელმწიფოს ინტერესები. და თუ ჩვენ ყოველთვის ვერ ვახერხებთ კოლმეურნეობების საქმის ისე წაყვანას, როგორც ამას მოითხოვს ლენინიზმი, თუ ჩვენ ხშირად ვუშვებთ მთელ რიგ უხეშ, მიუტევებელ შეცდომებს, ვთქვათ, პურის დამზადების ხაზით, ამაში დამნაშავენი ვართ ჩვენ, და მხოლოდ ჩვენ.

ჩვენ ვართ დამნაშავენი იმაში, რომ ვერ შევნიშნეთ პურის საკოლმეურნეო ვაჭრობის უარყოფითი მხარეები და დავუშვით მთელი რიგი უაღრესად უხეში შეცდომები. ჩვენ ვართ დამნაშავენი იმაში, რომ მთელი რიგი ჩვენი ორგანიზაციები მოსწყდნენ კოლმეურნეობებს, მიეცნენ განცხრომას და მიენდვნენ თვითდინების სტიქიას. ჩვენ ვართ დამნაშავენი იმაში, რომ მთელი რიგი ჩვენი ამხანაგები ჯერ კიდევ გადაჭარბებულად აფასებენ კოლმეურნეობებს, როგორც მასობრივი ორგანიზაციის ფორმას, და არ ესმით, რომ საქმე იმდენად თვით ფორმა კი არ არის, რამდენადაც ის, რომ თვითონ იკისრონ კოლმეურნეობების ხელმძღვანელობა და გააძევონ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობიდან ანტისაბჭოთა ელემენტები. ჩვენ ვართ დამნაშავენი იმაში, რომ ვერ დავინახეთ ახალი ვითარება და ვერ გავითვალისწინეთ ახალი ტაქტიკა კლასობრივი მტრისა, რომელიც მოქმედებს შემპარავად.

იბადება კითხვა, რა შუაში არიან აქ გლეხები?

მე ვიცი კოლმეურნეობათა მთელი ჯგუფები, რომლებიც ვითარდებიან და იფურჩქნებიან, წესიერად ასრულებენ სახელმწიფოს დავალებებს და დღითი-დღე მტკიცდებიან მეურნეობრივად. მეორე მხრივ, მე ვიცი დასახელებული კოლმეურნეობების მეზობლად მყოფი ისეთი კოლმეურნეობებიც, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ ისეთივე მოსავალი და ისეთივე ობიექტური პირობები, — სუსტდებიან და იშლებიან. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობათა პირველ ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევენ ნამდვილი კომუნისტები, ხოლო მეორე ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევენ უთაურები, მართალია, ჯიბეში პარტიული ბილეთით, მაგრამ მაინც უთაურები.

იბადება კითხვა, რა შუაში არიან აქ გლეხები?

კომუნისტთა როლისა და პასუხისმგებლობის შეუფასებლობის შედეგს წარმოადგენს ის, რომ ხშირად სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლთა მიზეზს იქ არ ეძებენ, სადაც საჭიროა მისი ძებნა, და ამის გამო ნაკლი აღმოუფხვრელი რჩება.

პურის დამზადების სიძნელეთა მიზეზი უნდა ვეძებოთ არა გლეხებში, არამედ თვით ჩვენში, ჩვენს საკუთარ რიგებში. ვინაიდა ჩვენ ვართ ხელისუფლების სათავეში, ჩვენს განკარგულებაშია სახელმწიფოს საშუალებანი, ჩვენ ვართ მოწოდებულნი ვუხელმძღვანელოთ კოლმეურნეობებს და ჩვენ უნდა ავიღოთ მთელი პასუხისმგებლობა სოფლად მუშაობისათვის.

ასეთია მთავარი მიზეზები, რომლებმაც განსაზღვრეს სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი.

შეიძლება იფიქრონ, რომ მე დავხატე მეტად მუქი სურათი, რომ ჩვენში მთელი მუშაობა სოფლად მხოლოდ ნაკლთაგან შესდგება. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მართალი არ არის. ნამდვილად ჩვენს მუშაობას სოფლად, ყველა ამ ნაკლთან ერთად, მთელი რიგი უაღრესად სერიოზული და გადამწყვეტი მიღწევები აქვს. მაგრამ მე უკვე ვთქვი ჩემი სიტყვის დასაწყისში, რომ ჩემს ამოცანას არ შეადგენს ჩვენი მიღწევების დახასიათება, რომ მე განვიზრახე ლაპარაკი მხოლოდ სოფლად ჩვენი მუშაობის ნაკლზე.

შეიძლება თუ არა ამ ნაკლთა გამოსწორება? დიახ, უთუოდ შეიძლება. გამოვასწორებთ თუ არა მათ უახლოეს დროში? დიახ, უთუოდ გამოვასწორებთ. ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება.

მე ვფიქრობ, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებანი წარმოადგენენ ერთ-ერთ იმ გადამწყვეტ საშუალებას, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქნება ამ ნაკლთა თავიდან აცილება სულ მოკლე ხანში. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

სიტყვა დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო პირველ ყრილობაზე

1933 წ. 19 თებერვალი

ამხანაგო კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო! მე არ ვფიქრობდი თქვენს ყრილობაზე გამოსვლას. არ ვფიქრობდი, რადგან ჩემამდე გამოსული ორატორების სიტყვებში უკვე ნათქვამია ყველაფერი, რის თქმაც საჭირო იყო, — ნათქვამია კარგად და მოსწრებულად. ღირს თუ არა ამის შემდეგ კიდევ გამოსვლა? მაგრამ რადგან თქვენ დაბეჯითებით ითხოვთ, ძალა კი თქვენს ხელშია (ხანგრძლივი ტაში), — ვალდებული ვარ დაგემორჩილოთ.

ვიტყვი რამდენიმე სიტყვას ცალკე საკითხებზე.

1

კოლმეურნეობათა გზა ერთადერთი სწორი გზაა

პირველი საკითხი — სწორია თუ არა ის გზა, რომელსაც დაადგა კოლმეურნე გლეხობა, სწორია თუ არა საკოლმეურნეო გზა?

ეს კითხვა ფუჭი როდია. თქვენ, კოლმეურნეობათა დამკვრელებს, ალბათ, ეჭვი არ შეგდით იმაში, რომ კოლმეურნეობანი სწორ გზაზე დგანან. ამიტომ შესაძლებელია, ეს კითხვა თქვენ ზედმეტად მოგეჩვენოთ. მაგრამ ყველა გლეხი ისე როდი ფიქრობს, როგორც თქვენ. გლეხებს შორის ჯერ კიდევ ცოტანი არ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, მათ რიცხვში კოლმეურნეთა შორისაც. რომელნიც დაეჭვებული არიან საკოლმეურნეო გზის სისწორეში. და ამაში არაფერია გასაკვირველი. მართლაც, ადამიანები ასეული წლობით ცხოვრობდნენ ძველებურად, მიდიოდნენ ძველი გზით, წელს ღუნავდნენ კულაკისა და მემამულის წინაშე, მევახშისა და სპეკულანტის წინაშე. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ძველი, კაპიტალისტური გზა მოსწონდათ გლეხებს. მაგრამ იგი, ეს ძველი გზა, გატკეპნილი, ნაჩვევი გზა იყო, და ჯერ კიდევ არავის დაემტკიცებინა საქმით, რომ შეიძლება როგორმე სხვანაირად, უკეთესად ცხოვრება. მით უმეტეს, რომ ყველა ბურჟუაზიულ ქვეყანაში ადა-

მიანები ჯერ კიდევ ძველებურად ცხოვრობენ... და უცბად, ამ ძველ ჭაობიან ცხოვრებაში იჭრებიან ბოლშევიკები, იჭრებიან როგორც ქარიშხალი და ამბობენ: დროა უკუვაგდოთ ძველი გზა, დროა დავიწყოთ ცხოვრება ახლებურად, კოლმეურნულად, დროა დავიწყოთ ცხოვრება არა ისე, როგორც ყველანი ცხოვრობენ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, არამედ ახლებურად, არტელურად. ხოლო როგორია ეს ახალი ცხოვრება, — ვინ რა იცის. ვაი თუ იგი ძველ ცხოვრებაზე უარესი გამოდგეს. ყოველ შემთხვევაში, ახალი გზა უჩვეულო გზაა, გაუტკეპნავია და ჯერ კიდევ მთლიანად ნაცადი არაა. იქნებ უკეთესი იყოს ძველ გზაზე დარჩენა? იქნებ უკეთესი იყოს დავიცადოთ ახალ, საკოლმეურნეო გზაზე გადასვლა? განა ღირს რისკის გაწევა?

აი რა ეჭვები ღრღნის ახლა მშრომელი გლეხობის ერთ ნაწილს.

უნდა გავფანტოთ თუ არა ჩვენ ეს ეჭვები? უნდა გამოვიტანოთ თუ არა ჩვენ ისინი, ეს ეჭვები, მზის სინათლეზე და ცხადვყოთ, თუ რა ფასი აქვთ მათ? ცხადია, რომ ეს უნდა მოვიმოქმედოთ.

მაშასადამე, ზემოთ დასმული კითხვა ფუჭ კითხვად ვერ ჩაითვლება.

ამრიგად, სწორია თუ არა ის გზა, რომელსაც კოლმეურნე გლეხობა დაადგა?

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ახალ გზაზე, კოლმეურნეობათა გზაზე გადასვლა ჩვენში დაიწყო სამი წლის წინათ. ეს მართალია მხოლოდ ნაწილობრივ. რა თქმა უნდა, კოლმეურნეობათა მასობრივი მშენებლობა ჩვენში სამი წლის წინათ დაიწყო. ეს გადასვლა, როგორც ვიცით, აღინიშნა კულაკობის განადგურებით და ღარიბ და საშუალო გლეხთა მილიონიანი მასების მოძრაობით კოლმეურნეობებისაკენ. ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ იმისათვის, რომ დაგვეწყო ეს მასობრივი გადასვლა კოლმეურნეობებზე, ხელთ უნდა გვქონოდა ზოგიერთი წინასწარი პირობა, ურომლისოდაც, საერთოდ რომ ითქვას, წარმოუდგენელია მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა. უწინარეს ყოვლისა, უნდა გვქონოდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ეხმარებოდა და კელავ ეხმარება გლეხებს დაადგნენ კოლმეურნეობათა გზას. მეორეც, საჭირო იყო გაგვეძევებინა მემამულეები და კაპიტალისტები, ჩამოგვერთმია მათთვის ქარხნები და მიწები და გამოგვეცხადებინა ისინი ხალხის საკუთრებად. მესამეც, საჭირო იყო აგველაგმა კულაკობა და ჩამოგვერთმია მისთვის მანქანები და ტრაქტორები. მეოთხეც, საჭირო იყო გამოგვეცხადებინა, რომ მანქანებითა და ტრაქტორებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ კოლმეურნეობებში გაერთიანებულ

ღარიბ და საშუალო გლეხებს. ბოლოს, საჭირო იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ახალი სატრაქტორო მრეწველობის შექმნა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ახალი ქარხნების აგება იმისათვის, რომ უხვად მოგვემარაგებინა კოლმეურნე გლეხობა ტრაქტორებითა და მანქანებით. ამ წინასწარი პირობების გარეშე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა კოლმეურნეობათა გზაზე მასობრივი გადასვლის შესახებ, რაც სამი წლის წინათ დაიწყო.

მაშასადამე, კოლმეურნეობათა გზაზე გადასასვლელად, უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ოქტომბრის რევოლუციის მოხდენა, კაპიტალისტებისა და მემამულეების დამხობა, მათთვის მიწისა და ქარხნების ჩამორთმევა და ახალი მრეწველობის შექმნა.

სწორედ ოქტომბრის რევოლუციიდან დაიწყო ახალ გზაზე, კოლმეურნეობათა გზაზე გადასვლა. იგი ახალი სიძლიერით გაიშალა მხოლოდ სამი წლის წინათ იმიტომ, რომ მხოლოდ ამ დროისათვის მთელი სიგრძე-სიგანით იჩინეს თავი ოქტომბრის რევოლუციის სამეურნეო შედეგებმა, მხოლოდ ამ დროისათვის გახდა შესაძლებელი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წინ წაწევა.

ხალხთა ისტორია ბევრ რევოლუციას იცნობს. ისინი ოქტომბრის რევოლუციისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ყველა ისინი ცალმხრივი რევოლუციები იყვნენ. მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ ფორმას ცვლიდა ექსპლოატაციის სხვა ფორმა, მაგრამ თვით ექსპლოატაცია რჩებოდა. ერთი სახის ექსპლოატატორებსა და მჩაგვრელებს ცვლიდნენ სხვა ექსპლოატატორები და მჩაგვრელები, მაგრამ თვით ექსპლოატატორები და მჩაგვრელები რჩებოდნენ. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ დაისახა მიზნად — მოესპო ყოველგვარი ექსპლოატაცია, მოესპო ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორი და მჩაგვრელი.

მონების რევოლუციამ მოსპო მონათმფლობელები და გააუქმა მშრომელთა ექსპლოატაციის მონათმფლობელური ფორმა. მაგრამ მათ ნაცვლად მან დააყენა მებატონეები და მშრომელთა ექსპლოატაციის ბატონყმური ფორმა. ერთი სახის ექსპლოატატორები შეცვალეს სხვა ექსპლოატატორებმა. მონობის დროს «კანონი» ნებას აძლევდა მონათმფლობელებს მოეკლათ მონები. ბატონყმური წესწყობილების დროს «კანონი» ნებას აძლევდა ბატონებს «მხოლოდ» გაეყიდათ ყმები.

ყმა-გლეხთა რევოლუციამ მოსპო მებატონეები და გააუქმა ექსპლოატაციის ბატონყმური ფორმა. მაგრამ მათ ნაცვლად მან დააყენა კაპიტალისტები და მემამულეები, მშრომელთა ექსპლოატაციის კაპიტალისტური და მემამულური ფორმა. ერთი სახის ექს-

პლოატატორები შეცვალეს სხვა ექსპლოატატორებმა. ბატონყმური წესწყობილების დროს «კანონი» იძლეოდა ყმების გაყიდვის უფლებას. კაპიტალისტური წესწყობილების დროს «კანონი» «მხოლოდ» იმის ნებას იძლევა, რომ მშრომელებს განუმზადონ უმუშევრობა და სიღატაკე, გაჩანაგება და შიმშილით სიკვდილი.

მხოლოდ ჩვენმა საბჭოთა რევოლუციამ, მხოლოდ ჩვენმა ოქტომბრის რევოლუციამ დააყენა საკითხი ისე, რომ ერთი სახის ექსპლოატატორები კი არ შეცვალონ სხვა ექსპლოატატორებმა, ექსპლოატაციის ერთი ფორმა კი არ შეიცვალოს მეორით, — არაა: მედ აღმოიფხვრას ყოველგვარი ექსპლოატაცია, მოისპოს ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორი, ყველა და ყოველგვარი მდიდარი და მჩაგვრელი, ახალიც და ძველიც. (ხანგრძლივი ტაში).

აი რატომ არის ოქტომბრის რევოლუცია წინასწარი პირობა და აუცილებელი წანამძღვარი გლეხობის ახალ, საკოლმეურნეო გზაზე გადასვლისათვის.

სწორად მოიქცნენ თუ არა გლეხები, როდესაც მხარი დაუჭირეს ოქტომბრის რევოლუციას? დიახ, ისინი სწორად მოიქცნენ. ისინი სწორად მოიქცნენ, ვინაიდან ოქტომბრის რევოლუცია დაეხმარა მათ გადმოეგდოთ მხრებიდან მემამულეები და კაპიტალისტები, შევახშეები და კულაკები, ვაჭრები და სპეკულანტები.

მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. მჩაგვრელების განდევნა, მემამულეებისა და კაპიტალისტების განდევნა, კულაკებისა და სპეკულანტების ალაგმვა, — ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეს ცოტაა. რათა საბოლოოდ განთავისუფლდე ძველი ხუნდებისაგან, ამისათვის მაკმარ ის როდი კმარა, რომ გაანადგურო ექსპლოატატორები. ამისათვის საჭიროა კიდევ ახალი ცხოვრების აგება, ისეთი ცხოვრების აგება, რომელიც საშუალებას მისცემს მშრომელ გლეხს გააუმჯობესოს თავისი მატერიალური და კულტურული მდგომარეობა და ამაღლდეს დღითი-დღე, წლიდან წლამდე. ამისათვის საჭიროა სოფელში ახალი წყობილების, საკოლმეურნეო წყობილების დამყარება. ესაა საკითხის მეორე მხარე.

რით განსხვავდება ძველი წყობილება ახალი, საკოლმეურნეო წყობილებისაგან?

ძველი წყობილების დროს გლეხები მუშაობდნენ ცალ-ცალკე, მუშაობდნენ ძველი მამაპაპური წესებით, შრომის ძველი იარაღებით, მუშაობდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, კულაკებისა და სპეკულანტებისათვის, მუშაობდნენ, ცხოვრობდნენ ნახევრად-მშიერნი და ამდიდრებდნენ სხვებს. ახალი, საკოლმეურნეო წყობილების დროს გლეხები მუშაობენ ერთად, არტელურად,

მუშაობენ ახალი იარაღების — ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების საშუალებით, მუშაობენ თავისთვის და თავიანთი კოლმეურნეობებისათვის, ცხოვრობენ უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ, უკულაკებოდ და უსპეკულანტებოდ, მუშაობენ იმისათვის, რათა დღითი-დღე გააუმჯობესონ თავიანთი მატერიალური და კულტურული მდგომარეობა. იქ, ძველი წყობილების დროს, მთავრობა ბურჟუაზიულია და ის მხარს უჭერს მდიდრებს მშრომელი გლეხების წინააღმდეგ. აქ, ახალი, საკოლმეურნეო წყობილების დროს, მთავრობა მუშურ-გლეხურია და ის მხარს უჭერს მუშებსა და გლეხებს ყველა და ყოველგვარი მდიდრების წინააღმდეგ. ძველ წყობილებას მივყავართ კაპიტალიზმისაკენ, ახალ წყობილებას — სოციალიზმისაკენ.

აი ორი გზა: გზა კაპიტალისტური და გზა სოციალისტური, გზა წინ — სოციალიზმისაკენ და გზა უკან — კაპიტალიზმისაკენ.

არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შესაძლებელია დავადგეთ რომელიღაც მესამე გზას. განსაკუთრებული ხალისით აფრინდება ამ, ყველასათვის უცნობ, მესამე გზას ზოგიერთი მერყეევი ამხანაგი, რომლებიც ჯერ სავსებით არ არიან დარწმუნებულნი საკოლმეურნეო გზის სისწორეში. მათ უნდათ, რომ ჩვენ დავუბრუნდეთ ძველ წყობილებას, დავუბრუნდეთ ერთპიროვნულ მეურნეობას, მაგრამ უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ. მათ უნდათ ამასთანავე, რომ ჩვენ დავუშვათ «მხოლოდ» კულაკები და სხვა წვრილი კაპიტალისტები, როგორც ჩვენი სამეურნეო წყობილების კანონიერი მოვლენა. ნამდვილად კი ეს არის არა მესამე გზა, არამედ მეორე, — გზა კაპიტალიზმისაკენ. ვინაიდან, რას ნიშნავს ერთპიროვნული მეურნეობისაკენ დაბრუნება და კულაკობის აღდგენა? ეს ნიშნავს კულაკური კაბალის აღდგენას, კულაკობის მიერ გლეხობის ექსპლოატაციის აღდგენას და კულაკისათვის ძალაუფლების მიცემას. მაგრამ შეიძლება თუ არა კულაკობის აღდგენა და ამასთან ერთად საბჭოთა ძალაუფლების შენარჩუნება? არა, არ შეიძლება. კულაკობის აღდგენამ უნდა გამოიწვიოს კულაკური ძალაუფლების შექმნა და საბჭოთა ძალაუფლების ლიკვიდაცია, — მაშასადამე, მას უნდა მოჰყვეს ბურჟუაზიული მთავრობის შექმნა. ხოლო ბურჟუაზიული მთავრობის შექმნამ თავის მხრივ უნდა გამოიწვიოს მემამულეებისა და კაპიტალისტების აღდგენა, კაპიტალიზმის აღდგენა. ეგრეთწოდებული მესამე გზა ნამდვილად არის მეორე გზა, კაპიტალიზმისაკენ დაბრუნების გზა. აბა, ჰკითხეთ გლეხებს, — უნდათ მათ აღადგინონ კულაკური კაბალა, დაუბრუნდნენ კაპიტალიზმს, მოსპონ საბჭოთა ძალაუფლება და აღად-

გინონ მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლება? აბა, ჰკითხეთ მათ, და გაიგებთ, რომელი გზა მიაჩნია მშრომელ გლეხთა უმრავლესობას ერთადერთ სწორ გზად.

მაშასადამე, არის მხოლოდ ორი გზა: ან წინ, მაღლა — ახალი, საკოლმეურნეო წყობილებისაკენ, ან უკან, თავქვე — ძველი, კულაკურ-კაპიტალისტური წყობილებისაკენ.

მესამე გზა არ არსებობს.

მშრომელი გლეხობა სწორად მოიქცა, როდესაც უარყო კაპიტალისტური გზა და დაადგა საკოლმეურნეო მშენებლობის გზას.

ამბობენ, კოლმეურნეობების გზა სწორი გზაა, მაგრამ ის ძნელიაო. ეს მართალია მხოლოდ ნაწილობრივ. რასაკვირველია, სიძნელეები ამ გზაზე არის. კარგი ცხოვრება მუქთად არ მოიპოვება. მაგრამ საქმე ისაა, რომ მთავარი სიძნელეები უკვე განვლილია, ის სიძნელეები კი, რომლებიც თქვენს წინაშე დგას, იმადაც კი არ ღირს, რომ სერიოზულად ვილაპარაკოთ მათზე. ყოველ შემთხვევაში იმ სიძნელეებთან შედარებით, რომლებიც განიცადეს მუშებმა 10 — 15 წლის წინათ, თქვენი ახლანდელი სიძნელეები, ამხანაგო კოლმეურნეებო, ბავშვის სათამაშოდ მოჩანს. თქვენი ორატორები გამოდიოდნენ აქ და აქებდნენ ლენინგრადის, მოსკოვის, ხარკოვის, დონბასის მუშებს. ისინი ამბობდნენ, რომ მათ, მუშებს, აქვთ მიღწევები, თქვენ კი, კოლმეურნეებს, გაცილებით ნაკლები მიღწევები გაქვთ. მე მგონია, რომ თქვენი ორატორების სიტყვებში ერთგვარი ამხანაგური შურიც კი გამოსჭვიოდა: რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენც, კოლმეურნე გლეხებსაც, გექონდეს ისეთივე მიღწევები, როგორიც თქვენ, ლენინგრადის, მოსკოვის, დონბასის, ხარკოვის მუშებს გაქვთო... ყველაფერი ეს კარგია. მერე იცით, თუ რა დაუჯდათ ლენინგრადისა და მოსკოვის მუშებს ეს მიღწევები, რა გაჭირვება გადაიტანეს მათ, რომ მიეღწიათ, ბოლოს და ბოლოს, ამ შედეგებისათვის? მე შემეძლო მეამბნა თქვენთვის ზოგიერთი ფაქტი მუშების 1918 წლის ცხოვრებიდან, როდესაც მთელი კვირაობით არ აძლევდნენ მუშებს პურის ნატეხს, რომ აღარაფერი ვთქვათ ხორცზე და კვების სხვა პროდუქტებზე. მაშინ საუკეთესო დროდ თვლიდნენ იმ დღეებს, როდესაც მოსახერხებელი ხდებოდა მერვედი გირვანქა შავი პურის მიცემა ლენინგრადისა და მოსკოვის მუშებისათვის, ისიც სანახევროდ კოპტონიანისა. და ეს გრძელდებოდა არა თვე და არა ნახევარი წელიწადი, არამედ მთელი ორი წელიწადი. მაგრამ მუშები ითმენდნენ და სულით არ ეცემოდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მოვა უკეთესი დრო და ისინი მიაღწევენ გადამწყვეტ წარმატებებს. და მართლაც, — თქვენ ხედავთ, რომ

მუშები არ შემცდარან. აბა, შეადარეთ თქვენი სიძნელეები და გაჭირვება იმ სიძნელეებსა და გაჭირვებას, რაც მუშებმა განიცადეს, და თქვენ დაინახავთ, რომ მათზე არც კი ღირს სერიოზულად ლაპარაკი.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ წინ წავწიოთ საკოლმეურნეო მოძრაობა და მთელი ძალით გავშალოთ საკოლმეურნეო მშენებლობა?

ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ კოლმეურნეობებს ჰქონდეთ სავსებით უზრუნველყოფილი და დასამუშავებლად გამოსადეგი მიწა. გაქვთ თუ არა თქვენ ის? დიახ, გაქვთ. ცნობილია, რომ ყველა საუკეთესო მიწა გადაცემულია კოლმეურნეობათვის და მიმაგრებულია მათზე მტკიცედ. მაშასადამე, კოლმეურნეებს შეუძლიათ თავისუფლად დაამუშაონ და გაუმჯობესონ ეს მიწა და არ შეეშინდეთ, რომ ის სხვის ხელში გადავა.

მეორეც, ამისათვის საჭიროა, რომ კოლმეურნეებს შეეძლოთ ტრაქტორებისა და მანქანების გამოყენება. გაქვთ თუ არა თქვენ ისინი? დიახ, გაქვთ. ყველამ იცის, რომ ჩვენი სატრაქტორო ქარხნები და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნები უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად მუშაობენ კოლმეურნეობებისათვის და აწვდიან მათ ყველა თანამედროვე იარაღს.

ბოლოს, ამისათვის საჭიროა, რომ მთავრობამ ყოველნაირად მხარი დაუჭიროს კოლმეურნე გლეხებს ადამიანებითაც და ფინანსებითაც და საშუალება არ მისცეს მტრული კლასების ნაბოლარებს გახრწნან კოლმეურნეობები. გყავთ თუ არა თქვენ ასეთი მთავრობა? დიახ, გყავთ. მას ეწოდება მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობა. დამისახელეთ ისეთი ქვეყანა, სადაც მთავრობა მხარს უჭერდეს არა კაპიტალისტებსა და მემამულეებს, არა კულაკებსა და სხვა მდიდრებს, არამედ მშრომელ გლეხებს. დედამიწის ზურგზე არ არის და არ ყოფილა ასეთი ქვეყანა. მხოლოდ ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში, არსებობს მთავრობა, რომელიც თავგამოდებით იცავს მუშებსა და კოლმეურნე-გლეხებს, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს ყველა მდიდრისა და ექსპლოატატორის წინააღმდეგ. (ხანგრძლივი ტაში).

მაშასადამე, თქვენ გაქვთ ყველაფერი იმისათვის, რომ გაშალოთ საკოლმეურნეო მშენებლობა და მიაღწიოთ სრულ განთავისუფლებას ძველი ხუნდებისაგან.

თქვენი მხრით საჭიროა მხოლოდ ერთი რამ — იშრომოთ პატიოსნად, გაანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი შრომის მიხედვით, გაუფრთხილდეთ საკოლმეურნეო დოვლათს, გაუფრთხილ-

დეთ ტრაქტორებსა და მანქანებს, კარგად მოუაროთ ცხენს, შეასრულოთ თქვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დავალებანი, განამტკიცოთ კოლმეურნეობანი და განდევნოთ კოლმეურნეობებიდან იქ შემძვრალი კულაკები და მათი დამქაშები.

თქვენ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამ სიძნელეების გადალახვა. ე. ი. პატიოსნად მუშაობა და საკოლმეურნეო დოვლათის მოვლა, — არც ისე ძნელი საქმეა. მით უმეტეს, რომ ახლა თქვენ მუშაობთ არა მდიდრებისა და ექსპლოატატორებისათვის, არამედ თქვენთვის, თქვენი საკუთარი კოლმეურნეობებისათვის.

თქვენ ხედავთ, რომ საკოლმეურნეო გზა, სოციალიზმის გზა წარმოადგენს ერთადერთ სწორ გზას მშრომელი გლეხებისათვის.

2

ჩვენი უახლოესი ამოცანაა — ყველა კოლმეურნე გავხადოთ შეძლებული

მეორე საკითხი — რას მივაღწიეთ ჩვენ ახალ გზაზე, ჩვენს საკოლმეურნეო გზაზე და რის მიღწევას ვფიქრობთ უახლოესი 2 — 3 წლის განმავლობაში?

სოციალიზმი კარგი საქმეა. ბედნიერი სოციალისტური ცხოვრება უდავოდ კარგი საქმეა. მაგრამ ყველაფერი ეს მომავლის საქმეა. მთავარი საკითხი ახლა ის კი არ არის, თუ რას მივაღწევთ ჩვენ მომავალში. მთავარი საკითხი ის არის, თუ უკვე რას მივაღწიეთ ჩვენ ამჟამად. გლეხობა დაადგა კოლმეურნეობის გზას. ეს ძალიან კარგია. მაგრამ რას მიაღწია მან ამ გზაზე? რას მივაღწიეთ ჩვენ ხელშესახებად საკოლმეურნეო გზაზე სვლით?

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ დავეხმარეთ ღარიბთა მილიონიან მასებს შესულიყვნენ კოლმეურნეობებში. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ღარიბთა მილიონიანი მასები, შევიდნენ რა კოლმეურნეობებში და სარგებლობენ რა იქ საუკეთესო მიწით და წარმოების საუკეთესო იარაღებით, ამაღლდნენ საშუალო გლეხების დონემდე. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ღარიბ გლეხთა მილიონიანი მასები, რომლებიც წინათ ნახევრად-მშიერნი ცხოვრობდნენ, ახლა კოლმეურნეობებში გადაიქცნენ საშუალო გლეხებად, გადაიქცნენ უზრუნველყოფილ ადამიანებად. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ძირი გამოვუთხარეთ გლეხების დაყოფას ღარიბებად და კულაკებად, დავამარცხეთ კულაკები და დავეხმარეთ ღარიბებს გამხდარიყვნენ თავიანთი შრომის ბატონ-პატრონნი კოლმეურნეობების შიგნით, გამხდარიყვნენ საშუალო გლეხები.

როგორ იყო საქმე საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლამდე, ამ ოთხიოდე წლის წინათ? მდიდრდებოდნენ და აღმა მიდიოდნენ კულაკები. ღატაკდებოდნენ და ნადგურდებოდნენ ღარიბები, რომლებიც ვარდებოდნენ კულაკების კაბალაში. ზევით კულაკებისაკენ მიცოცავდნენ საშუალო გლეხები და ყოველთვის ცვივდებოდნენ ძირს და ამრიგად ავსებდნენ ღარიბთა რიგებს კულაკების სასიხარულოდ. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ მთელი ამ ალიაქოთიდან მოგებული გამოდიოდნენ მხოლოდ კულაკები და, შეიძლება, შიგადაშიგ შეძლებული მეურნეებიც. სოფლად ყოველ ას კომლზე მოდიოდა 4 — 5 კულაკური კომლი, შეძლებულ გლეხთა 8 თუ 10 კომლი, საშუალო გლეხთა 45 — 50 კომლი და ღარიბთა 35 კომლი. მაშასადამე, ყველა გლეხურ კომლთა, სულ ცოტა, 35 პროცენტს ღარიბი გლეხები შეადგენდნენ, რომლებიც იძულებული იყვნენ ეზიდათ კულაკური კაბალის უღელი. აღარას ვამბობ საშუალო გლეხთა ხელმოკლე ფენებზე, რომლებიც შეადგენდნენ საშუალო გლეხობის ნახევარზე მეტს, რომლებიც თავიანთი მდგომარეობით ცოტათი განირჩეოდნენ ღარიბებისაგან და პირდაპირ დამოკიდებული იყვნენ კულაკებზე.

საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მოვსპეთ ეს ალიაქოთი და უსამართლობა, შევმუსრეთ კულაკური კაბალა, ღარიბ გლეხთა მთელი ეს მასა შევიყვანეთ კოლმეურნეობებში, შევუქმენით იქ უზრუნველყოფილი არსებობა და ავიყვანეთ ისინი საშუალო გლეხთა დონემდე, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ საკოლმეურნეო მიწით, კოლმეურნეობებისათვის მიცემული შეღავათებით, ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ სულ ცოტა 20 მილიონი გლეხური მოსახლეობა, სულ ცოტა 20 მილიონი ღარიბი გლეხი — ვიხსენით სიღატაკისა და განადგურებისაგან, ვიხსენით კულაკური კაბალისაგან და კოლმეურნეობების მეოხებით ვაქციეთ უზრუნველყოფილ ადამიანებად.

ეს დიდი მიღწევაა, ამხანაგებო. ეს ისეთი მონაპოვარია, რომლის მსგავსი ჯერ არ უნახავს მსოფლიოს და რომლისთვისაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია არც ერთ სახელმწიფოს მსოფლიოში.

აი საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკული, ხელშესახები შედეგები, იმის შედეგები, რომ გლეხობა კოლმეურნეობების გზას დაადგა.

მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი პირველი ნაბიჯია, ჩვენი პირველი მიღწევაა საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენ უნდა შევჩერდეთ ამ პირველ ნაბიჯზე, ამ პირველ მიღწევაზე. არა, ამხანაგებო, ჩვენ არ შეგვიძლია შევჩერდეთ ამ მიღწევაზე. რომ დავიძრათ წინ და საბოლოოდ განვამტკიცოთ კოლმეურნეობები, ჩვენ უნდა გადავდგათ **მეორე** ნაბიჯი, ჩვენ უნდა მივაღწიოთ **ახალ** წარმატებას. რაში მდგომარეობს ეს მეორე ნაბიჯი? იგი მდგომარეობს იმაში, რომ უფრო მაღლა ავიყვანოთ კოლმეურნეები, — ყოფილი ღარიბი გლეხებიც და ყოფილი საშუალო გლეხებიც. იგი მდგომარეობს იმაში, რომ **ყველა კოლმეურნე გავხადოთ შეძლებული.** დიახ, ამხანაგებო, შეძლებული. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ კოლმეურნეობების მეოხებით ღარიბები ავიყვანეთ საშუალო გლეხების დონემდე. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეს ცოტაა. ჩვენ ახლა უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ წინ და დავეხმაროთ ყველა კოლმეურნეს, ყოფილ ღარიბ გლეხებსაც და ყოფილ საშუალო გლეხებსაც, — ამაღლდნენ შეძლებულ გლეხთა დონემდე. ამის მიღწევა შეიძლება და ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამას რადაც უნდა დაგვიჯდეს. **(ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ ახლა გვაქვს ყველაფერი იმისათვის, რომ მივაღწიოთ ამ ჩვენს მიზანს. ჩვენს მანქანებსა და ტრაქტორებს ამჟამად ცუდად იყენებენ. ჩვენს მიწებს ხეირიანად ვერ ამუშავებენ. საკმარისია გავაუმჯობესოთ მანქანებისა და ტრაქტორების გამოყენება, საკმარისია გავაუმჯობესოთ მიწის დამუშავება — და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ გავადიდებთ ჩვენი პროდუქტების რაოდენობას ერთიორად, ერთისამად. ეს კი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ყველა კოლმეურნე გავხადოთ საკოლმეურნეო მინდვრების შეძლებულ მშრომელებად.

წინათ როგორი მდგომარეობა იყო შეძლებულთა მხრივ? იმისათვის, რომ შეძლებული გლეხი გამხდარიყავი, შენი მეზობლები უნდა დაგეჩაგრა, უნდა გაგეწია მათი ექსპლოატაცია, მიგეყიდა მათთვის ძვირად, გეყიდა მათგან იაფად, დაგექირავებინა მოჯამაგირე, გაგეწია მისთვის საკმაო ექსპლოატაცია, დაგეგროვებინა კაპიტალი და, როდესაც მომაგრდებოდი, — კულაკად გამძვრალიყავი. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ შეძლებული გლეხები წინათ, ერთპიროვნული მეურნეობის დროს, ღარიბებისა და საშუალო გლეხების უნდობლობასა და სიძულვილს იწვევდნენ. ახლა სხვანაირი მდგომარეობაა. ახლა პირობებიც სხვაა. იმისათვის, რომ კოლმეურნეები შეძლებულნი გახდნენ, ახლა სრულებით არ არის საჭირო მეზობლების დაჩაგვრა ან ექსპლოატაცია. არც ადვილია ახლა ვისიმე ექსპლოატაცია, რადგან მიწის კერძო საკუთრება ანდა იჯარა ჩვენში აღარ არსებობს, მანქანები და ტრაქტორები ეკუთვნის სახელმწიფოს, ის ხალხი კი,

რომელსაც კაპიტალი აქვს, მოდაში არ არის ახლა კოლმეურნეობებში. იყო ასეთი მოდა და გაქრა სამუდამოდ. კოლმეურნეები რომ შეძლებულნი გახდნენ, ამისათვის ახლა საჭიროა მხოლოდ ერთი რამ — პატიოსნად მუშაობა კოლმეურნეობაში, ტრაქტორებისა და მანქანების სწორად გამოყენება, მუშა-პირუტყვის სწორად გამოყენება, მიწის სწორად დამუშავება, საკოლმეურნეო საკუთრების დაცვა.

ზოგჯერ ამბობენ: თუ სოციალიზმია, — რაღა საჭიროა შრომაო? ვშრომობდით წინათ, ვშრომობთ ახლა, — დრო არ არის, რომ თავი დავანებოთ შრომასო? ასეთი სიტყვები, ამხანაგებო, ძირშივე შემცდარია. ეს არის უქნარების ფილოსოფია, და არა პატიოსანი მშრომელებისა. სოციალიზმი სრულიადაც არ უარყოფს შრომას. პირიქით, სოციალიზმი შენდება შრომაზე. სოციალიზმი და შრომა განუყოფელია ერთმანეთისაგან. ლენინი, ჩვენი დიდი მასწავლებელი, ამბობდა: «ვინც არ შრომობს, ის არცა ჭამსო». რას ნიშნავს ეს, ვის წინააღმდეგ არის მიმართული ლენინის სიტყვები? ექსპლოატატორების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც თვითონ არ შრომობს, სხვას აიძულებს იშრომოს და მდიდრდება სხვის ხარჯზე. კიდევ ვის წინააღმდეგ არის მიმართული? იმათ წინააღმდეგ, ვინც თვითონ ზარმაცობს და უნდა სხვის ხარჯზე მოითბოს ხელი. სოციალიზმი მოითხოვს არა სიზარმაცეს, არამედ იმას, რომ ყველა ადამიანი პატიოსნად შრომობდეს, შრომობდეს არა სხვებისათვის, არა მდიდრებისა და ექსპლოატატორებისათვის, არამედ საკუთარი თავისათვის, საზოგადოებისათვის. და თუ ჩვენ ვიშრომებთ პატიოსნად, ვიშრომებთ ჩვენი თავისათვის, ჩვენი კოლმეურნეობებისათვის, — ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ რაღაც 2 — 3 წლის განმავლობაში ავიყვანთ ყველა კოლმეურნეს, ყოფილ ღარიბებსაც და ყოფილ საშუალო გლეხებსაც, შეძლებულთა დონემდე, იმ ადამიანების დონემდე, რომლებიც სარგებლობენ პროდუქტების სიუხვით და სავსებით კულტურულ ცხოვრებას ეწევიან.

ეს არის ახლა ჩვენი უახლოესი ამოცანა. ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ ამას და უნდა მივაღწიოთ კიდევაც რაღაც უნდა დაგვიჯდეს. **(ხანგრძლივი ტაში).**

8

ცალკე შენიშვნები

ახლა კი ნება მომეცით გადავიდე ზოგიერთ ცალკე შენიშვნაზე.

უწინარეს ყოვლისა ჩვენს პარტიელებზე სოფლად. თქვენს შორის არიან პარტიულები, მაგრამ უფრო მეტია უპარტიოები. ეს ძალიან კარგია, რომ უპარტიოები უფრო მეტი შეგროვდნენ ყრილობაზე,

ვიდრე პარტიულები, რადგან სწორედ უპარტიოები უნდა ჩავაბათ უპირველეს ყოვლისა ჩვენს საქმეში. არიან კომუნისტები, რომლებიც ბოლშევიკურად უდგებიან უპარტიო კოლმეურნეებს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ყოყოჩობენ თავიანთი პარტიულობით და ახლოს არ იკარებენ უპარტიოებს. ეს არ არის კარგი და ეს საზიანოა. ბოლშევიკების ძალა, კომუნისტების ძალა იმაშია, რომ მათ იციან ჩვენი პარტიის გარშემორტყმა მილიონიანი უპარტიო აქტივით. ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვექნებოდა ის მიღწევები, რომლებიც ახლა გვაქვს, რომ არ ვიცოდეთ მილიონობით უპარტიო მუშებისა და გლეხების ნდობის მოპოვება პარტიის სასარგებლოდ. რა არის ამისათვის საჭირო? ამისათვის საჭიროა, რომ პარტიულები არ გაემიჯნონ უპარტიოებს, რომ პარტიულები არ ჩაიკეტონ თავიანთ პარტიულ ხაჯუჯში, რომ ისინი არ ყოყოჩობდნენ თავიანთი პარტიულობით, არამედ ყური დაუგდონ უპარტიოების ხმას, რომ ისინი არა მარტო ასწავლიდნენ უპარტიოებს, არამედ სწავლობდნენ კიდევაც მათგან.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარტიულები ციდან არ ცვივიან. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა პარტიული თვითონ ოდესღაც უპარტიო იყო. დღეს ის უპარტიოა, ხვალ კი პარტიული გახდება. მართლაც, რა არის აქ საყოყოჩო? ჩვენს შორის, ძველ ბოლშევიკებს შორის, ცოტა არ მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც პარტიაში მუშაობს 20 — 30 წელიწადი. მაგრამ ჩვენც ხომ ოდესღაც უპარტიოები ვიყავით. რა დაგვემართებოდა, რომ 20 — 30 წლის წინათ მაშინდელ პარტიელებს ალმაცერად დაეწყოთ ყურება და არ დავეშვით პარტიაში? შესაძლებელია, ჩვენ მაშინ პარტიისაგან მთელი რიგი წლებით ვყოფილიყავით დაშორებული. ხოლო ჩვენ, ძველი ბოლშევიკები, უკანასკნელი ადამიანები როდი ვართ, ამხანაგებო. **(მხიარული გამოცოცხლება, ხანგრძლივი ტაში).**

აი რატომ უნდა ახსოვდეთ ყველაფერი ეს ჩვენს პარტიელებს, დღევანდელ ახალგაზრდა პარტიელებს, რომელნიც ზოგჯერ ცხვირს მაღლა იწევენ უპარტიოთა წინაშე, უნდა ახსოვდეთ, რომ არა ყოყოჩობა, არამედ თავმდაბლობა ამშვენებს ბოლშევიკს.

ახლა რამდენიმე სიტყვა **ქალებზე, კოლმეურნე ქალებზე.** ქალთა საკითხი კოლმეურნეობებში — დიდი საკითხია, ამხანაგებო. მე ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი სათანადოდ ვერ აფასებს ქალებს და დასცინის კიდეც მათ. მაგრამ ეს შეცდომაა, ამხანაგებო, სერიოზული შეცდომაა. აქ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ქალები მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ. საქმე, უწინარეს ყოვლისა, ისაა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობამ ხელმძღვანელ თანამდებობებზე წამოაყენა მთელი რიგი შესანიშნავი და ნიჭიერი ქალები. გადახედეთ ყრი-

ლობას, მის შემადგენლობას, — და თქვენ დაინახავთ, რომ ქალები დიდი ხანია უკვე გადაიქცნენ ჩამორჩენილებიდან მოწინავეებად. ქალები კოლმეურნეობებში — დიდი ძალაა. გასაქანი არ მისცე ამ ძალას, ეს ნიშნავს — ჩაიდინო ბოროტმოქმედება. ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ წინ წავწიოთ ქალები კოლმეურნეობებში და საქმეში ჩავაბათ ეს ძალა.

რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლებას ახლო წარსულში მცირეოდენი გაუგებრობა ჰქონდა კოლმეურნე ქალებთან. საკითხი ძროხას ეხებოდა. მაგრამ ახლა ძროხის საკითხი მოგვარებულია, და გაუგებრობას ბოლო მოეღო. (ხანგრძლივი ტაში). ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ კოლმეურნეთა უმრავლესობას უკვე თითო ძროხა ჰყავს კომლზე. გაივლის კიდევ ერთი-ორი წელი, — და თქვენ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ისეთ კოლმეურნეს, რომელსაც თავისი ძროხა არ ეყოლება. ჩვენ, ბოლშევიკები, შეეცდებით, რომ ყველა კოლმეურნეს ჰყავდეს ჩვენში თითო ძროხა. (ხანგრძლივი ტაში).

რაც შეეხება თვით კოლმეურნე ქალებს, მათ უნდა ახსოვდეთ კოლმეურნეობათა ძალა და მნიშვნელობა ქალებისათვის, უნდა ახსოვდეთ, რომ მხოლოდ კოლმეურნეობაში აქვთ მათ შესაძლებლობა თანასწორად გვერდში ამოუდგნენ მამაკაცს. კოლმეურნეობათა გარეშე — უთანასწორობაა, კოლმეურნეობებში — უფლებათა თანასწორობაა. დაე ახსოვდეთ ეს ამხანაგ კოლმეურნე ქალებს და დაე გაუფრთხილდნენ ისინი საკოლმეურნეო წყობილებას, როგორც თვალის ჩინს. (ხანგრძლივი ტაში).

ორიოდე სიტყვა **კომკავშირელებისა და კომკავშირელი ქალების** შესახებ კოლმეურნეობებში. ახალგაზრდობა — ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედია, ამხანაგებო. ჩვენ, მოხუცები, ახალგაზრდობამ უნდა შეგვცვალოს. მან ჩვენი დროშა საბოლოო გამარჯვებამდე უნდა მიიტანოს. გლეხთა შორის ცოტა როდია მოხუცი, დამძიმებული ძველი ტვირთით, დამძიმებული ჩვეულებებით და ძველი ცხოვრების მოგონებებით. გასაგებია, რომ ისინი ყოველთვის ვერ ახერხებენ კვალდაკვალ მისდიონ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას. სულ სხვაა ჩვენი ახალგაზრდობა. ის თავისუფალია ძველი ტვირთისაგან და ის ყველაზე ადვილად ითვისებს ლენინურ ანდერძს. და სწორედ იმიტომ, რომ ახალგაზრდობა ყველაზე ადვილად ითვისებს ლენინურ ანდერძს, სწორედ ამიტომ იგი მოწოდებულია წაიყვანოს წინ ჩამორჩენილნი და მერყევნი. მართალია, მას არ ჰყოფნის ცოდნა. მაგრამ ცოდნა შეიძინება. დღეს არ არის იგი, ხვალ იქნება. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ ვისწავლოთ და კიდევ ვისწავლოთ ლენინიზმი. ამხანაგო კომკავშირელებო და კომკავშირელო ქალებო! ისწავლეთ ბოლშევიზმი და

წაიყვანეთ წინ მერყევნი! ნაკლები ილაყბეთ, მეტი იმუშავეთ — და თქვენი საქმე უთუოდ კარგად წავა. (ტაში).

რამდენიმე სიტყვა **ერთპიროვნული მეურნეების** შესახებ. ერთპიროვნულ მეურნეებზე აქ ცოტა ითქვა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი ამ ქვეყნად აღარ არიან. არა, ამას არ ნიშნავს. ერთპიროვნული მეურნეები არიან და არ შეიძლება მათი მხედველობიდან გაშვება, იმიტომ რომ ისინი წარმოადგენენ ჩვენს ხვალინდელ კოლმეურნეებს. მე ვიცი, რომ ერთპიროვნულ მეურნეთა ერთი ნაწილი საბოლოოდ გაირყვნა და სპეკულაციაში ჩაეფლო. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ჩვენი კოლმეურნეები ერთპიროვნულ მეურნეებს კოლმეურნეობათა შემადგენლობაში დიდი შერჩევით იღებენ, ხოლო ზოგჯერ სრულებითაც არ იღებენ. ეს, რასაკვირველია, სწორია, და ამის საწინააღმდეგოდ არაფრის თქმა არ შეიძლება. მაგრამ არის ერთპიროვნულ მეურნეთა მეორე, უფრო მეტი ნაწილი, რომელიც სპეკულაციაში კი არ ჩაფლულა, არამედ თავის ლუკმა-პურს პატიოსანი შრომით ჭამს. ეს ერთპიროვნული მეურნეები, შესაძლოა, არც არიან კოლმეურნეობაში შესვლის წინააღმდეგი. მაგრამ მათ ხელს უშლის, ერთი მხრით, მათივე ყოყმანი საკოლმეურნეო გზის სისწორის შესახებ, ხოლო, მეორე მხრით, — ის გააფთრება, რომელიც არის ახლა კოლმეურნეთა შორის ერთპიროვნული მეურნეების წინააღმდეგ.

რასაკვირველია, უნდა გავუგოთ კოლმეურნეებს და შევიდეთ მათს მდგომარეობაში. ამ წლების განმავლობაში მათ საკმაოდ ბევრი წყენა და დაცინვა ჰხედათ ერთპიროვნული მეურნეებისაგან. მაგრამ აქ წყენას და დაცინვას არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. არ ვარგა ის ხელმძღვანელი, რომელსაც არ შეუძლია დაივიწყოს წყენა და რომელიც თავის გრძნობებს საკოლმეურნეო საქმის ინტერესებზე მაღლა აყენებს. თუ თქვენ გინდათ იყოთ ხელმძღვანელები, უნდა შეგწევდეთ უნარი იმ წყენის დავიწყებისა, რომელიც ცალკეულმა ერთპიროვნულმა მეურნეებმა მოგაყენათ. ორი წლის წინათ მე ვოლგიდან მივიღე ერთი ქვრივი გლეხი-ქალის წერილი. ის სჩიოდა, კოლმეურნეობაში არ მიღებენო, და დახმარებას მთხოვდა. მე შევეკითხე კოლმეურნეობას. კოლმეურნეობიდან მიპასუხეს — არ შეგვიძლია მივიღოთ კოლმეურნეობაში, ვინაიდან მან შეურაცხყო საკოლმეურნეო კრებაო. რაში ყოფილა საქმე? იმაში, რომ გლეხების კრებაზე, სადაც კოლმეურნეები მოუწოდებდნენ ერთპიროვნულ მეურნეებს შესულიყვნენ კოლმეურნეობაში, ამ ქვრივმა მოწოდების საპასუხოდ, თურმე, აიწია კალთა და უთხრა: აი თქვენი კოლმეურნეობაო. **(მხიარული გამოცოცხლება, სიცილი).** უეჭველია, ის ცუდად

მოიქცა და შეურაცხყო კრება. მაგრამ განა შეიძლება უარი ეთქვას მას კოლმეურნეობაში მიღებაზე, თუ მან ერთი წლის შემდეგ გულწრფელად მოინანია და აღიარა თავისი შეცდომა? მე ვფიქრობ, რომ არ უნდა ეთქვას უარი. ასეც მივწერე კოლმეურნეობას. ქვრივი მიიღეს კოლმეურნეობაში. და რა მოჰყვა ამას? თურმე ის კოლმეურნეობაში ახლა მუშაობს არა უკანასკნელ, არამედ პირველ რიგებში. (ტაში).

აი კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ხელმძღვანელებმა, თუ მათ სურთ დარჩნენ ნამდვილ ხელმძღვანელებად, უნდა დაივიწყონ წყენა, თუ ამას საქმის ინტერესი მოითხოვს.

იგივე უნდა ითქვას საერთოდ ერთპიროვნული მეურნეების შესახებაც. მე არა ვარ იმის წინააღმდეგი, რომ კოლმეურნეობაში ღებულობდნენ შერჩევით. მაგრამ მე იმის წინააღმდეგი ვარ, რომ დაუხშონ გზა კოლმეურნეობისაკენ განურჩევლად ყველა ერთპიროვნულ მეურნეს. ეს ჩვენი, ბოლშევიკური პოლიტიკა არ არის. კოლმეურნეებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ თვითონ ისინი ბოლო ხანებამდე ერთპიროვნული მეურნეები იყვნენ.

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა **ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა წერილის შესახებ.** ეს წერილი დაბეჭდილი იყო, და თქვენ წაიკითხავდით მას. წერილი უდავოდ კარგია. ის მოწმობს იმას, რომ ჩვენს კოლმეურნეთა შორის ცოტანი არ არიან საკოლმეურნეო საქმის გამოცდილი და შეგნებული ორგანიზატორები და აგიტატორები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენენ. მაგრამ წერილში არის ერთი შემცდარი ადგილი, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები. საქმე ის არის, რომ ბეზენჩუკელი ამხანაგები თავიანთ შრომას კოლმეურნეობაში გვიხატავენ პატარა და თითქმის უმნიშვნელო შრომად, ორატორებისა და ბელადების შრომას კი, რომლებიც ზოგჯერ სამარშინიან სიტყვებს ამბობენ, გვიხატავენ დიდ და შემოქმედებით შრომად. შეიძლება განა ამას დავეთანხმოთ? არა, ამხანაგებო, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამას დავეთანხმოთ. ბეზენჩუკელმა ამხანაგებმა აქ შეცდომა დაუშვეს. შესაძლებელია, მათ ეს შეცდომა თავმდაბლობით მოუვიდათ. მაგრამ შეცდომა მაინც შეცდომად რჩება. წავიდა ის დრო, როდესაც ბელადები ისტორიის ერთადერთ შემოქმედად ითვლებოდნენ, მუშები და გლეხები კი სათვალავში არ შედიოდნენ. ხალხთა და სახელმწიფოთა ბედს ამჟამად წყვეტენ არა მარტო ბელადები, არამედ, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, მშრომელთა მილიონიანი მასები. მუშები და გლეხები, რომლებიც უხმაუროდ და უაურზაურად აშენებენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, მაღაროებსა და რკინი-

გზებს, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, ქმნიან ცხოვრების ყველა სიკეთეს, აჭმევენ და აცმევენ მთელ მსოფლიოს, — ეი ვინ არიან ახალი ცხოვრების ნამდვილი გმირები და ნამდვილი შემოქმედნი. ეს, როგორც ჩანს, დაივიწყეს ჩვენმა ბეზენჩუკელმა ამხანაგებმა. ცუდია, როდესაც ადამიანები ზედმეტად აფასებენ თავიანთ ძალებს და ყოყოჩობენ თავიანთი დამსახურებით. ამას კვეხნამდე მივყავართ, კვეხნა კი კარგი საქმე არ არის. მაგრამ უფრო ცუდია, როდესაც ადამიანები სათანადოდ ვერ აფასებენ თავიანთ ძალებს და ვერ ხედავენ, რომ მათი «პატარა» და «უჩინარი» შრომა ნამდვილად დიადი და შემოქმედი შრომაა, რომელიც წყვეტს ისტორიის ბედს.

მე მინდა, რომ ბეზენჩუკელმა ამხანაგებმა მოიწონონ ეს ჩემი პატარა შესწორება მათს წერილში.

მოდი ამით გავათავოთ, ამხანაგებო.

(ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველა ფეხზე დგება და მიესალმება ამხანაგ სტალინს. «ვაშას» ძახილი. დარბაზში ისმის შეძახილები: «გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ვაშა! გაუმარჯოს მოწინავე კოლმეურნეს! გაუმარჯოს ჩვენს ბელადს ამხანაგ სტალინს!»).

საანგარიშო მოხსენება პარტიის XVII ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ

1934 წ. 26 იანვარი

I

მსოფლიო კაპიტალიზმის კვლავ მიმდინარე კრიზისი და საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობა

ამხანაგებო! XVI ყრილობის შემდეგ სამ წელზე მეტმა განვლო. ძალიან დიდი პერიოდი არ არის. მაგრამ ის უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა პერიოდი, აღსავსეა შინაარსით. მე ვფიქრობ, რომ უკანასკნელი ათი წლის არც ერთი პერიოდი არ იყო ისე მდიდარი მოვლენებით, როგორც ეს პერიოდი.

ეკონომიურ დარგში ეს წლები იყო კვლავ მიმდინარე მსოფლიო ეკონომიური კრიზისის წლები. კრიზისმა მოიცვა არა მარტო მრეწველობა, არამედ სოფლის მეურნეობაც მთლიანად. კრიზისი მძვინვარებდა არა მარტო წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში. ის გადავიდა აგრეთვე კრედიტისა და ფულის მიმოქცევის სფეროში და თავდაყირა დააყენა საკრედიტო და სავალუტო ურთიერთობა, რომელიც ქვეყნებს შორის იყო დამყარებული. თუ წინათ აქა-იქ კიდევ დავობდნენ — არის თუ არ არის მსოფლიო ეკონომიური კრიზისიო, ახლა უკვე აღარ დავობენ ამაზე, რადგან მეტისმეტად თვალსაჩინოა კრიზისის არსებობა და მისი გამანადგურებელი მოქმედება. ახლა უკვე სხვაზე დავობენ — შეიძლება გამოსვლა კრიზისიდან თუ არ არის გამოსავალი, და თუ გამოსავალი არის, — როგორ უნდა განხორციელდეს იგი.

პოლიტიკურ დარგში ეს წლები იყო როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ისე ამ ქვეყნების შიგნით ურთიერთობის შემდგომი გამწვავების წლები. იაპონიის ომი ჩინეთთან და მანჯურიის ოკუპაცია, რომლებმაც გაამწვავეს ურთიერთობა შორეულ აღმოსავლეთში; ფაშიზმის გამარჯვება გერმანიაში და რევანშის იდეის ზეიმი, რომლებმაც გაამწვავეს ურთიერთობა ევროპაში; იაპონიისა და გერმანიის გამოსვლა ერთა ლიგიდან, რამაც ახალი ბიძგი მისცა შეიარაღებათა ზრდას და იმპერიალისტური ომისათვის მზადებას; ფაშიზმის დამარცხება ესპანეთში, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ რევოლუციური კრიზისი მწიფდება და ფაშიზმი სრულიადაც

არ არის დღეგრძელი, — ასეთია საანგარიშო პერიოდის უმნიშვნელოვანესი ფაქტები. გასაკვირველი არ არის, რომ ბურჟუაზიული პაციფიზმი ოდნავ ფეთქავს, ხოლო განიარაღების ტენდენციები აშკარად და პირდაპირ იცვლება შეიარაღებისა და მისი გაძლიერების ტენდენციებით.

ეკონომიურ შერყევათა და სამხედრო-პოლიტიკურ კატასტროფათა ამ აბობოქრებულ ტალღებში სსრ კავშირი დგას ცალკე, როგორც სალი კლდე, და განაგრძობს თავის საქმეს — სოციალისტურ მშენებლობას და ბრძოლას მშვიდობის შენარჩუნებისათვის. თუ იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჯერ კიდევ მძვინვარებს ეკონომიური კრიზისი, სსრ კავშირში გრძელდება აღმავლობა როგორც მრეწველობის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. თუ იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, გაფაციცებული მზადებაა ახალი ომისათვის მსოფლიოს და გავლენის სფეროების ახალი გადანაწილების მიზნით, სსრ კავშირი განაგრძობს სისტემატურ შეუპოვარ ბრძოლას ომის საფრთხის წინააღმდეგ და მშვიდობისათვის, ამასთან არ შეიძლება ითქვას, რომ სსრ კავშირის მეცადინეობას ამ დარგში არავითარი წარმატება არ ჰქონდეს.

ასეთია საერთაშორისო მდგომარეობის საერთო სურათი ამჟამად.

გადავიდეთ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის ძირითადი მონაცემების განხილვაზე.

1. ეკონომიური კრიზისის მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში

ახლანდელი ეკონომიური კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველა ანალოგიური კრიზისისაგან, სხვათა შორის, იმით განსხვავდება, რომ იგი ყველაზე მეტად ხანგრძლივი და გაჭიანურებულია. თუ წინათ კრიზისები 1 — 2 წლის განმავლობაში ამოიწურებოდა, ახლანდელი კრიზისი აი უკვე მეხუთე წელია გრძელდება, წლითიწლობით ანადგურებს კაპიტალისტური ქვეყნების მეურნეობას და სწოვს მას წინა წლებში დაგროვილ ქონს. საკვირველი არაა, რომ ეს კრიზისი ყველა კრიზისზე უმძიმესია.

რით აიხსნება თანამედროვე სამრეწველო კრიზისის ეს უმაგალითოდ გაჭიანურებული ხასიათი?

ეს აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ სამრეწველო კრიზისი მოედო უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, გააძნელა რა ქვეყანათა ერთი ჯგუფის მანევრირება მეორეთა ხარჯზე.

მეორეც, ეს აიხსნება იმით, რომ სამრეწველო კრიზისი გადაეხლართა აგრარულ კრიზისს, რომელიც მოედო უკლებლივ ყველა აგ-

რარულ და ნახევრად-აგრარულ ქვეყანას, რასაც არ შეეძლო არ გაერთულებინა და არ გაეღრმავებინა სამრეწველო კრიზისი.

მესამეც, ეს აიხსნება იმით, რომ აგრარული კრიზისი გაძლიერდა ამ ხნის განმავლობაში და მოედო სოფლის მეურნეობის ყველა დარგს, მათ შორის მეცხოველეობას, და მიიყვანა ის დეგრადაციამდე, მანქანებიდან ხელით შრომაზე გადასვლამდე, ტრაქტორის ცხენით შეცვლამდე, ხელოვნური სასუქის გამოყენების მკვეთრად შემცირებამდე, ხოლო ზოგჯერ სავსებით უარყოფამდეც კი, რამაც უფრო მეტად გააქიანურა სამრეწველო კრიზისი.

მეოთხეც, ეს აიხსნება იმით, რომ მრეწველობაში გაბატონებული მონოპოლიური კარტელები ცდილობენ შეინარჩუნონ მაღალი ფასები საქონელზე, — გარემოება, რომელიც განსაკუთრებით მტკივნეულსა ხდის კრიზისს და ხელს უშლის საქონლის მარაგის გასაღებას.

დასასრულ, — და ეს მთავარია, — ეს აიხსნება იმით, რომ სამრეწველო კრიზისი მიმდინარეობს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში, როდესაც კაპიტალიზმს უკვე აღარა აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს არც ძირითად სახელმწიფოებში, არც კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ის ძალა და სიმტკიცე, რაც მას ჰქონდა ომამდე და ოქტომბრის რევოლუციამდე, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობამ იმპერიალისტური ომისაგან მემკვიდრეობად მიიღო საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთველობა და უმუშევართა მილიონიანი არმიები, რომელთაგან განთავისუფლება მას აღარ ძალუძს. ასეთია ის გარემოებანი, რომლებმაც განსაზღვრეს ახლანდელი სამრეწველო კრიზისის უაღრესად გაჭიანურებული ხასიათი.

ამავე გარემოებებით აიხსნება ის ფაქტიც, რომ კრიზისი არ შემოიფარგლა წარმოებისა და ვაჭრობის სფეროთი და მოედო აგრეთვე საკრედიტო სისტემას, ვალუტას, სავალო ვალდებულებათა სფეროს და სხვ., დაამსხვრია რა ტრადიციულად დამყარებული ურთიერთობა როგორც ცალკეულ ქვეყნებს შორის, ისე ცალკეულ ქვეყნებში არსებულ სოციალურ ჯგუფებს შორის.

დიდი როლი შეასრულა აქ საქონლის ფასების დაცემამ. მიუხედავად მონოპოლიური კარტელების წინააღმდეგობისა, ფასების დაცემა სტიქიური ძალით იზრდებოდა, ამასთან ფასები ეცემოდა უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად არაორგანიზებულ საქონელმფლობელთა — გლეხების, ხელოსნების, წვრილი კაპიტალისტების საქონელზე, და მხოლოდ თანდათან და უფრო ნაკლებად — ორგანიზებულ საქონელმფლობელთა — კარტელებში გაერთიანებუ-

ლი კაპიტალისტების საქონელზე. ფასების დაცემამ აუტანელი გახადა მოვალეების (მრეწველნი, ხელოსნები, გლეხები და სხვ.) მდგომარეობა და, პირიქით, კრედიტორები უმაგალითო პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩააყენა. ასეთ მდგომარეობას უნდა გამოეწვია და ნამდვილადაც გამოიწვია ფირმებისა და ცალკეულ მეწარმეთა კოლოსალური გაკოტრება. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ამ ნიადაგზე დაიღუპა ათიათასობით საქციო საზოგადოება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში. საქციო საზოგადოებათა გაკოტრებას მოჰყვა ვალუტების გაუფასურება, რამაც რამდენადმე შეამსუბუქა მოვალეთა მდგომარეობა. ვალუტების გაუფასურებას მოჰყვა სახელმწიფოს მიერ ლეგალიზებული გადაუხდელობა როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალებისა. ისეთი ბანკების კრახი, როგორიც არის დარმშტადტისა და დრეზდენის ბანკები გერმანიაში, კრედიტ-ანშტალტი ავსტრიაში, და ისეთი კონცერნებისა, როგორიც არის კრეიგერის კონცერნი შვეიცარიაში, ინსულ-კონცერნი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვ., — ყველასათვის ცნობილია.

გასაგებია, რომ ამ მოვლენებს, რომლებმაც შეარყიეს საკრედიტო სისტემის საფუძვლები, უნდა მოჰყოლოდა და ნამდვილადაც მოჰყვა კრედიტებისა და უცხოეთის სესხების გადასახდელთა შეტანის შეწყვეტა, მოკავშირეთა ვალების გადასახდელთა შეტანის შეწყვეტა, კაპიტალის ექსპორტის შეწყვეტა, საგარეო ვაჭრობის ახალი შეკვეცა, საქონლის ექსპორტის ახალი შეკვეცა, საგარეო ბაზრებისათვის ბრძოლის გაძლიერება, სავაჭრო ომი ქვეყნებს შორის და — დემპინგი. დიახ, ამხანაგებო, დემპინგი. მე ელაპარაკობ არა საბჭოთა მოჩვენებითს დემპინგზე, რომლის შესახებ სულ ამ ცოტა ხნის წინათ ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა ევროპისა და ამერიკის კეთილშობილი პარლამენტების ზოგიერთი კეთილშობილი დეპუტატი. მე ვლაპარაკობ ნამდვილ დემპინგზე, რომელსაც ახლა მიმართავს თითქმის ყველა «ცივილიზებული» სახელმწიფო, რის შესახებაც კეთილგონივრულად სდუმან ეს მამაცი და კეთილშობილი დეპუტატები.

გასაგებია აგრეთვე, რომ ამ დამანგრეველ მოვლენებს, რომლებიც თან სდევს სამრეწველო კრიზისს და რომლებიც გაიშალა წარმოების სფეროს გარეშე, არ შეეძლოთ თავის მხრივ გავლენა არ მოეხდინათ სამრეწველო კრიზისის მსვლელობაზე მისი გაღრმავებისა და გართულების აზრით.

ასეთია სამრეწველო კრიზისის მოძრაობის საერთო სურათი.

აი ზოგიერთი ციფრი ოფიციალური მასალიდან, რომლებიც ასურათებენ სამრეწველო კრიზისის მოძრაობას საანგარიშო პერიოდში.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა პროცენტობით 1929 წლის მიმართ:

	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
სსრ კავშირი . . .	100	129,7	161,9	184,7	201,6
ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები .	100	80,7	68,1	53,8	64,9
ინგლისი	100	92,4	83,8	83,8	86,1
გერმანია .	100	88,3	71,7	59,8	66,8
საფრანგეთი	100	100,7	89,2	69,1	77,4

ეს ცხრილი, როგორც ხედავთ, თავისთავად მეტყველებს.

იმ დროს, როცა ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა წლითი-წლობით ეცემოდა 1929 წლის დონესთან შედარებით და მან მხოლოდ 1933 წელს დაიწყო ცოტაოდენი გამოსწორება, თუმცა კიდევ შორს არის იმისაგან, რომ მიაღწიოს 1929 წლის დონეს, სსრ კავშირის მრეწველობა წლითი-წლობით იზრდებოდა და განუწყვეტელი აღმავლობის პროცესს განიცდიდა.

იმ დროს, როცა ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა გვიჩვენებს 1933 წლის დამლევისათვის 1929 წლის დონესთან შედარებით თავისი პროდუქციის მოცულობის შემცირებას საშუალოდ 25 და უფრო მეტი პროცენტით, სსრ კავშირის მრეწველობა ამ ხნის განმავლობაში ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, ე. ი. 100 პროცენტზე მეტად. (ტაში).

ამ ცხრილის მიხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ ოთხი კაპიტალისტური ქვეყნიდან ინგლისი ყველაზე ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება. მაგრამ ეს მთლად მართალი არ არის. თუ ავიღებთ ამ ქვეყნების მრეწველობას და შევადარებთ მას ომამდელ დონესთან, რამდენადმე სხვა სურათს მივიღებთ.

აი სათანადო ცხრილი.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა პროცენტობით ომამდელი დონის მიმართ:

	1913 წ.	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
სსრ კავშირი	100	194,3	252,1	314,7	359,0	391,9
ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები	100	170.2	137,3	115,9	91,4	110,2
ინგლისი	100	99.1	91,5	83,0	82,5	85,2
გერმანია	100	113.0	99,8	81.0	67.6	75,4
საფრანგეთი . .	100	139,0	140,0	124,0	96,1	107,6

როგორც ხედავთ, ინგლისისა და გერმანიის მრეწველობამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ომამდელ დონეს, მაშინ როდესაც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საფრანგეთმა გადააჭარბეს მას რამდენიმე პროცენტით, ხოლო სსრ კავშირმა ამ პერიოდის განმავლობაში გაზარდა — გაადიდა თავისი სამრეწველო პროდუქცია ომამდელ დონესთან შედარებით 290%-ზე მეტად. (ტაში).

მაგრამ ამ ცხრილებიდან კიდევ ერთი დასკვნა გამომდინარეობს. იმ დროს, როცა ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა, დაწყებული 1930 წლიდან და განსაკუთრებით 1931 წლიდან, გამუდმებით ეცემოდა და 1932 წელს ყველაზე დიდი დაცემის წერტილს მიაღწია, — 1933 წელს მან იწყო რამდენადმე გამოსწორება და ამაღლება. თუ ავიღებთ თვიურ ცნობებს 1932 და 1933 წლების მიხედვით, ისინი უფრო მეტად ადასტურებენ ამ დასკვნას, რადგან ისინი მოწმობენ, რომ ამ ქვეყნების მრეწველობამ, 1933 წლის განმავლობაში თავისი პროდუქციის მერყეობის მიუხედავად, არ გამოაჩინა ტენდენცია — დაეყვანა დაღმასვლითი მერყეობა ყველაზე დიდი დაცემის დონემდე, რასაც ადგილი ჰქონდა 1932 წლის ზაფხულში.

რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, რომ ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობამ, როგორც ჩანს, უკვე განვლო ყველაზე დიდი დაცემის წერტილი, რომელსაც იგი აღარ დაბრუნებია 1933 წლის განმავლობაში.

ზოგიერთი ფიქრობს ეს მოვლენა მიაწეროს მარტოდ-მარტო ხელოვნური ფაქტორების გავლენას, როგორიც არის სამხედრო-საინფლაციო კონიუნქტურა. უეჭველია, რომ სამხედრო-საინფლაციო კონიუნქტურა აქ მცირე როლს არ ასრულებს. ეს განსაკუთრებით სწორია იაპონიის მიმართ, სადაც ეს ხელოვნური ფაქტორი წარმოადგენს მრეწველობის ზოგიერთი, უმთავრესად სამხედრო, დარგების ერთგვარი გამოცოცხლების მთავარ და გადამწყვეტ ძალას. მაგრამ უხეში შეცდომა იქნებოდა ყველაფერი სამხედრო-საინფლაციო კონიუნქტურით აგვეხსნა. ასეთი განმარტება სწორი არ არის თუნდაც იმიტომ, რომ ჩემს მიერ დახასიათებული ზოგიერთი ძვრა მრეწველობაში შემჩნეულია არა ცალკეულ და შემთხვევითს რაიონებში, არამედ ყველა ან თითქმის ყველა სამრეწველო ქვეყანაში, მათ შორის ისეთ ქვეყნებშიც, რომლებსაც მტკიცე ვალუტა აქვთ. ცხადია, სამხედრო-საინფლაციო კონიუნქტურასთან ერთად აქ ადგილი აქვს ეგრეთვე კაპიტალიზმის შინაგან ეკონომიურ ძალთა მოქმედებასაც.

კაპიტალიზმმა მოახერხა რამდენადმე შეემსუბუქებინა მრეწვე-

ლობის მდგომარეობა **მუშების ხარჯზე** — მათი ექსპლოატაციის გაღრმავებით მათი შრომის ინტენსივობის გაძლიერების საფუძველზე, **ფერმერების ხარჯზე** — ყველაზე უფრო დაბალი ფასების პოლიტიკის გატარებით მათი შრომის პროდუქტებზე, სურსათზე და ნაწილობრივ ნედლეულზე, **კოლონიებისა და ეკონომიურად სუსტი ქვეყნების გლეხთა ხარჯზე** — ფასების კიდევ უფრო მეტად შემცირებით მათი შრომის პროდუქტებზე, უმთავრესად ნედლეულზე და შემდეგ სურსათზე.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს კრიზისიდან ჩვეულებრივ დეპრესიაზე გადასვლასთან, დეპრესიაზე, რომელიც იწვევს მრეწველობის ახალ აღმავლობას და აყვავებას? არა, არ ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში ამჟამად არ მოიპოვება ისეთი მონაცემები. პირდაპირი ან არაპირდაპირი, რომლებიც მოწმობდნენ იმას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში იწყება მრეწველობის აღმავლობა. უფრო მეტიც, — როგორც ყველაფრიდან ჩანს, ასეთი მონაცემები არც შეიძლება იყოს, ყოველ შემთხვევაში უახლოეს დროში. არ შეიძლება იყოს, რადგან განაგრძობს მოქმედებას ყველა ის არახელსაყრელი პირობა, რომელიც საშუალებას არ აძლევს კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობას რამდენადმე მაინც სერიოზულად აიწიოს ზევით. ლაპარაკია **კაპიტალიზმის საერთო** კრიზისზე, რომელიც გრძელდება და რომლის ვითარებაშიც მიმდინარეობს **ეკონომიური** კრიზისი, ლაპარაკია საწარმოთა ქრონიკულ დაუტვირთველობაზე, ქრონიკულ მასობრივ უმუშევრობაზე, სამრეწველო კრიზისის სასოფლო-სამეურნეო კრიზისთან გადახლართვაზე, იმაზე, რომ არ არსებობს ტენდენცია ძირითადი კაპიტალის რამდენადმე სერიოზული განახლებისაკენ, რაც ჩვეულებრივ მოასწავებს აღორძინების დაწყებას, და სხვ. და ა. შ.

ცხადია, ჩვენ საქმე გვაქვს მრეწველობის უდიდესი დაცემის წერტილიდან, სამრეწველო კრიზისის უდიდესი სიღრმის წერტილიდან — დეპრესიაზე გადასვლასთან, მაგრამ არა ჩვეულებრივ დეპრესიაზე, არამედ განსაკუთრებული სახის დეპრესიაზე, რომელსაც არ მიჰყავს მრეწველობა ახალი აღმავლობისა და აყვავებისაკენ, მაგრამ რომელიც არც აბრუნებს მას უდიდესი დაცემის წერტილისაკენ.

2. პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებში

გაჭიანურებული ეკონომიური კრიზისის შედეგია პოლიტიკური მდგომარეობის დღემდე არნახული გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორც ამ ქვეყნების შიგნით, ისე მათ შორის.

საგარეო ბაზრებისათვის ბრძოლის გაძლიერებამ, თავისუფალი ვაჭრობის უკანასკნელი ნაშთების მოსპობამ, ამკრძალავმა ბაჟებმა, სავაჭრო ომმა, ვალუტების ომმა, დემპინგმა და სხვა მრავალმა ანალოგიურმა ღონისძიებამ, რომლებიც ააშკარავებენ უკიდურეს ნაციონალიზმს ეკონომიურ პოლიტიკაში, უკიდურესობამდე გაამწვავეს ურთიერთობა ქვეყნებს შორის, შექმნეს ნიადაგი სამხედრო შეტაკებებისათვის და დღის წესრიგში დააყენეს ომი, როგორც საშუალება მსოფლიოს და გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილებისა უფრო ძლიერი სახელმწიფოების სასარგებლოდ.

იაპონიის ომმა ჩინეთთან, მანჯურიის ოკუპაციამ, იაპონიის გამოსვლამ ერთა ლიგიდან და ჩრდილოეთ ჩინეთში წინმსვლელობამ — უფრო მეტად გაამწვავა მდგომარეობა. დიდი ოკეანისათვის ბრძოლის გაძლიერება და სამხედრო-საზღვაო შეიარაღებათა ზრდა იაპონიაში, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში — ამ გამწვავების შედეგია.

გერმანიის გამოსვლამ ერთა ლიგიდან და რევანშის აჩრდილმა ახალი ბიძგი მისცა მდგომარეობის გამწვავებას და შეიარაღებათა ზრდას ევროპაში.

გასაკვირველი არ არის, რომ ბურჟუაზიული პაციფიზმი ახლა საცოდავ მდგომარეობაშია, ხოლო ლაყბობას განიარაღების შესახებ ცვლის «საქმიანი» ლაპარაკი შეიარაღებისა და დამატებითი შეიარაღების შესახებ.

ისევე, როგორც 1914 წელს, პირველ რიგში გამოდიან მებრძოლი იმპერიალიზმის პარტიები, ომისა და რევანშის პარტიები.

საქმე აშკარად ახალი ომისაკენ მიდის.

იმავე ფაქტორების მოქმედებით უფრო მეტად მწვავდება კაპიტალისტური ქვეყნების საშინაო მდგომარეობა. ოთხი წლის სამრეწველო კრიზისმა დაასუსტა და სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა მუშათა კლასი. ოთხი წლის სასოფლო-სამეურნეო კრიზისმა საბოლოოდ გააღატაკა გლეხობის შეუძლო ფენები არა მარტო ძირითად კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ — განსაკუთრებით — დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებში. ფაქტია, რომ, მიუხედავად ყოველგვარი სტატისტიკური ხრიკებისა, რაც მიზნად ისახავს უმუშევართა რიცხვის შემცირებას, უმუშევართა რაოდენობა ბურჟუაზიულ დაწესებულებათა ოფიციალური ცნობებით ინგლისში აღწევს 3 მილიონამდე, გერმანიაში — 5 მილიონამდე, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში — 10 მილიონამდე, რომ არაფერი ვთქვათ ევროპის სხვა ქვეყნებზე. ამას დაუმატეთ ნაწილობრივ უმუშევრები, რომელთა რიცხვი ათეულ მილიონს აღემატება, დაუმატეთ გაღატაკებული

გლეხობის მილიონნიანი მასები, — და თქვენ მიიღებთ მშრომელი მასების გაჭირვებისა და სასოწარკვეთილების დაახლოებითს სურათს. ხალხის მასები ჯერ კიდევ არ მისულან იქამდე, რომ იერიში მიიტანონ კაპიტალიზმზე, მაგრამ იერიშის იდეა რომ მწიფდება მასების შეგნებაში,—ამაში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობენ თუნდაც ისეთი ფაქტები, როგორიც არის ესპანეთის რევოლუცია, რომელმაც დაამხო ფაშიზმის რეჟიმი, და საბჭოთა რაიონების ზრდა ჩინეთში, რის შეჩერებაც არ ძალუძს ჩინეთისა და უცხოეთის ბურჟუაზიის შეერთებულ კონტრრევოლუციას.

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებული კლასები გულმოდგინედ ანადგურებენ ანდა არარაობად აქცევენ პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელ ნაშთებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს მუშათა კლასმა თავის ბრძოლაში მჩაგვრელების წინააღმდეგ, იტალიაში ერეკებიან კომუნისტურ პარტიებს და გადადიან თავიანთი დიქტატურის შენარჩუნების აშკარა ტერორისტულ მეთოდებზე.

შოვინიზმი და ომის მზადება, როგორც საგარეო პოლიტიკის ძირითადი ელემენტები, მუშათა კლასის ალაგმვა და ტერორი საშინაო პოლიტიკის დარგში, როგორც აუცილებელი საშუალება მომავალი საომარი ფრონტების ზურგის გასამაგრებლად,—აი რით არიან განსაკუთრებით გართულნი ამჟამად თანამედროვე იმპერიალისტური პოლიტიკოსები.

გასაკვირველი არ არის, რომ ფაშიზმი ახლა ყველაზე უფრო მოდური საქონელია მებრძოლ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს შორის. მე ვლაპარაკობ არა მარტო ფაშიზმზე საერთოდ, არამედ უპირველეს ყოვლისა გერმანული ტიპის ფაშიზმზე, რომელსაც უმართებულოდ უწოდებენ ნაციონალ-სოციალიზმს, რადგან ზედმიწევნითი განხილვის დროსაც შეუძლებელია აღმოვაჩინოთ მასში სოციალიზმის ატომიც კი.

ამ აზრით ფაშიზმის გამარჯვება გერმანიაში უნდა განვიხილოთ არა მარტო როგორც ნიშანი მუშათა კლასის სისუსტისა და შედეგი სოციალ-დემოკრატიის ღალატისა მუშათა კლასის მიმართ, სოციალ-დემოკრატიისა, რომელმაც გზა გაუკაფა ფაშიზმს. ის უნდა განვიხილოთ აგრეთვე, როგორც ნიშანი ბურჟუაზიის სისუსტისა, როგორც ნიშანი იმისა, რომ ბურჟუაზიას აღარ შეუძლია იბატონოს პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის ძველი მეთოდებით, რის გამო ის იძულებულია მიმართოს საშინაო პოლიტიკაში მმართველობის ტერორისტულ მეთოდებს, — როგორც ნიშანი იმისა, რომ მას აღარ შეუძლია გამოსავალი მონახოს ახლანდელი მდგომარეობი-

დან მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის საფუძველზე, რის გამო ის იძულებულია მიმართოს ომის პოლიტიკას.

ასეთია მდგომარეობა.

როგორც ხედავთ, საქმე მიდის ახალი იმპერიალისტური ომისაკენ, როგორც გამოსავლისაკენ ახლანდელი მდგომარეობიდან.

რა თქმა უნდა, საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ომს შეუძლია მისცეს მათ ნამდვილი გამოსავალი. პირიქით, მან კიდევ უფრო უნდა გაართულოს მდგომარეობა. უფრო მეტიც: ის უეჭველად ხელს შეუწყობს რევოლუციის გაჩაღებას და სათუოდ გახდის კაპიტალიზმის თვით არსებობას მთელ რიგ ქვეყნებში, როგორც ეს მოხდა პირველი იმპერიალისტური ომის მსვლელობაში. და თუ, შიუხედავად პირველი იმპერიალისტური ომის გამოცდილებისა, ბურჟუაზიული პოლიტიკოსები მაინც ებღაუჭებიან ომს, როგორც წყალწაღებული ხავსს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი საბოლოოდ დაიბნენ, ჩიხში მოემწყვდნენ და მზად არიან თვალდახუჭული გადაეშვნენ უფსკრულში.

ამიტომ ზედმეტი არ იქნება მოკლედ განვიხილოთ ომის გაჩაღების ის გეგმები, რომლებსაც ახლა უტრიალებენ ბურჟუაზიული პოლიტიკოსების წრეებში.

ერთნი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოეწყოს ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ისინი ფიქრობენ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ მას და გამოასწორონ თავიანთი საქმეები მის ხარჯზე. დავუშვათ, რომ მათ მოაწყეს ასეთი ომი. რა შეიძლება აქედან გამოვიდეს? როგორც ცნობილია, პირველი იმპერიალისტური ომის დროსაც უნდოდათ მოესპოთ ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო — გერმანია და ხელი მოეთბოთ მის ხარჯზე. მერე რა გამოვიდა აქედან? გერმანია მათ ვერ მოსპეს, მაგრამ დათესეს გერმანიაში ისეთი სიძულვილი გამარჯვებულთა მიმართ და შექმნეს ისეთი მდიდარი ნიადაგი რევანშისათვის, რომ დღემდეც ვერ გამოუსწორებიათ და, ალბათ, ვერც მალე გამოასწორებენ მათ მიერვე ასე საზიზღრად აწეწილ საქმეს. მაგრამ სამაგიეროდ მათ მიიღეს კაპიტალიზმის განადგურება რუსეთში, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება რუსეთში და — ცხადია — საბჭოთა კავშირი. სად არის გარანტია, რომ მეორე იმპერიალისტური ომი მათ მისცემს «უკეთეს» შედეგებს, ვიდრე პირველმა მისცა? განა უფრო მართებული არ იქნება წარმოვიდგინოთ საწინააღმდეგო შედეგი?

მეორენი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოეწყოს ერთ-ერთი ისეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც სუსტია სამხედრო თავდაცვის მხრივ, მაგრამ ფართოა, როგორც ბაზარი, მაგალითად — ჩინეთის

წინააღმდეგ, რომელიც, თურმე, არც შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოდ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ წარმოადგენს მხოლოდ «არაორგანიზებულ ტერიტორიას», რომლისთვისაც საჭიროა, რომ იგი დაიპყრონ ძლიერმა სახელმწიფოებმა. მათ, როგორც ჩანს, უნდათ საბოლოოდ გაინაწილონ ჩინეთი და მის ხარჯზე გამოასწორონ თავიანთი საქმეები. დავუშვათ, რომ მათ მოაწყეს ასეთი ომი. რა შეიძლება აქედან გამოვიდეს? ცნობილია, რომ XIX საუკუნის დამდეგს სწორედ ისევე უყურებდნენ იტალიასა და გერმანიას, როგორც ამჟამად უყურებენ ჩინეთს, ე. ი. მათ თვლიდნენ «არაორგანიზებულ ტერიტორიებად», და არა სახელმწიფოებად. და იმონებდნენ მათ. მერე რა გამოვიდა აქედან? ამას მოჰყვა, როგორც ვიცით, გერმანიისა და იტალიის ომი დამოუკიდებლობისათვის და ამ ქვეყნების გაერთიანება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ამას მოჰყვა ამ ქვეყნების ხალხთა გულში დამმონებელთადმი სიძულვილის გაძლიერება, რომლის შედეგები დღემდეც არ არის ლიკვიდირებული და, ალბათ, არც მალე იქნება ლიკვიდირებული. იბადება კითხვა: სად არის გარანტია, რომ იგივე შედეგი არ მოჰყვება იმპერიალისტების ომს ჩინეთის წინააღმდეგ?

მესამენი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოაწყოს «უმაღლესმა რასამ», ვთქვათ, გერმანულმა «რასამ», «დაბალი რასის», უწინარეს ყოვლისა — სლავების წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ასეთ ომს შეუძლია მდგომარეობიდან გამოყვანა, რადგან «უმაღლესი რასა» მოწოდებულია გაანაყოფიეროს «დაბალი რასა» და იბატონოს მასზე. დავუშვათ, რომ ეს უცნაური თეორია, რომელიც ისევე დაშორებულია მეცნიერებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან, — დავუშვათ, რომ ეს უცნაური თეორია განახორციელეს პრაქტიკულად. რა შეიძლება აქედან გამოვიდეს? ცნობილია, რომ ძველი რომი სწორედ ისევე უყურებდა ახლანდელი გერმანელებისა და ფრანგების წინაპრებს, როგორც ამჟამად «უმაღლესი რასის» წარმომადგენლები უყურებენ სლავურ ტომებს. ცნობილია, რომ ძველი რომი დაცინვით უწოდებდა მათ «დაბალ რასას», «ბარბაროსებს», რომელნიც მოწოდებული არიან მუდამ ემორჩილებოდნენ «უმაღლეს რასას», «დიდ რომს», ამასთან, — ჩვენს შორის იყოს ნათქვამი, — ძველ რომს ჰქონდა ამის ერთგვარი საფუძველი, რაც არ შეიძლება ითქვას ახლანდელი «უმაღლესი რასის» წარმომადგენლებზე. (მქუხარე ტაში). მერე რა გამოვიდა აქედან? გამოვიდა ის, რომ არაროშაილები, ე. ი. ყველა «ბარბაროსები», გაერთიანდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და ზათქით და ზარით დაამხეს რომი. იბადება კითხვა: სად არის გარანტია, რომ ახლანდელი «უმაღლესი რასის»

წარმომადგენელთა პრეტენზიები იმავე სავალალო შედეგებს არ გამოიწვევენ? სად არის გარანტია, რომ ფაშისტ ლიტერატურულ პოლიტიკოსებს ბერლინში უფრო გაუღიმებს ბედი, ვიდრე ძველ და გამოცდილ დამპყრობთ რომში? განა უფრო მართებული არ იქნება წარმოვიდგინოთ საწინააღმდეგო შედეგი?

ბოლოს, მეოთხენი ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოეწყოს სსრ კავშირის წინააღმდეგ. ისინი ფიქრობენ დაამარცხონ სსრ კავშირი, გაინაწილონ მისი ტერიტორია და ხელი მოითბონ მის ხარჯზე. შეცდომა იქნებოდა წარმოგვედგინა, რომ ასე ფიქრობს მხოლოდ ზოგიერთი სამხედრო წრე იაპონიაში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე გეგმებს უტრიალებენ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელთა წრეები. დავუშვათ, რომ ეს ვაებატონები სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. რა შეიძლება აქედან გამოვიდეს? არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ ეს ომი იქნება ბურჟუაზიისათვის ყველაზე სახიფათო ომი. ის იქნება ყველაზე სახიფათო არა მარტო იმიტომ, რომ სსრ კავშირის ხალხები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ რევოლუციის მონაპოვართათვის. იგი ყველაზე სახიფათო იქნება ბურჟუაზიისათვის აგრეთვე იმიტომ, რომ ომი იწარმოებს არა მარტო ფრონტებზე, არამედ მოწინააღმდეგის ზურგშიც. ბურჟუაზიას შეუძლია ეჭვი არ ჰქონდეს, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი მეგობრები ევროპასა და აზიაში შეეცდებიან ზურგიდან დაჰკრან თავიანთ მჩაგვრელებს, რომლებმაც დაიწყეს დანაშაულებრივი ომი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სამშობლოს წინააღმდეგ. და ჩვენ ნულარ გვისაყვედურებენ ბატონი ბურჟუები, თუ მათ ასეთი ომის მეორე დღეს სათვალავში დააკლდებათ ზოგიერთი, მათთვის ახლობელი მთავრობა, რომლებიც ამჟამად მშვიდობიანად მეფობენ «წყალობითა ღვთისათა». (მქუხარე ტაში). ერთი ასეთი ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ უკვე იყო, თუ გახსოვთ, 15 წლის წინათ. როგორც ცნობილია, ყველასაგან პატივცემულმა ჩერჩილმა მაშინ ეს ომი პოეტური ფორმულით შემოსა: «14 სახელმწიფოს შესევა». თქვენ გახსოვთ, რასაკვირველია, რომ ამ ომმა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი მჯიდროდ გააერთიანა თავდადებულ მებრძოლთა მთლიან ბანაკად, რომელნიც მკერდით იცავდნენ თავიანთ მუშურ-გლეხურ სამშობლოს გარეშე მტრებისაგან. თქვენ იცით, რით დამთავრდა ეს ომი. იგი დამთავრდა ინტერვენტების განდევნით ჩვენი ქვეყნიდან და რევოლუციური «მოქმედების კომიტეტების» შექმნით ევროპაში. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მეორე ომს სსრ კავშირის წინააღმდეგ მოჰყვება თავდამსხმელთა სრული დამარცხება, რევოლუცია ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში

და ამ ქვეყნების ბურჟუაზიულ-მემამულურ მთავრობათა განადგურება.

ასეთია გზააბნეული ბურჟუაზიული პოლიტიკოსების საომარი გეგმები.

როგორც ხედავთ, ისინი არ ბრწყინავენ არც ჭკუით, არც მამაცობით. (ტაში).

მაგრამ თუ ბურჟუაზია ირჩევს ომის გზას, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი ოთხი წლის კრიზისით და უმუშევრობით, დგება რევოლუციის გზაზე. ეს ნიშნავს, რომ მწიფდება და უფრო მომწიფდება რევოლუციური კრიზისი. და რევოლუციური კრიზისი მით უფრო მალე გაძლიერდება, რაც უფრო აიბნევა ბურჟუაზია თავის საომარ კომბინაციებში, რაც უფრო ხშირად მიმართავს იგი მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებს.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ რამდენადაც არსებობს რევოლუციური კრიზისი, ბურჟუაზია გამოუვალ მდგომარეობაში უნდა ჩავარდეს, რომ მისი აღსასრული, მაშასადამე, წინასწარ განსაზღვრულია, რომ რევოლუციის გამარჯვება ამით უკვე უზრუნველყოფილია და რომ მათ დარჩენიათ მხოლოდ უცადონ ბურჟუაზიის დამხობას და სწერონ გამარჯვების რეზოლუციები. ეს ღრმა შეცდომაა. რევოლუციის გამარჯვება არასოდეს არ მოდის თავისთავად. საჭიროა მისი მომზადება და ბრძოლით მოპოვება. ხოლო მისი მომზადება და ბრძოლით მოპოვება შეუძლია მხოლოდ მძლავრ პროლეტარულ რევოლუციურ პარტიას. არის ხოლმე მომენტები, როდესაც მდგომარეობა რევოლუციურია, ბურჟუაზიის ძალაუფლება ირყევა თვით საფუძვლებამდე, რევოლუციის გამარჯვება კი მაინც არ მოდის, რადგან არ არსებობს პროლეტარიატის რევოლუციური პარტია, საკმაოდ ძლიერი და ავტორიტეტიანი იმისათვის, რომ გაიყოლიოს მასები და აიღოს ხელში ძალაუფლება. უგუნურება იქნებოდა გვეფიქრა, რომ მსგავს «შემთხვევებს» არ შეიძლება ჰქონდეთ ადგილი.

ზედმეტი არ იქნებოდა ამასთან დაკავშირებით გაგვეხსენებინა ლენინის ბრძნული სიტყვები რევოლუციური კრიზისის შესახებ, თქმული მის მიერ კომინტერნის II კონგრესზე:

«ჩვენ მივედით ახლა რევოლუციური კრიზისის, როგორც ჩვენი რევოლუციური მოქმედების საფუძვლის, საკითხთან. და აქ საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, აღინიშნოს ორი გავრცელებული შეცდომა. ერთი მხრით, ბურჟუაზიული ეკონომისტები ამ კრიზისს სახავენ როგორც უბრალო «შეწუხებას», თუ ვიხმართ ინგლისელთა ლამაზ გამოთქმას. მეორე მხრით, ზოგჯერ რევოლუციონერები ცდილობენ დამტკიცონ, რომ კრიზისი აბსოლუტურად გამოუვალია. ეს შეცდომაა. აბსო-

ლუტურად გამოუვალი მდგომარეობა არ არის ხოლმე. ბურჟუაზია იქცევა ისე, როგორც გათავხედებული, თავდაკარგული მტაცებელი, იგი სისულელეს სისულელეზე სჩადის, ამწვავებს მდგომარეობას, აჩქარებს თავის დაღუპვას. ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ არ შეიძლება იმის «დამტკიცება», ვითომ არ არსებობს აბსოლუტურად არავითარი შესაძლებლობა, რომ მან ვერ მიაძინოს ექსპლოატირებულთა ესა თუ ის უმცირესობა ამა თუ იმ მცირე დათმობებით, რომ მან ვერ დაარგუნოს ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა ამა თუ იმ ნაწილის ესა თუ ის მოძრაობა ან აჯანყება. «აბსოლუტური» გამოუვალობის წინდაწინვე «დამტკიცებისა» ცდა იქნება ცარიელი პედანტობა ან ცნებებითა და სიტყვებით თამაში. ამ და ამგვარ საკითხებში ნამდვილი «დამტკიცება» შეიძლება იყოს მხოლოდ პრაქტიკა. ბურჟუაზიული წყობილება მთელ მსოფლიოში განიცდის უდიდეს რევოლუციურ კრიზისს. ახლა საჭიროა «დამტკიცება» რევოლუციური პარტიების პრაქტიკით, რომ მათ საკმაოდ აქვთ შეგნება და ორგანიზებულობა, კავშირი ექსპლოატირებულ მასებთან, გამბედაობა, უნარი, რომ გამოიყენონ ეს კრიზისი წარმატებული, ძლევამოსილი რევოლუციისათვის» (ლენინი, ტ. XXV, გვ. 340—341).

8. ურთიერთობა სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის

ადვილი გასაგებია, თუ რამდენად ძნელი იყო სსრ კავშირისათვის თავისი მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოება ამ, სამხედრო კომბინაციების მიაზმებით მოწამლულ, ატმოსფეროში.

ამ ომისწინა ორომტრიალის პირობებში, რამაც მოიცვა მთელი რიგი ქვეყნები, სსრ კავშირი კვლავ მტკიცედ და ურყევად იდგა თავის სამშვიდობო პოზიციებზე ამ წლების განმავლობაში, ებრძოდა ომის საფრთხეს, იბრძოდა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მხარს უჭერდა იმ ქვეყნებს, რომელნიც ასე თუ ისე ემხრობიან მშვიდობის შენარჩუნებას, ამხელდა და ნიღაბს ჰგლეჯდა მათ, ვინც ამზადებს, პროვოკაციულად იწვევს ომს.

რის იმედი ჰქონდა სსრ კავშირს მშვიდობის შენარჩუნებისათვის ამ ძნელ და რთულ ბრძოლაში?

ა) თავისი მზარდი სამეურნეო და პოლიტიკური ძლიერებისა.

ბ) ყველა ქვეყნის მუშათა კლასის მილიონნიანი მასების მორალური დახმარებისა, მუშათა კლასის, რომელიც უაღრესად არის დაინტერესებული მშვიდობის შენარჩუნებით.

გ) იმ ქვეყნების კეთილგონიერებისა, რომელნიც ამა თუ იმ მოტივის გამო არ არიან დაინტერესებულნი მშვიდობის დარღვევით და რომელთაც სურთ განავითარონ სავაჭრო ურთიერთობა ისეთ წესიერ კონტრაჰენტთან, როგორიც სსრ კავშირია.

დ) ბოლოს, — ჩვენი სახელოვანი არმიისა, რომელიც მზად არის დაიცვას ჩვენი ქვეყანა გარედან თავდასხმებისაგან.

ამ ბაზაზე წარმოიშვა ჩვენი კამპანია მეზობელ სახელმწიფოებთან თავდაუსხმელობის პაქტისა და თავდამსხმელი მხარის განმსაზღვრე-

ლი პაქტის დადების შესახებ. თქვენ იცით, რომ ამ კამპანიას წარმატება ჰქონდა. როგორც ცნობილია, თავდაუსხმელობის პაქტი დადებულია არა მარტო ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების უმრავლესობასთან დასავლეთით და სამხრეთით, მათ შორის ფინეთთან და პოლონეთთან, არამედ ისეთ ქვეყნებთანაც, როგორიც არის საფრანგეთი, იტალია, ხოლო თავდამსხმელი მხარის განმსაზღვრელი პაქტი დადებულია იმავე მეზობელ სახელმწიფოებთან, მცირე ანტანტის ჩათვლით.

ამავე ბაზაზე განმტკიცდა მეგობრობა სსრ კავშირსა და თურქეთს შორის, გაუმჯობესდა და უდავოდ დამაკმაყოფილებელი შეიქნა ურთიერთობა სსრ კავშირსა და იტალიას შორის, გაუმჯობესდა ურთიერთობა საფრანგეთთან, პოლონეთთან და ბალტიის სხვა სახელმწიფოებთან, აღდგენილია ურთიერთობა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩინეთთან და სხვ.

მთელი რიგი ფაქტებიდან, რომლებიც გამოხატავენ სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის წარმატებებს, უნდა აღინიშნოს და გამოიყოს ორი ფაქტი, რომელთაც უდავოდ სერიოზული მნიშვნელობა აქვთ.

1) ჯერ-ერთი, მხედველობაში მაქვს ის გარდატეხა უკეთესისაკენ სსრ კავშირისა და პოლონეთის, სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობაში, რომელიც უკანასკნელ დროს მოხდა. წარსულში, როგორც ვიცით, პოლონეთთან ვერ გვქონდა კარგი ურთიერთობა. პოლონეთში კლავდნენ ჩვენი სახელმწიფოს წარმომადგენლებს. პოლონეთი თავის თავს თვლიდა დასავლეთის სახელმწიფოების ბარიერად სსრ კავშირის წინააღმდეგ. პოლონეთის, როგორც მოწინავე რაზმის, იმედი ჰქონდათ ყველა და ყოველგვარ იმპერიალისტებს სსრ კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში. უკეთესი მდგომარეობა არ იყო სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის მხრივ. საკმარისია მოვიგონოთ ფაქტები მოსკოვში რამზინის მავნებლური ჯგუფის გასამართლების ისტორიიდან, რომ აღვადგინოთ მეხსიერებაში სსრ კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის სურათი. და აი ეს არასასურველი ურთიერთობა თანდათან ქრება. მას ცვლის სხვა ურთიერთობა, რომელსაც არ შეიძლება სხვა რამ ვუწოდოთ, თუ არა დაახლოების ურთიერთობა. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ჩვენ ხელი მოვაწერეთ თავდაუსხმელობის პაქტს ამ ქვეყნებთან, თუმცა თავისთავად პაქტს ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს. საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ურთიერთი უნდობლობით მოწამლული ატმოსფერო თანდათანობით ქრება. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ დაწყებული დაახლოების პროცესი შეიძლება შევაფასოთ, როგორც საკმაოდ მტკიცე. რომელიც უზრუნველ-

ყოფს საქმის საბოლოო წარმატებას. მოულოდნელობა და ზიგზაგები პოლიტიკაში, მაგალითად, პოლონეთში, სადაც ანტისაბჭოთა განწყობილებანი ჯერ კიდევ ძლიერია, სრულიადაც არ შეიძლება გამორიცხულად ჩაითვალოს. მაგრამ გარდატეხა უკეთესისაკენ ჩვენს ურთიერთობაში, დამოუკიდებლად მისი შედეგებისა მომავალში, — ფაქტია, რომელიც იმის ღირსია, რომ აღვნიშნოთ და წინ წამოვწიოთ, როგორც მშვიდობის საქმის გაუმჯობესების ფაქტორი.

სად არის ამ გარდატეხის მიზეზი, რა უწყობს მას ხელს?

უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირის ძალისა და ძლიერების ზრდა.

ჩვენს დროში მიღებული არ არის ანგარიშის გაწევა სუსტებისათვის, — ანგარიშს უწევენ მხოლოდ ძლიერებს. ხოლო შემდეგ — ზოგიერთი ცვლილებანი გერმანიის პოლიტიკაში, რომლებიც გამოხატავენ რევანშისტულ და იმპერიალისტურ განწყობილებათა ზრდას გერმანიაში.

გერმანიის ზოგიერთი პოლიტიკოსი ამის გამო ამბობს, რომ სსრ კავშირს ახლა ორიენტაცია აქვს აღებული საფრანგეთსა და პოლონეთზე, რომ ვერსალის ხელშეკრულების მტრიდან ის გადაიქცა მის მომხრედ, რომ ეს ცვლილება აიხსნება ფაშისტური რეჟიმის დამყარებით გერმანიაში. ეს მართალი არ არის. რა თქმა უნდა, ჩვენ შორსა ვართ იმისაგან, რომ აღტაცებული ვიყოთ ფაშისტური რეჟიმით გერმანიაში. მაგრამ საქმე აქ ფაშიზმი როდია, თუნდაც იმიტომ, რომ ფაშიზმმა, მაგალითად, იტალიაში ხელი არ შეუშალა სსრ კავშირს საუკეთესო ურთიერთობა დამყარებინა ამ ქვეყანასთან. საქმე არც იმაშია, ვითომდა შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება ვერსალის ხელშეკრულებისადმი. ჩვენ, რომლებმაც განვიცადეთ ბრესტის ხელშეკრულების სირცხვილი, ხოტბას ვერ შევასხამთ ვერსალის ხელშეკრულებას. ჩვენ მხოლოდ არ ვეთანხმებით იმას, რომ ამ ხელშეკრულების გულისთვის მსოფლიო ახალი ომის ცეცხლში ჩავარდეს. იგივე უნდა ითქვას სსრ კავშირის ვითომდა ახალი ორიენტაციის შესახებ. ჩვენ არა გვქონია ორიენტაცია გერმანიაზე, ისევე როგორც არა გვაქვს ორიენტაცია პოლონეთსა და საფრანგეთზე. ჩვენ ორიენტაცია გვქონდა წარსულში და ორიენტაცია გვაქვს ახლა სსრ კავშირზე და მხოლოდ სსრ კავშირზე. (მქუხარე ტაში). და თუ სსრ კავშირის ინტერესები მოითხოვენ დაახლოებას ამა თუ იმ ქვეყნებთან, რომლებიც დაინტერესებული არ არიან მშვიდობის დარღვევით, ჩვენ უყოყმანოდ მივდივართ ამაზე.

არა, საქმე ამაში როდია. საქმე გერმანიის პოლიტიკის შეცვლაშია. საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ხელისუფლების სათავეში გერმანიის ახლანდელი პოლიტიკოსები ჩადგებოდნენ, განსა-

კუთრებით კი ამის შემდეგ — გერმანიაში დაიწყო ბრძოლა ორ პოლიტიკურ ხაზს შორის; ერთია ძველი პოლიტიკა, რომელმაც გამოსატულება პოვა სსრ კავშირის ცხობილ ხელშეკრულებებში გერმანიასთან, მეორეა «ახალი» პოლიტიკა, რომელიც ძირითადად მოგვაგონებს პოლიტიკას გერმანიის ყოფილი კაიზერისას, რომელმაც ერთ დროს მოახდინა უკრაინის ოკუპაცია და შეუდგა ლაშქრობას ლენინგრადის წინააღმდეგ, გადააქცია რა ბალტიისპირა სახელმწიფოები პლაცდარმად ასეთი ლაშქრობისათვის; ამასთან «ახალი» პოლიტიკა აშკარად იმარჯვებს ძველზე. არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის გარემოება, რომ «ახალი» პოლიტიკის ხალხი ყველაფერში ჭარბობს, ძველი პოლიტიკის მომხრეები კი განდევნილი აღმოჩნდნენ. შემთხვევითი არ არის აგრეთვე გუგენბერგის ცნობილი გამოსვლა ლონდონში, ისევე როგორც შემთხვევითი არ არის როზენბერგის, გერმანიის მმართველი პარტიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელის, არა ნაკლებ ცნობილი დეკლარაციები. აი რაშია საქმე, ამხანაგებო.

2) მეორეც, მე მხედველობაში მაქვს ნორმალური ურთიერთობის აღდგენა სსრ კავშირსა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ეჭვს გარეშეა, რომ ამ აქტს ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დამოკიდებულებათა მთელ სისტემაში. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ის აძლიერებს მშვიდობის შენარჩუნების საქმის შანსებს, აუმჯობესებს ორივე ქვეყნის ურთიერთობას, აძლიერებს მათს საეკონომო კავშირს და ქმნის ბაზას ურთიერთი თანამშრომლობისათვის. საქმე ის არის, რომ ის მიჯნას ავლებს ძველსა — როდესაც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები ყოველგვარი ანტისაბჭოთა ტენდენციების დასაყრდენად ითვლებოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში, — და ახალს შორის, როდესაც ეს დასაყრდენი ნებაყოფლობით მოხსნილია გზიდან ორივე ქვეყნის სასარგებლოდ.

ასეთია ორი ძირითადი ფაქტი, რომლებიც გამოხატავენ მშვიდობის საბჭოთა პოლიტიკის წარმატებებს.

მაგრამ უმართებულო იქნებოდა გვეფიქრა, რომ საანგარიშო პერიოდის მანძილზე ჩვენში ყველაფერი დაუბრკოლებლივ მიმდინარეობდა. არა, ყველაფერი როდი მიმდინარეობდა დაუბრკოლებლივ.

მოიგონეთ თუნდაც იძულების ზომები ინგლისის მხრით, ემბარგო, რომელიც ჩვენს ექსპორტს დაადვეს, ცდა — ჩარეულიყვნენ ჩვენს შინაურ საქმეებში და ამაზე მოვესინჯეთ ჩვენ, — გამოეცადათ ჩვენი წინააღმდეგობის ძალა. მართალია, ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა, და ემბარგო შემდეგ მოხსნეს, მაგრამ ამ გამოლაშქრება-

თა უსიამოვნო ნალექი ჯერ კიდევ თავს იჩენს ყველაფერში, რაც კი შეეხება ინგლისისა და სსრ კავშირის ურთიერთობას, მათ შორის მოლაპარაკებაში სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ. ხოლო ეს გამოლაშქრებანი სსრ კავშირის წინააღმდეგ არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს. ცნობილია, რომ ინგლისის კონსერვატორების ერთ ნაწილს არ შეუძლია იცხოვროს ასეთ გამოლაშქრებათა მოუხდენლად. და სწორედ იმიტომ, რომ ეს გამოლაშქრებანი შემთხვევითი არ არიან, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავალშიც განაგრძობენ გამოლაშქრებას სსრ კავშირის წინააღმდეგ, ეცდებიან შეუქმნან მას ყოველგვარი საფრთხე, მიაყენონ ზიანი და სხვ.

არ შეიძლება აგრეთვე მხედველობაში არ ვიქონიოთ სსრ კავშირისა და იაპონიის ურთიერთობა, რომელიც საჭიროებს სერიოზულ გაუმჯობესებას. იაპონიის მიერ უარის თქმა თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერაზე, რომელიც იაპონიას არა ნაკლებ ესაჭიროება, ვიდრე სსრ კავშირს, ზედმეტჯერ უსვამს ხაზს ამ გარემოებას, რომ ჩვენი ურთიერთობის სფეროში ყველაფერი რიგზე ვერ არის. იგივე უნდა ითქვას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის შესახებ მოლაპარაკების შეწყვეტაზე, რაშიაც სსრ კავშირს არ მიუძღვის ბრალი, აგრეთვე იმაზე, რომ იაპონელი აგენტები შეუწყნარებელ საქმეებს სჩადიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზაზე, უკანონოდ აპატიმრებენ საბჭოთა მოსამსახურეებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზაზე და სხვ.. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სამხედრო პირთა ერთი ნაწილი იაპონიაში აშკარად ქადაგებს პრესაში სსრ კავშირთან ომისა და ზღვისპირეთის დაპყრობის აუცილებლობას, რასაც აშკარად იწონებს სამხედრო პირთა მეორე ნაწილი, ხოლო იაპონიის მთავრობა იმის ნაცვლად, რომ წესრიგისაკენ მოუწოდოს ომის გამჩაღებლებს, ისე გვაჩვენებს თავს, ვითომ ეს მას არ შეეხება. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ასეთმა გარემოებებმა არ შეიძლება არ შექმნან შეშფოთებისა და უნდობლობის ატმოსფერო. რა თქმა უნდა, ჩვენ მომავალშიც დაბეჯითებით განვახორციელებთ სამშვიდობო პოლიტიკას და ვეცდებით გავაუმჯობესოთ ურთიერთობა იაპონიასთან, რადგან ჩვენ გვსურს ამ ურთიერთობის გაუმჯობესება. მაგრამ აქ ყველაფერი ჩვენზე როდია დამოკიდებული. ამიტომ ჩვენ ამასთან ერთად უნდა მივიღოთ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ჩვენი ქვეყანა მოულოდნელობისაგან და მზად ვიყოთ მის დასაცავად თავდასხმისაგან. (მქუხარე ტაში).

როგორც ხედავთ, ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის წარმატებებთან ერთად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი უარყოფითი მოვლენებიც.

ასეთია სსრ კავშირის საგარეო მდგომარეობა.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელია. იგი არის მშვიდობის შენარჩუნებისა და ყველა ქვეყანასთან საეკერო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკა. სსრ კავშირს აზრად არა აქვს დაემუქროს ვისმე და — მით უმეტეს — თავს დაესხას ვისმე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას და ვიცავთ მშვიდობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარისა და მზადა ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გაჩაღებელთა დარტყმას. (მქუხარე ტაში). ვისაც სურს მშვიდობა და ვინც ეძებს საქმიან ურთიერთობას ჩვენთან, ჩვენ მას ყოველთვის მხარს დავუჭერთ. ხოლო ისინი, ვინც შეეცდება თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას, — გამანადგურებელ პასუხს მიიღებენ, რათა შემდეგში მათ დაეკარგოთ ხალისი შემოსჩარონ თავიანთი ღორული დინგი ჩვენს საბჭოთა ბოსტანში. (ტაშის გრიალი).

ასეთია ჩვენი საგარეო პოლიტიკა. (ტაშის გრიალი).

ამოცანა ის არის, რომ მომავალშიც განვახორციელოთ ეს პოლიტიკა მთელი დაბეჯითებით და თანმიმდევრობით.

II

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შეუნელებელი აღმავლობა და საშინაო მდგომარეობა

გადავდივარ სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობის საკითხზე.

სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობის თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი წარმოადგენს სულ უფრო მეტი აღმავლობის სურათს როგორც სახალხო მეურნეობის, ისე კულტურის დარგში.

ეს აღმავლობა წარმოადგენდა ძალების არა მარტო უბრალო რაოდენობრივ დაგროვებას. ეს აღმავლობა შესანიშნავია იმით, რომ მან პრინციპული ცვლილებები შეიტანა სსრ კავშირის სტრუქტურაში და ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის სახე.

სსრ კავშირი ამ პერიოდში ძირფესვიანად გარდაიქმნა, თავიდან მოიშორა რა ჩამორჩენილობისა და შუასაუკუნეობრიობის სამოსელი. აგრარული ქვეყნიდან იგი გადაიქცა ინდუსტრიულ ქვეყნად. წვრილი ერთპიროვნული სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან იგი გადაიქცა კოლექტიური მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობის ქვეყნად. ბნელი, წერა-კითხვის უცოდინარი და უკულტურო ქვეყნიდან იგი გახდა — უფრო სწორად, ხდება — წერა-კითხვის მცოდნე და კულტურულ ქვეყნად, რომელიც მოფენილია სსრ კავშირის ეროვნებათა ენებზე მოქმედი უმაღლესი, საშუალო და დაბალი სკოლების უდიდესი ქსელით.

შეიქმნა წარმოების ახალი დარგები: დაზგათმშენებლობა, საავ-

ტომობილო მრეწველობა, სატრაქტორო მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა, მოტორმშენებლობა, თვითმფრინავთმშენებლობა, კომბაინთმშენებლობა. მძლავრი ტურბინებისა და გენერატორების წარმოება, ხარისხოვანი ფოლადების, ფეროშენადნობების, სინთეზური კაუჩუკის, აზოტის, ხელოვნური ბოჭკოს წარმოება და სხვ. და სხვ. **(ხანგრძლივი ტაში).**[1]

ამ პერიოდში აშენდა და ამუშავდა ათასობით ახალი საავტომობილო თანამედროვე სამრეწველო საწარმო. აშენდა გიგანტები, როგორიც არის დნეპრმშენი, მაგნიტმშენი, კუზნეცკმშენი, ჩელიაბინსკმშენი, ბობრიკოვი, ურალმანქანამშენი, კრამმანქანამშენი. ახალი ტექნიკის ბაზაზე რეკონსტრუირებულია ათასობით ძველი საწარმო. აშენდა ახალი საწარმოები და შეიქმნა მრეწველობის კერები ნაციონალურ რესპუბლიკებში და სსრ კავშირის განაპირა მხარეებში: ბელორუსიაში, უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ამიერკავკასიაში, შუა აზიაში, ყაზახეთში, ბურიატ-მონღოლეთში, თათართა რესპუბლიკაში, ბაშკირეთში, ურალზე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში და სხვ.

შეიქმნა 200 ათასზე მეტი კოლმეურნეობა და 5 ათასი საბჭოთა მეურნეობა ახალი რაიონული ცენტრებით და მათთვის საჭირო სამრეწველო პუნქტებით.

თითქმის ცარიელ ადგილზე წარმოიშვნენ ახალი დიდი ქალაქები მოსახლეობის დიდი რაოდენობით. კოლოსალურად გაფართოვდნენ ძველი ქალაქები და სამრეწველო პუნქტები.

საფუძველი ჩაეყარა ურალ-კუზნეცკის კომბინატს — კუზნეცკის კოქსადი ქვანახშირის შეერთებას ურალის რკინის მადანთან. ამრიგად ახალი მეტალურგიული ბაზა აღმოსავლეთში შეიძლება ჩაითვალოს სინამდვილედ ქცეულ ოცნებად.

საფუძველი ჩაეყარა ნავთის ახალ მძლავრ ბაზას ურალის ქედის დასავლეთ და სამხრეთ კალთების რაიონებში — ურალის ოლქში, ბაშკირეთში, ყაზახეთში.

ცხადია, სახელმწიფოს უდიდეს კაპიტალურ დაბანდებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რაც საანგარიშო პერიოდში 60 მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენდა, — უქმად არ ჩაუვლია და უკვე იწყებს თავისი შედეგების მოცემას.

ამ მიოწევათა შედეგად სსრ კავშირის სახალხო შემოსავალი 1929 წლის 29 მილიარდი მანეთიდან გაიზარდა 50 მილიარდ მანეთამდე 1933 წელს. მაშინ როდესაც იმავე პერიოდის განმავლობაში დიდად დაეცა სახალხო შემოსავალი უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

გასაგებია, რომ ყველა ამ მიღწევას და მთელ ამ აღმავლობას უნდა გამოეწვია — და ნამდვილადაც გამოიწვია — სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება.

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ეს კოლოსალური ცვლილებანი რაღაც 3 — 4 წელიწადში უზარმაზარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი ჩამორჩენილი ტექნიკით, მისი ჩამორჩენილი კულტურით? სასწაული ხომ არ არის ეს? ეს სასწაული იქნებოდა, განვითარება რომ წარმოებულიყო კაპიტალიზმისა და ერთპიროვნული წვრილი მეურნეობის ბაზაზე. მაგრამ ამას არ შეიძლება სასწაული ეწოდოს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენში განვითარება მიმდინარეობდა სოციალისტური მშენებლობის გაშლის საფუძველზე.

გასაგებია, რომ ეს გიგანტური აღმავლობა შეიძლებოდა გაშლილიყო მხოლოდ სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობის ბაზაზე, მრავალი ათეული მილიონი ადამიანის საზოგადოებრივი შრომის ბაზაზე, მეურნეობის კაპიტალისტური და ერთპიროვნულ-გლეხური სისტემის წინაშე სოციალისტური სისტემის უპირატესობათა ბაზაზე.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ სსრ კავშირის ეკონომიკისა და კულტურის კოლოსალური აღმავლობა საანგარიშო პერიოდში ამასთან ერთად მოასწავებდა კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციას და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის მოქცევას უკანა რიგში. ფაქტია, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემის ხვედრითი წონა მრეწველობის დარგში ამჟამად 99 პროცენტს შეადგენს, ხოლო სოფლის მეურნეობაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მარცვლეული კულტურების სათეს ფართობებს, — 84,5 პროცენტს, მაშინ როცა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის წილად მოდის სულ 15,5 პროცენტი.

გამოდის, რომ სსრ კავშირში კაპიტალისტური მეურნეობა უკვე ლიკვიდირებულია, ხოლო ერთპიროვნულ-გლეხური სექტორი სოფლად მეორეხარისხოვან პოზიციებზე არის დაწეული.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების დროს ლენინი ამბობდა, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს ხუთი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობის ელემენტები: 1) პატრიარქალური მეურნეობა (ძნიშვნელოვან ნაწილში ნატურალური მეურნეობა), 2) წვრილსასაქონლო წარმოება (გლეხთა უმრავლესობა იმათგან, ვინც პურს ყიდის), 3) კერძო-მეურნეობრივი კაპიტალიზმი, 4) სახელმწიფო კაპიტალიზმი, 5) სოციალიზმი. ლენინი თვლიდა, რომ ყველა ამ წყობიდან, ბოლოს და ბოლოს, გაბატონებული მდგომარეობა უნდა მოიპოვოს სოციალისტურმა წყობამ. ჩვენ ახლა შეგვიძლია ვთქვათ,

რომ პირველი, მესამე და მეოთხე საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობანი უკვე არ არსებობენ, მეორე საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობა დაწეულია უკან მეორეხარისხოვან პოზიციებზე, ხოლო მეხუთე საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობა — სოციალისტური წყობა, წარმოადგენს განუყოფლად გაბატონებულ და ერთადერთ მბრძანებელ ძალას მთელ სახალხო მეურნეობაში. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ასეთია შედეგი.

ამ შედეგშია სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობის სიმტკიცის საფუძველი, კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში მისი მოწინავე და ზურგის პოზიციების სიმტკიცის საფუძველი.

. გადავიდეთ კონკრეტული მასალების განხილვაზე საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის ცალკეული საკითხების შესახებ.

1. მრეწველობის აღმავლობა

სახალხო მეურნეობის ყველა დარგს შორის ყველაზე სწრაფად ჩვენში მრეწველობა იზრდებოდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ე. ი. 1930 წლიდან დაწყებული, მრეწველობა ჩვენში გაიზარდა ერთიორად და უფრო მეტად, სახელდობრ 101,6 პროცენტით, ხოლო ომამდელ დონესთან შედარებით ის გაიზარდა თითქმის ოთხჯერ, სახელდობრ 291,9 პროცენტით.

ეს ნიშნავს, რომ ინდუსტრიალიზაცია ჩვენში მიმდინარეობდა მთელი გაქანებით.

ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ზრდას მოჰყვა ის, რომ მთელი სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში მრეწველობის პროდუქციამ გაბატონებული ადგილი დაიჭირა.

აი სათანადო ცხრილი.

მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში პროცენტობით (1926/27 წ. ფასებში):

	1913 წ.	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ	1933 წ.
1. მრეწველობა (წვრილი მრეწველობის ჩაუთვლელად) . .	42,1	54.5	61.6	66,7	70,7	70,4
2. სოფლის მეურნეობა . .	57,9	45,5	38.4	33.3	29,3	29,6
ს უ ლ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა ურყევად და საბოლოოდ იქცა ინდუსტრიულ ქვეყნად.

ინდუსტრიალიზაციის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოების იარაღებისა და საშუალებების წარმოების ზრდას მრეწველობის განვითარების საერთო მოცულობაში. ცნობები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოწმობენ, რომ ამ მუხლის ხვედრითმა წონამ მრეწველობის საერთო მოცულობაში უპირატესი ადგილი დაიჭირა.

აი სათანადო ცხრილი.

მსხვილი მრეწველობის დარგთა ორი ძირითადი ჯგუფის პროდუქციის ხვედრითი წონა (1926/27 წ. ფასებში):

	საერთო პროდუქცია (მილიარდ მანეთობით)				
	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
მთელი მსხვილი მრეწველობა	21,0	27,5	33,9	38,5	41,9
მათ შორის:					
ჯგუფი «ა». წარმოების იარაღები და საშუალებები	10,2	14,5	18,8	22,0	24,3
ჯგუფი «ბ». მოხმარების საგნები	10,8	13,0	15,1	16,5	17,6
ხვედრითი წონა:	(პროცენტობით)				
ჯგუფი «ა». წარმოების იარაღები და საშუალებები	48,5	52.6	55,4	57,0	58,0
ჯგუფი «ბ». მოხმარების საგნები	51,5	47,4	44,6	43,0	42,0
სულ	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

ცხრილი, როგორც ხედავთ, არ საჭიროებს განმარტებას.

ტექნიკური მხრით ჩვენს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქვეყანაში მრეწველობას განსაკუთრებული ამოცანა აქვს. მან რეკონსტრუქცია უნდა უყოს ახალ ტექნიკურ ბაზაზე არა მარტო თავის თავს, არა მარტო მრეწველობის ყველა დარგს, მათ რიცხვში მსუბუქ, კვების, სატყეო მრეწველობას. მან უნდა მოახდინოს აგრეთვე ტრანსპორტის ყველა სახისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის რეკონსტრუქცია. მაგრამ მას შეუძლია შეასრულოს ეს ამოცანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანქანათმშენებლობა — სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ძირითადი ბერკეტი — მასში უპირატეს ადგილს დაიჭერს. საანგარიშო პერიოდის ცნობები მოწმობენ, რომ მანქანათმშენებლობამ ჩვენში წამყვანი როლი დაიპყრო მრეწველობის საერთო მოცულობაში.

აი სათანადო ცხრილი.

მრეწველობის ცალკეულ დარგთა ხვედრითი წონა საერთო პროდუქციის ჯამის მიმართ პროცენტობით:

	სსრ კავშირი			
	1913 წ.	1929 წ.	1932 წ.	1933 წ
ქვანახშირისა	2,9	2,1	1,7	2,0
კოქსისა	0,8	0,4	0,5	0,6
ნავთის მომპოვებელი .	1,9	1,8	1,5	1,4
ნავთის დამამუშავებელი .	2,3	2,5	2,9	2,6
შავი მეტალურგია	ცნობ. არ არის	4,5	3,7	4.0
ფერადი მეტალურგია .	„	1,5	1,3	1.2
მანქანათმშენებლობა	11,0	14,8	25,0	26,1
ძირითადი ქიმია . . .	0,8	0,6	0,8	0,9
ბამბეულისა . .	18,3	15,2	7,6	7,3
შალეულისა .	3,1	3,1	1,9	1.8

ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობა საღ საფუძველზე ვითარდება, ხოლო რეკონსტრუქციის გასაღები — მანქანათმშენებლობა — მთლიანად ჩვენს ხელშია. აუცილებელია მხოლოდ, რომ იგი აზრიანად, რაციონალურად გამოვიყენოთ.

საინტერესო სურათს გვიშლის მრეწველობის განვითარება საანგარიშო პერიოდში სოციალური სექტორების მიხედვით.

აი სათანადო ცხრილი.

მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია სოციალური სექტორების მიხედვით (1926/27 წ. ფასებში):

	საერთო პროდუქცია (მილიონ მანეთობით)				
	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
მთელი პროდუქცია. აქედან:	21 025	27 477	33 503	38 464	41 968
I. განსაზოგად. მრეწველობა	20 891	27 402	ცნობ. არ არის	38 436	41 940
ა) სახელმწ. მრეწველობა	19 143	24 989	„ „	35 587	38 932
ბ) კოოპერაც მრეწველობა	1 748	2 413	„ „	2 849	3 008
II. კერძო მრეწველობა	134	75	„ „	28	28
	(პროცენტობით)				
მთელი პროდუქცია. აქედან:	100	100	100	100	110
I. განსაზოგად. მრეწველობა	99,4	99,7	ცნობ. არ არის	99,93	99,93
ა) სახელმწ. მრეწველობა	91,1	90,9	„ „	92,52	92,76
ბ) კოოპერაც. მრეწველობა	8,3	8,8	„ „	7,41	7,17
II. კერძო მრეწველობა	0,6	0,3	„ „	0,07	0,07

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ კაპიტალისტურ ელემენტებს მრეწველობაში უკვე ბოლო მოეღო, ხოლო მეურნეობის სოციალისტური სისტემა ახლა წარმოადგენს ერთადერთ და მონოპოლიურ სისტემას ჩვენს მრეწველობაში. (ტაში).

მაგრამ მრეწველობის ყველა მიღწევათაგან, რომელიც მან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოიპოვა, ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მან ამ ხნის განმავლობაში შესძლო აღეზარდა და გამოეკვედა ათასობით ახალი ადამიანები და მრეწველობის ახალი ხელმძღვანელები, ახალი ინჟინრებისა და ტექნიკოსების მთელი ფენები, ასიათასობით ახალგაზრდა კვალიფიციური მუშები, რომლებმაც აითვისეს ახალი ტექნიკა და წინ წასწიეს ჩვენი სოციალისტური მრეწველობა. ეჭვს გარეშეა, რომ უამადამიანებოდ მრეწველობას შეუძლებელია ჰქონოდა ის წარმატებანი, რომლებიც ახლა აქვს და რომლებითაც მას უფლება აქვს იამაყოს. ცნობები გვეუბნება, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მრეწველობამ წარმოებაში გამოუშვა საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლებიდან დაახლოებით 800 ათასი ცოტად თუ ბევრად კვალიფიციური მუშა, ხოლო უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან და ტექნიკუმებიდან — 180 ათასზე მეტი ინჟინერი და ტექნიკოსი. თუ მართალია ის, რომ კადრების პრობლემა ჩვენი განვითარების უსერიოზულეს პრობლემას წარმოადგენს, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მრეწველობა სერიოზულად იწყებს ამ პრობლემის დაუფლებას.

ასეთია ჩვენი მრეწველობის ძირითადი მიღწევები.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ მრეწველობას მარტო წარმატებანი ჰქონდა. არა, მას აქვს თავისი ნაკლოვანებებიც. შათგან მთავარია:

ა) **შავი მეტალურგიის** ჩამორჩენა, რაც კვლავ გრძელდება;

ბ) **ფერადი მეტალურგიის** საქმის მოუწესრიგებლობა;

გ) ჩვენი ქვეყნის სათბობის საერთო ბალანსში **ადგილობრივი ქვანახშირის** (მოსკოვსახლო რაიონი, კავკასია, ურალი, ყარაგანდა, შუა აზია, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი, ჩრდილოეთის მხარე და სხვ.) ამოღების განვითარების უსერიოზულესი მნიშვნელობის შეუფასებლობა;

დ) სათანადო ყურადღების უქონლობა ურალის, ბაშკირეთის, ემბის რაიონებში **ნავთის** ახალი **ბაზის** ორგანიზაციის საკითხისადმი;

ე) სერიოზული მზრუნველობის უქონლობა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გაშლაზე როგორც მსუბუქი და კვების მრეწველობის ხაზით, ისე სატყეო მრეწველობის ხაზითაც;

ვ) სათანადო ყურადღების უქონლობა ადგილობრივი მრეწველობის გაშლის საკითხისადმი;

ზ) სრულიად დაუშვებელი დამოკიდებულება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხისადმი;

თ) ჩამორჩენა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, თვითღირებულების შემცირების, სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საქმეში, რაც კვლავ გრძელდება;

ი) შრომისა და ხელფასის ცუდი ორგანიზაცია, რაც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი, გაუპიროვნება მუშაობაში, გათანაბრება ხელფასის სისტემაში;

კ) ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდი, რაც ჯერ კიდევ შორს არის იმისაგან, რომ აღმოფხვრილი იყოს სამეურნეო სახალხო კომისარიატებში და მათს ორგანოებში, მათ შორის მსუბუქი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატებში.

არა გვგონია კიდევ საჭირო იყოს ამ ნაკლთა სასწრაფო ლიკვიდაციის აბსოლუტური აუცილებლობის განმარტება. შავმა და ფერადმა მეტალურგიამ, როგორც ვიცით, ვერ შეასრულეს თავიანთი გეგმა პირველი ხუთწლედის მანძილზე. მათ ვერ შეასრულეს იგი აგრეთვე მეორე ხუთწლედის პირველ წელს. თუ ისინი შემდეგშიც ჩამორჩებიან, შეიძლება გადაიქცნენ მუხრუჭად მრეწველობისათვის და მისი გარღვევების მიზეზად. რაც შეეხება ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის ანალი ბაზების შექმნას, ძნელი არ არის იმის გაგება, რომ, თუ ამ გადაუდებელ ამოცანას არ შევასრულებთ, ჩვენ შეგვიძლია შევაფერხოთ მრეწველობაც და ტრანსპორტიც. ფართო მოხმარების საქონლისა და ადგილობრივი მრეწველობის განვითარების საკითხს, ისევე როგორც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, თვითღირებულების შემცირებისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საკითხებს, — აგრეთვე არ ესაჭიროება განმარტება. რაც შეეხება შრომისა და ხელფასის ცუდ ორგანიზაციას და ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდს, — როგორც დონბასის, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა ისტორიამ გვიჩვენა, ეს საშიში სენი დაბუდებულია მრეწველობის ყველა დარგში და აფერხებს მათ განვითარებას. თუ იგი აღმოფხვრილი არ იქნა, მრეწველობა ორივე ფეხით იკოჭლებს.

მორიგი ამოცანებია:

ა) შევუნარჩუნოთ მანქანათმშენებლობას მისი ახლანდელი წამყვანი როლი მრეწველობის სისტემაში.

2) ბოლო მოვუღოთ შავი მეტალურგიის ჩამორჩენას.

3) მოვაწესრიგოთ ფერადი მეტალურგიის საქმე.

4) მთელი ძალ-ღონით გავშალოთ ადგილობრივი ქვანახშირის ამოღება ყველა უკვე ცნობილ რაიონში, მოვაწყოთ ქვანახშიროის ამოღების ახალი რაიონები (მაგალითად, შორეული აღმოსავლეთის ბურეისკის რაიონში), გადავაქციოთ კუზბასი მეორე დონბასად. (ხანგრძლივი ტაში).

5) სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ნავთის ბაზის ორგანიზაციას ურალის ქედის დასავლეთ და სამხრეთ კალთების რაიონებში.

6) გავშალოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატის ხაზით.

7) გავშალოთ ადგილობრივი საბჭოთა მრეწველობა, მივცეთ მას შესაძლებლობა — გამოიჩინოს ინიციატივა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საქმეში და აღმოვუჩინოთ მას შესაძლებელი დახმარება ნედლეულით და სახსრებით.

8) გავაუმჯობესოთ გამოშვებული საქონლის ხარისხი, შევწყვიტოთ არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება და დავსაჯოთ ყველა ის ამხანაგი, მიუხედავად პიროვნებათა, რომლებიც არღვევენ ან გვერდს უვლიან საბჭოთა ხელისუფლების კანონებს პროდუქციის ხარისხისა და კომპლექტიანობის შესახებ.

9) მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების სისტემატურ ზრდას, თვითღირებულების შემცირებას და სამეურნეო ანგარიშის დანერგვას.

10) საბოლოოდ მოვსპოთ გაუპიროვნება მუშაობაში და გათანაბრება ხელფასის სისტემაში.

11) აღმოვფხვრათ ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდი სამეურნეო სახალხო კომისარიატების ყველა რგოლში და სისტემატურად შევამოწმოთ ხელმძღვანელი ცენტრების გადაწყვეტილებათა და მითითებათა შესრულება ქვემდგომი ორგანოების მიერ.

2. სოფლის მეურნეობის აღმავლობა

რამდენადმე სხვანაირად წარიმართა განვითარება სოფლის მეურნეობის დარგში. საანგარიშო პერიოდში ბევრად უფრო ნელა, ვიდრე მრეწველობაში, მაგრამ მაინც უფრო სწრაფად, ვიდრე ერთპიროვნული მეურნეობის ჰარბობის პერიოდში, მატულობდა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების აღმავლობა. ხოლო მეცხოველეობის დარგში ჩვენ გვქონდა უკუშექცევითი პროცესიც კი — პირ-

უტყვის სულადობის შემცირება, და მხოლოდ 1933 წელს, ისიც მარტო მეღორეობის დარგში, დაისახა აღმავლობის ნიშნები.

ცხადია, რომ დაქსაქსულ წვრილგლეხურ მეურნეობათა კოლმეურნეობებად გაერთიანების უდიდესმა სიძნელეებმა, თითქმის ცარიელ ადგილზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის მსხვილ მეურნეობათა დიდი რაოდენობის შექმნის ძნელმა საქმემ და, საერთოდ, ერთპიროვნული სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და ახალ საკოლმეურნეო რელსებზე გადაყვანის **რეორგანიზაციულმა** პერიოდმა, რომელიც ბევრ დროს და დიდ ხარჯებს მოითხოვს, — ყველა ამ ფაქტორმა აუცილებლობით წინასწარ განსაზღვრა როგორც სოფლის მეურნეობის აღმავლობის ნელი ტემპები, ისე პირუტყვის სულადობის განვითარებაში დაცემის შედარებით ხანგრძლივი პერიოდი.

არსებითად საანგარიშო პერიოდი სოფლის მეურნეობისათვის იყო არა იმდენად სწრაფი აღმავლობისა და მძლავრი გაქანების პერიოდი, რამდენად უახლოეს მომავალში ასეთი აღმავლობისა და ასეთი გაქანებისათვის წანამძღვართა შექმნის პერიოდი.

თუ ავიღებთ ცნობებს ყველა კულტურის, ხოლო ცალკე — ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობის ზრდის შესახებ, მაშინ სოფლის მეურნეობის განვითარება საანგარიშო პერიოდში შემდეგნაირად გვეხატება.

ყველა კულტურის ნათესი ფართობი სსრ კავშირში:

	მილიონ ჰექტარობით					
	1913 წ.	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
მთელი ნათესი ფართობი	105,0	118,0	127,2	136,3	134,4	129,7
აქედან:						
ა) მარცვლეული	94,4	96,0	101,8	104.4	99,7	101,5
ბ) ტექნიკური	4,5	8,8	10,5	14,0	14,9	12,0
გ) ბოსტან-ბაღჩების	3,8	7,6	8,0	9,1	9,2	8,6
დ) საკვები	2,1	5,0	6,5	8,8	10,6	7 .3

ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობი სსრ კავშირში:

	მილიონ ჰექტარობით					
	1913 წ.	1929 წ	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
ბამბა	0,69	1,06	1,58	2,14	2,17	2,05
სელი (გრძელბოჭკოიანი)	1,02	1,63	1.75	2,39	2,51	2,40
შაქრის ჭარხალი	0,65	0,77	1.04	1,39	1,54	1,21
ზეთოვანი	2,00	5,20	5,22	7,55	7,98	5,79

ეს ცხრილები გამოხატავენ ორ ძირითად ხაზს სოფლის მეურნეობაში:

1) ხაზს ნათესი ფართობების ყოველნაირად გაფართოებისაკენ სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის გაჩაღების პერიოდში, როცა კოლმეურნეობანი ათიათასობით იქმნებოდნენ, როცა ისინი ერეკებოდნენ კულაკებს მიწებიდან, ხელთ იგდებდნენ განთავისუფლებულ მიწებს და ეპატრონებოდნენ მათ.

2) ხაზს ნათესი ფართობების ხელაღებით გაფართოების უარყოფისაკენ, ხაზს ფართობების ხელაღებით გაფართოებიდან მიწის დამუშავების გაუმჯობესებაზე გადასვლისაკენ, სწორი თესლბრუნვისა და ანეულის დანერგვისაკენ, მოსავლიანობის გადიდებისაკენ და, თუ ამას პრაქტიკა მოითხოვს, — არსებული ნათესი ფართობების დროებით შემცირებისაკენ.

როგორც ვიცით, მეორე ხაზი — ერთადერთი სწორი ხაზი სოფლის მეურნეობაში — აღიარებულ იქნა 1932 წელს, როცა რეორგანიზაციული პერიოდი სოფლის მეურნეობაში დასასრულს უახლოვდებოდა და მოსავლიანობის გადიდების საკითხი გადაიქცა სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საკითხად.

მაგრამ ნათესი ფართობების ზრდის ცნობები არ შეიძლება ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის განვითარების სრულიად საკმაო მაჩვენებლებად. ხდება ხოლმე, რომ ფართობი იზრდება, ხოლო პროდუქცია არ იზრდება, ან კლებულობს კიდეც, იმის გამო, რომ მიწის დამუშავება გაუარესდა და მოსავლიანობა ფართობის ერთეულზე — დაეცა. ამის გამო საჭიროა ცნობები ფართობების შესახებ შევავსოთ ცნობებით საერთო პროდუქციის შესახებ.

მარცვლეული და ტექნიკური კულტურების საერთო პროდუქცია სსრ კავშირში:

	მილიონ ცენტნერობით					
	1913 წ.	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
მარცვლეული	801,0	717,4	835,4	694,8	698,7	898.0
ბამბა (ნედლი)	7,4	8,6	11,1	12,9	12,7	13,2
სელი (ბოჭკო)	3,3	3,6	4,4	5,5	5,0	5,6
შაქრის ჭარხალი	109,0	62.5	140,2	120,5	65,6	90,0
ზეთოვანი	21,5	35,8	36,2	51,0	45,5	46,0

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო გაჩაღებული რეორგანიზაციის წლები — 1931 და 1932 წლები —

წარმოადგენდნენ მარცვლეული კულტურების პროდუქციის ყველაზე მეტი შემცირების წლებს.

შემდეგ, ამ ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ სელი და ბამბა, რომელთა რაიონებშიც სოფლის მეურნეობის რეორგანიზაცია უფრო ნაკლებ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა, თითქმის სრულებით არ დაზარალებულა და ვითარდებოდა აღმავალი ხაზით ცოტად თუ ბევრად თანაბრად და განუხრელად, ინარჩუნებდა რა თავისი განვითარების მაღალ დონეს.

მესამეც, ამ ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ იმ დროს, როცა ზეთოვანმა კულტურებმა განიცადეს მხოლოდ ერთგვარი რყევა და წეინარჩუნეს თავისი განვითარების მაღალი დონე ომამდელ დონესთან შედარებით, შაქრის ჭარხალმა, რომლის რაიონებშიც სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის ყველაზე მაღალი ტემპები იყო და რომელიც უკანასკნელი შევიდა რეორგანიზაციულ პერიოდში — ყველაზე მეტი დაცემა რეორგანიზაციის უკანასკნელ წელს — 1932 წელს განიცადა და ომამდელ დონეზე დაბლა დასწია პროდუქცია.

ბოლოს, ამ ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ 1933 წელი — პირველი წელი რეორგანიზაციული პერიოდის დამთავრების შემდეგ — წარმოადგენს გარდატეხის წელიწადს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების განვითარებაში.

ეს იმას ნიშნავს, რომ მარცვლეული კულტურები უწინარეს ყოვლისა, ხოლო მათ შემდეგ — ტექნიკური კულტურები ამიერიდან მტკიცედ და გაბედულად წავლენ მძლავრი აღმავლობისაკენ.

ყველაზე უფრო მტკივნეულად გადაიტანა რეორგანიზაციული პერიოდი სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის დარგმა.

აი სათანადო ცხრილი.

პირუტყვის სულადობა სხრ კავშირში:

	მილიონ სულობით					
	1916 წ.	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
ა) ცხენი . . .	35,1	34,0	30,2	26,2	19,6	16.6
ბ) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	58,9	68,1	52,5	47,9	40,7	38.6
გ) ცხვარი და თხა .	115,2	147,2	108,8	77,7	52,1	50,6
დ) ღორი . . .	20,3	20,9	13,6	14,4	11,6	12,2

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ პირუტყვის სულადობის მხრივ საანგარიშო პერიოდში ჩვენ გვაქვს არა აღმავლობა, არამედ ჯერ კიდევ

მიმდინარე შემცირება ომამდე არსებულ დონესთან შედარებით. აშკარაა, რომ, ერთი მხრით, მსხვილ-კულაკური ელემენტების უდიდესმა სიმრავლემ სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის დარგებში და, მეორე მხრით, გაძლიერებულმა კულაკურმა აგიტაციამ პირუტყვის დაკვლისათვის, რასაც ხელსაყრელი ნიადაგი ჰქონდა რეორგანიზაციის წლებში, — თავისი გამოხატულება პოვეს ამ ცხრილში.

შემდეგ, ამ ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ სულადობის დაცემა დაიწყო რეორგანიზაციის პირველი წლიდანვე (1930 წელი) და გრძელდება 1933 წლამდე, ამასთან დაცემამ უმაღლეს წერტილს ძიაღწია პირველ სამ წელში, ხოლო 1933 წელს, რეორგანიზაციული პერიოდის დამთავრების შემდეგ პირველ წელს, როცა მარცვლეული კულტურები აღმავლობის გზით წავიდნენ, სულადობის დაცემის ოდენობა მინიმუმამდე დავიდა.

ბოლოს, ამ ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ მეღორეობაში უკვე დაიწყო უკუშექცევითი პროცესი, და 1933 წელს უკვე დაიაახა აშკარა აღმავლობის ნიშნები.

ეს ნიშნავს, რომ 1934 წელი უნდა გახდეს და შეუძლია გახდეს აღმავლობისაკენ გარდატეხის წელიწადად მეცხოველეობის მთელ მეურნეობაში.

როგორ ვითარდებოდა ჩვენში გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია საანგარიშო პერიოდში?

აი სათანადო ცხრილი.

კოლექტივიზაცია:

	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
კოლმეურნეობათა რიცხვი (ათასობით)	57,0	85,9	211,1	211,05	224,5
მეურნეობათა რიცხვი კოლმეურნეობებში (მილიონობით) . .	1,0	6,0	13,0	14,9	15,2
გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტი	3,9	23,6	52,7	61,5	65,0

ხოლო როგორ მიმდინარეობდა მარცვლეულის ნათესი ფართობების მოძრაობა სექტორების მიხედვით?

აი სათანადო ცხრილი.

მარცვლეულის ნათესი ფართობი სექტორების მიხედვით:

სექტორები	მარცვლეული კულტურების ნათესები მილიონ ჰექტარობით					პროც. 1933 წ. ფართობის მიმართ
	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.	
1. საბჭოთა მეურნეობები	1,5	2,9	8,1	9,3	10,8	10,6
2. კოლმეურნეობები	3,4	29.7	61,0	69,1	75,0	73,9
3. ერთპიროვნული გლეხები	91,1	69,2	35,3	21,3	15,7	15,5
მარცვლეულის მთელი ნათესი სსრ კავშირში	96,0	101,8	104,4	99,7	101,5	100,0

რას მოწმობენ ეს ცხრილები?

ისინი მოწმობენ იმას, რომ სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციული პერიოდი, როცა კოლმეურნეობათა რაოდენობა და მათი წევრების რიცხვი მძაფრი ტემპებით იზრდებოდა, უკვე დამთავრებულია, დამთავრებულია ჯერ კიდევ 1932 წელს.

მაშასადამე, კოლექტივიზაციის შემდგომი პროცესი წარმოადგენს კოლმეურნეობების მიერ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა ნაშთების თანდათანობითი შესრუტვისა და ხელახალი აღზრდის პროცესს.

ეს ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებმა გაიმარჯვეს საბოლოოდ და სამუდამოდ. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ, ისინი მოწმობენ იმას, რომ საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს ერთად უჭირავთ სსრ კავშირში მარცვლეულის მთელი ფართობის 84,5 პროცენტი.

ეს ნიშნავს, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ერთად ისეთ ძალად იქცნენ, რომელიც წყვეტს მთელი სოფლის მეურნეობის და ყველა მისი დარგის ბედს.

შემდეგ, ისინი მოწმობენ იმას, რომ კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა 65 პროცენტს უჭირავს მარცვლეულის ყველა ნათესი ფართობის 73,9 პროცენტი, მაშინ როდესაც იმ დარჩენილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მთელ მასას, რომლებიც შეადგენენ მთელი გლეხური მოსახლეობის 35 პროცენტს, უჭირავს მარცვლეულის ყველა ნათესი ფართობის მხოლოდ 15,5 პროცენტი.

თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ კოლმეურნეობებმა 1933 წელს ყველა სახის შემოსავლის მიხედვით სახელმწიფოს ჩააბარეს ერთ მილიარდ ფუთზე მეტი მარცვალი, ხოლო ერთპიროვნულმა გლეხებმა, რომლებმაც გეგმა მთელი ასი პროცენტით შეასრულეს, — ჩააბარეს სულ 130 მილიონ ფუთამდე, მაშინ როდესაც 1929/30 წელს ერთპიროვნულმა გლეხებმა ჩააბარეს სახელმწიფოს დაახლოებით 780 მილიონი ფუთი, კოლმეურნეობებმა კი არა უმეტეს 120 მილიონი ფუთისა, — მაშინ ცხადზე უცხადესი გახდება, რომ კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა გლეხებმა საანგარიშო პერიოდში სავსებით შეუცვალეს ერთმანეთს როლები, ამასთან კოლმეურნეობები ამ ხნის განმავლობაში იქცნენ სოფლის მეურნეობის გაბატონებულ ძალად, ერთპიროვნული გლეხები კი — მეორეხარისხოვან ძალად, რომელიც იძულებულია დაემორჩილოს და შეეგუოს საკოლმეურნეო წყობილებას.

უნდა ვაღიაროთ, რომ მშრომელი გლეხობა, ჩვენი საბჭოთა გლეხობა, საბოლოოდ და სამუდამოდ დადგა სოციალიზმის წითელი დროშის ქვეშ. (ხანგრძლივი ტაში).

დაე იყბედონ ესერ-მენშევიკურმა და ბურჟუაზიულ-ტროცკისტულმა ჭორიკანებმა, რომ გლეხობა ბუნებით კონტრრევოლუციურია, რომ იგი მოწოდებულია აღადგინოს სსრ კავშირში კაპიტალიზმი, რომ იგი არ შეიძლება იყოს მუშათა კლასის მოკავშირე სოციალიზმის აშენების საქმეში, რომ სსრ კავშირში შეუძლებელია სოციალიზმის აშენება. ფაქტები მოწმობენ, რომ ეს ვაჟბატონები ცილსა სწამებენ სსრ კავშირსაც და საბჭოთა გლეხობასაც. ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენი საბჭოთა გლეხობა საბოლოოდ მოსცილდა კაპიტალიზმის ნაპირებს და გასწია წინ მუშათა კლასთან კავშირით — სოციალიზმისაკენ. ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენ უკვე ავაშენეთ სოციალისტური საზოგადოების საძირკველი სსრ კავშირში და დაგვრჩა მხოლოდ დავაგვირგვინოთ იგი ზედნაშენებით, — ეს საქმე, უეჭველად, უფრო ადვილია, ვიდრე სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის აშენება.

მაგრამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალა მათი ნათესი ფართობებისა და პროდუქციის ზრდით როდი ამოიწურება. იგი გამოიხატება აგრეთვე მათი სატრაქტორო პარკის ზრდით, მათი მექანიზაციის ზრდით. უეჭველია, რომ ამ მხრივ ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ.

ეი სათანადო ცხრილი.

სატრაქტორო პარკი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში (ამორტიზაციის გათვალისწინებით):

	ათას ცალობით					სიმძლავრე ათას ცხენისძალობით				
	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.	1929 წ.	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
სულ ტრაქტორები	34,9	72,1	125,3	149,5	204,1	391,4	1 003,5	1 850,0	2 225,0	3 100,0
აქედან:										
ა) ტრაქტორები მტს-ებში	2,4	31,1	63,3	74,8	122,3	23,9	372,5	848,0	1 077,0	1 782,0
ბ) ტრაქტორები ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებში	9,7	27,7	51,5	64,0	81,8	123,4	483,1	892,0	1 043,0	1 3180

მაშასადამე, 204 ათასი ტრაქტორი და 3 მილიონ 100 ათასი ცხენისძალა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. ეს, როგორც ხედავთ, პატარა ძალა როდია, მას შეუძლია აღმოფხვრას კაპიტალიზმის ყველა და ყოველგვარი ფესვი სოფლად. ეს ძალა ორჯერ აღემატება ტრაქტორების იმ რაოდენობას, რომელზეც თავის დროზე ლაპარაკობდა ლენინი, როგორც შორეულ პერსპექტივაზე.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში, ამის ცნობები მოცემულია შემდეგ ცხრილებში.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში:

	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
კომბაინები (ათას ცალობით)	7 ც.	0,1	2,2	11,5
ძრავები და ლოკომობილები (ათას ცალობით)	0,1	4,9	6,2	17,6
რთული და ნახევრად-რთული სალეწი მანქანები (ათას ცალობით)	2,9	27,8	37,0	50,0
ელექტროდანადგარნი ლეწვისათვის	168	268	551	1 283
სარემონტო სახელოსნოების რიცხვი მტს-ებში	104	770	1 220	1 933
სატვირთო ავტომობილები (ათას ცალობით)	0,2	1,0	6,0	13,5
სამგზავრო ავტომობილები (ცალობით)	17	191	245	2 800

საბჭოთა მეურნეობების ხახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში:

	1930 წ.	1931 წ.	1932 წ.	1933 წ.
კომბაინები (ათას ცალობით)	1,7	6,3	11,9	13,5
ძრავები და ლოკომობილები (ათას ცალობით)	0,3	0,7	1,2	2,5
რთული და ნახევრად-რთული სალეწი მანქანები (ათას ცალობით)	1,4	4,2	7,1	8,0
ელექტროდანადგარნი	42	112	164	222
სარემონტო სახელოსნოები:				
ა) კაპიტალური რემონტისა	72	133	208	302
ბ) საშუალო რემონტისა	75	160	215	476
გ) მიმდინარე რემონტისა	205	310	578	1 166
სატვირთო ავტომობილები (ათას ცალობით)	2,1	3,7	6,2	10,9
სამგზავრო ავტომობილები (ცალობით)	118	385	625	1890

ვფიქრობ, რომ ეს მონაცემები განმარტებას არ საჭიროებენ.

მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის აგრეთვე მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა შექმნას და სოფლის მეურნეობის მომარაგებას კვალიფიციური მუშაკებით. ახლა ყველა აღიარებს, რომ პოლიტგანყოფილებათა მუშაკებმა უდიდესი როლი შეასრულეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. ცნობილია, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სოფლის მეურნეობის კადრების განსამტკიცებლად სოფელში გაგზავნა 23 ათასზე მეტი კომუნისტი, მათგან სამიწათმოქმედო მუშაკები — 3 ათასზე მეტი, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები — 2 ათასზე მეტი, მტს-ების პოლიტგანყოფილებათა მუშაკები — 13 ათასზე მეტი და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა მუშაკები — 5 ათასზე მეტი.

იგივე უნდა ითქვას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგებაზე ახალი ინჟინერ-ტექნიკური და აგრონომიული ძალებით. ცნობილია, რომ საანგარიშო პერიოდში ამ ჯგუფის მუშაკები სოფლის მეურნეობაში გაიგზავნა 111 ათას კაცზე მეტი.

ტრაქტორისტები, კომბაინერები, მეშტურვალეები, შოფრები საანგარიშო პერიოდში მომზადებულ იქნა და მარტო მიწსახკომის სისტემის ხაზით გაიგზავნა 1 მილიონ 900 ათას კაცზე მეტი.

ამავე პერიოდში მომზადებულ და გადამზადებულ იქნენ კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეები და წევრები, მემინ-

დერეობის ბრიგადირები, მეცხოველეობის ბრიგადირები, მოანგარიშეები — 1 მილიონ 600 ათას კაცზე მეტი.

ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. მაგრამ ეს რაღაც მაინც არის.

როგორც ხედავთ, სახელმწიფომ გააკეთა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, იმისათვის, რომ გაეადვილებინა მიწსახკომისა და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ორგანოთა მუშაობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ხელმძღვანელობის ხაზით.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს შესაძლებლობანი ჯეროვნად არის გამოყენებული?

სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეიძლება.

დავიწყოთ იქიდან, რომ ეს სახალხო კომისარიატები უფრო მეტად, ვიდრე სხვა სახალხო კომისარიატები, დაავადებული არიან საქმისადმი ბიუროკრატიულ-კანცელარიული დამოკიდებულების სენით. წყვეტენ საკითხებს, მაგრამ არ ფიქრობენ იმაზე, რომ შეამოწმონ შესრულება, წესრიგისაკენ მოუწოდონ ხელმძღვანელი ორგანოების მითითებათა და განკარგულებათა დამრღვევებს, წინ წამოსწიონ პატიოსანი და კეთილსინდისიერი შემსრულებლები.

ტრაქტორებისა და მანქანების უზარმაზარი პარკის არსებობა თითქოს უნდა ავალდებულებდეს სამიწათმოქმედო ორგანოებს წესრიგზე იქონიონ ეს ძვირფასი მანქანები, დროულად შეაკეთონ ისინი, ცოტად თუ ბევრად რიგიანად გამოიყენონ ისინი მუშაობაში. რას აკეთებენ ისინი ამ დარგში? სამწუხაროდ, ძალიან ცოტას. ტრაქტორებისა და მანქანების შენახვა არადამაკმაყოფილებელია. რემონტიც არადამაკმაყოფილებელია, რადგან აქამდე არ სურთ გაიგონ, რომ რემონტის საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე და საშუალო რემონტი და არა კაპიტალური რემონტი. რაც შეეხება ტრაქტორებისა და მანქანების გამოყენებას, ამ საქმის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმდენად აშკარა და საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამას დამტკიცება არ ესაჭიროება.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მორიგ ამოცანას წარმოადგენს სწორ თესლბრუნვათა შემოღება, წმინდა ანეულის გაფართოება, სათესლე საქმის გაუმჯობესება მიწათმოქმედების ყველა დარგში. რა კეთდება ამ მხრივ? სამწუხაროდ, ჯერჯერობით — ძალიან ცოტა რამ. მარცვლეულისა და ბამბის სათესლე საქმე ისე დაბნეულია, რომ დიდი ხანი დასჭირდება მის გამოსწორებას.

ტექნიკურ კულტურათა მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ ნამდვილ საშუალებას წარმოადგენს მათი მომარაგება სასუქით.

რა კეთდება ამ დარგში? ჯერჯერობით — ძალიან ცოტა რამ. სასუქები არის, მაგრამ მიწსახკომის ორგანოები ვერ ახერხებენ მათს მიღებას, ხოლო თუ მიიღეს, შემდეგ არ იჩენენ მზრუნველობას იმისათვის, რომ თავის დროზე მიაწოდონ ისინი ადგილებს და რაციონალურად გამოიყენონ.

საბჭოთა მეურნეობების შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი კვლავაც არ დგანან თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე. მე შორსა ვარ იმისაგან, რომ არასაკმაოდ შევაფასო ჩვენი საბჭოთა მეურნეობების დიდი გამარევოლუციურებელი მნიშვნელობა. მაგრამ თუ სახელმწიფოს უდიდეს დაბანდებებს საბჭოთა მეურნეობების საქმეში შევადარებთ საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ახლანდელ ფაქტიურ შედეგებს, მივიღებთ ძალიან დიდ შეუფარდებლობას საბჭოთა მეურნეობების საზარალოდ. ამ შეუფარდებლობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მარცვლეულის ჩვენი საბჭოთა მეურნეობები მეტისმეტად მსხვილია, დირექტორები თავს ვერ ართმევენ ვეებერთელა საბჭოთა მეურნეობებს, თვით საბჭოთა მეურნეობები ძალიან სპეციალიზებულია, მათ არა აქვთ თესლბრუნვა და საანეულო ფართობი, არა აქვთ თავის შემადგენლობაში მეცხოველეობის ელემენტები. როგორც ჩანს, საჭიროა საბჭოთა მეურნეობების გაწვრილერთეულება და მათი გადაჭარბებული სპეციალიზაციის ლიკვიდაცია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატმა დროულად დასვა ეს საკითხი და მიაღწია მის გადაჭრას. მაგრამ ეს არ არის სწორი. საკითხი დაისვა და გადაიჭრა ისეთი ადამიანების ინიციატივით, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატთან.

ბოლოს, მეცხოველეობის საკითხი. მე უკვე მოგახსენეთ მეცხოველეობის მძიმე მდგომარეობაზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენი სამიწათმოქმედო ორგანოები გაფაციცებით მუშაობენ მეცხოველეობის კრიზისის ლიკვიდაციისათვის, რომ ისინი სტეხენ განგაშს, ახდენენ მუშაკების მობილიზაციას და იწყებენ მეცხოველეობის პრობლემაზე იერიშის მიტანას. სამწუხაროდ, არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა და არც ხდება. ისინი არა თუ არ სტეხენ განგაშს მეცხოველეობის მძიმე მდგომარეობის გამო, არამედ — პირიქით — ცდილობენ მიჩქმალონ საკითხი, ხოლო ზოგჯერ თავიანთ მოხსენებებში ცდილობენ კიდევაც დაუმალონ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს მეცხოველეობის ნამდვილი მდგომარეობა, რაც სრულიად შეუწყნარებელია ბოლშევიკებისათვის. ამის შემდეგ იმედის დამყარება იმაზე, რომ სამიწათმოქმედო

ორგანოები შესძლებენ გზაზე გამოიყვანონ და სათანადო სიმაღლეზე დააყენონ მეცხოველეობა, — ნიშნავს შენებას ქვიშაზე. მეცხოველეობის საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკმა, პარტიულმა და უპარტიომ; უნდა გვახსოვდეს, რომ მეცხოველეობის პრობლემა ამჟამად ისეთივე პირველი რიგის პრობლემაა, როგორიც გუშინ იყო უკვე წარმატებით გადაჭრილი მარცვლეულის პრობლემა. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ საბჭოთა ადამიანები, რომელთაც დაუძლევიათ არა ერთი სერიოზული დაბრკოლება მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, შესძლებენ დასძლიონ ეს დაბრკოლებაც. (**ტაშის გრიალი**).

ასეთია მოკლე და არასრული ჩამოთვლა იმ ნაკლთა, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას, და იმ ამოცანებისა, რომლებიც უახლოეს დროში უნდა გადაიჭრას.

მაგრამ საქმე ამ ამოცანებით არ ამოიწურება. არის აგრეთვე სხვა ამოცანებიც სოფლის მეურნეობის ხაზით, რომელთა შესახებ საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას.

უწინარეს ყოვლისა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ოლქების ძველმა დაყოფამ სამრეწველო და აგრარულ ოლქებად უკვე მოჭამა თავისი დრო. ჩვენ აღარა გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ აგრარული ოლქები, რომლებიც მოამარაგებდნენ სამრეწველო ოლქებს პურით, ხორცით და ბოსტნეულით, ისევე როგორც აღარა გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო ოლქები, რომელთაც შეეძლოთ ჰქონოდათ იმედი, რომ ყველა საჭირო პროდუქტს მიიღებენ გარედან, სხვა ოლქებიდან. განვითარებას შედეგად მოსდევს ის, რომ ყველა ოლქი ჩვენში ხდება ცოტად თუ ბევრად სამრეწველო, და რაც დრო გავა, მით უფრო გახდებიან ისინი თანდათან სამრეწველო ოლქებად. ეს ნიშნავს, რომ უკრაინას, ჩრდილოეთ კავკასიას, ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქს და სხვა ყოფილ აგრარულ რაიონებს უკვე აღარ შეუძლიათ გაგზავნონ სხვაგან, სამრეწველო ცენტრებში იმდენი პროდუქტი, რამდენსაც გზავნიდნენ წინათ, რადგან იძულებული არიან გამოკვებონ თავისი საკუთარი ქალაქები და თავისი საკუთარი მუშები, რომელთა რაოდენობაც თანდათან გაიზრდება. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ თვითეულმა ოლქმა უნდა შექმნას თავისი სასოფლო-სამეურნეო ბაზა, რათა ჰქონდეს თავისი ბოსტნეული, თავისი კარტოფილი, თავისი კარაქი, თავისი რძე და ამა თუ იმ რაოდენობით — თავისი პური, თავისი ხორცი, — თუ მას სურს არ აღმოჩნდეს ძნელ მდგომარეობაში. თქვენ იცით, რომ ეს სავსებით განსახორციელებელი საქმეა და იგი ახლა უკვე კეთდება კიდეც.

ამოცანა ის არის, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს.

შემდეგ, საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ ჩვენი ოლქების ცნობილი დაყოფა მომხმარებელ და მწარმოებელ ოლქებად აგრეთვე იწყებს თავისი განსაკუთრებული ხასიათის დაკარგვას. ისეთმა «მომხმარებელმა» ოლქებმა, როგორიც არიან მოსკოვისა და გორკის ოლქები, მიმდინარე წელს მისცეს სახელმწიფოს 80 მილიონამდე ფუთი პური. ეს, რა თქმა უნდა, მცირე საქმე როდია. ეგრეთწოდებულ მომხმარებელ ზოლში არის დაახლოებით 5 მილიონი ჰექტარი ყამირი მიწა, დაფარული ბუჩქნარით. ცნობილია, რომ ამ ზოლში ჰავა ცუდი როდია, ნალექები საკმაოა, გვალვა არ იცის. თუ ამ მიწებს გავწმენდთ ბუჩქნარისაგან და განვახორციელებთ ორგანიზაციული ხასიათის მთელ რიგ ღონისძიებებს, შეიძლება მივიღოთ მარცვლეული კულტურების უზარმაზარი რაიონი, რომელსაც შეეძლება მოგვცეს, ამ ადგილებისათვის ჩვეულებრივი დიდი მოსავლიანობის დროს, სასაქონლო მარცვლეული არანაკლები რაოდენობით, ვიდრე იძლევა ახლა ქვემო ან შუა ვოლგა. ეს დიდი დახმარება იქნებოდა ჩრდილოეთ სამრეწველო ცენტრთათვის.

ცხადია, ამოცანა ის არის, რომ შევქმნათ მომხმარებელი ზოლის რაიონებში მარცვლეული კულტურების დიდი მასივი.

ბოლოს, ვოლგისგაღმა მხარეში გვალვასთან ბრძოლის საკითხი. ვოლგისგაღმა აღმოსავლეთ რაიონებში ტყეების დარგვას და ტყესაცავი ზოლების გაშენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ეს მუშაობა, როგორც ვიცით, უკვე მიმდინარეობს, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ იგი საკმაო ინტენსივობით ტარდებოდეს. რაც შეეხება ვოლგისგაღმა მხარის მორწყვას, — ეს კი მთავარია გვალვასთან ბრძოლის თვალსაზრისით, — არ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს საქმე დიდი ხნით გადაიდოს. მართალია, იგი რამდენადმე შეაფერხა ზოგიერთმა გარეშე გარემოებამ, რამაც აუარებელი ძალა და სახსარი შთანთქა. მაგრამ ახლა საფუძველი აღარა გვაქვს მომავლისათვის გადავდოთ იგი. არ შეიძლება არ გვქონდეს სერიოზული და სრულიად სტაბილური, ამინდის შემთხვევითობათაგან თავისუფალი, ბაზა პურის წარმოებისა ვოლგაზე, რომელიც ყოველწლიურად მოგვცემს 200 მილიონ ფუთ სასაქონლო ხორბალს. ეს სავსებით აუცილებელია, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრით, ქალაქების ზრდას ვოლგაზე და, მეორე მხრით, ყოველგვარ შესაძლებელ გართულებებს საერთაშორისო ურთიერთობის დარგში.

ამოცანა ის არის, რომ შევუდგეთ სერიოზულ მუშაობას ვოლგისგაღმა მხარის მორწყვის საქმის მოსაწყობად. (ტაში).

8. მშრომელთა მატერიალური მდგომარეობისა და კულტურის აღმავლობა

ამრიგად, ჩვენ დავასურათეთ ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობა, მათი განვითარება საანგარიშო პერიოდში, მათი ახლანდელი ვითარება.

შედეგად ჩვენ გვაქვს:

ა) წარმოების მძლავრი აღმავლობა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში.

ბ) ამ აღმავლობის საფუძველზე მეურნეობის სოციალისტური სისტემის საბოლოო გამარჯვება კაპიტალისტურ სისტემაზე როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, სოციალისტური სისტემის გადაქცევა მთელი სახალხო მეურნეობის ერთადერთ სისტემად, კაპიტალისტური ელემენტების გამოდევნა სახალხო მეურნეობის ყველა სფეროდან.

გ) ერთპიროვნულ გლეხთა დიდი უმრავლესობის საბოლოოდ ჩამოშორება წვრილსასაქონლო ერთპიროვნული მეურნეობიდან, მათი გაერთიანება კოლექტიურ მეურნეობებად კოლექტიური შრომისა და წარმოების საშუალებათა კოლექტიური საკუთრების საფუძველზე, კოლექტიური მეურნეობის სრული გამარჯვება წვრილსასაქონლო ინდივიდუალურ მეურნეობაზე.

დ) მზარდი პროცესი კოლმეურნეობების შემდგომი გაფართოებისა ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ხარჯზე, რომელთა რიცხვი, ამრიგად, მცირდება თვიდან თვემდე და რომლებიც არსებითად ხდებიან დამხმარე ძალად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

გასაგებია, რომ ამ ისტორიულ გამარჯვებას ექსპლოატატორებზე არ შეეძლო არ გამოეწვია მშრომელთა მატერიალური მდგომარეობისა და მთელი ყოფაცხოვრების ძირფესვიანი გაუმჯობესება.

პარაზიტული კლასების ლიკვიდაციას შედეგად მოჰყვა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა. მუშისა და გლეხის შრომა განთავისუფლებულია ექსპლოატაციისაგან. შემოსავალი, რასაც ექსპლოატატორები ხალხის შრომიდან სწურავდნენ, ამჟამად მშრომელთა ხელში რჩება და გამოყენებულია ნაწილობრივ წარმოების გასაფართოებლად და წარმოებაში მშრომელთა ახალი რაზმების ჩასაბმელად, ნაწილობრივ — მუშათა და გლეხთა შემოსავლის პირდაპირ გადიდებისათვის.

გაქრა უმუშევრობა — მუშათა კლასის უბედურება. თუ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მილიონობით უმუშევარი გაჭირვებასა და ტანჯვას განიცდის სამუშაოს უქონლობის გამო, ჩვენში უკვე აღარ არიან მუშები, რომელთაც არ ჰქონდეთ სამუშაო და ხელფასი.

კულაკური კაბალის გაქრობასთან ერთად გაქრა სიღატაკე სოფლად. ყოველ გლეხს, კოლმეურნეს თუ ერთპიროვნულ გლეხს, ახლა საშუალება აქვს იცხოვროს ადამიანურად, თუ კი მას სურს იმუშაოს პატიოსნად და არ იზარმაცოს, არ იხეტიალოს და არ გაანიავოს საკოლმეურნეო დოვლათი.

ექსპლოატაციის მოსპობა, უმუშევრობის მოსპობა ქალაქად, სიღატაკის მოსპობა სოფლად — ეს ისეთი ისტორიული მიღწევებია მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობაში, რომლებზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ ყველაზე უფრო «დემოკრატიული» ბურჟუაზიული ქვეყნების მუშებსა და გლეხებს.

შეიცვალა ჩვენი დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების სახე. ბურჟუაზიული ქვეყნების დიდი ქალაქების აუცილებელი ნიშანია ჯურღმულები, ეგრეთწოდებული მუშათა უბნები ქალაქის განაპირა ადგილებში, რომლებიც წარმოადგენენ ბნელ, ნესტიან, ნახევრად-დანგრეულ, მეტწილად სარდაფებში მოთავსებულ სადგომთა გროვას, სადაც ჩვეულებრივ შეკუნკულია ღარიბი ხალხი, სადაც ისინი ფუთფუთობენ სიბინძურეში და წყევლიან თავის ბედს. რევოლუციამ სსრ კავშირში გამოიწვია ის, რომ ეს ჯურღმულები ჩვენში მოისპო. ისინი შეცვალა ახლად აგებულმა კარგმა და სინათლიანმა მუშათა უბნებმა, ამასთან მრავალ შემთხვევაში მუშათა უბნები ჩვენში უკეთ გამოიყურებიან, ვიდრე ქალაქის ცენტრები.

უფრო მეტად შეიცვალა სოფლის სახე. ქრება ძველი სოფელი, თავისი საყდრით ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, ურიადნიკის, ხუცესისა და კულაკის საუკეთესო სახლებით პირველ რიგზე, თავისი ნახევრად-დანგრეული გლეხური ქოხებით უკანა რიგზე. მის ადგილას ჩნდება ახალი სოფელი, თავისი საზოგადოებრივ-სამეურნეო ნაგებობებით, თავისი კლუბებით, რადიოთი, კინოთი, სკოლებით, ბიბლიოთეკებით და ბაგებით, თავისი ტრაქტორებით, კომბაინებით, სალეწი მანქანებით, ავტომობილებით. გაქრა ძველი წარჩინებული ფიგურები კულაკ-ექსპლოატატორისა, მევახშე-წურბელისა, ვაჭარ-სპეკულანტისა, ხუცეს-ურიადნიკისა. ახლა წარჩინებული ადამიანები არიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სკოლებისა და კლუბების მოღვაწეები, უფროსი ტრაქტორისტები, კომბაინერები, ბრიგადირები მემინდვ-

რეობისა და მეცხოველეობის დარგში, საკოლმეურნეო მინდვრების საუკეთესო დამკვრელნი.

ქრება დაპირისპირებულობა ქალაქსა და სოფელს შორის. ქალაქი გლეხების თვალში აღარ არის მათი ექსპლოატაციის ცენტრი. უფრო და უფრო მტკიცე ხდება სამეურნეო და კულტურული კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის. ქალაქისა და მისი მრეწველობისაგან სოფელი ახლა ღებულობს დახმარებას — ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ავტომობილებით, ხალხით, სახსრებით. თვით სოფელსაც ახლა თავისი მრეწველობა აქვს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სარემონტო სახელოსნოების სახით, კოლმეურნეობათა სხვადასხვანაირი სამრეწველო საწარმოების, მცირეძალოვანი ელექტროსადგურებისა და სხვათა სახით. კულტურული უფსკრული ქალაქსა და სოფელს შორის ივსება.

ასეთია მშრომელთა ძირითადი მიღწევები მათი მატერიალური მდგომარეობის, ყოფაცხოვრების, კულტურის გაუმჯობესების დარგში.

ამ მიღწევათა საფუძველზე საანგარიშო პერიოდში ჩვენ გვაქვს:

ა) სახალხო შემოსავლის ზრდა 35 მილიარდიდან 1930 წელს — 50 მილიარდამდე 1933 წელს, ამასთან, რადგან კაპიტალისტური ელემენტების, მათ შორის კონცენსიონერების, წილი სახალხო შემოსავალში ამჟამად შეადგენს ნახევარ პროცენტზე ნაკლებს, ამიტომ თითქმის მთელი სახალხო შემოსავალი ნაწილდება მუშებსა და მოსამსახურეებს, მშრომელ გლეხებსა, კოოპერაციასა და სახელმწიფოს შორის.

ბ) საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ზრდა 160,5 მილიონი სულიდან 1930 წლის დამლევს — 168 მილიონამდე 1933 წლის დამლევს.

გ) მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა 14 მილიონ 530 ათასიდან 1930 წელს — 21 მილიონ 883 ათასამდე 1933 წელს, ამასთან ფიზიკურად მომუშავეთა რიცხვი ამ პერიოდში 9 მილიონ 489 ათასიდან გაიზარდა 13 მილიონ 797 ათასამდე, მსხვილი მრეწველობის მუშების რიცხვი, მათ შორის ტრანსპორტის მუშების რიცხვი, 5 მილიონ 79 ათასიდან გაიზარდა 6 მილიონ 882 ათასამდე, სოფლის მეურნეობის მუშების რიცხვი 1 მილიონ 426 ათასიდან ავიდა 2 მილიონ 519 ათას კაცამდე, მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი კი ვაჭრობაში 814 ათასიდან გაიზარდა 1 მილიონ 497 ათასამდე.

დ) მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდის ზრდა 13 მილიარდ 597 მილიონი მანეთიდან 1930 წელს — 34 მილიარდ 280 მილიონ მანეთამდე 1933 წელს.

ე) მრეწველობის მუშების საშუალო-წლიური ხელფასის ზრდა 991 მანეთიდან 1930 წელს — 1 ათას 519 მანეთამდე 1933 წელს.

ვ) მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის ფონდის ზრდა 1 მილიარდ 810 მილიონი მანეთიდან 1930 წელს — 4 მილიარდ 610 მილიონ მანეთამდე 1933 წელს.

ზ) მთელი მიწისზედა მრეწველობის გადაყვანა 7-საათიან სამუშაო დღეზე.

თ) სახელმწიფოს დახმარება გლეხებისადმი მათთვის 2 ათას 860 სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობის სახით და ამ საქმეში 2 მილიარდი მანეთის დაბანდება.

ი) სახელმწიფოს დახმარება გლეხებისადმი კოლმეურნეობებისათვის 1 მილიარდ 600 მილიონი მანეთის კრედიტის მიცემის სახით.

კ) სახელმწიფოს დახმარება გლეხებისადმი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სათესლე და სასურსათო სესხის სახით 262 მილიონი ფუთი მარცვლეულის ოდენობით.

ლ) სახელმწიფოს დახმარება ხელმოკლე გლეხებისადმი გადასახადისა და დაზღვევის მხრივ 370 მილიონი მანეთის შეღავათების სახით.

რაც შეეხება ქვეყნის კულტურულ განვითარებას, საანგარიშო პერიოდში ჩვენ გვაქვს:

ა) საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლების შემოღება მთელ სსრ კავშირში და წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტის გადიდება 67 პროცენტიდან 1930 წლის დამლევს — 90 პროცენტამდე 1933 წლის დამლევს.

ბ) მოსწავლეთა რიცხვის ზრდა ყველა საფეხურის სკოლებში 14 მილიონ 358 ათასიდან 1929 წელს — 26 მილიონ 419 ათასამდე 1933 წელს; აქედან **დაწყებითი** განათლების დარგში — 11 მილიონ 697 ათასიდან 19 მილიონ 163 ათასამდე, **საშუალო** განათლების დარგში — 2 მილიონ 453 ათასიდან 6 მილიონ 674 ათასამდე, **უმაღლესი** განათლების დარგში — 207 ათასიდან 491 ათას კაცამდე.

გ) სკოლის ასაკამდე სწავლებაში ჩაბმულ ბავშვთა რიცხვის ზრდა 838 ათასიდან 1929 წელს — 5 მილიონ 917 ათასამდე 1933 წელს.

დ) საერთო და სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვის ზრდა 91 ერთეულიდან 1914 წელს — 600 ერთეულამდე 1933 წელს.

ე) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რიცხვის ზრდა 400 ერთეულიდან 1929 წელს — 840 ერთეულამდე 1933 წელს.

ვ) საკლუბო ტიპის დაწესებულებათა რიცხვის ზრდა 32 ათასიდან 1929 წელს — 54 ათასამდე 1933 წელს.

ზ) კინოთეატრების, კლუბებში კინოდანადგარებისა და მოძრავი

კინოების რიცხვის ზრდა 9 ათას 800 ერთეულიდან 1929 წელს — 29 ათას 200 ერთეულამდე 1933 წელს.

თ) გაზეთების ერთდროული ტირაჟის ზრდა 12 მილიონ 500 ათასიდან 1929 წელს — 36 მილიონ 500 ათასამდე 1933 წელს.

შეიძლება ზედმეტი არ იყოს აღვნიშნოთ, რომ ჩვენში მუშების ხვედრითი წონა უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა შორის 51,4 პროცენტს შეადგენს, მშრომელი გლეხების ხვედრითი წონა — 16,5 პროცენტს, და ეს იმ დროს, როცა, მაგალითად, გერმანიაში მუშების ხვედრითი წონა უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა შორის 1932/33 სასწავლო წელს შეადგენდა სულ 3,2 პროცენტს, ხოლო წვრილი გლეხების ხვედრითი წონა — სულ 2,4 პროცენტს.

უნდა აღინიშნოს, როგორც სასიხარულო ფაქტი და სოფლად კულტურულობის ზრდის ნიშანი, — საზოგადოებრივ-ორგანიზატორულ მუშაობაში კოლმეურნე ქალთა აქტივობის ზრდა. ცნობილია, მაგალითად, რომ ამჟამად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად არის დაახლოებით 6 ათასი კოლმეურნე ქალი, კოლმეურნეობათა გამგეობების წევრებად — 60 ათასზე მეტი, ბრიგადირებად — 28 ათასი, რგოლების ორგანიზატორებად — 100 ათასი, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების გამგეებად — 9 ათასი, ტრაქტორისტებად — 7 ათასი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ცნობები არ არის სრული. მაგრამ ის ცოტაც, რაც ამ ცნობებში მოიპოვება, საკმაო სიცხადით მოწმობს სოფლად კულტურულობის დიდ ზრდას. ამ გარემოებას, ამხანაგებო, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ქალები შეადგენენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს, ისინი შეადგენენ შრომის უდიდეს არმიას, და ისინი მოწოდებული არიან აღზარდონ ჩვენი ბავშვები, ჩვენი მომავალი თაობა, ე. ი. ჩვენი მომავალი. აი რატომ არ შეგვიძლია ჩვენ დავუშვათ, რომ მშრომელთა ეს უდიდესი არმია სიბნელესა და უმეცრებაში იყოფებოდეს! აი რატომ უნდა მივესალმოთ ჩვენ მშრომელ ქალთა მზარდ საზოგადოებრივ აქტივობას და მათს დაწინაურებას ხელმძღვანელ პოსტებზე, როგორც ჩვენი კულტურულობის ზრდის უეჭველ ნიშანს. (ხანგრძლივი ტაში).

ბოლოს, საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი ფაქტი, მაგრამ უკვე უარყოფითი ხასიათისა. მე მხედველობაში მაქვს ის დაუშვებელი მოვლენა, რომ პედაგოგიური და სამედიცინო «ფაკულტეტები» ჩვენში ჯერ კიდევ მივიწყებულია. ეს დიდი ნაკლია, რაც სახელმწიფოს ინტერესების დარღვევას უდრის. ამ ნაკლს აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო. და რაც უფრო ჩქარა გაკეთდება ეს, მით უკეთესია.

4. საქონელბრუნვის აღმავლობა და ტრანსპორტი

ამრიგად ჩვენ გვაქვს:

ა) მრეწველობის პროდუქციის, მათ შორის ფართო მოხმარების საგნების პროდუქციის ზრდა;

ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა;

გ) ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების მხრით პროდუქტებისა და ნაწარმის მოთხოვნილებათა და მოთხოვნის ზრდა.

რა არის კიდევ საჭირო იმისათვის, რომ შეეაერთოთ ეს პირობები და უზრუნველყოთ მომხმარებელთა მთელი მასისათვის აუცილებელი საქონლისა და პროდუქტების მიღება?

ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, საკმარისია ამ პირობების არსებობა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება მძლავრად ჩქეფდეს. ეს დიდი შეცდომაა. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ეს პირობა გვაქვს, მაგრამ თუ საქონელი მომხმარებლამდე ვერ აღწევს, ეკონომიური ცხოვრება არა თუ მძლავრად მჩქეფარე არ იქნება, არამედ პირიქით, — დაირღვევა და ბოლომდე დეზორგანიზებული იქნება. საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, იმის გაგება, რომ საქონელი საბოლოო ანგარიშით მზადდება არა წარმოებისათვის, არამედ მოხმარებისათვის. ჩვენში ყოფილა შემთხვევები, როდესაც საქონელი და პროდუქტები ცოტა როდი იყო, მაგრამ არა თუ მომხმარებლამდე ვერ აღწევდა, არამედ წლობით განაგრძობდა სეირნობას ეგრეთწოდებული საქონელგამტარი ქსელის ბიუროკრატიულ ხვეულებში — მომხმარებლის გაცრდის ავლით. გასაგებია, რომ ამ პირობებში მრეწველობა და სოფლის მეურნეობა კარგავდნენ წარმოების გაფართოების ყოველგვარ სტიმულს, ხდებოდა საქონლის ჩაწოლა საქონელგამტარ ქსელში, ხოლო მუშები და გლეხები უსაქონლოდ და უპროდუქტოდ რჩებოდნენ. შედეგად — ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების მოშლა, მიუხედავად საქონლის და პროდუქტების არსებობისა. ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება რომ მძლავრად ჩქეფდეს, ხოლო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას თავისი პროდუქციის შემდგომი ზრდის სტიმული ჰქონდეს, საჭიროა მოგვეპოვებოდეს კიდევ ერთი პირობა, სახელდობრ — გაშლილი **საქონელბრუნვა** ქალაქსა და სოფელს შორის, ჩვენი ქვეყნის რაიონებსა და ოლქებს შორის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის. საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა დაფარული იყოს სავაჭრო ბაზების, მაღაზიების, ფარდულების უხვი ქსელით. საჭიროა, რომ ამ ბაზების, მაღაზიების, ფარდულების არხებით შეუჩერებლივ წარმოებდეს საქონლის ცირკულაცია წარმოების ადგილებიდან მომხმარებლამდე. საჭიროა, რომ ამ საქმეში ჩაბმუ-

ლი იყოს სახელმწიფო სავაჭრო ქსელიც, კოოპერაციული სავაჭრო ქსელიც, ადგილობრივი მრეწველობაც, კოლმეურნეობებიც, ერთპიროვნული გლეხებიც.

სწორედ ამას ეწოდება ჩვენში გაშლილი **საბჭოთა ვაჭრობა, ვაჭრობა უკაპიტალისტებოდ, ვაჭრობა უსპეკულანტებოდ.**

როგორც ხედავთ, საბჭოთა ვაჭრობის გაშლა წარმოადგენს იმ უაღრესად აქტუალურ ამოცანას, რომლის გადაუჭრელად შეუძლებელია შემდგომი წინსვლა.

და მიუხედავად ამ ჭეშმარიტების სრული სიცხადისა, პარტიას მაინც მოუხდა გადაელახა საანგარიშო პერიოდში მთელი რიგი დაბრკოლებანი საბჭოთა ვაჭრობის გაშლის გზაზე, რომელნიც მოკლედ შეიძლებოდა ჩამოგვეყალიბებინა, როგორც შედეგი კომუნისტთა ერთი ნაწილის ჭკუის ღრძობისა საბჭოთა ვაჭრობის საჭიროებისა და მნიშვნელობის საკითხებში.

დავიწყოთ იქიდან, რომ კომუნისტთა ერთი ნაწილის რიგებში ჯერ კიდევ მეფობს მედიდური, ათვალწუნებითი დამოკიდებულება საერთოდ ვაჭრობისადმი და კერძოდ საბჭოთა ვაჭრობისადმი. ამ, უკაცრავად პასუხია, კომუნისტებს საბჭოთა ვაჭრობა მიაჩნიათ მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო საქმედ, ხოლო ვაჭრობის მუშაკები — წყალწაღებულ ხალხად. ამ ადამიანებს, როგორც ჩანს, არ ესმით, რომ საბჭოთა ვაჭრობისადმი თავიანთი მედიდური დამოკიდებულებით ისინი გამოხატავენ არა ბოლშევიკურ შეხედულებებს, არამედ იმ კუდაბზიკა აზნაურების შეხედულებებს, რომლებსაც მოეპოვებათ დიდი ამბიცია, მაგრამ არ გააჩნიათ არავითარი ამუნიცია. (ტაში). ამ ადამიანებს არ ესმით, რომ საბჭოთა ვაჭრობა ჩვენი, საკუთარი, ბოლშევიკური საქმეა, ხოლო ვაჭრობის მუშაკები, მათ შორის დახლის მუშაკები, თუ ისინი პატიოსნად მუშაობენ, — ჩვენი, რევოლუციური, ბოლშევიკური საქმის გამტარებლები არიან. (ტაში). გასაგებია, რომ პარტიას დასჭირდა ცოტა დაეცხო ამ, უკაცრავად პასუხია, კომუნისტებისათვის, ხოლო მათი აზნაურული ცრურწმენანი — სანაგვე ყუთში გადაეყარა. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ, ჩვენ მოგვიხდა მეორე სახის ცრურწმენათა გადალახვა. ლაპარაკია მომემარცხენო ლაყბობაზე, რომელსაც გასავალი აქვს ჩვენი მუშაკების ერთ ნაწილში, იმის შესახებ, რომ საბჭოთა ვაჭრობა ვითომ განვლილი სტადიაა, რომ ჩვენ უნდა მოვაგვაროთ პროდუქტების პირდაპირი გაცვლა-გამოცვლა, რომ ფული მალე გაუქმებული იქნება, რადგან იგი ვითომ იქცა უბრალო ანგარიშსწორების ნიშნებად, რომ საჭირო არაა ვაჭრობის განვითარება,

როდესაც კარს გვიკაკუნებს პროდუქტების პირდაპირი გაცვლა-გამოცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მომემარცხენო-წვრილბურჟუაზიულ ლაყბობას, რაც ხელსაყრელია კაპიტალისტური ელემენტებისათვის, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ საბჭოთა ვაჭრობის გაშლა, გასავალი აქვს არა მარტო წითელ პროფესორთა ერთ ნაწილში, არამედ ვაჭრობის ზოგიერთ მუშაკებშიც. რა თქმა უნდა, სასაცილო და სასეიროა, რომ ეს ადამიანები, რომელთაც საბჭოთა ვაჭრობის უმარტივესი საქმის მოგვარების უნარი არა აქვთ, ლაყბობენ იმაზე, რომ მზად არიან მოაგვარონ პროდუქტების პირდაპირი გაცვლა-გამოცვლის უფრო რთული და ძნელი საქმე. მაგრამ დონ-კიხოტებს სწორედ იმიტომ ჰქვიათ დონ-კიხოტები, რომ ისინი მოკლებული არიან ცხოვრების ელემენტარულ ალღოს. ამ ადამიანებს, რომლებიც ისევე დაშორებული არიან მარქსიზმს, როგორც ცა დედამიწას, ცხადია, არ ესმით, რომ ფული ჩვენში დარჩება ჯერ კიდევ დიდხანს, თვით კომუნიზმის პირველი სტადიის — განვითარების სოციალისტური სტადიის — დამთავრებამდე. მათ არ ესმით, რომ ფული წარმოადგენს ბურჟუაზიული ეკონომიკის იმ იარაღს, რომელიც თავის ხელში აიღო საბჭოთა ხელისუფლებამ და შეუფარდა სოციალიზმის ინტერესებს იმისათვის, რომ მთელი სიმძლავრით გაშალოს საბჭოთა ვაჭრობა და ამით მოამზადოს პირობები პროდუქტების პირდაპირი გაცვლა-გამოცვლისათვის. მათ არ ესმით, რომ პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ როგორც შემცვლელი და შედეგი იდეალურად მოწესრიგებული საბჭოთა ვაჭრობისა, რაც ჩვენში ჯერ არ არის და არც მალე იქნება. გასაგებია, რომ პარტიამ, რომელიც მიისწრაფის მოაწესრიგოს გაშლილი საბჭოთა ვაჭრობა, საჭიროდ ჩათვალა დაეცხო ამ «მემარცხენე» მახინჯებისთვისაც, ხოლო მათი წვრილბურჟუაზიული ლაყბობა ქარისთვის გაეტანებინა.

შემდეგ, ჩვენ მოგვიხდა გადაგველახა ვაჭრობის მუშაკთა არაჯანსაღი ჩიეულება — საქონლის მექანიკურად განაწილებისა, მოგვეხდინა ასორტიმენტის მოთხოვნებისა და მომხმარებლის მოთხოვნების უგულებელყოფის ლიკვიდაცია, მოგვეხდინა საქონლის მექანიკურად გზავნის, ვაჭრობაში გაუპიროვნების ლიკვიდაცია. ამ მიზნით გაიხსნა საოლქო და სარაიონთაშორისო სავაჭრო ბაზები, გაიხსნა ათეულათასობით ახალი მაღაზიები და ფარდულები.

შემდეგ, საჭირო შეიქნა ბაზარზე კოოპერაციის მონოპოლიური მდგომარეობის ლიკვიდაცია, რასთან დაკავშირებით ყველა სახალხო კომისარიატს დაევალა მოეწესრიგებინათ საკუთარი საქონ-

ლით ვაჭრობა, ხოლო მომარაგების სახალხო კომისარიატს — გაეჩალებინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფართო კომერციული ვაჭრობა, რასაც მოჰყვა, ერთი მხრივ, შეჯიბრების წესით, კოოპერაციაში ვაჭრობის გაუმჯობესება, მეორე მხრივ კი — ბაზარზე ფასების დაწევა, ბაზრის გაჯანსაღება.

გავშალეთ სასადილოთა ფართო ქსელი გასაცემ საქონელზე დაკლებული ფასებით («საზოგადოებრივი კვება»), მოვაწყეთ მუშათა მომარაგების განყოფილებები ქარხნებსა და ფაბრიკებში, ამავე დროს ქარხნის მომარაგებიდან მოვხსენით ისეთი ელემენტები, რომელთაც კავშირი არ ჰქონდათ ქარხანასთან, ამასთან მარტო მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის ხაზით 500 ათასი გარეშე ელემენტი მაინც მოიხსნა.

მოვაწყეთ მოკლევადიანი კრედიტის ერთიანი ცენტრალიზებული ბანკი — სახელმწიფო ბანკი, ადგილებზე 2 ათას 200 რაიონული განყოფილებით, რომელთაც შესწევთ უნარი დააფინანსონ საეაჭრო ოპერაციები.

ამ ღონისძიებათა შედეგად საანგარიშო პერიოდში ჩვენ გვაქვს:

ა) მაღაზიათა და სავაჭრო ფარდულთა ქსელის ზრდა 184 ათას 662 ერთეულიდან 1930 წელს — 277 ათას 974 ერთეულამდე 1933 წელს;

ბ) ახლად შექმნილი ქსელი საოლქო სავაჭრო ბაზებისა 1 ათას 11 ერთეულის რაოდენობით და სარაიონთაშორისო სავაჭრო ბაზებისა 864 ერთეულის რაოდენობით;

გ) ახლად შექმნილი ქსელი მუშათა მომარაგების განყოფილებებისა 1 ათას 600 ერთეულის რაოდენობით;

დ) ზრდა პურის სავაჭრო კომერციული მაღაზიების ქსელისა, რომელიც ამჟამად 330 ქალაქს მოიცავს;

ე) საზოგადოებრივი კვების სასადილოთა ქსელის ზრდა; ეს ქსელი ამჟამად მომსახურებას უწევს 19 მილიონ 800 ათას მომხმარებელს;

ვ) საქონელბრუნვის ზრდა სახელმწიფო და კოოპერაციული ხაზით საზოგადოებრივი კვების სასადილოთა ჩათვლით 18 მილიარდ 900 მილიონი მანეთიდან 1930 წელს — 49 მილიარდ მანეთამდე 1933 წელს.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საბჭოთა ვაჭრობის მთელი უს გაშლა საკმარისია ჩვენი ეკონომიკის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. პირიქით, ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ცხადი ზდება, რომ საქონელბრუნვის ახლანდელ მდგომარეობას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი საჭიროებანი. ამიტომ ამოცანა ის

არის, რომ შემდგომ გავშალოთ საბჭოთა ვაჭრობა, ჩავაბათ ამ საქმეში ადგილობრივი მრეწველობა, გავაძლიეროთ საკოლმეურნეო-გლეხური ვაჭრობა და ახალ გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიოთ საბჭოთა ვაჭრობის აღმავლობის დარგში.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ საქმე არ შეიძლება განისაზღვროს მარტო საბჭოთა ვაჭრობის გაშლით. თუ ჩვენი ეკონომიკის განვითარება ებჯინება საქონელბრუნვის განვითარებას, საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას, სამაგიეროდ საბჭოთა ვაჭრობის განვითარება თავის მხრივ ებჯინება ჩვენი ტრანსპორტის, როგორც სარკინიგზო და წყლის, ისე საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას. შეიძლება ისე მოხდეს ხოლმე, რომ საქონელი არის, არის საქონელბრუნვის გაშლის სრული შესაძლებლობა, მაგრამ ტრანსპორტი ფეხდაფეხ ვერ მისდევს საქონელბრუნვის განვითარებას და უარს ამბობს ტვირთის გადაზიდვაზე. როგორც ვიცით, ხშირად სწორედ ასეც ხდება ხოლმე ჩვენში. ამიტომ ტრანსპორტი წარმოადგენს იმ ვიწრო ადგილს, რომელზედაც შეიძლება წაიბორძიკოს და, შეიძლება ითქვას, უკვე ბორძიკობს მთელი ჩვენი ეკონომიკა და, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი საქონელბრუნვა.

მართალია, რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 133,9 მილიარდი ტონა-კილომეტრიდან 1930 წელს ავიდა 172 მილიარდ ტონა-კილომეტრამდე 1933 წელს. მაგრამ ეს ცოტაა, ფრიად ცოტაა ჩვენთვის, ჩვენი ეკონომიკისათვის.

წყლის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 45,6 მილიარდი ტონა-კილომეტრიდან 1930 წელს ავიდა 59,9 მილიარდ ტონა-კილომეტრამდე 1933 წელს. მაგრამ ეს ცოტაა, ფრიად ცოტაა ჩვენი ეკონომიკისათვის.

აღარაფერს ვამბობ საავტომობილო ტრანსპორტზე, რომლის პარკი 1913 წლის 8 ათას 800 ავტომობილიდან (სატვირთო და სამგზავრო) გაიზარდა 1933 წლის დასასრულისათვის 117 ათას 800 ავტომობილამდე. ეს იმდენად ცოტაა ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის, რომ სირცხვილიც არის ამაზე ლაპარაკი.

ეჰვს გარეშეა, ტრანსპორტის ყველა ეს დარგი შესძლებდა ბევრად უფრო უკეთ მუშაობას, ტრანსპორტის ორგანოები რომ დაავადებული არ იყვნენ ცნობილი სენით, რომელსაც ეწოდება ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდი. ამიტომ, გარდა იმისა, რომ საჭიროა დავეხმაროთ ტრანსპორტს ადამიანებით და სახსრებით, ამოცანა ის არის, რომ აღმოვფხვრათ ტრანსპორტის ორგანოებში ბიუროკრატიულ-კანცელარიული დამოკიდებულება საქმისადმი და უფრო ოპერატიული გავხადოთ ისინი.

ამხანაგებო! ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მრეწველობის ძირითადი საკითხები სწორად არის გადაჭრილი, და მრეწველობა ახლა მტკიცედ დგას ფეხზე. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ სოფლის მეურნეობის ძირითადი საკითხებიც სწორად არის გადაჭრილი, და სოფლის მეურნეობაც — ჩვენ შეგვიძლია ეს პირდაპირ ვთქვათ — ახლა მტკიცედ დგას ფეხზე. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავკარგოთ ეს მიღწევები, თუ ჩვენი საქონელბრუნვა კოჭლობას დაიწყებს და ტრანსპორტი შემაფერხებელი ადგილი გახდება. ამიტომ საქონელბრუნვის გაშლისა და ტრანსპორტის გადაჭრით გაუმჯობესების ამოცანა წარმოადგენს იმ მორიგ და უაღრესად აქტუალურ ამოცანას, რომლის გადაუჭრელად ჩვენ არ შეგვიძლია წინსვლა.

III

პარტია

გადავდივარ პარტიის საკითხზე.

ეს ყრილობა მიმდინარეობს ლენინიზმის სრული გამარჯვების დროშით, ანტილენინურ დაჯგუფებათა ნაშთების ლიკვიდაციის დროშით.

დამარცხებული და გაცამტვერებულია ტროცკისტების ანტილენინური ჯგუფი. მისი ორგანიზატორები ახლა საზღვარგარეთ ბურჟუაზიული პარტიების უკანა კართან ატუზულან.

დამარცხებული და გაცამტვერებულია მემარჯვენე უკლონისტების ანტილენინური ჯგუფი. მისმა ორგანიზატორებმა დიდი ხანია ხელი აიღეს თავიანთ შეხედულებებზე და ახლა ყოველმხრივ ცდილობენ მოინანიონ თავიანთი ცოდვები პარტიის წინაშე.

დამარცხებული და გაცამტვერებული არიან ნაციონალ-უკლონისტური დაჯგუფებანი. მათი ორგანიზატორები ან საბოლოოდ შეუკავშირდნენ ინტერვენციონისტულ ემიგრაციას, ანდა მათ მოინანიეს შეცდომები.

ამ ანტირევოლუციური ჯგუფების მომხრეთა უმრავლესობა იძულებული გახდა ეღიარებინა პარტიის ხაზის სისწორე და კაპიტულაცია მოახდინა პარტიის წინაშე.

თუ XV ყრილობაზე კიდევ გვიხდებოდა პარტიის ხაზის სისწორის მტკიცება და ბრძოლა ცნობილ ანტილენინურ დაჯგუფებებთან, ხოლო XVI ყრილობაზე — ამ დაჯგუფებათა უკანასკნელი მომხრეების საბოლოოდ განადგურება, სამაგიეროდ ამ ყრილობაზე დასამტკიცებელიც არაფერი გვაქვს და, შეიძლება ითქვას, არც საცემი გვყავს ვინმე. ყველა ხედავს, რომ პარტიის ხაზმა გაიმარჯვა. **(ტაშის გრიალი).**

გაიმარჯვა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ. მისი შედეგები ახლა ყველასათვის აშკარაა. რა შეიძლება ითქვას ამ ფაქტის წინააღმდეგ?

გაიმარჯვა კულაკობის ლიკვიდაციისა და მთლიანი კოლექტივიზაციის პოლიტიკამ. მისი შედეგებიც ყველასათვის აშკარაა. რა შეიძლება ითქვას ამ ფაქტის წინააღმდეგ?

ჩვენი ქვეყნის გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სავსებით შესაძლებელია. რა შეიძლება ითქვას ამ ფაქტის წინააღმდეგ?

ცხადია, რომ ყველა ამ წარმატებამ და, უწინარეს ყოვლისა, ხუთწლედის გამარჯვებამ მოახდინა ყველა და ყოველგვარი ანტილენინური დაჯგუფების საბოლოო დემორალიზაცია და გააცამტვერა ისინი.

უნდა ვაღიაროთ, რომ პარტია ახლა მჭიდროდ შეკავშირებულია ერთ მთელად ისე, როგორც წინათ არასოდეს არ ყოფილა შეკავშირებული. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

1. ᲘᲓᲔᲣᲠ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ბრძოლა დამთავრებულია და სოციალიზმის შემდგომი შეტევა მოხსნილია, როგორც ზედმეტი რამ?

არა, არ ნიშნავს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენს პარტიაში ყველაფერი რიგზეა, არავითარი გადახრა აღარ იქნება პარტიაში, და — მაშასადამე — ახლა შეიძლება განცხრომას მივეცეთ?

არა, არ ნიშნავს.

პარტიის მტრები, ყველა ჯურის ოპორტუნისტები, ყველა სახის ნაციონალ-უკლონისტები — დავამარცხეთ. მაგრამ მათი იდეოლოგიის ნაშთები ჯერ კიდევ ცოცხლობენ პარტიის ცალკეულ წევრთა შეგნებაში და არაიშვიათად იჩენენ თავს. პარტია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარშემო მყოფი ადამიანებისაგან მოწყვეტილი რამ. პარტია ცხოვრობს და მოღვაწეობს გარემო წრის შიგნით. გასაკვირველი არ არის, რომ არაიშვიათად პარტიაში გარედან იჭრებიან არაჯანსაღი განწყობილებანი. ხოლო ასეთი განწყობილებებისათვის ნიადაგი ჩვენს ქვეყანაში უეჭველად მოიპოვება, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ ისევ არსებობენ მოსახლეობის ერთგვარი შუათანა ფენები როგორც ქალაქად, ისე სოფ-

ლად, რომელნიც წარმოადგენენ მასაზრდოებელ წრეს ასეთი განწყობილებებისათვის.

ჩვენი პარტიის XVII კონფერენციამ თქვა, რომ მეორე ხუთწლედის განხორციელების დროს ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური ამოცანაა «კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში». ეს სავსებით სწორი აზრია. მაგრამ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენ უკვე დავძლიეთ კაპიტალიზმის ყველა ნაშთი ეკონომიკაში? არა, ამის თქმა არ შეიძლება. მით უფრო არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ დავძლიეთ კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში. ამის თქმა არ შეიძლება არა მარტო იმიტომ, რომ ადამიანთა შეგნება თავის განვითარებაში ჩამორჩება მათს ეკონომიურ მდგომარეობას, არამედ იმიტომაც, რომ ჯერ კიდევ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, რომელიც ცდილობს გაიცოცხლოს და მხარი დაუჭიროს კაპიტალიზმის ნაშთებს სსრ კავშირის ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში და რომლის წინააღმდეგ ჩვენ, ბოლშევიკებს, თოფისწამალი ყოველთვის მშრალად უნდა გექონდეს შენახული.

გასაგებია, რომ ეს ნაშთები არ შეიძლება არ წარმოადგენდნენ ხელსაყრელ ნიადაგს დამარცხებული ანტილენინური ჯგუფების იდეოლოგიის გამოცოცხლებისათვის ჩვენი პარტიის ცალკეულ წევრთა თავში. ამას დაუმატეთ ჩვენი პარტიის წევრთა უმეტესობის არც ისე მაღალი თეორიული დონე, პარტიული ორგანოების სუსტი იდეოლოგიური მუშაობა, ჩვენი პარტიული მუშაკების დატვირთვა წმინდა პრაქტიკული მუშაობით, რაც მათ საშუალებას ართმევს შეავსონ თავიანთი თეორიული ბაგაჟი, — და თქვენ მიხვდებით, თუ საიდან წარმოდგება ის დაბნეულობა ლენინიზმის მთელ რიგ საკითხებში პარტიის ცალკეულ წევრთა თავებში, რომელიც ხანდახან იჩენს ხოლმე თავს ჩვენს პრესაში და რომელიც აადვილებს დამარცხებული ანტილენინური ჯგუფების იდეოლოგიის ნაშთთა გამოცოცხლების საქმეს.

აი რატომ არ შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლა დამთავრებულია და რომ საჭირო აღარ არის სოციალიზმის შეტევის პოლიტიკა.

შეიძლებოდა აგვეღო ლენინიზმის მთელი რიგი საკითხები და მათზე ცხადგვეყო, თუ ჯერ კიდევ რამდენად გამძლეა პარტიის ზოგიერთ წევრთა შორის დამარცხებული ანტილენინური ჯგუფების იდეოლოგიის ნაშთები.

ავიღოთ, მაგალითად, **უკლასო სოციალისტური საზოგადოების** აშენების საკითხი. პარტიის XVII კონფერენციამ თქვა, რომ ჩვენ მივდიეართ უკლასო, სოციალისტური საზოგადოების შექმნისაკენ.

გასაგებია, რომ უკლასო საზოგადოება არ შეიძლება მოვიდეს, ასე ვთქვათ, თვითდინების წესით. ის უნდა მოვიპოვოთ და ავაშენოთ ყველა მშრომელის ძალ-ღონის დაჭიმვით, — პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების გაძლიერების გზით, კლასობრივი ბრძოლის გაშლის გზით, კლასების მოსპობის გზით, კაპიტალისტურ კლასთა ნაშთების ლიკვიდაციის გზით, როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებთან ბრძოლაში.

საქმე, თითქოს, ნათელია.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ლენინიზმის ამ ნათელი და ელემენტარული თეზისის გამოცხადებამ წარმოშვა საკმაოდ დიდი არევ-დარევა თავებში და არაჯანსაღი განწყობილებანი პარტიის წევრთა ერთ ნაწილში? თეზისი უკლასო საზოგადოებისაკენ ჩვენი წინსვლის შესახებ, მოცემული, როგორც ლოზუნგი, მათ გაიგეს, როგორც სტიქიური პროცესი. და ისინი ანგარიშობდნენ: თუ უკლასო საზოგადოებაა, მაშასადამე — შეიძლება შევასუსტოთ კლასობრივი ბრძოლა, შეიძლება შევასუსტოთ პროლეტარიატის დიქტატურა და, საერთოდ, ბოლო მოვუღოთ სახელმწიფოს, რომელიც სულ ერთია უნდა გაქრეს უახლოეს მომავალში. და ისინი აღტაცებულნი იწყებდნენ კუნტრუშს იმის მოლოდინში, რომ მალე არ იქნება არავითარი კლასები, — მაშასადამე არ იქნება კლასობრივი ბრძოლა, — მაშასადამე არ იქნება ზრუნვა და მღელვარება, — მაშასადამე შეიძლება დავყაროთ იარაღი და მხართეძოზე წამოვწვეთ უკლასო საზოგადოების მოსვლის მოლოდინში. (**მთელი დარბაზის საერთო სიცილი**).

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს არევ-დარევა თავებში და ეს განწყობილებანი, როგორც ორი წვეთი წყალი ერთმანეთს, ისე ჰგავს მემარჯვენე უკლონისტების ცნობილ შეხედულებებს, რომელთა თანახმად თვითდინებით უნდა მოხდეს ძველის შეზრდა ახალში, და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ შეუმჩნევლად თავს ამოვყოფთ სოციალისტურ საზოგადოებაში.

როგორც ხედავთ, განადგურებული ანტილენინური ჯგუფების იდეოლოგიის ნაშთებს სავსებით შესწევთ უნარი გამოცოცხლდნენ და სრულიადაც არ დაუკარგავთ კიდევ გამძლეობის უნარი.

გასაგებია, შეხედულებათა ეს არევ-დარევა და ეს არაბოლშევიკური განწყობილებანი რომ დაუფლებოდნენ ჩვენი პარტიის უმრავლესობას, პარტია დემობილიზებული და განიარაღებული აღმოჩნდებოდა.

შემდეგ, აიღოთ საკითხი სასოფლო-სამეურნეო **არტელისა** და სასოფლო-სამეურნეო **კომუნის** შესახებ. ახლა ყველანი აღიარებენ,

რომ არტელი დღევანდელ პირობებში წარმოადგენს საკოლმეურნეო მოძრაობის ერთადერთ სწორ ფორმას. და ეს სავსებით გასაგებიცაა: ა) არტელში სწორად შეხამებულია კოლმეურნეების პირადი, საყოფაცხოვრებო ინტერესები მათს საზოგადოებრივ ინტერესებთან, ბ) არტელში მოხერხებულად ხდება პირადი, საყოფაცხოვრებო ინტერესების შეგუება საზოგადოებრივ ინტერესებთან, რაც აადვილებს გუშინდელ ერთპიროვნულ მეურნეთა აღზრდას კოლექტივიზმის სულისკვეთებით.

არტელისაგან განსხვავებით, სადაც განსაზოგადოებულია მხოლოდ წარმოების საშუალებანი, კომუნებში უკანასკნელ დრომდე განსაზოგადოებული იყო არა მარტო წარმოების საშუალებანი, არაშედ კომუნის თვითეული წევრის ყოფაცხოვრებაც, ე. ი. კომუნის წევრებს, არტელის წევრებისაგან განსხვავებით, არ ჰყავდათ პირად მფლობელობაში შინაური ფრინველი, წვრილფეხა პირუტყვი, ძროხა, მარცვლეული, საკარმიდამო მიწა. ეს ნიშნავს, რომ კომუნებში წევრების პირად, საყოფაცხოვრებო ინტერესებს არა იმდენად უწევდნენ ანგარიშს და უფარდებდნენ საზოგადოებრივ ინტერესებს, რამდენადაც ამ უკანასკნელით ახშობდნენ მათ წვრილბურჟუაზიული გათანაბრების ინტერესთა გულისთვის. გასაგებია, რომ ეს გარემოება წარმოადგენს კომუნების ყველაზე სუსტ მხარეს. არსებითად სწორედ ამით აიხსნება, რომ კომუნები ფართოდ ვერ გავრცელდა და მხოლოდ ერთეულები და ათეულები მოიპოვება. ამავე მიზეზით კომუნები, რათა დაეცვათ თავისი არსებობა და არ დაშლილიყვნენ, იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ ყოფაცხოვრების განსაზოგადოებაზე; ისინი იწყებენ მუშაობას შრომადღეების მიხედვით, იძლევიან მარცვლეულს სახლში წასაღებად, ნებას აძლევენ წევრებს პირად მფლობელობაში იყოლიონ შინაური ფრინველი, წვრილფეხა პირუტყვი, ძროხა და სხვ.; მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ კომუნები ფაქტიურად გადავიდნენ არტელების მდგომარეობაზე. და ამაში არაფერია ცუდი, რადგან ამას მოითხოვს მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის ჯანსაღი განვითარების ინტერესები.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ კომუნა საერთოდ საჭირო არ არის, რომ იგი აღარ წარმოადგენს საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლეს ფორმას. არა, კომუნა საჭიროა და ის, რასაკვირველია, საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლესი ფორმაა, მაგრამ არა ახლანდელი კომუნა, რომელიც წარმოიშვა განუვითარებელი ტექნიკისა და პროდუქტების ნაკლებობის საფუძველზე და რომელიც თვითონ გადადის არტელის მდგომარეობაზე, არამედ — მომავალი

კომუნა, რომელიც წარმოიშობა უფრო განვითარებული ტექნიკისა და პროდუქტების სიუხვის საფუძველზე. ახლანდელი სასოფლო-სამეურნეო კომუნა წარმოიშვა ნაკლებად განვითარებული ტექნიკისა და პროდუქტების ნაკლებობის საფუძველზე. არსებითად სწორედ ამით აიხსნება, რომ იქ ადგილი ჰქოხდა გათანაბრებას და ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ თავიანთი წევრების პირად, საყოფაცხოვრებო ინტერესებს, რის გამო კომუნა იძულებულია ახლა გადავიდეს არტელის მდგომარეობაზე, სადაც გონივრულად არის შეხამებული კოლმეურნეთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. მომავალი კომუნა აღმოცენდება განვითარებული და შეძლებული არტელიდან. მომავალი სასოფლო-სამეურნეო კომუნა წარმოიშობა მაშინ, როდესაც არტელის მინდვრებზე და ფერმებში იქნება მარცვლეულის, პირუტყვის, ფრინველის, ბოსტნეულისა და ყოველგვარი სხვა პროდუქტის სიუხვე, როდესაც არტელებთან მოეწყობა მექანიზებული სამრეცხაოები, თანამედროვე სამზარეულო-სასადილოები, პურის ქარხნები და სხვ., როდესაც კოლმეურნე დაინახავს, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელია მიიღოს ხორცი და რძე ფერმიდან, ვიდრე იყოლიოს თავისი ძროხა და წვრილფეხა პირუტყვი, როდესაც კოლმეურნე ქალი დაინახავს, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელია ისადილოს სასადილოში, პური აიღოს პურის ქარხნიდან და მიიღოს გარეცხილი საცვლები საზოგადოებრივი სამრეცხაოდან, ვიდრე თვითონ მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი. მომავალი კომუნა წარმოიშობა უფრო განვითარებული ტექნიკისა და უფრო განვითარებული არტელის ბაზაზე, პროდუქტთა სიუხვის ბაზაზე. როდის იქნება ეს? რა თქმა უნდა, ჩქარა არ იქნება. მაგრამ ეს იქნება. ბოროტმოქმედება იქნებოდა ხელოვნურად დაგვეჩქარებინა არტელის მომავალ კომუნად გადაზრდის პროცესი. ეს ყველაფერს არევ-დარევდა და გააადვილებდა ჩვენი მტრების საქმეს. არტელის მომავალ კომუნად გადაზრდის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს თანდათანობით, იმისდა მიხედვით, როცა ყველა კოლმეურნე დარწმუნდება ასეთი გადაზრდის აუცილებლობაში.

ასეა საქმე არტელისა და კომუნის საკითხში.

საქმე, თითქოს, ნათელი და თითქმის ელემენტარულია.

ამავე დროს კი, პარტიის წევრთა ერთ ნაწილში საგრძნობი არევ-დარევა არსებობს ამ საკითხში. ფიქრობენ, რომ, რაკი არტელი საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმად გამოაცხადა, პარტია დაშორდა სოციალიზმს, უკან დაიხია კომუნისაგან, საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლესი ფორმიდან — დაბალი ფორმისაკენ. რატომ, იბადება კითხვა? თურმე იმიტომ, რომ არტელში არ არის თანასწო-

რობა, რადგან იქ რჩება განსხვავება არტელის წევრთა მოთხოვნილებებსა და პირად ყოფაცხოვრებაში, მაშინ როდესაც კომუნაში არის თანასწორობა, რადგან იქ გათანასწორებულია მის წევრთა მოთხოვნილებებიც და პირადი საყოფაცხოვრებო მდგომარეობაც. მაგრამ, ჯერ-ერთი, ჩვენ უკვე აღარა გვაქვს ისეთი კომუნები, სადაც არსებობდეს გათანასწორება, გათანაბრება მოთხოვნილებათა და პირადი ყოფაცხოვრების დარგში. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ კომუნები აუცილებლად დაიღუპებოდნენ, მათ რომ უარი არ ეთქვათ გათანაბრებაზე და საქმით არ გადასულიყვნენ არტელის მდგომარეობაზე. მაშასადამე, საჭირო არ არის დაიმოწმო ის, რაც აღარ არსებობს ბუნებაში. მეორეც, ყოველმა ლენინელმა იცის, თუ ის ნამდვილი ლენინელია, რომ გათანაბრება მოთხოვნილებათა და პირადი ყოფაცხოვრების დარგში არის რეაქციული წვრილბურჟუაზიული უაზრობა, რომელიც შეეფერება ასკეტების რომელიმე პირველყოფილ სექტას, მაგრამ არა მარქსისტულად მოწყობილ სოციალისტურ საზოგადოებას, რადგან არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ ყველა ადამიანს ერთნაირი მოთხოვნილება და გემოვნება ჰქონდეს, რომ ყველა ადამიანი თავის პირად ყოფაცხოვრებაში ერთი ნიმუშის მიხედვით ცხოვრობდეს. და, ბოლოს: განა მუშებს შორის არ რჩება განსხვავება როგორც მოთხოვნილებებში, ისე პირად ყოფაცხოვრებაში? განა ეს იმას ნიშნავს, რომ მუშები უფრო შორს დგანან სოციალიზმისაგან, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო კომუნების წევრები?

ეს ადამიანები, ალბათ, ფიქრობენ, რომ სოციალიზმი მოითხოვს საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებებისა და პირადი ყოფაცხოვრების გათანაბრებას, გათანასწორებას, ნიველირებას. ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ასეთ შეხედულებას საერთო არაფერი აქვს მარქსიზმთან, ლენინიზმთან. მარქსიზმს თანასწორობა ესმის არა როგორც გათანაბრება პირადი მოთხოვნილებებისა და ყოფაცხოვრების დარგში, არამედ როგორც კლასების მოსპობა, ე. ი. ა) ყველა მშრომელის თანაბრად განთავისუფლება ექსპლოატაციისაგან მას შემდეგ, რაც კაპიტალისტები დამხობილი და ექსპროპრიირებული არიან, ბ) ყველასათვის თანაბრად გაუქმება წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისა მას შემდეგ, რაც ისინი მთელ საზოგადოებას გადაეცა საკუთრებად, გ) ყველას თანაბარი ვალდებულება იშრომოს თავისი უნარის მიხედვით და ყველა მშრომელის თანაბარი უფლება მიიღოს ამისათვის თავისი შრომის მიხედვით (სოციალისტური საზოგადოება), დ) ყველას თანაბარი ვალდებულება იშრომოს თავისი უნარის მიხედვით და ყველა მშრომელის თანაბარი

უფლება მიიღოს ამისათვის თავისი მოთხოვნილების მიხედვით (კომუნისტური საზოგადოება). ამასთან მარქსიზმი გამოდის იქიდან, რომ ადამიანთა გემოვნება და მოთხოვნილება არ არის ხოლმე და არც შეიძლება იყოს ერთნაირი და თანაბარი ხარისხით ან რაოდენობით არც სოციალიზმის პერიოდში, არც კომუნიზმის პერიოდში.

აი თანასწორობის მარქსისტული გაგება.

არავითარ სხვაგვარ თანასწორობას მარქსიზმი არ ცნობდა და არცა ცნობს.

აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ სოციალიზმი მოითხოვს საზოგადოების წევრების მოთხოვნილებათა გათანაბრებას, გათანასწორებას, ნიველირებას, მათი გემოვნებისა და პირადი ყოფაცხოვრების ნიველირებას, რომ მარქსისტების გეგმის მიხედვით ყველას ერთნაირი კოსტიუმი უნდა ეცვას და ჭამდეს ერთნაირ კერძს, ერთი და იმავე რაოდენობით, — ნიშნავს უხამსობის ლაპარაკს და ცილისწამებას მარქსიზმის მიმართ.

დროა შევითვისოთ, რომ მარქსიზმი გათანაბრების მტერია. ჯერ კიდევ «კომუნისტური პარტიის მანიფესტში» მარქსი და ენგელსი კიცხავდნენ პრიმიტიულ უტოპიურ სოციალიზმს, უწოდებდნენ მას რეაქციულს «საყოველთაო ასკეტიზმისა და უხეში გათანაბრების» ქადაგებისათვის. ენგელსმა თავის «ანტი-დიურინგში» მთელი თავი უძღვნა გამანადგურებელ კრიტიკას იმ «რადიკალური გათანაბრებითი სოციალიზმისას», რომელიც დიურინგმა წამოაყენა მარქსისტული სოციალიზმისადმი დასაპირისპირებლად.

«თანასწორობის პროლეტარული მოთხოვნის რეალური შინაარსი, — ამბობდა ენგელსი, — მდგომარეობს **კლასების** მოსპობის მოთხოვნაში. თანასწორობის ყოველგვარ მოთხოვნას, რომელიც ამის იქით მიდის, აუცილებლად მივყავართ უაზრობამდე».

ამასვე ამბობს ლენინი:

«ენგელსი ათასჯერ მართალი იყო, როცა წერდა» თანასწორობის გაგება კლასების მოსპობის გარეშე ყოვლად სულელური და უაზრო ცრურწმენაა. ბურჟუაზიული პროფესორები თანასწორობის ცნების გამო ცდილობდნენ ჩვენთვის ბრალი დაედოთ იმაში, თითქოს ჩვენ გვინდოდეს ერთი ადამიანი მეორის თანაბარი გავხადოთ. ამ უაზრობაში, რომელიც მათ თვითონ გამოიგონეს, ისინი ცდილობდნენ ბრალი დაედოთ სოციალისტებისათვის. მაგრამ მათ თავიანთი უმეცრების გამო არ იცოდნენ, რომ სოციალისტები — და სახელდობრ თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელნი, მარქსი და ენგელსი — ლაპარაკობდნენ: თანასწორობა არის ცარიელი ფრაზა, თუ ამ თანასწორობაში არ ვიგულისხმებთ კლასების მოსპობას. ჩვენ გვინდა მოვსპოთ კლასები, ამ მხრივ ჩვენ თანასწორობას ვემხრობით. მაგრამ იმის პრეტენზია, რომ ჩვენ ყველა ადამიანს ერთმანეთის თანაბარს გავხდით,

ეს ყოველად ცარიელი ფრაზა და ინტელიგენტის სულელური გამოგონებაა» (ლენინის სიტყვა «თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით ხალხის მოტყუების შესახებ», ტ. XXIV, გვ. 293—294).

ვგონებ, ნათელია.

ბურჟუაზიული მწერლები ხალისით სახავენ მარქსისტულ სოციალიზმს, როგორც მეფის ძველ ყაზარმას, სადაც ყველაფერი ემორჩილება გათანაბრების «პრინციპს». მაგრამ მარქსისტებს არ შეუძლიათ პასუხისმგებელი იყვნენ ბურჟუაზიული მწერლების უმეცრებისა და ყეყეჩობისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს დაბნეულობა პარტიის ცალკეულ წევრთა შეხედულებებში მარქსისტული სოციალიზმის შესახებ და სასოფლო-სამეურნეო კომუნების გათანაბრებითი ტენდენციებით გატაცება, როგორც ორი წვეთი წყალი ერთმანეთს, ისე წააგავს წვრილ-ბურჟუაზიულ შეხედულებებს ჩვენი მომემარცხენო უთავგზური ადამიანებისას, რომელთა მხრივ სასოფლო-სამეურნეო კომუნების იდეალიზაცია ერთ დროს იქამდე მიდიოდა, რომ ისინი ცდილობდნენ შეექმნათ კომუნები თვით ფაბრიკებსა და ქარხნებშიც კი, სადაც კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშები, მუშაობდნენ რა ყველანი თავისი პროფესიის მიხედვით, ვალდებული იყვნენ საერთო ქვაბში მოექციათ თავიანთი ხელფასი და შემდეგ თანაბრად გაეყოთ. ცნობილია, თუ რა ზიანი მიაყენა ჩვენს მრეწველობას «მემარცხენე» უთავგზურთა ამ ბავშვურ-გათანაბრებითმა ვარჯიშობამ.

როგორც ხედავთ, დამარცხებულ ანტიპარტიულ ჯგუფთა იდეოლოგიის ნაშთებს საკმაოდ დიდი გამძლეობა აქვთ.

გასაგებია, ამ მომემარცხენო შეხედულებებს რომ გაემარჯვნათ პარტიაში, პარტია აღარ იქნებოდა მარქსისტული, ხოლო საკოლმეურნეო მოძრაობა საბოლოოდ დეზორგანიზებული იქნებოდა.

ან, მაგალითად, ავიღოთ საკითხი ლოზუნგისა: «ყველა კოლმეურნე გავხადოთ შეძლებული». ეს ლოზუნგი მარტო კოლმეურნეებს როდი ეხება. იგი უფრო მეტად ეხება მუშებს, რადგან ჩვენ გვინდა გადავაქციოთ ყველა მუშა შეძლებულად, — ისეთ ადამიანებად, რომლებიც ეწევიან შეძლებულ და სავსებით კულტურულ ცხოვრებას.

საქმე, თითქოს, ნათელია. რა საჭირო იყო კაპიტალიზმის დამხობა 1917 წლის ოქტომბერში და სოციალიზმის შენება მთელი რიგი წლების მანძილზე, თუ არ მივაღწევთ იმას, რომ ჩვენში ადამიანები კეთილდღეობაში ცხოვრობდნენ. სოციალიზმი ნიშნავს არა სიღატაკესა და გაჭირვებას, არამედ სიღატაკისა და გაჭირვების მოსპობას,

შეძლებული და კულტურული ცხოვრების ორგანიზაციას საზოგადოების ყველა წევრისათვის.

მაგრამ ამ ნათელმა და არსებითად ელემენტარულმა ლოზუნგმა მთელი რიგი გაუგებრობანი, დომხალი და აბნეულობა გამოიწვია პარტიის წევრთა ერთ ნაწილში. ეს ლოზუნგი, ამბობენ ისინი, დაბრუნება ხომ არ არის ძველი, პარტიის მიერ უარყოფილი ლოზუნგი. საკენ: «გამდიდრდით»? თუ ყველა შეძლებული გახდა, განაგრძობენ ისინი, და ღარიბები აღარ იქნებიან, — ვიღას უნდა დავეყრდნოთ ჩვენ, ბოლშევიკები, ჩვენს მუშაობაში, როგორღა ვიმუშავებთ ჩვენ უღარიბებოდ?

შეიძლება ეს სასაცილოც არის, მაგრამ პარტიის წევრთა ერთ ნაწილში ასეთ გულუბრყვილო და ანტილენინურ შეხედულებათა არსებობა წარმოადგენს უეჭველ ფაქტს, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ.

ამ ადამიანებს, ალბათ, არ ესმით, რომ ლოზუნგს — «გამდიდრდით» და ლოზუნგს — «ყველა კოლმეურნე გავხადოთ შეძლებული» — შორის მთელი უფსკრულია. ჯერ-ერთი, გამდიდრება შეუძლიათ მხოლოდ ცალკეულ პირებს ან ჯგუფებს, იმ დროს როცა ლოზუნგი შეძლებული ცხოვრების შესახებ ეხება არა ცალკეულ პირებს ან ჯგუფებს, არამედ ყველა კოლმეურნეს. მეორეც, ცალკეული პირები ან ჯგუფები იმისათვის მდიდრდებიან, რომ დაიმორჩილონ დანარჩენი ადამიანები და გაუწიონ მათ ექსპლოატაცია, იმ დროს როცა ლოზუნგი ყველა კოლმეურნის შეძლებული ცხოვრების შესახებ, კოლმეურნეობებში წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების დროს, გამორიცხავს ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციის ყოველგვარ შესაძლებლობას. მესამეც, ლოზუნგი «გამდიდრდით» მოცემული იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის დაწყებითი სტადიის პერიოდში, როცა ხდებოდა კაპიტალიზმის ნაწილობრივი აღდგენა, როცა კულაკებს ძალა ჰქონდათ, ქვეყანაში ჰარბობდა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა, კოლექტიური მეურნეობა კი ჩანასახ მდგომარეობაში იყო, იმ დროს როცა ლოზუნგი — «ყველა კოლმეურნე გავხადოთ შეძლებული» მოცემულია ახალი ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელ სტადიაში, როცა კაპიტალისტური ელემენტები მრეწველობაში მოსპობილი არიან, კულაკები სოფლად განადგურებული არიან, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა მოქცეულია უკანა რიგში, ხოლო კოლმეურნეობები გადაქცეულია სოფლის მეურნეობის გაბატონებულ ფორმად. აღარას ვამბობ იმაზე, რომ ლოზუნგი — «ყველა კოლმეურნე გავხადოთ შეძლებული» მოცემულია არა იზოლირებულად, არამედ განუყოფელ

კავშირში ლოზუნგთან — «გადავაქციოთ კოლმეურნეობანი ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად».

განა ცხადი არ არის, რომ ლოზუნგი «გამდიდრდით» არსებითად ნიშნავდა მოწოდებას კაპიტალიზმის აღდგენისაკენ, იმ დროს როცა ლოზუნგი «ყველა კოლმეურნე გავხადოთ შეძლებული» ნიშნავს მოწოდებას — მოვსპოთ კაპიტალიზმის უკანასკნელი ნაშთები კოლმეურნეობათა ეკონომიური ძლიერების განმტკიცების გზით და ყველა კოლმეურნის შეძლებულ მშრომელად გადაქცევის გზით? (ხმები: «სწორია!»).

განა ცხადი არ არის, რომ ამ ლოზუნგებს შორის საერთო არაფერია და არც შეიძლება იყოს? (ხმები: «სწორია!»).

რაც შეეხება იმას, თითქოს უღარიბებოდ წარმოუდგენელია ბოლშევიკური მუშაობაც და სოციალიზმიც, ეს ისეთი სისულელეა, რომლის შესახებ უხერხულიც კია ლაპარაკი. ლენინელები ეყრდნობიან ღარიბებს, როცა არიან კაპიტალისტური ელემენტები და არიან ღარიბები, რომლებსაც ექსპლოატაციას უწევენ კაპიტალისტები. მაგრამ როცა კაპიტალისტური ელემენტები განადგურებული არიან, ხოლო ღარიბები განთავისუფლებული არიან ექსპლოატაციისაგან, ლენინელების ამოცანა ის კი არ არის, რომ განამტკიცონ და შეინარჩუნონ სიღარიბე და ღარიბები, რომელთა არსებობის წანამძღვრები უკვე მოსპობილია, არამედ ის, რომ მოსპონ სიღარიბე და აამაღლონ ღარიბები შეძლებულ ცხოვრებამდე. სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ სოციალიზმი შეიძლება აშენდეს სიღატაკისა და გაჭირვების ბაზაზე, ადამიანთა პირადი მოთხოვნილებების შემცირებისა და მათი საარსებო დონის ღარიბთა საარსებო დონემდე დაქვეითების ბაზაზე, იმ ღარიბთა დონემდე, რომელთაც თვითონაც აღარ სურთ ღარიბებად დარჩნენ და მიიწევენ მაღლა, შეძლებული ცხოვრებისაკენ. ვისთვისაა საჭირო ასეთი, უკაცრავად პასუხია, სოციალიზმი? ეს იქნებოდა არა სოციალიზმი, არამედ სოციალიზმის კარიკატურა. სოციალიზმი შეიძლება აშენდეს მხოლოდ საზოგადოების საწარმოო ძალთა სწრაფი ზრდის ბაზაზე, პროდუქტებისა და საქონლის სიუხვის ბაზაზე, მშრომელთა შეძლებული ცხოვრების ბაზაზე, კულტურულობის სწრაფი ზრდის ბაზაზე. ვინაიდან სოციალიზმი, მარქსისტული სოციალიზმი, ნიშნავს პირად მოთხოვნილებათა არა შემცირებას, არამედ მათ ყოველნაირად გაფართოებას და გაფურჩქვნას, ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების არა შეზღუდვას ან მასზე უარის თქმას, არამედ კულტურულად განვითარებული მშრომელი ადამიანების ყველა მოთხოვნილების ყოველმხრივ და სრულ დაკმაყოფილებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს არევ-დარევა პარტიის ცალკეულ წევრთა შეხედულებებში სიღარიბისა და შეძლებულობის შესახებ არის ჩვენი იმ მომემარცხენო უთავგზური ადამიანების შეხედულებათა ანარეკლი, რომლებიც აიდეალებენ ღარიბებს, როგორც ბოლშევიზმის სამუდამო დასაყრდენს ყველა და ყოველგვარ პირობებში, და რომლებიც კოლმეურნეობებს უყურებენ, როგორც გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის სარბიელს.

როგორც ხედავთ, აქაც, ამ საკითხშიც, დამარცხებული ანტიპარტიული ჯგუფების იდეოლოგიის ნაშთები კიდევ არ კარგავენ თავის გამძლეობას.

გასაგებია, ამის მსგავს უთავგზურ შეხედულებებს რომ გაემარჯვნათ ჩვენს პარტიაში, კოლმეურნეობებს არ ექნებოდათ ის წარმატებანი, რომლებსაც მათ მიაღწიეს ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, და ისინი უმოკლეს ვადაში დაიშლებოდნენ.

ან ავიღოთ, მაგალითად, **ნაციონალური საკითხი.** აქაც აგრეთვე, ნაციონალური საკითხის დარგშიც, ისევე როგორც სხვა საკითხების დარგში, პარტიის ერთი ნაწილის შეხედულებებში არევ-დარევაა, რომელიც ერთგვარ საფრთხეს ქმნის. მე ვლაპარაკობდი კაპიტალიზმის ნაშთების გამძლეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში გაცილებით უფრო გამძლეა ნაციონალური საკითხის დარგში, ვიდრე რომელიმე სხვა დარგში. ისინი უფრო გამძლე არიან, რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა კარგად შეინიღბონ თავი ნაციონალური კოსტიუმით. ბევრი ფიქრობს, რომ სკრიპნიკის შეცოდება ცალკეული შემთხვევაა, საერთო წესიდან გამონაკლისია. ეს არაა მართალი. სკრიპნიკისა და მისი ჯგუფის შეცოდება უკრაინაში გამონაკლისი არ არის. ასეთივე ნაღრძობები ემჩნევათ ცალკეულ ამხანაგებს სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებშიც.

რას ნიშნავს გადახრა ნაციონალიზმისაკენ, — სულ ერთია, საქმე ეხება გადაწრას ველიკოროსული ნაციონალიზმისაკენ თუ გადახრას ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ? ნაციონალიზმისაკენ გადახრა არის მუშათა კლასის ინტერნაციონალისტური პოლიტიკის შეგუება ბურჟუაზიის ნაციონალისტური პოლიტიკისადმი. ნაციონალიზმისაკენ გადახრა გამოხატავს «თავისი», «ნაციონალური» ბურჟუაზიის ცდებს — ძირი გამოუთხაროს საბჭოთა წყობილებას და აღადგინოს კაპიტალიზმი. ორივე გადახრის სათავე, როგორც ხედავთ, საერთოა. ეს არის ლენინური ინტერნაციონალიზმისაგან დაშორება. თუ გსურთ ბრძოლის ცეცხლი მიმართული იყოს ორივე გადახრის წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა უნდა ურტყათ ამ სათა-

ვეს, იმათ, რომელნიც შორდებიან ინტერნაციონალიზმს, — სულ ერთია, საქმე ეხება ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრას თუ ველიკოროსული ნაციონალიზმისაკენ გადახრას. (მქუხარე ტაში).

დავობენ იმაზე, თუ რომელი გადახრა წარმოადგენს მთავარ საფრთხეს, ველიკოროსული ნაციონალიზმისაკენ გადახრა თუ ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრა? თანამედროვე პირობებში ეს არის ფორმალური და ამიტომ ფუჭი დავა. სისულელე იქნებოდა მოგვეცა ყველა დროისა და პირობებისათვის გამოსადეგი მზამზარეული რეცეპტი მთავარი და არამთავარი საფრთხის შესახებ. ასეთი რეცეპტები საერთოდ არ მოიპოვება ბუნებაში. მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ის გადახრა, რომლის წინააღმდეგ შეწყვიტეს ბრძოლა და რომელსაც ამგვარად საშუალება მისცეს გაზრდილიყო სახელმწიფოებრივ საფრთხემდე. (ხანგრძლივი ტაში).

უკრაინაში სულ ცოტა ხნის წინათ გადახრა უკრაინული ნაციონალიზმისაკენ არ წარმოადგენდა მთავარ საფრთხეს, მაგრამ როდესაც ხელი აიღეს მის წინააღმდეგ ბრძოლაზე და საშუალება მისცეს მას იქამდე გაზრდილიყო, რომ იგი ინტერვენციონისტებს შეუკავშირდა, ეს გადახრა მთავარ საფრთხედ იქცა. ნაციონალური საკითხის დარგში არსებული მთავარი საფრთხის საკითხი წყდება არა ცარიელი ფორმალური დავით, არამედ მოცემულ მომენტში საქმის მდგომარეობის მარქსისტული ანალიზით და იმ შეცდომების შესწავლით, რომლებიც დაშვებულია ამ დარგში.

იგივე უნდა ითქვას **მემარჯვენე და «მემარცხენე» გადახრაზე** საერთო პოლიტიკის სფეროში. აქაც, ისევე როგორც სხვა სფეროებში, საკმაოდ დიდი არევ-დარევაა ჩვენი პარტიის ცალკეულ წევრთა შეხედულებებში. ზოგჯერ, როდესაც აწარმოებენ ბრძოლას მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, თავს ანებებენ «მემარცხენე» გადახრას და ასუსტებენ მის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან ფიქრობენ, რომ იგი სახიფათო არაა, ან ნაკლებად სახიფათოა. ეს სერიოზული და სახიფათო შეცდომაა. ეს არის დათმობა «მემარცხენე» გადახრისადმი, რაც დაუშვებელია პარტიის წევრისათვის. ეს მით უფრო დაუშვებელია, რომ ამ ბოლო დროს «მემარცხენენი» საბოლოოდ დაეშვნენ მემარჯვენეთა პოზიციაზე და არსებითად უკვე აღარაფრით განსხვავდებიან მათგან.

ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით, რომ «მემარცხენენი» — ეს იგივე მემარჯვენენი არიან, რომელნიც თავიანთ მემარჯვენეობას მემარცხენე ფრაზებით ნიღბავენ. ახლა «მემარცხენენი» თვითონ ადასტურებენ ამ ჩვენს განცხადებას. აიღეთ ტროცკისტული

«ბიულეტენის» შარშანდელი ნომრები. რას მოითხოვენ და რას წერენ იქ ბატონი ტროცკისტები, რით გამოიხატება მათი «მემარცხენე» პროგრამა? ისინი მოითხოვენ: **დავშალოთ საბჭოთა მეურნეობები, როგორც არარენტაბელური, დავშალოთ მეტი წილი კოლმეურნეობები, როგორც ცრუკოლმეურნეობები, ხელი ავიღოთ კულაკობის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე, დავუბრუნდეთ საკონცესიო პოლიტიკას და კონცესიით გავცეთ მთელი რიგი ჩვენი სამრეწველო საწარმოები,** როგორც არარენტაბელური.

აი საზიზღარი მხდალებისა და კაპიტულანტების პროგრამა, სსრ კავშირში კაპიტალიზმის აღდგენის კონტრრევოლუციური პროგრამა!

რით განსხვავდება იგი უკიდურეს მემარჯვენეთა პროგრამისაგან? ცხადია, არაფრით. გამოდის, რომ «მემარცხენენი» აშკარად შეუერთდნენ მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ პროგრამას იმისათვის, რომ შეკრან მათთან ბლოკი და აწარმოონ საერთო ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ.

როგორ შეიძლება ამის შემდეგ იმის ლაპარაკი, რომ «მემარცხენენი» საშიშარნი არ არიან ან ნაკლებად საშიშარნი არიან? განა ცხადი არ არის, რომ ის ადამიანები, რომლებიც ასეთ შეუსაბამობას ლაპარაკობენ, ეხმარებიან ლენინიზმის დაუძინებელ მტრებს?

როგორც ხედავთ, აქაც, პარტიის ხაზიდან გადახრების სფეროში, — სულ ერთია, ლაპარაკია გადახრებზე საერთო პოლიტიკის საკითხებში თუ გადახრებზე ნაციონალურ საკითხში, — კაპიტალიზმის ნაშთებს ადამიანთა შეგნებაში, მათ შორის ჩვენი პარტიის ცალკეული წევრების შეგნებაში — საკმაო გამძლეობა აქვთ.

აი ჩვენი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის რამდენიმე სერიოზული და აქტუალური საკითხი, რომელთა ირგვლივ პარტიის ცალკეულ ფენებში არის შეხედულებების გაურკვევლობა, არევ-დარევა, ზოგჯერ კი ლენინიზმიდან პირდაპირი გადახვევაც. ხოლო ეს ერთადერთი საკითხები როდია, რომელთა მაგალითებზე შეიძლებოდა გვეჩვენებინა არევ-დარევა ჩვენი პარტიის ცალკეულ წევრთა შეხედულებებში.

შეიძლება თუ არა ამის შემდეგ ითქვას, რომ ჩვენს პარტიაში ყველაფერი თავის რიგზეა?

ცხადია, არ შეიძლება.

ჩვენი ამოცანები იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დარგში:

1) ჯეროვან სიმაღლეზე ავიყვანოთ პარტიის თეორიული დონე;

2) გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა პარტიის ყველა რგოლში;

3) ვაწარმოოთ ლენინიზმის დაუღალავი პროპაგანდა პარტიის რიგებში;

4) აღვზარდოთ პარტორგანიზაციები და მათ გარშემო მყოფ-უპარტიო აქტივი ლენინური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით;

5) კი არ მივჩქმალოთ, არამედ გაბედულად გავაკრიტიკოთ ზოგიერთი ამხანაგის გადახვევა მარქსიზმ-ლენინიზმიდან;

6) სისტემატურად ვამხილოთ ლენინიზმისადმი მტრულ მიმდინარეობათა იდეოლოგია და იდეოლოგიის ნაშთები.

ORGANIZACIULI ხელმძღვანელობის საკითხები

მე ვილაპარაკე ჩვენს წარმატებებზე. ვილაპარაკე პარტიის ხაზის გამარჯვებაზე როგორც სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში, ისე პარტიაში ანტილენინურ დაჯგუფებათა დაძლევის დარგშიც. მე ვილაპარაკე ჩვენი გამარჯვების მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გამარჯვება მიღწეულია ყველგან და ყველაფერში და უკვე გადაჭრილია ყველა საკითხი. ასეთი წარმატებანი და გამარჯვებანი საერთოდ არ არსებობენ ბუნებაში. გადაუჭრელი საკითხები და სხვადასხვა ხარვეზი ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია. ჩვენს წინაშე მთელი გროვა ამოცანებია, რომლებიც გადაჭრას მოითხოვენ. მაგრამ ეს უეჭველად ნიშნავს, რომ გადაუდებელი მორიგი ამოცანების დიდი ნაწილი უკვე წარმატებით გადაწყვეტილია, და ამ აზრით ჩვენი პარტიის უდიდესი გამარჯვება უდავოა.

მაგრამ აი კითხვა: როგორ იქმნებოდა ეს გამარჯვება, როგორ მოვიპოვეთ ის საქმით, რა ბრძოლა, რა ღონისძიებათა განხორციელება გვჭირდებოდა ამისათვის?

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ საკმარისია გამოვიმუშაოთ პარტიის სწორი ხაზი, გამოვაცხადოთ ის ყველას გასაგონად, ჩამოვაყალიბოთ ის საერთო თეზისებისა და რეზოლუციების სახით და ხმა მივცეთ მას ერთხმად, რომ გამარჯვება მოვიდეს თავისთავად, ასე ვთქვათ, თვითდინებით. ეს, რა თქმა უნდა, მართალი არ არის. ეს დიდი შეცდომაა. ასე შეუძლიათ იფიქრონ მხოლოდ გაუსწორებელმა ბიუროკრატებმა და კანცელარისტებმა. ნამდვილად კი ეს წარმატებანი და გამარჯვებანი მივიღეთ არა თვითდინების წესით, არამედ გააფთრებული ბრძოლით პარტიის ხაზის განხორციელებისათვის. გამარჯვება არასოდეს არ მოდის თვითონ, — ჩვეულებრივად მას ბრძოლით მოიპოვებენ ხოლმე. კარგი რეზოლუციები და

დეკლარაციები პარტიის გენერალური ხაზის სასარგებლოდ — ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია, რადგან ისინი ნიშნავენ მხოლოდ გამარჯვების სურვილს, და არა თვით გამარჯვებას. მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი ხაზი, მას შემდეგ, რაც მოცემულია საკითხის სწორი გადაჭრა, საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, პარტიის ხაზის განხორციელებისათვის ბრძოლის ორგანიზაციაზე, ადამიანების სწორად შერჩევაზე, ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე. უამისოდ პარტიის სწორი ხაზი და სწორი გადაწყვეტილებები შეიძლება სერიოზულად დაზარალდეს. უფრო მეტიც: მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი პოლიტიკური ხაზი, ორგანიზაციული მუშაობა წყვეტს ყველაფერს, მათ შორის თვით პოლიტიკური ხაზის ბედსაც, — მის შესრულებას, ან მის ჩაშლას.

ნამდვილად გამარჯვება მოპოვებულ და მიღწეულ იქნა სისტემატური და შეუპოვარი ბრძოლით ყოველგვარ სიძნელეებთან პარტიის ხაზის განხორციელების გზაზე, ამ სიძნელეთა გადალახვით. პარტიისა და მუშათა კლასის მობილიზაციით სიძნელეების გადალახვავად, ბრძოლის ორგანიზაციით სიძნელეთა დასაძლევად, უვარგისი მუშაკების მოხსნით და უკეთესი მუშაკების შერჩევით, რომლებსაც შესწევთ უნარი აწარმოონ ბრძოლა სიძნელეებთან.

რა სიძნელეებია ეს და სად ბუდობენ ისინი?

ეს სიძნელეები ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის სიძნელეებია, ჩვენი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის სიძნელეებია. ისინი ბუდობენ თვით ჩვენში, ჩვენს ხელმძღვანელ მუშაკებში, ჩვენს ორგანიზაციებში, ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული და ყოველგვარი სხვა ორგანიზაციების აპარატებში.

უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ყოველგვარი სხვა ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების ძალა და ავტორიტეტი უმაგალითოდ გაიზარდა. და სწორედ იმიტომ, რომ მათი ძალა და ავტორიტეტი უმაგალითოდ გაიზარდა, — მათს მუშაობაზეა ახლა დამოკიდებული ყველაფერი ანდა თითქმის ყველაფერი. ეგრეთწოდებული ობიექტური პირობების მომიზეზებას არა აქვს გამართლება. მას შემდეგ, რაც პარტიის პოლიტიკური ხაზის სისწორე დაადასტურა მთელი რიგი წლების გამოცდილებამ, ხოლო მუშებისა და გლეხების მზადყოფნა — მხარი დაუჭირონ ამ ხაზს, ეჭვს აღარ იწვევს, — ეგრეთწოდებული ობიექტური პირობების როლი მინიმუმამდე დავიდა, მაშინ როდესაც ჩვენი ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების როლი გადამწყვეტი, განსა-

კუთრებული შეიქნა. ეს კი რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა ჩვენს მუშაობაში გარღვევათა და ნაკლთათვის ამიერიდან ცხრა მეათედით ეკისრება არა «ობიექტურ» პირობებს, არამედ გვეკისრება თვითონ ჩვენ, და მხოლოდ ჩვენ.

პარტიაში ჩვენ გვყავს ორ მილიონზე მეტი წევრი და კანდიდატი. კომკავშირში ჩვენ გვყავს ოთხ მილიონზე მეტი წევრი და კანდიდატი. ჩვენ გვყავს სამ მილიონზე მეტი მუშა-კორესპონდენტი და გლეხ-კორესპონდენტი. თავდაცვა-ავიაქიმში ჩვენ გვყავს 12 მილიონზე მეტი წევრი. პროფკავშირებში — 17 მილიონზე მეტი წევრი. ამ ორგანიზაციებს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს წარმატებებს. და თუ, მიუხედავად ასეთი ორგანიზაციების და ასეთ შესაძლებლობათა არსებობისა, რომელნიც გვიადვილებენ წარმატებათა მიღწევას, ჩვენ ცოტა ნაკლი და ცოტა გარღვევა არა გვაქვს მუშაობაში, ამაში ბრალი მიგვიძღვის მხოლოდ ჩვენ, ჩვენს ორგანიზაციულ მუშაობას, ჩვენს ცუდ ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას.

მმართველობის აპარატების ბიუროკრატიზმი და კანცელარიულობა; ლაყბობა «საერთოდ ხელმძღვანელობის» შესახებ ნაცვლად ცოცხალი და კონკრეტული ხელმძღვანელობისა; ორგანიზაციების ფუნქციონალური აღნაგობა და პირადი პასუხისმგებლობის უქონლობა; გაუპიროვნება მუშაობაში და გათანაბრება ხელფასის სისტემაში; შესრულების სისტემატური შემოწმების უქონლობა; თვითკრიტიკის შიში, — აი სად არის ჩვენი სიძნელეების წყაროები, აი სად ბუდობენ ახლა ჩვენი სიძნელეები.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ შეიძლება ამ სიძნელეების გადალახვა რეზოლუციებისა და დადგენილებების საშუალებით. ბიუროკრატები და კანცელარისტები დიდი ხანია უკვე დახელოვნდნენ იმაში, რომ სიტყვით გვაჩვენონ ერთგულება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისადმი, ხოლო საქმით — მაუდის ქვეშ ამოსდონ ეს გადაწყვეტილებები. ეს სიძნელეები რომ გადაგველახა, საჭირო იყო მოგვესპო ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის ჩამორჩენა პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებისაგან, საჭირო იყო აგვემაღლებინა ორგანიზაციული ხელმძღვანელობის დონე სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე, საჭირო იყო მიგვეღწია იმისათვის, რომ ჩვენს ორგანიზაციულ მუშაობას უზრუნველეყო პარტიის პოლიტიკური ლოზუნგებისა და გადაწყვეტილებების პრაქტიკულად გატარება ცხოვრებაში.

ეს სიძნელეები რომ გადაგველახა და მიგვეღწია წარმატებებისათვის, საჭირო იყო მოგვეწყო ბრძოლა ამ სიძნელეთა გადალახვი-

სათვის, საჭირო იყო ჩაგვება ამ ბრძოლაში მუშათა და გლეხთა მასები, საჭირო იყო თვით პარტიის მობილიზება, საჭირო იყო პარტიისა და სამეურნეო ორგანიზაციების გაწმენდა არასაიმედო, მერყევი, გადაგვარებული ელემენტებისაგან.

რა იყო საჭირო ამისათვის?

ჩვენ უნდა მოგვეწყო:

1) თვითკრიტიკის გაშლა და ჩვენი მუშაობის ნაკლთა გამომჟღავნება;

2) პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მობილიზაცია სიძნელეებთან საბრძოლველად;

3) მუშურ-გლეხური მასების მობილიზაცია პარტიისა და მთავრობის ლოზუნგებისა და გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად;

4) მშრომელთა შორის შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლა;

5) მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა ფართო ქსელი და პარტიულ-საბჭოთა ხელმძღვანელობის მიახლოება სოფელთან;

6) სახალხო კომისარიატების, მთავარსამმართველოებისა და ტრესტების გაწვრილერთეულება და სამეურნეო ხელმძღვანელობის მიახლოება საწარმოსთან;

7) მუშაობაში გაუპიროვნების მოსპობა და ხელფასის სისტემაში გათანაბრების ლიკვიდაცია;

8) «ფუნქციონალობის» მოსპობა, პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერება და გეზი კოლეგიათა ლიკვიდაციისაკენ;

9) შესრულების შემოწმების გაძლიერება და გეზი ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის რეორგანიზაციისაკენ შესრულების შემოწმების შემდგომი გაძლიერების აზრით;

10) კანცელარიებიდან კვალიფიცირებული მუშაკების გადაყვანა წარმოებასთან უფრო ახლო;

11) გაუსწორებელი ბიუროკრატებისა და კანცელარისტების მხილება და განდევნა მმართველობის აპარატებიდან;

12) პოსტებიდან მოხსნა პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა დამრღვევებისა, თვალისამხვევებისა და მოლაყბეებისა და მათ მაგივრად დაწინაურება ახალი ადამიანებისა — საქმის ადამიანებისა, რომელთაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ დაკისრებული სამუშაოს კონკრეტული ხელმძღვანელობა და პარტიულ-საბჭოთა დისციპლინის განმტკიცება;

13) საბჭოთა-სამეურნეო ორგანიზაციების წმენდა და მათი შტატების შემცირება;

14) ბოლოს, პარტიის წმენდა არასაიმედო და გადაგვარებულ ადამიანთაგან.

აი, ძირითადად, ის საშუალებანი, რომლებიც პარტიას უნდა წამოეყენებინა იმისათვის, რომ დაეძლია სიძნელეები, აემაღლებინა ჩვენი ორგანიზაციული მუშაობის დონე პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე და, ამნაირად, უზრუნველეყო პარტიის ხაზის გატარება ცხოვრებაში.

თქვენ იცით, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი სწორედ ასე ეწეოდა თავის ორგანიზაციულ მუშაობას საანგარიშო პერიოდში.

ამასთან ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობდა ლენინის გენიალური აზრით იმის შესახებ, რომ ორგანიზაციულ მუშაობაში **მთავარია ადამიანთა შერჩევა და შესრულების შემოწმება.**

ადამიანთა შერჩევასა და იმათ გადაყენებაზე, ვინც ვერ გაამართლა თავისი თავი, მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა.

გარდა გაუსწორებელი ბიუროკრატებისა და კანცელარისტებისა, რომელთა თავიდან მოშორების შესახებ ჩვენს შორის არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ არის, ჩვენში არის კიდევ მუშაკთა ორი ტიპი, რომლებიც აფერხებენ ჩვენს მუშაობას, ხელს უშლიან ჩვენს მუშაობას, ხელს გვიშლიან წინსვლაში.

მუშაკთა ერთი ტიპი — ესენი არიან წარსულში ერთგვარი დამსახურების ადამიანები, ადამიანები, რომლებიც დიდკაცებად იქცნენ, ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ პარტიული და საბჭოთა კანონები დაწერილია არა მათთვის, არამედ ბრიყვებისათვის. ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებსაც თავის მოვალეობად არ მიაჩნიათ შეასრულონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი და რომლებიც, ამრიგად, ანგრევენ პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის საფუძვლებს. რის იმედი აქვთ მათ, როდესაც პარტიულ და საბჭოთა კანონებს არღვევენ? მათ იმის იმედი აქვთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, მათი ძველი დამსახურების გამო, ვერ გაბედავს ხელი ახლოს მათ. ეს თავგასული დიდკაცები ფიქრობენ, რომ ისინი უბადლონი არიან და რომ მათ შეუძლიათ დაუსჯელად დაარღვიონ ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი. რანაირად უნდა მოვექცეთ ასეთ მუშაკებს? ისინი უყოყმანოდ უნდა მოვხსნათ ხელმძღვანელი პოსტებიდან, მიუხედავად მათი დამსახურებისა წარსულში. (ხმები: «მართალია!»). ისინი უნდა გადავაყენოთ თანამდებობიდან ჩამოქვეითებით

და ეს პრესაში გამოვაქვეყნოთ. (ხმები: «მართალია!»). ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ამ თავგასულ დიდკაც-ბიუროკრატებს რიხიანობა შევუმციროთ და თავისი ადგილი მივუჩინოთ. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ განვამტკიცოთ პარტიული და საბჭოთა დისციპლინა მთელ ჩვენს მუშაობაში. (ხმები: «მართალია!» ტაში).

ახლა კი მეორე ტიპის მუშაკების შესახებ. მხედველობაში მყავს ტიპი მოლაყბეებისა, მე ვიტყოდი, პატიოსანი მოლაყბეებისა (სიცილი), პატიოსანი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული ადამიანებისა, მაგრამ რომელთაც არ შესწევთ ხელმძღვანელობის უნარი, არ შესწევთ რისიმე მოწყობის უნარი. შარშან მე საუბარი მქონდა ერთ-ერთ ასეთ ამხანაგთან, ძალიან პატივცემულ ამხანაგთან, მაგრამ გამოუსწორებელ მოლაყბესთან, რომელსაც შეუძლია ყოველგვარი ცოცხალი საქმე ჩაახრჩოს ლაყბობაში. აი ეს საუბარი.

მე: როგორ არის თქვენში თესვის საქმე?

ის: თესვის საქმე, ამხანაგო სტალინ? ჩვენ ჩავატარეთ მობილიზაცია. (სიცილი).

მე: მერე რა?

ის: ჩვენ პირდაპირ დავსვით საკითხი. (სიცილი).

მე: მერე, შემდეგ?

ის: ჩვენ გვაქვს გარდატეხა, ამხანაგო სტალინ, მალე გვექნება გარდატეხა. (სიცილი).

მე: მაინც?

ის: ჩვენში ისახება ძვრანი. (სიცილი).

მე: კი, მაგრამ მაინც რა მდგომარეობაა თქვენში თესვის მხრივ?

ის: თესვის საქმეში ჯერ არაფერი გამოდის, ამხანაგო სტალინ. (საერთო ხარხარი).

აი მოლაყბის ფიზიონომია. მათ მოახდინეს მობილიზაცია, პირდაპირ დასვეს საკითხი, მათ აქვთ გარდატეხაც, ძვრებიც, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის.

სწორედ ისე, როგორც დაახასიათა ამას წინათ ერთმა უკრაინელმა მუშამ ერთ-ერთი ორგანიზაციის მდგომარეობა, როცა მას შეეკითხნენ ამ ორგანიზაციის ხაზის შესახებ: «რაც შეეხება ხაზს... ხაზი, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ მუშაობა არა ჩანს». (საერთო სიცილი). ეტყობა, ამ ორგანიზაციასაც ჰყავს თავისი პატიოსანი მოლაყბენი.

და როცა პოსტებიდან ხსნი ასეთ მოლაყბეებს და გზავნი რაც შეიძლება შორს ოპერატიული სამუშაოდან, ისინი ხელებს გაშლიან ხოლმე და გაკვირვებულნი კითხულობენ: „რატომ გვხსნიან? განა ჩვენ არ გავაკეთეთ ყოველივე, რაც საჭიროა საქმისათვის,

განა ჩვენ არ მოვიწვიეთ დამკვრელთა შეკრება, განა ჩვენ დამკვ-
რელთა კონფერენციაზე არ წამოვაყენეთ პარტიისა და მთავრობის
ლოზუნგები, განა ჩვენ არ ავირჩიეთ საპატიო პრეზიდიუმში ცენტ-
რალური კომიტეტის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა (**საერთო სიცილი**), განა არ გავუგზავნეთ მისალმება ამხანაგ
სტალინს, — რაღა გინდათ კიდევ ჩვენგან?» (**საერთო ხარხარი**).

რა უნდა ვუყოთ ამ გამოუსწორებელ მოლაყბეებს? თუ დავტო-
ვებთ ოპერატიულ სამუშაოზე, მათ შეუძლიათ ყოველი ცოცხალი
საქმე ჩაახრჩონ წყალწყალა და გაუთავებელი სიტყვების ნიაღვარ-
ში. აშკარაა, რომ საჭიროა მათი მოხსნა ხელმძღვანელი პოსტები-
დან და გადაყვანა სხვა, არაოპერატიულ სამუშაოზე. მოლაყბეებს
არ უნდა ჰქონდეთ ადგილი ოპერატიულ სამუშაოზე. (**ხმები: «სწო-
რია!» ტაში**).

როგორ წარმართავდა ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა და სა-
მეურნეო ორგანიზაციებში მუშაკების შერჩევის საქმეს და რო-
გორ აწარმოებდა იგი შესრულების შემოწმების განმტკიცების საქ-
მეს, — ამაზე მე უკვე მოგახსენეთ მოკლედ. უფრო დაწვრილებით
მოგახსენებთ ამხანაგი კაგანოვიჩი ყრილობის დღის წესრიგის მე-
სამე პუნქტის განხილვის დროს.

რაც შეეხება შემდგომ მუშაობას შესრულების შემოწმების გა-
ძლიერების ხაზით, ამაზე მინდოდა მეთქვა რამდენიმე სიტყვა.

შესრულების შემოწმების სწორ ორგანიზაციას გადამწყვეტი
მნიშვნელობა აქვს ბიუროკრატიზმთან და კანცელარიულობასთან
ბრძოლის საქმეში. ხორციელდება ხელმძღვანელი ორგანიზაციების
გადაწყვეტილებანი თუ მათ მაუდქვეშ ამოსდებენ ხოლმე ბიურო-
კრატები და კანცელარისტები? სწორად ახორციელებენ მათ თუ
ამახინჯებენ? პატიოსნად და ბოლშევიკურად მუშაობს აპარატი თუ
ტრიალებს ფუჭად, — ყოველივე ეს დროზე შეგვიძლია ვიცოდეთ
მხოლოდ შესრულების კარგად დაყენებული შემოწმების შედეგად.
შესრულების კარგად დაყენებული შემოწმება — ეს ის პროექტო-
რია, რომელიც გვეხმარება გავაშუქოთ აპარატის მუშაობის მდგო-
მარეობა ყოველ დროს და დღის სინათლეზე გამოვიყვანოთ ბიუ-
როკრატები და კანცელარისტები. შეიძლება დარწმუნებით ითქვას,
რომ ჩვენი ხარვეზებისა და გარღვევების ცხრა მეათედი აიხსნება
შესრულების სწორად დაყენებული შემოწმების უქონლობით. ეჭვს
გარეშეა, რომ შესრულების ასეთი შემოწმების დროს ხარვეზები
და გარღვევები უთუოდ თავიდან იქნებოდა აცილებული.

მაგრამ, შესრულების შემოწმებამ რომ მიზანს მიაღწიოს, „უცი-

ლებელია, სულ ცოტა, ორი პირობა: პირველი, — რათა შესრულების შემოწმება იყოს სისტემატური და არა ეპიზოდური; მეორე, — რათა შესრულების შემოწმების საქმის სათავეში პარტიულ-საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყველა რგოლში იდგნენ არა მეორეხარისხოვანი პირები, არამედ საკმარისად ავტორიტეტული ადამიანები, — თვით ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ყველაზე დიდი მნიშვნელობა შესრულების შემოწმების სწორ ორგანიზაციას ცენტრალური ხელმძღვანელი დაწესებულებებისათვის აქვს. მუშგლეხინს თავისი ორგანიზაციის მიხედვით არ შეუძლია დააკმაყოფილოს შესრულების კარგად დაყენებული შემოწმების მოთხოვნები. რამდენიმე წლის წინათ, როცა ჩვენი სამეურნეო მუშაობა უფრო მარტივი და ნაკლებ დამაკმაყოფილებელი იყო, როცა შეიძლებოდა იმედის დამყარება ყველა სახალხო კომისარიატისა და ყველა სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობის ინსპექტირების შესაძლებლობაზე, — მუშგლეხინი თავის ადგილზე იყო. მაგრამ ახლა, როცა ჩვენი სამეურნეო მუშაობა გაიზარდა და უფრო რთული გახდა, და როცა უკვე არც საჭიროა და არც შესაძლებელი მისი ინსპექტირება ერთი ცენტრიდან, — მუშგლეხინი უნდა გარდაიქმნას. ჩვენ ახლა გვესაჭიროება არა ინსპექცია, არამედ ცენტრის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, — ჩვენ ახლა გვესაჭიროება **კონტროლი** ცენტრის გადაწყვეტილებათა შესრულებისა. ჩვენ ახლა გვესაჭიროება ისეთი ორგანიზაცია, რომელიც, არ დაისახავს რა ყველას და ყველაფრის ინსპექტირების უნივერსალურ მიზანს, შესძლებს მთელი თავისი ყურადღება მიაპყროს მუშაობას კონტროლის გასაწევად, მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური დაწესებულებების გადაწყვეტილებათა შესრულების შესამოწმებლად. ასეთი ორგანიზაცია შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოთა კონტროლის კომისია სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან, რომელიც იმუშავებს სახკომსაბჭოს დავალებებით და რომელსაც ადგილებზე ეყოლება ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებელი წარმომადგენლები. ხოლო მას რომ საკმაო ავტორიტეტი ჰქონდეს და შეეძლოს საჭიროების დროს პასუხისგებაში მისცეს რომელიც გნებავთ პასუხისმგებელი მუშაკი, — ამისათვის აუცილებელია, რომ საბჭოთა კონტროლის კომისიის წევრების კანდიდატებს ასახელებდეს პარტიის ყრილობა და ამტკიცებდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭო და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ასეთი ორგანიზაცია შესძლებდა საბჭოთა კონტროლისა და საბჭოთა დისციპლინის განმტკიცებას.

რაც შეეხება ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, როგორც ცნობილია, იგი დაარსებული იყო უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად გათიშვის თავიდან ასაცილებლად პარტიაში. თქვენ იცით, რომ გათიშვის საფრთხე მართლაც იყო ჩვენში ერთ დროს. თქვენ იცით, რომ ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და მისმა ორგანიზაციებმა შესძლეს გათიშვის საფრთხის თავიდან აცილება. მაგრამ ახლა უკვე აღარ არის ჩვენში გათიშვის საფრთხე. სამაგიეროდ ჩვენ ახლა აუცილებლად გვესაჭიროება ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შესძლებს თავისი მთავარი ყურადღება მიაქციოს მუშაობას პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების შესამოწმებლად. ასეთი ორგანიზაცია შეიძლება იყოს მხოლოდ პარტიული კონტროლის კომისია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან, რომელიც იმუშავებს პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის დავალებებით და რომელსაც ადგილებზე ეყოლება ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებელი წარმომადგენლები. გასაგებია, რომ ასეთ პასუხისმგებელ ორგანიზაციას დიდი ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს. ხოლო მას რომ საკმაო ავტორიტეტი ჰქონდეს და შეეძლოს პასუხისგებაში მისცეს რომელიც გნებავთ დამნაშავე პასუხისმგებელი მუშაკი, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის წევრებიც, — ამისათვის აუცილებელია, რომ ამ კომისიის წევრების არჩევა და გადაყენება შეეძლოს მხოლოდ პარტიის უმაღლეს ორგანოს — პარტიის ყრილობას. უეჭველია, რომ ასეთ ორგანიზაციას სრული უნარი ექნება — უზრუნველყოს კონტროლი პარტიის ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი და განამტკიცოს პარტიული დისციპლინა.

ასეთია საქმის ვითარება ორგანიზაციული ხელმძღვანელობის საკითხთა მხრივ.

ჩვენი ამოცანები ორგანიზაციული მუშაობის დარგში:

1) მომავალშიც შევუფარდოთ ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებს;

2) ავამაღლოთ ორგანიზაციული ხელმძღვანელობა პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე;

3) მივაღწიოთ იმას, რათა ორგანიზაციული ხელმძღვანელობა სავსებით უზრუნველყოფდეს პარტიის პოლიტიკური ლოზუნგებისა და გადაწყვეტილებების განხორციელებას.

მე ვამთავრებ, ამხანაგებო, საანგარიშო მოხსენებას.

რა დასკვნები გამომდინარეობენ ამ მოხსენებიდან?

ახლა უკვე ყველა აღიარებს, რომ ჩვენი წარმატებები დიადი და არაჩვეულებრივია. ჩვენი ქვეყანა შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში გადაყვანილია ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის რელსებზე. წარმატებით განხორციელებულია პირველი ხუთწლედი. ეს სიამაყის გრძნობას უნერგავს და თავისი ძალ-ღონის რწმენას უძლიერებს ჩვენს მუშაკებს. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ წარმატებებს ზოგჯერ თავისი ჩრდილოვანი მხარეც აქვთ. ისინი ზოგჯერ წარმოშობენ ერთგვარ საშიშროებათ, რომელთაც,— თუ მათ განვითარების საშუალება მიეცი, — შეუძლიათ მთელი საქმის დაშლა. არის, მაგალითად, საფრთხე, რომ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს შეიძლება თავბრუ დაესხას ასეთი წარმატებებისაგან. ასეთი შემთხვევები, როგორც ვიცით, ჩვენ გვქონია. არის საფრთხე, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი გაბრუვდება წარმატებებისაგან, საბოლოოდ თავს გაუვა და დაიწყებს გულდამშვიდებას მკვეხარა ლათაიებით, როგორიცაა: «ახლა ჩვენ ცა ქუდად არ მიგვაჩნია, დედამიწა ქალამნად» ანდა «ვინც უნდა იყოს, კუდით ქვას ვასროლინებთო» და სხვ.. ეს სრულებითაც არაა გამორიცხული, ამხანაგებო. არა არის რა ასეთ განწყობილებებზე უფრო საშიში, რადგან ისინი იწვევენ პარტიის განიარაღებას და მისი რიგების დემობილიზაციას. თუ ასეთი განწყობილებები გაბატონდნენ ჩვენს პარტიაში, შეიძლება მთელი ჩვენი წარმატებების ჩაშლის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ. რა თქმა უნდა, პირველი ხუთწლედი წარმატებით შევასრულეთ. ეს მართალია. მაგრამ საქმე ამით როდი თავდება და არც შეიძლება გათავდეს, ამხანაგებო. წინ გვიდევს მეორე ხუთწლედი, რომელიც აგრეთვე უნდა შევასრულოთ და აგრეთვე წარმატებით. თქვენ იცით, რომ გეგმები სრულდება სიძნელეებთან ბრძოლაში, სიძნელეთა გადალახვის მსვლელობაში. მაშასადამე, გვექნება სიძნელეები, გვექნება მათთან ბრძოლაც. ამხ. მოლოტოვი და ამხ. კუიბიშევი მოგახსენებენ თქვენ მეორე ხუთწლედის გეგმის შესახებ. მათი მოხსენებებიდან თქვენ დაინახავთ, თუ რა დიდი სიძნელეები უნდა გადავლახოთ ჩვენ ამ გრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად. მაშასადამე, ნანას კი არ უნდა ვეუბნებოდეთ პარტიას, — არამედ უნდა ვავითარებდეთ მასში სიფხიზლეს, კი არ უნდა მივაძინოთ იგი, — არამედ ვიყოლიოთ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, კი არ უნდა განვაიარაღოთ, — არამედ უნდა შევაიარაღოთ, მისი დემობილიზაცია კი არ

უნდა მოვახდინოთ, — არამედ ვიყოლიოთ იგი მობილიზაციის მდგომარეობაში მეორე ხუთწლედის განსახორციელებლად.

აქედან გამომდინარეობს პირველი დასკვნა: **არ გაგვიტაცოს მიღწეულმა წარმატებებმა და არ გავმედიდურდეთ.**

ჩვენ მივაღწიეთ წარმატებებს იმიტომ, რომ გვქონდა პარტიის სწორი ხელმძღვანელი ხაზი და შევძელით მასების დარაზმვა ამ ხაზის ცხოვრებაში გასატარებლად. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ პირობების გარეშე ჩვენ არ გვექნებოდა ის წარმატებანი, რომლებიც ახლა გვაქვს და რომლებითაც სამართლიანად ვამაყობთ. მაგრამ გქონდეს სწორი ხაზი და შესძლო მისი ცხოვრებაში გატარება — ეს ძალიან იშვიათია მმართველი პარტიების ცხოვრებაში.

დააკვირდით ჩვენს ირგვლივ მდებარე ქვეყნებს: განა ბევრს ნახავთ მმართველ პარტიებს, რომლებსაც ჰქონდეთ სწორი ხაზი და რომლებიც ატარებდნენ მას ცხოვრებაში? ნამდვილად რომ ითქვას, ახლა ასეთი პარტიები არც არიან ქვეყნად, რადგან ყველა ისინი ცხოვრობენ უპერსპექტივოდ, გზა ებნევათ კრიზისის ქაოსში და ვერ ხედავენ გზებს იმისათვის, რომ თავი დააღწიონ ქაობს. მხოლოდ ჩვენმა პარტიამ იცის, საით წაიყვანოს საქმე, და წინ მიჰყავს იგი წარმატებით. რას უნდა უმადლოდეს ჩვენი პარტია ამ თავის უპირატესობას? იმას, რომ იგი არის მარქსისტული პარტია, ლენინური პარტია. იგი უნდა უმადლოდეს იმას, რომ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრებით. ეჭვს გარეშეა, რომ სანამ ჩვენ ამ მოძღვრების ერთგულნი ვრჩებით, სანამ ჩვენ ხელთ გვიპყრია ეს კომპასი, — გვექნება წარმატებანი ჩვენს მუშაობაში.

ამბობენ, რომ დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში უკვე მოისპო მარქსიზმი. ამბობენ, რომ იგი თითქოს მოსპო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა მიმდინარეობამ, რომელსაც ფაშიზმი ეწოდება. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც არ იცნობენ ისტორიას. მარქსიზმი არის მუშათა კლასის საარსებო ინტერესების მეცნიერული გამოხატულება. რომ მოსპო მარქსიზმი, უნდა მოსპო მუშათა კლასი. მუშათა კლასის მოსპობა კი შეუძლებელია. ოთხმოც წელზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც მარქსიზმი ასპარეზზე გამოვიდა. ამ ხნის განმავლობაში ათეული და ასეული ბურჟუაზიული მთავრობები ცდილობდნენ მარქსიზმის მოსპობას. მაგრამ რა? ბურჟუაზიული მთავრობები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, ხოლო მარქსიზმი რჩებოდა. (**მეუხარე ტაში**). უფრო მეტიც, — მარქსიზმმა მიაღწია იმას,

რომ მან სრული გამარჯვება მოიპოვა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, ამასთან გამარჯვებას მიაღწია სწორედ იმ ქვეყანაში, სადაც მარქსიზმს საბოლოოდ განადგურებულად თვლიდნენ. (**მქუხარე ტაში**). არ შეიძლება შემთხვევითად მივიჩნიოთ, რომ ქვეყანა, სადაც მარქსიზმმა სრული გამარჯვება მოიპოვა, ახლა ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენ ქვეყანაში, მათ შორის ფაშიზმის ქვეყნებშიც, უკვე ოთხი წელიწადია გამეფებულია კრიზისი და უმუშევრობა. არა, ამხანაგებო, ეს შემთხვევითი არ არის. (**ხანგრძლივი ტაში**).

დიახ, ამხანაგებო, ჩვენს წარმატებებს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ჩვენ ვმუშაობდით და ვიბრძოდით მარქსის, ენგელსის, ლენინის დროშით.

აქედან გამომდინარეობს მეორე დასკვნა: **ბოლომდე ერთგულნი ვიყოთ მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი დროშისა.** (**ტაში**).

სსრ კავშირის მუშათა კლასი ძლიერია არა მარტო იმით, რომ მას ჰყავს ბრძოლაში გამობრძმედილი ლენინური პარტია. შემდეგ, ის ძლიერია არა მარტო იმით, რომ მას მხარს უჭერენ მშრომელი გლეხობის მილიონიანი მასები. ის ძლიერია კიდევ იმით, რომ მას ზურგს უმაგრებს და ეხმარება მსოფლიო პროლეტარიატი. სსრ კავშირის მუშათა კლასი მსოფლიო პროლეტარიატის ნაწილია, მისი მოწინავე რაზმია, ჩვენი რესპუბლიკა კი — მსოფლიო პროლეტარიატის პირმშოა. ეჭვს გარეშეა, მას რომ დახმარებას არ უწევდეს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, ის ვერ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას, ვერ უზრუნველყოფდა პირობებს სოციალისტური მშენებლობისათვის, — მაშასადამე, მას არ ექნებოდა ის წარმატებანი, რომელნიც ახლა აქვს. სსრ კავშირის მუშათა კლასის ინტერნაციონალური კავშირი კაპიტალისტური ქვეყნების მუშებთან, სსრ კავშირის მუშების ძმური კავშირი ყველა ქვეყნის მუშებთან. — აი საბჭოების რესპუბლიკის ძალისა და ძლიერების ერთ-ერთი ქვაკუთხედი. დასავლეთის მუშები ამბობენ, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასი მსოფლიო პროლეტარიატის დამკვრელი ბრიგადა არისო. ეს ძალიან კარგია. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო პროლეტარიატი მზად არის მომავალშიც მხარი დაუჭიროს სსრ კავშირის მუშათა კლასს თავისი ძალისა და შესაძლებლობის ფარგლებში. მაგრამ ეს ჩვენ სერიოზულ ვალდებულებებს გვაკისრებს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მუშაობით უნდა გავამართლოთ ყველა ქვეყნის **პროლეტარების** დამკვრელი ბრიგადის **საპატიო** სახელწოდება. ეს გვავალებს უკეთესად ვიმუშაოთ და უკეთესად ვიბრძოლოთ

სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყანაში.

აქედან გამომდინარეობს მესამე დასკვნა: **ბოლომდე ერთგულნი ვიყოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმისა, ყველა ქვეყნის პროლეტარების ძმური კავშირის საქმისა. (ტაში).**

ასეთია დასკვნები.

გაუმარჯოს მარქსის, ენგელსის, ლენინის დიად და უძლეველ დროშას! (მთელი დარბაზის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყრილობა ოვაციას უმართავს ამხანაგ სტალინს. მღერიან «ინტერნაციონალს». «ინტერნაციონალის» შესრულების შემდეგ ოვაცია კვლავ ახლდება ახალი ძალით. შეძახილები: «ვაშა სტალინს!», «გაუმარჯოს სტალინს!», «გაუმარჯოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს!»).

საბოლოო სიტყვის მაგიერ

ამხანაგებო! კამათმა ყრილობაზე გამოააშკარავა ჩვენი პარტიული ხელმძღვანელების შეხედულებათა სრული ერთიანობა, შეიძლება ითქვას, პარტიული პოლიტიკის ყველა საკითხში. როგორც იცით, არ იყო არავითარი შეკამათება საანგარიშო მოხსენების წინააღმდეგ. მაშასადამე, გამომეღავნდა ჩვენი პარტიის რიგების არაჩვეულებრივი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული სიმჭიდროვე. (ტაში). ახლა ვიკითხოთ, ამის შემდეგ არის თუ არა საჭირო საბოლოო სიტყვა? მე ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო. ამიტომ ნება მომეცით უარი ვთქვა საბოლოო სიტყვაზე. **(მქუხარე ოვაცია, მთელი ყრილობა ფეხზე დგება, მგრგვინავი «ვაშა»; კოლექტიური ძახილი: «გაუმარჯოს სტალინს!» ყრილობა ფეხზე დგას და მღერის «ინტერნაციონალს». «ინტერნაციონალის» შესრულების შემდეგ ოვაცია ახლდება. შეძახილები: «ვაშა!» «გაუმარჯოს სტალინს!» «გაუმარჯოს ცენტრალურ კომიტეტს!»).**

სიტყვა კრემლის სასახლეში წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე

1935 წ. 4 მაისი

ამხანაგებო! არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ ბოლო დროს ჩვენ დიდი წარმატებები გვქონდა როგორც მშენებლობის, ისე მმართველობის დარგში. ამასთან დაკავშირებით ჩვენში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ხელმძღვანელთა დამსახურებაზე, ბელადების დამსახურებაზე. მათ მიაწერენ ყველაფერს, თითქმის ყველა ჩვენს მიღწევას. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი და მართებული. ხაქმე მარტო ბელადებში როდია. მაგრამ დღეს ამაზე კი არ მინდა ვილაპარაკო. მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა კადრებზე, ჩვენს კადრებზე საერთოდ და კერძოდ ჩვენი წითელი არმიის კადრებზე.

თქვენ იცით, რომ ძველი დროისაგან ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ ტექნიკურად ჩამორჩენილი და ნახევრად-ლატაკი, გაპარტახებული ქვეყანა. ოთხი წლის იმპერიალისტური ომით განადგურებული, სამი წლის სამოქალაქო ომით ხელმეორედ განადგურებული ქვეყანა, სანახევროდ წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობით, დაბალი ტექნიკით, მრეწველობის ცალკეული ოაზისებით, რომლებიც ჩაკარგული იყვნენ უწვრილეს გლეხურ მეურნეობათა ზღვაში, — აი როგორი ქვეყანა მივიღეთ მემკვიდრეობად წარსულისაგან. ამოცანა ის იყო, რომ ეს ქვეყანა შუასაუკუნეობრიობისა და სიბნელის რელსებიდან გადაგვეყვანა თანამედროვე ინდუსტრიისა და მანქანიზებული სოფლის მეურნეობის რელსებზე. ამოცანა, როგორც ხედავთ, სერიოზული და ძნელი იყო. საკითხი ასე იდგა: ჩვენ ან გადავჭრიდით ამ ამოცანას უმოკლეს ვადაში და განვამტკიცებდით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმს, ან ვერ გადავჭრიდით მას და მაშინ ჩვენი ქვეყანა — ტექნიკურად სუსტი და კულტურულად ბნელი — დაკარგავდა თავის დამოუკიდებლობას და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სათამაშო ობიექტად გადაიქცეოდა.

ჩვენი ქვეყანა ტექნიკის დარგში მაშინ განიცდიდა უმწვავესი შიმშილის პერიოდს. გვაკლდა მანქანები ინდუსტრიისათვის. არ

გვქონდა მანქანები სოფლის მეურნეობისათვის. არ გვქონდა მანქანები ტრანსპორტისათვის. არ გვქონდა ის ელემენტარული ტექნიკური ბაზა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ქვეყნის ინდუსტრიული გარდაქმნა. მოგვეპოვებოდა მხოლოდ ცალკეული წინაპირობები ასეთი ბაზის შექმნისათვის. საჭირო იყო პირველხარისხოვანი ინდუსტრიის შექმნა. საჭირო იყო ამ ინდუსტრიის წარმართვა იქითკენ, რომ მას ჰქონოდა უნარი ტექნიკურად გარდაექმნა არა მარტო მრეწველობა, არამედ სოფლის მეურნეობაც, ჩვენი სარკინიგზო ტრანსპორტიც. ამისათვის კი საჭირო იყო მსხვერპლის გაღება და ყველაფერში უსასტიკესი მომჭირნეობის გატარება; უნდა გაგვეწია მომჭირნეობა კვებაზედაც, სკოლებზედაც, მანუფაქტურაზედაც, რათა დაგვეგროვებინა საჭირო სახსრები — ინდუსტრიის შესაქმნელად. სხვა გზა ტექნიკის დარგში შიმშილის აღმოსაფხვრელად არ იყო. ასე გვასწავლიდა ჩვენ ლენინი, და ამ საქმეში ჩვენ ლენინის გზით მიდიოდით.

გასაგებია, რომ ასეთ დიდ და ძნელ საქმეში არ შეიძლებოდა გვქონოდა მთლიანი და სწრაფი წარმატებების მოლოდინი. ასეთ საქმეში წარმატებები გამოჩნდებიან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ. ამიტომ საჭირო იყო აღვჭურვილიყავით მაგარი ნერვებით, ბოლშევიკური სიმტკიცით და შეუპოვარი მოთმინებით, რათა გადაგველახა პირველი დაბრკოლებანი და განუხრელად წავსულიყავით წინ დიადი მიზნისაკენ, არ დაგვშვა ჩვენს რიგებში მერყეობა და რწმენის უქონლობა.

თქვენ იცით, რომ ჩვენ ამ საქმეს სწორედ ასე ვუძღვებოდით. მაგრამ ყველა ჩვენს ამხანაგს როდი ეყო ნერვები, მოთმინება და სიმტკიცე. ჩვენს ამხანაგებს შორის აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც პირველი სიძნელეებისთანავე მოგვიწოდეს უკანდახევისაკენ. ნათქვამია, «ვინც ძველს გაიხსენებს, თვალიც დასდგომიაო». ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ ადამიანს მეხსიერება აქვს, და ძალაუნებურად წარსული გაგონდება ჩვენი მუშაობის შედეგების შეჯამების დროს. (**მხიარული გამოცოცხლება დარბაზში**). მაშ ასე. გვყავდა ისეთი ამხანაგები, რომელთაც სიძნელეებისა შეეშინდათ და პარტიას მოუწოდეს უკანდახევისაკენ. ისინი ამბობდნენ: «რად გვინდა თქვენი ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია, მანქანები, შავი მეტალურგია, ტრაქტორები, კომბაინები, ავტომობილები? სჯობდა მეტი მანუფაქტურა მოგეცათ, სჯობდა მეტი ნედლეული შეგეძინათ ფართო მოხმარების საგნების წარმოებისათვის და მეტი მიგეცათ მოსახლეობისათვის ყველა ის წვრილმანი, რაც ადამიანთა ყოფაცხოვრებას ამშვენებს. ინდუსტრიის შექმნა ჩვენი

ჩამორჩენილობის პირობებში, ისიც პირველხარისხოვანი ინდუსტრიისა — საშიში ოცნებაა».

რა თქმა უნდა, ის სამი მილიარდი მანეთი ვალუტა, რაც უსასტიკესი მომჭირნეობით მოვიპოვეთ და ჩვენი ინდუსტრიის შესაქმნელად დავხარჯეთ, — ჩვენ შეგვეძლო მოგვეხმარა ნედლეულის იმპორტისათვის და ფართო მოხმარების საგნების წარმოების გასაძლიერებლად. ესეც ერთგვარი «გეგმაა». მაგრამ ასეთი «გეგმის» დროს ჩვენ არ გვექნებოდა არც მეტალურგია, არც მანქანათმშენებლობა, არც ტრაქტორები და ავტომობილები, არც ავიაცია და ტანკები. ჩვენ უიარაღონი აღმოვჩნდებოდით გარეშე მტრების წინაშე. ჩვენ ძირს გამოვუთხრიდით სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ მოვექცეოდით ბურჟუაზიის, შინაური და გარეშე ბურჟუაზიის, ტყვეობაში.

ცხადია, არჩევანი უნდა მოგვეხდინა ორ გეგმას შორის: ან უნდა აგვერჩია უკანდახევის გეგმა, რომელსაც მივყავდით და არც შეიძლებოდა არ წავეყვანეთ სოციალიზმის დამარცხებისაკენ, ან შეტევის გეგმა, რომელსაც მივყავდით და, როგორც იცით, უკვე მიგვიყვანა სოციალიზმის გამარჯვებამდე ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ ავირჩიეთ შეტევის გზა და გავწიეთ წინ ლენინური გზით, ეს ამხანაგები კი უკან ჩამოვაყენეთ, როგორც ისეთი ადამიანები, რომლებიც ძლივს იხედებოდნენ თავიანთ ცხვირწინ, მაგრამ თვალს ხუჭავდნენ ჩვენი ქვეყნის უახლოეს მომავალზე, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მომავალზე.

მაგრამ ეს ამხანაგები ყოველთვის როდი სჯერდებოდნენ კრიტიკასა და პასიურ წინააღმდეგობას. ისინი გვემუქრებოდნენ აჯანყების მოწყობით პარტიაში ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. კიდევ მეტი: ისინი ზოგიერთ ჩვენთაგანს ტყვიებით ემუქრებოდნენ. როგორც ჩანს, მათ იმედი ჰქონდათ დაგეშინებინეთ და იძულებული გავეხადეთ გადაგვეხვია ლენინური გზიდან. ამ ადამიანებს, ალბათ, დაავიწყდათ, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, განსაკუთრებული ყაიდის ხალხი ვართ. მათ დაავიწყდათ, რომ ბოლშევიკებს ვერ დააშინებ ვერც სიძნელეებით და ვერც მუქარით. მათ დაავიწყდათ, რომ ჩვენ გამოგვჭედა დიდმა ლენინმა, ჩვენმა ბელადმა, ჩვენმა მასწავლებელმა, ჩვენმა მამამ, რომელმაც ბრძოლაში არ იცოდა შიში და არც ცნობდა მას. მათ დაავიწყდათ, რომ რაც უფრო ძლიერ ცოფდებიან მტრები, რაც უფრო მეტად მოსდით ისტერიკა მოწინააღმდეგეებს პარტიის შიგნით, მით უფრო მეტად იწრთობიან ბოლშევიკები ახალი ბრძოლისათვის და მით უფრო გამალებით მიისწრაფიან ისინი წინ.

გასაგებია, რომ ჩვენ არც გვიფიქრია გადახვევა ლენინის გზიდან. კიდევ მეტი, გავმაგრდით რა ამ გზაზე, ჩვენ უფრო გამალებით წავედით წინ, ვაცამტვერებდით გზაზე ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას. მართალია, ამასთან გზადაგზა დაგვჭირდა გვერდების დაზელა ზოგიერთი ამ ამხანაგისათვის. მაგრამ რა გაეწყობა. უნდა გამოვტყდე, რომ მეც მიდევს წილი ამ საქმეში. (**მქუხარე ტაში, შეძახილები: «ვაშა»**).

დიახ, ამხანაგებო, ჩვენ მტკიცე რწმენითა და გამალებით წავედით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გზით. და ახლა ეს გზა შეიძლება უკვე განვლილად ჩაითვალოს.

ახლა უკვე ყველა აღიარებს, რომ ამ გზაზე ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ. ახლა ყველა აღიარებს, რომ ჩვენ უკვე გვაქვს მძლავრი და პირველხარისხოვანი მრეწველობა, მძლავრი და მექანიზებული სოფლის მეურნეობა, გაშლილი და აღმავლობის გზით მიმავალი ტრანსპორტი, ორგანიზებული და საუცხოოდ შეიარაღებული წითელი არმია.

ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ძირითადად უკვე გადავლახეთ ტექნიკის დარგში შიმშილის პერიოდი.

მაგრამ, გადავლახეთ რა ტექნიკის დარგში შიმშილის პერიოდი, ჩვენ შევედით ახალ პერიოდში, პერიოდში, მე ვიტყოდი, შიმშილისა ადამიანთა დარგში, კადრების დარგში, იმ მუშაკთა დარგში, რომელთაც შეუძლიათ ტექნიკის დამორჩილება და მისი წინ წაწევა. საქმე იმაშია, რომ ჩვენ გვაქვს ფაბრიკები, ქარხნები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ტრანსპორტი, გვყავს არმია, გვაქვს ტექნიკა მთელი ამ საქმისათვის, მაგრამ გვაკლია ისეთი ადამიანები, რომელთაც ჰქონდეთ საკმაო გამოცდილება იმისათვის, რომ გამოსწურონ ტექნიკას იმის მაქსიმუმი, რის გამოწურვაც კი მისგან შეიძლება. წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ «ტექნიკა წყვეტს ყველაფერს». ეს ლოზუნგი ჩვენ იმ მხრივ დაგვეხმარა, რომ ტექნიკის დარგში შიმშილის ლიკვიდაცია მოვახდინეთ და მუშაობის ყველა დარგში შევქმენით უფართოესი ტექნიკური ბაზა ჩვენი ადამიანების შესაიარაღებლად პირველხარისხოვანი ტექნიკით. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეს სრულებით და სრულებით არ არის საკმარისი. ტექნიკა რომ ავამოძრაოთ და ბოლომდე გამოვიყენოთ, საჭიროა ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, საჭიროა კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი აითვისონ და გამოიყენონ ეს ტექნიკა ხელოვნების მთელი ოსტატობით. ტექნიკა უადამიანებოდ, რომელთაც დაუფლებული აქვთ ტექნიკა, — მკვდარია. ტექნიკას იმ ადამიანების მეთაურობით, რომლებიც ტექნიკას დაეუფლნენ, შეუძლია

და კიდევაც უნდა მოახდინოს სასწაულები. ჩვენს პირველხარისხოვან ქარხნებსა და ფაბრიკებში, ჩვეხს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ჩვენს ტრანსპორტზე, ჩვენს წითელ არმიაში საკმაო რაოდენობით რომ გვყავდეს კადრები, რომელთაც შეეძლებათ ამ ტექნიკის დაუფლება, მაშინ ჩვენი ქვეყანა სამჯერ და ოთხჯერ მეტ ეფექტს მიიღებდა, ვიდრე ახლა აქვს. აი ამიტომ ახლა მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანებს, კადრებს, მუშაკებს, რომლებიც დაეუფლნენ ტექნიკას. აი ამიტომ ძველი ლოზუნგი — «ტექნიკა წყვეტს ყველაფერს», რომელიც წარმოადგენს უკვე განვლილი პერიოდის გამოხატულებას, როცა ჩვენ შიმშილს განვიცდიდით ტექნიკის დარგში, — ახლა უნდა შეიცვალოს ახალი ლოზუნგით, ლოზუნგით იმის შესახებ, რომ «კადრები წყვეტენ ყველაფერს». ეს არის ახლა მთავარი.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენმა მუშაკებმა მთლიანად გაიგეს და შეიგნეს ამ ახალი ლოზუნგის დიადი მნიშვნელობა? მე ამას ვერ ვიტყოდი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ გვექნებოდა ის უმსგავსო დამოკიდებულება ადამიანებისადმი, კადრებისადმი, მუშაკებისადმი, რასაც არაიშვიათად ვხედავთ ჩვენს პრაქტიკაში. ლოზუნგი — «კადრები წყვეტენ ყველაფერს» — მოითხოვს, რომ ჩვენი ხელმძღვანელნი უაღრესი მზრუნველობით ეკიდებოდნენ ჩვენს მუშაკებს, «პატარებსა» და «დიდებს», რა დარგშიც არ უნდა მუშაობდნენ ისინი, მზრუნველობით ზრდიდნენ მათ, ეხმარებოდნენ, როდესაც დახმარება ესაჭიროებათ, წაახალისებდნენ, როდესაც პირველ წარმატებებს გამოიჩენენ, აწინაურებდნენ მათ და სხვ.. მაგრამ ნამდვილად მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენ გვაქვს მუშაკებისადმი უსულგულო-ბიუროკრატიული და პირდაპირ უმსგავსო დამოკიდებულების ფაქტები. არსებითად, სწორედ ამით აიხსნება, რომ ნაცვლად იმისა, რომ შეისწავლონ ადამიანები და მხოლოდ შესწავლის შემდეგ დააყენონ ისინი პოსტებზე, ხშირად ადამიანებს პაიკებივით ისვრიან აქეთ-იქით. მანქანების დაფასება და პატაკის წარდგენა იმის შესახებ, თუ რაოდენი ტექნიკა მოგვეპოვება ფაბრიკა-ქარხნებში, — ეს ისწავლეს. მაგრამ მე არ ვიცი არც ერთი შემთხვევა, რომ ასეთივე ხალისით წარედგინოთ პატაკი იმაზე, თუ რამდენი ადამიანი აღვზარდეთ ამა თუ იმ პერიოდში და როგორ ვეხმარებოდით ადამიანებს იმაში, რომ ისინი გაზრდილიყვნენ და გამობრძმედილიყვნენ მუშაობაში. რით აიხსნება ეს? ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს ადამიანების დაფასება, მუშაკების დაფასება, კადრების დაფასება.

მე მაგონდება შემთხვევა ციმბირში, სადაც ერთ დროს გადასახლებული ვიყავი. ეს მოხდა გაზაფხულზე, წყალდიდობის დროს. ოცდაათიოდე კაცი წავიდა მდინარეზე ხე-ტყის დასაჭერად, რომელიც ვეებერთელა აბობოქრებულმა მდინარემ გაიტაცა. საღამოს ისინი სოფელში დაბრუნდნენ, მაგრამ ერთი ამხანაგი აკლდათ. როცა შევეკითხე, თუ რა იქნა ოცდამეათე, მათ გულგრილად მიპასუხეს: ოცდამეათე «იქ დარჩაო». ჩემს შეკითხვაზე: «როგორ თუ იქ დარჩა-მეთქი?» მათ ასევე გულგრილად მიპასუხეს: «რაღა საკითხავია, დაიხრჩო, ცხადია». ამავე დროს ერთი მათგანი აფუსფუსდა, სადღაც მიეჩქარებოდა; განაცხადა: «უნდა წავიდე, ცხენს წყალი დავალევინოო». ჩემს საყვედურზე, რომ მათ პირუტყვი უფრო ებრალებათ, ვიდრე ადამიანი, ერთმა მათგანმა ასე მიპასუხა და ეს პასუხი ყველამ მოუწონა: «რა შესაბრალისია ადამიანი? ადამიანის გაკეთება ყოველ წუთს შეგვიძლია. აი ცხენისა კი... აბა სინჯეთ ცხენის გაკეთებაო». (**საერთო გამოცოცხლება დარბაზში**). აი ერთი შტრიხი, იქნებ მცირემნიშვნელოვანი, მაგრამ მეტად დამახასიათებელი. მე მგონია, ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელის უსულგულო დამოკიდებულება ადამიანებისადმი, კადრებისადმი და ადამიანთა დაფასების უნარის უქონლობა წარმოადგენს ადამიანისადმი ადამიანის იმ უცნაური დამოკიდებულების ნაშთს, რომელმაც გამოხატულება პოვა შორეულ ციმბირში მომხდარ და ამ წუთს აქ ნაამბობ ეპიზოდში.

მაშ ასე, ამხანაგებო, თუ გვინდა წარმატებით დავძლიოთ შიმშილი ადამიანთა დარგში და მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავდეს საკმაო კადრები, რომელთაც შეეძლებათ წინ წასწიონ ტექნიკა და აამოქმედონ იგი, — ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა ვისწავლოთ ადამიანთა დაფასება, კადრების დაფასება, თვითეული მუშაკის დაფასება, რომელსაც შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ჩვენს საერთო საქმეს. საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, გავიგოთ, რომ მთელი იმ ძვირფასი კაპიტალებიდან, რომლებიც ქვეყნად მოიპოვება, ყველაზე ძვირფას და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს წარმოადგენენ ადამიანები, კადრები. საჭიროა გავიგოთ, რომ ჩვენს ახლანდელ პირობებში «კადრები წყვეტენ ყველაფერს». თუ გვეყოლება კარგი და მრავალრიცხოვანი კადრები მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, არმიაში, — ჩვენი ქვეყანა უძლეველი იქნება. თუ ასეთი კადრები არ გვეყოლება, — მაშინ ორივე ფეხით ვიკოჭლებთ.

ვამთავრებ რა სიტყვას, ნება მომეცით წარმოვთქვა სადღეგრძელო ჩვენი აკადემიკოსების — წითელი არმიის კურსდამთავრებუ-

ლების ჯანმრთელობისა და წარმატებისათვის! ვუსურვებ მათ წარმატებას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საქმეში!

ამხანაგებო! თქვენ დაამთავრეთ უმაღლესი სკოლა და მიიღეთ იქ პირველი წრთობა. მაგრამ სკოლა მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია. კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ცოცხალ სამუშაოზე, სკოლის გარეთ, სიძნელეებთან ბრძოლისას, სიძნელეების გადალახვისას. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ მხოლოდ ის კადრებია კარგი, რომელთაც სიძნელეებისა არ ეშინიათ, რომლებიც სიძნელეებს არ გაურბიან, არამედ, პირიქით, — სიძნელეებს ეგებებიან იმისათვის, რომ გადალახონ და ლიკვიდაცია უყონ მათ. მხოლოდ სიძნელეებთან ბრძოლაში იწრთობიან ნამდვილი კადრები. და თუ ჩვენს არმიას საკმარისი რაოდენობით ეყოლება გამოწრთობილი კადრები, იგი უძლეველი იქნება.

თქვენი სადღეგრძელო იყოს, ამხანაგებო! (**მთელი დარბაზის მჭუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან და ხმამაღლა «ვაშას» ძახილით მიესალმებიან ამხანაგ სტალინს**).

სიტყვა სტახანოველთა სრულიად საკავშირო პირველ თათბირზე

1935 წ. 17 ნოემბერი

1. სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა

ამხანაგებო! სტახანოველებზე აქ, ამ თათბირზე, ისე ბევრი და ისე კარგად ილაპარაკეს, რომ მე, კაცმა რომ თქვას, ცოტაღა დამრჩენია სალაპარაკო. მაინც, რაკი ტრიბუნაზე გამომიწვიეს, უნდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა.

სტახანოვური მოძრაობა არ შეიძლება მუშათა და მუშა-ქალთა ჩვეულებრივ მოძრაობად მივიჩნიოთ. სტახანოვური მოძრაობა მუშათა და მუშა-ქალთა ისეთი მოძრაობაა, რომელიც ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში შევა, როგორც მისი ერთ-ერთი უაღრესად სასახელო ფურცელი.

რაში მდგომარეობს სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა?

უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ იგი გამოხატავს სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას, სოციალისტური შეჯიბრების ახალ, უმაღლეს ეტაპს. რატომ ახალს, რატომ უმაღლესს? იმიტომ, რომ იგი, სტახანოვური მოძრაობა, ხელსაყრელად განსხვავდება, როგორც სოციალისტური შეჯიბრების გამოხატულება, სოციალისტური შეჯიბრების ძველი ეტაპისაგან. წარსულში, სამიოდე წლის წინათ, სოციალისტური შეჯიბრების პირველი ეტაპის პერიოდში, სოციალისტური შეჯიბრება აუცილებლად როდი იყო დაკავშირებული ახალ ტექნიკასთან. მაშინ ჩვენ, კაცმა რომ თქვას, თითქმის არც კი გვქონია ახალი ტექნიკა. სოციალისტური შეჯიბრების ახალი ეტაპი კი — სტახანოვური მოძრაობა, პირიქით, — აუცილებლად დაკავშირებულია ახალ ტექნიკასთან. სტახანოვური მოძრაობა წარმოუდგენელი იქნებოდა ახალი, უმაღლესი ტექნიკის უქონლად. თქვენს წინაშეა ისეთი ადამიანები, როგორიც არიან ამხანაგები — სტახანოვი, ბუსიგინი, სმეტანინი, კრივონოსი, პრონინი, ვინოგრადოვები და სხვა მრავალნი, ახალი ადამიანები, მუშები და მუშა-ქალები, რომლებიც სავსებით დაუფლებიან თავიანთი საქმის ტექნიკას და რომლებმაც მთლიანად დაიმორჩილეს იგი და წინ წასწიეს. ასეთი ადამიანები ჩვენ არ გვყოლია ან თითქმის არ

გვყოლია სამიოდე წლის წინათ. ესენი არიან ახალი, განსაკუთრებული ადამიანები.

შემდეგ. სტახანოვური მოძრაობა მუშათა და მუშა-ქალთა ისეთი მოძრაობაა, რომელიც მიზნად ისახავს ახლანდელი ტექნიკური ნორმების გადალახვას, არსებულ საპროექტო სიმძლავრეთა გადალახვას, არსებული საწარმოო გეგმებისა და ბალანსების გადალახვას. გადალახვას — იმიტომ, რომ ისინი, ეს ნორმები, უკვე მოძველდნენ ჩვენი დღეებისათვის, ჩვენი ახალი ადამიანებისათვის. ეს მოძრაობა ამსხვრევს ძველ შეხედულებებს ტექნიკაზე, ამსხვრევს ძველ ტექნიკურ ნორმებს, ძველ საპროექტო სიმძლავრეებს, ძველ საწარმოო გეგმებს და მოითხოვს ახალი, უფრო მაღალი ტექნიკური ნორმების, საპროექტო სიმძლავრეების, საწარმოო გეგმების შექმნას. ის მოწოდებულია რევოლუცია მოახდინოს ჩვენს მრეწველობაში. სწორედ ამიტომ იგი, სტახანოვური მოძრაობა, თავისი საფუძვლით უაღრესად რევოლუციურია.

აქ უკვე თქვეს, რომ სტახანოვური მოძრაობა, როგორც ახალი, უფრო მაღალი ტექნიკური ნორმების გამოხატულება, წარმოადგენს შრომის იმ მაღალი ნაყოფიერების ნიმუშს, რის მოცემაც შეუძლია მხოლოდ სოციალიზმს და რის მოცემაც არ შეუძლია კაპიტალიზმს. ეს სავსებით მართალია. რატომ დაამარცხა და სძლია კაპიტალიზმმა ფეოდალიზმი? იმიტომ, რომ მან შექმნა შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალი ნორმები, მან საზოგადოებას შესაძლებლობა მისცა გაცილებით მეტი პროდუქტები მიეღო, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა ფეოდალური წესწყობილების დროს. იმიტომ, რომ მან უფრო მდიდარი გახადა საზოგადოება. რატომ შეუძლია და უნდა დაამარცხოს, აუცილებლადაც დაამარცხებს სოციალიზმი მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას? იმიტომ, რომ მას შეუძლია მოგვცეს შრომის უფრო მაღალი ნიმუშები, შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება, ვიდრე მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას. იმიტომ, რომ მას შეუძლია მისცეს საზოგადოებას მეტი პროდუქტები და შეუძლია გახადოს საზოგადოება უფრო მდიდარი, ვიდრე მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემას.

ზოგი ფიქრობს, რომ სოციალიზმის განმტკიცება შეიძლება ადამიანთა ერთგვარი მატერიალური გათანასწორებით ღარიბული ცხოვრების ბაზაზე. ეს არ არის მართალი. ეს წვრილბურჟუაზიული წარმოდგენაა სოციალიზმზე. ნამდვილად კი სოციალიზმს შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ შრომის მაღალი ნაყოფიერების ბაზაზე, უფრო მაღალი ნაყოფიერებისა, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, პროდუქტებისა და მოხმარების ყოველგვარი საგნის სიუხვის ბაზაზე, საზო-

გადოების ყველა წევრის შეძლებული და კულტურული ცხოვრების ბაზაზე. მაგრამ იმისათვის, რომ სოციალიზმმა შესძლოს მიაღწიოს ამ თავის მიზანს და ყველაზე შეძლებული გახადოს ჩვენი საბჭოთა საზოგადოება, — საჭიროა ჩვენს ქვეყანაში გვქონდეს შრომის ისეთი ნაყოფიერება, რომელიც უნდა სჯარბობდეს მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების შრომის ნაყოფიერებას. უამისოდ ფიქრიც არ შეიძლება პროდუქტებისა და მოხმარების ყოველგვარი საგნის სიუხვეზე. სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს ისეთ მოძრაობას, რომელიც ამსხვრევს ძველ ტექნიკურ ნორმებს, როგორც არასაკმარისს, აჭარბებს მთელ რიგ შემთხვევაში მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების შრომის ნაყოფიერებას და, ამრიგად, ქმნის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომი განმტკიცების პრაქტიკულ შესაძლებლობას, ჩვენი ქვეყნის ყველაზე შეძლებულ ქვეყნად გადაქცევის შესაძლებლობას.

მაგრამ სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. მისი მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამზადებს პირობებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად.

სოციალიზმის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში თვითეული მუშაობს თავისი უნარის მიხედვით და მოხმარების საგნებს იღებს არა თავისი მოთხოვნილების, არამედ იმ მუშაობის მიხედვით, რომელიც მას საზოგადოებისათვის გაუწევია. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე ჯერ კიდევ მაღალი არ არის, გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირება კვლავ არსებობს, შრომის ნაყოფიერება ჯერ კიდევ არ არის ისე დიდი, რომ მან უზრუნველყოს მოხმარების საგნების სიუხვე, რის გამო საზოგადოება იძულებულია გაანაწილოს მოხმარების საგნები საზოგადოების წევრთა არა მოთხოვნილების შესაბამისად, არამედ საზოგადოებისათვის მათ მიერ გაწეული მუშაობის შესაბამისად.

კომუნიზმი განვითარების უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს. კომუნიზმის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში თვითეული მუშაობს თავისი უნარის მიხედვით და მოხმარების საგნებს იღებს არა იმ მუშაობის მიხედვით, რომელიც მას გაუწევია, არამედ კულტურულად განვითარებული ადამიანის იმ მოთხოვნილების მიხედვით, რომელიც მას აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე საკმაოდ მაღალი გახდა იმისათვის, რომ საფუძველი გამოეცალოს გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირებას, რომ გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირება უკვე გაქრა, ხოლო შრომის ნაყოფიერება ისეთ მაღალ საფეხურზე

ავიდა, რომ მას შეუძლია უზრუნველყოს მოხმარების საგნების სრული სიუხვე, რის გამო საზოგადოებას საშუალება აქვს გაანაწილოს ეს საგნები თავის წევრთა მოთხოვნილების შესაბამისად.

ზოგი ფიქრობს, რომ გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსპობას შეიძლება მივაღწიოთ გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკთა ერთგვარი კულტურულ-ტექნიკური გათანასწორებით — ინჟინერთა და ტექნიკოსთა, გონებრივი შრომის მუშაკთა კულტურულ-ტექნიკური დონის საშუალო-კვალიფიციური მუშების დონემდე ჩამოქვეითების ბაზაზე. ეს სრულიად არ არის მართალი. მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ მოლაყბეებს შეუძლიათ ასეთი წარმოდგენა იქონიონ კომუნიზმზე. ნამდვილად კი გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსპობას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმის ბაზაზე, თუ მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკურ დონეს საინჟინერო-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე ავწევთ. სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ასეთი აწევა განუხორციელებელი იყოს. მისი განხორციელება სავსებით შესაძლებელია საბჭოთა წყობილების პირობებში, სადაც ქვეყნის საწარმოო ძალები განთავისუფლებული არიან კაპიტალიზმის ხუნდებისაგან, სადაც შრომა განთავისუფლებულია ექსპლოატაციის უღლისაგან, სადაც ხელისუფლებას სათავეში უდგას მუშათა კლასი და სადაც მუშათა კლასის ახალგაზრდა თაობას აქვს ყველა შესაძლებლობა — უზრუნველყოს თავისთვის საკმაო ტექნიკური განათლება. არავითარი საბუთი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მუშათა კლასის მხოლოდ ასეთს კულტურულ-ტექნიკურ აღმავლობას შეუძლია საფუძველი გამოაცალოს გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირებას, რომ მხოლოდ მას შეუძლია უზრუნველყოს შრომის ის მაღალი ნაყოფიერება და მოხმარების საგნების ის სიუხვე, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ დავიწყოთ გადასვლა სოციალიზმიდან კომუნიზმზე.

სტახანოვური მოძრაობა ამ გაგებით იმ მხრივ არის ლირსშესანიშნავი, რომ იგი შეიცავს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის სწორედ ასეთი კულტურულ-ტექნიკური აღმავლობის პირველ საწყისებს, მართალია, ჯერ კიდევ სუსტს, მაგრამ მაინც საწყისებს.

მართლაც. დააკვირდით ამხანაგ სტახანოველებს. რა ადამიანები არიან ესენი? ესენი, უმთავრესად, არიან ახალგაზრდა ან შუახნის მუშები და მუშა-ქალები, კულტურული და ტექნიკურად მომზადებული ადამიანები, რომლებიც მუშაობის სიზუსტისა და აკურატობის ნიმუშებს იძლევიან, რომელთაც შეუძლიათ დააფასონ დროის ფაქტორი მუშაობაში და რომელთაც უსწავლიათ დროის ანგა-

რიში არა მარტო წუთობით, არამედ წამობითაც კი. მათს უმეტესობას გავლილი აქვს ეგრეთწოდებული ტექნიკური მინიმუმი და განაგრძობს თავისი ტექნიკური განათლების შევსებას. ისინი თავისუფალი არიან ზოგი ინჟინრის, ტექნიკოსისა და სამეურნეო მუშაკის კონსერვატიზმისა და დახავსებულობისაგან; ისინი გაბედულად მიდიან წინ, ამსხვრევენ მოძველებულ ტექნიკურ ნორმებს და ქმნიან ახალ, უფრო მაღალ ნორმებს; მათ შეაქვთ შესწორებანი ჩვენი მრეწველობის ხელმძღვანელთა მიერ შედგენილ საპროექტო სიმძლავრეებსა და სამეურნეო გეგმებში; ისინი ხშირად დამატებითს მითითებებს აძლევენ და უსწორებენ ინჟინრებსა და ტექნიკოსებს; ისინი ხშირად ასწავლიან და წინ ეწევიან მათ, ვინაიდან ესენი არიან ადამიანები, რომლებიც სავსებით დაუფლებიან თავიანთი საქმის ტექნიკას და რომელთაც უნარი შესწევთ გამოსწურონ ტექნიკას იმის მაქსიმუმი, რის გამოწურვაც კი მისგან შეიძლება. დღეს სტახანოველები ჯერ კიდევ ცოტანი არიან, მაგრამ ვის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ხვალ ისინი ერთიათად მეტნი იქნებიან? განა ცხადი არ არის, რომ სტახანოველები ნოვატორები არიან ჩვენს მრეწველობაში, რომ სტახანოვური მოძრაობა წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის მომავალს, რომ იგი შეიცავს მუშათა კლასის მომავალი კულტურულ-ტექნიკური აღმავლობის თესლს, რომ იგი გვიხსნის იმ გზას, რომელიც ერთადერთია შრომის ნაყოფიერების იმ უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად, რაც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად და გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსასპობად?

ასეთია, ამხანაგებო, სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ფიქრობდნენ თუ არა სტახანოვური მოძრაობის ამ დიდ მნიშვნელობაზე სტახანოვი და ბუსიგინი, როცა ისინი ძველი ტექნიკური ნორმების დამსხვრევას იწყებდნენ? რა თქმა უნდა, არა. მათ ჰქონდათ თავიანთი საზრუნავი, — ისინი ცდილობდნენ გარღვევიდან გამოეყვანათ საწარმო და გადაჭარბებით შეესრულებინათ სამეურნეო გეგმა. მაგრამ, როცა ისინი ამ მიზნის მიღწევას ცდილობდნენ, მათ დასჭირდათ დაემსხვრიათ ძველი ტექნიკური ნორმები და განევითარებინათ შრომის მაღალი ნაყოფიერება, რომელმაც მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნებისას გადააჭარბა. მაგრამ სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ამ გარემოებას შეუძლია ოდნავ მაინც შეამციროს სტახანოველთა მოძრაობის დიდი ისტორიული მნიშვნელობა.

იგივე შეიძლება ითქვას იმ მუშებზე, რომლებმაც ჩვენს ქვეყანაში პირველად შექმნეს მუშათა დეპუტატების საბჭოები 1905 წელს. ისინი, რა თქმა უნდა, არ ფიქრობდნენ, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოები გადაიქცეოდნენ სოციალისტური წყობილების საფუძვლად. ისინი მხოლოდ იგერიებდნენ ცარიზმს, ბურჟუაზიას, როცა ქმნიდნენ მუშათა დეპუტატების საბჭოებს. მაგრამ ეს გარეშოება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ უდავო ფაქტს, რომ მოძრაობას მუშათა დეპუტატების საბჭოებისათვის, რომელიც 1905 წელს ლენინგრადისა და მოსკოვის მუშებმა დაიწყეს, საბოლოო ანგარიშში მოჰყვა კაპიტალიზმის განადგურება და სოციალიზმის გამარჯვება მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში.

2. სტახანოვური მოძრაობის ფესვები

ჩვენ ახლა ვიმყოფებით სტახანოვური მოძრაობის აკვანთან, მის სათავესთან.

საჭიროა აღვნიშნოთ სტახანოვური მოძრაობის ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი.

თვალში გეცემათ, უწინარეს ყოვლისა, ის ფაქტი, რომ იგი, ეს მოძრაობა, დაიწყო როგორღაც თავისთავად, თითქმის სტიქიურად, ქვემოდან, ისე, რომ აქ არ ყოფილა რაიმე ზეგავლენა ჩვენი საწარმოების ადმინისტრაციის მხრივ. უფრო მეტიც. ეს მოძრაობა ჩაისახა და გაშლა იწყო რამდენადმე ჩვენი საწარმოების ადმინისტრაციის ნება-სურვილის წინააღმდეგ, მასთან ბრძოლითაც კი. ამხანაგმა მოლოტოვმა უკვე გიამბოთ, თუ რა ტანჯვა გამოიარა ამხ. მუსინსკიმ, არხანგელსკელმა მხერხავმა, როდესაც იგი სამეურნეო ორგანიზაციის მალულად, კონტროლიორების მალულად იმუშავებდა ახალ, უფრო მაღალ ტექნიკურ ნორმებს. თვით სტახანოვის ბედიც უკეთესი არ იყო, ვინაიდან მას უხდებოდა თავისი წინსვლის დროს თავი დაეცვა არა მარტო ადმინისტრაციის ზოგიერთი თანამდებობის პირებისაგან, არამედ ზოგიერთი მუშისგანაც, რომელნიც დაცინოდნენ და დევნიდნენ მას «სიახლეების» გამო. რაც შეეხება ბუსიგინს, ცნობილია, რომ თავისი «სიახლეებისათვის» მან კინაღამ სამუშაო დაკარგა ქარხანაში, და მხოლოდ საამქროს უფროსის ამხ. სოკოლინსკის ჩარევამ მისცა საშუალება დარჩენილიყო ქარხანაში.

როგორც ხედავთ, თუ კი ადგილი ჰქონდა რაიმე ზეგავლენას ჩვენი საწარმოების ადმინისტრაციის მხრივ, ეს ზეგავლენა ხელს კი არ უწყობდა სტახანოვურ მოძრაობას, არამედ წინ ეღობებოდა მას. მაშასადამე. სტახანოვური მოძრაობა ჩაისახა და გაიშალა როგორც ქვემოდან მომდინარე მოძრაობა. და სწორედ იმიტომ, რომ იგი

ჩაისახა თავისთავად, სწორედ იმიტომ, რომ იგი ქვემოდან მოდის, იგი წარმოადგენს თანამედროვეობის ყველაზე ცხოველმყოფელ და უძლეველ მოძრაობას.

შემდეგ, საჭიროა შევჩერდეთ სტახანოვური მოძრაობის კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებაზე. იგი, ეს დამახასიათებელი თვისება, იმაში მდგომარეობს, რომ სტახანოვური მოძრაობა მოედო მთელ ჩვენს საბჭოთა კავშირს არა თანდათანობით, არამედ რაღაც უნახავი სისწრაფით, გრიგალივით. რით დაიწყო საქმე? სტახანოვმა ქვანახშირის ამოღების ტექნიკური ნორმა ერთიხუთად ან ერთიექვსად გაადიდა, თუ მეტად არა. ბუსიგინმა და სმეტანინმა იგივე ჰქნეს, ერთმა — მანქანათმშენებლობის დარგში, მეორემ — ფეხსაცმლის მრეწველობის დარგში. გაზეთებმა ეს ფაქტები გამოაქვეყნეს. და უცებ — სტახანოვური მოძრაობის ალი მთელ ჩვენს ქვეყანას მოედო. რაშია აქ საქმე? საიდან გაჩნდა ასეთი სისწრაფე სტახანოვური მოძრაობის გავრცელებაში? იქნებ სტახანოვი და ბუსიგინი დიდი ორგანიზატორები არიან, დიდი ნაცნობობა აქვთ სსრ კავშირის ოლქებსა და რაიონებში, და მათ თვითონ მოაწყეს ეს საქმე? არა, რა თქმა უნდა, არა! იქნებ სტახანოვსა და ბუსიგინს იმის პრეტენზია აქვთ, რომ დიდი ფიგურები იყვნენ ჩვენს ქვეყანაში, და მათ თვითონ გაავრცელეს სტახანოვური მოძრაობის ნაპერწკლები მთელ ჩვენს ქვეყანაში? არც ეს არის მართალი. თქვენ ნახეთ აქ სტახანოვი და ბუსიგინი. ისინი თათბირზე გამოვიდნენ. ისინი უბრალო და თავმდაბალი ადამიანები არიან, რომელთაც არავითარი პრეტენზია არა აქვთ საკავშირო მასშტაბის ფიგურების სახელი მოიხვეჭონ. მე ისიც კი მგონია, რომ ისინი რამდენადმე შემკრთალნი არიან იმ მოძრაობის გაქანებით, რომელიც გაჩაღდა ჩვენში მათი მოლოდინის წინააღმდეგ. და თუ, მიუხედავად ამისა, სტახანოვისა და ბუსიგინის გადასროლილი წუმწუმა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მთელი ეს საქმე ალად ავარდნილიყო, — ეს იმას ნიშნავს, რომ სტახანოვური მოძრაობა სავსებით მომწიფებულ საქმეს წარმოადგენს. მხოლოდ ისეთ მოძრაობას, რომელიც სავსებით მომწიფდა და ბიძგს-ღა ელის იმისათვის, რომ ლაღად გაიჭრას, — მხოლოდ ასეთ მოძრაობას შეეძლო ასე სწრაფად გავრცელებულიყო და თოვლის გუნდასავით გაზრდილიყო.

რით უნდა აიხსნას, რომ სტახანოვური მოძრაობა სავსებით მომწიფებული საქმე აღმოჩნდა? რა არის იმის მიზეზები. რომ იგი ასე სწრაფად გავრცელდა? როგორია სტახანოვური მოძრაობის ფესვები?

ისინი, ეს მიზეზები, ოთხი მაინცაა.

1) სტახანოვური მოძრაობის საფუძველი გახდა, უწინარეს ყოვლისა, მუშათა მატერიალური მდგომარეობის ძირფესვიანი გაუმჯობესება. ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო. ცხოვრება უფრო საამური გახდა. ხოლო როდესაც საამურად ცხოვრობ, მუშაობა ხალისიანად მიდის. აქედან გამომდინარეობს გამომუშავების მაღალი ნორმები. ამით აიხსნება, რომ გვყავანან შრომის გმირები და გმირი ქალები. ამაშია, უწინარეს ყოვლისა, სტახანოვური მოძრაობის ფესვი. ჩვენში რომ კრიზისი ყოფილიყო, ჩვენში რომ ყოფილიყო უმუშევრობა — მუშათა კლასის ეს რისხვა, ჩვენში რომ ცხოვრება უხეირო, უხალისო, უსიხარულო ყოფილიყო, არავითარი სტახანოვური მოძრაობა არ გვექნებოდა. (ტაში). ჩვენი პროლეტარული რევოლუცია წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ რევოლუციას, რომელსაც წილად ხვდა ეჩვენებინა ხალხისათვის არა მარტო თავისი პოლიტიკური შედეგები, არამედ მატერიალური შედეგებიც. ყველა მუშურ რევოლუციათა შორის ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი რევოლუცია, რომელმაც ძლივძლივობით დაიპყრო ძალაუფლება. ეს იყო პარიზის კომუნა. მაგრამ მან დიდხანს ვერ იარსება. მართალია, მან სცადა დაემსხვრია კაპიტალიზმის ხუნდები, მაგრამ ვერ მოასწრო მათი დამსხვრევა და მით უმეტეს ვერ მოასწრო ეჩვენებინა ხალხისათვის რევოლუციის საკეთილო მატერიალური შედეგები. ჩვენი რევოლუცია წარმოადგენს ერთადერთ რევოლუციას, რომელმაც არა მარტო დაამსხვრია კაპიტალიზმის ხუნდები და თავისუფლება მისცა ხალხს, არამედ ისიც მოასწრო, რომ მიეცა ხალხისათვის მატერიალური პირობები შეძლებული ცხოვრებისათვის. ამაშია ჩვენი რევოლუციის ძალა და უძლეველობა. რა თქმა უნდა, კარგია კაპიტალისტების განდევნა, მემამულეების განდევნა, მეფის დამქაშების განდევნა, ძალაუფლების დაპყრობა და თავისუფლების მიღება. ეს ძალიან კარგია. მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო თავისუფლება სრულებითაც არ კმარა. თუ გაკლია პური, გაკლია კარაქი და ცხიმები, გაკლია ფართალი, თუ საცხოვრებელი ბინები ცუდია, მაშინ მარტო თავისუფლებით შორს ვერ წახვალ. ძალიან ძნელია, ამხანაგებო, მარტო თავისუფლებით ცხოვრება. (**მოწონების ხმები, ტაში**). კარგი და საამური ცხოვრება რომ შეიძლებოდეს, საჭიროა პოლიტიკური თავისუფლების სიკეთეს მატერიალური სიკეთეც ემატებოდეს. ჩვენი რევოლუციის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ მან მისცა ხალხს არა მარტო თავისუფლება, არამედ მატერიალური სიკეთეც, შეძლებული და კულტურული ცხოვრების შესაძლებლობაც. აი რატომ გახდა ჩვენში ცხოვრება უფრო საამური და აი რა ნიადაგზე აღმოცენდა სტახანოვური მოძრაობა.

2) სტახანოვური მოძრაობის მეორე წყარო ჩვენში არის ექსპლოატაციის არარსებობა. ადამიანები ჩვენში მუშაობენ არა ექსპლოატატორებისათვის, არა მუქთახორების გასამდიდრებლად, არამედ თავისათვის, თავიანთი კლასისათვის, თავიანთი, საბჭოთა საზოგადოებისათვის, სადაც ხელისუფლების სათავეში მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანები დგანან. სწორედ ამიტომ არის, რომ შრომას ჩვენში საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, იგი ღირსებისა და სახელის საქმეს წარმოადგენს. კაპიტალიზმის დროს შრომას კერძო, პირადი ხასიათი აქვს. მეტს გამოიმუშავებ, მეტსაც მიიღებ და იცხოვრე, როგორც გენებოს. არც არაფრად მიაჩნიხარ ვისმე და არცა სურს მიგიჩნიოს. შენ კაპიტალისტებისათვის მუშაობ, შენ მათ ამდიდრებ? მაშ როგორ გინდა? იმისათვის დაგიქირავეს, რომ ექსპლოატატორები გაამდიდრო. თუ ეს არ მოგწონს, მიბრძანდი უმუშევართა რიგებში და იბოგინე, როგორც გენებოს. — ჩვენ სხვებს, უფრო თვინიერებს ვიპოვითო. სწორედ ამიტომ არის, რომ ადამიანის შრომა კაპიტალიზმის დროს დიდად როდი ფასობს. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში სტახანოვურ მოძრაობას ადგილი ვერ ექნება. სხვანაირად არის საქმე საბჭოთა წყობილების პირობებში. აქ მშრომელი ადამიანი პატივისცემითაა გარემოსილი. აქ იგი მუშაობს არა ექსპლოატატორებისათვის, არამედ თავისათვის, თავისი კლასისათვის, საზოგადოებისათვის. აქ მშრომელი ადამიანი თავს მივიწყებულად და ეულად ვერ იგრძნობს. პირიქით, მშრომელი ადამიანი ჩვენში თავს გრძნობს თავისი ქვეყნის თავისუფალ მოქალაქედ, ერთგვარ საზოგადოებრივ მოღვაწედ. და თუ იგი კარგად მუშაობს და საზოგადოებას აძლევს იმას, რის მიცემაც შეუძლია, — ის შრომის გმირია, იგი დიდებითაა შემოსილი. ცხადია, მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლებოდა ჩასახულიყო სტახანოვური მოძრაობა.

3) სტახანოვური მოძრაობის მესამე წყაროდ უნდა ჩაითვალოს ახალი ტექნიკის არსებობა ჩვენში. სტახანოვური მოძრაობა ორგანულად დაკავშირებულია ახალ ტექნიკასთან. რომ არ გვქონოდა ახალი ტექნიკა, არ გვქონოდა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, არ გვქონოდა ახალი მოწყობილობა, ისე სტახანოვური მოძრაობა ჩვენში ვერ ჩაისახებოდა. ახალი ტექნიკის უქონლად შეიძლება ტექნიკური ნორმები, სულ ბევრი, ერთიორად გავადიდოთ. და თუ სტახანოველებმა ტექნიკური ნორმები ერთიხუთად და ერთიექვსად ვაადიდეს, ეს ნიშნავს, რომ ისინი სავსებით და მთლიანად ახალ ტექნიკას ეყრდნობიან. ამრიგად, გამოდის, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების რეკონსტრუქცია,

ახალი ტექნიკისა და ახალი მოწყობილობის არსებობა შეიქნა ერთი იმ მიზეზთაგანი, რომლებმაც სტახანოვური მოძრაობა წარმოშვეს.

4) მაგრამ მარტო ახალი ტექნიკით შორს ვერ წახვალ. შეიძლება გქონდეს პირველხარისხოვანი ტექნიკა, პირველხარისხოვანი ფაბრიკები და ქარხნები, მაგრამ თუ არ მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ეს ტექნიკა დაიმორჩილონ, ტექნიკა ცარიელ ტექნიკად დაგრჩებათ. ახალმა ტექნიკამ რომ თავისი შედეგები მოგვცეს, უნდა გვყავდეს აგრეთვე ადამიანები, მუშათა და მუშა-ქალთა კადრები, რომელთაც შეეძლებათ სათავეში ჩაუდგნენ ტექნიკას და წინ წასწიონ იგი. სტახანოვური მოძრაობის ჩასახვა და ზრდა იმას ნიშნავს, რომ ჩვენში მუშათა და მუშა-ქალთა შორის ასეთი კადრები უკვე გაჩნდნენ. ორიოდე წლის წინათ პარტიამ თქვა, რომ ახალი ქარხნებისა და ფაბრიკების აგებით, ჩვენი საწარმოებისათვის ახალი მოწყობილობის მიცემით — საქმის მხოლოდ ნახევარი გავაკეთეთ. პარტიამ მაშინ თქვა, რომ ახალი ქარხნების მშენებლობის ენთუზიაზმი უნდა შევავსოთ მათი ათვისების ენთუზიაზმით, რომ მხოლოდ ასეთი გზით შეგვიძლია საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. აშკარაა, ამ ორი წლის განმავლობაში ხდებოდა ამ ახალი ტექნიკის ათვისება და ახალი კადრების წარმოშობა. ახლა ცხადია, რომ ასეთი კადრები ჩვენ უკვე გვყვანან. ცხადია, ასეთი კადრები, ეს ახალი ადამიანები რომ არ გვყოლოდა, ჩვენ არავითარი სტახანოვური მოძრაობა არ გვექნებოდა. ამგვარად, მუშათა და მუშა-ქალთა წრიდან გამოსული ახალი ადამიანები, რომლებსაც აუთვისებიათ ახალი ტექნიკა, გადაიქცნენ იმ ძალად, რომელმაც გააფორმა და წინ წასწია სტახანოვური მოძრაობა.

ასეთია ის პირობები, რომლებმაც წარმოშვეს და წინ წასწიეს სტახანოვური მოძრაობა.

3. ახალი ადამიანები — ახალი ტექნიკური ნორმები

მე ვთქვი, რომ სტახანოვური მოძრაობა განვითარდა არა თანდათანობის წესით, არამედ იმ აფეთქების წესით, რომელმაც გაგლიჯა რომელიღაც კაშხალი. ცხადია, მას მოუხდა რაღაც დაბრკოლებათა გადალახვა. ვიღაც უშლიდა მას ხელს, ვიღაც თრგუნავდა მას, და აი, მოიკრიბა რა ძალ-ღონე, სტახანოვურმა მოძრაობამ გადალახა ეს დაბრკოლებანი და მოედო ქვეყანას.

რაშია აქ საქმე, სახელდობრ, ვინ უშლიდა ხელს?

ხელს უშლიდნენ ძველი ტექნიკური ნორმები და ის ადამიანები, რომლებიც ამ ნორმების ზურგს უკან იდგნენ. რამდენიმე წლის

წინათ ჩვენმა ინჟინერ-ტექნიკურმა და სამეურნეო მუშაკებმა შეადგინეს ერთგვარი ტექნიკური ნორმები ჩვენი მუშებისა და მუშა-ქალების ტექნიკურ ჩამორჩენილობასთან შეფარდებით. მას შემდეგ რამდენიმე წელიწადმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ადამიანები გაიზარდნენ და ტექნიკურად გამოიბრძმედნენ. ტექნიკური ნორმები კი უცვლელი რჩებოდა. გასაგებია, რომ ეს ნორმები ახლა ჩვენი ახალი ადამიანებისათვის მოძველებული აღმოჩნდა. ახლა ყველა იწუნებს მოქმედ ტექნიკურ ნორმებს. მაგრამ ისინი ციდან ხომ არ ჩამოცვენილან. საქმე აქ სრულიადაც ის კი არ არის, რომ ეს ტექნიკური ნორმები თავის დროზე შედგენილი იყო როგორც შემცირებული ნორმები. საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ახლა, როცა ეს ნორმები უკვე მოძველდნენ, ცდილობენ დაიცვან ისინი, როგორც თანამედროვე ნორმები. ებღაუპებიან ჩვენი მუშებისა და მუშა-ქალების ტექნიკურ ჩამორჩენილობას, გეზს იღებენ ამ ჩამორჩენილობისაკენ, ეყრდნობიან ჩამორჩენილობას, და, ბოლოს, საქმე იქამდე მიდის, რომ იწყებენ ჩამორჩენილობანას თამაშს. მაგრამ რა უნდა ვქნათ, როცა ეს ჩამორჩენილობა წარსულს ჰბარდება? ნუთუ ქედს მოვიხრით ჩვენი ჩამორჩენილობის წინაშე და დავისახავთ მას ხატად, ფეტიშად? როგორ მოვიქცეთ, თუ მუშები და მუშა-ქალები უკვე გაიზარდნენ და ტექნიკურად გამოიბრძმედნენ? როგორ მოვიქცეთ, თუ ძველი ტექნიკური ნორმები უკვე არ შეეფერებიან სინამდვილეს, ხოლო ჩვენმა მუშებმა და მუშა-ქალებმა უკვე საქმით გადააჭარბეს მათ ერთიხუთად, ერთიათად? განა ჩვენ როდისმე მიგვიცია ჩვენი ჩამორჩენილობის ერთგულების ფიცი? მგონი, ასეთი რამ არ ჩაგვიდენია, ამხანაგებო? (საერთო სიცილი). განა ჩვენ იმას ვეყრდნობოდით, რომ ჩვენი მუშები და მუშა-ქალები სამუდამოდ ჩამორჩენილები დარჩებიან? თითქოს, ამას არ ვეყრდნობოდით? (საერთო სიცილი). მაშ რაშია საქმე? ნუთუ ჩვენ არ გვეყოფა გაბედულობა — გავტეხოთ ზოგიერთი ჩვენი ინჟინრისა და ტექნიკოსის კონსერვატიზმი, გავტეხოთ ძველი ტრადიციები და ნორმები და გასაქანი მივცეთ მუშათა კლასის ახალ ძალებს?

ლაპარაკობენ მეცნიერებაზე. ამბობენ, მეცნიერების მონაცემები, ტექნიკური ცნობარებისა და ინსტრუქციების მონაცემები ეწინააღმდეგებიან სტახანოველთა მოთხოვნებს ახალი, უფრო მაღალი, ტექნიკური ნორმების შესახებო. მაგრამ რა მეცნიერებაზეა აქ ლაპარაკი? მეცნიერების მონაცემებს მუდამ ამოწმებდნენ პრაქტიკით, გამოცდილებით. მეცნიერება, რომელსაც გაუწყვეტია კავშირი პრაქტიკასთან, გამოცდილებასთან, — ეს რაღა მეცნიერებაა?

მეცნიერება რომ ისეთი იყოს, როგორც მას ზოგიერთი ჩვენი კონსერვატიული ამხანაგი გვისახავს, მაშინ იგი დიდი ხანია დაიღუპებოდა კაცობრიობისათვის. მეცნიერებას სწორედ იმიტომ ეწოდება მეცნიერება, რომ იგი არა ცნობს ფეტიშებს, მას არ ეშინია აღმართოს ხელი დრომოჭმულის, ძველის წინააღმდეგ, და გულისხმიერად უგდებს ყურს გამოცდილების, პრაქტიკის ხმას. საქმე რომ სხვანაირად იყოს, ჩვენ არ გვექნებოდა საერთოდ მეცნიერება, არ გვექნებოდა, ვთქვათ, ასტრონომია, და ჩვენ კვლავ თავს შევიქცევდით პტოლომეს დახავსებული სისტემით; ჩვენ არ გვექნებოდა ბიოლოგია, და კვლავ ვინუგეშებდით თავს ადამიანის შექმნის ლეგენდით; ჩვენ არ გვექნებოდა ქიმია, და კვლავ თავს შევიქცევდით ალქიმიკოსთა მისნობით.

აი რატომ ვფიქრობ, რომ ჩვენი ინჟინერ-ტექნიკური და სამეურნეო მუშაკები, რომლებიც უკვე საკმაოდ ჩამორჩებიან სტახანოვურ მოძრაობას, კარგს იზამენ, თუ ძველ ტექნიკურ ნორმებს აღარ ჩაებღაუჭებიან და მუშაობას ნამდვილად, მეცნიერულად, ახალ. სტახანოვურ ყაიდაზე გარდაქმნიან.

კეთილი, გვეტყვიან ჩვენ. მაგრამ რა ვუყოთ ტექნიკურ ნორმებს საერთოდ? საჭიროა თუ არა ეს ნორმები მრეწველობისათვის, თუ შეიძლება სრულიად შეველიოთ ყოველგვარ ნორმას?

ზოგი ამბობს, ჩვენ არავითარი ტექნიკური ნორმა აღარ გვესაჭიროებაო. ეს არ არის მართალი, ამხანაგებო. კიდევ მეტი, — ეს სისულელეა. თუ ტექნიკური ნორმები არ გვექნება, შეუძლებელია გეგმიანი მეურნეობა. ამას გარდა, ტექნიკური ნორმები საჭიროა იმისათვის, რომ ჩამორჩენილი მასები დავაწიოთ მოწინავეებს. ტექნიკური ნორმები დიდი მარეგულირებელი ძალაა, რომელიც წარმოებაში რაზმავს მუშების ფართო მასებს მუშათა კლასის მოწინავე ელემენტების გარშემო. მაშასადამე, ჩვენ გვესაჭიროება ტექნიკური ნორმები, მაგრამ არა ის ნორმები, რომლებიც ახლა გვაქვს, არამედ უფრო მაღალი.

სხვები ამბობენ, ტექნიკური ნორმები საჭიროა, მაგრამ ისინი ახლავე უნდა ავიყვანოთ იმ მიღწევებამდე, რომლებიც სტახანოველებმა, ბუსიგინებმა, ვინოგრადოვებმა და სხვებმა მოიპოვესო. არც ეს არის მართალი. ასეთი ნორმები ახლანდელი დროისათვის არარეალური იქნებოდა, ვინაიდან ის მუშები და მუშა-ქალები, რომლებიც ტექნიკურად ნაკლებად მომზადებული არიან, ვიდრე სტახანოვები და ბუსიგინები, ვერ შესძლებდნენ ასეთი ნორმების შესრულებას. ჩვენ ისეთი ტექნიკური ნორმები გვესაჭიროება, რომლებიც შუათანა ადგილს დაიჭერენ ახლანდელ ტექნიკურ ნორმებსა და

იმ ნორმებს შორის, რომლებსაც სტახანოვებმა და ბუსიგინებმა მიაღწიეს. ავიღოთ, მაგალითად, ჭარხლის ხუთასოვანი, ყველასათვის ცნობილი მარიამ დემჩენკო. ერთ ჰექტარზე მან 500 ცენტნერი და უფრო მეტი ჭარხალი მიიღო. შეიძლება თუ არა ეს მიღწევა გავხადოთ მოსავლიანობის ნორმად ჭარხლის მთელი მეურნეობისათვის, ვთქვათ, უკრაინაში? არა, არ შეიძლება. ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. მარიამ დემჩენკომ მიაღწია ხუთას ცენტნერს და უფრო მეტს ერთ ჰექტარზე, ხოლო ჭარხლის საშუალო მოსავალი, მაგალითად, უკრაინაში წელს შეადგენს 130 — 132 ცენტნერს ჰექტარზე. განსხვავება, როგორც ხედავთ, მცირე როდია. შეიძლება თუ არა ჭარხლის მოსავლიანობის ნორმად დავაწესოთ 400 ან 300 ცენტნერი? საქმის ყველა მცოდნე ამბობს, ეს ჯერჯერობით არ შეიძლებაო. ალბათ, საჭირო იქნება მოსავლიანობის ნორმად ჰექტარზე უკრაინაში 1936 წლისათვის დავაწესოთ 200 — 250 ცენტნერი. ხოლო ეს ნორმა მცირე არ არის, რადგან თუ იგი შესრულდება, ერთიორად მეტი შაქარი გვექნება, ვიდრე 1935 წელს მივიღეთ. იგივე უნდა ითქვას მრეწველობის შესახებაც. სტახანოვმა, როგორც ჩანს, ერთიანად და უფრო მეტადაც კი გადაამეტა არსებულ ტექნიკურ ნორმას. ამ მიღწევის გამოცხადება ახალ ტექნიკურ ნორმად სანგრევ ურროზე ყველა მომუშავისათვის გონივრული ვერ იქნება. ალბათ, საჭირო იქნება დავაწესოთ ისეთი ნორმა, რომელიც შუათანა ადგილს დაიჭერს არსებულ ტექნიკურ ნორმასა და ამხ. სტახანოვის მიერ განხორციელებულ ნორმას შორის.

ერთი რამ ყოველ შემთხვევაში ნათელია: ახლანდელი ტექნიკური ნორმები უკვე არ შეეფერებიან სინამდვილეს, ისინი ჩამორჩნენ და ჩვენი მრეწველობისათვის შემფერხებლად იქცნენ, ხოლო ჩვენი მრეწველობა რომ არ შევაფერხოთ, ამისათვის აუცილებელია ეს ნორმები ახალი, უფრო მაღალი ტექნიკური ნორმებით შევცვალოთ. ახალი ადამიანები არიან, ახალი დროებაა — და ტექნიკური ნორმებიც ახალი უნდა იყოს.

4. უახლოესი ამოცანები

როგორია ჩვენი უახლოესი ამოცანები სტახანოვური მოძრაობის ინტერესების თვალსაზრისით?

ჩვენი ყურადღება რომ არ დავფანტოთ, მოდით ეს საქმე ორი უახლოესი ამოცანით განვსაზღვროთ.

ჯერ-ერთი. ამოცანა ის არის, რომ დავეხმაროთ სტახანოველებს კიდევ უფრო გაშალონ სტახანოვური მოძრაობა და გაავრცელონ იგი მთელი სიღრმე-სიგანით სსრ კავშირის ყველა ოლქსა და

რაიონში. ეს ერთი მხრივ. ხოლო მეორე მხრივ — ლაგამი ამოვდოთ ყველა იმ ელემენტებს სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებში, რომლებიც დაჟინებით ებღაუჭებიან ძველს, არ სურთ წინსვლა და სისტემატურად აფერხებენ სტახანოვური მოძრაობის გაშლას. სტახანოვური მოძრაობა ყოველმხრივ რომ გავავრცელოთ მთელ ჩვენს ქვეყანაში, ამისათვის მარტო სტახანოველები, რა თქმა უნდა, არ კმარან. საჭიროა ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ჩაებან ამ საქმეში და დაეხმარონ სტახანოველებს ბოლომდე მიიყვანონ მოძრაობა. ამ მხრივ დონეცის საოლქო ორგანიზაციამ უდავოდ დიდი ინიციატივა გამოიჩინა. ამ მიმართულებით კარგად მუშაობენ მოსკოვისა და ლენინგრადის საოლქო ორგანიზაციები. ხოლო რა მდგომარეობაა სხვა ოლქებში? ისინი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ «ამოძრავებას» უნდებიან. მაგალითად, როგორლაც არაფერი ისმის, ან ძალიან ცოტა რამ ისმის ურალზე, თუმცა ურალი, როგორც ცნობილია, უდიდეს სამრეწველო ცენტრს წარმოადგენს. იგივე უნდა ითქვას დასავლეთ ციმბირზე, კუზბასზე, სადაც, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ «ამოძრავება». თუმცა, შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ხელს მოჰკიდებენ ამ საქმეს და დაეხმარებიან სტახანოველებს სიძნელეთა გადალახვაში. რაც შეეხება საქმის მეორე მხარეს — სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა წრეში არსებული ჯიუტი კონსერვატორების ალაგმვას, — აქ საქმე ცოტა უფრო რთული იქნება. უწინარეს ყოვლისა, საჭირო გახდება დავარწმუნოთ, მოთმინებითა და ამხანაგურად დავარწმუნოთ მრეწველობის ეს კონსერვატიული ელემენტები — სტახანოვური მოძრაობის პროგრესულობაში და მუშაობის სტახანოვურ ყაიდაზე გარდაქმნის აუცილებლობაში. და თუ დარწმუნება არ გასჭრის, საჭირო იქნება უფრო გადამჭრელი ზომების მიღება. აი, მაგალითად, გზათა სახალხო კომისარიატი. ამ კომისარიატის ცენტრალურ აპარატში ამას წინათ არსებობდა პროფესორთა, ინჟინერთა და საქმის სხვა მცოდნეთა ჯგუფი — მათში კომუნისტებიც იყვნენ, — რომელიც ყველას არწმუნებდა, რომ საათში 13 — 14 კილომეტრი კომერციულ სისწრაფე — ეს არის ზღვარი, რომელსაც ვერ გავცილდებით, შეუძლებელია გავცილდეთ, თუ არ გვინდა «ექსპლოატაციის მეცნიერებასთან» წინააღმდეგობა გვქონდესო. ეს იყო საკმაოდ ავტორიტეტიანი ჯგუფი, რომელიც თავის შეხედულებებს სიტყვიერად და წერილობით ქადაგებდა, გზათა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოებს ინსტრუქციებს აძლევდა და საერთოდ ექსპლოატაციის დარგის მუშაკთა შორის «ფიქრთა მპყრობელს» წარმოადგენდა. ჩვენ, საქმის არმცოდნენი, სარკინიგზო საქმის მთელ რიგ პრაქტიკოსთა წინადადე-

ბების საფუძველზე ჩვენდათავად ვარწმუნებდით ამ ავტორიტეტიან პროფესორებს, რომ 13 — 14 კილომეტრი არ შეიძლება იყოს ზღვარი, რომ საქმის ერთგვარი ორგანიზაციის დროს ამ ზღვარის გაფართოება შეიძლება. ამის პასუხად ამ ჯგუფმა, იმის მაგივრად, რომ ყურად ეღო გამოცდილებისა და პრაქტიკის ხმა და გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება საქმისადმი, — ბრძოლა გააჩაღა სარკინიგზო საქმის პროგრესულ ელემენტებთან და კიდევ უფრო გააძლიერა თავის კონსერვატიულ შეხედულებათა პროპაგანდა. გასაგებია, რომ იძულებული ვიყავით ამ პატივცემული ადამიანებისათვის კბილები ცოტათი მოგვეკვეთა და თავაზიანად გაგვეძევებინა ისინი გზათა სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატიდან. (ტაში). და რა გამოვიდა? ახლა ჩვენ გვაქვს 18 — 19 კილომეტრის კომერციული სისწრაფე საათში. (ტაში). ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ უკიდურეს შემთხვევაში მოგვიხდება ამ მეთოდს მივმართოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც, — რა თქმა უნდა, თუ გაჯიუტებული კონსერვატორები თავს არ გაანებებენ ხელის შეშლასა და სტახანოვური მოძრაობის შეფერხებას.

მეორე. ამოცანა ის არის, რომ დავეხმაროთ გარდაიქმნან და სტახანოვურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ის სამეურნეო მუშაკები, ინჟინრები და ტექნიკოსები, რომელთაც არ სურთ ხელი შეუშალონ სტახანოვურ მოძრაობას, რომლებიც თანაუგრძნობენ ამ მოძრაობას, მაგრამ რომელთაც ჯერ კიდევ ვერ შესძლეს გარდაქმნილიყვნენ, ჯერ კიდევ ვერ შესძლეს სათავეში ჩასდგომოდნენ სტახანოვურ მოძრაობას. მე უნდა ვთქვა, ამხანაგებო, რომ ასეთი სამეურნეო მუშაკები, ინჟინრები და ტექნიკოსები ჩვენში ცოტანი როდი არიან. და თუ ჩვენ ამ ამხანაგებს დავეხმარებით, ისინი ჩვენ უეჭველად უფრო მეტნი გვეყოლებიან.

ვფიქრობ, რომ, თუ ჩვენ ამ ამოცანებს შევასრულებთ, სტახანოვური მოძრაობა უაღრესად გაიშლება, ჩვენი ქვეყნის ყველა ოლქსა და რაიონს მოედება და ახალ მიღწევათა სასწაულებს დაგვანახებს.

5. ᲛᲔᲠᲘᲛᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

რამდენიმე სიტყვაც ამ თათბირის შესახებ, მისი მნიშვნელობის შესახებ. ლენინი გვასწავლიდა, რომ ნამდვილი ბოლშევიკი-ხელმძღვანელები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისეთი ხელმძღვანელები, რომლებსაც შესწევთ უნარი არა მარტო ასწავლონ მუშებსა და გლეხებს, არამედ კიდეეაც ისწავლონ მათგან. ზოგიერთ ბოლშევიკს ლენინის ეს სიტყვები არ მოეწონა. მაგრამ ისტორია გვიჩვენებს,

რომ ლენინი ამ დარგშიც მართალი აღმოჩნდა მთელი ასი პროცენტით. მართლაცდა, მშრომელთა, მუშათა და გლეხთა მილიონები შრომობენ, ცხოვრობენ, იბრძვიან. ვის შეუძლია ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ ეს ადამიანები ამაოდ როდი ცხოვრობენ, რომ ეს ადამიანები ცხოვრობენ, იბრძვიან და აგროვებენ უდიდეს პრაქტიკულ გამოცდილებას? განა შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ხელმძღვანელები, რომლებიც ამ გამოცდილებას უგულებელყოფენ, ნამდვილ ხელმძღვანელებად ვერ ჩაითვლებიან? მაშასადამე, ჩვენ, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა, არა მარტო უნდა ვასწავლოთ მუშებს, არამედ მათგანაც ვისწავლოთ. თქვენ, ამ თათბირის წევრებმა, რომ ზოგი რამ ისწავლეთ აქ, თათბირზე, ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელებისაგან, — ამას მე არ უარვყოფ. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ჩვენც, მთავრობის ხელმძღვანელებმა, ბევრი რამ ვისწავლეთ თქვენგან, სტახანოველებისაგან, ამ თათბირის წევრებისაგან. მაშ ასე, ამხანაგებო, მადლობა თქვენ სწავლებისათვის, დიდი მადლობა! **(მჭუხარე ტაში).**

ბოლოს, ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ როგორ უნდა აღვნიშნოთ ეს თათბირი. ჩვენ აქ პრეზიდიუმში ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ საჭირო იქნება როგორმე აღვნიშნოთ ხელისუფლების ხელმძღვანელთა ეს თათბირი სტახანოვური მოძრაობის ხელმძღვანელებთან. და აი ჩვენ მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ თქვენგან 100 — 120 კაცი წარვადგინოთ უმაღლეს ჯილდოზე.

ხმები. მართალია. **(მჭუხარე ტაში).**

სტალინი. თუ თქვენ მოიწონებთ, ამხანაგებო, ჩვენ ამ საქმეს განვახორციელებთ.

(სტახანოველთა თათბირის მონაწილენი მჭუხარე, აღფრთოვანებულ ოვაციას უმართავენ ამხანაგ სტალინს. მთელი დარბაზი ჰჭუხს ტაშით, მძლავრი «ვაშა» აზანზარებს დარბაზის თაღებს. ყოველი კუთხიდან გაისმის პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინისადმი მისასალმებელი უამრავი შეძახილი. ოვაცია თავდება «ინტერნაციონალის» მძლავრი სიმღერით — თათბირის სამი ათასი მონაწილე ასრულებს პროლეტარულ ჰიმნს).

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

მოხსენება საბჭოების სრულიად საკავშირო
საგანგებო VIII ყრილობაზე
1936 წლის 25 ნოემბერს

ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინის გამოჩენას მთელი დარბაზი ხანგრძლივი, მქუხარე ოვაციით ხვდება. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. ყოველი მხრიდან გაისმის ძახილი: «ვაშა ამხანაგ სტალინს!», «გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!», «გაუმარჯოს დიდ სტალინს!», «დიდ გენიოსს ამხანაგ სტალინს ვაშა!», «ვივატ!», «როტ ფრონტ!», «ამხანაგ სტალინს დიდება!»

I

საკონსტიტუციო კომისიის შექმნა და მისი ამოცანები

ამხანაგებო!

საკონსტიტუციო კომისია, რომლის პროექტი განსახილველად წარედგინა ამ ყრილობას, როგორც ცნობილია, შექმნილი იყო სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობის სპეციალური დადგენილებით. ეს დადგენილება მიღებულ იქნა 1935 წლის 6 თებერვალს. იქ ნათქვამია:

«1. შეტანილ იქნას სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებანი შემდეგი მიმართულებით:

ა) მოხდეს საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაცია იმ მხრივ, რომ არასავსებით თანასწორი არჩევნები შეიცვალოს თანასწორით, მრავალსაფეხურიანი — პირდაპირით, აშკარა — ფარულით;

ბ) დაზუსტდეს კონსტიტუციის სოციალურ-ეკონომიური საფუძველი იმ მხრივ, რომ კონსტიტუცია შეესაბამებოდეს კლასობრივ ძალთა ახლანდელ თანაფარდობას სსრ კავშირში (ახალი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნა, კულაკობის განადგურება, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, სოციალისტური საკუთრების, როგორც საბჭოთა საზოგადოების საფუძვლის, დამკვიდრება და ა. შ.).

2. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აირჩიოს საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც დაევალოს კონსტიტუციის შესწორებული ტექსტის შემუშავება პირველ პუნქტში აღნიშნულ საფუძვლებზე და მისი წარდგენა სსრ კავშირის ცაკის სესიაზე დასამტკიცებლად.

3. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების უახლოესი მორიგი არჩევნები სსრ კავშირში ჩატარდეს ახალი საარჩევნო სისტემის საფუძველზე».

ეს იყო 1935 წლის 6 თებერვალს. ამ დადგენილების მიღებიდან ერთი დღის შემდეგ, ე. ი. 1935 წლის 7 თებერვალს, შეიკრიბა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სესია და, სსრ კავშირის საბჭოების VII ყრილობის დადგენილების შესასრულებლად, შექმნა საკონსტიტუციო კომისია 31 კაცის რაოდენობით. მან საკონსტიტუციო კომისიას დაავალა შეემუშავებინა სსრ კავშირის შესწორებული კონსტიტუციის პროექტი.

ასეთია ფორმალური საფუძვლები და სსრ კავშირის უმაღლესი ორგანოს დირექტივები, რომელთა ბაზაზე უნდა გაეშალა თავისი მუშაობა საკონსტიტუციო კომისიას.

ამრიგად, საკონსტიტუციო კომისიას უნდა შეეტანა ცვლილებანი ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულია 1924 წელს, და ამასთან გაეთვალისწინებინა ის ძვრანი სსრ კავშირის ცხოვრებაში სოციალიზმის მიმართულებით, რომელნიც განხორციელდნენ 1924 წლიდან დღევანდლამდე განვლილ პერიოდში.

II

ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში

როგორია ის ცვლილებანი სსრ კავშირის ცხოვრებაში, რომელნიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში და რომელნიც უნდა აესახა საკონსტიტუციო კომისიას თავის კონსტიტუციის პროექტში?

რა არის ამ ცვლილებათა არსი?

რა გვქონდა ჩვენ 1924 წელს?

ეს იყო ნეპის პირველი პერიოდი, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დაუშვა კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლება სოციალიზმის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად, როცა ის ითვალისწინებდა, რომ მეურნეობის ორი სისტემის, კაპიტალისტურისა და სოციალისტურის, შეჯიბრების მსვლელობაში შეექმნა სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ამოცანა ის იყო, რომ ამ შეჯიბრების მსვლელობაში განგვემტკიცებინა სო-

ციალიზმის პოზიციები, მიგვეღწია კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის და დაგვემთავრებინა სოციალისტური სისტემის, როგორც სახალხო მეურნეობის ძირითადი სისტემის, გამარჯვება.

ჩვენი მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის მდგომარეობა მაშინ არასახარბიელო იყო. მართალია, ხდებოდა მისი თანდათანობითი აღდგენა, მაგრამ მას ჯერ კიდევ ვერ მიეღწია თავისი პროდუქციის ომამდელი დონისათვის. იგი ემყარებოდა ძველ ჩამორჩენილ და ღარიბ ტექნიკას. რა თქმა უნდა, იგი ვითარდებოდა სოციალიზმის მიმართულებით. ჩვენი მრეწველობის სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა მაშინ დაახლოებით 80 პროცენტს შეადგენდა. მაგრამ კაპიტალიზმის სექტორს მაინც ჰქონდა მრეწველობის სულ მცირე 20 პროცენტი.

ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა კიდევ უფრო არასახარბიელო იყო. მართალია, მემამულეთა კლასი უკვე ლიკვიდირებული იყო, მაგრამ სამაგიეროდ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტების კლასი, კულაკების კლასი, ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. მთლიანად სოფლის მეურნეობა მაშინ მოგვაგონებდა წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა თვალუწვდენ ოკეანეს მათი ჩამორჩენილი შუასაუკუნეობრივი ტექნიკით. ამ ოკეანეში ცალკეული წერტილებისა და პატარა კუნძულების სახით არსებობდნენ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც, კაცმა რომ თქვას, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ რამდენადმე სერიოზული მნიშვნელობა ჩვენს სახალხო მეურნეობაში. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი სუსტნი იყვნენ, ხოლო კულაკი ჯერ კიდევ ძალას წარმოადგენდა. ჩვენ მაშინ ვლაპარაკობდით კულაკობის არა ლიკვიდაციაზე, არამედ მის შეზღუდვაზე.

იგივე უნდა ითქვას საქონელბრუნვაზე ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტური სექტორი საქონელბრუნვაში შეადგენდა რაღაც 50 — 60 პროცენტს — მეტს არა, ხოლო მთელი დანარჩენი არე ვაჭრებს, სპეკულანტებსა და სხვა კერძო მესაკუთრეებს ეჭირათ.

ასეთი იყო ჩვენი ეკონომიკის სურათი 1924 წელს.

რა გვაქვს ახლა, 1936 წელს?

თუ ჩვენ მაშინ გვქონდა ნეპის პირველი პერიოდი, ნეპის დასაწყისი, კაპიტალიზმის ერთგვარი გამოცოცხლების პერიოდი, ახლა გვაქვს ნეპის უკანასკნელი პერიოდი, ნეპის დასასრული, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კაპიტალიზმის სრული ლიკვიდაციის პერიოდი.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ ამ პერიოდში ჩვენი მრეწველობა გიგანტურ ძალად გაიზარდა. ახლა აღარ შეიძლება ვუწოდოთ მას სუსტი და ტექნიკურად ცუდად აღჭურვილი. პირიქით, ახლა იგი ემყარება ახალ, მდიდარ თანამედროვე ტექნიკას ძლიერ განვითარებული მძიმე ინდუსტრიით და კიდევ უფრო განვითარებული მანქანათმშენებლობით. უმთავრესი კი ის არის, რომ კაპიტალიზმი მთლად განდევნილია ჩვენი მრეწველობის სფეროდან, ხოლო წარმოების სოციალისტური ფორმა ახლა ჩვენი მრეწველობის დარგში განუყოფლად გაბატონებული სისტემაა. წვრილმანად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ჩვენი ახლანდელი სოციალისტური ინდუსტრია პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისით შვიდჯერ და უფრო მეტად სჭარბობს ომამდელი დროის ინდუსტრიას.

სოფლის მეურნეობის დარგში ნაცვლად წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ოკეანისა მათი სუსტი ტექნიკითა და კულაკის ძალა-გავლენით, ახლა ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მანქანიზებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოვლისმომცველი სისტემის სახით. ყველასათვის ცნობილია, რომ კულაკობა სოფლის მეურნეობაში ლიკვიდირებულია, ხოლო წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სექტორს თავისი ჩამორჩენილი შუასაუკუნეობრივი ტექნიკით ახლა უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, ამასთან მისი ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობაში ნათესი ფართობების ოდენობის მხრივ შეადგენს სულ ბევრი 2 — 3 პროცენტს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ახლა კოლმეურნეობებს თავიანთ განკარგულებაში აქვთ 316 ათასი ტრაქტორი 5 მილიონ 700 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრისა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებთან ერთად აქვთ 400 ათასზე მეტი ტრაქტორი 7 მილიონ 580 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრისა.

რაც შეეხება საქონელბრუნვას ჩვენს ქვეყანაში, ვაჭრები და სპეკულანტები სრულიად განდევნილი არიან ამ დარგიდან. ახლა მთელი საქონელბრუნვა სახელმწიფოს, კოოპერაციისა და კოლმეურნეობების ხელშია. წარმოიშვა და განვითარდა ახალი, საბჭოთა ვაჭრობა, ვაჭრობა უსპეკულანტებოდ, ვაჭრობა უკაპიტალისტებოდ.

ამრიგად, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური სისტემის სრული გამარჯვება ახლა ფაქტია.

ხოლო რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსპობილია, ლიკვიდირებულია, ხოლო წარმოების იარაღთა და სა-

შუალებათა სოციალისტური საკუთრება დამკვიდრებულია, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი. (ხანგრძლივი ტაში).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დარგში ყველა ამ ცვლილების შედეგად ჩვენ ახლა გვაქვს ახალი, სოციალისტური ეკონომიკა, რომელმაც არ იცის კრიზისები და უმუშევრობა, არ იცის სიღატაკე და გაჩანაგება და რომელიც აძლევს მოქალაქეებს შეძლებული და კულტურული ცხოვრების ყველა შესაძლებლობას.

ასეთია ძირითადად ის ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ჩვენი ეკონომიკის დარგში 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

სსრ კავშირის ეკონომიკის დარგში მომხდარ ამ ცვლილებათა შესაბამისად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების **კლასობრივი სტრუქტურაც.**

მემამულეთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებული იყო სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად. რაც შეეხება სხვა ექსპლოატატორულ კლასებს, მათ მემამულეთა კლასის ბედი გაიზიარეს. აღარ არის კაპიტალისტთა კლასი მრეწველობის დარგში. აღარ არის კულაკების კლასი სოფლის მეურნეობის დარგში. აღარ არიან ვაჭრები და სპეკულანტები საქონელბრუნვის დარგში. ამრიგად, ყველა ექსპლოატატორული კლასი ლიკვიდირებული აღმოჩნდა.

დარჩა მუშათა კლასი.

დარჩა გლეხთა კლასი.

დარჩა ინტელიგენცია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ სოციალურ ჯგუფებს ამ ხნის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ განეცადოთ, თითქოს ისინი ისეთივე დარჩენილიყვნენ, როგორიც იყვნენ, ვთქვათ, კაპიტალიზმის პერიოდში.

. ავიღოთ, მაგალითად, სსრ კავშირის მუშათა კლასი. მას ძველი ჩვეულების მიხედვით ხშირად პროლეტარიატს უწოდებენ. მაგრამ რა არის პროლეტარიატი? პროლეტარიატი არის კლასი, რომელიც მოკლებულია წარმოების იარაღებსა და საშუალებებს მეურნეობის ისეთი სისტემის დროს, როცა წარმოების იარაღები და საშუალებანი კაპიტალისტებს ეკუთვნით და როცა კაპიტალისტთა კლასი ეწევა პროლეტარიატის ექსპლოატაციას. პროლეტარიატი კაპიტალისტების მიერ ექსპლოატირებული კლასია. მაგრამ ჩვენში კაპიტალისტთა კლასი, როგორც ცნობილია, უკვე ლიკვიდირებულია, წარმოების იარაღები და საშუალებანი ჩამოერთვა კაპიტალისტებს და გადაეცა სახელმწიფოს, რომლის ხელმძღვანელ ძალას მუშათა კლასი წარმო-

ადგენს. მაშასადამე, აღარ არის კაპიტალისტთა კლასი, რომელსაც შეეძლოს ექსპლოატაცია გაუწიოს მუშათა კლასს. მაშასადამე, ჩვენი მუშათა კლასი არა თუ მოკლებული არ არის წარმოების იარაღებსა და საშუალებებს, არამედ პირიქით, იგი მათ ფლობს მთელ ხალხთან ერთად. რაკი იგი მათ ფლობს, ხოლო კაპიტალისტთა კლასი ლიკვიდირებულია, — მუშათა კლასის ექსპლოატაციის ყოველგვარი შესაძლებლობა გამორიცხულია. შეიძლება თუ არა ამის შემდეგ ჩვენს მუშათა კლასს პროლეტარიატი ეწოდოს? ცხადია, არ შეიძლება. მარქსი ამბობდა: პროლეტარიატმა თავი რომ გაითავისუფლოს, ამისათვის მან უნდა გაანადგუროს კაპიტალისტთა კლასი, ჩამოართვას კაპიტალისტებს წარმოების იარაღები და საშუალებანი და მოსპოს წარმოების ის პირობები, რომლებიც პროლეტარიატს წარმოშობენ. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სსრ კავშირის მუშათა კლასმა უკვე განახორციელა თავისი განთავისუფლების ეს პირობები? უთუოდ შეიძლება ითქვას და უნდა ითქვას. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ სსრ კავშირის პროლეტარიატი გადაიქცა სრულიად ახალ კლასად, სსრ კავშირის მუშათა კლასად, რომელმაც მოსპო შეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, დაამკვიდრა წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება და კომუნიზმის გზით წარმართავს საბჭოთა საზოგადოებას.

როგორც ხედავთ, სსრ კავშირის მუშათა კლასი სრულიად ახალი, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული მუშათა კლასია, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა.

გადავიდეთ გლეხობის საკითხზე. ჩვეულებრივ ამბობენ, რომ გლეხობა წვრილ მწარმოებელთა ისეთი კლასია, რომლის წევრები ატომიზებული, მთელ ქვეყანაში გაბნეული არიან, ცალ-ცალკე ცოდვილობენ თავიანთ წვრილ მეურნეობებში მათი ჩამორჩენილი ტექნიკით, კერძო საკუთრების მონები არიან და მათ დაუსჯელად უწევენ ექსპლოატაციას მემამულეები, კულაკები, ვაჭრები, სპეკულანტები, მევახშეები და სხვ.. მართლაც, გლეხობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ძირითად მასას, სწორედ ასეთი კლასია. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვე გლეხობა, საბჭოთა გლეხობა, თავისი მასით ამგვარ გლეხობას წააგავს? არა, ამის თქმა არ შეიძლება. ასეთი გლეხობა ჩვენში აღარ არის. ჩვენი საბჭოთა გლეხობა სრულიად ახალი გლეხობაა. ჩვენში აღარ არიან მემამულეები და კულაკები, ვაჭრები და მევახშეები, რომლებსაც შეეძლოთ ექსპლოატაცია გაუწიონ გლეხებს. მაშასადამე, ჩვენი გლეხობა ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული გლეხობაა. შემდეგ, ჩვენი საბჭოთა გლეხობა თავისი უდიდესი უმრავლე-

ობით არის კოლმეურნე გლეხობა, ე. ი. ის თავის მუშაობასა და თავის დოვლათს ამყარებს არა ერთპიროვნულ შრომასა და ჩამორჩენილ ტექნიკაზე, არამედ კოლექტიურ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე. ბოლოს, ჩვენი გლეხობის მეურნეობას საფუძვლად უდევს არა კერძო საკუთრება, არამედ კოლექტიური საკუთრება, რომელიც კოლექტიური შრომის ბაზაზე აღმოცენდა.

როგორც ხედავთ, საბჭოთა გლეხობა სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა.

დასასრულ, გადავიდეთ ინტელიგენციის საკითხზე, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, კულტურული ფრონტის მუშაკთა, საერთოდ მოსამსახურეთა და სხვათა საკითხზე. განვლილ პერიოდში ინტელიგენციამაც დიდი ცვლილებები განიცადა. ეს ის ძველი დახავსებული ინტელიგენცია კი აღარ არის, რომელიც ცდილობდა კლასებს ზევით დამდგარიყო, ნამდვილად კი თავისი მასით მემამულეებსა და კაპიტალისტებს ემსახურებოდა. ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია სრულიად ახალი ინტელიგენციაა, რომელიც მთელი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობასთან. ჯერ-ერთი, შეიცვალა ინტელიგენციის შემადგენლობა. თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წრიდან გამოსულები ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის მცირე პროცენტს შეადგენენ. საბჭოთა ინტელიგენციის 80 — 90 პროცენტი მუშათა კლასიდან, გლეხობიდან და მშრომელთა სხვა ფენებიდან არის გამოსული. ბოლოს, შეიცვალა ინტელიგენციის საქმიანობის თვით ხასიათიც. წინათ მას უნდა ემსახურნა მდიდარი კლასებისათვის, ვინაიდან მას სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. ახლა იგი ხალხს უნდა ემსახუროს, ვინაიდან ექსპლოატატორული კლასები აღარ არიან. და სწორედ ამიტომ იგი ახლა თანასწორუფლებიანი წევრია საბჭოთა საზოგადოებისა, სადაც იგი მუშებთან და გლეხებთან ერთად, მათთან ხელიხელჩაკიდებული, აშენებს ახალ უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას.

როგორც ხედავთ, ეს სავსებით ახალი, მშრომელი ინტელიგენციაა, რომლის მსგავსს დედამიწის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ.

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განვლილი დროის მანძილზე მოხდა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის დარგში.

რას მოწმობენ ეს ცვლილებანი?

ისინი მოწმობენ, ჯერ-ერთი, იმას, რომ საზღვარი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, ისევე როგორც ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის — ქრება, ხოლო ძველი კლასობრივი განკერძოებულობა ისპობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მანძილი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის სულ უფრო და უფრო მცირდება.

მეორეც, ისინი მოწმობენ იმას, რომ ეცემა, ქრება ეკონომიური წინააღმდეგობანი ამ სოციალურ ჯგუფებს შორის.

დასასრულ, ისინი მოწმობენ იმას, რომ მათ შორის პოლიტიკური წინააღმდეგობებიც ეცემა და ქრება.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის **კლასობრივი სტრუქტურის** დარგში მომხდარ ცვლილებათა მხრივ.

სსრ კავშირის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა სურათი სრული არ იქნებოდა, რამდენიმე სიტყვა რომ არ გვეთქვა კიდევ ერთ დარგში მომხდარ ცვლილებებზე. მე მხედველობაში მაქვს სსრ კავშირში **ეროვნული** ურთიერთობის სფერო. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში დაახლოებით 60 ერი, ეროვნული ჯგუფი და ეროვნება შედის. საბჭოთა სახელმწიფო მრავალეროვანი სახელმწიფოა. გასაგებია, რომ სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთობის საკითხს არ შეიძლება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა არ ჰქონდეს ჩვენთვის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც ცნობილია, შეიქმნა 1922 წელს სსრ კავშირის საბჭოების პირველ ყრილობაზე. იგი შეიქმნა სსრ კავშირის ხალხთა თანასწორობისა და ნებაყოფლობის საფუძვლებზე. ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია 1924 წელს, სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციაა. ეს იყო პერიოდი, როცა ხალხთა ურთიერთობა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ მოგვარებული, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი ველიკოროსებისადმი უნდობლობის ნაშთები, როცა ცენტრიდანული ძალები ჯერ კიდევ მოქმედებდნენ. საჭირო იყო ამ პირობებში მოგვეგვარებინა ხალხთა ძმური თანამშრომლობა ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთდახმარების ბაზაზე, გაგვეერთიანებინა ისინი ერთ საკავშირო მრავალეროვან სახელმწიფოდ. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეიძლებოდა არ დაენახა ამ საქმის სიძნელენი. მის თვალწინ იყო ბურჟუაზიულ ქვეყნებში მრავალეროვან სახელმწიფოთა შექმნის მარცხით დამთავრებული ცდები. მის თვალწინ იყო მარცხით დამთავრებული ცდა ძველი ავსტრია-უნგრეთისა. და მან მაინც მიმართა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდას, ვინაიდან იცოდა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილმა მრავალეროვანმა სახელმწიფომ ყველა და ყოველგვარ განსაცდელს უნდა გაუძლოს.

მას შემდეგ 14 წელმა განვლო. ეს საკმაო პერიოდი იყო ცდის შესამოწმებლად. და რა მივიღეთ? განვლილმა პერიოდმა უეჭველად დაგვანახა, რომ სოციალიზმის ბაზაზე წარმოშობილი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ცდა სრული წარმატებით დამთავრდა.

ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის უეჭველი გამარჯვება. (ხანგრძლივი ტაში).

რით აიხსნება ეს გამარჯვება?

იმ გარემოებამ, რომ არ არსებობენ ექსპლოატატორული კლასები, რომლებიც ერებს შორის ჩხუბის ძირითადი ორგანიზატორები არიან; რომ არ არსებობს ექსპლოატაცია, რომელიც ურთიერთუნდობლობას ნერგავს და ნაციონალისტურ ვნებებს აღვივებს; რომ ძალაუფლების სათავეში დგას მუშათა კლასი, რომელიც ყოველგვარი დამონების მტერია და ინტერნაციონალიზმის იდეების ერთგული მატარებელია; რომ ფაქტიურად განხორციელებულია ხალხთა ურთიერთდახმარება სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, იმან, რომ აყვავდა სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული კულტურა, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური, — ყველა ამ და მათმა მსგავსმა ფაქტორებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გაქრა მათში ურთიერთუნდობლობის გრძნობა, მათ განუვითარდათ ურთიერთმეგობრობის გრძნობა და, ამრიგად, მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.

ამის შედეგად ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ეროვნულ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში. (მქუხარე ტაში).

ასეთია ის ცვლილებანი, რომლებიც განვლილი პერიოდის მანძილზე მოხდა სსრ კავშირში **ეროვნული ურთიერთობის** დარგში.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების იმ ცვლილებათა საერთო შედეგი, რომლებიც მოხდა 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

III

კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი

როგორ აისახა სსრ კავშირის ცხოვრებაში მომხდარი ყველა ეს ცვლილება ახალი კონსტიტუციის პროექტში?

სხვანაირად რომ ვთქვათ: როგორია კონსტიტუციის იმ პროექტის ძირითადი თავისებურებანი, რომელიც ამ ყრილობის განსახილველად არის წარმოდგენილი?

საკონსტიტუციო კომისიას დავალებული ჰქონდა შეეტანა ცვლილებანი 1924 წლის კონსტიტუციის ტექსტში. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შედეგად მივიღეთ კონსტიტუციის ახალი ტექსტი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ახალი კონსტიტუციის პროექტის შედგენისას საკონსტიტუციო კომისია იმას ეყრდნობოდა, რომ კონსტიტუცია არ უნდა ავრიოთ პროგრამაში. ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრამასა და კონსტიტუციას შორის არსებითი განსხვავებაა. მაშინ როცა პროგრამაში ლაპარაკია იმაზე, რაც ჯერ კიდევ არ არის და რაც ჯერ კიდევ მომავალში უნდა იქნას მიღწეული და მოპოვებული, კონსტიტუციაში, პირიქით, ლაპარაკი უნდა იყოს იმაზე, რაც უკვე არის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია ახლა, აწმყოში. პროგრამა უმთავრესად ეხება მომავალს, კონსტიტუცია — აწმყოს.

ორი მაგალითი ილუსტრაციისათვის.

ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ ძირითადად უკვე განახორციელა სოციალიზმი, შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განახორციელა ის, რასაც მარქსისტები სხვანაირად კომუნიზმის პირველ ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენში ძირითადად უკვე განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა, სოციალიზმი. (**ხანგრძლივი ტაში**). კომუნიზმის ამ ფაზის ძირითად პრინციპს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფორმულა: «თვითეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით». უნდა ასახოს თუ არა ჩვენმა კონსტიტუციამ ეს ფაქტი, სოციალიზმის მოპოვების ფაქტი? უნდა დაემყაროს თუ არა იგი ამ მონაპოვარს? უთუოდ უნდა დაემყაროს. უნდა დაემყაროს, ვინაიდან სსრ კავშირისათვის სოციალიზმი ის არის, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია.

მაგრამ საბჭოთა საზოგადოებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია კომუნიზმის უმაღლესი ფაზის განხორციელებისათვის, სადაც გაბატონებული პრინციპი იქნება ფორმულა: «თვითეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მის მოთხოვნილებათა მიხედვით», თუმცა კი ეს საზოგადოება მიზნად ისახავს მიაღწიოს მომავალში კომუნიზმის უმაღლესი ფაზის განხორციელებას. შეუძლია თუ არა ჩვენს კონსტიტუციას დაემყაროს კომუნიზმის უმაღლეს ფაზას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის და რომელიც ჯერ კიდევ მოპოვებულ უნდა იქნას? არა, არ შეუძლია, ვინაიდან სსრ კავშირისათვის კომუნიზმის უმაღლესი ფაზა ის არის, რაც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და რაც მომავალში უნდა განხორციელდეს. არ შეუ-

ძლია, თუ არ სურს გადაიქცეს პროგრამად ან დეკლარაციად მომავალ მონაპოვართა შესახებ.

ასეთია ჩვენი კონსტიტუციის ფარგლები მოცემულ ისტორიულ მომენტში.

ამრიგად, ახალი კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს განვლილი გზის შედეგს, უკვე მიღწეულ მონაპოვართა შედეგს. მაშასადამე, იგი წარმოადგენს იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც საქმით უკვე მიღწეული და მოპოვებულია. (მეუხარე ტაში).

ეს არის სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის პირველი თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციები ჩვეულებრივ ემყარებიან კაპიტალისტური წყობილების ურყევობის რწმენას. ამ კონსტიტუციების მთავარ საფუძველს შეადგენენ კაპიტალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღებისა და საშუალებების კერძო საკუთრება; ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა არსებობა; მშრომელი უმრავლესობის არაუზრუნველყოფილობა საზოგადოების ერთ პოლუსზე და არამშრომელი, მაგრამ უზრუნველყოფილი უმცირესობის ფუფუნება მეორე პოლუსზე; და სხვ. და ა. შ.. ისინი ეყრდნობიან კაპიტალიზმის ამ და მათ მსგავს საყრდენებს. ისინი მათ ასახავენ, ისინი მათ განამტკიცებენ საკანონმდებლო წესით.

მათგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი ემყარება კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაციის ფაქტს, სსრ კავშირში სოციალისტური წყობილების გამარჯვების ფაქტს. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მთავარ საფუძველს შეადგენენ სოციალიზმის პრინციპები, მისი ძირითადი საყრდენები, რომლებიც უკვე მოპოვებული და განხორციელებულია: მიწის, ტყეების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სხვა საწარმოო იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება; ექსპლოატაციისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია; უმრავლესობის სიღატაკისა და უმცირესობის ფუფუნების ლიკვიდაცია; უმუშევრობის ლიკვიდაცია; შრომა, როგორც თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმე ფორმულით: «ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს»; შრომის უფლება, ე. ი. თვითეული მოქალაქის უფლება — მიიღოს გარანტირებული სამუშაო; დასვენების უფლება; განათლების უფლება; და სხვ. და ა. შ.. ახალი კონსტიტუციის პროექტი ეყრდნობა სოციალიზმის ამ და მათ მსგავს

საყრდენებს. იგი მათ ასახავს, იგი მათ განამტკიცებს საკანონმდებლო წესით.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეორე თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ ემყარებიან იმ წანამძღვარს, რომ საზოგადოება შედგება ანტაგონისტური კლასებისაგან, იმ კლასებისაგან, რომლებიც სიმდიდრესა ფლობენ, და იმ კლასებისაგან, რომლებიც მას არ ფლობენ, რომ რომელი პარტიაც უნდა ჩაუდგეს ხელისუფლებას სათავეში, საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა (დიქტატურა) უნდა ეკუთვნოდეს ბურჟუაზიას, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რომ განმტკიცდეს შეძლებული კლასებისათვის სასურველი და ხელსაყრელი საზოგადოებრივი წესწყობილება.

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი ემყარება იმას, რომ საზოგადოებაში აღარ არიან ანტაგონისტური კლასები, რომ საზოგადოება შედგება ერთმანეთისადმი მეგობრული ორი კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან, რომ ხელისუფლების სათავეში დგანან სწორედ ეს მშრომელი კლასები, რომ საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა (დიქტატურა) ეკუთვნის მუშათა კლასს, როგორც საზოგადოების მოწინავე კლასს, რომ კონსტიტუცია საჭიროა იმისათვის, რომ განმტკიცდეს მშრომელთათვის სასურველი და ხელსაყრელი საზოგადოებრივი წესწყობილება.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მესამე თავისებურება.

შემდეგ. ბურჟუაზიული კონსტიტუციები მდუმარედ ემყარებიან იმ წანამძღვარს, რომ ერები და რასები არ შეიძლება თანასწორუფლებიანი იყვნენ, რომ არიან სრულუფლებიანი ერები და არიან არასრულუფლებიანი ერები, რომ გარდა ამისა არსებობს ერების ან რასების მესამე კატეგორიაც, მაგალითად, კოლონიებში, რომლებსაც კიდევ უფრო ნაკლები უფლებები აქვთ, ვიდრე არასრულუფლებიან ერებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ეს კონსტიტუციები ძირითადად ნაციონალისტური. ე. ი. გაბატონებულ ერთა კონსტიტუციებია.

ამ კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, პირიქით, უაღრესად ინტერნაციონალურია. იგი ემყარება იმას, რომ ყველა ერი და რასა თანასწორუფლებიანია. იგი ემყარება იმას, რომ განსხვავება კანის ფერისა ან ენისა, კულტურული დონისა ან სახელმწიფო განვითარების დონისა, ისევე როგორც სხვა რომელიმე განსხვავება ერებსა და რასებს შორის — არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ გავამართლოთ

ეროვნული არათანასწორუფლებიანობა. იგი ემყარება იმას, რომ ყველა ერი და რასა, მათი წარსული და ახლანდელი მდგომარეობის მიუხედავად, მათი ძალის ან სისუსტის მიუხედავად, — უნდა სარგებლობდეს თანაბარი უფლებებით საზოგადოების სამეურნეო, საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

ასეთია ახალი კონსტიტუციის პროექტის მეოთხე თავისებურება.

ახალი კონსტიტუციის პროექტის მეხუთე თავისებურებაა მისი თანმიმდევრული და ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი. დემოკრატიზმის თვალსაზრისით ბურჟუაზიული კონსტიტუციები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: კონსტიტუციათა ერთი ჯგუფი პირდაპირ უარყოფს ან ფაქტიურად აქარწყლებს მოქალაქეთა უფლებების თანასწორობას და დემოკრატიულ თავისუფლებებს. კონსტიტუციათა მეორე ჯგუფი ხალისით ეთანხმება დემოკრატიულ საწყისებს და საქვეყნოდაც კი გაჰკივის მათ შესახებ, მაგრამ ამასთან ისეთ შენიშვნებსა და შეზღუდვებს აკეთებს, რომ დემოკრატიული უფლებანი და თავისუფლებანი სრულიად მახინჯდებიან. ისინი ლაპარაკობენ ყველა მოქალაქისათვის თანასწორ საარჩევნო უფლებებზე, მაგრამ იქვე ზღუდავენ მათ ბინადრობით, განათლების ცენზით და ქონებრივი ცენზითაც კი. ისინი ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორ უფლებებზე, მაგრამ იქვე აკეთებენ შენიშვნას, რომ ეს არ შეეხება ქალებს, ან შეეხება მათ ნაწილობრივ. და სხვ. და ა. შ.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება ის არის, რომ იგი თავისუფალია ასეთი შენიშვნებისა და შეზღუდვებისაგან. მისთვის არ არსებობენ აქტიური ან პასიური მოქალაქენი, მისთვის ყველა მოქალაქე აქტიურია. იგი არა ცნობს მამაკაცთა და დედაკაცთა, «ბინადართა» და «არაბინადართა», შეძლებულთა და უქონელთა, განათლებულთა და გაუნათლებელთა უფლებების განსხვავებას. მისთვის ყველა მოქალაქე თანასწორია თავისი უფლებების მხრივ. არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ეროვნული წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითეული მოქალაქის პირადი ნიჭი და პირადი შრომა განსაზღვრავს მის მდგომარეობას საზოგადოებაში.

დასასრულ, ახალი კონსტიტუციის პროექტის კიდევ ერთი თავისებურება. ბურჟუაზიული კონსტიტუციები ჩვეულებრივ სჯერდებიან მოქალაქეთა ფორმალური უფლებების ფიქსირებას და არ ზრუნავენ ამ უფლებათა განხორციელების პირობებისათვის, მათი განხორციელების შესაძლებლობისათვის, მათი განხორციელების

საშუალებებისათვის. ლაპარაკობენ მოქალაქეთა თანასწორობაზე, ბაგრამ ავიწყდებათ, რომ არ შეიძლება ნამდვილი თანასწორობა მეპატრონესა და მუშას შორის, მემამულესა და გლეხს შორის, თუ პირველთ აქვთ სიმდიდრე და პოლიტიკური წონა საზოგადოებაში, ხოლო მეორენი მოკლებული არიან ერთსაც და მეორესაც, თუ პირველნი ექსპლოატატორები, მეორენი კი ექსპლოატირებულნი არიან. ან კიდევ: ლაპარაკობენ სიტყვის, კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე, მაგრამ ივიწყებენ, რომ ყველა ეს თავისუფლება შეიძლება მუშათა კლასისათვის ლიტონ სიტყვად იქცეს, თუ იგი მოკლებულია შესაძლებლობას თავის განკარგულებაში ჰქონდეს შესაფერი შენობები კრებებისათვის, კარგი სტამბები, საბეჭდი ქაღალდის საკმაო რაოდენობა და ა. შ.

ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება ის არის, რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეთა ფორმალური უფლებების ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებების გარანტიათა საკითხზე, ამ უფლებების განხორციელების საშუალებათა საკითხზე. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს მოქალაქეთა უფლებების თანასწორობას, არამედ კიდევაც უზრუნველყოფს მას ექსპლოატაციის რეჟიმის ლიკვიდაციის ფაქტის, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან მოქალაქეთა განთავისუფლების ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს შრომის უფლებას, არამედ კიდევაც უზრუნველყოფს მას საბჭოთა საზოგადოებაში კრიზისების არარსებობის ფაქტის, უმუშევრობის მოსპობის ფაქტის საკანონმდებლო განმტკიცებით. იგი უბრალოდ კი არ აცხადებს დემოკრატიულ თავისუფლებებს, არამედ საკანონმდებლო წესით კიდევაც უზრუნველყოფს მათ გარკვეული მატერიალური საშუალებებით. ამიტომ გასაგებია, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის დემოკრატიზმი არის არა «ჩვეულებრივი» და «საყოველთაოდ აღიარებული» დემოკრატიზმი საერთოდ, არამედ **სოციალისტური** დემოკრატიზმი.

ასეთია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ძირითადი თავისებურებანი.

ასეთია სსრ კავშირის სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების იმ ძვრათა და ცვლილებათა ასახვა ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომლებიც განხორციელდნენ 1924 წლიდან 1936 წლამდე განვლილ პერიოდში.

IV

კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკა

რამდენიმე სიტყვა კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის შესახებ.

ის საკითხი, თუ როგორ უყურებს კონსტიტუციის პროექტს უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა, უდავოდ წარმოადგენს ერთგვარ ინტერესს. რამდენადაც უცხოეთის პრესა ასახავს ბურჟუაზიული ქვეყნების მოსახლეობის სხვადასხვა ფენების საზოგადოებრივ აზრს, ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმ კრიტიკას, რომელიც ამ პრესამ კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ გააჩაღა.

კონსტიტუციის პროექტზე უცხოეთის პრესის გამოხმაურების პირველი ნიშნები გამოიხატა გარკვეული ტენდენციით — დუმილით შეხვედროდნენ კონსტიტუციის პროექტს. ამ შემთხვევაში მე მხედველობაში მაქვს ყველაზე რეაქციული, ფაშისტური პრესა. კრიტიკოსთა ამ ჯგუფმა უმჯობესად მიიჩნია პირდაპირ დუმილით შეხვედროდა კონსტიტუციის პროექტს, ისე წარმოედგინა საქმე, თითქოს პროექტი არ ყოფილიყოს და იგი საერთოდ არ არსებობდეს ბუნებაში. შეიძლება თქვან, რომ დუმილით შეხვედრა კრიტიკა არ არის. მაგრამ ეს არ არის მართალი. დუმილით შეხვედრის მეთოდიც, როგორც უგულებელყოფის განსაკუთრებული საშუალება, კრიტიკის ფორმაა, მართალია, სულელური და სასაცილო, მაგრამ მაინც კრიტიკის ფორმა. (**საერთო სიცილი, ტაში**). მაგრამ დუმილით შეხვედრის მეთოდით მათ არაფერი გამოუვიდათ. ბოლოს და ბოლოს ისინი იძულებული გახდნენ სარქველი აეხადათ და მსოფლიოსათვის ეუწყებინათ, რომ, რარიგ სამწუხაროც უნდა იყოს, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი მაინც არსებობს, და არა თუ არსებობს, არამედ მავნე ზემოქმედებასაც ახდენს ადამიანთა გონებაზე. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ვინაიდან ამ ქვეყნად მაინც არის რაღაც საზოგადოებრივი აზრი, არიან მკითხველები, ცოცხალი ადამიანები, რომლებსაც სურთ იცოდნენ სიმართლე ფაქტების შესახებ, და ყოვლად შეუძლებელია დიდხანს იყოლიო ისინი მოტყუების მარწუხში. მოტყუებით შორს ვერ წახვალ...

მეორე ჯგუფი კრიტიკოსებისა აღიარებს, რომ კონსტიტუციის პროექტი ნამდვილად არსებობს ბუნებაში, მაგრამ ამ ჯგუფს მიიჩნია, რომ პროექტი დიდ ინტერესს არ წარმოადგენს, ვინაიდან იგი არსებითად კონსტიტუციის პროექტი კი არ არის, არამედ ფარატინა ქაღალდია, ფუჭი დაპირებაა, რაც ნავარაუდევია ერთგვარი მანევრის

გასაკეთებლად და ადამიანთა მოსატყუებლად. ამასთან ისინი დასძენენ, უკეთესი პროექტის მოცემა სსრ კავშირს არც შეეძლო, ვინაიდან თვით სსრ კავშირი სახელმწიფო კი არ არის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული ცნებაა **(საერთო სიცილი)**, ხოლო რაკი იგი სახელმწიფო არ არის, მისი კონსტიტუციაც ნამდვილი კონსტიტუცია ვერ იქნებაო. კრიტიკოსთა ამ ჯგუფის ტიპიური წარმომადგენელია, რარიგ უცნაურიც უნდა იყოს ეს, გერმანიის ოფიციოზი «დოიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენც». ეს ჟურნალი პირდაპირ ამბობს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი ფუჭი დაპირებაა, მოტყუებაა, «პოტიომკინის სოფელია». იგი უყოყმანოდ აცხადებს, რომ სსრ კავშირი სახელმწიფო როდია, რომ სსრ კავშირი «სხვა არაფერია, თუ არ ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული ცნება» **(საერთო სიცილი)**, რომ ამიტომ სსრ კავშირის კონსტიტუცია არ შეიძლება ნამდვილ კონსტიტუციად იქნას აღიარებულიო.

რა შეიძლება ითქვას ასეთ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე?

თავის ერთ-ერთ ზღაპარ-მოთხრობაში დიდი რუსი მწერალი შჩედრინი იძლევა ძალიან გონებაშეზღუდული და გონებაჩლუნგი, მაგრამ მეტად გულდაჯერებული და რიხიანი თავნება ბიუროკრატის ტიპს. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი «რწმუნებულ» ოლქში «წესრიგი. და სიწყნარე» დაამყარა, რისთვისაც ათასობით მცხოვრები გაქცევა და ათობით ქალაქი გადაბუგა, მან მიმოიხედა და ჰორიზონტზე შეამჩნია ამერიკა, რასაკვირველია, ნაკლებადცნობილი ქვეყანა, სადაც, თურმე, არის რაღაც თავისუფლებანი, რომლებსაც ხალხში შფოთი შეაქვთ, და სადაც სახელმწიფოს სხვა მეთოდებით მართავენ. ბიუროკრატმა შეამჩნია ამერიკა და აღშფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა, რა საბუთით არსებობსო? **(საერთო სიცილი, ტაში)**. რა თქმა უნდა, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ განა არ შეიძლება კვლავ დაიხუროს იგი, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოსო? **(საერთო სიცილი)**. და ეს რომ თქვა, დაადო რეზოლუცია: «კვლავ დაიხუროს ამერიკა!» **(საერთო სიცილი)**.

მე მგონია, რომ ვაუბატონები «დოიტშე დიპლომატიშ-პოლიტიშე კორესპონდენციდან» როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგვანან შჩედრინის ბიუროკრატს. **(საერთო სიცილი, მოწონების ტაში)**. ამ ვაუბატონებს სსრ კავშირი უკვე დიდი ხანია თვალში ეჩხირებათ. ცხრამეტი წელიწადია შუქურასავით დგას სსრ კავშირი, განთავისუფლების სულისკვეთებას უნერგავს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს და ცოფსა ჰგვრის მუშათა კლასის მტრებს. და იგი, ეს სსრ

კავშირი, თურმე არა მარტო არსებობს, არამედ კიდევაც იზრდება. და არა მარტო იზრდება, არამედ წარმატებებსაც აღწევს, და არა მარტო წარმატებებს აღწევს, არამედ ახალი კონსტიტუციის პროექტსაც კი თხზავს, პროექტს, რომელიც ადამიანთა გონებას აღაგზნებს, ჩაგრულ კლასებს ახალ იმედებს უნერგავს. (ტაში). როგორ არ აღშფოთდნენ ამის შემდეგ ვაჟბატონები გერმანული ოფიციოზიდან? რა ქვეყანაა ეს ქვეყანა, გაჰყვირიან ისინი, რა საბუთით არსებობს იგი (**საერთო სიცილი**), და თუ იგი 1917 წლის ოქტომბერში აღმოაჩინეს, რატომ არ შეიძლება კვლავ დაიხუროს იგი, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოსო? და ეს რომ თქვეს, დაადგინეს: კვლავ დაიხუროს სსრ კავშირი, ყველას გასაგონად გამოცხადდეს, რომ სსრ კავშირი, როგორც სახელმწიფო, არ არსებობს, რომ სსრ კავშირი სხვა არაფერია, თუ არ უბრალო გეოგრაფიული ცნება! (**საერთო სიცილი**).

ადებდა რა რეზოლუციას იმის შესახებ, რომ კვლავ დახურულიყო ამერიკა, შჩედრინის ბიუროკრატმა, მიუხედავად მთელი თავისი გონებაჩლუნგობისა, მაინც გამოიჩინა რეალურის გაგების ელემენტები და თავისთვის ჩაილაპარაკა: «მაგრამ, ვგონებ, საქმე ესე ჩემზე არ არის დამოკიდებულიო». (**საერთო მხიარული სიცილი, მქუხარე ტაში**). მე არ ვიცი, ეყოფათ თუ არა ჭკუა ვაჟბატონებს გერმანული ოფიციოზიდან მიხვდნენ, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს «დახურვა» ქაღალდზე მათ, რასაკვირველია, შეუძლიათ, მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, «საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული»... (**საერთო მხიარული სიცილი, მქუხარე ტაში**).

რაც შეეხება იმას, ვითომც სსრ კავშირის კონსტიტუცია ფუჭი დაპირებაა, «პოტიომკინის სოფელია» და ა. შ., მე მინდა დავიმოწმო მთელი რიგი დადგენილი ფაქტები, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ.

1917 წელს სსრ კავშირის ხალხებმა დაამხეს ბურჟუაზია და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა, დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია და გადასცა გლეხებს 150 მილიონ ჰექტარზე მეტი ყოფილი მემამულური, სახაზინო და სამონასტრო მიწები და ეს — იმ მიწების გარდა, რომლებიც წინათაც გლეხთა ხელში იყო. ეს ფაქტია და არა დაპირება.

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა კაპიტალისტთა კლასის ექსპროპრიაცია, ჩამოართვა მათ ბანკები, ქარხნები, რკინიგზები და სხვა საწარმოო იარაღები და საშუალებები, გამოაცხადა ისინი სოციალისტურ საკუთრებად და ამ საწარმოთა სათავეში დააყენა

მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანები. ეს ფაქტია და არა დაპირება. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ, მოაწყო რა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ახალ, სოციალისტურ საფუძვლებზე, ახალი ტექნიკური ბაზით, საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ ამჟამად სსრ კავშირის მიწათმოქმედება ერთნახევარჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე ომამდე იძლეოდა, ინდუსტრია — შვიდჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე ომამდე, ხოლო სახალხო შემოსავალი ერთიოთხად გაიზარდა ომამდელ დროსთან შედარებით. ყოველივე ეს ფაქტებია და არა დაპირებანი. (ხანგრძლივი ტაში).

შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო უმუშევრობა, განახორციელა შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, უზრუნველყო უკეთესი მატერიალური და კულტურული პირობები მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის, უზრუნველყო განხორციელება მოქალაქეთა საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლებისა ფარული კენჭისყრით. ყოველივე ეს ფაქტებია და არა დაპირებანი. (ხანგრძლივი ტაში).

დასასრულ, სსრ კავშირმა მოგვცა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც წარმოადგენს არა დაპირებას, არამედ ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, იმის რეგისტრაციასა და საკანონმდებლო განმტკიცებას, რაც უკვე მიღწეული და მოპოვებულია.

საკითხავია, რა აზრი აქვს ყოველივე ამის შემდეგ გერმანული ოფიციოზის ვაჟბატონთა ლაყბობას «პოტიომკინის სოფლების» შესახებ, თუ არა ის, რომ მათ მიზნად დაისახეს დაუმალონ ხალხს სიმართლე სსრ კავშირის შესახებ, შეცდომაში შეიყვანონ ხალხი, მოატყუონ იგი.

ასეთია ფაქტები. ხოლო ფაქტები, როგორც იტყვიან, ჯიუტი რამ არის. გერმანული ოფიციოზის ვაჟბატონებს შეუძლიათ თქვან: მით უარესი ფაქტებისათვისო. (საერთო სიცილი). მაგრამ მაშინ მათ შეგვიძლია ვუპასუხოთ ცნობილი რუსული ანდაზის სიტყვებით: «რეგვენთათვის კანონი არ იწერება». (მხიარული სიცილი, ხანგრძლივი ტაში).

მესამე ჯგუფი კრიტიკოსებისა არ უარობს აღიაროს კონსტიტუციის პროექტის გარკვეული ღირსებანი, დადებით მოვლენად თვლის მას, მაგრამ ამ ჯგუფს, თურმე ნუ იტყვით, ძალიან ეეშვება, რომ შეიძლებოდეს პროექტის მთელ რიგ დებულებათა განხორციელება, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ეს დებულებები საერთოდ განუხორციელებელია და ქაღალდზე უნდა დარჩეს. ეს, რბილად რომ

ვთქვათ, სკეპტიკოსები არიან. ისინი, ეს სკეპტიკოსები, ყველა ქვეყანაში მოიპოვებიან.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ პირველად როდი ვხვდებით მათ. როცა ბოლშევიკები 1917 წელს ძალაუფლებას იღებდნენ, სკეპტიკოსები ამბობდნენ: ბოლშევიკები, კაცმა რომ თქვას, ცუდი ადამიანები როდი არიან, მაგრამ ხელისუფლების მხრივ მათ საქმე არ გამოუვათ, ისინი ჩაფლავდებიანო. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ჩაფლავდნენ არა ბოლშევიკები, არამედ სკეპტიკოსები.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დროს სკეპტიკოსთა ეს ჯგუფი ამბობდა: საბჭოთა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ცუდი რამ როდია, მაგრამ დენიკინი და კოლჩაკი პლუს უცხოელები მას, ალბათ, დასძლევენო. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ სკეპტიკოსები აქაც მოტყუვდნენ ანგარიშში.

როცა საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი ხუთწლიანი გეგმა გამოაქვეყნა, სკეპტიკოსები კვლავ გამოვიდნენ სცენაზე და ამბობდნენ: ხუთწლედი, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ არა გვგონია მისი განხორციელება შეიძლებოდეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლშევიკებს ხუთწლედის მხრივ საქმე არ გამოუვათო. მაგრამ ფაქტებმა დაგვანახეს, რომ სკეპტიკოსებს კვლავ უმტყუნა ბედმა: ხუთწლიანი გეგმა განხორციელებულ იქნა ოთხ წელიწადში.

იგივე უნდა ითქვას ახალი კონსტიტუციის პროექტზე და სკეპტიკოსების მხრივ მის კრიტიკაზე. საკმარისი იყო პროექტის გამოქვეყნება, რომ კრიტიკოსთა ეს ჯგუფი კვლავ გამოჩენილიყო სცენაზე თავისი ნაღვლიანი სკეფსისით, თავისი ეჭვებით კონსტიტუციის ზოგიერთი დებულების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. არავითარი საფუძველი არ არსებობს დავეჭვდეთ იმაში, რომ სკეპტიკოსები ამ შემთხვევაშიც ჩაფლავდებიან, ახლაც ისევე ჩაფლავდებიან, როგორც წარსულში არა ერთხელ ჩაფლავებულან.

მეოთხე ჯგუფი კრიტიკოსებისა, მიაქვს რა იერიში ახალი კონსტიტუციის პროექტის წინააღმდეგ, ახასიათებს მას, როგორც «მარჯვნისაკენ ძვრას», როგორც «პროლეტარიატის დიქტატურაზე ხელის აღებას», როგორც «ბოლშევიკური რეჟიმის ლიკვიდაციას». «ბოლშევიკები მარჯვნივ გადაქანდნენ, ეს ფაქტიაო» — ამბობენ ისინი სხვადასხვა ჰანგზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ გულმოდგინეობას იჩენენ ზოგიერთი პოლონური და ნაწილობრივ ამერიკული გაზეთები.

რა შეიძლება ითქვას ამ, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსებზე?

თუ მუშათა კლასის დიქტატურის ბაზის გაფართოება და დიქტატურის გადაქცევა საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელ-

მძღვანელობის უფრო მოქნილ, მაშასადამე, — უფრო მძლავრ სისტემად მათ ესმით არა როგორც მუშათა კლასის დიქტატურის გაძლიერება, არამედ როგორც მისი დასუსტება ანდა მასზე ხელის აღებაც კი, მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაჟბატონებმა — რა არის მუშათა კლასის დიქტატურა?

თუ სოციალიზმის გამარჯვების საკანონმდებლო განმტკიცებას, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და დემოკრატიზაციის წარმატებათა საკანონმდებლო განმტკიცებას ისინი «მარჯვნისაკენ ძვრას» უწოდებენ, მაშინ უფლება გვაქვს ვიკითხოთ: იციან კი საერთოდ ამ ვაჟბატონებმა — რით განსხვავდება მარცხენა მარჯვნისაგან? **(საერთო სიცილი, ტაში).**

არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ეს ვაჟბატონები საბოლოოდ დაიბნენ კონსტიტუციის პროექტის თავიანთ კრიტიკაში და, რაკი დაიბნენ, ერთმანეთში აურიეს მარჯვენა და მარცხენა.

ამ შემთხვევის გამო არ შეიძლება არ გავიხსენოთ შინაყმა «გოგო» პელაგია — გოგოლის «მკვდარი სულებიდან». მან, როგორც გოგოლი მოგვითხრობს, ერთხელ იკისრა გზა ეჩვენებინა ჩიჩიკოვის მეეტლე სელიფანისათვის, მაგრამ, რადგან ვერ შესძლო გაერჩია გზის მარჯვენა მხარე მარცხენა მხარისაგან, დაიბნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენი კრიტიკოსები პოლონური გაზეთებიდან, მთელი მათი ამბიციის მიუხედავად, მაინც ბევრად ვერ გასცილებიან «მკვდარი სულების» შინაყმა «გოგო» პელაგიას გაგების დონეს. **(ტაში).** თუ გაიხსენებთ, მეეტლე სელიფანმა საჭიროდ ჩათვალა დაეტუქსა პელაგია იმისათვის, რომ მან ერთმანეთში აურია მარჯვენა და მარცხენა, და უთხრა მას: «ეჰ, შე შავფეხავ... არ იცი, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა». მე მგონია, მართებული იქნებოდა ასევე დაგვეტუქსა ჩვენი ჭკუამოკლე კრიტიკოსები და გვეთქვა მათთვის: ეჰ, თქვე ვაი-კრიტიკოსებო... არ იცით, სად არის მარჯვენა და სად მარცხენა. **(ხანგრძლივი ტაში).**

დასასრულ, კიდევ ერთი ჯგუფი კრიტიკოსებისა. თუ წინა ჯგუფი ბრალს სდებს კონსტიტუციის პროექტს იმაში, რომ იგი ხელს იღებს მუშათა კლასის დიქტატურაზე, ეს ჯგუფი, პირიქით, ბრალს სდებს მას იმაში, რომ იგი არაფერს არა ცვლის სსრ კავშირში არსებულ მდგომარეობაში, რომ იგი ხელუხლებელს ტოვებს მუშათა კლასის დიქტატურას, დაუშვებლად თვლის პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას და ძალაში ტოვებს კომუნისტთა პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომარეობას სსრ კავშირში. ამასთან, კრიტიკოსთა ამ ჯგუფს მიაჩნია, რომ სსრ კავშირში პარტიების

თავისუფლების არარსებობა დემოკრატიზმის საფუძვლების დარღვევის ნიშანია.

უნდა ვაღიარო, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი მართლაც ძალაში ტოვებს მუშათა კლასის დიქტატურის რეჟიმს, ისევე როგორც უცვლელად ტოვებს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელ მდგომარეობას. (მქუხარე ტაში). თუ პატივცემულ კრიტიკოსებს ეს კონსტიტუციის პროექტის ნაკლად მიაჩნიათ, მაშინ შეგვიძლია მხოლოდ სინანული გამოვთქვათ ამის გამო. ჩვენ კი, ბოლშევიკები, ამას კონსტიტუციის პროექტის ღირსებად ვთვლით. (მქუხარე ტაში).

რაც შეეხება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების თავისუფლებას, ჩვენ აქ რამდენადმე სხვა შეხედულებისა ვართ. პარტია არის კლასის ნაწილი, მისი მოწინავე ნაწილი. რამდენიმე პარტია და, მაშასადამე, პარტიების თავისუფლება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც არიან ანტაგონისტური კლასები, რომელთა ინტერესები მტრული და შეურიგებელია, სადაც არიან, ვთქვათ, კაპიტალისტები და მუშები, მემამულეები და გლეხები, კულაკები და ღარიბები და სხვ.. მაგრამ სსრ კავშირში აღარ არიან ისეთი კლასები, როგორც კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები და ა. შ.. სსრ კავშირში არის მხოლოდ ორი კლასი — მუშები და გლეხები, რომელთა ინტერესები არა თუ მტრული არ არის, არამედ პირიქით — მეგობრულია. მაშასადამე, სსრ კავშირში არ არის ნიადაგი რამდენიმე პარტიის არსებობისათვის და, მაშასადამე, ამ პარტიების თავისუფლებისთვისაც. სსრ კავშირში არის ნიადაგი მხოლოდ ერთი პარტიისათვის, კომუნისტური პარტიისათვის. სსრ კავშირში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი პარტია — კომუნისტთა პარტია, რომელიც გაბედულად და ბოლომდე იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს. ხოლო იგი ამ კლასთა ინტერესებს ცუდად რომ არ იცავს, ამაში არა მგონია შესაძლებელი იყოს რაიმე ეჭვის შეტანა. (მქუხარე ტაში).

ლაპარაკობენ დემოკრატიაზე. მაგრამ რა არის დემოკრატია? დემოკრატია კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ანტაგონისტური კლასები არსებობენ, საბოლოო ანგარიშით არის დემოკრატია ძლიერთათვის, დემოკრატია შეძლებული უმცირესობისათვის. დემოკრატია სსრ კავშირში, პირიქით, არის დემოკრატია მშრომელთათვის, ე. ი. დემოკრატია ყველასათვის. მაგრამ აქედან გამომდინარეობს ის, რომ დემოკრატიზმის საფუძვლებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი კი არ არღვევს, არამედ ბურჟუაზიული კონსტიტუციები არღვევენ. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ სსრ კავშირის

კონსტიტუცია მსოფლიოში ერთადერთი ბოლომდე დემოკრატიული კონსტიტუციაა.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ბურჟუაზიული კრიტიკის მხრივ.

V

კონსტიტუციის პროექტის შესწორებანი და დამატებანი

გადავიდეთ კონსტიტუციის პროექტის იმ შესწორებათა და დამატებათა საკითხზე, რომლებიც მოქალაქეებმა პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისას შემოიტანეს.

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ, როგორც ვიცით, საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით მოგვცა შესწორებანი და დამატებანი. ყველა ეს შესწორება და დამატება გამოქვეყნებულია საბჭოთა პრესაში. შესწორებათა დიდი მრავალფეროვნებისა და მათი არაერთნაირი ღირებულების გამო, ჩემი აზრით, მართებული იქნებოდა ისინი სამ კატეგორიად დაგვეყო.

პირველი კატეგორიის შესწორებათა განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი კონსტიტუციის საკითხებს კი არ შეეხებიან, არამედ მომავალი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობის საკითხებს. დაზღვევის ცალკეული საკითხები, საკოლმეურნეო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, სამრეწველო მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, საფინანსო საქმის საკითხები, — ასეთია ამ შესწორებათა თემები. როგორც ჩანს, ამ შესწორებათა ავტორებს ვერ გაუთვალისწინებიათ განსხვავება საკონსტიტუციო საკითხებსა და მიმდინარე კანონმდებლობის საკითხებს შორის. სწორედ ამიტომ ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი კანონი ჩასჭედონ კონსტიტუციაში და საქმე იქით მიჰყავთ, რომ კონსტიტუცია კანონთა კრებულის მაგვარ რადმე გადააქციონ. მაგრამ კონსტიტუცია კანონთა კრებული როდია. კონსტიტუცია არის ძირითადი კანონი, და მხოლოდ ძირითადი კანონი. კონსტიტუცია არა თუ არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს მომავალი საკანონმდებლო ორგანოების მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობას. კონსტიტუცია იძლევა იურიდიულ ბაზას ასეთი ორგანოების მომავალი საკანონმდებლო მუშაობისათვის. ამიტომ ისეთი ხასიათის შესწორებანი და დამატებანი, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ კონსტიტუციასთან, ჩემი აზრით, უნდა გადაეცეს ჩვენი ქვეყნის მომავალ საკანონმდებლო ორგანოებს.

მეორე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომელნიც ცდილობენ შეიტანონ კონსტიტუციაში ისტორიულ ცნობათა ელემენტები ან ელემენტები დეკლარაციისა იმის შესახებ, რისთვისაც ჯერ არ მიუღწევია საბჭოთა ხელისუფლებას და რასაც უნდა მიაღწიოს მან მომავალში. კონსტიტუციაში იმის აღნიშვნა, თუ რა სიძნელეები გადალახეს მრავალი წლის მანძილზე პარტიამ, მუშათა კლასმა და ყველა მშრომელმა სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში; კონსტიტუციაში საბჭოთა მოძრაობის საბოლოო მიზნის, ე. ი. სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების აღნიშვნა, — ასეთია ამ შესწორებათა თემები, რომლებიც სხვადასხვა ვარიაციით მეორდება. მე ვფიქრობ, ასეთი შესწორებანი და დამატებანი აგრეთვე განზე უნდა გადაიდოს, რადგან მათ არა აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება კონსტიტუციასთან. კონსტიტუცია არის იმ მიღწევების რეგისტრაცია და საკანონმდებლო განმტკიცება, რომლებიც უკვე მოპოვებული და უზრუნველყოფილია. თუ არ გვინდა დავამახინჯოთ კონსტიტუციის ეს ძირითადი ხასიათი, იგი არ უნდა ავავსოთ ისტორიული ცნობებით წარსულზე, ანდა დეკლარაციებით სსრ კავშირის მშრომელთა მომავალ მიღწევებზე. ამ საქმისათვის სხვა გზები და სხვა დოკუმენტები გვაქვს.

ბოლოს, მესამე კატეგორიას უნდა მიეკუთვნონ ისეთი შესწორებანი და დამატებანი, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ კონსტიტუციის პროექტთან.

ამ კატეგორიის შესწორებათა მნიშვნელოვან ნაწილს სარედაქციო ხასიათი აქვს. ამიტომ შეიძლებოდა ისინი გადაგვეცა ამ ყრილობის სარედაქციო კომისიისათვის, რომელსაც, ვფიქრობ, ყრილობა შექმნის და დაავალებს მას დაადგინოს ახალი კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო რედაქცია.

რაც შეეხება მესამე კატეგორიის დანარჩენ შესწორებებს, მათ უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვთ, და მათ შესახებ, ჩემი აზრით, აქ უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა.

1) უწინარეს ყოვლისა კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლის შესწორებებზე. არის ოთხი შესწორება. ერთნი წინადადებას იძლევიან — ნაცვლად სიტყვებისა «მუშათა და გლეხთა სახელმწიფო» ითქვას: «მშრომელთა სახელმწიფო». მეორენი წინადადებას იძლევიან — სიტყვებს «მუშათა და გლეხთა სახელმწიფო» დაემატოს: «და მშრომელი ინტელიგენციის». მესამენი წინადადებას იძლევიან — ნაცვლად სიტყვებისა «მუშათა და გლეხთა სახელმწიფო» ითქვას: «სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა რასისა და

ეროვნების სახელმწიფო». მეოთხენი წინადადებას იძლევიან — სიტყვა «გლეხთა» შეიცვალოს სიტყვით «კოლმეურნეთა» ან სიტყვებით: «სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელთა».

უნდა მივიღოთ თუ არა ეს შესწორებანი? მე ვფიქრობ, რომ არ უნდა მივიღოთ.

რაზეა ლაპარაკი კონსტიტუციის პროექტის 1-ლ მუხლში? იქ ლაპარაკია საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობაზე. შეგვიძლია თუ არა ჩვენ, მარქსისტებს, კონსტიტუციაში გვერდი ავუაროთ ჩვენი საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობის საკითხს? არა, არ შეგვიძლია. საბჭოთა საზოგადოება, როგორც ცნობილია, შედგება ორი კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან. კონსტიტუციის პროექტის 1-ლ მუხლში სწორედ ამაზეა ლაპარაკი. მაშასადამე, კონსტიტუციის პროექტის 1-ლი მუხლი სწორად ასახავს ჩვენი საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობას. შეიძლება გვკითხონ: მშრომელი ინტელიგენცია? ინტელიგენცია არასოდეს არ ყოფილა კლასი და არც შეიძლება იყოს, — იგი იყო და რჩება ფენად, რომელიც თავის წევრებს იძენს საზოგადოების ყველა კლასში. ძველ დროს ინტელიგენცია თავის წევრებს იძენდა თავადაზნაურობაში, ბურჟუაზიაში, ნაწილობრივ გლეხთა შორის და მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით მუშათა შორის. ჩვენს, საბჭოთა დროში ინტელიგენცია თავის წევრებს იძენს უმთავრესად მუშათა და გლეხთა შორის. მაგრამ საიდანაც უნდა იძენდეს იგი წევრებს და რა ხასიათიც უნდა ჰქონდეს მას, ინტელიგენცია მაინც არის ფენა და არა კლასი.

ხომ არ ბღალავს ეს გარემოება მშრომელი ინტელიგენციის უფლებებს? სრულიადაც არა! კონსტიტუციის პროექტის პირველ მუხლში ლაპარაკია არა საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენების უფლებებზე, არამედ ამ საზოგადოების კლასობრივ შემადგენლობაზე. საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენების უფლებებზე, მათ შორის მშრომელი ინტელიგენციის უფლებებზე, ლაპარაკია კონსტიტუციის პროექტის უმთავრესად მეათე და მეთერთმეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად ჩანს, რომ მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია სავსებით თანასწორი არიან ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მაშასადამე, მშრომელი ინტელიგენციის უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

იგივე უნდა ითქვას სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ერებისა და რასების შესახებ. კონსტიტუციის პროექტის მეორე თავში უკვე ნათქვამია, რომ სსრ კავშირი არის თანასწორუფლე-

ბიანი ერების თავისუფალი კავშირი. განა ღირს ამ ფორმულის გამეორება კონსტიტუციის პროექტის პირველ მუხლში, რომელშიც ლაპარაკია საბჭოთა საზოგადოების არა ეროვნულ შემადგენლობაზე, არამედ მის კლასობრივ შემადგენლობაზე? ცხადია, არა ღირს. რაც შეეხება სსრ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ერებისა და რასების უფლებებს, ამაზე ლაპარაკია კონსტიტუციის პროექტის მეორე, მეათე და მეთერთმეტე თავებში. ამ თავებიდან ნათლად ჩანს, რომ სსრ კავშირის ერები და რასები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. მაშასადამე, ეროვნულ უფლებათა შელახვაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

აგრეთვე უმართებულო იქნებოდა შეგვეცვალა სიტყვა «გლეხი» სიტყვით «კოლმეურნე», ან სიტყვებით «სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელი». ჯერ-ერთი, გლეხთა შორის გარდა კოლმეურნეებისა ჯერ კიდევ არის მილიონზე მეტი კომლი არაკოლმეურნე. რა ვუყოთ მათ? ხომ არ ფიქრობენ ამ შესწორების ავტორები, რომ ისინი სათვალავში არ მივიღოთ? ეს გონივრული არ იქნებოდა. მეორეც, თუ გლეხთა უმრავლესობა უკვე ეწევა საკოლმეურნეო მეურნეობას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი აღარ არის გლეხობა, რომ მას აღარა აქვს თავისი პირადი მეურნეობა, პირადი კარმიდამო და ა. შ.. მესამეც, მაშინ საჭირო გახდებოდა შეგვეცვალა აგრეთვე სიტყვა «მუშა» სიტყვებით «სოციალისტური მრეწველობის მშრომელი». მაგრამ შესწორების ავტორები ასეთ წინადადებას რატომღაც არ იძლევიან. დასასრულ, განა ჩვენში უკვე გაქრნენ მუშათა კლასი და გლეხთა კლასი? ხოლო თუ ისინი არ გამქრალან, განა საჭიროა ამოვშალოთ ლექსიკონიდან მათთვის დადგენილი სახელწოდებანი? შესწორების ავტორებს, როგორც ეტყობათ, მხედველობაში აქვთ არა ახლანდელი, არამედ მომავალი საზოგადოება, როცა კლასები აღარ იქნებიან და როცა მუშები და გლეხები გადაიქცევიან ერთიანი კომუნისტური საზოგადოების მშრომელებად. მაშასადამე, ისინი აშკარად ნაადრევად გარბიან წინ. მაგრამ კონსტიტუციის შედგენისას უნდა ვემყარებოდეთ არა მომავალს, არამედ აწმყოს, იმას, რაც უკვე არის. კონსტიტუცია არ შეიძლება ნაადრევად გარბოდეს წინ და არც უნდა გარბოდეს.

2) შემდეგია შესწორება კონსტიტუციის პროექტის მე-17 მუხლისა. შესწორება იმაში მდგომარეობს, რომ მოითხოვენ სრულიად გამოირიცხოს კონსტიტუციის პროექტიდან მე-17 მუხლი, რომელშიც ლაპარაკია სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების

თავისუფლად გასვლის უფლების შენარჩუნებაზე. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადება სწორი არ არის და ამიტომ იგი არ უნდა მიიღოს ყრილობამ. სსრ კავშირი თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირია. კონსტიტუციაში რომ ამოიშალოს მუხლი სსრ კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლების შესახებ, ეს ამ კავშირის ნებაყოფლობითი ხასიათის დარღვევა იქნებოდა. შეგვიძლია თუ არა გადავდგათ ეს ნაბიჯი? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ ნაბიჯს ვერ გადავდგამთ და არც უნდა გადავდგათ. ამბობენ, სსრ კავშირში არ მოიპოვება არც ერთი რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლა, და ამიტომ მე-17 მუხლს პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვსო. ჩვენში რომ არ არის არც ერთი რესპუბლიკა, რომელსაც სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლა სურდეს, ეს, რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ არ უნდა ჩავწეროთ კონსტიტუციაში სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების თავისუფლად გასვლის უფლება. სსრ კავშირში არ არის აგრეთვე ისეთი მოკავშირე რესპუბლიკა, რომელსაც სურდეს დათრგუნოს მეორე მოკავშირე რესპუბლიკა. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციაში უნდა ამოიშალოს მუხლი, რომელშიც ლაპარაკია მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა თანასწორობაზე.

3) შემდეგ არის წინადადება, რომ კონსტიტუციის პროექტის მეორე თავი შეივსოს ახალი მუხლით, რომლის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, როცა ისინი სამეურნეო და კულტურული განვითარების სათანადო დონეს მიაღწევენ, შეიძლება გარდაიქმნან მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად. შეიძლება თუ არა მივიღოთ ეს წინადადება? მე ვფიქრობ, რომ მისი მიღება საჭირო არ არის. იგი სწორი არ არის არა მარტო თავისი შინაარსის მხრივ, არამედ თავისი მოტივების მხრივაც. არ შეიძლება ავტონომიური რესპუბლიკების მოკავშირე რესპუბლიკათა კატეგორიაში გადაყვანა დასაბუთებულ იქნას მათი სამეურნეო და კულტურული მომწიფებით, ისევე როგორც არ შეიძლება ამა თუ იმ რესპუბლიკის ავტონომიურ რესპუბლიკათა სიაში დატოვება დასაბუთებულ იქნას მისი სამეურნეო თუ კულტურული ჩამორჩენილობით: ეს არამარქსისტული, არალენინური მიდგომა იქნებოდა. მაგალითად, თათრეთის რესპუბლიკა ავტონომიურ რესპუბლიკად რჩება, ხოლო ყაზახეთის რესპუბლიკა მოკავშირე რესპუბლიკად ხდება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყაზახეთის რესპუბლიკა კულტუ-

რული და სამეურნეო განვითარების თვალსაზრისით უფრო მაღლა დგას, ვიდრე თათრეთის რესპუბლიკა. საქმე სწორედ პირიქით არის. იგივე უნდა ითქვას, მაგალითად, ვოლგისპირეთის გერმანელთა ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყირგიზეთის მოკავშირე რესპუბლიკაზე, რომელთაგან პირველი კულტურულად და მეურნეობის მხრივ უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეორე, თუმცა ავტონომიურ რესპუბლიკად რჩება.

როგორია ის ნიშნები, რომელთა არსებობაც საფუძველს გვაძლევს გადავიყვანოთ ავტონომიური რესპუბლიკები მოკავშირე რესპუბლიკათა კატეგორიაში?

ისინი, ეს ნიშნები, სამია.

ჯერ-ერთი, საჭიროა, რომ რესპუბლიკა იყოს განაპირა, რომ მას ყოველი მხრიდან გარს არ ეკრას სსრ კავშირის ტერიტორია. რატომ? იმიტომ რომ, თუ მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გასვლის უფლება, მაშინ საჭიროა ამ რესპუბლიკას, რომელიც მოკავშირე გახდა, საშუალება ჰქონდეს ლოგიკურად და ფაქტიურად დააყენოს სსრ კავშირიდან თავისი გასვლის საკითხი. ასეთი საკითხის დაყენება კი მხოლოდ ისეთ რესპუბლიკას შეუძლია, რომელიც, ვთქვათ, ესაზღვრება უცხოეთის რომელიმე სახელმწიფოს და რომელსაც, მაშასადამე, ყოველი მხრიდან გარს არ აკრავს სსრ კავშირის ტერიტორია. რასაკვირველია, ჩვენში არ არიან ისეთი რესპუბლიკები, ფაქტიურად რომ აყენებდნენ სსრ კავშირიდან გასვლის საკითხს. მაგრამ რაკი მოკავშირე რესპუბლიკას რჩება სსრ კავშირიდან გასვლის უფლება, მაშინ ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ეს უფლება ფარატინა და უაზრო ქაღალდად არ გადაიქცეს. ავიღოთ, მაგალითად, ბაშკირეთის ან თათრეთის რესპუბლიკა. ვთქვათ, ეს ავტონომიური რესპუბლიკები გადავიყვანეთ მოკავშირე რესპუბლიკათა კატეგორიაში. შეეძლებოდათ თუ არა მათ ლოგიკურად და ფაქტიურად დაეყენებინათ სსრ კავშირიდან თავიანთი გასვლის საკითხი? არა, არ შეეძლებოდათ. რატომ? იმიტომ, რომ მათ ყოველ მხრიდან გარს აკრავან საბჭოთა რესპუბლიკები და ოლქები და, კაცმა რომ თქვას, მათ სსრ კავშირის შემადგენლობიდან არსად წაესვლებათ. (**საერთო სიცილი, ტაში**). ამიტომ ასეთი რესპუბლიკების მოკავშირე რესპუბლიკათა კატეგორიაში გადაყვანა სწორი არ იქნებოდა.

მეორეც, საჭიროა, რომ ეროვნება, რომლის სახელიც საბჭოთა რესპუბლიკას ეწოდება, წარმოადგენდეს ამ რესპუბლიკაში ცოტად თუ ბევრად კომპაქტურ უმრავლესობას. მაგალითად, ავიღოთ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა. იგი განაპირა რესპუბლიკაა,

მაგრამ ყირიმელ თათრებს არა ჰყავთ უმრავლესობა ამ რესპუბლიკაში, პირიქით, — ისინი იქ უმცირესობას წარმოადგენენ. მაშასადამე, არასწორი და ულოგიკო იქნებოდა ყირიმის რესპუბლიკის გადაყვანა მოკავშირე რესპუბლიკათა კატეგორიაში.

მესამეც, საჭიროა, რომ რესპუბლიკა ძალიან პატარა არ იყოს თავისი მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, რომ მას ჰყავდეს, ვთქვათ, თუნდაც მილიონზე არა ნაკლები, არამედ მეტი მოსახლეობა. რატომ? იმიტომ, რომ სწორი არ იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს პატარა საბჭოთა რესპუბლიკას, რომელსაც მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა და უმნიშვნელო არმია ჰყავს, შეეძლოს ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის იმედი. არა მგონია საეჭვო იყოს, რომ იმპერიალისტი მტაცებლები მყისვე ჩაიგდებდნენ მას ხელში.

მე ვფიქრობ, რომ თუ ეს სამი ობიექტური ნიშანი არ არსებობს, სწორი არ იქნება ამ ისტორიულ მომენტში დავაყენოთ ამა თუ იმ ავტონომიური რესპუბლიკის მოკავშირე რესპუბლიკათა კატეგორიაში გადაყვანის საკითხი.

4) შემდეგ წინადადება შემოაქვთ ამოვშალოთ 22, 23, 24, 25, 26, 27, 28 და 29 მუხლებში დაწვრილებითი ჩამოთვლა მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა მხარეებად და ოლქებად. მე ვფიქრობ, რომ ეს წინადადებაც მიუღებელია. სსრ კავშირში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან დიდი ხალისით და დაუღალავად გადააკეთ-გადმოაკეთონ მხარეებისა და ოლქების საზღვრები, და ამით არევ-დარევა და ურწმენობა შეიტანონ მუშაობაში. კონსტიტუციის პროექტი ასეთი ადამიანებისათვის ქმნის ლაგამს. და ეს ძალიან კარგია, იმიტომ რომ აქ, ისე როგორც ბევრ სხვა რამეში, საჭიროა ჩვენში რწმენის ატმოსფერო, საჭიროა სტაბილობა, სიცხადე.

5) მეხუთე შესწორება ეხება 33-ე მუხლს. მიზანშეუწონლად თვლიან ორი პალატის შექმნას და წინადადებას იძლევიან მოისპოს ეროვნებათა საბჭო. მე ვფიქრობ, ეს შესწორებაც არ არის სწორი. ერთპალატიანი სისტემა ორპალატიანზე უკეთესი იქნებოდა, სსრ კავშირი რომ ერთიან ეროვნულ სახელმწიფოს წარმოადგენდეს. მაგრამ სსრ კავშირი არ არის ერთიანი ეროვნული სახელმწიფო. სსრ კავშირი, როგორც ცნობილია, მრავალეროვანი სახელმწიფოა. ჩვენ გვაქვს უმაღლესი ორგანო, სადაც წარმოდგენილია სსრ კავშირის ყველა მშრომელთა **საერთო** ინტერესები დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა. ეს არის კავშირის საბჭო. მაგრამ სსრ კავშირის ეროვნებებს საერთო ინტერესებს გარდა აქვთ კიდევ **თავისი განსა-**

კუთრებული, სპეციფიკური ინტერესები, რომლებიც დაკავშირებული არიან მათს ეროვნულ თავისებურებებთან. შეიძლება თუ არა ამ სპეციფიკური ინტერესების უგულებელყოფა? არა, არ შეიძლება. საჭიროა თუ არა სპეციალური უმაღლესი ორგანო, რომელიც სწორედ ამ სპეციფიკურ ინტერესებს ასახავდეს? უთუოდ საჭიროა. უეჭველია, რომ ასეთი ორგანოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოს მართვა, როგორიცაა სსრ კავშირი. ასეთ ორგანოს წარმოადგენს მეორე პალატა, სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭო.

მიუთითებენ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოთა საპარლამენტო ისტორიაზე, მიუთითებენ იმაზე, რომ ორპალატიანმა სისტემამ ამ ქვეყნებში მხოლოდ მინუსები მოგვცა, რომ მეორე პალატა ჩვეულებრივ რეაქციის ცენტრად და წინსვლის საწინააღმდეგო მუხრუჭად გადაგვარდება ხოლმე. ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ქვეყნებში პალატებს შორის არ არის თანასწორობა. როგორც ვიცით, მეორე პალატას ხშირად მეტ უფლებებს აძლევენ, ვიდრე პირველს, და შემდეგ, როგორც წესი, მეორე პალატა ეწყობა არადემოკრატიული გზით, ხშირად მისი წევრების ზევიდან დანიშვნის გზით. უეჭველია, ეს მინუსები არ იქნება, თუ გავატარებთ თანასწორობას პალატებს შორის და მეორე პალატას მოვაწყობთ ისევე დემოკრატიულად, როგორც პირველს.

6) შემდეგ, წინადადებაა კონსტიტუციის პროექტში შეტანილ იქნას დამატება, რომელიც მოითხოვს ორივე პალატის წევრთა რაოდენობის გათანასწორებას. მე ვფიქრობ, ამ წინადადების მიღება შეიძლება. იგი გვაძლევს, ჩემი აზრით, აშკარა პოლიტიკურ პლუსებს, რადგან ხაზგასმით აღნიშნავს პალატების თანასწორობას.

7) შემდეგია კონსტიტუციის პროექტის დამატება, რომლის მიხედვითაც წინადადებას იძლევიან იმგვარადვე ავირჩიოთ დეპუტატები ეროვნებათა საბჭოში, როგორც კავშირის საბჭოში, პირდაპირი არჩევნების გზით. მე ვფიქრობ, რომ ამ წინადადების მიღებაც შეიძლება. მართალია, მან შეიძლება ერთგვარი ტექნიკური უხერხულობა შექმნას არჩევნების დროს. სამაგიეროდ იგი დიდ პოლიტიკურ მოგებას მოგვცემს, რადგან აამაღლებს ეროვნებათა საბჭოს ავტორიტეტს.

8) შემდეგია მე-40 მუხლის დამატება, რომლის მიხედვითაც წინადადებას იძლევიან მიენიჭოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დროებითი საკანონმდებლო აქტების გამოცემის უფლება. მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება სწორი არ არის და ყრილობამ იგი არ უნდა მიიღოს. ბოლოს და ბოლოს საჭიროა ბოლო მოეღოს იმ მდგომარეობას, როცა კანონმდებლობს არა ერთი რომელიმე ორგანო, არამედ

მთელი რიგი ორგანოები. ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება კანონების სტაბილობის პრინციპს. ხოლო კანონების სტაბილობა ახლა უფრო მეტად გვჭირდება, ვიდრე ოდესმე. სსრ კავშირში საკანონმდებლო ძალაუფლებას უნდა ახორციელებდეს მხოლოდ ერთი ორგანო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

9) შემდეგ, წინადადებაა კონსტიტუციის პროექტში შეტანილ იქნას 48-ე მუხლის დამატება, რომლის მიხედვითაც მოითხოვენ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ირჩევდეს არა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, არამედ ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობა. მე ვფიქრობ, რომ ეს დამატება სწორი არ არის, ვინაიდან იგი არ შეესაბამება ჩვენი კონსტიტუციის არსს. ჩვენი კონსტიტუციის სისტემით სსრ კავშირში არ უნდა იყოს ერთპირონვნული პრეზიდენტი, რომელსაც აირჩევს მთელი ხალხი, უმაღლესი საბჭოს თანაბრად, და რომელსაც შეეძლება თავისი თავი დაუპირდაპიროს უმაღლეს საბჭოს. სსრ კავშირში პრეზიდენტი კოლეგიალურია, — ეს არის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჩათვლით, არჩეული არა მთელი მოსახლეობის, არამედ უმაღლესი საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებული უმაღლესი საბჭოს წინაშე. ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უმაღლესი ორგანოების ასეთი აგება ყველაზე დემოკრატიულია და უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანას არასასურველ შემთხვევითობათაგან.

10) შემდეგია იმავე 48-ე მუხლის შესწორება. იქ ნათქვამია: გადიდდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა თერთმეტამდე იმ ანგარიშით, რომ თვითეული მოკავშირე რესპუბლიკიდან იყოს ერთი მოადგილე. მე ვფიქრობ, რომ ამ შესწორების მიღება შეიძლება, ვინაიდან იგი აუმჯობესებს საქმეს და შეუძლია მხოლოდ განამტკიცოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ავტორიტეტი.

11) შემდეგია 77-ე მუხლის შესწორება. იგი მოითხოვს მოეწყოს ახალი საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატი, — თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატი. მე ვფიქრობ, რომ საჭირო იქნება ამ შესწორების მიღებაც (ტაში), ვინაიდან მომწიფდა დრო იმისათვის, რომ გამოვყოთ ჩვენი თავდაცვის მრეწველობა და მივცეთ მას სათანადო გაფორმება სახალხო კომისარიატის სახით. მე მგონია, რომ ეს მხოლოდ გააუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს.

12) შემდეგია კონსტიტუციის პროექტის 124-ე მუხლის შესწორება, რომელიც მოითხოვს ამ მუხლის შეცვლას იმ მიმართულებით, რომ აიკრძალოს რელიგიურ წესთა შესრულება. მე ვფიქრობ, რომ

ეს შესწორება უარყოფილ უნდა იქნას, როგორც ჩვენი კონსტიტუციის არსის შეუსაბამო.

13) დასასრულ, კიდევ ერთი შესწორება, რომელსაც ცოტად თუ ბევრად არსებითი ხასიათი აქვს. მე ვლაპარაკობ კონსტიტუციის პროექტის 135-ე მუხლის შესწორებაზე. იგი წინადადებას იძლევა ჩამოერთვას საარჩევნო უფლებები კულტის მსახურთ, ყოფილ თეთრგვარდიელთ, ყველა ყოფილ ადამიანსა და პირს, რომელნიც კი საერთო-სასარგებლო შრომას არ ეწევიან, ანდა, ყოველ შემთხვევაში, — შეიზღუდოს ამ კატეგორიის პირთა საარჩევნო უფლებანი, — მიენიჭოთ მათ მხოლოდ უფლება — აირჩიონ, მაგრამ არ იქნან არჩეული. მე ვფიქრობ, ეს შესწორებაც უარყოფილ უნდა იქნას. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა საარჩევნო უფლებანი არამშრომელ და ექსპლოატატორულ ელემენტებს არა უკუნითი უკუნისამდე, არამედ დროებით, განსაზღვრულ პერიოდამდე. იყო დრო, როცა ეს ელემენტები აშკარა ბრძოლას ეწეოდნენ ხალხის წინააღმდეგ და წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა კანონებს. საბჭოთა კანონი მათთვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ იყო საბჭოთა ხელისუფლების პასუხი ამ წინააღმდეგობის გაწევაზე. მას შემდეგ ცოტა დრომ როდი განვლო. განვლილ პერიოდში ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ექსპლოატატორული კლასები მოსპობილი არიან, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება უძლეველ ძალად გადაიქცა. ხომ არ დადგა დრო გადაისინჯოს ეს კანონი? მე ვფიქრობ, რომ ეს დრო დადგა. ამბობენ, ეს საშიშიაო, რადგან ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ორგანოებში შეიძლება გაძვრნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული ელემენტები, ზოგი ვინმე ყოფილი თეთრგვარდიელებიდან, კულაკებიდან, ხუცებიდან და ა. შ.. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რისა უნდა გვეშინოდეს აქ? «მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია». (**დარბაზში მხიარული გამოცოცხლებაა. მქუხარე ტაში**). ჯერ-ერთი, ყველა ყოფილი კულაკი, თეთრგვარდიელი თუ ხუცესი როდია საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი. მეორეც, ხალხმა კიდეც რომ აირჩიოს აქა-იქ მტრული ადამიანები, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჩვენი სააგიტაციო მუშაობა ძალიან ცუდად არის დაყენებული, და ჩვენ საკუთარ ... ასეთი სირცხვილი, ხოლო თუ ჩვენი სააგიტაციო მუშაობა ბოლშევიკურად იწარმოებს, მაშინ ხალხი თავის უმაღლეს ორგანოებში მტრულ ადამიანებს არ შეუშვებს. მაშასადამე, კი არ უნდა ვიწუწუნოთ, არამედ უნდა ვიმუშაოთ (**მქუხარე ტაში**), უნდა ვიმუშაოთ და არა ველოდოთ იმას, რომ ყველაფერი მზამზარეულად მოგვეცემა ადმინისტრაციულ განკარგულებათა წესით. ლენინი ჯერ კიდევ 1919

წელს ამბობდა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა საბჭოთა ხელისუფლება სასარგებლოდ მიიჩნევს შემოიღოს საყოველთაო საარჩევნო უფლება სრულიად შეუზღუდავად. მიაქციეთ ყურადღება: სრულიად შეუზღუდავად. ამას იგი ამბობდა მაშინ, როცა უცხოელთა სამხედრო ინტერვენცია ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ იყო, ხოლო ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა სასოწარმკვეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მას შემდეგ უკვე ჩვიდმეტმა წელმა განვლო. განა დრო არ არის, ამხანაგებო, შევასრულოთ ლენინის მითითება? მე ვფიქრობ, დროა.

აი რას ამბობდა ლენინი 1919 წელს თავის შრომაში «რკპ (ბ) პროგრამის პროექტი». ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ:

«რკპ უნდა განუმარტავდეს მშრომელ მასებს, წარმავალ ისტორიულ საჭიროებათა არასწორი განზოგადების თავიდან ასაცილებლად, რომ მოქალაქეთა ნაწილისათვის საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევა სრულიადაც არ ეხება საბჭოთა რესპუბლიკაში, როგორც ეს ხდებოდა უმეტეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკებში, მოქალაქეთა განსაზღვრულ კატეგორიას, რომელნიც სამუდამოდ უუფლებოებად ცხადდებიან, არამედ ეხება მხოლოდ ექსპლოატატორებს, მხოლოდ იმათ, ვინც წინააღმდეგ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონებისა ჯიუტობს თავისი ექსპლოატატორული მდგომარეობის დაცვაში, კაპიტალისტური ურთიერთობის შენარჩუნებაში. მაშასადამე, საბჭოთა რესპუბლიკაში ერთი მხრივ, სოციალიზმის ყოველდღიურ განმტკიცებასა და იმათი რიცხვის შემცირებასთან ერთად, ვისაც ობიექტურად შესაძლებლობა აქვს დარჩეს ექსპლოატატორად ან შეინარჩუნოს კაპიტალისტური ურთიერთობა, თავისთავად მცირდება საარჩევნო უფლებაჩამორთმეულთა პროცენტი. არა გვგონია ახლა რუსეთში ეს პროცენტი ორ, სამ პროცენტზე მეტი იყოს. მეორე მხრივ, სულ ახლო მომავალში გარედან შემოსევის შეწყვეტასა და ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის დამთავრებას შეუძლია, გარკვეულ პირობებში, შექმნას ისეთი მდგომარეობა, როცა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლება აირჩევს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის სხვა ხერხებს და შემოიღებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას სრულიად შეუზღუდავად»[1] (ლენინი, ტ. XXIV, გვ. 94).

ვგონებ, ნათელია.

ასეთია საქმის ვითარება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესწორებათა და დამატებათა მხრივ.

VI

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობა

თუ ვიმსჯელებთ იმ საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების მიხედვით, რომელიც თითქმის 5 თვეს გრძელდებოდა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს ყრილობა მოიწონებს კონსტიტუციის პრო-

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ექტს. (მჭუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. დარბაზი ფეხზე დგება).

რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა კავშირს ექნება ახალი, სოციალისტური კონსტიტუცია, აგებული გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძვლებზე.

ეს იქნება ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც მარტივად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით გადმოცემულია სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტები, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტები, სსრ კავშირში გაშლილი, ბოლომდე თანმიმდევრული დემოკრატიის გამარჯვების ფაქტები.

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და კვლავ ოცნებობენ მილიონობით პატიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, — უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში. (მჭუხარე ტაში).

ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ ის, რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიც. (მჭუხარე ტაში).

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ არა გვგონია შეიძლებოდეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საერთაშორისო მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება.

ახლა, როცა ფაშიზმის მღვრიე ტალღა ბილწავს მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას და ტალახში სვრის ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო ადამიანთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება საბრალდებო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ, აქტი, რომელიც იმას მოწმობს, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან. (ტაში). სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მორალური დახმარება და რეალური საყრდენი იქნება ყველა იმათთვის, ვინც ახლა ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ იბრძვის. (მჭუხარე ტაში).

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას სსრ კავშირის ხალხებისათვის. თუ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციას მოქმედების პროგრამის მნიშვნელობა ექნება, სსრ კავშირის ხალხებისათვის მას აქვს მათი ბრძოლის შეჯამების, კაცობრიობის განთავისუფლების ფრონტზე მათ გამარჯვებათა შეჯამების მნიშვნელობა. ბრძოლისა და გაჭირვების განვლილი გზის შედეგად სასიამოვნო და სასიხარულოა გვქონდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა

ნაყოფზე ლაპარაკობს. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მიაღწიეს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა. (ხანგრძლივი ტაში). ეს სულიერად აიარაღებს ჩვენს მუშათა კლასს, ჩვენს გლეხობას, ჩვენს მშრომელ ინტელიგენციას. ეს წინ გვამოძრავებს და გვიმაღლებს კანონიერი სიამაყის გრძნობას. ეს განგვიმტკიცებს რწმენას საკუთარი ძალებისადმი და გვრაზმავს ახალი ბრძოლისათვის კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. (მჭუხარე ოვაცია. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. მჭექარე «ვაშა». საერთო შეძახილები: «გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!». ყრილობა ფეხზე ამდგარი მღერის «ინტერნაციონალს». «ინტერნაციონალის» შესრულების შემდეგ ოვაცია ახლდება. შეძახილები: «ვაშა!», «გაუმარჯოს ჩვენს ბელადს ამხანაგ სტალინს!»).

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ

(1938 წ. სექტემბერი)

დიალექტიკური მატერიალიზმი არის მარქსისტულ-ლენინური პარტიის მსოფლმხედველობა. მას დიალექტიკური მატერიალიზმი იმიტომ ეწოდება, რომ მისი მიდგომა ბუნების მოვლენებისადმი, ბუნების მოვლენების შესწავლის მისი მეთოდი, ამ მოვლენების შეცნობის მისი მეთოდი არის დიალექტიკური, ხოლო მის მიერ ბუნების მოვლენათა ახსნა, მის მიერ ბუნების მოვლენათა გაგება, მისი თეორია — მატერიალისტური.

ისტორიული მატერიალიზმი არის დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა გავრცელება საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებათა გამოყენება საზოგადოების ცხოვრების მოვლენათა მიმართ, მათი გამოყენება საზოგადოების შესწავლაში, საზოგადოების ისტორიის შესწავლაში.

ახასიათებენ რა თავიანთ დიალექტიკურ მეთოდს, მარქსი და ენგელსი ჩვეულებრივ მიუთითებენ ჰეგელზე, როგორც ფილოსოფოსზე, რომელმაც ჩამოაყალიბა დიალექტიკის ძირითადი ნიშნები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარქსისა და ენგელსის დიალექტიკა იგივეა, რაც ჰეგელის დიალექტიკა. სინამდვილეში მარქსმა და ენგელსმა ჰეგელის დიალექტიკიდან აიღეს მხოლოდ მისი «რაციონალური მარცვალი», ჩამოაშორეს ჰეგელის იდეალისტური ჩენჩო და შემდგომ განავითარეს დიალექტიკა, რათა მიეცათ მისთვის თანამედროვე მეცნიერული სახე.

«ჩემი დიალექტიკური მეთოდი, — ამბობს მარქსი, — თავის საფუძველში არა მარტო განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ წარმოადგენს მის პირდაპირ წინააღმდეგობას. ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იდეის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტადაც კი ხდის, არის დემიურგი (შემოქმედი) სინამდვილისა, რომელიც მის მხოლოდ გარეგან გამოვლინებას შეადგენს. ჩემთვის, პირიქით, იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაქმნილი» (კ. მარქსი, «კაპიტალის» 1-ლი ტომის შეორე გერმანული გამოცემის ბოლოსიტყვაობა).

ახასიათებენ რა თავიანთ მატერიალიზმს, მარქსი და ენგელსი ჩვეულებრივ მიუთითებენ ფეიერბახზე, როგორც ფილოსოფოსზე, რომელმაც აღადგინა მატერიალიზმი თავის უფლებებში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმი იგივეა, რაც ფეიერბახის მატერიალიზმი. სინამდვილეში მარქსმა და ენგელსმა ფეიერბახის მატერიალიზმიდან აიღეს მისი «ძირითადი მარცვალი», შემდგომ განავითარეს იგი მატერიალიზმის მეცნიერულ-ფილოსოფიურ თეორიად და ჩამოაშორეს მას მისი იდეალისტური და რელიგიურ-ეთიკური დანაშრევები. ცნობილია, რომ ფეიერბახი, რომელიც ძირითადად მატერიალისტი იყო, ილაშქრებდა სახელწოდების — მატერიალიზმის წინააღმდეგ. ენგელსს არაერთხელ განუცხადებია, რომ ფეიერბახი «მატერიალისტური საფუძვლის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ძველი იდეალისტური ბორკილებისაგან», რომ «ფეიერბახის ნამდვილი იდეალიზმი თავს იჩენს მაშინვე, როგორც კი შეეხებით მის ეთიკასა და რელიგიის ფილოსოფიას» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. XIV, გვ. 652 — 654).

დიალექტიკა წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან «დიალეგო», რაც ნიშნავს საუბრის, პოლემიკის წარმოებას. ძველად დიალექტიკად გულისხმობდნენ ხელოვნებას — მიეღწიათ ჭეშმარიტებისათვის მოწინააღმდეგის მსჯელობაში წინააღმდეგობათა გამოვლინებისა და ამ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით. ძველად ზოგიერთი ფილოსოფოსი ფიქრობდა, რომ წინააღმდეგობათა გამოვლინება აზროვნებაში და დაპირისპირებული აზრების შეჯახება წარმოადგენს ჭეშმარიტების აღმოჩენის საუკეთესო საშუალებას. აზროვნების ეს დიალექტიკური წესი, რაც შემდეგ გავრცელებულ იქნა ბუნების მოვლენებზე, გადაიქცა ბუნების შეცნობის დიალექტიკურ მეთოდად, რომელიც ბუნების მოვლენებს იხილავდა, როგორც მუდამ მოძრავსა და ცვალებადს, ხოლო ბუნების განვითარებას — როგორც ბუნებაში წინააღმდეგობათა განვითარების შედეგს, როგორც ბუნებაში დაპირისპირებული ძალების ურთიერთმოქმედების შედეგს.

თავის საფუძველში დიალექტიკა მეტაფიზიკის პირდაპირ საწინააღმდეგოა.

1) **მარქსისტულ დიალექტიკურ მეთოდს** შემდეგი ძირითადი ნიშნები ახასიათებს:

ა) წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, დიალექტიკა იხილავს ბუნებას არა როგორც ერთმანეთისაგან მოწყვეტილი, ერთმანეთისაგან იზოლირებული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საგნების, მოვლენების შემთხვევითს თავმოყრას, — არამედ როგორც შეკავშირებულ,

ერთიან მთლიანს, სადაც საგნები, მოვლენები ორგანულად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, დამოკიდებული არიან ერთმანეთისაგან და განაპირობებენ ერთმანეთს.

ამიტომ დიალექტიკური მეთოდი თვლის, რომ ბუნებაში არც ერთი მოვლენა არ შეიძლება იქნას გაგებული, თუ მას ავიღებთ იზოლირებული სახით, გარემო მოვლენებთან დაკავშირების გარეშე, ვინაიდან ყოველგვარი მოვლენა ბუნების ყოველ სფეროში შეიძლება უაზრობად გადაიქცეს, თუ მას განვიხილავთ გარემო პირობებთან კავშირის გარეშე, მათგან მოწყვეტით, და, პირიქით, ყოველგვარი მოვლენა შეიძლება გაგებულ და დასაბუთებულ იქნას, თუ მას განვიხილავთ გარემო მოვლენებთან მის განუწყვეტელ კავშირში, გარემო მოვლენებისაგან მის განპირობებაში.

ბ) წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, დიალექტიკა იხილავს ბუნებას არა როგორც მყუდროებისა და უძრაობის, შეჩერებისა და უცვლელობის მდგომარეობას, არამედ როგორც განუწყვეტელი მოძრაობისა და ცვლილების, განუწყვეტელი განახლებისა და განვითარების მდგომარეობას, სადაც მუდამ რაღაც წარმოიშობა და ვითარდება, რაღაც ინგრევა და დრომოჭმული ხდება.

ამიტომ დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს, რომ მოვლენები განხილულ იქნას არა მარტო მათი ურთიერთი კავშირისა და განპირობებულობის თვალსაზრისით, არამედ მათი მოძრაობის, მათი ცვლილების, მათი განვითარების თვალსაზრისითაც, მათი წარმოშობისა და კვდომის თვალსაზრისით.

დიალექტიკური მეთოდისათვის უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვანია არა ის, რაც ამჟამად მტკიცედ გვეჩვენება, მაგრამ უკვე კვდომას იწყებს, არამედ ის, რაც წარმოიშობა და ვითარდება, თუნდაც იგი ახლანდელ მომენტში არამტკიცედ გამოიყურებოდეს, ვინაიდან ამ მეთოდის მიხედვით დაუძლეველია მხოლოდ ის, რაც წარმოიშობა და ვითარდება.

«მთელი ბუნება, — ამბობს ენგელსი, — დაწყებული მისი უწვრილესი ნაწილაკებით უდიდეს სხეულებამდე, დაწყებული ნამცეცით და გათავებული მზით, დაწყებული პროტისტით (პირველადი ცოცხალი უჯრედი. — ი. სტ.) და გათავებული ადამიანით, იმყოფება მუდმივ წარმოშობასა და მოსპობაში, განუწყვეტელ მდინარებაში, დაუღალავ მოძრაობასა და ცვლილებაში» (იქვე, გვ. 484).

ამიტომ, — ამბობს ენგელსი, — დიალექტიკა «იღებს საგნებს და მათს გონებრივ ასახვას უმთავრესად მათს ურთიერთკავშირში, მათს გადაბმაში, მათს მოძრაობაში, მათს წარმოშობასა და გაქრობაში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. XIV, გვ. 23).

გ) წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, დიალექტიკა განვითარების პროცესს იხილავს არა როგორც ზრდის უბრალო პროცესს, სადაც

რაოდენობრივი ცვლილებანი არ იწვევენ თვისებრივ ცვლილებებს, — არამედ როგორც ისეთ განვითარებას, რომელიც უმნიშვნელო და მალული რაოდენობრივი ცვლილებებიდან გადადის აშკარა ცვლილებებზე, ძირფესვიან ცვლილებებზე, თვისებრივ ცვლილებებზე, სადაც თვისებრივი ცვლილებანი თანდათანობით კი არ ხდება, არამედ სწრაფად, უეცრად, ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაზე ნახტომისებური გადასვლის სახით, ხდება არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერად, ხდება შეუმჩნეველი და თანდათანობითი რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვების შედეგად.

ამიტომ დიალექტიკური მეთოდი თვლის, რომ განვითარების პროცესი უნდა გავიგოთ არა როგორც წრისებური მოძრაობა, არა როგორც განვლილის უბრალო განმეორება, არამედ როგორც მოძრაობა წინსვლითი, როგორც მოძრაობა აღმავალი ხაზით, როგორც გადასვლა ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან ახალ თვისებრივ მდგომარეობაზე, როგორც განვითარება მარტივიდან რთულისაკენ, დაბალიდან უმაღლესისაკენ.

«ბუნება, — ამბობს ენგელსი, — არის დიალექტიკის სასინჯი ქვა, და თანამედროვე ბუნებისმეტყველებამ, რომელმაც ამ სინჯისათვის მოგვცა ^ეაღრესად მდიდარი მასალა, რაც დღითი-დღე მატულობს, ამით დაამტკიცა, რომ ბუნებაში, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ხდება დიალექტიკურად და არა მეტაფიზიკურად, რომ ბუნება მოძრაობს არა მარადიულად ერთგვარ წრეში, რომელიც მუდამ ხელახლა მეორდება, არამედ განიცდის ნამდვილ ისტორიას. აქ უწინარეს ყოვლისა ხაზგასმა მოითხოვება დარვინზე, რომელმაც უძლიერესი ლახვარი ჩასცა ბუნებაზე მეტაფიზიკურ შეხედულებას და დაამტკიცა, რომ მთელი თანამედროვე ორგანული სამყარო, მცენარეები და ცხოველები, და, მაშასადამ. ადამიანიც, არის პროდუქტი განვითარების პროცესისა, რაც მილიონ წლობით გრძელდებოდა» (იქვე, გვ. 23).

ახასიათებს რა დიალექტიკურ განვითარებას, როგორც რაოდენობრივი ცვლილებებიდან თვისებრივ ცვლილებებზე გადასვლას, ენგელსი ამბობს:

«ფიზიკაში... ყოველი ცვლილება არის რაოდენობის გადასვლა თვისებრიობაში — შედეგი სხეულის თანარსებული ან მისთვის გადაცემული რომელიმე ფორმის მოძრაობის რაოდენობის რაოდენობრივი ცვლილებისა. ასე, მაგალითად, წყლის ტემპერატურას პირველ ხანებში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მისი წვეთობრივ-თხევადი მდგომარეობის მიმართ; მაგრამ თხევადი წყლის ტემპერატურის გადიდებისას ან შემცირებისას დგება მომენტი, როდესაც შეკავშირების ეს მდგომარეობა იცვლება და წყალი გადაიქცევა ხოლმე — ერთ შემთხვევაში ორთქლად, მეორე შემთხვევაში — ყინულად... ასე, საჭიროა დენის ძალის განსაზღვრული მინიმუმი, რომ პლატინის მავთულმა იწყოს შუქის მოცემა; ასე, თვითეულ ლითონს აქვს დნობის თავისი სითბო; ასე, ყოველ სითხეს აქვს, მოცემული წნევის პირობებში, თავისი განსაზღვრული, გაყინვისა და დუღილის წერტილი — რამდენადაც ჩვენ ჩვენი საშუალებებით შეგვიძლია მივაღწიოთ სათანადო ტემპერატურას; ასე, ბოლოს, ყოველ გაზს აქვს კრიტიკული წერტილი, რომლის დროსაც სათანადო წნე-

ვითა და გაცივებით შეიძლება მოვიყვანოთ იგი თხევად მდგომარეობაში... ფიზიკის ეგრეთწოდებული კონსტანტები (ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლის წერტილები. — ი. სტ.) მეტწილად სხვა არაფერია, თუ არა საზელწოდება საკვანძო წერტილებისა, სადაც მოძრაობის რაოდენობრივი (ცვლილება) მატება ან კლება იწვევს თვისებრივ ცვლილებას სათანადო სხეულის მდგომარეობაში, — სადაც, მაშასადამე, რაოდენობა გადადის თვისებრიობაში» (იქვე, გვ. 527 — 528).

გადადის რა შემდეგ ქიმიაზე, ენგელსი განაგრძობს:

«ქიმიას შეიძლება ვუწოდოთ სხეულების იმ თვისებრივ ცვლილებათა მეცნიერება, რომლებიც რაოდენობრივი შემადგენლობის ცვლილების გაელენით ხდება. ეს უკვე იცოდა თვით ჰეგელმა... ავიღოთ ჟანგბადი: თუ აქ მოლეკულად შეერთებულია სამი ატომი და არა ორი, როგორც ჩვეულებრივ, მაშინ ჩვენს წინაშეა ოზონი — სხეული, რომელიც თავისი სუნითა და მოქმედებით გარკვეულად განსხვავდება ჩვეულებრივი ჟანგბადისაგან. ხოლო რაღა შეიძლება ითქვას სხვადასხვა პროპორციებზე, რომლებშიც ჟანგბადი უერთდება აზოტს ან გოგირდს და რომელთაგან თვითეული იძლევა ყველა სხვა სხეულისაგან თვისებრივად განსხვავებულ სხეულს!» (იქვე, გვ. 528).

ბოლოს, აკრიტიკებს რა დიურინგს, რომელიც საშინლად ლანძღავს ჰეგელს და იქვე ჩუმ-ჩუმად სესხულობს მისგან ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ უგრძნობი სამყაროს სამეფოდან შეგრძნების სამეფოში, არაორგანული სამყაროს სამეფოდან ორგანული ცხოვრების სამეფოში გადასვლა — ეს არის ნახტომი ახალი მდგომარეობისაკენ, ენგელსი ამბობს:

«ეს ხომ ზომის თანაფარდობათა ჰეგელისეული საკვანძო ბაზია, სადაც წმინდა რაოდენობრივი გადიდება ან შემცირება იწვევს განსაზღვრულ საკვანძო პუნქტებში თვისებრივ ნახტომს, როგორც, მაგალითად, წყლის გათბობის ან გაცივების შემთხვევაში, სადაც დუღილისა და გაყინვის წერტილები წარმოადგენენ იმ კვანძებს, რომლებშიც ხდება — ნორმალური წნევის პირობებში — ნახტომი ახალი ავრეგატული მდგომარეობისაკენ, სადაც, მაშასადამე, რაოდენობა თვისებრიობაში გადადის» (იქვე, გვ. 45 — 46).

დ) წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, დიალექტიკა გამოღის იქიდან, რომ ბუნების საგნებს, ბუნების მოვლენებს ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობანი, ვინაიდან ყველა ამ საგანსა და მოვლენას აქვს თავისი უარყოფითი და დადებითი მხარე, თავისი წარსული და მომავალი, აქვთ ის, რაც კვდება, და ის, რაც ვითარდება, რომ ამ დაპირისპირებულთა ბრძოლა, ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და მზარდს შორის, დრომოჭმულსა და განვითარებადს შორის, შეადგენს განვითარების პროცესის შინაგან შინაარსს, რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებად გადაქცევის შინაგან შინაარსს.

ამიტომ, დიალექტიკური მეთოდის მიხედვით, დაბალიდან უმაღლესისაკენ განვითარების პროცესი მოვლენათა ჰარმონიული გაშლის

წესით კი არ მიმდინარეობს, არამედ იმ წინააღმდეგობათა გახსნის წესით, რომლებიც ახასიათებს საგნებს, მოვლენებს, ამ წინააღმდეგობათა საფუძველზე მოქმედ დაპირისპირებულ ტენდენციათა «ბრძოლის» წესით.

«საკუთრივი აზრით დიალექტიკა, — ამბობს ლენინი, — არის შესწავლა წინააღმდეგობისა საგანთა თვით დედაარსში» (ლენინი, «ფილოსოფიური რვეულები», გვ. 263).

და შემდეგ:

«განვითარება არის დაპირისპირებულთა «ბრძოლა»» (ლენინი, ტ. XIII, გვ. 301).

ასეთია მოკლედ მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის ძირითადი ნიშნები.

ძნელი გასაგები არ არის, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს დიალექტიკური მეთოდის დებულებათა გავრცელებას საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, საზოგადოების ისტორიის შესწავლაზე, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ დებულებათა გამოყენებას საზოგადოების ისტორიის მიმართ, მათ გამოყენებას პროლეტარიატის პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

თუ სამყაროში არ არსებობს იზოლირებული მოვლენები, თუ ყველა მოვლენა დაკავშირებულია ერთმანეთთან და განაპირობებს ერთმანეთს, მაშინ ცხადია, რომ ყოველი საზოგადოებრივი წყობილება და ისტორიაში არსებული ყოველი საზოგადოებრივი მოძრაობა შეფასებულ უნდა იქნას არა «მარადიული სამართლიანობის» ან რაიმე სხვა წინასწარაღებული იდეის თვალსაზრისით, როგორც ამას ხშირად სჩადიან ისტორიკოსები, არამედ იმ პირობების თვალსაზრისით, რომლებმაც წარმოშვეს ეს წყობილება და ეს საზოგადოებრივი მოძრაობა და რომლებთანაც ისინი დაკავშირებული არიან.

მონათმფლობელური წყობილება თანამედროვე პირობებისათვის უაზრობაა, ბუნების-საწინააღმდეგო სისულელეა. მონათმფლობელური წყობილება რღვევის პროცესში მყოფი პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში სავსებით გასაგები და კანონზომიერი მოვლენაა, ვინაიდან იგი მოასწავებს ნაბიჯს წინ პირველყოფილ-თემურ წყობილებასთან შედარებით.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა ცარიზმისა და ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობის პირობებში, ვთქვათ, 1905 წელს რუსეთში სავსებით გასაგები, მართებული და რევოლუციური მოთხოვნა იყო, ვინაიდან ბურჟუაზიული რესპუბლიკა მაშინ მოასწავებდა ნაბიჯს წინ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიუ-

ლი რესპუბლიკის მოთხოვნა ჩვენი ახლანდელი პირობებისათვის სსრ კავშირში არის უაზრო და კონტრრევოლუციური მოთხოვნა, ვინაიდან ბურჟუაზიული რესპუბლიკა საბჭოთა რესპუბლიკასთან შედარებით არის ნაბიჯი უკან.

ყველაფერი დამოკიდებულია პირობებზე, ადგილსა და დროზე.

გასაგებია, რომ საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ასეთი ისტორიული მიდგომის გარეშე შეუძლებელია არსებობა და განვითარება მეცნიერებისა ისტორიის შესახებ, ვინაიდან მხოლოდ ასეთი მიდგომა იხსნის ისტორიულ მეცნიერებას შემთხვევითობათა ქაოსად და ყოვლად უაზრო შეცდომათა გროვად გადაქცევისაგან.

შემდეგ. თუ სამყარო განუწყვეტელ მოძრაობასა და განვითარებაშია, თუ ძველის კვდომა და ახლის ზრდა წარმოადგენს განვითარების კანონს, მაშინ ცხადია, რომ აღარ არიან «ურყევი» საზოგადოებრივი წესები, კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის «მარადიული პრინციპები», მემამულეებისადმი გლეხების, კაპიტალისტებისადმი მუშების დამორჩილების «მარადიული იდეები».

მაშასადამე, კაპიტალისტური წყობილება შეიძლება შეცვლილ იქნას სოციალისტური წყობილებით, ისევე, როგორც კაპიტალისტურმა წყობილებამ შეცვალა თავის დროზე ფეოდალური წყობილება.

მაშასადამე, საჭიროა ორიენტაციის აღება საზოგადოების არა იმ ფენებზე, რომლებიც აღარ ვითარდებიან, თუმცა ამჟამად უპირატეს ძალას წარმოადგენენ, არამედ იმ ფენებზე, რომლებიც ვითარდებიან, რომლებსაც მომავალი აქვთ, თუმცა ამჟამად უპირატეს ძალას არ წარმოადგენენ.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, ნაროდნიკებთან მარქსისტების ბრძოლის ეპოქაში, პროლეტარიატი რუსეთში უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდა ერთპიროვნულ გლეხობასთან შედარებით, რომელიც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდა. მაგრამ პროლეტარიატი ვითარდებოდა, როგორც კლასი, მაშინ როცა გლეხობა, როგორც კლასი, იშლებოდა. და სწორედ იმიტომ, რომ პროლეტარიატი ვითარდებოდა, როგორც კლასი, მარქსისტებმა ორიენტაცია აიღეს პროლეტარიატზე. და ისინი არ შემცდარან, ვინაიდან, როგორც ცნობილია, შემდეგ პროლეტარიატი უმნიშვნელო ძალიდან გაიზარდა პირველხარისხოვან ისტორიულ და პოლიტიკურ ძალად.

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, წინ უნდა იხედებოდე, და არა უკან.

შემდეგ. თუ ნელ რაოდენობრივ ცვლილებათა სწრაფ და უეცარ

თვისებრივ ცვლილებებად გადასვლა განვითარების კანონს შეადგენს, მაშინ ცხადია, რომ რევოლუციური გადატრიალებანი, რომლებსაც ჩაგრული კლასები ახდენენ, სავსებით ბუნებრივ და გარდუვალ მოვლენას წარმოადგენენ.

მაშასადამე, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა და კაპიტალისტური ჩაგვრისაგან მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება განხორციელდეს არა ნელი ცვლილებების გზით, არა რეფორმების გზით, არამედ კაპიტალისტური წყობილების მხოლოდ თვისებრივი შეცვლის გზით, რევოლუციის გზით.

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, რევოლუციონერი უნდა იყო, და არა რეფორმისტი.

შემდეგ. თუ განვითარება წარმოებს შინაგან წინააღმდეგობათა გახსნის წესით, ამ წინააღმდეგობათა ბაზაზე დაპირისპირებულ ძალთა შეჯახების წესით, რათა დაძლეულ იქნას ეს წინააღმდეგობანი, მაშინ ცხადია, რომ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა სავსებით ბუნებრივ და გარდუვალ მოვლენას წარმოადგენს.

მაშასადამე, კი არ უნდა ჩქმალავდე კაპიტალისტური წესების წინააღმდეგობებს, არამედ უნდა ააშკარავებდე და ამოხსნიდე მათ, კი არ უნდა აჭრობდე კლასობრივ ბრძოლას, არამედ ბოლომდე მიგყავდეს იგი.

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, უნდა გაატარო შეურიგებელი კლასობრივი პროლეტარული პოლიტიკა, და არა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა ჰარმონიის რეფორმისტული პოლიტიკა, და არა სოციალიზმში კაპიტალიზმის «შეზრდის» შემთანხმებლური პოლიტიკა.

ასეთია საქმის ვითარება მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის გარშემო, თუ მას ავიღებთ საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი გამოყენების მხრივ, საზოგადოების ისტორიისადმი გამოყენების მხრივ.

რაც შეეხება მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს, იგი თავის საფუძველში პირდაპირ ეწინააღმდეგება ფილოსოფიურ იდეალიზმს.

2) **მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს** შემდეგი ძირითადი ნიშნები ახასიათებს:

ა) წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელსაც სამყარო მიაჩნია «აბსოლუტური იდეის», «მსოფლიო სულის», «ცნობიერების» განსახიერებად, — მარქსის ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ სამყარო თავისი ბუნებით მატერიალურია, რომ სამყაროს მრავალფეროვანი მოვლენანი წარმოადგენენ მოძრავი მატე-

რიის სხვადასხვა სახეებს, რომ მოელენათა ურთიერთი კავშირი და ურთიერთი განპირობებულობა, რომლებსაც დიალექტიკური მეთოდი არკვევს, წარმოადგენენ მოძრაკი მატერიის განვითარების კანონზომიერებებს, რომ სამყარო ვითარდება მატერიის მოძრაობის კანონების მიხედვით და მას არავითარი «მსოფლიო სული» არ ესაჭიროება.

«მატერიალისტური მსოფლმხედველობა, — ამბობს ენგელსი, — ნიშნავს მხოლოდ ბუნების გაგებას ისე, როგორც იგი არსებობს, ყოველგვარ უცხო დამატებათა გარეშეა» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. XIV, გვ. 651).

ეხება რა ძველი დროის ფილოსოფოსის — ჰერაკლიტეს მატერიალისტურ შეხედულებას, რომლის მიხედვით «სამყარო, ერთიანი ყოველივესაგან, შექმნილი არ არის არც ერთი ღმერთისაგან და არც ერთი ადამიანისაგან, არამედ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება», — ლენინი ამბობს: ეს «დიალექტიკური მატერიალიზმის საწყისების ძალიან კარგი გადმოცემაა» (ლენინი, «ფილოსოფიური რვეულები», გვ. 318).

ბ) წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელიც ამტკიცებს, რომ რეალურად არსებობს მხოლოდ ჩვენი ცნობიერება, რომ მატერიალური სამყარო, ყოფიერება, ბუნება არსებობს მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს შეგრძნებებში, წარმოდგენებში, ცნებებში, — მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ მატერია, ბუნება, ყოფიერება წარმოადგენს ობიექტურ რეალობას, რომელიც არსებობს ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად. რომ მატერია პირველადია, ვინაიდან იგი წარმოადგენს შეგრძნებათა, წარმოდგენათა, ცნობიერების წყაროს, ცნობიერება კი მეორადია, წარმოებულია, ვინაიდან იგი წარმოადგენს მატერიის ანარეკლს, ყოფიერების ანარეკლს, რომ აზროვნება არის პროდუქტი მატერიისა, რომელმაც თავის განვითარებაში მიაღწია სრულყოფის მაღალ ხარისხს, სახელდობრ — ეს არის ტვინის პროდუქტი, ხოლო ტვინი აზროვნების ორგანოა, რომ ამიტომ არ შეიძლება აზროვნების ჩამოცილება მატერიისაგან. თუ არ გსურს უხეში შეცდომა ჩაიდინო.

«მთელი ფილოსოფიის უმაღლესი საკითხი, — ამბობს ენგელსი, — არის საკითხი აზროვნების დამოკიდებულებისა ყოფიერებისადმი, სულისა ბუნებისადმი. ...ფილოსოფოსები ორ დიდ ბანაკად გაიყვნენ იმის შესაბამისად, თუ როგორ უპასუხებდნენ ისინი ამ კითხვას. იმათ, ვინც ამტკიცებდა, რომ სული ბუნებაზე უფრო ადრე არსებობდა... შეადგინეს იდეალისტური ბანაკი. ხოლო ისინი, ვისაც ძირითად საწყისად ბუნება მიაჩნდა, მიემხრნენ მატერიალიზმის სხვადასხვა სკოლებს» (კ. მარქსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 329).

და შემდეგ:

«ნივთიერი სამყარო, რომელსაც გრძნობებით აღვიქვამთ და რომელსაც თვითონ ჩვენ ვეკუთვნით, არის ერთადერთი ნამდვილი სამყარო... ჩვენი შეგნება და აზროვნება, რაგინდ ზეგრძნობადიც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, წარმოადგენს ნივთიერი, სხეულებრივი ორგანოს პროდუქტს, ტვინის პროდუქტს. მატერია არ არის სელის პროდუქტი, თვით სული კი არის მხოლოდ უმაღლესი პროდუქტი მატერიისა» (იქვე, გვ. 332).

ეხება რა მატერიისა და აზროვნების საკითხს, მარქსი ამბობს:

«არ შეიძლება ჩამოვაშოროთ აზროვნება მატერიას, რომელიც აზროვნებს. მატერია ყველა ცვლილებათა სუბიექტს წარმოადგენს» (იქვე, გვ. 302).

ახასიათებს რა მარქსისტულ ფილოსოფიურ მატერიალიზმს, ლენინი ამბობს:

«მატერიალიზმი საერთოდ ცნობს ობიექტურად რეალურ ყოფიერებას (მატერიას), ცნობიერებისაგან, შეგრძნებისაგან, ცდისაგან დამოუკიდებელს... ცნობიერება... არის მხოლოდ ყოფიერების ასახვა, უკეთეს შემთხვევაში მისი დაახლოებით სწორი (ადეკვატური, იდეალურად-ზუსტი) ასახვა» (ლენინი, ტ. VIII, გვ. 266 — 267).

და შემდეგ:

— «მატერია არის ის, რაც, მოქმედებს რა ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე, იწვევს შეგრძნებას; მატერია არის ობიექტური რეალობა, ჩვენთვის შეგრძნებ ში მოცემული... მატერია, ბუნება, ყოფიერება, ფიზიკური არის პირველადი, ხოლო სული, ცნობიერება, შეგრძნება, ფსიქიური — მეორადი» (იქვე, გვ. 119 — 120).

— «სამყაროს» სურათი არის სურათი იმისა, თუ როგორ მოძრაობს მატერია და როგორ «აზროვნებს მატერია»» (იქვე, გვ. 288).

— «ტვინი აზრის ორგანოს წარმოადგენს» (იქვე, გვ. 125).

ბ) წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელიც სადავოს ხდის სამყაროს და მის კანონზომიერებათა შეცნობის შესაძლებლობას, არ სწამს, რომ ჩვენი ცოდნა სარწმუნოა, არ ცნობს ობიექტურ ჭეშმარიტებას, და თვლის, რომ სამყარო აღსავსეა «ნივთებით თავისთავად», რომლებიც არასოდეს არ შეიძლება შეცნობილ იქნან მეცნიერების მიერ, — მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი გამოდის იქიდან, რომ სამყარო და მისი კანონზომიერებანი სავსებით შეცნობადია, რომ ჩვენი ცოდნა ბუნების კანონების შესახებ, ცდით, პრაქტიკით შემოწმებული, წარმოადგენს სარწმუნო ცოდნას, რომელსაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვს, რომ სამყაროში არ არსებობენ შეუცნობადი ნივთები, არამედ არსებობენ მხოლოდ ისეთი ნივთები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან შეცნობილნი, რომლებიც გახსნილი და შეცნობილი იქნებიან მეცნიერებისა და პრაქტიკის ძალებით.

აკრიტიკებს რა კანტისა და სხვა იდეალისტების დებულებას შესახებ სამყაროს შეუცნობადობისა და შეუცნობადი «ნივთებისა თავისთავად» და იცავს რა მატერიალიზმის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ჩვენი ცოდნა სარწმუნოა, ენგელსი წერს:

«ხოლო ყველაზე გადამწყვეტი უარყოფა ამ, ისევე როგორც ყველა სხვა, ფილოსოფიური მანკიერისა მდგომარეობს პრაქტიკაში, სახელდობრ ექსპერიმენტსა და მრეწველობაში. თუ ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ ბუნების მოცემული მოვლენის ჩვენი გაგების სისწორე იმით, რომ ჩვენ თვითონ ვაწარმოებთ მას. გამოგვავს იგი მისი პირობებიდან, ამასთან ვაიძულებთ მას ემსახუროს ჩვენს მიზნებს, მაშინ კანტის უჩინარ «ნივთს თავისთავად» ბოლო ეღება. ქიმიური ნივთიერებანი, რომლებიც ცხოველთა და მცენარეთა სხეულებში იქმნებიან, რჩებოდნენ ასეთ «ნივთებად თავისთავად», ვიდრე ორგანულმა ქიმიამ არ დაიწყო მათი ერთიმეორეზე მიყოლებით დამზადება; სწორედ ამით «ნივთი თავისთავად» იქცეოდა ნივთად ჩვენთვის, როგორც, მაგალითად, ალიზარინი, ენდროს საღებავი ნივთიერება, რასაც ჩვენ ახლა ვღებულობთ არა მინდერად მოყვანილი ენდროს ფესვებიდან, არამედ გაცილებით უფრო იაფად და მარტივად ქვანახშირის კუპრიდან. მზის სისტემა კოპერნიკისა სამასი წლის განმავლობაში რჩებოდა ჰიპოთეზად, უალრესად შესაძლებელ, მაგრამ მაინც ჰიპოთეზად. ხოლო როდესაც ლევერიემ, ამ სისტემის მონაცემთა საფუძველზე, არა მარტო დაამტკიცა, რომ უნდა არსებობდეს კიდევ ერთი, მანამდე უცნობი, პლანეტა, არამედ კიდევაც განსაზღვრა გამოანგარიშების საშუალებით ის ადგილი, რომელიც ამ პლანეტას ცის სივრცეში უჭირავს, და როდესაც ამის შემდეგ ჰალემ მართლაც აღმოაჩინა ეს პლანეტა, კოპერნიკის სისტემა დამტკიცებულ იქნა» (კ. მარქსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 330).

ბრალსა სდებს რა ბოგდანოვს, ბაზაროვს, იუშკევიჩს და მახის სხვა მომხრეებს ფიდეიზმში (რეაქციული თეორია, რომელიც რწმენას აძლევს უპირატესობას მეცნიერების წინაშე) და იცავს რა მატერიალიზმის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ჩვენი მეცნიერული ცოდნა ბუნებაში არსებულ კანონზომიერებათა შესახებ სარწმუნოა, რომ მეცნიერების კანონები ობიექტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ, ლენინი ამბობს:

«თანამედროვე ფიდეიზმი სრულებითაც არ უარყოფს მეცნიერებას; იგი უარყოფს მეცნიერების მხოლოდ «გადამეტებულ პრეტენზიებს», სახელდობრ, ობიექტური ჭეშმარიტების პრეტენზიას. თუ არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება (როგორც ფიქრობენ მატერიალისტები), თუ ბუნებისმეტყველებას, რომელიც ასახავს გარესამყაროს ადამიანის «ცდაში», ერთადერთს შესწევს უნარი მოგვცეს ობიექტური ჭეშმარიტება, ამით ყოველგვარი ფიდეიზმი აუცილებლად უკუგდებულია» (ლენინი, ტ. XIII, გვ. 102).

ასეთია მოკლედ მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის დამახასიათებელი ნიშნები.

ადვილი გასაგებია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიური მატერიალიზმის დებულებათა გავრცელებას ხაზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, საზოგადოების ისტორიის

შესწავლაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ დებულებათა გამოყენებას საზოგადოების ისტორიის მიმართ, მათ გამოყენებას პროლეტარიატის პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

თუ ბუნების მოვლენათა კავშირი და მათი ურთიერთი განპირობებულობა ბუნების განვითარების კანონზომიერებებს წარმოადგენენ, აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კავშირი და ურთიერთი განპირობებულობა წარმოადგენენ აგრეთვე არა შემთხვევითს საქმეს, არამედ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს.

მაშასადამე, საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოების ისტორია უკვე აღარ წარმოადგენს «შემთხვევითობათა» გროვას, ვინაიდან საზოგადოების ისტორია ხდება საზოგადოების კანონზომიერ განვითარებად, ხოლო საზოგადოების ისტორიის შესწავლა იქცევა მეცნიერებად.

მაშასადამე, პროლეტარიატის პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობა უნდა ეყრდნობოდეს არა «ვამოჩენილ პიროვნებათა» კეთილ სურვილებს, არა «გონების», «სყოველთაო მორალისა» და სხვ. მოთხოვნებს, არამედ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს, ამ კანონზომიერებათა შესწავლას.

შემდეგ. თუ სამეცნიერო შეცნობადია და ჩვენი ცოდნა ბუნების განვითარების კანონების შესახებ სარწმუნო ცოდნაა, რომელსაც ობიექტური ჭეშმარიტების მნიშვნელობა აქვს, აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოების განვითარება — აგრეთვე შეცნობადია, ხოლო მეცნიერების მონაცემები საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ — სარწმუნო მონაცემებია, რომლებსაც ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვთ.

მაშასადამე, მეცნიერება საზოგადოების ისტორიის შესახებ, მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მთელი სირთულისა, შეიძლება გახდეს ისეთივე ზუსტ მეცნიერებად, როგორიც არის, ვთქვათ, ბიოლოგია, მეცნიერებად, რომელსაც შეუძლია ისარგებლოს საზოგადოების განვითარების კანონებით პრაქტიკული გამოყენებისათვის.

მაშასადამე, თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში პროლეტარიატის პარტია უნდა ხელმძღვანელობდეს არა რაიმე შემთხვევითი მოტივებით, არამედ საზოგადოების განვითარების კანონებით, ამ კანონებიდან გამოყვანილი პრაქტიკული დასკვნებით.

მაშასადამე, სოციალიზმი ოცნებიდან კაცობრიობის უკეთეს მომავალზე იქცევა მეცნიერებად.

მაშასადამე, მეცნიერებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის კავშირი, თეორიისა და პრაქტიკის კავშირი, მათი ერთიანობა უნდა გახდეს პროლეტარიატის გზისმაჩვენებელ ვარსკვლავად.

შემდეგ. თუ ბუნება, ყოფიერება, მატერიალური სამყარო პირველადია, ხოლო ცნობიერება, აზროვნება — მეორადი, წარმოებული, თუ მატერიალური სამყარო წარმოადგენს ობიექტურ რეალობას, რომელიც არსებობს ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ცნობიერება კი ამ ობიექტური რეალობის ანარეკლს წარმოადგენს, აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრება, მისი ყოფიერება აგრეთვე პირველადია, მისი სულიერი ცხოვრება კი — მეორადი, წარმოებული, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრება არის ობიექტური რეალობა, ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად არსებული, ხოლო საზოგადოების სულიერი ცხოვრება არის ამ ობიექტური რეალობის ასახვა, ყოფიერების ასახვა.

მაშასადამე, საზოგადოების სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბების წყაროს, საზოგადოებრივ იდეათა, საზოგადოებრივ თეორიათა, პოლიტიკურ შეხედულებათა, პოლიტიკურ დაწესებულებათა წარმოშობის წყაროს უნდა ვეძებდეთ არა თვით იდეებში, თეორიებში, შეხედულებებში, პოლიტიკურ დაწესებულებებში, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში, საზოგადოებრივ ყოფიერებაში, რომლის ასახვასაც წარმოადგენენ ეს იდეები, თეორიები, შეხედულებები და სხვ.

მაშასადამე, თუ საზოგადოების ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში ჩვენ ვნედავთ სხვადასხვა საზოგადოებრივ იდეებს, თეორიებს, შეხედულებებს, პოლიტიკურ დაწესებულებებს, თუ მონათმფლობელური წყობილების დროს ვხედებით ერთ საზოგადოებრივ იდეებს, თეორიებს, შეხედულებებს, პოლიტიკურ დაწესებულებებს, ფეოდალიზმის დროს — მეორეს, კაპიტალიზმის დროს — მესამეს, ეს გარემოება აიხსნება არა თვით იდეათა, თეორიათა, შეხედულებათა, პოლიტიკურ დაწესებულებათა «ბუნებით», არა მათი «თვისებით», არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების სხვადასხვა პირობებით საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა პერიოდებში.

როგორიცაა საზოგადოების ყოფიერება, როგორიცაა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, — ისეთივეა მისი იდეები, თეორიები, პოლიტიკური შეხედულებები, პოლიტიკური დაწესებულებები.

ამასთან დაკავშირებით მარქსი ამბობს:

«ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას» (კ. მარქსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 269).

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვას და ფუჭ მეოცნებეთა მდგომარეობაში რომ არ ჩავარდეს, პროლეტარიატის პარტია თავის მოღვაწეობაში უნდა გამოდიოდეს არა «ადამიანის გონების» განყენებული «პრინციპებიდან», არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების, როგორც საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტი ძალის, კონკრეტული პირობებიდან, არა «დიდ ადამიანთა» კეთილი სურვილებიდან, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების რეალური მოთხოვნილებებიდან.

უტოპისტების, მათ შორის ნაროდნიკების, ანარქისტების, ესერების დაცემა აიხსნება, სხვათა შორის, იმით, რომ ისინი არ ცნობდნენ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა უპირატეს როლს საზოგადოების განვითარებაში და, ვარდებოდნენ რა იდეალიზმში, თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობას აგებდნენ არა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებათა საფუძველზე, არამედ მათგან დამოუკიდებლად და მათ წინააღმდეგ, — აგებდნენ საზოგადოების რეალური ცხოვრებისაგან მოწყვეტილ «იდეალურ გეგმათა» და «ყოვლისმომცველ პროექტთა» საფუძველზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა და ცხოველმყოფელობა იმაში მდგომარეობს, რომ თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში იგი ეყრდნობა სწორედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს, არასოდეს არ სწყდება რა საზოგადოების რეალურ ცხოვრებას.

მაგრამ მარქსის სიტყვებიდან ის როდი გამოდის, თითქოს საზოგადოებრივ იდეებს, თეორიებს, პოლიტიკურ შეხედულებებს, პოლიტიკურ დაწესებულებებს მნიშვნელობა არ ჰქონდეთ საზოგადოების ცხოვრებაში, თითქოს ისინი პირუკუ არ ახდენდნენ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ პირობათა განვითარებაზე. ჩვენ აქ ვლაპარაკობდით ჯერჯერობით საზოგადოებრივი იდეების, თეორიების, შეხედულებების, პოლიტიკური დაწესებულებების წარმოშობაზე, მათს აღმოცენებაზე, იმაზე, რომ საზოგადოების სულიერი ცხოვრება მისი მატერიალური ცხოვრების პირობების ასახვას წარმოადგენს. რაც შეეხება საზოგადოებრივი იდეების, თეორიების, შეხედულებების,

პოლიტიკური დაწესებულებების მნიშვნელობას, რაც შეეხება მათს როლს ისტორიაში, — ისტორიული მატერიალიზმი არა თუ არ უარყოფს, არამედ, პირიქით, ხაზს უსვამს მათს სერიოზულ როლსა და მნიშვნელობას საზოგადოების ცხოვრებაში, საზოგადოების ისტორიაში.

საზოგადოებრივი იდეები და თეორიები სხვადასხვანაირია. არის ძველი იდეები და თეორიები, რომლებმაც თავისი დრო მოჭამეს და რომლებიც საზოგადოების მომაკვდავი ძალების ინტერესებს ემსახურებიან. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აფერხებენ საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას. არის ახალი, მოწინავე იდეები და თეორიები, რომლებიც საზოგადოების მოწინავე ძალების ინტერესებს ემსახურებიან. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აადვილებენ საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას, ამასთან ისინი მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ, რაც უფრო ზუსტად ასახავენ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს.

ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები აღმოცენდებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებამ საზოგადოებას ახალი ამოცანები დაუსახა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი აღმოცენდნენ, ისინი ხდებიან უაღრესად სერიოზულ ძალად, რომელიც აადვილებს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებით დასახული ახალი ამოცანების გადაჭრას, აადვილებს, საზოგადოების წინსვლას. სწორედ აქ იჩენს თავს ახალი იდეების, ახალი თეორიების, ახალი პოლიტიკური შეხედულებების, ახალი პოლიტიკური დაწესებულებების უდიდესი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი მნიშვნელობა. ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები სწორედ იმიტომ წარმოიშობიან, რომ ისინი აუცილებლად საჭირონი არიან საზოგადოებისათვის, რომ მათი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი მუშაობის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებული ამოცანების გადაჭრა. წარმოიშვნენ რა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებით დასახული ახალი ამოცანების ბაზაზე, ახალი საზოგადოებრივი იდეები და თეორიები გზას იკაფავენ, ხალხის მასების კუთვნილება ხდებიან, რაზმავენ, აორგანიზებენ მათ საზოგადოების მომაკვდავი ძალების წინააღმდეგ და, ამრიგად, აადვილებენ საზოგადოების მომაკვდავი ძალების დამხობას, რომლებიც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებას აფერხებენ.

ასე საზოგადოებრივი იდეები, თეორიები, პოლიტიკური დაწესე-

ბულებები, აღმოცენდებიან რა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების, საზოგადოებრივი ყოფიერების განვითარების მომწიფებული ამოცანების ბაზაზე, — შემდეგ თვითონ ახდენენ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებაზე და ქმნიან იმისათვის აუცილებელ პირობებს, რომ ბოლომდე მიყვანილ იქნას საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მომწიფებული ამოცანების გადაჭრა და შესაძლებელი გახდეს მისი შემდგომი განვითარება.

ამასთან დაკავშირებით მარქსი ამბობს:

«თეორია ხდება მატერიალურ ძალად, როგორც კი იგი მასებს დაეუფლება» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. I, გვ. 406).

მაშასადამე, რათა პროლეტარიატის პარტიას შესაძლებლობა ჰქონდეს ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებზე და დააჩქაროს ამ პირობების განვითარება, დააჩქაროს მათი გაუმჯობესება, იგი უნდა დაეყრდნოს ისეთ საზოგადოებრივ თეორიას, ისეთ საზოგადოებრივ იდეას, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს და რომელსაც ამის გამო შესწევს უნარი აამოძრაოს ხალხის ფართო მასები, შესწევს უნარი დარაზმოს ისინი და შექმნას მათგან პროლეტარული პარტიის დიადი არმია, რომელიც მზად არის გააცამტვეროს რეაქციული ძალები და გზა გაუკაფოს საზოგადოების მოწინავე ძალებს.

«ეკონომისტებისა» და მენშევიკების დაცემა აიხსნება, სხვათა შორის, იმით, რომ ისინი არ ცნობდნენ მოწინავე თეორიის, მოწინავე იდეის დამრაზმავ, მაორგანიზებელ და გარდამქმნელ როლს და, ვარდებოდნენ რა ვულგარულ მატერიალიზმში, თითქმის არარამდე დაჰყავდათ მათი როლი, — მაშასადამე, განწირავდნენ პარტიას პასივობისა და ერთ წერტილზე გაყინვისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა და ცხოველმყოფელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეყრდნობა მოწინავე თეორიას, რომელიც სწორად ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს, აჰყავს თეორია მის შესაფერ სიმაღლეზე და თავის მოვალეობად თვლის ბოლომდე გამოიყენოს მისი დამრაზმავი, მაორგანიზებელი და გარდამქმნელი ძალა.

ასე წყვეტს ისტორიული მატერიალიზმი საკითხს საზოგადოებრივ ყოფიერებასა და საზოგადოებრივ ცნობიერებას შორის, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების პირობებსა და სულიერი ცხოვრების განვითარებას შორის არსებული დამოკიდებულების შესახებ.

3) **ისტორიული მატერიალიზმი.**

გამოსარკვევი რჩება საკითხი: რა უნდა იგულისხმებოდეს ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით «საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებად», რომლებიც საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავენ საზოგადოების ფიზიონომიას, მის იდეებს, შეხედულებებს, პოლიტიკურ დაწესებულებებს და ა. შ.

მართლაც, — რა არის ეს «საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები», როგორია მათი განმასხვავებელი ნიშნები?

უეჭველია, რომ «საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების» ცნებაში შედის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების გარემომცველი ბუნება, გეოგრაფიული გარემო, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ და მუდმივ პირობას და, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. როგორია გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში? ხომ არ წარმოადგენს გეოგრაფიული გარემო იმ მთავარ ძალას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების ფიზიონომიას, ადამიანთა საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს, ერთი წყობილებიდან მეორეზე გადასვლას?

ისტორიული მატერიალიზმი ამ კითხვაზე უარყოფითად უპასუხებს.

გეოგრაფიული გარემო, უდავოა, საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მუდმივ და აუცილებელ პირობას წარმოადგენს და იგი. რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე, — იგი აჩქარებს ან ანელებს საზოგადოების განვითარების მსვლელობას. მაგრამ მისი გავლენა **განმსაზღვრელი** გავლენა როდია, ვინაიდან საზოგადოების ცვლილებანი და განვითარება გაცილებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე გეოგრაფიული გარემოს ცვლილებანი და განვითარება. სამი ათასი წლის მანძილზე ევროპაში უკვე შეიცვალა სამი სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილება: პირველყოფილ-თემური წყობილება, მონათმფლობელური წყობილება, ფეოდალური წყობილება, ხოლო ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში, სსრ კავშირში ოთხი საზოგადოებრივი წყობილებაც კი შეიცვალა. მაგრამ ამავე პერიოდში გეოგრაფიული პირობები ევროპაში ან სრულებით არ შეცვლილა, ან იმდენად უმნიშვნელოდ შეიცვალა, რომ გეოგრაფია არც კი ლაპარაკობს ამაზე. ეს გასაგებიც არის. გეოგრაფიული გარემოს რამდენადმე სერიოზული ცვლილებებისათვის საჭიროა მილიონობით წლები, მაშინ როდესაც ადამიანთა საზოგადოებრივი წყობილების უაღრესად სერიოზული ცვლილებებისთვისაც კი საკმარისია რამდენიმე ასეული ან ორიოდე ათასი წელი.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს ის, რომ გეოგრაფიული გარემო

არ შეიძლება წარმოადგენდეს საზოგადოებრივი განვითარების მთავარ მიზეზს, **განმსაზღვრელ** მიზეზს, ვინაიდან ის, რაც ათეულ-ათასობით წლების განმავლობაში თითქმის უცვლელი რჩება, არ შეიძლება წარმოადგენდეს იმის განვითარების მთავარ მიზეზს, რაც ძირფესვიან ცვლილებებს განიცდის ასეული წლების განმავლობაში.

შემდეგ, უეჭველია, რომ მოსახლეობის ზრდა, მოსახლეობის ესა თუ ის სიმჭიდროვე, აგრეთვე შედის «საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა» ცნებაში, ვინაიდან ადამიანები შეადგენენ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა აუცილებელ ელემენტს, და ადამიანთა გარკვეული მინიმუმის არსებობის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების რაიმე მატერიალური ცხოვრება. ხომ არ წარმოადგენს მოსახლეობის ზრდა იმ მთავარ ძალას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს?

ისტორიული მატერიალიზმი ამ კითხვაზეც უარყოფითად უპასუხებს.

რა თქმა უნდა, მოსახლეობის ზრდას გავლენა აქვს საზოგადოების განვითარებაზე, იგი აადვილებს ან ანელებს საზოგადოების განვითარებას, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს საზოგადოების განვითარების მთავარი ძალა, და მისი გავლენა საზოგადოების განვითარებაზე არ შეიძლება იყოს **განმსაზღვრელი** გავლენა, ვინაიდან თავისთავად მოსახლეობის ზრდა არ იძლევა გასაღებს იმის ასახსნელად, თუ რატომ იცვლება მოცემული საზოგადოებრივი წყობილება სახელდობრ ამადაამ ახალი წყობილებით, და არა რომელიმე სხვა წყობილებით, რატომ იცვლება პირველყოფილ-თემური წყობილება სახელდობრ მონათმფლობელური წყობილებით, მონათმფლობელური წყობილება — ფეოდალურით, ფეოდალური — ბურჟუაზიულით, და არა რომელიმე სხვა წყობილებით.

მოსახლეობის ზრდა საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ძალას რომ წარმოადგენდეს, მოსახლეობის უფრო დიდ სიმჭიდროვეს აუცილებლად უნდა გამოეწვია შესაბამისად უფრო მაღალი ტიპი საზოგადოებრივი წყობილებისა. მაგრამ სინამდვილეში ამას ვერ ვხედავთ. ჩინეთში მოსახლეობის სიმჭიდროვე ოთხჯერ უფრო დიდია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები უფრო მაღლა დგანან საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ვიდრე ჩინეთი, ვინაიდან ჩინეთში ჯერ კიდევ ბატონობს ნახევრად-ფეოდალური წყობილება, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე მიაღწიეს კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიას. ბელ-

გიაში მოსახლეობის სიმჭიდროვე 19-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, და 26-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე სსრ კავშირში, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ბელგიაზე უფრო მაღლა დგანან საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, სსრ კავშირს კი ბელგია მთელი ისტორიული ეპოქით ჩამორჩა, ვინაიდან ბელგიაში კაპიტალისტური წყობილება ბატონობს, მაშინ როდესაც სსრ კავშირმა უკვე ბოლო მოუღო კაპიტალიზმს და დაიმყარა სოციალისტური წყობილება.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს ის, რომ მოსახლეობის ზრდა არ წარმოადგენს და არც შეიძლება წარმოადგენდეს საზოგადოების განვითარების მთავარ ძალას, საზოგადოებრივი წყობილების ხასიათის, საზოგადოების ფიზიონომიის განმსაზღვრელ ძალას.

ა) მაშ რაში მდგომარეობს ის მთავარი ძალა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა სისტემაში, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების ფიზიონომიას, საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს, საზოგადოების განვითარებას ერთი წყობილებიდან მეორისაკენ?

ასეთ ძალად ისტორიული მატერიალიზმი თვლის ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი **საარსებო საშუალებების მოპოვების წესს, მატერიალური დოვლათის** — საზრდოს, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საცხოვრებელი ბინის, სათბობის, წარმოების იარაღების და სხვ. **წარმოების წესს,** რომლებიც აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოებას ცხოვრება და განვითარება შეეძლოს.

რომ ცხოვრობდე, უნდა გქონდეს საზრდო, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცხოვრებელი ბინა, სათბობი და სხვ., ეს მატერიალური დოვლათი რომ გქონდეს, უნდა აწარმოებდე მას, ხოლო მას რომ აწარმოებდე, უნდა გქონდეს წარმოების იარაღები, რომელთა საშუალებით ადამიანები ამზადებენ საზრდოს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, საცხოვრებელ ბინებს, სათბობს და სხვ., უნდა იცოდე ამ იარაღების წარმოება, უნდა იცოდე ამ იარაღებით სარგებლობა.

წარმოების იარაღები, რომელთა საშუალებითაც მზადდება მატერიალური დოვლათი, **ადამიანები,** რომლებიც ამოძრავებენ წარმოების იარაღებს და ახორციელებენ მატერიალური დოვლათის **წარმოებას** განსაზღვრული **საწარმოო გამოცდილებისა** და **შრომის ჩვევების** მეოხებით, — ყველა ეს ელემენტები ერთად შეადგენენ საზოგადოების **საწარმოო ძალებს.**

მაგრამ საწარმოო ძალები შეადგენენ წარმოების მხოლოდ ერთ მხარეს, წარმოების წესის ერთ მხარეს, რაც გამოხატავს ადამიანთა დამოკიდებულებას საგნებისადმი და ბუნების ძალებისადმი, რომლებსაც იყენებენ მატერიალური დოვლათის შესაქმნელად. წარმოების მეორე მხარეს, წარმოების წესის მეორე მხარეს შეადგენენ

ადამიანთა ურთიერთობანი წარმოების პროცესში, ადამიანთა **წარმოებითი ურთიერთობანი.** ადამიანები ეწევიან ბრძოლას ბუნებასთან და იყენებენ ბუნებას მატერიალური დოვლათის დასამზადებლად არა ერთიმეორისაგან იზოლირებულად, არა ერთიმეორისაგან მოწყვეტილი ერთეულების სახით, არამედ ერთად, ჯგუფებად, საზოგადოებებად. ამიტომ წარმოება ყოველთვის და ყველა პირობაში **არის საზოგადოებრივი** წარმოება. ახორციელებენ რა მატერიალური დოვლათის წარმოებას, ადამიანები ამყარებენ ერთმანეთს შორის ამა თუ იმ ურთიერთდამოკიდებულებებს წარმოების შიგნით, ამა თუ იმ წარმოებითს ურთიერთობებს. ეს ურთიერთობანი შეიძლება იყვნენ ექსპლოატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა თანაშრომლობისა და ურთიერთი დახმარების ურთიერთობანი, ისინი შეიძლება იყვნენ ბატონობისა და დამორჩილების ურთიერთობანი, ბოლოს, ისინი შეიძლება იყვნენ წარმოებით ურთიერთობათა ერთი ფორმიდან მეორე ფორმაზე გარდამავალი ურთიერთობანი. მაგრამ რა ხასიათიც არ უნდა ჰქონდეთ წარმოებითს ურთიერთობებს, ისინი შეადგენენ — ყოველთვის და ყველა წყობილების დროს — წარმოების ისეთსავე აუცილებელ ელემენტს, როგორსაც საზოგადოების საწარმოო ძალები.

«წარმოებაში,— ამბობს მარქსი, — ადამიანები ზემოქმედებას ახდენენ არა მარტო ბუნებაზე, არამედ ერთიმეორეზეც. მათ არ შეუძლიათ აწარმოონ, თუ არ შეერთდნენ გარკვეული წესით საერთო საქმიანობისათვის და თავიანთი საქმიანობის ურთიერთგაცვლისათვის. რომ აწარმოონ, ადამიანები ებმებიან განსაზღვრულ კავშირსა და ურთიერთობებში, და მხოლოდ ამ საზოგადოებრივი კავშირისა და ურთიერთობათა საშუალებით არსებობს მათი დამოკიდებულება ბუნებისადმი, ადგილი აქვს წარმოებას» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. V, გვ. 429).

მაშასადამე, წარმოება, წარმოების წესი მოიცავს როგორც საზოგადოების საწარმოო ძალებს, ისე ადამიანთა წარმოებითს ურთიერთობებს და, ამრიგად, წარმოადგენს მათი ერთიანობის განსახიერებას მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში.

ბ) წარმოების **პირველი** თავისებურება ის არის, რომ იგი არასოდეს არ იყინება ხანგრძლივი პერიოდით ერთ წერტილზე და ყოველთვის იმყოფება ცვლილებისა და განვითარების მდგომარეობაში, ამასთან ცვლილებანი წარმოების წესში გარდუვალად იწვევენ მთელი საზოგადოებრივი წყობილების, საზოგადოებრივი იდეების, პოლიტიკური შეხედულებების, პოლიტიკური დაწესებულებების ცვლილებას, — იწვევენ მთელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობის გარდაქმნას. განვითარების სხვადასხვა სათეხურებზე ადამიანები სარგებლობენ წარმოების სხვადასხვა წესებით, ანუ, უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ, — სხვადასხვანაირ ცხოვრებას ეწევიან.

პირველყოფილი თემის დროს არსებობს წარმოების ერთი წესი, მონობის დროს არსებობს წარმოების მეორე წესი, ფეოდალიზმის დროს — წარმოების მესამე წესი და ა. შ.. ამის შესაბამისად ადამიანთა საზოგადოებრივი წყობილებაც, მათი სულიერი ცხოვრება, მათი შეხედულებები, მათი პოლიტიკური დაწესებულებები — სხვადასხვანაირი არის ხოლმე.

წარმოების როგორი წესიცა აქვს საზოგადოებას, — ისეთივეა, ძირითადად, თვით საზოგადოებაც, ისეთივეა მისი იდეები და თეორიები, პოლიტიკური შეხედულებები და დაწესებულებები.

ანუ, უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ: რანაირიცაა ადამიანთა ცხოვრება, — იმნაირივეა მათი აზრები.

ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების განვითარების ისტორია არის, უწინარეს ყოვლისა, ისტორია წარმოების განვითარებისა, ისტორია წარმოების წესებისა; რომლებიც ცვლიან ერთიმეორეს საუკუნეთა მანძილზე, ისტორია საწარმოო ძალთა და ადამიანების წარმოებით ურთიერთობათა განვითარებისა.

მაშასადამე, საზოგადოებრივი განვითარების ისტორია ამასთან ერთად არის ისტორია თვით მატერიალური დოვლათის მწარმოებლებისა, ისტორია მშრომელი მასებისა, რომლებიც წარმოებითი პროცესის ძირითად ძალებს წარმოადგენენ და ახორციელებენ საზოგადოების არსებობისათვის აუცილებლად საჭირო მატერიალური დოვლათის წარმოებას.

მაშასადამე, ისტორიულ მეცნიერებას, თუ მას სურს იყოს ნამდვილი მეცნიერება, აღარ შეუძლია საზოგადოებრივი განვითარების ისტორია დაიყვანოს მეფეთა და მხედართმთავართა მოქმედებამდე, სახელმწიფოების «დამპყრობელთა» და «დამმორჩილებელთა» მოქმედებამდე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მან ხელი უნდა მოჰკიდოს მატერიალური დოვლათის მწარმოებლების ისტორიას, მშრომელი მასების ისტორიას, ხალხთა ისტორიას.

მაშასადამე, საზოგადოების ისტორიის კანონების შესწავლის გასაღები უნდა ვეძებოთ არა ადამიანთა თავებში, არა საზოგადოების შეხედულებებსა და იდეებში, არამედ წარმოების წესში, რომელსაც იყენებს საზოგადოება ყოველ მოცემულ ისტორიულ პერიოდში, — უნდა ვეძებოთ საზოგადოების ეკონომიკაში.

მაშასადამე, ისტორიული მეცნიერების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს წარმოების კანონების, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კანონების, საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონების შესწავლა და გახსნა.

მაშასადამე, პროლეტარიატის პარტია, თუ მას სურს იყოს ნამდვილი პარტია, უნდა დაეუფლოს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების

განვითარების კანონების ცოდნას, საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონების ცოდნას.

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვას, პროლეტარიატის პარტია როგორც თავისი პროგრამის აგებაში, ისე თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში უნდა გამოდიოდეს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების განვითარების კანონებიდან, საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონებიდან.

ბ) **წარმოების მეორე თავისებურება** ის არის, რომ მისი ცვლილებები და განვითარება იწყება ყოველთვის საწარმოო ძალთა ცვლილებებიდან და განვითარებიდან, უწინარეს ყოვლისა — წარმოების იარაღების ცვლილებებიდან და განვითარებიდან. მაშასადამე, საწარმოო ძალები წარმოადგენენ წარმოების ყველაზე მოძრავ და რევოლუციურ ელემენტს. ჯერ იცვლებიან და ვითარდებიან საზოგადოების საწარმოო ძალები, შემდეგ კი, ამ ცვლილებების **მიხედვით** და **მათ შესაბამისად** — იცვლებიან ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი, ადამიანთა ეკონომიური ურთიერთობანი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წარმოებითი ურთიერთობანი გავლენას არ ახდენენ საწარმოო ძალთა განვითარებაზე და რომ ეს უკანასკნელნი დამოკიდებული არ არიან პირველთაგან. ვითარდებიან რა საწარმოო ძალთა განვითარების მიხედვით, წარმოებითი ურთიერთობანი თავის მხრივ ზემოქმედებას ახდენენ საწარმოო ძალების განვითარებაზე, აჩქარებენ ან ანელებენ მას. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ წარმოებითი ურთიერთობანი არ შეიძლება მეტისმეტად დიდხანს ჩამორჩებოდნენ საწარმოო ძალების ზრდას და წინააღმდეგობაში იმყოფებოდნენ მასთან, ვინაიდან საწარმოო ძალებს შეუძლიათ სრული ზომით განვითარდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოებითი ურთიერთობანი შეესაბამებიან საწარმოო ძალების ხასიათს, მათს მდგომარეობას და ფართო გასაქანს აძლევენ საწარმოო ძალთა განვითარებას. ამიტომ, რარიგაც არ უნდა ჩამორჩებოდნენ წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალების განვითარებას, ისინი — ადრე თუ გვიან — შესაბამისნი უნდა გახდნენ — და მართლაც შესაბამისნი ხდებიან — საწარმოო ძალთა განვითარების დონისა, საწარმოო ძალთა ხასიათისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა ძირფესვიანი დარღვევა საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობისა წარმოების სისტემაში, მთლიანად წარმოების რღვევა, წარმოების კრიზისი, საწარმოო ძალთა დაშლა.

საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა შეუსაბამობის მაგალითს, მათ შორის კონფლიქტის მაგალითს — წარმოადგენენ ეკონომიური კრიზისები კაპიტალისტურ ქვეყნებში,

სადაც წარმოების საშუალებათა კერძო-კაპიტალისტური საკუთრება აშკარად შეუსაბამოა წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათისადმი, საწარმოო ძალების ხასიათისადმი. ამ შეუსაბამობის შედეგია ეკონომიური კრიზისები, რომლებიც იწვევენ საწარმოო ძალების დაშლას, ამასთან თვით ეს შეუსაბამობა წარმოადგენს სოციალური რევოლუციის ეკონომიურ საფუძველს, რევოლუციისა, რომლის დანიშნულება ის არის, რომ დაარღვიოს ახლანდელი წარმოებითი ურთიერთობანი და შექმნას ახალი, საწარმოო ძალთა ხასიათის შესაბამისი ურთიერთობანი.

და პირიქით, საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სრული შესაბამისობის მაგალითს წარმოადგენს სოციალისტური სახალხო მეურნეობა სსრ კავშირში, სადაც წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება საკუთრებით შეესაბამება წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათს და სადაც ამის გამო არ არის არც ეკონომიური კრიზისები, არც საწარმოო ძალთა დაშლა.

მაშასადამე, საწარმოო ძალები წარმოადგენენ წარმოების არა მარტო ყველაზე მოძრავ და რევოლუციურ ელემენტს. ისინი ამასთან ერთად წარმოადგენენ წარმოების განვითარების განმსაზღვრელ ელემენტს.

როგორიცაა საწარმოო ძალები, — ისეთივე უნდა იყვნენ წარმოებითი ურთიერთობანი.

თუ საწარმოო ძალთა მდგომარეობა უპასუხებს იმ კითხვას, წარმოების რა იარაღებით ამზადებენ ადამიანები მათთვის აუცილებლად საჭირო მატერიალურ დოვლათს, წარმოებით ურთიერთობათა მდგომარეობა უპასუხებს უკვე მეორე კითხვას: ვის მფლობელობაშია **წარმოების საშუალებანი** (მიწა, ტყეები, წყლები, წიაღი, ნედლი მასალები, წარმოების იარაღები, საწარმოო შენობები, მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი და სხვ.), ვის განკარგულებაშია წარმოების საშუალებანი, მთელი საზოგადოების განკარგულებაში, თუ ცალკეულ პირთა, ჯგუფთა, კლასთა განკარგულებაში, რომელნიც იყენებენ ამ საშუალებებს სხვა პირების, ჯგუფების, კლასების ექსპლოატაციისათვის.

აი სქემატური სურათი საწარმოო ძალთა განვითარებისა ძველი დროიდან ჩვენს დრომდე. ქვის უხეში იარაღებიდან მშვილდ-ისარზე გადასვლა და ამასთან დაკავშირებით მონადირული ცხოვრებიდან ცხოველთა მოშინაურებაზე და პირველყოფილ მეჯოგეობაზე გადასვლა; ქვის იარაღებიდან ლითონის იარაღებზე (რკინის ნაჯახი, რკინის-სახნისიანი კავი და სხვ.) გადასვლა და, ამის შესაბამისად, მცენარეთა მოყვანასა და მიწათმოქმედებაზე გადასვლა;

მასალათა დასამუშავებელი ლითონის იარაღების შემდგომი გაუმჯობესება, სამჭედლო საბერველზე გადასვლა, თიხის ჭურჭლის წარმოებაზე გადასვლა და, ამის შესაბამისად, ხელოსნობის განვითარება, ხელოსნობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან, დამოუკიდებელი ხელოსნური და შემდეგ მანუფაქტურული წარმოების განვითარება; წარმოების ხელოსნური იარაღებიდან მანქანაზე გადასვლა და ხელოსნურ-მანუფაქტურული წარმოების გადაქცევა სამანქანო მრეწველობად; მანქანათა სისტემაზე გადასვლა და თანამედროვე მსხვილი მანქანიზებული მრეწველობის გაჩენა, — ასეთია ზოგადი, მეტად არასრული, სურათი საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებისა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. ამასთან გასაგებია, რომ წარმოების იარაღების განვითარება და გაუმჯობესება ხორციელდებოდა წარმოებასთან დამოკიდებულების მქონე ადამიანების მიერ, და არა ადამიანებისაგან დამოუკიდებლად, — მაშასადამე, წარმოების იარაღების ცვლილებასთან და განვითარებასთან ერთად იცვლებოდნენ და ვითარდებოდნენ ადამიანები, როგორც საწარმოო ძალთა უმნიშვნელოვანესი ელემენტი, იცვლებოდა და ვითარდებოდა მათი საწარმოო გამოცდილება, მათი შრომის ჩვევები, მათი უნარი წარმოების იარაღების გამოყენებისა.

საზოგადოების საწარმოო ძალების ცვლილებისა და განვითარების შესაბამისად ისტორიის მანძილზე — იცვლებოდნენ და ვითარდებოდნენ ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი, მათი ეკონომიური ურთიერთობანი.

ისტორია იცნობს წარმოებით ურთიერთობათა ხუთ ძირითად ტიპს: პირველყოფილ-თემურს, მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს, სოციალისტურს.

პირველყოფილ-თემური წყობილების დროს წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. ეს ძირითადად შეესაბამება საწარმოო ძალთა ხასიათს ამ პერიოდში. ქვის იარაღები და მშვილდ-ისარი, რომელიც შემდეგ გაჩნდა, გამორიცხავდნენ ბუნების ძალებთან და მტაცებელ ცხოველებთან მარტოხელად ბრძოლის შესაძლებლობას. ტყეში რომ ნაყოფი შეაგროვონ, წყალში რომ თევზი დაიჭირონ, რაიმე საცხოვრებელი ბინა რომ ააშენონ, ადამიანები იძულებული არიან ერთად იმუშაონ, თუ არ სურთ გახდნენ შიმშილით სიკვდილის, მტაცებელ ცხოველთა ან მეზობელ საზოგადოებათა მსხვერპლნი. საერთო შრომა იწვევს წარმოების საშუალებათა, აგრეთვე წარმოების პროდუქტების საერთო საკუთრებას. აქ ჯერ კიდევ წარმოდგენა არა აქვთ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთ-

რებაზე, თუ არ ვიანგარიშებთ წარმოების იმ ზოგიერთი იარაღის პირად საკუთრებას, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ მტაცებელი ნადირებისაგან თავდაცვის იარაღებს. აქ არ არის ექსპლოატაცია, არ არიან კლასები.

მონათმფლობელური წყობილების დროს წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს მონათმფლობელის საკუთრება წარმოების საშუალებებზე, აგრეთვე წარმოების მუშაკზე — მონაზე, რომელიც მონათმფლობელს შეუძლია გაყიდოს, იყიდოს, მოკლას, როგორც პირუტყვი. ასეთი წარმოებითი ურთიერთობანი ძირითადად შეესაბამებიან საწარმოო ძალთა მდგომარეობას ამ პერიოდში. ქვის იარაღების ნაცვლად ახლა ადამიანებს თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ ლითონის იარაღები, ღატაკური და პრიმიტიული სამონადირეო მეურნეობის ნაცვლად, რომელმაც არც მეჯოგეობა იცოდა და არც მიწათმოქმედება, გაჩნდა მეჯოგეობა, მიწათმოქმედება, ხელოსნობა, წარმოების ამ დარგებს შორის შრომის განაწილება, გაჩნდა ცალკეულ პირებსა და საზოგადოებებს შორის პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობა, ადამიანთა მცირე რიცხვის ხელში სიმდიდრის დაგროვების შესაძლებლობა, უმცირესობის ხელში წარმოების საშუალებათა ნამდვილად დაგროვება, უმცირესობის მიერ უმრავლესობის დამორჩილებისა და უმრავლესობის წევრების მონებად გადაქცევის შესაძლებლობა. აქ უკვე აღარ არის საზოგადოების ყველა წევრთა საერთო და თავისუფალი შრომა წარმოების პროცესში, — აქ გაბატონებულია იძულებითი შრომა მონებისა, რომლებსაც ექსპლოატაციას უწევენ არამშრომელი მონათმფლობელნი. ამიტომ არ არსებობს საერთო საკუთრებაც წარმოების საშუალებებზე, ისევე როგორც წარმოების პროდუქტებზე. მას ცვლის კერძო საკუთრება. აქ მონათმფლობელი პირველი და ძირითადი სრულფასიანი მესაკუთრეა.

მდიდრები და ღარიბები, ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი, სრულუფლებიანნი და უუფლებონი, სასტიკი კლასობრივი ბრძოლა მათ შორის — ასეთია მონათმფლობელური წყობილების სურათი.

ფეოდალური წყობილების დროს წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს შეადგენს ფეოდალის საკუთრება წარმოების საშუალებებზე და არასრული საკუთრება წარმოების მუშაკზე, — ყმაზე, რომლის მოკვლა ფეოდალს უკვე არ შეუძლია, მაგრამ რომლის გაყიდვა და ყიდვა მას შეუძლია. ფეოდალურ საკუთრებასთან ერთად არსებობს პირად შრომაზე დამყარებული გლეხისა და ხელოსნის ერთპიროვნული საკუთრება წარმოების იარაღებზე და თავის კერძო მეურნეობაზე. ასეთი წარმოებითი ურთიერთობანი

ძირითადად შეესაბამებიან ამ პერიოდის საწარმოო ძალთა მდგომარეობას. რკინის გამოდნობისა და დამუშავების შემდგომი გაუმჯობესება; რკინის გუთნისა და საფეიქრო დაზგის გავრცელება; მიწათმოქმედების, მებოსტნეობის, მეღვინეობის, ერბო-კარაქის წარმოების შემდგომი განვითარება; სახელოსნოებთან ერთად მანუფაქტურულ საწარმოთა გაჩენა, — ასეთია საწარმოო ძალთა მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშნები.

ახალი საწარმოო ძალები მოითხოვენ, რომ მუშაკს ჰქონდეს რაიმე ინიციატივა წარმოებაში და შრომისადმი მიდრეკილება, შრომით დაინტერესება. ამიტომ ფეოდალი ტოვებს მონას, როგორც შრომით არა დაინტერესებულ და სრულიად უინიციატივო მუშაკს, და ამჯობინებს საქმე იქონიოს. ყმასთან, რომელსაც აქვს თავისი მეურნეობა, თავისი წარმოების იარაღები და რომელიც ერთგვარად დაინტერესებულია შრომით, რაც აუცილებლად საჭიროა იმისათვის, რომ მან დაამუშაოს მიწა და ფეოდალს ნატურით აძლიოს გადასახადი თავისი მოსავლიდან.

კერძო საკუთრებას აქ შემდგომი განვითარება ეძლევა. ექსპლოატაცია თითქმის ისეთივე სასტიკია, როგორც მონობის დროს, — იგი მხოლოდ რამდენადმე შერბილებულია. კლასობრივი ბრძოლა ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს შორის შეადგენს ფეოდალური წყობილების ძირითად ნიშანს.

კაპიტალისტური წყობილების დროს წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს. წარმოადგენს წარმოების საშუალებათა კაპიტალისტური საკუთრება, როცა არ არსებობს საკუთრება წარმოების მუშაკებზე, — დაქირავებულ მუშებზე, რომელთა არც მოკვლა, არც გაყიდვა კაპიტალისტს არ შეუძლია, ვინაიდან ისინი თავისუფალი არიან პირადი დამოკიდებულებისაგან, მაგრამ რომლებიც მოკლებული არიან წარმოების საშუალებებს და, შიმშილით რომ არ ამოწყდნენ, იძულებული ხდებიან მიჰყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა კაპიტალისტს და ექსპლოატაციის უღელი ატარონ კისერზე. წარმოების საშუალებათა კაპიტალისტურ საკუთრებასთან ერთად არსებობს და პირველ ხანებში ფართოდ არის გავრცელებული ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული გლეხისა და ხელოსნის კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, დამყარებული პირად შრომაზე. სახელოსნოთა და მანუფაქტურულ საწარმოთა ნაცვლად გაჩნდა მანქანებით შეიარაღებული უზარმაზარი ფაბრიკები და ქარხნები. თავადაზნაურულ მამულთა ნაცვლად, რომლებსაც წარმოების პრიმიტიული გლეხური იარაღებით ამუშავებდნენ, გაჩნდა მსხვილი კაპიტალისტური ეკონომიები, რომლებსაც

უძღვებიან აგროტექნიკის საფუძველზე და რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მანქანებით არიან აღჭურვილნი.

ახალი საწარმოო ძალები მოითხოვენ, რომ წარმოების მუშაკები უფრო კულტურულნი და მოსაზრებულნი იყვნენ, ვიდრე დაბეჩავებული და გონებაბნელი ყმები, რომ მათ შეეძლოთ მანქანის გაგება და მისი წესიერად ხმარება. ამიტომ კაპიტალისტები ამჯობინებენ საქმე იქონიონ ბატონყმური ბორკილებისაგან თავისუფალ, დაქირავებულ მუშებთან, რომლებიც საკმაოდ კულტურული უნდა იყვნენ იმისათვის, რომ მანქანები წესიერად მოიხმარონ.

მაგრამ, კოლოსალურ ფარგლებამდე რომ განავითარა საწარმოო ძალები, კაპიტალიზმი გაიხლართა მისთვის გადაუჭრელ წინააღმდეგობებში. აწარმოებს რა სულ უფრო და უფრო მეტ საქონელს და ამცირებს საქონლის ფასებს, კაპიტალიზმი ამწვავებს კონკურენციას, აჩანაგებს წვრილ და საშუალო კერძო მესაკუთრეთა მასას, ხდის მათ პროლეტარებად და დაბლა სწევს მათს მყიდველობითს უნარს, რის გამო დამზადებული საქონლის გასაღება შეუძლებელი ხდება. ხოლო აფართოებს რა წარმოებას და უზარმაზარ ფაბრიკებსა და ქარხნებში თავს უყრის მილიონობით მუშებს, კაპიტალიზმი საზოგადოებრივ ხასიათს აძლევს წარმოების პროცესს და ამით ძირს უთხრის თავის საკუთარ ბაზას, რადგან წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი მოითხოვს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას, ამავე დროს კი წარმოების საშუალებათა საკუთრება რჩება კერძო-კაპიტალისტური, შეუთავსებელი წარმოების პროცესის საზოგადოებრივ ხასიათთან.

ეს შეურიგებელი წინააღმდეგობანი საწარმოო ძალთა ხასიათსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის თავს იჩენენ ჭარბი წარმოების პერიოდულ კრიზისებში, როცა კაპიტალისტები, მათ მიერვე მოსახლეობის მასის გაჩანაგების გამო, ვერ პოულობენ გადახდისუნარიან მოთხოვნილებას და იძულებული ხდებიან დასწვან პროდუქტები, მოსპონ მზა საქონელი, შეაჩერონ წარმოება, დაანგრიონ საწარმოო ძალები, როცა მილიონობით მოსახლეობა იძულებულია განიცადოს უმუშევრობა და შიმშილი არა იმის გამო, რომ საკმაო საქონელი არ არის, არამედ იმის გამო, რომ მეტისმეტად ბევრი საქონელია წარმოებული.

ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი უკვე აღარ შეესაბამებიან საზოგადოების საწარმოო ძალთა მდგომარეობას და მათთან შეურიგებელ წინააღმდეგობაში ჩავარდნენ.

ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი ფეხმძიმედაა რევოლუციით, რომელიც მოწოდებულია შეცვალოს წარმოების საშუალებათა ახლანდელი კაპიტალისტური საკუთრება სოციალისტური საკუთრებით.

ეს იმას ნიშნავს, რომ უაღრესად მწვავე კლასობრივი ბრძოლა ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს შორის შეადგენს კაპიტალისტური წყობილების ძირითად ნიშანს.

სოციალისტური წყობილების დროს, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ სსრ კავშირშია განხორციელებული, წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. აქ უკვე აღარ არიან არც ექსპლოატატორები, არც ექსპლოატირებულნი. წარმოებული პროდუქტები ნაწილდება შრომის მიხედვით თანახმად პრინციპისა: «ვინც არ მუშაობს, ის არცა ჭამს». ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებანი წარმოების პროცესში აქ ხასიათდება, როგორც ექსპლოატაციისაგან თავისუფალი მუშაკების ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობანი. აქ წარმოებითი ურთიერთობანი სავსებით შეესაბამებიან საწარმოო ძალთა მდგომარეობას, ვინაიდან წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი გამაგრებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრებით.

ამიტომ სსრ კავშირში არსებული სოციალისტური წარმოებისათვის. უცნობია ჭარბი წარმოების პერიოდული კრიზისები და მათთან დაკავშირებული უაზრობანი.

ამიტომ საწარმოო ძალები აქ დაჩქარებული ტემპით ვითარდებიან, რადგან მათი შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობანი მათ სრულ გასაქანს აძლევენ ასეთი განვითარებისათვის.

ასეთია ადამიანების წარმოებით ურთიერთობათა განვითარების სურათი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე.

ასეთია წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დამოკიდებულება საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებისაგან, უწინარეს ყოვლისა — წარმოების იარაღთა განვითარებისაგან, დამოკიდებულება, რომლის ძალითაც საწარმოო ძალთა ცვლილებანი და განვითარება ადრე თუ გვიან იწვევს წარმოებით ურთიერთობათა სათანადო ცვლილებებსა და განვითარებას.

«შრომის საშუალებათა[1] გამოყენება და შექმნა, — ამბობს მარქსი, — თუმცა ჩანასახი ფორმით ისინი ზოგი გვარის ცხოველებსაც მოეპოვებათ, ადამიანთა შრომის პროცესის სპეციფიკურად დამახასიათებელ მხარეს შეადგენენ, ამიტომაც

[1] «შრომის საშუალებად» მარქსი უმთავრესად გულისხმობს წარმოების იარაღებს. — ი. სტ.

ფრანკლინი ადამიანს განსაზღვრავს, როგორც იარაღების მკეთებელ ცხოველს. რა მნიშვნელობაც ძვლების ნაშთების აგებულებას აქვს გამქრალი ცხოველების გვართა შესასწავლად, ასეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს გამქრალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესასწავლად. ეკონომიური ეპოქები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა იმით, თუ რა იწარმოება, არამედ იმით, თუ როგორ იწარმოება... შრომის საშუალებები არა მარტო საზომია ადამიანის სამუშაო ძალის განვითარებისა, არამედ მაჩვენებელიცაა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, რომლებშიც შრომა წარმოებს» (კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. I, გვ. 121, 1935 წ. გამოცემა).

და შემდეგ:

— «საზოგადოებრივი ურთიერთობანი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი საწარმოო ძალებთან. იძენენ რა ახალ საწარმოო ძალებს, ადამიანები ცვლიან თავიანთ წესს წარმოებისას, ხოლო წარმოების წესის, თავიანთი ცხოვრების უზრუნველყოფის წესის შეცვლასთან ერთად, — ისინი ცვლიან მთელ თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ხელწისქვილი იძლევა საზოგადოებას, რომელსაც სათავეში უდგას სიუზერენი (ფეოდალი. — ი. ხტ.), ორთქლის წისქვილი — საზოგადოებას, რომელსაც სათავეში უდგას მრეწველი კაპიტალისტი» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. V, გვ. 364).

— «განუწყვეტლივ ხდება საწარმოო ძალთა ზრდის მოძრაობა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა დანგრევა, იდეების წარმოშობა, უძრავია მხოლოდ მოძრაობის აბსტრაქცია» (იქვე, გვ. 364).

ახასიათებს რა ისტორიულ მატერიალიზმს, ჩამოყალიბებულს «კომუნისტური პარტიის მანიფესტში», ენგელსი ამბობს:

«ყოველი ისტორიული ეპოქის ეკონომიური წარმოება და მისგან გარდუვალად გამომდინარე აგებულება საზოგადოებისა შეადგენენ ამ ეპოქის პოლიტიკური და გონებრივი ისტორიის საფუძველს... ამის შესაბამისად, პირველყოფილი სათემო მიწათმფლობელობის დაშლის დროიდან მთელი ისტორია იყო ისტორია კლასობრივი ბრძოლისა, ბრძოლისა ექსპლოატირებულთა და ექსპლოატატორთა, დამონებულ და გაბატონებულ კლასებს შორის საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე... ახლა ამ ბრძოლამ ისეთ საფეხურს მიაღწია, როდესაც ექსპლოატირებული და დანაგრული კლასი (პროლეტარიატი) უკვე ვერ შესძლებს განთავისუფლდეს მისი ექსპლოატატორი და მჩაგვრელი კლასისაგან (ბურჟუაზიისაგან), თუ ამავე დროს მთელ საზოგადოებას სამუდამოდ არ გათავისუფლებს ექსპლოატაციისა, ჩაგვრისა და კლასობრივი ბრძოლისაგან...» (ენგელსის წინასიტყვაობა «მანიფესტის» გერმანული გამოცემისათვის).

დ) წარმოების მესამე თავისებურება ის არის, რომ ახალ საწარმოო ძალთა და მათი შესაბამის წარმოებით ურთიერთობათა წარმოშობა ხდება არა ძველი წყობილებისაგან განცალკევებულად, არა ძველი წყობილების გაქრობის შემდეგ, არამედ ძველი წყობილების წიაღში, ხდება ადამიანთა არა წინასწარგანზრახული, შეგნებული საქმიანობის შედეგად, არამედ სტიქიურად, შეუგნებლად, ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად. იგი სტიქიურად და ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად ხდება ორი მიზეზით-

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ადამიანები თავისუფალი არ არიან წარმოების ამა თუ იმ წესის არჩევაში, ვინაიდან თვითეული ახალი თაობა, ცხოვრებას რომ იწყებს, უკვე ხვდება მზა საწარმოო ძალებსა და წარმოებითს ურთიერთობებს, როგორც წინანდელ თაობათა მუშაობის შედეგს, რის გამო იგი იძულებულია მიიღოს პირველ ხანებში ყოველივე ის, რასაც მზა სახით პოულობს წარმოების დარგში, და შეეგუოს მას, რათა მიიღოს მატერიალური დოვლათის შექმნის შესაძლებლობა.

მეორეც, იმიტომ, რომ, აუმჯობესებენ რა წარმოების ამა თუ იმ იარაღს, საწარმოო ძალების ამა თუ იმ ელემენტს, ადამიანებს შეგნებული არა აქვთ, არ გაეგებათ და არ უფიქრდებიან იმას, თუ რა **საზოგადოებრივი** შედეგები უნდა მოჰყვეს ამ გაუმჯობესებებს, არამედ ფიქრობენ მხოლოდ თავიანთ ყოველდღიურ ინტერესებზე, იმაზე, რომ შეიმსუბუქონ შრომა და მიაღწიონ რაიმე უშუალო, შესაგრძნობ სარგებლობას თავისთვის.

როცა პირველყოფილ-თემური საზოგადოების ზოგიერთი წევრი თანდათან და ფათურით გადადიოდა ქვის იარაღებიდან რკინის იარაღებზე, მათ, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ და არ უფიქრდებოდნენ იმას, თუ **რა საზოგადოებრივი** შედეგები მოჰყვებოდა ამ სიახლეს, მათ არ ესმოდათ და შეგნებული არ ჰქონდათ ის, რომ ლითონის იარაღებზე გადასვლა მოასწავებდა გადატრიალებას წარმოებაში, რომ ამას ბოლოს და ბოლოს მოჰყვებოდა მონათმფლობელური წყობილება, — მათ მხოლოდ სურდათ შეემსუბუქებინათ თავიანთი შრომა და მიეღწიათ უახლოესი, შესაგრძნობი სარგებლობისათვის, — მათი შეგნებული საქმიანობა ამ ყოველდღიური პირადი სარგებლობის ვიწრო ჩარჩოებით იფარგლებოდა.

როცა ფეოდალური წყობილების პერიოდში ევროპის ახალგაზრდა ბურჟუაზიამ წვრილ საამქრო სახელოსნოთა გვერდით იწყო მსხვილ მანუფაქტურულ საწარმოთა შენება და, ამრიგად, წინ სწევდა საზოგადოების საწარმოო ძალებს, მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა და არ უფიქრდებოდა იმას, თუ რა **საზოგადოებრივი** შედეგები მოჰყვებოდა ამ სიახლეს, მას შეგნებული არ ჰქონდა და არ ესმოდა. რომ ამ «პატარა» სიახლეს მოჰყვებოდა საზოგადოებრივი ძალების ისეთი გადაჯგუფება, რომელიც უნდა დამთავრებულიყო რევოლუციით მეფის ხელისუფლების წინააღმდეგაც, რომლის წყალობას იგი ასე დიდად აფასებდა, და თავადაზნაურთა წინააღმდეგაც, რომელთა რიგებში მოხვედრაზე ხშირად ოცნებობდნენ მისი საუკეთესო წარმომადგენლები, — მას მხოლოდ უნდოდა გაეიაფებინა საქონლის წარმოება, რაც შეიძლება მეტი საქონელი გამოეშვა აზიისა და ახ-

ლად აღმოჩენილი ამერიკის ბაზრებზე და მიეღო რაც შეიძლება მეტი მოგება, — მისი შეგნებული საქმიანობა ამ ყოველდღიური პრაქტიკის ვიწრო ჩარჩოებით იფარგლებოდა.

როცა რუსი კაპიტალისტები უცხოელ კაპიტალისტებთან ერთად გაძლიერებით ნერგავდნენ რუსეთში თანამედროვე მსხვილ მანქანიზებულ მრეწველობას, ხოლო ცარიზმს ხელუხლებლად ტოვებდნენ და გლეხებს საჯიჯგნად ხელში უგდებდნენ მემამულეებს, მათ, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ და არ უფიქრდებოდნენ იმას, თუ რა საზოგადოებრივი შედეგები მოჰყვებოდა საწარმოო ძალთა ამ სერიოზულ ზრდას, მათ შეგნებული არ ჰქონდათ და არ ესმოდათ, რომ ამ სერიოზულ ნახტომს საზოგადოების საწარმოო ძალთა დარგში საზოგადოებრივი ძალების ისეთი გადაჯგუფება მოჰყვებოდა, რომელიც პროლეტარიატს შესაძლებლობას მისცემდა შემოეერთებინა გლეხობა და მოეხდინა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია, — მათ მხოლოდ უნდოდათ უკიდურესობამდე გაეფართოებინათ სამრეწველო წარმოება, დაუფლებოდნენ კოლოსალურ საშინაო ბაზარს, გამხდარიყვნენ მონოპოლისტები და რაც შეიძლება მეტი მოგება ამოეწურათ სახალხო მეურნეობიდან, — მათი შეგნებული საქმიანობა მათს ყოველდღიურ ვიწრო-პრაქტიკულ ინტერესებს არ სცილდებოდა.

ამის შესაბამისად მარქსი ამბობს:

«თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას (ესე იგი ადამიანთა ცხოვრებისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის წარმოებისას. — ი. სტ.) ადამიანები შედიან განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ [1] ურთიერთობებში — წარმოებითს ურთიერთობებში, რომელნიც მათი მატერიალური საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამებიან» (კ. მარქსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 269).

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ წარმოებით ურთიერთობათა ცვლილებანი და ძველი წარმოებითი ურთიერთობებიდან ახლებზე გადასვლა მიმდინარეობდეს უმტკივნეულოდ, უკონფლიქტებოდ, შერყევათა გამოუწვევლად. პირიქით, ასეთი გადასვლა ჩვეულებრივ ხდება ძველ წარმოებით ურთიერთობათა რევოლუციური დამხობისა და ახალ წარმოებით ურთიერთობათა დამკვიდრების გზით. გარკვეულ პერიოდამდე საწარმოო ძალთა განვითარება და ცვლილებანი წარმოებით ურთიერთობათა დარგში მიმდინარეობენ სტიქიურად, ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ ეს მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე, იმ მომენტამდე, სანამ აღმოცენებული და განვითარების პროცესში მყოფი საწარმოო

[1] ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ძალები მოასწრებდნენ ჯეროვნად მომწიფებას. მას შემდეგ კი, რაც ახალი საწარმოო ძალები მომწიფდნენ, არსებული წარმოებითი ურთიერთობანი და მათი მატარებელნი — გაბატონებული კლასები, იქცევიან იმ «გადაულახავ» ზღუდედ, რომლის მოხსნაც გზიდან შეიძლება მხოლოდ ახალი კლასების შეგნებული საქმიანობის გზით, ამ კლასების ძალდატანებითი მოქმედების გზით, რევოლუციის გზით. აქ განსაკუთრებით ნათლად აშკარავდება უდიდესი როლი ახალი საზოგადოებრივი იდეებისა, ახალი პოლიტიკური დაწესებულებებისა, ახალი პოლიტიკური ხელისუფლებისა, რომელნიც მოწოდებული არიან ძალდატანებით გააუქმონ ძველი წარმოებითი ურთიერთობანი. ახალ საწარმოო ძალებსა და ძველ წარმოებითს ურთიერთობებს შორის კონფლიქტის საფუძველზე, საზოგადოების ახალ ეკონომიურ მოთხოვნილებათა საფუძველზე ჩნდებიან ახალი საზოგადოებრივი იდეები, ახალი იდეები ახდენენ მასების ორგანიზაციას და მობილიზაციას, მასები ირაზმებიან ახალ პოლიტიკურ არმიად, ქმნიან ახალ რევოლუციურ ხელისუფლებას და იყენებენ მას იმისათვის, რომ ძალდატანებით გააუქმონ ძველი წესები წარმოებით ურთიერთობათა დარგში და დაამკვიდრონ ახალი წესები. განვითარების სტიქიური პროცესი ადგილს უთმობს ადამიანთა შეგნებულ საქმიანობას, მშვიდობიანი განვითარება — ძალდატანებითს გადატრიალებას, ევოლუცია — რევოლუციას.

«პროლეტარიატი, — ამბობს მარქსი, — ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებლად ერთიანდება კლასად... რევოლუციის გზით ის გადააქცევს თავის თავს გაბატონებულ კლასად და როგორც გაბატონებული კლასი ძალდატანებით აუქმებს ძველ წარმოებითს ურთიერთობებს» («კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1938 წ. გამოცემა, გვ. 52).

და შემდეგ:

— «პროლეტარიატი თავის პოლიტიკურ ბატონობას იმისათვის გამოიყენებს, რომ თანდათან გამოჰგლიჯოს ბურჟუაზიას მთელი კაპიტალი, თავი მოუყაროს წარმოების ყველა იარაღს სახელმწიფოს, ე. ი. გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატის ხელში, და რაც შეიძლება სწრაფად გაამრავლოს საწარმოო ძალების ჯამი» (იქვე, გვ. 50).

— «ძალდატანება წარმოადგენს ყოველი ძველი საზოგადოების ბებია-ქალს, როცა ეს საზოგადოება ფეხმძიმედაა ახალით» (მარქსი, «კაპიტალი», ტ. I, გვ. 603, 1935 წ.).

აი ისტორიული მატერიალიზმის დედაარსის გენიალური ფორმულირება, მოცემული მარქსის მიერ 1859 წელს ისტორიულ «წინასიტყვაობაში» თავისი განთქმული წიგნისა — «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის»:

«თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები შედიან განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობებში — წარმოებითს ურთიერთობებში, რომელნიც მათი მატერიალური საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამებიან. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და სულიერ პროცესებს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას. თავიანთი განვითარების გარკვეულ საფეხურზე საზოგადოების მატერიალური საწარმოო ძალები ექცევიან წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებით ურთიერთობებთან, ან — რაც ამის მხოლოდ იურიდიულ გამოსახულებას წარმოადგენს — საკუთრების ურთიერთობებთან, რომელთა შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ. საწარმოო ძალთა განვითარების ფორმებიდან ეს ურთიერთობანი მათ ბორკილებად იქცევიან. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის შეცვლასთან ერთად მეტი თუ ნაკლები სისწრაფით ხდება გადატრიალება მთელ უზარმაზარ ზედნაშენში. ამგვარ გადატრიალებათა განხილვისას აუცილებლად საჭიროა ყოველთვის განვასხვაოთ წარმოების ეკონომიური პირობების მატერიალური გადატრიალება, რომლის გარკვევა ბუნებისმეტყველურ-მეცნიერული სიზუსტით არის შესაძლებელი, — იურიდიული, პოლიტიკური, რელიგიური, მხატვრული ან ფილოსოფიური, მოკლედ: იდეოლოგიური ფორმებისაგან, რომლებითაც ადამიანები ამ კონფლიქტს შეიცნობენ და ებრძვიან მას. როგორც არ შეიძლება ცალკეული ადამიანის შესახებ ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს თვითონ იგი თავის თავზე, ისევე არ შეიძლება ვიმსჯელოთ ამგვარი გადატრიალების ეპოქის შესახებ მისი ცნობიერების მიხედვით. პირიქით, ეს ცნობიერება უნდა ავხსნათ მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობებით, საზოგადოებრივ საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის არსებული კონფლიქტით. არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ იღუპება მანამდე, სანამ არ განვითარებულა ყველა საწარმოო ძალა, რომელთათვის იგი საკმაო გასაქანს იძლევა, და ახალი, უმაღლესი წარმოებითი ურთიერთობანი არასოდეს არ ჩნდებიან მანამდე, სანამ მათი არსებობის მატერიალური პირობები თვით ძველი საზოგადოების წიაღში არ მომწიფებულან. ამიტომ კაცობრიობა ყოველთვის მხოლოდ ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაჭრაც მას შეუძლია, რადგან უახლესი განხილვისას ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე, რომ თვით ამოცანა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა მისი გადაჭრის მატერიალური პირობები უკვე არსებობენ ან, ყოველ შემთხვევაში, დადგინების პროცესში იმყოფებიან» (კ. მარქსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 269 — 270).

ასეთია საქმის ვითარება მარქსისტული მატერიალიზმის გარშემო, თუ მას აავიღებთ საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი გამოყენების მხრივ, საზოგადოების ისტორიისადმი გამოყენების მხრივ.

ასეთია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი ნიშნები.

საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ

1939 წ. 10 მარტი

1

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

ამხანაგებო! პარტიის XVII ყრილობის შემდეგ ხუთმა წელმა გასწია. პერიოდი, როგორც ხედავთ, მცირე როდია. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიომ უკვე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. სახელმწიფოები და ქვეყნები, მათი ურთიერთშორის დამოკიდებულებანი ბევრ რამეში სულ სხვანაირი გახდნენ.

სახელდობრ რა ცვლილებები მოხდა ამ პერიოდის მანძილზე საერთაშორისო ვითარებაში? სახელდობრ რა შეიცვალა ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობაში?

კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ეს პერიოდი იყო უაღრესად სერიოზულ შერყევათა პერიოდი როგორც ეკონომიკის დარგში, ისე პოლიტიკის დარგშიც. ეკონომიურ დარგში ეს წლები იყო დეპრესიის წლები, ხოლო შემდეგ, 1937 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული, — ახალი ეკონომიური კრიზისის წლები, მრეწველობის ახალი დაცემის წლები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, — მაშასადამე, ახალ ეკონომიურ გართულებათა წლები. პოლიტიკურ დარგში ეს წლები იყო სერიოზულ პოლიტიკურ კონფლიქტთა და შერყევათა წლები. უკვე მეორე წელია წარმოებს ახალი იმპერიალისტური ომი, რომელიც გაჩაღდა უდიდეს ტერიტორიაზე შანხაიდან გიბრალტარამდე და რომელმაც 500 მილიონზე მეტი მოსახლეობა ჩაითრია. ძალმომრეობით ხდება ევროპის, აფრიკის, აზიის რუკის შეცვლა. ძირფესვიანად შერყეულია ომისშემდგომი ეგრეთწოდებული მშვიდობიანი რეჟიმის მთელი სისტემა.

საბჭოთა კავშირისათვის, პირიქით, ეს წლები იყო მისი ზრდისა და აყვავების წლები, მისი შემდგომი ეკონომიური და კულტურუ-

ლი აღმავლობის წლები, მისი პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების შემდგომი ზრდის წლები, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის მისი ბრძოლის წლები.

ასეთია საერთო სურათი.

განვიხილოთ კონკრეტული მონაცემები საერთაშორისო ვითარებაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

1. ახალი ეკონომიური კრიზისი კაპიტალისტურ ქვეყნებში. ბრძოლის გამწვავება გასაღების ბაზრებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის, მსოფლიოს ახალი გადანაწილებისათვის

ეკონომიური კრიზისი, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებში 1929 წლის მეორე ნახევარში დაიწყო, 1933 წლის დამლევამდე გრძელდებოდა. ამის შემდეგ კრიზისი დეპრესიაში გადავიდა, ხოლო მერე დაიწყო მრეწველობის ერთგვარი გამოცოცხლება, მისი ერთგვარი აღმავლობა. მაგრამ მრეწველობის ეს გამოცოცხლება არ გადასულა აყვავებაში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე გამოცოცხლების პერიოდში. პირიქით, 1937 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დაიწყო ახალი ეკონომიური კრიზისი, რომელიც უწინარეს ყოვლისა მოედო ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო მათ შემდეგ — ინგლისს, საფრანგეთსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებს.

ამრიგად, კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ვერც კი მოასწრეს წელში გამართვა ამასწინანდელი ეკონომიური კრიზისის მიერ მიყენებული ზიანის შემდეგ, რომ ისინი ახალი ეკონომიური კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ.

ამ გარემოებამ ბუნებრივად გამოიწვია უმუშევრობის გაძლიერება. კაპიტალისტურ ქვეყნებში უმუშევართა რიცხვი, რომელიც 30 მილიონი კაციდან 1933 წელს თითქოს შემცირდა 14 მილიონამდე 1937 წელს, ახალი კრიზისის შედეგად ახლა კვლავ გაიზარდა 18 მილიონ კაცამდე.

ახალი კრიზისის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ იგი ბევრად განსხვავდება წინანდელი კრიზისისაგან, ამასთან განსხვავდება არა უკეთესი მხრით, არამედ უარესი მხრით.

ჯერ-ერთი, ახალი კრიზისი დაიწყო მრეწველობის არა აყვავების შემდეგ, როგორც ეს 1929 წელს იყო, არამედ დეპრესიისა და ერთგვარი გამოცოცხლების შემდეგ, რაც, მაინც, აყვავებაში არ გადასულა. ეს ნიშნავს, რომ ახლანდელი კრიზისი უფრო მძიმე იქნება და მასთან ბრძოლა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე წინანდელ კრიზისთან.

შემდეგ, ახლანდელი კრიზისი გაჩაღდა არა მშვიდობიან დროს,

არამედ უკვე დაწყებული მეორე იმპერიალისტური ომის პერიოდში, როდესაც იაპონია, რომელიც უკვე მეორე წელია ჩინეთს ეომება, ახდენს ჩინეთის თვალუწვდენი ბაზრის დეზორგანიზაციას და თითქმის მიუწვდომელს ხდის მას სხვა ქვეყნების საქონლისათვის, როდესაც იტალიამ და გერმანიამ უკვე გადაიყვანეს თავიანთი სახალხო მეურნეობა სამხედრო ეკონომიკის რელსებზე, გაანიავეს რა ამ საქმისათვის ნედლეულისა და ვალუტის თავისი მარაგი, როდესაც ყველა დანარჩენი დიდი კაპიტალისტური სახელმწიფო იწყებს სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნას. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალიზმს ახლანდელი კრიზისიდან ნორმალური გამოსვლისათვის გაცილებით ნაკლები რესურსები ექნება, ვიდრე წინანდელი კრიზისის პერიოდში.

დასასრულ, წინანდელი კრიზისისაგან განსხვავებით, ახლანდელი კრიზისი წარმოადგენს არა საყოველთაო კრიზისს, არამედ, ჯერჯერობით, უმთავრესად მოიცავს ეკონომიურად მძლავრ ქვეყნებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან სამხედრო ეკონომიკის რელსებზე. რაც შეეხება აგრესიულ ქვეყნებს, როგორიცაა იაპონია, გერმანია და იტალია, რომლებმაც უკვე გარდაქმნეს თავიანთი ეკონომიკა სამხედრო ყაიდაზე, ისინი გაძლიერებით ავითარებენ თავიანთ სამხედრო მრეწველობას და ჯერ კიდევ არ განიცდიან ჭარბი წარმოების კრიზისის მდგომარეობას, თუმცა კი უახლოვდებიან მას. ეს ნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც ეკონომიურად ძლიერი, არააგრესიული ქვეყნები დაიწყებენ კრიზისის პერიოდიდან გამოსვლას, აგრესიული ქვეყნები, გამოლევენ რა ომის ცეცხლ-ცხელების პროცესში თავიანთ ოქროსა და ნედლეულის მარაგს, იძულებული იქნებიან შევიდნენ უსასტიკესი კრიზისის პერიოდში.

ამას თვალსაჩინოდ ასურათებენ თუნდაც მონაცემები კაპიტალისტურ ქვეყნებში ოქროს ხილვადი მარაგის არსებობის შესახებ.

ოქროს ხილვადი მარაგი კაპიტალისტურ ქვეყნებში
(ოქროს ძველი დოლარები მილიონობით)

	1936 წლის დამლევი	1938 წლის სექტემბერი
სულ	12 980	14 301
ამერიკის შეერთ. შტატ. .	6 649	8 126
ინგლისი	2 029	2 396
საფრანგეთი	1 769	1 435
ჰოლანდია .	289	595
ბელგია .	373	318
შვეიცარია .	387	407
გერმანია . .	16	17
იტალია	123	124
იაპონია	273	97

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ გერმანიის, იტალიისა და იაპონიის ოქროს მარაგი, ერთად აღებული, წარმოადგენს უფრო ნაკლებ თანხას, ვიდრე მარტო შვეიცარიის მარაგი.

აი ზოგიერთი ციფრობრივი მონაცემი, რომლებიც ასურათებენ კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის კრიზისულ მდგომარეობას უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში და სამრეწველო აღმავლობის მოძრაობას სსრ კავშირში.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა პროცენტობით 1929 წლის მიმართ (1929=100)

	1934	1935	1936	1937	1938
ამერიკის შეერთ. შტატ.	66,4	75.6	88,1	92.2	72,0
ინგლისი	98,8	105,8	115,9	123.7	112,0
საფრანგეთი	71.0	67 4	79,3	82 8	70,0
იტალია	80,0	93,8	87,5	99,6	96,0
გერმანია	79.0	94,0	106,3	117,2	125,0
იაპონია	128.7	141,8	151,1	170,8	165 0
სსრ კავშირი	238,3	293,4	382,3	424.0	477,0

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ ქვეყანას, რომელიც არ იცნობს კრიზისებს და რომლის მრეწველობა მუდამ აღმა მიდის.

შემდეგ, ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთში უკვე დაიწყო და ვითარდება სერიოზული ეკონომიური კრიზისი.

შემდეგ, ამ ცხრილიდან ჩანს, რომ იტალიასა და იაპონიაში, რომლებმაც გერმანიაზე ადრე გადაიყვანეს თავიანთი სახალხო მეურნეობა სამხედრო ეკონომიკის რელსებზე, 1938 წელს უკვე დაიწყო მრეწველობის დაქვეითების პერიოდი.

დასასრულ, ამ ცხრილიდან ჩანს, რომ გერმანიაში, რომელმაც იტალიაზე და იაპონიაზე უფრო გვიან გარდაქმნა თავისი ეკონომიკა სამხედრო ყაიდაზე, მრეწველობა ჯერჯერობით კიდევ განიცდის ერთგვარი, მართალია მცირე, მაგრამ მაინც აღმასვლის მდგომარეობას, — იმის შესაბამისად, როგორც ამას უკანასკნელ დრომდე ადგილი ჰქონდა იაპონიასა და იტალიაში.

არ შეიძლება დაეჭვება, რომ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გერმანიის მრეწველობა უნდა დაადგეს დაქვეითების იმავე გზას, რომელსაც უკვე დაადგნენ იაპონია და იტალია. ვინაიდან რას ნიშნავს ქვეყნის მეურნეობის გადაყვანა სამხედრო ეკონომიკის რელსებზე? ეს ნიშნავს, რომ მრეწველობას მისცე ცალმხრივი,

სამხედრო მიმართულება, ყოველნაირად გააფართოო ომისათვის საჭირო საგნების წარმოება, რაც დაკავშირებული არ არის მოსახლეობის მოხმარებასთან, ყოველნაირად შეკვეცო წარმოება და განსაკუთრებით მოსახლეობის მოხმარების საგნების გამოშვება ბაზარზე, — მაშასადამე, შეამცირო მოსახლეობის მოხმარება და ქვეყანა ეკონომიური კრიზისის წინაშე დააყენო.

ასეთია კაპიტალისტურ ქვეყნებში ახალი ეკონომიური კრიზისის მოძრაობის კონკრეტული სურათი.

გასაგებია, რომ სამეურნეო საქმეთა ასეთ არახელსაყრელ ვითარებას არ შეეძლო არ გამოეწვია სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გამწვავება. უკვე წინანდელმა კრიზისმა არივდარია მთელი ანგარიშები და გამოიწვია ბრძოლის გამწვავება გასაღების ბაზრებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის. იაპონიის მიერ მანჯურიისა და ჩრდილოეთ ჩინეთის დაპყრობამ, იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობამ, — ყოველივე ამან ასახა სახელმწიფოებს შორის ბრძოლის სიმწვავე. ახალ ეკონომიურ კრიზისს უნდა გამოეწვია და იგ ნამდვილადაც იწვევს იმპერიალისტური ბრძოლის შემდგომ გამწვავებას. ლაპარაკია უკვე არა ბაზრებზე კონკურენციის შესახებ, არა სავაჭრო ომის შესახებ, არა დემპინგის შესახებ. ბრძოლის ეს საშუალებანი უკვე დიდი ხანია მიჩნეულია არასაკმაოდ. ახლა ლაპარაკია საომარი მოქმედების გზით მსოფლიოს, გავლენის სფეროების, კოლონიების ახალ გადანაწილებაზე.

იაპონიამ იწყო თავისი აგრესიული მოქმედების გამართლება იმით, რომ 9 სახელმწიფოს ხელშეკრულების დადების დროს მას წილი დააკლეს და საშუალება არ მისცეს გაეფართოებინა თავისი ტერიტორია ჩინეთის ხარჯზე. მაშინ როდესაც ინგლისი და საფრანგეთი უდიდეს კოლონიებს ფლობენ. იტალიამ გაიხსენა, რომ მას დააკლეს წილი პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ ნადავლის გაყოფის დროს და რომ მან ეს უნდა აინაზღაუროს ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფეროების ხარჯზე. გერმანია, რომელიც სერიოზულად დაზარალდა პირველი იმპერიალისტური ომისა და ვერსალის ზავის შედეგად, შეუერთდა იაპონიასა და იტალიას და მოითხოვა თავისი ტერიტორიის გაფართოება ევროპაში, იმ კოლონიების დაბრუნება, რომლებიც მას პირველ იმპერიალისტურ ომში გამარჯვებულებმა წაართვეს.

ასე დაიწყო სამი აგრესიული სახელმწიფოს ბლოკის შექმნა.

დღის წესრიგში დადგა ომის საშუალებით მსოფლიოს ახალი გადანაწილების საკითხი.

2. საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება, საშვიდობო ხელშეკრულებათა ომისშემდგომი სისტემის მარცხი, ახალი იმპერიალისტური ომის დასაწყისი

აი საანგარიშო პერიოდში მომხდარი იმ უმნიშვნელოვანესი ამბების ნუსხა, რომლებმაც დასაბამი მისცეს ახალ იმპერიალისტურ ომს. 1935 წელს იტალია თავს დაესხა აბისინიას და დაიპყრო იგი. 1936 წლის ზაფხულში გერმანიამ და იტალიამ მოაწყეს სამხედრო ინტერვენცია ესპანეთში, ამასთან გერმანია დამკვიდრდა ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილსა და ესპანეთის მაროკოში, ხოლო იტალია — ესპანეთის სამხრეთ ნაწილსა და ბალეარის კუნძულებზე. 1937 წელს იაპონია, მანჯურიის დაპყრობის შემდეგ, შეიპრა ჩრდილოეთ და ცენტრალურ ჩინეთში, დაიკავა პეკინი, ტიანძინი, შანხაი და იწყო თავისი უცხოელი კონკურენტების განდევნა ოკუპაციის ზონიდან. 1938 წლის დამდეგს გერმანიამ დაიპყრო ავსტრია, ხოლო 1938 წლის შემოდგომაზე — ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქი. 1938 წლის დამლევს იაპონიამ დაიპყრო კანტონი, ხოლო 1939 წლის დამდეგს — ხაინანის კუნძული.

ამრიგად, ომმა, რომელიც ასე შეუმჩნეველად მიეპარა ხალხებს, თავის ორბიტში ჩაითრია ხუთას მილიონზე მეტი მოსახლეობა და გაავრცელა თავისი მოქმედების სფერო უდიდეს ტერიტორიაზე — ტიანძინიდან, შანხაიდან და კანტონიდან აბისინიით გიბრალტარამდე.

პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ, გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა, უმთავრესად ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შექმნეს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ახალი რეჟიმი, მშვიდობის ომისშემდგომი რეჟიმი. ამ რეჟიმის მთავარი საფუძვლები იყო შორეულ აღმოსავლეთში — ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულება, ხოლო ევროპაში — ვერსალისა და მთელი რიგი სხვა ხელშეკრულებანი. ერთა ლიგა მოწოდებული იყო მოეწესრიგებინა ქვეყნებს შორის ურთიერთობა ამ რეჟიმის ჩარჩოებში სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტის საფუძველზე, სახელმწიფოთა უშიშროების კოლექტიური დაცვის საფუძველზე. მაგრამ სამმა აგრესიულმა სახელმწიფომ და მათ მიერ დაწყებულმა ახალმა იმპერიალისტურმა ომმა თავდაყირა დააყენეს ომისშემდგომი სამშვიდობო რეჟიმის მთელი ეს სისტემა. იაპონიამ დაარღვია ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულება, გერმანიამ და იტალიამ კი — ვერსალის ხელშეკრულება. უფრო თავისუფლად რომ ემოქმედნათ, სამივე ეს სახელმწიფო ერთა ლიგიდან გამოვიდა.

ახალი იმპერიალისტური ომი ფაქტი გახდა.

ჩვენს დროში არც ისე ადვილია ერთბაშად აიწყვიტო თავი და პირდაპირ გადაეშვე ომში ისე, რომ ანგარიში არ გაუწიო სხვადასხვაგვარ ხელშეკრულებებს, ანგარიში არ გაუწიო საზოგადოებრივ აზრს. ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსებმა ეს საკმაოდ კარგად იციან. იციან ეს ფაშისტმა მესვეურებმაც. ამიტომ ფაშისტმა მესვეურებმა, სანამ ისინი ომში გადაეშვებოდნენ, გადაწყვიტეს ერთგვარად დაემუშავებინათ საზოგადოებრივი აზრი, ე. ი. შეეყვანათ იგი შეცდომაში, მოეტყუებინათ იგი.

გერმანიისა და იტალიის სამხედრო ბლოკი ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ ევროპაში? რას ბრძანებთ, რა ბლოკია ეს! «ჩვენ» არავითარი სამხედრო ბლოკი არა გვაქვს. «ჩვენ» გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ უწყინარი «ღერძი ბერლინი — რომი», ე. ი. ერთგვარი გეომეტრიული ფორმულა ღერძის შესახებ. (სიცილი).

გერმანიის, იტალიისა და იაპონიის სამხედრო ბლოკი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში? არაფერი ამის მსგავსი! «ჩვენ» არავითარი სამხედრო ბლოკი არა გვაქვს. «ჩვენ» გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ უწყინარი «სამკუთხედი ბერლინი — რომი — ტოკიო», ე. ი. მცირეოდენი გატაცება გეომეტრიით. (საერთო სიცილი).

ომი ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების წინააღმდეგ? რა სათქმელია! «ჩვენ» ომს ვაწარმოებთ კომინტერნის წინააღმდეგ, და არა ამ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. თუ არა გჯერათ, წაიკითხეთ «ანტიკომინტერნული პაქტი», დადებული იტალიასა, გერმანიასა და იაპონიას შორის.

ასე ფიქრობდნენ საზოგადოებრივი აზრის დამუშავებას ბატონი აგრესორები, თუმცა ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ შენიღბვის მთელი ეს უშნო თამაში თეთრი ძაფით არის ნაკერი, ვინაიდან სასაცილოა კომინტერნის «კერების» ძებნა მონღოლეთის უდაბნოებში, აბისინიის მთებში, ესპანეთის მაროკოს ულრან ტყეებში. (სიცილი).

მაგრამ ომი ულმობელია. მას ვერავითარი საბურველით ვერ დამალავ. ვინაიდან არავითარი «ღერძებით», «სამკუთხედებით» და «ანტიკომინტერნული პაქტებით» არ შეიძლება იმ ფაქტის დამალვა, რომ იაპონიამ ამ ხნის განმავლობაში ხელთ ჩაიგდო ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორია, იტალიამ — აბისინია, გერმანიამ — ავსტრია და სუდეტის ოლქი, გერმანიამ და იტალიამ ერთად — ესპანეთი, — ყოველივე ეს არააგრესიულ სახელმწიფოთა ინტერესების წინააღ-

მდეგ. ომი ისევ დარჩა ომად, აგრესორთა სამხედრო ბლოკი — სამხედრო ბლოკად, ხოლო აგრესორები — აგრესორებად.

ახალი იმპერიალისტური ომის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა საყოველთაო, მსოფლიო ომი. ომს აწარმოებენ აგრესორი სახელმწიფოები, ყოველნაირად ლახავენ რა არააგრესიული სახელმწიფოების, უწინარეს ყოვლისა ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს, ხოლო ეს სახელმწიფოები უკუიწევენ და უკან იხევენ, ზედიზედ უთმობენ აგრესორებს.

ამრიგად, ჩვენს თვალწინ ხდება მსოფლიოს და გაელენის სფეროების აშკარა გადანაწილება არააგრესიულ სახელმწიფოთა ინტერესების ხარჯზე ამ უკანასკნელთა მხრივ წინააღმდეგობის გაწევის რაიმე ცდის გარეშე და ერთგვარი წაყრუების პირობებშიც კი.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია.

რით უნდა აიხსნას ახალი იმპერიალისტური ომის ასეთი ცალმხრივი და უცნაური ხასიათი?

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ არააგრესიულმა ქვეყნებმა, რომლებსაც უდიდესი შესაძლებლობანი მოეპოვებათ, ასე იოლად და წინააღმდეგობის გაუწევლად აიღეს ხელი თავიანთ პოზიციებზე და თავიანთ ვალდებულებებზე აგრესორების საამებლად?

ხომ არ აიხსნება ეს არაგრესიულ სახელმწიფოთა სისუსტით? რა თქმა უნდა, არა! არაგრესიული, დემოკრატიული სახელმწიფოები, ერთად აღებულნი, ეკონომიურადაც და სამხედრო მხრივაც უდავოდ უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე ფაშისტური სახელმწიფოები.

რითლა უნდა აიხსნას ამ შემთხვევაში ამ სახელმწიფოთა სისტემატური დათმობანი აგრესორების მიმართ?

ეს შეიძლებოდა აგვეხსნა, მაგალითად, შიშის გრძნობით რევოლუციის წინაშე, რომელმაც შეიძლება იფეთქოს, თუ არაგრესიული სახელმწიფოები ომში ჩაებმებიან, და ომი მსოფლიო ხასიათს მიიღებს. ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსებმა, რა თქმა უნდა, იციან, რომ პირველმა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა მოგვცა რევოლუციის გამარჯვება ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქვეყანაში. მათ ეშინიათ, რომ მეორე მსოფლიო იმპერიალისტურ ომსაც შეიძლება მოჰყვეს რევოლუციის გამარჯვება ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში.

მაგრამ ეს ახლა არ არის ერთადერთი და არ არის მთავარი მიზეზიც კი. მთავარი მიზეზი ისაა, რომ არაგრესიული ქვეყნების უმეტესობამ და, უწინარეს ყოვლისა, ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი აიღეს კოლექტიური უშიშროების პოლიტიკაზე, აგრესორებისადმი კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევის პოლიტიკაზე, რომ ისინი

გადავიდნენ ჩაურევლობის პოზიციაზე, «ნეიტრალიტეტის» პოზიციაზე.

ჩაურევლობის პოლიტიკა ფორმალურად შეიძლებოდა შემდეგნაირად დაგვეხასიათებინა: «დაე თვითეულმა ქვეყანამ დაიცვას თავი აგრესორებისაგან ისე, როგორც მას სურს და როგორც შეუძლია, ეს ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ განვაგრძობთ ვაჭრობას აგრესორებთანაც და მათს მსხვერპლებთანაცო». ნამდვილად კი ჩაურევლობის პოლიტიკა ნიშნავს აგრესიისადმი წაყრუებას, ომის გაღვივებას, — მაშასადამე, მის მსოფლიო ომად გადაქცევას. ჩაურევლობის პოლიტიკაში გამოსჭვივის მისწრაფება, სურვილი — ხელი არ შეუშალონ აგრესორებს აკეთონ თავიანთი შავბნელი საქმე, ხელი არ შეუშალონ, ვთქვათ, იაპონიას ჩაებას ომში ჩინეთთან, ხოლო კიდევ უკეთესი — საბჭოთა კავშირთან, ხელი არ შეუშალონ, ვთქვათ, გერმანიას ჩაეფლოს ევროპის საქმეებში, ჩაებას ომში საბჭოთა კავშირთან, აცალონ ომის ყველა მონაწილეთ ღრმად ჩაეფლონ ომის ჭაობში, ჩუმ-ჩუმად წააქეზონ ისინი ამაში, აცალონ მათ დაასუსტონ და დააუძლურონ ერთმანეთი, ხოლო შემდეგ, როდესაც ისინი საკმაოდ დასუსტდებიან, — გამოვიდნენ სცენაზე ახალი ძალებით, გამოვიდნენ, რა თქმა უნდა, «მშვიდობის ინტერესებისათვის», და თავიანთი პირობები უკარნახონ ომის დასუსტებულ მონაწილეებს.

იაფიცაა და კარგიც!

ავიღოთ, მაგალითად, იაპონია. დამახასიათებელია, რომ ჩრდილოეთ ჩინეთში იაპონიის შეჭრის დაწყების წინ საფრანგეთისა და ინგლისის ყველა გავლენიანი გაზეთი ხმამაღლა გაჰყვიროდა, რომ ჩინეთი სუსტია, რომ მას წინააღმდეგობის გაწევის უნარი არა აქვს, რომ იაპონიას თავისი არმიით ჩინეთის დაპყრობა ორ-სამ თვეში შეეძლებაო. შემდეგ ევროპა-ამერიკის პოლიტიკოსებმა იწყეს ლოდინი და თვალყურის დევნება. მერე კი, როდესაც იაპონიამ გააჩაღა საომარი მოქმედება, დაუთმეს მას შანხაი, უცხოეთის კაპიტალის გული ჩინეთში, დაუთმეს კანტონი, ინგლისის მონოპოლიური გავლენის კერა სამხრეთ ჩინეთში, დაუთმეს ხაინანი, საშუალება მისცეს გარსშემორტყმოდა ჰონკონგს. ხომ მართალია, ყოველივე ეს ძალიან წააგავს აგრესორის წაქეზებას: სულ უფრო და უფრო შესტოპეთ ომში, მერე კი ენახავთო.

ან, მაგალითად, ავიღოთ გერმანია. მას დაუთმეს ავსტრია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ვალდებულება — დაეცვათ მისი დამოუკიდებლობა, დაუთმეს სუდეტის ოლქი, ბედის ანაბარა მიაგდეს ჩეხოსლოვაკია, დაარღვიეს რა ყველა და ყოველგვარი ვალდე-

ბულებანი, შემდეგ კი მოსდგნენ და პრესაში ხმამაღლა გაიძახოდნენ ტყუილებს «რუსეთის არმიის სისუსტეზე», «რუსეთის ავიაციის დაშლაზე», «არეულობაზე» საბჭოთა კავშირში, რითაც უბიძგებდნენ გერმანელებს უფრო შორს აღმოსავლეთისაკენ, ჰპირდებოდნენ მათ იოლ ნადავლს და თან დასძენდნენ: თქვენ ოღონდ დაიწყეთ ომი ბოლშევიკებთან, შემდეგ კი ყველაფერი კარგად წავაო. უნდა ვაღიაროთ, რომ ესეც ძალიან წააგავს აგრესორის წაგულიანებას, წაქეზებას.

დამახასიათებელია ის ხმაური, რომელიც ატეხა ინგლის-საფრანგეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის პრესამ საბჭოთა უკრაინის შესახებ. ამ პრესის მოღვაწენი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ, რომ გერმანელები საბჭოთა უკრაინაზე მიდიან, რომ მათ ახლა ხელთ უპყრიათ ეგრეთწოდებული კარპატის უკრაინა, სადაც დაახლოებით 700 ათასი მცხოვრებია, რომ გერმანელები საბჭოთა უკრაინას, სადაც 30 მილიონზე მეტი მცხოვრებია, არა უგვიანეს ამა წლის გაზაფხულისა შეუერთებენ ეგრეთწოდებულ კარპატის უკრაინას. გამოდის, რომ ეს საეჭვო ხმაური მიზნად ისახავდა აღენთო საბჭოთა კავშირის გააფთრება გერმანიის წინააღმდეგ, მოეწამლა ატმოსფერო და პროვოკაციულად გამოეწვია კონფლიქტი გერმანიასთან საამისოდ აშკარა საფუძვლების უქონლად.

რა თქმა უნდა, საკვლევით შესაძლებელია, რომ გერმანიაში მოიპოვებიან გიჟები, რომელნიც ოცნებობენ იმაზე, რომ შეუერთონ სპილო, ე. ი. საბჭოთა უკრაინა, ბუზანკალას, ე. ი. ეგრეთწოდებულ კარპატის უკრაინას. და თუ იქ მართლაც მოიპოვებიან ასეთი გაღარეულნი, შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ იმაში, რომ ჩვენს ქვეყანაში საკირო რაოდენობით აღმოჩნდება დამამშვიდებელი პერანგი ასეთი გიჟებისათვის. (მეუბარე ტაში). მაგრამ თუ თავს დავანებებთ გიჟებს და მივმართავთ ნორმალურ ადამიანებს, გონება ცხადი არ არის, რომ სასაცილო და უაზროა სერიოზულად ლაპარაკი საბჭოთა უკრაინის შეერთებაზე ეგრეთწოდებული კარპატის უკრაინისადმი? აბა დაფიქრდით. მივიდა ბუზანკალა სპილოსთან და დოინჯშემოყრით ეუბნება მას: «ეჰ, ჩემო ძმაო, რარიგ მებრალები... ცხოვრობ უმემამულეებოდ, უკაპიტალისტებოდ. ეროვნული ჩაგვრის გარეშე, ფაშისტი მესვეურების გარეშე, — რაღა ცხოვრებაა ეს... გიცქერი და არ შემიძლია არ შევნიშნო, — შენთვის სხვა ხსნა არ არის, თუ არ ჩემთან შემოერთება... (საერთო სიცილი). მაშ ასე, ნებას გრთავ შეუერთო შენი პატარა ტერიტორია ჩემს თვალუწვდენელ ტერიტორიას...» (საერთო სიცილი და ტაში).

კიდევ უფრო დამახასიათებელია, რომ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი პოლიტიკოსნი და პრესის

მოღვაწენი, რომელთაც დაუკარგავთ მოთმინება «საბჭოთა უკრაინაზე ლაშქრობის» მოლოდინში, თვითონ იწყებენ ჩაურევლობის პოლიტიკის ნამდვილი სარჩულის მხილებას. ისინი პირდაპირ ამბობენ და შავით თეთრზე წერენ, რომ გერმანელებმა მათ სასტიკად «გაუცრუეს იმედი», რადგან, ნაცვლად იმისა, რომ დაძრულიყვნენ უფრო შორს აღმოსავლეთისაკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მათ, წარმოიდგინეთ, დასავლეთისაკენ იბრუნეს პირი და თავისთვის კოლონიებს მოითხოვენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გერმანელებს მისცეს ჩეხოსლოვაკიის რაიონები, როგორც საფასური ვალდებულებისა — აეტეხათ ომი საბჭოთა კავშირთან, ხოლო გერმანელები უარს ამბობენ ახლა თამასუქის განაღდებაზე და სადღაც უფრო შორს გზავნიან მათ.

მე სრულებითაც არ ვაპირებ ჩაურევლობის პოლიტიკის გამო მორალის ქადაგება დავიწყო, ვილაპარაკო ღალატზე, გამცემლობაზე და სხვ.. გულუბრყვილობაა მორალი უკითხო იმ ადამიანებს, რომლებიც ადამიანის მორალს არ ცნობენ. პოლიტიკა არის პოლიტიკა, როგორც ამბობენ ძველი, გაქნილი ბურჟუაზიული დიპლომატები. მაგრამ საჭიროა შევნიშნოთ, რომ დიდი და საბიფათო პოლიტიკური თამაში, რომელიც ჩაურევლობის პოლიტიკის მომხრეებმა დაიწყეს, შეიძლება მათთვის სერიოზული მარცხით დამთავრდეს.

ასეთია ამჟამად გაბატონებული ჩაურევლობის პოლიტიკის ნამდვილი სახე.

ასეთია პოლიტიკური ვითარება კაპიტალისტურ ქვეყნებში.

8. საბჭოთა კავშირი და კაპიტალისტური ქვეყნები

ომმა ახალი ვითარება შექმნა ქვეყნების ურთიერთობაში. მან ამ ურთიერთობაში შეიტანა შფოთვისა და რწმენის უქონლობის ატმოსფერო. ძირი გამოუთხარა რა ომისშემდგომი სამშვიდობო რეჟიმის საფუძვლებს და თავდაყირა დააყენა საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ცნებანი, ომმა კითხვის ქვეშ დააყენა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა ღირებულება. პაციფიზმი და განიარაღების პროექტები დასამარებული აღმოჩნდა. მათი ადგილი შეიარაღების ციებ-ცხელებამ დაიკავა. შეიარაღება იწყო ყველამ, მცირე და დიდმა სახელმწიფოებმა, მათ შორის და უწინარეს ყოვლისა იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც ჩაურევლობის პოლიტიკას ატარებენ. უკვე აღარავის სჯერა მოთაფლული სიტყვები იმის შესახებ, რომ მიუნხენში აგრესორების წინაშე დათმობებზე წასვლამ და მიუნხენის შეთანხმებამ, თითქოს, დასაბამი მის-

ცეს «მშვიდობისმყოფლობის» ახალ ხანას. არ სჯერათ ეს თვით მიუნხენის შეთანხმების მონაწილეებსაც, ინგლისსა და საფრანგეთს, რომლებმაც სხვებზე არა ნაკლებ იწყეს თავისი შეიარაღების გაძლიერება.

გასაგებია, რომ სსრ კავშირს არ შეეძლო გვერდი აეცლო ამ მრისხანე ამბებისათვის. უეჭველია, რომ აგრესორების მიერ სადმე მსოფლიოს შორეულ კუთხეში დაწყებული ყოველგვარი მცირე ომიც კი საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისათვის. მით უმეტეს სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ახალი იმპერიალისტური ომი, რომელმაც უკვე მოასწრო თავის ორბიტში ჩაეთრია აზიის, აფრიკის, ევროპის ხუთას მილიონზე მეტი მოსახლეობა. ამის გამო ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც განუხრელად ატარებს მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკას, ამასთან ერთად უაღრესად სერიოზული მუშაობა გააჩაღა ჩვენი წითელი არმიის, ჩვენი წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებისათვის.

ამასთან ერთად თავისი საერთაშორისო პოზიციების განსამტკიცებლად საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა ზოგიერთი სხვა ნაბიჯიც გადაედგა. 1934 წლის დამლევს ჩვენი ქვეყანა შევიდა ერთა ლიგაში იმ მოსაზრებით, რომ, მიუხედავად ამ ლიგის სისუსტისა, იგი შეიძლება მაინც გამოგვადგეს, როგორც აგრესორთა საძხილებელი ადგილი და მშვიდობის ერთგვარი, თუმცაღა სუსტი, ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია ომის გაჩაღების შეფერხება. საბჭოთა კავშირი თვლის, რომ ასეთ საგანგაშო დროს არ უნდა უგულებელვყოთ ისეთი სუსტი საერთაშორისო ორგანიზაციაც კი, როგორიც ერთა ლიგა არის. 1935 წლის მაისში საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება აგრესორთა შესაძლო თავდასხმის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების შესახებ. იმავე დროს ანალოგიური ხელშეკრულება დაიდო ჩეხოსლოვაკიასთან. 1936 წლის მარტში საბჭოთა კავშირმა დასდო ხელშეკრულება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთდახმარების შესახებ. 1937 წლის აგვისტოში დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთთავდაუსხმელობის შესახებ.

ამ მძიმე საერთაშორისო პირობებში ატარებდა საბჭოთა კავშირი თავის საგარეო პოლიტიკას, იცავდა რა მშვიდობის შენარჩუნების საქმეს.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ნათელი და გასაგებია:

1. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას და საქმ[illegible] კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყანასთან, ვდგავართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან

საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები.

2. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიან, ახლობელ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას ყველა მეზობელ ქვეყანასთან, რომელთაც სსრ კავშირთან საერთო საზღვარი აქვთ, ვდგავართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების მთლიანობისა და ხელშეუხებლობის ინტერესები.

3. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ დახმარება გაეწიოს ხალხებს, რომლებიც აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ და თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

4. ჩვენ არ გვეშინია აგრესორთა მუქარისა და მზადა ვართ ორმაგი დარტყმით ვუპასუხოთ დარტყმას ომის გამჩაღებლებისას, რომლებიც ცდილობენ დაარღვიონ საბჭოთა საზღვრების ხელშეუხებლობა.

ასეთია საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

თავის საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირი ეყრდნობა:

1. თავის მზარდ სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ ძლიერებას;

2. ჩვენი საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას;

3. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობას;

4. თავის წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო წითელ ფლოტს;

5. თავის სამშვიდობო პოლიტიკას;

6. მორალურ მხარდაჭერას ყველა ქვეყნის მშრომელთა მხრივ, რომლებიც უაღრესად არიან დაინტერესებულნი მშვიდობის შენარჩუნებით;

7. იმ ქვეყნების კეთილგონიერებას, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით არ არიან დაინტერესებულნი მშვიდობის დარღვევაში.

* * *

პარტიის ამოცანები საგარეო პოლიტიკის დარგში:

1. მომავალშიც გავატაროთ მშვიდობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი კავშირის განმტკიცების პოლიტიკა;

2. დავიცვათ [illegible]ერთხილე და საშუალება არ მივცეთ ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩვეული არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონფლიქტებში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა;

3. ყოველნაირად განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო წითელი ფლოტის საბრძოლო ძლიერება;

4. განვამტკიცოთ მეგობრობის საერთაშორისო კავშირი ყველა ქვეყნის მშრომელებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ხალხთა შორის მშვიდობითა და მეგობრობით.

II

საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობა

გადავიდეთ ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობაზე.

საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობის თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, კულტურის ზრდის, ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების განმტკიცების სურათს.

სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად საანგარიშო პერიოდში მიჩნეულ უნდა იქნას მრეწველობისა და მიწათმოქმედების რეკონსტრუქციის დამთავრება ახალი, თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე. ჩვენ უკვე აღარა გვაქვს, ან თითქმის აღარა გვაქვს ძველი ქარხნები მათი ჩამორჩენილი ტექნიკით და ძველი გლეხური მეურნეობანი მათი ადამისდროინდელი მოწყობილობით. ჩვენი მრეწველობისა და მიწათმოქმედების საფუძველს ამჟამად შეადგენს ახალი, თანამედროვე ტექნიკა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წარმოების ტექნიკის თვალსაზრისით, ახალი ტექნიკით მრეწველობისა და მიწათმოქმედების აღჭურვის თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყანა ყველაზე მოწინავეა შედარებით ყველა სხვა ქვეყანასთან, სადაც ძველი მოწყობილობა ბორკავს წარმოებას და აფერხებს ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეს.

ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დარგში ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად საანგარიშო პერიოდში მიჩნეულ უნდა იქნას ექსპლოატატორული კლასების ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის დარაზმვა ერთ საერთო შრომის ფრონტად, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, — ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სრული დემოკრატიზაცია, ახალი კონსტიტუციის შექმნა. ვერავინ გაბედავს საყვავო გახადოს, რომ ჩვენი კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა მსოფლიოში, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, ისევე

როგორც მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების შედეგები — ყველაზე მჭევრმეტყველია.

ყოველივე ამის შედეგად ჩვენ გვაქვს საშინაო მდგომარეობის სრული სიმყარე და ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების ისეთი სიმტკიცე, როგორიც მსოფლიოში ყოველ მთავრობას შეჰშურდებოდა.

განვიხილოთ კონკრეტული მონაცემები ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

1. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა

ა) მრეწველობა. საანგარიშო პერიოდში ჩვენი მრეწველობის მოძრაობა წარმოადგენს განუხრელი აღმავლობის სურათს. ეს აღმავლობა გამოხატავს არა მარტო პროდუქციის ზრდას საერთოდ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, — ერთი მხრივ — სოციალისტური მრეწველობის აყვავებას და მეორე მხრივ — კერძო მრეწველობის დაღუპვას.

აი სათანადო ცხრილი:

სსრ კავშირის მრეწველობის ზრდა 1934 — 1938 წლებში

	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	%%-ში წინა წელთან შედარებით 1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	1938 წ. %%-ში 1933 წელთან შედარებით
	მილიონ მანეთ. 1926/27 წ. ფასებში											
მთელი პროდუქცია	42030	50477	62157	80020	90166	100375	120,1	123,1	130,2	111,4	111,3	239,0
აქედან:												
1. სოციალისტური მრეწველობა . .	42002	50443	62114	80808	90136	100349	120,1	123,1	130,2	111,4	111,3	238,9
2. კერძო მრეწველობა	28	34	23	31	26	26	121,4	67,6	134,8	90,3	92,9	92,9
	პროცენტობით											
მთელი პროდუქცია	100	100	100	100	100	100						
აქედან:												
1. სოციალისტური მრეწველობა .	99,93	99,93	99,96	99,96	99,97	99,97						
2. კერძო მრეწველობა . .	0,07	0,07	0,04	0,04	0,03	0,03						

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენი მრეწველობა საანგარიშო პერიოდში ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა, ამასთან პროდუქციის მთელი ზრდა სოციალისტური პროდუქციის ხარჯზე მიმდინარეობდა.

შემდეგ, ამ ცხრილიდან ჩანს, რომ სოციალისტური სისტემა წარმოადგენს სსრ კავშირის მრეწველობის ერთადერთ სისტემას.

ვნოლოს, ამ ცხრილიდან ჩანს, რომ კერძო მრეწველობის საბოლოო დაღუპვა არის ფაქტი, რომლის უარყოფა ახლა ბრმებსაც კი არ შეუძლიათ.

კერძო მრეწველობის დაღუპვა არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს. იგი დაიღუპა, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მეურნეობის სოციალისტური სისტემა წარმოადგენს უმაღლეს სისტემას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. მეორეც, იგი დაიღუპა იმიტომ, რომ მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ შესაძლებლობა მოგვცა რამდენიმე წელიწადში ხელახლა შეგვეიარაღებინა მთელი ჩვენი სოციალისტური მრეწველობა ახალ, თანამედროვე ტექნიკურ ბაზაზე. მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა არ იძლევა და მას არც შეუძლია ასეთი შესაძლებლობის მოცემა. ეს ფაქტია, რომ წარმოების ტექნიკის თვალსაზრისით, ახალი ტექნიკით სამრეწველო წარმოების აღჭურვის მოცულობის თვალსაზრისით, ჩვენი მრეწველობა პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

თუ ავიღებთ ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპებს პროცენტებში ომამდელი დონის მიმართ და შევადარებთ მათ მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის ზრდის ტემპებს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

სსრ კავშირისა და მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის ზრდა 1913—1938 წლებში

	1913 წ.	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.
სსრ კავშირი	100,0	380,5	457,0	562,6	732,7	816,4	908.8
ამერიკის შეერთ. შტატები	100,0	108,7	112,9	128,6	149,8	150,9	120,0
ინგლისი	100,0	87,0	97,1	104,0	114,2	121,9	113,3
გერმანია	100,0	75,4	90,4	105,9	118,1	129,3	131,6
საფრანგეთი	100,0	107,0	99,0	94,0	98,0	101,0	93,2

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენი მრეწველობა ომამდელ დონესთან შედარებით ცხრაჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, მაშინ როდესაც მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა განაგრძობს ერთი ადგილის ტკეპნას ომამდელი დონის გარშემო, აჭარბებს რა მას მხოლოდ 20—30 პროცენტით.

ეს ნიშნავს, რომ ზრდის ტემპების მხრივ ჩვენი სოციალისტური მრეწველობა პირველ ადგილზე დგას მსოფლიოში.

ამრიგად, გამოდის, რომ წარმოების ტექნიკისა და ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპების მხრივ ჩვენ უკვე დავეწიეთ და გავუსწარით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მაშ რაში ჩამოვრჩებით? ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ეკონომიურად, ე. ი. მოსახლეობის თვითეულ სულზე ჩვენი სამრეწველო წარმოების ოდენობის მხრივ. 1938 წელს ჩვენ დავამზადეთ დაახლოებით 15 მილიონი ტონა თუჯი, ხოლო ინგლისმა — 7 მილიონი ტონა. თითქოს, ჩვენში უკეთ არის საქმე, ვიდრე ინგლისში. მაგრამ თუ თუჯის ამ ტონებს მოსახლეობის რაოდენობაზე გავანაწილებთ, გამოვა, რომ ინგლისში თითო სულ მოსახლეზე 1938 წელს მოდიოდა 145 კილოგრამი თუჯი, სსრ კავშირში კი — მხოლოდ 87 კილოგრამი. ან კიდევ: ინგლისმა 1938 წელს დაამზადა 10 მილიონი და 800 ათასი ტონა ფოლადი და გამოიმუშავა დაახლოებით 29 მილიარდი კილოვატსაათი (ელექტროენერგიის წარმოება), ხოლო სსრ კავშირმა დაამზადა 18 მილიონი ტონა ფოლადი და გამოიმუშავა 39 მილიარდზე მეტი კილოვატსაათი. თითქოს, ჩვენში უკეთ არის საქმე, ვიდრე ინგლისში. მაგრამ თუ ყველა ამ ტონას და კილოვატსაათებს მოსახლეობის რაოდენობაზე გავანაწილებთ, გამოდის, რომ ინგლისში მოსახლეობის თვითეულ სულზე 1938 წელს მოდიოდა 225 კილოგრამი ფოლადი და 620 კილოვატსაათი, მაშინ როდესაც სსრ კავშირში მოსახლეობის თვითეულ სულზე მოდიოდა სულ 107 კილოგრამი ფოლადი და 233 კილოვატსაათი.

მაშ რაშია საქმე? იმაში, რომ მოსახლეობა ჩვენში რამდენჯერმე უფრო მეტია, ვიდრე ინგლისში, მაშასადამე, მოთხოვნილებაც უფრო მეტია, ვიდრე ინგლისში: საბჭოთა კავშირში 170 მილიონი მცხოვრებია, ხოლო ინგლისში არა უმეტეს 46 მილიონისა. მრეწველობის ეკონომიური ძლიერება გამოიხატება არა სამრეწველო პროდუქციის მოცულობაში საერთოდ, ქვეყნის მოსახლეობისაგან დამოუკიდებლად, არამედ სამრეწველო პროდუქციის მოცულობაში, რომელიც აღებულ უნდა იქნას მოსახლეობის თვითეული სულის მიერ ამ პროდუქციის მოხმარების ოდენობასთან პირდაპირ კავშირში. რამდენადაც უფრო მეტი სამრეწველო პროდუქცია მოდის თითო სულ მოსახლეზე, მით უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, და პირიქით, რამდენადაც უფრო ნაკლები პროდუქცია მოდის თითო სულ მოსახლეზე, მით უფრო დაბალია ქვეყნისა და მისი მრეწველობის ეკონომიური ძლიერება. მაშასადამე, რაც უფრო მეტია მოსახლეობა ქვეყანაში, მით უფრო მეტია ქვეყანაში მოხმარების საგნების მოთხოვნილება, მაშასადამე, მით უფრო მეტი უნდა იქნეს ასეთი ქვეყნის სამრეწველო წარმოების მოცულობა.

ავიღოთ, მაგალითად, თუჯის წარმოება. ეკონომიურად რომ გავუსწროთ ინგლისს თუჯის წარმოების დარგში, რომლის პროდუქცია 1938 წელს იქ 7 მილიონ ტონას შეადგენდა, თუჯის ყოველწლიური გამოდნობა ჩვენ 25 მილიონ ტონამდე უნდა ავიყვანოთ. ეკონომიურად რომ გავუსწროთ გერმანიას, რომელმაც 1938 წელს დაამზადა სულ 18 მილიონი ტონა თუჯი, თუჯის ყოველწლიური გამოდნობა ჩვენ 40 — 45 მილიონ ტონამდე უნდა ავიყვანოთ. ხოლო იმისათვის, რომ ეკონომიურად გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, მხედველობაში ვიღებთ რა არა 1938 კრიზისიანი წლის დონეს, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სულ 18,8 მილიონი ტონა თუჯი დაამზადეს, არამედ 1929 წლის დონეს, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მრეწველობის აღმავლობა იყო და როცა იქ დაახლოებით 43 მილიონი ტონა თუჯი მზადდებოდა, თუჯის ყოველწლიური გამოდნობა ჩვენ 50 — 60 მილიონ ტონამდე უნდა ავიყვანოთ.

იგივე უნდა ითქვას ფოლადის, ნაგლინის წარმოებაზე, მანქანათმშენებლობაზე და სხვ., რადგან მრეწველობის ყველა ეს დარგი, ისევე როგორც დანარჩენი დარგები, საბოლოო ანგარიშში თუჯის წარმოებაზეა დამოკიდებული.

მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩვენ გავუსწარით წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების ტემპების მხრივ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა გავუსწროთ მათ აგრეთვე ეკონომიურადაც. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება, და კიდევაც უნდა გავაკეთოთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიურად გავუსწრებთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სულ სავსე იქნება მოხმარების საგნებით, ჩვენ გვექნება პროდუქტების სიუხვე, და შესაძლებლობა მოგვეცემა კომუნიზმის პირველი ფაზიდან გადავიდეთ მის მეორე ფაზაში.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს? ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, წინსვლის სერიოზული და დაუცხრომელი სურვილი და მზადყოფნა გავიღოთ მსხვერპლი, მოვახდინოთ სერიოზული კაპიტალური დაბანდებანი ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ყოველმხრივი გაფართოებისათვის. გვაქვს თუ არა ჩვენ ეს მონაცემები? უეჭველად გვაქვს! შემდეგ, ამისათვის საჭიროა წარმოების მაღალი ტექნიკისა და მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპების არსებობა. გვაქვს თუ არა ჩვენ ეს მონაცემები? უეჭველად გვაქვს! და, ბოლოს, ამისათვის საჭიროა დრო. დიახ, დრო, ამხანაგებო. საჭიროა ვაშენოთ ახალი ქარხნები. საჭიროა გამოვეჭედოთ ახალი

კადრები მრეწველობისათვის. მაგრამ ამისათვის საჭიროა დრო, და არც თუ მცირე დრო. შეუძლებელია 2 — 3 წელიწადში ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამისათვის საჭიროა რამდენადმე უფრო მეტი დრო. ავიღოთ, მაგალითად, იგივე თუჯი და მისი წარმოება. დროის რა პერიოდის განმავლობაში შეგვიძლია ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს თუჯის წარმოების დარგში? სახელმწიფო საგეგმო კომისიის ძველი შემადგენლობის ზოგიერთი მუშაკი წინადადებას იძლეოდა მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენისას თუჯის წარმოება მეორე ხუთწლედის დასასრულისათვის დაგვეგეგმა 60 მილიონი ტონის რაოდენობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი შესაძლოდ თვლიდნენ თუჯის გამოდნობის საშუალო წლიურ მატებას 10 მილიონი ტონის რაოდენობით. ეს, რასაკვირველია, ფანტასტიკა იყო, თუ უარესი არა. თუმცა, ეს ამხანაგები ფანტასტიკაში ვარდებოდნენ არა მარტო თუჯის წარმოების დარგში. ისინი თვლიდნენ, მაგალითად, რომ მეორე ხუთწლედის განმავლობაში მოსახლეობას სსრ კავშირში ყოველწლიურად უნდა მომატებოდა სამი-ოთხი მილიონი კაცი, ან კიდევ უფრო მეტიც. ესეც ფანტასტიკა იყო, თუ უარესი არა. მაგრამ თუ უკუვაგდებთ ფანტაზიორებს და დავდგებით რეალურ ნიადაგზე, მაშინ შეგვიძლია მივიღოთ, როგორც სავსებით შესაძლებელი, თუჯის გამოდნობის საშუალო წლიური მატება ორი-ორნახევარი მილიონი ტონის რაოდენობით, გვაქვს რა მხედველობაში თუჯის გამოდნობის ტექნიკის ახლანდელი მდგომარეობა. მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის, მრეწველობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ყოველწლიური მატების ეს ნორმა დაძაბულია, მაგრამ სავსებით მისაღწევია.

მაშასადამე, საჭიროა დრო, და არც თუ მცირე დრო, იმისათვის, რომ ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. და რამდენადაც უფრო მაღალი იქნება ჩვენში შრომის ნაყოფიერება, რამდენადაც უფრო გაუმჯობესდება ჩვენში წარმოების ტექნიკა, მით უფრო მალე შეგვეძლება ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ამოცანის შესრულება, მით უფრო მეტად შეგვეძლება ამ ამოცანის შესრულების ვადების შემცირება.

ბ) **სოფლის მეურნეობა.** სოფლის მეურნეობის განვითარება საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც მრეწველობის განვითარება, აღმავლობის ხაზით მიდიოდა. ეს აღმავლობა გამოიხატება არა მარტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდაში, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ზრდასა და განმტკიცებაში — ერთი მხრივ, ერთპიროვნული მეურნეობის დაღუპვაში — მეორე მხრივ, მაშინ როდესაც კოლმეურნეობათა მარცვლე-

ულის ნათესი ფართობი 1933 წელს არსებული 75 მილიონი ჰექტარიდან 1938 წელს 92 მილიონ ჰექტარამდე გადიდდა, ერთპიროვნულ მეურნეთა მარცვლეულის ნათესი ფართობი ამ პერიოდის განმავლობაში 15,7 მილიონი ჰექტარიდან შემცირდა 600 ათას ჰექტარამდე, ე. ი. მარცვლეულის მთელი ნათესი ფართობის 0,6 პროცენტამდე. აღარაფერს ვამბობ ტექნიკური კულტურების ნათეს ფართობთა შესახებ, სადაც ერთპიროვნული მეურნეობის როლი დაყვანილია ნოლამდე. ცნობილია, გარდა ამისა, რომ კოლმეურნეობებში ამჟამად გაერთიანებულია 18 მილიონი 800 ათასი გლეხური კომლი, ე. ი. ყველა გლეხური კომლის 93,5 პროცენტი, თუ არ ჩავთვლით თევზისმჭერ და სარეწაო კოლმეურნეობებს.

ეს ნიშნავს, რომ კოლმეურნეობანი საბოლოოდ განმტკიცდნენ და გამაგრდნენ, ხოლო მეურნეობის სოციალისტური სისტემა ახლა ჩვენი მიწათმოქმედების ერთადერთ ფორმას წარმოადგენს.

თუ ყველა კულტურის ნათეს ფართობთა მოძრაობას საანგარიშო პერიოდში შევადარებთ რევოლუციამდელი პერიოდის ნათეს ფართობთა ოდენობას, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ყველა კულტურის ნათესი ფართობები სსრ კავშირში

	მილიონ ჰექტარობით						1938 წ. %-ში 1913 წლთან შედარებით
	1913 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	
მთელი ნათესი ფართობი .	105,0	131,5	132,8	133,8	135,3	136,9	130,4
აქედან:							
ა) მარცვლეული კულტურები . . .	94,4	104,7	101,4	102,4	104,4	102,4	108,5
ბ) ტექნიკური კულტურები	4,5	10,7	10,6	10,8	11,2	11,0	244,4
გ) საოსტნე-საბაღჩე კულტურები . . .	3.8	8,8	9,9	9.8	9,0	9,4	247.4
დ) საკვები კულტურები .	2,1	7,1	8,6	10,6	10,6	14,1	671,4

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ნათესი ფართობები ჩვენში გადიდდა ყველა კულტურის მიხედვით და უწინარეს ყოვლისა — საკვებ, ტექნიკურ და საბოსტნე-საბაღჩე კულტურათა ხაზით.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მიწათმოქმედება უფრო კვალიფიციური და პროდუქტიული ხდება, ხოლო სწორი თესლბრუნვის დანერგვას რეალური ნიადაგი ექმნება.

თუ როგორ იზრდებოდა ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეიარაღება ტრაქტორებით, კომბაინებითა და სხვა

მანქანებით საანგარიშო პერიოდში, — ამის პასუხს შემდეგი ცხრილები იძლევა:

1) ტრაქტორების პარკი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში

	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	1938 წ. %-ში 1933 წლთან შედარებით
	ა) ტრაქტორების რაოდენობა (ათას ცალობით)						
სულ ტრაქტორები . . .	210,9	276,4	360,3	422,7	454,5	483 5	229,3
მათ შორის:							
ა) ტრაქტორები მტს-ებში	123,2	177,3	254,7	328,5	365,8	394,0	319,8
ბ) ტრაქტორები საბჭოთა მეურეობებსა და დამხმარე სას-სამ. საწარმოებში	83,2	95,5	102,1	88,5	84,5	85,0	102,2
	ბ) სიმძლავრე ათასობით ცხენძალაში						
ყველა ტრაქტორებისა	3 209,2	4 462,8	6 184,0	7 672,4	8 385,0	9 256,2	288,4
მათ შორის:							
ა) ტრაქტორებისა მტს-ებში	1 758,1	2 753,9	4 281,6	5 856,0	6 679,2	7 437,0	423,0
ბ) ტრაქტორებისა საბჭოთა მეურეობებსა და დამხმარე სას. სამ. საწარმოებში	1 401,7	1 669,5	1 861,4	1 730,7	1 647,5	1 751,8	125,0

2) კომბაინებისა და სხვა მანქანების პარკი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობაში (ათას ცალობით; წლის დამლევისათვის)

	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	1938 წ. %-ში 1933 წლთან შედარებით
კომბაინები . .	25,4	32 3	50,3	87 8	128,8	153,5	604,3
შინაგანი წვის ძრავები და ლოკომობილები .	48,0	60,9	69,1	72,4	77,9	83,3	174,6
მარცვლეულის ოთუნი და ნახევარადთუნი სალეწი მანქანები . . .	120.3	121,9	120,1	123,7	126.1	130.8	108,7
სატვირთო ავტომობილები	26,6	40,3	63,7	96 2	144,5	195,8	736,1
მსუბუქი ავტომობილები (ცალობით) . .	3 951	5 533	7 555	7 630	8 156	9 594	240,4

თუ ამ ციფრებს დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რაოდენობა საანგარიშო პერიოდში 1934 წელს არსებული 2 900 ერთეულიდან 1938 წელს 6 350 ერთეულამდე გაიზარდა, მაშინ ყველა ამ მონაცემის საფუძველზე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მიწათმოქმედების რეკონსტრუქცია ახალი, თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე — ძირითადად უკვე დამთავრებულია.

მაშასადამე, ჩვენი მიწათმოქმედება არის არა მარტო ყველაზე მსხვილი და მექანიზებული, და ამრიგად ყველაზე უფრო სასაქონლო მიწათმოქმედება, არამედ თანამედროვე ტექნიკით ყველაზე უფრო აღჭურვილიც, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნის მიწათმოქმედება.

თუ ავიღებთ მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა პროდუქციის ზრდის მოძრაობას საანგარიშო პერიოდში რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით, მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა:

მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა საერთო პროდუქცია სსრ კავშირში

	მილიონ ცენტნერობით						1938 წ.-ში 1913 წლთან შედარებით
	1913 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	
მარცვლეული . . .	801,0	894,0	901,0	827.3	1202,9	949,9	118,6
ბაბა (ნედლი) .	7,4	11,8	17,2	23,9	25,8	26,9	363,5
სელი (ბოჭკო) .	3,3	5,3	5,5	5,8	5,7	5,46	165,5
შაქრის ჭარხალი .	109,0	113,6	162,1	168,3	218,6	166,8	153,0
ზეთოვანი	21,5	36,9	42,7	42,3	51,1	46,6	216,7

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ, მიუხედავად 1936 წლის და 1938 წლის გვალვისა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში და მიუხედავად უმაგალითოდ მაღალი მოსავლისა 1913 წელს, მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების საერთო პროდუქცია ჩვენში საანგარიშო პერიოდში განუხრელად იზრდებოდა 1913 წლის დონესთან შედარებით.

განსაკუთრებით საინტერესოა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მარცვლეული წარმოების საქონლიანობის საკითხი.

ცნობილმა სტატისტიკოსმა ამხ. ნემჩინოვმა გამოიანგარიშა, რომ ომამდელი დროის ხუთი მილიარდი ფუთი მარცვლეულის საერთო პროდუქციიდან ბაზარზე გამოჰქონდათ სულ დაახლოებით 1 მილიარდ 300 მილიონი ფუთი სასაქონლო მარცვლეული, რაც შეადგენს მაშინდელი მარცვლეული წარმოების საქონლიანობის 26 პროცენტს. ამხ. ნემჩინოვი თვლის, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების, როგორც მსხვილი წარმოების, საქონლიანობა, მაგალითად, 1926 — 1927 წლებში შეადგენდა საერთო პროდუქციის დაახლოებით 47 პროცენტს, ხოლო ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის საქონლიანობა — დაახლოებით 12 პროცენტს. თუ საქმეს უფრო ფრთხილად მივუდგებით და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 1938 წლის წარმოების საქონლიანობას საერთო წარმოების 40 პროცენტად ვივარაუდებთ, მაშინ გამოვა, რომ ჩვენს სოციალისტურ მარცვლეულ მეურნეობას შეეძლო გამოეტანა და ამა წელს მან მართლაც გამოიტანა დაახლოებით ორი მილიარდი და სამასი მილიონი ფუთი სასაქონლო მარცვლეული, ე. ი. 1 მილიარდი ფუთით მეტი სასაქონლო მარცვლეული, ვიდრე ომამდელმა მარცვლეულმა წარმოებამ.

მაშასადამე, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წარმოების მაღალი საქონლიანობა წარმოადგენს ამ წარმოების უმნიშვნელოვანეს თავისებურებას, რომელსაც უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომარაგებისათვის.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სწორედ ამ თავისებურებაში მდგომარეობს იმის საიდუმლოება, რომ ჩვენმა ქვეყანამ ასე ადვილად და სწრაფად შესძლო გადაეწყვიტა მარცვლეულის პრობლემა, სასაქონლო მარცვლეულით უზარმაზარი ქვეყნის საკმაოდ მომარაგების პრობლემა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მარცვლეულის ყოველწლიური დამზადება ჩვენში ერთ მილიარდ ექვსას მილიონ ფუთზე დაბლა არ ჩამოდიოდა, ზოგჯერ კი, მაგალითად, 1937 წელს ერთ მილიარდ 800 მილიონ ფუთამდე ადიოდა. თუ ამას დავუმატებთ ყოველწლიურად დაახლოებით 200 მილიონი ფუთი მარცვლეულის შესყიდვას და კიდევ მარცვლეულის საკოლმეურნეო ვაჭრობის ხაზით მიღებულ რამდენიმე ასეულ მილიონ ფუთს, მაშინ ჩვენ საერთოდ მივიღებთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ გამოტანილი სასაქონლო პურის იმ ჯამს, რომელიც ზევით იყო მოხსენებული.

შემდეგ, საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სასაქონლო მარცვლეულის ბაზამ უკრაინიდან, რომე-

ლიც წინათ ჩვენი ქვეყნის ბეღლად ითვლებოდა, გადაინაცვლა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. რუსეთის სფს რესპუბლიკისაკენ. ცნობილია, რომ ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში უკრაინა ყოველწლიურად დაახლოებით სულ 400 მილიონ ფუთ მარცლეულს ამზადებს, მაშინ როდესაც რუსეთის სფს რესპუბლიკა ამ წლების განმავლობაში ყოველწლიურად მილიარდ ას — მილიარდ ორას მილიონ ფუთ სასაქონლო მარცლეულს ამზადებს.

ასეთია მდგომარეობა მარცლეულის წარმოების მხრივ.

რაც შეეხება მეცხოველეობას, უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის ამ, ყველაზე ჩამორჩენილ დარგშიც დაისახა სერიოზული ძვრები. მართალია, ცხენის სულადობისა და მეცხვარეობის მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით რევოლუციამდელ დონეს, მაგრამ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და მეღორეობის მხრივ ჩვენ უკვე გადავაბიჯეთ რევოლუციამდელ დონეს.

აი ცნობები ამის შესახებ:

პირუტყვის სულადობა სსრ კავშირში (მილიონ სულობით)

	1916 წ. ალ-ცარის ბიზნეს-ბების მიხედ-ვით	ი ე ლ ი ს ი ს ა თ ვ ი ს						1938 წ. %%-ში	
		1933	1934	1935	1936	1937	1938	1916 წლ-თან შედა-რებით ალწ.ლის მიხედვით	1933 წლ-თან შედ-რებით
ცხენი	35,8	16,6	15,7	15 9	16,6	.6,7	17,5	48,9	105,4
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	60,6	38,4	42,4	49,2	56,7	57,0	63.2	104,3	164 6
ცხვარი და თხა	121,2	50,2	51,9	61,1	73,7	81.3	102,5	84,6	204,2
ღორი	20,9	12,1	17,4	22,5	30,5	22,8	30,6	146,4	252,9

ეჭვს გარეშეა, რომ მეცხენეობისა და მეცხვარეობის დარგში ჩამორჩენა ლიკვიდირებული იქნება უახლოეს დროში.

ბ) **საქონელბრუნვა, ტრანსპორტი.** მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში იზრდებოდა საქონელბრუნვაც. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ქსელი საანგარიშო პერიოდში 25 პროცენტით გაიზარდა. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ბრუნვა 178 პროცენტით გაიზარდა. საკოლმეურნეო-საბაზრო ვაჭრობის ბრუნვა გაიზარდა 112 პროცენტით.

აი სათანადო ცხრილი:

საქონელბრუნვა

	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.	1938 წ. %%-ში 1933 წელთან შედარებით
1. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ქსელი (მაღაზიები და ფარდულები) — წლის დამლევისათვის							
2. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ბრუნვა (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) — მილიონ მანეთობით . . .	285 355	286 236	268 713	289 473	327 361	356 930	125,1
3. საკოლმეურნეო საბაზრო ვაჭრობის ბრუნვა მილიონ მანეთობით	49 789,2	61 814,7	81 712,1	108 760,9	125 943,2	138 674,8	278,2
4. კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის, მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატის, მძიმე მრეწვ. სახ. კომისარიატის, სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატის მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი მრეწვ. სახ. კომისარიატების საოლქო საკავშირო გამსაღებელი ბაზები — წლის დამლევისათვის .	11 500,0	14 000,0	14 500,0	15607,2	17 799,7	24399,2	212,2
	718	836	1 141	1 798	1 912	1 994	277,7

გასაგებია, რომ საქონელბრუნვა ჩვენს ქვეყანაში ასე ვერ გაიშლებოდა სატრანსპორტო ტვირთზიდვის ერთგვარი ზრდის გარეშე. და მართლაც, ტვირთზიდვა საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ყველა სახის ტრანსპორტის, განსაკუთრებით რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტის დარგში. ტვირთზიდვა გაიზარდა აგრეთვე წყლის ტრანსპორტზე, მაგრამ დიდი რყევით, ხოლო 1938 წელს ტვირთ-

ზიდვა წყლის ტრანსპორტზე, სამწუხაროდ, რამდენადმე შემცირდა წინა წელთან შედარებით.

აი სათანადო ცხრილი:

ტვირთბრუნვა

	1933	1934	1935	1936	1937	1938	1938 წ. %-ში 1933 წელთან შედარებით
რკინიგზები (მილიარდ ტონა-კილომეტრებში)	169,5	205,7	258,1	323,4	354,8	369,1	217,7
მდინარისა და სახღვაო ტრანსპორტი (მილიარდ ტონა-კილომეტრებში)	50,2	55,5	68,3	72,3	70,1	66,0	131,5
სამოქალაქო საჰაერო ფლოტი (მილიონ ტონა-კილომეტრებში)	3,1	6,4	9,8	21,9	24,9	31,7	1022,6

საგსებით უეჭველია, რომ 1938 წელს წყლის ტრანსპორტის ერთგვარი ჩამორჩენილობა ლიკვიდირებული იქნება 1939 წელს.

2. ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი აღმავლობა

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუწყვეტელ აღმაველობას არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა და მართლაც მოჰყვა ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის ახალი ზრდა.

ექსპლოატაციის მოსპობამ და სახალხო მეურნეობაში სოციალისტური სისტემის განმტკიცებამ, ქალაქად და სოფლად უმუშევრობისა და მასთან დაკავშირებული სიღატაკის არარსებობამ, მრეწველობის უდიდესმა გაფართოებამ და მუშათა რაოდენობის განუწყვეტელმა ზრდამ, მუშათა და კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების ზრდამ, კოლმეურნეობებზე მიწის სამუდამოდ მიმაგრებამ და პირველხარისხოვანი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების უდიდესი რაოდენობით კოლმეურნეობათა მომარაგებამ, — ყოველივე ამან შექმნა რეალური პირობები მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი ზრდისათვის. მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას კი ბუნებრივად მოჰყვა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ინტელიგენციისა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო ძალას და მომსახურებას უწევს მუშათა და გლეხთა ინტერესებს.

ახლა უკვე საქმე ეხება არა იმას, რომ რამენაირად მოაწყო მრეწველობაში და სამუშაოზე სამადლოდ აიყვანო უმუშევარი და

უსახლკარო გლეხები, რომლებიც სოფელს მოწყვეტილან და შიმშილის შიშის ქვეშ ცხოვრობენ. ასეთი გლეხები ჩვენს ქვეყანაში უკვე დიდი ხანია აღარ არიან. და ეს, რა თქმა უნდა, კარგია, ვინაიდან ეს მოწმობს ჩვენი სოფლის შეძლებულობას. ახლა საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმას, რომ მივმართოთ კოლმეურნეობებს — პატივი დასდონ ჩვენს თხოვნას და მოგვცენ მზარდი მრეწველობისათვის ყოველწლიურად თუნდაც დაახლოებით მილიონ-ნახევარი ახალგაზრდა კოლმეურნე. კოლმეურნეობებმა, რომლებიც უკვე შეძლებული გახდნენ, მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ მათი მხრით ასეთი დახმარების აღმოუჩენლად ძალიან ძნელი იქნება ჩვენი მრეწველობის შემდგომი გაფართოება, ხოლო მრეწველობის გაუფართოებლად — ვერ შეეძლებთ მასობრივი მოხმარების საქონელზე გლეხთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. კოლმეურნეობებს სრული შესაძლებლობა აქვთ დააკმაყოფილონ ეს ჩვენი თხოვნა, რადგან კოლმეურნეობებში ტექნიკის სიუხვე ათავისუფლებს მუშაკთა ნაწილს სოფლად, ხოლო ამ მუშაკებს, თუ მათ მრეწველობაში გადმოვიყვანდით, შეეძლოთ უდიდესი სარგებლობის მოტანა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის.

შედეგად ჩვენ გვაქვს შემდეგი მაჩვენებლები მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა საანგარიშო პერიოდში:

1. სახალხო შემოსავალი 1933 წლის 48,5 მილიარდი მანეთიდან გაიზარდა 105,0 მილიარდ მანეთამდე 1938 წელს;

2. მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა 1933 წლის 22 მილიონზე მეტი კაციდან ავიდა 28 მილიონ კაცამდე 1938 წელს;

3. მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის წლიური ფონდი 34 953 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 96 425 მილიონ მანეთამდე;

4. მრეწველობის მუშათა საშუალო წლიური ხელფასი, რომელიც 1933 წელს 1 513 მანეთს შეადგენდა, ავიდა 3 447 მანეთამდე 1938 წელს;

5. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1933 წლის 5 661,9 მილიონი მანეთიდან ავიდა 14 180, 1 მილიონ მანეთამდე 1937 წელს;

6. მარცვლეულის რაიონებში მარცვლეულის საშუალო გაცემა თითო საკოლმეურნეო კომლზე 1933 წლის 61 ფუთიდან ავიდა 144 ფუთამდე 1937 წელს, რომ არ ჩავთვალოთ თესლი, სათესლე სადაზღვეო ფონდები, საზოგადოებრივი პირუტყვის საკვები ფონდი, მარცვლეულის ჩაბარება, მტს-ების სამუშაოთა ნატურა-ანაზღაურება;

7. ბიუჯეტით სახელმწიფო ასიგნობანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1933 წლის 5 839,9 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 35 202,5 მილიონ მანეთამდე 1938 წელს.

რაც შეეხება ხალხის კულტურულ მდგომარეობას, მისი აღმავლობა კვალდაკვალ მისდევდა ხალხის მატერიალური მდგომარეობის აღმავლობას.

ხალხის კულტურული განვითარების თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი ჭეშმარიტად იყო კულტურული რევოლუციის პერიოდი. სსრ კავშირის ეროვნებათა ენებზე საყოველთაო-სავალდებულო პირველადაწყებითი განათლების დანერგვა ცხოვრებაში, ყველა საფეხურის სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვის ზრდა, უმაღლესი სკოლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტთა რიცხვის ზრდა, ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის შექმნა და განმტკიცება, — ასეთია ხალხის კულტურული აღმავლობის საერთო სურათი.

აი ცნობები ამის შესახებ:

1) ხალხის კულტურული დონის ამაღლება

მაჩვენებლები	საზომი ერთეული	1933/34 წ.	1938/39 წ.	1933/39 წ. %%-ში 1933/34 წლებთან შედარებით
მოსწავლეთა რიცხვი ყველა საფეხურის სკოლებში	ათასი კაცი	23 814	33 965,4	142,6
აქედან:				
დაწყებითი განათლების სკოლებში		17 873,5	21 288,4	119,1
საშუალო განათლების სკოლებში (ზოგადსა და სპეციალურში)		5 482,2	12 076.0	220,3
უმაღლესი განათლების სკოლებში		458,3	601,0	131,1
მოსწავლეთა რაოდენობა სსრ კავშირში (ყველა სახის სწავლების ჩათვლით)		—	47 442,1	—
მასობრივ ბიბლიოთეკათა რიცხვი	ათასი	40 3	70.0	173 7
წიგნების რიცხვი მათში...	მილიონი	86,0	126,6	147,2
საკლუბო დაწესებულებათა რიცხვი	ათასი	61,1	95.6	156.5
თეატრების რიცხვი	ერთეული	587	790	134,6
კინოდანადგართა რიცხვი (ვიწროფუსკიანების გარდა)		27 467	30 461	110,9
მათ შორის ხმოვან კინოდანადგართა რიცხვი (ვიწრო ფუსკიანების გარდა)		498	15 202	31-ჯერ
სოფლად		17 470	18 991	108.7
მათ შორის ხმოვანი	„	24	6 670	278 ჯერ
გაზეთების წლიური ტირაჟი	მილიონი	4984,6	7 092,4	142,3

2) 1933 — 1938 წლების მანძილზე სსრ კავშირში აგებულია სკოლები

წლები	სკოლების რიცხვი: ქალაქებსა და ქალაქის სასამლეველოებში		
		სოფლად	სულ
1933	326	3 261	3 587
1934	577	3 488	4 065
1935	533	2 829	3 362
1936	1 505	4 206	5 711
1937	730	1 323	2 053
1938	583	1 246	1 829
სულ 1933-38 წ.წ.	4 254	16 353	20 607

3) 1933 — 1938 წლებში უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოშვებულია ახალგაზრდა სპეციალისტები (ათასობით)

	1933	1934	1935	1936	1937	1938
სულ სსრ კავშირში (სამხედრო სპეციალისტების ჩაუთვლელად)	34,6	49,2	83,7	97,6	104,8	106,7
1. მრეწველობისა და მშენებლობის ინჟინრები	6,1	14,9	29,6	29,2	27,6	25,2
2. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ინჟინრები	1,8	4,0	7,6	6,6	7,0	6,1
3. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინჟინრები, აგრონომები, ვეტერინარი ექიმები და ზოოტექნიკოსები	4,8	6,3	8,8	10,4	11.3	10,6
4 ეკონომისტები და იურისტები	2,5	2,5	5,0	6,4	5,0	5,7
5. საშუალო სკოლის, მუშუაკების, ტექნიკუმების მასწავლებლები და განათლების სხვა მუშაკნი, მათ შორის ხელოვნების მუშაკები	10,5	[illegible],9	12,5	21,6	31,7	35,7
6. ექიმები, პროვიზორები და ფიზიკური კულტურის მუშაკები	4,6	2,5	7,5	9,2	12,3	13,6
7. დანარჩენი სპეციალობანი	4,3	11,1	12,7	14,2	9,9	9,8

მთელი ამ უდიდესი კულტურული მუშაობის შედეგად ჩვენში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, მუშათა კლასისა, გლეხობისა და საბჭოთა მოსამსახურეების რიგებიდან გამოსული, ჩვენი ხალხის ხორცი-ხორცთა-

განი და სისხლი-სისხლთაგანი, — ინტელიგენცია, რომელმაც არ იცის ექსპლოატაციის უღელი, რომელსაც სძულს ექსპლოატატორები და მზად არის ერთგულად და გულმართლად ემსახუროს სსრ კავშირის ხალხებს.

მე ვფიქრობ, რომ ამ ახალი, ხალხური, სოციალისტური ინტელიგენციის წარმოშობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია კულტურული რევოლუციისა ჩვენს ქვეყანაში.

3. საბჭოთა წყობილების შემდგომი განმტკიცება

საანგარიშო პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგის არის, რომ მან გამოიწვია ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობის შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა წყობილების შემდგომი განმტკიცება.

სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. სოციალისტური სისტემის დამკვიდრებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის აღმავლობას, ხალხთა მასების კულტურულობის ამაღლებას, მათი პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, — ყოველივე ამას, რაც საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით განხორციელდა, არ შეეძლო არ გამოეწვია საბჭოთა წყობილების შემდგომი განმტკიცება.

ახლანდელი დროის საბჭოთა საზოგადოების თავისებურება, ყოველგვარი კაპიტალისტური საზოგადოებისაგან განსხვავებით, ის არის, რომ ამ საზოგადოებაში აღარ არიან ანტაგონისტური, მტრული კლასები, ექსპლოატატორული კლასები ლიკვიდირებულია, ხოლო მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებას შეადგენენ, მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე ცხოვრობენ და მუშაობენ. მაშინ როდესაც კაპიტალისტურ საზოგადოებას მუშებსა და კაპიტალისტებს შორის, გლეხებსა და მემამულეებს შორის არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობანი ჯიჯგნიან, რაც მისი საშინაო მდგომარეობის მერყეობას იწვევს, ექსპლოატაციის უღლისაგან განთავისუფლებულმა საბჭოთა საზოგადოებამ ასეთი წინააღმდეგობანი არ იცის, იგი თავისუფალია კლასობრივ შეტაკებათაგან და მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობის სურათს წარმოადგენს. სწორედ ამ ერთობის საფუძველზე გაიშალა ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი. ამაკე საფუძველზე წარმოიშვა 1936 წლის ნოემბერში მიღებული სსრ

კავშირის კონსტიტუცია და ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორგანოების არჩევნების სრული დემოკრატიზაცია.

რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორგანოების თვით არჩევნებს, ეს არჩევნები საბჭოთა საზოგადოების სწორედ იმ ერთიანობისა და სსრ კავშირის ხალხთა სწორედ იმ მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საშინაო მდგომარეობის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენენ. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში 1937 წლის დეკემბერში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკს ხმა მისცა თითქმის 90 მილიონმა ამომრჩეველმა, ე. ი. ხმის მიცემაში მონაწილეთა მთელი რაოდენობის 98,6 პროცენტმა, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებში 1938 წლის ივნისში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკს ხმა მისცა 92 მილიონმა ამომრჩეველმა, ე. ი. ხმის მიცემაში მონაწილეთა მთელი რაოდენობის 99,4 პროცენტმა.

აი სად არის საბჭოთა წყობილების სიმტკიცის საფუძველი და საბჭოთა ხელისუფლების დაუშრეტელი ძალის წყარო.

ეს, სხვათა შორის, იმას ნიშნავს, რომ ომის შემთხვევაში ჩვენი არმიის ზურგი და ფრონტი, მათი ერთგვარობისა და შინაგანი ერთიანობის გამო, — უფრო მტკიცე იქნება, ვიდრე ყოველ სხვა ქვეყანაში, რაც საჭიროა ახსოვდეთ სამხედრო შეტაკებათა საზღვარგარეთელ მოყვარულთ.

საზღვარგარეთის პრესის ზოგიერთი მოღვაწე ლაყბობს, რომ საბჭოთა ორგანიზაციების გაწმენდამ ჯაშუშებისა, მკვლელებისა და მავნებლებისაგან, როგორიც ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, იაკირი, ტუხაჩევსკი, როზენგოლცი, ბუხარინი და სხვა მუხანათები იყვნენ, თითქოს «შეარყია» საბჭოთა წყობილება, «გახრწნა» შეიტანა მასში. ეს უხამსი ლაყბობა იმად ღირს, რომ სასაცილოდ აგიგდოთ ის. როგორ შეუძლია შეარყიოს და გახრწნას საბჭოთა წყობილება მავნე და მტრული ელემენტებისაგან საბჭოთა ორგანიზაციების გაწმენდამ? ერთი მუჭა ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები, მკვლელები და მავნებლები, რომლებიც ფეხქვეშ ეგებოდნენ უცხოეთს, გამსჭვალული იყვნენ მლიქვნელობის მონური გრძნობით უცხოეთის ყოველი პატარა მოხელის წინაშე და მზად იყვნენ დასდგომოდნენ მას ჯაშუშურ სამსახურში, — ერთი მუჭა ადამიანები, რომელთაც ვერ შეიგნეს ის, რომ საბჭოთა უკანასკნელი მოქალაქე, კაპიტალის ბორკილებისაგან თავისუფალი, გაცილებით უფრო მაღლა დგას მაღალი თანამდებობის ყოველ საზღვარგარეთელ მოხელეზე, რომელიც თავისი კისრით ეწევა კაპიტალისტუ-

რი მონობის ულელს, — ვისთვის არის საჭირო გამყიდველი მონების ეს უბადრუკი ბანდა, რა ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს იგი ხალხისათვის და ვისი «გახრწნა» შეუძლია მას? 1937 წელს დახვრეტა მიესაჯათ ტუხაჩევსკის, იაკირს, უბორევიჩს და სხვა მუხანათებს. ამის შემდეგ მოხდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. არჩევნებმა საბჭოთა ხელისუფლებას მისცა კენჭისყრის მონაწილეთა მთელი რაოდენობის 98,6 პროცენტი. 1938 წლის დამდეგს დახვრეტა მიესაჯათ როზენგოლცს, რიკოვს, ბუხარინსა და სხვა მუხანათებს. ამის შემდეგ ჩატარდა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები. არჩევნებმა საბჭოთა ხელისუფლებას მისცა კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რიცხვის 99,4 პროცენტი. კითხვა იბადება, სად არის აქ «გახრწნის» ნიშნები და რატომ არ მოახდინა ამ «გახრწნამ» თავისი გავლენა არჩევნების შედეგებზე?

ამ უცხოელ მოლაყბეებს რომ უსმენ, შეიძლება იმ დასკვნამდე მიხვიდე, რომ თუ თავისუფლად დავტოვებდით ჯაშუშებს, მკვლელებსა და მავნებლებს და არ შეეუშლიდით მათ ხელს — გაეწიათ მავნებლობა, ჩაედინათ მკვლელობანი და ჯაშუშობა, მაშინ საბჭოთა ორგანიზაციები გაცილებით უფრო მკვიდრი და მტკიცე იქნებოდნენ. (სიცილი). მეტისმეტად ადრე ხომ არ ამეღავნებენ თავის თავს ეს ვაეგბატონები, რომლებიც ასე თავხედურად იცავენ ჯაშუშებს, მკვლელებს, მავნებლებს?

(განა) უფრო სწორი არ იქნება ვთქვათ, (რომ) საბჭოთა ორგანიზაციების გაწმენდას ჯაშუშებისა, მკვლელებისა და მავნებლებისაგან უნდა გამოეწვია და მართლაც გამოიწვია ამ ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცება?

რას მეტყველებენ, მაგალითად, ხასანის ტბასთან მომხდარი ამბები, თუ არა იმას, რომ საბჭოთა ორგანიზაციების გაწმენდა ჯაშუშებისა და მავნებლებისაგან წარმოადგენს ამ ორგანიზაციების განმტკიცების ყველაზე საიმედო საშუალებას?

* * *

პარტიის ამოცანები საშინაო პოლიტიკის დარგში:

1. შემდგომ უფრო გავშალოთ ჩვენი მრეწველობის აღმაველობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, წარმოების ტექნიკის გაუმჯობესება იმ ანგარიშით, რომ, მას შემდეგ, რაც უკვე გავუსწარით მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის ზრდის ტემპების დარგში, — გავუსწროთ მათ ეკონომიურადაც უახლოესი 10 — 15 წლის განმავლობაში.

2. შემდგომ უფრო გავშალოთ ჩვენი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობა იმ ანგარიშით, რომ უახლოესი 3 — 4 წლის განმავლობაში მივაღწიოთ მარცვლეულის ყოველწლიურ წარმოებას 8 მილიარდი ფუთის რაოდენობით, ჰექტარზე 12 — 13 ცენტნერის საშუალო მოსავლიანობით, გავადიდოთ წარმოება ტექნიკური კულტურების დარგში საშუალოდ 30 — 35 პროცენტით, გავადიდოთ ცხვრისა და ღორის სულადობა ერთიორად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა — 40 პროცენტით, ცხენების სულადობა — 35 პროცენტით.

3. შემდგომ განვაგრძოთ მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება.

4. განუხრელად გავატაროთ ცხოვრებაში ჩვენი სოციალისტური კონსტიტუცია, ბოლომდე განვახორციელოთ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, განვამტკიცოთ საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობა, ყოველნაირად განვამტკიცოთ სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, განვავითაროთ და ვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმი.

5. არ დავივიწყოთ კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, გვახსოვდეს, რომ უცხოეთის დაზვერვა კვლავაც შემოგზავნის ჩვენს ქვეყანაში ჯაშუშებს, მკვლელებს, მავნებლებს, გვახსოვდეს ეს და განვამტკიცოთ ჩვენი სოციალისტური დაზვერვა, სისტემატურად დავეხმაროთ მას ხალხის მტრების განადგურებასა და აღმოფხვრაში.

III

საკავშირო კ. პ. (ბ) შემდგომი განმტკიცება

პოლიტიკური ხაზისა და ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი იყო პერიოდი ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის სრული გამარჯვებისა. **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).**

სოციალისტური სისტემის დამკვიდრება მთელ სახალხო მეურნეობაში, მრეწველობისა და მიწათმოქმედების რეკონსტრუქციის დამთავრება ახალი ტექნიკის საფუძველზე, მეორე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება მრეწველობის ხაზით, მარცვლეულის ყოველწლიური წარმოების აყვანა 7 მილიარდი ფუთის დონემდე, სიღატაკისა და უმუშევრობის მოსპობა და ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის აღმავლობა, — ასეთია ძირითადი

მიღწევები, რომლებიც ცხადყოფენ ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორეს, მისი ხელმძღვანელობის სისწორეს.

ამ გრანდიოზული მიღწევების წინაშე ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის მოწინააღმდეგენი, სხვადასხვა ჯურის «მემარცხენე» და «მემარჯვენე» მიმდინარეობანი, ყოველი ჯურის ტროცკისტ-პიატაკოველი და ბუხარინელ-რიკოველი გადაგვარებულნი იძულებული გახდნენ თავის ნაპუპში შემძვრალიყვნენ, დაემალნათ თავიანთი გაცვეთილი «პლატფორმები» და იატაკქვეშეთში წასულიყვნენ. არ გააჩნდათ რა გამბედაობა დამორჩილებოდნენ ხალხის ნებას, მათ ამჯობინეს შეერთებოდნენ მენშევიკებს, ესერებს, ფაშისტებს, სამსახურში დასდგომოდნენ უცხოეთის დაზვერვას, გამხდარიყვნენ მისი ჯაშუშები და ეკისრნათ ვალდებულება — დახმარებოდნენ საბჭოთა კავშირის მტრებს, რათა მათ დაენაწილებინათ ჩვენი ქვეყანა და აღედგინათ მასში კაპიტალისტური მონობა.

ასეთია სამარცხვინო აღსასრული ჩვენი პარტიის ხაზის მოწინააღმდეგეებისა, რომლებიც შემდეგ ხალხის მტრები გახდნენ.

გაანადგურა რა ხალხის მტრები და გაწმინდა რა გადაგვარებულთაგან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, პარტია გახდა კიდევ უფრო ერთიანი თავის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში, იგი გახდა კიდევ უფრო შემჭიდროებული თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო. (**მჭუხარე ტაში. ყველა დელეგატი დგება და ფეხზე მდგომი მიესალმება მომხსენებელს. შეძახილები: «ამხანაგ სტალინს ვაშა! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს! გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს! ვაშა!»**).

განვიხილოთ კონკრეტული მონაცემები საანგარიშო პერიოდში პარტიის შინაგანი ცხოვრების განვითარების შესახებ, მისი ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ.

1. ლენინისეული პარტიის შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის. ორგანიზაციების დაწვრილერთეულება. ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოება ძირეულ სამუშაოსთან

პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების განმტკიცება საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა პირველ რიგში ორი ხაზით: პარტიის შემადგენლობის რეგულირების, არასაიმედოთა განდევნისა და საუკეთესოთა შერჩევის ხაზით, და ორგანიზაციების დაწვრილერთეულების, მათი სიდიდის შემცირებისა და ძირეულ, ოპერატიულ, კონკრეტულ სამუშაოსთან ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოების ხაზით.

პარტიის XVII ყრილობაზე წარმოდგენილი იყო პარტიის 1 874 488 წევრი. თუ შევადარებთ ამ მონაცემებს წინა, XVI პარტ-ყრილობაზე წარმოდგენილ პარტიის წევრთა რაოდენობის მონაცემებს, გამოვა, რომ პარტიის XVI ყრილობიდან XVII ყრილობამდე განვლილი პერიოდის მანძილზე პარტიაში შემოვიდა 600 ათასი ახალი წევრი. პარტიას არ შეეძლო არ ეგრძნო, რომ პარტიაში ასეთი მასობრივი მოზღვავება 1930 — 1933 წლების პირობებში მისი შემადგენლობის არაჯანსაღ და არასასურველ გაფართოებას წარმოადგენს. პარტიამ იცოდა, რომ მის რიგებში მოდიან არა მარტო პატიოსანი და ერთგული, არამედ შემთხვევითი ადამიანებიც, არამედ კარიერისტებიც, რომლებიც მიისწრაფიან გამოიყენონ პარტიის დროშა თავისი პირადი მიზნებისათვის. პარტიას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ იგი ძლიერია არა მარტო თავის წევრთა რაოდენობით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მათი ხარისხით. ამასთან დაკავშირებით წამოიჭრა პარტიის შემადგენლობის რეგულირების საკითხი. გადაწყდა განგვეგრძო პარტიის წევრთა და კანდიდატთა წმენდა, რაც ჯერ კიდევ 1933 წელს დაიწყო, და ეს წმენდა მართლაც განგრძობილ იქნა 1935 წლის მაისამდე. შემდეგ, გადაწყდა შეწყვეტილიყო პარტიაში ახალ წევრთა მიღება, და მათი მიღება მართლაც შეწყვეტილ იქნა 1936 წლის სექტემბრამდე, ამასთან პარტიაში ახალ წევრთა მიღება განახლებულ იქნა მხოლოდ 1936 წლის 1 ნოემბერს. შემდეგ, ამხ. კიროვის ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით, რაც იმას მოწმობდა, რომ პარტიაში ცოტა როდი მოიპოვებოდა საეჭვო ელემენტები, გადაწყდა ჩატარებულიყო პარტიული დოკუმენტების შემოწმება და გამოცვლა, ამასთან ერთიცა და მეორეც დამთავრებულ იქნა მხოლოდ 1936 წლის სექტემბრისათვის. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო პარტიაში ახალ წევრთა და კანდიდატთა მიღება. ყველა ამ ღონისძიების შედეგად პარტიამ იმას მიაღწია, რომ გაწმინდა თავისი რიგები შემთხვევითი, პასიური, კარიერისტული და აშკარად მტრული ელემენტებისაგან, შეარჩია რა ყველაზე უფრო მტკიცე და თავდადებული ადამიანები. არ შეიძლება ითქვას, რომ წმენდა ჩატარდა სერიოზული შეცდომების გარეშე. სამწუხაროდ, შეცდომები მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. უეჭველია, ჩვენ კვლავ აღარ მოგვიხდება მასობრივი წმენდის მეთოდის გამოყენება. მაგრამ 1933 — 1936 წლებში ჩატარებული წმენდა მაინც აუცილებელი იყო და მან ძირითადად დადებითი შედეგები მოგვცა. დღევანდელ XVIII ყრილობაზე წარმოდგენილია პარტიის 1 600 ათასამდე წევრი, ესე იგი პარტიის 270 ათასი წევრით ნაკლები, ვიდრე XVII ყრილობაზე. მაგრამ ამაში ცუდი არაფერია. პირ-

იქით, ეს უკეთესია, ვინაიდან პარტია მტკიცდება იმით, რომ წმენდს თავის თავს უწმინდურობისაგან. ჩვენი პარტია ახლა თავისი წევრების რაოდენობით ნაკლებია, მაგრამ სამაგიეროდ ხარისხით იგი უკეთესია.

ეს დიდი მიღწევაა.

რაც შეეხება ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას ძირეულ მუშაობასთან მისი მიახლოების მხრივ, მისი შემდგომი კონკრეტიზაციის მხრივ, პარტია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ორგანიზაციათა დაწვრილერთეულება, მათი სიდიდის შემცირება საუკეთესო საშუალებაა, რათა პარტიულ ორგანოებს გაუადვილდეს ამ ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, ხოლო თვით ხელმძღვანელობა კონკრეტული, ცოცხალი, ოპერატიული გახდეს. დაწვრილერთეულება მიმდინარეობდა როგორც სახალხო კომისარიატების ხაზით, ისე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზაციების ხაზით, ე. ი. მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონებისა და სხვ. ხაზით. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ახლა ჩვენ 7 მოკავშირე რესპუბლიკის ნაცვლად გვაქვს 11 მოკავშირე რესპუბლიკა, სსრ კავშირის 14 სახალხო კომისარიატის ნაცვლად — 34 სახალხო კომისარიატი, 70 მხარისა და ოლქის ნაცვლად — 110 მხარე და ოლქი, 2 559 საქალაქო და სასოფლო რაიონის ნაცვლად — 3 815 საქალაქო და სასოფლო რაიონი. ამის შესაბამისად პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა სისტემაში ახლა არის 11 ცენტრალური კომიტეტი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით, 6 სამხარეო კომიტეტი, 104 საოლქო კომიტეტი, 30 საოკრუგო კომიტეტი, 212 საერთოსაქალაქო კომიტეტი, 336 საქალაქო რაიონული კომიტეტი, 3 479 სასოფლო რაიონული კომიტეტი და 113 060 პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

არ შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციების დაწვრილერთეულების საქმე უკვე დამთავრებულია. ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ დაწვრილერთეულება შემდეგშიც გაგრძელდება. მაგრამ, რაც უნდა იყოს, იგი უკვე იძლევა თავის კარგ შედეგებს როგორც მუშაობის ყოველდღიური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მხრივ, ისე თვით ხელმძღვანელობის ძირეულ კონკრეტულ მუშაობასთან მიახლოების მხრივაც. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ორგანიზაციების დაწვრილერთეულებამ შესაძლებლობა მოგვცა ასობით და აოასობით ახალი ადამიანები დაგვეწინაურებინა ხელმძღვანელ სამუშაოზე.

ესეც დიდი მიღწევაა.

2. კადრების შერჩევა, მათი დაწინაურება, მათი განაწილება

პარტიის შემადგენლობის რეგულირება და კონკრეტულ ძირეულ მუშაობასთან ხელმძღვანელ ორგანოთა მიახლოება არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პარტიისა და მისი ხელმძღვანელობის შემდგომი განმტკიცების ერთადერთი საშუალება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტიის განმტკიცების მეორე საშუალება იყო კადრებთან მუშაობის ძირეულად გაუმჯობესება, კადრების შერჩევის, მათი დაწინაურების, მათი განაწილების, მუშაობის პროცესში მათი შემოწმების საქმის გაუმჯობესება.

პარტიის კადრები პარტიის მეთაურთა შემადგენლობაა, ხოლო ვინაიდან ჩვენი პარტია ხელისუფლების სათავეში დგას, — ისინი წარმოადგენენ აგრეთვე ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოების მეთაურთა შემადგენლობას. მას შემდეგ რაც შემუშავებულია სწორი პოლიტიკური ხაზი, პრაქტიკით შემოწმებული, პარტიის კადრები პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის გადამწყვეტ ძალად იქცევიან. რა თქმა უნდა, პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა გვქონდეს სწორი პოლიტიკური ხაზი. მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი. სწორი პოლიტიკური ხაზი საჭიროა არა დეკლარაციისათვის, არამედ ცხოვრებაში გასატარებლად. მაგრამ სწორი პოლიტიკური ხაზის განხორციელებისათვის საჭიროა კადრები, საჭიროა ადამიანები, რომელთაც ესმით. პარტიის პოლიტიკური ხაზი, რომელნიც ითვისებენ მას, როგორც თავის საკუთარ ხაზს, რომელნიც მზად არიან გაატარონ იგი ცხოვრებაში, რომელთაც შეუძლიათ ამ ხაზის პრაქტიკულად განხორციელება და შესწევთ უნარი პასუხი აგონ მისთვის, დაიცვან იგი, იბრძოლონ მისთვის. ამის გარეშე კი არის საფრთხე, რომ სწორი პოლიტიკური ხაზი ქაღალდზე დარჩეს.

სწორედ აქ დგება საკითხი კადრების სწორად შერჩევის შესახებ. კადრების გამოზრდის შესახებ, ახალ ადამიანთა დაწინაურების შესახებ, კადრების სწორი განაწილების შესახებ, ჩატარებული მუშაობის მიხედვით მათი შემოწმების შესახებ.

რას ნიშნავს კადრების სწორად შერჩევა?

კადრების სწორად შერჩევა — ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აიყვანო მოადგილეები და თანაშემწეები, მოაწყო კანცელარია და გამოუშვა იქიდან სხვადასხვა მითითებანი. (სიცილი). ეს არც იმას ნიშნავს, რომ ბოროტად გამოიყენო შენი უფლება, უთავბოლოდ გადაისროლ-გადმოისროლო ათობით და ასობით ადამიანები ერთ-

ადგილიდან მეორეზე და დაუსრულებლად ახდენდე «რეორგანიზაციებს». (სიცილი).

კადრების სწორად შერჩევა ნიშნავს:

ჯერ-ერთი, აფასებდე კადრებს, როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ოქროს ფონდს, უფრთხილდებოდე მათ, პატივისცემით ეპყრობოდე მათ.

მეორეც, იცნობდე კადრებს, გულდასმით სწავლობდე კადრის თვითეული მუშაკის ღირსებასა და ნაკლს, იცოდე თუ რა თანამდებობაზე შეიძლება ყველაზე უფრო ადვილად გაიშალოს მუშაკის ნიჭი.

მესამეც, მზრუნველობით ზრდიდე კადრებს, ეხმარებოდე თვითეულ მზარდ მუშაკს ამაღლდეს, არ იშურებდე დროს იმისათვის, რომ მოთმინებით «სდიო» ასეთ მუშაკებს და დააჩქარო მათი ზრდა.

მეოთხეც, თავის დროზე და გაბედულად დააწინაურო ახალი, ახალგაზრდა კადრები, ისე, რომ მეტისმეტად დიდხანს არ დარჩნენ ძველ ადგილზე და არ დამქავდნენ.

მეხუთეც, იმგვარად გაანაწილო მუშაკები პოსტებზე, რომ თვითეული მუშაკი თავის ადგილას გრძნობდეს თავს,. რომ თვითეულ მუშაკს შეეძლოს მისცეს ჩვენს საერთო საქმეს იმის მაქსიმუმი, რის მიცემაც საერთოდ შეუძლია მას თავისი პირადი თვისებების მიხედვით, რომ კადრების განაწილებაზე მუშაობის საერთო მიმართულება სავსებით შეესაბამებოდეს იმ პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებს, რომლის გასატარებლადაც ხდება ეს განაწილება.

აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი, ახალგაზრდა კადრების გაბედულად და დროულად დაწინაურების საკითხს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ადამიანები ჯერ კიდევ სრულად ვერ არიან გარკვეულნი ამ საკითხში. ერთნი ფიქრობენ, რომ ადამიანთა შერჩევის დროს ორიენტაცია, უმთავრესად, ძველ კადრებზე უნდა ავიღოთ. მეორენი, პირიქით, ფიქრობენ, ორიენტაცია, უმთავრესად, ახალგაზრდა კადრებზე აიღონ. მე მგონია, რომ ცდებიან ერთნიც და მეორენიც. ძველი კადრები, რა თქმა უნდა, დიდ განძს წარმოადგენენ პარტიისა და სახელმწიფოსათვის. მათ აქვთ ის, რაც არა აქვთ ახალგაზრდა კადრებს — უდიდესი გამოცდილება ხელმძღვანელობის დარგში, მარქსისტულ-ლენინური პრინციპული გამოწრთობა, საქმის ცოდნა, ორიენტირების ძალა. მაგრამ, ჯერ-ერთი, ძველი კადრები ყოველთვის ცოტაა, უფრო ნაკლებია ხოლმე, ვიდრე საჭიროა, და ისინი ნაწილობრივ უკვე გამოდიან მწყობრიდან ბუნების კანონთა ძალით. მეორეც, ძველი კადრების ერთ ნაწილს ხანდახან აქვს მიდრეკილება დაჟინებით იყურებოდეს წარსულისაკენ, ვეღარ

დააღწიოს თავი წარსულს, ვეღარ დააღწიოს თავი ძველს და ვერ შეამჩნიოს ახალი რამ ცხოვრებაში. ამას ეწოდება ახალის გრძნობის დაკარგვა. ეს ფრიად სერიოზული და საშიში ნაკლია. რაც შეეხება ახალგაზრდა კადრებს, მათ, რა თქმა უნდა, არა აქვთ ის გამოცდილება, გამოწრთობა, საქმის ცოდნა და ორიენტირების ძალა, რაც ძველ კადრებს მოეპოვებათ. მაგრამ, ჯერ-ერთი, ახალგაზრდა კადრები უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ, მეორეც, ისინი ახალგაზრდები არიან, და მათ ჯერჯერობით არ მოელის საფრთხე მწყობრიდან გამოსვლისა, მესამეც, მათ ჭარბად აქვთ ახლის გრძნობა, — თვითეული ბოლშევიკური მუშაკის ძვირფასი თვისება, და მეოთხეც, ისინი იმდენად სწრაფად იზრდებიან და ისე სწრაფად იძენენ განათლებას, ისინი იმდენად მძაფრად იწევენ მაღლა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ისინი დაეწევიან მოხუცებს, მხარში ამოუდგებიან მათ და გახდებიან მათი ღირსეული ცვლა. მაშასადამე, ამოცანა ის კი არ არის, რომ ან ძველ კადრებზე მოვახდინოთ ორიენტირება, ან ახალ კადრებზე, არამედ ის, რომ ავიღოთ გეზი ძველი და ახალი კადრების შეხამებაზე, შეერთებაზე პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი მუშაობის ერთ საერთო ორკესტრში. (ხანგრძლივი ტაში).

აი რატომ არის აუცილებელი დროულად და თამამად დავაწინაურთ ახალგაზრდა კადრები ხელმძღვანელ პოსტებზე.

საანგარიშო პერიოდში პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცების საქმეში პარტიის ერთ-ერთი სერიოზული მიღწევა ის არის, რომ იგი კადრების შერჩევის დარგში თავიდან ბოლომდე წარმატებით ატარებდა სწორედ ამ გეზს ძველი და ახალგაზრდა მუშაკების შეხამებაზე.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არის ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ საანგარიშო პერიოდში პარტიამ შესძლო სახელმწიფოებრივი და პარტიული ხაზით ხელმძღვანელ პოსტებზე დაეწინაურებინა 500 ათასზე მეტი ახალგაზრდა ბოლშევიკი, პარტიული და პარტიასთან ახლო მდგომი, მათ შორის 20 პროცენტზე მეტი ქალი.

რაში მდგომარეობს ახლა ამოცანა?

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანად ერთ ხელში მოვუყაროთ თავი კადრების შერჩევის საქმეს თავიდან ბოლომდე და ჯეროვან, მეცნიერულ, ბოლშევიკურ სიმაღლეზე ავიყვანოთ იგი.

ამისათვის აუცილებელია ბოლო მოვუღოთ კადრების შესწავლის, დაწინაურებისა და შერჩევის საქმის დაქუცმაცებას სხვადა-

სხვა განყოფილებებსა და სექტორებს შორის და ერთ ადგილას მოვუყაროთ მას თავი.

ასეთი ადგილი უნდა იყოს კადრების სამმართველო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში და კადრების სათანადო განყოფილება ყოველი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტორგანიზაციის შემადგენლობაში.

3. პარტიული პროპაგანდა. პარტიის წევრთა და პარტიული კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა

არის კიდევ პარტიული მუშაობის ერთი დარგი, ფრიად მნიშვნელოვანი და ფრიად პასუხსაგები, რომლის ხაზითაც საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა პარტიისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების განმტკიცება, — ეს არის პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია, ზეპირი და ბეჭდვითი, მუშაობა პარტიის წევრთა და პარტიის კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის, მუშაობა პარტიისა და მისი მუშაკების პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლებისათვის.

არა გვგონია საჭირო იყოს ბევრი ლაპარაკი პარტიული პროპაგანდის საქმის, ჩვენი მუშაკების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის საქმის უაღრესად სერიოზულ მნიშვნელობაზე. მე მხედველობაში მყავს არა მარტო პარტიული აპარატის მუშაკები. მე მხედველობაში მყავს აგრეთვე კომკავშირული, პროფკავშირული, სავაჭრო-კოოპერაციული, სამეურნეო, საბჭოთა, საგანმანათლებლო, სამხედრო და სხვა ორგანიზაციების მუშაკები. შეიძლება დამაკმაყოფილებლად დააყენო პარტიის შემადგენლობის რეგულირებისა და ძირეულ მუშაობასთან ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოების საქმე; შეიძლება დამაკმაყოფილებლად დააყენო კადრების დაწინაურების, მათი შერჩევის, მათი განაწილების საქმე; მაგრამ თუ ყოველივე ამასთან ერთად რატომღაც კოჭლობას იწყებს ჩვენი პარტიული პროპაგანდა, თუ დაჩიავებას იწყებს ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის საქმე, თუ სუსტდება ჩვენი მუშაობა ამ კადრების პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლების ხაზით, თვითონ კადრებს კი ამასთან დაკავშირებით აღარ აინტერესებთ ჩვენი წინსვლის პერსპექტივა, აღარ ესმით ჩვენი საქმის სიმართლე და უპერსპექტივო საქმოსნებად იქცევიან, რომლებიც ბრმად და მექანიკურად ასრულებენ ზემოდან მიღებულ მითითებებს, — მაშინ უთუოდ დაჩიავდება მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობა. აქსიომად უნდა მივიჩნიოთ, რომ, რაც

უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები, და, პირიქით, — რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაკნინება და გადაქცევა მენამცეცე-საქმოსნებად, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ, თუ ჩვენ შევძლებდით მუშაობის ყველა დარგის ჩვენი კადრების იდეოლოგიურად მომზადებას და მათ იმდენად გამობრძმედას პოლიტიკურად, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ ორიენტირება საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, თუ ჩვენ შევძლებდით მათ გადაქცევას საკუთარ ბით მომწიფებულ მარქსისტ-ლენინელებად, რომელთაც შეეძლებათ ისე გადაწყვიტონ ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, რომ სერიოზული შეცდომები არ დაუშვან, — ჩვენ ყველა საფუძველი გვექნებოდა უკვე გადაწყვეტილად ჩაგვეთვალა ყველა ჩვენი საკითხის ცხრა მეათედი. ამ ამოცანის გადაწყვეტა კი ჩვენ უთუოდ შეგვიძლია, რადგან ჩვენ ყველა საშუალება და შესაძლებლობა გვაქვს, რაც აუცილებელია მისი გადაწყვეტისათვის.

ახალგაზრდა კადრების აღზრდა და ჩამოყალიბება ჩვენში ჩვეულებრივად მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეული დარგების მიხედვით, სპეციალობათა მიხედვით მიმდინარეობს. ეს აუცილებელი და მიზანშეწონილია. აუცილებელი არ არის, რომ სპეციალისტი-მედიკოსი იმავე დროს ფიზიკის ან ბოტანიკის სპეციალისტი იყოს, და პირიქით. მაგრამ არის მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის, — ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ. ვინაიდან არ შეიძლება მივიჩნიოთ ნამდვილ ლენინელად კაცი, რომელიც თავის თავს ლენინელს უწოდებს, მაგრამ ჩაკეტილია თავის სპეციალობაში, ჩაკეტილია, ვთქვათ, მათემატიკაში, ბოტანიკასა ან ქიმიაში და თავისი სპეციალობის იქით ვერაფერს ხედავს. ლენინელს არ შეუძლია იყოს მხოლოდ მის მიერ ამორჩეული მეცნიერების დარგის სპეციალისტი, — იგი ამასთანავე ერთად უნდა იყოს პოლიტიკოსი — სა-

ზოგადოებრივი მუშაკი, რომელიც ცხოველი ინტერესით ეკიდება თავისი ქვეყნის ბედ-იღბალს, რომელიც იცნობს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ეს კანონები და რომელიც ცდილობს იყოს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აქტიური მონაწილე. ეს, რასაკვირველია, დამატებითი დატვირთვა იქნება სპეციალისტი ბოლშევიკებისათვის. მაგრამ ეს ისეთი დატვირთვა იქნება, რომელიც შემდეგში უხვად ანაზღაურდება.

პარტიული პროპაგანდის ამოცანა, კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის ამოცანა ის არის, რომ დავეხმაროთ მუშაობის ყველა დარგის ჩვენს კადრებს დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ.

საკითხი პროპაგანდისა და აგრეთვე კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ არა ერთხელ ყოფილა განხილული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, სხვადასხვა საოლქო პარტორგანიზაციების პროპაგანდისტთა მონაწილეობით. ამასთანავე მხედველობაში იყო მიღებული 1938 წლის სექტემბერში «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის» გამოსვლა. აღიარებულ იქნა, რომ «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის» გამოსვლა საფუძველს უყრის ჩვენს ქვეყანაში მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის ახალ გაქანებას. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შედეგები გამოქვეყნდა მის ცნობილ დადგენილებაში «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ».

ემყარებოდა რა ამ დადგენილებას და ითვალისწინებდა რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის მარტის პლენუმის ცნობილ გადაწყვეტილებებს «პარტიული მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ», საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული პროპაგანდის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და პარტიის წევრებისა და პარტიული კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად შემდეგი მთავარი ღონისძიებანი დასახა:

1. თავმოყრილ იქნას ერთ ადგილას პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საქმე და გაერთიანდეს პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებანი და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებანი პროპაგანდისა და აგიტაციის ერთიან სამმართველოდ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, ამასთანავე მოეწყოს

პროპაგანდისა და აგიტაციის შესაბამისი განყოფილება თვითეული რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტორგანიზაციის შემადგენლობაში;

2. არასწორად იქნას მიჩნეული პროპაგანდის საწრეო სისტემით გატაცება, უფრო მიზანშეწონილად ჩაითვალოს პარტიის წევრთა მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ინდივიდუალური შესწავლის მეთოდი და პარტიის მთავარი ყურადღება მიექცეს პრესაში პროპაგანდის გაშლას და პროპაგანდის ლექციური სისტემის ორგანიზაციას;

3. მოეწყოს თვითეულ საოლქო ცენტრში ერთწლიანი გადასამზადებელი კურსები ჩვენი კადრების ძირეული რგოლისათვის;

4. მოეწყოს ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ცენტრებში ორწლიანი ლენინური სკოლა ჩვენი კადრების საშუალო რგოლისათვის;

5. მოეწყოს მარქსიზმ-ლენინიზმის უმაღლესი სკოლა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან სამწლიანი კურსით პარტიის კვალიფიციური თეორიული კადრების მოსამზადებლად;

6. შეიქმნას ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ცენტრებში პროპაგანდისტებისა და გაზეთის მუშაკების გადასამზადებელი ერთწლიანი კურსები;

7. შეიქმნას მარქსიზმ-ლენინიზმის უმაღლეს სკოლასთან ექვსთვიანი კურსები იმ მასწავლებელთა გადასამზადებლად, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან მარქსიზმ-ლენინიზმს.

ეჭვი არ არის, რომ განხორციელება ამ ღონისძიებებისა, რომლებიც უკვე ტარდება, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გატარებული, არ დააყოვნებს თავისი კარგი შედეგების მოცემას.

4. თეორიის ზოგიერთი საკითხი

ჩვენი პროპაგანდისტული და იდეოლოგიური მუშაობის ნაკლთა რიცხვს უნდა მიეწეროს აგრეთვე ჩვენს ამხანაგებს შორის სრული გარკვეულობის უქონლობა თეორიის ზოგიერთ საკითხში, რომლებსაც სერიოზული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ერთგვარი არევ-დარევის არსებობა ამ საკითხებში. მე მხედველობაში მაქვს საკითხი სახელმწიფოს შესახებ საერთოდ, განსაკუთრებით ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ და საკითხი ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ.

ზოგჯერ კითხულობენ: «ჩვენში ექსპლოატატორული კლასები მოსპობილია, ჩვენს ქვეყანაში მტრული კლასები უკვე აღარ არის, დასათრგუნავი აღარავინაა, მაშასადამე, საჭირო აღარ არის სახელ-

მწიფო, იგი უნდა მოკვდეს, — მაშ, რატომ არ ვუწყობთ ხელს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს კვდომას, რატომ არა ვცდილობთ ბოლო მოვუღოთ მას, განა არ დადგა დრო თავიდან მოვიშოროთ სახელმწიფოებრიობის მთელი ეს ძველმანი?»

ანდა კიდევ: «ჩვენში ექსპლოატატორული კლასები უკვე მოსპობილია, სოციალიზმი ძირითადად აშენებულია, ჩვენ კომუნიზმისაკენ მივდივართ, ხოლო მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ ლაპარაკობს, რომ კომუნიზმის დროს არ უნდა იყოს არავითარი სახელმწიფო, — რატომ არ ვუწყობთ ხელს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს კვდომას, განა არ დადგა დრო სიძველეთა მუზეუმს ჩავაბაროთ სახელმწიფო?».

ეს კითხვები იმას მოწმობს, რომ მათ ავტორებს კეთილსინდისიერად დაუზეპირებიათ ცალკეული დებულებანი მარქსისა და ენგელსის მოძღვრებისა სახელმწიფოს შესახებ. მაგრამ ეს კითხვები იმასაც მოწმობს, რომ ამ ამხანაგებს ვერ გაუგიათ ამ მოძღვრების დედაარსი, ვერ გარკვეულან იმაში, თუ რა ისტორიულ პირობებში მუშავდებოდა ამ მოძღვრების ცალკეული დებულებანი და, განსაკუთრებით კი, ვერ გაუგიათ თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, მხედველობიდან გამორჩენიათ კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი და მისგან გამომდინარე საშიშროებანი სოციალიზმის ქვეყნისათვის. ამ კითხვებში გამოსჭვივის არა მარტო კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტის შეუფასებლობა. მათში გამოსჭვივის აგრეთვე ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა და მათი ორგანოების როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა, რომლებიც გზავნიან ჩვენს ქვეყანაში ჯაშუშებს, მკვლელებსა და მავნებლებს და ცდილობენ დრო იხელთონ მასზე სამხედრო თავდასხმისათვის, ისევე როგორც გამოსჭვივის ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს და მისი სამხედრო, დამსჯელი და მზვერავი ორგანოების როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა, იმ ორგანოებისა, რომლებიც აუცილებელი არიან სოციალიზმის ქვეყნის დასაცავად გარედან თავდასხმისაგან. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შეუფასებლობაში ცოდვა მიუძღვით არა მარტო ზემოაღნიშნულ ამხანაგებს. მასში რამდენადმე ცოდვა მიგვიძღვის აგრეთვე ჩვენ ყველას, ბოლშევიკებს, ყველას უკლებლივ. განა საკვირველი არ არის, რომ ტროცკისტებისა და ბუხარინელების ზედაფენის ჯაშუშური და შეთქმულებითი მოქმედების შესახებ ჩვენ გავიგეთ მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, 1937 — 1938 წლებში, თუმცა, როგორც მასალებიდან ჩანს, ეს ვაჟბატონები უცხოეთის დაზვერვის ჯაშუშები იყვნენ და შეთქმულებითს მოქმედებას ეწეოდნენ ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის პირველ

დღეებში? როგორ მოხდა, რომ მხედველობიდან გამოგვეპარა ეს სერიოზული საქმე? რით უნდა აიხსნას ეს შეცდომა? ჩვეულებრივ ამ კითხვაზე ამნაირად უპასუხებენ: ჩვენ არ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ეს ადამიანები ასე დაბლა დაეცემოდნენ. მაგრამ ეს არ არის ახსნა და მით უმეტეს არ არის თავის გამართლება, რადგან შეცდომის ფაქტი ფაქტად რჩება. რით აიხსნება ასეთი შეცდომა? ეს შეცდომა აიხსნება ჩვენს გარშემო არსებული ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა და მათი მზვერავი ორგანოების მექანიზმის ძალისა და მნიშვნელობის შეუფასებლობით, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ ადამიანთა სისუსტე, მათი პატივისმაძიებლობა, მათი უხასიათობა იმისათვის, რომ გახლართონ ისინი თავიანთ ჯაშუშურ ქსელში და გარშემოარტყან ისინი საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოებს. იგი აიხსნება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს და მისი დაზვერვის მექანიზმის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობით, ამ დაზვერვის შეუფასებლობით, ლაყბობით იმის შესახებ, რომ დაზვერვა საბჭოთა სახელმწიფოს დროს წვრილმანი და უმნიშვნელო რამეა, რომ საბჭოთა დაზვერვა, ისევე როგორც თვითონ საბჭოთა სახელმწიფო, მალე უნდა ჩაბარდეს სიძველეთა მუზეუმს.

რა ნიადაგზე შეიძლებოდა წარმოშობილიყო ჩვენში ეს შეუფასებლობა?

იგი წარმოიშვა სახელმწიფოს შესახებ მარქსიზმის მოძღვრების ზოგიერთი ზოგადი დებულების დაუმუშავებლობისა და არასაკმაობის ნიადაგზე. იგი გავრცელდა სახელმწიფოს თეორიის საკითხებისადმი ჩვენი შეუწყნარებლად დაუდეგარი დამოკიდებულების შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს სახელმწიფო მოღვაწეობის ოცი წლის პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც მდიდარ მასალას იძლევა თეორიულ განზოგადებათათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, თუ კი სურვილი გვექნება, შესაძლებლობა გვაქვს წარმატებით შევავსოთ ეს თეორიული ხარვეზი. ჩვენ დავივიწყეთ ლენინის უმნიშვნელოვანესი მითითება რუსი მარქსისტების თეორიულ ვალდებულებათა შესახებ, რომლებიც მოწოდებული არიან განაგრძონ მარქსიზმის თეორიის დამუშავება. აი რას ამბობს ლენინი ამის შესახებ:

«ჩვენ სრულებითაც არ ვუყურებთ მარქსის თეორიას, როგორც დამთავრებულ ხელუხლებელ რამეს: პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა უნდა წასწინონ წინ ყოველი მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ჩამორჩნენ ცხოვრებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსი სოციალისტებისათვის განსაკუთრებით საჭიროა მარქსის თეორიის დამოუკიდებელი დამუშავება, ვინაიდან ეს თეორია იძლევა მხოლოდ ზოგად ხასელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც კერძოდ ინგლისში სხვანაი-

რად გამოიყენება, ვიდრე საფრანგეთში, საფრანგეთში სხვანაირად, ვიდრე გერმანიაში, გერმანიაში კიდევ სხვანაირად, ვიდრე რუსეთში» (ლენინი, ტ. II, გვ. 492).

ავიღოთ, მაგალითად, სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების თეორიის კლასიკური ფორმულა, რომელიც ენგელსმა მოგვცა:

«როცა აღარ იარსებებენ საზოგადოებრივი კლასები, რომლებიც მორჩილებაში უნდა პყავდეთ, როცა მოისპობა ერთი კლასის ბატონობა მეორეზე და ბრძოლა არსებობისათვის, რომელიც დაფუძნებულია წარმოების თანამედროვე ანარქიაზე, როცა მოისპობიან აქედან გამომდინარე შეტაკებანი და ძალმომრეობანი, მაშინ აღარავინ დარჩება დასათრგუნავი და შესაკავებელი, მაშინ საჭირო აღარ იქნება სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ამჟამად ასრულებს ამ ფუნქციას. პირველი აქტი, რომელშიც სახელმწიფო მართლაც გამოვა, როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელი — წარმოების საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად, — იქნება მისი, როგორც სახელმწიფოს, უკანასკნელი დამოუკიდებელი მოქმედება. სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა საზოგადოებრივ ურთიერთობაში თანდათანობით ზედმეტი გახდება და ბოლოს თავისთავად მოისპობა. პიროვნებათა მართვის ადგილს დაიპყრს საგნების მართვა და საწარმოო პროცესების ხელმძღვანელობა. სახელმწიფო კი არ «უქმდება», იგი თანდათან «კვდება» (ფ. ენგელსი, «ანტი-დიურინგი», 1933 წ., პარტგამომცემლობის რუსული გამოცემა, გვ. 202).

სწორია თუ არა ენგელსის ეს დებულება?

დიახ, სწორია, მაგრამ ორი პირობიდან ერთ-ერთით: ა) თუ სოციალისტურ სახელმწიფოს ქვეყნის მხოლოდ შინაგანი განვითარების თვალსაზრისით შევისწავლით, ისე, რომ წინდაწინ გვერდს ავუვლით საერთაშორისო ფაქტორს, კვლევის მოხერხებულობის მიზნით ქვეყანას და სახელმწიფოს განვიხილავთ საერთაშორისო ვითარებისაგან განცალკევებით, ან ბ) თუ ვივარაუდებთ, რომ სოციალიზმმა უკვე გაიმარჯვა ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ქვეყნებში, კაპიტალისტური გარემოცვის ნაცვლად არსებობს სოციალისტური გარემოცვა, უკვე აღარ არის გარედან თავდასხმის მუქარა, აღარ არის საჭირო არმიისა და სახელმწიფოს გაძლიერება.

ხოლო, თუ სოციალიზმმა მხოლოდ ერთს, ცალკე აღებულ ქვეყანაში გაიმარჯვა, და, ამის გამო, საერთაშორისო პირობებისათვის გვერდის ავლა ყოვლად შეუძლებელია, — როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? ამ კითხვაზე ენგელსის ფორმულა პასუხს არ იძლევა. სწორედ რომ ითქვას, ენგელსი არც სვამს თავის წინაშე ასეთ კითხვას, მაშასადამე, მას არც შეიძლებოდა ჰქონოდა პასუხი ამ კითხვაზე. ენგელსი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, რომ სოციალიზმმა უკვე გაიმარჯვა ასე თუ ისე ერთდროულად ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ქვეყნებში. მაშასადამე, ენგელსი აქ იკვლევს არა ამა თუ იმ ცალკეული ქვეყნის ამა თუ იმ კონკრეტულ სოციალისტურ სახელმწიფოს, არამედ საერთოდ სოციალისტური სახელმწიფოს

განვითარებას იმ ვარაუდით, რომ მეტწილ ქვეყნებში ადგილი აქვს სოციალიზმის გამარჯვების ფაქტს — ფორმულით: «ვთქვათ, სოციალიზმმა გაიმარჯვა მეტწილ ქვეყნებში, ისმება კითხვა — რა ცვლილებანი უნდა განიცადოს ამ შემთხვევაში პროლეტარულმა, სოციალისტურმა სახელმწიფომ». პრობლემის მხოლოდ ამ ზოგადი და განყენებული ხასიათით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სოციალისტური სახელმწიფოს საკითხის განხილვის დროს ენგელსი სრულიად გვერდს უვლის ისეთ ფაქტორს, როგორიც არის საერთაშორისო პირობები, საერთაშორისო ვითარება.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ენგელსის ზოგადი ფორმულა საერთოდ სოციალისტური სახელმწიფოს ბედის შესახებ არ შეიძლება გავრცელდეს კერძო და კონკრეტულ შემთხვევაზე სოციალიზმის გამარჯვებისა ერთს, ცალკე აღებულ ქვეყანაში, რომელსაც თავის გარშემო აქვს კაპიტალისტური გარემოცვა, რომელსაც ემუქრება გარედან სამხედრო თავდასხმის საფრთხე, რომელსაც ამის გამო არ შეუძლია გვერდი აუაროს საერთაშორისო ვითარებას და რომელსაც თავის განკარგულებაში უნდა ჰყავდეს კარგად გაწვრთნილი არმიაც, კარგად ორგანიზებული დამსჯელი ორგანოებიც, მაგარი დაზვერვაც, მაშასადამე, უნდა ჰქონდეს თავისი საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო, — იმისათვის, რომ საშუალება ჰქონდეს დაიცვას სოციალიზმის მონაპოვარნი გარედან თავდასხმისაგან.

არ შეიძლება მოვთხოვოთ მარქსიზმის კლასიკოსებს, რომლებიც ჩვენი დროისაგან 45 — 55 წლის პერიოდით არიან დაშორებულნი, წინასწარ განეპვრიტათ შორეული მომავლისათვის ისტორიის ხვეულების ყველა და ყოველგვარი შემთხვევა თვითეულ ცალკე ქვეყანაში. სასაცილო იქნებოდა მოგვეთხოვა, რომ მარქსიზმის კლასიკოსებს შეემუშავებინათ ჩვენთვის მზა გადაწყვეტილებანი ყველა და ყოველგვარ თეორიულ საკითხზე, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას თვითეულ ცალკე ქვეყანაში 50 — 100 წლის შემდეგ, რათა ჩვენ, მარქსიზმის კლასიკოსთა შთამომავალთ, საშუალება გვქონოდა დამშვიდებით წამოვწოლილიყავით მხართეძოზე და გვეღეჭა მზა გადაწყვეტილებანი. (საერთო სიცილი). მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა მოვთხოვოთ ჩვენი დროის მარქსისტებს — ლენინელებს, რომ ისინი არ დაკმაყოფილდნენ მარქსიზმის ცალკეულ ზოგად დებულებათა დაზეპირებით, რომ ისინი ჩასწვდნენ მარქსიზმის დედაარსს, რომ მათ ისწავლონ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური სახელმწიფოს ო�eი წლის არსებობის გამოცდილების გათვალისწინება, რომ მათ ისწავლონ, ბოლოს და ბოლოს, ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით და მარქსიზმის დედაარსის საფუძველზე, მარქსი-

ზმის ცალკეულ ზოგად დებულებათა კონკრეტიზება, მათი დაზუსტება და გაუმჯობესება. ლენინმა თავისი შესანიშნავი წიგნი «სახელმწიფო და რევოლუცია» დაწერა 1917 წლის აგვისტოში, ე. ი. ოქტომბრის რევოლუციამდე და საბჭოთა სახელმწიფოს შექმნამდე რამდენიმე თვით ადრე. ამ წიგნის მთავარ ამოცანას ლენინი იმაში ხედავდა, რომ დაეცვა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ ოპორტუნისტთა მხრივ დამახინჯებისა და შერყვნისაგან. ლენინი აპირებდა დაეწერა «სახელმწიფო და რევოლუციის» მეორე ნაწილი, სადაც იგი ფიქრობდა შეეჯამებინა რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილების მთავარი შედეგები. ეჭვს გარეშეა, რომ ლენინს მხედველობაში ჰქონდა თავისი წიგნის მეორე ნაწილში შეემუშავებინა და შემდგომ განევითარებინა სახელმწიფოს თეორია, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის გამოცდილებაზე დაყრდნობით. მაგრამ სიკვდილმა ხელი შეუშალა მას ამ ამოცანის შესრულებაში. მაგრამ რის გაკეთებაც ლენინმა ვერ მოასწრო, ეს მისმა მოწაფეებმა უნდა გააკეთონ. (**მჭუხარე ტაში**).

სახელმწიფო წარმოიშვა მტრულ კლასებად საზოგადოების გათიშვის საფუძველზე, წარმოიშვა იმისათვის, რომ ლაგამამოდებული ჰყოლოდა ექსპლოატირებული უმრავლესობა ექსპლოატატორული უმცირესობის ინტერესებისათვის. სახელმწიფოს ხელისუფლების იარაღები უმთავრესად თავმოყრილი იყო არმიაში, დამსჯელ ორგანოებში, დაზვერვაში, საპატიმროებში. სახელმწიფოს მოქმედებას ახასიათებს ორი ძირითადი ფუნქცია: შინაგანი (მთავარი) — ლაგამამოდებული იყოლიოს ექსპლოატირებული უმრავლესობა, და საგარეო (არა მთავარი) — გააფართოოს თავისი, გაბატონებული კლასის ტერიტორია სხვა სახელმწიფოების ტერიტორიის ხარჯზე, ან დაიცვას თავისი სახელმწიფოს ტერიტორია სხვა სახელმწიფოთა თავდასხმებისაგან. ასეთი იყო საქმის ვითარება მონათმფლობელური წყობილებისა და ფეოდალიზმის დროს. ასეთია საქმის ვითარება კაპიტალიზმის დროს.

კაპიტალიზმის დასამხობად საჭირო იყო არა მარტო ის, რომ ჩამორთმეოდა ძალაუფლება ბურჟუაზიას, არა მარტო კაპიტალისტთა ექსპროპრიაცია, არამედ სავსებით დამსხვრევაც ბურჟუაზიის სახელმწიფოებრივი მანქანისა, მისი ძველი არმიისა, მისი ბიუროკრატიული ჩინოვნიკობისა, მისი პოლიციისა, და მის ადგილზე ახალი, პროლეტარული სახელმწიფოებრიობის, ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს დაყენება. როგორც ცნობილია, ბოლშევიკები სწორედ ასეც მოიქცნენ. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის,

რომ ახალ, პროლეტარულ სახელმწიფოს არ შეიძლება შერჩეს ძველი სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია, პროლეტარული სახელმწიფოს მოთხოვნილებათა შესაბამისად შეცვლილი. აქედან მით უმეტეს არ გამომდინარეობს, რომ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ფორმები უცვლელი უნდა დარჩნენ, რომ ჩვენი სახელმწიფოს ყველა პირვანდელი ფუნქცია მთლიანად იქნება შენარჩუნებული შემდეგშიც. ნამდვილად კი ჩვენი სახელმწიფოს ფორმები იცვლება და მომავალშიც შეიცვლება ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და საგარეო ვითარების შეცვლის მიხედვით.

ლენინი საესებით მართალია, როდესაც იგი ამბობს:

«ბურჟუაზიული სახელმწიფოების ფორმები მეტისმეტად მრავალფეროვანია, მაგრამ მათი არსი ერთია: ყველა ეს სახელმწიფო ასე თუ ისე, მაგრამ საბოლოო ანგარიშში აუცილებლად წარმოადგენს ბურჟუაზიის დიქტატურას. კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების უდიდესი სიუხვე და მრავალფეროვნება, მაგრამ დედაარსი ამასთან აუცილებლად იქნება ერთი: პროლეტარიატის დიქტატურა» (ლენინი, ტ. XXI, გვ. 393).

ოქტომბრის რევოლუციის დროიდან ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ თავის განვითარებაში ორი მთავარი ფაზა განვლო.

პირველი ფაზა — ეს არის პერიოდი ოქტომბრის რევოლუციიდან ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამდე. ამ პერიოდის ძირითად ამოცანას შეადგენდა დამხობილი კლასების წინააღმდეგობის დათრგუნვა, ინტერვენტთა თავდასხმისაგან ქვეყნის დაცვის ორგანიზაცია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენა, კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის პირობების მომზადება. ამის შესაბამისად ჩვენი სახელმწიფო ამ პერიოდში ორ ძირითად ფუნქციას ახორციელებდა. პირველი ფუნქცია — დამხობილი კლასების დათრგუნვა ქვეყნის შიგნით. ამით ჩვენი სახელმწიფო გარეგნულად მოგვაგონებდა წინანდელ სახელმწიფოებს, რომელთა ფუნქციას შეადგენდა ურჩთა დათრგუნვა, მაგრამ იმ პრინციპული განსხვავებით, რომ ჩვენი სახელმწიფო თრგუნავდა ექსპლოატატორულ უმცირესობას მშრომელი უმრავლესობის ინტერესების გულისათვის, მაშინ როდესაც წინანდელი სახელმწიფოები თრგუნავდნენ ექსპლოატირებულ უმრავლესობას ექსპლოატატორული უმცირესობის ინტერესების გულისათვის. მეორე ფუნქცია — ქვეყნის თავდაცვა გარედან თავდასხმისაგან. ამითაც ჩვენი სახელმწიფო გარეგნულად მოგვაგონებდა წინანდელ სახელმწიფოებს, რომელნიც აგრეთვე ეწეოდნენ თავიანთი ქვეყნების

შეიარაღებულ დაცვას, მაგრამ იმ პრინციპული განსხვავებით, რომ ჩვენი სახელმწიფო გარეშე თავდასხმისაგან იცავდა მშრომელი უმრავლესობის მონაპოვრებს, მაშინ როდესაც წინანდელი სახელმწიფოები ასეთ შემთხვევებში იცავდნენ ექსპლოატატორული უმცირესობის სიმდიდრესა და პრივილეგიებს. აქ იყო კიდევ მესამე ფუნქცია — ჩვენი სახელმწიფოს ორგანოების სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი, სოციალისტური მეურნეობის ყლორტების განვითარებას და ადამიანთა გარდაქმნას სოციალიზმის სულისკვეთებით. მაგრამ ეს ახალი ფუნქცია ამ პერიოდში სერიოზულად ვერ განვითარდა.

მეორე ფაზა — ეს არის პერიოდი ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციიდან მეურნეობის სოციალისტური სისტემის სრულ გამარჯვებამდე და ახალი კონსტიტუციის მიღებამდე. ამ პერიოდის ძირითადი ამოცანა იყო სოციალისტური მეურნეობის მოწყობა მთელ ჩვენს ქვეყანაში და კაპიტალისტური ელემენტების უკანასკნელი ნაშთების ლიკვიდაცია, კულტურული რევოლუციის ორგანიზაცია, სავსებით თანამედროვე არმიის შექმნა ქვეყნის თავდაცვისათვის. ამის შესაბამისად შეიცვალა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციებიც. ზედმეტი გახდა — გაქრა ქვეყნის შიგნით სამხედრო დათრგუნვის ფუნქცია, ვინაიდან ექსპლოატაცია მოსპობილია, ექსპლოატატორები აღარ არიან და დასათრგუნავი არავინ არის. დათრგუნვის ფუნქციის ნაცვლად სახელმწიფოს გაუჩნდა ხალხის დოვლათის დამტაცებლებისა და ქურდებისაგან სოციალისტური საკუთრების დაცვის ფუნქცია. მთლიანად დარჩა გარედან თავდასხმისაგან ქვეყნის სამხედრო დაცვის ფუნქცია, მაშასადამე, დარჩნენ აგრეთვე წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ისევე როგორც დამსჯელი ორგანოები და დაზვერვა, რომლებიც აუცილებელი არიან ჩვენს ქვეყანაში უცხოეთის დაზვერვის მიერ შემოგზავნილი ჯაშუშების, მკვლელების, მავნებლების შესაპყრობად და დასასჯელად. დარჩა და სრულად განვითარდა სახელმწიფო ორგანოების სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ფუნქცია. ახლა ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა ქვეყნის შიგნით მდგომარეობს მშვიდობიან სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობითს მუშაობაში. რაც შეეხება ჩვენს არმიას, დამსჯელ ორგანოებსა და დაზვერვას, ისინი თავიანთი მახვილით მიმართული არიან უკვე არა ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთ, გარეშე მტრების წინააღმდეგ.

როგორც ხედავთ, ჩვენ ახლა გვაქვს სრულიად ახალი, სოციალისტური სახელმწიფო, ისტორიაში ჯერ არ ნახული, რომელიც თავისი ფორმითა და ფუნქციებით მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველი ფაზის სოციალისტური სახელმწიფოსაგან.

მაგრამ განვითარება ამაზე ვერ შეჩერდება. ჩვენ მივდივართ უფრო შორს, წინ, კომუნიზმისაკენ. დარჩება თუ არა ჩვენში სახელმწიფო კომუნიზმის პერიოდშიც?

დიახ, დარჩება, თუ ლიკვიდირებული არ იქნება კაპიტალისტური გარემოცვა, თუ მოსპობილი არ იქნება გარედან სამხედრო თავდასხმათა საფრთხე, ამასთან გასაგებია, რომ ჩვენი სახელმწიფოს ფორმები კვლავ იქნება შეცვლილი, საშინაო და საგარეო ვითარების ცვლილების შესაბამისად.

არა, არ დარჩება და მოკვდება, თუ კაპიტალისტური გარემოცვა ლიკვიდირებული იქნება, თუ იგი სოციალისტური გარემოცვით იქნება შეცვლილი.

ასეთია საქმის ვითარება სოციალისტური სახელმწიფოს საკითხში.

მეორე საკითხი — ეს არის საბჭოთა ინტელიგენციის საკითხი.

ამ საკითხში, ისევე როგორც სახელმწიფოს საკითხში, ჩვენს პარტიაში ერთგვარი გაურკვევლობა, ერთგვარი დაბნეულობა არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის პოზიცია საბჭოთა ინტელიგენციის საკითხში სავსებით ნათვლია, ჩვენს პარტიაში ჯერ კიდევ გავრცელებულია საბჭოთა ინტელიგენციისადმი მტრული და პარტიის პოზიციასთან შეუთავსებელი შეხედულებანი. ამ არასწორ შეხედულებათა მატარებელნი, როგორც ცნობილია, იჩენენ უგულებელმყოფელ, ათვალწუნებითს დამოკიდებულებას საბჭოთა ინტელიგენციისადმი, მიაჩნიათ რა იგი მუშათა კლასისა და გლეხობისადმი უცხო და მტრულ ძალადაც კი. მართალია, ინტელიგენციამ საბჭოთა განვითარების პერიოდში მოასწრო ძირფესვიანად შეცვლილიყო როგორც თავისი შემადგენლობით, ისე თავისი მდგომარეობით, იგი უახლოვდება ხალხს და პატრიოტულად თანამშრომლობს მასთან. რითაც ის პრინციპულად განსხვავდება ძველი, ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან. მაგრამ ამ ამხანაგებს, როგორც ჩანს, ეს არაფრად არ მიაჩნიათ. ისინი კვლავ ძველ სტვირს უკრავენ, არასწორად გადააქვთ რა საბჭოთა ინტელიგენციაზე ის შეხედულებანი და ურთიერთობანი, რომლებსაც თავისი საფუძველი ჰქონდათ ძველ დროში, როდესაც ინტელიგენცია მემამულეთა და კაპიტალისტთა სამსახურში იმყოფებოდა.

ძველ, რევოლუციამდელ დროს, კაპიტალიზმის პირობებში ინტელიგენცია, უწიხარეს ყოვლისა, შესდგებოდა შეძლებული კლასების, — თავადაზნაურების, მრეწველების, ვაჭრების, კულაკებისა და სხვ. ადამიანებისაგან. ინტელიგენციის რიგებში იყვნენ აგრეთვე მეშჩანებიდან, წვრილი მოხელეებიდან და თვით გლეხებიდან და მუშებიდან გამოსულნიც, მაგრამ იქ ისინი არ თამაშობდნენ და არც შეეძლოთ ეთამაშნათ გადამწყვეტი როლი. მთლიანად ინტელიგენციას კვებავდნენ შეძლებული კლასები და ინტელიგენციაც ემსახურებოდა მათ. ამიტომ გასაგებია ის უნდობლობა, ხშირად სიძულვილში გადასული, რომლითაც ეპყრობოდნენ მას ჩვენი ქვეყნის რევოლუციური ელემენტები და უწინარეს ყოვლისა მუშები. მართალია, ძველმა ინტელიგენციამ მოგვცა გაბედულ და რევოლუციონერ ადამიანთა ცალკეული ერთეულები და ათეულები, რომლებიც დადგნენ მუშათა კლასის თვალსაზრისზე და ბოლომდე დაუკავშირეს თავიანთი ბედი მუშათა კლასის ბედს. მაგრამ ასეთი ადამიანები ინტელიგენციაში მეტად მცირე რაოდენობით იყვნენ, და მათ არ შეეძლოთ შეეცვალათ მთელი ინტელიგენციის ფიზიონომია.

მაგრამ ინტელიგენციის საქმე ძირფესვიანად შეიცვალა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის განადგურების შემდეგ, განსაკუთრებით ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც ექსპლოატაციის მოსპობამ და მეურნეობის სოციალისტური სისტემის დამკვიდრებამ რეალური შესაძლებლობა შექმნა მიგვეცა ქვეყნისათვის და გაგვეტარებინა ცხოვრებაში ახალი კონსტიტუცია. ძველი ინტელიგენციის ყველაზე უფრო გავლენიანი და კვალიფიციური ნაწილი უკვე ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში გამოეთიშა ინტელიგენციის დანარჩენ მასას, ბრძოლა გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას და ხელი მიჰყო საბოტაჟს. მან ამისათვის დამსახურებული სასჯელი მიიღო, იგი განადგურებულ და გაბნეულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ. შემდგომში მათ შორის გადარჩენილთა დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნის მტრებს მიექირავა მავნებლებად, ჯაშუშებად და ამით ამორიცხა თავისი თავი ინტელიგენციის რიგებიდან. ძველი ინტელიგენციის მეორე ნაწილი, ნაკლებად კვალიფიციური, მაგრამ უფრო მრავალრიცხოვანი, კიდევ დიდხანს განაგრძობდა ერთი და იმავე ადგილის ტკეპნას და «უკეთეს დროს» მოელოდა, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, ხელი ჩაიქნია და გადაწყვიტა სამსახურის კაცობა დაეწყო, გადაწყვიტა შეგუებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. ძველი ინტელიგენციის ამ ჯგუფის მეტმა-

ნაწილმა უკვე მოასწრო დაბერება და მწყობრიდან გამოსვლას იწყებს. ძველი ინტელიგენციის მესამე ნაწილი, უმთავრესად მისი რიგითი ნაწილი, რომელსაც კიდევ უფრო ნაკლები კვალიფიკაცია ჰქონდა, ვიდრე წინა ნაწილს, შეუერთდა ხალხს და მიეშველა საბჭოთა ხელისუფლებას. მისთვის აუცილებლად საჭირო იყო სწავლის შევსება, და იგი მართლაც შეუდგა სწავლის შევსებას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. მაგრამ ძველი ინტელიგენციის დიფერენციაციისა და რღვევის ამ მწარეტკივილებიან პროცესთან ერთად ხდებოდა ახალი ინტელიგენციის ჩამოყალიბების, მის ძალთა მობილიზაციისა და შეკრების მძაფრი პროცესი. მუშათა კლასის, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის რიგებიდან გამოსული ასიათასობით ახალგაზრდა ადამიანები შევიდნენ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში და, დაბრუნდნენ რა სკოლებიდან, შეავსეს ინტელიგენციის შეთხელებული რიგები. მათ ახალი სისხლი შეჰმატეს ინტელიგენციას და გამოაცოცხლეს იგი ახლებურად, საბჭოურად. მათ ძირფესვიანად შეცვალეს ინტელიგენციის მთელი სახე თავის შესაფერისად და მსგავსად. ძველი ინტელიგენციის ნაშთები გათქვეფილი აღმოჩნდნენ ახალი, საბჭოთა, ხალხური ინტელიგენციის წიაღში. ამრიგად, შეიქმნა ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთან და თავისი მასით მზად არის ემსახუროს მას პატიოსნად და გულმართლად.

შედეგად ჩვენ ამჟამად გვყავს მრავალრიცხოვანი, ახალი, ხალხური, სოციალისტური ინტელიგენცია, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება ძველი, ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან როგორც თავისი შემადგენლობით, ისე თავისი სოციალურ-პოლიტიკური სახით.

ძველ, რევოლუციამდელ ინტელიგენციას, რომელიც მემამულეებსა და კაპიტალისტებს ემსახურებოდა, სავსებით შეეფერებოდა ძველი თეორია ინტელიგენციის შესახებ, რომელიც მიგვითითებდა, რომ საჭიროა ინტელიგენციისადმი უნდობლობა და მასთან ბრძოლა. ახლა ამ თეორიამ უკვე მოსჭამა თავისი დრო და იგი უკვე აღარ არის შესაფერი ჩვენი ახალი, საბჭოთა ინტელიგენციისათვის. ახალი ინტელიგენციისათვის საჭიროა ახალი თეორია, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა მასთან მეგობრული დამოკიდებულება, მასზე ზრუნვა, პატივისცემა მისდამი და თანამშრომლობა მასთან მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესებისათვის.

ვგონებ, გასაგებია.

მით უფრო საკვირველი და უცნაურია, რომ ინტელიგენციის მდგომარეობაში მომხდარ ყველა ამ საფუძვლიან ცვლილებათა

შემდეგ ჩვენს პარტიაში, როგორც ჩანს, კიდევ გვყეანან ისეთი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წინააღმდეგ მიმართული ძველი თეორია გამოიყენონ ჩვენი ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის მიმართ, რომელიც ძირითადად სოციალისტურ ინტელიგენციას წარმოადგენს. ეს ადამიანები, თურმე, ამტკიცებენ, რომ მუშები და გლეხები, რომლებიც ჯერ კიდევ ახლო ხანში სტახანოვურად მუშაობდნენ ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, ხოლო შემდეგ გაგზავნილ იქნენ უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად, უკვე აღარ არიან ამის გამო ნამდვილი ადამიანები, ხდებიან მეორე ხარისხის ადამიანები. გამოდის, რომ განათლება მავნე და სახიფათო რამეა. (სიცილი). ჩვენ გვინდა ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურული და განათლებული გავხადოთ, და ჩვენ გავაკეთებთ ამას დროთა ვითარებაში. მაგრამ ამ უცნაურ ამხანაგთა შეხედულებით გამოდის, რომ ამგვარი წამოწყება დიდ საშიშროებას შეიცავს, რადგან მას შემდეგ, რაც მუშები და გლეხები კულტურული და განათლებული გახდებიან, ისინი შეიძლება დადგნენ იმ საფრთხის წინაშე, რომ ჩარიცხული იქნებიან მეორე ხარისხის ადამიანთა თანრიგში. (საერთო სიცილი). არ არის გამორიცხული, რომ დროთა განმავლობაში ეს უცნაური ამხანაგები შეიძლება იქამდე მივიდნენ, რომ ხოტბა შეასხან ჩამორჩენილობას, უმეცრებას, სიბნელეს, ბნელეთის მოციქულობას. ეს გასაგებიცაა. თეორიულ გადამცდარობას არავისათვის არასოდეს სიკეთე არ მოუტანია და ვერც მოუტანს.

ასეთია საქმის ვითარება ჩვენი ახალი, სოციალისტური ინტელიგენციის საკითხში.

*
* *

ჩვენი ამოცანები პარტიის შემდგომი განმტკიცების დარგში:

1. სისტემატურად გავაუმჯობესოთ პარტიის შემადგენლობა, ავამაღლოთ პარტიის წევრთა შეგნებულობის დონე და ინდივიდუალური შერჩევის წესით მივიღოთ პარტიის რიგებში მხოლოდ შემოწმებული და კომუნიზმის საქმისადმი ერთგული ამხანაგები;

2. მივუახლოოთ ხელმძღვანელი ორგანოები ძირეულ მუშაობას, რათა მათი ხელმძღვანელი მუშაობა გავხადოთ სულ უფრო და უფრო ოპერატიული და კონკრეტული, რაც შეიძლება ნაკლებად სასხდომო ხასიათისა და ნაკლებად კანცელარიული;

3. მოვახდინოთ კადრების შერჩევის საქმის ცენტრალიზაცია, მზრუნველობით აღვზარდოთ კადრები, გულდასმით შევისწავლოთ

მუშაკების ღირსებანი და ნაკლოვანებანი, უფრო გაბედულად დავწინაურონ ახალგაზრდა მუშაკები, კადრების შერჩევისა და განაწილების საქმე შეეუფარდოთ პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებს;

4. მოვახდინოთ პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის საქმის ცენტრალიზაცია, გავაფართოოთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა, ავამაღლოთ ჩვენი კადრების თეორიული დონე და პოლიტიკური გამოწრთობა.

ამხანაგებო! მე ვამთავრებ ჩემს საანგარიშო მოხსენებას.

მე ზოგადად მოვხაზე ჩვენი პარტიის მიერ საანგარიშო პერიოდში განვლილი გზა. ამ პერიოდში პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შედეგები ცნობილია. ჩვენ გვქონდა ნაკლოვანებანი და შეცდომები. პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი არ მალავდნენ მათ და ცდილობდნენ მათს გამოსწორებას. არის სერიოზული წარმატებებიც და დიდი მიღწევებიც, რომლებმაც თავბრუ არ უნდა დაგვახვიონ.

მთავარი შედეგი ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, მოსპო რა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და განამტკიცა სოციალისტური წყობილება, მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა თავისი საქმის სიმართლე. ეს არის მთავარი შედეგი, რადგან იგი განამტკიცებს რწმენას მუშათა კლასის ძალებისადმი და მისი საბოლოო გამარჯვების გარდუვალობისადმი.

ყველა ქვეყნის ბურჟუაზია გაიძახის, რომ ხალხს არ შეუძლია იარსებოს უკაპიტალისტებოდ და უმემამულეებოდ, უვაჭრებოდ და უკულაკებოდ. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა საქმით დაამტკიცა, რომ ხალხს შეუძლია წარმატებით იარსებოს უექსპლოატატორებოდ.

ყველა ქვეყნის ბურჟუაზია გაიძახის, რომ მუშათა კლასს, რომელმაც დაანგრია ძველი ბურჟუაზიული წესწყობილება, არ შესწევს უნარი ძველის ნაცვლად ააშენოს რაიმე ახალი. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა საქმით დაამტკიცა, რომ მას სავსებით შესწევს უნარი არა მარტო დაანგრიოს ძველი წყობილება, არამედ კიდეეაც ააშენოს ახალი, უკეთესი, სოციალისტური წყობილება და ამასთან ისეთი წყობილება, რომელმაც არ იცის არც კრიზისები, არც უმუშევრობა.

ყველა ქვეყნის ბურჟუაზია გაიძახის, რომ გლეხობას არ შესწევს უნარი დაადგეს სოციალიზმის გზას. ჩვენი ქვეყნის კოლმეურნე გლეხობამ საქმით დაამტკიცა, რომ მას შეუძლია წარმატებით დაადგეს სოციალიზმის გზას.

მთავარი, რის მიღწევასაც განსაკუთრებით ცდილობს ყველა ქვეყნის ბურჟუაზია და მისი რეფორმისტი მაჩანჩალები, — ეს არის ის, რომ აღმოფხვრან მუშათა კლასში რწმენა თავისი ძალებისა, იმის რწმენა, რომ შესაძლებელი და გარდუვალია მისი გამარჯვება, და ამით სამუდამოდ დაამკვიდრონ კაპიტალისტური მონობა. ვინაიდან ბურჟუაზიამ იცის, რომ თუ კაპიტალიზმი ჯერ არ არის დამხობილი და ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას, ამას იგი უნდა უმადლოდეს არა თავის კარგ თვისებებს, არამედ იმას, რომ პროლეტარიატს ჯერ კიდევ არა აქვს საკმაო რწმენა თავისი გამარჯვების შესაძლებლობისა. არ შეიძლება ითქვას, რომ ბურჟუაზიის მეცადინეობა ამ მიმართულებით სავსებით უშედეგოდ რჩებოდეს. უნდა ვაღიაროთ, რომ ბურჟუაზიამ და მისმა აგენტებმა მუშათა კლასში შესძლეს ერთგვარად მოეწამლათ მუშათა კლასის სული ეჭვებისა და ურწმენობის შხამით. თუ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის წარმატებანი, თუ მისი ბრძოლა და გამარჯვება ხელს შეუწყობს იმას, რომ გაამხნევოს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი და განამტკიცოს მასში რწმენა თავისი ძალებისადმი, რწმენა თავისი გამარჯვებისადმი, მაშინ ჩვენს პარტიას შეუძლია თქვას, რომ იგი ამაოდ არ მუშაობს. შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს, რომ ეს ასეც იქნება. (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ მუშათა კლასს! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ კოლმეურნე გლეხობას! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ ინტელიგენციას! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიად მეგობრობას! (ტაში).

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისა! (ტაში).

(ყველა დელეგატი დგება, ფეხზე მდგომი მიესალმება ამხანაგ სტალინს და უმართავს მას ხანგრძლივ ოვაციას. შეძახილები: «ვაშა! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს! დიდ სტალინს — ვაშა! ჩვენს საყვარელ სტალინს — ვაშა!»).

И. СТАЛИН

ВОПРОСЫ ЛЕНИНИЗМА

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1952

გადაეცა წარმოებას 14/IV 1952 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/XII 1952 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 48,5. შეკვ. № 284. უე 16049. ტირაჟი 70.000 (30 000+35.000).

საქართველოს სსრ პოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5.

Комбинат печати Управления по делам полиграфической промышленности, издательств и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.